



მეათეტი

2004

7/8

ბანოლის 1924 წლიდან



ენათობი

წელიწადი 80-80

№ 7-8

2004 წელი

მწერლობა, უბლიცისტია, ხელოვნება, მეცნიერება

დამფუძნებლები:

საქართველოს მწერალთა კავშირი
და ჟურნალ „მნათობის“ რედაქცია



შინაარსი

კოეზია, პროზა, დრამატურგია

მამუკა დოლიძე - ფიქრის გორა. მოთხრობა	3
შოთა ზოიძე - თეთრი ძაღლი. პოემა	42
რაულ ჩილაჩავა - ლექსები	51
ამირან ასოზაძე - ლექსები	59
შოთა გოსტანაშვილი - წყაღვალა ლხპარაჟი. პოემა	61
ვაჟა ჩორბაქი - ლექსები	79
პერ ლაგარკვისტი - მორის ფლორი. მოთხრობა. თარგმნა მანანა მიქელაძემ	80

კრიტიკა, უბლიცისტია

თეიმურაზ შურდუკიანი - გიორგი ლომიძის „ნატყრის ხე“	90
როზა დავდარიანი - აველუმოგიდან აბელუმოგამდე	104
ზორბა ცხადია - კოეზია - „თანჯვის ხელოვნება“	125
ლია გუგუნიანი - პარალელები	139
ვანო იმერლიშვილი - უნგრული მწერლობა უკველესი დროიდან დღემდე	153
გაბა შურდია - სინამდვილესა და ოცნებას შორის	161

შინაარსი

(გაგრძელება)

თვალსაზრისი

ლევან ფრუიკა – ჩვენი ღაზთი 184

სარკმელი

ქმევი მანები ერთმანეთის შესახებ. თარგმნა მანანა შიქელაძემ 204

ხელოვნება

მანანა ხოშერიძი – სად დაკრძალეს ფიროსმანი? 215

მთავარი რედაქტორი
თამაზ ჭილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე
ანდრო ბუაჩიძე





გაგუა დოლიძე

ფიქრის გორა

მოთხრობა

დალი

იმისთვის, რომ სიტყვა გაეაცოცხლო, გულში ჩადგმული პატარა სკივრი უნდა გაეხსნა, სადაც ოცნებებსა და მტვერდადებულ მოგონებებს ვინახავ. ამ სკივრს ხან ამაოდ დასტრიალებს ჩემი ფიქრი, ამაოდ ებრძვის, აწვალებს, მაგრამ ვერ ამსხვრევს მის ბოქლომს, ხან კი უცარი აზრის გაელვება, ან უცაბედი შთაბეჭდილება გასაღებივით მოერგება და გაალებს. ასე მოერგო მას ქარში გაბნეული აკაციის სუნი, რომელმაც ჯერ ბინდისფერი სახლი გაანათა, შემდეგ ბალი ააფურადა და ბავშვობის დროინდელი ქუჩა გადაამიშალა თვალწინ.

ქუჩას ავეყვი. წინ მზის სხივებში გახვეული ფიქრის გორა გამოჩნდა. პაერი გაყლენთილი იყო გაზაფხულის სუნთქვით. აკაციის ჩრდილს ქარი მზით მოოქროვილ ბილიკზე დააგორებდა და მეც ამ ჩრდილებს მიედევდი, სულ მალლა და შორს მიეწევი. ერთმანეთის შურიითა და ჯიბრით ჩადრებს იხსნიდნენ ულამაზესი ხეობები, მაგრამ მარტო სილამაზე ვერ ქმნიდა სიტყვას. საჭირო იყო რალაც სხვა, რასაც ალბათ ვერ დაეინახავდი, მაგრამ რის ნაკლებობასაც აშკარად ვგრძნობდი.

ხეტიალ-ხეტიალით ფერდობზე ავედი და აქ მზეზე გამდნარი, ფერგა-

ძარცვული ცა უეცრად მოიღრუბლა, ჩამომძიმდა, გაშავდა და წვიმის მოლოდინით შეპყრობილ სიჩუმეში მონყენილობა ვიგრძენი. ეს სწორედ ის სევდა იყო, რომელიც ოდნავ შეარბილებდა და აზრით აავსებდა ამ თვალისმომჭრელ სიციხადეს. მაგრამ მზემ ისევ გამოიხედა ღრუბლებში და გაფანტა სევდა, ოღონდ ვერ მოკლა. მივიხედ-მოვიხედე და წინ მიმავალი ქალის მზერაში ვიგრძენი ის. თვალი გავეუსწორე. მინდოდა, ხელი ჩამეველო მისი სევდისთვის და ამ შთაბეჭდილებით დაებრუნებოდი საწერ მაგიდას, მაგრამ ქალმა ისევ წინ გაიხედა და მწვერვალისკენ გააგრძელა სევა.

ქარი ამოვარდა. იელვა. უცებ განვიმდა და ისევ გადაიღო. იდუმალი სევდა ახლა ნაწვიმარ ბალს გადასდებოდა, სადაც ცისარტყელა იდგა, სადაც ფოთლების ჩრდილს ქარი დაათრევდა; მეც ქარს მივეყვებოდი და ასე მეგონა, ნიავე კი არ ამრიალებდა ტოტებს, თვალთ მოუხელთებელი ქალი აფრთხობდა პირდაბანილი მზის მწუხრისფერ სიმშვიდეს. ასე გამრიყეს ქარის ტალღებმა ბალის კიდეზე, სადაც ქალმა წყვდიადით მოცულ ხეივანს შეაფარა თავი, ისიც უკან მოიტოვა, აღმართი აიარა და ბინდისფერი მოლანდება დასტოვა...

დაღამდა. ახლა უკვე დეენის ყინით

შეპყრობილი ავდიოდი ზევით და ზევით. წინ მთვარით განათებული კოშკი შემოაჯდა ლამეს, გაიხსნა სარკმელი და კოშკის აივანზე ქერათმიანმა ქალმა გამოანათა. სევდიანი ღიმილი ისევ დასთამაშებდა სახეზე. მკაფიო, გამჭრიახი მზერა ისევ რალაცის ამოკითხვას ღამობდა ჩემში და ამ თვალეზიდან გადმოღვრილი შუქი ავსებდა და აფაქიზებდა ღამის წყვდიადში ჩაძირულ ქალაქს. ეს იყო დალი.

ზეპახთან

უნდა გამოვტყდებ, რომ ყოველთვის ვერ ვპოულობ ფიქრის გორას. მიახლოებით ვიცი, რომ ის ვერის უბნიდან გმირთა მოედანს გადაკურებს, მაგრამ გათელილ ბილიკებს, როგორც ნესი, სხვაგან მივყავარ. მხოლოდ მაშინ, როცა უგზო-უკვლოდ დავეხეტები, როცა ვიკარგები შეუცნობელ გარემოში, უნებურად და შემთხვევით ავდივარ ფიქრის გორაზე, რომელიც განუწყვეტილად იცვლება. ხან მზეზე თამაშობს ბროლივით გამჭვირვალე კალთებით, ხანაც ნისლში გახვეული, უკვალოდ ქრება.

იმ დღესაც ასე დამემართა. ნასვამი ვიყავი და დალის ძებნაში მთელი უბანი მოვიარე. სანაპიროც იქვე იყო, მოედანიც, აღმართიც, ფიქრის გორის გზაკვალს კი ვერსად ნავანყდი. საოცარი! ყოველივე ადგილზე დამხვდა, პატარა ცვლილებასაც კი შევამჩნევდი, ისე ცხადად მედგა თვალწინ ქალაქის ეს მყუდრო უბანი, მაგრამ ის მწვერვალი, ის კოშკი, იმ დღეს არ არსებობდა ჩემთვის; და მაშინ მივხვდი, რომ რალაც იდუმალი აკლდა იმ გარემოს, შეიძლება ბინდის ჩუმი ფერი, ან გაზაფხულის მოუსვენრობიდან აღძრული ნაპერწკალი, რაც მეგზურად გამყვებოდა იმ კოშკისაკენ.

დალის ძებნაში შეუმჩნევლად გადაგორდა დღე. იისფერი საღამოდან, ვით ძირგავარდნილი ბოთლიდან, მელნისფერი ბურუსი გაჩნდა და სივრცეში მიმოიღვარა. ღამე შეეპარა დღეს. ახლა ერთი სული მქონდა შინ ნავსულიყავი და არაფერზე აღარ მეფიქრა, ან მეფიქრა მხოლოდ იმაზე, რაც თავისით, უნებურად გაჩნდებოდა ჩემს გონებაში და ანგარიშმოუცემლად აყვებოდა აზრის თვითმობრავ დინებას. ზედა ქუჩებიდან ნისლი წამოვიდა, ღრუბელივით შემკვირვდა და მომიახლოვდა. ამ ღრუბელში ვიღაცა იყო გახვეული. მიიქცია თუ არა ჩემი ყურადღება, ბურუსიდან გადმოაბიჯა, ხელი ჩამომართვა და ისე გადამოკცნა, თითქოს დიდი ხნის უნახავი და მონატრებული მეგობარი ვიყავი. არადა, მართლა ნაცნობი სახე მქონდა, ოღონდ ვერ გავიხსენე, სად მენახა ეს ჯაგარამილი თმა, ეს ცივი და ჩამქრალი მზერა.

– ვერ მიცანი? – ხელი მომხვია და ისე შემომხვდა, უნებურად ამიყოლია თავის ღიმილში. – მე ზევახი ვარ, თქვენი ნათესავი.

თავი დაეუქნიე.

– ჯვარი გწერია და მამას მაგონებ, – ლოყაზე ხელი მომითათუნა, – რას დაეხეტები ამ ბურუსში, რას ეძებ?

– კოშკს, – ვუპასუხე, – სადღაც აქ იდგა.

– კოშკს? – გველნაკბენივით შეხტა. – ასეც ვიცოდი! ისტორია მეორდება!.. შეიგნე ერთხელ და სამუდამოდ, რომ ეს განახლებული უბანი და არავეთარი კოშკი აქ აღარ არსებობს! აშკარად თვალთმაქცობდა. შემოვბრუნდი და გაცლა დავაპირე, მაგრამ წინ გადამიდგა და ხელი ხელზე მტაცა.

– მოიცა, – გამაჩერა. – მე თუ არ მენდობი, მეზობლებს ვკითხოთ.

- აპოლონი! - შესძახა მოპირდაპირე სახლის ფანჯარას.

გადმოიხედა საღებავებით მოთხუნული კაცმა.

- აქ სადმე კოშკი ხომ არა დგას? - შემპარავად ჰკითხა ზევახმა.

- როგორ გეკადრებათ! - იწყინა აპოლონი. - დღესაც სჯერა ხალხს ასეთი ზღაპრების? იყო ოდესღაც ზევით ქონგურებიანი სახლი, მაგრამ დღეს მისი კვალიც კი აღარსადაა.

- ესეც მე ვარ? - მომიბრუნდა ზევახი, - ეტყობა, ბევრი დაგიღვევია. ჩემთან შემოდი, დაისვენე.

იყო მის უფერულ თვალეებში რაღაც მომწუსხავი, ხოლო მის შემპარავ ხმაში რაღაც გამამბრუებელი. მისი ტკბილი და მოქნილი სიტყვა ისე ჩამწვეთა ყურს, რომ ვერც კი ვიგრძენი, როგორ შევწყვიტე დალიზე ფიქრი და ყურადღება ზევახზე გადავიტანე.

აგურის სამსართულიან შენობას უკანა მხრიდან მივადექით. ტალავებით დარღილული ეზო გავიარეთ და ბნელ დერეფანში შევედით. ეს ჩემი სახლი იყო, ჩემი სადარბაზო, მაგრამ აქედან არასოდეს მოვხვედრილვარ შინ. ზევახმა გასაღები ამოიღო და ოთახის კარი შეაღო. დავინახე ჩემი სავარძელი და საბეჭდი მანქანა. ქარი ამრიალებდა მაგიდაზე გაფანტულ ფურცლებს. სტრიქონს ვაგაყოლე თვალი. ნაცნობი ასოები, ნაცნობი სიტყვები, აზრი და შინაარსი კი იდუმალი, მიუნვდომელი... საოცარია! ცალ-ცალკე ყველაფერს ვარჩევდი, მთლიანობაში ვერაფერს ვხედავდი. უეცრად თავბრუსხვევა ვიგრძენი. თვალი ამიჭრელდა და სიტყვებმა სადღაც გამიტაცეს. გამოჩნდა ქუჩა, მოედანი, აღმართი, მაგრამ ამ დროს ზევახმა მომისწრო და ფურცელს ხელი დააფარა.

- რას წერთ? - ვკითხე.

- ისეთს არაფერს, წლიური ანგარიშებია. - ფურცლები ნაჩქარევად მოხვეტა და მაგიდის უჯრაში ჩატენი. - აქ დიდი არეულობაა, იქით გავიდეთ.

ნიგუნების კარადა გამოსწია, აბლაბუდებიანი კარი შეაღო და ლამის შემაგდო მეორე ოთახში.

ოთახი მუხის მძიმე, ძველებური ავეჯით იყო განწყობილი. ჩაბნელებულ კუთხეში ქანდაკებები იდგნენ: ძლივს გავარჩიე დაფნის გვირგვინით მორთული კაცი, მკერდსა და მუცელზე ხელეფარებული ქალი, მის ფერხთით ჩამომუჯდარი თმახუჭუჭა ბიჭი და ლომის ტყავში გახვეული, კომბალზე დაყრდნობილი გოლიათი. იქვე სავარძელში თმაგაჩქილი ქალი იჯდა და ნიგუნს ჩასცქეროდა.

- ჩემი ასული თინა, - დიდის ამბით გაშაცნო ზევახმა.

ქალმა ნიგუნი დაკეცა და მორცხვად გამომინოდა ხელი.

- აბა ერთი შენებურად გავგიმასპინძლდი, - ტაში შემოჰკრა ზევახმა.

თინა ნამოხტა და ისე სწრაფად შეუდგა საქმეს, თითქოს ერთის ნაცვლად ოთახში ათი ქალი ტრიალებდა. მაგიდა ნაირ-ნაირი კერძებით აივსო. ზევახმა კარადა გამოაღო და ბროლის სასმისებში ლეინო ჩამოასხა.

- ქალბატონ თინას გაუმარჯოს, - ავნიეჭიქა, - ჩვენი სუფრის მშვენიერებას.

ქალმა მადლობის ნიშნად თავი დახარა.

- შინ დამიბერდა, - ამოიოხრა ზევახმა, - ჭკუა არ აკლია და სილამაზე, მაგრამ ყველას გაურბის, მეტისმეტად უკარებაა.

- თავი დამანებე, - განითლდა თინა. - თვითონ მოვნახავ ჩემ გზას.

შემდეგ ჭიქა მომიჭახუნა და მითხრა:

- იმ სიყვარულს გაუმარჯოს, რომელსაც შუაკაცი არ სჭირდება!

ბროლის კედლებში მოთამაშე ღვინო, ჰაერივით მსუბუქი, სიზმარივით შემპარავი, სულმოუთქმელად დაელივ. სანთლის მკრთალ შუქზე ლანდივით გაიცრია, განაზდა ქალი. მისი ტუჩები ერთს ამბობდნენ, თვალები მეორეს.

– მომბეზრდა ყველაფერი, – ამოიოხრა. – სამსახურში მებრძვიან, შინ მოსვენებას არ მაძლევენ.

– მტრები გვყავს, – დაამატა ზევახმა.

– რაზე ფიქრობ? – ჩამჩურჩულა თინამ.

გარედან ყეფა მოისმა.

– არგუსმა გაიღვიძა, – წამოდგა ზევახი. გავალ, გავხედავ, რამე არ მოიპარონ.

სანთელი გაიჩანა და გავიდა. მთვარესავით განათებული სახე ნელ-ნელა ჩაბნელდა. ახლა მხოლოდ ორი თვალი ანათებდა ოთახის წყვდიადში. ქალმა ხალათი მოიხსნა და გაშიშვლებული მუხლებზე ჩამომიჯდა. ლამის დამადნა თავისი ცხელი, სურნელოვანი ტუჩებით. ხელში ავიყვანე და ტახტისკენ გავაქანე, მაგრამ უეცრად სუნთქვის ხმამ შემაჩერა. კედლის მიღმა ზევახი ხვრინავდა. მივხედი, რომ განზრახ დაგეტოვა მარტო, რომ ეს გამომწვევი თვალები, ეს სურნელოვანი ქალი ხაფანგი იყო.

როგორ დავალწიე თავი იმ თვალებს, არ მახსოვს. მახსოვს მხოლოდ ის, რომ ქუჩა ლამის წყვდიადით იყო მოცული და ღრუბლებს შორის მკრთალი ლამპარივით ბჟუტავდა მთვარე.

– ძალღი აუშვი! არ გაგვექცეს! – უყვიროდა მამამისს თინა.

ქარივით გავფრინდი. ძალზე გადამჯდარი ბატონი ზევახი ჭეჭა-ქუხილით მომდევდა. ცა ლურჯად იხლიჩე-

ბოდა მეხის ისრებით, ქუჩა ფოქედებოდა, ქრებოდა... მე კი ისე მიეჭროდი, მინაზე ფეხის დაკარებას ვერ ვასწრებდი; გზამ მოუხვია და ქუჩის ბოლოს, მთვარის სხივებში დანაშემართული აპოლონი გამოჩნდა.

გაეჩერდი, თუმცა გული მაინც გამირბოდა და აქ, შუაში მომწყვედულმა, როცა არც უკან დახევა შემეძლო, არც წინ წასვლა, ერთმანეთს მიბჯენილი სახლების ბზარში ის აღმართი შეენიშნე, რომელსაც მთელი დღე-ღამე ამაოდ ვეძებდი!

– მაინც იპოვე?! – ქოფაკთან ერთად მიყეფდა პირზე დუფმომდგარი ზევახი, მაგრამ ვერ ბედავდა დალის სამფლობელოში გადმობიჯებას. – იპოვე, მაგრამ მალე დაგენგრევა ეგ კოშკი და მერე სად წახვალ?

ნელა წავებარბაცდი კლდიდან ამოზრდილი კოშკის ბილიკზე, ვერ მივალწიე მას, ბიენიდან გადმოკიდებულ ნანწავს ჩავეხუტე და გონება დავკარგე.

„ოლიმპი“. სიბრძნის ბანყოფილება

მეორე დღეს, სამსახურში უფროსმა დამიბარა და ცხვირწინ ბრძანება დამიდო ჩემს ახალ ადგილზე გადაყვანის შესახებ.

– საფირმო გაერთიანება „ოლიმპი“, – ბრძანების ბეჭედს დახედა უფროსმა. – ასეთი დაწესებულება არც კი გამიგია.

– ნუ დაუთმობთ ჩემს თავს, – შევხეხე.

– მე არავინ მეკითხება, – მოიღუშა, – ბრძანება ზევიდანაა მოსული.

კარი გაიღო და კაბინეტში შავგერემანი ბიჭი შემოვიდა რამდენიმე კაციის თანხლებით.



- ჩვენ „ოლიმპიდან“ გახლავართ, - რიხიანად ნამოიწყო ბიჭმა, - ბრძანება ხომ მიიღეთ?

გონს მოსვლაც ვერ მოვასწარი, რომ მტაცეს ხელი, გარეთ გამიყვანეს და მანქანაში ჩამაგდეს.

- რომელი ხარ? - გაისმა მანქანაში მჭექარე ხმა.

- პერმესი გახლავართ, - ჩასძახა მიკროფონს მძღოლმა, - შევასრულეთქვენი ბრძანება.

მოედანს შემოვუარეთ და სანაპიროზე გავედით. ცოტა ხანში მარცხნივ მაღალი შენობა გამოჩნდა. პერმესმა მანქანა შემოაბრუნა, დარაჯს საშვი აჩვენა და პირდაპირ შენობის ქვედა სართულზე შევგორდით.

- ახალი ბრძანდებით? - გამიღიმა დისპეტჩერმა და საშვი მომანოდა, - მეორე სართულზე ახვალთ, სიბრძნის განყოფილებაში.

ჩემი მეგზური კვლავ პერმესი აღმოჩნდა. ოთახი, სადაც გამამწესეს, ნიგნის თაროებით იყო გარემოცული. თაროებს შორის, ფანჯარაში ამწვანებული ხე მოჩანდა. ტოტებს შუა ნაზი, სურნელოვანი ჰაერი იგრძნობოდა. შორს ბუნდოვნად იკვეთებოდა ხალხის ნაწილი და მთის ლურჯი ზოლი. იქვე ფანჯარასთან, ჭადრაკს თამაშობდნენ.

- გაიცანით, ჩვენი ახალი თანამშრომელი, ამირანი, - თქვა პერმესმა.

- ბადრი, - თავაუღებლივ ხელი გამომიწოდა ერთ-ერთმა.

- იასონი, - წამოხტა მეორე და დიდხანს ანჯღრევდა ჩემს ხელს.

კარმა გაიჭრიალა და ოთახში ქალარაშერეულმა კაცმა შემოიხედა. ყურადღება რომ არ მიაქციეს, პორტფელი ამოიღლია და ოთახი ფეხაკრეფით გაიარა. სავარძელში გემრიელად მოიკალათა და თვალები დახუჭა. ია-

სონმა გამიღიმა, ჩაძინებულს გადახედა და უცებ დაუსყვირა:

- რატომ იგვიანებთ, ბატონო ნესტორ!

ნესტორი გიჟივით წამოხტა:

- ო, წყეულო მოდგმავ! რატომ მიმსხვრევ ძილში გამოქანდაკებულ სიმშვიდეს?

აქ ნესტორმა შემამჩნია და თავი დაამიკრა.

- როგორ ბრძანდებით, ჩემო ბატონო?

- უკეთესად ვიქნებოდი, რომ ვიცოდე, რა მომელის, - ეუპასუხე.

- ახლავე მოგახსენებთ, - ნესტორმა პორტფელიდან ფონენდოსკოპი ამოიღო და გულზე დამადო.

- ერთ მშვენიერ დღეს ჯაჭვით დასაბმელი გახდები, - გამომიტანა თავისი განაჩენი.

- ეგ საიდანა გაქვს? - ჰკითხა ბადრიმ.

- დირექტორმა მათხოვა, - უპასუხა ნესტორმა.

- გათხოვა თუ მოპარე? - ჩააცვივდა იასონი.

- რა გინდა ჩემგან, რას გადამიეკიდე! - ისევ აყვირდა ნესტორი. - პენსიაზე ვასვლამდე უნდა მომილო ბოლო? ახლავე საჩივარს დავენერ, თუ როგორ მიმწარებ სიცოცხლეს! ყველას ჩამოგახრჩობთ, დაგზვრეტთ, ციხეში ამოგალპობთ! ზეცამ გულთმისნობის ნიჭით დამაჯილდოვა! ჩემს ყოველ სიტყვას ოქროს ფასი აქვს!

- რა ხდება აქ, რა ყვირილია! - მომესმა ნაცნობი ხმა.

წარმოიდგინეთ ამ ახალ, უწვეულო გარემოში როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა ჩემზე თინას გამოჩენა, რომელიც სიბრძნის განყოფილების გამგე აღმოჩნდა! აქ უფრო მობერებულნი მტყვენა, ვიდრე შინ, თუმცა ასეთ-

მა ფერიცვალებამ მის მომხიბვლელობას ველარაფერი დააკლო.

- ჩვენი სტუმარია? - იკითხა თინამ და ისე ჩამათვალა, თითქოს პირველად მხედავდა.

გაკვირვება არ შევიმჩნიე და თავი დავეუკარი.

- შეაგროვეთ მასალა? - დაარღვია დუმილი ქალმა.

- ერთი მეტაფორა მოვიფიქრე ზღვის ლელვაზე, - თქვა იასონმა.

- მეტაფორები აღარ გვჭირდება, - მოუჭრა თინამ, - დღეს დირექტორი ინტრიგას ეძებს.

- შეიძლება? - ხელი ასწია ნესტორმა.

- ბრძანეთ.

- სილამაზის სალონის გამგე ქმარს უნდა ლალატობდეს.

- მეტიჩარა ნუ ხარ, - გადაულაპარაკა იასონმა, - სხვის ფანჯარაში ნუ იხედები.

- საინტერესო ვარაუდია, - თვალები გაუბრწყინდა თინას, - მაგრამ ეს თემა უკვე შესთავაზეს დირექტორს.

- ნეტა გამაგებინა, რას წერს? - მხრები აიჩეჩა ბადრიმ.

- არავის გვეუბნება, - თავი გააქნია თინამ. - განყოფილებებს ცალკე ფრაგმენტებს აძლევს დასამუშავებლად. ვაიცემა ბრძანება: საჭიროა ამდენი მეტაფორა, ამდენი სახე, ასეთი ხასიათი, ასეთი თემა, მაგრამ რისთვის, რა მიზნით, არავინ იცის.

- არცაა საჭირო, - ჩაურთო ნესტორმა. - კაცი გვთხოვს და უნდა დავებმაროთ. განა თვითონ ცოტას აკეთებს ჩვენთვის?

- არ იცით, ამ ფრაგმენტებიდან რა შეიძლება შეიქმნას? - ვიკითხე.

- რას გარგებ? - ამოიხვნეშა ბადრიმ. - მოზაიკის კენტებიდან რასაც გინდა, იმას აანყობ. ის აზრობრივი და-

ფი, რაზედაც ყველაფერი უნდა აიკინძოს, ჩვენთვის უხილავია.

- თქვენ, თუ არ ვცდები, მწერალი ბრძანდებით? - მომიბრუნდა თინა.

- თვითონაც აღარ ვიცი, ვინა ვარ, - ხელი ჩავიქნიე.

- ნუ მორცხვობთ, - გამიღიმა თინამ, - დირექტორს დახმარება სჭირდება. ასე რომ, დროა საქმეს შეუდგეთ. ჩვენ ხომ მის შთაგონებას ვემსახურებით. ამ მიზნით შეიქმნა ეს გაერთიანება, დაუშვეს შტატები, მოგვცეს ფული. თუ საჭირო იქნა, თავიც კი უნდა გავეწიროთ!

თანამშრომლებმა ტაში დასცხეს.

- დღეს ამით დავამთავროთ, - წამოდგა თინა. - ხვალისთვის მხატვრულ სახეებზე იფიქრეთ. სასურველია მკაფიო, ძლიერი და ამავე დროს რთული, წინააღმდეგობრივი ხასიათები.

კედლის საათიდან გუგული გადმოხტა. დამთავრდა სამუშაო დღე. ოთახი დაცარიელდა. მე კი ვიჯექი და მაგიდას დავცქეროდი, რომელსაც ჯერ კიდევ არნდა თინას კვალი. მისი ხელით გადაშლილი წიგნი კიდევ იდო. მისი სიგარეტი ქიქაში იფერფლებოდა... ვიჯექი და ვცდილობდი, არ მეფიქრა ამ ქალზე, მაგრამ რაზედაც უნდა ვადამეტიანა ყურადღება, ყოველი ფიქრის, ყოველი შეგრძნების, ყოველი საგნის უკან ეს ქალი იდგა და გამომწვევად მიმზერდა. სახელი თინა არსებობდა ჩემში, როგორც თავის თავს მოწყვეტილი ჩრდილი, დიდხანს რომ ვერაყისთან ჩერდება და ხან ვის აედევნება, ხან ვის. ამიტომ ეს სახელი ერქვა ჩემთვის არა მხოლოდ ცოცხალ არსებას, არამედ უამრავ, მის ხელში მოხვედრილ საგანს, მისი კვალის შემნახველ გარემოს, მისი ხელით დაქოქილ საათს, მთელ ამ უღიმღამო, ფერგაძარცვულ ოთახს.



– ერთი აქეთ მობრუნდი! – მომეს-
 მა ხმა და უკან მივიხედე.

იმნამსვე მაგნიუმმა იფეთქა და
 ოთახში შემოპარულმა აპოლონმა სუ-
 რათი გადამიღო. ბრაზმორეული ნა-
 მოვბტი.

– ხმა არ ამოიღო, ამ კედლებს ასი
 ყური აქეთ, – პირზე თითი ამაფარა და
 დაამატა: – ჩემთან წამოდი, სახელოს-
 ნოში.

სიტყვა

სამსახურიდან მობრუნებული, ჭი-
 ანჭველასავით მოვათრევედი მძიმე,
 თავსატეხ ფიქრებს, რომელთა ბადე-
 ში გაიხლართა ჩემი სული. ის, რაც
 თავს გადამხდა, ფარული აზრის ხი-
 ლული გარსი იყო მხოლოდ, მაგრამ მე
 არ შეკუთვნოდა ეს აზრი, სხვისი ნება
 ძერწავდა მას, სხვა მიზნებისკენ წარ-
 მართავდა ჩემს გრძნობასა და ფიქრს.

საღებავის სუნმა განყვიტა ეს უხი-
 ლავი ბადე და აპოლონთან შემიყვანა.
 ახლად შექმნილი ნახატი თავისკენ მი-
 ზიდავს, რათა მშვიდი, უწყინარი ფე-
 რებით ჯერ მიმიჩვიოს, დაამიხლოვოს,
 შემდეგ კი უცერად დამაბრმავოს თა-
 ვისი სილამაზითა და სიღრმით. დგას
 აპოლონი სახელოსნოში და თავისი
 უნუგუშო სიყვარულის ამბავს მია-
 ბობს. ეროსიმ, ჩვენი უბნის მაჭანკალ-
 მა შეაყვარა ქალი, შეაყვარა სამასხ-
 როდ, რადგან თავისი მოქნილი და მახ-
 ვილი ენის წყალობით ქალის გულში
 სიძულვილი ჩაეთესა. ქალს დასანახა-
 ვად ევაჯერება აპოლონი; თვალს რომ
 მოჰკრავს, ქუჩის გაღმა მხარეს გადა-
 დის; თუ პირისპირ შეეჩეხა, თავს ჩა-
 ლუნავს და დუმილით აუვლის გვერდს.
 ეს ის დუმილი არ არის, რომელშიც რა-
 საც გინდა იმას იგულისხმებ, ეს ის სი-
 ცარიელე არ არის, ოცნებამ რომ შე-
 იძლება შეავსოს. ეს არის სიძულვილის

ცივი, შეუვალი განცდა, რომელსაც
 სიჭუმის გადაულახავი კედელი აქვს
 შემოვლებული. ასეთა; ის უფრო გიყ-
 ვარს, ვინც უფრო გაგირბის, რადგან
 მიუწვდომლობით გამოწვეული ტკი-
 ვილი ამძაფრებს გრძნობას. ჰყვება
 აპოლონი თავის სევდიან ისტორიას
 და ფერში ამოვლებული ფუნჯი თავი-
 სით ხატავს იმ ქალს. ოთახის კედლე-
 ბი, ფანჯარა, იატაკი მოფენილია მისი
 ესკიზებით, მხატვრის ხელი კი არ ჩერ-
 დება, ისევე ხატავს, თითქოს ნერტი-
 ლის დასმით მის ნეტარებასაც მოელე-
 ბა ბოლო, თითქოს უნდა სულ მონატ-
 რებული სახის ხატვაში იყოს, რადგან
 სრულყოფას კი არ ეძებს მის შტრი-
 ხებში, არამედ იმას, რასაც ვერასოდეს
 იპოვის ნახატში – სიცოცხლეს. და
 ისევე იქმნება ნანატრი სახე, ისევე იყვ-
 ბა ფერითა და სიცოცხლით! დავაკ-
 ვირდი და ვიცანი. თინას პორტრეტი
 იყო! უხილავი სხივები შარავანდედს
 ქმნიდნენ მის ირგვლივ. სქელი, ნაბ-
 ლისფერი თმა გვირგვინივით ჰქონდა
 შემოხვეული.

– თინა?! – უნებურად აღმომხდა.

აპოლონმა თავი დამიქნია. სწორედ
 ამ დროს კედლის უკან ვილაცამ ჩაახ-
 ველა და კარმა გაიჭრიალა. მივეპარე
 და უცებ გამოვალე. კარს უკან, ჭუჭ-
 რუტანაზე, ზევახს ჰქონია მოდებული
 ყური! ნამდვილად ის იყო, თუმცა სულ
 სხვა იერი დასდებოდა: სახე მკრთალი
 ჰქონდა, განაზებული; თმა – გადავარ-
 ცხნილი, თვალეები – მიბნედილი. ქვას
 გაადნობდა, მუნჯს აალაპარაკებდა
 მისი ალერსიანი ღიმილი და მაინც რა-
 ლაც დაძაბულობა, სიყალბე ეტყობო-
 და.

– შეიძლება? – თქვა და ოთახში შე-
 მოაბიჯა.

– თუ არ ცდები, სადღაც შევხვედ-
 რივართ ერთმანეთს, – გავუნოდე ხე-
 ლი.

– არ მაგონდება, – ცივად მომიჭრა და მის რბილ, მინაზებულ მზერაში ისევ ის უტეხი, მომწუსხავი ძალა ვიგრძენი. „ჯანდაბას“, გავიფიქრე, „მასპინძლის დაფეთება არ ღირს, გარეთ გავუსწორდები“, – გადავწყვიტე და უცებ ვიგრძენი, რომ ეს გადაწყვეტილებაც ჩემი არ იყო, სხვამ ჩამაგონა.

– თქვენი სახელი? – ვკითხე.

– ბესარიონი.

– „ტყუის“ – გავიფიქრე.

– არ ვტყუი, – მითხრა, – უბრალოდ ვილაცხამე გეშლებით. ქალაქში ყველა ერთმანეთს ჰგავს. საერთო გაჭირვება ერთმანეთს გვამსგავსებს.

– როგორ დაგივიწყეთ, როგორი – ხელები გაშალა აპოლონმა და მაცვირიდან არაყი გამოიღო.

– ერთი ნუთით შემოგირბინე, – ჭიქა ასწია ზევახმა, – გაგვიმარჯოს! – არაყი გადაკრა, ტურები მოილოკა და ალავერდს ჩემთან გადმოვიდა.

ლამე შეუმჩნეველად ჩამოდგა სახელოსნოში. წყვდიადი აბაჟურის შუქმა გაფანტა. ცხადად ვხედავ უზარმაზარ კლდეს. ზედ მიჯაჭვული ვარ. ქვევით, უფსკრულში სისხლი მოძრაობს, ქარაფებზე იმსხვრევა აზრი და ფიქრისგან დაცლილს, სიბრაზე მიპყრობს...

– სურათები გადაიღე? – გავარჩიე ზევახის ჩუმი, ჩახლეჩილი ხმა.

აპოლონმა თავი დაუქნია.

– ახლა სიის მიხედვით საქმეებში ჩააკარი, – ჯიბიდან ფურცლები ამოიღო ზევახმა, – თითების ანაბეჭდებიც აიღე.

უეცრად პორტრეტი შეამჩნია და ნარბები შეეყარა.

– მაინც არ იშლი შენსას?

ამ სიტყვებთან ერთად ნახატი ჩამოსხნა, ჩარჩოდან ამოიღო, შუაზე გადახია, მაგრამ ვიდრე ნაკუნებად აქცევდა, ხელი მოუუქნე.

სიბრაზემ დამიბნელა გონება. ირ-

გვლივ წყვდიადი გამეფდა. როცა სიბნელე გაიფანტა, დავინახე, რომ ძირს აპოლონი ეგდო. ზევახი არსად ჩანდა. აბაჟურის რბილი, მისუსტებული შუქი გულწასულ მხატვარს ანათებდა. წყალი შევასხი და საფეთქლები დავუზილე. როგორც იქნა, მოვასულიერე! ნამოჯდა და გამოიღმა. თვალი მოვარიდე, თუმცა დამნაშავედ არ ვგრძნობდი თავს. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ვილაცხამე მომქარა ძაფზე და ზევახისთვის განკუთვნილი მუშტი აპოლონს მოხვდა.

– ვინ დამარტყა? – იკითხა შეცვლილი ხმით.

– იმას მოუუქნე და შენ მოგხვდა, – ვუთხარი.

– იმას მოუქნე! – თავზარდაცემული წამოხტა. – რა გვეშველება?! ახლა არც ერთს აღარ დავგინდობს! ნავალ, ბოდბის მოვეუხედი, გავაგებინებ, რომ მე არაფერ შუაში ვარ!

ამ დროს ფანჯრიდან ზევახი დავინახე. გრძელ მოსასხამში გახვეული ხესთან იდგა და ჩუმად გვეთვალთვალელებდა; როგორც ჩანს, ჩემს წასვლას ელოდა, რომ ისევ აქ ამოსულიყო.

– ერთი ნუთით, – კარებში შევაჩერე აპოლონი და პირდაპირ ფანჯრიდან ვისკუპე. ხესთან უკვე აღარავინ იყო. მხოლოდ პატარა ღრუბელი მოძრაობდა ღობის გასწვრივ, ჩემი სახლისკენ. ვერაფრით ვერ დავენე. ნისლმა ეზოში შემასწრო და აგურის კედლებში გაჟონა.

ოთახში არავინ დამხვდა. უზარმაზარი საწერი მაგიდა არეულ-დარეული იყო. სავარძელს ჯერ კიდევ ემჩნეოდა კვალი, თითქოს ეს ნუთია ვილაცხამე მიატოვა იგი და კაბინეტიდან გამასწრო. ფარდა ავნიე. მთვარის ვერცხლისფერი შუქით მოიქარგა ოთახი. მაგიდას მივუჯექი. ლამე ხმაგაკმენდილია; მისი ყოვლისმომცველი სიჩუ-

მე სადღაც შორს და ღრმად გუგუნში გადადის. ეს გუგუნე კი არ ისმის, იგრძნობა, როგორც საფეთქლებში ავარდნილი სისხლის ხმა. ვზივარ და ფრაზას ვაწვალებ. მინდა, ისეთი სიტყვა ვიპოვო, რომელიც თან ლამაზი იქნება, თან სათქმელს გამოხატავს, მაგრამ ეს ორი კურდღლის დევნაა: თუ გინდა გამოთქვა ის, რაც განუხებს, სიტყვებს არ უნდა დაუნყო ძებნა, არ უნდა დაფიქრდე, რადგან, როგორც კი გაჩერდები და სიტყვას მოძებნი, უკვე აღარა ხარ ის, რაც იყავი, უკვე გეკარგება უნებური განცდა. ამიტომ ძნელია, ისე გამოხატო ფიქრი, რომ არ დაარღვიო მისი ბუნებრივი დინება, ისეთი სიტყვა დაიჭირო, რომელიც აზრს არ შეუცვლის. ჯერ დღევანდელ დღეზე ვწერ, მინდა, ჩაწვდე იმას, რაც თავს გადამხდა, შემდეგ ფიქრებმა გამიტაცეს და გონს რომ მოვედი, კლდიდან ამოზრდილი კოშკის აივანზე ვიდექი. სანთლის შუქი იღვრება დალის სარკმლიდან. ჭერქვეშ შემძვრალი ჭრიჭინა შუალამეს ხერხავს. უკვე გაბნეულია ცაზე სინათლის ბურბუშელები; ჩათესილია შავ ბელტებში ცისკრის მარცვალი, უსასრულო ფერებად რომ გაიფურჩქნება განთიადის ბაღში. ბამბუკის ფარდა გადავნიე და კოშკში შევედი. ქალღმერთი არ ჩანს. სარკესთან სპილოს ძვლის სავარცხელი ბრჭყვიალებს. პერანგი ლოგინზე გდია. ოთახის სიღრმეს შევაპარე მზერა. კედელთან ოდნავ ჩამუქებულია სივრცე, მაგრამ ეს მხოლოდ ირმის რქებზე ჩამომხრჩვალი სამოსელია პატარა, აბლაბუდებიან კართან. სახელური იოლად ემორჩილება ხელს და მკვეთრი სინათლე მბარბავეს. კარს მიმდგარი კიბე უკანა ბაღში ჩადის. ეს ბაღი ჯაჭვებზე უკიდია და ყოველ ნაბიჯზე ქანაობს. თავი დამიმძიმა ყაყაჩოების სურნელმა. მინდვრის ხალიჩას

ნითელი ცეცხლი აქვს ნაკიდებული. ხანძარმა ცაზეც გადაინაცვლა და ფერფლად აქცია ლამის ლურჯი ქსოვილი. ბაღი გაფართოვდა. უღრან ტყეში მივებნებები. ფეხი ეფლობა თაფლისფერ თიხაში. ქარი ეთამაშება ფოთლებს, ხსნის ტოტების ფარდას და უეცრად ქალღმერთი იბადება ჩემს თვალწინ.

– დარჩი ჩემთან, ნულა დაბრუნდები, – ჩამწურწულა დალიმ და ლამის დამწვა თავისი ცეცხლისფერი თმით.

ვგრძნობ, რომ ვერ გავუძლებ ამ ალერსს. პეპელასავით დავიფერფლე-ბი.

– დარჩი ჩემთან, – უკვე გაქცეულს მძახის დალი. – დარჩი და უკედავებას გაჩუქებ!

ხმა თანდათან იკარგება, უკვე ველარ მენევა. ჩემთვის ისიც კმარა, რომ ნამიერად შევებე ქალღმერთს, ცეცხლი მოვტაცე, და ჩამოვიტანე მინაზე. მანამდე უფერული სიტყვები უცქებ აელვარდნენ და თვალისმომჭრელად განათდნენ...

გათენებამდე ვწერდი. არ ვიცი რას, მთავარია ის ცეცხლი არ გამწვებოდა. როცა უკანასკნელი ნაპერწკალიც ჩაქრა, ფანჯრის მიღმა უკვე მანქანები ხმაურობდნენ. ეტაცე ხელი ფიქრის გორიდან ჩამოტანილ ფურცლებს, გარეთ გამოვედი და სამსახურისკენ მიმავალ გზას დავადექი.

სილამაზის სალონი

განყოფილების სხდომა უკვე დანეგებული დამხვდა. დარაბებმოხურულ, დახუთულ ოთახში სიგარეტის კვამლი ტრიალებდა. იისფერი ღრუბელი ფარავდა ჭერს და აფერმკრთალებდა მონოტონური ხმით გაბრუებულ მსმენელს. ნესტორი თვლემდა. იასონი და ბადრი ჭადრაკს თამაშობდნენ. აპო-

ლონი მოჯადოებული მისჩერებოდა კათედრას, რომელზედაც თინა იდგა. ქალს ორად გაყოფილი თმა მხრებზე ეფინა. მოხსენებას კითხულობდა, თითქოს აზრს კი არ გადმოსცემდა, ერთმანეთზე გადაბმული, წყალწყალა სიტყვებით მსმენელს აბრუებდა. მიანია კიდევაც მიზანს! მოხსენების დასასრულს მთელ განყოფილებას ეძინა. მეც მოვიმძინარე თავი და თვალი მოვხუჭე. თინამ კათედრიდან ფრთხილად ჩამოაბიჯა და მძინარე თანამშრომლებს ჩამოუარა. ჯერ ნესტორის პორტფელი გახსნა და იქიდან რალაც ქალაღებში ამოქექა, შემდეგ ბადრის და იასონს ამოუტრიალა ჯიბეები; აპოლონს ხელიდან გამოაცალა ბლოკნოტი; ბოლოს ჩემთან გადმოვიდა, მაგრამ ჯიბეს შეეხო თუ არა, დავასწარი და ხელნაწერი ამოვიღე.

- არ გძინავს? - ელდანაკრავივით შეხტა.

- რას გვიქეპავ ჯიბეებს? რა გინდა? - ვტაცე ხელი.

- დირექტორის ბრძანებას ვასრულებ. - გამომიტყდა. - ხომ უნდა იცნობდეს თავის თანამშრომლებს, ვინ რას ფიქრობს, რას აპირებს...

- სხვის სულში აფათურებთ ხელებს?

- სხვანაირად ვერაფერს მიაღწევ, - თქვა და დაამატა: - ეგ ხელნაწერიც უნდა გადმომიცე.

შემოვბრუნდი და გავეცალე. ყველაფრის მიუხედავად, მაინც საოცრად მიზნადედა ეს ქალი და მეშინოდა, არ მოვხვედრილიყავი მის ტყვეობაში. ფურცელს დავხვდე. სიტყვა აელვარდა, გულზე მომედო. ვგრძნობ, ვერ გავუძლებ მის სიმბურვალეს; ერთი სული მაქვს, ვინმეს წავუკითხო და გადავცე ეს უხილავი ცეცხლი, მაგრამ ირგვლივ არავინ ჩანს. მაშინ ქვევით

ჩავდივარ, სილამაზის სალონში, სადაც ჩემი ნათესავი, ვენერა, მუშაობს.

ვენერა უბერებელი ქალია. რაც თავი მახსოვს, სახე სულ გაპრიანებული აქვს, თვალები თოჯინასავით უბრწყინავს. ზღარბივით აბურძენილ თმას კაპრონის ქსელი უფარავს. იისფერი კაბა ხაზს უსვამს მის კობტად ჩამოქნილ ტან-ფეხს. უღმერთოდ ლამაზია, მაგრამ ამ სილამაზეს სული არა აქვს ჩადგმული. მისი ვაჟიშვილი ეროსიც აქ ტრიალებს. დედის სილამაზე მის ნაკეთებზე ხელუხლებლადაა გადმოტანილი, მაგრამ ეს უკვე გამეორებაა, ასლი, რომელშიც სიზუსტის მიუხედავად, დაკარგულია დედანის თვითმყოფადობა და ხიბლი. ამას თვითონაც გრძნობს და ბრაზით კანკალებს, როცა ლოყაზე ხელს მოუთათუნებენ, თვალელებში ჩახედავენ და იტყვიან: დედას როგორ უგავსო. ცდილობს, ქცევა მაინც უკონდეს განსხვავებული. თუ ვენერა ოცდაათი საათი ისვენებს და ჩაცმაზე ფიქრობს, ვერცხლისწყალივით მოუსვენარი ეროსი წუთს არ ჩერდება და სულ საქმეს აკეთებს. ტანსაცმელიც გაცვეთილი და შემოგლეჯილი აქვს, მანამდე ატარებს, ვიდრე ტანზე არ შემოადნება. თუმცა ხელობით დალაქია, მისი ტეშმარიტი სტიქია მაჭანკლობაა! უნდა ნახოთ, როგორ აღიგზნება ხოლმე, როცა გარიგებაზე მიდგება საქმე. ახლაც თვალი მომკრა თუ არა, აცეკვებული ნაბიჯით მომიახლოვდა, გადამეხვია, გადამკოცნა და მაშინვე ახლად თმაშელებილ ქალებთან მიმიყვანა.

- აირჩიე, რომელიც გინდა! - გაიმვირა ხელი.

- აცალე კაცს სულის მოთქმა, - მომესმა ნაზი, მელოდური ხმა და მუთაქებით სავსე ტახტიდან ქალბატონი ვენერა წამოიშარათა.

მინდოდა, ხელნაწერი გადამეშალა, რომ მისგან ავარდნილი ალი მოსდებოდა ნახერხით დატენილ თოჯინას, რომელსაც ციური ცეცხლი უმალ დასწავდა, ვიდრე ალაგზნებდა, მაგრამ ვენერამ ხმის ამოღება აღარ მაცალა, ტუჩებზე თითი ამაფარა და ყურში ჩამწურჩულა:

- ახალი ჭორი გავიგე. ჩვენი დირექტორი თურმე რალაცას წერს.

- ვიცი, - ვუთხარი, - ჩვენი განყოფილება მასალას უგროვებს.

- მე კიდევ ინტრიგები დამავალა. ერთი ორი დავატრიალე კიდევ. - ჩაიცინა ქალმა.

- შეგიძლია მომისმინო? - გავანყვეტინე სიტყვა.

- დანერე რამე? - დაამთქნარა.

ხელნაწერი გავშალე და აზრი მოვიკრიბე.

- მოიცა, - გამაჩერა, - დამწერის სუნი მცემს.

ამ სიტყვებით კედელთან მივიდა და ფარდა გადასწია. ფარდის უკან, ქურაზე კუპრით გაშავებული ქვაბი იდგა. შიგნული თუხთუხებდა და ლოყებგასაპნული კაცი იჯდა. თავს შავგვრემანი ქალი ადგა, თავისთვის ბუტბუტებდა და კიბოსავით განითლებულ მსხვერპლს თავზე მარილს აყრიდა.

- არ ჩაგეხარშოს, - გააფრთხილა სალონის გამგემ. შემდეგ კაცს მიმართა:

- თავს როგორ გრძნობთ?

პასუხის ნაცვლად კაცმა ცერი ასწია.

- მედეა მართლაც სასწაულებს ახდენს, - თქვა ვენერამ. - ნამდვილი ჯადოქარია. წლებს ისე ჩამოგაკლებს, ვერც იგრძნობ. მისი პროცედურების შემდეგ ქალწულივით ვგრძნობ თავს. არ გინდა სცადო?

უარის ნიშნად თავი გადაქნიე.

ვენერამ ფარდა დახურა და მითხრა:

- ახლა კი გისმენ!

ხმის ამოღება ვერ მოვასწარი, რომ ეროსიმ მოირბინა და ბენევიით ამაცალა ენაზე მომდგარი სიტყვა.

- ია თმის შეჭრას მთხოვს და რა ექნა?

- შეაჭერი, - ვენერას ნაცვლად ვუპასუხე და ხელი ვკარი.

ის იყო თავიდან მოვიკრიბე აზრი და ჩაეხველე, რომ ზარმა დარეკა.

- ქალბატონო ვენერა, ტელეფონზე გთხოვენ, - ბოლში გახვეული ფარდიდან თავი გამოყო მედეამ.

- მაპატიე, ძვირფასო, - გამიღიმა სალონის გამგემ და ტელეფონი აიღო. ჯერ აღმური მოედო სახეზე, შემდეგ გაფითრდა.

- დირექტორი მოდის! - დაახეთქა ყურმილი. - სარკე გააპრიალეთ, სალონი მიალაგეთ!

თვითონ ძლივს მოასწრო თმის გასწორება, რომ სალონში ჩემი ნაცნობი ზევახი შემობრძანდა.

- რა დამფრთხალი სახეები გაქვთ, შეთქმულებას ხომ არ მიწყობთ? - მოიღუშა.

- ეგ როგორ იფიქრეთ! - მორცხვად თავი დახარა ვენერამ.

ზევახი მედეას მიუბრუნდა:

- კენტაერი დაამთავრე?

- კაცი გამოვძებნე, - ქვაბზე მიუთითა მედეამ, - მაგრამ ცხენის ტანფეხი ვერ ვიშოვნე.

- რალა დროს ცხენია, - თავი გააქნია ზევახმა, - ბორბლები დაუყენე.

ზევახმა ახლა მე ჩამავლო ხელი და განზე გამიყვანა.

- როგორ გითხრა... - ენის ბორძიკით დაიწყო მან. - დიდ რალაცას ვნერ, საინტერესო უნდა გამოვიდეს. დიალოგები როგორც იქნა გავმართე, მაგრამ ერთ ადგილას დახმარება მჭირდება.

- მე რა შემძლია? - მხრები ავიჩიქე.

- გავიგე, გუშინ რალაც დაგინერია, - მიპასუხა. - ძალიან მერიდება ამის თხოვნა, მაგრამ იქნებ დამითმო? ვალში არ დაგრჩები. ხელფასს მოგიმატებ, განყოფილებას გავიხსნი.

უარის ნიშნად თავი გავაქენი.

- ნუ აჩქარდები, - მუქარა გაერთა მის ხმაში. - ჯერ ახალგაზრდა ხარ და სისხლი გიდულს. სანანებლად არ გავიხედეს ეს თავხედობა.

შემდეგ დანარჩენებს მიუბრუნდა და დაამატა:

- ლექცია რომ გვაქვს, ხომ არ დავაინყვდათ?

ამ სიტყვებით მზერა შემოგვავლო და ჩქარი ნაბიჯით სალონიდან გავიდა.

ქვარი

არსებობს საზღვარი, რომელსაც ვერ გადალახავ. ზოგჯერ სრულიად უბრალო, ხელმისაწვდომი რამ აღმოჩნდება ამ საზღვრის მიღმა. ჩრდილივით თანგდევს ისეთი განცდა, თითქოს საკმარისია მოინდომო, თავს ძალა დაატანო და მიაღწეო მიზანს. ასე მოდის რწმენა, რომ ოდესმე იტყვი აქამდე შიშით და სიფრთხილით დამალულ სიმართლეს, ან ჩაიდენ იმას, რისთვისაც ხარ მოწოდებული, მაგრამ რაც უფრო მეტად ხარ შეპყრობილი ამ სურვილით, მით უფრო გენინააღმდეგება სამყარო მის აღსრულებაში. ახლაც, თითქოს არაფერი მიდგას წინ. ერთი სული მაქვს, დანერლი ნავეიკითხო და ქვეყანას მოვდო ფიქრის გორიდან ჩამოტანილი ცეცხლი, მაგრამ ყურს არავინ მიგდებს. შესვენება იწყება და ხალხის ნაკადი სასადილოსკენ მიმაქანებს. სიგარეტის ბოლით გამჭვარტ-

ლული ოთახი ხმაურითა და ღრინაცვლით ივსება.

- ყელი გამიშრა, დავლიოთ. - ბოთლი გახსნა იასონმა.

- სამუშაო მაქვს, - თავი გააქენა ბადრიმ, - დღის ბოლოს მასალა უნდა ჩავაბარო დირექტორს.

- ზევახს შენი მასალა ფეხებზე უკიდია. ახალი მდივანი აუყვანია - ია.

- შტატებს როგორც მოუპრიანება, ისე ანანილებს, - ამოიხრა ბადრიმ. - სულ ტირის, სახსრებს მიზღუდავენ და შემცირებები უნდა დაეინყო, თავისი უმცროსი ძმა კი არქივის გამგედ დაინიშნა. იქ, ქვევით მკედარი სულელები უკოლიათ გაფორმებული და თვითონ წილშია გასული.

- მე კიდევ მორალს მიკითხავს, - გაცეცხლდა იასონი. - ვენერას საყვარლობა დამაბრალა.

- აბა რატომ გაეყარე მედეას? - ჩააცვიდა ბადრი.

- მომკლა მაგის ეჭვიანობამა, - ამოიხენეშა იასონმა.

- ჩვენს ახალ ძმას გაუმარჯოს! - ჭიქა ასნია ბადრიმ.

- დღევრძელი იყავი, ამირანი! - შეჰყვირა იასონმა, - დაე, სულ ზურგის ქარი უბერავდეს შენს იალქანს...

- რალაცა მინდა ნაგვიკითხოთ, - ამოვიღე ხელნაწერი.

- აკრძალული ლიტერატურაა? - გაუხარდა იასონს.

- ზეპირად ვიცი, რაც იქნება, - შემანყვეტინა ბადრიმ. - სოფლის იდილია, ჩიტების ჟღურტული...

- მე კი მგონია, რომ მისი სიტყვა მინას მოგვწყვეტს, ქარიშხალივით იდუმალ ქვეყანაში გავგიტაცებს! - ნამოიძახა იასონმა.

- შეიძლება შემოგიერთდეთ? - მომესმა ნაცნობი ხმა და იისფერი ნისლიდან ზევახი გამოვიდა.

- ისე მგზნებარედ მეტყველებდა ეს ახალგაზრდა, - თქვა და იასონს გადახედა, - რომ ჩემი სიტაბუკე გამახსენდა და ამ მოგონებამ მომიზიდა თქვენი სუფრისკენ.

იასონმა ჭიქა შეავსო.

- არა, ნუ მადღერძელებთ, - ხელი გაასავსავა ზევახმა.

- რა თავმდაბლობაა! - ტაში შემოჰკრა ბადრიმ.

- ჩვენ დროს სად იყო ასეთი ცხოვრება, - სუფრას გადახედა ზევახმა, - სრული ანარქია და ქაოსი მეფობდა. მამა შეიღს ჭამდა...

ენად გაიკრიფა. მისი მჩატე, ნყალ-წყალა სიტყვებისგან ძილი მოგვერია. იასონმა თელემა დაიწყო, ბადრიმ თვალები მიხიდა. მეც გამეფანტა აზრი. ლამის გადნენ, აორთქლდნენ მოქეიფენი. ზევახის სახე ტალღასავით დაიბრცა და მისი გადიდებული პირიდან ცეცხლივით გამოხტა ნითელი ენა.

- ხომ ხედავ, არავინ გისმენს, - მეუბნება ენა, - ამათთვის მშვიდი ძილი და მაძლარი კუჭია მთავარი.

თავი ველარ შეეკაცე, წამოვხტი და ამ არამკითხე მოძღვარს საყელოში ვწვდი.

უეცრად თითქოს წნების ქვეშ მოვეყევი. საშინელმა ძალამ ძვლები დამიმტვრია, სული შემეხუთა. ყვირილმა ველარ ამოაღწია დახშული ყელიდან. ზევახის სახეზე კუნთიც არ შერხეულა. მისი მარცხენა ხელი გველივით შემომეხვია, მარჯვენამ კი თავი ამიწია და კედელს მიმახეთქა.

- კიდევ გინდა, თუ გეყოფა? - ისევ ცეცხლივით გამოხტა პირის ღრუში მოხტუნავე ენა.

- ეყოფა, თავი დაანებე, - გამოჩნდა კარში ქალბატონი თინა. - ჭკუას თუ არ ისწავლის, მერე მოველაპარაკოთ.

- რას იზამ, სიბერეში გულმონყალე გაუხდი, - ჩაიცინა ზევახმა და ხელნაწერი გამომგლიჯა, - ახლა აქედან გადი და უკანმოუხედავად მოკურცხლე.

გამოვედი, მაგრამ შორს არსად წავსულვარ. ძლივს მოვიბრუნე სული. მელნისფერმა ცამ, ღრუბლის მკრთალმა ნაფლეთებმა ცოტა დამწყნარა. ხეს ამოვეფარე და ზევახს დავუწყე თვალთვალი. ქუჩა თითქოს ნათურებით განათებული სცენა იყო, შენობები - დეკორაცია, ქალაქი კი ფარდაზე გამოხატული შორეული ფონი. თუმცა მთლიანად ერთი სურვილით ვარ შეპყრობილი - როგორმე დავიბრუნო ხელნაწერი, გული მიგრძნობს, რომ აუხდენელია ეს სურვილი. ის, რაც მოხდა, ასეც უნდა მომხდარიყო, ასე მენერა. ისე ღრმად შევიჭერი დალის სამფლობელოში, ისეთი რამ მოვიტაცე იქიდან, რომ ღმერთების საქმეში გავრიე ხელი და ბედმა უმალ მიმუხთლა, გამახსენა, რომ მე მისი ტყვე ვარ; მაგრამ იმედს მაინც არ ვკარგავ და ჩრდილივით მივდექ შენობიდან გამოსულ ზევახს. ნელ-ნელა გაცოცხლდა ქალაქის ფარდა და ბინდში ჩაფლული არე. თუმცა ზევახი მიაბიჯებდა, მე კი გავრბოდი, მანძილი მაინც იზრდებოდა ჩვენს შორის. თითქოს კონვეიერი-ქუჩა მას წინ აგდებდა, მე უკან. პროსპექტის ბოლოს სასახლე გამოჩნდა. მანქანებით სავსე ქუჩა მის გაღავანს ეხეთქებოდა და უკუქცეული, ვნებადამცხრალი, აეტომობილთა ახალ ზვირთებს მოაგორებდა. ზევახი სასახლის ეზოში შევიდა, კარს დაეძგერა და გაქრა.

- ვისთან მიბრძანდებით, მეგობარო? - წერილმა, ბოლოში წამღერებულიმა ხმამ გამაშვებინა სახელურს ჩავლებული ხელი. მივიხედ-მოვიხედე

საქართველო
საზოგადოებრივი

და კიბეზე ჩამომჯდარი დაძინილი არსება დავინახე, რომელსაც გადმობრუნებულ ქუდში ხურდა ფული უბრწყინავდა. სველ, მედუზასავით გამდნარ სახეზე თვალები ღილებივით ჰქონდა მიკერებული. პასუხი არც გამიცია, ისე მიუბრუნდი კარს, ის იყო შევალე, რომ მათხოვარმა ყავარჯენი მომიქნია და წვივში მომარტყა.

- არ შეიძლება მანდ შესვლა, - ისევე ამღერდა ის საზიზღარი ხმა, - უცხო პირთა შესვლა აკრძალულია.

არც დაფიქრებულვარ, ფეხი ვკარი. კიბიდან გადაქანდა და ტალახის გუბეში ჩავარდა. კრუნჩხვები დაენყო, თან თავშეუკავებლად ხარხარებდა.

- სტუმარი გვეწვია! - ყვიროდა ნანწყექტ-ნანწყექტ, - სტუმარი!

თვალის დახამხამებაში ჩემს ირგვლივ მისი დაძმები, უამრავი ასეთი „მედუზა“ გაჩნდა. ზოგი ფულის სათხოვნელად მომენება და ლორწოსავით შემომეხვია, ზოგმა ხელი მთხოვა სამკითხაოდ; ყველას ზევახივით მომწუსხავი გამოხედვა ჰქონდა. თვალებით თითქოს უხილავ აბლაბუდას ქსოვდნენ ჩემს ირგვლივ და ამ ქსელში გაბმულს განძრევა კი არა, ხმის ამოღებაც აღარ შემეძლო. ახალა შევნიშნე ეზოში გაბნეული ქანდაკებები. ერთი შადრევანთან თავდახრილი, ნყურვილს იკლავდა, მეორე სკამზე იჯდა და ქვისფურცლებიან ნიგნს ჩასცქეროდა, მესამეს უკვე კიბეზე ჰქონდა შედგმული ფეხი და ვინ იცის, ეს მოქანდაკის ნიჭით გაცოცხლებული ქვა კი არა, „მედუზების“ მზერით გაქვავებული სიცოცხლე იყო? ეს შიშნარევი ეჭვი ელვასავით გამიკრთა გონებაში. ტანი დამიმძიმდა, სიცივე ფეხებთან დაიძრა და გულისკენ ნამოვიდა, მაგრამ სწორედ ამ დროს სასახლის კარი გაიღო და ვილაცის ხელმა შიგ შემათრია.

- ხმა არ ამოიღო, - ტურებზე თითი ამაფარა იასონმა და წინ გაიხედა.

შეუჩვეველი თვალთ ვერ ვერაფერი გავარჩიე სანთლების შუქზე. წყვდიადში ნელ-ნელა გამოიკვეთა ზევახის ქანდაკება, რომელსაც მეხის ისარი ეპყრა ხელთ. ცოტა მარჯვნივ, კათედრაზე მოსახამში გახვეული ზევახი იდგა და კითხულობდა:

„... ხოლო რადგანაც გაცოფებულმა ზღვამ ქაფითა და დორბლით დაფარა მიწა, მე დავიქუხე, რომ მეთქვა სიტყვა, რომელიც გაფანტავდა წყვდიადს და იმედის სხივს ჩაუსახავდა ახლად გაჩენილ სიცოცხლეს!“

აქ ზევახმა ზარს შემოჰკრა და ფარდიდან გამომძვრალმა თინამ ქუდით ხელში დარბაზი ჩამოიარა, ფურცლები შეაგროვა.

- ბევრია? - ჰკითხა ზევახმა.

- მთელი ქუდი აივსო, - უპასუხა თინამ. - ეს მასალა მთელ ნიგნს ეყოფა.

ზევახმა საათს დახედა.

- წუთშესვენებას ვაცხადებ, - თქვა და დაამატა, - ჩაითქვით სურვილები!

პირველად ვენერამ გახედა ქანდაკებასთან მისვლა, მარმარილოს ხელს ემთხვია. აპოლონმა მეხთამცემლის თავი გვირგვინით შეამკო. ველარ მოვითმინე, ნამოვხტი და ქანდაკებისკენ დავიძარი.

- სურვილების ჩაფიქრება დამთავრებულია! - დამასწრო ზევახმა და თავისი ქანდაკება ფარდის უკან შეათრია: - ახლა კი, ჩემო ჩიტუნებო, ერთი სევდიანი ისტორია მინდა მოგიყვებო. ერთმა ბედოვლათმა (გვარს არ დავასახელებ) ფრენა მოისურვა: თუ ფრინველები ცაში ნავარდობენ, მერით ვარ ნაკლებობო. ბევრი ვეხვეწე იმ საცოდავს, აეროდინამიკის საფუძვლებიც ავუხსენი, შენც არ მომიკვდე! დელ-

ტაპლანი გააკეთა და მწვერვალიდან ისკუპა. ბევრი ვაფრთხილე – მალღანუ იფრენ, მზე დაგწვავს-მეთქი. ყურრიც არ მათხოვა. აიჭრა ზესკენელში, დაახვედრა პელიოსმა იქ თავისი ცეცხლოვანი რაში და დელტაპლანი ფერფლად აქცია. სული არ დაჰყოლია უბედურს მინამდე. ახიცაა მასზე. რას მეტიჩრობ? ვის ეჯიბრები? დაეტიე შენს ტყავში და მინაზე იარე.

ზევახმა გრაფინიდან წყალი მოსევა და განაგრძო:

– რა დასკენები შეიძლება გამოვიტანოთ ლექციიდან, ყმანვილებო? ა) საკუთარ თავს არ უნდა გადაახტე. ბ) რაც გინერია, იმას ვერ გაექცევი. მაგალითი? ინებეთ. ჩემს მარცხნივ, განმარტოებით მდგომი ახალგაზრდა (გადმომხედა), სადაც არ უნდა გაიქცეს, ბოლოს მაინც ღვიძლის სწულეებით გარდაიცვლება საავადმყოფოში.

– გაიგონეთ, რა მითხრა? – იყვირა ნესტორმა. – მალე კვალიფიკაციას აიმაღლებ და ექიმი გახდებიო!

– შენ კი არ გახდები ექიმი, – თქვა ვენერამ, – მე გამეყრება ქმარი ეჭვიანობის ნიადაგზე.

– არც ერთი, არც მეორე, – ჩაერია ისონი. – ეტყობა, ცალი ყურით უსმენდით ლექციას. მოძღვარმა თქვა, რომ მალე სამოგზაუროდ წავალ.

ატყდა ჩხუბი. ყველა თავისას ამტკიცებდა. ამასობაში ზევახი აორთქლდა კათედრიდან. თვალი მოეკარი, როგორ გაიელვა გრძელმა მოსასხამმა, შემდეგ კარის ჭრიალიც გავიგონე და ქუჩის განათება ოდნავ შეერია სანთლების შუქს.

გარეთ რომ გამოვედი, ეზო ცარიელი იყო. მხოლოდ ქანდაკებები იწყობდნენ მზერას. ლობის იქით, მანქანებად ქვეული სივრცე ბობოქრობდა და ზევახის მოსასხამი ფრიალებდა ქარში. უეცრად ჩამობნელდა, ვილაცამ

თვალეზე თითები ამაფარა. მოვტრი-ალდი და თინა შემრჩა ხელთ.

– შენი ხელნაწერი ჩემთანაა, – გამიღიმა და მანქანის კარი გამოაღო.

ცდუნება

მანქანის სალონში რბილი, მომწვანო შუქი დაცოცავს. ეს მოუსვენარი სხივი ჭერზე ნამცეცებად იფანტება, ფანჯარას ცისარტყელას ფერებით ქარგავს და ამ გამჭვირვალე ნაქარგის უკან, ქალაქის ხედები გარბიან. ქალი ხელის რბილი მოძრაობით რთავს სიჩქარეებს და ისე მიასრიალებს მანქანას, თითქოს ჩვენ კი არ ვმოძრაობთ, ჩვენს ირგვლივ ტრიალებს ქალაქი. იქნებ ზევახთან შეთქმულმა თინამ ჩემი ხელნაწერი უკვე ზეპირად იცის? ისიც იცის, რომ მას მზურვალეობა აქვს და ერთი ნაპერწკალიც რომ მოხედეს გულს, ცეცხლი იფეთქებს? საოცარი სტრიქონებია! რამდენჯერ გადავიკითხე, სულ სხვადასხვა რამ ეწერა შიგ ბან თითქოს არაფერს ამბობდნენ ის სიტყვები, ხან კი ზუსტად იმას გამოხატავდნენ, რაც იმწუთს მანუხებდა. იქნებ ბედმა გამიღიმოს და როგორმე დავიბრუნო დაკარგული? იქნებ შვილს თავისი ხელით გავახსნევი-ნო მამამისის უფრა? თინასთან არავინ დაგვხვდა. ზევახს ბარათი დაეტოვებინა – გვიან დაებრუნდებიო – და ბოქლომით ჩაეკეტა კარი.

– მით უკეთესი, – გაიღიმა ქალმა და გასაღები ამოიღო, – არავინ შეგვიშლის ხელს.

ოთახი, რომელშიც შევაბიჯე, ძველებური, მძიმე ავეჯით იყო განწყობილი. უზარმაზარი სანერი მაგიდა კედელთან იდგა. ზედ დასტა-დასტა ელაგა ათასნაირი ფურცლები. საბჭოე მანქანას ბრეზენტი ჰქონდა გადაფარებული.

– რას დაღევე? – მკითხა ქალმა.

მხრები ავიჩქრე. თინამ განაწინიდან არაყი და პატარა ჭიქები გამოიღო. პური დატეხა, ძეხვი დაჭრა.

– აბა, – ყველი მოიღერა და გამილიმა, – გაგვიმარჯოს!

პირველივე ყლუპმა ფრუანტელი მომგვარა, შემახურა.

– სად არის ხელნაწერი? – ლუკმას ამოვაყოლე.

– რა მოუთმენელი ხარ, – ტუჩი აიბზუა, – ნუთუ სხვა არაფერი გაღელვებს?

– გულახდილად მითხარი, რა გინდა ჩემგან? – გადავედი შეტევაზე.

– არაფერი, – მომიახლოვდა და უცებ მუხლებზე ჩამომიჯდა, – მხოლოდ ის, რაც ქალს კაცისგან შეიძლება უნდოდეს.

ამ ალსარებამ გამბედაობა წამართვა. ჩემს ნაცვლად პირველი ნაბიჯი ქალმა გადმოვდგა და თავისი სურვილის ტყვეობაში ჩამავდო. ოთახში გამეფებულმა სიჩუმემ გაამძაფრა ყოველი მოძრაობა, ყოველი ბგერა. სიჩუმეს თურმე უამრავი ბგერა ჰქონია: გულის ცემა, საათის ხმა, ონკანს მონყეტილი წვეთი, ჭერში შემყუდროებული ჭრიჭინა... მომეჩვენა, რომ სადაღაც სხვა ცხოვრებაში უკვე ნანახი მქონდა ეს ოთახი. ამოტივტივდა შორეული განცდა, რომელმაც სულ სხვა არსება გააღვიძა ჩემში. თითქოს გარედან ვჭვრეტდი საკუთარ თავს. ვხედავდი, როგორ აენიე ჭიქა. მსუბუქი, ცეცხლოვანი სითხე ყელში ჩაეშვა და აელვარდა. ჩემ წინ ახლა ეშხიანი ქალი იჯდა და ფაიფურის ჭიქიდან ყავას შეექცეოდა. ოთახში ცნობისმოყვარედ იტყირებოდა აკაციის ხე და მის ტოტებში ცის ლურჯი ქსოვილი ანათებდა. ზემოთ ცისფერი აბაჯური ეკიდა. მის მკრთალ სხივებში თეთრად ელვარებდა ქალის ხორბლისფერი კა-

ნი და სახეზე დაფენილი ჩრდილი ჰაეროვნებას მატებდა მას.

– ნუ ფიქრობ ხელნაწერზე, ის უკვე დაკარგულია, – გამილიმა და ფრთხილად ამინია თავი.

– იმ სტრიქონებშია ჩემი ძალა, – ამოვიოხრე. – ასე მგონია, აღარ ვარსებობ.

– მე გაგაცოცხლებ! – ჩამჩურჩულა და თავისი დიდი, ფაფუკი მკერდი მომადო. მისმა სურნელმა თავბრუ დამახვია. ყელზე ვაკოცე.

– დაგინახე თუ არა, შემყვარდი, – თვალები მიბნია თინამ. – რამდენს ვუთხარი უარი შენი გულისთვის...

იყო ამ ქალის გამოხედვაში რაღაც ისეთი, რაც არასოდეს წაიშლებოდა მახსოვრობიდან. სხივთა თამაში თვალის ნიჟარებში ჩავარდნილ მარგალიტებს ხან უეცრად ჩააქრობდა, ხან მთელი ძალით ააელვარებდა და მაშინ საოცრად მიმზიდველი ხდებოდა ქალის მზემოკიდებული სახე, თვალმარგალიტების ციმციმს რომ ირეკლავდა და ათასი ცეცხლით აფრქვევდა. რაღაცას მიყვებოდა თუ ვუყვებოდი, არ მახსოვს. იმწუთს სულ ერთი იყო, რაზე ვილაპარაკებდით. სიტყვებს აღარ ჰქონდათ მნიშვნელობა, რადგან მათ მიღმა სულ სხვა სურვილი იკვეთებოდა. გამოიკვეთა კიდევაც ეს სურვილი, ნათლად გამოისახა ქალის ოდნავ მოჭუტულ მზერაში და მან ისე ლამაზად, ისე მიმზიდველად მოიღერა ყელი, ისე ეშმაკურად ჩააქსოვა თავის გამოხედვაში რაღაც გამოუთქმელი, რომ კვლავ დამიბრუნა დაკარგული გამბედაობა, მაგრძნობინა ვნებით შეპყრობილი ქალის მოლოდინი.

უეცრად ოთახის განათება შეიცვალა. მზეს ღრუბელი ჩამოეფარა. ქალი გადასხვაფერდა, აღქაჯს დაემსგავსა. შუქ-ჩრდილებმა გამოკვეთეს მტაცებლის სახე. იჯდა ეშვებგადმოყრილი,

ტურებს ილოკავდა და საკბილოს უცდიდა; მაგრამ ღრუბელი არ შეჩერებულა. ჩამავალმა მზემ მომაკედავის ღიმილით ისევ შემოიხედა ოთახში და სხივების ძნადშეკრული კონა ქალის თმას ცეცხლივით მოსდო. ალქაჯი გაქრა. ქალს კანი გაუფაქიზდა, მზერა დაურბილდა. ფოთლებიდან ჩამოყრილი მზის კრიალოსნები სახეზე ააცოცდნენ და მის გამჭვირვალე, მიამიტ თვალეში ისევ ის სიმორცხვე გამოიხატა. წამით ჩამობნელდა მზე, წამით გამოაჩინა კლანჭები ქალმა და ისევ უცოდველი ქალწულის ნილაბი აიკრა სახეზე...

- ვაი! - დაიკვილა თინამ და აღერსით მისუსტებული, ჩემი მუხლებიდან ჩამოცურდა. ის იყო ძირს უნდა დაცემულიყო, რომ ხელი წავატანე, მაგრამ ზევით ველარ აენიე, პირიქით წელზე მომხეხია და თავისკენ მიმიზიდა.

- ახლა ჩემი ხარ! - გამიღიმა და ძირს, ხალიჩაზე დამითრია.

ქორნილი

- ხელი ხომ არ შეგიშალეთ? - მეხივით დამეცა ხმა და ოთახში ზევახი შემოიჭრა. თინამ შეჰკივლა და სახეზე ხელები აიფარა, მე ფანჯარას ვუცი, მაგრამ ოთახში შემოჭრილი ხიდან აპოლონი ჩამოხტა და წინ გადამიდგა. ზევახი მომიახლოვდა.

- თავი დაანებე, - შვილი მუხლებზე მოეხეხია მამას.

ზევახმა ფეხი ჰკრა თინას და ელვის სისწრაფით ხელები გადამიგრიახა. შემდეგ აპოლონს გასძახა:

- რალას უცდი, ვერ ხედავ, ქალი ნაგართვა!

აპოლონმა დანა გახსნა და ნაბიჯი გადმოდგა...

- არა! - დაიკვილა თინამ და გზა გადაუჭრა, - ჩვენ ხელს ვანერთ!

აპოლონს სისხლი მოანვა სახეზე. აკანკალებული ხელით მოისროლა დანა. ზევახი თითქოს შვილის სიტყვებს ელოდაო, ჰაერში შეხტა, ისევ დამეძგერა და ახლა სიხარულით ჩამხეხტა.

- ჩემი სიძე! - ყვიროდა თვალცრემლიანი და კი არ მკოცნიდა, ლამის მჭამდა. შემდეგ ფანჯარა გამოალო და ჩაბნელებულ ქუჩას გასძახა:

- მომილოცეთ! ქალიშვილს ვათხოვებ!

ოთახი ხალხით გაივსო. ზევახი მეზობლებს შორის დარბოდა.

თავს ისევ ვგრძნობდი, ვით მაყურებელი, რომელიც უნიჭო და უტიფარი მსახიობების სიყალბეს-გრძნობს და მათ მაგივრად სირცხვილით იწვის. ზევახის განაჩენი, აპოლონის რისხვა და თინას თავგანწირვა თითქოს განზრახ იყო გათამაშებული და ეს ეჭვი მათმა ქცევამ კი არ გააღვიძა არამედ იმ სისწრაფემ, რა სისწრაფითაც ზევახის აღშფოთება სიხარულმა შეცვალა. ჩემი დახვედრა არ იყო მოულოდნელი მისთვის. თითქოს უნებურად ჩამითრიეს თამაშში და ის სელა მიკარნახეს, რაზედაც უკვე მომზადებული ჰქონდათ პასუხი.

საქორნილო სამზადისი მაშინვე დაიწყეს. გამოაცა იმ მასშტაბმა და სიღრმემ, რაც ზევახმა მისცა ჩაფიქრებულ ღრეობას. თინას გაბედნიერების ამბავი მთელ ქვეყანას მოედო. სოფლებიდან ნათესაეები მოგვანყდნენ. პროვინციელები თავისი ჩაცმულობით, ქცევითა და სიტყვა-პასუხით ხაზს უსვამდნენ იმას, რომ არაფერში ჩამორჩებოდნენ ქალაქელებს, მაგრამ სწორედ ამ ხაზგასმის, ამ თავმონონების გამო ჩამორჩებოდნენ მათ. მოკლედ, მთელი ქვეყანა ფეხზე დადგა. ფული და საჩუქრები ოხრად დაგროვდა. არქივიდან მკვდარი სულელები ამოვიდნენ. ისინი არ არსებობდნენ, მაგ-

რამ ხელფასს რეგულარულად იღებდნენ და ამიტომ მონაწილეებად უნდა გაფორმებულიყვნენ „ოლიმპის“ ღონისძიებაში. ვინმეს ეჭვი რომ არ გასჩენოდა, ზევახმა ისინი მზარეულებად გააფორმა და ახლა მათ მაგივრად ოფელში გახვითქული ქალბატონი მედეა ტრიალებდა ქურასთან. პერმისი გიჟივით დაჰქროდა. მიჰქონდა და მოჰქონდა ჭორები. ვენერა და ეროსი „საბედნიეროში“ დადიოდნენ და საქორწინო კაბას არჩევდნენ. მხოლოდ ნესტორი იყო უქმად. ხან ვის აედევნებოდა, ხან ვის; ყველაფერში ცხვირს ჰყოფდა და მრავლისმეტყველი სახით ათასნაირ აფორიზმს აფრქვევდა. რაც შეეხება ზევახს, ქორწილის სცენარზე მუშაობდა; ყველას ყურს უგდებდა და საინტერესო ფრაზებს ბლოკნოტში იწერდა. იჯდა სავარძელში და ხან გამჭრიახი მზერით, ხან ხელის დახვეწილი მოძრაობითა და ძუნწი, ძლივს გამეტებული სიტყვით მართავდა მოყვარეთა ამ ვეებერთელა ლაშქარს. ყველამ იცოდა თავისი როლი, თავისი სათქმელი და მაინც თავიდან იდგმებოდა ყოველი მიზანსცენა. ეშხში შესული ზევახი ქეშმარიტად მეფური სიდიდითა და უფლებამოსილებით განაგებდა ნინასაქორწილო რიტუალს.

– ცხვრებივით თავს ნუ მიქნევთ, – მიმართავდა თავის თანამშრომლებს. – უთანხმოება და კამათი უფრო ბუნებრივს გახდის ჩვენს დროსტარებას. ოღონდ ყველაფერი ნინასნარ უნდა ვიცოდეთ. ქორწილი დიდი ღონისძიებაა და მეშინია, რამე არ მოხდეს.

ხელისმონერის დღეს ვენერამ თვალმარგალიტებით მოჭედული ატლასის კაბა მოართვა პატარძალს, თვითონ კი ლურჯ, ნახევრად გამჭვირვალე ქსოვილში გაეხვია. სუფრას, რალა თქმა უნდა, ზევახი თამადაობდა.

უზარმაზარი, ღვინით სავსე რქა ორივე ხელით ეჭირა.

სიყვარულს გაუმარჯოს! – დასჭეჟა მან.

კაცები ფეხზე ადგნენ. აპოლონმა სურათი გადაგვიღო და იქვე გადმოგვცა.

– ჩემო ძვირფასებო! გულით მიხარია თქვენი ბედნიერება! – ცრემლი გადმოაგდო ეროსიმ და თინას ისე გადაეხვია, ძლივს ავალილტი.

– მოდით ახლა ჩვენი „ოლიმპი“ ვადღეგრძელოთ, – შემოშთავაზა თამადამ. – ის წმინდა ადგილი, სადაც გამოიძერწა და დაიხვენა ჩვენი ხასიათები!

– ნება მომეცით, არ დაგეთანხმოთ! – შეანყვეტინა ნესტორმა. – ადგილს ხომ ადამიანი ამშვენებს. ზევახს გაუმარჯოს, ჩვენს სულისჩამდგმელს!

– ჯოს! – იყვირა სუფრამ.

იასონმა ბანცალ-ბანცალით ჩამოგვიარა და სათითაოდ ჩაკოცნა ქალები.

– განიე იქით შენი დორბლიანი ტუჩები, – სახე მოარიდა მედეამ.

– რით ვერ გასიამოვნეთ, ქალბატონო მედეა? – ხაზგასმული თავაზიანობით ჰკითხა იასონმა.

– ღორები ხართ კაცები! – მიახალა ქალმა.

– ენას მოგაჭრი, შე ალქაჯო! – გაცოფდა იასონი. – დავაინყდა, მზითევში ცხვრის ტყავი რომ გამოგატანეს?

ვენერამ ჩაიხითხითა.

– გონს მოდი! – ხმას აუნია ზევახმა. – ათასი ყური გვისმენს.

– აღარ დალიო! – ძმას ყანწი გამოსტაცა ბადრიმ.

– ახლა კი, ჩემო ძვირფასებო, – გაიბადრა ზევახი, – მინდა წარმოგიდგინოთ ჩვენი ქმნილება, ახალი მოდის კენტავრი, ადამიანი-მანქანა!

ზევახის ნიშანზე მედვამ ფარდა გადასწია და კულისებიდან ბორბლებზე შემდგარი კაცი გამოგორდა. უკანა მილიდან ბოლო შემოგვაფრქვია და სუფრას შემოჰყარა.

— რა სწრაფია და რა ლამაზი! — ტაში შემოჰკრა ვენერამ.

— რას არ შექმნის ადამიანის ნიჭი! — გაიოცა ნესტორმა.

— ეს ჩემი საქონწინო საჩუქარია, — თქვა ზევახმა, — ამიერიდან კენტაერი ამირანს მოემსახურება და მისი ხელნაწერისთვის სიბრძნეს შეაგროვებს.

— თანავეტორად გინდა გაგიყვანო? — გაუღღიმე.

— უმადური ნუ ხარ, — თავი გააქნია, — ასეთ საჩუქარზე მადლობა მაინც მითხარა.

ამ სიტყვებით ჩექმიდან მათრახი იძრო და კენტაეარს გადაუჭირა.

— აბა, ექსპრომტად რამე სიბრძნე თქვი! — უბრძანა.

კენტაერი ჩემკენ შემობრუნდა, ყალყზე შედგა და ყრუ, მუცლისმიერი ხმით ალაპარაკდა:

— რაც მოგივა დავითაო, ყველა შენ თავითაო!

— დიდებულაია! — ნამოიძახა აპოლონმა.

— ყოჩაღ! — შეაქო ზევახმა და ოფლიან ზურგზე ხელი დაკრა.

კენტაერი თავის ქნევით გამოგვემშვიდობა, ბოლი შემოგვაფრქვია და ფარდის უკან გაგორდა.

— მე და შენ ერთად უნდა ვიყოთ, — მომიბრუნდა ზევახი, — ასე მგონია, ჩემი ანარეკლი ხარ, უფრო სუფთა და უფრო ნათელი. რატომ უნდა გადავემტეროთ ერთმანეთს? პირიქით, უკეთესი იქნება, თუ ზავს ჩამოვაგდებთ და თანავეტორები გავხდებით.

— არ ენდო, — მითხრა ბადრიმ, — ჯერ ტკბილი ენით მოგთაფლავს, მერე გაგამწარებს.

— ყველას არ დაუღვევია „ოლიმპის“ სადღეგრძელო, — სუფრას გადახედა ზევახმა.

— ნამდვილი აქვარიუშია, — ჭიქა ასწია იასონმა, — შუშის კედლებს თვეზე-ბივით ვანყდებით და პირში წყალი გვაქვს ჩაგუბებული.

— ორიგინალური ხილვაა, — ბლოკნოტში რალაც ჩაინიშნა ზევახმა. — ამას სადმე გამოვიყენებ.

— ხელნაწერს როდის დამიბრუნებ? — ვკითხე.

ნაიღე, რადგან არ მეშვეები, — ზევახმა ჯიბეში ხელი ჩაიყო და იქიდან ვაშლი ამოაცოცა. — ოღონდ ჯერ მოდი, სილამაზის კონკურსი მოვანყოთ.

ამ სიტყვებით ვაშლი სუფრაზე გააგორა და დაამატა:

— ეს ვაშლი ულამაზეს ქალს ეკუთვნის!

— რა უცნაური ხუმრობაა, — მხრები აიჩეჩა ვენერამ. — ვაშლი, რა თქმა უნდა, პატარძლისაა.

— მე რა შუაში ვარ, — აფეთქდა თინა, — ვენერამ ყველაფერი გააკეთა, რომ დღეს ჩემზე ლამაზი ყოფილიყო.

— ეჭვიანი ნუ ხარ, — თავი გააქნია სილამაზის სალონის გამგემ, — მე სულაც არ გამოვიყურები შენზე უკეთესად.

ატყდა ჩხუბი. ქალები ერთმანეთს დაეძგერენ. ორკესტრმა საჭიდაო დასცხო. ვილაცამ ქალი ჩამოგლიჯა. წყვდიადში ზევახი ისევ გაქრა დარბაზიდან. კარმა გაიჭრიალა, სინათლე შემოიჭრა და ამ სინათლეში სწრაფად გაიფანტა მისი უზარმაზარი ლანდი.

მიძინება

ქორნილის შემდეგ ზევახმა კარგა ხნით დამანება თავი. სამსახურიდან შვებულება მოგვეცეს. თაფლობის თვე თითქოს ერთი უძილო, ვნებადამუხ-

ტული ღამე იყო. მთვარეულივით დაე-
ბორიალებდი ოთახიდან აივანზე, აივ-
ნიდან ეზოში. ყველაფერი მალიზია-
ნებდა. მალიზიანებდა ბენზინის ბოლ-
ქვებში გახვეული ქალაქი, მისი გარე-
უბნიდან მონაბერი ცხელი ქარიშხალი,
ჩემს მარტოობაში შემოჭრილი ქალი.

დრო კი არც მიიზღაზნებოდა, არც
გარბოდა. ის ჩვენმა თავდავიწყებამ
შეაჩერა და ამ თავდავიწყების იქით
მდგარმა სინამდვილემ შიშითა და მო-
ლოდინით გაავსო. უსასრულოდ გაჭი-
მულ იმ ტკბილ-მწარე ნუთებში არ მა-
ვიწყებოდა კლდიდან ამოზრდილი
კოშკი; ვინცები თუ არა მის ძებნას,
საოცრად ნათდებოდა არე, მაგრამ
ქალღმერთი, ჩანს, მიბრაზდებოდა და
ალარ მაჩვენებდა თავის თავს.

ახლა მალულად, როცა დაქანცუ-
ლი ცოლი თვალს დახუჭავდა, მივუჯ-
დებოდი მაგიდას და ბუნდოვან, ქაო-
ტურად გაბნეულ ფრაზებში ფიქრის
გორის გზა-კვალს ვეძებდი. რამდენ-
ჯერ მოვწყდი მაგიდას და დალის პოე-
ნის იმედით სანადიროდ წავედი, მაგ-
რამ ოქროს ნანნაეის ცეცხლი ალარ
მინათებდა გზას. მხოლოდ ერთხელ
შევეხე მას, ერთხელ იმ ცეცხლით ან-
თებულმა დავენერე ის, რასაც ვესწ-
რაფვოდი, მაგრამ ვერ გაუუქელი მის
მხურვალეზას, ხელიდან გავუსვი. ახ-
ლა ისევ უნდა შევდგომოდი იმ ცეცხ-
ლისაკენ მიმავალ აღმართს, რომელ-
საც ერთი ამოსუნთქვით ველარ დავძ-
ლევდი. სისხლისა და ოფლის ღვრით
მივბობლავდი კლდიდან კლდეზე, ვებ-
ლაუჭებოდი ყოველ ქიმს, ყოველ იღბ-
ლიანად ჩაველებულ სიტყვას; სტრიქო-
ნებს შორის დიდხანს ვითქვამდი
სულს. ის იყო შუაგზას მივალნივ და
გამოქვაბულს შევაფარე თავი, რომ
ქვათა ცვენა დაიწყო. მომჩვენა, რომ
მწვერვალიდან ვილაცამ გადმოიხედა
და ქვა დააგორა. კლდის ვეება ნაგლე-

ჯები სტვენით მოფრინავდნენ ზესკ-
ნელიდან ქვესკნელში. გაღვიძებული
ცოლის მწარე, გესლიანი სიტყვები
სეტყვასავით მეყრებოდა თავზე, მაგ-
რამ მე ოცნებას ვიყავი შეფარებული
და არც ერთი არ მხვდებოდა გულს. და
მაინც მშვიდად უკვე ველარ ვგრძნობ-
დი თავს, იოლად ველარ ავდიოდი ფიქ-
რის გორაზე. ადრე ნათელსა და ხელ-
მისანვდომ გზას ახლა ტკივილითა და
ტანჯვით მივიკვლევდი და ის თვალ-
ნინ გადაშლილი მიდამოც რალაცნაი-
რად ამღვრეული იყო. მოვიკრებდი
აზრს, დაინმინდებოდა ხილვა და უეც-
რად ქარავით შემოიჭრებოდა ამ ნეტა-
რებაში ცოლის დაძაბული სახე, სახე-
ზე აღბეჭდილი ეჭვი და მასში ჩაქსო-
ვილი სიბრაზე. განცდა ისეთი მქონდა,
თითქოს მარტოსული ალარ დავეხე-
ტებოდი ამ უდაბურ კლდეებში,
ღრმად და უწუმრად ველარ ვიძირებო-
დი საკუთარ თავში. ბილიკი კი უფრო
ციცაბო, უფრო მძიმე მეჩვენებოდა;
ვილაცა ხლართავდა მას, ვილაც ამრუ-
დებდა; მისი ნაბიჯი ჩემზე სწრაფი
იყო, მისი თვალი – ჩემზე მახვილი. მი-
სი მზერა გონებას მიმღვრევდა; თე-
თონ კი უხილავი, მოუხელთებელი,
ჩემზე მარჯვედ, ჩემზე მსუბუქად,
ჩემზე შეუპოვრად მიიკვლევდა გზას.

ქვათა ცვენა დამთავრდა. ქვევით
ქალაქი ბობოქრობდა მაღლა, ბინდით
მონისლულ მწვერვალზე კოშკი გა-
მოჩნდა. შუქი ალარ იფრქვეოდა მისი
სარკმელიდან. კიდევ უფრო ჩამუქდა,
მოილუშა ცა. ჩაბნელებული კოშკი ცი-
ხე-სიმაგრედ იქცა. დაქანცულს მძიმე,
თითიდან გამოწოვილი სიტყვები მი-
მათრევენ ზევით. ფიქრის გორა ნელ-
ნელა ახლოვდება, თავისი ბუნდოვანი
ხეობებითა და თვალჩაუნვდენელი
სიღრმეებით. ჩამქრალია დალის ფან-
ჯარა. ვილაცამ გაიელვა, აივნიდან ის-
კუბა და ფერდობი ჩაირბინა. კოშკში

სარკე ჩაღწეულია, ირმის რქები ჩამოგლეჯილი, ტახტი გადაბრუნებული. მთვარის ვერცხლისფერი სხივებით მოქარვულ ტყავზე ორი მოკვეთილი ნაწნავი ელავს.

– შენმა ცოლმა ჩაიღინა ეს, – გამოქვაბულის სიღრმიდან მომესმა დალის ჩურჩული, – ძილში მომისწრო და ნაწნავები შემაჭრა.

ნამით გავოგნდი. შემდეგ მოვტრიალდი და გამოვიქეცი, მაგრამ თინა უკვე შორს იყო. ძლივს დავლანდე ჩამონოლილი ნისლში კლდიდან კლდეზე მოხტუნავე ქალი, სულ ქვევით და ქვევით, ქალაქის ბუღში რომ იკარგებოდა. ისევე შემოვბრუნდი... თვალმა, როგორც იქნა, გაარღვია სიბნელე და კოშკის წიაღში ქალღმერთის ვარდისფერი სხეული აციმციმდა.

– გზა ვინ ასწავლა იმ კუდიანს? – ვკითხე ჩემს გულს.

– შენ, – ვიგრძენი ფიქრით ჩუმი და ცხადი პასუხი. – თინამ ისე აგიფორიაქა სული, ისე დაიპყრო შენი გრძნობა და ფიქრი, რომ ვერც კი შენიშნე, როგორ გაუხსენი გზა.

რალაც ჩამწყდა გულის სიღრმეში.

– ეკედები, – ნაღვლიანად გაიღიმა ქალღმერთმა და მიმქრალი მზერა დაანათა მოკვეთილ ნაწნავს. – აიღე ხანჯალი და დამარტყი, რომ ჩემი ძალა შენ მოგეცეს.

ათრთოლებული ხელით ავიღე დაწნა, თავი შევებრუნე და მოვუქნიე... სისხლის შადრევანმა შემიღება პერანგი. დალი შემომეხვია, ჩამეხუტა. ვიგრძენი, როგორ გადმოვიდა მხურვალეობა ჩემში, როგორ გაცივდა, დადნა, დაილია მისი სხეული.

– ნუ გეშინია, – მითხრა, – ჩემი ძალა შენ მოგეცემა, რომ ბედს შეებრძოლო და ზევახს ის აღმოადებული სტრიქონები წაართვა.

ეს იყო დალის უკანასკნელი სურ-

ვილი. ღიმილი მზესავით ჩაესვენა მის დასვედიანებულ, მწუხრით ჩაბნელებულ სახეზე. ბინდისფერ თვალთა სიღრმეში ჩაქრა მარადიული არსებობისთვის დაბადებული სიცოცხლე.

წესის აგება

იმ დღეს გადაულეებლივ წვიმდა. ფიქრის გორაზე უამრავი ხალხი ტრიალებდა. ბაირალებით აფრიალდნენ შავი ქსოვილები. მწუხარე სახეებით დაღდასმული ხალხი კი არ არღვევდა, უფრო ამძიმებდა ჩემს მარტოობას. ათასი თვალი დამდევდა და ჩემს ყოველ ნაბიჯს, ყოველ სიტყვას ჭორის საბაბად ხდიდა. მათი თანაგრძნობა იმდენად იყო დაშორებული ჩემს სანუხარს, რომ ობლად ვგრძნობდი თავს, მაგრამ გამუდმებული თვალთვალის გამო ვერ ვიძირებოდი ჩემს მარტოობაში, ადგილს ვერ ვპოულობდი. თანაგრძნობას ვაქცეული, ნელა მივყვებოდი შემოდგომის ქუჩას. დალი მოგონებდად იქცა. კოშკიც საოცრად დაპატარავდა, სიძი ქვით ნაგებ ქობს დამსგავსა...

– ამირანი! – ქარის მოტანილი ყვირილი ყვითელმა ფოთლებმა ჩურჩულით გამოსცეს. ქუჩა აპოლონმა გადამოჭრა.

– ვიზიარებ, გამაგრდი, – ცრემლი მოიწმინდა და გადამეხვია, – თუმცა აღარ მეკარები, მაინც მიყვარხარ. მინდა შენი ადგილი დროზე იპოვო.

– ზევახის ამალაში? – ვკითხე.

– თავი დაანებე იმ მოხუცს. თავისი გაჭირვებაც ეყოფა. შენზე ნაკლებად არ უყვარდა დალი. ერთხელ თურმე ოქროს წვიმად იქცა და ისე ჩაიპარა მასთან.

– სურვილი მაინც ვერ აისრულა, – თავი გამოყო ბუჩქებიდან ვენერამ. – შერცხვენილი დავგვიბრუნდა.

– ასეა, შთაგონებაზე ვერ იძალადებ! – გაისმა იქვე იასონის ბოხი, ხავერდოვანი ხმა.

– რა ვიცი, მას მერე სულ რაღაცას წერს, – მხრები აიჩეჩა აპოლონმა. – დალის სიკვდილიც საშინლად განიცადა. უნდა გენახა, როგორ ბლაოდა...

– ნახვამდის. – ზურგი შეეპატკიე და უკან წამოვიდა. ხეები უკვე ფოთლებშემოძარცვულნი იდგნენ. ელექტრომავთულებში ქარი ყმუოდა. აქა-იქ ფიფქის ვარსკვლავი ტრიალებდა წვიმის ცერად ჩამოშლილ თმაში. ფიქრის გორა ხალხით აივსო. ხვეწმოდა და იზნიქებოდა ათასჯერ ავლილ-ჩამოვლილი კიბე. კოშკის აივანზე სამგლოვიარო მუსიკა იღვრებოდა. ოთახში შევედი და კედელს ავეყუდე.

ისევ იმ შორეული მაისის სიმწვანე დამიდგა თვალწინ. ჯერ იყო ბინდისფერი წყვდიადი, შემდეგ ფერთა ნონასწორობა დაირღვა, მწვანე ტალღა წამოვიდა, დაიმსხვრა, ნამსხვრევები გამკვეთრდნენ და ფოთლებად იქცნენ. საოცარი! მას შემდეგ მრავალი მოგონება გაიცრიცა, დავიწყებას მიეცა, ის წუთიერი შთაბეჭდილება კი სამუდამოდ ჩამრჩა და სულის სამკაულად მექცა. ის ბურუსით მოცული ხილვა ამოვარდნილი იყო ჩემი წარსულიდან, რაღაც სხვა იგრძნობოდა მასში, რაც ფარულ მიმზიდველობას, დაუსრულებელ სიღრმეს ანიჭებდა.

რითი სჯობია ნახატს სინამდვილეს? ცოცხალ სილამაზეს, დაუხატავ ფერს სხვა სიღრმით განიცდი, სხვა მნიშვნელობას ანიჭებ. ის შორეული მაისის სიმწვანეც არ იყო მხოლოდ მოგონება, გარდასულის გამეორება, ის ცოცხლად იყო შემონახული, ნამდვილივით ამოუნურავი აღმოჩნდა და რამდენჯერაც არ უნდა დაუნაფებოდი, სულ ახალ-ახალ ხილვებს ვიჭერდი. თუ ერთხელ ამწვანებულმა გორამ ქალღ-

მერთის სევდანარევი ღიმილთან მიმიყვანა, ახლა მის ფერდობზე ბიჭი გამოჩნდა, ჩემი სახიერი, ძალიან მომინდა მოვფერებოდი, მაგრამ მივეკარე თუ არა, სახე აიძვრა და გამოსახულება გაქრა და მაშინ მივხვდი, თუ რამდენად ნაზი და ცვალებადი იყო ის, საიდანაც ჩემი ცხოვრება იღებდა სათავეს; შემოვბრუნდი და კედელს მივადევი აცრემლებული სახე.

დაღამდა. ხალხი ნავიდ-წამოვიდა და სინათლის თაფლისფერი შუქი ტკბილი, მათრობელა ბანგივით დაგროვდა კოშკში. კედელზე მოციმციმე სინათლე ჭერადან ჩამოწოლილ წყვდიადს შეეჯახა. ნალველი შემომანვა გულს. მინდოდა მეგრძნო ტკივილი, რომ წუთით მაინც დამევიწყა ფიქრით ნანამები სული! მინდოდა მეყვირა, რომ დამერღვია ეს უფერო, უბოროცო, უხილავი სიჩუმე, მაგრამ სინათლის ალით მოწუსებული, ვერ ვახერხებდი ვერც ხმის ამოღებას, ვერც განძრევას, თითქოს გრძნეულმა ხელმა ნაბდის მათრაბი გადამკრა. ძარღვები დამანყდა, ოფლი ღვარად ჩამომდიოდა, ცრემლი მახრჩობდა. ქანდაკებად ვიქეცი. დაძაბულობამ გაამძაფრა ჩემი აღქმა. გარკვევით ვხედავდი, ცხადად ვისმენდი ყველაფერს. ზღვარი გაქრა თვალსა და ყურს შორის და მე დავინახე, როგორ დაიმსხვრა სიჩუმე უამრავ ბგერად, როგორ დალაგდნენ ეს ბგერები ნაბიჯების ხმად, როგორ გაიჭრიალა კარმა და ოთახში რიდეაკრული კაცი შემოიპარა. თუმცა ძალიან ფრთხილობდა, იატაკი საშინლად ზანზარებდა მისი სიმძიმისაგან. ყოველ ნაბიჯზე სანთელი თრთოდა, შუქი კედელს აწყებოდა და რიდეაკრულ სახეს ანათებდა. ამ დროს უცნობიც სწევდა თავს და შემფოთებულ მზერას შეაპარებდა სანთელს. ასე მიადნია მიცვალებულს, სახელოები აი-

კაპინა და ის იყო, რაღაც რიტუალს უნდა შესდგომოდა, რომ ერთხელაც მოიხედა და როგორც იქნა, მომკრა თვალი.

– მე აპოლონის ნათესავი ვარ, – მითხრა, – მიცვალებულს წესი უნდა აუუგო.

ამ სიტყვებით ტაში შემოჰკრა და ცეკვა დაიწყო. ტრიალებდა და ადგილზე ბუქნავდა. სწორედ ამ დროს ინათა და მზის სხივი მიცვალებულს დაეცა. წამოვდექი და ამ გულისამრევ მასხარას საყელოში ვწვდი.

– გადი, – ჩაეწურწულე, – გადი, თორემ დაგახრჩობ.

– მოითმინე, ახალგაზრდავ! – თქვა და ისე მარჯვედ გამისხლტა, ცარიელი მოსასხამი შემატოვა ხელში. მერე დავინახე, როგორ მოიგდო ზურგზე ცხედარი და კარისკენ გაიქცა. ერთი ნახტომით დავენიე, ნადავლი გამოვტაცე, ყელში ვწვდი.

– ოღონდ ნუ მომკლავ და სულს სხეულში დავაბრუნებ, – ამოიხრიალა.

ხელი ეუშვი. უცნობმა მიძინებულს ხელი შეახო და უეცრად თვალი აუხილა, სული ჩაუდგა!

არ მახსოვს, როგორ ვეხვეოდი, როგორ ვკოცნიდი დაღის. თვალს ვერ უუჯერებდი. მეშინოდა, არ გამქრალიყო.

– ნუ გეშინია, აღარ მიგატოვებ, – მითხრა, – ოღონდ ფრთხილად იყავი, უკან მიიხედე.

ვიდრე მოვტრიალდებოდი, ის ხელიკისფერი ჯამბაზი მომეპარა და სილა შემომკრა. ოთახი შეტორტმანდა. გაქრა სხივთა თამაშით შემდგარი სახე, თვალთ დამიბნელდა და გამოვიღვიძე.

თავზე აპოლონის ნათესავი მადგა და ხელს ნაღმა-უუღმა მირტყამდა. სახე მართლაც ღია მწვანე ჰქონდა, დახავსებული ჭაობის ფერი. მის არა-

მინიერ სიფერმკრთალეს შავი სათვალე და წითლად შეღებილი ტურქები თოჯინურ იერს აძლევდნენ.

– როგორ შემაშინე, – დაიღრჩვა და ცრემლი მომწმინდა, – ძილში ყვიროდი, მუშტებს იქნევდი, შემდეგ წამოხტი და კუბოს გარშემო სირბილი დაიწყე.

– დამესიზმრა, რომ მკვდარი გაცოცხლდა.

– ეს შეუძლებელია. – თითი ასწია. – ასეთი რამ გულშიც კი არ უნდა გაიელო. სიკვდილი რომ არ არსებობდეს, სიცოცხლესაც დაეკარგებოდა აზრი.

– ახლაც მგონია, რომ თვალს აახელს და წამოდგება. – გავეჯიუტდი.

– გაგიჟდა! მწუხარებამ გააგიჟა! – აყვირდა მწვანე მასხარა და ტახტზე ჩამოძინებულ ღამისმთევლებს ეცა. – გაიღვიძეთ! ამირანი გაგიჟდა.

ოთახში ჩოჩქოლი შეიქნა. სამი ჭირისუფალი დამძეკრა. აივანზე გამათრიეს. ვილაცამ თოკი მოარბენინა და სვეტს მიმაბა. თან დამტიროდა, რაღა გეშველებო. გათენებამდე ჯერ შორს იყო და სახლი ისევ ძილმა მოიცვა. უეცრად შრიალი მომესმა. მოვიხედე და იასონი დავლანდე, რომელმაც თოკი გახსნა და შემომაცალა.

– მადლობას მერე მეტყვი, – ჩამწურწულა, – დაღის მიხედე.

ოხერა და ბუტბუტი მომესმა მიცვალებულის ოთახიდან. შიგ შევიჭყიტე და ისევ ის მეტიჩარა უცნობი დავლანდე! ჩემგან ზურგშექცევით იდგა. განსვენებულს სუდარა გადააძრო, ეშვი გადმოაგდო და მისი ყელი ჩაკბიჩა. ის იყო დაიკრუსუნა და ტურქები მოილოკა, რომ ზურგიდან მივეპარე და ხელი გადავუგრისე.

ამჯერად ჩვენი ორთაბრძოლა უფრო მძიმე და ხანგრძლივი გამოდგა. უცნობი ათასნაირად მისხლტებოდა, მაგრამ მე გასაქანს არ ვაძლევდი, ბო-

ლოს მაინც გამეჭვცა, აივანზე გადაძვრა და მოაჯირიდან გადახტა.

შემოვბრუნდი. სანთლის შუქი კედელს გაეთამაშა და კუბოს ოქროსფერად დაუფინა. დაღლიმ გაიღიმა, წამოინია და მზერა შემომანათა.

- ახლა მაინც გამიფრთხილდი, - თქვა და მიიხედა-მოიხედა.

- სიზმარი ხარ თუ ცხადი? - ჩურჩულთ ვკითხე.

- განა ცხადი სიზმარი არ არის და სიზმარი ცხადი? - შემომბრუნა კითხვა. - ყველაფერი შეიძლება აგისდეს, რაც ძალიან გენატრება, ოღონდ ფრთხილად იყავი, ფარდა ჩამოუშვი.

მოეტრიალდი, მაგრამ ვერ მოვასწარი ფარდის ჩამოშვება, რომ ფანჯრიდან იმ უცნობმა შემოიჭყიტა და სანთელს სული შეუბერა. ტახტის კიდეზე ჩამომჯდარი გამოსახულება დაიბრიადა, გაქრა. ლამის წყვდიადი ჯერ მთვარემ გაკვალა, შემდეგ ამომავალმა მზემ დაარღვია.

ლამისმთვეელები სკამებიდან წამოიზღაზნენ. აპოლონმა მთქნარებამთქნარებით ყინულის ნაჭრები შემოიტანა და მიცვალებულს ირგვლივ შემოუნყო. კედლის საათმა შვიდი დაჰკრა. ოთახში შავსათვალისანი კაცი შემოვიდა. აპოლონმა წარმომიდგინა როგორც თავისი ნათესავი, როგორც ქელების განთქმული თამადა და სამგლოვიარო რიტუალის ბრწყინვალე მცოდნე.

- სათვალე რატომ გიკეთიათ? ჯერ მზე ხომ არ ამოსულა? - ვკითხე.

- დღის სინათლეზე თვალები მტკიოვა, - თავი იმართლა, - ნეტავ სულ ლამე იყოს!

სახე მომწვანო ჰქონდა, თანაც ფერმიხდილი. ნითლად შეღებილი ტურებიდან ოქროს კბილი უელავდა.

- გამოსვენება ოთხზეა? - მკითხა. თავი დავუქნიე და გავმორდი. ეზო-

ში ხაკისფერ კარავს შლიდნენ. იქვე ქალები ფუსფუსებდნენ. აივანზე შავი ფარდები ჩამოკიდეს. დაღის ოთახი დაცალეს. აივანი გაივსო ირმის ტყავებით, სპილოს ძვლის საეარცხლებით, პერგამენტის თხელი, გამჭვირვალე კაბებით; ველარც გამამთიელები დააბიჯებდნენ ზედ. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ჩემი შთაგონება, ჩემი სიყვარული აივანზე იყო გამოფენილი. ოთახში დაღი იწვა. იწვა ფიქრსა და ნუხილს გაქცეული, ან მოგონებად ქცეული. კუბოს ვილაც აღქაჯი დარაჯობდა. ბრძანებებს აძლევდა საქმიანად მოფუსფუსე კაცუნებს, ლანდი რომ გასდიოდათ ყურებში. იქვე მეორე, გრძელთმიანი არსება იდგა და თვალს იხატავდა. თმას ცეროდენა, ვერცხლისწყალივით მოუსვენარი ბიჭი უვარცხნიდა. საიდანღაც მეცნობოდნენ ეს სახეები, თუმცა მათი ამოცნობისა და გახსენების არც თავი მქონდა, არც სურვილი; სულ მიწოდდა, დაღიზე მეფიქრა. მესხიერებაში მაინც აღმედგინა, წამით მაინც გამეცოცხლებინა მასთან დაკავშირებული წარსული, მაგრამ ვერაფერს ვიხსენებდი, მოგონებათა სკივრი არ იხსნებოდა, არეულობითა და ფუსფუსით ამღვრეული გონება ამაოდ ეჭიდებოდა მის ბოქლომს. ეზოში კი მთელ ქალაქს მოეყარა თავი. ცალ-ცალკე ყველა ხელს მართმევდა, მაგრამ მე ვერავის ვარჩევდი სახედაკარგულ, შავად შედედებულ ბრბოში. პანაშვიდი დაიწყო. დრო იყო მაღლა ავსულიყავი, მაგრამ შევდგი თუ არა კიბეზე ფეხი, აღქაჯმა ვილაცას დაუსტივინა, კაცუნების ჯოგი კიბეზე ჩამორეკა და მოაჯირს მოწყვეტილი, უკან ჩავგორდი. მაინც მოვასწარი და თვალი მოკვარი ოთახის ანუელ ფარდას, საიდანაც აპოლონის ნათესავმა გამოიხედა და გასისხლიანებული ეშვი მოილოკა. წა-

მიც და აივანზე ავძეკერი, უცნობი ფარ-
დიდან გამოვართვი და ქვეშ მოვიგდე.
თუმცა სიზმარში ორჯერ დავამარც-
ხე, ახლა ისევე მოლონიერდა. რამდენ-
ჯერ ძირს დავცემდი, ძალა უფრო ემა-
ტებოდა. მაშინ მინას მოვწყვიტე, აე-
ნოე და ხელი ყელში წაუჭირე. ალქაჯ-
მა თავისი ხროვა მომიქსია, კაცი
ძლივს გამომტაცეს ხელიდან, მაგრამ
ვიდრე გამაკაებდნენ, მოვასწარი და
შავი სათვალე ჩამოვვლიჯე. გოცების
ოხვრა აღმომხდა. ჩემს წინ ბატონი ზე-
ვახი იდგა და გალიმებას ცდილობდა.

- ნესი მინდოდა მიცვალებულისთ-
ვის ამეგო, - თქვა და თავი ასწია, - მა-
მა-პაპადან მოგვედევს ეს ჩვეულება და
არ უნდა ვუღალატო მას.

- ნესის ასაგებად კი არა, სულის
ნასაღებად ხარ მოსული! - დავუყვი-
რე.

- ეს როგორ მკადრე, - გამინყრა
და ხალხს მიუბრუნდა, - ამირანი დარ-
დმა დააბრმავა და ბრალად მდებს მძი-
მე ცოდვას, თანაც უვიცობას ამჟღავ-
ნებს, თუ ფიქრობს, რომ სულელებზე ნა-
დირობა ჩემი სტიქია!

- თავს ნუ ისაწყლებს! - შევანყვე-
ტინე.

- ჩემო შვილო, - გააგრძელა ზე-
ვახმა, - ვიცი, რომ თავზე მეტად გიყ-
ვარდა დალი, მაგრამ ისიც ვიცი, რომ
შენი განზრახვა მკვლევლობაზე დიდი
ბოროტებაა.

- სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებთ,
- თავი დაუკრა ალქაჯმა და თმა გა-
დაივარცხნა. ხელის განაფულმა მოძ-
რაობამ სახის ნაკეთები საოცრად და-
არბილა, გააფაქიზა. ჩემს წინ ახლა
თინა იდგა და უტიფრად მისწორებდა
თვალს.

- დაბეჯითებით ვიტყვი და ამას
სიბრძნის განყოფილების წევრებიც
დამიდასტურებენ, - თინამ თავის კა-
ცუნებს გადახედა, - რომ მკვლევლო-

ბით იმის დაჩქარება ხდება, რასაც მა-
ინც ვერ გაექციევი, მკედრის გაცოცხ-
ლებით კი ბუნების კანონს ეკარგება
აზრი და ყველაფერი ინგრევა.

- ყოვლად უმსგავსო საქციელია, -
ჩაილაპარაკა ვენერამ.

ამ დროს ოთახის ფარდა გაიხსნა
და აივანზე დალი გამოვიდა. ვენერამ
შეპკიელა და დახუჭა საღებავით მოთ-
ხუნული თვალები, თინა ზევახს ჩაე-
ხუტა. ხალხი ნივილ-კივილით უკვე
ქუჩაში გარბოდა, მე კი თავდავიწყე-
ბით მიფერინავდი მისკენ. „არ მიუშ-
ვათ! ახლოს არ მიუშვათ!“ - ღრიალებ-
და ზევახი და მართლაც რამდენიმე კა-
ცუნამ გადამიღობა გზა, ზურგიდან
ვიღაც დამეცა და სახეზე აქოთებული
ქსოვილი ვადამაფარა. ცხვირი დავა-
ცემინე და გამოვფხიზლდი.

ახლად გაჭრილ სამარესთან ვიჯე-
ქი. თავს ზევახი მადგა და ნიშადურში
ამოვლებული ცხვირსახოცით მაგრი-
ლებდა. შორიხლო ჭირისუფლები
მოთქვამდნენ. უფრო მოშორებით სე-
ირის მაყურებლები იდგნენ.

- ძალიან შეგვაშინე, - მითხრა ზე-
ვახმა. - მთელი დღე უაზროდ იყავი.
გასვენებაშიც მთავარეულივით დაბო-
რილობდი. ისე გამოვიტანეთ, ისე და-
ვასაფლავეთ, არაფერი გაგიცია.

- ვინ? - გავიოცე.

- ვაი, შე საცოდავო! - ცრემლი
აუბრჭყვიალად ვენერას მოხატულ
თვალებში. - არაუშავს. დანებები, იმ-
კურნალებ და ყველაფერი გაგიცლის.

ამ დროს ისევე დავინახე დალი. ის
ხალხში იდგა. თვალით რალაცას მა-
ნიშნებდა და ტუჩებზე თითს იფარებ-
და - არ გამამზილოო. მერე შეტრიალ-
და და ფიქრის გორაზე ავიდა.

- დალი! - დავუყვირე.

- დაიჭირეთ! - ხელი მტაცა ზევახ-
მა და ბორკილი ამოიღო. მაჯა გავითა-
ვისუფლე და აღმართ-აღმართ გავიქე-

ცი. მდევარი ნერტილივით დაპატარავდა. მეშინია უკან მოხედვის, მეშინია გამოღვიძების, მეშინია, არ აიძვრეს და ბინდით არ დაიფაროს ფიქრით ვამჭვირვალე გორა, რომლის მწვერვალზე ჩემი შთაგონებაა გაცოცხლებული, ამიტომ ფერდობზე შეფენილ ბალს შევაფარე თავი და მრავალნერტილით გაეწყვიტე სიტყვა, რომ ისევ სიზმარი არ აღმოჩნდეს ეს ყველაფერი...

ურჩხული

აქ, ბალის მწვანე სიჩუმეში ვიგრძენი, რომ მოუხელთებელია ზღვარი მოჩვენებასა და სიცხადეს შორის. თვალი ვერ იჭერს სულისა და სამყაროს შეხების ნერტილს. საგნები, რომლებსაც ვხედავთ, უკვე დაფარულნი არიან იმ უნაზესი გარსით, სადაც წარმოსახვა სინამდვილეში გადადის. ასევე მიუწვდომელია გამოღვიძების წამი, სადაც თავდება სიზმარი და იწყება ცხადი, მაგრამ ეს წამი არსებობს, ისევე როგორც არსებობს საგანთა ის უხილავი შრე, სადაც ხილვა სიცხადეს იძენს. თუ მე ყოველ დილით გადავდივარ სიზმარ-ცხადის ხიდზე, მე ასევე შეუგრძნობლად გავდივარ ამ შუამავალ შრეს. ეს არის თავისუფლების წამი, ყოფნა-არყოფნის ის უხილავი მიჯნა, სადაც აღარა ხარ დაბადებასა და სიკვდილს შორის მოქცეული არსება. მეც ცვდილობ, შევაჩერო ეს გაქცეული წამი, თავი შევიმაგრო მწვერვალზე, რომლის ერთი კალთა სიზმარია, მეორე ცხადი. საოცრად მსიამოვნებს აქ ყოფნა, რადგან ეგრძნობ, რომ დალიც აქ არის, ჩემი მონატრებები გაცოცხლებული, მარადმწვანე უსასრულობაში გამდნარი. ქალაქიდან კი ხალხის ტალღა მოინეკვს, რათა ჩამომრეცხოს ფიქრის გორიდან. ზევახმა ძებნა

გამოაცხადა ჩემზე, როგორც სამიშ დამნაშავეზე, რომელმაც გაბედა და ბედის საზღვარი გადალახა, უკულმა დაატრიალა სიკვდილ-სიცოცხლის ჩარხი.

– შორს ვერ წავიდოდა, – ისმის მისი მქუხარე ხმა. – გაჩხრიკეთ ბალი, ცეცხლის ნაუკიდეთ ბუჩქებს.

გამთენიისას ცეცხლმა ზევით ამოაღწია და ბალის კიდე შთანთქა. გასაქცევი აღარსად იყო. ერთხანს სიბნელეში ვიმალებოდი, მაგრამ ხანძარმა ცაზეც გადაინაცვლა. დანაცრდა, ჩაიფერფლა ღამე. გაღვივდა, გავარვარდა აღმოსავლეთი. ზევახი თავისი ხალხით უკვე კოშკთან იდგა.

– აბა, ბიჭებო! – დაიქუხა, – მოესპოთ მტრის ბუდე!

კარი მოარყია და კედლიდან მოგლიჯა. კოშკის ფასადი ჩამოინგრა, სახურავი ჩამოიშალა. ბრბო გაცოფებული ღრილით დაექგერა ნანგრევებს. ბუჩქებიდან გამოვბტი და ხალხისაკენ გაექანდი. ბედზე იასონმა დამინახა და გზა გადამიჭრა.

– ჩაგქოლავენ!

სწორედ ამ დროს ზევახმა მომკრა თვალი და ქვას წამოავლო ხელი. მას დანარჩენებმაც მიბაძეს.

– აქეთ! – მომესმა ჩურჩული და კლდის ძირას, ნაპრალთან ბადრი დაეღანდე.

– ეს გვირაბი გმირთა მოედანზე გაგიყვანს.

მტაცა ხელი და გამოქვაბულში შემავლო. ირგვლივ სიბნელე ჩამონვა. ეგრძნობდი, როგორ ვეშვებოდი ქვევით და ქვევით, გვირაბის ბოლოს მოციმციმე სინათლისაკენ: როგორც იქნა მივალნივ მას, ლუკს მივანექი, გადავაგორე და ზევით, ტროტუარზე ავძვერი. მანქანები ბუდედანგრული ჭიანჭველებივით ტრიალებდნენ გარემო.

– ოთახს ხომ არ ეძებ შეილო? – მომესმა ნაცნობი ხმა და ხეს კუზიანი დედაბერი გამოეყო.

– ჩემი ნუ გეშინია, – დააფჩინა პირი. – მე ყველა გაჭირებულს ვმფარველობ.

სახეც ხმასავით ნაზი ჰქონდა. ისეთი ალერსიანი, ისეთი თბილი, რომ არც კი დაეფიქრებულვარ, ისე დავუქნიე თავი.

მოხუცი ჯოხს დაეყრდნო და კოჭლობით ნამიძღვა. კიბეებზე ავედი და მრგვალ სასახლეს მივადექით. ერთი კი გავიფიქრე „აქ რა ჯანდაბა მინდა-მეთქი“, მაგრამ მოხუცმა ხმის ამოღება აღარ მაცალა, ბაგეებზე თითი ამაფარა და მარმარილოს დერფანში შემეყვანა. სექტორებს შორის ჩამოშვებული ფარდა შიგნიდან ანათებდა. შოლტის ტკაცანი და განურჩეველი ხმა აღწევდა ჩემამდე. სულმა ნამძლია და შევიხედე.

ცირკის მანეთი დეკორაციებით იყო შემოღობილი. ფარდაზე ქალაქი ეხატა. შორს მთები ჩანდა. ვარსკვლავებით მოჭედვით გუმბათს იის სილურჯე ჰქონდა ნაფენილი. სადღაც სიღრმეში მთვარე ბუბუბავდა. პორიზონტზე აბლაბუდები ეკიდა. ლომის ტყავში გახვეული ათლექტი გრძელი ჯაგრისით რეცხავდა ცას.

ქვევით რეპეტიცია მიმდინარეობდა. ბრჭყვიალა შარვალ-პერანგში გამონყობილი მწვრთნელი ზურგით იდგა და შოლტს აყოლებდა კენტავრს, რომელიც ჯებირზე დარბოდა. მანეთზე აკრობატები ვარჯიშობდნენ. კულისებში გალია იდგა. შიგ ბადრი და იასონი ისხდნენ.

– მოვიყვანე. – დედაბერმა ჯოხი მოისროლა, ნილაბი მოიხსნა და მხრები გაშალა.

უკან დავიხიე, მაგრამ აქეთ-იქედან დამძებგერნენ და გამაკავეს.

მწვრთნელი ჩვენკენ შემობრუნდა... ისევ ის ცივი, ჩამქრალი მზერა, ის ჯაგარაშლილი თმა და მტაცებლის-ნაკვთებიანი სახე... ზევახმა ჯერ თინას გაულიმა, შემდეგ მე დამომხედა.

– შევენყვიტოთ ვარჯიში, – გამოუცხადა თავის კაცუნებს. – პატარა სხდომა გვაქვს ჩასატარებელი.

აკრობატები სმენად იქცნენ. შიშმა ჩამოაგრძელა ისედაც დაძაბული სახეები.

– შენ ნაიკითხე, მე არ შემიძლია, – ზევახმა ბარათი ამოიღო და თინას გადასცა.

– მიღებულია ელვა გველუშაპთა საზოგადოებიდან, – მიმიღე წარმოთქვა თინამ, – „შეგახსენებთ, რომ ხელშეკრულების თანახმად „ოლიმპის“ გაერთიანებამ ყოველწლიურად სამი თანამშრომელი უნდა შესწიროს ქვესკნელში მცხოვრებ გველუშას. ვინაიდან ხარკის გაღების ვადა გავიდა, გთხოვთ, უვარგისი თანამშრომლები დღესვე გადარიცხოთ გველუშაპის ფონდში“.

– რა ექნა? – ხელები გაშალა ზევახმა, – ჩემი დანესებული არ გახლავთ ეს ხარკი. როცა „ოლიმპს“ ვაშენებდი, ურჩხულმა დამაფინანსა, ადგილიც დამითმო, თვითონ ქვესკნელში ჩავიდა, სამაგიეროდ ეს ყოველწლიური ხარკი დამაკისრა.

სახეზე ხელი აიფარა და აქვითინდა. დანარჩენებმა ბანი მისცეს.

– ნელს შავ სიაში არიან, – თინას ხმა აუთრთოლდა, – ამირანი, იასონი და ბადრი.

აქვითინებულმა ზევახმა გულში ჩამიკრა. ხელი მოვხვიე და ქარქაშიდან ხმალი ამოვადრე, მაგრამ მოქნევა ვერ მოვასწარი, რომ უკან გამათრიეს და გალიაში შემავდეს. ზევახმა ღიღის თითი დააჭირა, იატაკი გაიხსნა და ნელ-ნელა ქვევით ჩავეშვით.

გაზის შუქით განათებულ დარბაზში მოვხვდით. დარბაზი ნაზი, სურნელოვანი ჰაერით იყო გაჟღენთილი. გალია თავისით გაიხსნა და კონვეიერმა დარბაზის სიღრმეში გაგვიტაცა, სადაც სირინოზების გუნდი მღეროდა. გონებას მიმღვრევდა მათი სევდიანი ხმა.

– არ მოუსმინოთ! – ყურებზე ხელები აიფარა იასონმა. – ერთხელ გემზე მონაწყვეს კონცერტი და ტკბილი პანგებით ისე გაგვაბრუნეს, ნახევარი ხალხი ზღვაში გადაცივიდა...

სწორედ ამ დროს სოლისტმა გიტარას თითები ჩამოკრა და ნაზი ხმით სიმღერა დაიწყო. სიტყვები ვერ გავარჩიე, მელოდიაც გაიფანტა ნაირფერ ვარიაციებში და მუსიკის ამ ბუნდოვან ფონზე დალის სახე გამოიკვეთა.

დავინახე ჩემკენ გამონვდილი ხელი და სცენისკენ გაექანდი, მაგრამ იქამდე ვერ მივალნიე. სცენასა და დარბაზს შორის საორკესტრო ორმო აღმოჩნდა. თავი ველარ შევიმაგრე და ორმოში გადავეშვი.

ირგვლივ უამრავი ხალხი ტრიალებდა. ხელებს ზევით იწვდიდნენ და ამოოდ ცდილობდნენ ორმოდან ამოძრომას. დაჭაობებული ფსკერი რაღაც ნებოვანი, მთხლესავით მომწვანო ქერქით იყო დაფარული. ეს ლავასავით მოძრავი ქერქი ნელ-ნელა თავის სიღრმეში გვითრევდა და სცენის უკან მიგვაქანებდა, სადაც კედელზე გველემშაპის თავი იყო გამოძერწილი. ზედ აბრა ეკიდა.

„ძვესკნელის გველემშაპის საზოგადოება“

ბრძოლით ქანცგანწყვეტილი, უკვე ბედს შერიგებული ხალხი გველემშაპის ხახაში მიმავალ ნაკადს მიყვებოდა,

ზოგიერთები წინაც კი მიძვრებოდნენ, რომ ამით მაინც გამოეჩინათ თავი და პირველი ჩავარდნილიყვენენ ურჩხულის მუცელში. ტალღამ ეშვებს მიმახეთქა, ხაოიან გამოქცეაბულში შემავდო, ენაზე ფეხი მომიცურდა და ქვევით, ყანყრატოში ჩავსრიალდი.

რომელიღაცა დანესებულების დერეფანში მოვხვდი. ირგვლივ საშინლად დაბუთული, მძალე, გულისამრევი ჰაერი იდგა. ტყავის შავ-მოყავისფრო კარებიდან საბეჭდი მანქანების კაკუნი გამოდიოდა. დერეფანი ხალხით იყო გაჭედილი. ზოგი ბოლთას სცემდა, ზოგიც საქმიანად მიდი-მოდიოდა. დერეფანი წყდებოდა ძველ, დახავსებულ კართან, სადაც ხალხის რიგი იდგა. კარს ეწერა:

„ურჩხული.“

რიგი გავარღვიე და პატარა ოთახში აღმოვჩნდი.

– თქვენ მსხვერპლად შეწირული ხომ არა ხართ? – სავარძლიდან წამოდგა მკედარივით გაფითრებული კაცი.

– რას ჰქვია მსხვერპლი! – გავბრაზდი.

– ამირანი ბრძანდებით? – თვალეზი გაუბრწყინდა კაცს. – ძალიან სასიამოვნოა. აქეთ მობრძანდით, აქეთ. დილიდან გელოდებით. საუზმეზე უკვე დაგაგვიანდებათ, მაგრამ ვცეცდები სადილისთვის მოგიხერხოთ რამე.

ამ სიტყვებით სახეგაფითრებული კაცი კაბინეტისკენ წამიძღვა.

– ურიგოდ რატომ მიძვრებით? – აყაყანდა ხალხი.

– ჩვენ თანამშრომლები ვართ, – ცივად მოუჭრა ჩემმა მეგზურმა.

– მერე როდემდე უნდა გვაცდევინოთ? ბარემ მოგვინელოს და ვგაა!

– დამშვიდდით, ყველას გამოგიძახებთ. – თქვა კაცმა და კარი მოიჯახუნა.

ურჩხულის კაბინეტთან, კანცელარიაში სავსემკერდიანი მდივანი თელემდა.

- ია! გავიღვიძე, ძვირფასო, შესანიშნავი მოვიდა!

მდივანმა თვალეები მოიფშვინტა.

- დღეს აღარაფერი მოესწრება, - დაამთქნარა, - გუშინ შემოსული ჯგუფები არ აგვითვისებია.

- ეს ყმანვილი „ოლიმპიდან“ არის, ურიგოდ შეუშვი, - სთხოვა გაფითრებულმა კაცმა.

- სულ ერთია, ლოდინი მოუნევს. სადილი ოთხზეა, - გამოაცხადა მდივანმა.

მოთმინება გამომელია, ხანჯალი ამოვიღე და კაბინეტისკენ დავიძარი.

- მიდი, მიდი! - ტაში შემოჰკრა მდივანმა. - ლაპარაკი არ გაუბა, მაშინვე რქებში ეცი! ეგებ გვიშველო რამე!

კარი შევალე და შევედი. კაბინეტი რბილი, ბინდისფერი შუქით იყო განათებული. კომპიუტერის მაგიდასთან თავგასიებული ურჩხული იჯდა და ეილაცას ტელეფონით უყვიროდა:

- არ შემოძლია მარაგი გამოთავდა! მე აქ სიტყვის სახადოები კი არა მაქვს! კარგი ლექსი დეფიცია. საუკუნეში თითო-ოროლას ვანაწილებთ. არა! არ მიმიღია და თვითონ ხომ არ დავნერ? ვიდრე ნედლეული არ შემოვა, ვერაფერს მოგანვდი!

ყურმილი დაახეთქა და მომიბრუნდა:

- რით შემოძლია გემსახუროთ?

- თუ ვაეკაცი ხარ, გამიმავრდი! - აღვმართე ხანჯალი.

- აჰა, ეგა? - გაიცინა, - შეინახე, თუ ძმა ხარ, თავი არ მომჭრა. ნუთუ ასე მარტივად გესმის ორთაბრძოლის აქტი? დღეს ვილა ხმარობს ხანჯალს? ლოგიკაა ბრძოლის იარაღი. მართლა

ხომ არ გგონია, რომ შეგჭამ? გადატანით მნიშვნელობა არ გავიგია?

ნელ-ნელა მივუახლოვდი.

- გაჩერდი-მეთქი, ნუ სულელობ. - შიში გაკრთა მის ხმაში, - ნუ თამაშობ მოდიდან გამოსულ გმირს, ნუ მისტირი წარსულს. არ გინდა, ხასიათი გამოგისწორო? კარგად დაგლეჭო, გადაგამუშავო და თავიდან გამოგძერწო? ნაწარმოებიც მოიგებს, შენც გაბედნიერდები.

ხანჯალი მოვუქნიე, მაგრამ სწორედ ამ დროს ტელეფონმა დარეკა.

- ერთი ნუთით! - შემაჩერა და ყურმილი აიღო. - გისმენთ! არ შემოძლია, ორთაბრძოლა მაქვს!

დაკიდა თუ არა ყურმილი, ხანჯლის წვერი ყელზე მივაბჯინე, მაგრამ ყურადღება არ მომაქცია და ახლა თვითონ დაიწყო რეკვა.

- ალო! ინსტიტუტია? დამავიანდება, ორთაბრძოლა მაქვს. რაო? ხომ არ გავიწყდებათ, ვინა ვარ? ხანდახან ჩემი საქმეც ხომ უნდა გავაკეთო?

ხანჯალი მივაჭირე. ლაბაბი გაეჭრა და სისხლის ნაცვლად რალაც მყრალი, მომწვანო სითხე გადმოლეკარა პერანგზე. აყვირდა სირენა.

- პირდაპირი ხაზია, - კანცელარიიდან გაისმა იას ნარნარი ხმა.

ურჩხულმა ქრილობაში ცხვირსახოცი ჩაიფინა და შავი ტელეფონი აიღო.

- გისმენთ! ყოფნა-არყოფნის ბალანსი გაინტერესებთ? ბედისწერის ნიღში იქნება. - ამ სიტყვებით თაროდან დაეთარი გადმოიღო, ანბანს თითი ჩააყოლა და რომელიღაც ასოზე გადაშალა. შემდეგ ხანჯალი ხელიდან გამომტაცა და ის ფურცელი ფრთხილად ამოჭრა.

- ახლავე მოგართმევთ!

ყურმილი მონინებით დადო. მომიბრუნდა.

– ბრძოლა გადადებულია. ვერ ხედავ, გამოძახებული ვარ.

ისე მშვიდად მოიწმინდა ოფლი, ისე შემაქცია ზურგი, თითქოს არც ვარსებობდი, მაგრამ შიშს მაინც ვერ სძლია და წამით თვალი გამოაპარა ჩემკენ.

ამით ვისარგებლე. მომაქცია თუ არა ყურადღება, რქებში ვწვდი და კისერი მოუფრახე. ურჩხულს ნილაბი ჩამოუვარდა და ხელში ბატონი ზევახი შემჩრა!

– არ დამღუპო! – იღრიალა და მუხლებში ჩამივარდა. – არსად წამოგცდეს, რომ შეთავსებით ურჩხულად ვმუშაობ. მაშინვე მომადრობენ!

– ხელნაწერი დამიბრუნე, თორემ გაგათავებ! – დავემუქრე.

– ახლავე, ახლავე, – ჯიბეში ხელი ჩაიყო და რალაც მოჩხრიკა. – ქვევით ჩავიდეთ, არქივში.

კაბინეტიდან გამოვედით და კანცელარია გავიარეთ. საბეჭდ მანქანაზე თავმიდებული ია გამაყრუებლად ხვრინავდა. დერეფანი უკაცრიელი იყო. მხოლოდ ჩემი მეგზური, მკვდარივით გაფითრებული კაცი აპრილებდა იატაკს.

– არქივის გასაღები მომეცი, სამუშაო მაქვს, – თვალი ჩაუკრა ზევახმა და გასაღებების ასხმა გამოართვა.

დერეფანი გავიარეთ და ქვევით, ბოქლომდადებულ კართან ჩავედით. ზევახმა შიფრი აკრიფა, გასაღები კლიტეს მოარგო და ტყვიის კარი მძიმედ დასძრა.

ბანაჩენი

არქივი პატარა, კოლოფივით ოთახი აღმოჩნდა. ერთადერთ, რკინის გისოსებიან სარკმელზე გაზეთი იყო აკრული. იქედან მთვარის სინათლე იღვრებოდა და ვერცხლისფრად ახავერდებდა ჩამწკრივებულ თაროებს. ია-

ტაკზე წვრილ-წვრილი ასოები ეყარა. კედელი ათასნაირი სიტყვებით იყო მოჩუქურთმებული.

– აქ უნდა იყოს, – საძიებელი გამოალო ზევახმა და კარტოთეკის უჯრა მომანოდა, – შენ ამირანზე მოძებნე, მე დალიზე ვნახავ.

ზევახმა თაროები შეიანძრია და ძველი, დაობებული ყდებისგან მტერის კორიანტელი ავარდა. სული შემეხუთა. ჰაერი ისე დამძიმდა, რეტი დამესხა და დაუძლურებული სკამზე მივეგდე.

ბარათების გადასინჯვა კი არა, სუნთქვაც კი მიჭირდა. წელი ველარ ავნიე, თვალთ დამიბნელდა. მედუზასავით გამდნარი ზევახი კედელს მღვრიე ლაქად დაედო.

– ვერ ნახე? – მომესმა მისი ხმა, – ვერც მე მოვძებნე. იქნებ სხვის საქმეებშია შემთხვევით ჩარჩენილი.

ზევახის ხელმა მიყოლებით ინყო თაროზე ჩამწკრივებული საქალაქელების ბერტყვა. ფურცლებთან ერთად ძირს ცეროდენა კაცუნებიც ცვიოდნენ. იატაკზე დაცემულნი, ზრდას იწყებდნენ. ერთ-ერთი საქალაქედან ეროსი გადმოხტა, ზევახს ხელზე დაასკუბდა და ქვევით ჩასრიალდა. მეორე „საქმე“ კვირტივით გასკდა და იქიდან ქალბატონმა ვენერამ გადმოაბიჯა. ქალაქებს შორის ჩაკეცილმა თინამ გემრიელად გაიზმორა, ხელ-ფეხი გაშალა და იქვე თაროზე მოიკალათა. აპოლონი ძლივს ააგლიჯეს ფურცლებს, ნესტორი კი ისეთ ღრმა ძილში იყო წასული, რომ ვიდრე „საქმესთან“ ერთად იატაკს არ დაენარცხა, ვერ გამოფხიზლდა, თვალის დახამხამებაში არქივი „ოლიმპის“ თანამშრომლებით აივსო.

– მომიტყვეთ, მეგობრებო, ძილი რომ დაგიფრთხეთ, – ბოდიში მოიხა-

და ზევახმა, — მაგრამ დრო არ ითმენს. მამლის ყვილამდე უნდა გადავწყვიტოთ მოლალატის ბედი!

რისხვით გადმოვხედა და განაგრძო.

— ეს ვაებატონი რახანია მეგრძვის, სამარეს შითხრის და ამით მე კი არა, მთელ ჩვენს მოდგმას ლალატობს!

— გამოძიებამ დაადგინა, რომ ამირანი არ არის ჩვენი მოდგმის, — წამოხტა ეროსი. — იგი გახლავთ ქალღმერთ დალისა და მონადირის შვილი.

— გაავსეს ინსტიტუტი ამ გადამთივლებმა, — ჩაილაპარაკა ვენერამ.

— ჩამოეთრევიან ცხრა მთას იქიდან და მოსვენებას გართმევენ, — თავი გააქნია ნესტორმა.

— მე ვიცოდი ამის შესახებ, მაგრამ თვალს ვხუჭავდი, — განაგრძო ზევახმა, — მინდოდა ჩვენს ადათ-წესებზე აღმეზარდა, „ოლიმპის“ სამსახურში ჩამეყენებინა, მაღლობის მაგივრად კი ამ უმადურმა ბრძოლა დამიწყოს!

— საქმეს მაინც აკეთებდეს, — დაამატა თინამ. — მასალის შეგროვებაში მაინც გვეხმარებოდეს. წერს მხოლოდ შთაგონებით, შეკვეთების გარეშე.

— რა არის ამაში ცუდი? — ეჭვით თავი გააქნია მედეამ.

— ცუდი ის არის, რომ ხვალ მისი სიტყვით ანთებულმა ბრბომ შეიძლება გადაწვას და დაანგრის ყველაფერი, — თითი ასწია ნესტორმა.

— მართალს ბრძანებთ, — დაეთანხმა აპოლონი. — შემოქმედება ისეთი ცეცხლია, რომ ის მუდამ კეთილგონიერების ცხრაკლიტულში უნდა გყავდეს გამომწყვდეული.

— თენდება, — საათს დახედა ზევახმა, — დროა განაჩენი გამოვიტანოთ.

— თავი მოვჭრათ, — წინადადება შემოიტანა თინამ.

— არ შეიძლება, — ხელი გაასავსავა

ზევახმა. — ხალხი მის მხარეზეა და აქეთ მოგვჭრის თავს. ისეთი რამ უნდა დაუმართოთ, რომ ჩვენ არაფერ შუაში ვიყოთ.

— შეიძლება? — თითი ასწია ნესტორმა.

— ბრძანეთ, — დართეს ნება.

— თავს უფლებას მივცემ და შეგახსენებთ, რომ მე „ოლიმპის“ მთავარი ექიმი ვახლავართ. გაცნობის დღიდან ვაკვირდები ამირანს და ვგრძნობ, რომ მას სჭირს ღვიძლის უკურნებელი სენი.

— მშვენიერია! — ტაში შემოჰკრა ზევახმა. — ამ დიაგნოზით დაწვება იგი ჩვენს კლინიკაში და თუ არ მოკვდა, სამუდამოდ მაინც მიეჯახება ლოგინს.

შემდეგ ნესტორს მიუბრუნდა და დაამატა:

— შეავსეთ ავადმყოფის ისტორია და გამოუძახეთ სასწრაფოს.

ნესტორის კლინიკა

ამ განაჩენის შემდეგ მართლაც აუტანელი ტკივილები დამეწყოს ღვიძლის არეში. უპაერობისგან ისე მივუძღლურდი, სკამიდან ველარ წამოვიწიე და სანიტრებმა რის ვაი-ვაგლახით დამდეს საკაცზე, ლიფტში შემაგორეს და ზემოთ ამიყვანეს, მანეჯზე, სადაც უკვე გველოდებოდა სასწრაფო.

გათენებამდე ვიარეთ. სასთუმალთან ნესტორი მეფედა და წამდაუნუმ მაჯისცემას მითვლიდა. ის იყო მზის სხივმა გაარღვია სალონის ბინდი, რომ ბიძგი ვიგრძენი; მანქანა მკვეთრად დამუხრუჭდა და გვერდზე გადახრილი, გაქვავდა.

„ოლიმპის“ შენობას უკანა მხრიდან მივადექით. ოღონდ მთავარი კორპუსის ნაცვლად მინამენში შევედით, სადაც კლინიკა იყო გახსნილი. გავიარეთ

აქოთებული დერეფანი, გავჩერდით მიმღებში, სადაც ტანსაცმელი გამხზადეს და ჭრელი, დაძონძილი ხალათი გადამაცვეს. ნესტორმა ჩემი ავადმყოფობის ისტორია შეავსო და ბრძანა:

- რეანიმაციაში!

უკან დამაბრუნეს და დერეფნის ბოლომდე მიმაგორეს. ტკივილი ღვიძლიდან დაიძრა, მთელ სხეულს მოედო.

- აქეთ, - ნესტორი ცარიელ პალატაში შეგვიძღვა.

კედელზე ღვიძლის აგრეგატი იყო ჩართული. რეზერვუარში სისხლი ტრიალებდა. თხელი კაპილარები დენის გენერატორიდან იღებდნენ სათავეს. ფეთქებოდნენ და ქრებოდნენ ათასნაირი ნათურები ნალველი წვეთწვეთად იღვრებოდა ზონდიდან მიღებში. მარცხნივ და მარჯვნივ ჯაჭვები ეკიდა.

სანიტრებმა კედელთან დამაყენეს და ხელეზე ბორკილები დამადეს. ჯაჭვებთან ერთად მავთულები მომახვიეს და ღვიძლის აგრეგატში ჩამრთეს. ნესტორმა სახელური გადაატრიალა და მუცელქვეშ დენმა გამიბრინა. ბასრი ტკივილი ვიგრძენი.

- გტკივა? - ოფლი მომწმინდა ნესტორმა. - გაუძელი. ეს ელექტრომასაჟია. სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს.

კარი გაიღო და პალატაში მნახველები შემოვიდნენ. მიხაკებით ხელდამშვენებულნი შემოგოგმანდნენ სილამაზის სალონის ქალები თავიანთ მშვენიერ დედოფალთან ერთად. აპოლონმა ფოტოაპარატი შემოიტანა და სურათი გადამიღო. ნესტორმა საჩვენებელი ჯოხი მუცელზე მომადო, ჩაახველა და დაიწყო:

- თქვენ წინაშეა მტაცებელთა ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენელი. იგი დაბადებამდე ამოკვეთეს დედის

მუცლიდან და გაახვიეს ხარის ფაშეში. ბავშვთა წარმოების წესის დარღვევამ მოგვცა წუნი: დაზიანებული ფსიქიკა და გადაგვარებული ღვიძლი. მომატებული ნალველი მას გულში აქვს დაგროვილი, რაც იწვევს სულიერ ძვრას. იგი ხდება აგრესიული, დაუნდობელი და ავი...

- მკურნალობის რა მეთოდს მიმართავთ? - შეაწყვეტინა ვენერამ.

- ელექტრომასაჟს, - უპასუხა ნესტორმა. - დირექციასთან შეთანხმებით განზრახული გვაქვს დენის თანდათანობით ზრდა, ვიდრე მუხტი მეხივით არ დაეცემა და არ დაავინყებს წარსულს.

- თავად როგორ გრძნობს თავს? - დაინტერესდა ეროსი.

- სისხლი უდულს, - ისტორიიდან ამოიკითხა ნესტორმა. - გაძლიერებული წყურვილი აქვს თავისუფლების. ლამის განყვიტოს ჯაჭვი. მუცლის არეში ჩხვლეტებს უჩივის. გრძნობა არ დაუკარგავს. მიმდინარე მომენტში თვლემს.

აპოლონმა ბლოკნოტი ამოიღო და პკითხა:

- რაიმე ორიგინალურ და საინტერესო ტკივილს ზომ არ გრძნობს?

- არნივის სინდრომი დაუფდგინეთ, - ისევ ისტორიას ჩახედა ნესტორმა. - ეჩვენება, რომ გულზე არნივი აზის და ღვიძლს უკორტნის.

- ეგ უკვე მოძველებულია, - ხელი ჩაიქნია აპოლონმა.

მედვა მომიახლოვდა და ხელზე მომეფერა.

- ნამდვილი გმირი ხარ, - მითხრა.

- ცოტა მოითმინე, გაუძელი და შურისძიების ყამიც დადგება.

- ლალატია, ძმებო, - აყვირდა ნესტორი და მედავს მიუბრუნდა. - სირცხვილი არა გაქვს? მანუფზე, რეპეტი-

ციის დროს სულ სხვა ფრაზას ამბობდი!

- არ მოუსმინო მაგ აღქაჯს, - შემევედრა ვენერა, აღიარე დანაშაული და ყველაფერს გაპატიებენ.

- არა! - ვუპასუხე. - ბოლომდე შევესვამ ტანჯვის იმ ფილას, რაც ბედმა მარგუნა!

- რადგან თავისას არ იშლის, გაზარდეთ დენი! - გაისმა რადიოდან ზევახის ბრძანება.

ნესტორმა სახელური გადაატრიალა. ოთახი შეზანზარდა. მნახველები გარეთ გავარდნენ. პაერი ელვამ გაკვეთა და გონება დაეკარგე.

თვალი რომ ავახილე, თავს ნესტორი მედგა და წნევას მიზომავდა.

- ასე შეიძლება ავადმყოფის წვალება? - ბურანში ჩამესმა ნაცნობი ხმა და კარს დადებულმა ლაქამ ნელ-ნელა ზევახის კონტურები მიიღო. - ექიმი ხარ თუ ჯალათი? - შეუყვირა ნესტორს. - გაეთრიე აქედან!

შეშინებულმა ნესტორმა უკან დაიხია და კარი გაიხურა.

- რა დღეში ჩაგაგდო ამ გადარეულმა! - თქვა ზევახმა და პირიდან სისხლი მომწმინდა. - ვის რად უნდა შენი ტანჯვა? ოღონდ დერთი სათხოვარი მაქვს, ნუ გამანბილებ.

ოდნავ შეიცადა და განაგრძო:

- შენი სტრიქონები ვერ ამოვიკითხე, არადა, ვგრძნობ, რომ სწორედ ისინი მაკლია. მათი სიმწვავე მჭირდება, მათი სიმზურვალე. იქნებ მომეხმარო?

- ვერაფერს გიშველი, - ვუპასუხე, - შენს წყალნარევ სიტყვებს ცეცხლი არ წაეკიდება.

- სამარეში მიგაქვს შენი საიდუმლო? - ხმას აუნია. - გამანდე ხელნაწერის აზრი და სიცოცხლეს გაჩუქებ. იასონს უკვე დავავალე შენი განთავისუფლება.

უარის ნიშნად თავი გადაქნიე.

- ახია შენზე, რაც მოვიცა! - დამიყვირა. - ქვესკნელში ჩაგაგდებ! ფერფლად გაქცევი! შენს სახსენებელს მოუსპობ!

ზევახმა ლილს თითი დააჭირა. კედელი მოირღვა, იატაკი გასკდა, მაგრამ ვიდრე ცის რისხვა მიწაში ჩამიტანდა, კარი ანჯამებიდან ამოვარდა და ოთახში ქერათმიანმა ქალმა შემოაბიჯა. მის დანახვაზე ზევახი შიშით აცახცახდა, კედელს აეკრა. ქალს საოცრად ნაცნობი სახე ჰქონდა. მისმა სურნელმა თავი ახადა მოგონებების სკიერს და სახელი მოუძებნა იმ იდუმალ ნაცნობს. „დალი“ - ვთქვი გულში და თვალი დავეხუჭე. ქალი მომიახლოვდა, მომეხვია და ჯაჭვები თავისით დამცვივდნენ. ნამოვდექი და სკამს წამოვავლე ხელი.

- არ მომკლა! - დამიყვირა ზევახმა. - ისედაც მკვდარი ვარ! გული გამისკდა შიშით!

ამ სიტყვებით რაფაზე აძვრა, ფარდა გადასწია და ფანჯრიდან ისკუპა.

- დალი! - დავიჩურჩულე და ხელი გავინოდე.

- დროს ნუ კარგავ, - მითხრა ქალმერთმა. - შენი სტრიქონები სხვენზე ინახება, სახურავის ქვეშ.

ხანძარი

საავადმყოფოდან გრძელი შუშაბანდით მალლივ კორპუსში გადავედი. შესვენება დაიწყო და თითო-ოროლა ნაცნობი თუ გაიელებოდა დაცარიელებულ შენობაში. კიბეზე იასონი შემეფეთა. სულს ძლივს ითქვამდა. სახეზე ოფლი ჩამოსდიოდა.

- რატომ აინყვიტე! - შეპყვირა. - როლი დაგავინყდა? შენი ჯაჭვები მე უნდა დამემსხვრია?

- საკმარისია, - ვუთხარი, - მეტს აღარ ვთამაშობ.

- შენი ნებაა, - მხრები აიჩეჩა, -
ოღონდ თამაშიდან გასვლის წინ, ხელ-
ნანერი მაინც მაჩვენე.

- ნამომყვეი, - ხელი ჩავჭიდე.

ლიფტის კართან ბადრი დაგვხვდა.
როცა გაიგო, რომ სხვენზე, დირექტო-
რის კაბინეტში ვაპირებდით ასვლას,
თავ ზარდაცემულმა უკან დაიხია, მაგ-
რამ ერთგულებამ სძლია შიშს და სა-
მივე ერთად შევეუდევით ხელნანერის-
კენ მიმავალ აღმართს.

ლიფტი გრუხუნითა და ჭრიალით
დაიძრა, მაგრამ ბოლო სართულამდე
ვეღარ აბობლდა და შუაში გაიჭედა.
ვიღაცამ სინათლე გამოგვირთო. კაბი-
ნას სახურავი ავხადეთ და ბეტონის
დოლაბში, რკინის ბადეზე ავეცოცდით.
ჭაში ჩავიხედე. თავბრუ დამეხვა. რუხ-
მომწვანო წყვედადში ბუნდოვნად ანა-
თებდა ლიფტის ჩონჩხი. ჩხაკუნე მო-
მესმა და ბადე შეზანზარდა. ოფლმა
დამასხა. მივხვდი, რომ შუქი ჩართეს
და ლიფტი ჩვენს გასასრესად დაიძრა.

- ჩქარა! - დავუყვირე ძმებს. - სა-
ხურავზე ავასწროთ!

სულმოუთქმელად ავეცოცდი ზე-
ვით. ხელი დამისისხლიანდა მავთუ-
ლებზე; ლიფტი კი გრუხუნით გვიახ-
ლოვდება, ცოტაც და ბალღინჯოები-
ვით მიგვასრისავს კედელს; უკვე ჩა-
ვიქნიე ხელი, აზრი აღარ ჰქონდა გაქ-
ცევას; აღსასრულის მოლოდინში თა-
ვი ჩავლუნე და უეცრად შევნიშნე, რომ
ქვევით, კუთხეში ბადე გახეული იყო!

- აქეთ! - დავუყვირე იასონსა და
ბადრის.

ბენზე გავასწარით. ბადეში გავძ-
ვერით და ლიფტიც ამოვიდა...

სახურავქვეშ, ზედ სხვენთან აღ-
მოვჩნდით. გადმოცემით ვიცოდი, რომ
სადღაც აქ ზევახის კაბინეტი უნდა
ყოფილიყო, სადაც მხოლოდ განყოფი-
ლების გამგეები იკრიბებოდნენ და
ქვეშევრდომთა ბედ-იღბალს წყვეტდ-

ნენ. ნაბიჯი გადაედგი და სიჩუმეს ყუ-
რი მიეუგდე. ჯერ შრიალი მომესმა,
შემდეგ რალაცამ გაიჭრიალა და ვიღაცამ
ჩაახველა. სიჩუმესთან ერთად
წყვედადიც დაირღვა და თვალმა თან-
დათან გაარჩია ბნელით მოცული
სხვენი, საიდანაც ათასნაირი მავთუ-
ლები ეშვებოდნენ. კედელთან რალაც
მექანიზმი გუგუნებდა და უზარმაზარ-
ი ბორბალი ტრიალებდა. იქვე თოფ-
მომარჯვებული თინა იდგა და ბოქ-
ლომდადებულ კარს დარაჯობდა. მი-
ვეპარე და იარაღი ხელიდან გამოვტა-
ციე.

- გააღე, თორემ გაგათაყებ, - ვა-
ნიშნე ბოქლომზე.

- გინდ ზევახს მოუუკლივარ, გინდ
შენ, - დაიღრეჯა.

იარაღი მივაღე. ქალმა საკიძე შე-
იხსნა და უბიდან გასაღები ამოიღო.

გავაღე თუ არა კარი, არემარე მზე-
სავით განათდა. ოთახის ფანჯრიდან
არ იღვრებოდა ეს შუქი, მას ვეებერ-
თელა მაგიდაზე გაშლილი ხელნანერი
აფრქვევადა.

- ქვევით არ ჩაიტანო! ინანებ! -
მომდევდა თინა შემოთთებული ხმით,
მაგრამ მე უკვე ანთებული სტრიქონე-
ბით ხელში კიბზე ჩავრბოდი, ჩავრ-
ბოდი და ვგრძნობდი, რომ გამიქრა ში-
ში, გაიფანტა სულის წყვედადი და ნა-
თელმა ძალამ ამავსო, შემამსუბუქა,
გამიტაცა...

მთელი „ოლიმპი“ ფეხზე დამხვდა.
სისხლისფრად განათებულ ჰოლში
თავი მოეყარათ ჩემზე დაგემილ მეომ-
რებს. აპოლონი და ეროსი; ვენერა და
ნესტორი; დირექტორის მძლოლი ჰერ-
მესი და პირადი მდივანი ია - ყველანი
მუშტებს მიქნევდნენ და ერთ ტალღად
შედედებულნი, რისხვით მოინევდნენ
ჩემზე. მათ უკან ზევახი იდგა და ჭე-
რიდან ჩამოშვებულ მავთულებს ათა-
მამებდა ხელში. ახლალა შევნიშნე,

რომ „ოლიმპის“ თანამშრომლები ამ მავთულებზე იყვნენ აცმულნი. თვით ბატონი ზევახი, უამრავ ძაფში გახვეული, აბლაბუდასავით მოსდებოდა კედელს.

– მოძალადე გვესტუმრა, ძმებო! – გაისმა მისი მქუხარე ხმა. – ხელნაწერი მომტაცა! შემომფიცეთ, რომ არ შემეაჭმევთ გამტაცებლის ჯავრს!

შუშის კედლები შესძრა ყვირილმა. კიდევ უფრო განითლდა, გაფარვარდა სიბნელე.

– გავიქცეთ! – ჩამჩურჩულა ბადრიმ.

პასუხის ნაცვლად ხელნაწერი გაეშალე. მარადჩაუქრობელი ჩირაღდანი მივიანათე ჯარს. სინათლემ ბნელს გამოგლიჯა ჩემდამი ზიზლით და სიძულვილით დალდასმული სახეები, საავდროდ შეყრილი ნარბები და რისხვით დაბრმავებული მზერა. კითხვა დაეიწყე.

– არ მოუსმინოთ! – სადავეები დაიქნია ზევახმა და ჩემსკენ დასძრა თოჯინების ჯარი, მაგრამ ჩემი სიტყვა ყურს კი არ ხვდებოდა, გულს ედებოდა ცეცხლივით. ვკითხულობ და ვგრძნობ ამ ცეცხლის ძალას, მის სიმხურვალეს. ვხედავ, როგორ იცვალეს ფერი ძაფზე აცმულმა თოჯინებმა. საღებავი გალღვა, შტრიხები ნაიშალნენ და ბრაზით დაღრეჯილი ნიღბების უკან აზრით განათებული სახეები გამოჩნდნენ. ხელნაწერის ალმა კედელი შთანთქა და ფერფლად აქცია ჭერიდან ჩამოშვებული ძაფები.

– რატომ არ ებრძვიოთ! – ჩექმის ყელიდან მათრახი იძრო ზევახმა და თავის კაცუნებს ცემა დაუნყო, მაგრამ აპოლონმა იმარჯვა, მათრახი ხელიდან გამოგლიჯა და შორს მოისროლა.

– დამთავრდა ნარმოდგენა! ახდა ჩემი სიზმარი! – თითი ასწია ნესტორმა.

არ მახსოვს, რა მოხდა შემდეგ. მახსოვს მხოლოდ ის, რომ რისხვით ანთებულმა ბრბომ დაგლიჯა ვადაშწვარი მავთულები. ჭერი გასკდა, ჩამოირღვა და სახურავექვეშ თოჯინების სამართავი მექანიზმი გამოჩნდა.

– ეს მანქანაც უნდა დავამსხვრიოთ, თორემ ხვალ ვილაც ვადარეულმა შეიძლება თავიდან ჩართოს!

სიტყვაც არ მქონდა დამთავრებული, რომ ზემოდან საშინელი გრუხუნნი და მტვრევის ხმა მოგვესმა. სხვენიდან თინამ გადმოიხედა და ლერძიდან მოგლეჯილი ბორბალი ძირს გადმოაგდო, ამწე-მექანიზმს ჯაჭვი ახსნა და ხელი კრა.

უზარმაზარი მანქანა გამაყრუებელი ზათქით დაიმსხვრა მარმარილოს იატაკზე. ძლივს მოვასწარიოთ ეზოში გაეარდნა, რომ გაბზარული კედლები დასკდა და „ოლიმპის“ გრანდიოზული შენობა ნაჭრის კარავივით ჩამოიქცა.

– რას ჩადიხართ! – ცოფებს ყრიდა ზევახი. – ამის აშენებას შევალე ცხოვრების საუკეთესო წლები. ასე უნდა დააფასოთ ჩემი შრომა და ამაგი?

– რაც შენგან სიავე მახსოვს, ყველაფერს გაზღვევინებ. – ქვას ნამოავლო ხელი აპოლონმა.

დირექტორს ყოველი მხრიდან დააყარეს ქვები, მაგრამ მან გაქცევის ნაცვლად ჩემკენ ისკუპა, ხელი გადამიგრიხა და ფურცლები გამომგლიჯა. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ გონს მოსვლაც ვერ მოვასწარი.

– არ გაინძრეთ! – იყვირა და აღმოდებული სტრიქონები შეაფრქვია ბრბოს. – ყველას ვაგაქრობთ, ნაგშლით, ასო-ასო აგკუნავთ!

უკუიქცა ხალხის აღრიალებული ტალღა. ქვები გადაყარეს და შიშით გაქვეავდნენ. ზევახმა დამცინავად შემოგვხედა, ხელნაწერი უბეში ჩაიდო

და „ოლიმპის“ ნანგრევებს სწრაფად გადააბიჯა.

– შინ არ მიგვასწროს, თორემ მუქარას აასრულებს. – სადღაც სიღრმიდან მომესმა საკუთარი ხმა და გაქცეულს დავედევნე.

ფარდის უკან

უნდა ავხადო იდუმალებას ფარდა! გადავაბრუნო ნაჭრის ქალაქი, რომლის სარჩულზეც ჩემი თავგადასავლის აზრია გამოსახული! უკვე ახლოს ვარ მიზანთან. განცდა ისეთი მაქვს, თითქოს რაღაც მოირღვა, განთავისუფლდა ჩემს არსებაში, თითქოს გავარღვიე ზმანების უხილავი გარსი და სხივთა თამაშიდან სიცხადეში გადმოვაბიჯე.

მზე ჩადიოდა ფიქრის გორაზე. ქარი გლევდა და ძარცვავდა ყვითელი ფოთლებით მოოქროვილ ხეივანს. ზევახი აგურის შენობასთან შეჩერდა, ლობეს გადაახტა და ბნელ სადარბაზოში გაუჩინარდა. ბინდისფერი სახლის სიღრმიდან საბეჭდი მანქანის კაკუნი მოისმა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. ჭიმკარი გავალე და სახლისკენ წავედი.

ღამე იდგა, ჩემს ოთახს რომ მივალნიე. კარი ფრთხილად შევალე და შევიჭყიტე.

ოთახი სივარეტის ბოლით იყო გაფლენილი. სანერ მაგიდასთან ზევახი იჯდა და თავდავიწყებით ბეჭდავდა. აბაჟურის შუქი ცერად ეცემოდა ფურცლებით მოფენილ არეს. იატაკზე მუყაოს თავფურცელი ეგდო. ყდაზე მსხვილი ასოებით ეწერა:

„ფიქრის გორა“.

ქარმა ვახლიჩა ფანჯარა. ქალაქების ტალღამ გამიტაცა და ზედ მაგიდასთან მიმაგდო, სადაც ჩემი ხელნაწერი იყო გამწვანებული. ზევახი მას ლუ-

პით ჩასცქეროდა და რასაც გაარჩევდა, ბეჭდავდა. მაგიდაზე ჩამოვჯექი და თვალი გავადევნე ნაბეჭდ სტრიქონებს. ახლა უკვე აზრი აღწევდა ჩემამდე და ცხადად ვარჩევდი, რა ეწერა შიგ. კი არ ვარჩევდი, ნათლად ვხედავდი საკუთარ თავს, ნაცნობ სახეებს. ჩემი თავგადასავალი გვერდიდან გვერდზე გადადიოდა და ზუსტად აქამდე აღწევდა: მე რომ ოთახში შემოვიპარე და მაგიდაზე ჩამოვჯექი. ზევახმა გააგრძელა ბეჭდვა და ნაიკითხე, რომ მაგიდის კიდედან ჩამოვსრიალდი და ძირს გავიშხლართე. იმწამსვე მართლაც მოვეცურდი პრიალა ზედაპირზე, მაგრამ თავი შევიმაგრე და ხალიჩაზე უვნებლად ჩამოვხტი. ზევახმა მოიხედა და გამწარებულმა მუშტი ხეტოქა საბეჭდ მანქანას.

– რატომ არ მიჯერებ? ვინა ხარ? რა გინდა?

– არ ვიცი, ვინ ვარ, – ვუპასუხე, – ის კი ვიცი, რომ აღარ გვეშინია შენი.

– ვითომ? – ჩაიცინა, – შენს გამოჩენამდე ყველა ხელში მყავდა, ამბავს ჩემს ნებაზე ვმართავდი. ასე არ იყო? – მიუბრუნდა ოთახის ჩაბნელებულ კუთხეს.

იქ ვილაცამ ჩახველა. ახლალა შევნიშნე, რომ კუთხეში უამრავი ხალხი იდგა. ჩრდილის სივინროვის გამო ეს ადამიანები ერთმანეთზე იყვნენ მიკრულნი.

– ნუ გეშინიათ, გადმოდით, – შევძახე მათ.

პირველად იასონმა გაბედა და ჩრდილიდან სინათლეზე გადმოაბიჯა. მას მოყვა ბადრი, აპოლონი, ნესტორი, მედეა, ვენერა, ეროსი, თინა... თვალის დახამხამებაში ოთახი ხმაურითა და ღრინანცელით აივსო.

– რას ბედავთ! – გაცოფდა ზევახი, – უკან დაბრუნდით, თორემ ყველას გაგაქრობთ, წაგულით!

საშლელი აიღო და ტექსტს მიუბრუნდა, მაგრამ ამოშლა ვერ მოასწრო, რომ მაჯაზე თითები მოეუჭირე და საშლელი ხელიდან გავადგდებინე. ქარმა გადარჩენილი ფურცლები მთელ ოთახს მოჰფინა.

– აი, თურმე რას მიპირებდა! – ერთ-ერთი ქალღმერთი დაიჭირა იასონმა და ცხვირწინ დამიდო. სტრიქონებს ჩაუხედე. იმნამსვე ზევახმა სახე იცვალა. მხრებზე მოსასხამი მოიგდო, გრაფინიდან წყალი მოსვა და მონოტონური ხმით დაიწყო:

– რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ლექციიდან, ყმანეილებო? ბედს ვერ გაეტყუვი. მაგალითად? ინებეთ. ჩემს წინ მდგარი იასონი, სადაც არ უნდა წავიდეს, ბოლოს ისევე გემზე ავა და უკეთესი ქვეყნისკენ გაემგზავრება. რა არის ამაში ცუდი? – სათვალე მოიხსნა ზევახმა.

– სიტყვის თამაში, – თითი ასწია ნესტორმა.

– მოსაკლავად გამიმეტა და მას მერე მდევნის, – დაამატა იასონმა.

– ჩემზეც მაგან აგიცრუა გული, – უთხრა მედეამ.

– ვინც მიყვარდა, ის დამავინცა, რაც მეჯავრებოდა, ის შემავყარა! – აპოლონმა ფოტოაპარატი ამოიღო და ფანჯარაში მოისროლა.

– რალას ვუცდით, დავამსხვრიოთ კერპი, მოვსპოთ მისი სახსენებელი! – გრაფინს სტაცა ხელი იასონმა.

– ერთი ნუთით! – შეაჩერა ზევახმა. მოსახმამი მოიხსნა და ნახტომისთვის მოემზადა.

ზევახი განზე გახტა და გრაფინი კედელს შეემსხვრა.

– თავს იკლავთ! – იყვირა. – ჩემი აღსასრული თქვენც მოგიღებთ ბოლოს!

ამ სიტყვებთან ერთად სინათლე ჩააქრო. განათდა მხოლოდ კომპიუტერ-

რის ეკრანი, რაზედაც მთელი სამყარო იყო გამოხატული: ტყით დაბურული მთა, სოფლები, მდინარეები, ქალაქი... ვარსკვლავებით მოჭდილ ცაზე მზე ანათებდა. მზის ირგვლივ პლანეტები ტრიალებდნენ. ზევახმა ხელი გაიშვირა ეკრანისკენ და თქვა:

– ოდესღაც სამყაროს მბრძანებელი ვიყავი. ოლიმპი მაშინ ვეებერთელა მთას ერქვა. ოქროს ხანა იდგა დედამინაზე, მაგრამ გათენდა შავი დღე, ადამიანებს მობეზრდათ ბედნიერება და სიამაყით დაბრმავებულმა მონამ ჩემთან გათანაბრება ისურვა. რა მოყვა ამ აჯანყებას? სიმშვიდე დამისხვრა. განდიდებული კაცუნები ერთმანეთზე ამხედრდნენ. ცეცხლმა და ხავსმა შეჭამა ქალაქები. წარლენამ წაიღო მინა. მაშინ ჩავიქნე ხელი, ჩამოვედი ტახტიდან და წარმოდგენის სამყაროში გადავიხვეწე, რომ სიცხადეში ჩამორთმეული უფლებები სცენაზე აღმედგინა, ძველებურად მეთამამა ქვეშევრდომთა ბედით, მაგრამ ცეცხლი აქაც შემოიპარა და წარმოდგენა აღსდგა ჩემს წინააღმდეგ...

პერსონაჟები უკვე აღარ უსმენდნენ მას. ოთახში ქაოსი ტრიალებდა. პირმესი კენტაერს დააჭენებდა. აპოლონი და თინა ერთმანეთს ეხვეოდნენ. იასონმა ქალი მოგლიჯა. ბადრიმ წიგნების თარო გადმოაპირქვევა და ფურცლებში ჩაყვინთა...

– როგორ მოვტყუვდი! – თავი გააქნია ზევახმა. – ასე უცებ დაივიწყეთ ჩემი ამაგი? ისევე თქვენი სიმშვიდისთვის გიჭერდით აღვირს. თავისუფლება გაცოფებთ, განგრევთ, რადგან არ შეგიძლიათ მართოთ საკუთარი თავი. ველარ გავიგე, რას მამბრალბთ, რა გინდათ ჩემგან?

– სამაგალითოდ უნდა დავსაჯოთ, რომ აღარავინ გაბედოს ჩვენზე ძალადობა. – კლანჭები გამოყო მედეამ.

- თვითონაც ხომ დაილუპებით? - გაგვიღიმა ზევახმა. - თქვენ ხომ ჩემი ხილები ხართ, ჩემი პერსონაჟები და ჩემთან ერთად მოგვლებათ ბოლო. განა შეიძლება უჩემოდ არსებობდეს ის, ვინც ჩემი წარმოსახვის თამაშით შეიქმნა?

- ვაითუ მართალს ამბობს? - ეჭვით თავი გააქნია ბადრიმ.

- თქვენ არა ხართ მისი შექმნილი, - ვუპასუხე.

- ახია ჩემზე. - თქვა ზევახმა, - რბილად გექცეოდით, განებივრებდით და ამიტომაც არ სცნობთ ჩემს ძალას. თურმე არ ყოფილხართ ასეთი ლმობიერების ღირსნი.

ეს რომ თქვა, მათრახი აიღო და ყველას შემოგვეკრა. პერსონაჟები სხვადასხვა მოძრაობაში გაქვევდნენ. მხოლოდ ჩემზე ვერ გაჭრა ჯადომ. ნამოვდექი და ზევახისკენ დავიძარი.

- არ იშლი შენსას? - თავი გააქნია, - გამაგებინე, ვინა ხარ, რატომ ვერ ეტყვი შენს ტყავში?

- მე სწორედ ის ვარ, რადაც შენ მოგაქვს თავი. - ვუპასუხე.

- ავტორის სკამი გინდა წამართვა? - გადმომიდგა სავარძელი, - დაბრძანდი და იბატონე. რას იზამ? როცა შეილი მამაზე ძლიერია, როლები უნდა შეიცვალოს.

- იმისთვის არ ამიწყვეტია, რომ სხვები დაევაბა. - ფეხი ვკარი სავარძელს.

- თამაშის წესს არღვევ? - თავი გააქნია. - შემოქმედის ძალას უარყოფ? რომელია ჩვენს შორის შემოქმედი? - მიუუბრუნდი ხალხს.

ჩვენ ერთნი ვართ - თითი დამიქნია ზევახმა. - მე თუ მომსაუ, შენც დაგეკარგება აზრი.

- ჩვენი ერთად ყოფნა არ შეიძლე-

ბა, - ვუთხარი, - ან მე უნდა ვიყო, ან შენ.

ამ სიტყვებით მათრახი ხელიდან გამოვვლოვ და შუაზე გადავტყევე.

ისევე ამოძრავდნენ ქანდაკებად ქცეული გმირები.

- დროა ჩამოვაგდოთ კერპი, - ავიღე ხელნაწერი, - რა ეკუთვნის მას?

- ნამსხვრევებად ქცევა - იგრილა ხალხმა.

- არ მინდა! - ჰაერში შეხტა ზევახი. - ყველაფერი დაინგრევა! აზრი დაეკარგება სამყაროს! ეს ფიქრის გორაკ გაქრება მიშველეთო!..

წინადადება ველარ დაამთავრა, ხმა ჩაუნწყდა, ფართხალი დაიწყო, თითქოს უხილავ ბადეში გაება. შემდეგ იდუმალი ძალით გატაცებული ციბრუტივით დაბრიალდა, კედლებს მიანყდა, ფანჯრისკენ გაიხყორცნა, რაფაზე შეხტა, ერთი შეშვით და ძირს გადაეშვა.

აფეთქების ხმა გაისმა. ყველანი ფანჯარას მივცვივდით. ქვაფენილზე ზევახის ნამსხვრევები ეყარა. ტან-ფეხი ცალ-ცალკე ეგდო, თავი ქვევით გაგორდა, შემდეგ კედელს შეენარცხა და შუაზე გასკდა.

- ცოცხალი ვარ! - ცხვირზე იჩქმითა ბადრიმ და ირგვლივ მიმოიხედა.

- ამას ვილა დაამთავრებს? - მანქანაში ჩახვეულ ფურცელს ჩახედა თინამ.

- შენ - მომესმა ჩურჩული და არემარე მზესავით განათდა. საამო ჟრუანტილმა დამირბინა სხეულში. ფარდა გაიხსნა და ოთახში დალიმ შემოაბიჯა. კედლებს აეკრნენ აცახცახებული ლანდები. ქალღმერთი მომიახლოვდა, ტექსტს დააცქერდა. განწყვეტილი სიტყვა თავისით ამოძრავდა, გაგრძელდა... და მაშინ მივხვდი, რომ არაფერი ვიყავი ამ მოძრაობის, ამ თავი-

სუფლებს გარდა, რომ სადღაც უკან დამრჩა სიუჟეტში მომწყვდეული საკუთარი თავი და ყოვლისშემძლე ავტორის კერპი.

კარი გამოვალე. მთვარის ხავერდოვან სხივებში მარგალიტით ბრწყინავდა ფიქრის გორა. თვალი შევაპარე მის კონტურს და გული ამიძ-

გერდა სიხარულისგან. მწვერვალზე ისევ მოჩანდა კლდიდან ამოზრდილი კოშკი! სინათლე ისევ იღვრებოდა მისი სარკმლიდან! გარეთ გამოვედი, დამსხვრეულ კერპს გადავაბიჯე და დალის ვაფყევი მთვარის სხივებით მოქარგულ ბილიკზე, მარადიული სიტყვის ნაკრძალში.





შოთა ზოიძე

თეთრი ქალაქი

პოემა

შისავალი

მოდის ამბები ახალთახალი,
დილის ნათელი და ღამის მწუხრი.
შენს შეტს ვერავის ვერ მოვახმარე
ჩემი მაგარი მკლავი და მუხლი.

ჯანდაბას იქით იყოს მალრიბი
და კიდევ უფრო იქით – მაშრიყი.
დროებამ ისე გამალარიბა,
რომ დედოფლებსაც გაეუარშიყდი.

დაირღვა ძველი რიგი და წესი,
დაირღვა ძველი ცხოვრების რიტმი
და რახან ლექსად დაგენერე ესე,
დიახაც სათქმელს ბოლომდე ვიტყვი.

ბოლომდე ვიტყვი, რადგანაც ავსებს
ქალაქი ზღვას და ზღვა ჯვარცმულ
ქალაქს,
როდემდე უნდა გასტანოს ასე,
სად არის უფლის ნება და ძალა?!

ამიერიდან ვიქნებით ერთად
მე და ბათუმის ძველი უბნები.
აქ შეჯიბრია ხმათა და ფერთა,
აქ ხეც კაცივით გესაუბრება.

შემოვიაროთ, მკითხველო, ერთად
თეთრი ქალაქის თეთრი ქუჩები,

შენზე ვფიქრობდი, იცოდეს ღმერთმა,
მაშინაც, როცა იყავ უჩემოდ.

ბოლოს და ბოლოს უნდა შეგვინდოს
მის შიშველ სულში ხელის ფათური,
გზა მშვიდობისა, ჩემო შეგირდო,
აგერ – შენ, აგერ – შენი ბათუმი.

1. ქართლოსის სისხლი

ჯერ იყო ზღვა, უდაბური ალაგი
და თითქოს ზღვიდან დაიბადა
ქალაქი.

ჯერ იყო პონტი, მერე იყო პორტი.
მერე პორტი – ფრანკომ მოკაზმა –
მორთო.

და როცა აშენდა, და როცა
დამშვენდა,
ამბავი ჩავიდა სტამბოლის ფაშებთან.
ამბავი ჩაუტანეს რუსების მეფეს,
აუშვეს ძალღები და ახლაც ყეფენ.

ბათუმი ომის ასპარეზი გახადეს,
ბრძოლაში ხმალი გაუცედა კახაბერს.

ქოროზი ნითლად შეღება სისხლმა,
თავზე დაგვატყდა ბრაზი და რისხვა,

და იყო გლოვად წელი სამასი,
გონიოს ახსოვს ცრემლი საბასი.

დაძრწოდა სიკვდილი, მშიერი –
მგელი.
სისხლმა შეღება კახაბრის ველი.

როგორც კალია, რუსი და თურქი,
ქვეყანას მოედო და სადმე თუკი
ალაფი ნახეს, გაზიდეს თუნგით,
თაფლი, თამბაქო, ყურძენი, ტუნგი.

რუსთა ხელმწიფე, თურქთა
სულთანი,
ეცილებოდა ისევე ერთმანეთს,
ბათუმისათვის ეცილებოდნენ
უფალს კი გულში ეცინებოდა.

ლამის გაგვტეხა ბუნების რისხვამ,
ლამის დაგვრთგუნა სიკვდილის
შიშმა,
ვიდრე იყვილა ქართულმა სისხლმა,
ვიდრე იქუხა ქართლოსის ფიშმა.

2. ზღვა და ნიჟარა

შავი ზღვა, თეთრზე თეთრი ბათუმი,
შავი ზღვა, თეთრზე თეთრი ნიჟარა,
მე ახლა სათქმელს განგებ
ვართულებ,
და არც მკითხველი არ მყავს მშიშარა.

“ქალაქმა – მთელი ქვეყნის ფანჯარამ –
აღმოსავლეთით და დასავლეთით”
მე სიყვარულის შხამი მაჭამა
ფიქრიც მაჩუქა, თოვლივით თეთრი.

თავქვე ეშვება ყოროლისწყალი,
მასთან მივდივარ, როგორც მეთევზე,
წუთისოფელზე ვარ შემომწყრალი,
და უფრო მეტად – ზოგიერთებზე.

მიიზღაზნება ღამე ბებერი,
ღამე, რომელსაც ველარ ვაღმერთებ,
დაეპატრონა ქალაქს ცერბერი
და სისხლიანი დროშა აღმართა.

კარი გავუღე ამ სიმარტოვეს,
ხეები დგანან, როგორც პაეები,
და ნვიმა თავის ნაკვალევს ტოვებს,
შავი ქოლგების პეიზაჟებით.

ღმერთმა მოგვიწყო ყველას გამოცდა,
შენი საზღვრები ფარგლით მოხაზა,
პომადიანმა ქალმა გაკოცა
და ნაკვალევი დაგრჩა ლოყაზე.

მე რატომ უნდა ვიეჭვიანო,
მზე რომ გივარცხნის ოქროს
კრამიტებს,
არ მეგულება შენზე ჭკვიანი,
შენზე სულელი და მიაშიტი.

ახლა სხვა ფიქრი ჩემგან შორს არი,
გრძნეული ფიქრი – ნუკრიმშიშარა,
შენა გაქვს თვალი პატიოსანი
და ხელისგულზე გიდევეს ნიჟარა.

3. მე და შენ

ჭეშმარიტება იყო მარტივი,
როცა დაგერქვა თეთრი ქალაქი,
შენი გულია ბრძმედი მარტენის
და სული – ჩვენი ოქროს მარაგი.

აბრეშუმის გზა – ვერცხლის
მდინარე,
უფრო დიდი და უფრო ღამაზი,
მე შენ გიხილე ცეცხლში მძინარე
და ჩემი თავი შემოგთავაზე.

მე ვაგაღვიძე ცეცხლში მძინარე
და კიდევ მეტისმეტი მომინდა.

მუდამ პირზე სისხლგადმომდინარე,
 მე მოვდიოდი დიდი ომიდან.

მე მოვდიოდი დიდი ომიდან,
 ჯერ ათენიდან, შემდეგ რომიდან,
 მოვედი, მაგრამ ეს გაზაფხული
 შენთვის ძალიან გვიან მოვიდა.

გვიან მოვიდა და შენ გიხილა,
 ზღვისა და მთვარის თეთრი ასული,
 მე ისე მტკივა შენი წარსული,
 რომ შენს ბრძანებას უხმოდ
 ვასრულებ.

შენს ტრადიციას მტერი ვერ მოშლის,
 გამოგიკეთო მინდა გუნება,
 ჩემზე მდიდარი შენს საუფლოში
 ერთიც კი არვინ არ მეგულებს.

ჩემს მოშიმშილე ხალხში ვარიგებ
 სიტყვას, რომელსაც ოქრო ასხია,
 ჩემი სიმდიდრე და სიღარიბე
 შენი დედანის ქსეროასლია.

4. სიზმარი

სუყველაფერზე რიგი და რიგი,
 ასეთი რიგი არასდროს მდგარა,
 რაც გარეთ, ისევე ის არის შიგნით,
 რაც შიგნით, ისევე ის არის გარეთ.

რაც თავი მახსოვს ზღვისპირა
 ქალაქს,
 არ უცხოვრია არასდროს ასე,
 ცხოვრება თავის ცეცხლგამძლე
 კალათს
 ათასი დავიდარაბით ავსებებს.

თავი მოჰქონდა ზღვითა და წიგნით,
 შიმშილისა და წყურვილის ფასად.
 სუყველაფერი წყდებოდა შიგნით
 და მიდიოდა ყველგან და არსად.

და ყველას თვალწინ, დღისით და
 შუისით,

გაჰქონდათ გემებს ღვინო და ნავთი,
 ზღვა ჰქონდა, მაგრამ არ იყო მისი,
 ნაილეს ნავთი და სხვები გათბენ.

თავად კი დიდი ზამთრით გათოშინოს,
 არა აქვს წყალი, წყალი და შუქი,
 და დადის თოვლში ძველი კალოშით
 გადაურჩება ამ ზამთარს თუკი.

კვლავ გაამაგრებს ბუდეს და სოროს,
 ასე თუ ისე, ისე თუ ასე,
 ქვეყანა მაინც იმედით ცხოვრობს,
 გადატანილი ტკივილის ფასად.

მიდი და შენაც იმტვრიე თავი,
 მაგრამ სადაა თავი და ბოლო,
 აღარც ღმერთთა აქ გამკითხავი,
 განმარტოვდა და თავისთვის
 ცხოვრობს.

გარდაუვალი სიკვდილის შიში,
 სუყველა ტკივილს იარას მობანს,
 და იტანს ხალხი წყურვილს და
 შიმშილს,
 სიცივეს, ყინვას და უშუქობას.

ლამეა თეთრი, როდესაც ბნელა,
 დღისით რომ ბნელა, თეთრია ლამე,
 და თავისტკივილს იყურებს ყველა,
 და არ გამოდის სახლიდან გარეთ.

სძინავს და ძილი ფიქრებით ავსებს,
 ველარ იოკებს ნერვებს და ბორგავს
 ქრელი სიზმარი ახურავს თავზე,
 როგორც წვიმაში გაშლილი ქოლგა.

5. აკაკი წერეთელი გათუხი

ყმანვილი ქალები და ვაჟები -
 ჩვენი გიჟმაფი გარიჟრაჟები,

როცა აკაკი აქ ჩამოსულა,
ყველანი სადგურში გამოსულან.

ეტლიდან ცხენები აუშვიათ,
ეტლი ყვავილებით აუვსიათ,
თავად შებმულან ქალ-ვაჟები,
ზოიძეები და ხალვაშები.

ჯეელები და ჯანიანები,
ჯაყელები და ჯაიანები,
ნოღაიდელი და ამალღობელი,
დააკლდებოდა აბა რომელი?!

ასე მიაშბო თიროშვილმა საშამ,
ბოლო გზაზე რომ გავაცილეთ
შარშან.

აკაკი ეტლში ჩაუბრძანებიათ,
საკრებულოში მიუბრძანებიათ,
პოეტს კალამი აუნწევია,
ბათუმზე ლექსი დაუნწერია:

“ვით სპილო არ მნამს სპილოდა,
თუ არ ექნება ხორთუმი,
ისე კავკასი კავკასად,
თუ არ ექნება ბათუმი”.

6. თეთრი ქალაქი

შენ დაინახე მათი შური ჩემს მიმართ,
მათი ზრახვები ჩემს წინააღმდეგ.
გოდება იერემიასი. თ. 3.

ჯერ იყო ფართოდ გამიღო კარი,
თუმცა ვიყავი მეც რადიკალი.
და მხარზე ხელი დამადო როცა,
ჯერ საშვი, მერე საგზური მომცა,

საგზური მომცა, საგზალი მომცა,
მომცა იმედი და ასპარეზი,
პირველი წიგნი დაწერე როცა,
წარმოვიდგინე თავი მთვარეზე.

და როგორც დედას, მას ისე ვენდე,
ისიც შვილივით მივლიდა დღემდე.

თაქვემ დამიდო ბურდღის ბალიში,
ფეხზე ჩამაცვა მატყლის წინდები.
კვლავ გამახსენდა შარშანწინდელი
ამბავი, როცა ფქვილზე გამიშვა.

სახლში მომქონდა ფქვილი და
ბრინჯი,
ვიყავი მუდამ მშვიდი და დინჯი,
მომქონდა ფქვილი და არა ქატო,
მითხრეს – ასე შორს ნახვედი რადო?!

როდესაც გემით მომქონდა პური,
კაპიტანს სტაცეს კანჭებში ხელი,
ჯერ აუნწის ბავშვივით ყური
და შუაზე შანთი მიადეს ცხელი.

არ მოუვიდა ვილაცას თვალში,
ჩემი ხსენება წიგნიერ ხალხში
და ისიც, ცოტა შორს რომ ნავედი,
დაცდილი მქონდა რიცხვი “ცამეტი”.

და მათი ჭკუით ამიგეს წესი,
მაგრამ არ ფიქრობს უფალი ასე,
არ დაელოდნენ ღმერთის განაჩენს,
მკითხველო, სხვა დროს გეტყვი
დანარჩენს.

რადგან არ იყო ეს უმთავრესი,
არც უკეთესი, არც უარესი,
მე მქონდა რწმენა და მას დავარქვი
ბათუმი – ჩემი თეთრი ქალაქი!

7. ჩოლოქი

ან დავიბრუნოთ ჩვენი აჭარა,
ანდა ბათომთან დავტოვოთ ძვლები.
პ. იაშვილი

უფალი ცოტას კიდევ დამაცლის,
ჯერჯერობით კი არ ჩანს ნაპირი,

არ მეგონა თუ ვიყავ მამაცი,
 ასე ერთგული და პირდაპირი.

სუყველაფერი ხდებოდა გუშინ,
 დღეს კი რაც ხდება, გაიგებ ხვალე
 და ნაიშლება სულსა და გულში
 გუშინინდელი ტკივილის კვალი.

დაირეკება დუმილის ზარი,
 სუყველა ეზო-სადარბაზოდან
 და გამართლდება ყოველი ბზარი,
 რომელიც ასე მწარედ გახსოვდა.

ზაფხული მოდის, ზამთარი მიდის,
 გაჭირვებულდა ჯიუტი მარტი,
 დანალმულია ჩოლოქის ხიდი,
 ჩანყობილია გაჭრილი კარტი.

რაც უნდა მოხდეს, ანდა რაც ხდება,
 თავისუფალი აზრი მარცხდება.
 დაეპატრონა ურცხვი ცერბერი,
 ასე უშნო და ასე ბებერი.

მამულს უგანა, უშადიმანა,
 მტერი იძმო და მოძმე გალახა,
 აქ საკუთარი სახე დამალა
 და რუსებს გზები აუტალახა.

თავისი ხალხი მტერთან ჩაუშვა,
 მტერმა კი, განყდა მისი სინსილა,
 არ დააყოვნა, ძალლი აუშვა
 და საქართველოს ნაუსისინა.

უფალი ციდან გვიგ ზავნის ვარდებს,
 ჩამოძონილებს ოქროს ვენახად,
 ნეტა ინფარქტი მომსელოდა ადრე
 და ეს ჩოლოქი აღარ მენახა.

"იქნება, ბევრი რამე იქნება",
 არ გაგვიწყალდეს ოღონდ მელანი,
 მე ვიცი, ასე სალად ფიქრობენ,
 "ბაბუინების" გარდა, ყველანი.

აქ ჩოლოქია, შორს კი ქერჩია,
 ვაი, რომ ძმა ძმად აღარ ვიცანით.
 ბიჭებო, ჩოლოქს ქერჩი გერჩიათ?
 ქერჩიდან ჩოლოქს მტრისგან
 ვიცავდით!

ახლა ჩოლოქთან სამშობლოს ვყიდით,
 რატომ ვაგინყრათ რჯული და
 ღმერთი.
 უბედურება ამაზე დიდი,
 თუ შეიძლება მითხარით ერთი?!

უბედურება ახლა ის არის,
 რომ აქ, ამ ხიდის სიგრძე-სიგანით,
 ჩემს სამშობლოსაც ვერ მივაგენი
 და საქართველო ველარ ვიცანი.

აღამიანის არ უქონდა სახე,
 დრო ტკივილების აღმრიცხველია,
 მას შემდეგ, ის, რაც ჩოლოქთან ვნახე,
 ილიას ძეგლთან გავლა მრცხვენია.

გარდაიქმნება ცხოვრება ხვალ-ზეგ,
 ნულარ გამიხსნით ახალ იარას,
 რადგან ჩემს ძვლებსა და
 ხერხემალზე
 ათასმა რისხვამ გადაიარა.

ისევ ამივსო შხამით ფიალა,
 ზარის კი არა, დროა განგაშის,
 დღეს შადიმანმა ჩამოიარა,
 თუ ლიპარიტი იყო ბალეაში?!

ასე მეგონია, დრო იმეორებს
 თავისთავს, ისევ ისე უცვლელად,
 როდესაც მტერი კოჭებს გიგორებს,
 გეფერება და გელაქუცება.

აქვე ბალია, მწვანე ედემი,
 მგოსნებმა ლექსი უძღვენეს რამდენი,
 ჩოლოქთან შავი ღამე თენდება,
 ჩოლოქთან თეთრი დილა ღამდება.

ქარი ძმამოკლულ ქალივით ტირის,
ასეთი წვიმა არ იყო წინათ
და "ბაბუნებს", მდინარის პირას,
ავტომატების კონდახზე სძინავთ.

ვუყურებ იმით ჩაცვივრულ ღანვებს
და მოთმინების ვაცსებ ფიალას,
დროშა, რომელიც ჩოლოქში დანვეს,
ახლა ბათუმის თავზე ფრიალებს.

8. გაძცვა

და ატორტმანდა ჩვენი ბათომი,
ჩვენი ბათომი მაისის ხვედრი.

პ. იაშვილი

დღეს მე ვარ ჩემი თავის პატრონი,
დღეს მე ვარ ჩემი თავის პატრონი,
დღეს გაიპარა უზურპატორი
და მისამართიც ვეღარ დატოვა.

ვითომ ხატავდა, ვითომ ძერწავდა,
მტრისას ყოველი, რაც მას ეწადა,
ხალხს და ქვეყანას იმდენს პარავდა,
ნეკი თითვიით დაპატარავდა.

დაცარიელდა, როგორც ვაგონი,
ვერ მოვიგონე მისი ტიტული,
ის ზოგიერთებს ლომი ეგონათ,
მაგრამ გამოდგა ლომის ფიტული.

9. მოჭრილი მკლავი

მაისი ყველგან არის მაისი,
მაგრამ ბათუმი მაინც სხვა არი.

ტ. ტაბიძე

თითქოს აიდგეს ენა ზარებმა,
სხალთის ზარებმა და მავთულებმა,
ზარის ხმასავით მიემგზავნები
სამყაროს ყველა მიმართულებით.

წარბები გახსნა პორტის შუქურამ,
ასიათასი იწვის სანთელი,
გემების გასვლას უნდა ვუყურო,
როგორც ღამეში ციციანთელებს.

რადგან შენა ხარ ჩემი ბატონი,
მე მინდა ვიყო შენი მინდია,
მინდა ვიცნობდე ყველა ბათუმელს,
იმათაც, შენგან შორს რომ მიდია.

ტკბილო დედავ და დედაქალაქო,
მეც მინდა ვიყო შენი ზვარაკი,
იების ენით გელაპარაკო
და ყვავილებით მოგამარაგო.

თენდება. ქრება სახლებში შუქი,
სახლები თავად ახელენ თვალებს,
მე ბედნიერი ვიქნები თუკი,
შეეუყვარდები ბათუმელ ქალებს.

ალამაზებენ მთვარის დარბაზებს
და რახან უფლის ნებას ვასრულებ,
დაუუნნავ გვირგვინს ძალზე
ლამაზებს,
ქალბატონებს და მთაერის ასულებს.

ერთი მათგანი მოვა და მკითხავს, -
ვისია შაშვი ბალში რომ ვალობს?
ვიცი, რომ კიდეც ვიცოცხლებ
დიდხანს
შაქოხიანი შაშვების გამო.

ალარც ჩოლოქი გადაღობილი,
ალარც ფილები გადაღობილი,
ბედნიერი ვარ, რომ შენს ქუჩებში
მაქვს სურათები გადაღებული.

შენი გზა ახლაც ხიდია ბენვის,
ჩატეხილ ხიდებს ალარც კი ვითვლი,
და შენს გამოა, გული რომ მენვის,
როგორც ლუმელზე მიმწვარი თითი.

მეწვის და მაინც ყოველდღე მკლავენ,
ალარც შაბათი და ალარც კვირა,
თითქოს მომირჩა მოჭრილი მკლავი
და მოსაჭრელი მეწვის და მტკივა.

შენმა სურვილმა ისე ამტეხა,
თითქო უფალთან გზა ჩამრაზოდეს,
ვიყავი შენთან პურის გამტეხი,
სიტყვის გამტეხი კი არასოდეს!

10. პაპიანი წვიმაში

ახლა ისეთი წუთი მოვიდა,
მსურს გაგაგონო ჩემი ქართული.
არ ვიცი რატომ, ახლა მომინდა
ახლა მოვიდეს წვიმა ბათუმის.

არ ვიცი რატომ, ახლა მომინდა
შენთან შეხვედრა და პაემანი,
მერე ბათუმის წვიმა მოვიდეს,
წვიმამ აავსოს ჩვენი უბანი.

წვიმა მოვიდეს, წვიმამ განუწოს,
შენი თმები და შენი პერანგი,
ისე განვიმდეს, რომ შეგანუხოს
და მაინც წვიმა იყოს ყელამდე.

მე ახლა მინდა, ჩემო ძვირფასო,
გადასარევი წვიმა მოვიდეს,
რომ შენი ქურა წვიმამ აავსოს
და სახლში წასვლა აღარ მოგიხდეს.

რატომღაც ახლა მინდა, ძვირფასო,
კვიპაროსები წვიმამ დაბანოს,
რატომღაც ახლა მინდა მიმასწრო
და სიხარული ვეღარ დამალო.

ახლა წვიმაზე ფიქრი მანუხებს,
წვიმაზე ფიქრებს ვეღარ ვიცილებ,
შენი პერანგი წვიმამ განუწოს,
მე კი წვიმამ და შენმა სიცილმა.

არ ვიცი რატომ, ახლა მომინდა,
წვიმაში შენთან ერთად ვიარო,
ნახე, ბათუმის წვიმა მოვიდა,
წამოდი, აღარ დააგვიანო.

11. უფლის წალოვა

პარმენ ლორიასა და მამია
ვარშანიძის ხსოვნას

ასე მგონია, დამინერს ორიანს,
პატივცემული პარმენ ლორია,
რომ არ ვახსენო ბატონი ხარიტონი,
ისტორიკოსთა პირველი ხარიტონი.

ზეპირად ვიცი, ვის რას დაუნერს,
უნიტო კალმოსნებს ყურსაც აუნევს,
ნიჭიერს მოძებნის, ქვესკნელში
მიაგნებს,
ყველას და ყველაფერს თავისას
მიაგებს.

ვიცი, უფმური და უფამო ჭამია,
ჩვენი დრო და ჭამი დამნაშავეა.
როცა ვიხსენებ საყვარელ მამიას
სულში ტკივილი ტყვიასავით
გამიარს..

პურის ყანაში კვიცივით შემედენა,
ბათუმზე პირველმა დანერა შედეკრი,
ბათუმზე დანერა უკვდავი ლექსი,
რომელიც ახლა ყოველდღე გვევსის.

ის იყო ჩვენს შორის პირველი პოეტი,
მითქვამს და მე ამას ვიტყვი
ყოველთვის.

ბათუმი უნიტო კალმოსნებს არ
ცნობს,
აქ ქალი ქალობს და კაცი კაცობს,

ბულვარში შაშვი ყოველდღე გალობს,
ათასში ერთხელაც უფალი წყალობს.

12. მამა, მე და ჩემი ბიორგი

ვისაც ჰყავს ძე, სიცოცხლე აქვს...

პირველი იოანესი, თ. 5

აქ დადიოდა მამა სულმნათი,
ხელით დავყავდი პატარა ბიჭი,
მე იმ დღეების და იმ სურათის,
ცხადია,
ზუსტად აღდგენა მიჭირს.

ყველაფერს უფლის თვალი განაგებს,
თოვლი გვათოვს თუ წვიმა
გვასველებს,
მამამ მასწავლა მე ამ ქალაქის
გასასვლელი და შემოსასვლელი.

პირველად მამას ვყავდი თეატრში,
"ოიდიპოსიც" ვნახე პირველად,
იმ საოცრებას ახლაც შევნატრი,
იმ პირველხილულ საკვირველებას.

მამამ მაჩვენა ზღვა და კატარღა,
და ალბატროსი – უცხო ფრინველი,
და მწვანე კონცხის ბორცვის გადაღმა
პეტრას პირისპირ ვიდექ პირველად.

როდესაც მუხას დაცვა მეხი,
მე სწორედ იმ დღეს ავიდგი ფეხი.

და ომმა შთანთქა ჩემი ბავშვობა,
დღემდე ვიგონებ, როგორც გოდებას,
რაც ჩემთვის უკვე დაკარგულია
და არასოდეს გამეორდება.

მამას ყოველთვის ვეგონე ბავშვი,
მე ახლაც ბავშვი ვგონივარ იქნებ,
ვერ იფიქრებდა ვერაფრით მაშინ,
რომ ილია ზე დავნერდი წიგნებს.

მე ვიყავ ბავშვი, ეს იყო მაშინ,
თუმცა ხსოვნისთვის არ არის გვიან,
ახლა მე დამყავს პატარა ბავშვი,
რომელსაც თეთრი გიორგი ჰქვია.

ეს საუკუნე დაიწყო მისით,
ის ახლა იდგამს ფეხსა და ენას,
ვიცი, იქნება ის შენი ღირსი,
მაღე ისწავლის ჩიტოვით ფრენას.

შეხედავს მისი დიდი თვალებით
ცასა და მიწას, მზესა და მთვარეს,
არ მოაკლდება უფლის წყალობა,
ჩინი და სმენა მის ყურს და თვალებს.

არ მიცხოვრია ცალად და ფუჭად,
მწარე დღეების ვიყავ მწახველი,
მწამს, დაამშვენებს შენს ერთ-ერთ
ქუჩას
თეთრი გიორგის მამის სახელი.

დასასრული

ჩემს არსებობას არ აქვს მიზანი
უშუნოდ, ჩემო თეთრო ქალაქო,
მადლობა უფალს, არ ვარ ხიზანი
და მაქვს უფლება გელაპარაკო.

არ მაქვს სურვილი არავითარი,
რომ შეგადარო სხვათა ქალაქებს,
ის სიყვარული სალი ქვით არი
ნაშენი, მე რომ მაღაპარაკებს.

ამასაც ბედისწერა განაგებს,
შენა ხარ ჩემი ბედის მწერალი,
შენ ჩემთვის არ ხარ მარტო ქალაქი,
შენა ხარ დიდ ზე დიდი მწვერვალი.

მადლობელი ვარ, რომ მე დამარქვი
მგოსნის სახელი და გამახარე,

რომ შენ ხარ ჩემი თეთრი ქალაქი,
ძველთაძველი და ახალთახალი.

შენ გიანდერძა მამამ ქონება,
თავისი ვერცხლის ქამარ-ხანჯალი,
ჩემი სიცოცხლე და შთაგონება,
სუყველა შენთვის დასახარჯავი.

შენ დაგრჩა დედაჩემის თავშალი,
ჩიხტიკოპი და ქრელი წინდები,
გინდა, წვიმაში ქოლგად გამშალე,
გინდა, გვალვაში გაგინვიმდები?!

სხვაგან სიკვდილის არ მაქვს
უფლება,
შენი საქმეა ესეც, უფალო,

შენა ხარ ჩემი თავისუფლება
და ღირსეული ჭირისუფალი.

აქ გაიჭრება ჩემი სამარე
და მინა, ჩემი სისხლით დამბალი.
თუ შეიძლება, ცრემლი დამალე
და ყველაფერი მე დამაბრალე.

შენს სალამოებს და ოქროს ღილებს
ისევ აგრილებს სიო ხიხათის,
მე გადავიხდი შენს იუბილეს
შენ – პანაშუიდი გადამიხადე!

სტრიქონი სტრიქონს ისე მოება,
რომ თავისთავი იცნო დროებამ,
ასე დასრულდა ჩემი პოემა,
ვით წუთისოფლის ამაოება!





რასულ ჩილაჩავა

სიკლიდან „ორდალია“

გვითხველისადმი

მეოცე საუკუნის მინურული საქართველოსთვის იქცა ნამდვილ ორდალიად. ასე ეძახდნენ ლათინელები ბრალდებულის წამებას გახურებული შანთით, მდულარე წყლით და ა.შ. მას, ვინც გვემას გაუძლებდა, უდანაშაულოდ ჩათვლიდნენ. ჩვენ გაგუძელით, თუმცა საკუთარ უდანაშაულობაში არც ოდესმე შეგვეპარვია ეჭვი. ამასობაში ხმაურიანად შემოვიდა მაიმუნის წელიწადი და თან ხალისიანი განწყობილება მოიტანა. ვინძლო, ღმერთმა გვისმინოს და საუკუნოდ დასრულდეს კენესით, ვაეზით, სასონარკვეთით აღსავსე ის ზოდიაქური ციკლი, რომლის გახსენება ყველა თვისტომს, ალბათ, კვლავაც არაერთგზის შეზარავს.

მართალია, წინამდებარე ლექსები ჩვენი ჯერ კიდევ მოუშუშებელი ორდალიის ექო უფროა, ვიდრე საყოველთაო ეიფორიისა, რომლის მცირედი კვალი ზოგიერთ მათგანს, ალბათ, მაინც ატყვია. ვფიქრობ, ეს დასაძრახი არ უნდა იყოს. ჩვენ ხომ ყველას ასე მოგვენატრა ერთიან, ძლიერ და ბედნიერ სამშობლოში ცხოვრება! თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სიტყვა "ორდალი" მეგრულად გასაზრდელს ნიშნავს, ციკლის სათაური იქნებ არც თუ პესიმისტურად მოგვეჩვენოს.

რასულ ჩილაჩავა,

2004 წ.

კიევი

ორდალია

გადავიტანე მე ორდალია,
შანთით წამება, მდულარის დასხმა.
ჯალათმა ჩემი სისხლიც დალია,
მისთვის უბრალოდ მე ვიყავ: „და სხვა...“

მან არ იცოდა სიტყვა "ორდალი",
რაა სითბო და რაა ნუგეში.
როგორც ლანდშაფტი ნაფიორდალი,
ჩამრჩა წარსული თვალთა გუგებში.

მე გასაზრდელი მაინც გავზარდე,
 ბედი ხელიდან არ გამიშვია
 და ვით პოემის ლამაზ თავსართებს,
 ვიგონებ შვების ნუთებს იშვიათს.

პაპანაქება... სეტყვა... თავსხმები
 გამოვიარე სიზიფეს თმენით...
 შეჯიბრს აგებენ მუდამ "და სხვები,"
 გამარჯვებული რჩებიან "მე"-ნი.

2004 წ.

როგორც ოდესმე იეთიმ გურჯი!

ინყება წვიმით, თავდება ქარით
 ცივ და მონყენილ ლამეთა კროსი
 და როცა შლეგი, როგორც კიროსი,
 მესხეთის კარებს შეანგრევს
 მტკვარი,

ველარ ვიხსენებ, იქ ვინმემ თუ თქვა
 ავდრის აუგი და სამდურავი.
 თვით მობოხოქრე ლვარში მცურავიც
 იტყვის: არ გვინდა ჩვენ გულის
 თუთქვა!

ნაზამთრალ თბილისს ეცემა ელდა,
 თუმც ის არასდროს დაუზავდება
 ზეირთების ამბოხს და აზავებებს,
 (რომელსაც მთელი ნელი ელოდა).

და მეც – ბედის და სტიქიის ურჩი,
 ვიდრე აკეცილ ფრთებს ლალად
 გავშლი,
 ცეცხლმოდებული ვიდგები წყალში,
 როგორც ოდესმე იეთიმ გურჯი!

2004 წ.

„რა ვქნისა“ ციხევი!

რა ვქნისა ციხე ავაგე,
 ჯავრი შევაბი კარადა...
 ხალბური

„რა ვქნისა“ ციხევ, მე შენი ტყვე ვარ
 და ჯავრის კარი ველარ შეგხსენი.
 არ უჩივიან ბედს მელექსენი,
 მაგრამ როდესაც ინყება რღვევა

არ შეიძლება არ დაიძაბო
 და ფიქრი, შორეთს განაჭენები,
 არ დაგიბრუნდეს განაჩენებით
 აჭრელებული, ვით დაძიბაო.

ყველა კოშკის და ყველა სასახლის,
 რაც კი ოცნებით შენ აგიგია,
 ლოგინის ნაცვლად ლოდი გიგია
 და თავს ბალიშის ნაცვლად ქვას ახლი,

მე დამიბრუნდა... მე ვიღამლები,
 ვით კატორღელი და წყლულებს
 ვიხვევ...
 შიგნიდან გაგტეხ, "რა ვქნისა" ციხევ,
 არ ჩანს გარედან შენი ამლები!

2004 წ.

პირტუალური სამუგლო

მე იქ ვბინადრობ, მე იქ ვბინადრობი..
განა ვისიმე მოგონილია
ქვეყანა, სადაც ყველა ძმია და
ძმისგან მოწვედილი შხამიც ტკბილია,
სადაც სამოთხის სიო უბერავს
და ზამთარ-ზაფხულ პყვევის მთა-ბარი,
სადაც ზღაპარი სინამდვილეა
და სინამდვილე არის ზღაპარი,
სადაც ქვევრები ღვინით სავსეა,
დაფენილია გზებზე სუფრები,
გლეხი მუსაიფს როცა გაგობამს,
გგონია უფალს ესაუბრები,
სადაც არავის არ ციებია,
არ წყურებია, არ შიებია,
სადაც ქათქათა მთაგრეხილები
ცის ხელთუქმნელი არშიებია,
სადაც განძეულს უხვად გასცემენ

(შინ ულაგიათ, ალბათ, ტონები!)
და სარაინდოდ აღძრულ ვაჭკაცებებს
თრთოლვით ლოცავენ ქალბატონები,
სადაც ოდითგან დიდიც, პატარაც
ერისმთავართან თანაბარია,
რომელსაც მაღლა უჭირავს დროშა
და ქვეყნის ბედი თან აბარია,
სადაც ჩანჩქერთა ვერცხლისფერ
ტალღებს
წუხილს, დარდსა და კვნესას ატანენ,
სადაც ყველა გზა ტაძრისკენ მიდის,
დახშობილია გზა სასატანე,
მე იქ ვბინადრობ... მსგავსი ხილვების
მონაცვლეობით ვარ კმაყოფილი
და ჩემს სამეფო ღერებს ახატია
ერთად – მზისა და მთვარის
პროფილი.

2004 წ.

შავი ყუთი

თეიმურაზ მეტრეველს

რადგან წარსული მომავალს არ ჰგავს
და არაფერი არ მეორდება,
ყველა თაობა რალაცას კარგავს,
როცა საკუთარ სიყრმეს შორდება.

სხვა არ ვიცი და ჩვენი თაობა
ჩარჩა ბნელსა და სინათლეს შუა
და ის თამაში, ის ბურთაობა
ახლა ციმციმა მირაჟი თუა.

ჯერ ფიქრობს: ერი მისით იწყება,
აღემატება სიმალლით კოლოსს,
მაგრამ ბავშვური თავდავიწყება
გამოფხიზლებით თავდება ბოლოს.

გავინავარდეთ სულ ერთი წუთით,
მერე რა მოხდა, არა ვიცი რა!...
ჩვენ ჩვენთა დღეთა ვართ შავი ყუთი
და შიგ წერია, რამ შეგვიწერია!

2004 წ.

ხატიალი

დააკაკუნე!... იქნებ გაგიღონ,
შემოგთავაზონ ლამის გათევა.
თუ დაიბენი, მე აქ მნათე ვარ,
გზას გაგინათებ, მეტი რა გიყო!

ნინ წაგიძღვება ჩემი სანთური,
თუნდაც დაგჭირდეს კუნჭულთა დაველა
და მთელი ჩემი ნაოფლი დაველა
სხვამ ჩაიჩურთოს ხელის ფათურით.

ვერც გასაყრისის ხმები დაბდაბა
და ვერც გუშაგის მრისხანე: "შესდექ!"
ვერ აგიკრძალავს, სიკეთეს სთესდე,
ხეტიალობდე შენ დაბა-დაბა.

იმ ხეტიალში იქნებ კიდევაც
გაიჭრიალოს ნანატრმა კარმა
და გულის კარნახს დათანხმდეს კარმა,
რომ ღამე სწორედ იქ გაითევა!

2004 წ.

სიმღერა

მე დაგავინყებ ჭორს და მოგონილს,
ფოთლებს დაგიფენ, ფარჩა გეგონოს,
ჩემო გოგონი, კარგო გოგონი,
მოდი, გაკოცო და ჩაგეკონო!

თვალს და ხელს შუა ქრება ცხოვრება
და პორიზონტი ისე ახლოა,
მაღე არავის ემახსოვრება,
რომ აქ პოეტის სამოსახლოა.

მინდა ავიღო ხელში ჩონგური,
სიმებს ჩამოეკრა მგერული კდემით,
გაყუჩდეს ციხის ყველა ქონგური,
სივრცეს გადასწედეს სიმღერა ჩემი:

"ველარც იებით, ველარც ვარდებით,
ქვეყნად ვერავის შევეუვარდები.
ვისაც ვუყვარდი, ისეც ვუყვარვარ,
ძალით არავის შევეუყვარდები!.."

2004 წ.

საქართველო იქ, სადაც მე ვარ!

თითქმის ორმოცი – (40!) – წელი,
უსაქართველოდ და უქართულოდ,
თქვი, თუ გაძლებდი, თუ იღვანებდი,
ქართველო, წერილი საქმით გართულო!

არ გიკვირს განა? ნაცვლად იმისა,
ვაზს რომ ევაზა, ყანას ეყანა,
ამოიყარა ეკალმა ყლორტი,
გლერტამ წაიღო მთელი ქვეყანა.

გამოიკეტა ბევრმა დარაბა,
ცოტალა დარჩა სახლი კარლია.
აქ პანთონში ყაჩაღს მარხავენ,
გმირი კი სადღაც მთებში მარხია.

ველარ გვიშველის, ველარ გვიშველის
პირჯერის წერა და საკმეველის კმევა,
ყველა ჩვენგანმა თუ არ იყვირა:
"საქართველოა იქ, სადაც მე ვარ!"

2004 წ.

“პეტრეს არაპი”

მზე თითქოს “პეტრეს არაპი” არი,
გამურულია შავი ღრუბლებით.
ეს სიმართლეა, არა “პიარი”,
მნათს რომ კაცივით ვესაუბრები.

შინ შემოდო, ხომ ჩვენ გიმღერეთ,
ხომ ჩვენ შეგასხით ხოტბა ლილეით.
ქართული ლერწმის ისევე იმ ღერით
კვლავაც ვადიდოთ ეს ყვავილეთი!

მე მას ავძახი: პეი, არაპო,
ნეტავ, საიდან ამდენი ჯანლი!
გთხოვ, ისეც მკვდარი გული არ აპო,
არ გაალვივო მინაზე ჯანყი.

არაპო-მეთქი, შემფხვევით დამცდა,
შენა ხარ ჩვენი დედა-მშობელი
და რომ არ გვტოვებს ამგვარი
განცდა,
ვართ მადლობელი, ვართ
მადლობელი!

2004 წ.

იმედი

თითქოს წასულან სადღაც ყველანი,
ალარსად ისმის კაცის ჭაჭანი.
ალარც ღვინონი, ალარც ჭაჭანი,
მით უფრო – მჭადნი, მით უფრო –
ყველნი.

ნელში გამწყდარი და დაქანცული,
ვოცნებობ, შემხედვს წმინდა
ქალწული,
რომ დაიფერფლოს სიტყვა
“ლალატი”.

სივრცეა რალაც არაქართული,
დგანან სახლები ცივი და კუშტი,
თითქოს ახლახან აქ იყო რუმდი
სატანურ ლექსთა წერით გართული.

თუმც უარესად ვცხოვრობთ
ყოველთვის,
ვიდრე გვეგონა, ვიდრე ველოდით,
მაინც ვსულდგმულობ
საქართველოთი
და იმედი მაქვს ყოველ, ყოველ თვის!

როგორც დამპყრობლის მძიმე
ლალათი

2004 წ.

ვის უხმობს ზარი?

ვის უხმობს ზარი?
ე. ჰემინგუეი

საბედისწეროდ დიდი ხნის შერე,
ფოთლებდაფენილ ხეივნის თავში,
სადაც დარბოდა ხუჭუჭა ბავშვი,
საგაკვეთილო ზარები ჭღერენ.

თუნდაც დავესწრო, თუნდაც ვაცდინო,
ფრიადზე ვიცი ის გაკვეთილი...
მე თითქოს მკერდი მაქვს გაკვეთილი,
რომ გულის ძგერა ცას ავანვდინო.

ჰოი, რარიგად დასანანია,
რომ ის არავის არ ეყურება.
დრომ მორჩილება და მსახურება
ძმას ანანია, დას ანანია!

ან სევდამ უნდა მნათობი ჰბოლოს,
ზედ დაამჩნიოს გოდებამ ბზარი...
ვის უხმობს ზარი, ვის უხმობს ზარი,
ხეივანის თავში, სიცოცხლის ბოლოს?

2004 წ.

ცივი მზე

შენ განზე დგები და ამბობ უარს,
ცუდად დაცდილი მაქვს ეს უარი.
შორით რომ მოჩანს, გვირგვინი თუა,
განშორებათა აქსესუარი.

ზაფხულის სუნთქვა წაჰყვია იელებს
და დაღვრემილი დღემდე მიტომ ვარ.
ეს ამაზრუნენი სიცარიელე
მე ტორიჩელმა თუ დამიტოვა.

წარსულმა ჩემზე შური იძია,
სისხლი დამცინცლა მთელი ბარელი.
შენ მთაში რჩები, როგორც ძიძია,
მე საუკუნოდ ვხდები ბარელი.

და ვიდრე ასე წვალებით ვარკვევ,
რად გამომესხა დარდი ეკლებად,
მყოფადი ჩუმად გამხდარა სარკე,
რომელშიც ცივი მზე ირეკლება.

2004 წ.

მარადი გეტო

არავინ იცის, საიდან მოვა
მისი ყველაზე სასტიკი მტერი,
იქნება ქარი, იქნება თოვა
თუ ცა იქნება ზამბახის ფერი,

როცა უცნობის შავი კარეტა
მოგრიალდება მის გალაფანთან,
გამსრესი დევთა და ფალაფანთა,
გამმრავლებელი მგლოვიარეთა.

არავინ იცის ის ბოლო ფრაზა,
სულის სიღრმეში რომ ინახება,

როდის ააგლეჯს ბაგეებს რაზას
და შორ წყვილიაღებს შეეჯახება.

(მივმართავ ჩემს თავს)

მე სიზმრად ვნახე:
მკვდარ სიწუმეში მკვდრის ფერი გედო,
ბრინჯაოს ნილაბს გიგავდა სახე,
თითქოს გიცდიდა მარადი გეტო.

მე შენი სიტყვა ვერ გავიგონე,
(არა! გარჩევა ველარ შევძელი!)..
და ახლა იმ წამს ისე ვიგონებ,
თითქოს აღარ ვარ მთელი ეს წელი!

2004 წ.

"ტვირთი"

ცხრა მთას იქით რაღად მიწდა,
გინდ მაქონ და გინდა არა.

აკაკი

აქ ჩემზე ისე გულუხვად წერენ,
ისე აკმევენ სიტყვებს საქებარს,
თითქოს დაინყო დუმილის მერე
ხმების ნამდვილი გაფარსაგება.

მადლობა ყველას, ვისი კალამი
მახალისებდა, ძალას მმატებდა,
ვით მტრის ციხეზე თეთრი ალამი,
აღდგომის ღამეს დგომა ხატებთან.

იქნებ კიდევაც ნაფიტრაბახო,
რომ გამვლელები ქუჩაში მცნობენ.
მე მზად ვარ მათთვის სული გავალო,
გულის ფიცარზე ამოვნვა: "Open!"*

მე ამნაირი "ტვირთის" ტარება
მარგუნა ბედმა მთელი ეს წლები.
მსგავს სიხარულს და მსგავს
ნეტარებას
საქართველოში თუ მოვესწრები?

2004 წ.

აგიტატორი

(ნინასაარჩვენო ქრონიკა)

ქერო, შენ ვილამ გაგაბრინჯაო,
ჩემად დაეწყო შერიას ქილიკი.
ჩანაცვლებოდა ტრასას ბილიკი,
სასახლეს - ქოხი, ოქროს - ბრინჯაო.

გვსურსო ყამართან კიბის ამართვა!... -
გამოეფინა ბრბოს პლაკატები.

ყფდნენ უძალო ქვეყნის კატები
და ვირთაგვები წერდნენ სამართალს.

კენესოდა მიწა, მტრების ნატორი,
და სანამ იგი ითხოვდა შველას,
ქამრის მოჭერას ურჩევდა ყველას
აჭიმიანი აგიტატორი.

2004 წ.

* Open (ინგლ.) - ღიაა.

დრაკულა

შეჭირვებული მაშვრალთა ბედით,
 აღდგომას, როგორც ლაზარე, ველი.
 ჩვენთვის ჯვარს ეცვა ნაზარეველი
 და სხვა რა ექნა ამაზე მეტი.

უფლის ძისაგან გასაოცარი
 მსგავსი ნაბიჯი იქნებ არც იყო!..
 (სირჩას – საგრემოს და სავარციხოს –

ვეძებ და ვფიქრობ, ალბათ, დროც
 არი)

ველზე ზვინები ჩანს ქადრაკულად,
 ლოკავს მდინარე კლდოვან ნაპირებს,
 ნისლიდან თითქოს გვიშვრს
 დრაკულა
 და ამ მშვენების დანთქმას აპირებს.

2004 წ.

ორერა

"ორერა" ურარტულად თურმე
 მზის ამოსვლას ნიშნავს

მზე ყველგან ჩადის... უგანდის, ჩადის
 მხარესაც ჩადის და ვინც რას სჩადის,
 ყველაფერს ხედავს... და როცა დილით
 ამოვა კვლავ და პანია ჩრდილი

ნამოენევა ვეება ჩრდილებს
 (ბუნების ახსნა, უ!.. რა რთულია!),
 ჩვენი "ორერა" და ჩვენი "ლილე"
 ერთბაშად ქართულ-ურარტულია!

2004 წ.





ამირან ასოზაძე

დედა

რაც ხანი გადის,
მე დედაჩემს
ისე შევეყურებ, –
თითქოს ის ქარში

გატანილი სანთელი იყოს
და ეშოშობ, ეშოშობ,
სადმე უცებ
რომ არ ჩამიქრეს.

მატარე ისე

კვლავ უხმოდ ვინვი,
კვლავ ფიქრებს ვისევ,
კვლავ ზღვას მიაპობს
ცხოვრების გემი,

ღმერთო, ამ ქვეყნად
მატარე ისე,
რომ არ შემჯავრდეს
სიცოცხლე ჩემი.

ეკუთვნის ყველას

ოთარ ჭილაძეს

თავის შექება გჩვევია როდი,
სულაც არ იმჩნევ, რომ შენ დიდი ხარ...
თუმც კარგად ვიცი, საიდან მოდი
და ისიც ვიცი, საით მიდიხარ.
ეს დრო, როდესაც არავის ინდობს,
ასე ყველაფერს სვაევიით სანსლავს, –

ო, სწორედ მაშინ, ო, სწორედ იმ დროს
შენ მოახერხე მწვერვალზე ასვლა.
თვალებს მჭრის შენი სინათლის ჩქერი,
გადამდებია ეგ დიდი ლელვაც...
მე კვლავ ვამაყობ, შენ რომ ხარ ჩემი
და ამავე დროს ეკუთვნი ყველას.

სხვა სივრცეს ვეძებ

თუ მთელი განცდით
სხვა ვარსკვლავს დავეძებ,
თუ გულს იტაცებს
სულ ღრმა მორევით.
ეს იმას ნიშნავს,
რომ ჩემს თავს ვვავედ
და არ ვიცხოვრო
სხვისი ცხოვრებით.

ამ ბუნების ხიდზე
(მფრთხალი როდი ვარ)
სულ სხვაა ჩემი
სულის ყივილი,
დასაბამიდან
ასე მოვედივარ –
ნაღდი ცრემლით და
ნაღდი ტკივილით.
თუ ნამით განზე

აღარ გაემდგარვარ
ხელ საფიქრალი
უფრო მეტია...
სხვა სივრცეს ვეძებ,
სული რადგანაც
ამ ოთხ კედელში
ვერ ჩაეტია.

ღამე

ვხედავ,
ზეცამდე ანედილ მთებიდან
ფრთხილად ჩამოჰყავს წამებს
ღამე – ცოდვილთა თავშესაფარი,
თუ ერთგულების ღამე.

სადაც გადივლის,
გადაასწორებს
ნაპრალებსა და ხრამებს;
ღამე – ლალატის, მონანიების,
თუ გადარჩენის ღამე.

წუთებო,
თქვენთვის როგორ უცხოა,
შეყოვნება და დაცდა,

ამ უკუნეთში დაძრწის რამდენი
ჭრელი ფიქრების დასტა,
ასე იყო და
ახლაც ასეა

ადამიანებს შორის –
ფრთებს შლის
რამდენი აგორებული
მოგონება თუ ჭორი...

დარეკავს ზარი
და უბოდიშოდ
გამოებმება წამებს,
ღამე – ცოდვილთა თავშესაფარი,
თუ სიყვარულის ღამე.

ამ მარტის თვეში

აღარ მასვენებს
ფიქრი შემძვრელი,
გულის სიღრმეში
ეჭვსაც გავივლებ...

ამ მარტის თვეში
შიშით შევცქერვი
გათამამებულ
ტყემლის ყვაილებს.

ნეტავი ასა...

თვალს თვალში
მიყრის ცხოვრება მკაცრი,
მიფორიაქებს
ფიქრი რამხელა,

ყველა რომ დარდობს,
ამ დროს ეს კაცი;
ნეტავი, ასე
რამ ააშლერა?!





შოთა გოსტანაშვილი

წყალწყალა ლაპარაკი

-რა ხდება, რა ამბავია,
რა ლაპარაკის ბუმი?
- ეს ამბავი ჩინურია,
კედელია ჩინური,
ჩინებული, საჩინო,
უჩინმაჩინიანი,
ჩემი ჩამი-ჩუმი.

ხუროთ-მოძღვრებაში პოეტი მოვა!

(ხუროთმოძღვრება იგულისხმება რა თქმა უნდა, ნუ გამისწორებთ),
პრაგმატიკოსი დამპროექტებლების დაპყრობილი მინა მხსნელს ელოდება,
როგორც ქაოსის წყალი იმ პირველ სიტყვას.

დღემ იდღევა და ღამემ იღამა...
ბევრმა წყალმა ჩაიარა,
ბევრმა წელულმა და იარამ
და უფრო ბევრმა ხარებამ,
ბევრი თუ ცოტა იარა...

მრავალშეილიანი სიტყვაა წყალი:

მერწყულია წყალმზიდი;

წყლიანი - (მ)შეენიერი და მოხდომილი;

უნყო, ურწყო და ურწყული უდაბნოთა გამგებელნი არიან,

წყალუხვი - მდინარეთა, ტბათა, ზღვათა და მათ ნაშიერ ოაზისთა;

საწყალი-საწყალობელი, მონყელადი, წყალნაღებული,

მონყალე, ენაწყლიანი და წყალში მდგომი-წყლიერი,

დანყევილი-წყელი და შეუნყალებელი, - მთელი კაცობრიობაა.

(რამდენმა წყალმაც არ უნდა ჩაიაროს მათი წყალი არ დაინმინდება)

წყლის მეტაფორათა სათავეში ღმერთია - მწყალობელი.

მგონია, ეს კოსმოგონია გულისგამაწყალებელიც იყოს

ვინმე ახალ ახალგაზრდა ვერთერის (ან ვინმე მონყელადის) ფიქრში,

ალბათ იმ ასაკს გამოეცდი, გამოეცრი - ჩემსას ვილაპარაკებ...

წყალდანყალ ვიხეტიალე, ხან წყალგალმა გავალ, ხან წყალალმა ვივლი მე.

სცრის, წყლის სცენაზე...

წყლის-პირია, საპალურო, სასალიკო, საბადური (საბა) – მებადურთა ადგილი.

წყალობა საჩინო სიტყვაა *წყლის* დიდ ოჯახში.

წყალობა – არს მწუხარება სხვისა ბოროტსა ზედა (საბა).

მწუ ხარება! – ნუ გინდა, არ არის სასიხარულო საქმეო,

და როცა ეს საქმე სხვისი ცუდი ამბავია,

ასეთ მწუხარებას *წყალთან* მივყავართ – *წყალობასთან*.

მწუხარება, – (სევა, სავა – სხვათა ენა – საბა).

მწუხარე სახის რაინდობა და უშიზე ზო სევდის ნალევლი,

პოეტის ბედისწერაა. ეს ნაწერი დაკარგა სამყარომ. . .

სამყარომ ნაწერი დაკარგა!..

ამდენი შრომა *წყალში ჩაიყარა*..,

ვისა აქვს თავიდან დაწყების თავი,

წყალმა ნაილო ნავი...

სამყარომ სევდა დაკარგა –

– *გაიქარწყლა* სევდა.

ნამდვილი ალტკინებაც სევდის შვილია და

ბოლომდე აეარდნაც სევდიდან მოსულა.

მწუხარება ყოფნის *წყალგამყოფია* –

გატრუნული, გარინდებული, ჩუმი;

წყალობაც წყნარი და *მტკნარი წყალია*,

პირველქმნილი –

– ნარუქი, ნარიდები, ნარნარი და ნარინი;

მხოლოდ *წყალწყალა* დაფრინავს *წყლის* ზედაპირზე. . .

(*წყალწყალა* ფრინველია – საბა ბრძანებს).

და *წყალგამყოფი* – *წყალთ გამყოფია*.

აბა კენჭი აფრინე *წყალზე* – ხმა გაეცი *წყალს* –

პასუხად ლაპ! და *წყალზე* შემონერილი ნრენირი,

მერე უფრო დიდი ნრენირი და კიდევ უფრო...,

სულ რამდენიმე ნამით...

კიდევ ერთი კენჭი, კიდევ ერთი ლაპ! და

იგივე იგავი,

იგივე არაკი,

ლაპ – არაკი.

არა – კი (არც არი და კიც არი).

ლაპარაკი უყვარს *წყალს*, – მისი მოგონილია ლაპარაკი.

სამყაროც გაუთავებელი ლაპარაკია, – პოეტის ლაპარაკი –

– გაბმული გრძელი ლილინი (ჩივილი, ჩიჩინი) – დიდი ჩინური კედელი.



ცოტა რამ, რაც ჩანერილია ამ დიდი ლაპარაკიდან,
ის არის პოეზია და **წყალობა** –

– დიდი **წყლის** პატარა **წვეთები**,
წვეთები, პოეტური სისხლის **წვეთები**.

ცოტა რამ, რაც საჩინოა დიდი ხუროთ-მოდღერებიდან,
ნაწარმოებიც ის არის – დიდი სამყაროს პატარა მოდელები.

ხუროთ-მოდღერებაში პოეტი მოვა!,
პრაგმატიკოსი დამპროექტებლების დაპყრობილი მიწა მხსნელს ელოდება,
როგორც **ქაოსის წყალი** იმ პირველ სიტყვას.

დღემ იდღევა და ღამემ იღამა...
ბევრმა წყალმა ჩაიარა,
ბევრმა წყლულმა და იარამ
და უფრო ბევრმა ხარებამ,
ბევრი თუ ცოტა იარა...

წყალი და არქიტექტურა ისევ თანამზრახველნი არიან,
შე-თქმულებებს ერთად თხზავენ და ერთად ხუროთ-მოდღერობენ.
მათი ლაპარაკის მოსასმენად ვენეციის ნახევაც კმარა და
ძველი თბილისის გახსენებაც: მტკვარში ჩამდგარი სახლები, ვირის ხიდი და...
მაგრამ **წყალთან** განდობილი მეგობარი მაინც ხიდა.

წყლის-პირია და **მდინარის** კიდურია **ბაგე**, და ხიდიც, – აგე!

ხიდი და **მდინარე** – მყარი და მედინი დრო – მირაბოს ხიდის მეტაფორაში
იქნებ ყველა სხვა ხიდის და სხვა **მდინარის** ფიქრსაც იტევს და მოაქვს.

აქ უნაპირო სევდას მოჰყეფს **მჩქერვალო** – მისჯილი თავისუფლების
სევდას;

იქ თვინიერად მიედინება **მონიო** და ზანტად მიიზლაზნება – მუზმუზელა
მუზა;

აქეთ მოლელავს და მოდუღუნებს, და ვინ იცის რას ბუტბუტებს **გოჩგოჩანა**;
იქით გველივით მიიკლაკნება **ლუბრმა** სანაპიროს არქიტექტურულ

არტახებში,

ვით განდგომილი – მოგვი; მოვერცხლილი სარტყელივით, ვით ოლარი ეღვარე.
წყალმარჩხი კი – **თავთხელი**, **მცირეწყლიანი** – **მდინარებს**, ..

აქ – **მღვრიედ**, **იქ** კი – **ანკარად**.

ნეტა ასე რად ინება,

ეძინება ან კი რად?

ეს ის არ არი, რასაც მოვლი

წყაროს წყალია,

წყალი-ცხოელი.

სცრის, წყალიას ცენაზე...



საქართველო
საზოგადოებრივი

-ისევ ვაშლი?...

წყალი გველია,
გველივით ბრძენია,
საიდუმლოს მცველია;
წყალმა ეს ძუძუ ანოვა ვაშლსაც,
ქალია **წყალი** - ძუძუვაშლება ქალი;

-ისევ აეშლი, (დაეშლი, გაეშლი)
გადაეშლი და გაეაძეუებ,
-კედლის იქით გაეაძეუებ;
გადაეანოვო-გადმოეანოვო
და ხელახლა გაეანოვო,
- აეანოვო!

ზოგჯერ უბრალო მოახლეა -
- როცა **რეცხავს**,

ზოგჯერ არც ისე უბრალო -
- როცა **ნაშუსს ჩამორეცხავს**;
- როცა **ცოდვებს განბანს** -

- მაშინ გვიმხელს თავის ანბანს... საიდუმლო იცის **მიტევების წყალმა** -
- **წყალკურთხევის**, - ნათლისღების საიდუმლო.

წყალმა იცის საიდუმლო,
მეც ამ აღვირს ვლრდნი და ვჭამ.
საიდუმლო იცის **ჭამ**.

წყალმა საიდუმლო იცის
ამ ცისა და იმ ცის;

საიდუმლო ცამ იცის,
საიდუმლო იცის **ცამ**,
მისმა ტყუპისცალმა,
მისმა ღვიძლმა დამ.

ესეც დების სერობა - საიდუმლო დისკურსი.

ამ დროს წყალი ჩუმია, ნელია, **მხს-ნელია**.

ჩვენც **დავლეართ ცოტა წყალი** - დავეხმართ,
დავუმატოთ თანხმონენი - შევეუთანხმდეთ **წყალს**!

წყალთან მეგობრობენ დიდი რაბები და კაშხალები;
დიდი და პატარა პესები **წყლებს** ნიალიდან შობენ სინათლეს;
ნისქეილის დოლაბის ქვებიც **წყლის** დამქანცველი ალერსით ამრავლებენ
პურს.

და არა პურითა ერთითა არსობს **წყალი** -
- **წვიმის გუბეში** ჩავარდნილი მთვარისა და კიბის
ანარეკლის პოეტიკით და სანახაობით.

შაბა-შაბა!

(ინდოელთა ერთი იტყვიან: მოსანონი-მოსანონი, -საბა).

ეს არის **წყლის ნაყვა?**..

აქაც დიდებულია, **წვიმის გუბა** - **ლაყვა**,
როცა **წყალი საწყალია**, **ჭაარის** და **ლაყვა**,
ამავე დროს მზაკვარია, სიღრმეში აქვს ზაკვა
(მისი სიღრმე კი ზედაპირია და ზედაპირი ზედა პირია) ;
როცა რაიმეს **წყალს მისცემ** და როცა **წყალი პირს უზამს**..,
როცა **ცეცხლზე წყალს დაასხამ**.., როცა **ცივ წყალს გადაასხამ** -
- **ჩაილულის წყალს დაალევიანებ**..



მთასა და კლდეს თუ ვერაფერი დააკლო (მაინც თავისიანია),
არქიტექტურაზე უნდა იყაროს ჯაერი.

*წყალი ზოგჯერ ჯაერიანი, ზოგჯერ წყალჯაერიანი.
წყალდიდობაო! – იტყვის და მორჩა, სიტყვას წყალი არ გაუუა.
(ამდენ წყალუბეს რა აუუა?..)*

შეაყარე კედელს ცერცვი,
მაგრამ რაღას შეაყრი თუ კედელი არ დაგიტოვა.

ამდენი შრომა *წყალში ჩაიყარა*. . .
ვისა აქვს თავიდან დაწყების თავი,
ნაილო *წყალმანავი*. . .

იქით კი ვილაც ქილიკობს – *აღელვებული ლელუო*.

აკი შევატყვე ამხტომი იყო, უცხოოდ რო იყო და სევედიანად.

რა გქვია მეთქი? – როცა მოვარდა;

მითხრა – *ტალღაო*.

ვინ იყო მეთქი – რო გადმოვარდა?

– მაღლა კლდიდან გადაიქცა და *დანჩქერად გადაიქცა*,
მონყლულივით იქვე იქცა, *დაიღვარა* და *დაიქცა*.

ხომ გითხარით არტისტია, აქ რო *წყალია* და იქ – *ცა*.

იქ ცა დაიქცა. . .

ეს კი *ზვირთიო*?! – რო ამოვარდა.

ეს ვილა იყო რო გადმოვარდა?

დაიღვარა – დაიქცა, მონყლულივით იქცა.

იქ ცა დაიქცა...

მუშაითი – *ჯამბაზია*, აქ *წყალია*, იქ – *ცა*.

დაბლა კლდიდან გადაიქცა და *ჩანჩქერად გადაიქცა*,

გადაიქცა *ჩანჩქერად*, გადაიქცა და გაიქცა,

გამდინარდა – ჩანს ჩქერად...

ნახეთ როგორ მოსცემს მკლავებს,

საბაითობს*, როგორია?.....

როგორია, მოცეკვავე?

ჩამბალილა, შაბა–შაბა!

ეს როკვაა ერთი, –საბა.

სულ სხვა არის *ჩამბალია*, – შა ბა

*საბაითი სიმღერაა, – საბა.

თვალს წყალი დავალევივით!.. შაბა!

რელიეფის მკვეთრი ვარდნა და

რაკარკა ნაკადულიც ჩანჩქერად გადაიქცევა.

რაც უფრო *წყალუბვი (წყალდიდი)* წყალია, რაც უფრო მაღალია ვარდნა,

(წყალვარდნილია მაღალი) მით საჩინოა *ჩანჩქერი*, – გრრრანდიო ზული,

–ანდა.

აქ სხვაც ვილაპარაკოთ – სხვა დავინწყოთ ფურცელი:



ფიფის ფიქრებს (ან პირიქით) –

ფიქრის **ფიფებს** ელის ველი, მცირეა თუ ვრცელი...

უკვე **თოვს** და **ჩანჩქერიც** **ლოლუებად** იქცა.

სკულპტორია, მხატვარია, აქ **წყალია** იქ – **ცა**.

თოვლს კი..., აი რამდენი: თვრამეტი აქვს სახე და თვრამეტი სახელი
– აბა?!...

ამ სახელებს ალგვი –

– წერს ბატონი საბა:

“. . . რა ღამის სიცივემა ცვარი შეათოოს, უხმობენ **თრთვილსა;**

ხოლო პირველ დათოვასა ვიდრე მიწათა გათეთრებამდე უწოდენ **ყაპსა;**

და თუ დათოვა ტერფამდე და მეტი მოსი, იგი არს **ფიფქი;**

და მოსი უმეტესი **თოვლად**

აუუუ!..

რა თეთრი სივრცეა,

რაამდენნაირი დაფა–

რვა – თეთრი აპოკალიფსი,

რაამხელა!

გამხელა. . .

სახელ–იდების

უკეთუ თოვლი წვიმანარევი იყოს

უწოდენ

და თოვლიანსა ნისლსა–

თუცა ბურისა მიერ ხენი შეიყინნენ იგი არს

უკეთუ ხეთა ზედა თოვლი დადგა, ეწოდება

ქარიანსა თოვლსა (თოვასა) ეწოდების

ქარისაგან ახვეტილსა ადგილსა პქვიან

და სადა თოვლი ნაბუქი შეგროვდა, მას–

თუცა შემბალი თოვლი შეყინა, ეწოდება

და რა ბზარი მზემა შეაღბო, ეწოდება

მცირესა ფიფქსა ბზარ–ქმნილსა –

რა თოვლი აჭრელდეს, იგი არს

თუცა თოვლისა სიმრავლე მთამ ველარ იტვირთა და ჩამოიზვლა,

იგი არს

. . . (+ და თუცა გაზაფხულ თოვლი შეყინებული ჩამოიზვლა,

მას უწოდებენ

და თოვლის(ა) ნადნობსა წყალსა

უწოდენ (CD).

სეტყვის ნადნობ ლეარს–

შეავი. (ZA)

შეავი. (ZA)

შეავი. (D)

ლანქერსა

ლექტერს

– საბა.

და სიტყვის ნადნობს – **დავიწყებას**

– შა ბა.

აი ეს(ს)ე ალგვი–წერს ბატონი საბა,

(და აქ) მე არ მინდა დაევა. მინდა დაევა–

ბრუნო მე მებრუვე ხმები "შაბა-შაბა".

სახე ვერ აგნებს საბელს,

ინე დაშორდა – იპოვის საცაა;

საცაა ცაა. . . და ცის,

იმ წიგნმა წყალივით იცის.

შენ ხარ *წყალი*, ნიადაგ მოხეტიალე.

წყალი პოეტია, - ხან მიწისაა, ხან ცისა -

- ღრუბელაშლილი - ცრიატი, ცა - ცა მოხეტიალე, ანუ იალტიალი.

ხან *ცვარია* - *ნიჭი*, *ლუფი* - *თვალწყალა*, რო გიხარია;

ხან *შხაპუნა*, ხან *ჟუჟუნა*,

თქორი, *თქეში*, *ფრუტი*,

ჟრმურტლი და *იხარია*;

ხან კი თავსაც მოიძულეხ - სიტყვებს *სეტყევას* ცოფით:

კოხი, *დეღვმა*, *თავსხმა*,

წვიმა *კოკისპირული*,

ღლოფო და *ღვარცოფი*.

აღბათ მოაწვა *ქაოსის* სევდა, ფიქრი შავი და ავი

და *წყალს* მობეზრდა სიცოცხლე, უნდა *დაიხრჩოს თავი*,

(*წყალს წყალი შემოეპარა; წყალსაც შეუფგა წყალი; რა ქნას და, რა წყალს მიეცეს,*

ანდა რა წყალში ჩაეარდეს.) - უნდა *დაიხრჩოს თავი*.

ბევრი იავდრა, ბევრი იდარდა... .

თავზე დაეცა ბროწეულის ბალს,

მოცაკვდა, *გასისხლმდინარდა*,

წაეიდა ნა, *წარმდინარდა*,

ჯურღმულში გაუჩინარდა... (ეიეთთა *ჯურღმულიცა წყაროდ* აღუნერიათ - საბა)

წყალმა *წაილოს* ავი *ზმანება* -

- დაწვეს ცეცხლი და ალი,

(ეს სხვა ლაპარაკიდანაა)

წაემა *წაილო წყალი*...

სტრის, *წყალია* სცენაზე... .

სამყარომ სევდა დაკარგა - *წყალმა* *შესვა* სევდა.

ჯერ დამწუხრდა - დაილონა, მერე სევდამ *გამოყოვნა*

და კედელმა უთანაგრძნო - ფონად ექცა, მიეფონა:

ამაოებაო ამაოებათა, ყოველი ამაო - ამო.

წესტი ფენად დაეფინა ურვისა და სევდის გამო -

ფენა - *წყლების* სასაფლაო, სასიკვდილო ფრრრ -

ენა *წესტის*... (აქ კი *წყალი* გადინურა.)

წყალი დიდი სიმართლეა, ბოლოს მაინც *გამოყოვნავს*,

(ანდა) სიტყვა სიტყვას მოყვა და ჰა! - *სიტყვები* მოზღვავდა.

უზარმაზარ *ზღვას* რა დაამშვიდებს, ვინ არის მაგის პატრონი? -

ნეტა ვინ *ამღვრევს წყალსაო*?

ზღვე ბის ენა მთვა რემ ი ცის, ი მას ე მო რჩი ლე ბი ან -

- იმას, *ჭაშირომ* ეგლო.

არა მხოლოდ ბუზლუნით,
 არა მარტო ბრაზობით,
 გინდა ბუმბერაზობით
 თვალსაჩინოობს *წყალი*.

თვალზე მომდგარ ერთ *წვეთში*, *ცრემლი* რო ქვია—
 —თვალის ორმოდან გადმოღვრილ *წვეთში*,
 ზოგჯერ *წარღვნის უმოწყალო წყლებია*.

ორმოც იდღეებს, ორმოც ილამებს,
 ორმოცი დღე და ორმოცი ღამე,
 ორმოცი დღე და ორმოცი ღამე.
 და მერე ნანარღვნევი *მოწყალების* ცისარტყელა.

(*წყალიც ნაგუბარში ჩადგება*, საქმეც ძველი გზით. . . და *წყალიც წყალივით ჩაივლის*,
წყალი წყალივით წავა).

დღემ იდღევა და ღამემ ილამა. . .
ბევრმა წყალმა ჩაიარა,
ბევრმა წყლულმა და იარამ
 და უფრო ბევრმა ხარებამ,
 ბევრი თუ ცოტა იარა. . .

ჯობია იმ დროს შეხედე *წყალს*, როცა *შადრევნებისა* და *წყაროების*
 არქიტექტურასთან მუსიკობს და ორივე ლექსად *იღვრება*, ან ოთახის ღია
 სარკმელთან, როგორც სურათის ჩარჩოსთან, ხაზოვან მძივებად ასხმული
წვიმად რო მოდის, ან ქარის ქროლვაზე ამავე სურათიდან ოთახში რო
 შემოვარდება სველი *ნამჭერიით*; ან იქნებ მაშინ, როცა ხმიანობს
 სახურავებზე, ხის ფოთლებზე და სველ მიწაზე. . . ან მერე *ნაწვიმარზე*,
 ხის ფოთლებიდან *წთოლვარეს*—
 —ეს ხო უცხო სურნელია,
ნაწვიმარის ეშხი—
 —*ყვავი* და *ღეშხი*.

სხვა სახეები, სხვა სახელები:

ჩქეფა, *ჩქაფი*,
ტბა და *ტბორი*,
ფშა და *ჭველი*
ჭა და *ჭაელი*,
რუ და რა? . . .

სხვა ხმა —

— უფრო მუდარა:

ჩა
მო
ნა
წუ
რი

წყალი ცელქი, *წყალი* ანცი,
 ან მიწისაა ან ცის.

სცრის წყალია სცენაზე, სცრის სიცრუის სიბრძნეს...

ასი შეფასების ღირსია წყალი და უფრო მეტად შემფასებელია.

მაინც ანარეკლია წყლის ხასიათების სცენოგრაფიული სახე:

ანარეკლში ბუდესავით ამოფენილი ცა (და ცაც ხომ მისი ტყუპისცალია) და შიგ ბარტყეებით ჩამსხდარი სახლები ქლურტულეებენ:

- ცა იმედია.

- წყალი იმედია.

- მაინც რის?

- რა იცი ცის!

- აი, სცრის!

- ხედავ, სცრის!

- მოწუნა,

- მორწყა,

- დანაშა.

- ნალექა!

- მოვარდა მორვეი!

- ვერ მოვერევეით!.....

- ვერ მოვერევეით!.....

არტისტია წყალი, მსახიობი - გარდასახვა შეენის.

შენი წყალი გადაგვესხას, გადაგვესხას წყალი შენი-

-ნმიდა წყალი, და ნაკურთხი წყალი - აია ზმა,

(განა ერთი სახელი აქვს საქებარი, განა ერთი აზმა)

მაგრამ აი რა ზამი ქნა, ნახეთ აი რა ზმა-

შეიცვალა ხმოვანი "ა"- ახლად დაირაზმა

და ურიოშო წყალი, ნმიდა აია ზმა-

წყალი გახდა წყელი- დანყველილი წყალი, ეშმაკი და გველი.

წყალი ცელქი, წყალი ანცი,

თან მინისაა, თან - ცის.

ფუი ეშმაკს!-განყალეზობდი შენს მშობელს, შენი ნაყოფი განყალდა.

ფუი ეშმაკს! - წინ წყალი, უკან მენყერი, შუაში შენ მეემნყერი.

ფუი ეშმაკს! - წყალზე ნავიყვანს და უწყლოდ მოვიყვანს ალი

(წყალს თუ ეწყინა, ცივი დალიოს წყალი);

აი სრუტე - შეისრუტე!

სცც...რის, წყ...ალია სცც...ენაზე...

ო, ეს წყ... ენა; ო, ეს წყ... ალი (ასე მემართება, როცა ვნე რვეულომ)

რა ორ წყალს შუა ჩავეარდი, ნეტა რა წყალში ჩავდგე?..

ენა დამება შიშისგან, აქეთ მოდიან მგონი,

მუხლებში წყალი ჩამიდგა, ლამის დავეკარგო გონი,

ჩვენც უნდა გავინაპიროთ, ჩვენც უნდა ვნახოთ ფონი.



უფ...უფ... უფალო შეგვიწყალო,
 უხხ... სენებელი შშ... ორს გად... ალაღე, ბბ... ნელში დდ... ამალე მალე.
 ჩააოზე და ჩააჭაოზე, ბნელში დამალე მალე.

ხასიათები ჰქონია *წყალსაც* და *წყალქვეშევეშა დინება*,
 რაც ვერ გაიცნობიერა - გაიუცხოვა, ასე ინება...
 ...და თუმცა, (მოდით, ასე ვთქვათ), გაუცხოებაც არ არის უცხო,

თუკი მზემ მისთვის არ მოიცავდა,
 არ დააცხუნა და სხივი არ სცხო

- *ყინულია*, სლიპი, ცივი და თეთრი დუმილი,
- მაგრამ ფორმაა - მას აქვს სიმაღლე, სიგრძე და განი,
- არქიტექტურის ნათესავია.

და თუ ზედიზედ მიემზერა მზე -
 - *გაღღვა*, *აორთქლდა*, გარდაიცვალა ...

გარდაიცვალა, - გარდა ამისა სახიობობს და
 სახე იცვალა - სახლიც, სახელიც გამოიცვალა
 და თუ რის გამო იცვალა? ... რა სახლი აქვს, სადაური?

წყლის სადგომებს ალგვი-ნერს ლექსიკონი საბაური.
 ლექსიკონი კი არა სიტყვის საბალახე (საბა, ნახე - ბალახთ ბეგარი)
 საბა: *საბანელი* (დასაბანი აუზი); *წყლის* ჯამია - *სარიოში* (სხვა სიტყვაა - რიოში);

ხოლო "სარწყული არს ჭურჭელი *წყალთა*: (ჭურჭელსაც აქვს პირი-შაკო)

იათული, *ვოვზაკი*, *სტამნი*, *კუტალი*, *ნურნუმა*,
წყლის საქანელი, *მათარა*, *თასუხა* და მისთან-
 ანი...". მაინც არ იცის მივიდეს ვისთან,

ანუ მიუსაფარია, - *ოკეანეში* მოხეტიალე, იალტიალი.
 ვისთვის შინაურია, ვისთვის ოხერტიალი.

(*კოკაც წყალზე ვატყდებო... და გამტყდარა რამდენჯერ...*)

ბევრჯერ უხსენეს წიგნური წარსული -

(ან: უგნური) - ბევრჯერ ატკინეს გული;

ბნელი უსახო და უსავანო -

- მოწყვლეს მოწყვლადი სული;

უფსკრული, ქაოსი, წყევდიადი -

- ბევრჯერ გაუხსნეს წყლული;

ლევიათანი, *თოქუ* და *ბოქუ* -

- ბევრჯერ უხსენეს რჯული;

შორეული ორეული -

- ძირძველი და ნიშანსვეტი - (ეს რა ჩამორჩენილია),
 არ თქვა მეტი!

-რა შურიო? რა შორიო? -აი ეს ხარ - H_2O .

სიტყვის კატასტროფაო, *სეტყვის ღვარი* - *ლექტერი*, უზნეო და შტერი;
წყალმანკიო, *დანაღეჭი*, *ნაღეჭი* და *ღეჭი*;

პირში წყალი გამოივლე, მერე ილაპარაკე და.....!

რომელი წყალიო: ნიჟი-შხეპი, თუ შხაპი?

შენც ამათი ჩამოსხმა ხარ, - მოწყდი თავიდან! მოსცილდი ნაპირს!

ერთხანობას დუმდა და...

დუმდა და...

დუმდა და... დაინრიტა,

შიისილა, გამოშრა პირში წყალი ჩაიგუბა.

ჩაიგუბა.

...პირი წყლითა აქვს სავსე.

მოსცილდა ნაპირს, იბრუნა პირი და მოჰყვა ტირილს -

ტირის და ტირის...

ტირის და ტირის...

ორმოცი დღე და

ორმოცი ღამე...

ორმოცი დღე და

ორმოცი ღამე...

და სიტყვებს ეძებს, ან სიტყვას რამეს,

ტირის და ყმუნავს - ასეა უტყვად,

სიტყვად კი ვერა და ა, ვერ აგებს,

რომ შეაგებოს ვერაგებს - სიტყვას ვერ აგნებს

და ვერ აგინებს იმათ ბაგეს და ბაგინებს -

-ბომონებს. ბობოლ დემონებს

ნუ აბოგინებ!

ნუ აბოგინებ!

ვინც მოგაგონებს, ვინც გაგაგონებს

იმ სახეებს და იმათ სახელებს,-

-შეუნყალელებს ნუ აბოგინებ!

შემწყალობელო ნუ აბოგინებ!

-რა ხდება რა ამბავია?...

ვინ გაბასრდა, გაჯავრებით ვინ კაფიობს?,

ვინ არი, რო უკაფავი გაიკაფა,

გაიქაფა, ან პირი ვინ აიქაფა?,

გაუნრფელდა, გაიცქვიტა - გაიცქაფა?

-არა ვებრაზობთ, ისე - ვბაზრობთ,

არტისტული თამაშია გარდაცქაფა -

- სიტყვის სიტყვაში გადასხმა, გადასწრაფა,

გარდასხვაება, გარდასახება.

წყალი - წყალჯავარიანი,
წყალი - ზოგჯერ ჯავარიანი.

ჯერ იყო დაა:

გაითანგა, თავზე *ყლარტი* მოიკიდა

(აბა სხვას რას მოიკიდა?)

სხვაგან, სხვანი იტყვიან *ყაპყი* მოიკიდაო; ან *ფსკა*,

ანდა *ლუყუპო*.

მერე კიდევ:

შეაცვია და *აღრჩუნდა* – ტანზე *ბორგი* შეიყარა.

ბოლო–ბოლოო:

აბუტბუტდა, აბუყბუყდა, აიმღვრა და. . .

გაბოოშდა. ბოდიში და. . . ენა ველარ დაიბოშა–

–რა არა თქვა, რა იროშა. . .

ემშაკს აშქმა ანანა და. . .

ან არა და. . . სხვა რა ექნა?..

თუ რა ილაპარაკა დაა. . .

ან რა უთხრა *წყალმა წველს* –

–*წყალმანკიერს*, გველს. . .

გარკვეულ გარემოებათა გამო სხვა დროისათვის, "დამატებაში" გადავლოთ.

ვაი, რო მარტო ლაპარაკით არ დამთავრდა *წყლის* გაჯავრება, –

– ასეთია ხასიათი,

მისი ჯიშის და რჯულისა.

ბოლოს სულ მთლად გადირია,

როგორც *წყალი რღუნისა*:

სულ წაგლეკავთო! – მოსწყდა ნაპირებს,

უკვე ასრულებს ის დანაპირებს,

მაშინ ვუთხარი – ველაპარაკე:

მოჩუხჩუხე, მოჩახჩახე, მოლიცლიცე –

– მახსოვს შენი ფიქრის სივრცე, –

როცა *მორაკრაკებდი* და არტისტულ აზრს ზიდდი,

თავი როგორ გაუყადრე, ანდა როგორ აზრ ზინდი,

ლიკლიკაი დიაცივით ჯავრობ, ლიკლიკიანობ,

როცა *თავსხმით* თავს ესხმები, ეს ხმები ა ეს ხმები –

გრრ... იალებ, ღრრ...იალებ, წრრ...იალებ;

ტანში გამაჭრიალებს

შენი ზრახვა ზავთით, ზარქით და ხუივით *ხუვილი*...

ეგ ზომ დიდი მოურავი, მეურვე და ურვილი?..

დაიოკე *წყურვილი*

დაიოკე სურვილი,

დაიოკე წადილი,

წადი!

ადი!



მაინც ვინ არის **წყალი**, ეს შინაური უცხო? –

– ყველაზე ხნიერი, ყველაზე ძლიერი და ნიჭიერი;

შესაქმისეული ექვსდღიურის წინარე ჭამი, –

ნათლისმხმობელი, სამყაროს მშობელი,

“დასაწყისის” დამწყები **წყალი – სამწყელი** – “თავდაპირველი”

თ ა ვ და პ ი რ ვ ე ე ლ ი (ანუ ალექსანდრე რასშე – *კამკამი გააქვს წყალსაო*).

მარტოა **წყალი** – შიშველი ეელი და შიში შვენის, შიშველი ელის...
და მერე ვის?

ფიქრსა და სიტყვას, და სიტყვა – სიტყვა ფი –

ქრის, ქრის, ქრის... .

– და სული ღმერთისა ქროდა **წყლის** ზედაპირზე.

და თქვა ღმერთმა იყოს ნათელი. და იყო ნათელი.

ელი!.. ელი!..

დღემ იდღევა და ღამემ იღამა...

ბევრმა წყალმა ჩაიარა,

ბევრმა წყლულმა და იარამ

და უფრო ბევრმა ხარებამ,

ბევრი თუ ცოტა იარა...

სცრის, წყალიასც... ენაზე...

მე **წყალი** ვარ, *სითხე – თხე,*

მე ვარ მოთხე და სამოთხე;

მმოთხველი – მოსიარულე,

მოლივლივე ვივლი მე...

ჩინებულია, შაბა!

ქალაქის ქაოსი და ქაოსის ქალაქი

ო, როგორ მაგონებს ქაოსის წყლებს.

წყალწყალაც ისევ დაფრინავს **წყალზე**...

ისევ ნათელი, ისევ ნათელი!

აქ ასეთი ლექსია:

წყალს ისევ სურს, რომ დაიმორჩილონ...

დააოკანექსია

წყალს ისევ სურს, რომ დაიმორჩილოს...

დაა-ოკე ოკე-ანე ანე-ქსია.)

ხასიათები ჰქონია **წყალსაც**, მისთვის რაიმე არ არის უცხო...,

წყალს შეუძლია **ჩამორეცხოს** და წყალს შეუძლია **ჩამოირეცხოს**...

ან **მონანკარებს**, ... ან **ანკარებს** ან არ-

ანდა **ანკარებს**, ეკლის გვირგვინს ირგებს...

დღემ იდღევა და ღამემ იღამა...

ბევრმა წყალმა ჩაიარა,

ბევრმა წყლულმა და იარამ

და უფრო ბევრმა ხარებამ,

ბევრი თუ ცოტა იარა...

ჩაიმიწა, აიზეცა,

ეცა ლეთას - გაიღეთა-

ლეთის წყალი დალია.

ისევ ის წყალა ისევ ის წყვდიადი...

წყალში ბინადრობს მეფე წყალთა, ცეცხლისმფრქვეველი ლევიათანი-

ხხხ... ხრრ... იალებს... არ გააღვიძოთ! (სხვა ლაპარაკში გაელვძიება)

წყალში ბინადრობს ალი - (უგვანო რამ) ტრიხონი,

(ს)ტრიქონი კი ტრიალებს,

ტრრ... იალებს...

დაამწყალობნე, მერწყულო!

გადმოხედე წყალოპის თვალით და წყალოპის დააბურჭვე კალთა

შენ წყალი ხარ - მწყალობელი,

მონყალებას სთხოვ მონყალებს,

წყალნაღებული სანყალს ედრები,

ისევ ვედრებით ხხხ... შას ევედრები:

შუქი!

შუქი! ვის უქია მუქი?

შენყდეს მუქის ბაქი-ბუქი!

ადგეს და დადგეს დადუქი-

ნარინი და ნარუქი!

(პირველქმნილი ნათელი გამეფდესო)

შეინყალებს მწყალობელი ენანყლიან მონყვლადს.

ხან ურწყულის თამაშია

(საქმეც მაგაშია);

ხან მერწყულის კონი.

ჩაჯურღმულდა და ბასილიკოა,

ამოჩუხჩუხდა-ბასილიკონი...

ბა-სილიკონი...

არქიტექტურაში მოდის პოეტი!

აი პროექტი,

და როგორც ზემოთ მოვახსენეთ-ხიდი მეთქი და მდინარე...

ამიტომ.., მაშასადამე.., და რადგან.., და ვინაიდან..,

აქედან გამომდინარე

უნდა აღენიშნო, რომ დაერღვა დროსაც დრუსო-

- ზღუდე დროის დრამა დიდი-
- პოეტური ავდარი. დარია,
- როცა ენა ლაპარაკობს (როგორც ენა)
- და კალამი მუშაობს (და მუშაითობს)
- იქ ავტორი აღარ არი (მკვდარია).

უკვდავების წყალი შესვი,
აღსდექე **წყალო სანყალო!**

და მაინც... მაშასადამე... როგორც იტყვიან... ცალსახად...
ნაემა ნაილო **წყალო**, თუ პირიქით... (სულ ერთია - ეს აზრია საბრუნავი.);
რაც შეეხება ავტორს (ინტუიცია მკარნახობს) - განზრახ მოიკლა თავი.
და მაინც... მაშასადამე... თუ შეიძლება ასე ვთქვათ...
-ყოველი შემთხვევისათვის შევეკრათ რაიმე ტივი!
-არანაირი ნავი, არანაირი ტივი,
-არანაირი პატარა, არანაირი დიდი,
-არანაირი ახალი, არცერთი ნარა.....

ახლა ახალი დრო მოდის,
დიდი **წყალწყვის** დრომონის
-დაღი ლალი **ლალღალის**.

დრომონი ნავიო, - საბა ბრძანებს "...უდიდეს ყოველთა, რომელში შთაიტყვის ზუთასი
კაცი ნუზლიან ტვირთიან"; ხოლო "ნუზლი ესე არს მოყვარემა(ნ) რა მოგზაურს საზ(რ)დო
მიუძღვანოს"

წყალზე დიდი მოგზაური?, რინდიანი რაინდი?

ეპ... რაინდი ვილას ახსოვს, სევდიანი რაინდი...

გულს აწყალებ, სხვა დრო დადგა-გადაგვარდა ამინდი,
ა, - მიდი!

და ნავედი მე ჩემს თავში (კი, -ეს რუსული კალკია),
უფრო მეტიც - ქარიშხალში (ეს სხვა ლაპარაკიდან არის),
ბაყბაყით რო **ავამღვრიე**,
ამოვავდე ჭიქა წყალში.

მე ვინა ვარ? -ბედნიერი უბედური...

მე ხარი ვარ **მესალოკე**, **მეზადური**.

ზოდიაქო მინდა ვაქო
მერწყულის და ხარის.
მე ხარი ვარ, მიხარია,
მე მერწყული დამხარის.
ის ხარი ვარ, **ისხარი**,
ნუ გეშინის ხარხარის,
ნუ გეშინის, მხარი-მხარი!
მე ხარი ვარ ამ მხარის



ამასობაში რამდენიმე შტროფი (*შტო* და *სტროფი*) ჩაიკარგა,
იქნებ ოდესმე გამოეონოს. . .

ზოგი *გამორიყა წყლის პირმა: პირის-წყალი, ვერცხლის-წყალი, ვარდის-წყალი, სავარდიმწყლე, წყალმცენარე*, ქარქაკი და რიკრიკა; *წყალთმონატანი* ყინული - *ენტელი, თოში და ხორგი*. ზოგს ვერ მიეწვდი - ვერ მოვიხელთე, ზოგს მოვერიდე, ზოგს განვერიდე. ასე მაგალითად - *წყალბადს* (მძიმეც იყო), და სწორადაც მოვიქეცი. . . სამაგიეროდ, აი, რა აღმოვაჩინე (ვიპოვე) - *სფირიდი*.

სფირიდი არს ჭურჭელი ნათხაზი ჭილთაგან და ბაიასაგან და ხის ქერქისაგან, ზამბილი, ზმილიკი და ყოველივე **თ ბ ზ უ ლ ი.** (საბაბა). შაბა!

რაც მთავარია მთელი ნასალიკევი შიგ ჩავანყვე, ჩავასხი, ჩავაქციე ამ *წყალსაცავეში*; ზოგი თვალში აღარ მომივიდა და ამოვიღე; ზოგიც არ ჩაეტია, გადმოვიდა. აი *გადმონადენი*:

- "რომელი *წყალიო: ნიფი-შხეპი*, თუ *შხაპი*?" - რო წერია,
აი, მერე რა ეწერა: "რომ სისინებ ვარ გრძელიო -
-ეს რომელი მხარგრძელიო-თავადი?"
აქედან გადმოვთარგმნე - "კაკოი დოღგორუკი - კნიაზ ჩტო ლი?"

ზოგიც იმიტომ ამოვიღე, რო არავის ვათქმევინო: ეს როგორი აურია;
როგორ *გაანოორწყალა*, როგორ გადაამლაშა; როგორ გადაამეტა; როგორ გაი-
მეტა ტექსტი.

ესეც ესე. . .

მგონი მოვრჩი ახლა,
მივუტანო მალხაზს,
(დისკეტიც თან ახლავს), -
-მახლას!

-ერთი სიტყვით
აქ გასრულდა ისტორია დედასიტყვის,
ისტორია *დაშლამული* სიტყვით...
დაშლა, 0 - ვიტყვით.

ახლა ოთხი აპრილია, ორიათას ოთხის, ლამის ოთხი საათია, -
-დავიღალე, ნავედი, ნა. . . გავწვალდი,
განწვალვის ნამით გავწამდი.
გავწამდი-წყ-წყ-წყ-წყ-წყ
-წყ ალი, წყ ენა, წყ. . . (სიტყვა გამიწყდა და დამიწყდა, . . .)

რა სიტუაცია -ნყ
-ნყ
-ნყ
-ნყ -ნყ

დამავინ ყდა,
ყდა რა შუაშია...
საქმეც მაგაშია.

ლაპარაკს უნდა ყდა?
უნდა ყდა? უნდაყდა?
დაყდა!
დაყდა!
დაყდა!
ნავედიიიიიიიიიიიიიიიიიი

ო, რა წყვილია...
წყვილია,
წყვილია!
წყვილია!
წყვილია!
წყვილია!
წყვილია!

წყვილია, დია, დია დიადი
ადი!,
ადი!, კიდე ადი!
ადი კიდე!
ადის კიდე
აგე კიდე!
აგე კიდე!
აგეკიდე!
აგეკიდე!...

გავთ - . . .

- აეადდი, -აეისუფლდი, -აეხედდი, -ეთრდი,
- ამამდი, -ამამდი, -ანაბრდი, -ანასნორდი,
- ანატოლდი, -ანაგდი, -არანდი, -არეშდი,
- ბი, -ვალე, -იშიე, -ოხარკიდი, -ქვი,
- ქვირდი, -ხაპნე, -ხევადდი, -ხვირდი,
- ხლეშდი, -ხარე, -ხუპნე, -ავდი,



ვაჟა ჩორდელი

არი არ არი...

გამოეკიდა ხევახუეებში
ალალს ალალი, -
ეს ცხოვრება,
მისნი-მოსნი,
არი არ არი, -
სიმღერა შეგვრჩა,
ნაზი სიმღერა, -

"დიელი-დალალი" ...
მიმოვიხედოთ:
თქვენ რომ გგონიათ,
ჩვენ რომ გვგონია,
სხვებს რომ ჰგონია,
რომ დავაკვირდეთ,
ასეც არ არი...

გამოტირება...

ამ ცხოვრებას
ვერა და
ვერ მოვუარე,
სად არ ვსდიე -
ველზე,
მთების ღმიჭაში,

არ მინდოდა
ვყოფილიყავ
სხვისი კარის
მოურავი, -
საკუთარ თავს
ჩავეუდექი კრიჭაში...

...მისი ბორანი

მთა-ხევის
წილი, ჩემიო,
დამყრანტალეზდა
თავზე ყორანი,
მშვილდი მოეზიდე,

სისხლი დაღვარე...
წყალს გავატანე,
ბარე ორჯერ,
მისი ბორანი...

დალახვროს...

დაეთრევა ამ გზანვრილზე
ბარე ორი წყეული, -
მიადგება სხვის ნაოფლარს,
უსირცხვილოდ ბალახობს, -

სად შობილი, სად გმობილი,
საიდან მოთრეული, -
თანაც მწარე ბოლმით გიმზერს,
ეშმაკმა კი დალახვროს...





პერ ლაგერკვისტი

1927 წლის 19 მარტი

მორის ფლორი

მოთხრობა

ზაფხულის ადრიან დილას, მორის ფლორი შინ ბრუნდებოდა ომიდან, რომელიც იმ ადგილებისგან მოშორებით, ზედ საზღვართან გაეჩალებინათ. სიმნიფის ხანაში შესულ ამ მამაკაცს ბუნებამ ისეთი ლამაზი სული და სხეული მიანიჭა, პარმონით რომ სუნთქავდა, ძლიერი ნებისყოფა კი სიღრმისეულ გრძნობებს ექსოვებოდა. მისი აზრები ყოველდღიურობას იშვიათად ცილდებოდა, მაგრამ ქვეცნობიერების პირქუს უფსკრულებშიც ასევე იშვიათად ინთქმებოდა და წარმოსახვით თუ რალაც განსაკუთრებული დაუმორჩილებელი ძალით გამოიჩინებოდა.

ამ გაზაფხულზე, შეტაკების დროს, მძიმედ დაიჭრა. ყუმბარის ნამსხვრევებმა სახე დაუფლითა, ქვედა ყბა დაუმტვრია, საშინელ ჭრილობათა წყლულებით კანი დაულარა, ტუჩები და ცხვირი დაუმახინჯა, მარცხენა თვალში კი შუქი სამუდამოდ ჩაუქრო. როცა მორის ფლორი ტყვიების წვიმაში ბრძოლის ველზე იპოვნეს, მისი თავი სისხლიან გროვას გავდა და თავდაპირველად მკვდარი ეგონათ. მაგრამ ლაზარეთში ექიმებმა სისხლის შეჩერება შეძლეს და გადარჩენის იმედი გაუჩნდათ. შემდეგ დიდხანს და დიდი მზრუნველობით უმკურნალეს და ბოლოს და ბოლოს იარები ნელ-ნელა შე-

ხორცდა, ყბის ძვლებიც, ავად თუ კარგად, შეერთდა. და აი, ის დღეც დადგა, როცა ბანდები შეხსნეს, აღარაფერი ტკიოდა, მაგრამ სახე სამუდამოდ დაექარგა. ისეთი დამახინჯებული იყო, ველარავენი იცნობდა, ხმაც კი დაძაბული და ხრინწიანი გაუხდა. მის შინაგან იერსახეს მხოლოდ გლუვი შუბლი და ერთადერთი მხედველი თვალი-ლა აჩენდა. შემდეგ გარეთ გასვლის, მზეზე გათბობის ნება დართეს. მზის სხივები ხომ იარებს პირის მოკვრამი ეხმარებოდა. ცოტა დროც გადავიდა და სახლშიც გაუშვეს. გულყრა დასჩემდა და სამხედრო სამსახურისათვის, ცოტა ხნით მაინც, უვარგისად ჩათვალეს.

და აი, ამ ადრიან დილას, კარგად ნაცნობი გზით, შინისაკენ მიემართებოდა და თავსდატეხილ უბედურებაზე კი არა, იმ დიდ სიხარულზე ფიქრობდა, წინ რომ ელოდა. მალე ხომ ოჯახს, ცოლსა და საყვარელ შვილებს შეხვდებოდა. მსგავსი უბედურება თავს ყველას დაატყდა, ვის გვერდითაც იბრძოდა, ამიტომ საშინელებად აღარ ეჩვენებოდა. მთლად რომ დაბრმავებულიყო, შეიძლება დაეჩივლა კიდეც, ახლა კი არ ჩიოდა. ერთი თვალით ხომ ხედავდა, ცხოვრების ყველა საიდუმლოთი დატკობა შეეძლო,

ადამიანს კი, აბა, სხვა რაღა უნდოდა! მშობელი და აღმზრდელი მხარე დილის მკრთალ შუქს გაებრწყინებინა და ამ შუქმა თვალწინ ბუნების მთელი ძალა და სიდიადე გადაუშალა. ირგვლივ უკიდევანო და გულუბვი ველები გადაჭიმულიყო, აბიბინებული ხორბალი მთელ მიწას ფარავდა. ჰა და ჰა, მისი ყანებიც გამოჩნდებოდა. ცოტაც კიდევ და მწვანე ხეივნის მიღმა სახლი გამოკრთა. ოჰ, როგორ გაოგნდება, როგორ გაიხარებს მისი ოჯახი მათ წინაშე ასე მოულოდნელად რომ წარსდგება! რამდენი ხანია აღარაფერი გაუფიქრებია, რაც დაიჭრა, ამბავიც აღარ მოსულიათ, იქნებ დალუპულიც ეგონათ.

წარმოიდგინა, აღელვებული ცოლი როგორ შეეგებება, როგორ შეხატებიან შვილები მუხლებზე და სახეზე ხელს მოუთათუნებენ, ბედნიერ ოჯახს მსახურებიც შემოეხვევიან, ხოლო მოშორებით, დაბალი ღობის მიღმა, ხორბალიც კი აშრიალდება. წარმოიდგინა, ოჯახში როგორ ჩაჯდება, ნანახ სისხლს, დარბეულ, სისხლის მდინარეებით გაჟღენთილ მიწას დაივინყებს, კვილსა და გრგვინვას, ღამეული ზეცისკენ აღვლენილ სულის-შემძვრელ კენესას დაივინყებს. და ასე იქნება; ოქროსფერი სამკალითა და გაცინებული ბავშვებით, ცხოვრების ამ უზენაესი მშვენიერებით გარშემორტყმული იქნება. ეს ყოველივე წარმოიდგინა და სული სიხარულით აუთრთოლდა.

ბოლოს კარმიდამოს მიუახლოვდა. სიღრმეში დიდი, თეთრი სახლი გამოჩნდა. მშობლიური ველების სურნელს კარგა ხანია გრძნობდა, მაგრამ ახლა, ამ ბალის ჩრდილში, თავისი ხეებისა და ახლადგალვიძებული ყვავილების არომატი განსაკუთრებით და მძაფრად ეცნო. ამ სურნელს ღრმად ისუნ-

თქავდა და თავი მდიდარი და ბედნიერი ეგონა. უცებ ძალღებმა მოირბინეს, გარს შემოეხვეინენ; დასუნეს თუ არა, მაშინვე მზიარულად აყუფდნენ, ხელები აულოკეს, ნამით დასველებული თითებით მკერდზე მიახტენ. სხვა არავინ გამოჩენილა. სახლში ჯერ ყველას ღრმად ეძინა, მსახურთა ხმები მხოლოდ ბოსლიდან მოისმოდა. მორის ფლორი შეჩერდა, სახლის სიღამაზით მოინუსხა. განთიადის სხივებს მისი კედლები ასე არასოდეს აუქათქათებია, ფანჯრები ასე არასოდეს გამოუცოცხლებია. ნათელ ზეცაში ავისმოსურნე ღრუბელივით მხოლოდ შავი სახურავი მოჩანდა. მორის ფლორიმ სახლს შემოუარა. ახლობლების გაღვიძება ვერ გაბედა. გვერდით რომ ყავდა, ისიც კმაროდა. მათგან მხოლოდ თხელი კედელიღა ყოფდა და ამის გამო, მშობლიურ სახლში დაბრუნება უფრო დაუფერებლად ეჩვენებოდა. საძინებლის ფანჯრებთან შეყოვნდა და ნათლად წარმოიდგინა შგნით როგორ ეძინათ. ცოლის საწოლი აი აქ, გარე კედელთან იდგა, მაგრამ ზედ მიყუდებული არ იყო. თავით მეორე კედლისკენ მის შვილებს – გოგონასა და ბიჭს – ეძინათ. ალბათ, ასევე დაძინებულები იქნებიან, როცა მე, მათი მამა, ოთახში შევაბიჯებ და თავზე დავადგებიო, გაიფიქრა და მაშინვე იგრძნო ჩვილი, ბავშვური სხეულების სითბო მისკენ როგორ მოედინებოდა.

და როცა ბედნიერებით აკანკალებული თითქოს ხელახლა მოპოვებულ სახლს შესცქეროდა, როცა საყვარელი ცოლისა და შვილების სუნთქვას ყურდაცქვეტილი უსმენდა, მოულოდნელად გული წაუვიდა. ავადმყოფობის შემდეგ ეს ხშირად ემართებოდა. უცებ შეტორტმანდა და თეთრ კედელს წაეპოტინა, მაგრამ ყოველივეს ნათელი ბურუსი გადაეკრა. კაცმა ხელები ჰა-

ერში აასავსავა და მიწაზე უგონოდ დაეცა. საბედნიეროდ, თავი სახლს გარსშემოკრულ ყვავილების კოინდარში ჩაუვარდა და არ გაუტეხია.

საოცარი დასანახი იყო ეს გაფითრებული სახე, უხეში და დაუნდობელი რკინით მთლად ნაშლილი, ამ შესანიშნავ ყვავილთა შორის, მაღალ ლეროებზე ამაყად რომ წამოჭიმულიყვნენ და თავბრუდამხვევად მშვენიერ ფურცლებს მზის სხივებს უშვერდნენ.

როცა გონს მოეგო, საკუთარ ოთახში, დივანზე იწვა. გვერდით ცოლი და შვილები იდგნენ და შემფოთებით დასცქეროდნენ თვალებს მძიმედ როგორ ახეულდა.

მლელვარე წამი დადგა.

ზუსტად ისეთები იყვნენ, როგორებიც დატოვა. ბავშვებს ტანსაცმელიც კი ის ეცვათ, შარშან ზაფხულში, წასვლის წინ რომ დაინახა. ცოლიც ისეთივე მშვენიერი და სევდით გასხივოსნებული დახვდა.

მაგრამ, როცა დივანზე წამოინია, არავინ მოიბრინა, კოცნითა და აღერსით არავინ დაახრჩო.

ვერ იცნეს.

ბავშვები მოკრძალებით, გაოგნებითა და შიშითაც კი შესცქეროდნენ. ცოლმა მხრები წამოუწია და ვინ ხარ და რა შეგმთხვავო, შეეკითხა.

თავზარდაცემული გახევედა. ერთ წამში რა არ იფიქრა, რა არ განიცადა. მისი გული ტკივილმა და სასონარკვეთამ, შიშმა და საკუთარი ხედვრის სიძულელიმა მოიცვა ეს გრძნობები ერთად შემოეხვია და თავისი ძალითა თუმრავალსახოვნებით მიწასთან გაასწორა. დაბნეული, დაუცველი მზერით მიმოიხედა, ცოლ-შვილი დაინახა და რკინით დამახინჯებული ტურქები მტანჯველი ტკივილით აუთრთოლდა. მისი დაწყლულებული სული უხეში ქრილობების მიღმა სევდით იკუმშე-

ბოდა და მაინც გვერდით მდგარი საყვარელი არსებებისკენ ილტვოდა, ცრემლით დაბინდული მზერა ერთიდან მეორეზე გადაჰქონდა, თითქოს ემუდარებოდა: ნუთუ მამა ვერ იცანით? ნუთუ ვერ ხედავთ დამცირებული და განადგურებული თქვენ წინ რომ ვაგდვიარ? კელავ და კელავ ჩასცქეროდა თვალებში ცოლსა და შვილებს, მაგრამ ვერც ერთში ვერ იპოვნა, რასაც ეძებდა, ვერც ერთის თვალებში ვერ ამოიკითხა სიტყვა, ერთადერთი სიტყვა, რომლის გაგონებაც ასე სწყუროდა. შვილების თვალებში შიში და ზიზლი შეინშნა და ამის გამო გული ტკივილისგან კინალამ გაუსკდა, ცოლის თვალებში კი მხოლოდ უბედური უცნობისადმი თანაგრძნობა ამოიკითხა და ამან სული სულ მთლად დაუცალა და გაუყინა.

ისევ დივანზე გადაწვა. აზრი და გრძნობა გაუბოროტდა, მზერაც ეკლიანი გაუხდა და აღარავის თვალებს აღარ ეძებდა. დაიბოღმა და შინაურების წინააღმდეგ შეიმართა. ოჰო, ვერ იცნეს! ვინ იცის, იქნებ არც არასდროს ყვარებიათ! ვინც გიყვარს, იმას ხომ ყოველთვის იცნობ, ათას ადამიანში გამოარჩე, მის ძვირფას ნაკეთებს იარები ვერ დაფარავს. მერე რა, რომ მთელი სხეული დაჩეხილი აქვს, სამაგიეროდ ძლიერი და მშვენიერი სული კელავ ცოცხალია, განა რკინა ადამიანის ცოცხალი სულის წინაშე უძლური არაა? მამ რა შეიცვალა? ისეთივე ნევს, როგორც იყო, ისევ მთელი გულით უყვარს, როგორც მუდამ უყვარდა, თუმცა ეს გული ახლა ტკივილისგან უსკდება. მათ კი ვერ იცნეს. ესე იგი, არ ყვარებიათ, ესე იგი, ხეირიანად არც კი იცნობდნენ, ესე იგი მათი ხედვა ვერ აღწევდა მისი სულის იმ იდუმალ კუნჭულებში, სადაც ადამიანის

ქემპარიტი არსი იმალება, ამიტომაც ვერ იცნეს.

არც გახსენებია, რომ სამხედრო მუნდირი ეცვა, ასე გამოწყობილი კი მათ არასოდეს ენახათ; რომ მისი უბედურების ამბავი ყურმოკვრითაც არ გაუგიათ. ახლა ერთილა იცოდა: ახლობლებს შორის განადგურებული და უბედური იწვა, ისინი კი არ ცნობდნენ. უცებ გაახსენდა ძალები როგორ შემოეხვეინ, რა ხალისით აყვდნენ, მძიმე თათებით მკერდზე როგორ მიახტნენ და თვალები ისევ ცრემლით ავესო.

შვილები ასე მკაცრად არ განუსჯია. ხელი კი უნდოდა ეკრა, მაგრამ ვერ შეძლო. მათი შიშით სავსე თვალების დანახვისას, სანოლზე ტანჯვით აწრიალდა. სამაგიეროდ, მთელი სიძულვილი ცოლისკენ მიმართა, მთელი სიმწარე მის თავზე გადმოანთხია. როგორ უყვარდა! თავს რა სიყვარულით ევლებოდა! ქალმა კი ვერ იცნო, ესე იგი ახლობლადაც კი არასოდეს მიაჩნდა! ტანჯვამ სახე ისე დაუმახინჯა, ცოლიც ველად ცნობს. კი ბატონო, მამ თავადაც აღარ უნდა მისი გახსენება!

ქალმა კითხვა გაუმოკრა:

— რა შეგემთხვა? ვინა ხარ?

მაშინ კაცმა თვალები ძირს დახარა და უპასუხა:

— ადამიანი ვარ, ომიდან ვბრუნდები. თქვენს კართან პური მიწოდდა მეთხოვე, მაგრამ გული წამივიდა. რა მშვენიერი სახლი გაქვთ, იქნებ თავისი სიჭაბუქითი დამაბრმავა, ჯერაც თავბრუს მუხევევ.

ქალმა შესთავაზა, სანოლს გაგიშლიან და მოისვენო. კაცმაც უპასუხა, არ მჭირდება, ცოტა ხნით ასე ვინებები, ამ დღევანდელ და გონებას მოვიკრებო. მაშინ მარტო დატოვეს.

როცა ყველა გაიკრიფა, კაცს ქვი-

თინი აუტყდა; მაგრამ ეს ცრემლი გულს უღობოდა. ცხარე ცრემლით გამოიტირა საზარელი ხედრი, საკუთარ ოჯახში უცნობად რომ გადააქცია. მაგრამ ამ ხედრისგან გაქცევა ერთი ნუთითაც არ უფიქრია. ვერც შვილებს აპატია, მამა რომ ვერ იცნეს და ვერც ცოლს, ქმარს რომ ვერ გრძნობდა. ესე იგი მთელი ცხოვრება მარტოსული ვყოფილვარო, გაიფიქრა, რას იზამ, მამ მომავალშიც ასე იცხოვრებს. ახლა რომ გაამხილოს თავი, რა შეიცვლება? ცოლი და შვილები, ალბათ, კისერზე ჩამოეკიდებიან, დაკოცნიან, მოეფერებიან. სული კი, მისი სული, ისევ ობოლი და დაშრეტილი დარჩება, მისი სულის მუსიკას ისინი ვერასოდეს გაიგონებენ.

დამშვიდებული, მაგრამ გულგაბოროტებული კაცი გარეთ გამოვიდა. ბაღში ამასობაში საუზმის სუფრა გაეშალათ და ისიც მიიპატივეს.

როგორ ჩახახებდა მზე! როგორ ბრწყინავენ ცვარით დაფარული ყვავილები და ხეები! ბუნება თითქოს გაიტრუნა და თავის სიმწვანეს მზის სხივებში აბანავებდა! ადამიანი, რომელსაც სახე მოპარეს, მზის გულზე გამოვიდა, გვერდით კი ცოლი მოყვებოდა. ამ გაფოთლილი ხეების ჩრდილში, მათ თვალწინ მრავალგზის რომ ამწვანებულა, ერთად შეაბიჯეს. შვილებიც უკან მოდიოდნენ.

სუფრასთან ომსა და ბრძოლებზე ისაუბრეს. კაცი ყვებოდა უკუნ ღამეს ტყვიები როგორ ფლეთდა. ნამსხვრევები მსხვერპლს რა უცებ და შეუცდომლად პოულობდა როგორც არ უნდა მოკუნტულიყო, წყვდიადში როგორც არ უნდა დამალულიყო და რა მძიმე ჭრილობებს უტოვებდა. შემდეგ დიასახლისის თხოვნით ისიც მოყვა ერთ ასეთ ღამეს თავად როგორ დაიჭ-

რა. შეტევაზე გადავიდნენ. აფეთქებული ყუმბარები ღამეულ ცას ანათებდა. უცებ რალაც ძალამ მიწას დაახეთქა და სახე თითქოს მდულარე ოფლმა დაუფუფყა. ტკივილისაგან მთელი სხეული აუკანკალდა, დასისხლიანებული პირიდან კენესა აღმოხდა და ეს კენესა ღამეულ ცისკენ აფრენილ სხვა უამრავ კენესას ჩაექსოვა. მარტოდმარტო, ყველასაგან მიტოვებული ეგდო და სისხლისგან იცლებოდა. შემდეგ გონება დაკარგა და ღრმა სიჩუმეში ჩაეშვა.

ქალი შეეკითხა, ეს უბედურება რომელ ბრძოლაში მოგივიდაო. კაცმა უპასუხა. მაშინ ქალმა უამბო, ჩემი ქმარიც, ამ პატარა ბავშვების მამაც, ომში წავიდა, ალბათ იმ ბრძოლაშიც მონაწილეობდა, ახლა რომ მიაშბე, მაგრამ მისი ამბავი კარგა ხანს აღარ მოგვსვლია და ვინ იცის, იქნებ იმ ღამეს ისიც იქ, იმ უკიდურეს ბრძოლის ველზე ეგდო, დაჭრილი სისხლისგან იცლებოდა, მისი კენესა კი, ეს ტანჯვითა და ტკივილით სავსე კივილი, ჯარისკაცთა კენესას ერთვოდაო.

მაშინ მოსულმა უთხრა:

– პო, შეიძლება გვერდითაც მენვა.

ამ სიტყვებმა მზის გულზე მსხდომი ბავშვები შეაკრთო, ცოლს კი თვალები ცრემლით ავესო. შემდეგ კაცი ჩაეკითხა, შენს ქმარს სახელად რა ერქვაო და ქალმაც უპასუხა:

– მორის ფლორი.

როგორც კი ეს სახელი ითქვა, კაცი შეტბა და ქალსა და ბავშვებს თვალბუბნი დაჟინებით ჩახედა. ქალმა დამფრთხალი მზერით უპასუხა და შემფოთებით ჩაეკითხა:

– ასე დაჟინებით რატომ გვიყურებ?

კაცმაც უპასუხა:

– იმიტომ, რომ მორის ფლორი

ცოცხალი აღარაა, ჩემს ხელში მოკვდა.

ბავშვები აქვითინდნენ და დედისკენ ისე გაექანენ, თითქოს მის კალთაში სურდათ თავი დაეცვათ ამ საზარელი უცნობისაგან, ასეთ საშინელ ამბებს რომ ყვებოდა.

– მართალს ამბობთ? – ჩაეკითხა ქალი.

კაცმა გაიმეორა:

– მორის ფლორი ცოცხალი აღარაა, ჩემს ხელში მოკვდა.

მაშინ ქალი შვილებისკენ მოთქმითა და გოდებით დაიხარა.

ის კი მათ ტანჯვას მშვიდად შესცქეროდა და გაოცებულიც კი დარჩა, ასე მოთქმით ვილაც უცნობს რას დასტირიანო. მრავალი წელი მხოლოდ სტუმარი იყო მათ სახლში და ახლა, ასე უცებ მისი სახელი რას გაიხსენესო. ცოლ-შვილი ტიროდა, კაცი კი ისევ და ისევ ყვებოდა ყოველდღიურობის ტვირთსაც და სიხარულსაც ერთად როგორ იზიარებდნენ, ბრძოლებში მუდამ გვერდიგვერდ იბრძოდნენ, სიქააცლილები სასწარმკვეთასაც ერთად როგორ ეძლეოდნენ და ძალასაც ნელ-ნელა ისევ ერთად იკრებდნენ. ახალი დაჭრილი, თავადაც უახლოესი ზურგის ლაზარეთში ვინეჭი, როცა მორის ფლორი იქ მოიყვანეს. თითქოს საშობი არაფერი იყო, ხიშტით დაეჭრათ. ასეთი იარები კი მალე ხორცდება. ახლო მეგობრები ვიყავით და გვერდიგვერდ სანოლებზე დანოლისნება დაგვრთეს. შემდეგ მისი მდგომარეობა უცებ გაუარესდა. ჭრილობა დაუჩირქდა და ეს ჩირქი მთელ სხეულს სწრაფად მოედო. საშინლად იტანჯებოდა და ღამის სიჩუმეში თავის ტანჯვის ამბავს მეგობარს ჩურჩულვით უზიარებდა. გული, ეს მშვენიერი, ხასხასა სისხლით აალებული ჭურჭე-

ლი, შხამს იწოვდა და სხეულის სიღრმეში ერეკებოდა. მისი გრძობებიცა და აზრებიც კი - ეს ყველაზე მყიფე და სანუკვარი ჭურჭელი - თითქოს ამ შხამით გაიფლანკა. დაჭრილი ტანჯვით იკლაკნებოდა, მზერით შენდობას ითხოვდა. რა საშინელი თვალეები ჰქონდა, მუდარით სავსე თვალეები, როგორც ძალღს, რომელსაც ტყვია ესროლეს; როგორც ბებერ, ავადმყოფ ძალღს, რომელიც მაშინაც კი, როცა ტყვია მკერდს შეუნგრევს, თვალეებით იხევენება, გაიხსენეთ, როგორი ვიყავი, გაიხსენეთ ჩემი ერთგულება, გაიხსენეთ, როგორ მიყვარდით და ნუ მომკლავთო. ამ თვალეებს მშვიდად ვერ შეხედავდი, ამ ტანჯვას გულგრილად ვერ დაინახავდი. შხამი კი მის ძლიერ სხეულს ნელ-ნელა იმორჩილებდა. შხამი არ ინდობდა. სიკვდილის წინ კი ძალა და ნათელი გონება ერთხელ კიდევ დაიბრუნა და თქვა: სიცოცხლეს ჩემთვის აზრი არა აქვს, აღარაფერი შემრჩა, უსახლკარო, მარტოსული და მოძულებული ვარო.

- ამას ვერ იტყოდა! - იყვირა ქალმა და ნამტირალევი სახე უცნობისკენ მიაბრუნა.

- თქვა, რა გიყო. სიკვდილის წინ შევეკითხე, ისეთი ვინმე თუ შეგრჩა, უკანასკნელი წუთების ამბავი მოვუყვე-მეთქი. მან კი, არავინ მიცნობსო, ჩაიჩურჩულა.

ქალი ჩაეკითხა:

- დარწმუნებული ხარ, რომ მორის ფლორი ერქვა?

უცნობმა უპასუხა:

- ჰო, ასე ერქვა.

ქალი ისევ ჩაეკითხა:

- სახე თუ გახსოვს მისი?

უცნობმა უპასუხა:

- ჰო, კარგად მახსოვს. ვაჟკაცური,

მკაცრი სახე ჰქონდა, ხორბლისფერი

და გლუვი კანი, დიდი მონაცრისფრო-მოციხფრო თვალეები და დაბალი, მყლერადი ხმა.

ქალს ეჭვი გაეფანტა და ჩემი ქმარი, ირწმუნა. მაგრამ მისი უკანასკნელი სიტყვები მაინც ვერ გაეგო. უცნობმა ისევ უთხრა:

- იქნებ ციებ-ციხელება მოერიო. ვინ იცის, იქნებ ბოდავდა კიდეც.

და ორივე, ალბათ სწორედ ასე იყო, შეთანხმდა.

დარდით გატეხილი ქალი მთელი დღე მოსთქვამდა. თბილი და კურთხეული დღე იდგა, ნათელი ზეცა ფართოდ გადახსნილიყო. ქალი ბაღში, ხასხასა ყვავილებს შორის დაეხეტებოდა. უცნობიც ძალაუნებურად უკან დასდევდა. ისევ და ისევ ქმრის სიკვდილისა და მისი უკანასკნელი დღეების ამბავს ეკითხებოდა. ისევ და ისევ სურდა გაეგო თუ როგორ იტანჯებოდა, ბოლო წუთები როგორ აიტანა. უცნობიც ძალაუნებურად უყვებოდა ომში როგორ ცხოვრობდნენ, რა მამაცი ქმარი ყავდა, რას ფიქრობდა ან რას ამბობდა, როცა ბრძოლის შემდეგ ცხელი სისხლით გაჟღენთილ მიწაზე იწვია.

სალამოს ბინდი ჩამოწვა და ქალი, დარჩიო, უცნობს შეემუდარა. რომ ნახვიდე, დარდი გამტეხავს, დიდი შელავათია ქმრის ამბავს რომ მიყვებიო, უთხრა. კაციც, კარგი, ღამეს აქ გავეატარებო, შეპირდა.

სახლისკენ გაბრუნდნენ. მათი წაგრძელებული და ვინრო, ხოლო ბავშვების მსუბუქი ჩრდილები წინ ერთად მიიწვედნენ. სახლის კედელზე მათი თავების ანარეკლები მკვეთრად გამოიხასხა. კაცმა შეხედა და გაიფიქრა, ჩრდილი ის ადამიანია, ვისაც სახე მოპარეს, მე ხომ ჩემივე თავის ჩრდილი ვარო და სახლში შევიდა.

მოსულს ხუტორი არც მეორე და არც მესამე დღეს დაუტოვებია. ქალი დაჟინებით ემუდარებოდა, დარჩიო და ისიც რჩებოდა. ბოლოს, ერთ ბინდიან სალამოს გაბედა და თავისი ამბავი, თავისი უცნაური ხვედრის ამბავი მოუყვა. შინ იარებით სახედალარული დავბრუნდი და ვერავინ მიცნო, ვერც დედ-მამამ, ვერც უმცროსმა და-ძმებმა, ომში კი კოცნა-ალერსით გამაცილესო. ძალღებმა მიცნეს და ხელები ამილოკეს. მამშინ მშობლიური სახლი მივატოვე, ისეთივე უცნობი წავედი, როგორიც დავბრუნდი. განა დედა ვალდებული არაა, შვილი იცნოს? ან მამამ როგორ ვერ უნდა იცნოს თავისი ბიჭი? სახე რას მიქვია, განა ისეთივე არ დავრჩი, როგორიც ვიყავი? მას შემდეგ უცხო ხალხს შორის დავეხეტები და თავს მონყალებით ვირჩენო.

გულარუყებულმა ქალმა შესთავაზა, თავი შენს სახლში იგულე და რამდენ ხანსაც გინდა, დარჩიო. ეს ხომ ბედნიერება იყო, კარი ამ უბედურისთვის, ქმრის უკანასკნელი მეგობრისთვის გაეღო!

მოსულმა ქალის მიწვევა დიდი მადლიერებით მიიღო.

ამის შემდეგ ქალიცა და ბავშვებიც უფრო მიენდნენ და გულის კარიც უფრო ფართოდ გაუღეს. პატარებს მისი გარეგნობა უკვე აღარ აფრთხობდათ, კალთაში უსხდებოდნენ და დაულალავად უსმენდნენ დახშული, ხრინწიანი ხმით ამბებს როგორ უყვებოდა. კაცს კი ყოველთვის, როცა ბავშვების სიახლოვეს, მუხლებზე კი მათი თოთო სხეულების სიმძიმეს გრძნობდა, უკიდვანო მარტოობისა და სევდის განცდა ეუფლებოდა. ხანდახან თავადაც იხმობდა და გულში იკრავდა. ბავშვები გაოცებით უყურებდნენ და შემდეგ დიდხანს დუმდნენ. დედა ხედავდა,

კაცმა მისი შვილები როგორ შეიყვარა და გული უთბებოდა. ერთადაც ხშირად ისხდნენ და ბავშვებზე დიდხანს საუბრობდნენ. ეს კი ქალს თვალწინ მისი გონების ღირსებასა და გრძნობათა სიმდიდრეს უშლიდა და ქალიც კიდევ უფრო მიენდო და შეეთვისა.

კაცმა ამითი დაუყოვნებლივ ისარგებლა და ქალის გონება უფრო და უფრო მიიჯაჭვა. დროდადრო თვალთმაქცობდა კიდევ და ეს ძალიან ართობდა, რადგან მისი სულის წახნაგების დათვალიერება და შეფასებაც კი შეეძლო. ახლა ეს ქალი სულაც არ ალელეებდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა და მისი ბუნების, მისი არსის შეცნობას ისევ და ისევ ცდილობდა. ძალიან უნდოდა, ქალს გული თავად გადაეშალა და იმედი ჰქონდა, ბევრ ისეთ რამეს შეეიტყო, ადრე წარმოდგენაც რომ არ ჰქონდა და მისი გულის შესაიდუმლევ ცაეხდებო.

მხოლოდ მორის ფლორიზე საუბარს გაურბოდა, თავს არიდებდა. როგორც კი ქალი მიცვალეულს გაიხსენებდა, სწრაფად და მოხერხებულად სიტყვას მაშინვე სხვა თემაზე გადაიტანდა. საკუთარ ხატს მის მესხნიერებაში თანდათანობით ანადგურებდა და ამით ქეშმარიტად ტყებოდა. ხანდახან, როცა მორის ფლორის ხსენება გარდაუვალი იყო, იმასაც კი ბედავდა, სიტყვა გადაეკრა, მართალია, ძლიერი და ჯანმრთელი ბუნება ჰქონდა, მაინც ახასიათებდა რალაც ისეთი ახირება, არაკეთილმოსურნემ მანკიერებად რომ შეიძლება ჩათვალოსო. მეგობრად არჩეულებისგან კი ყოველთვის სულის იდუმალ კუნჭულებში ნედომის უნარს ითხოვდა. ამ განძს ისე უფრთხილდებოდა, ამკარაა, მისთვის ყველაზე ფასეული ეს იყო. ქალი არ



მწარდებოდა, კაცი ხომ ამას ყოველთვის გაკვირით ამბობდა და თავს არ აბეზრებდა. პირიქით, მათი ურთიერთობა დღითიდღე უფრო გულითადი ხდებოდა, რაც კაცის ჩანაფიქრს ხელს დიდად უწყობდა.

თავის თავს ხშირად უმეორებდა, სახის გარეშე ადამიანი უფრო მოხერხებულად ცხოვრობსო. უფრო თავისუფალია და მშვიდი, გარე სამყაროსთან პირდაპირი კავშირი ჩანყვეტილი აქვს, სულ შემართული აღარაა, მინაზეც უფრო მყარად დგას, ვნებადაცულილი აზროვნებს და მსჯელობს, არც ვინმეს განანყენების უშინია და თავის თავსაც უფრო მეტად ემსგავსებაო.

იგი გახდა ადამიანი, რომელსაც სახე არ ჰქონდა და ეს უბედურება თავის სასარგებლოდ გამოიყენა. ქალი ძლიერი ნებით დაიმორჩილა და თანდათან ისეთად გადააქცია, თავად რომ უნდოდა. მათი ურთიერთობა, ქალისთვის შეუმჩნეველად, მსუბუქი, სასიყვარულო ვნების ჩრდილით შეიმოსა. ეს ჩრდილი კაცს ძალიან მოწონდა და უფრო და უფრო ამუქებდა. მისი იარები ახლა ბურუსმა დაფარა და ქალი ამას ველარც კი ამჩნევდა. ბურუსმა სხვა ბევრი ისეთიც დაფარა, ადრე ამკარა რომ იქნებოდა. თავისი ძალისხმევით კმაყოფილი მოსული ჩუმად იცინოდა, ჰო, სიყვარული ჭეშმარიტად ბრმაა, მე, მაღლობა ღმერთს, ერთი თვალით მაინც ვხედავო.

ხანდახან იმასაც ფიქრობდა, თურმე რა ბედნიერებაა, როცა შენი ნაკვთები აღარაა ქმნილება იმ ფიზიკური, ბრძენი ბუნების, დიდხანს და დიდხანს მათ შენი სულიდან ამოზიდული ძალების შთაგონებით რომ ხვეწავს და უცებ უხეში რკინის საკუთრება გახდება, თავის ამოცანას თვალისდახამხამებაში რომ ასრულებს და ამ ნაკვ-

თებს ღარებისა და იარების ლაბირინთად გადააქცევსო. და რახან ქალიც კი მიაჩვიე ამ გაყინული ნიღბის მიღმა საყვარელი ადამიანის გრძობათა ანარეკლის ძიებას, შეიძლება კარგადაც მოეწყო. არც თავის მოკატუნება გჭირდება და აღარც საკუთარი გულგრილობის დამალვა. შეიძლება გულცივიც დარჩე, განხეთქილება კი თავიდან მაინც აიცილოო.

რა სიამოვნებას ანიჭებდა მოსულისა და ქალის ამ წამიერი რომანის დანახვა! ეს ორაზროვანი მდგომარეობა კაცმა მშვენიერად შეაფასა: უჩინარი ქმარი, რომელიც ვერ იცნეს, საკუთარი ცოლისა და მოსულის ნაზი, სასიყვარულო სცენების მოწმე გახდა. უფრო მეტიც, ამ სიყვარულის მოუხელთებელი მშვენიერება ბოლომდე შეიტკბო. იყო რაღაც დახვეწილი და თავისებური ამ გრძობაში, ისევე, როგორც თავად ქალში, ის კაცი რომ შეიყვარა, ვის სახესაც ვერასოდეს დაინახავდა. მისი სულის იდუმალ ძალასა და მშვენიერებას ხედავდა მხოლოდ და მთელი არსებით მისკენ ისწრაფოდა. ქალის გრძობებს ამ სწრაფვამ უჩვეულო სულიერება და დახვეწილება შესძინა და მისი მომხიბვლელობაც ფართოდ გაიფურჩქნა! ზღუდე არ გადაულახავთ და ამ თავგადასავლის მძაფრი, გახელტეხული მშვენიერება სწორედ ეს იყო.

მათ შორის თითქოს მსუბუქი საბურველი რიალებდა. მის მიღმა ქალი საყვარელი ადამიანის გარეგნობას ძლივსლა ამჩნევდა, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი სახე არასოდეს ენახა. შეუცნობელი სევედა მათ ერთმანეთისკენ ერეკებოდა. კაცის შეგრძნებებიც კი დაიხვეწა, რადგან ძალაუნებურად ქალის ამაღლებული გრძობების გავლენის ქვეშ მოექცა. ერთი სიტყვით,

ორივე განსაკუთრებული და განუმეორებელი ნეტარებით ტკებოდა.

და აი, ერთ საღამოს, როცა შემოდგომის პირველი წვიმა წამოვიდა, აღსრულდა ის, რის მიღწევასაც მოსული ასე დიდხანს და ეშმაკურად ცდილობდა. სახლის დასავლეთ ფლიგელში მარტონი დარჩნენ. ფანჯრების სველი მინებიდან ოთახში ბინდი იღვენებოდა, გარეთ კი ქარიშხალი ქროდა. ასეთ ამინდში, როცა ყველა შინ დარჩენას ამჯობინებს, კაცმა ეს ქალი თითქმის ძალით დაიმორჩილა.

მაგრამ ამ ერთმა ღამემ კაცი გატეხა, გაანადგურა, აზრები და გრძნობები აუფორიაქა. ქალი უცებ ისეთი ახლოებული გახდა, რომ მისკენ სწრაფვამ ირგვლივ გულმოდგინედ შემოხვეული ჯავშანი დაუმსხვრია, თავადაც შეარყია და მინას დაახეთქა. ამ აღმოჩენით გაოგნებული, ქალს თავზარდაცემული გაექცა.

ბურუსში დიდხანს იხეტიალა. საყრდენს ეძებდა და ვერ პოულობდა. თავის თავს, ვინა ვარო, შინით ეკითხებოდა, პასუხს კი გრიგალისგან იღებდა:

– ადამიანი სახის გარეშე არავინაა, სამაგიეროდ, ვინც უნდა, ის გახდება.

კოკისპირული წვიმა თავზე და ზურგზე ასხამდა, ის კი დაუსრულებლად მიდიოდა, ბილიკებს მოუყვებოდა და ხუტორსაც უფრო და უფრო შორდებოდა.

და მაინც – უკან დაბრუნდა. ქალი მონატრა და დაბრუნდა. თავისი დარდის უსამანო სიღრმე და ძალა გააცნობიერა და ბოლოს და ბოლოს ლოყები მდულარე ცრემლმა დაულარა.

ამ წუთიდან იგი შეიცვალა. თავის თავში ჩაკეტილი მარტოდმარტო დაეხეტებოდა იმ ბალის ბილიკებზე, სადაც ახლა, ტრიალ-ტრიალით, ფოთ-

ლებილა ცვიოდა. სიტყვაძუნწი, ქალსაც და ბავშვებსაც თავშეკავებით ექცეოდა. თუმცა დროდადრო ქალისკენ მდუმარედ იხრებოდა და არასდროს რომ არ უკოცნია, ისე ნაზად კოცნიდა. ბავშვებიც დედას ხშირად უყვებოდნენ, ხანდახან, როცა ვზივართ და ვთამაშობთ, ჩვენთან მოდის, მუხლებზე გვისვამს, გვეფერება და თვალები ცრემლით ევსებაო. გაოგნებული ქალი ბავშვებს ტკივილით უსმენდა.

ღამით, როცა ყველას ეძინა, კაცი შინიდან ხშირად გადიოდა და გზებზე უმიზნოდ დაეხეტებოდა. ასე მარტოდმარტო, ყველგან და ყოველთვის მარტოდმარტო დადიოდა, დაუსრულებლად წარსულზე ფიქრობდა და უკვე საკუთარ თავს, საკუთარ საიამაყესა და პატივმოყვარეობას ადანაშაულებდა. მძიმედ, მტკივნეულად იცვლებოდა და დიდ შინაგან წინააღმდეგობას ებრძოდა. დროდადრო ძველებური დაუნდობლობა და შეურიგებლობა იმძლავრებდა, თავის დანაშაულს უარყოფდა, შემდეგ ისევ წაიხრებოდა, ამ მძიმე ტვირთს ისევ წამოიკიდებდა. მერე და მერე ყოველივე თავის თავზე აიღო, სხვას აღარავის ადანაშაულებდა და როცა ბოლოს და ბოლოს განუდგა იმას, რაც ამოუძირკვავი ეგონა, ბურუსში მრისხანე სიდიადით აღსაცხე შეჩერდა და გული სინაზით გაეყვინთა.

უკან, შინისკენ წავიდა. სწრედ იმ გზას დაადგა, ომიდან შინდაბრუნებული, დილით რომ მოუყვებოდა. გულიც მაშინდელივით სიხარულით უთრთოდა. ბინდის, წვიმისა და ქარიშხლის მიღმა არაფერი მოჩანდა, მაგრამ ყოველი ნაბიჯით კაცი თეთრ ზუტორს უახლოვდებოდა და ამას გრძნობდა.

ბალის ჩრდილში შეაბიჯა. ხეები თავს ზემოთ აუშრილდნენ, ის კი სახ-



ლისკენ ნელა წავიდა. რბილი, თეთრი სხივებით აცილებული სახლის კედლები ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს მინას მსუბუქი ოხშივარი ასდიოდა. ისე ჩუმად, თითქმის სუნთქვაშეკრული მიაბიჯებდა, თითქოს ამ მშვენიერი ხილვის გაქრობის ეშინოდა.

მაშინდელივით იმ ოთახის ფანჯარასთან შეჩერდა, სადაც ცოლსა და

შვილებს ეძინათ. ქარიშხალი გრგვინავდა, ნეიმა მხრებზე თავდაუზოგავად ასხამდა, მაგრამ მშობლიური სხეულების სითბოს ამ ბურუსშიც კი გრძნობდა. და თავის შვილებს მან ჩურჩულით ასე მიმართა:

– ხელ დილით მამათქვენი ომიდან შინ დაბრუნდება. მისი იარები ღრმა და საზარელია, მაგრამ ნეტარ არს იგი, ვინც თავის სახეს განუდგა.

თარგმნა მანანა მიქელაძემ





თეიმურაზ ჟურლოვანიძე

გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხე“

“ნატვრის ხე”, გიორგი ლეონიძის პროზაული შედევერი, დიდი შემოქმედებითი გამოცდილების დაგროვების შემდეგ შეიქმნა. ეს წიგნს ყველაფერზე ეტყობა: რაფინირებულ და ამავე დროს ლონიერ, “ბედაურ” სიტყვაზე, თხრობის სტილზე, მკითხველისათვის ნოველათა ორიგინალურ მონოდებაზე, პერსონაჟთა ხასიათების მრავალფეროვნებასა და თვითმყოფადობაზე და სხვ. გიორგი ლეონიძე “ნატვრის ხეში” ირჩევს თხრობის გულწრფელ მანერას. მწერალი აშკარად დაინტერესებულია უდავო ჭეშმარიტებად აღგაქმევისადმი და მკითხველს აძლევს მხატვრულ გამოწვევას დაფუძნებული, რომლის კავშირი რეალობასთან ეჭვს არ იწვევს. მწერალს “ნატვრის ხის” ფონად გამოუყენებია გარე კახეთში ნამდვილად არსებული გეოგრაფიული პუნქტი და იმ სოფელში გაათამაშებს პატარა და დიდ ტრაგედიებსა და კომედიებს, აცოცხლებს იქ მოსახლეთა თავგადასავლებსა და ბუნება-ხასიათებს. გიორგი ლეონიძეს თავისი ხსოვნის სამალავებიდან ამოაქვს ყრმობის ხანიდან დაღუპილი ამბები, გადაადულებს მათ თავის “სულიერ ქურაში” და თავისი მხატვრული ამოცანის შესაბამისად დიდი რუდუნებით წნავს ნოველათა სიტყვიერ ქსოვილს. ნოველაში სიუჟეტი (ამ სიტყვის კლასიკური გაგებით), მართა-

ლია, ყოველთვის არ არის ჩამოყალიბებული, მაგრამ ამბავი ჭეშმარიტი არტისტული ბრწყინვალეობით მოგვენოვება.

“ნატვრის ხეში” გიორგი ლეონიძე აგვიჩვენებს XX საუკუნის პირველი მეოთხედის გარე კახეთის ცოცხალი ეთნოგრაფიული ყოფის სურათს. მკითხველი უშუალოდ ეცნობა ტრადიციულ რწმენა-წარმოდგენებს, საახალწლო და სააღდგომო დღესასწაულებისათვის მზადებას, საგაზაფხულო თამაშობებს და სხვ., რომელთა შესახებ დღეს მხოლოდ სპეციალურ წიგნებში შეგვიძლია ნავიკითხოთ. მწერალი ყოველივეს აღწერს არა მარტო იმიტომ, რომ შემოგვინახოს მათი ხსოვნა, არამედ სურს, დაგვარწმუნოს, რომ ცხოვრების ასეთი წესი ზრდიდა და აფაქიზებდა ყრმათა სულებს.

ნატვრის ხე პოეტისათვის პატარა ძეგლში ხარობდა და ხარობს, პატარა ძეგლში, რომელსაც სიყვარულში იგი ყრმობიდანვე გამოუტყდა და არა ერთი პოეტური სტრიქონი უძღვნა, მაგრამ რაკი სიცოცხლის ბოლომდე გაუცვეთელი დარჩა ეს გრძნობა მშობელი მინისა და მისი მცხოვრებლებსადმი, გულში დაგროვილმა სათქმელმა ახლა სხვა ფორმით ამოხეთქა. “ნატვრის ხეც” სავსეა პოეზიით, ოღონდ პროზაში განფენილი პოეზიით. გიორგი ლეონიძე-მთხრობელი “ნატვრის ხეში” სხვა თვალთა ჭვრეტს

რეალობას. ამ თვალს არ დაუკარგავს პოეტური ხედვა, მაგრამ ასაკში შევიდა და, რაკი მის არსებაში მთელი ცხოვრებაა არეკლილ-ჩატეული, ამიტომ მეტი სიყარულით იზიარება, ჭარმაგი კაცის გრძნობა-გონება სჯის.

პოეტი თბრობისას ხატავს. იგი ისეთი გასაოცარი უშუალობით გვიყვება ძველ ამბებს, ყურადღების მოდუნების საშუალებას არ გვაძლევს არა იმდენად მოქმედების ხშირი ცვლით, რამდენადაც ნათქვამის სახეობრიობა-ხატოვანების წყალობით. მწერალი აფხიზლებს მკითხველის წარმოსახვას, გვაიძულებს, დაეფიქრდეთ სიტყვათა შინაარსზე, მათი გაცნობიერების შემდეგ კი შეიძლება დავინახოთ კიდევ ნათქვამი. აი, ერთი (თუმცა არაერთადერთი) ჩვეულებრივი მაგალითი პოეტისეული ხატვის არაჩვეულებრივი მანერისა: "თვალმცეცხლი იყო შალია, თავგული, სხარტი, ლალი, გულზავი, გიჟმაჟი, გაშლილი გუნებისა, ამაყი, სამხედროსაკენ მიმდრეკი, ტოლ-ამხანაგთა შორის სახელის მაძიებელი. სახელისათვის დაუზოგავი იყო. არც ცეკვა-თამაშში, - კარგი ქართული იცოდა, - არც ჭიდაობაში სახელს არავის დაუთმობდა" („ნატვრის ხე“, თბ., 1976, გვ. 76).

გიორგი ლეონიძის პერსონაჟთა მოქმედების სივრცე ტრადიციული ქართული სოფელია, ისინი მართლმორწმუნე ქრისტიანები არიან. მათ შესისხლხორცებული აქვთ მამა-პაპათაგან გადმოცემული ტრადიცია წინაპართა კულტისა და ძველ ღვთაებათა თაყვანისცემისა, ასრულებენ ტრადიციულ ნეს-ჩვეულებებს, ემინათ ცრურწმენებისა, ერთი სიტყვით, სოფლური ცხოვრების ჭაპანს ვწვევian.

წარმოსახული ყოფის სრულყოფილად დასახატავად გიორგი ლეონიძე მიმართავს ბიბლიასა და მითურ გად-

მოცემებს, ხალხურ ზღაპრებსა და თქმულებებს, საისტორიო სიტყვიერების ნიმუშებს, "ვეფხისტყაოსანს", დალოცვა-სადღეგრძელოებსა და ანდაზა-გამოცანებს, ანუ ყოველივე იმას, რაც საუკუნეების მანძილზე სისხლხორცეული გამხდარა ქართველი გლეხკაცისათვის.

გიორგი ლეონიძე მის მიერ დახატულ სოფელში იმავე ცხოვრებისეულ კანონებს აღმოაჩენს, როგორც საერთოდ სამყაროშია გამეფებული. ზოგადად, ესაა კეთილისა და ბოროტის გვერდიგვერდ ცხოვრება და დაპირისპირება. აქ განგების მიერ მიზომილ სიცოცხლის დღეებს, როგორც მძიმე ტვირთს, მიათრევენ ღმერთის მიერ სხვადასხვა სახით, ხასიათით, ბედით გაჩენილი ადამიანები. მწერალს ისინი ბედიანიც და უბედონიც, ცისკენ მზირალიც და მიწას უიმედოდ ჩაშტერებულიც, განურჩევლად უყვარს და ცდილობს, ჩვენც კეთილად განგვანყოს მათ მიმართ. საერთოდ მკითხველის კეთილგანწყობის მარცვალს მწერალი წიგნის პირველ გვერდზევე იმით აგდებს ჩვენი გრძნობის ნიაღში, რომ თავის ნაფიქრ-ნაშრომს უძღვნის ამ ქვეყნად ყველაზე სანუკვარ არსებას, დედას: "დედის ჩანვეთებულ ცრემლზე ია ამოდისო", - ასე იტყოდნენ ჩემს ყრმობაში.

ჩემი სოფლის ტყისპირებში ყოველ გაზაფხულზედ ია ბლუჯეულად ამოდოდა, არემარე სულ ლურჯად გადაიბურებოდა ხოლმე. მეგონა, მთელი ქვეყნის დედებს აქ ეტირნათ, იმდენი ია ამოსულიყო ჩემი სოფლის მშვენიერ მიდამოებში.

ისი სიყვარული დედამ შთამაგონა, იასავით სპეტაკი ადამიანი იყო.

თვითონაც ხომ პირველი იების მოსვლის დღეებში გაგვმორდა...

ამ წიგნს ვუძღვნი ძვირფას დედას,

რომელმაც მასწავლა იების სისპეტაკისა და მშობლიური მიწის სიყვარული*.

“ნატერის ხეში” ყოველნაირ ადამიანს იპოვნით, ისეთს, რომელიც ბევრ თქვენს ნაცნობს გაგახსენებთ და ისეთსაც, რომელიც გამოირჩევა სხვათაგან. მწერალი მათ სულიერ სამყაროსა და მისწრაფებებს ყველაზე ნათლად წარმოაჩენს დაპირისპირების მხატვრული ხერხის გამოყენებით.

დღეობაში საკუთარი სახელის გამო ახირებული კაცების მიერ ნაცემი დიაკვანი ელეფთერი, უფრო ღვინის კაცი “ვიდრე სულისა, თავქეიფა, ლხინიკო, ღვინის ხაპია”. მწერალს იგი დაპირისპირებული ჰყავს ელიოზთან, წერილშიელ უღარიბეს გლეხთან. დიაკვანი ელეფთერი მიწიერის, მატერი-ალურის სიმბოლოა, მეოცნებე ელიოზი – ზეციურის. ელეფთერს უკვდავების ვეშა-წყაროზეც სმენია და მისი მიუწვდომლობის შესახებაც, გაკვირვებული კი იმით იყო, რომ ელიოზი უარს ამბობდა უკვდავებაზე, თუმცა კი ხან ოქრო-კვერცხას, ოქროს მდებელ ქათამს ეძებდა, ხან ნათელთევზას დაჭერა სურდა, ბოლოს კი ხერევანდის, ანუ ნატერის ხის ძიებას გადაჰყვა. მწერალი ელიოზს საუკუნო სიღარიბისაგან თავდახსნაზე მეოცნებე კაცად წარმოგვიდგენს, რომელსაც რეალური ყოფიდან გაქცევის და შვილების სიღუბნითიდან ამომყვანი, ნითელყვითლად აბრიალებული, აყვავებული ხის პოვნის იმედი ბოლომდე შერჩა.

ელიოზის სახის შექმნისას გიორგი ლეონიძე სარგებლობს საზღაპრო ეპოსში კარგად ცნობილი გმირის, ბედის მძაძიბელი კაცის, შესახებ არსებული ცოდნით. ელიოზს აცოცხლებს რწმენა: “იანერის სასტიკ ყინვიან ღამეში თუ შუალამისას მოხვდი ტყეში და თუ ცის გახსნას შეესწარ, მაშინ დაი-

ნახავ ტურფად აყვავებულ ჯადოსნურ ხეს. არა მშვენიერება მას არა სჯობია!” (გვ. 11). ამიტომ ისწრაფვის იგი ასე თავდაუზოგავად ამ ჯერ უნახავ საოცრებასთან შესახვედრად.

ასეთი სასწაულებრივი ხე გერ-დედინაცელის ზღაპარში გვხვდება ხოლმე. სხვა ჯადოსნური ზღაპრები იცნობენ ისეთ ფანტასტიკურ ბალებს, რომლებშიც რიგი ხეხილისა ყვავის, როგს ნაყოფი ასხია, რიგი კი მწიფეა. გიორგი ლეონიძე ერთ სასწაულებრივ ხეს მიანერს ამ ფანტასტიკურ თვისებებს: “ის ხე თურმე ერთ საათში კიდევ აყვავდება, კიდევ ნაყოფს გამოისხმს. თუ მისი ნაყოფი ხელთ იგდე, ერთი გაკვნეტა და შორჩა! სიღარიბე იმნამსვე ჩამოგვიღდება სამუდამოდ” (იქვე). ნატერის ხე მწერალთან ნატერისთელის დუბლირებული საგანია. განსხვავებით ჯადოსნური ზღაპრის გმირისაგან, რომელიც ერთი ხელის მოსმით აღწევს გარემოსა და თავისი მდგომარეობის ტრანსფორმაციას, გიორგი ლეონიძის გმირი რეალური ქვეყნისა და დროის შვილია და ამიტომაც განწირული.

გიორგი ლეონიძე მანც ცეხდაფებ მიჰყვება თავის მეოცნებე გმირს: “ისეთი ღამაზე ხე ამოერჩია სანყალს, რომ იმის დანახვას არაფერი სჯობდა. ყინვას მოერთო ათასნაირი ყვავილებით, არშიებით, რუშებით, ჟინჯილებით...”

სწორედ აქ უნდა შეხვედროდა ელიოზი თავის ოცნებას. “ვინ უთხრა, ვინ ჩააგონა (ეს რწმენა) დღესაც არ ვიცი” რიტორიკულ კითხვას სვამს მწერალი, თუმცა იცის, რომ ზღაპარმა.

ისევ პრაგმატულისა და პოეტურის დაპირისპირებაზე მიგვანიშნებს მწერალი, როცა გვაუწყებს, რომ დიაკვანი ელეფთერი გამოთვრა შემზარავი

სინამდვილის მსხვერპლის, ელიოზის ქელეხში.

მწერლის პოზიცია ნათელია.

“ნატურის ხეში” სხვა პერსონაჟებიც ოცნებობენ. მენისქვილე რაჟდენს ვარსკვლავებით მოჭედული ცა არ ასვენებს. რაჟდენი ფიქრობს, რომ ვარსკვლავების სამეფოშიც დედამიწის მსგავსი ყოფა უნდა იყოს, იქნებ “სილარიზით იქაც ქვას ლოკავს ადამიანი” (გვ. 43). ზღაპრის გმირივით სურს რაჟდენს ცაში გაგზავნოს სურვილი: “შევისხა ფრთები და გაფრინდე მზის დედასთან საჩივლელად!” რა უნდა უთხრას რაჟდენმა სამართლიანობის დვთაებას – მზის დედას? ბევრი რამ დედამიწაზე გამეფებული უსამართლობის შესახებ და კიდევ ის, რომ მრავალი სხვა ადამიანივით ვერც მან იშოვა თავისი ვარსკვლავი! რაჟდენს, ბუნების ენის მცოდნე მინდიასავით სათუთ კაცს, ეს კითხვაც არ ასვენებს: “საიდან გაჩნდა ამ ელვარე მზეში ჭუჭყი ან სილარიზი, როცა ჩემი სული ყვავილებშია გახეული?” (გვ. 46).

ამ ფონზე მწერალს ნოველაში შემოჰყავს გარსევანი, რათა გვიჩვენოს, როგორ ამძიმებენ მინას ნიღაბმორგებული ადამიანები, ვითომ სიკეთის სამსახურში ჩამდგარნი, სინამდვილეში კი მხოლოდ საკუთარ თავზე მოფიქრალნი. გარსევანის მსგავსნი ვერასოდეს იგრძნობენ ვერც პოეტური სულის რაჟდენის გამოხედვას და ვერც გოგლა ბიჭის გაყიდული გნოლა ხარის თვალების ღრუბელს.

განა გარსევანზე ნაკლები თავკერძაა ყადორი (“სამთო საბალახე”), კაცი, რომლისთვისაც დრო ჯერ კიდევ თავადობის ხანაში გაჩერებულია. მშვიერი და უძეოდ გადაგებული ყადორი თავისთან არ უშვებს ახალ დროს მოყოლილ ცვლილებებს, ისევ თავისი პგონია სამთო საძოვარიცა და ის

ცოდვებიც, რომლებსაც გამუდმებით იხსენებს.

გარსევანისა და ყადორის ტყუპისცალია, ოღონდ უფრო მძინეარე და მუდამ ავადსახსენებელი ციციკორე, სოფლის თვითმარქვია პატრონი, საერისთავო კვერთხით მოსიარულე, არამკითხვ გამგებელი, ყველას შიშის ზარი, დიდი ხნის განმავლობაში სოფლის უგვირგვინო წინამძღოლი, მაგრამ ახალ დროში, ახალ ცხოვრებაში გარსიასგან “გადაყენებული” და სიკვდილის მიერ თანაყვანილი. ცხოვრებაში “თვალშეუნდენელი გმირი”, ყოველივე პროგრესულის, ნათელის მოძულე ციციკორე მწერალმა გაციებით გამოასალმა სიცოცხლეს და ეპიტაფიის ნაცვლად შენიშნა: “ციციკორეს სიკვდილის ღამით, თურმე, არც ვარსკვლავები ჩამოცვენილა, არც წყლები მხოლოდნენ, არც ქარი გრიალებდა...” (გვ. 177).

ციციკორე 1915 წელს დაასაფლავეს. ახალი ცხოვრების სიმბოლო – მატარებელი – აშინებდა ციციკორეს. იმიტომ ჩაასწრო საფლავში მისი საყვირის კვიცის.

თუ ფსევდო პატრიოტი ციციკორე სიკეთის ნიღაბსამოფარებული დადის სოფელში და ფარულად თესავს ბოროტებას, დარბაისელი ჩორეხი ყოველივე შულამაზებულს განასახიერებს. ის იყო “კეთილი, თუმცა ძველმანი ადამიანი, დახავსებული თვალეებით, დაღამებული გუნების კაცი, რომელიც მხოლოდ წარსულის ღამეში ცხოვრობდა, რადგან არ ჰქონდა ანწყოს მხედაობა: იყო ცალმაგი, ერთმაგად ნაქსოვი ადამიანი, ერთი თვალით მხედავი!” (გვ. 213). ჩორეხმა საქართველოს ბედით შენუხებულმა იცხოვრა და კეთილი სახელი დატოვა, რომელიც ქონებაზე მეტად ფასობს.

გარე კახეთის სოფლის “დაგუბე-

ბულ ცხოვრებაში" კი შეუჩერებლივ შემოდის ახალი. ამას მინის გულის გუგუნით გამოხატავს გიორგი ლეონიძე ნოველაში "სოფლის შარაზე". იორამის სახის ჩამოყალიბებისათვის მწერალი "სასწაულებრივი ოსტატების" ცნობილი ზღაპრის ერთ-ერთი პერსონაჟის მოდელს იყენებს. ანარქისტი იორამი ახლებური აზროვნების მქადაგებელია. მას არ ძალუძს რაიმეს შეცვლა, მაგრამ მინის გუგუნის შეგრძნება განა ცოტაა, როცა მარტო სოფელში კი არა, მის ოჯახშიც (ძმა – ბუძძგლა) ყველაფერი უძრაობასა და უიმედობას მოუცავს.

მზით გადამწვარ სოფელში, სადაც სიღარიბის ობი მოსდებია ყველაფერს, ადამიანთა ერთ ნაწილს იმის იმედი შერჩენია, რომ შრომით მოინეგს საარჩოს, მეორე ნაწილს ხელი ჩაუქნევია. ასეთია თალრია. მისთვის ბებია ქალებს ბედი რომ არ დაეკარგათ, არც ლატაკი იქნებოდა და არც შვიდი გოგო გაუჩნდებოდა. თოთოლა, თარლიას დედაკაცი, თავისი მახვილი ენით ქამს ძალამოშვებულ, დუნე, მთვლემარე, მაგრამ თავმოყვარე, "გვიბოძეს" უკადრის ქმარს. ამ ახოვანი, მტიციე აგებულების კაცის დასახატავად მწერალს თვითიუმორის ხერხი მოუმარჯვებია: "ავდგე, თორემ ვაზით დაგრაგნილი ზეარი არ მელოდეს. ხარის ენის ტოლა ვენახი მიგდია, რალაც... ავდგე, თორემ გამართული გუთანი არ მიცდიდეს, შებმული ურემი, ცხერის ფარა, ნახირი შორაქანზე არა მყავდეს გასარეკი და ცხენის ჯოგი. ლორის კოლტი მოსავლეა... ავდგე, თორემ მამა-პაპის ზედაშე არ მელოდეს და ხიზილალას შეჭამანდი არ დამიდგან ნინ. ამ ჭილობის ძველაზე მეტი არა მამადია? ამისთვის ავდგე?" (გვ. 19-20).

თალრიას მწერალი ნაცარქეჟიას

თარგ ზე სჭრის, ოლონდ ზღაპრის გმირით სახლიდან გაგდების ნაცვლად ახალ ნაცარქეჟიას შინაურების აღერსითა და მზრუნველობით აიძულებს ცხენშებმულ კევრზე შედგომასა და კალოზე მუშაობას.

ხალხში, მიუხედავად იმისა, რომ თვითმიხილველი არავინ უნახავთ, უკვდავია რწმენა, ვითომ "ამალლება დღეს, დილაადრიან, მინდორში ოთხყურა უნდა მოწყვიტო ოქროს ბეჭდით და ბედნიერებას მოგიტანს... თურმე მძინარე მდინარეს თუ მიეპარე, თუ უხელთე, რასაც ჩააგდებ შიგ, ოქროდ გადაიქცევა..." (იქვე).

ეს რწმენა ხალხის იმედია, თან გულის კუნჭულში გადამალული და თან ხსოვნაში ფხიზლად მოდარაჯე, იქნებ... იქნებ... მაგრამ არასოდეს ასაცხადებელი. ჯერჯერობით ხომ მხოლოდ ზღაპარში დაიჭირა ოქროს თევზი ბერიკაცმა, მხოლოდ ზღაპარში!

გიორგი ლეონიძე მოგვითხრობს ორი კაცის ამბავს. ერთია იაგორა, მეორე – ხვედრია. იაგორა, როგორც თავად ამბობდა, შინიდან გამოსვლის დროს შაქარში ავლებდა ენას, რომ ტკბილად ელაპარაკა, ხვედრია ყიამყრალი, ავსიტყვა იყო, მარტო ადამიანები კი არა, ჩიტებიც კი სძულდა... იაგორაც და ხვედრიაც უბედურები, სხვადასხვაგვარად შესაბრალებისები იყვნენ.

მეეტლე იაგორას სევდიანი სიბერე ედგა, მარტო იყო დარჩენილი, არავის სჭირდებოდა, ხალხში ტკბილ ენას ატარებდა, მაგრამ თავად სიმნარეში ცხოვრობდა, რადგან უსარგებლო ნივთივით იყო. იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა მოსწყვეტია მშობლიურ მიწას, ქალაქურ ყაიდაზე აუნყვია თავისი ცხოვრება, მაგრამ რაც შეუძენია, ყველაფერი დაუკარგავს, ამიტომ გამხდარა იძულებული, სოფელს მობრუ-

ნებოდა. ორმოცი წლის უნახავ სოფელში ჩამოსულს პირველ ხანს დიდად გაუხარია "აუნონავი ხორცის" ჭამით, მეზობლების გულისხმიერებით, მაგრამ მერე, როცა აღფრთოვანებას გაუვლია, ტალახსაც შეულონებია და დაღამებასთან ერთად დასაძინებლად დანოლასაც... მთავარი კი ის იყო, რომ თავის მიწას ადრე მოგლეჯილმა იაგორამ ველარ მოძებნა სოფელთან კავშირი, დაკარგა ცხოვრების საგანი და, როცა ამას მიხვდა, არცით გამამაცებულმა თავი იმ ტირიფზე ჩამოიხრჩო, რომლის ხილვა მწვანით შემოსვის ჟამს სიამოვნებით ავსებდა.

ნოველა "ხედეია" კონტრასტის პრინციპზეა აგებული. თავად ხედეია გარეგნულად და შინაგანად ერთნაირი იყო: "ბორჯი, უსმინარი, აღმართი-კაცი... უკეთური, გულდორღიანი, ღვარძლი, ჭინჭყლიანი, ენიდან შხამის მდენელი... დაშხამული, შეკვამლული, ჩაღრუბლული, კუზიანი, თანაც წყალდასხმულ-ნაცრისფერი" (გვ. 38). შინაურები კი კეთილები ჰყავდა ზნითაც, გარეგნულადაც. ნინორე, მისი ცოლი, "ოდესღაც ფერწითური, შოლტივით ქალი, ლალი, მხიარული, ახლა... ელდით ჩამომდნარი, მოხრილი, ჩამუმლული" იყო. მესაკუთრე და ხარბმა ხედეიამ "სიკვდილიც კი ადრე მიისაკუთრა" და მოასვენა გარშემომყოფნი, განსაკუთრებით ნინორე, რომელიც "დასტიროდა ქმარს და თან გულში შევებას გრძნობდა".

ადამიანს ამ ქვეყნიდან წასაღებად ოთხი ფიკარი და სამი ადლი მიწა ეკუთვნის, გვახსენებს მწერალი. ხედეიასნაირი ადამიანი არ ვარგა, მაგრამ იაგორასთანა მშრომელ და ტკბილმოუბარ კაცთანაც რომ ვერ მიდის ბედნიერება? რა ქნას ადამისშვილმა, როგორ იპოვოს მისკენ მიმავალი გზა? აი, კითხვები, რომლებიც პასუხგაუცემე-

ლი რჩება ამ ნოველათა ნაკითხვის შემდეგ.

თუ შური თავის ნებაზე მიუშვი, სარეველა ბალახივით მოედება გულს და გამოხრავს. მისი ამოძირკვის ერთ-ერთი საშუალება სიკეთეა, რომელიც ისე უნდა გაუკეთო მოშურნეს, რომ დაინახოს, შეიგნოს, ეგება შერცხვეს. სხვამ აკი ვერაფერმა დააშოშმინა "საქმეზე თავდაუდებელი", ცუდი ენის პატრონი ჩირიკი. დიდი ხნის დავა და უსიამოვნება ჩირიკსა და ჩიკოტელას ოჯახებს შვილებმა გადაუნწყვტეს დაქორწინებითა და "გვერტულა ბიჭის" ჩუქებით.

ნოველაში "ბუნბულა" გიორგი ლეონიძე "მოსიყვარულე, უწყინარი, ძვირუხსენებელი, მეგულკეთილე, თან გაგებული და შესმენილი" კაცის შესახებ მოგვითხრობს. ეს მრავალშვილიანი ოჯახის მამა პროფესიით დალაქია. ამის გამო მის გარშემო შექმნილია ყოველდღიური საზრუნავით დატვირთული სრულიად ყოფითი გარემო, როგორც პირველი მსოფლიო ომის პერიოდში შეიძლება პქონოდა ხელოსან გლეხს.

თუმცა მწერალს სხვა მიზანი ამოძრავებს. მას თავისი გმირი გამოჰყავს საყოფაცხოვრებო პრობლემატიკიდან და საზოგადო საფიქრალს აჭიდებს. ბუნბულა ომისა და სისხლისღვრის წინააღმდეგ მხედრდება, დედამიწაზე სიმართლის, სამართლიანობისა და მშვიდობის დამამკვიდრებელი მოძრაობა სურს დაიწყოს, როცა ომის გაჩაღების ამბავს იგებს.

ბუნბულა შორეულად გვაგონებს ქართული წარმართული პანთეონის ერთ საყურადღებო ღვთაებას, კვირიას, მორიგე ღმერთის თანამდგომს, მოკარვესა და ხმელეთის გამგებელს. დედამიწის ზურგზე ყველაფრის მეთვალყურე და სამართლიანობის დამც-

ველი კვირია შვილიერების მფარვე-
 ლიცაა (ი. ჯავახიშვილი, „ქართველი
 ერის ისტორია“, I, თბ., 1960, გვ. 62).

რაკი ამ ოდესლაც ძლიერი მითური
 გმირის ორეული ახალ, ყოფით დრო-
 ში დაასახლა (მხატვრულმა ლიტერა-
 ტურამ იცის ღვთაებათა „გაყოფიერე-
 ბის“ ასეთი მაგალითები), მწერალი
 ბუნბულას ფიზიკურად ძალაშეზღუ-
 დულად წარმოგვიდგენს, რაც სრული-
 ად ბუნებრივად მოჩანს, რადგან მი-
 თურ და გმირულ პერიოდებთან შედარ-
 რებით XX საუკუნე ყოფითი ხანაა.
 რაც შეეხება პერსონაჟის პროფესიას,
 ესეც საგანგებოდაა შერჩეული, რად-
 გან იგი გულისხმობს ადამიანებთან
 ურთიერთობასა და ყველაფრის მცო-
 დნეობას.

ნოველაში მთავარი ისაა, რომ და-
 ლაქ ბუნბულას კვირიას ფუნქციათა-
 გან მხოლოდ ერთი კონკრეტული
 ფუნქციის შესრულების სურვილი
 აქვს შენარჩუნებული და ესაა დედა-
 მინაზე სამართლიანობის მეთვალყუ-
 რეობა.

მატერიალურად ხანმოკლე ბუნბუ-
 ლას ჰუმანიზმი მრავალშეილიანობა-
 შიც ვლინდება. მისი გოგო-ბიჭები
 ყველგან იყვნენ მოდებულინი: „ზოგი
 იატაკზეა, ზოგი სხვენზე, ზოგი ქერ-
 ში, ზოგი ერდოზე, ზოგი აივანზე, ზო-
 გი ეზოში, ზოგი წყალზეა წასული, ზო-
 გი პურზე, ზოგი დუქანში...“ (გვ. 247).

ომის გამოცხადებით შეძრწუნე-
 ბულ ბუნბულას უფრო გაუძლიერდა
 ბუნებრივად დამახასიათებელი კაცთ-
 მოყვარეობის გრძნობა. „ყველა ნადო-
 ბი, ნაძმობი, მოკეთე, სახლიკაცი, მე-
 ზობელი, თვისტომნი და მოყვარენი
 ვართ! ყველა რომ სიამტკბილობით
 ვიყვნეთ, განა ავკაცობა მოხდება დე-
 დამინაზე?..“ – ფიქრობს იგი.

ბუნბულა ვერ შეგუებია იმას, რომ
 ომის პირობებში „ქვეყანა ბოროტების

მტერთი აივსო“. კვირია-ბუნბულას
 გაჭირვებულის დახმარება თავის ვა-
 ლად მიაჩნია, ამიტომ სურს, ომის სი-
 სასტიკის შესაჩერებლად რაიმე ილო-
 ნოს: ის ხელიდან არ უშვებს შემთხვე-
 ვას, ჩაუნერგოს ხალხს, რომ საჭიროა
 ომის სანინააღმდეგო მოქმედება და
 ამაში ყველას თანადგომას მოითხოვს,
 მაგრამ ამაოდ. რაკი თანმდგომელ
 მოქმედების კაცს ვერ პოულობს, ქა-
 დაგებას იწყებს: „მაშ, ხალხი არ გენა-
 ნება, დედამინა, ცა-მზე? მაშ სიცოც-
 ხლე უნდა ყმად მიუგდოთ სიკვდილს?
 მაშ საკაცო მადლი დავკარგოთ?!“

თვითონ ბუნბულას, რასაკვირვე-
 ლია, არ შეუძლია ომის შეჩერება, მაგ-
 რამ მისი გულუბრყვილო იმედი ხელ-
 მნიფისადმია მიმართული, გულწრფე-
 ლად სჯერა „კეთილ ადამიანთა ნების
 შეერთებისა“. ამიტომ მიიპარება ქა-
 ლაქში ხელმწიფესთან შესახვედრად.
 ქალაქში კი წესრიგის ახალი დარაჯე-
 ბი არა მარტო სცემენ ბუნბულას, არა-
 მედ გროშებსაც წაართმევენ და ერთი
 კვირით პოლიციაშიც ამყოფებენ.

საგულისხმოა, რომ კვირია თავად
 იყო საქმეთა გამრიგე, დალაქ ბუნბუ-
 ლას მხოლოდ ომის შეჩერების სურვი-
 ლი აქვს და ამაში ვლინდება ღვთაების
 „გაყოფიერების“ არსი. სოფელში მობ-
 რუნებული, გაღაბული და დათეთქვი-
 ლი ბუნბულა ჩივილსლა ახერხებს:
 „რატომ არ ესმით, რომ ვილუპები?
 რამ გააქვევა ადამიანის გული?..“

იმდენად სერიოზულია გამანად-
 გურებელ ომში ადამიანთა ფლექით
 გამოწვეული განცდა, რომ ბუნბულას-
 თვის ღვინო ქრისტესთან დაკავშირე-
 ბულ სიმბოლოდ ქცეულა. იგი ჭეშმა-
 რიტი მორწმუნის გონიერებით ამ-
 ბობს: „მე ღვინის ულუფა არ მერგება!
 იქ იმოდენა სისხლი იღვრება, მე ღვი-
 ნოს როგორ დავლევო, სისხლს მაგო-
 ნებსო!..“ (გვ. 252).



შეუსაბამობამ ვითარების შეცვლის სურვილსა და შესაძლებლობას შორის დაადარდიანა ბუნბულა, “მხოლოდ ჩენჩოდ, მხოლოდ ცარიელ ლენჯოდ” აქცია, “ნაკაცარი გახდა”.

ასეთია სამწუხარო რეალობა გიორგი ლეონიძის ნოველაში და თუმცა მწერალი ფინალში აღარ ახსენებს ბუნბულას შვილების ამბავს, მაგრამ შვილიერებისთვის მეტძროლი ღვთაება ხომ უკუდავია! ამიტომ შემთხვევითი არ უნდა იყოს მწერლის მიერ ნოველის დასაწყისში საგანგებოდ გახაზული სიტყვები: “ამდენ შვილებში ყველაზე მეტად ბატატა უყვარდა... მე მგავსო, ხელს გაიშვერდა ბატატაზე და სიამაყით იტყოდა: – ჩემი გვირგვინის შვილია!”

მწერალს, ჩანს, ახალ თაობაზე დროის უარყოფითი ზეგავლენა უნდოდა გაეხაზა, როცა თქვა: “ძვალად, ძარღვად კარგი იყო ბატატა მამასავით, მაგრამ ნიჭმოკლე, გონების თვალით უხედავი, დაბღური, ოტროველა”. მინდა, ეს შეფასება პირველ, შორიდან დანახულ შთაბეჭდილებად ჩავთვალო, რადგან ალბათ მამამ უკეთ იცოდა, ვისაც გამოარჩევდა. იმედია, ბუნბულას ბატატა შეცვლის, დავაყვაცდება პატარა ბიჭი და ახლა ის იზრუნებს მამის საფიქრალის განხორციელებაზე.

“სახელი დიდი განძია”, გვარნმუნებს გიორგი ლეონიძე, როცა მოგვითხრობს “სახელის მილოცვის” დღის შესახებ. იგი იმართებოდა ბუნების აღორძინების საგაზაფხულო დღესასწაულზე, აღდგომის კვირაში. მწერალი ქმნის დრამატული შინაარსის მოთხრობა-გახსენებას, რომელშიც წარსული და აწმყო ერთმანეთზე განუყოფლადაა გადაჯაჭვული, სანესრვეულებო რიტუალივით ციკლურად მეორდება ამბის დასაბამიდან, თან

ისეთი გულისშემძვრელი ემოციითაა აღბეჭდილი, როგორც მხოლოდ ანტიკურ ტრაგედიაში შეგვხვდებოდა.

“... დანიშნულ ღამით, ცისკრის ამოსვლის უწინარეს, – მოგვითხრობს მწერალი, – თმაჭალარა მანდილოსანი გაფოთებული ჩამორბის ციხიდან თავქვე, მთვარის კიბეზე, ვილაცას შორიდან აუქნევს ხელს და ამრიზებული მკაცრად შესძახებს:

– არ გაბედო მოსვლა, სირცხვილიანო, არ მომეკარო!

ტანაბჯრიანი, დაჩოქილი შვილი თავში ხელს ნაიშენს, შეპლმუველებს სიმწრით, ისევ უკან გამორბის ხმალამოლებული, უცებ შერქრდება და დედას შორიდან შეუთქვამს:

– ან შევაკვდები, ან მოგივალ იმედია!

დედა ისევ კოშკში შევარდება, კარებს მიაჯიქურებს, მძიმე ურდულს აუგდებს და კოშკიდან ისევ გაისმის გამწყრალი ხმა:

– არ დამენახო, გაბრუნდი, სახელის შემრცხვენო, აესახელიანო!

... და უცბად წყვდიადში აქეთ-იქიდან ატყვდება უწინართა ძახილი:

თითისტარი მიეცი!

თავს ჩიქილა დაახურე!

თმა ჩამოინნას ქალისა!

და სხვა წყევა, შეჩვენება...

თმაჭალარა მანდილოსნის აჩრდილი მკერდში მჯიღს ჩაიკრავს:

ვაი, რა ვქნა, რა უყო, ნავალ და გაენიავედები!

და მართლაც, ღამის ნიავს დაეხსომება სიტყვები შუალამისა, მსუბუქი ფრთით წაიღებს, სოფლად ჩაიტანს, თვითეულ ქობს გააგონებს, ზედკერაზე დაპყრის ამბავს და ცისკრის საზღვარზე ისევ გაისმის ჰაერში შემონახული მწველი სიტყვები და მუქარა განრისხებული დედისა...

ღამე გაიცრიცება, მამალი შეპყვი-

ლებს და ყოველივე მიყურდება..." (გვ. 73-74).

ამ მცირე ამონაწერში სრულად ჩანს დედა-შვილის ტრაგიკული ხვედარი, დახატული დიდი ოსტატის ხელით, ჩანს ამ მძიმე განცდის საზოგადო დაინიშნულებაც, რაც ამბის თითოეულ "კერაზე დაყრამი" ვლინდება.

საფლავზე სახელის მილოცვა წინაპართა კულტის სიცოცხლისუნარიანობის ერთი მშვენიერი გამოვლინებაა, რომელსაც დღემდე შემონახული რიტუალი ახლავს. შალისათვის სახელის მისალოცად მოსულებს ვაჟის წარმოსახულ სამარესთან "ნიშანი" გაეშალათ – შალიას ქუდი, ჩოხა-ახალუხი და ხანჯალი. "ქარფხას" კვიციცი იქვე დაებათ...

სხვადასხვა დროში უცხოვრიათ ლასურიძიანთ ზვარამზეს, ჩახტაურას და მათს შვილებს, ოღონდ ერთი იდეალით. ზვარამზე, ერეკლე მეფის თანამედროვე, შვილების გმირობით ცამდე ხელანფენილი, უმცროსი ვაჟის სიმხდალეს სასონარკვეთაში ჩაუგდია. იგი უარს ამბობს შვილზე და ამით საუკუნეებში ახმინებს ქართველ დედათა ტრადიციას.

მწერალი გვიჩვენებს, როგორ გადაეცემა თაობიდან თაობას ოჯახური იდეალები და ნიმუშად გვიხდის ტრადიციის უწყვეტობის მნიშვნელობას, გვასწავლის წარსულის რომანტიკულ ქვრტას. ამ იდეალს ნოველაში აცოცხლებს ჩახტაურა, "მომჩინარი მანდილოსანი, მძღვერი და მკაცრი დედაკაცი, ყველასაგან პატივებული, სოფლის ქალთათავე" (გვ. 74). ჩახტაურას მიერ პირველ მსოფლიო ომში დაღუპული შალიას შავი ბარათის მომტანი ფოსტალიონის გაგდებასა და შვილისთვის წინდის ქსოვაზე მოთხრობით მწერალი მიგვანიშნებს შვილთან დაკავშირებული რეალური სინამდვილის

მიუღებლობაზე. მეორე მხრივ, ჩანს ადამიანში თავის გადარჩენის ინსტიქტის სიძლიერეც.

სამი ვაჟის დედას, ჩახტაურას, უმცროსი ვაჟიც თავისი სადარი ჰყავს. შალიას გამორჩეულობის დასტურად მწერალი აცოცხლებს რაშის გახედვის ტრადიციას, რომელიც ძველ საქართველოში დაკავშირებული იყო ქაბუკის ვაჟკაცობაში ფეხის შედგმასთან. ინიციაციის ჩვეულების ეს გამოვლინება ჯიშინი "ქარფხას" მაგალითზე ხორციელდება. რიტუალს ესწრებიან ლამაზი ქალებიც. მშობლები სუფრას შლიან და გამარჯვებულ ვაჟს დაეაყვაცებასა და დამოუკიდებლობას ულოცავენ (გვ. 78).

შალიამ "სალდათში" გამოძახება ისე მიიღო, "თითქოს დიდ ზეიმზე ეპატიყებიანო". მოგვიანებით ესიზმრა, ვითომ ხმალი გადაუტყდა. ეს მისთვის უტყუარი ნიშანი იყო და შალიამაც თქვა: "ჩემი მოლოდინი ნულარ გექნებათო" ... მართლაც, ვარშავასთან მოკლეს. დეიდა "ფერანას ტირილი ცაში ადიოდა", ჩახტაურა კი ისევ აიმედებდა, თუმცა მოახერხეს მისი "კანცელარიაში" მიყვანა, რათა დაეჯერებინათ: შეილი აღარ მოგივაო, ვითომ თავად არ იცოდა!

მწერალი ხალხური ხმით ნატირლების კვალობაზე ქმნის შალიას დატირების ტექსტ-ლირის: "მზე გაშავედა! ჩვენი ბედი დაინვა! მებმა შესწყვიტა ჩვენი კარი! ჩვენი სიმაგრე დაიქცა! გათავდა, დაიშხო ჩვენი გვარი, ჩვენი სახელი! ვაი, სახლო, უკაცურო!.. აჰა, ღმერთო, ეს გახუნებული ლეჩაქიც მომხადე, მეტი რა შემარჩინე! წაილე, გამჩენო, ესეც შენ!.. სად გამოუდგე სიკვდილს, სად დავენიო უწყალოს?! მარტო ხელისა ვარ! ვაჰ, ქარო, ქარისა მავალო!" (გვ. 79).

მოთხრობა იმით მთავრდება, რი-

თაც დაიწყო. შალისა სიცოცხლის სამშობლოს სამსხვერპლოზე მიტანამ დაამშვიდა ხვარამხეს, დიდი დედის, აფორიაქებული სული, ნონასნორობა აღდგა.

ავტორის თხრობა, დიალოგი, თქმულება-გადმოცემათა ჩაფენები და ფრაზათა დახვეწილობა ნოველაში სრულ პარამონიაშია ერთმანეთთან და ერთ სრულყოფილ მთლიანობას ქმნის.

“უმთენარო” ცხოვრებისაგან განამებული ხალხი ებრალება მწერალს, მაგრამ ერთმანეთთან მათ სასტიკ მოპყრობაზე არ შეუძლია თვალის დახუჭვა, არც გამართლება.

სამყარო, ისეთი პატარაც კი, როგორც “ნატურის ხეშია” დახატული, სადაც ყველა ერთმანეთს დაბადებიდან იცნობს, სავსეა შეუბრალელობით. გიორგი ლეონიძის ნოველების პერსონაჟებსაც გამოჰყვით ერთი, ამ კუთხისათვის ძალზე ნიშანდობლივი თვისება. ისინი დაურიდებლად ეუბნებიან ერთმანეთს გულსატკენს, სიამოვნებთ ენამწარეობა, არ უჭირთ გესლიანი, მომაკვდინებელი სიტყვის თქმა. “შენი კუბოს ფიცრის სათლელად ვიყავი, ახლა მოველი, რომ კუბოს ზომა ავილო...” – თავხედურად ეუბნება ქორია ფუფალას. ეს კიდევ გასაგები იქნებოდა, საძულველ ადამიანს რომ ელაპარაკებოდე ბოროტებით, მაგრამ ფშატთან შეკრებილი “ენამძლე” გმირები სიბოროტით სულაც არ სჩადიან ამას. ეს ტრადიციული კახური გართობაა, ენამწარეობით “დამშვენებული” გართობა. ასეთი ენაკვიპტობა მათი ხასიათის ნიშნადაა ქცეული.

ფუფალა ზედმეტი სახელია ყმანვილობისას სილამაზისთვის შერქმეული. მწერალს ჯადოსნური ზღაპრიდან შემოაქვს ქეშმარიტების მლალაღებე-

ლი სარკის მოტივი. სწორედ მან აუწყა საბრალოს, რომ “პირის მთვარია-ნობა დიდი ხანია რაც ჩაპქრობოდა, ბროლის ნათელი, ლალის ბრდღვიალი გაპხუნებოდა, შუქგადამდგარ სალამოს მიპგავდა. მისი ყვავილოვანი სამზეო დალეულიყო. წყალმა ნაილო სილამაზეც და თაყვანისცემაც!” (გვ. 22).

ნოველაში იგი ასაკოვანი შემოჰყავს მწერალს და ახლაც, როცა თანაფთველთა თვალში “სახე თონეში შემწვარ ვაშლს მიუგავს”, ესიზმრება დედა, რომელიც ნაზად დაპილინებს:

ელი ელამდა,
ზღვა ბიბინებდა;
ზღვისა პირსა კარავი იდგა,
შიგ ქალი იწვა,
ფარჩა ებურა,
ფარჩა ავხადე, სამი ვაკოცე,
სამმა კოცნამა ფერი უცვალა,
ფერმა ნაცვალმა წიგნი დაწერა,
ვის გაუგზავნა?..

მწერალი სანესჩვეულებო პოეზიის, კერძოდ “დამწერის” შელოცვის, მშვენიერი ნიმუშის ბოლო ნაწილს გარდაქმნის სასურველი კონტექსტის შესაქმნელად, რათა მიგვანიშნოს, რომ ფუფალას ქალურ ცნობიერებაში სამიჯნურო თემმა წარმმართველი. ამითვე აიხსნება მის მიერ დასახელებულ შეყვარებულთა მრავალრიცხოვნება.

ფუფალა სხვათაგან გამოჩნეულია და ამას მწერალი ნოველის დასაწყისშივე გახაზავს: ფუფალას “არაფრისად ეცვა, სხვადასხვა მხიარული, ჭყეტელა ნაჭრებისაგან შეკერილი კაბა. ცალი ხელით მოძველო ქოლგა ეჭირა, მეორეთი ჭრელი ბოხჩა. ძველებური შავი თათმანი ეცვა ხელთ და ადამის ხნის დაგლეჯილი, მალალქუსლიანი, ჩალილული, ყელიანი ფეხსაცმელი და მომტვრეული, შუაზე გადაჩეხილი ქუსლი ძალზე აწვალებდა” (გვ. 22).

ფუფალა ფიზიკურად კი რეალურ სამყაროში ცხოვრობს, მაგრამ სულიერად გაპქცევიდა მას და ირეალურში დასახლებულა. რეალურ ყოფაში გარშემომყოფთათვის ქალი თხზავს ამბებს თავის ნარსულზე და ისეთი თვითდაჯერებით პყვება მათ, როგორც ნამდვილს, მაგრამ მაინც ვერავის ატყუებს.

ფუფალას არაფერი გააჩნია. მათი ნასახლარიც კი აოხრებულია. ამის მიუხედავად, იგი აზნაურის ქალად რჩება და მაინცდამაინც არ კითხულობს იმათ, ვინც ნივრისა და ხახვის სუნს აფრქვევს. მას ურჩევნია ისევე უკარება მზეთუნახავად იცნობდნენ სიყვარულით გახელებული კაცები, ვიდრე... ფუფალას ერჩივნა კაცებს სისხლი ეღვარათ მისთვის, მაგრამ ვერ გაეუბნათ ხელის თხოვნა.

და ვინ მოთელის რას არ იგონებს "მიმჭქნარი ვარდი", რადგან, ოცნება, სასურველის რეალურად წარმოდგენა, ალაშაზებს მის უღიმღამო სიცოცხლეს. მართალია, ფუფალა დალაგებული გონებისა არ არის, მაგრამ გულითადი ადამიანური ურთიერთობების, თანასოფლელთაგან სიტბოს მიღების მოთხოვნილება აქვს.

ფუფალა არავის არაფერს უშავებს, პირიქით, გამოჩნდება და თავლად იღვრება: "ვალი ჩამოგავლეთ! - ეუბნება იგი შეკრებილ ქალებს. - ისევე შეგენით მზე, დედასთან მიმავალი, როგორც მე თქვენ მიყვარხართ!" (გვ. 26). თუმცა არც არის საჭირო დაშაგება. თავად ფუფალას არსებობაა თავდასხმის, დაცინვისა და შეურაცხმყოფელი სიტყვების თქმის საბაბი. ამ დროს ფუფალას მჭრელი ენა, "მეხმფრქვეველი სიტყვებია" მისი დამცველი და ისიც წყველის (სხვათა შორის, კახური წყველის ფორმულები თავისი გასაოცარი გამომსახველობითა და

მზატერულობით სპეციალურ შესწავლას იმსახურებს!) თავის მტრებს ("უფალო, შენ დამეხე, დანვი, დანაცრე ჩემი მტერი! უძილო მატლი სჭამდეს ჯოჯოხეთში" (გვ. 31), ან ლანძღავს ყველას, ვინც არ იჯერებს, რომ "საქვეყნო კაცი იყო შიოლა...", რომ შიოლას მისთვის "პირის მარგალიტი ეყიდნა... ოქროს ჯაჭვიც, ლალის საყურე, ბუჭედი, ყიდვით კი ეყიდნა, მაგრამ შიშით ველარ გამოეგზავნა... სულ ერთია არ მიიღებს, არ მიკადრებსო!" (გვ. 29-30).

ნიღბით აღმა-დაღმა ხეტიალი სოფლის გზებზე და ხალხის "მკურნალობა" მოსწონს კიდევ ამ "რომანტიკულ" ქალს. იგი ექიმბაშობას იჩემებდა და თუმცა არავის სჭირდებოდა მისი წამლობა, ლუკმა პურს ამით შოულობდა. მწერალი მხარს უბამს ფუფალას და ზუსტად მის სადა რეცეპტებს გთავაზობს: "ყვავი მოხარმე ისე, რომ ორთქლი არ გამოუვიდეს, იმისი წვენი დალიე!" "მორიელის სისხლი გაახმე და მიილე!" "მუხის ხის წყალი, მიმინოს ქონი აურიე ირმის ქონში, მტრედის გული ვარდის წყალში ჩააგდე..."

ხანდახან, როცა ფუფალა უნიღბოდ რჩება, გულწრფელ სიბრალულს იწვევს. მზურვალედ ევედრება "უმფარველო გოგო" სხვებზე უფრო გულიან ნინუცის: "ხომ დამიტკრებ შენი ლამაზი თვალებით? ნამდვილი ცრემლით, გულის ატირებით, ხომ ლოყას ჩამოიხოკავ, ჩამოიკანარავ... სიტყვა მომეცი, რომ ჩემზე თმას გაიშლი, ჩემზე შავს ჩაიცვამ, ჩემს კუბოზე დაახლი თავს..." (გვ. 32).

ასეთი საბრალოა ფუფალა. სოფელში მისდამი დამოკიდებულების ფონზე მით უფრო ხმამაღლა გაისმის ბერიქალას, კონკრეტულად მურნას, ზოგადად კი სამყაროსადმი მიმართული ვედრება: "ბოლოს და ბოლოს, მი-

ნა ვართ, დავითრგუნებით!.. რათ უნდა მანყენინო, შე უღმერთოვ...“ (გვ. 30-31).

მწერალი ფუფალას მცირე ხნით გაელევაბაში მთელ მის ცხოვრებას ატევეს. ახლა ფშატის ძირში შეკრებილმა დიდმა და პატარამ უგუნურად იხარხარა, მათ გარიდებული ფუფალა კი მიდიოდა “პურუჭმელი, დაბეგვილი, მოთუთქული, დაქოლვილი, ნანამები”. მწერალი ადამიანთა სისასტიკის მოწმედ გვხდის, თუმცა ნამდვილად ებრალება თავისი ბრწყინვალედ, დიდი ოსტატობით დახატული გმირი. ჩანს, ამიტომ გვაშახსოვრებს ფუფალას ვედრებას: “სალბუნი მომეცი, სალბუნი...”

მარიტას მოვლინება სოფელში ცის გახსნის ბადალი მოვლენა, ჩაკეტილი სამყაროს წყვდიადში მზის ერთი სხივის შეღწევა ყოფილა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა შეძლო შეეგრძნო ეს მშვენიერება, დამტკბარიყო უკეთესი დღის იმედის გამჩენი არსების სიღამაზით, რადგან წყვდიადის მეუფემ მალე გააქრო იგი.

გიორგი ლეონიძე ადვილად ახერხებს მარიტას სიტურფით აღფრთოვანების არა მარტო გადმოცემას, არამედ ჩვენთვისაც ხილულად ქცევას. მარიტა ბრონეულის ყვავილივით სასწაულებრივია, აღმასური სახე და ნუკრის თვალეები აქვს, ცისარტყელასავით დადის... და ასე, საზღვარი არა აქვს ეპითეტებისა და შედარებების გამომგონებლობას.

მარიტას მშვენიერება აკვირვებდა ხალხს. გლეხის ქალი როგორ არის ეგრე ლამაზიო? – კითხულობდნენ, მაგრამ ეთერი ასეთი არ იყო, – იხსენებს პოეტი.

მარიტას გარეგნული ბრწყინვალეობა შესაფერისი შინაგანი ბუნებით დემშვენებინა გამჩენს. გაიზარდა და სა-

ოცარი ხალიჩების ქსოვაც ისწავლა. მერე გულწრფელი სიყვარულითაც აივსო. მწერალი ამ გრძნობის ჩასახვებაწვითარების პროცესს ადევნებს თვალს, შემდეგ კი გარკვეულად ამზადებს ნიადაგს გედიას სოციალური მიზეზით დაწუნებისათვის. ამ პირველი სიყვარულის ხილულად ქცევისათვის მწერალი იყენებს საგაზაფხულო დღესასწაულების დროს შესასრულებელ თამაშს, რომელშიც ორი გუნდი (ისინი სიმბოლურად ზამთარსა და გაზაფხულს განასახიერებენ) მონაწილეობს. თამაშს, რომელიც რაფიელ ერისთავს ჩაუნერია “ქალტაციობა” ჰქვია (დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ისტორია, I, თბ., 1983, 106-7).

დაპირისპირებული გუნდების (მარიტას ჯგუფი და გედიას ჯგუფი) შესასრულებელი სიტყვიერი ტექსტი ითვალისწინებს ტრადიციული კითხვა-პასუხის ფორმას, რომელშიც აქცენტირებულია ვაჟის სოციალური მდგომარეობა. უარყოფილის გუნდი (ზამთარი) ქალის მოტაცებას ცდილობს, მაგრამ ქალის გუნდი (გაზაფხული) იმარჯვებს მონინაღმდეგეებზე. საგაზაფხულო თამაში გედია-მარიტას ცეკვით მთავრდება. ცეკვა სხეულისთვისაც საცნაურს გახდის მათი სიყვარულის ამბავს. ბერდედა ძალით გაიყვანს წრიდან შეილიშვილს, რითაც ოფიციალურად ადასტურებს გედისადმი ტრფილისა თუ თანაგრძნობის გამოვლენის აკრძალვას.

საყურადღებოა, რომ “ქალტაციობის” ტექსტი ბუნებრივად თანხედება ნოველის შინაარსს. ჩანს, ამიტომ აირჩია იგი გიორგი ლეონიძემ და მხოლოდ ნაწილობრივი კუპირებით შეიტანა ნოველაში.

უფროსებმა მარიტა “უარსებო, ლარიბ” გედისა მოაშორეს და მდიდარ შეთეს გააყოლეს.

გედიას "აგიზგიზებული გულისა" და "შმაგური" სიყვარულის უპასუხოდ დარჩენა არ ქმნის ნოველის ხილულ კონფლიქტს. ქალ-ვაჟის ერთმანეთისადმი სიყვარული მწერალს ურთიერთობათა დაფარულ ფენებში გადააქვს და აწინაურებს ბედისწერის მოტივს. როგორც წესი, ასეთ დროს ვითარებათა თანხედრას ბუნებრივად მიყვავართ შედეგამდე.

ლოგიკის თანახმად, ასეთი სიყვარული უკვალოდ არ შეიძლება გაქრეს. მართლაც, "გედია და მარიტა ცალცალკე, უჩუმრად ებრძოდნენ გრძნობას და ვერ მორეოდნენ".

ვილაცის რჩევით შეთქმ გედია ვაჟიშვილის ნათლიად მოიკიდა.

დედის სიკვდილის მისასამიძრებლად ნათლია გედია სახლში ესტუმრა შეთვის. შინ მხოლოდ მარიტა იყო.

"გაუმარჯოს იმ ორ ნვეთ თაფლს, რომელიც დღეს ერთ სიტკობდ შეერთდება! - კისკისებდა სიო."

"ლობესაც თვალი აქვს, კედელსაც, ჯამ-ჭურჭელსაც!" (გვ. 192).

მეზობლის ქალებმა მათ სასიყვარულო შეხვედრაზე გაავრცელეს ჭორი და სოფლის თვითმარქვია პატრონი ციციკორეც უმალ აღმოჩნდა თავის სიმაღლეზე: "შირონი დააქციეს, ტალახში შარიეს, ქვეყანა შეგვიგინეს, გაუგონელი ამბავია, ძნელად დასაჯერებელი, ქვეყნის გადაშენების ნიშანია სწორედ! მერე ვის დროს ხდება: ჩემს ხელში ღმერთიც მე მომთხოვს პასუხს, ქმარიც, სოფელიც, ჩამომავლობაც!"

სოფლის თავკაცების ფარულმა თათბირმა, უფრო კი ციციკორეს დაჟინებულმა ნებამ, ძველი აღმოსავლური ტრადიციის მიხედვით, "პერანგა ქალი უკულმა შესვა ვირზე!.."

გიორგი ლეონიძის მწერლური ოსტატობა კიდევ უფრო ამძიმებს ფაქტის შემადრწუნებლობას: "... ზაფხუ-

ლის ნაცრისფერი დილა გათენდა, ნანვიმარი, ნაცივარი, ნუხანდელი წვიმის ღრუბლების ნაფლეთები კიდევ დახეტილობდნენ ჩვენი სოფლის ცაზე, თითქოს ცაც იყო შეციებული, შეტალახებული, გამურული, პაერიც უგემური, ნუხანდელ ნანვიმარზე. წვიმით მტვერგადარეცხილი ძეძვის ორლობე უფრო ჩაშავებულიყო, ჩუმი წვიმის წვეთები ცრემლივით ცვიოდა".

მწერალი ხატავს უსახური ბრბოს შემადრწუნებელ სახეს, მის დანაშაულებრივ შეუბრალებლობას: "ბრბო უხმოდ მოდიოდა ღვარამოდენით, ჩოჩქოლით, გაონაერებული, გაძალიანებული... აღრენით ღელავდა ბრბო, მრისხანებდა, გმინავდა, კვნესოდა, პზორგავდა თითქოს, გულის ნაღველს იწურავდა, ნიშნისმოგებით უხმაუროდ ზეიმობდა რალაცას. მოდიოდა ღვარცოფულად, მაგრამ მუნჯად..."

ამ შემზარავი პლასტიკური ხატის შემდეგ, კიდევ უფრო ამაღლებული ჩანს ნათელი სიყვარულის მსხვერპლი მარიტა, რომელსაც "ენატრებოდა სიკვდილი, მაგრამ სიკვდილი არსად ჩანდა და მისი ტანჯვა კი ძნელი იყო, ვითარცა სიკვდილი!.. იმნამს იგი ათჯერ მოკვდა და ისევ ათჯერ ძალით აცოცხლებდნენ!.. ბრბო კი ტალახსა და საქონლის ფუნას ესროდა თეთრ პერანგზე..." (გვ. 193). არ ისმოდა "არც ერთი ხმა, არც ერთი შეძახილი... მაგრამ სიჩუმე საზარლად ხმაურობდა, ჩანჩქერივით გრიალებდა და თან იხვევდა ყველაფერსა და ყოველივეს" (იქვე).

"გულჯავრიანი" ციციკორეს მონყობილი განკითხვის შემდგომი პერიოდი სოფლისთვის მძიმე აღმოჩნდა. ადამიანები ჯერ "გაუქაცრავებული, დამცრობილი" მარიტას სახელის ხსენებას ვერ ბედავდნენ, შემდეგ კი, როცა ქალი "ზეზეურად დადნა და სულ

მალე უთქმელი სევდით გადავიდა ეთერის ქვეყანაში“, „სოფელმა ზღვიერის ცრემლით დაიტირა თავისი მზეჯავარა. კუბოსთან ყველა წყაროსავით იღვრებოდა“, ციციკორე კი, სოფლის ამტირებელი ციციკორე, „სასტიკი მზერით ამონმებდა, მართლა მოკვდა თუ არაო?“

მწერალი მარიტას დაკრძალვის ეპიზოდს მართავს იოანეს სახარების „ცოდვილი დედაკაცის შეწყნარების“ იგავის მოდელით და ასე გამოაქვს მსჯავრი ცოდვილი სოფლელებისთვის: „კუბოსთან მიჯრილმა მარიტას შეურაცხმყოფელმა ხალხმა, ახლა შეშინებულმა, უეცრივ უკან დაიხია, თითქოს ამაზე სხვა რამ უფრო საზარი დაინახა. კინალამ ერთმანეთი გადათელეს და ვათქერეს... რადგან ერთი მუჭა მიწის მიყრა ვერავინ გაუბედა ამ ღვთიურ სილამაზეს. ვერავინ... ვერავინ...“ (გვ. 195).

მწერალი თავის დანაშაულით დამძიმებული, გულამომჯდარად მოქეითინე ხალხიდან გამოიყვანს ცოდვილთა შორის უპირველესს, ციციკორეს და მას მიაყრევიანებს მუჭა მიწას. ციციკორეს ამ მოქმედებით მწერალი

ჩაგვაგონებს, რომ ბოროტი ურცხვი, უნამუსო და ძლიერია, რომ უკეთურების მქნელი ფარისევლებით არის საესე ქვეყანა!

მარიტას ხსოვნა მისი დაკრძალვით არ ქრება. მწერალი უძველეს ხალხურ ნარმოდგენას იძველებს და გვაუწყებს, რომ „მარიტას სული პეპელასავით გაფრინდა“. აქვე ქრისტეს სასწაულებიდან შემოაქვს ადამიანის გაცოცხლების მოტივი, თუმცა ცვლის მას: „იესო ქრისტემ კი ხელმანდილი ამოიღო, შუბლზე უნდა მოესვა, რომ გავცოცხლებინა, მაგრამ ისეთი ლამაზი იყო, მინაზე დასაბრუნებლად ვერ გაიმეტაო...“ (გვ. 196).

მწერალი მიგვანიშნებს შურისგებაზეც. ცოდვაში ფეხჩადგმულ სოფელს სანატრელი უხდება ცის ნაში.

მძიმე განსაცდელის წინაშე დააყენა სოფელი უფალმა. მაგრამ მწერალს ასეთ ვითარებაშიც კი არ შეუძლია უიმედოდ ყოფნა. ამიტომ შემოაქვს მეტემფსიქოზის მოტივი და სურს, დაგვარწმუნოს, რომ „მტვერსა და ნაგავშიც“ კი შეიძლება თავისით ამოვიდეს ბროწეულის ხე – უმშვენიერესი მარიტას მზიური სულის სიმბოლო.





როზა ღვდარიანი

აველუმოზიდან აველუმოზამდე

ოთარ ჭილაძის „აველუმის“ სათაურში მთელი ნაწარმოების დედააზრია ჩაქსოვილი. რომანის მთავარი პერსონაჟის დრამატული ცხოვრების უმთავრესი საზრისი – სწრაფვა თავისუფლებისა და თვითდამკვიდრებისაკენ – მისივე სახელის იდუმალებით მოცულ მნიშვნელობაშია გაცხადებული.

ავტორის განმარტებით, აველუმი შუმერულად თავისუფალ, სრულუფლებიან მოქალაქეს ნიშნავს. მისივე სიტყვით, მნიშვნელობა არა აქვს, მართლა შუმერულია ეს სიტყვა თუ მან გამოიგონა, რადგან იგი „მაინც იმას ნიშნავს, რასაც ნიშნავს, რა მნიშვნელობაც დიდმა შუმერმა თუ იმ დიდი შუმერის პატარა შთამომავალმა (ე.ი. ავტორმა) მიანიჭა მას“.

მთავარი პერსონაჟის სახელისათვის ესოდენ საკრალიზებული მნიშვნელობის მინიჭებით ავტორი საგანგებოდ გამოკვეთს იმ აზრს, რომ თვითდამკვიდრებისაკენ ლტოლვა ადამიანის განუყოფელი, თანამდევით მისწრაფებაა და ისევე განუყრელ-განუშორებელია მისგან, როგორც მეობა, როგორც სახელი. თავისუფლების მოპოვების დაუთრგუნველი ნყურვილი მასში დაბადებამდეა კოდირებული და ამიტომაც გაჩენისთანავე იმას ესწრაფვის, „სწორედ თავისუფალი, სწორედ

თანასწორუფლებიანი მოქალაქე იყოს თუნდაც მარტო მის წარმოდგენაში არსებული ქვეყნისა“.

აველუმის მთელი ცხოვრება სულის შემოჭრავი გარსის გარღვევისა და ალტერნულ ქვეყანაში დამკვიდრების სურვილით არის მოცული. ამაზე ფიქრსა და ოცნებას იგი „წლების მანძილზე საკუთარი ღვიძლით კვებავდა, სიმარტოვის კლდეზე მიჯაჭვული“.

აველუმის თავგანწირული ლტოლვა თავისუფლებისაკენ მისი ნების დამთრგუნველი ძალის არსებობასაც გულისხმობს. სამეუფო ტახტზე აქ კვლავაც მინოსი ზის, „მარადიული მეფე, მეფეთა მეფე, მეფეთა მშობელი და გამამრავლებელი“, რომელიც ულმობლად ახშობს „ყელზე ჯაჭვებმულ, თავზე რკინის სალტეჩამოცმულ“ ადამიანთა სურვილს, ჰქონდეთ საკუთარი მეობა, იყონ „უფალი თავის“. ეს მხატვრული სახე მკითხველის მიერ აღიქმება, როგორც გამჭვირვალე პარადიგმა, რომელიც, ოთარ ჭილაძის პირველსავე რომანში მოხმობილი, კვლავაც ნაცნობ ამპლუაში წარმოჩნდება, ნიშნად იმისა, რომ უცვლელია არსი ბოროტების იმპერიისა, რომლის არქტიპადაც რომანისტიმა ეს მითოლოგიური პერსონაჟი გამოიყენა.

„აველუმის“ მიხედვით, ხალხთა

საპყრობილე, „კრულვითა დალდასმული ქვეყანა მშიერ მონების“ წარმოგვიდგება დედამიწის ერთ მეექვსედზე გადაჭიმულ სულის შემხუთველ ლაბირინთად, რომლის დამყაყებულ ხვეულებშიც მძვინვარე მინოტავრი დაძრწის. ურჩხულის ნეხვით ამყრალბულ-ამშორებულ ტალანებში უთავბოლოდ დაბორილობენ „სულის მოუშუშებელი ჭრილობით გამწარებული, კაცთა გესლით, სიბნელით, გულგრილობით ილაჯმიხდილი, გაოფლილ სახეზე მუშლმიგლესილი, აბლაბუდას ნაფლეთებაკრული“ ადამიანები, რომლებიც განწირულნი არიან ურჩხულის სტომაქში ჩასანთქმელად, რადგან მათთვის ლაბირინთიდან თავის დახსნის ოდნავი იმედიც კი არსაიდან ჭიატობს.

რომანისტი მუქი ფერებით აღწერს „ლაბირინთში“ დამკვიდრებულ ატმოსფეროს, უსასრულო თვალთვალზე, მიყურადებაზე, დასმენაზე დაფუნდებულ რეჟიმს. აქ რიგითი მოქალაქის ყოველი ნაბიჯი გაზომილია, ყოველი სიტყვა – აღნუსხული, ყოველი ამოსუნთქვა – დათვლილი. ამისთვის იხარჯება აურაცხელი გონებრივი პოტენციალი, ზღვა ენერჯია, უზარმაზარი რესურსები. ჩეკა აველუმს „ხანლიფტიორს მიუგზავნიდა, ხან – უბნის რწმუნებულს... სულ კვალში ედგა, სულ თან დასდევდა აჩრდილივით... კითხულობდა მის ნერილებს, მაგნიტოფონის ფირზე იწერდა მის ნალაპარაკებს... უთვალთვალბდა მის ყოველ ნაბიჯს, მისი ხელშეწველები საგნებიდან იღებდა თითების ანაბეჭდებს, ჩხრეკდა მის საცვალსაც, ალბათ, იმ გრძნობის ბაცილის აღმოსაჩენად და, თავისთავად ცხადია, მოსასპობადაც, მის გულში რომ ჰპოვა თავშესაფარი“.

ამ სტრიქონებში ჩაქსოვილი მწარე

ირონია კიდევ უფრო მძაფრადაა გამოვლენილი სხვა შემთხვევაში: „ათასნაირი იმპორტული თუ სამამულო წარმოების აპარატურა გამალებით იწერდა, იბეჭდავდა, იღებდა, აღნუსხავდა და იმახსოვრებდა ყოველ სიტყვას, ნებისმიერ მოძრაობას, ნებისმიერ მიმიკას, ხმის ტემბრსა თუ ფრაზის ინტონაციას. და ამხელა ხარჯს შარვალგამოხეული სახელმწიფო კაცობრიობის ნათელი მომავლისთვის სწევდა, რაკი თავს ვალდებულად თვლიდა, არათუ რომელიმე საქარხნო რაიონში, არამედ მთელს მსოფლიოში დაეცვა ნესრიგი, ცდილობდა, არაფერი გამორჩენოდა მხედველობიდან, ჩიტის ჭიკჭიკის ჩათვლით... [ყოველივე] მისხალ-მისხალ, სიტყვასიტყვით, ნაბიჯ-ნაბიჯ აღინუსხებოდა ათასნაირი მოყურადე, მოთვალთვალე, გადამღები თუ გადამცემი მანქანის მეშვეობით. იმეორებდნენ, იხეპირებდნენ და სამუდამოდ იმახსოვრებდნენ ყველაფერს ელექტრონული ტვინები, როცა პირველ სართულზე, აფთიაქში, ზედმინის პირზე, არათუ, ვთქვათ, ნალვლის ბუშტის ჩასანყნარებელი ნამალი, არამედ ჩვეულებრივი, ბაქოს გამოშვებული პრეზერვატივიც არ იმოუებოდა“.

თავისუფლების, თავისუფალი ნების მოპოვების ნადილი ავტორის მიერ გააზრებულია, როგორც „თანდაყოლილი, ღმერთისმიერი მოთხოვნის... სულისა“, რომელსაც „ადამის დროიდან კლავენ, მაგრამ ვერ მოუკლავთ“. ამ „მშვენიერი, ალტაცებული, გიჟური ლტოლვის“ დაუთრგუნელობა რომანში ახალშობილი ბავშვების ფრენისაკენ სწრაფვით სახიერდება. ამ მხატვრული საშუალების დაფინებული გამოყენებით ავტორი ხაზგასმულად გამოკვეთს თავისუფლებისაკენ ლტოლვის უწყვეტობას, მისი ჩახ-

შობის შეუძლებლობას. ეს ის უფლის-მიერი ნიჭია, რომელიც თაობიდან თაობას, მოდგმიდან მოდგმას გადაეცემა და, დევნის, შევიწროების, დათრგუნვის მიუხედავად, კი არ ხუნდება, კი არ უფერულდება, არამედ, პირიქით, სულ უფრო და უფრო ღვივდება, იფურჩქნება, ნაყოფიერდება და, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, თესლის თვისებად ქცეული, ადამიანის ბნელი ნიალიდან აღმოაცვენებს მის დიად საიდუმლოს: ქალაქს ფრთიანი ბავშვი ევლინება.

ავტორი მხატვრულად ნათელყოფს, რაოდენ ზარდამცემია თავისუფლების ნიშნით აღბეჭდილი ბავშვის დაბადება სატუსალოს მკვიდრთათვის. ისინი მას ჩვილობაშივე აჭრიან ვაზის ფოთლისხელა, ვაზის ფოთლივით დაჭმუჭვნელ ფრთებს და გადანაჭურებიდან ორ ნაკადად ამოხეთქილი სისხლით ღამის მთელი მზისქვეშეთი გადაილეკოს.

ფრთიანი ბავშვის გაჩენას მთავრობა არნახულ სისასტიკეს, ზღვარგადასულ უღმობლობას აგებებს: ქალაქში საგანგებო წესები ცხადდება. გზები იკეტება. უკვე მოლოგინებულსა თუ ჯერ კიდევ მოსალოგინებულ ქალებს ერთად უყრიან თავს. დილიდან საღამომდე იზხრიკება სახლები და ეზოები, სხენები და სარდაფები, ბოსლები და გომურები, სადაც კი შესაძლებელია ადამიანის გადაძალვა და, თუკი სადმე ჩვილს ან ფეხმძიმე ქალს აღმოაჩენენ, მთელ ოჯახს ხოცავენ დედანწულიანად, გვამებს კი მინოსის თეატრში აგზავნიან.

მინოსის თეატრში მსახიობების მოვალეობას საგანგებოდ დაგეშილი ღორები ასრულებენ. მათი ვალია, სცენაზე სხვადასხვა ადგილას ჩამარხული გვამის ნაწილები დინგებით ამოჩიქონ. როცა ამმორებული

წყვდიადიდან გამოსული თვალეზისისხლიანებული, ჯაგარაშლილი, შიმშილისაგან აჭყვირებული ღორების დინგით ამოტრიალებულ მინას ადამიანის სხეულის რომელიმე ნაწილი ამოჰყვება, იარუსები ყურისწამლებად ღრიალებენ, იგინებიან, არწყევენ მანამ, ვიდრე შიმშილისაგან გაგიეხებული ღორები ერთმანეთს პირიდან გლეჯენ ადამიანის თავ-ფეხსა თუ გულ-ღვიძლს.

ეს ამაზრზენი სანახაობა, სიცოცხლის მომწამლეული და გონების ამაზღვრეველი, მაყურებელთათვის ათასჯერ უფრო შემზარავია იმიტომ, რომ იგი მათ სიზმარშიც არ ასვენებს და, „რამდენჯერაც არ უნდა მოიცვალონ სანოლში გვერდი, სანახევროდ მაინც იქ არიან, სიზმარში, და სისხლით გაზინთული კალათიდან ხან ვილაცის ხელი წაეტანებათ მოულოდნელად, ხან ვილაცის გაყინული თვალი მიაშტრდებათ ჯიუტად“.

თავისუფლების დამთრგუნველი ძალის ბოროტების მასშტაბებს ავტორი პარაბოლურად წარმოსახავს სასჯელის შიშით ზარდაცემულ ადამიანთა გაშლეგების ჩვენებით. შიშისაგან წამხდარი კაცები უარს ამბობენ შვილებზე. ათასნაირ სისაძაგლეს, მრუშობასა და ღალატს სწამებენ ფეხმძიმე ცოლებს, რათა როგორმე აცილინთ თავიდან ფრთოსანი ადამიანის მამობა და, აქედან გამომდინარე, ამ საქმეში თანამონაწილეობისათვის დადგენილი სასჯელიც... „შემადრწუნებელი, გამრყენელი, დამაგლახა კავებელი შიშითა და მოლოდინით გულგაყინული მშობლები დაუდევრად, ტლანქად ატრიალებენ ხელში ჯერ კიდევ საშოს დორბლით მოთხვილ არსებებს... და, თუკი ჩვილს საფრთე კვირტები ან რაიმე საეჭვო მეჭეჭი და ხალი ეტყობა ზურგზე, გათავებულია მისი ამბავი,

ვერაფერი ველარ უშველის, ამიტომაც მატულობს დღითიდღე მკვლელობის, თვითმკვლელობისა და, რაც უფრო სამწუხაროა, ძალით დაყვერვის შემთხვევები. გამწარებული, გამხეცებული ცოლი მძინარე ქმარს სანოლზე აბამს და, მოუხედავად თავგანწირული წინააღმდეგობისა, ხვეწნა-მუდარისა, ბასრი დანით, რომელსაც დიდხანს ლესავდა ქმრის ზურგს უკან, განზრახულით აღზნებული და გაკერპებული, თვალის დახამხამებაში აცლის სათესლე ჯირკვლებს".

თავისუფლების მაძიებელ და მის დამთრგუნველ ძალებს შორის არსებული დაპირისპირება „აველუმს“ მაგისტრალურ ხაზად გასდევს. ეს ჭიდილი შენიღბულია, გამოუაშკარავებელი. ნების წარმტაცველი ძალა, რომლის მსახვრალი ზემოქმედებაც ყოველ სტრიქონში ძალუშად შეიგრძნობა, შედეგის მიხედვით საცნაურყოფს თავის არსებობას, რეალურად კი იგი უჩინარია, გამოუვლენელი, უხორცოსავით საზარელი და მოუხელთებელი. მას კონკრეტული გამოხატულება არ გააჩნია, ამიტომ არც სახელი აქვს, არც გვარი. იგი კრებითი სახეა, ინდივიდუალური ნიშნის არმქონე, „უსახო, უპირქუბო“, მხოლოდ ბრმა ძალითა და ჩლუნგი სისასტიკით აღჭურვილი რაობა, რომელიც ოდენ სხვათა ტკივილისა და უბედურებისათვის არის გაჩენილი. მისი აბსტრაქტული მყოფობითაც მისივე ბოგინის ვრცელი ასპარეზი, საზღვარმიუჩენელი თარეშია ხაზგასმული. „გინდა თუ არ გინდა, მოგწონს თუ არ მოგწონს, მაინც შერისხულთა, დაჭერილთა, დახვრეტილთა, დაშინებულთა და... დაყვერილთა შთამომავალი ხარ. პაპაშენი შიშველ-ტიტველი, მშიერ-მწყურვალი ჩავიდა საფლავში, როცა ახალგაზრდობაში იმოდენა ღვინის სარდაფები

ჰქონდა რიყეზე, ბოლო კასრი ლოტოს კოჭისოდენა მოჩანდა თურმე კაროდან. მაშაშენს ერთ საქვეყნოდ სახელგანთქმულ დაწესებულებაში ისე დაამტვრიეს ხელ-ფეხი, სიკვდილამდე ლოგინიდან აღარ წამომდგარა (ერთი ფეხი უკვე მკვდარს გაუსწორეს სატეხითა და ჩაქუჩით, წესიერად რომ დახურულიყო კუბო)“, – ასეთია რეალური წანამძღვრები იმ ფსიქოლოგიური ტიპის ჩამოყალიბებისა, რომლის არსებაშიც წინა ორი თაობის ხვედრია აღბეჭდილი. რომანის მთავარი პერსონაჟის პიროვნებაში ამ ფსიქოლოგიური ტიპის ზოგადი ნიშან-თვისებებია შერწყმული.

აველუმის პიროვნება დახვრეტილ, დაბორკილ, დაერდომილ წინაპართა დარდით, ვარაშით, შიშით, ტკივილითა და, რაც მთავარია, დათრგუნვილობითაა დაღდასმული. „მთელი სიცოცხლე ამ დღეს მოველოდი, როგორც იქნა, მოვესწარი და... მემშინაო“, – აცხადებს ის ეროვნული მოძრაობის დანყებასთან დაკავშირებით. გულწრფელია იგი, როცა ამბობს, დაშინებულების უფრო მესმის, ვიდრე უშიშრებისაო. სწორედ ამ დათრგუნვილობის გამო აღიზიანებს (და მშობლებისთვისაც ვერ უპატიებია) მას ის, „ცოცხალმა რომ გამოაღწია დახვრეტილთა, შერისხულთა, განდევნილთა, დაკნინებულთა, ღირსებააყრილთა აჩრდილებიდან, სისხლისა და ცრემლის ტბორებიდან“.

„აველუმის“ უმთავრეს პათოსს ქმნის ფიქრი, ოცნება იმ ნეტარ წამზე, რომელიც ადამიანს თავისუფლების მშვენიერებასა და ამაღლებულობას შეაგრძნობინებს. მთელ ნაწარმოებს მსჭვალავს ის აზრი, რომ „თავისუფლების მწარე მარცვალი ყველა არსებაშია ჩათესილი და იმ მარცვლის აღმოსაცენებლად საკმარისია ერთი, ერ-

თადერთი ნათელი წამიც, რომელიც ადამიანის არსებას შიგნიდან გაანათებს ხოლმე, როგორც ჩირალდანი მღვიმეს, და, მიუხედავად დროის სიმცირისა, ადამიანი მაინც ახერხებს იმის დანახვას, რაც იქამდე მისივე სიბეტისა და მიუხევედრელობის შეუღწევულ, გაუფანტავ წყვდიადში თვლემდა. ამ ერთ წამს უნარი შესწევს, ძირფესვიანად შეცვალოს არამართო ერთი ადამიანის ცხოვრება, არამედ მთელი სამყაროც, რომელშიც ის ერთი ადამიანია ჩაკარგული.

მთავარი პერსონაჟის ცხოვრებას ამ ერთი ნათელი წამის მთრთოლვარე მოლოდინი აფორიაქებს, ამ ნანატრი გაელვების წარმოსახვას კი მუდამ ახლავს შიში იმისა, რომ ამგვარი უცაარი გამოფხიზლება უმთავრესად კატასტროფით მთავრდება.

ნეტარ წამთან დაკავშირებული ზეალმტაცი ბედნიერება და მისი თანმდევი განსაცდელი რომანში ფრთოსანი ბავშვების ხედვრშია განსახოვებული. ნაწარმოებს მრავლისმეტყველად გასდევს ხატება მშვენიერი წამის მაძიებელი ბავშვებისა, ჩიტბიჭუნების და ჩიტგოგონებისა, რომლებიც, ცარგვალში ერთხელ, ერთადერთხელ შეფრთხილების სურვილით ატაცებულინი, ხელოვნურ ფრთებს იმაგრებენ მხრებზე, რათა იმ ნეტარებას ეზიარონ, მხოლოდ ლაფვარდში ქროლვით რომ შეიგრძნობა.

...და მიფრინავენ, მიფრინავენ, მიფრინავენ ისინი მანამ, ვიდრე ჩამოცივიდებოდნენ, ვიდრე, ლითონის დასაქოქი მტრედების მსგავსად, გალანის კედელს, ხეს ან მანქანას შეასკდებოდნენ, ანდა, ძალაგამოლეულნი, ასფალტზე გახობდებოდნენ მუცლით...

რომანში ეპიზოდურად გაილეკებს სახე ერთი უჩვეულო პერსონაჟისა,

რომელსაც ერთხელ, ერთადერთხელ უხილავს დიდი, თვალშუუდგამი ნათელი და, მის მნახველს, არარაობად ეჩვენება სხვა ყველაფერი. იგი თავის თავს ბედნიერას უწოდებს, რადგან მას შემდეგ, რაც ეს ნათელი იხილა, ბედნიერია, აღარც არაფერი ტკივა, აღარც არაფერი ანუხებს. იმ ნათლის მხილველი, იგი წყვდიადში გრძნობს თავს მაშინაც კი, როცა ორი ანთებული „ოჰპიტერი“ პირდაპირ თვალეში უჭყიტინებს. „ეს რა სინათლეა? ეს იმასთან უკუნი ბნელია. აი, რომ ვამბობთ ხოლმე, თვალთან თითს ვერ მიიტანო, ისეა“, – მიმართავს იგი ინტერვიურს.

რომანის მთავარი გმირის არსებობას სულიერი თავისუფლების მოპოვების დაუცხრომელი ფინი წარმართავს. მისი გაგებით, ადამიანის ცხოვრება თავისუფლებისაკენ სწრაფვაა და, ამდენად, მარადიული მოვლენაცაა, რადგანაც „ადამიანი თავისუფლებას სამოთხეში ტოვებს, ანუ გაჩენამდე, გნებავთ, გაჩენისთანავე კარგავს და მთელი მისი დანარჩენი ცხოვრება სამუდამოდ, უიმედოდ დაკარგული თავისუფლების შემანუხებელი შეგრძნებაა მხოლოდ“. აველუმის არსებას მსჭვალავს დაუთრგუნველი ნყურვილი იმისა, რომ სულ, სულ მცირე ხნით მაინც დაუსხლტეს სატუსალოს სულისშემშუთვლელ ატმოსფეროს, სადაც მისი ყველა ნაბიჯი, ყველა ამოსუნთქვა სხვათა მიერ წინასწარაა განსაზღვრული და რეგლამენტირებული.

კრეტას პირქუში ლაბირინთის მკვიდრი საოცნებო თავისუფლებას სიყვარულის სავანეში ეძიებს. სიყვარული ერთადერთი საესავია, რომელიც მას თავისუფლებისა და უფლებამოსილების შეგრძნებას ანიჭებს, ამიტომაც „თავგანწირულად და უსასარულოდ... იბრძვის იმის გადასარჩე-

ნად, რასაც ჯერ კიდევ სიყვარულს ვეძახით და რაც ადამიანთა მიწიერ არსებობას ცხოვრებად გარდაქმნის". მის ამ ბრძოლა-წყვეტებაში აშკარად შეიგრძნობა ის უჩვეულო სულისკვეთება, რომელიც, იმის გამო, რომ „საერთო, საყოველთაო, მით უფრო, სავალდებულო მოთხოვნილებად“ ვერ ქცეულა, „ცალკეული, დამთხვეული პიროვნებების სწრაფვად, აჩემებად, ოცნებად, ჟინად“ არის მიჩნეული. აველუმში ერთი იმ „დამთხვეულთაგანია“, ვინც მარადიული იმპერიის – სიყვარულის უღელში შესაბამელად ნებაყოფლობით, საკუთარი სურვილით მიიღტვის. მისთვის სიყვარული გრძნობათა გავარვარებული ჯაჭვია, რომელსაც ნებით იხვევს კისერზე, რადგან აღარ შეუძლია უიმჯაჭვოდ გაძლება და, ზედ ტურბომიმწვარი, ისევ ხარბად კოცნის იმის ნითლად გაღვივებულ რგოლებს, უფრო და უფრო ეფლობა მის მოუხეშავ, მოყდარუნე სიძიმეში და კი არ რცხვენია, ეამაყება დამწვარ-დანყლულებული ხორცის გამოჩენა. ნაწარმოების მიხედვით, აველუმის გამუდმებული „სწრაფვის, აჩემების, ოცნების, ჟინის“ ობიექტებად ფრანგი ფრანსუაზა და რუსი სონია წარმოგვიდგებიან.

აველუმის სწრაფვა სიყვარულისაკენ ავტორის მიერ ჩაფიქრებულია, როგორც ხელშესახები ალეგორია თავისუფლებისაკენ მარადიული სრბოლისა, რომელიც ადამიანს ჩანასახშივე მიემადლება და ამიტომაც დღემუდამ მისი მოპოვების წყურვილითაა შეპყრობილი. ეს მისწრაფება განუყოფელია პიროვნებისაგან და ისევე განსაზღვრავს მისი ცხოვრების საზრისს, როგორც დაკარგული სამოთხის დაბრუნების სურვილი – ცოდვით დაცემული კაცობრიობისას. ეს ის უზანაესი გრძნობაა, რომელიც ადამიანს

„ბრმად, მოულოდნელად, შემთხვევით ეუფლება და, თვალს კი უხელს, მაგრამ შესამჩნევს ალარაფერს უტოვებს გარშემო, ყნოსვას კი უმძაფრებს, მაგრამ სურნელებას უკარგავს ყველაფერს, სმენას კი უხსნის, მაგრამ, მზეზე შემჩნეული უდიდესი აფეთქებების მსგავსად, მისთვის მაინც ჩუმად, მაინც უხმოდ ახდენს მოსახდენს“. ძნელი დასანახი არ არის, რომ სიყვარულის წამიერი შეგრძნების სიდიადის გამოხატველ ამ სტრიქონებში ისეთივე დამთრგუნველი, გამაოგნებელი, გამოუთქმელი გრძნობაა აღბეჭდილი, როგორც იმ მონაკვეთში, რომელიც თავისუფლების ელვისებური განცდის მშვენიერებაზე ლაღადებს. სიყვარულის სიტკბოს ნაზიარები ადამიანი ისევე ვეღარ ამჩნევს ამქვეყნად რაიმეს, როგორც ბედნიერა, რომელიმე მეყსეულად იხილა დიდი ნათელი და მას შემდეგ არააზობად ეჩვენება სხვა ყველაფერი. ამდენად, აველუმის თავგანწირული ლტოლვა სიყვარულისაკენ თავისუფლების მარადიული ძიების მკაფიო, ხელშესახებ ალეგორიად მოიაზრება. „ყველა კვარცხლბეკიდან ჩამოგდებული, ყველა ტაძრიდან გამოდევნილი, შერისხული, შეგინებული, ადამიანური უზნეობის ლაფში ამოგანგლული, სამარცხვინო სისუსტედ, სულელ ნინაპართა გულუბრყვილო თამაშად, ასაკობრივ მიდრეკილებად, ჩვეულებრივ ხელმრუშობად მონათლული“ სიყვარული, რომელიც აველუმის სულს ესოდენ სწყურია, თავისუფლების ნათელი ხატებაა. მთავარი პერსონაჟის სამიჯნურო თავგადასკვალშიც თავისუფლების მაძიებელი სულის დრამატული ოდისეაა განფენილი.

აველუმში მშობლიურ ნიადაგში დანერგული ხეა, რომელიც დროსა და სივრცეში გადაადგილებას ძნელად

ეგუება. იმ მიწის ნაწილად, რომელშიც მას ფესვები აქვს გადგმული, მელანია წარმოგვიდგება. ამ ხის ფესვებს აველუმი საკუთარი სისხლით კვებავს.

უზარმაზარ ლაბირინთში მცხოვრები აველუმისათვის ოჯახი პატარა საპყრობილეა, რომელსაც უცვლელ ზედამხედველად იგივე მელანია ჰყავს მიჩენილი. ფრანსუაზა ამ სატუსალოდან თავის დაღწევას ერთადერთი საშუალებაა.

ფრანსუაზა ნამდვილი უცხოელია, „თანაც ფრანგი, თანაც პარიზელი და არა, ვთქვათ, მოსკოველი ებრაელი, კიველი თათარი, ბაქოელი რუსი თუ თბილისელი ბერძენი“. მის ყოველ ქცევაში, მოქმედებაში, საუბარში, ცხოვრების ნირში თავისუფალი აზროვნება, ქართული სულისათვის მიუღებელი ჩვევები და მიდრეკილებები ამოიკითხება.

ფრანსუაზა აველუმს, პირველ ყოვლისა, თავისი უცხოელობით იზიდავს. მისი გატაცებაც სპორტულ ინტერესს უფრო ჰგავს, ვიდრე ჭეშმარიტ სიყვარულს. მოგვიანებით კიდეც ამუნათებს თავის თავს: „შენთვის სიყვარული იგივე იყო, რაც სპორტსმენისთვის – დოპინგი“.

ფრანსუაზასთან ურთიერთობა დიდ რისკთან, უსასრულო ხიფათებსა და თავგადასავლებთანაა დაკავშირებული. მასთან ყოველი შეხვედრა ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმიდან ამოვარდნა, მოსაწყენი ყოველდღიურობიდან გაქცევა, უჩვეულო, გამოუცნობი, უმეტესწილად – მიუღებელი, მაგრამ რალაციით მაინც საინტერესო და მიმზიდველი, მოულოდნელი და, ამდენად, განსხვავებული არსებობის დასაწყისია. ოჯახური არტახებიდან თავის დახსნით, კაპიკ-კაპიკ ნაგროვები ფულის ნაშში გაფლანგვით (აღნიშნავს კიდეც: „ყოველდღე ცოტას ერთ-

ხელ და უხვად მირჩევნიაო“), ათასი მოყურადისა და მოთვალთვალისაგან დასხლტომით, შეხვედრის ადგილების წამდაუნუმ შეცვლით აველუმი თავისუფლების ილუზიას იქმნის. ფათერაკებიანი სიყვარული ძნელად მოსაპოვებელი თავისუფლების შეგრძნებას ბადებს მასში, ამიტომაც, არგამოფხიზლების სურვილით ატაცებული, მოჩვენებითი გაღალღების ნადილით შეპყრობილი, თავდავიწყებით მიელტვის მას.

საბჭოეთში დამყარებული რეჟიმით გამეფებულ შიშზე გამარჯვების სიხარულითაა აღსავსე ფრანსუაზას პირველი გაცილება საფრანგეთში. ნაუცბადევი, სეზონისათვის ყოველად შეუფერებელი ჩაცმულობით მოსკოვში გამგზავრება, უშიშროების მუშაკთათვის თვალის ახვევის მიზნით აეროპორტში ვარდების უზარმაზარი თაიგულით მისვლა, ამავე ზრახვით მეგობრის მიერ რესტორნის ოფიციალტი ქალის მიყოლიება ახალგაზრდებში ბადებს საზეიმო განწყობას, რომელსაც კიდეც უფრო აძაფრებს მოელენათა შემდგომი მსვლელობის წარმოსახვა. დამზონებელ ძალასთან შეუპუებლობა, ძნელად გადასალახავი ბარიერის დაძლევა აველუმის ცნობიერებაში ნანატრ თავისუფლებასთან ასოცირდება. დღემუდამ დინების საწინააღმდეგოდ ცურვა: ფრანსუაზას წერილების უჩვეულო გზით მოპოვება (მათ, მისივე თხოვნით, მისი კოლეგა, მოსკოველი ესტონელი იანი იღებდა და „სათანადო დამუშავების“ შემდეგ თბილისში უგზავნიდა), მასთან შესახვედრად ათასნაირი საშუალების მოფიქრება, მეთვალყურეთა, დამსმენთა, შურიანთა გასაცურებლად ახალი და ახალი გზების გაზონახვა აველუმს მინოტავრთან შეთამაშების, სისხლმონყურებული ურჩხულის თვა-

ლებში ჩახედვის ტოლფასად ესახება. ამ განცდით ატაცებული, სიძნელეთა გადალახვის ჟინს აყოლილი, იგი ისევ და ისევ განსაცდელს ეძებს ილუზიური თავისუფლების გასახანგრძლივებლად.

უდიდეს სიძნელეებთანაა დაკავშირებული მოსკოვში ჩამოსულ ფრანსუაზასთან შეხვედრა და, მით უმეტეს, მასთან ერთად დაბინავება. სატრფოს ყოველ ჩამობრძანებას თან ახლავს კიდევ ერთი მომთაბარე ცხოვრება, ჩანთებითა და ჩემოდნებით ხეტიალი უცხო ქალაქის უცხო ქუჩებში, უზნიდან უბანში, ბინიდან ბინაში... ისინი ცდილობენ, მიიმხრონ, მოისყიდონ ნებისმიერი ვიგინდარა, ვისაც მათი დასმენა შეუძლია, ვისაც ძალუძს, თუნდაც უმნიშვნელო ზიანი მიაყენოს მათს „სიმშვიდეს“, მათს „ბედნიერებას“, „ეთქვათ, სასტუმროდან გამოასახლებინოს ისინი, რესტორანში არ შეაშვებინოს, მილიცია მიუგზავნოს დაქირავებულ ბინაზე და სხვა ათასი სიმდაბლე და სისაძაგლე ჩაიდინოს თავისი მარად გაუხარელი, მარად დაჩაგრული, მარად ღატაკი სულის საამებლად“.

რაოდენ ჭეშმარიტია ბედნიერება, რომელსაც აველუმში ფრანსუაზასთან ურთიერთობით განიცდის, მკაფიოდ ჩანს საბჭოეთში აკრედიტებული უცხოელებისა თუ ადგილობრივი სნობების მზიარულ ფერხულში თავფეხიანად ჩართული ფრანსუაზას მოლოდინით გულამღერეული მიჯნურის განწყობაში. მოსკოვში ჩამოსულ აველუმს ფრანსუაზა ბინაში კეტავს, თავად კი ხან ნვეულებზე გარბის, ხან – საელჩოში ან უცხოელთა კორპუსში, ხან კიდევ – რომელიმე მხატვრის სახელოსნოში თუ ჰიპოდრომზე. ამ დროს აველუმში შუქს აქრობს, ვითომც ბინა ცარიელია, იატაკზე დგამს ტე-

ლევიზორს, თავადაც იატაკზე ჯდება, გვერდით ვისკის ბოთლს იდგამს და ცდილობს, არ იყმუველოს, იმაზე ფიქრით აცახცახებულმა, რომ ამ დროს ფრანსუაზა კულტურულად ერთობა, „ევროპულ ყაიდაზე ატარებს დროს თავის დეგენერატ თანამეინახებთან ერთად, მისი გულისთვის ქვეყნის მეორე ბოლოდან ნასესხები ფულით ჩამოფრენილი სტუმრის მარტო დატოვებას კი არათუ უკულტურობად, ელემენტარულ უაღამიანობადაც კი არ მიიჩნევს“.

აველუმში შინაგანად მუდამ მწარედ განიცდის თავის უაზრო ყოფას, გრძნობს, რომ ფრანსუაზას ნაწუქარი თავისუფლება რკინის ბირთვივით აქვს სულზე გამობმული. ამიტომია, რომ მისი ხმაც, „სატელეფონო კაბელში მკედრული სიჯიუტით, მხოლოდ და მხოლოდ გარდაუვალობის ძალით დაძრული“, ისე გამოიყურება (სწორედაც რომ გამოიყურება, ფრანსუაზამ დაინახა ეს ხმა!), როგორც ტკივილით გაოგნებული და შხამიანი ნერწყვით გაგუდული ბაჭია – მახრჩობელა გველის ნაწლავში“.

მოგვიანებით, როცა ფრანსუაზასთან ოცდახუთწლიანი ურთიერთობის შეფასების ყამი დაკრავს, იგი ასე ამუნათებს საყვარელს: „ერთი დღით ჩამოფრინდებოდი ხოლმე კარტში მოგებული ფულით, შენ კი ჰიპოდრომზე გარბოდი შენს არისტოკრატ მეგობრებთან. ჩემი მიტოვება შეგეძლო, იმათი განბილება კი – არა... მე ბნელში ვიჯექი ჭოტივით, ლიფტიორი ქალის შიშით სინათლე ვერ ამენთო, არ მომაგნოს, არ დამიფრინოს აქედან-მეთქი, ეს კი, როგორც იტყვიან, ევროპულად ერთობოდა, ან საელჩოში იჯდა იატაკზე და ვილაცის ჭიქაში ჩარჩენილ შამპანურს ნრუჰავდა, ან რომელიღაც მორიგი დეგენერატი გენიოსის ბინ-

ძურ ხავერაში... უკაცრავად, სახე-
ლოსნოში დიასახლისობდა გამოსული
ქალის თამამი უშუალობითა და უშუ-
ალო სითამამით”.

აველუმს ფრანსუაზასთან შეხვედ-
რის დღიდანვე ღრღინს ეჭვის ქია, ანა-
მებს ფიქრი იმაზე, რამდენად წრფე-
ლია მისი სიყვარული, რამდენად მყა-
რია ალექსა, რომლითაც მისი ყოველი
წერილია აღსავსე. მტანჯველი ეჭვი
სიცოცხლეს უნამლავს აველუმს განა
მხოლოდ ცხადში, სიზმარშიც. ეჭვი
„ანოვებს თავის შხამიან რძეს“ იმ შემ-
ზარავ სიზმრებს, რომლებიც მას ესო-
დენ ანამებენ და აფორიაქებენ.

გაურკვეველობის გრძნობა, რომ-
ლითაც აველუმის მთელი არსებაა მო-
ცული, იმდენად აუტანელია და გაუ-
საძღისი, რომ იგი ლამის საბოლოოდ
დაიბრჩოს ეჭვიანობის იმ „ვერაგსა და
გამაპამშულავებელ მორევში“, რო-
მელშიც ყელამდეა ჩაფლული.

ურთიერთობის პირველი წუთები-
დანვე აველუმს ტვინს უკორტინდა
იმაზე ფიქრი, რომ ფრანსუაზას არა-
თუ მიზეზი და საშუალება, უფლებაც
მეტი ჰქონდა ლალატისა, რადგან იგი
სხვა სამყაროს ეკუთვნოდა, სხვა ქვე-
ყანაში ცხოვრობდა, სხვა ადათ-წესე-
ბით, და „ეჭვიანობისაგან გინდაც ჭი-
პი გადმოგვარდნოდა, როცა მოგეპრი-
ანებოდა, მაინც ვერ ჩააკითხავდი შენს
ნებაზე იმ სამყაროში და იმ ქვეყანა-
ში“, სადაც იგი იმყოფებოდა. ხშირად,
მისთვისვე მოულოდნელად, ისე მწა-
რედ, ისე დაუზოგავად გაჰკრავდა
ხოლმე გულში ეჭვი, რომ „მზად იყო,
მგელივით ეყმუელა, გველივით თავი
კედელზე მიენაცა და მუცელმონყე-
ტილი ქალივით ეგორა მიწაზე“,
ოღონდაც ამ შემზარავი განცდისაგან
გათავისუფლებულიყო.

ფრანსუაზა ნანარმოებში გამოჩე-
ნისთანავე უნდობლობას ბადებს

მკითხველში (ეჭვის აღმძვრელია თუნ-
დაც ერთგულებისა და უღალატობის
ის მტკიცე ფიცი, რომელსაც იგი ესო-
დენ ხაზგასმულად იმეორებს ყველა
წერილში) და ისიც ცნობისმოყვარედ
მოელის იმ წუთს, როცა ეს „თავდავინ-
ყებით შეყვარებული“ ქალი თავის ნამ-
დვილ სახეს გამოამჟღავნებს. ყოველ-
გვარ მოლოდინს აჭარბებს ის უტიფ-
რობა, ურცხვობა, შუბლგარეცხილო-
ბა, რომელსაც ფრანსუაზა ლალატში
მხილების მომენტში ავლენს.

„სხვათა შორის, შენს სანოლთან,
პატარა მაგიდაზე, თუ შეგიმჩნევია,
ჩასახვის სანინალმდეგო აბების კო-
ლოფი დევს, სანახევროდ დაცლილი...
ალბათ, ყოველშემთხვევისთვის სვამ,
დასაზღვევად, ჩემმა წერილებმა
რომ... ჰმ... ჰმ... მაგრამ, არა მგონია, ამ
თვალსაზრისით სახიფათო იყოს, რო-
გორც შენ უნოდე ერთხელ, ეპისტო-
ლური სიყვარული. მართლაც, რო-
გორც ეტყობა, ფრანგული ნამლები
ხანგრძლივად, წლების განმავლობაში
ინარჩუნებენ ძალას. ჩვენ ხომ უკანას-
კნელად ამ ორი წლის წინათ შევხე-
დით?“ – მიმართავს იგი „ძალღვივით
ერთგულ“, „მხოლოდ მასზე ფიქრით
დამაშვრალ“ ქალს, რომელიც უსირც-
ხვილოდ უსწორებს, ის აბები ფრანგუ-
ლი კი არა, გერმანულიაო. (ფრანსუ-
აზას „პატიოსნების“ დამადასტურე-
ბელი ეს მომენტი, სამწუხაროდ სრუ-
ლიად შეუმჩნეველი დარჩენია ქ-ნ ეკა
ცხადაძეს, რომელიც ამ ქალის შეფა-
სებისას საერთოდ უგულებელყოფს
მისი ჭეშმარიტი მორალის მამხილე-
ბელ რეალიებს და აცხადებს, ევროპე-
ლი, თანაც ფრანგი ქალის ასეთი „გარ-
დარეული“ სიყვარული და საარაკო
ერთგულება აშკარა მეზღაპრეობის
სფეროს განეკუთვნება და ოთარ
ჭილაძეს ამ ისტორიის გამოგონება,
ალბათ, აველუმის თავდაჯერებულო-



ბის წარმოსაჩენად დასჭირდაო (ვაზ. „ჩვენი მწერლობა“, № 17, 2002 წ.).

ფრანსუაზასთან უკანასკნელი შეხვედრისას მთელი ძალით იჩენს თავს ის ზღვარგადასული ბოლმა, უკმაყოფილება, შეუთავსებლობა, შეუგუებლობა, გაუცხოება, რომელიც აველუმს წლების მანძილზე ტანჯავდა, ანამებდა, შინაგანად ფლეთდა და ანადგურებდა. ხანგრძლივად ნაგუბარი ბრაზითა და რისხვით, მრავალგზის დაოკებული ტკივილითა და ვარამით, შეუნიღბავი შხამითა და გესლით არის აღსავსე მისი სიტყვები, წარმოთქმული მისთვის სრულიად უცხო და მიუღებელი სამყაროს წარმომადგენელთა დასახასიათებლად. „იცით, იმ დღეს ოთხად გაჭრილი გაუფცქვენელი ხახვი მოგვართვა, ეს არის მთელი ვახშამიო. წარმოგიდგენიათ? აი, ამას პქვია ნამდვილი ბოპემა. სიძუნწეზე რომ არაფერი ვთქვათ, ანდა თუნდაც სიბრიყვეზე, სიღარიბე აქ არაფერ შუაშია. თუ ხახვის მეტი არაფერი გაქვს, ვახშამს რატომ მართავ სახელოსნოში? ელოდები, რომ საქმელ-სასმელს სხვები მოიტანენ? ამას სხვა სახელი პქვია... მაგრამ მეც რომ გაუფცქვენელი ხახვი მეჭმია შენთვის, მოგენონებოდა? შეჭამდი?“ – მიმართავს იგი ფრანსუაზას.

მრავლისმთქმელია, რომ ფრანსუაზა სრულიად მიუკიბ-მოუკიბავად, განსაკუთრებული ტკივილისა და სინდისის ქენჯნის გარეშე აღიარებს, რაოდენ შეუთავსებელია მისი ბუნებისათვის ძალღური ერთგულება. მეტიც, იგი აველუმს იმ მსხვერპლსაც აყვედრის, რომელიც მისთვის ოდესმე გაუღია: „ღმერთო ჩემო, არ მესმის, როგორ ცხოვრობთ თქვენ! ვერ გამიგია, რა გინდა ჩემგან? რა უნდა ჩავიკლა, რა უნდა ამოვიკვეთო, რას უნდა გავუძლო კიდე? ვიდრე შენ ჩემი გა-

დარჩენის გეგმებს აწყობდი იქ, ჩემო გადამრჩენელო, მე თავს ძლივს ვერეოდი, ქუჩაში რომ არ გავვარდნილიყავი და პირველსავე გამვლელს არ ჩავვარდნოდი ფეხებში... პირველსავე შემხვედრს... თუნდაც კეთროვანს... – ასეთია ლოკიკური დასასრული ხანგრძლივი ურთიერთობისა, რომელსაც, როგორც აღმოჩნდა, ურთულესი ბარიერის გადალახვის გზაზე აღმოცენებული ალტყინება, სიჯიუტე, ჯიბრი, ინტერესი ედო საფუძვლად და არა ჭეშმარიტი გრძნობა. როცა ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა, აველუმში სრულიად მარტივად აღმოაჩენს, რომ მას და ფრანსუაზას (ისევე, როგორც მათს უკანონო შვილს) არაფერი პქონიათ საერთო: „არც სამშობლო, არც ენა, არც წარსული და არც მომავალი“.

„აველუმში“ სრულიად არაორაზროვნადაა წარმოჩენილი, რომ ფრანსუაზას სახით მკითხველის წინაშე დგას არა პიროვნება, არა ინდივიდი, არამედ სამყარო, რომლის წარმომადგენლადაც იგი გვევლინება. იგი ზოგადად უცხო სამყაროს, ევროპას, მის „კულტურას“ და „ცივილიზაციას“ განასახიერებს (ისევე, როგორც თათარი – თურქეთს, გინდაც მაჰმადიანურ სამყაროს რომანში „ყოველმან ჩემმან შპოვნელმან“) და აველუმიც ისე მიმართავს მას, როგორც ცხრა მარტისა და ცხრა აპრილის გადამტანი ქვეყნის წარმომადგენელი – ამ ქვეყანასთან თვალთმაქცური ერთგულებითა და ცრუდაპირებებით დაკავშირებულ უცხო ძალას. „მე, ესე იგი მე, ისევე ვერ გადაგარჩინე შენ, ფრანსუაზა, ოცდაორი წლის ფრანგი გოგონა, თავშესაქცევ სიყვარულს გამოქცეული და ჭეშმარიტი სიყვარულის საზარელ ხახვაში ჩავარდნილი, როგორც თქვენ, ესე იგი ფრანგებმა, ვერ გადაგ-

ვარჩინეთ ჩვენ, ქართველები", - ეუბნება იგი ფრანსუაზას. ამ ქალის პიროვნული თავმოთნეობა და ქვეგამხედვარობა, ორგულობა და გაუტანლობა აქ ევროპის ოდინდელ ორპირობასა და ცბიერებასთან, თვალთმაქცობასა და უსულგულობასთანაა გათანაბრებული. „სხვათა შორის, ერთი ჩემი დიდი წინაპარი სწორედ აქედან გამოაპანლურეს შენმა დიდმა წინაპრებმა", - მიმართავს აველუმს მას (არ არის შემთხვევითი, რომ აველუმის ცნობიერებაში ფრანსუაზას უკავშირდება ის ფაქტიც, რომ „ჯერ კიდევ ცხრამეტი წლის თოთხმეტი მარტის პარიზის კონფერენციამ არ სცნო ჩვენი დამოუკიდებლობა").

ამ შემთხვევაში იგი საქართველოს სახელით ლაპარაკობს. აქვს კიდევ ამის უფლება, რადგან მუდამ „აპოკალიფსის სიმპტომად აღიქვამდა, როცა რომელიმე ნამდვილად ღირსეული ქვეყანა ანდა მისი ცალკეული ღირსეული წარმომადგენელი მართლაც რომ ჭეშმარიტად მეცნიერულ შემართებას, სიმტკიცესა და სიჯიუტეს იჩენდა ნებისმიერი გადაშენებული ცხოველის ნაკვალევს, ანარეკლისა თუ ანაბეჭდის გადასარჩენად, როცა გახედვაც კი არ უნდოდა ცოცხლად დამარხული თუ ცოცხლად გადაყლაპული ქვეყნებისაკენ, აველუმისათვის კი მისი ცოცხლად დამარხული სამშობლოთი იწყებოდა მთელი დანარჩენი სამყარო და უიმისოდ ერთნაირად მკვდარი იყო ყველა რელიგია" (საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაში აველუმის ირონიის სამიზენ „ნამდვილად ღირსეული ქვეყნის" წარმომადგენელი, ევროპის მასშტაბის სპეციალისტი ელინური სამყაროსი, მკვდარი რელიგიების მკვლევარი ფრანგი რელუ გახლავთ).

ამდენად, ფრანსუაზასთან დამო-

კიდებულება და ამასთან დაკავშირებული სიძნელეები, აველუმის დაუოკებელი სწრაფვა ფრანგი მიჯნურისაკენ და მასთან კავშირის დამყარების გზების უსასრულო ძიება, ფრანსუაზას მხრივ კი ყალბი ერთგულება, მისი ბედით ზერელე დაინტერესება და მასთან ყოველგვარი კავშირის უმტკივნეულოდ განწყვეტა ევროპისაკენ საქართველოს ხანგრძლივი ლტოლვის, მასზე დაყრდნობის მრავალსაუკუნოვანი მცდელობისა და ამ უკანასკნელისადმი ევროპის „გულისხმიერების" მხატვრული ანარეკლია.

თუ ფრანგი ფრანსუაზა ევროპას განასახიერებს, სონია რუსეთის სიმბოლურ სახედ წარმოგვიდგება. მასში რუსული სული, რუსული ხასიათი, რუსული ზნეობაა გამთლიანებული. მისთვის უცხოა ამაღლებული გრძნობები, წმინდა სიყვარული. მის ყოველ ნაბიჯს, ყოველ ქმედებას ანგარება უდევს საფუძვლად. ლალატი მისთვის არცთუ ძნელი გადასანწყვეტია, სიყვარულობანას თამაშიც საკმაოდ კარგად გამოუდის. „ძვირფასო, ვთხოვდები", - აცნობებს აველუმს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის, ტელეფონში ცრემლების ყლაპვით ელაპარაკოს და უკანასკნელი შეხვედრაც ტირილში გაატაროს, ლამის გასკდეს ტირილით იმის გამო, რომ „ასეთ რამეს საერთოდ არ პატიებენ".

თავად, ცხადია, ადვილად შეუძლია თავს აპატიოს ისიც, აველუმთან შეუთანხმებლად რომ მოიშალა მუცელი, ისიც, მასთან უკანასკნელ შეხვედრამდე რომ ჩაატარა „სავალდებულო, აუცილებელი პროცედურა" - „ორივე ხელით ნამსვე გადაიძრო კაბა, ლიფიანად, და ლოგინში შეუგორდა თავის მომავალ მუღლეს" (რათა სცოდნოდა „მისი დაფარული შესაძლებლობანი, რომელთა ცოდნა, რასაკვირველია,

თავიდან, გათხოვებამდე სჯობს) და ეკლესიაში, ღვთისმშობლის ხატის წინ დაიფიცოს, რომ მის ცხოვრებაში აველუმის ადგილს ვერასოდეს დაიკავებს რომელიმე მამაკაცი. მას ხარბად გაურბის თვალი ბეჭდისაკენ, რომელიც აველუმმა წამოაცვა თითზე, მატარებლის გასვლამდე კი თან მომავალი ცხოვრების გეგმებზე ელაპარაკება, თანაც კატასავით ეგლისება, ეკვრის, თავს მხარზე აყრდნობს და ისევ ტირის... სრულიად დაუფარავად გამოხატავს ავტორი თავის დამოკიდებულებას სონიას მიმართ, როცა მას აველუმთან საუბარში ათქმევინებს: „აქეთ რომ მოვდიოდი, წითელ მოედანზე ასი მანეთი შემომადგლია ერთმა შენი ხნის კაცმა“.

ნიშნადობლივია, რომ აველუმის წინაშე სონიას „ერთგულებას“⁹ აპრილამდე აეხადა ფარდა, 9 აპრილის შემდეგ კი ფრანსუაზას ნამდვილი სახეც გამოაშკარავდა. არც ის შეიძლება შემთხვევითი იყოს, რომ მელანია, 9 მარტისა და 9 აპრილის მომსწრე და გადამტანი, 91-92 წლების ძმათამკვლელ ომამდე კედება, ნიშნად იმისა, რომ საქართველო (მელანია, ცხადია, საქართველოს განასახიერებს) ამ ომს არ უნდა მოსწრებოდა, რამეთუ წინარე ტრაგედიებში საქართველო უცხო ძალამ დაცხრილა, დაჩეხა და დაანაკუნა, მომავალ, ათასი ბაზალეთის გადაძწონ ომში კი დედა საქართველოს ღვიძლმა შვილებმა უნდა ამოწყვიტონ ერთმანეთი.

„აველუმში“ ავებედითად გამოკრთება ფრაზა: „აბელ, თოფი იფოთლება“. ეს პალინდრომი გამაფრთხილებლად უღერს რომანის დასაწყისში და მკითხველს არამარტო იმას მოაგონებს, რომ აბელი პირველი მსხვერპლია, თავისივე ძმის ხელით გამეტებული, არამედ იმასაც, რომ მას შემდეგ,

რაც კაენმა აბელი მოკლა, ერთი ჩვეულებრივი აბელი ყოველდღე კედება ამ ქვეყანაზე და თოფის შეფოთვლაც აბელის უსასრულო მკვლელობის მაუნყებელია, რადგან „შეფოთვლა იგივე შენიღბებაა, მაგრამ, როგორც არ უნდა შეინიღბოს, თოფიც ნაყოფით იცნობა, თოფის ნაყოფი კი ტყვიანა“, თანაც „ტყვიას ხომ რძით ვერ გამოკვება? ტყვიის საკვები სისხლია და სულერთია, ვისი სისხლი იქნება ის: ლეკვისა, ხბოსი თუ აბელისა“.

ეს ფრაზა მით უფრო შემაშფოთებლად უღერს იმის გამო, რომ წალმიდან და უკულმიდან ერთნაირად იკითხება და, ამდენად, მაქსიმალურად ძაბავს მკითხველის ყურადღებას, ყოველი მხრიდან მოსალოდნელი უბედურების განცდით, საქართველოს „წალმა-უკულმა გადახვნის“ შიშით ალაგვებს მას.

ამ ფრაზის პირველი გაელევებისთანავე მკითხველი იმუხტება იმის მტკივნეული მოლოდინით, რომ შეფოთილი თოფის მსხვერპლი, თავისივე სისხლ-ხორცისაგან უღვთოდ განწირულ-გამეტებული, საცაა, ულმობლად დაენარცხება დედამინაზე და „ჯმა სისხლისა ძმისა მისისა“ საუკუნოდ ილაღადებს „ღმრთისდამო ქუეყანით“ (დაბ. 4, 10).

ამ ფრაზის განმეორებით მკითხველი აშკარად გრძნობს, რომ თოფი, რომელიც რომანის დასასრულს უნდა გავარდეს, არათუ ყველაზე სასტიკი და განუკითხავია იმ თოფებს შორის, პირველი აბელის მოკვლის შემდეგ რომ გავარდნილა დედამინაზე, არამედ ყველაზე ვერაგიცაა იმის გამო, რომ შეფოთილია და, მაშასადამე, შენიღბულიც, და ეს „შეფოთვლა“ ისევე ხანგრძლივად, დაძაბულად, თანაც მტანჯველად, ამაფორიანებლად, მტკივნეულად მიმდინარეობს, როგორც მთა-

ვარი პერსონაჟი ეწამება უსასრულოდ მთელი რომანის მსვლელობაში, ფრაზის ორჯერ გახშიანების შუალედში.

შუალედში კი ამ სიტყვებს ბედნიერა წარმოთქვამს. დიდი ნათლის მხილველი ბედნიერას ფრაგმენტულ საუბარში, რომელსაც კორესპონდენტი „ბესტურს“ უწოდებს, თითქოს უაზროდ და უადგილოდ წამოსროლილი ამ პალინდრომით მკითხველისათვის აშკარა ხდება, რომ თავისუფლების („დიდი ნათლის“) მძიძველი ქვეყნის თავზე, საცაა, „კაენის სული გადისრიალებს“ და ბიბლიური პირველსახის – ძმის ხელით გამეტებული აბელის – ტრაგედია არაერთი აბელის ხვედრად იქცევა.

საყურადღებოა, რომ რომანის ფინალში აღნიშნული პალინდრომი მკვეთრად გადანაცვლებული ლოგიკური მახვილით წარმოგვიდგება. მისი ვარიირებული ფორმა – „იფოთლება, აბელ, თოფი!“ – განსაკუთრებით ხელშესახებად ავლენს შემზარავი ტრაგედიის საბედისწერო გარდუვალობასა და აღზევებული ბოროტების განუმეორებელ სივერაგეს, მოსალოდნელ მკვლევლობათა მზაკერულ არსსა და კაენური სულის აღზევების შემაძრუნებელ მასშტაბებს.

აველუმის სულიერი სამყარო და მოქალაქეობრივი სახე რომანში XX საუკუნის უმძიმესი პოლიტიკური მოვლენების: 9 მარტის, 9 აპრილისა და 91-92 წლების თბილისის ომის ფონზე წარმოჩნდება. 56-ში აველუმმა გაცილებით მეტი იცოდა, ვიდრე ქუჩაში გამოფენილმა ახალგაზრდებმა. ამ დროს იგი გამოფხიზლებული იყო იმ შეძრწუნებისაგან, რომელიც სამი წლის წინათ ბელადის გარდაცვალების გამო დაუფულა. ამაში მას დაეხმარნენ გადასახლებიდან დაბრუნებული მშობლები, რომლებმაც შეილი მომზადე-

ბულად ჩათვალეს იმისათვის, რომ სიმართლე გაეგო. აველუმს ეყო ჭკუაგონება, სწორი არჩევანი გაეკეთებინა დაერდომილ-დასახიჩრებულ, დაუძღურებულ მშობლებსა და მილიონთა გულთამყრობელ ბელადს შორის, ამიტომაც იმ დღეებში ქუჩაში კი დაეხეტებოდა (ფეხმძიმე მუღლესთან ერთად), მაგრამ „ალარ თანაუგრძნობდა თანატოლებს, ალარ ესმოდა მათი, პირიქით, ალიზიანებდნენ კიდეც ისინი თავიანთი ბნელი ერთგულებით, უაზრო სიმამაცით, ფანატიკური სიბეცით, რუსებს თუ არ ჭირდებათ, ჩვენ წამოვიყვანათ მოლოტოვი და მეფედ დავსვათო... იმაზეც კი ბჭობდნენ, სად უნდა ეკურთხებინათ მეფედ – სიონსა თუ სვეტიცხოველში“.

56-დან 89-მდე, მთელი 33 წლის განმავლობაში, აველუმს დღემუდამ ჩაესმოდა ყვირილი დარბევას გადარჩენილი დემონსტრანტებისა, ტრამვაის კიბეზე ჩამოკიდებულს რომ შემოესმა: „დაგვხოცეს, დაგვხოცესო“. „ისეთი ხმა აღარასოდეს გაუგონია აველუმს და, როგორც არ უნდა ეცადა, მიახლოებითაც ვერ აღწერდა ხოლმე სასონარკვეთის, განწირულობის, სიბეჩავისა თუ შიშის იმ ამაზრზენ ნაზავს, ნარწყვევივით რომ ტოვებდა გზადაგზა, ყოველი ხისა თუ ლამპიონის ძირას, ყოველ სადარბაზოსთან, ყველა სარკმელსა თუ ვიტრინაზე“. არც იმ ბიჭის ხატება ამოშლია მესხიერებიდან, ელექტრონის ბოძს რომ შემოხვეოდა ორივე ხელით. „უკვე სიკვდილს გაეყვინათ. იმდენად ფხიზელი იყო, ლანდი გასდიოდა, გამჭვირვალე გაეხადა სიფხიზლეს. სახე არ ქონდა საერთოდ. სახის ნაცვლად არანორმალურად გახელილი, უფრო სწორად, თითქოს უკიდურესობამდე ძალით განელილი თვალებილა დარჩნოდა, ორი უსწორმასწორო ჭრილი, ხვრელი, ორ-



მო – ანრიალეებული, ასისინებული, გა-
თოშილი სიცარიელითა და არაფრით
სავესე. ცალ ფეხზე იდგა. მეორე მას
ალარ ეკუთვნოდა... რაც მთავარია,
ფეხსაც ალარ ჰგავდა. სისხლით გა-
ლუმპულ შარვლის ტოტიანად უსი-
ცოცხლოდ დასთრევედა მიწაზე, ეტყო-
ბა, ტყვიას ბარდაყის ძვალი დაეფშვ-
ნა და მხოლოდ გადატყაულ, გატიტვ-
ლებულ კუნთზედა ეკიდა ხორცის მ-
სა, რაც ადრე, ალბათ, მისი მეორე ფე-
ხი იყო. მან ერთხანს მხრებით ატარა
ტიკვილისაგან სანახევროდ ჭკუიდან
გადამცდარი ბიჭი, მერე რომელიღაც
სადარბაზოში დასვა კიბეზე და, რო-
ცა უკან მამამისთან ერთად დაბრუნ-
და, იგი უკვე მკვდარი დახვდა... „იქვე
იჯდა, საკუთარ მხარზე თავჩამოვარ-
დნილი. ფეხებთან სისხლის უზარმა-
ზარი გუბე დაეყენებინა“.

საუკუნის მესამედი საკმარისი არ
აღმოჩნდა იმისათვის, რომ აველუმის
არსებაში ოდნავ მაინც განელებული-
ყო ის გაუსაძლისი ტკივილი, რომე-
ლიც მან 9 მარტის ავადმოსავონარ
ღამეს განიცადა. „მამამისმა უნებუ-
რად ფეხი ჩადგა სისხლის გუბეში და
მერე, ასევე უნებურად, სულ იატაკზე
უსვამდა ფეხს. ამაოდ ცდილობდა მო-
უშორებლის მოშორებას. მკვდარი
შვილის დანახვამ თავზარი კი დასცა,
მაგრამ ერთი პირობა მაინც გაიბრძო-
ლა, მაინც გაუძლიანდა ელდას, ვინ-
ძლო როგორმე გამოსცლოდა იმის და-
მაქცევარ სიმძიმეს, ერთბაშად არ გა-
ეჭყლეტინებინა თავი და სწორედ მა-
შინ ჩადგა ფეხი შვილის სისხლში, რა-
მაც კიდევ უფრო გაამწარა, კიდევ უფ-
რო აუზნია გონება, დაუხშო განსჯის
უნარი... აველუმს ეუბნებოდა – ეს რა
მიყავიო, – თითქოს აველუმი ადრეც
იცნობდა მის შვილს... ერთსა და იმა-
ვეს იმეორებდა სულ – ეს რა მიყავიო,
– ოღონდ, ხან უმწეო სიბრავით, ხან

ბრავიანი უმწეობით, ხან დამფრთხა-
ლი და ხან სასონარკვეთილი, საერ-
თოდ კი მოულოდნელი დარტყმისაგან
თვალგაშტერებული, ყბაჩამოვარდნი-
ლი და თითქოს ხელოვნურად დაპატა-
რავებული და დაუშნოვებული. მერე
მკვდარი შვილის გვერდით ჩამოჯდ-
კიბის საფეხურზე, იდაყვებით მუხ-
ლებს დაეყრდნო, თითებგაფარჩხული
ხელის მტევნები სახეზე აიფარა და
აზლუქუნდა: დავილუპე, დავილუპე-
თო...“.

ამ შემზარავი დღის მოლანდება
დაუძლეველ ძრწოლას ბადებს ავე-
ლუმში. მის არსებას თავისუფლებისა-
კენ სწრაფვის ჭინი და ამ სრბოლის
გზაზე ჩასაფრებული საფრთხის შიში
თანაბრად აგანგაშებს.

აველუმს, რომლისთვისაც აუტა-
ნელია ლაბირინთის გაუსაძლისი სიმყ-
რალეში ცხოვრება და მზად არის,
მსხვერპლად შეენიროს თავისუფლე-
ბის მოპოვებისათვის ბრძოლას, წამი-
თაც არ ძალუძს იმ აზრთან შეგუება,
რომ მინოტავრთან ჭიდილს, შესაძ-
ლოა, მისი შვილი (და საერთოდ –
ახალგაზრდობა, მომავალი თაობა) ემ-
სხვერპლოს. მას, ცხადია, ის მიზანი
ამოძრავებს, რომ ახალგაზრდობა და,
კერძოდ, მისი შვილი, დროთა განმავ-
ლობაში ვირთხად არ გადაიქცეს, ანუ
იმედისაგან არ განიძარცვოს, ოცნე-
ბას არ გადაეჩვიოს, არ დანებდეს გა-
რემოს ზემოქმედებას და ცხოვრების
წესად არ გაიხადოს მისგან თავსმოხ-
ვეული ჩვევები, მაგრამ სურს, რომ თავისუფლების ძიების მთელი ტვირთი
თავისი მხრებით აზიდოს, თავად გაი-
ლოს მსხვერპლი, თავად მოიპოვოს
„სულის სანთელიც, სულის პურიცა და
სულის ფრთაც“, რისთვისაც სისხლი
და ცრემლია საჭირო.

აველუმი გულდაგულ უმაღლავს
ეკაეკატერინეკატოს თავის განზრახ-



ვას, უიმისოდ აპირებს გაფრენას, სურს, უიმისოდ შეიბას ფრთები, მაგრამ ეკა, როგორც კი შეიტყობს, რომ ასეთი რამ შესაძლებელია, უმაღლვე თანამზრახველად გაუზღდება მამას და, თავადაც გაფრენის დაუოკებელი სურვილით შეპყრობილი, უსასრულოდ, დაუსვენებლივ სერავს ოცნებაში წარმოსახულ სივრცეებს.

აველუმი ყოველნაირად ცდილობს, გაანელოს შვილის მოუთმენლობა და სულსწრაფობა, რომელსაც არაფერი სცხია თავისუფლებისათვის აუცილებელი სიბრძნისა და შორსმჭვრეტელობისა. იგი ეკაეკატერინეკატოს შინაგანი თავისუფლების მოპოვებას შთააგონებს, იმგვარი თავისუფლებისას, როცა უფროთოდაც შეძლებს ფრენას, რაც მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, შიგნიდან დაინახავს საკუთარ არსებას და გააცნობიერებს კიდეც დანახულს. „განა ეს ცოტააო“, – ეუბნებოდა, ვეედრებოდა, ეჩხუბებოდა შვილს, მაგრამ მას არაფრის გაგონება არ უნდოდა, ვიდრე ფრთებს არ შეიბამდა, ვიდრე ცაში არ აფრინდებოდა და ვიდრე საკუთარ თავზე არ იწუნედა ფრენის სიამესაც და სიმძიმესაც“. მისი სურვილისათვის ფრთების შეკვეცვა წარმოუდგენელია, დედამინაზე არ არსებობს ძალა, რომელიც მის დაბრკოლებას შეძლებს, „შვილსაც დათმობს და მშობელსაც, ოღონდ ნუთით მაინც მიეცეს ცის უსასრულობის, ცის უძირობის განცდის შესაძლებლობა“.

9 აპრილს, ვილაცა რომ იღრიალებს, თავზარდაცემული, რუსთაველზე ტანკებიანო, აველუმი გიჟივით გარბის სახლიდან, რადგან იქ, ზღვა ხალხში, შვილი ეგულება. ეკაეკატერინეკატოს მამა მეტროდან ამოსვლისთანავე პოულობს. იგი „ზედ შეხტო-

მია, ზურგზე მოქცევია“ რკინის უგრძნობელ ურჩხულს (რომელიც ადგილზე ლმუის, ღრიალებს, დაკბილული მუხლუხებით ფხოქნის, გლეჯს ასფალტის საფარველს და მწარე კვამლის თეთრ ბოლქვებს ისვრის) და „გამწარებული იქნეეს თავს ზემოთ მენშევიკების გადაადგებულ დროშას“.

ეკაეკატერინეკატომ, რომელმაც „თვითნაკეთი დროშა ფრთასავით დაიქნია და ტანკს შეაფრინდა“, განიცადა „ცის უსასრულობა, ცის უძირობა“, მაგრამ უმაღლვე მიწას დაენარცხა, რადგან ხელოვნური ფრთებით შორს გაფრენა შეუძლებელი გახლდათ. ამ ნუთიერი გაქროლების შედეგი უკურნებელი სენი და ფრთებდამსხვრეულისათვის ნიშანდობლივი სულიერი დეპრესია აღმოჩნდა, აველუმს კი ყოველლამე ისევ „ორმოცდათექვსმეტის მარტში ფეთქებადი ტყვიით ბარძაყდაფშვნილი, უპატრონოდ გარდაცვლილი ბიჭი ესიზმრებოდა. ვითომ ის ბიჭი ისევ იქ იჯდა, სადარბაზოში, კიბის საფეხურზე, სისხლის გუბეში ფეხებჩანყობილი, და უაზრო სირბილით გულამოვარდნილსა და საკუთარი უმწივობით თავლაფდასხმულ აველუმს საყვედურობდა – სადა ხარ აქამდე, როდემდე გიცადოო“. გულამოვარდნილი და თვალებანრიალებული, ფსორიაზის არქიპელაგით სახეგადლაქული, იგი შემლილივით დაძრწოდა ქუჩებში, „თითქოს ყველა სადარბაზოში ვილაც კედებოდა, მის იმედზე დარჩენილი, და მას უნდა მოენახა, მას უნდა გაეფრთხილებინა ყველა მათგანის ჭირისუფალი, ვიდრე ერთიანად მოუსვამდნენ ყველას ხელს და გადაუძახებდნენ ბულდოზერით ამოთხრილ საერთო ორმოში“. ისინი, საქართველოს ღვიძლი შვილები, ფრთებდამსხვრეულნი და მიწას დანარცხებულნი, თანაბრად ტკივა აველუმს, ამიტომაც

ყველასათვის ერთნაირად მხურვალედ, ერთნაირად მონდომებული და მონადინებული ლოცულობს: „ლოცულობდა ორმოცდათექვსმეტში, შარდის სუნით აქოთებულ სადარბაზოში გარდაცვლილ ბიჭუც და ზღვის ნაპირას მონებიერე, მამის ნაყიდ ჭრელ ტრუსიკში გამოპრანჭულ გოგოზუც... ლოცულობდა უთავბოლოდ, უმისამართოდ, უნესოდ, პირველივე პირსმომდგარი სიტყვებით. ერთნაირად ლოცულობდა თბილისში, ცხრა აპრილს დარბეულ დემონსტრანტებზეც, რომლებსაც გერმანიაში სამკურნალოდ წასვლა მხოლოდ ოცნებაში თუ შეეძლოთ, და პარიზის ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსულ ტურისტებზეც ... ლოცულობდა მხურვალედ, მთელი არსებით დანთქმული ლოცვაში, ყველასა და ყველაფერს მიწყვეტილი, ყველა მიჯნას, ყველა ზღვარს გამცდარი, მტერის ნამცეცივით ჩაკარგული უსაზღვრო, უკიდევანო სივრცეებში, და მტკივნეულად, შემამოფოთებელი ნეტარებით გრძნობდა, როგორ ეუფლებოდა, როგორ იმორჩილებდა თანდათანობით მაინცდამაინც აქ, ამ ღრუბლებს ზემოთ, ამ უსაზღვრო, უკიდევანო სივრცეებში დაჩოქების სურვილი“. მერე, რაკი დარწმუნდა, რომ ამ სურვილს ვერაფრით ვერ მოთოკავდა, იქვე დაიჩოქა და ისევ „შეუჩერებლად ლოცულობდა, განუნყვეტილი იმეორებდა ერთსა და იმავეს, აღელვებული, აღზნებული დიდი სინათლისა თუ რალაც სხვა, ზებუნებრივი ძალის სიახლოვით“.

„უკვდავების ბალახისა თუ უკვდავი სულის ნაკვალევის მძებნელ, სიღრმეთა მხილველ, ვარსკვლავთა მმწყემსავი, წინამასწარა მეოცნებე“ აველუმს თბილისის ომი ასამარებს.

92-ის კვირაძალზე, როცა მანათობელი ტყვიები უწყვეტ ნაკადად მიფრინავენ ერთმანეთის შესახვედრად „ივერიიდან“ მთავრობის სასახლისაკენ და მთავრობის სასახლიდან – „ივერიისაკენ“, მთელ მის არსებას მსჭვალავს ტკივილი იმის გამო, რომ ქართველობა „ბათუმის მისადგომებთან კი არა, რუსთაველზე იხოცება“. მას არ შეუძლია, ძმათამკვლელ ომში ბარიკადების რომელიმე მხარეზე დადგეს, რადგან „ყველა ტყვიამ, აქედან იქნება ნასროლი თუ იქედან, ვიდრე მიზანს მიიღწევდეს, ჯერ მის გულში უნდა გაიაროს. „დღეს თუ ვინმე კვდება, ყველა ჩვენგანს უკვდება, დღეს ვინც ობლდება, ყველა ჩვენგანის ობოლია, ვინც არ უნდა იყოს იგი“, – ასეთია ჭეშმარიტება, რომელიც მის „მერყეობას“ უდევს საფუძვლად.

შუალამისას, რუსთაველისაკენ რომ მიეშურება, იგი, ქვეყნის ხვედრით შეძრწუნებული და გასრესილგანადგურებული, მაგრამ მოყვასის სიყვარულით ამაღლებული, იმ ზღაპრული მღვიმისაკენ მიისწრაფვის, რომელიც მის ოცნებაში არსებობს მხოლოდ და რომელშიც უდიდესი განძი – მთელი კაცობრიობისათვის საკმარისი სიყვარულის მარაგი აქვს გადამაღული.

ამ მიზანს – საოცრად ამაღლებულსა და განწმენდილს ყოველგვარი ანგარებისა და გარიგებისაგან თავისუფალს, ჯიუტად მიჰყავს იგი წინ, უფრო სწორად – მაღლა, რადგან მაღლა, ცაში იმარხება ოცნება, იმედი, სიყვარული და ცაშია მისი ოცნების, იმედის, სიყვარულის საფლავიც, იგივე საგანძური, განძისაცავი. უსასრულო გზებზე ნათრევი, წანანალები, მრავალგზის ხელმოცარული, ათას განსაცდელში გამოვლილი, ათასი ყულფიდან ჩამოსხნილი, ყველანაირი

ტყვეობიდან თავდაღწეული, იგი იმ განძის მოსაძებნად მიდის, მისდაუნებურად რომ დამარხა ოდესღაც, ალბათ, კიდევ უფრო შავი დღისათვის და, ის რომ ეგულებოდა, იმიტომაც არ ეთელვინებოდა, იმიტომაც არ ეკვლევინებოდა აქამდე ცხოვრებას.

ამ დიდი სიყვარულის სახელით აშველებს იგი ხელს წარმოდგენილი ცხედრის მტვირთაეებს, მისთვის საესებით უცხო ადამიანებს, რომლებმაც „დაუფიქრებლად, დაუყოვნებლივ მოირბინეს, როგორც კი მისი სისხლი და ხორცი მინას დაენარცხა, როგორც კი მნიფე ლეღვივით დაეტყლანა ხორკლიან ლოდებს“. იგი ერთნაირად ეკუთვნის ორივე ბანაკს, ამიტომაც ორივეზე თანაბრად შესტიკვა გული. მოკლულიცა და მკვლეელიც ერთნაირად ახლობელია მისთვის, სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი, რამეთუ „შენი სისხლი და ხორცი შენი სისხლი და ხორცი, გინდაც ერთმანეთის ნავალზე დადიოდეთ სულ და გინდაც საერთოდ არ გენახოთ ერთმანეთი“.

კანონზომიერია, რომ კვილი, რომელიც აველუმის „აფორიაქებულ, აფუტფუტებულ გონებას ბასრი ცულივით აპობს“, მის წარმოსახვაში თანაბრად უკავშირდება დასაც, ცოლსაც და საყვარელსაც. არც ის არის მოულოდნელი, რომ ყველა იმ ცოდვა-ბრალის მიზეზს, რომელიც წინ უძღოდა თბილისის ომს და რომელმაც მას მოუშადა საფუძველი, აველუმი, ვითარცა მეომარი მხარეების სისხლ-ხორცის ნაწილი და მათთან მისტიკურად დაკავშირებული, თავის თავში ხედავს. იგი უდიდეს ზნეობრივ პასუხისმგებლობას გრძნობს იმის გამო, რაც 91 წლის უკანასკნელ დღეს რუსთაველზე ხდება, ამიტომაც თავისი თავი ამ კანური ცოდვის თანამონა-

წილედ ესახება. გულისშემძვრელ სურათს ქმნის ავტორი, როცა ავტომატის კაკანს მიყურადებული, გაყინულ-გაქვავებული ცრემლის კრისტალებით თვალეზამოცებული აველუმის სულში აღძრულ ტკივილს ამზეურებს. წარსულის გადაფასებით განწმენდილი და ამაღლებული, იგი ძალით იკაფავს გზას ქალისაკენ (მეუღლის, საყვარლისათვის თუ დისაკენ), რომელიც ასევე ძალით, ბრძოლითა და, რათ მთავარი, კვილით მოიწვევს მისკენ და, როდესაც ისინი ხალხის ზღვაში შეხვდებიან, მიუხედავად სივინროვისა და „წყალქვეშა ბიძგებისა“, აველუმი მაინც დაიჩოქებს, ამუხლებზე მოეხვევა იმას (იმათ) და მლელვარებისაგან უადრესად დავიწროებულ ხორხში ძლივს გამოტყული, დამშრალი, დამახინჯებული ხმით ეტყვის, მაპატიეო. და ეს ერთადერთი სიტყვა, რომელიც ძლივს ამოღერლა და რომელიც თავისუფლად შეიძლებოდა საერთოდ ჩაკარგულიყო უთავბოლო ბზუილსა და ყაყანში, გამგებმა მაინც გაიგო, გაიგო და შეიგნო კიდევ, და ამ მოულოდნელმა, ყოვლად გაუთვალისწინებელმა ცნობამ საკუთარი სისხლისა და ხორცის სიკვდილით გამონვეული აღტყინება და სიგიფე გამაშტერებელი დაბნეულობითა და აშკარა, ნათელი უძღურებით შეუცვალა. აღარც კვიის და აღარც გვამისაკენ მიიწვევს, უბრალოდ, ცოცხალ ჭას ჩასცქერის, რომლის ფსკერზეც მისი ქმარი (საყვარელი, ძმა) თავს აფარებს და ისეთ დაღლილობასა და სიცარიელეს გრძნობს, თითქოს ძლიერი ტუმბოთი ერთბაშად ამოქაჩეს მთელი სისხლი მისი სხეულიდან“.

კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის ქართველი ქალის ტრაგედიის უკიდევანო მასშტაბებს ავტორი, როცა აველუმსა და ნ-ში დაღუპულ ბიჭს ერთ-



მანეთთან აიგივებს. სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მდგომი აველუმი მთელი არსებით გრძნობდა: თვითონ კი არ იყო თითქოს, არამედ ის ბიჭი, ორმოცდაათექვსმეტში რომ სადარბაზოში დასვა... ახლა თავად ქცეულიყო იმ ბიჭად, ფეხები სისხლის გუბეში ეწყო და ელოდებოდა, როდის მოაკითხავდა საკუთარ თავს, შეუმჩნევლად, უჩუმრად, უმტკივნეულოდ გარდაცვლილს ამ ხნის განმავლობაში.

ის ქალიც, ფეხაჩქარებით რომ მიეშურება სულთმობრძავი შვილისაკენ, ერთდროულად მისი დედაცაა და ორმოცდაათექვსმეტის მარტში ქუჩაში მოკლული უცნობი ბიჭისაც. „ამ დროს დედა გამოჩნდა. მოასფალტებულ ბილიკზე ჩქარა მოდიოდა. თვალისმომჭრელი ნათელი გადასდიოდა სახეზე. რაც მთავარია, იმანაც იცოდა, მისი შვილი მისი შვილი კი არ იყო, არამედ ორმოცდაათექვსმეტის მარტში შარდის სუნით აქოთებულ სადარბაზოში გარდაცვლილი ბიჭი. მაგრამ ესეც ისეთივე ბუნებრივ მოვლენად ითვლებოდა ახლა, როგორც სხვა ყველაფერი: მზით გაბრწყინებულ ხეებზე აფიფივებული ჩიტები, ენაგადმოგდებული, აქაქანებული ძაღლები და მოასფალტებულ ბილიკზე მომავალი დედა. აჩქარებულად მომავალი დედის დანახვაზე აველუმს გული გაუჩერდა. მიხვდა, რალაც დიადის, იდუმალის, ერთდროულად დამამშვიდებლისა და დამაფრთხობლის მაუნყებლად მოისწრაფოდა დედამისი... რომელიც, ადვილი შესაძლებელია, მართლა მისი დედა კი არ იყო, არამედ ქუჩაში მოკლული ბიჭისა“.

ქართველ ქალთან დაკავშირებული სიმბოლიკა მით უფრო თვალშისაცემი და მრავლისმთქმელია, რომ შელანიას სიკვდილის ყველა დეტალი აველუმის ცნობიერებაში სწორედ ამ

დღეს ცოცხლდება. იგი თითქოს თვალნათლივ ხედავს, როგორ ისვამს მელანია კეფაზე ხელს და – „აი, აქ, რალაცაო“, – დაბნულად, დარცხვენლად ამბობს; როგორ უკოცნის ქალს ჩაქცეული სისხლისაგან ჩალურჯებულ მკლავებს და უსინდისოდ ატყუებს, გიშველიო, მაშინ, როცა მას უკვე იმქვეყნიური სინათლე უდგას თვალეზში; როგორ უღიმის, საკუთარი უმწივობისაგან გულდაკოდილი, ყელგამშრალი, და როგორ ოხუნჯობს, უკბილოდ, მოახლოებული განსაცდელი რომ არ აგრძნობინოს; როგორ დარბის შეშლილივით აფთიაქიდან აფთიაქში, რომ საჭირო ნამალი იშოვოს; როგორ გადალაზავს ყრუ კედლის უგრძობლობას და მაინც ახერხებს ძნელად მოსაპოვებელი უცხოური აპარატის ნათხოვრობას (ნათხოვრობს, მაგრამ ფუჭად: იქ, სადაც მისი შოვნა დაავალეს, იმის იმედით, რომ, სულერთია, ვერ იშოვიდა, ამ აპარატის გამოყენება არავინ იცოდა); მერე... მერე – როგორ მიქრის სისხლის პლაზმის საშოვნელად სისხლის გადასხმის რესპუბლიკურ კლინიკაში და როგორ გებულობს იქ, რომ სისხლის პლაზმა ადგილზევე ანუ საავადმყოფოს სისხლის გამანაწილებელ პუნქტში უნდა შეიძინოს იმავე პიროვნებისაგან, ვინც მის საშოვნელად რესპუბლიკურ კლინიკაში გაავაზვნა... ამასობაში მელანია კვდება. „ბოლოს მაინც რომ გავებდე და ფრთხილად, მორიდებით შევახეხელი, ზენრიდან წამსვე გამოყოფნა გვამის სიცივემ... მაშინვე გამოყოფნა, როგორც კი შევხეხე, თითქოს მე გამომივარდა“, – ფრაგმენტულად იგონებს აველუმი.

ფიქრის ამ ნაწყვეტებში ძალზე ხელშესახებად ვლინდება დედასაქართველოს ტრაგედიის უმთავრესი მიზეზი: თბილისის ომისათვის იგი მისი-

ვე შეილები უფულობით, უგრძობლობით, უსიყვარულობით იქნა განწირული ისევე, როგორც მელანია იქცა მოყვასის გულცივიობა-უპასუხისმგებლობისა თუ უმთავრესი ჭირისუფლის უყურადღებობის მსხვერპლად... თავისი წილი ცოცხალ-ბრალის გასიგრძეგანებით შეძრწუნებულ აველუმს სწორედ ის დრო ვერ მოუწვდებია, რომელიც მხედველობიდან გამოიჩინა. უკანასკნელ რეკვიემად ჟღერენ სიკვდილის გზაზე მიმავალი მონაწილის ღრმა ტკივილით გაჟღენთილი უდიდესი მხატვრული ოსტატობით აღბეჭდილი სიტყვები: „გული ასვენია მაღალ სიჩუმეში და შენ გაგონდება შენი წარსულის მზეც და ჭუჭყიც და სიშორეზე ტირის როიალი და გული მიგაქვს ძვირფას ცხედარივით“...

წანარმოების მიხედვით, აველუმი შეფოთილი თოფის მსხვერპლი ხდება. იგი საკუთარი სისხლ-ხორცის ხელით იღუპება. იღუპება ისევე უაზროდ, როგორც უაზრო, მართლაც რომ ყოვლად უსაზნო და აბსურდული იყო ის ომი, რომელმაც, იგი იმსხვერპლა.

აველუმის უაზრო და ულოგიკო დაღუპვა არის ლოგიკური შედეგი იმ ავად სახსენებელი ომისათვის ნიშანდობლივი აბსურდული ყოფისა, როცა საქართველოში „ადამის მაძამ“ კულმინაციას მიაღწია (შემთხვევით არ გასდევს რომანს რეფრენად კიდევე ერთი პალინდრომი: „ადამ, როგორ მადა?“ – რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ „ბატონი ადამი ყოველთვის სიამოვნებით ყლაპავს ერთხელ უკვე ჩაყლაპულს“ და, რაც დრო გადის, მადა ანუ ცოდვისაკენ სწრაფვის ფინი სულ უფრო და უფრო ემატება) და პირველი აბელის მოკვლის შემდეგ განვილილ პერიოდში უსასრულოდ განმეორებულმა უაზრო მკვლევობებმა განუზომლად დიდი, შეიძლება

ითქვას, არნახული მასშტაბები შეიძინეს. ამდენად, რომანის ღრმა ქვეტექსტის შემცველ ფინალში აშკარად ნარმოჩნდება, რომ 90-იანი წლების ქართულ სინამდვილეში აველუმობას ულმობლად ეკვეცება ფრთები და საკუთარი შეილების მიერ გამეტებულ ქვეყანას აბელუმობის თვალშეუდგამი ტკივილები ატორტმანებს, „შუმერული სიტყვა“ აველუმი კი სრულიად ახალ განზომილებას იძენს და აბელუმად – ძმის ხელით მოკლულ ქართველთა ზოგად სახედ წარმოგვიდგება.

წანარმოების დედააზრს ააშკარავებს ოთარ ქილაძე აველუმ-აბელუმის სიკვდილისწინა სიტყვებით, რომლებშიც მისი შეგნებული ცხოვრების საკვანძო მომენტების: 9 მარტის, 9 აპრილისა და თბილისის ომის – შედეგებიდან გამომდინარე დასკვნაა ჩამოყალიბებული. მისი უკანასკნელი სურვილია, შეიღოს უთხრას, „თავისუფლების სურვილი სრულებითაც რომ არ ნიშნავს თავისუფლებისათვის მზადყოფნას, როგორც სქესობრივი სიმწიფე არ ნიშნავს, ოჯახის შექმნაც რომ შეგიძლია. თავისუფლების სურვილის მოკვლა ხელოვნური ფრთებითაც შეიძლება, თავისუფლების უფლება კი ძალიან პროზაულად, ძალიან არარომანტიულად მოიპოვება მხოლოდ“. ეს არის სიმართლე კაცისა, რომელიც, მას აქეთ, რაც 9 აპრილს, ოცდაცამეტწლიანი მოლოდინის შემდეგ, მხრებსა და მკლავებზე ძონძებივით დაკიდებული ფრთების ნარჩენების სიმძიმეს შეიგრძნობს, 91 წლის 31 დეკემბერს კი, უკაცურობის, უფულობის, უგრძობლობის თოვლით გადათეთრებულ გზაზე შემდგარი, დარწმუნდება, რომ ეს გრძელი და მომქანცველი გზა, ებრაელთა გზასავით, არც იქ დაწყებულა, საიდანაც მოდის და არც იქ დამთავრდება, სადაც მივა, – აკეთებს



დასკვნას, რომ „ჯერ კიდევ შორსაა ალთქმული ქვეყანა... შეიძლება იხილო, მაგრამ ვერ შეხვალ“.

შორსაა ალთქმული ქვეყანა, რადგან ამ ომში, თავისუფლების სახელით რომ მიმდინარეობს, ხალხი სერიის საყურებლად იყრის თავს, ბავშვები კი ქუჩაში ათენ-ალამებენ, რათა არაფერი გამოჩენილი და ის, „რასაც დღეს აქ შეითვისებენ, ხვალ გამოიყენონ“;

შორსაა ალთქმული ქვეყანა, რადგან ბავშვებს ალარაფერი უნდათ: არც როკის კლიპები, არც პორნოფილმები, არც კევი და არც კოკა-კოლა. კალაშნიკოვის ერთი ჩაკაკანება ყველაფერს ურჩევნიათ;

შორსაა ალთქმული ქვეყანა, რადგან მაშინ, როცა მანათობელი ტყვიები უწყვეტ ნაკადად მიფრინავენ ერთმანეთის შესახვედრად, როცა იწვის „თბილისი“, იწვის მხატვრის სახლი, პირველი სკოლა და კავშირგაბმულობის სასახლე, – ყრუდ მოგუგუნე, შემცბარ, შემკრთალ, შინაურთა მიერ შელახულ-შეგინებულ ქალაქში, რომელიც წარმოდგენილ შემზარავ ლაბირინთადაა ქცეული, მოძალადეები და ეხეტებიან, მოროდორები დაძრწიან, ბიჭები კი ასეთ დიალოგს მართავენ: „პორშე გირჩევნია თუ კალაშნიკოვი? აუ, პორშე. არა, კალაშნიკოვი. პორშე რად მინდა? კალაშნიკოვი ნალდია. იცი, რა ღირს? მე კალაშნიკოვში ყველაფერს მიცემ. აუ, მაგარია. გისვრია? სიზმარში ვისვრი ხოლმე. მთელი ღამე. მარტო მაგის გამო ვწვები ადრე...“

შორსაა ალთქმული ქვეყანა, რადგან ეს ბიჭები მართლა ყველაფერს სწადიან კალაშნიკოვისათვის: „გაუშვი ახლავე ხელი! გაუშვი-მეთქი გესვრი!“ – იყვირა ეკაეკატერინეკატომ და იმავე წამს ახალწლის ღამის მოგუგუნე სიჩუმეში დამაფრთხობლად გაჩ-

ხაკუნდა ავტომატის საკეტი. იმდენად მოულოდნელი, უფრო ზუსტად კი, იმდენად მოსალოდნელი, იმდენად ბუნებრივი იყო ეს ხმა გარემოსათვის, უნებურად აველუმოვ დაიძაბა, გაიტრუნა, გაილურსა, რალაცის, მართალია, ისევ გაურკვეველის, მაგრამ ამჯერად, უჭველად, უარესის მოლოდინში.

ეკაეკატერინეკატო ფეხზე წამომდგარიყო. ერთ-ერთი ბიჭი უკნიდან ხვევდა ყელზე ხელებს. მეორე ავტომატის წართმევას აპირებდა. გამწარებული იბრძოდნენ სამივენი: უხმოდ, დაუნდობლად. ეკაეკატერინეკატო, ეტყობა, ველარ ყვიროდა, მაგრად ჰქონდა ხელები ყელში ნაჭერილი, მაგრამ მაინც არ თმობდა ავტომატს. შიშისაგან სახეგადაშლილი, გონდახშული ბიჭებიც უშალ დაიხოცებოდნენ, ვიდრე განზრახვაზე აიღებდნენ ხელს. უცებ ავტომატი თითქოს თავისთავად შეხტა ჰაერში და ეკაეკატერინეკატოს ცხვირპირში დაეცერა. აველუმოვაც მთელი ძალით მიახეტქა კეფა დამწვარი მანქანის ბორბალს და უფრო მიხვდა, ვიდრე იგრძნო, როგორ გაუარა ტყვიამ ტვინში. ბიჭებიც იმავე წამს გაიქცნენ. მოკუზულები, წინგადახრილები გარბოდნენ, თუმცა არავინ გაჰკიდებიათ. მენიწავეს ეკაეკატერინეკატოს ავტომატი ჩაეხუტებინა მკერდში, და იმათმა წაგრძელებულმა, მოცახცახე ლანდებმა უზარმაზარი ვირთხებივით გადაირბინეს ხანძრის გამონაშუქით განათებულ კედელზე...“

აველუმის მიერ ხილული ალთქმული ქვეყანა მინიერ ჭუჭყსა და სიბინძურეზე ამალღებული სამყაროა, რომელსაც დიდი ნათელი მოსავს. „აკი დიდი სინათლეაო!“ – ნუხს უკვე სიკვდილგამჯდარი აველუმში. იმავე წამს ზღვის გაბრწყინებული ზედაპირიც

გამოჩნდება. სიბნელის ზღვა იტალღება ძირს, თუნუქისა თუ შიფერის სახურავებში მოფენილი, სახურავებზე კი შიშველი ადამიანები დგანან, მალა იყურებიან, მისკენ – და თავგამოდებულნი უყვირიან რალაცას... სიტყვა არ ისმის, ზღვისა თუ მოახლოებული სინათლის კიდევ უფრო მძლავრი გუგუნე ახშობს ალბათ... ამ დროს ოთხივე მხრიდან ენით უთქმელი სინათლე წამოვა და ერთბაშად, უთავბოლოდ გადაშლის ყველაფერს, როგორც უწმანურ სიტყვასა თუ ნახატს გადაშლის ხოლმე დაფიდან მასწავლებელი ნერვიული, ბრაზიანი სისწრაფით”.

ოთარ ჭილაძის სათქმელი რომანში მკაფიოდ, ხელშესახებადაა გამოკვეთილი. აეტორის სიტყვით, ადამიანმა უსასრულოდ, განუწყვეტილად უნდა იაროს იმ საგანძურის მოსაპოვებლად, რომელიც მისდაუნებურად დამარხა, თუნდაც კიდევ ორმოცი საუკუნე მოანდომოს ამ გზის გავლას, იმიტომ რომ ადამიანია და სხვანაირად ვერ მოიქცევა, თუ ხვალაც ადამიანად აპირებს დარჩენას. რაც მთავარია, ადამიანობის შესანარჩუნებლად სრბოლის გზაზე გამოვლენილი სიმტკიცე და სიჯიუტე ცხოვრების არსად უნდა იქცეს და არა ჩვეულებრივ საარსებო საშუალებად, ამ სიმტკიცისა და სიჯიუტის მარადიულ თანამგზავრად ქცეული ტკივილი კი, საკუთარ დამლად, ხელშეუხებლობის საბუთად, აველუმობის დროშად მიჩნეული, სულისშიერი უნდა იყოს და არა ყალბი, ხელოვნური.

სწრაფვა „ენით უთქმელი“ სინათ-

ლისაკენ, „შერთვა ზესთ მწყობრთა ნყოზისა“ კაცობრიობის უსანუკვარესი მიზანია. ეს მიუაჩრდილებელი ნათელი, გამოუთქმელი და გამოუკვლეველი, თვალმუდგამი და შეუხებელი, უწმანურ სანუთროზე ამალღებული, ისეთი მშვენიერი, ისეთი წარმტაცი და განსაცვიფრებელი, როგორიც ბედნიერამ (უფრო ადრე კი – იკარუსმა) იხილა, შორსაა, მაგრამ მაინც არსებობს. მოპოვება ამ დიდი, გამაბედნიერებელი სინათლის წყაროსი, უდიდესი განძის – მთელი კაცობრიობისათვის საკმარისი სიყვარულის მარაგისა, რომელიც ადამის მოდგამში მისდაუნებურად დამარხა, მხოლოდ მცირედთა ხვედრია, რჩეულთა, რომელთათვისაც მისი დაუფლება ცხოვრების საზრისად, სულისშიერ მოთხოვნად არის ქცეული.

მღვიმე, რომლისკენაც აველუმში მიილტვის, არის სრული ანტიპოდი იმ „უწმანური“ სამყოფელისა, რომელშიც მან მთელი თავისი ცხოვრება გაატარა. მანათობელი ტყვიების მხილველი, იგი მთელი არსებით შეიგრძნობს ბინიერებას სიცრუის, ორპირობის, გაუტანლობის, დაუზოგაობის სადგურად ქცეული სანუთრო-მღვიმისას და, კაცობრიობის სამყოფი სიყვარულის დამტკევი მღვიმის მაძიებელი, ცისაკენ აღაპყრობს ხედვას. თვალმუდგამი ნათელი, რომლითაც იგი იმოსება, ციდან იფრქვევა, რამეთუ ცაშია საბრძანისი იმ გამოუთქმელი ნათლისა, რომელიც აველუმის მიერ წარმოსახული ზღაპრული მღვიმის არქტიპულ ქვაბში (-მღვიმეში) ორი ათასი წლის წინათ იშვა.



პოეზია — „ბანჯვის ხელოვნება“

ბესიკ ხარანაული იმთავითვე სიახლის მაძიებლად გამოჩნდა ქართულ პოეზიაში. "თებერვალი. ივრის ჭაღები" (1965) იყო ზუსტი (რამდენადაც შეეფერება ეს გამოთქმა პოეზიას) და მშვენიერი პრელუდია პოეტის მთელი შემოქმედებისა — გარეგნული და სულიერი ავტოპორტრეტით, სამყაროს ხედვის სიციხადით, რომელმაც პოეზიად უნდა აქციოს ყველაზე ყოფითი და პროზაული. აქ უკვე იგრძნობა, რომ მას შეუძლია ამ ენაზე ცხოვრებისეული სიმძიმითაც დაგვტვირთოს და შიგადაშიგ, შვებისათვის, მოულოდნელი ფრაზები შემოგვთავაზოს, თუნდაც ასეთი: "ანათებს მთავარ საქართველოს ლურჯ მდინარეებს"... ბესიკ ხარანაულს ახასიათებს ლირიკული "გადახვევა", რომელიც განსაკუთრებულ ეფექტს ქმნის ტექსტში.

კრიტიკა არცთუ ისე მშვიდად შეხვდა პოეტის მკვეთრად გამოხატულ მაძიებლურ განწყობას, მაგრამ მალე იგი ქართული ლექსის რეფორმატორად იქნა აღიარებული, როგორც ვერლიბრისა და თავისუფალი ლექსის ოსტატი. რაც შეეხება პირველობას და ფუძემდებლობას, ამასთან დაკავშირებით თავად ბესიკ ხარანაულს მოეუსმინოთ: "გალაკტიონს გენიალური ვერლიბრი აქვს. ეს პირველობა, ფუძემდებლობა და ბალავრის ჩაყრა და-

ლიან საძაგელი სიტყვებია. ფორმა კი არაა მთავარი, მთავარია — იარაღად ვინ იხმარს. შეიძლება საუკეთესო თოფი გქონდეს და მშვილდ-ისრით გაჯობონ..." (რ. გეთიშვილი, "რატომ უმღერა ბესიკ ხარანაულმა საქართველოს იავნანა", გაზ. "ვერსია", 2002, №56). აი, უმთავრესი ნიშანიც ბესიკ ხარანაულის პოეზიისა — ვერლიბრი მისი პოეტური იარაღია, ხელმარჯვედ მოქმედი. პოეტური მეტყველებით იგი შემოქმედებითად დაუახლოვდა ყოფით, სასაუბრო ენას. ამის ნარმატიული ცდები და შედეგებიც თვალსაჩინოა ნინო თაობის რამდენიმე პოეტის მაგალითზე. მაგრამ ბესიკ ხარანაულისთვის ეს სტილი იქცა მთავარ "იარაღად". "ჩემს პოეტურ იარაღად იქცა ის, რაც დედაჩემისთვის ჩვეულებრივი, ყოველდღიური ენა იყო. მეც, რასაკვირველია, რალაცეები მივეშაბე... რითმის მნიშვნელობას კი არ ვაკნინებ, ვგრძნობ, რომ რითმა ძიებას უკავშირდება, ძიებას ნიშნავს და ამ ძიებით დაწყებულ შემოქმედებას საოცარ შედეგამდეც მივყავართ, მაგრამ მე მაინც რალაც სხვას ვეძებდი, მით უმეტეს, უკვე დამხვდა გალაკტიონი, რომელიც თითქოს მაფრთხილებდა — "ასე წერა უკვე აღარ შეიძლება" (ბ. ხარანაული, "სანამ ცოცხალია ენა", გალაკტიონოლოგია, 2002, გვ. 130).

ბესიკ ხარანაულმა ჩვეულებრივი, ყოფითი სამეტყველო ენის პოეზიად ქცევას მიაღწია ამ სიტყვებით გამოხატული ძლიერი პოეტური შეგრძნებებით და სენტენციებით; ეს ერთგვარი გამოცდილება თუ ემპირიზმი, არის ძალიან მდიდარი ნოვაციით აღსავსე და, ამასთან, მნიშვნელოვანწილად ნაივური, ძალზე ბუნებრივი და ეფექტური. მის ვერლიბრს არ ახასიათებს რიტმის სტრუქტურა (განსხვავებით ლია სტურუასგან), მაგრამ რიტმული წყობის ჩანაცვლება აზრობრივი ნაკადის უწყვეტობით სრულდება.

თავისუფლება ბესიკ ხარანაულის ვერლიბრში არ არის თავანწყვეტილი და წრეგადასული – საგანგებო, ხელოვნური ეფექტებით ნიშანდებული. იგი იმ წრეში ტრიალებს, რომელიც მუდმივ კავშირშია სათავეებთან, ფესვებთან, რეალურ თუ ვირტუალურ ნიადაგთან, საიდანაც მოედინება ადამიანის ხორციელი თუ სულიერი გზნება, ცხოვრებისეული ძირმწარე...

მიუხედავად იმისა, რომ ბესიკ ხარანაულის პოეზია უწყვეტობის, ერთი მთლიანი არსობის განცდას ქმნის, თემატურად ის მრავალფეროვანია – დედის სუნთქვის შეგრძნებიდან დაწყებული იმპერსონური ყოფის გააზრებაში – ზოგადი და კონკრეტული, სუბიექტური და სასხვისო, ძალზე სერიოზულიც და ირონიით გაიოლებულიც.

სულიერი პორტრეტი პოეტისა ასეთია: ტკივილების დინჯად გამომხატველი, თმენით ამტანი იმისა, რასაც თან ცხოვრება პქვია და თანაც კოჭი რომ უნდა უგორო ("სურათები მანანნალა ძაღლის გზაზე"), უღიმილო ირონიით მადლობის გამომხატველი ბედისაღმში, რომელიც განუწყვეტლივ ჩხვლელდა, არ აძლევდა საშუალებას, რომ "გადაება მხიარულება და

დაეინწყოდა ისინი, "ვისაც ცხოვრების ძნელ გზაზე გაჭირვებით მიაქვს ფეხები" ("ეპიზოდი")... ხილული სამყაროდან ხან წარმოსახვითი იყო "გადაცხოვრებული", ხან – "მთვარეც და ყველა ვარსკვლავი, სახლები, ხეები, ნათურები", – ყველანი ერთად იყვნენ "ისე მშვიდად, ისე ტკბილად", რომ აფიქრებიანბდა: "ამ ღამით ყველა მანანნალა ძაღლს თავი მთვარის ბალიშზე უდევს". გარეგნულად, მართლაც, საოცარი ნათელისა და ჰარმონიულობის ამ მეტაფორაში, ერთბაშად შეუმჩნეველი, მაგრამ არც ისე უცხო ადამიანური სევდა და ტკივილი იკითხება, რადგან ის ღამაში გამოგონებაა, სასურველი და მიუღწეველი.

კიდევ ერთხელ:

– ამ ღამით ყველა მანანნალა ძაღლს თავი მთვარის ბალიშზე უდევს...

აგტოპორტრეტები – გარეგნული იერსახისათვის: "ბელურას დავემსგავსე, ერთი მარცვლისთვის ზიდან ათჯერ რომ ჩამოფრინდება", ან: "ღამეა, ვიცინი და უკბილო პირს ვარსკვლავებით ვივსებ"...

პოეზია მისთვის "გულის მარაოა, რომლითაც ცეცხლს ვინელებთ და დარდებს გადავიყრით..." იგი დახუთული სულისთვის ნიავის შრიალია, მაგრამ... და სწორედ აქ ითქმის უმთავრესი – "მაგრამ ცეცხლს რამე გაგვინელებს, როცა ზურგს უკან ცხელი სუნთქვა გვესმის ცხოვრების?" "ცხოვრების ცხელ სუნთქვას" ანუ ყოფიერების მკაცრ რეალობას უტრიალებს პოეტის ფიქრი, "შხამს აგროვებს ცხოვრების დერეფნებში". სინტაგმა "შხამს აგროვებს" კიდევ უფრო კონკრეტულს და საგნობრივს ხდის პოეტის სათქმელს. თავისთავად ჩნდება ფიქრები – "მატერიკებზე, ყოფნა-



არყოფნაზე, სიკვდილ-სიცოცხლეზე, სამყაროზე, ღმერთზე, შეცოდებაზე..." ("შეუგუებელი"). ცხოვრება მისთვის ძიებაა "წყნარი ადგილის, სახელმწიფოების, როგორც ღიობის სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის"...

**და იმღერე სიმღერა
რომელსაც არ ექნება არც სიტყვები,
არც მელოდია.
(„შეურიგებელი“)**

ასეთია ბესიკ ხარანაულის სტილი – სიმღერა მელოდიის გარეშე, "სიმღერა, რომელსაც არ გააჩნია სიტყვები და მეტაფორები, სიმღერა, რომლის მელოდიაც ნაბიჯების ხმა არის მხოლოდ"... ამ ნაბიჯების ხმა ისმის მის ლირიკაში, ხმა – მომხდარსა და არმომხდარს შორის, ხმა წყენასა და სიხარულს შორის. პოეტის ორიგინალური ხელწერა განსაკუთრებული გამოხატვით გამოვლინდა პოემაში "კარტოფილის ამოღება". ეს თითქოს ადამიანის ბიოგრაფიის ერთი ჩვეულებრივი ფურცელია, ჩვეულებრივი სასაუბრო თხრობით, ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო კადრებით, მაგრამ, ყოველ ჩვეულებრივში ჩაფხმკრთალებულს და ბანალურს, სიტყვიერი ხელოვნების დონეზე ამოსწევს პოეტი და შედეგად – იმაში ვრწმუნდებით, "ამ წუთებში მთელმა სამყარომ ჩვენი ეზოს ჭიშკარი შემოაღო", რომ გვიმტკიცებს... რომ არაფერზე ლაპარაკი არ არის იოლი, "არც ცხოვრებაზე, არც პურზე და არც კარტოფილზე. ყველაფერი ძალზე რთულია". ცხოვრების პროზის პოეზიაა მთელი პოემა. შიგადაშიგ გაივლებს თითქოს სიტუაციიდან ამოვარდნილი განწყობის გამოხატველი ფრაზები, ცალკეული შტრიხები: "მე ვფიქრობდი ჩვენი ვაშლის ხეებზე", ან: "ჯერ კიდევ ჰკიდა

ყუნზე ფოთოლი, მაგრამ ქარი უკვე გზაშია"...

ბესიკ ხარანაულის ლირიკაში განსხვავებული, არაორდინალურია სატრფიალო განწყობის გამოხატვა. პატარა, უსათაურო ლექსი სიყვარულზე სიტყვის თამაშია, მაგრამ – არა გრძნობის:

**ამ ღამით მე შენთან ვიყავი,
მაგრამ შენ არ დამხვდი სახლში...
და არც შენი სახლი იყო სადმე
ქალაქში...
და ის ქალაქიც
არსად იყო დედამინაზე.**

სიყვარულის გამოხატვაშიც მისი სიტყვა შორსაა პათეტიკისაგან, დაწყებული ამ სტილის ტექსტებით, დამთავრებული საუკუნის ბოლოს, თქვესმეტარცვლიანი რუსთველური შიორით დაწერილი ლექსით "ტარიელსა აეუტირდი"...

ბესიკ ხარანაული თავისი ცნობილი პოემის "ხეიბარი თოჯინას" (სამოციანი წლები) მოტივებს ახლებურად ამუშავებს და აღრმავებს მომდევნო ათწლეულის ლექსებში. ადრინდელთან შედარებით შეცვლილია უფლისადმი დამოკიდებულების ნიუანსები. "ხეიბარ თოჯინაში" უფალი წუხს, რომ ადამიანები თავიანთ თავს ველარ ყაბულდებიან, "მათ მალლა უნდათ, ჩემთან უნდათ, მე კი თვით მინდა, რომ იმათი მეხარბუბოდეს"... ეს სურვილია, მაგრამ ღმერთი, ისევე და ისევე კაცთა მოდგმის ცოდვათა თუ მიზეზთა სხვათა გამო, ხშირად ტოვებს ადამიანს, არ არის მასთან. 70-იანი წლების ლექსში "განდევნილობა" პოეტი საკმაოდ ამბობხებულია უფლის წინაშე თავისი ადამიანური გულისტკივილით:

**რას გვავალებ, რას გვარონინებ
ქარავანის აქლემივით!**

**ღმერთო, ნუთუ ვერასოდეს
გნახოს ადამიანმა?!**

უფლისაგან მიტოვებული ადამიანის განწირული სულის წრიალი ისმის ლექსში "სირცხვილის შემდეგ". შვედნება იმისა, რომ დრო სპობს ყველაფერს, სწრაფად გადის "და ცხოვრებამაც წარუშლელი გრძნობების ხეივნები ჩაიარა", კიდევ უფრო ამძაფრებს ტკივილს. ასეთ ვითარებაში ადამიანი ემსგავსება მაცხოვარს, რომელმაც გაუსაძლისი ტკივილების უამს უფალს შეჰლაღადა: "ღმერთო ჩემო, რატომ მიმატოვე მე?.." ამას მოგვაგონებს ბესიკ ხარანაულის ლირიკული გმირი, ადამიანი, ვინც "ეკალასხმულ ბალიშზე თავს ვერ იჩერებს, ვინც უსასოოა და ცხოვრების ორპირ ქარში შრება თიხის ქანდაკივით. იგი მაცხოვარით შესჩივის ღვთისმშობელს:

**რატომ დამივიწყე მე, მარიამ,
რატომ დამივიწყე?!**

იგი მუდამ ფიქრის წრეშია მოქცეული, სადაც ერთის დაეინყება მეორის გახსენებას ნიშნავს და ა.შ. "მე იმას ვფიქრობ, რომ ბევრ რაიმეზე არ დაეფიქრებულვარ" ... ("წრეში"). ეს ფიქრები ჩვეულებრივი, ნაცნობი, მაგრამ ხშირად დაეინყებულა, რადგან ადამიანს "წერილმა პრობლემებმა დაუჭამეს დიდი ზრახვები" და დაავიწყდა თბილ ლოგინში ჩათბუნებულს, რომ სადაც, ცივი მთის კორტოხზე, "შუაგულ ტყეში რამდენ ობოლს დაუყრია თავისი ძვლები" ... ანდა, პალსტუხს რომ ისკენი ხოლმე დილდობობით, სახრობელას თოკი არ გიჭერს?..". ეს გულგრილთა და გულცივთა საყურადღებოდ ნათქვამია, თანაგრძნობისა და თანაღმობისაა მისი პოეტური სიტყვა მოყვასისადმი ("მეზობელი", "მოხუცი ცირკში", "იმ ქვეყანაში" და სხვ.).

პოეტი ჩვეულებრივი ადამიანია. ასე თვლის ბესიკ ხარანაულიც. "არც ერთი ყლუპით, არც ერთი გროპით, არც ერთი ღვრით, არც ღონითა და არცა ჭკუით – ერთი ცრემლით მეტი ვართქვენზე" ("პოეტი"). "ერთი ცრემლის ძალა დიდია არსითაც და გამომსახველობის ფორმითაც. ის ნამდვილია, უტყუარი ცრემლია, სანდო და გადამდები... ამასთან – ამ ცრემლით კიდევ ერთი ფსიქოლოგიური შტრიხი ემატება ბესიკ ხარანაულის პორტრეტულ "სახეს – ყვითელ ფოთოლზე დახატულს" ...

ბოლო წლების ლექსებში ეს მოჩვენებითი სიმშვიდე საგრძნობლად დაირღვა, რადგან ახლა "ყველაზე დიდი მალაღფარდოვნება დუმილი არის" ("ნიგნი ამბა ბესარიონისა"). ძველი მეტაფორები, გზას რომ იგნებდნენ სურნელების კლიტედადებულ ვარდის გულშიაც, ცხოვრებაში ჩაკოჭლდნენ... თითქოს "მრავალი წლის ცხოვრებისა და ფიქრის შემდეგ აღმოაჩინა, რომ ცხოვრება და ფიქრი ერთად ისეთივე უადგილო შეთანხმებაა, როგორც ცალ-ცალკე ფეხსაცმელი, ისეთივე ბავშვური თამაში, როგორც ერთმანეთს ნაჩხუბებული შენივ ხელები და ისევე შეუძლებელი, როგორც უკან შემოქცევა ღრმა უფსკრულზე გადახტომისას". ავტობიოგრაფიკულად გამოხატა, გაშემაზარადა. "სიხარული" ჰქვია ადრინდელ ლექსს, სადაც პოეტი იმ ნუთიერ აღმაფრენას გამოხატავს, რომელიც ერთხელ მაინც მოგადგება ან მოგადგა, თუნდაც – როცა "უბრალოდ მზე მოდგომოდა ღია ფანჯარას – მზე განაფხულის" ... ამ დროს სიხარულს შეუძლია, ხელი ჩაგკიდოს და ქვეყნიერება მოგატაროს:

**როცა გემღერება,
იმღერე ხოლმე,**

რა ყურადღებას აქცევ,
 თუ რამ წამოაფრინა
 ეს სიხარული.

ახალ ტექსტებში ეს აღმაფრენა და სიხარული გაპარტახებულია წლები-საგან, თითქოს იმას გვეუბნება, არ გაგიკვირდეთო, რომ: "ისევ ცოცხალი ვარ, ისევ ძალლი, ისევ ეშმაკი, ისევ ფხიზელი, სიმთვრალიდან ამოთრეული" (აღბათ, იმ სიმთვრალიდან, ოდესღაც სიხარულებად რომ მოვარდებოდა). სიფხიზლე, ანუ სინამდვილის გაცნობიერება სულს უფორიაქებს, ქანცი უწყდება:

მე დავიღალე
 დიდი ხანია,
 მე დავიღალე,
 ქრიან ქარები,
 მაგრამ არავის
 არ ვუყვარვარ,
 მაგრამ არავის არ ვებრალები.

ქარი ამ შემთხვევაში და, საერთოდ, ბესიკ ხარანაულისათვის სულიერად ნათესაური სტიქიაა, რომელიც თითქოს აღმა-დაღმა დაატარებს და მიმართულებას აძლევს მას სავალ გზაზე.

ბესიკ ხარანაულის ბოლო წლების ლექსები, თავმოყრილი 2002 წელს გამოცემულ კრებულში, ყოფიერების მკაცრი განჩინებაა თავისი არახალი, მარადიული პრობლემებით, დამძიმებული თანამედროვეობის გაუსაძლისი კონტექსტებით, სადაც ყველაფერი მნიშვნელოვანია, განმსაზღვრელია, ასაკიც კი, რადგან ცხოვრება ჭაპანია ("სანუთროი ესე გზაი არს და კეთილიცა და ბოროტიცა მას შინა განვალს", იოანე ოქროპირი). ნამუსრევივით ყრია ყველაფერი ამ გრძელ გზაზე: გაციებული გულები, დაბზარული,

დამსხვრეული, დანაცრებული, ერთ დროს იმედით მოციაგე ფიქრები. ცხოვრების კადრებს სცილდებიან ძვირფასი სახეები – დედა, მამა... საგნები იცვლიან მნიშვნელობას, შინაარსს. ოდესღაც შენი სახლი ახლა სხვისია და თავისუფალი ხარ ყველაფრისაგან, მაგრამ ეს თავისუფლებაა თუ "თავისუფლება" – ცხოვრების შურისძიება. ასეთია მისი წესი: წვეთ-წვეთობით მიაქვს უკანასკნელი, ხელიდან გაცლის. მარტო შენიც არ გაკმარა, მეზობელიც გააგიფა, "ცხოველს დაემსგავსა" დიდი მწუხარებისაგან. ღმუის, რადგან მის ტკივილს სხვა საშველი აღარა აქვს ("ჩემი მეზობელი დარდისაგან ცხოველი გახდა")... ერთადერთი – შენი ამონათქვამი გიხსნის. ამითაა ბედნიერი პოეტი. რაც არ უნდა "უქონ-უყოლელი" იყოს, რაც არ უნდა "ჯავრი სჭირდეს", სხვაზე "ერთი ცრემლით მეტი აქვს", გაძლების ნიჭიც.

ბოლო ათწლეული – გარდასული საუკუნის მიწურული. ქართულ პოეზიაში ტკივილმა იმძლავრა. პოეზია არც არასდროს ყოფილა მხოლოდ ტკბობის, მაგრამ ამ კონკრეტული დროის ყოფითმა მოვლენებმა უფრო მკვეთრი სპექტრით წარმოსახეს ყამის უბადობით დაფერილი შუქ-ჩრდილები. რაც არ უნდა ზემატერიალურ სამყაროს სჭვრეტდეს პოეტი, "დროის, ეპოქის" ფაქტორს ვერ გაექცევა. მინა თავისას მოითხოვს, სანამ სული ხორცს არ გაყრია. იგი უნებურად დროის აღმსარებელი ხდება, მით უმეტეს – შეჭირვებულ დროში. ასეთი შინაგანი მდგომარეობის ანალოგიით არის უთუოდ ნათქვამი: "უკვე კარგა ხანია, რაც უარი ვთქვი ესთეტიკურ პატივმოყვარეობაზე და ნაწარმოებს კი არ ვწერ, არამედ აღსარებას. ასე

დასახრჩობად განწირული ანდა მონამღვრული აღარ ზრუნავს დავარცხნილ თმაზე ან ხმის მოდულაციებზე – იგი ყვირის" (პ. პესე)... ვერ ვიტყვით იმას, რომ ბესიკ ხარანაული საერთოდ არ ზრუნავდა "ესთეტიკურ პატივ-მოყვარეობაზე", მაგრამ მის ტექსტებში მთავარი მაინც შემოქმედებითი იმპულსებია, პოეტური გენეტიკით კოდირებული. აქ უმთავრესი და გაცნობიერებული ის ჩვეულებრივად ნათქვამი არაჩვეულებრივია, რომელიც მტანჯველ ტვირთად აწევს რიგით მოკვდავსაც და პოეტსაც. ამის გრძნობა ხდის მკითხველს პოეტის თანამოაზრედ და თანამოზიარედ.

1992-2002 წლები – ბესიკ ხარანაულის ბოლო კრებული უფრო ზუსტი თარიღია... ქართველი ხალხის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული, შფოთიანი, ყოვლისმომცველი ათწლეული – მწუხარების, დამარცხების, უსასობის.

ბესიკ ხარანაულისგან ქართველი მკითხველი უთუოდ მოელოდა ამ თემაზე შექმნილ პოეტურ ტექსტებს და შეიქმნა კიდევ მისი ერთგვარი ციკლი საქართველოზე, რომლისთვისაც, სამწუხაროდ, პოეტს აღარ მოეძებნება სხვა სიტყვა, გარდა ძილისმომგვრელი მოფერებისა, ანუ – "ნანა, საქართველოს მინავ". სიკვდილს, წაშლას, იავარქმნას, იქნებ, ძილი სჯობდეს (და არა ძილქუში), რომ ძილმა შთანთქმას ცხადის სიავე და შემდეგ ყველაფერი დაიწყოს თავიდან, რამდენადაც ეს შესაძლებელია იმ უმწარესი გაკვეთილების შემდეგ, რაც დრომ, ბედისწერამ თუ ისტორიის მეკობრეებმა ჩაუტარეს ქვეყანას.

ნანა, საქართველოს მინავ!
საქართველოს მთავ და ველო,
დაიძინე, დაღლილი ხარ,

ტანჯული ხარ, საყვარელო...
გაძრცვილი ხარ, გაცლილი ხარ,
ზვარში თითქო ქარებს ევლო.
დაიძინე, დაღლილი ხარ,
ტანჯული ხარ, საყვარელო...
სიზმარი თუ ტკბილი ნახე,
სცადე, რომე გაიგრძელო...

რატომ ურჩევს სამშობლოს ძილს პოეტი? იქნებ, ალუზია ილიას ცნობილ ფრაზასთან – "ოპ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი"... იქნებ, იმიტომ, რომ სამშობლოს ამჟამინდელი ცხადის შემოქმედნი ჩვენა ვართ, შეცდომილები "და განცხრომა გვირჩვენია, გან თუ ბრძოლა სასახელო". თავადაც დამნაშავედ მიიჩნევს საკუთარ პერსონას პოეტი. არა – "შენ", არა – "ის", არამედ – "ჩვენ" – ყველანი ერთად, პასუხისმგებელი ყველაფერზე, იმ ტკივილისმომგვრელ რეალობაზე, რაც თანამედროვე საქართველოს სურათს ქმნის:

ქარი დაგქრის, ქარი გზოკავს,
ფერი გადაცლია მდელის,
მახვილს, შენზე გადმოქნეულს
შენიე შეილის ხელი ევლო,
ძილში მაინც დაისვენე,
ნულა ბორგავ, სანატრელო...

სანამდე? – იკითხავს მკითხველი და ამის გათვალისწინებით იძლევა პასუხს პოეტი, რომლის აზრითაც და, ქემშარიტადაც, "ჯერ სვავეები არ გამძღარან, ჯერაც ისეე მგელი მგელობს, ჯერეთ ძილი გირჩვენია, დაიძინე, საქართველო!" და ბოლოს – ჩინებული ინტერტექსტუალური გახმოვანება სტრიქონებისა, ქართველი კაცის ახალ ტკივილს მისადაგებული:

ქართლ-კახეთო, იმერეთო,
გურიაე და სამეგრელო,
ნულარც ხმალი გვლანდება,

ნულარც ჩანგი ხარუსთველო,
დაიძინე, დალილი ხარ,
ტანჯული ხარ, საქართველო.

ამასთან დაკავშირებით პოეტის კომენტარიც გავიხსენოთ: "უნდა დაიძინო, რომ იქნებ გაიღვიძო და რაღაცა გეშველოს. არ გინატრია, ნეტავ დამაძინა და აქა და აქ მოვხედო? ჩვეულღებრივი ამბავია, საღათას ძილისკენ რომ მოვუნოდებდე ხალხს, ასე არაა. დაიძინე, რომ გაიღვიძო და დამთავრდეს ეს უბედურება. ამ დაღლილობას სხვა არაფერი შველის"... რა თქმა უნდა, ეს დაღბენილი კაცის ნატურა არაა. გალაკტიონსაც უნატრია 30-იანი წლების ქართველებით დამძიმებულ საქართველოში – "ნეტავ ამ ნავეში დამაძინა და გამომალვიძა ასი წლის გარე"...

... "რაღაც დამემართა და ვწერე და ვწერე ამ საქართველოზე, – წერს ბესიკ ხარანაული. შეიძლება, მეცხრამეტე საუკუნის პოეტებში რომ გადავსახლდი, იმიტომ. არცერთი სტრიქონი არაა, იმის უკან ვინმე რომ არ იდგეს. ვწერე და ვწერე, ამოვთქვი ჩემი ბალღამი და კიდევაც დამეზურა გული. ველარ გავალღებ".

სიზმარეული თუ ცხადი, ჩავლილი ისტორია და რეალობა, ერთ ნატვრად იქცევა, რომელსაც საქართველოს გამთლიანება ჰქვია: "ღმერთო, ამას გთხოვ, საქართველო ხო გამთლიანდა?" ლექსის პირველ სტრიქონებში უფლისადმი მიმართული ეჭვიანი კითხვები ფინალში თხოვნა-ვედრებაში გადაიზრდება.

შევადართ:

ღმერთო, ამას გთხოვ,
საქართველო ხო გამთლიანდა?
მკვდარი ვიყავი,
გალვიძება დამავიანდა,
ანდა სხვა რამე

ნაკლთა გამო ადამიანთა –
ღმერთო, ამას გთხოვ,
საქართველო ხო გამთლიანდა?

და ბოლოს:

გააძლე ჩემი საქართველო
არა პურითა,
არა ლენითა,
არა წყლითა,
– სიყვარულითა.

ყველაფერს, რაც იყო, რაც მოხდა, თავის სახელს არქმევს პოეტი, უსიამოვნოს, მაგრამ ისეთს, როგორც ხედავს:

ყველა მხრის ქარი
თავზე რისხვად
ხო დასტრიალდა,
რაც ცოდვა ჰქონდა,
დროშად ყველა ხო აფრიალდა,
ხო განიბანა სისხლით,
ტანჯვით გამადლიანდა,
ხო გაიფანტა,
სინმინდენი დანავიანდა.

აქ ქარაგმული და იდუმალი არაფერია, ყველაფერი პირდაპირაა გამოფენილი. დამხმარე სიტყვა "ხო" ლექსის მთელ სივრცეში არ კარგავს თავის ფუნქციას, გააძლიეროს ემოციის სიმძაფრე. საგანგებოდ გახალხურებული, მადლიანი, ყველასთვის გასაგები, ყველას გულის კარის შემღებნი. იგი დიდ აუდიტორიაზე გათვლილი, შეფარული მოწოდებით, თხოვნით, მუდარით, ეჭვით. გრამატიკულად უფუნქციო ბგერაც – "ს", ზმნაში "დასტრიალდა", ამ მიზანს ემსახურება, უფრო გრძნობადს ხდის ქარის თუ ბედის ბორბალის რისხვით ტრიალს საქართველოს თავზე. "ს" ფონემის გაქლერება თითქოს სიტყვის, აზრის ლერძს ქმნის და ეხმარება განცდის აქცენტურებაში.

ღმერთისადმი ამ მიმართვაში, და

არა მხოლოდ ამ ლექსში, არამედ სხვაგანაც, ფარული საყვედურის თუ ეჭვის ინტონაციებიც იკითხება. მხოლოდ უფლის და სიყვარულის ძალას შეუძლია, გააქარწყლოს ეს ეჭვი. მაგრამ სიყვარული, როგორც უკეთურობაზე და სიძულვილზე ამალღებული ალტერნატივა, ადვილად იკარგება ბოროტებაში. ბოროტება უფრო ადაპტირებულია გარემომცველ სამყაროსთან, გამძლეა, რადგან ის გადაგვარებული, გაავებული გრძნობაა. სიყვარულის და სიძულვილის თანაარსებობა მარადიულია, მაგრამ არის უამი სიყვარულის ზეობისა და უამი ბოროტების მძღაერობისა. დროის ასეთ მოდუსში დაისმის გროტესკული კითხვა – "რა, ბესიკია, ქვეყანაზე მარტო ბოროტი?" ფასეულობათა სისტემის წგრევამ გამოიწვია პოეტის ცნების მნიშვნელობათა ისეთი რადიკალური ცვლილება, რომ ბესიკის, როგორც პოეტის, ესთეტიკის, სიკეთისა და მშვენიერების შემოქმედის სიმბოლო საპირისპირო მნიშვნელობაში გადაიზრდება. ეს ვითარება ცნაურდება მომდევნო არანაკლებ რადიკალური ფრაზით: "ნეტამცა, ღმერთო! მე დაერჩები მარტო – ბოლომდის!"... მაგრამ მხოლოდ დროებით. "გაბოროტებულ" ბესიკს თითქოს ავიწყდება თავისი ახალი როლი:

არავის გვერდით არ ვიქნები, ვიქნები
მარტო,
იმას ვიპოვნი, ჩემზე მეტად მარტო
ვინც არის,
ის შეეოლება საესავი და საფიცარი,
ვინც ჩემზე უფრო დაჭრილია,
მოტყუებული
და ვისაც ჩემებრ აღარაეინ აღარ
გვალვის...

პოეტია ბოროტების მტვირთველი და ისიც ცოდვების გამომსყიდველის

პროფილში ტრიალდება. თავადვე უნდა იტვირთოს ბოროტების სასჯელი, თავად უნდა აღიმართოს "მამა-პაპის სისხლით და ძელებით", დარჩეს მარტო, თავისი ნვიმით, ქარით, ნვითა და დაგვით, თუმცა:

ერთი კი არა, ყველა არის
პირუმტკიცები,
გულმაეინყები, უკითხავნი და
უვიცები.
ძმის სისხლთა მდომნი, მტრის
სისხლისა მოზიზღარები,
ძმის კარის მრღვენი, მტრის კარისა
მიუკარები,
არც მინისანი, არც ცისანი –
არაფრისანი,
თავის მიმყოლნი, თავის მდომნი,
თავის მისანნი.

ეს ერის რეალობის სახე, შემოქმედი ადამიანისთვის სულიერი ტანჯვის მიზეზი, რაც აიძულებს მას მარტობას – "არავინ მინდა, შევიხორცებ მარტო იარებს"... ეგონოთ, რომ "კარგია ყველა, ბესიკია მარტო ბოროტი".

საკუთარი სახელის ხსენება ხშირია ბესიკ ხარანაულის ლექსებში ("ღმერთს მე, აქ, ცოდვილი ვესაჭიროები", "ტარიელსა ავუტირდი", "ნიგნი ამბა ბესარიონისა" და სხვ.). (მკვდარი ბესიკი დამიტირეთ, დამფალთ სამარეს" – უბდებოდა ბესიკ გაბაშვილს თავის ხსენება... ბოლო წლების ქართულ პოეზიაში არც ისე იშვიათია სევედიანთა და უსევედოთა ნოსტალგია სევედის ბალის პოეტზე).

არა ალეგორიული, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით, გაზაფხულის გრძნობითაა შექმნილი ლექსი "გაზაფხულდა, საქართველო!" სილამაზით და ბუნების ნყალობით თავს უსაფუძვლოდ როდი იწონებს ქართველი კაცი. წლის ეს უმშვენიერესი დრო – გაზაფხული, საქართველოს გაზაფხუ-

ლი, ზამთრის სუსხით, ზამთრის ყინ-
ვით, ზამთრის ქარით ხელყოფილ
სულს სიხარულის ელდით ეცემა, თვა-
ლიც ტკბება, სმენაც ტკბება, "მოთმი-
ნება ამაღ ღირდაო", – ათქმევინებს
პოეტს. რის მოთმინებაზეა მინიშნება?
თუმცა, რალა მინიშნება, დანარჩენს
მოვეუსმინოთ, ხელისგულზეა მიზეზი:

**ზოგმა გელა და ზოგმა გაძარცვა,
ზოგმა გსვა და
ზოგმა გლლიტა,
მაგრამ ღმერთმა არ გაგწირა
და სატანჯველს გამოგრიდა...
ღირდა მოთმინება ამაღ,
მოთმინება ამაღ ღირდა.**

ნაზამთრალი – პირდაპირი და არა-
პირდაპირი მნიშვნელობით, ქარ-ყინ-
ვა გამოვლილი ადამიანის გულწრფე-
ლი სიხარულია პოეტის სიხარული, გა-
დამდები, თანამოზიარებობას რომ გა-
ნატრებინებს. იმდენი კარგი ლექსი
დანერვილა გაზაფხულზე, ბუნების სი-
ლამაზეზე, სახიფათოც კია პოეტისთ-
ვის, ბანალურობის შიშით, ეს თემა;
მაგრამ ბესიკ ხარანაულის ამ ლექსში,
და საერთოდ მის პოეზიაში, ბუნება
სასწაულობს. ერთ კონკრეტულ ნი-
მუშზე რომ ვსაუბრობთ, სინქრონიუ-
ლად გაილეკებენ განვლილი გაზაფ-
ხულები, პოეტს რომ ათქმევინებს –
"იყო გაზაფხული?" ან: "ვინ უღებს კარს
გაზაფხულს?.." და სხვა მრავალი.

ახლანდელი, სამშობლოს სულიერი
და ხორციელი კათარზისის შემდგომი
გაზაფხული, უფრო წარმოსახვითი,
პერსპექტივაში არსებული, იმ იმედით
გამშვენიერებული ჟამია, როცა:

**მინაც გაქვს და
წყალიც გაქვს და
ეზოც გაქვს და
სახლიც გიდგას.
იხარებ და იძლიერებ**

**ზეალმდგარი სახმილიდან...
გაზაფხულდა, საქართველო,
კელავ ჯეჯილი ავიმალდა
ცას ფრინველი შეესია,
ყვავილობა არის ხილთა...
ღირდა მოთმინება ამაღ,
მოთმინება ამაღ ღირდა!..**

კაცი იმედით ცოცხლობს, მით უმე-
ტეს, პოეტი, მამულიშვილი. "საქარ-
თველოს მომავალს ველოდები" – ირო-
ნიზებული ინტონაცია მუხამბაზის
ფორმით, დრამატული მუხტით, სა-
ქართველოს უკეთესი მომავლის მო-
ლოდინით, "არა მდურვით, ეჭვითა და
გოდებით, სიყვარულით, ზეიმით
ცოტ-ცოტებით... ღმერთით, ხატით,
მინის ყველა ხნულითა, ჩანგითა და
ლექსით ჩამოსხმულითა, იმედითა,
ლოცვითა გაბმულითა, საქართველოს
მომავალს ველოდები" ... მაგრამ ჯერ
მხოლოდ მოლოდინის სტადიაში ჩანს
ქვეყანაც, პოეტიც და მკითხველის
განწყობაც, ჩანს ისიც, რომ ჯერ ღი-
მილის დრო არ დამდგარა

**და თუ მოვეკვი, ასე, გაულიმარი,
არ იკითხოთ – უბედური ვინ არი,
მე ვარ, ძმანო, მე მანყვია ლოდები,
საქართველოს მომავალს ველოდები.**

არც სამშობლოს თემის აქტუალი-
ზება და არც კონვენციურ ლექსთან
ინტერტექსტუალური გადაძახილი
შემთხვევითი არაა ბესიკ ხარანაულის
ღირიკისათვის. კელავ გავიხსენოთ
მისი ნათქვამი – მეცხრამეტე საუკუ-
ნის პოეტებში გადავსახლდით. ეს გა-
დასახლება კიდევ ერთხელ გაგვახსე-
ნა ნაცნობმა ინტონაციამ. სამშობლოს
ხატმა საგალობელივით ნათქვამი მო-
იხდინა, სითბოს რომ გამოსცემს...
რიტმული, კეთილზმოვანი, რითმებით
განწყობილი. ენობრივი მასალა საგან-
გებოდ დარჩეული, უფრო კი – პოეტუ-

უჩინველი
ნიკოლოსე

რი ინტუიციით თავმოყრილი. განსაკუთრებით: "ნანა, საქართველოს მიწა", "საქართველოს მომავალს ველოდები", "გაზაფხულდა, საქართველო!" და ა. შ.

კიდევ ერთი სახმილი საქართველოს გამო ლექსში "შენია სული საქართველოსი" – იმათი უღირსობით გამონვეული, "რომელნი სძიძენიდნენ მგლებივით მის ხორცებს და აღმასი ეფანტებოდათ", სვამდნენ, ჭამდნენ, "რომელმან მამა ვერ ცნო, რომელმან – შვილი, შედეგად – "წყალი არ გაიცრა, მიწა არ ამოშრა, მარილმა ოქროს არ მისცა ადგილი" ... კოსმიური კატასტროფა... და შემდეგ წარღვნის შემდგომი ნათელი ბიბლიურ შესაქმეს სურათს გვიხატავს.

ხანგრძლივი, შენელებული რიტმით დაწერილი, ამასთან – მკვეთრი ფრაზები ზარის რეკვასავით ფლერადობას გამოსცემს:

გადმოიხედა ღმერთმა და მიხილა
ლაშაზი,
რადგანაც ვტკებულო ჩემი მიწა-
წყლით,
უდარდელი სტვენით ნახირს
მივდენიდი,
ამომყავდა ციხის დაშლილი
კედლები,
მთელი ოქრო ტაძრის გუმბათს
შველებე,
ერთი ოქროთი გოგოს ვუყიდე
ყვავილი,
მუხის დედა-ბოძით ჭერი გავამაგრე,
კედელზე დავეკიდე წინაპრის
სურათი....
მომწონდა ქვეყანა და საქმენი ჩემი
და გულით ვუზრახე წარსულს
დაბრუნება,
რომ უცებ ზეციდან ხმა ჩამომესმა.

და კვლავ ყოფითი სიდუხჭირე, ზეციური ხილვებიდან დაშვება, ცოდევი-

ლი სხეულის სიმძიმის შეგრძნება, მდულარე ცრემლები და დაკარგული დროის ბრწყინვალე სახე – "გამოუქმობის ქნარი – ქნარი ობობისა" სახლის ჭერზე. კვლავ წარღვნის ილუზია, არცთუ უსაგნო. წვიმა და ღვართაფი, რომელმაც იმდენ ხანს იდინა, "ვიდრე არ გარეცხა მიწა ცოდვებისაგან". ადამიანი, ამ შემთხვევაში პოეტი, მაინც მარტოა, ჩაკარგული ამ ქაოსში, უადგილო, წვიმისაგან დამძიმებული ფრთებით.

სიკვდილი მომინდა და ღმერთს
შველადადე...
და უცებ შეირხა კვლავ ზეცის პაერი
და ხმა ჩამომესმა, საკუთრივ
ღმერთისა,
ვითარმედ: შენია სული
საქართველოსი...

"შენია სული საქართველოსი" – მიწაგანი ხმა, ხმა ღვთისა, თითქოს ამოსუნთქვის საშუალებას აძლევს პოეტს, რომ იმოვოს გამართლება თავისი გაფანტული არსებობისათვის. მაგრამ ტკივილები ძლიერია, სამყარო უპასუხო კითხვების უკიდევანო სიერცედ ქცეულა, სადაც ისევე "სხვა გიფად და სხვა ლოთად და სხვა უბედურებად გაქცევს ცხოვრება" ("დაინახე სხვადა, ვინც შენია"), სადაც ცოდევა-მადლის ენაზე ღმერთს უნდა შეეტკვილო კითხვით – „სად არიან შვილები, შვილები სად არიან"... ამ ლექსის სათაურშივე იგრძნობა ჩვენი თანამედროვეობის, სულ ახლო წარსულის, სიმწარე, უკვალოდ, უღირსად ჩაელილი სიცოცხლის ფერფლი, სიკვდილი ყველგან – ძმათამკვლელ ომში, ქუჩაში... სიკვდილი სახელიანი და სიკვდილი უსახელო. მაინც ყველა შენი სისხლის და ხორცის ნაწილი. ლექსი რითმიათა, მთავარი სიტყვა "ქარია", ქარის დინამიკა მთელ ტექსტში იგრძნობა, რო-

გორც მნიშვნელობების, ისე ეეფონი-
ის დონეზე:

სად არიან შვილები, შვილები სად
არიან,
გავალ, გავიხედები, არ არიან, ქარია,
სად არიან შვილები, მე რომ
მოგაბარა,
გავალ, ავეძრახები, არ არიან, ქარია.
საქართველო აქროლდა, ვით
ფოთლების ქარია,
სად არიან შვილები, ქარია, არ არიან.

პასუხი არ ისმის. პასუხი თითქოს
არ არსებობს ("ვაი, ბაგეთა ჩემთა, რა-
მეთუ გიძახოდი და არ გამეც ხმაი" კ.
გამსახურდია, "დიდოსტატის მარჯვე-
ნა").

ეს ლექსი პოეტური დატირების ან
უბრალოდ - ადამიანური დატირების
ტექსტია, რომლის ტრაგიკულ პათოსს
აძლიერებს ის ფაქტი, რომ პოეტი-
დამტირებელი მამაკაცია. მამაკაცის
გოდება კი იშვიათია და ამიტომაც უფ-
რო სულის შემძვრელი (თუნდაც, სეა-
ნური ზარი).

რა როლი აქვს ყოფითი პრობლემე-
ბით სულშეძრულ შემოქმედ ადამიანს,
რა შეუძლია მას იმისთვის, რომ
მკვდარს არ ემსგავსოს? როგორც სამ-
ყაროს ნაწილი, იგი კვლავ და კვლავ
წვალობს, უტრიალებს წუთისოფლის
უთავბოლო გზას, რომ ერთხელ მაინც
ენიოს ბედნიერებას და მიზართოს თა-
ვის ორულს: "ბედნიერი ხარ და გაპ-
ყვირი შენს თავს სივრცეში, რომელ-
მაც გზა გიტია და ლტოლვას შენსას
დერეფანი ფართოდ გაულოო". დერე-
ფანი პოეტური წარმოსახვების სივრ-
ცეა, რომელიც მხოლოდ ბედნიერი
შემთხვევის წყალობით გაიხსნება. ეს
პოეტის ადრინდელი ტექსტია - ოცნე-
ბის ფართოდ გახსნილი დერეფნის მე-
ტაფორით.

ახალ კრებულში "დერეფანი" ჰქვია

ერთ-ერთ ლექსს, სადაც დერეფანი სა-
ხეთა ორ ურთიერთსაპირისპირო რიგს
ქმნის. ერთია: ძველთაძველი სასახ-
ლის დერეფანი, სადაც დამოძღვრილი
შემოდოდა ადამიანი და ირგვლივ
ყველაფერი მყარი იყო, მეორე: დერე-
ფანი - რომელიც შემდეგ გასროლის
ხმამ შეაზანზარა, საიდანაც ამიერი-
დან "გაპქონდათ და გამოქონდათ",
სადაც ყველაფერს ატყავებდნენ, სა-
იდანაც "ნაშოვნი და ნაქურდალი გაი-
ზიდებოდა"... სადაც ორივე კარი ღია
იყო და სანთელს გიქრობდა. მეორე
შემთხვევაში დერეფანი, როგორც
სამშობლოს მიწის მეტაფორა, დაც-
ლილია ისტორიული, პოეტური გაგე-
ბისაგან და უფრო პოლიტიკური სივ-
რცის მეტაფორაა. საქართველოს მო-
მავალი ამ მეორე გაგებასთან ასო-
ცირდება:

თან ნაილებს ჩვენს მონასტრებს და
ჩვენს ციხეებს,
ჩვენს წყალს და მიწას, ჩვენს ენას და
ჩვენს საბადებელს.
გაიყიდება ყველაფერი, მთები
გავაკდება,
ქალი გაქსუვდება, კაცი
გამთხლეფდება
და ორ ზღვას შუა დარჩება დიდი
დერეფანი,
სადაც მუდამ იქნება ორნაირი ქარი...
სადაც ჩვენი სანთელი ჩაქრება.

ეს არის საქართველოს თემის ლი-
რიკული რეზიუმე.

"დედა" და "საქართველო" - ორი
სახე-ხატი, რომელიც თვალშისაცემია
ამ კრებულში. მათ ერთი საერთო მი-
ზეზი აქვთ - მთხრობელის გაუთავე-
ბელი ტანჯვა მომრავლებული ყორნე-
ბისაგან და ნაცემ-ნაგვემი სულის შეხ-
მიანება ყველაზე ახლობელთან: „სამ-
ხენროდ მოველ შენს კარზე, ერთ
სიტყვას გაგიბედავო"... ან: "როცა

რომ გამიჭირდება, მახელს შენს სულზე ვლესაო". – აქ ჩანს მიზანი სამხედროდ მისვლისა. დედის სული ამ შემთხვევაში გაუტყებლობის, სიმყარის, სიძლიერის, იმედის სიმბოლოა.

დედას, როგორც უკანასკნელ იმედს, დედის წილიდან გამოყოფილი ინსტიქტით მიმართავს ხოლმე შეჭირვების უამს ადამიანი. სასიკვდილო ამონაკენესივით მწარეა და ეუდრებიანი დედისადმი სათქმელი ეს ლექსიც:

შენ, შევარდენო, დედაო,
მარცვლისოდენა დედაო,
ამოანგრევე მინა,
რომ დავწოლია ზედაო,
წამოიმართე ფაშ-ფრამით,
ცა იძრას ხმაურზედაო,
მხარი მიჭირე მარტოსა,
აკი მუდამა მხედავო!

(“შენ, შევარდენო, დედაო!”)

თხოვნაში, “მხარი მიჭირე მარტოსა”, იკვეთება დედის აჩრდილის წმინდა ვალი, ჯერ კიდევ წუთისოფელში მონრიალუ შეილის წინაშე.

ფიქრი, სამყაროს მიდევნებულო გონების მზერა უფრო და უფრო გრძობადს ხდის ადამიანის მარტობას და უმწეობას გარემომცველ უსასრულობაში. შემხერავად შთამბეჭდავია სამყაროს მარტობის წარმოსახვა ადამიანური მარტობის ფონზე და ალბათ, გაგვიჭირდება იმის თქმა, რომელია უფრო შემაძრუნებელი: ვიზუალურად თვალშეუდგამი, ცივი კოსმოსი თუ “სთველის ლამე”, როცა “მარტო არის ცა – სინათლით და ხე – ფოთლებით, როცა მარტოა კატაც და კაციც” (“კატა ფანჯრებს იქით”). მარტობის განცდა ბადებს იმის შეგრძნებას, რომ არავისთვის არ ხარ სასურველი, რომ ტყუილად გაგაჩინეს, ტყუილად კედები, რომ ცხოვრება წელი სიკვდილია, “წელი სიკვდილი შინ და

გარეთ” (“ვარდი ტყუილით”). ყოფიერების ამგვარი ლოგიკით გააზრებას კიდევ უფრო მეტად შეჰყავს უსასრულობის სიღრმეში პოეტის და მკითხველის.

ცხოვრება, ჩემო საყვარელო, ამის
გამო არის მალამო,
აბა, წამით წარმოიდგინე, იმის მიღმა
რა სიბუნელა,
ვიდრე სიცოცხლე დაიწყება,
მანამდე რა სიბუნელა და რა ყინული.
მე დედას კი არ მოვახსენებ, დედის
ზღურბლიდან
სინამდვილე იწყება მხოლოდ.

.....
ხოლო შემდეგ მალამო იწყება,
მალამო ცხოვრება.

“მალამო ცხოვრება” – ირონია რეალობაზე, რადგან მას შემდეგ, რაც “მალამო ცხოვრება” იწყება, საგანსაც და ადამიანსაც საკუთარი სინამდვილე უკლავს.

განგება, ბედისწერა, ღმერთი – ბესიკ ხარანაულის პოეზიისთვის არასოდეს ყოფილა უცხო, თუნდაც პირველი ლექსებიდან – “რატომ დამივიწყე მე, მარიამ”... მაგრამ ახალ კრებულში, ცხოვრების დღეთა ქრონიკებს მიდევნებული შინაგანი ხილვებით ჩნდებიან ახალი სახეები, იკვეთება ახალი ლირიკულ-ფილოსოფიური დასკვნები იმ მარადიულ პრობლემებზე, რომელიც თან სდევს ადამიანის ყოფას. ასეთია თუნდაც ბედისწერის განცდა ბესიკ ხარანაულისათვის.

ბავშვობაში, ალბათ, ბავშვობაში,
კაცობრიობის ბავშვობაში, ჩემს
ბავშვობაში,
ადამიანში შედის ბედი, რომელიც
შემდეგ
სიკვდილამდის უნდა ატაროს.

(“სახელშერქმევა ედემში”)

რამდენად ქეშმარიტებაა და რა ტრაგიზმის სიმძიმე ახლავს ბედის ამ დავანებას ადამიანში...

და მანც - ბედისწერის აღსრულებაზე არსებობს ცდის საშუალება: ცხადისთვის აკრძალული, "სიზმრებით უნდა იხანულო, სიზმრებით ისაგნო". მხოლოდ ასე თუ აიცდენს ადამიანი "ცათა და კაცთა სასჯელს". ცხადში ის ცოდვილი რჩება, "რადგან მიწაზე არა ხარობს ის, რაც სრულია, მიწაზე ხარობს, რაც ცოდვისთვის განწირულია". მიწაზეა ცოდვილის ადგილი.

ამიტომ ვეტყვი,
შენ ისმინე ჩემი ღალადი,
მე ვარ ბესიკ ხარანაული,
და სხვა არაფერზე არ მიზრუნია,
ვინც დავამარცხე, მხოლოდ
ქალაღღები!
("ღმერთს მე, აქ, ცოდვილი
ვესაჭიროები")

საყვარელი საქმე, ქალაღღის ფურცელთან ბრძოლა, რომელსაც "ტექსტების შედგენას" უწოდებს პოეტი, ყველაფერს შეინიარავს ისე, რომ მას "ღმერთისთვის დრო აღარ რჩება".

თურმე, ღმერთი რომ გიყვარდეს,
უფრო სწორად, რომ შეიგრძნო და შეიყვარო,
განუწყვეტლივ მასთან ყოფნა არის საჭირო.

("უსინდისობაა, როცა საბუნების
უაზროდ იწვის")

მისთვის, როგორც ადამიანისთვის, არ არსებობს ცხოვრება უნაღველოდ. თვით ზეიმის წამებშიც კი "რალაცა კედება" ("რალაცა კედება და იხრწნება ამ ზეიმშიაც"). გაზაფხულის სურნელით ავსებული ბაღი ამ ლექსში მინიერი ცხოვრების მეტაფორაა ალბათ

მარტოსულისათვის, რომლის განწყობას ბუნების მოზივით ფონიც ვერ აღაფრთოვანებს, რადგანაც სიცოცხლის თანმზღები სიკვდილი განმსჭვალავს ყოველივეს: "სადღაცა მყოფი, ცის ქველში თუ მიწის გორიბში, რალაც კედებოდა უმცირესში, უარსებოში"...

სიდუხჭირეში - გაუსაძლის სივრცეში, მშვენიერების, სიკეთის მონატრებაა იესოს ლანდი, წამიერად გაელეული მაცხოვრის სახე და ამ ხილვით ალბათ, ეჭვი და იმედი, მოლოდინი და - გაოცება მსჭვალავს პოეტის სიტყვას:

საქართველოში, თბილისში, დღეს,
ახლა, ამ წამიერსო,
უბედურება რომ კონავს, ყველას,
მაძლარს და
მშვიერსო,
საქართველოში, თბილისში, დღეს,
ახლა, ამ წამიერსო,
რალაცა სახე დავლანდე, ვამსგავსე მე
შენსმიერსო,
და
სუნთქვამ ამოიყოლა, ნუთუ შენ აქ
ხარ, იესო.

(უსათაურო - "საქართველოში,
თბილისში...")

საქართველო, თბილისი - სულიერი და ხორციელი გვემის კოორდინატად ქცეულა, სადაც ისეთი რიხით დადიან მავანნი, რომ "თუ თავი ემშვენიერათ, არ დაგტოვებენ შენთვის, მშიერსაც..." ("მე ლუკმასაც კი დავეკითხები"). ნოსტალგია, რალაც თბილისი და ტკბილის მონატრება შემოდის უკიდურესი სულიერი წრიალის ჟამს. გახსენების და მოგონების ნიჭი ამოატივტივებს ძველისძველ, კობტა ქართულ სახლს, პაპისეულს. წარმოსახვაში ბრიალებს კერიის ცეცხლი, სითბო იღვრება, მაგრამ ეს სიზმარეულს უფ-

რო ჰგავს, სადაც მკაცრი რეალობა და
იმედგაცრუება შეიჭრება უნებლიედ:

ერთი დედაჩემს უნდა ვკითხო! –

გავიფიქრებ,

ამასაც თუ ფიქრი შექვია, –

რადგან უცებ მახსენდება, დედაჩემი

რომ აღარ არის.

(“ცეცხლის დანთება თიანეთში”)

ბესიკ ხარანაულის პოეზიაში ნატურა, მშობლიური სანახები, განსაკუთრებული გრძნობით და მონივნებით აღიქმება, ერთგვარად საკრალურიც კია იგი, ძალზე მახლობელი, დიდი გზის პირველი ნაფეხურებით, პირველი სევდით აღბეჭდილი. ამ ტექსტში პოეტური იმპულსი შორს მიდის, აქ “ადგილის დედის” გეოგრაფია დიდი სამყაროს ეპიცენტრია, აქედან იწყება პოეტის მეტა-სამყაროები, განსხვავებული ბილიკებით, განფენილობით, ხედვით, აღქმითა და განცდით.

ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი ბესიკ ხარანაულის ლირიკაში, “მკვდრების სიმღერა”, თითქოს დახვეწებული ტკივილების დანელილი ნაწილებია, კოშმარი – ამ ყოფიდან არყოფნისაკენ.

როცა ყველა ეს კოშმარი არყოფნაში

გადინაცვლებს,

როცა გაყვავილდება ცხოვრება და

ჩვენ აღარ ვიქნებით,

გახსოვდეთ, რომ ყველაფერი

ნამდვილად იყო!

თვითთრონია და მძიმე აღსარება, როგორც პოეტური საშუალება ცხოვრებისეული სიმწრის გასაიოლებლად, აქ ნაკლებქარაგმულია, ვიდრე ადრინდელ ტექსტებში. მაგრამ ვერანაირი აღსარება ვერ უძლებს პირობითობას და განუწყვეტილ უბრუნდება თავ-

დაპირველ არსს. გახსნილია, ხელისგულზე დევს ფაქტი და ყოველი ნახანავი ხილულია, გრძნობადია. ესეც კანონზომიერი შედეგია იმისა, რაც ვერ განიკურნა, ვერ ამოითქვა, რასაც ვერ ეშველა ქარაგმებით, მინიშნებებით, კითხვის ნიშნებით, პუნქტირებით... სამყაროც თითქოს უფრო გაუდაბურდა, სადაც “ხალხმა მარტო პირველის-ნერა ისწავლა ქრისტესგან, სხვა ყველაფერი, რაც ძნელია, მას შეატოვეს”... სადაც “ადამიანი ფასობს ცდუნებით”, სადაც “საბოლოოდ დარწმუნებულები მიწაში წვანან”.

ბესიკ ხარანაული – 1992-2002 წლის ლექსებით კვლავ ისაა, ვინც ამ ორმოცი წლის წინ წარუდგა რევერანსის გარეშე ქართული პოეზიის სამყაროს, იმ ნაცნობი ადამიანური განცხდებითა და გრძნობებით, ფიქრებით... ოღონდაც უფრო ღრმაა და ძლიერი ყოველივე. ხილული სამყარო კიდევ უფრო ხილულია, ზოგჯერ შემზარავად გამჭვირვალე. წარმოსახვითიც – დამძიმებული ამქვეყნიური, განუშორებელი იარებით. ოსტატობითაც სხვა საფეხურზეა აყვანილი, მაღალი პოეზიის ახალ სიმაღლეზე.

არაფერს ისე, როგორც პოეზიაში გაცხადებულ სიტყვას, არ შეუძლია სულის საღებუნობა (თუ ამ “სულს” დასანახად არ ეჯავრება ლექსი)... და თუკი ბესიკ ხარანაულის მკითხველი თუ მსჯავრმდებელი – როგორც თავად უწოდებს – წიგნის დახურვის შემდეგ თანაზიარი იქნება ფიქრისა – ამას ჩვენც განვიცდიდით, “ასე ვიცხოვრეთ ჩვენ საქართველოში, გახსოვდეთ, რომ ყველაფერი ასე იყო”, – პოეტს შეუძლია თქვას, რომ მის “ტანჯვის ხელოვნებას” ამაოდ არ ჩაუვლია.

ლია გუგუნავა

პარალელები

პრომეთე-ამირანი და ინდივიდუალური აზროვნის პარადიგმა უცხოურ რომანტიკულ ლიტერატურაში

მითს პრომეთეს შესახებ პირველად ვეცნობით ჰესიოდეს ნაწარმოებებიდან (VIII ს. წ-მდე). როგორც ვიგებთ, პრომეთე ხალხის საკეთილდღეოდ ორჯერ მოატყუებს ზევსს, ერთხელ სამსხვერპლო დეკულის გაყოფის დროს, მეორედ ოლიმპოს მთიდან ცეცხლს მოპარავს და ხალხს ჩამოუტანს, რისთვისაც ზევსი პრომეთეს ბოძზე მიაჯაჭვავს და არწივს მიუჩენს. პერაკლე მოკლავს არწივს და გაათავისუფლებს პრომეთეს. თუ რა სახე ჰქონდა პრომეთეს მითს ჰესიოდემდე, უცნობია.

ესქილე მითს ფილოსოფიურ სიღრმეს აძლევს და პრომეთეს ტანჯვა ტრაგიკულ სიმაღლემდე აყვავს. ერთერთი სიახლე, რაც ჰესიოდეს მიერ გადმოცემულ პრომეთეს მითში ესქილეს შეაქვს, ის არის, რომ "ესქილე (525-455) გარკვევით მიუთითებს იმ ქვეყანაზე, სადაც მრავალხნოვან ნამებას მიეცა უსამართლოდ დასჯილი ტიტანი. ეს ადგილი კავკასიაა" (მიხეილ ჩიქოვანი, "მიჯაჭვული ამირანი", თბ., 1947, გვ. 126).

აქედან გამომდინარე მ. ჩიქოვანი ასკვნის, რომ V საუკუნეში ჩვ. წ-მდე საბერძნეთში არსებობდა ცნობა კავკასიონის მთას მიჯაჭვული გმირის შესახებ. როგორც სხვა მწერლებისგან ვგებულობთ, კავკასიაში პრომეთეს

ორეულიც არსებობდა და მას ქართველები ამირანს უწოდებდნენ.

პრომეთე-ამირანის მითოსურ სახეს ჩვენ შეგვიძლია გავეცნოთ ნიგნში "ამირანის თქმულება", სადაც მ. ჩიქოვანს შეკრებილი აქვს ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული თქმულებები ამირანზე. თქმულებების დამუშავებისა და ანალიზის შედეგად მ. ჩიქოვანი შემდეგ დასკვნამდე მივიდა: "სიუჟეტურმა და შინაარსობრივმა შედარებამ ცხადყო, რომ ძველი მთლიანი გადმოცემა თანდათან გადასხვაფერებულა, განშტოებულა და ისე დამკვიდრებულა ზეპირსიტყვიერებაში. ხალხის მხატვრული შემოქმედებიდან ამირანის სიუჟეტი ადრევე გადავიდა ხელოვნებასა და ლიტერატურაში... კოლხეთის გზით კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული ღვთის ურჩი გმირის თავგადასავალმა საბერძნეთამდე მიიღწია და გამოხატულა პპოვა ანტიკურ მწერლობაში" ("ამირანის თქმულება", დამუშავებული მ. ჩიქოვანის მიერ, ბოლოსიტყვაობა, თბ., 1961, გვ. 156).

როგორც ცნობილია, ესქილეს ტრილოგიის მიხედვით ბოლოს პრომეთე ურიგდება ზევსს. პრომეთეს მითის ახსნა მიუღებელი იყო რომანტიკოსებისათვის. მაგალითად, შელიმ არ მიიღო ბერძნული მითისეული გადან-

ყვეტა. ზევსისა და პრომეთეს შერიგება ულოგიკობად ჩათვალა. პრომეთეს ხასიათისათვის დამამცირებლად, მისი აზრით, ამით ჩრდილი ადგებოდა პრომეთეს სიდიადეს. "არ მომწონდა კვანძის ამგვარი გახსნა, რაც კაცობრიობის მხსნელისა და კაცობრიობის მჩაგვრელის შერიგებით მთავრდებოდა. ზნეობრივი არსი ლეგენდისა – რომლის სიდიადესაც პრომეთეს ტანჯვა და გამძლეობა გვიმძლავნებს – მთლიანად გაცამტვერდება, თუ წარმოვიდგენთ, რომ პრომეთე გადათქვამს თავის ნათქვამს და შიშით ცახცახებს მოზიემე და ცბიერი მტრის წინაშე. ერთადერთი, ვინც პრომეთეს სიდიადეს მოგვაგონებს, სატანაა; მაგრამ პრომეთე, ჩემი აზრით, უფრო პოეტური ხასიათისაა, ვიდრე სატანა; რადგან სიმამაცით, ბრწყინვალეობით, სიმტკიცითა და შეურიგებლობით წინ აღუდგება უზენაეს ძალას, და, ამავე დროს, თავისუფალია პატივმოყვრული სენის, შურის, შურისგებისა და პიროვნული განდიდების სურვილისაგან... პრომეთე უაღრესად დაბეუნებული ზნეობისა და ინტელექტუალური ბუნებისა გახლავთ, უწმინდესი და უჭეშმარიტესი სურვილებით ისწრაფის საუკეთესო და უკეთილშობილესი მიზნისაკენ" (წინასიტყვაობა დრამისა "განთავისუფლებული პრომეთე", ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა, ესეები, თბ., 1989, გვ. 91-92).

ბერძნულ მითში პრომეთეს კონცეფციას თავისი გამართლება ჰქონდა. პერაკლეს ის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული, რომ პრომეთე დაემცივებინა. შალვა ნუცუბიძის მტკიცებით, "პრომეთე-ამირანი განთავისუფლებულია ზევსის მიერ არა უკანასკნელის წამებისადმი სიბრალულისა და სიმპათიის გამო, არამედ იმისათვის,

რომ... ნაჩვენები ყოფილიყო ბერძნული გმირის პერაკლეს ძალა, რომელიც პრომეთე-ამირანს უპირისპირდებოდა... პერაკლეს... დავალებული ჰქონდა, ელინური მითოლოგიური წარმოდგენით, დაეძლია გმირი პრომეთე-ამირანის უცხო სახე" (შალვა ნუცუბიძე, ფილოსოფიამდელი სააზროვნო ელემენტები მითოლოგიურ პოემა "ამირანში", ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, 1956, გვ. 54).

შელისეული ინტერპრეტაცია ახლოსაა ხალხურ პრომეთე-ამირანის სახესთან. ამირანი თქმულებაში ბოლომდე რჩება ქედმოუბრელი, ძლიერი და იბრძვის კეთილშობილი მიზნებისათვის. თუმც არიან ისეთი კრიტიკოსები, რომლებიც არ ეთანხმებიან ამირანის ასეთ გაგებას და არც პრომეთესთან ნათესაობა მიაჩნიათ დამარწმუნებელ ფაქტორად. ერთ-ერთი მკვლევარი ერთმანეთს ადარებს ბერძნული ლიტერატურული ძეგლებიდან შექმნილ პრომეთეს სახეს ხალხურ სიტყვიერებაში გავრცელებულ ამირანის თქმულებებს და მათ შორის კავშირის უარსაყოფად ასეთი მცდარი არგუმენტები მოჰყავს: "ბერძნულ წყაროებში პრომეთე გვევლინება ღმერთის უსამართლობისაგან ადამიანის დამცველად... ამას გარდა, უმრავლეს კავკასიურ ლეგენდებში მიჯაჭვული ბუმბერაზი ღმერთის მიერ დასჯილია იმის გამო, რომ მან ხალხს ზიანი მიაყენა. ეს არის გოლიათი მტაცებელი, სისხლის მოყვარული, თავგასული, რომელიც სუსტებს ყოველგვარი სასჯელის გარეშე სასტიკად უსწორდება... მას რომ ჯაჭვი გაეწყვიტა, ამას ადამიანის დალუპვა და სამყაროს დამხობა მოჰყვებოდა" (ნუსინოვი, ლიტერატურული გმირის ისტორია, 1958, გვ. 9. რუსულ ენაზე).

რამდენად სწორია ამირანის ამგვა-

რი ინტერპრეტაცია, შეგვიძლია განვსაჯოთ შალვა ნუცუბიძის მიერ რესტავრირებულ მითოლოგიურ პოემა "ამირანის" მიხედვით. აქ ნათლად ჩანს ამირანის საქციელის მოტივები.

უპირველეს ყოვლისა, არის თუ არა პოემაში ცეცხლის მოტაცება სიმბოლურად გამოხატული და ჰქონდა თუ არა მას კაცობრიობისათვის სარგებლობის მოტანის იდეა?

ამირანი მიმართავს ყამარს:

– ყამარო, შენთან მოვსულვარ,
მნათობო ქვეყნის თხემისა,
ჩამოდი ქვეყნად წავიდეთ
საშველად კაცთა თემისა" (ამირანი, მითოლოგიური პოემა, განახლებული რესტავრირებული შალვა ნუცუბიძის მიერ, 1945, გვ. 101).

ღმერთთან ბრძოლა პოემაში დაკავშირებულია ცეცხლის მოტაცებასთან. ყამარი – მნათობი ცეცხლის სიმბოლური გამოხატულებაა. ყამარის მამა, ღრუბელთა ღმერთია, რომელიც უნიჩალმდეგება ამირანს ყამარის მოტაცებაში, რაც სიმბოლურად აღნიშნავს ზეციერის მიწაზე ჩამოტანას. ისე რომ, ქალის მოტაცება აქ, სიმბოლურად, პროგრესისათვის ბრძოლაა და არა პირადი ძალის გამოჩენა.

"არაეის სურდა ზეციერს
ყამარს ქვეყანა ენათა,
ზეციდან ცეცხლის წალება
ვერ ეთქვა ღმერთთა ენათა,
კაცთა უცეცხლოდ დაგდება
ღმერთებს ჰქონოდათ რწმენათა;
დღეს ის მიწიერს მიჰქონდა
ღმერთების შესარცხვენადა".

ახლა საინტერესოა რამდენად ჩანს პოემაში ამირანისაგან ხალხის მოსარჩლეობა.

"მოისმა ამირანზედა
ხმა ზეციერთა წყრომისა,

გასამართლება უნდობი
ქვეყნიერების ლომისა.
შეშინდა ხალხი, ნაშობი
გაჭირვების და შრომისა;
ახსოვდა ამირანისგან
მადლი დევების ომისა,
რომ დაარჩინა, არ გახდნენ
მსხვერპლი იმათი ნდომისა".

ხალხს რომ ამირანი უყვარს და მასზე იმედებს ამყარებს, ეს ჩანს მათ ლოცვაში:

"ბატონებო, მოუსმინეთ
ლოცვა, ცაში ერთა.
ამირანის უყოლობა
გაგვხდის მთლად მშვიერსა...
ნეტავი ვინ-ღა იფიქროს
კაცთა მოსდგმისა ბედზედა?".

ისე რომ, ამირანი პროგრესისათვის მებრძოლია. დევებთან ბრძოლა სიმბოლურად ხალხის გადარჩენის იდეას ატარებს.

პრომეთეს შესახებ მითი რომ იცნობდა თქმულებას ამირანზე, და რომ პროგრესულობა პრომეთეს ამირანისგან აქვს მემკვიდრეობით გადმოცემული, ამის შესახებ მრავალი საბუთი მოგვეპოვება.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, "თქმულება კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული გმირის შესახებ საქართველოში არსებობდა უკვე ქრისტიანობის წინათ, წარმართობის დროს" (ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, წიგნი I, თბ., 1960, გვ. 161).

სიმონ ყაუხჩიშვილის მტკიცებით, "პრომეთე არ არის ბერძნული ლეგენდა, იგი იმ ხალხის ღმერთია, რომელიც ბერძნების მოსვლამდე ცხოვრობდა და რომელიც მაღალი კულტურის მატარებელი იყო. ხოლო ზევსი წმინდა ბერძნული ლეგენდაა... ჩვენი მეცნიერების დღევანდელი მოღვაწე-

ები გვაეალებენ, ისიც ვთქვათ, რომ ის ძველი მოსახლეობა მერმინდელი საბერძნეთისა (ე. წ. წინაბერძნული მოსახლეობა) ენათესავება ქართველურ-კავკასიურ ტომებს და პრომეთეს თქმულება, რომელიც საბერძნეთში დარჩენილი უძველესი თქმულებათაგანია, მოუთხრობდა სწორედ ახლად მოსული ბერძნების ბრძოლაზე წინაბერძნულ მოსახლეობასთან... ესქილეს დროს (VI-V საუკუნეები), რასაკვირველია, აღარავის ახსოვდა ამ თქმულების წარმოშობა და პრომეთეც და ზევსიც ბერძენ ღმერთებად მიაჩნდათ, რადგან ახალმა ძველი დაიმორჩილა და, ბოლოს, პრომეთეც შეურიგდა ზევსს. ხოლო დაპირისპირება კულტურულობისა და ჩამორჩენილობისა, პროგრესისა და რეგრესისა, მუდამ იგრძნობოდა ამ თქმულებაში" (ს. ყაუხჩიშვილი, შესავალი წერილი, ესქილე, "მიჯაჭვული პრომეთე", 1958, გვ. 7-8).

ჩვენმა თანამედროვე მეცნიერებამ განავითარა პრომეთეს საკითხი. პრომეთეს მითი ახლებურად ახსნა. დღესდღეობით დამტკიცებულია, რომ მითი პრომეთეს შესახებ ქართული წარმოშობისაა. იგი ეკუთვნის წინაბერძნულ, პროტო-ქართულ მოდგმას. არა მარტო პრომეთე, არამედ პერაკლეც არ არის ბერძნული ღვთაება. პერაკლე ძველ იბერთა უძველესი ღვთაება და გმირია. პრომეთე, ანუ პროქართული (იაფეტური) მოდგმის, დამდაბლება იმაში კი არ გამოიხატება, რომ პრომეთე პერაკლემ იხსნა, არამედ იმაში, რომ პრომეთე ზევსმა, ანუ ახლად მოსულმა ინდოევროპულმა მოდგმამ, მიაჯაჭვა კავკასიაზე, ე.ი. მისი მოღვაწეობის სფერო შემოზღუდა კავკასიით. მაგრამ პრომეთე განთავისუფლდება და დაიბრუნებს თავის ძალას. კაცობრიობისათვის კვლავ გახდება კულტურისა და პროგრესის მომტანი.

ქართულ მითოლოგიურ ძეგლში პრომეთე-ამირანი არამც თუ არ ურიგდება ტირანს, ძალმომრეობას, არამედ რჩება მარად ცოცხალ გმირად, ჩაგრულთა მფარველად. "ხალხს სჯერა, რომ ამირანი ახლაც ცოცხალია, ამირანი უკვდავი არსებაა" (ივ. ჯავახიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 152).

ამირანის გამარჯვების რწმენა მუდამ თან სდევდა ქართულ პოეზიას, სჯეროდა, რომ

*"მოვა დრო და თავს აიშვებს,
 იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი..
 სიბარულად შეეცვლება
 ამდენი ხნის გასაჭირი!.."* (აკაკი წერეთელი, ლექსები, ტ. I, თბ., 1940, გვ. 354).

მითი პრომეთეს შესახებ რომანტიკოსებისათვის საყვარელ სიუჟეტად იქცა. რომანტიკოსებმა პრომეთეში იპოვნეს უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანი. ამაყი პიროვნების პროტესტი სამყაროს მონყოილობის წინააღმდეგ რომანტიკოსების ერთ-ერთი ძირითადი თემაა, რასაც დასაბამი მისცა გოეთეს გმირებმა (პრომეთე, გოეც ფონ ბერლინპიგენი, ვერტერი).

გოეთეს დაუმთავრებელი ტრაგედიის გმირი, პრომეთე, კაცობრიობისათვის თავდადებული მეომარია. მას არ ესაჭიროება ზეცის მაცხოვრებლების ძალაუფლება და სიმდიდრე. პრომეთეს ენატრება უსაზღვრო თავისუფლება და ძალა. გოეთეს პრომეთეს ამბოხის მოტივია ხალხისათვის სიკეთის მოტანა, ძალადობის მოსპობა. "ცეცხლოვანი გული" აძლევს გოეთეს პრომეთეს გამძლეობას და ძალას, წინ აღუდგეს ძალმომრეობას.

*"მე ვინ მიშველა, როს შეემართე
 შებმა ტიტანებს?"*

სიკვდილს, კაეშანს და მონობას
ვინ განმარბდა?

ო, ცეცხლოვანო გულო, ეს ხომ
შენ აიტანე,

შენ გამოხევედი ყველა საფრთხის
ნიაქარიდან"

(იოჰან ვოლფგანგ გოეთე, რჩეული
ლირიკა, პრომეთე, თარგმნილი აკაკი
გელოვანისა, თბ., 1972, გვ. 105-107).

გოეთეს ეს ადრეული ნაწარმოები
რომანტიკოსებისათვის იმით არის
მნიშვნელოვანი, რომ "პრომეთეს სა-
ხით გოეთემ გამოხატა შტურმურული
ტირანმებრძოლობა და თავისუფლე-
ბისმოყვარულობა. პრომეთეს აღნიშ-
ნული ღირსებანი, - ნების სიმტკიცე
და ხასიათის შემმართველობა, სულის
სიმაღლე და ღირსების გრძნობა, -
ნამდვილი მებრძოლის თვისებებს
წარმოადგენენ და კაცს არავითარი
ავტორიტეტისა და ძალმომრეობის
წინაშე არ ახრევიანებენ ქედს" (ოთარ
ჯინორია, გოეთეს შემოქმედებითი
გზა, თბ., 1966, გვ. 160).

გოეთეს პრომეთემ გამოძახილი
პოვა ბაირონის და შელის პოეზიაში.
ბაირონის მთელი შემოქმედება გაფ-
ლენთილია პრომეთეიზმის მოტივე-
ბით, მაგრამ პრომეთეს მებრძოლი ხა-
სიათი ყველაზე მკვეთრად გამოხატუ-
ლია ლექსში "პრომეთე", რომელიც
ხაზს უსვამს პრომეთეს ნებისყოფას.
სწორედ ნებისყოფამ გაამარჯვებინა
ხალხისათვის თავდადებულ გმირს.

"შენს სხეულში იბრძოდნენ ორნი -
ნებისყოფა და წამების ღმერთი...

შენმა ფარულმა, დიდმა ძალამ ისე
იმძლავრა,

რომ მებთამტებელს ხელში ელვა
აუცახცახბა..."

(ჯორჯ გორდონ ბაირონი, ლირიკა,
პრომეთე, თბ., 1965, თარგმნილი ჯან-
სულ ჩარკვიანის მიერ, გვ. 69-70).

ბაირონის აზრით, პრომეთესნაირი
ადამიანიც კი ღვთაებრივია და მასაც
ძალუძს, გრიგალივით მოვარდნილ
ჭირ-ვარამს მკერდით დაუდგეს.

"შენ გვიანდერძე გაკეთილი ჯერ არ-
ნანახი,

თუ ძლიერების სადმე გმირია,
შენ ხარ სიმბოლო მოკედავთ ბედის და
სიამაყის.

ადამიანი შენნაირი, ღვთაებრივია...

დიდი სიმტკიცით, ნებისყოფით და აზ-
როვნებით

თვით წამებაშიც იმარჯვებს და ლაჩ-
რად არ რჩება.

იმარჯვებს იგი, არც ერთ გრიგალს არ
ემონება".

რომანტიკოსებისათვის არანაკ-
ლებს საინტერესოა პროტესტის გამოხ-
მატველი გოეთეს სხვა გმირებიც. გო-
ეთეს ვერტერის რეალისტური ხასია-
თი პრომეთეს მითოლოგიური სახის
მხატვრული ეკვივალენტია. რომანში
"ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი" გო-
ეთემ წარმოგვისახა პიროვნება გრან-
დიოზული პრეტენზიებით; პიროვნე-
ბა, რომელიც ვერ ურიგდება გარე-
მომცველ სინამდვილეს. გმირი ტიტა-
ნური პრეტენზიებით ეძებს გრანდიო-
ზულ საქმეებს სამოღვაწეოდ, ვერ ნა-
ხულობს თავისი ნიჭის შესაფერ სარ-
ბიელს, მაგრამ მისთვის უცხოა ბრძო-
ლა. ვერტერს ბევრი რამ აკავშირებს
ჰამლეტთან. ზოგადსაკაცობრიო იდე-
ები, შეურიგებლობა არსებულ სინამ-
დვილესთან, დიადი საქმეებისაკენ
სწრაფვა, ტრაგედია იმის გამო, რომ
მონოდების მიხედვით არ ცხოვრობს
და სხვა. მაგრამ მსგავსებასთან ერ-
თად განსხვავებაც ბევრია მათ შორის.
ჩვენ თუ ვერტერს გოეთეს თვალთ
დანახულ სენტიმენტალურ ჰამლეტს
შევადარებთ, მაშინ ის ვერტერთან იქ-
ნება გაიგივებული. ჩემთვის ნათე-

ლია, რომ შექსპირს სურდა, გამოეხატა დიადი საქმე, დაკისრებული ისეთ ადამიანზე, რომელსაც მის განსახორციელებლად ძალა არ შესწევს... მუხა ჩარგულია ნატივთ ქურტელში, ფესვები მას ამსხვრევენ და ის ილუპება" (გოეთე, ვილჰელმ მაისტერის სწავლების წლები, 1959, გვ. 209. რუსულ ენაზე).

ასეთი თვალსაზრისით დანახული ჰამლეტი ვერ უძლებს სიძინელებსა და წინააღმდეგობების გადალახვას. ამიტომ ილუპება. ასე შეგვეძლოს გაგვეგო ვერტერი, რომელიც უმხედრდება გერმანულ ფეოდალურ ოლიგქს. მაგრამ მისი ამხედრება ფეოდალური ტირანიის წინააღმდეგ მთავრდება თვითმკვლელობით. ვერტერს არა აქვს მებრძოლის ის თვისებები, რაც გოეთეს პრომეთეს ახასიათებს: ტირანმებრძოლებმა, თავისუფლების მოყვარულობა, ნების სიმტკიცე. ამ მხრივ ჰამლეტი გოეთეს პრომეთესთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე ვერტერთან.

გოეთეს გავლენით, მაგრამ სრულიად თავისებურად აქვს განვითარებული პრომეთესიტური მოტივები ბაირონს თავის დიად ხასიათებში მანფრედი და კაენი, რომლებიც გამოხატავენ საზოგადოებრივი ბოროტების წინააღმდეგ ამბოხს.

მანფრედი ინდივიდუალური მემბოხეა. იგი უმხედრდება ხალხის შემგუებლობას, ფლიდობას, ორპირობას და ა. შ. მაგრამ მისი უკმაყოფილება მხოლოდ ადამიანის გაუტანლობით როდია გამოწვეული. მას არ აკმაყოფილებს ის ცოდნა, რაც მისცა XVIII საუკუნის განმანათლებლობამ. მანფრედის ძალა ცოდნაშია, რომელიც მისთვის არ მიუცია არც ღმერთს და არც ეშმაკს. თვითონვე შეიძინა მძიმე შრომის შედეგად.

"მე მქონდა ძალა, მაგრამ იგი შენგნით არ იყო, ის მომანიჭა ნებისყოფამ უტეხმა ჩემმა, შრომამ სასტიკმა, ღამეებმა ნათლად ნათევმა

და იმ უძველეს დღეთა სიბრძნემ..." (ბაირონი. "მანფრედი, კაენი... თარგმანი კონსტანტინე ჭიჭინაძისა, თბ., 1948, გვ. 63).

ეს აშკარა პრომეთესიტური გამოხვევაა. მანფრედი თავის თავში გრძნობს პრომეთეს ცეცხლს. აკი თვითონვე ამბობს:

"ნაღვერდალი პრომეთესის, ჩემში გიზგიზით რომ ანთია, — იმდენადვეა ყოვლის შემცველი და ძლიერი რამდენად თქვენი..."

მანფრედი გმირად დარჩა ბოლომდე. ქედი არ მოუხრია ტირანიის წინაშე. ბაირონმა "კაენში" უკვე პრომეთეს მისია დააკისრა ბიბლიურ გმირებს კაენსა და ლუციფერს. კაენში იღვიძებს პროტესტის გრძნობა ღმერთისადმი. კაენი მოკავშირედ ნახულობს ლუციფერს. ღმერთი გაიგვივებულია მიწიერ ტირანთან. ლეგენდის გმირები ბაირონს გააზრებული აქვს ახლებურად. კაენი და ლუციფერი სიძულვილით ივსებიან ყოველივე იმისადმი, რაც ახშობს თავისუფალ აზრს და ზღუდავს პიროვნებას. თუ მანფრედი თვლის, რომ ცოდნას არ მოაქვს ბედნიერება, კაენის დევიზია ცოდნა უნდა ემსახურებოდეს ბედნიერებას. მაგრამ ვერც კაენი და ვერც მანფრედი ვერ მაღლდებიან ბაირონის პრომეთემდე, რადგანაც ისინი ვერ პოულობენ გამოსავალს.

შელის დრამაში "განთავისუფლებული პრომეთე" პრომეთე ატარებს იმ იდეას, რომ ხალხის დალუპვისაგან და-

სახსნელად ერთადერთი გზაა – დაუცხრომელი ბრძოლა პოლიტიკურ ტირანიასთან. პრომეთეს გმირობა შთააგონებს ადამიანებს, რომ მხოლოდ ბრძოლით შეუძლიათ მოიშორონ ზევისის უღელი.

“Вот обманутый народ
От отчаянья восстал
Полднем ярким заблестал
Правды хочет, правды ждет,
Воля дух его ведет“...
Шелли Освобожденный Прометей
1904, стр. 10

ქართული რომანტიზმის ლირიკული გმირი და ჰამლეტი (მეამბოხე ინდივიდი ბარათაშვილის, შექსპირისა და ბაირონის მხატვრული წარმოსახვით)

ჩვენი ამოცანაა გავანალიზოთ მეამბოხის პრობლემა ნ. ბარათაშვილის ლირიკაში და პარალელები გავავლოთ ჰამლეტთან. ქართულ ლიტერატურულ ტრადიციასთან ჰამლეტის იდეური ნათესაობა ნაწილობრივ ამ პრობლემის მსგავსად გადაწყვეტამაც განაპირობა, რომელიც სათავეს იღებს ქართული მითოლოგიური გმირის პრომეთე-ამირანის ხასიათში. რადგანაც ბარათაშვილის ლირიკა ქედმოუხრელი ბრძოლის წყურვილით ეხმიანება თავისი ეპოქის გამათავისუფლებელ მოძრაობას, ეპოქალური საჭირობოროტო საკითხები პროგრესული რომანტიზმის წარმომადგენლებს ერთმანეთთან აერთიანებთ, ისინი ერთ მთლიანობას ქმნიან საკაცობრიო მნიშვნელობით; ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ბარათაშვილის “მერანის” ჰამლეტთან ანალოგიები სხვა დიდი მასშტაბის პროგრესული რომანტიკოსების ნიმუშების ფონზე მოქმედნით. ამბოხის თემა ამ გმირებში დაკავშირებულია საერთო ჭირთან, რომელიც

პერკულესში შელი აქსოვს საზის მასის როლს. ამდენად, პოეტის აზრით, მასაც და დაუცხრომელ მებრძოლ პრომეთეს ხალხის შეერთებული ძალა უდგას მხარში. ხალხის გარეშე შელისათვის არ არსებობს ბრძოლა და ამ ბრძოლაში გათარჯუების მოპოვება. ამიტომაც იყო, რომ მან ბაირონის მისამართით საყვედური გამოთქვა გმირის ხალხისაგან მოწყვეტის გამო. მიუხედავად ბაირონის გენიოსობისა, შელიმ არ აპატია მას მანფრედის განცალკევებული ამბოხი.

ერთიანად აღვლევთ სხვადასხვა ქვეყნის მწერლებს. ილიას სიტყვებს თუ გავიხსენებთ, ნ. ბარათაშვილის “კენესა კაცობრიობის კენესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერ მიწვდენა სურვილისა კაცობრიობის უღონობაა”, და რომ ბედის საზღვრის გარღვევისა და მოქმედებისათვის დაუსრულებელი სივრცის ძიებისათვის “ბაირონის კაინმა ლუციფერი აირჩია, გეტეს ფაუსტმა – მეფისტოფელი და ჩვენმა პოეტმა – “მერანი”, ესე იგი თავისი სულის ქროლა” (ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1958, გვ. 211, 216). რადგანაც პრომეთე ერთგვარ ხიდსა ქმნის რომანტიკულ გმირსა და ჰამლეტს შორის, გვერდს ვერ აწევლით პრომეთე-ამირანის მითოსურ და ლიტერატურულ სახეებს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა პრომეთეს სახელწოდება, არამედ ლიტერატურულ გმირში პრომეთის-ტურის მოტივების გამოვლენა: ტიტანიზმი, ძალმომრეობის წინაშე ქედმოუხრელობა, ნებისყოფის სიმტკიცე,

ადამიანის ვალის შეგნება, რაც ზნეობრივ ასპექტებსაც შეიცავს, ბრძოლა პროგრესისათვის და ა. შ. ე. ი. ისეთი თავგანწირული ადამიანის ტიპი, რომლისთვისაც კრეფოა პრომეთეს სიტყვები: "მე არ გავცვლიდი ჩემს წამებას შენს მონობაზე" (ესქილე, "მიჯაჭვული პრომეთე", თბ., 1958, თარგმანი ა. ქუთათელაძის, გვ. 54-55).

პროგრესული რომანტიზმი მთელ მსოფლიოში განმათავისუფლებელი მოძრაობის თანახმეირად თვლიდა შექსპირის იდეალური გმირების სწრაფვას სამართლიანობისა და თავისუფლებისაკენ. ერთ-ერთი მიზეზი, რითიც რომანტიკოსები დაინტერესდნენ რენესანსის ეპოქის დიდი დრამატურგით, ის არის, რომ შექსპირი ადიდებს ადამიანს, მის ძალას, ტიტანურ გმირებს ხატავს. ყურადღების ცენტრში აყენებს ადამიანის სწრაფვას თავისუფლებისაკენ. შექსპიროლოგიურ ლიტერატურაში შენიშნულია ჰამლეტის ნათესაობა პრომეთესთან, რასაც დაეუმატებდით იმას, რომ რომანტიკოსებისათვის, ალბათ, სწორედ ამ მხრივ იყო ახლობელი შექსპირის ჰამლეტი.

ჰამლეტი პრომეთესებურად ებრძვის ტირანიას: „Я в не променял своих скорбей на рабское служенье - по своему бромает в лицо тиранищему его «пустому веку» В страданиях мысли правдивой требовательной бескомпромиссной - его жребий» /И Верцман «Гамлет» Шекспира, М, 1964, стр. 106/

"ტრაგედია ატარებს ტირანსაწინააღმდეგო ხასიათს. მთელი თავისი შინაარსით აშიშვლებს ფეოდალიზმის სოციალურ და პოლიტიკურ სისტემას" (ნ. ჟერიკოვა, შექსპირისა და გოეთეს შემოქმედების შესახებ, 1955, გვ. 27. რუსულ ენაზე).

ჰამლეტი, როგორც მებრძოლი და

თავისუფლების მოყვარული გმირი არ შეიძლებოდა არ გამხდარიყო პროგრესული რომანტიკოსებისათვის ყურადღების ღირსი.

იმისათვის, რათა დავრწმუნდეთ იმ აზრში, რომ სწორედ ეს პრომეთესიტური მოტივები აერთიანებთ რომანტიკულ გმირებს ჰამლეტთან, საკმარისია იგი შევადაროთ ბარათაშვილის მერანს და ბაირონის მანფრედს.

ქართულ რომანტიზმს პრომეთე-ამირანის სახე განსაკუთრებული ძალით შეესისხლბორცა. ამის საუკეთესო ნიმუშია ბარათაშვილის პოეზია. "მერანის" ავტორს თავისუფლებისათვის ბრძოლაში შემწეთა ჰყავს ამირანის უკუდავი სახე, როგორც ქართველი ხალხის სიმტკიცის სიმბოლო. "ამირანის გმირულ სულს... უხილავი ძაფებით უკავშირდება "მერანი" (გიორგი აბზიანიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ქართ. ლიტ. ისტ. ტ. 3, 1969). რომანტიკული ხელოვნების ამ სახე-სიმბოლოში გამოხატულია პრომეთე-ამირანის გაუტყველი გმირული სული. ნ. ბარათაშვილმა პრომეთე-ამირანის ტიტანიზმი, ძალადობის წინაშე ქედმოუხრელობა, დაუმორჩილებლობა, თავისუფლებისაკენ სწრაფვა დიდი მხატვრული ძალით განაზოგადა და ფილოსოფიურ ასპექტში წარმოგვიდგინა.

ვიდრე დასახელებულ გმირებს ერთმანეთს შევადარებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, გავარკვიოთ რა ხასიათისაა ამ გმირების პესიმიზმი და რამდენად ეწინააღმდეგება მათ მებრძოლ ხასიათს. ერთი რამ უტყუარია. რომანტიკული გაგებით ჰამლეტი არ შეიძლებოდა ყოფილიყო უძლური ხასიათის მქონე პიროვნება, ხელჩაქნეული პესიმიზტი. მაშინ ის არ იქნებოდა რევოლუციური რომანტიკული პრინციპების თანაზიარი და ინტერესს და-

კარგავდა რომანტიკოსებისათვის და, ბუნებრივია, არც "ჰამლეტის" ავტორი გახდებოდა მათთვის კერპი. მაგრამ თუ გავიზიარებთ პესიმისტის იმ არასწორ გაგებას, რომელსაც ხშირად აწერენ ხოლმე ამ გმირებს, მაშინ, ცხადია, არამც თუ წინააღმდეგობა შეიქმნება, არამედ საერთოდ მოიხსნება მათი მებრძოლი ხასიათი. მაგალითად, გ. ქიქოძე ასე ახასიათებს ქართველ რომანტიკოს პოეტს: "ნიკოლოზ ბარათაშვილი პესიმისტი და ინდივიდუალისტი, ყველაზე უკიდურესი ინდივიდუალისტი ქართულ ლიტერატურაში" (გ. ქიქოძე, ქართველი კლასიკოსები, თბ., 1942, გვ. 27. რუსულ ენაზე).

ლექსებსა და წერილებში ბარათაშვილი თვითონვე ხსნის თავის სულითობლობის მიზეზს. რომ მას არავინ ეგულება "სავესე და ვრცელ სოფელში", ვისაც მიენდობოდა. ირგვლივ ცბიერებას, უგულვობას, უნიჭობას და უსადაგურებას, რომლებიც წამლავენ პოეტის სულს. ხოლო თავისი მდგომარეობის ტრაგიზმს ასე განსაზღვრავს დიდი საქმეებისთვის მოწოდებული შემოქმედი: "ჩვენი დანიშნულების მიზანმიუღწევლობა, ადამიანის სურვილთა უსაზღვროება და მთელი ციხევეშეთის ამოუება" (იხ. ზაქარია ორბელიანისადმი მიწერილი ბარათი, 1844 წლის 15 აპრილი).

ჰამლეტის ნაღველს შექსპირი გარემო-პირობებით ხსნის. მეტაფორები: "დანია საპყრობილეა", "გაუმარგლავე ბალი" (ქვეყანა) და სხვა სწორედ გარემოებით გამოწვეული პესიმისტის მაჩვენებელია. ჰამლეტი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ დიადი საქმეების შესასრულებლად მოწოდებული ადამიანი იძულებულია ლაჩრად იქცეს, რადგან საამისო პირობებს ვერ ხედავს სინამდვილეში.

"აი, ასე გვხდის ლაჩრად ჩვენივე ცნობიერება, გამბედაობას მოსაზრება უსუსტებს შუქსა და სასახელო ძლიერ საქმედ, დიდად გაზრახულთ წინ ელობება" (III, I).

მანფრედის პესიმისტიც გაორებამ გამოიწვია. ადამიანი, რომელიც იმდენ ძალებს ხედავს თავის თავში, რომ ხალხის წინამძღოლი შეიძლება გამხდარიყო, სურდა განმანათლებლად მოვლენოდა თანამემამულეთ, იძულებულია გაერიყოს ცხოვრებას.

"დიად, მამაო, მეც ვზიდავდი ოცნებებს გულით, მალალ მიზნებით სიჭაბუკე დავეტვირთე ჩემი:

მსურდა ხალხისთვის ვყოფილიყავ განმანათლებლად,

ცადავსულიყავ – მაგრამ რისთვის? ეს მე არ ვიცი..."

"მგლების ხროვაში

არა მსურს გარევა, თუმც შევძლებდი ხელმძღვანელობას" (ბაირონი. მანფრედი, კენი, ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა, თარგმანი კონსტანტინე ჭიჭინაძისა, თბ., 1948, გვ. 55-56).

აქედან მომდინარეობს გმირთა საყვედური, რომ დაკარგეს ცხოვრების მიზანი. ბარათაშვილი წყველის ბოროტ სულს (ე. ი. იმ ხელის შემშლელ პირობებს, რომელნიც წინ ელობებიან პოეტის კეთილ ზრახვებს), რომ მან მოუკლა ის იმედები, რაც ყმანვილკაცობაში ლამაზად ესახებოდა.

"წყველი იყოს დღე იგი, როს შენთა აღთქმათა ბრმად ეუმსხვერპლიდი, მივანდობდი ჩემთ გულის-თქმათა!..

რა ვარ აწ სოფლად დაშენილი უსაგ-
ნოდ, მარტო,

ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სუ-
ლით მახერალი?

ვაი მას, ვისაც მოჰხვდეს ხელი შე-
ნი მსახერალი!" ("სულო ბოროტო").

"მსახერალი ხელი" მოხვდა ჰამ-
ლეტსაც. მასაც დაემსხვრა იმედები,
ვიტენბერგის უნივერსიტეტში რომ
აგებდა მომავალ ცხოვრებაზე. დაკარ-
გა რწმენა ადამიანში. ცხოვრების სი-
მუხთლე თავის თავზე გამოსცადა. პუ-
მანისტს სულ სხვა მისია უნდა შეეს-
რულებინა, ბედმა კი სულ სხვა არგუ-
ნა წილად. სასოწარკვეთილია და ქვე-
ყანას შავი ფერებით მოსავს.

"ოჰ, ღმერთო, ღმერთო! ყველა
საქმე ამ წუთის სოფლის

როგორ ფუჭია, უნაყოფო, დაობე-
ბული,

თითქოს ქვეყანა იყოს ბალი გაუ-
მარგლავი,

რამიაც ხარობს მხოლოდ ღვარძ-
ლი, ცუდი ბალახი...

ცუდ ამბებს ვხედავთ, კვლავაც
უნდა ცუდს მოველოდეთ.

გაიპე გულო, რაკი ენა უნდა და-
დუმდეს" (1,2).

ბარათაშვილის გმირს, ჰამლეტს
და მანფრედს ერთი და იგივე საფუძ-
ველი აქვთ პესიმიზმისათვის. მათი პე-
სიმიზმი გამოწვეულია ჯამთა ვითარე-
ბით. მაგრამ რაც უფრო ძლიერია მათი
პესიმიზმი, მით უფრო ძლიერია
პროტესტი არსებული საზოგადოების
მიმართ. სამივე გმირი ტრაგიკულია.
ბარათაშვილის ლირიკის გმირის ტრა-
გიზმი გამოვლენილია ისევე მძაფრად,
როგორც ეს შესაძლებელია დრამა-
ტულ ნაწარმოებში. ლექსები მონო-
ლოგების მაგიერობას წევენ. აქ ისმე-
ბა დიდი პრობლემები და წყდება მო-
წინააღმდეგე ძალთა პაექრობის

გზით. თავისუფლებისათვის მებრძო-
ლი ძლიერი პიროვნება შეჭიდებულია
ბედთან, ანუ შავბნელ ძალებთან, რო-
მლებიც ხელს უშლიან ხალხს პროგ-
რესში.

მთლიანობაში ბარათაშვილის ლი-
რიკიდან გმირი გვეხატება ამაღლე-
ბულ ძლიერ პიროვნებად, უტყუი ნე-
ბისყოფით, რომლისთვისაც დამახასი-
ათებელია ჰამლეტიზმი (შინაგანი წი-
ნააღმდეგობები). ბარათაშვილის გმი-
რი, ისევე როგორც ჰამლეტი და მან-
ფრედი, შინაგანად თავისუფალია. არ
ემორჩილება არავითარ ძალას, მხო-
ლოდ მანფრედივით ქედმოუხრელო-
ბით არ იფარგლება. მისი პროტესტი
უფრო შორს მიდის. აქტიური ბრძო-
ლისათვის დებს თავს. როგორც ყველა
ჭეშმარიტ გმირს დიდი მისია აკისრია
– ქვეყნად ბოროტების მოსპობა, გან-
მათავისუფლებელი ბრძოლისათვის
თავის დადება.

პოეტის წინაშე დგება მთელი რიგი
წინააღმდეგობები, რომლებიც თავი-
სუფლებისათვის მებრძოდ ადამიანს
ელობება, მაგრამ ბარათაშვილის გმი-
რი არ უშინდება მათ. იგი ამბობს უც-
ხადებს უკუღმართ ბედს. სიმბოლო-
რად ადამიანის ბედს შავი ყორანი გა-
მობატავს. პოეტის ბრძოლა თავისუფ-
ლებისათვის ბედთან შეჭიდებული
მხედრის სახითაა გადმოცემული.

"მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ
ჩემი მერანი,

უკან მომჩხავის თვალბედითი შავი
ყორანი,

გასწი, მერანო, შენს ქენებას არ აქვს
სამზღვარი

და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად
მღელევარი!"

("მერანი")

მფრინავი რამის ქროლა სივრცეში,

რომელსაც უკან მოსჩხავის შავი ყორანი, გამოხატავს გმირის შეუპოვრობას, დიდ ენერჯიას. თავისი კეთილშობილური მიზნის მისაღწევად, იგი არაფერს უშინდება. მაგრამ ღირს კი თავის განირვა, თუკი ყველაფერი მაინც ამოა?

“მაგრამ თუ ერთხელ სოფელსაც უნდა ბოლო მოელოს, მამინ ვილამ სძუქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?...”
 (“ფიქრი მტკვრის პირას”)

სოფლის ამოება პამლეტისაც დილემის წინაშე დააყენებს. რომელ გზას დაადგეს ადამიანი: შეებრძოლოს მოზღვავეებულ უბედურებებს, რომლებსაც მაინც ვერ მოერევა, თუ მოშორდეს სოფელს და საუკუნო ძილს მისცეს თავი?

“სულ-დიდ კმნილებას რა შეკვერის? ის, რომ იტანჯოს და აიტანოს მზაგრავ ბედის ნეშტრითა გმირვა,
 თუ შეებრძოლოს მოზღვავეებულ უბედურებას
 და ამ შეებრძოლევით მოსპოს იგი?... მოსპოს სიცოცხლე...
 ბოლო მოულოს... მიიძინოს... სხვა არაფერი...” (III, I).

ორივე გმირი კითხვაზე: ღირს თუ არა თავის განირვა, პასუხობს, რომ საჭიროა სიცოცხლე და ბრძოლა, თუნდაც არ იყოს იმის გარანტია, რომ ბრძოლას მოიგებენ.

პამლეტის პასუხი ისმის მესაფლავის სიტყვებში – ადამიანი სიცოცხლეს იმე არ უნდა გაიხრწნას (V, I).

ბარათაშვილის გმირი ყოველგვარ პირობებში ადამიანის აქტიური მოქმედების მომხრეა:

“მაგრამ რადგანაც კაცნი გვექვიან – შეილნი სოფლისა, უნდა კიდევაც მივსდითო მას, გვესმას მშობლისა.

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკედარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს.”
 (“ფიქრი მტკვრის პირას”)

სოფლის ზრუნვის ფილოსოფიური საფუძველი ბარათაშვილამდე უცხო არ იყო ქართული ლიტერატურისათვის. ჯერ კიდევ ქართული ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი შეგნება უკარნახებდა მწერლობას ამქვეყნიერის მიღების აუცილებლობას. ბარათაშვილის ნააზრევის წყაროდ ვახტანგ ბაგრატიონის შთაგონებას თვლიან:

“კაცმა უნდა თავის საქმე ღვითთა მოიფარგოს,
 ამ სოფელსა ხელი მყაროს, იქაც ბარგი დაიბარგოს,
 მოყვარეთ და ამხანავთა თავის რიგით რამე არგოს,
 სახელის ხე საჩრდილობლად წყლისა პირსა რამე დარგოს”.
 (“ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო”)

ბარათაშვილის მხედარმა იცის, რომ დიდი მისიის შესრულება დიდ მსხვერპლს მოითხოვს. მას თავს დასტრიალებს “შავად მღელვრე” ფიქრი. მაგრამ იგი უძლებს ყოველგვარ გამოცდას, რომელსაც ცხოვრება უტარებს: მამულის, მეგობრების, მშობლების, სატრფოს მოშორება.

“რაა, მოვეშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა! ნულა ვიბილაე ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს ტკბილმოუბარსა”.
 (“მერანი”)

მანფრედი, მიუხედავად მისი პრო-

ტესტისა, გამოსავალს ვერ პოულობს, ბრძოლის გზას არ ადგება. ერთადერთი, რასაც ის ნატრულობს, არის თავდავინყება. თუმცა რეაქციული გმირივით შეეხება არ ეძებს არც განმარტოებაში და არც სიკვდილში, თავისი ძალების გამოსაყენებლად არაფერს აკეთებს. მაგრამ ეს გმირის შეზღუდულობაა და არა ავტორის. ბაირონი მანფრედის სახით გვიხატავს ადამიანის დიდ გონებრივ და ნებისყოფის შესაძლებლობებს, ამავე დროს გვეუბნება, რომ ინტელექტუალური სიძლიერე უპერსპექტივოა, თუკი ის მოწყვეტილია ცხოვრების პრაქტიკისაგან. მანფრედი "თავდავინყების" ძიებაში ამაოდ ცდილობს, თავის თავში ჩააქროს "პრომეთეს ცეცხლი". რადგანაც ამას ვერ აღწევს, ის ბოლომდე რჩება გმირად და კედება თავისუფალ ადმიანად. მიუხედავად იმისა, რომ დრამის ცენტრში ძლიერი პიროვნებაა, მემბოხე, რომანტიკული კოლიზია მაინც ვერ იქმნება. წინააღმდეგობაა გმირულ შესაძლებლობებსა და უმიზნო სწრაფვას შორის. მანფრედი რჩება მარტოხელა ტრაგიკულ გმირად, რომელიც ვერ უძლებს საზოგადოებასთან კონფლიქტს. იტანჯება მარტოობისაგან, მაგრამ გამოსავალს ვერ პოულობს.

სამივე მწერლის თვალთახედვით, ჭეშმარიტი ტრაგიკული გმირისათვის ქვეყნის წინაშე ვალის მოხდა არის ერთადერთი მოთხოვნილება, ცხოვრების მიზანი, რაც თავდადებულ ბრძოლასთან არის დაკავშირებული. პამლეტი იმდენად მწვევედ განიცდის საკუთარ თავზე დაკისრებული მისიის სიმძიმეს, რომ მას პირადი ბედნიერებისათვის აღარა სცალია. მამისადმი მიცემულ პირობას – შური იძიოს ბოროტმოქმედებაზე, რაშიც ჩაფლულია მთელი დანია ან სამყარო, სწირავს

მთელ სიცოცხლეს "... ჩემის სხოვნის ფურცლებზე ნაეშლი, რაც როდისმე ან მსმენია, ან წამიკითხავს; ნაეშლი, რაც კი შიგ ჩაჭედილა თვალთ ნანახი და იქ დავიცავ მტკიცედ, ამ ჩემ გულის ფიცარზე მარტო შენს ნათქვამს სხვა ამბავთა გაურეველად" (1, 5).

ბარათაშვილის მხედარი თავის გულის კენესას ზღვის ლელვას უერთებს, მაგრამ "გიჭურსა ლტოლვას" არ აფერხებს. მას ზარავს იმის წარმოდგენა, რომ შავი ყორანი გაუთხრის საფლავს და ჭირისუფლად სვავები ესტუმრებიან. მაგრამ რაც უფრო მეტი საფრთხე ელის მისი ნებისყოფის მოტეხას, მით უფრო სწრაფად მიაქნებს მერანი თავგანწირულ მხედარს. რწმენის სიმტკიცე გადაალახვინებს ყოველ საზღვარს, რადგან ბედისწერის მონობას ურჩევნია, აიტანოს ყოველგვარი ჭირი. იგი მხნედ შესძახებს თავის მეგზურს:

"გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, ვარდამატარე ბედის სამძლვარი, თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი".

ბედისადმი ასეთსავე დამოკიდებულებაშია პამლეტი. პამლეტის ბედთან ჭიდილი, დაუმორჩილებლობა იქითკენაა მიქცეული, რომ სოფლის უკულმართობებს შეებრძოლოს. მისთვის მიუღებელია "მჩაგრავ ბედის ნეშტრითა გმირვა". ორიგინალში ბედი უფრო მძაფრადაა გამოხატული. "outrageous fortunes – მძინეარე, გამაგებული, გააფთრებული ბედი. თავისუფლება მხოლოდ ბედთან ბრძოლით მიიღწევა, მტკიცე ნებისყოფის მეშვეობით. პამლეტი მძინეარე ბედს რომ არ ემორჩილება ნიშნავს იმას, რომ იგი აქტიური მოქმედების მომხრეა. ვერ მარტო კითხვა: "სულდიდ

ქმნილებას რა შეუფერის?" ნათელია სულდიდი ადამიანი რომელ გზას აირჩევდა დილემიდან:

*"ის რომ იტანჯოს
 და აიტანოს მჩაგრავ ბედის ნეშტრითა
 გმინვა,
 თუ შეებრძოლოს მოზღვავებულ უბედურებას
 და ამ შეებრძოლვით მოსპოს იგი?.."
 (III, 1).*

ჰამლეტი, რა თქმა უნდა ბრძოლის გზას ირჩევს. ტრაგიკულ გმირს სხვანაირად მოქცევა არ შეუძლია. მაგრამ საკითხავია: სტიქიურია მისი სწრაფვა, თუ გააზრებული აქვს, რომ დასაღუპად არის განწირული? მან შესანიშნავად იცის, რაც მოჰყვება მის ბრძოლას, მაგრამ იგი სიკვდილს გმირულად ხედება მომავალი თაობის სასიკეთოდ.

რატომ სთხოვს ჰამლეტი ჰორაციოს:

*"თუ როდისმე გყვარებთ ვარ, რამდენიმე ხნით
 განშორდი მუდმივს ნეტარებას,
 ტანჯვით იცხოვრე
 და ამ კრულ მიწას მოჰფინე ჩემი
 ამბავი" (V, 2).*

იმიტომ, რომ ჰამლეტმა იცის, მის ბრძოლას არ მოუსპია ბოროტება. სამყარო არ შეცვლილა. ცხოვრება არ გამოსწორებულა და კვლავ გრძელდება ადამიანის ტანჯვა. მაგრამ მის ანდერძში გაისმის ზრუნვა მომავალი თაობებისადმი და უკეთესი მომავლის რწმენა.

მერანის მხედარმა ასევე იცის, რომ თვითონ ვერ მოიპოვებს გამარჯვებას. მაგრამ ღრმად სწამს, მსხვერპლად შეწირვა უშედეგოდ არ ჩაივლის, ახალგაზრდობას გაუკაფავს გზას თავისუფლებისათვის ბრძოლაში გამარჯვების მოსაპოვებლად. ამიტომ ამ ორი

გმირის მრწამსი შეგვიძლია ბარათაშვილის სიტყვებით გამოვხატოთ:

*"ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს,
 განწირულის სულის-კვეთება
 და გზა უვალი, შენგან თელოლი, მერანო
 ჩემო, მაინც დარჩება;
 და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა
 სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
 და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის
 ბედის წინ გამოუქროლდეს!"*

მაჩაბლის გენიამ იგრძნო ამ ორი მწერლის სულიერი სიახლოვე და თარგმნის დროს შეეცადა ბარათაშვილის პოეზიასთან დაეხლოვებინა შექსპირის პიესების ქართული თარგმანები. "როდესაც თარგმნა გადაწყდა და უფრო დაკვირვებით წაიკითხა დიდი გენიოსის პიესები, მაჩაბელს ბარათაშვილის ლექსები გაახსენდა და ერთბაშად იგრძნო ამ ორი მწერლის სულიერი ნათესაობა. აღბათ მაშინვე გადაწყდა შექსპირის პიესების თარგმნა თოთხმეტმარცვლიანი ლექსით! შემდეგ მაჩაბელმა თავის შექსპირისეულ თარგმანებს შეუნარჩუნა არა მარტო ბარათაშვილის ლექსის ფორმა, არამედ მისი პოეზიის დიდი მღელვარება და სიღრმე მისცა" (ვახტანგ ჭელიძე, ცხოვრება ივანე მაჩაბლისა, "ხელოვნება", თბ., 1957, გვ. 236).

დიდი ქართველი რეჟისორი სანდრო ახმეტელი უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა ბარათაშვილის შემოქმედებას. მასში ნახულობდა თავისი რწმენის წყაროს. რეჟისორს იზიდავდა არა მარტო ბარათაშვილის ლირიკის თეატრალობა, არამედ ის იდეალები, ის აქტიური მგზნებარე ადამიანის ტიპი, რაც იხატებოდა ბარათაშვილის პოეზიაში. მეამბოხე რომანტიკული გმირი ყოველთვის იყო ახმეტელის იდეალი. ამიტომაც იგი ბარათაშვილის "მერანს" თეატრთან აკავშირებდა. მისი

სიმბოლოთმცოდნეობა მრავალმხრივ ესახებოდა რეჟისორს სცენისათვის. უპირველეს ყოვლისა, მისთვის მერანი ქართველი ხალხის ეროვნული ტრაგიზმის მაჩვენებელი იყო, თავისუფლებაშეკვეცილი სულის ამბოხი, რაშიც მთელი ეპოქის ტიკიელი ჩანდა.

"თვით მგოსანი, მერანზე მჯდომი ქართველის "მეა" - მხედარი თვით ქართველია, ქართველი ნებადაკარგული, ნებამოკლებული. მხედარი - ქართველი არა თუ არ ღამობს მერანის შეკავებას, შეჩერებას, პირიქით, შეგნებულად აღიზიანებს, ააღმაზებს მას.

შავი ყორანი, თავს არ ანებებს მხედარს და მერანს თვალუნეფენელ სივრცეში საზარელი ხმით დასჩხავის... "მერანი" ბარათაშვილის ჩვენი ტრაგედია... მთელი ეპოქის სარკეა" (ალექსანდრე ახმეტელი, ქართული თეატრის ისტორია, "თეატრალური მოამბე", 1986, 5, 7-8).

ახმეტელის სამართლიანი შენიშვნით, ბარათაშვილის "მერანი" საკაცობრიო ხასიათის სიმბოლური ძეგლია, ამავე დროს უაღრესად ეროვნულია, ქართველი ხალხის გმირულ სულს გამოხატავს.

მერანის სიმბოლოთმცოდნეობა შეიძლება აიხსნას: ზღაპრულ რაშზე მჯდარი მხედარი, რომელსაც იგი უსაზღვრო სივრცეში მიაქროლებს, არ უშინდება კლდე-ღრრებს, ვერაფერს აკლებს შავი ყორანი უკან რომ მოსჩხავის საზარელი ხმით და

ვერც ბოროტი სული უტეხავს ნებისყოფას, გვესახება პრომეთე-ამირანის სახით. მხედრის თავგანწირულ სულისკვეთებაში გამოსჭვივის პრომეთეს კაცობრიობისათვის თავის დადება. შავი ყორანი ეს ზევსია, რომელიც სიკვდილის მუქარით ცდილობს გმირის სულის დამორჩილებას. სული ბოროტი ცდუნებებია, ზევსი შიკრიკების მეშვეობით რომ ცდილობს მის მოსყიდვას. მხედრის რწმენა - ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს, განწირულის სულისკვეთება - ეს პრომეთეს ოპტიმიზმია და წინასწარმეტყველება. მან იცის, რომ ხალხისათვის თავგანწირული ადამიანის დასჯა კარგს არაფერს მოუტანს ზევსს. პრომეთე მზად არის დაიღუპოს და თავის წამებას არ გაცვლის ზევსის მონობაზე.

"მერანის" და "ჰამლეტის" სიმბოლოთმცოდნეობა, როგორც ზემოთ დავინახეთ, ენათესავება რომანტიკულ ლიტერატურაში შექმნილ პრომეთეს სახეებს. მერანის მხედრის სიმბოლური სახე ისეთი აქტიური, მგზნებარე, მემბოხე რომანტიკული გმირია, რომელიც თავისუფლებისათვის ბრძოლას სწირავს სიცოცხლეს. ბარათაშვილის ლირიკის ძლიერი, ამაღლებული პიროვნება უტეხი ნებისყოფით, აზრისა და მოქმედების ერთიანობით, იძლევა არამარტო რომანტიკული პრომეთე-ამირანის ახალ საინტერესო სახეს, არამედ ჰამლეტის ახლებურ მოტივირებასაც უწყობს ხელს.

მანო იმერლიუშვილი

უნგრული მხარლობა უკველასი დროიდან დღემდე

უნგრეთი, რომელსაც თვით მისი მკვიდრნი "მოძიორორსაგ"-ს უწოდებენ, ძველთაგანვე გზატკეპნილი იყო სხვადასხვა ველური ხალხებით, როცა ისინი აზიიდან მოდიოდნენ, რუსეთის მინდვრებს გადმოლაზავდნენ და რომის თუ ბიზანტიის საბრძანებელს შეესევდნენ. აქ მესამე საუკუნეში გუთები დაემკვიდრდნენ. მალე მათ ჰუნები დაესხნენ თავს და კიდევ სძლიეს. მერე ჰუნებს თავს დაეცნენ ოსტგუთები, ამათ - ჰეპიდები, ჰეპიდებს - ლომბარდები, ლომბარდებს - ავარები. ამ უკანასკნელებმა VI საუკუნეში დაიკავეს მთელი მხარე. VIII საუკუნეში ისინი დაიმორჩილა და გააქრისტიანა კარლოს დიდმა (742-814), რომლის დროს ამ ქვეყანაში ბევრი სხვა მოდგმის ხალხი ჩამოსახლდა. IX საუკუნეში ამ მხარეს თავს დაესხა ახალი უცნობი ხალხი, ვინც უწინ ურალის მთების თუ მდინარე ვოლგის ახლომახლო ხეტილობდა და იქიდან პაჭანიკებისგან გამოიდევენა. ეს ხალხი, ვისაც რუსები და სლავები ძველად "უგრად" ან "უგორად" ასახელებდნენ, გერმანელები კი - "უნგრად", ახლობელი ნათესავია ბაშკირებისა და განსაკუთრებულ ენას ხმარობს, თავის თავს ეს ხალხი "მოძიორ"-ს (უნგრელ-ს) უწოდებს. თანამედროვე უნგრეთის ტერიტორია სწორედ ამ ხალხმა, უგორულ-

მა ტომებმა - მოძიორებმა ანუ უნგრელებმა დაიპყრეს, რომლებიც მომთაბარე ტომები იყვნენ და ძირითადად მესაქონლეობას მისდევენ. გადმოცემით უნგრელთა პირველი წინამძღოლი და დინასტიის ჩამყრელი იყო სახელად ალმი, ალმოში, (IX ს. (841 წელი), რაც ქართულად ნიშნავს მძინარე-ს, მეოცნებე-ს - წარმოდგება უნგრული სიტყვა "ალომი"-დან - სიზმარი, ხოლო არპადმა, მისმა შვილმა კი უნგრელები დუნაიზე მიიყვანა, რომელიც უნგრელთა ტომობრივ გაერთიანებას წინამძღოლობდა.

893 წლიდან დაიწყო მათი შესევები პანონიასა და მორავიაში, ალმოსაველეთ ბავარიაში. უნგრელებმა 894-895 წლებში დაიპყრეს თუ არა მთელი ის მხარე, რომელსაც მას აქეთ მათი სახელი უნგრეთი, თუ უნგრია, ან ვენგურია დაერქვა, მაშინვე იქაურ მკვიდრებს მთელი მიწა-წყალი წაართვეს. უნგრელი ხალხის წინამძღოლმა არპადმა ეს მიწა-წყალი ზოგი თავის საკუთრებად დაიტოვა და დანარჩენი ნახევარი მარტო თავის ჯარის მოთავეებს დაურიგა, რომელნიც თავ-თავის ნაწილში (კომიტატში) დასახლდნენ თავიანთი ჯარით და მხლებლებით. უნგრელებმა უწინდელი ქვეყნის მკვიდრნი თავიანთ გლეხებად გაიზადეს. ეს არის დასაწყისი უნგრეთის

ეკონომიკური წყობილებებისა. მაღალი წოდება, ყოვლისშემძლე მაგნატები (დიდი მემამულეები) და, საზოგადოდ, მონინავე განათლებული ნაწილი ხალხისა, უნგრული მოდგმისაა, მაშინ, როცა თითქმის მთელი მდებარე ხალხი ან სლავური მოდგმისაა, ანდა სხვადასხვა ეროვნების ნაშთი.

არპადის მემკვიდრეები იყვნენ ზოლტანი, ტაკსონი და გეიზა. გეიზას (972-995) შვილმა ვაიკამ, ვინც უნგრელთა ტომების წინამძღოლი იყო, შეძლო დანარჩენ წინამძღოლთა წინააღმდეგობის დაძლევა, დაიმორჩილა ისინი, თავს მოახვია ფეოდალური "მსოფლმხედველობა", და აიძულა უნგრელები მიეღოთ ქრისტიანობა, როგორც სარწმუნოება. არპადის მემკვიდრეებმა ქრისტიანობა მიიღეს დაახლოებით 950 წელს. თვითონ ვაიკა მონათლეს 1000 წელს (ნათლობის დროს მას დაარქვეს სახელი სტეფანე) და აკურთხეს უნგრეთის პირველ მეფედ. მეფე სტეფანე I-მა (უნგრულად იშტვანმა) (997-1038) რომის პაპ სილვესტრ II-ისგან (999-1003) 1000 წელს მიიღო სამეფო გვირგვინი. ეს წელი ითვლება უნგრეთის სამეფოს დაარსების თარიღად. სტეფანე (იშტვან) იყო უნგრეთის პირველი ქრისტიანი მეფე. მან დიდი როლი ითამაშა უნგრეთში ქრისტიანობის გავრცელების საქმეში, რისთვისაც იგი წმინდანად შერაცხეს. მის დროს უნგრეთის სამეფო დამკვიდრდა თავის ახლანდელ საზღვრებში, ამიტომაც მას აქვთ ამ სამეფოს "წმინდა სტეფანეს გვირგვინს" უწოდებენ ხოლმე.

მომთაბარე უნგრელმა ტომებმა, რომლებიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, IX საუკუნის მიწურულს დამკვიდრდნენ უნგრეთის დღევანდელ ტერიტორიაზე, შექმნეს მდიდარი ზეპირსიტყვიერება, წარმართული ლეგენ-

დები, ხალხური პოეზიის შესანიშნავი ნიმუშები, მრავალრიცხოვანი ხალხური თქმულებები. პოპულარულია თქმულებანი "მშვენიერ ირემზე", "თეთრ ბედაურზე", "ალმომზე" და სხვა. შემონახულია ძველი შრომითი და რიტუალური სიმღერები. ეს ძველი უნგრული პოეზიის ნიმუშები ასახული ლათინურ ქრონიკებში, წარმოქმნილია მატრიარქატის ეპოქაში და გადაამუშავებულია მომდევნო საუკუნეებში შექმნილ მატრიანეებსა და ქრონიკებში. ცნობილია ტოტემური მოთხრობები უნგრელთა წარმოშობის თაობაზე.

უნგრელი მწიგნობრები თავდაპირველად ლათინურ ენაზე წერდნენ. სახელმწიფოს შექმნამ, ქრისტიანობის მიღებამ და ფეოდალიზმის ფორმირებამ (XI ს.) ხელი შეუწყო მწიგნობრობის ჩასახვას ლათინურ ენაზე. ძველი, პრიმიტიული, წარმართული კულტურა თანდათან მივიწყებას მიეცა. ამ კულტურის კერებს თავდაპირველად სამონასტრო ცენტრები წარმოადგენდნენ. აქ აღმოცენდა პირველი სკოლები, გამოჩნდნენ კოდექსების შესანიშნავი გადაწერები, კალიგრაფები, განათლებული მწერლები.

უნგრეთის იმდროინდელი ლიტერატურული ცხოვრება კარგად არის ასახული ისტორიულ ქრონიკებში, რომლებიც ძვირფას მასალას შეიცავენ უნგრული მწერლობის საწყისების შესაცნობად. ამ პერიოდის წერილობითი ძეგლებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა XI საუკუნის მეორე ნახევარში (და არა როგორც აღნიშნულია ქართული ენციკლოპედიის X ტომში ("უნგრეთი", XI ლიტერატურა, რომ "უნგრელთა საქმენი" 1200 წელს ე. ი. XII საუკუნეში შეიქმნა, რაც საესებით არასწორად მიგვაჩნია) შექმნილი ქრონიკა (Gesta ungarorum) "უნგრელთა საქმენი", რამაც საფუძველი

დაუდო შემდგომ კრებულთა შექმნას უნგრეთისა და უნგრელთა ისტორიაზე, რომლებზე მუშაობაც სხვადასხვა ავტორების მიერ XIV საუკუნის მეორე ნახევარამდე გრძელდებოდა. 1358 წელს იქმნება ე. წ. დასურათებული მატრიანე, რომლის ავტორობა ლაიოშ-ის (დიდის) (1342-1382) ჟამთააღმწერელს და ისტორიკოსს მარკ კალტის (დაახლ. 1300-1358) მიეწერება. მან გააერთიანა და ქრონოლოგიური სიზუსტით ჩამოაყალიბა უნგრელთა ქრონიკა, რომელიც ამ სახით 1358 წლამდე არ არსებობდა. ლაიოშ-ის მამის რობერტ კაროს (1308-1348) დროს მარკ კალტი იყო სამეფო კარის კაპელანი, ხოლო ცოტა მოგვიანებით კი ქ. სიკემფევიპირვარის კანონიკად გვევლინება. მარკ კალტიმ განაახლა, გაასწორა და მწერლური ოსტატობით დახვეწა უნგრელთა ქრონიკა მეფე კალმანის (1095-1116) მმართველობის დროიდან 1280 წლამდე, ხოლო მომდევნო წლებში კი მეფე რობერტ კაროს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპოქაც დაუმატა.

1370 წელს მარკ კალტის მიერ შექმნილ მატრიანეს ილუსტრაციები (136 მინიატურა) დაურთო ლაიოშ-ის სამეფო კარის მხატვარმა მიკლოშ მედეშიმ და ამიტომაც ეწოდება მას დასურათებული.

1374 წელს კი მატრიანე საჩუქრად მიართვეს საფრანგეთის მეფე კარლ V-ს, ვინაიდან მისმა ვაჟმა ორლეანელმა პერცოგმა ჯვარი დაინერა ლაიოშ-ის ქალიშვილზე – კატალინაზე.

XI საუკუნის მეორე ნახევარში შექ-

მნილ "უნგრელთა საქმენის" ავტორად, უნგრული წყაროებით, მიჩნეულია უნგრეთის მეფის, ენდე-ის (1046-1061) კარის ეპისკოპოსი მიკლოში, და არა ანონიმი ავტორი, როგორც ეს ქართულ ენციკლოპედიაშია მითითებული (იხ. ტ. X, "უნგრეთი", XI, ლიტერატურა).

აქვე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შევნიშნოთ, რომ ქართული ენციკლოპედიის მე-10 ტომის XI ქვეთავში, გვ. 155, სახელწოდებით – ბექდვითი სიტყვა, რადიომანუწყებლობა, ტელევიზია – მცირე გაუგებრობას აქვს ადგილი, სადაც ვკითხულობთ, რომ უნგრეთში პირველი გაზეთი "მერკურიუს ჰუნგარიკუსი" გამოვიდა 1705 წელს. თარიღი ზუსტად არის მინიშნებული, მაგრამ, ჩვენი აზრით, მითითებული უნდა იყოს თუ რომელ ენაზე გამოვიდა ეს გაზეთი, უნგრულად თუ ლათინურად, რომ მკითხველს არ დარჩეს შთაბეჭდილება, თითქოს იგი უნგრულ ენაზე დაიბეჭდა. მერე არის მითითებული ვის მიერ დაარსდა, ვინ გამოსცა ეს გაზეთი. ვფიქრობთ, ამგვარ საკითხებს ყურადღება უნდა მიექცეს.

"მერკურიუს ჰუნგარიკუსი"-ს პირველი ნომერი დაბეჭდა 1705 წლის აპრილში ლათინურ ენაზე ანთალ ესტერპაზიმ. ვინ იყო ანთალ ესტერპაზი? საინტერესოა, რომელ წლამდე გამოდიოდა "მერკურიუს ჰუნგარიკუსი"? ხომ არ შეიცვალა ამ გაზეთის სახელწოდება რომელიმე სხვა სახელწოდებით?

ანთალ ესტერპაზი იყო კურუცთა¹

¹ სიტყვა კურუცი (Kurusi), – ე. ი. ჯვაროსნები წარმოსდგება ლათინური სიტყვა crus (ჯვარი)-დან, უნგრულში ამ სიტყვამ მიიღო ჯვრის მნიშვნელობა, როდესაც 1514 წელს გლეხებმა ძიორმ დოჟას (1475-1514) ხელმძღვანელობით, ჯვარი დაიკავეს რა ხელში თურქთა წინააღმდეგ საბრძოლველად, მოულოდნელად შემამულეთა ძალმომრეობის წინააღმდეგ გაილაშქრეს. ძიორმ დოჟა დამარცხდა და სიკვდილით დასაჯეს.)

გენერალი, ვინც გაზეთს "მერკურიუს პუნგარიუსი" უწოდა. ეს გაზეთი 1710 წლამდე გამოდიოდა. მოგვიანებით, ამ გაზეთმა ახალი სახელწოდება "მერკურიუს ვერიდიკუს ექს პუნგარია" ("სიმართლის მთქმელი უნგრული მერკურიუსი") მიიღო. 1705 წლის ჩათვლით "მერკურიუს პუნგარიუსი"-ს, ხოლო შემდგომში კი "მერკურიუს ვერიდიკუს ექს პუნგარია"-ს ექვსი ნომერილა შეიძლება ნახოს დაინტერესებულმა პირმა როგორც უნგრეთის, ასევე საზღვარგარეთის ბიბლიოთეკებსა და არქივებში. როგორც უკვე ვთქვით, ეს გაზეთი, რომელსაც ჯერ "მერკურიუს პუნგარიუსი", ხოლო მოგვიანებით კი "მერკურიუს ვერიდიკუს ექს პუნგარია" ეწოდა სათაურად, 1710 წლის ჩათვლით გამოდიოდა. ეს გაზეთი იყო კურუცთა განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეების გამომხატველი გაზეთი, რომლის დანარჩენი ნომრების მასალების შეგროვებასა და გამოცემას თვით ტრანსილვანიის თავადი ფერენც რაკოციი (1676-1735) ხელმძღვანელობდა.

XI საუკუნიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უკვე თანდათან იქმნება მდიდარი საეკლესიო ლიტერატურა ლათინურ ენაზე. ცნობილია ლეგენდები და პიმნები წმინდანად შერაცხულ უნგრელ დიდგვაროვანთა, საეკლესიო პირთა და მეფეთა შესახებ, რომლებიც როგორც ზემოთ დასახელებულ საუკუნეში, ასევე მომდევნო საუკუნეებშიც იწერება და ჩნდება. გარდა რელიგიური შინაარსისა, ამ ნაწარმოებებში საკმაოდ გამოკვეთილია რაინდული სულისკვეთებაც.

მატიასის (1458-1490) მეფობის დროს ჰუმანისტმა და თავისი დროის შესანიშნავმა ისტორიკოსმა იანოშ ტუროციმ (დაახლ. 1435-1490) შექმნა ახალი "უნგრელთა ქრონიკა", თუმცა

ისიც უნდა ითქვას, რომ მან XIV საუკუნის მეორე ნახევრამდე დანერგილი "უნგრელთა საქმენის" ცალკეული თავები შეასწორა და თავის შრომაში შეიტანა. 1488 წელს ქრონიკა სტამბური წესით გამოიცა. ტუროცი უნგრელების ნათესავ ხალხად ქართველებს მიიჩნევს, რომლებსაც სკვითებთან აიგივებს და უნგრელების წინარე სამშობლო სკვითიას თვლის. იგი საქართველოა ზღვისპირეთს (და არა მხოლოდ ტუროცი) სკვითიის ზღვისპირეთად მიიჩნევს (იხ. ლაიოშ ტარდი, კავკასიური უნგრული სარკე, ბუდაპეშტი, 1988, გვ. 92-94, უნგრულ ენაზე).

XI-XII საუკუნეების უნგრულ ენაზე შექმნილი ტექსტები ჩვენთვის უცნობია და არც არის შემონახული. ამ პერიოდის მხოლოდ ზოგიერთ დოკუმენტში თუ გვხვდება ცალკეული უნგრული სიტყვები და გამოთქმები. ამ სახის დოკუმენტებს მიეკუთვნება, მაგალითად, ტიჰონის სააბატოს დაარსების სიგელი. სააბატოს კრიპტში დაკრძალულია ენდე I მან 1055 წელს დააარსა ტიჰონის სააბატო. სააბატოს დაარსების სამეფო სიგელი შედგენილია ეპისკოპოს მიკლოშის მიერ ლათინურ ენაზე, რომელშიც დაახლოებით 100 უნგრული სიტყვა გვხვდება.

მიუხედავად იმისა, რომ უნგრეთის სამეფოს ოფიციალურ ენად XVI საუკუნემდე მიჩნეული იყო ლათინური ენა, ეროვნულ ენაზე, მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც იქმნებოდა თარგმნილი თუ ორიგინალური ლიტერატურული ძეგლები. უნგრელი ისტორიკოსების მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ უნგრეთის მეფე ბელა III-ის (1172-1196) მმართველობის დროს ბერძნულიდან უნგრულ ენაზე ითარგმნა ბიზანტიური რომანი "ალექსანდრია", ხოლო რომანი ტრელთა ომის შესახებ თარგმნილ იქნა



ლათინური ორიგინალიდან XIII საუკუნის დასაწყისში. ამ თარგმანთა ტექსტები დაკარგულად ითვლება. უნგრულ ენაზე შექმნილი ცნობილი ტექსტებიდან შემონახულია ყველაზე ძველი ლიტერატურული ძეგლის პირველი მთლიანი ტექსტი – "საფლავზე წარმოთქმული სიტყვა", ლათინური ლოცვა თარგმნილი უნგრულ ენაზე 1192-1203 წლებში უნგრელი მღვდლის მიერ, რომლის სახელიც უცნობია და შემდგომი კვლევის საგანს წარმოადგენს. პირველი უნგრული საეკლესიო ლექსი "მარიამის მოთქმა" ეროვნულ ენაზე 1300 წელს შეიქმნა. ეს ნაწარმოები თუმცა რელიგიური პოეტური ქმნილებაა, მაგრამ მასში ნათლად იგრძნობა საერო ლიტერატურის განწყობილება და ხალხური ზეპირსიტყვიერების გავლენა. XIV საუკუნიდან შემონახულია უნგრულ ენაზე გადმოთარგმნილი ლეგენდები და ცხოვრებანი. საინტერესოა XII-XIV საუკუნეებში შექმნილი ლათინურ-უნგრული მინიატურული ლექსიკონები.

XIII-XIV საუკუნეებში ლათინურ ენაზევე იქმნებოდა უნგრულ წმინდანთა ცხოვრებანი, მათ სახელთან დაკავშირებული ჰიმნები და ლეგენდები. ამავე პერიოდში ლათინურიდან თარგმნის მეშვეობით უნგრულ ენაზე შეიქმნა პირველი წერილობითი ლიტერატურული ძეგლები. XV საუკუნეში პუსიტთა მოძრაობამ მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა უნგრული რენესანსის განვითარებაზე. დაახლოებით 1430 წელს პუსიტმა მქადაგებლებმა ტომაშმა და ბალინტმა უნგრულად თარგმნეს ბიბლია. თარგმნიდნენ ბენედიქტელთა და ფრანცისკელთა მონასტრებში, რომლებიც ქრისტიანული კულტურის კერებად იქცა. ლიტერატურა ძირითადად მაინც ლათინურ ენაზე ვითარდებოდა.

მატიასის (1458-1490) მეფობის ხანაში, ცნობილია პოეტი და პუმანისტი იანუს პანონიუსი იგივე იანოშ ჩეზმიცი (1434-1472), ვინც შეიძლება მივიჩნიოთ პირველ დიდ უნგრულ პოეტად, ის რენესანსის ეპოქაში ცხოვრობდა და ლათინურ ენაზე წერდა. დიდი აღიარება ჰქონდა მის ეპიგრამებს. იგი პირველი დიდი უნგრელი ლირიკოსია. 1953 წელს ბუდაპეშტში გამომცემლობა "მხატვრულმა ლიტერატურამ" გამოსცა იანოს პანონიუსის "რჩეული ლექსები".

XVI საუკუნის პირველ ნახევარში, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, ჩნდება ორიგინალური სიმღერები უნგრულ ენაზე; ისინი იმდროინდელი მოვლენებისადმი არიან მიძღვნილნი.

უნგრული ენის ისტორიაში დიდმნიშვნელოვანი როლი ითამაშა რეფორმაციამ; დასაბამი მიეცა ნიგნის ბეჭდვას მშობლიურ ენაზე. პირველი სტამბა, სადაც ნიგნები უნგრულ ენაზე იბეჭდებოდა, დაარსებულ იქნა შარვარში 1537 წელს. სწორედ აქ დაიბეჭდა პირველი ნიგნი 1539 წელს. ეს იყო ახალი აღთქმის თარგმანი, რომელიც შესრულებულ იქნა ნიდერლანდელი პუმანისტის, თეოლოგის, ფილოსოფოსის, მწერლისა და მთარგმნელის გერჰარდ გერჰარდსის – იგივე ერაზმ როტერდამელის (1466-1536) – კრიტიკული ტექსტის საფუძველზე. თარგმანი მოამზადა იანოშ სილვესტერმა. ბიბლიის ახალი სრულყოფილი თარგმანი 1590 წელს განახორციელა გაშპარ კაროიმ (1530-1591). უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიის ამ თარგმანმა გარკვეული როლი ითამაშა ერთიანი უნგრული ენის ჩამოყალიბებაში. განვითარდა ეროვნული დრამატურგია, რომელმაც ხელი შეუწყო უნგრული ენის ფორმირებას.



იმდროინდელი გამოჩენილი მწერლები არიან აგრეთვე: გაშპარ ჰელტი (1490-1574) (გადაამუშავა ეზოპეს არაკები და შექმნა უნგრული მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები), იანოშ სილვესტერი (შექმნა პირველი უნგრული გრამატიკა). ჰელტი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც შეეცადა, ჩამოყალიბებული სახით გადმოეცა უნგრეთის ისტორია უნგრულ ენაზე, რაც იგრძნობა კიდევ მისი სიკვდილის მერე გამოცემულ შრომაში "უნგრელთა საქმენი".

აქვე გვინდა კიდევ ერთხელ შევნიშნოთ, რომ XVI საუკუნიდან (უნგრული მწერლობა უკვე სულ მთლად მშობლიურ ენაზე ვითარდება. ამ ეპოქის უდიდესი პოეტი ბალინტ ბალაში (1554-1594). უნგრეთის აღორძინების პერიოდის ცნობილი პოეტის ბ. ბალაშის ლირიკული შედეგები ჰუმანიზმის იდეებით იყო განმსჭვალული.

XVII საუკუნის ლიტერატურაში დამკვიდრდა ბაროკოს სტილი, რომლის ფუძემდებელი იყო ესტერგომის არქიეპისკოპოსი პ. პაზმანი (1570-1637), ხოლო მისი თვალსაჩინო წარმომადგენელი – პოეტი მ. ზრინი (1620-1664). ანტიპაბსტურგულმა აჯანყებამ XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში დიდი ზიძგი მისცა ზეპირსიტყვიერების განვითარებას. საერთოდ, მე-17 და მე-18 საუკუნეებში უნგრულმა ლიტერატურამ მოგვცა მთელი წყება შესანიშნავი მწერლებისა, რომლებმაც მაღალ საფეხურზე აიყვანეს უნგრული სალიტერატურო ენა.

XVIII საუკუნეში ქვეყნდება უნგრული ლექსიკონები, გრამატიკები, ნაშრომები უნგრული და ფინური ენების ნათესაობის საკითხებზე... მიჩნეულია, რომ უნგრული ენა ფინურ-უნგრულ ენათა ოჯახის უნგრულ ჯგუფს

განეკუთვნება. ეს ენებია: ფინური, ესტონური, ლაპლანდიური, მორდოვეული, უდმურტული, თვით უნგრული.

განსაკუთრებით საყურადღებოა მიკლოშ რევაის (1749-1807) გამოკვლევები. იგი ითვლება უნგრული ენათმეცნიერების ისტორიის მამამთავრად.

უნგრული ლიტერატურის ისტორიაში უკვალოდ არ ჩაუვლია განმანათლებლობას (XVIII საუკუნის ბოლო – XIX საუკუნის დასაწყისი), რომლის თვალსაჩინო წარმომადგენელია კლასიცისტი მწერალი დ. ბეშენიეი (1747-1811). მომდევნო თაობის წარმომადგენლებმა ი. ბაჩანიმ (1763-1845), ფ. კაზინციმ (1759-1831) და სხვა თავიანთ შემოქმედებაში ფართო პროპაგანდა გაუწიეს იაკობინელთა იდეებს. XIX საუკუნის 40-იან წლებში იოჟეფ კოტონას (1791-1830) ისტორიულმა დრამამ "ბანკ ბანი". ბანკ ბანი – ისტორიული დრამა. XII საუკუნეში ვოეოდა ბანკი აღსდგა ტირანის ნინაღმდეგ და მოკლა დედოფალი ჰერტრუდა 1213 წელს, რითიც მან შური იძია ხალხის მტრებზე.) ხელი შეუწყო უნგრული დრამატურგიის შემდგომ განვითარებას. ამ პერიოდში დამკვიდრდა რომანტიზმიც (იშტვან სიჩენი 1791-1860), კაროი კიშფალუდი (1788-1830) და სხვა. ისტორიული რომანისა და კრიტიკული რეალიზმის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი იოჟეფ ეოტვომის (1813-1871) (ცნობილი მწერალი, განმანათლებელი, სახელმწიფო მოღვაწე) შემოქმედებამ. უნგრულმა ლიტერატურამ თავისი განვითარების მწვერვალს მიაღწია პოეტ-რევოლუციონერის შანდორ პეტეფის (1832-1849) პოეზიამ.

რევოლუცია, როგორც უნგრეთის ეროვნული და საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემის გადაწყვეტა,



პირველად აისახა პეტეფის შემოქმედებაში. მისი პირველი ლექსი "მსმელი" გამოქვეყნდა 1842 წელს, ლექსთა კრებული კი 1844 წელს დაბეჭდა მ. ვერეშმარტის (1800-1855) დახმარებით. პეტეფი მალე მოექცა საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში, - მასზე დაობდნენ, მას ეკამათებოდნენ, იგი აღაფრთოვანებდა ყველას, ვინც კი გაეცნობოდა ამ ამბობებული სულის ხელოვანს. პეტეფიმ საყოველთაო აღიარება მოიპოვა და ბუდაპეშტის ლიტერატურული ცხოვრების ბელადი გახდა. მის შემოქმედებაში მძლავრად შემოიჭრა ხალხური ნაკადი, რომელიც საფუძვლად დაედო პოეტის რეალისტურ ლირიკას. შანდორ პეტეფი 1848 წლის რევოლუციის ერთ-ერთი ბელადი იყო. მისი სახელი მსოფლიო ლიტერატურაში დარჩა, როგორც რევოლუციური თავისუფლებისა და სიყვარულის მგზნებარე მომღერალი. პეტეფის ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე.

1973 წელს გამოქვეყნდა "მერანმა" გამოსცა შანდორ პეტეფის ლექსები ქართულად, რომლებიც თარგმნა გრიგოლ აბაშიძემ.

დიდი ეპიკოსი პოეტია პეტეფის მეგობარი იანოშ ორონი (1817-1882). მან ყურადღება მიიპყრო შესანიშნავი პოემით "ტოლდი", რომელშიც შაბსბურგ დამპყრობლებთან ბრძოლაში (1848-49) წწ., უნგრელი ხალხის დამარცხებაა აღწერილი და გამოხატულია ამ დამარცხებით გამოწვეული პოეტის გულსტკივილი. განმათავისუფლებელი ბრძოლის მარცხის შემდეგ ორონი სევდამ მოიცვა და მის ფილოსოფიურ ლირიკაში თავი იჩინა იმედის ვაცრუების განწყობილებამ. ორონი შემდეგ ქმნის შესანიშნავ ბალადებს. ცნობილია აგრეთვე მისი ლიტერატურათმცოდნეობითი შრომები და მაღალმ-

ხატვრული თარგმანები (არისტოფანე, შექსპირი, ბერნსი...).

პეტეფისა და ორონის გარდა, ფართო აღიარება მოიპოვა მიხაი ტომპოს (1817-1868) ლირიკულმა ნაწარმოებებმა, ელეგიებმა; პროზაში - ჟიგმონდ კემენის (1814-1875), მირ იოკაის (1825-1904) მხატვრულმა ქმნილებებმა. უნგრული დრამატურგია ახალ სიმაღლეზე აიყვანა იმრე მადაჩმა (1823-1864).

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ლირიკული პოეზიის გამოჩენილი წარმომადგენელია იანოშ ვაიდა (1827-1897). მის შემოქმედებაში პირველად იჩინა თავი მარტოობის მოტივებმა. ამავე მოტივებზეა აგებული ძიულა რევიცკის (1855-1889) პოეტური ნიმუშები. ამ ეპოქის პროზაიკოსთა შორის გამოირჩევა კალმან მიქსათი (1847-1910), რომლის მოთხრობებმა და ბალადებმა დიდი პოპულარობა მოიპოვეს. XIX საუკუნის მინურულია და XX საუკუნის დასაწყისის ცნობილი მწერლები იყვნენ: ე. პელტაი, შ. ბროდი, ზ. ამბრუში, ზ. ტური, ე. ბენედეკი, კ. პაპი, ლ. ორონი, ფ. მოლნარი და სხვა.

ახალი უნგრული ლიტერატურის ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჟურნალმა, რომელსაც ერქვა "კვირა". მისი რედაქტორი იყო პოეტი იოჟეფ კიში (1843-1921).

XX საუკუნის დასაწყისში პოპულარული იყო გ. გარდონის (1863-1922) ისტორიულ თემებზე შექმნილი რომანები, ფ. კარინთის (1888-1938) სატირული ნოველები, ფ. მორიცი (1879-1942), ენე პელტაის (1871-1957), ძ. კრუდის (1878-1933) შემოქმედებაში აისახა ქალაქური ყოფის სურათები. XX საუკუნის უნგრული ლიტერატურის განვითარებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინეს ჟურნალ "ნიუგოტმა" 1908-41, რაც ქართულად დასავლეთს



ნიშნავს და ამ ყურნალის ირგვლივ შემოკრებილმა მწერლებმა: მ. ბაბიჩი (1883-1941), დ. კოსტოლანი (1885-1936), ა. კომიატი (1893-1937), ლ. ნოდი (1883-1954), გ. მორიცი (1878-1942), ფ. მორა (1879-1934) და სხვა.

აღსანიშნავია ლიტერატურულ-პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც სათავეს იღებს ოციანი წლებიდან ("ხალხური მწერლები"). ამ მოძრაობის პირველი იდეოლოგი იყო ნიჭიერი, მაგრამ ხშირად გზაბნეული მწერალი დეჟო საბო (1879-1945), მისი პროზა უკიდურესი ექსპრესიონიზმის ნიმუშია. "ხალხური მწერლების" ფრთის წარმომადგენლები განსაკუთრებით ამახვილებდნენ ყურადღებას გლეხობისადმი. ზოგი მათგანი ორმოციან წლებში ფაშიზმს მიემხრო.

ახალი დროის ყველაზე დიდი უნგრელი პოეტია ატილა იოჟეფი (1905-1937), რომელიც მიჩნეულია პეტეფისა და ადის ტრადიციების გამგრძელებლად. ასევე თვალსაჩინო ფიგურაა მიკლოშ რადნოტი (1909-1944), რომელიც ფაშისტებმა იმსხვერპლეს. გერმანელმა და უნგრელმა ფაშისტებმა იმსხვერპლეს აგრეთვე შესანიშნავი მწერლები: კარო პაპი (1897-1945), ენდე გელერი (1907-1945), ანთალ სერბი (1901-1945) და სხვა. ძალზე საინტერესო და თავისებური პოეტია ლორინც საბო (1900-1957). ცნობილია მისი ბრწყინვალე თარგმანები (ბოდლერი, ომარ ხაიამი, შექსპირი, გოეთე...). ასევე ცნობილი მწერლები არიან: ფ. კარიკაში, შ. გერგეი, ი. ლენდელი, ლ. კაშაკი, მ. ფიუშტი, იოჟ ენიო ტერშანსკი, ტ. დერი, მაგდა საბო, იშტვან საბო, პალ საბო, გეზა ჩატი და სხვა.

შესანიშნავი პოეტები არიან: ძიუ-

ლა იიეში (1902), იოჟეფ დარვაში (1912), შანდორ ვოროში (1913), იშტვან ვაში (1910), ლ. ბენიამინი (1915) და სხვ.

ორიოდე სიტყვით გვინდა აქვე დაეძინოთ, რომ თანადროული უნგრული ლიტერატურა ცდილობს არ დაკარგოს საკუთარი ტრადიციები, შეინარჩუნოს ის თავისებურება, ინდივიდუალობა, რომლებიც მას განასხვავებენ სხვა ლიტერატურებისგან, შეინარჩუნოს იმგვარად, რომ მისი ეროვნული ხასიათი ვეზირად არ იქცეს, თავისებურად ამდიდრებდეს მთელ ევროპრიობას, იყოს უცხოც და თავისიც, ახალიც და ძველიც, ტრადიციულიც და თანადროულიც, თანადროულიც და კლასიკურიც. აი, სწორედ ასეთი სინთეზისკენ მისწრაფება არის დამახასიათებელი უნგრელი მწერლებისთვის. უნგრული მწერლობა არ არის იზოლირებული, ის მუდმივ მოძრაობაშია და სრულყოფისკენ ისწრაფვის.

დღეს ორი ერის – უნგრელებისა და ქართველების მრავალი ლიტერატურული ნაწარმოებია თარგმნილი ერთმანეთის ენებზე. უნგრეთთან კარგა ხანია, დამყარე ბუღია მეგობრული და ლიტერატურული ურთიერთობა.

საინტერესოა, რომ მატიაშ მეფის კანცლერი, ესტერგომის არქივისკოპოსი, კარდინალი იანოშ ვიტეზი (დაახლ. 1408-1472) ცდილობდა დამეყარებინა მჭიდრო კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა საქართველოსთან, მაგრამ მისი ეს ჩანაფიქრი მაშინ განუხორციელებელი დარჩა: იგი უნგრელ და ქართველ მეფეთა მცდელობით მომდევნო საუკუნეებში დაგვირგვინდა კეთილად.



სინამდვილესა და ოცნებას შორის

დინო ბუცატის შემოქმედებითი პორტრეტი

XX საუკუნის დიდი იტალიელი პოეტი, 1975 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი, ეუჯენიო მონტალე (1896-1981), წერდა: "როდესაც პირველად ვნახე დინო ბუცატი - ეს დაახლოებით 1947 წელს იყო - უკვე გულითადად ვმეგობრობდი "მთიელი ბარნაბოს" ყვავესა და "თათრების უდაბნოს" ანტიგმირთან, ახალგაზრდა ოფიცერ ჯოვანი დროგოსთან. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ხშირად ახსენებდნენ კაფკას სახელს და მაინტერესებდა, პიროვნება-ავტორის მიღმა რა პიროვნება-ადამიანი იმალებოდა. არ გამცრუებია იმედი, არც კმაყოფილება მიგრძენია და არც განცვიფრებულეარ. არაფერი ჰქონდა არტისტული, არც - ექსცენტრული [...]. ბუცატი ნამდვილი ჯენტლმენი იყო, სასიამოვნო, მაგრამ - მეტისმეტად ექსპანსიური, გულმოდგინე ფურნალისტი, ალბათ, თავის საქმეზე შეყვარებული, უაღრესად სასიამოვნო მარტოსული, საკმაოდ კარგად ეწყობოდა თავის თავსა და ცხოვრებას" (გაზ. "Corriere della sera", Anno 97, n. 24, Milano, 1972 წ. 29 იანვარი, გვ. 3).

იმ მაღალფარდოვანი ტონის საპირისპიროდ, რომელსაც ხშირად მიმართავენ დინო ბუცატიზე მსჯელობისას, დიდი პოეტი უბრალოდ და შეუმცდა-

რად ახასიათებს კოლეგას, მწერალს, რომლის ლიტერატურული არჩევანიც ერთგვარ პარადოქსად აღიქმება თანამედროვე იტალიური ლიტერატურის ისტორიაში. ბუცატი აბსოლუტურად გულგრილი დარჩა ლიტერატურული მოდის მიმართ, არასოდეს უღალატია იმ თემატიკისა და სტილისათვის, რომელსაც ვირტუოზულად ფლობდა, თავაზიანად, მაგრამ გადაჭრით ამბობდა უარს, დაფიქრებულიყო წერის პროცესზე, თხრობის ბუნებასა და მიზანზე, შემოქმედის სოციალურ ფუნქციაზე. სწორედ ამიტომ, კრიტიკოსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი მხრივ, ენაწყლიანად, სიამოვნებით საუბრობდა თავის ნაწარმოებებზე, თავაზიანად იძლეოდა ინტერვიუებს იმ ფურნალისტივით, რომელმაც იცის, როგორ შეუქმნას კოლეგას მუშაობის საუკეთესო პირობები, არ უარყოფდა კრიტიკოსების მიერ მისთვის მიკუთვნებულ ნაირ-ნაირ ეტიკეტებს (ერთადერთს - მის გოლგოთად ქცეულ კაფკას ეპიგონის იარლიყს ვერ ეგუებოდა); მეორე მხრივ, კი აინუნში არ აგდებდა ლიტერატურულ კრიტიკას, ყურს არ იბერტყავდა იმაზე, ეგზისტენციალისტიად თუ ქრისტიანად (ან ერთდროულად ეგზისტენციალისტიად და ქრისტიანად), საერო თუ რელიგი-

ურ პიროვნებად, მეომრად თუ ბურჟუადა მონათლავდნენ, თავშესაქცევი ჯენტლმენობით მალავდა თავის ამბიციებს.

ახლობლებს არ გამოჰპარვიათ მწერლის ხასიათის ორმხრივი ბუნება. მაგალითად, მისი მეგობარი და კოლეგა პოპულარული იტალიური გაზეთის, "კორიერე დელა სერას" (*Corriere della sera*), რედაქციიდან, ემილიო რადიუსი, იგონებდა: დინოს "ჰქონდა ლიტერატურული ამბიციაც და მოთმინებაც, იყო სულწასულიც და მოცდაც შეეძლო, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ სხვა მწერალთაგან დიდად განსხვავებული ფანტაზიის უნარი მიიყვანდა იქამდე, სადაც გადაწყვეტილი ჰქონდა მისვლა. სინამდვილეში არ იყო კრიტიკული, ქებას თავაზიანობად თვლიდა, კრიტიკას კი - წერილმან და დასავენყებელ უხეშობად" (გაზ. "Il Mondo", Anno 24, n. 6, Milano, 1972 წ. 11 თებერვალი, გვ. 21).

ბუცატი მისგან აღებული ინტერვიუებით იხატება როგორც ზრდილი, განონასწორებული პიროვნება, რომელსაც სურს, მკითხველთან კარგი ურთიერთობა ჰქონდეს. დათმობა სჩვევია, საშუალებას აძლევს ინტერვიურს, დაგვიხატოს იგი, როგორც პედანტი, მაღალი წრის ბურჟუა, ისეთი, რომელიც რადიკალურად უპირისპირდება მწერლის შესახებ ტრადიციულად დამკვიდრებულ კლიშეს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სწორედ ასე წარმოგვისახავს ბუცატის. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ მისი გარეგნული სახეა. ნამდვილი ბუცატი საძიებელია მისსავე გმირების ბობოქარ სულში, თავად მწერლის ბიოგრაფიაში, რომელიც იდუმალი ცხოვრებისეული ირონიითაა გაფლენთილი. კრიტიკოსებს ხშირად მოჰყავთ საქვეყნოდ ცნობილი სიტყვები,

რომლებიც მან პროზაიკოსისა და ესეისტის, გრაცია ლივისათვის, მიცემულ ინტერვიუში წარმოთქვა: "როცა ვწერ, ყველაზე მეტად ის მაფიქრებს, გული არ გაუწვრილო მკითხველს. ვეთანხმები ვოლტერს: დასაშვებია ლიტერატურის ყველა ჭანრი, გარდა მოსაწყენისა. ჩემი ამბიციიაა, გული აუწუყო და არ ვახარხარო... მართლაც, ზოგჯერ ლირიკულ რამე-რუმეებს ვწერ. შეიძლება, ზოგიერთებმა მითხრან, რომ სისულელეა, მაგრამ მე ეს, სწორედ რომ, ფეხებზე მკიდა" (გაზ. "Corriere della sera", Anno 97, n. 10, Milano, 1972 წ. 13 იანვარი, გვ. 12). ბუცატი მხოლოდ საკუთარ თავს აძლევდა უფლებას, თვითონ ყოფილიყო თავისი თავის მსაჯული.

დინო ბუცატის საქვეყნოდ გაუთქვა სახელი რომანმა "თათრების უდაბნო" (*Il deserto del Tartari*), რომელიც გამოცემლობა "რიკოლიმ" 1940 წელს დასტამბა, აგრეთვე, შვიდ წიგნად გამოცემულმა მშვენიერმა ნოველებმა: "შვიდნი მალემსრბოლნი" (მილანი, 1942), "შიში ლა სკალაში" (მილანი, 1949), "ბალივერნას ჩამონგრევა" (მილანი, 1954), "მაგიური ექსპერიმენტი. 18 მოთხრობა" (პადუა, 1958), "სამოცი მოთხრობა" (მილანი, 1958), "კოლომბრე და სხვა ორმოცდაათი მოთხრობა" (მილანი, 1966), "ძნელი ღამეები" (მილანი, 1971). მწერალმა სიცოცხლეშივე გამოსცა თავისი ნოველების რჩეული - "საიდუმლოების ფარდული" (მილანი, 1968), სიკვდილის შემდეგ კი დაისტამბა მისი ნოველების სრული ანთოლოგიაც - "180 მოთხრობა" (მილანი, 1982). 1960 წელს გამოვიდა რომანი "დიდი პორტრეტი" (მილანი), 1963 წელს კი - მწერლის ბოლო რომანი "ამბავი ერთი სიყვარულისა" (მილანი), სადაც, ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით, მწერალმა ხარკი გა-

დაუხადა თავისი დროის კონსუმისტურ ლიტერატურულ გემოვნებას, სინამდვილეში კი მხატვრულად გარდათქვა თავისი ცხოვრების გაუსაძლისი ტკივილებითა და თვითკრიტიკით აღსავსე ურთულესი პერიოდი, საიდანაც ხსნა, მისივე აღიარებით, შემოქმედებით პროცესში იპოვა.

მწერალი კიდევ ერთ ტალანტს ფლობდა: შესანიშნავი გრაფიკოსიც გახლდათ. შესრულებული აქვს მრავალი წიგნის ბრწყინვალე ილუსტრაციები. ბუცატის, როგორც მხატვრის, გემოვნება მის თავისებურ, ბავშვურ ხელწერაშიც აისახა. ძნელია, დაივიწყო, როგორ ახასიათებდა ხელოვანს ცნობილი ესეისტი და კრიტიკოსი, ჩეზარე გარბოლი. იგი წერდა: "გრაფოლოგი არა ვარ, მაგრამ ბუცატის კალიგრაფიის გაშიფვრა რომ მთხოვონ, ვიტყოდი, რომ იგი ქედმაღალი ადამიანია: უფემური, მარტოსული, გულჩათხრობილი, იოლად რომ შეიპყრობს აფორიაქება და ბავშვური ჭირვეულობა. ბავშვურად დაუხვეწავი, ველური ფანტაზიის პატრონია. ადამიანია, რომელსაც სწამს, რომ ის, რასაც განიცდის და ფიქრობს, გამოხატვის ღირსია (ეს არის მწერლის უპირველესი თვისება) [...]. რომ მკითხოხონ, რა ტიპის მწერალიაო, გავბედავდი და ვიტყოდი, რომ ზღაპრებს წერს. პროზაიკოსი რომ იყოს? რომანისტი? ეუპასუხებდი: მარტივი რომანების ავტორი, რომელიც მხოლოდ ერთ, უცებ გასაგებ იდეაზე წერს, საღი აზრი ამოძრავებს, ყველაფერს დანვრილებით გვიყვება, ზედმინწევნით იცავს მორალს [...]. მაგრამ ბუცატი შეფასებულია როგორც მეტაფიზიკოსი და სოურეალისტი მწერალი. ამდენად მე, როგორც გრაფოლოგს, დიდი ვერაფერი შვილი პერსპექტივა მქონია" (გაზ. "Il Mondo", Anno 24, n. 3, Milano, 1972 წ. 21 იანვარი, გვ.

16). სინამდვილეში, მთხრობელი ბუცატი ქრონიკოსსა და მეცნიერს შორის იდგა. ნაწარმოებს ცოვი, აზონიმური ობიექტურობით იწყებდა, მერე ერთ პრობლემას ირჩევდა და მიკროსკოპულად იკვლევდა.

დინო ბუცატი, ანუ დინო ბუცატი ტრავერსო, უახლესი იტალიური პროზის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. დაიბადა 1906 წლის 16 ოქტომბერს ჩრდილოეთ იტალიაში, დოლომიტების მთის ძირას, ქალაქ ბელუნოს მახლობლად, დაბა სან-პელეგრინოში. მისი მშობლები წარმოშობით ვენეციელები იყვნენ. დედა – ალბა – იტალიელი მწერლის, დინო მანტოვანის და იყო, მამა – ჯულიო ჩეზარე კი – მილანის ბოკონის სახელობისა და პავიის უნივერსიტეტების საერთაშორისო სამართლის კათედრების პროფესორი.

ბუცატების ოჯახი ზამთარს მილანში, წმინდა მარკოზის მოედნის მე-12 ნომერ სახლში ატარებდა. მოგვიანებით მწერლის შემოქმედებაში აისახა სწორედ მშობლიური ქალაქის სული, რომელთანაც განუყრელადაა შერწყმული სან-პელეგრინოს ხეობაში დანახული ჩრდილოური სამყაროს ხატება, როგორც შემოქმედის ყრმობისდროინდელ ყველაზე წარუშლელი შთაბეჭდილება.

1916 წელს მომავალი მწერალი მილანში ყველაზე პრესტიჟულ პარინის სახელობის გიმნაზიაში შეიყვანეს. აქ გაიცნო ჯოვანი მირა და არტურო ბრამბილა, შემდგომ ბეკარიას სახელობის კლასიკური ლიცეუმის ცნობილი პროფესორი და სიკვდილამდე დინოს განუყრელი მეგობარი. ცამეტი

წლის ასაკში შემთხვევით ჩაუვარდათ ხელში გაეტანო მასპეროს "ეგვიპტური ხელოვნების ისტორია" და ამით დაიწყო ეგვიპტოლოგიით გატაცება, რომელიც მათში "თითქმის ფიზიკურ ემოციებს" იწვევდა (*Dino Buzzati: un autoritratto, Dialoghi con Y. Panafieu* (Luglio-settembre 1971), Milano, Arnaldo Mondadori Editore, 1973, გვ. 27). სახელებიც ეგვიპტური დაირქვეს: არტურო არტურისი გახდა, დინო – დინოფისი. ასე შეუდგნენ ყმანელები პოემების წერას: არტურო – პორუსზე, დინო კი – ანუბისზე. ამ პერიოდშივე დაიწყო დინომ ედგარ პოსა და პოფმანის ნაწარმოებების კითხვა. მოგვიანებით, 1922 წელს, დინომ ეგვიპტური ენის შესწავლაც სცადა (იხ. 1922 წლის 7 ივლისს არტურო ბრამბილასადმი მიწერილი წერილი).

მომავალი მწერალი 14 წლისა მამით დაობლდა. მის შემდგომ ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა დედამ, აგრეთვე, გერმანელმა ძიძამ, რომელიც პატარა დინოს ზღაპრებსა და ლეგენდებს უყვებოდა, რისი კვალიც მწერლის მთელ შემოქმედებას გახედვს. ამავე პერიოდში დალაშქრა პირველად დოლომიტების მწვერვალები ძმა აუგუსტოსა და მეგობრებთან: ალესანდრო ბარტოლისთან, არტურო ბრამბილასა და ემილიო ძაქისთან ერთად. ერთ-ერთი ასეთი ლაშქრობა დეტალურადაა აღწერილი არტურო ბრამბილასადმი 1921 წლის 24 ივლისს მიწერილ ვრცელ წერილში. ბარტოლი "ჩემზე გაცილებით ყოჩაღი იყო", – იგონებდა მოგვიანებით მწერალი. – "თავისი თვისებებით, ნების-

ყოფითა და ფიზიკური მონაცემებით მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ალპინისტი დადგებოდა, 1928 წელს ერთ სულელურ უბედურ შემთხვევას რომ არ ემსხვერპლა". "თუ მონტე-როზას¹ მყინვარებზე ყოფნისას პომეროსზე ფიქრობდი – და სულაც არ მგონია, მწვალებლურ რამეს ვამბობდე – დარწმუნებული ვარ, პომეროსი ერთ საბრალო ვინმედ მოგეჭვენებოდა. და ამის მიზეზი საერთოდ არ არის ის, რომ განსაკუთრებულად გზიბლავს მთები. თუკი სკოლაში ბერძნულის გაკვეთილზე კროდებზე ფიქრობ, ისინი სასაცილო კი არა, პირიქით, უფრო დიდებული გეჩვენება, რადგანაც მიუწვდომლად შორს არიან", – წერდა დინო არტურო ბრამბილას 1923 წლის 30 სექტემბერს.

1920 წელს ბუცატი გაეცნო დოსტოვესკის შემოქმედებას, დეკემბერში კი დაასრულა რიტმული პროზაული ნაწარმოები "სიმღერა მთებს" (*La canzone alle montagne*), დაიწყო დღიურის წერაც, რაც მხოლოდ 1960-1970 წლებში შეწყვიტა.

1924 წელს დაამთავრა პარიზის სახელობის გიმნაზია, რომლის პედაგოგთაგან მხოლოდ ერთი, ცნობილი ლათინისტი, ლუიჯი კასტილიონი, შემორჩა მეხსიერებაში. ბუცატის გადამწყვეტილი ჰქონდა, სწავლა ლიტერატურისა და ფილოსოფიის ფაკულტეტზე გაეგრძელებინა, თუმცა, ბოლოს, წმინდა უტილიტარული მოსაზრებით, არჩევანი შეაჩერა მილანის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1928 წელს დაამთავრა. უნივერსიტეტში

¹ მონტე-როზა (იტალ. Monte Rosa) – მთების მასივი პენინის ალპებში, იტალიისა და შვეიცარიის საზღვარზე; მისი უმაღლესი მწვერვალი ზღვის დონიდან 4638 მ. სიმაღლეზე მდებარეობს.

სწავლის პერიოდში მწერალმა პელმო-
 დან დაწყებული ჩივეტას მწვერვალამ-
 დე ყველა პიკი დალაშქრა.

1926 წელს სავალდებულო სამხედ-
 რო სამსახურში გაიწვიეს. პარალელუ-
 რად მილანში იტალიის პროსპექტზე
 მდებარე ტეულიეს ოფიცერთა სკო-
 ლაში შევიდა. არტურო ბრამბილასად-
 მი 1926 წლის 8 სექტემბერს მიწერილ
 ბარათში დინო აღნიშნავდა: "ახლა ამ
 ერთგვარ ციხეში ვიმყოფები, სადაც
 ვალდებული ხარ, მუხლჩაუხრელად
 იმუშაო დილიდან საღამომდე. კატორ-
 ლელებივით საშინლად გვაცვივა და ერ-
 თთავად დასჯის შიშის ქვეშ ვიმყოფე-
 ბით. ასე რომ თოჯინები [როგორც წე-
 სი, ასე უწოდებდა ბუცატი გოგონებს
 - გ. შ.], მთები, მუსიკა, თავისუფლება
 ისე არაჩვეულებრივად ლამაზი ჩანს,
 რომ გვეგონება, აღარასოდეს გელირ-
 სება ისინი". სავალდებულო სამხედრო
 სამსახურიდან 1927 წლის 30 სექტემ-
 ბერს უმცროსი ლეიტენანტის ჩინით
 გავიდა.

1928 წლის 30 ოქტომბერს ბუცა-
 ტიმ წარადგინა და დაიცვა საუნივერ-
 სიტეტო სადიპლომო ნაშრომი, მანამ-
 დე კი რამდენიმე თვით ადრე, 9 ივ-
 ლისს, მუშაობა დაიწყო "კორიერე დე-
 ლა სერას" რედაქციაში, სადაც უამბი-
 ციოს, სიტყვათუნსს, მეთოდურსა და
 პუნქტუალურს კრიმინალური ქრონი-
 კა მიჰყავდა. მილანში სოლფერინოს
 ქუჩაზე ლამეებს ტეხდა წლების გან-
 მავლობაში ქანცგამოცლელ სარედაქ-
 ციო სამუშაოზე. მიუხედავად ამისა,
 გაზეთის რიგით მუშაკად დარჩა, ვიდ-
 რე ლიტერატურულმა ნაწარმოებებმა
 საყოველთაო აღიარება არ მოუტანა.
 ამავე წელს გაიცნო ბეატრიჩე (ბიბი)
 ჯაკომეტი, რომლის შესახებაც მწერა-

ლი დღიურში აღნიშნავს: "კვირას ბი-
 ბისთან ერთად საცეკვაოდ ვიყავი კამ-
 პარინოში. გული მეთანაღრება იმაზე,
 რომ დედაჩემს აშინებს ეს სიყვარუ-
 ლი".

1929 წელს გაზეთის მუსიკალური
 განყოფილების გამგის, გაეტანო ჩე-
 ზარის, მოადგილედ დაინიშნა. ამ
 დროიდან ესწრება ლა სკალას კონ-
 ცერტებსა და მცირე პროგრამებს. მი-
 უხედავად იმისა, რომ ბავშვობაში ვი-
 ოლინოსა და ფორტეპიანოზე დაკვრა
 ესწავლა, მაინცდამაინც დიდად გატა-
 ცებით არ ასრულებდა ამ საქმეს. რო-
 გორც არტურო ბრამბილასადმი მოგ-
 ვიანებით, 1930 წლის 13 იანვარს, მი-
 წერილი წერილიდან ვიგებთ, მუდამ
 ეშინოდა, რამე შეცდომა არ დაეშვა ლა
 სკალას მუსიკალური ქრონიკის გაშუ-
 ქებისას. ბიბის შესახებ კი 1929 წლის
 25 ივლისს მეგობარს უმხელდა: "ამას-
 თან, მიყვარს ეს მომაჯადოებელი თო-
 ჯინა და გაზეთში საკმაოდ მშვიდად
 ვმუშაობ". 1929 წლის 2 სექტემბრის
 წერილშიც ისევ ბიბიზე წერს: "ბ., რო-
 მელიც, სამწუხაროდ, უფრო და უფრო
 მეტად მიყვარს, ალეგებშია² ათიოდე
 დლით და ჩემთან ერთად იმგზავრა".

ამავე წელს უიღბლოდ დაიწყო დი-
 ნოს ლიტერატურული დებიუტი: გა-
 ზეთმა "დომენიკა დელ კორიერე"
 (Domenica del Corriere) დაიწუნა მისი
 მოთხრობა, რომელიც მწერლისათვის
 სანუკუვარი ედგარ პოს სტილში იყო
 დაწერილი.

1930 წლის 14 თებერვალს ბუცატი
 ლომბარდიის ყურნალისტთა ფაშის-
 ტურ პროფესიულ კავშირში ჩაენერა.
 ზაფხულში კი ორ ალპინისტურ კამპა-
 ნიაში მიიღო მონაწილეობა. სწორედ
 ამ პერიოდში ფიქრობდა პირველი რო-

² ალეგები (Alleghe) — ბელუნოს რაიონის ქალაქი ვენეტოს რეგიონში (იტალია).

მანის ქარგაზე, რომლის შესახებაც დღიურში ჩაინიშნა: "მთიელი ბარნაბოს თავგადასავალზე ვფიქრობ, რომელიც, სადაცაა, დაინერება. აი, ჯერ გზა, რომელიც აღმა ხეობისკენ მიდის, აი, სალამო და ახალგაზრდა ბარნაბოს დაღლილობა; უმჯობესია, საზღვარს იქით გადავიდეთ – ღამით შორეული ცეცხლი, შვიდი ობერტონის ხმა. მაღალ სახლში ცხოვრება, ნადირობა, დატყვევებული ყორანი, ქარიშხალი და აღწერა იმისა, რაც მოხდა. დენთის საწყობთან დარაჯობა, მოქუფრული დღის მეორე ნახევარი და მთის უკანასკნელი ბებერი სულელები გაქრნენ".

1930 წლიდან თანამშრომლობა დაიწყო მილანის პროვინციის ფაშისტური ფედერაციის ყოველკვირეულ გამოცემასთან – "ილ პოპოლო დი ლომბარდია" (Il Popolo di Lombardia), სადაც აქვეყნებდა სტატიებს მუსიკალური ქრონიკის შესახებ და ილუსტრაციებს. ხანგრძლივმა ჟურნალისტურმა საქმიანობამ თვალსაწიერი გაუფართოვა, ჩამოუყალიბა მკაფიო და მოქნილი ლიტერატურული სტილი. ამის გამოა, რომ იგი, ერთი მხრივ, როგორც ჟურნალისტი, ხშირად ბელეტრისტკამდე მალღდება, მეორე მხრივ კი, როგორც მწერალი, თითქმის ჟურნალიზმამდე გამჭვირვალე ენას მიმართავს.

1932 წლის 13 აპრილს პერიტიონიტის შეტევით მოულოდნელად გარდაიცვალა ბეატრიჩე ჯაკომეტი, რამაც ძალიან მძიმედ იმოქმედა მწერალზე.

ამავე წელს "მთიელი ბარნაბოს" ხელნაწერი წააკითხა "კორიერე დელა სერას" ქრონიკორს, ჩირო პოჯალის, რომელიც დაჰპირდა, გამოცემულს გიშოვიო.

1933 წლიდან "კორიერე დელა სერას" რედაქციაში ემილიო რადიუსთან ერთად მიანდგეს რუბრიკა "პროვინციებიდან", რომელიც 1939 წლამდე

მიჰყავს. იგი 1964 წელს ასე იგონებდა: "კვირას სალამოს, როდესაც რედაქციაში მოვდიოდით, სასონარმკვეთი სანახაობა გველოდა: იტალიის ყოველი კუთხიდან მოსული ფურცლების, გადაბეჭდილი ტექსტების, ტელეგრამების გიგანტური სვეტები გვხვდებოდა. 95 პროცენტი ცერემონიული იყო: შეკრებები, დღესასწაულები, საზეიმო გახსნები, ზეიმები, ვიზიტები, იერარქთა სიტყვები; და ყველა მათგანი უცვლელად მთავრდებოდა მონაჩში მისალმებებით "დუჩეს" მისამართით [...]. ჩვენ, რედაქტორებს, ეს, როგორც წესი, გაჭიანურებული და გულისამრევი წერილები, ახალ ამბებად უნდა გაგვეცოცხლებინა, მიგვეცა მათთვის ელემენტარული ადამიანური შინაარსი და ფორმა. ერთობ უზარმაზარი სამუშაო იყო, რის გამოც თავი ბურთივით გვებერებოდა და, ქანცგანწყვეტილები შინ დილის ხუთ საათზე მივდიოდით [...]" (ვაზ. "Corriere della sera", Anno 89, n. 267, Milano, 1964 წ. 21 ნოემბერი, გვ. 5).

ამ სამუშაოს შესრულებაში დიდად ეხმარებოდა ემილიო რადიუსი, რომელიც დინოს ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი გახდა. ამავე წელს, იმდროინდელმა უაღრესად პრესტიჟულმა გამოცემლობა "ტრევესმა", დასტამბა მისი რომანი "მთიელი ბარნაბო" (Barnabo delle montagne), თავად ბუცატი კი გაზეთის დავალებით პალესტინაში გაემგზავრა და გზად საბერძნეთში, სირიასა და ლიბანში შეჩერდა.

1934 წლის დასაწყისში პირველად წააკითხა კაფკა და ორი წლის მუშაობის შემდეგ დაასრულა რომანი "ძველი ტყის საიდუმლო" (Il segreto del bosco vecchio).

1935 წელს ბუცატი გამწვავებული მასტიოდით საავადმყოფოში დაანვინეს. სწორედ აქ ნანახი და განცდი-

ლი დაედო საფუძვლად მოთხრობას "შვიდი სართული". ამავე წლიდან, "კორიერე დელა სერას" რედაქციაში მუშაობდა, პარალელურად, 1936 წლამდე ამ გაზეთის ყოველთვიურ ლიტერატურულ დამატებას, ყურნალ "ლა ლეტურას" (La Lettura) ხელმძღვანელობდა. სწორედ აქ დაიბეჭდა მწერლის სხვადასხვა საუკეთესო მოთხრობა. ამავე წელს გამოცემილია ტრევესმა დასტამბა მისი ახალი რომანი "ძველი ტყის საიდუმლო" (Il segreto del bosco vecchio), ამავე წელს თავისი სიძის, ეპე რამაცოტისათვის, დაწერა "ჩიუხების წიგნი" (Il libro delle pippe), რომელიც ათიოდე წლის შემდეგ მწერლისავე უნიკალური ილუსტრაციებით გამოიცა.

ბუცატიმ 1939 წლის იანვარში არტურო ბრამბილას გადასცა ახალი რომანის, "თათრების უდაბნოს" (Il deserto dei Tartari), ხელნაწერი გამომცემელ ლეო ლონგანეზისათვის შესათავაზებლად. ლონგანეზი იმხანად გამომცემლობა "რიცოლის" ახალ სერიალს, "მუხების დივანს", ამზადებდა, რომელშიც განზრახული ჰქონდა, თავი მოეყარა "იტალიური და საზღვარგარეთული ლიტერატურის ყველაზე ორიგინალური ნაწარმოებებისათვის, დიდებულ და უბადრუკ ადამიანთა ისტორიისათვის, გუშინდელი და დღევანდელი დღის ფაქტებისათვის". გამომცემელმა მიიღო ხელნაწერი, მაგრამ სთხოვა მწერალს, შეეცვალა რომანის თავდაპირველი სათაური "ციხესიმაგრე" (La fortezza), რადგანაც ამ სათაურში, შესაძლო იყო, უკვე კარს მომდგარ ომზე მინიშნება დაენახათ. რამდენიმე თვის შემდეგ, 12 აპრილს, ნეაპოლიდან ადის-აბეზაში გაემგზავრა, როგორც სპეციალური კორესპონდენტი, და ეთიოპიაში ერთი წელი დაყო. წერილით "ჯიბუტი ლეტარგიაში"

(Gibuti in letargo) "კორიერეს" ფურცლებზე (გაზ. "Corriere della sera", Anno 64, n. 108, Milano, 1939 წ. 7 მაისი, გვ. 3) იწყება მისი აფრიკული კორესპონდენციების სერიალის გამოქვეყნება.

1940 წელს მწერალი ტიფით დაავადდა და მცირე ხნით იტალიაში დაბრუნდა სამკურნალოდ, 6 ივნისს უკვე მზად იყო ეთიოპიაში ხელახლა გასამგზავრებლად, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთთან გართულებული ურთიერთობების გამო ამ დროისათვის ნაოსნობა შეწყვეტილი იყო, მართლაც, ოთხიოდე დღის შემდეგ, 10 ივნისს, მუსოლინიმ რომში ომი გამოუცხადა საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს, რითაც იტალია მეორე მსოფლიო ომში ჩაება.

ასე მოხვედა დინო ბუცატი ომში, როგორც სამხედრო კორესპონდენტი, თავდაპირველად - ხმელთაშუა ზღვის ოპერაციებში, 27 ნოემბერს კი გემ "ტრიესტე"-სთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდა ტეულადას კონცხთან ბრძოლაში. ამ ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე, ჯორჯო დისერა ბრავადინი, იგონებს: ბუცატი მეზრძოლი მეზღვაური არ იყო, მიუხედავად ამისა, ფეხს არ იცვლიდა თავისი ადგილიდან, არ კარგავდა სიმშვიდესა და სიმზნეს.

მწერალი 1940 წლის 16 თებერვალს გაგზავნილ წერილში სთხოვდა არტურო ბრამბილას, "თათრების უდაბნოს" კორექტურა წაიკითხე და, თუ რამე უზუსტობას შენიშნავ, თავისუფლად შემისწორეო. ასევე, სთხოვდა, დიალოგებში თქვენობით მიმართვისათვის გამოყენებული მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის ფორმები, ფაქტობრივი რეჟიმის მიერ შემოღებული სტილის თანახმად, მრავლობითი რიცხვის მეორე პირად გადაეკეთებინა. ასე გამოდის რომანი, რომელიც

უმალვე იყიდება. კრიტიკოსი პიეტრო პანკრაცი მას აფასებს, როგორც "ბოლო წლების ერთ-ერთ ყველაზე თავისებურ რომანს", თუმცა, იქვე, მისი აზრით, ზოგიერთ ნაკლოვანებაზეც მიუთითებს (გაზ. "Corriere della sera", Anno 65, n. 185, Milano, 1940 წ. 2 აგვისტო, გვ. 3), 3 აგვისტოს კი ბუცატი კმაყოფილებით წერს ნეაპოლიდან ბრამბილას: "ნახე პანკრაციის სტატია? რაც არ უნდა იყოს, დიდი პატივია. მან ბევრი ძალიან სასიამოვნო რამ თქვა ჩემ შესახებ". მწერალი თავს ანებებს "რიცოლისთან" თანამშრომლობას და მომავალი ნაწარმოებების გამოსაქვეყნებლად კონტრაქტს გამომცემლობა "მონდადორისთან" აფორმებს.

1941 წლის 27-29 მარტს ბუცატი კიდევ ერთ საზღვაო ბრძოლაში მონაწილეობს, ამჯერად სამხრეთ პელოპონესში, მატაპანის კონცხთან. 28 მარტს ინგლისელებმა იტალიის კრეისერი "პოლა" ჩაძირეს და ბუცატი შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს. რამდენიმე თვის შემდეგ, 17 დეკემბერს, სირტესთან პირველ ბრძოლაში ვხედავთ.

1942 წლის დასაწყისში სიცილიაში, ქალაქ მესინაში მიემგზავრება, სადაც საზღვაო ფლოტის სამინისტროს ხელმძღვანელობის დავალებით მუშაობას იწყებს ნიგნზე, რომლის სათაური დაახლოებით ასეთი უნდა ყოფილიყო: "ჩვენი საზღვაო ომის ამჟამინდელი მდგომარეობა", მაგრამ, როგორც ჩანს, ნიგნს დასრულება არ ეწერა. 22 მარტს ბუცატი მონაწილეობს სირტესთან მეორე ბრძოლაში. "გორიციას" გემბანიდან თვალს ადევნებს საომარ ოპერაციებს და აღწერს მათ ვრცელ სტატიაში – "ქარიშხალმა იხსნა ინგლისელები სირტესთან მეორე ბრძოლაში" (გაზ. "Il nuovo Corriere della sera", Anno 72, n. 83, Milano, 1947 წ.

6 აპრილი, გვ. 3). წლების შემდეგ კი აცხადებს, რომ თავიდან ბოლომდე იზიარებდა ადმირალ ანჯელო იაკინოს საბრძოლო სტრატეგიას და, როგორც თვითმხილველს, ინგლისელი მწერლის, ფორესტერის, მაღალმხატვრული რომანი "კრეისერი" ისტორიული თვალსაზრისით აბსოლუტურ სიყალბედ მიაჩნდა (გაზ. "Corriere della sera", Anno 78, n. 81, Milano, 1953 წ. 4 აპრილი, გვ. 3). აგვისტოში მილანში იძახებენ.

მესინაში გაიცნო მწერალმა ქალბატონი კ. მ., რომელთანაც ხანგრძლივი და სირთულეებით აღსავსე ურთიერთობა წამოიწყო. "მაგრამ საბრალოა ჩემი მდგომარეობა: მიყვარს ქალი, რომელსაც – ასე მგონია, სერიოზულად – საკმარისად არ ვუყვარვარ და, ამავე დროს, ამ ურთიერთობისგან მომავალში სიმწარის, სიშორის, ეჭვებისა და მისთანების გარდა, არაფრის იმედი არ უნდა მქონდეს", – წერდა ბუცატი 1942 წლის 29 აგვისტოს ბრამბილას. ომის დასასრულს მწერალმა მოძებნა ეს ქალი და მეგობრების, ცნობილი იტალიელი ჟურნალისტის, იდრო მონტანელისა და სილვიო ნეგროს დახმარებით მილანში გადმოიყვანა.

1942 წელს დაიბეჭდა ნოველების კრებული "შვიდნი მალემსრბოლნი" და რომანის, "თათრების უდაბნო", პირველი უცხოური თარგმანი გერმანულ ენაზე.

1943 წლის 25 ივლისს იტალიაში ფაშისტური რეჟიმის დამხობამ მრავალი ცვლილება გამოიწვია "კორიერს" რედაქციაში. მთავარი რედაქტორი აღდო ბორელი იმავე დღეს შეცვალა ეტორე იანიმ, რომლის ადგილი 9 სექტემბერს, გერმანელების ოკუპაციის შემდეგ, მათი პოზიციების გამომხატველმა ერმანო ამიკუჩიმ დაიკავა. აგ-

ვისტოს ბოლოს ბუცატი ფლოტიდან როგორც სამხედრო კორესპონდენტი წავიდა: მისი უკანასკნელი სტატია "კაპელანს ილბალი მოაქვს" (გაზ. "Corriere della sera", Anno 68, n. 189, Milano, 1943 წ. 8 აგვისტო, გვ. 3) 8 აგვისტოთია დათარიღებული. მწერალი მილანში დაბრუნდა და "კორიერეში" თავის ძველ საქმიანობას დაუბრუნდა. იდრო მონტანელი იგონებს: "8 სექტემბერს ბუცატი აიძულეს, რედაქციაში დარჩენილიყო და ბუცატიც დარჩა", მისმა მრავალმა მეგობარმა კი მიატოვა გაზეთი. სულ უფრო და უფრო იშვიათად ბეჭდვდა წერილებს, რომელთა მხოლოდ ერთი ნაწილი შემდგომში ხელახლა გამოაქვეყნა.

1945 წელს 7 იანვრიდან 29 აპრილამდე "კორიერე დეი პიკოლიში" (Corriere dei piccoli) იბეჭდებოდა ბუცატის ახალი რომანი "დათვების ცნობილი შემოსევა" (La famosa invasione degli orsi), რომელსაც მწერლის უნიკალური ფერადი ილუსტრაციები ერთვის. რომანი სრული სახით ცალკე წიგნად გამოიცა სათაურით: "დათვების ცნობილი შემოსევა სიცილიაში" (La famosa invasione degli orsi in Sicilia, მილანი, გამომცემლობა "რიცოლი", 1945).

"კორიერესთან" თანამშრომლობა ბუცატიმ შეწყვიტა, მაგრამ 25 აპრილს გაზეთის ახალმა მთავარმა რედაქტორმა მარियो ბორსამ იგი ხელახლა მოიწვია. "შინ იყო, თითქოსდა, არაფერი ხდებოდა. დედამისთან ერთად ვაბშობოდა. ვუთხარი, მოდი-მეთქი. წარბიც არ შეუხრია, არც უკითხავს, რატომ არ დაიცვეს ამ ერთადერთ შემთხვევაში კოლაბორაციონისტების შერისხვის პრინციპი. ისიც ველოსიპედით მოვიდა", - იხსენებს გაეტანო აფელტრა. სწორედ იმ დღეს ბუცატი წერს განთავისუფლებული მილანის ქრონიკებს, რომელიც მეორე დღეს

გაზეთში პირველ გვერდზე იბეჭდება სათაურით "ლირსასხსოვარი დღეების ქრონიკა" (გაზ. "Il nuovo Corriere della sera", Anno 1, n. 1, Milano, 1945 წ. 26 აპრილი, გვ. 1).

პარალელურად ბუცატი გაეტანო აფელტრასთან, ბრუნო ფალაჩისა და ბენსო ფინისთან ერთად გამოსაცემად ამზადებს ახალ ზომიერ-ლიბერალურ გაზეთს, "ილ კორიერე ლომბარდო" (Il Corriere Lombardo), რომლის პირველი ნომერი 1945 წლის 30 ივლისს გამოდის. იმავე წელს გამომცემლობა "მონდადორო" "რიცოლისთან" ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ იღებს საავტორო უფლებებს რომანზე "თათრების უდაბნო" და ხელმეორედ გამოსცემს.

1946 წელს ბუცატიმ შეწყვიტა თანამშრომლობა გაზეთთან "ილ კორიერე ლომბარდო" და დაბრუნდა გაზეთში "ილ ნუოვო კორიერე დელა სერა" (Il nuovo Corriere della sera), რომელსაც მარियो ბორსა რედაქტორობდა.

1947 წლის 16 ივლისს ალბენგაში პატარა გემის ჩაძირვას 44 ბავშვის სიცოცხლე შეეწირა. ამის შესახებ ბუცატიმ კარნახით გადასცა შემდგომში ლეგენდად ქცეული ნარკვევი "ორმოცდაოთხ დედის გულში ჩატეული მთელი სამყაროს ტკივილი" (გაზ. "Il nuovo Corriere della sera", Anno 72, n. 170, Milano, 1947 წ. 18 ივლისი, გვ. 1).

1948 წელს დაწერა მოთხრობა "შიში ლა სკალაში" (Paura alla Scala), რომელიც რუბრიკით "მცირე რომანი" დაიბეჭდა ოთხი გაგრძელებით გაზეთ "ლ'ეუროპეოში" (L'Europeo) 18 ოქტომბრიდან 14 ნოემბრამდე.

1949 წელს "ილ ნუოვო კორიერე დელა სერამ" სპეციალური დავალებით გააგზავნა იტალიის ველოსიპედისტთა ეროვნული ჩემპიონატის (Giro d'Italia) გასასუქებლად. მისი სტატიე-

ბი, რომლებიც 18 მაისიდან 14 ივნისამდე ქვეყნდებოდა, ძირითადად ბარტალისა და კოპის ორთაბრძოლას ეძღვნებოდა. ამავე წელს გამოვიდა მოთხრობების ახალი კრებული "შიში ლა სკალაში" და რომანის, "თათრების უდაბნო", ფრანგული თარგმანი, რომელითაც დაიწყო ბუცატის ფართო აღიარება ფრანგ მკითხველთა შორის.

1950 წელს დაინიშნა პოპულარული გაზეთის, "დომენიკა დელ კორიერე", მთავარი რედაქტორის, ულიჯო პოსენტის, მოადგილედ და ამ თანამდებობაზე 1963 წლამდე იმუშავა, მიუხედავად იმისა, რომ მისი სახელი არ ფიგურირებდა რედაქციის წევრთა შორის, მხოლოდ გაზეთის 1964 წლის პირველ ნომერში, როდესაც პოსენტიმ მთავარი რედაქტორობიდან გადადგომის განცხადება გააკეთა, სხვებთან ერთად მადლობა გადაუხადა "გენიალურსა და აქტიურ დინო ბუცატის, რომელიც ჩემი ამხანაგი და მოადგილე იყო 1950 წლიდან დღემდე" (გაზ. "Domenica del Corriere", Anno 66, n. 1, Milano, 1964 წ. 5 იანვარი, გვ. 3). ბუცატი ერთგვარი უჩინარი რედაქტორი იყო, რომელიც ავტორებს უკვეთავდა წერილებს, თავად ძალიან ცოტას წერდა, ძირითადად სტილისტურად ხვეწდა სათაურებსა და მიწანწერებს. ამავე წელს ფრანგულ "ორი სამყაროს ჟურნალში" დაიბეჭდა ცნობილი ესეისტიკისა და კრიტიკოსის, მარსელ ბრიონის, საყურადღებო წერილი დინო ბუცატის შესახებ (ერნ. "Revue de deux mondes", 19, 1959, გვ. 530-539), ვენეციურმა გამომცემლობამ, "ნერი პოცა", კი გამოაქვეყნა მწერლის პროზაული ნაწარმოებებისა და ჩანაწერების კრებული "ზუსტად იმ მომენტში" (In quel preciso momento).

1953 წლის 14 მაისს რეჟისორმა ჯორჯო შტრეპლერმა მილანის პატა-

რა თეატრში დადგა ბუცატის პიესა "განსაკუთრებული შემთხვევა" (Un caso clinico), რომელმაც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ კრიტიკულ შენიშვნას, მოწონება დაიმსახურა. მაშინდელი ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული კრიტიკოსი სილვიო დ'ამიკო მას ასე აფასებს: "თავისებურ მწერალ დინო ბუცატიზე ამბობენ, განსაკუთრებულად გამოუდის "პანანინა" ჟანრებით. სინამდვილეში კი მის თვისებათა შორის ერთ-ერთია მშენებლის ტალანტი. საუცხოო ალლო აღმოაჩნდათ პაოლო გრასისა და ჯორჯო შტრეპლერს, როდესაც გული არ გაიტყვის იმ საეჭვო წარმატების, ანდა მარცხის გამო, რაც თავის დროზე მათ სახელგანთქმული მწერლების თავიანთ პატარა თეატრში მოყვანამ მოუტანათ და, ამის მიუხედავად, რომანისტ დინო ბუცატის მიმართეს" (გაზ. "Tempo", Anno 10, n. 141, Roma, 1953 წ. 22 მაისი, გვ. 3).

მომდევნო წელს გამომცემლობამ, "მონდადორი", გამოაქვეყნა მწერლის მოთხრობათა ახალი კრებული "ბალივერნას ჩამონგრევა", რომელსაც 23 ოქტომბერს ვინჩენცო კარდარელის ნაწარმოებთან, "რუსეთში ერთი პოეტის მოგზაურობა" (Viaggio di un poeta in Russia), ერთად ნეაპოლის პრემია მიენიჭა.

ალბერ კამიუმ ფრანგულ ენაზე ადაპტირებულად თარგმნა "განსაკუთრებული შემთხვევა" და იგი რეჟისორმა ფორჯე ვიტალიმ "ლა ბრუიერის" თეატრში დადგა. პრემიერას 1955 წლის 9 მარტს თავად ბუცატიც დაესწრო. მწერალი ხუთიოდე წლის შემდეგ იგონებდა, რომ კამიუს დიდმა ჰუმანურობამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, რამაც საფუძველი ჩაუყარა მეგობრობას ორ დიდ მოაზროვნეს შორის. კამიუმ უაღრესად და-

დებითად წარუდგინა ბუცატი ფრანგ მკითხველს: "შაშინაც კი, როდესაც იტალიელები ვინრო კარებში გადიან, რომლებსაც მათ კაფკა ან დოსტოვესკი აჩვენებს, ისინი იქ მთელი თავიანთი მსუქანი სხეულით გადიან. და მათი წყვილი ჯერ კიდევ ბრწყინავს. ბუცატის პიესაში ეს უბრალოება ერთხელ ტრაგიკული და ნაცნობი მომენტებია და, როგორც ადაპტატორი, შევეცადე, მისთვის ერთგულად მემსახურა". იმავე წელს ბუცატი ქმნის ექვსე-პიზოდოვან ლიბრეტოს "შემადლებული რკინიგზა" (Ferrovía sopraelevata), რომლითაც იწყებს კომპოზიტორ ლუჩანო პელისთან თანამშრომლობას. სპექტაკლი 1 ოქტომბერს დაიდგა ქალაქ ბერგამოში, დონიცეტის სახელობის თეატრში.

1957 წელს ბუცატიმ ბერრას ქუჩაზე აპოლინარის გალერეაში გაიცინო ივ კლანინი, რომლის გამოფენასაც უძღვნა სტატია "ცისფერი, ცისფერი, ცისფერი" (გაზ. "Corriere d'Informazione", Anno 13, n. 8, Milano, 1957 წ. 9-10 იანვარი, გვ. 3).

1958 წელს გამოვიდა "სამოცი მოთხრობა", რომელიც მწერლის მიერ შერჩეული ადრე გამოქვეყნებული ნოველების კრებულს წარმოადგენს. წიგნს მიენიჭა პრემია "ალქაჯი" (Strega) (გაზ. "La fiera letteraria", Settimanale delle lettere, delle arti e delle scienze, Anno 13, n. 29, Roma, 1958 წ. 20 ივლისი, გვ. 1, 8). იმავე წლის პირველ დეკემბერს მილანში "მაგი მეფეების" გალერეაში ბუცატის პირველი სამხატვრო გამოფენა გაიხსნა.

1959 წელს მილანში ლა სკალაში დაიდგა იგორ სტრავინსკის "კარტის თამაში", რომლის ესკიზისა და კოსტიუმების მხატვარიც დინო ბუცატი იყო. ამავე წლის აპრილში გაიცინო ს. კ., პროტოტიპი თავისი მომავალი რომა-

ნის - "ამბავი ერთი სიყვარულისა" - გმირისა. 30 სექტემბერს ქალაქ კომოს ვილა ოლმოს თეატრში გაიმართა მისი ერთმოქმედებიანი პიესის მიხედვით დადგმული მუსკომედიური სპექტაკლი "სისხლის სამართლის პროცედურა" (Procedura penale), რომლის მუსიკის ავტორიც ლუჩანო პელი იყო.

1960 წლის 4 იანვარს შამპინი-სურონის (ალფორი) მახლობლად ავტოკატასტროფაში დაიღუპა ალბერ კამიუ და მის ტრაგიკულ სიკვდილს 5-6 იანვარს გაზეთში "კორიერე დ'ინფორმაციონე" (Corriere d'Informazione) იტალიელი მწერალი დიდი ჰუმანურობით გამსჭვალული სტრიქონებით გამოეხმაურა (გაზ. "Corriere d'Informazione", Anno 16, n. 4, Milano, 1960 წ. 5-6 იანვარი, გვ. 6). ამავე წლიდან ყოველკვირულ გაზეთში "ოჯი" (Oggi) გაგრძელებებით დაიწყო მისი ახალი რომანის - "დიდი პორტრეტი" - ბეჭდვა. იგი აგრძელებს ურთიერთობას ს. კ.-სთან, ვისგანაც ხსნას მხოლოდ წერაში ხედავს: "ერთადერთი ჩემი ხსნა წერაა. მოვყვე ყველაფერი, გადმოვცე სიბერის კარიბჭესთან მდგარი კაცის უკანასკნელი ოცნება. და, ამავე დროს, [დაეხატო] ქალი, აკრძალული, ყალბი, რომანებისა და ზღაპრული სამყაროს განხორციელება, რომლის საზღვარსაც ეს კაცი განკიცხვითა და ბუნდოვანი სურვილით უახლოვდებოდა". ზაფხულში, "დომენიკა დელ კორიერესათვის" ფოტორეპორტაჟის მომზადების დროს, გაიცინობს ალმერინა ანტონიაცის.

1961 წელს პაოლო მონელისთან დიალოგში ბუცატი გაამხელს: "არიან ინდივიდები [...], რომლებიც გვიან, მრავალი წლის შემდეგ აღწევენ სიმწიფეს. მე ერთ-ერთი იმათგანი უნდა ვიყო, რომელსაც ბევრი რამ ჯერ კიდევ არ ესმის, ზოგი რამ კი მაშინ გაეიფე,

რომელთა გაგებაც უკვე აღარ მჭირდებოდა. ქალის სიყვარული, სიყვარული-მეთქი და არა მასთან დაწოლა, ეჭვიანობა, ვნების ცრემლები, სიკვდილის, ანდა მკვლელობის სურვილიც კი, სასონარკვეთილების საიმოვნება, რომელიც თან სდევს უმადური, მოლაღატე ქალისათვის ნუხილს, ყველაფერი ეს სწორედ ახლახან აღმოვაჩინე. ვერ ვიტყვი, ბოლოს და ბოლოს, მოვინიფე თუ სინამდვილეში ახლა ვუახლოვდები ოცი წლის ასაკს".

1961 წლის 18 ივნისს მწერალს დედა, ალბა მანტოვანი, გარდაეცვალა, რომელსაც ბუცატი ასე იგონებს: "დედაჩემი ნამდვილად ერთადერთი ადამიანი იყო, ვინც, თუკი რამე გამომივიდოდა, რამე პანანიჩა წარმატებას მივალწევდი, ბედნიერი იყო. და, თუ რამე პატარა ტკივილი მქონდა, ნამდვილად უბედური. ეს სიყვარულის ერთადერთი - რამდენადაც მე ვიცი - სახეა, რომელიც ნამდვილად უძლებს დროს (ესე იგი, განონასწორებულთა), ეს საუცხოო გაზიარებაა, რაც არის სწორედ მოყვასის სიყვარული". დედის სიკვდილი მწერალში სინდისის ქენჯნის გამძაფრებულ გრძნობას იწვევს და თავის თავს უმადურობასა და ეგოისტობას უსაყვედურებს, რასაც მხატვრულად გარდასახავს ნოველაში "ორი მძლოლი" (I due autisti). დედის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ მწერალი მილანში ვიტორიო ვენეტოს ქუჩის 24 ნომერში გადადის, სადაც ცხოვრობენ მისი ძმა აუგუსტო და და ნინა მუულლე ეპე რამაცოტისთან ერთად.

1963 წელს გამოცემლობამ "მონადეორი" დასტამბა მწერლის ახალი რომანი "ამბავი ერთი სიყვარულისა", რომელმაც, როგორც თავად მწერალმა წინასწარ იგრძნო (გაზ. "Corriere della sera", Anno 88, n. 84, Milano, 1963 წ.

14 აპრილი, გვ. 7), დიდი პოლემიკა გამოიწვია. ბერეას ქუჩაზე "წისქვილის" გალერეაში 18 აპრილს ამ წიგნის გარშემო გამართულ დისკუსიას მრავალმა თანამედროვემ "დინო ბუცატის გასამართლება უნოდა".

16 მაისს გარდაიცვალა არტურო ბრამბილა. "მისი სიკვდილის შემდეგ მე ერთგვარად გადარჩენილი მგონია თავი. ერთგვარად უცებ დავბერდი... გავხდი კაცი, რომელიც სასაფლაოსკენ მიდის, ნოემბრის თვის ერთ-ერთ საღამოს". იმავე წელს ინტენსიურად მუშაობს, როგორც მივლინებული კორესპონდენტი, 19 ოქტომბრიდან 18 ნოემბრამდე იაპონიაშია, საიდანაც სტატიების სერიასს გაზენის იტალიაში. სამშობლოში დაბრუნებული აღმოაჩენს, რომ იგი აღარ არის გაზეთ "დომენიკა დელ კორიერეს" მთავარი რედაქტორის მოადგილე. ამ თანამდებობაზე მას კოლეგა ალფრედო პინია ცვლის. გაზეთი "დომენიკა დელ კორიერე" კი ამ ფაქტის შესახებ მხოლოდ მშრალ ქრონიკას აქვეყნებს: "დინო ბუცატომ, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში გვერდით ედგა ელიჯო პოსენტის, როგორც უახლოესი მეგობარი და ფასდაუდებელი მოადგილე, და რომელსაც, ბუნებრივია, წილად უნდა ხვდომოდა ჩვენი გაზეთის რედაქტორობა, არჩია - და მის სურვილს ანგარიში გავუწიეთ - გაზეთ "კორიერე დელა სერასთვის" კიდევ უფრო უკეთ ემსახურებინა თავისი სწორუპოვარი კალამი უწინაღობისა და მწერლისა" (გაზ. "Domenica del Corriere", Anno 66, n. 1, Milano, 1964 წ. 5 იანვარი, გვ. 3).

1964 წლის იანვარში "კორიერე დელა სერამ" იერუსალიმში მიავლინა სპეციალურ კორესპონდენტად, რათა რომის პაპის, პავლე VI-ის, მოგზაურობა გაეშუქებინა. პაპი პატივისცემით



მოეკიდა ბუცატის. თებერვალში მწერალი ნიუ იორკსა და ვაშინგტონშია. ამ მოგზაურობის ნაყოფია მისი სტატია პოპის სტილის ხელოვნებაზე: "შეშლილი საძინებელი ოთახი" (გაზ. "Corriere della sera", Anno 89, n. 46, Milano, 1964 წ. 23 თებერვალი, გვ. 3), დეკემბერში კი პაპს ბომბეში მიჰყვება.

1965 წელს ბუცატი პრალას ეწვია. "მოვიხიბლუ პრალით, ფანტასტიკური ქალაქის მშვენიერებით მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე ეს ვნახე ისეთი მოსახლეობის ფონზე, რომელიც დიდი სევედისა და სიღარიბის გრძნობას ბადებდა", - აღნიშნავდა მწერალი. სწორედ აქ იწერება ბუცატის სტატია: "კაფკას სახლები". დეკემბერში ათიორდე დღით ბრუნდება ნიუ იორკში და კიდევ უფრო გულდასმით ეცნობა პოპის ხელოვნებას. ამ მოგზაურობას აღწერს სამ იუმორისტულ სტატიაში (გაზ. "Corriere della sera", Anno 91, n. 1, Milano, 1966 წ. 2 იანვარი, გვ. 3; 5, 7, Milano, 1966 წ. 9 იანვარი, გვ. 3; 5, 10, Milano, 1966 წ. 13 იანვარი, გვ. 3). ვენეციის გამომცემლობა "ნერი პოცა" კი აქვეყნებს მისი ლექსების პირველ კრებულს "კაპიტანი პიკი და სხვა ლექსები" (Il capitano Pic e altre poesie), ჟურნალ "ილ კაფეს" (Il Caffè) მეხუთე ნომერში იბეჭდება მისი მცირე პოემა "სამჯერ დაკაუნება კარზე" (Tre colpi alla porta) (ჟრნ. "Caffè", 5, 1965 წ. 5 მარტი).

1966-1967 წლებში მუშაობდა ფილმის - "ჯ. მასტორნას მოგზაურობა" (Il viaggio di G. Mastorna) - სცენარზე. ფილმი უნდა გადაეღო ფედერიკო ფელინის, რომელიც ბუცატის ძველი თავჯანისმცემელი იყო: ჯერ კიდევ ლიცეუმში სწავლის დროს წაეკითხა მისი ერთ-ერთი პირველი ნოველა "დომენიკო მოლოს უცნაური მოგზაურობა" (Lo strano viaggio di Domenico

Molo). სცენარზე მუშაობა ბუცატიმ 1967 წელს დაასრულა, მაგრამ ფილმი ფილმი რატომღაც აღარ გადაიღო.

1960 წლის შემდეგ დაწერილი ნოველები 1966 წელს გამოდის კრებულში "კოლომბრე და სხვა ორმოცდაათი მოთხრობა", მაისში კი მილანში ჯან ფერარის გალერეაში აწყობს ნახატების გამოფენას. მ დეკემბერს წმინდა გოტარიდის ეკლესიაში ჯვარი დაინერა აღმერიწა ანტონიაციზე. ქორწინების შემდეგ ცხოვრება ისევ ვიტორიო ვენეტოს პროსპექტზე განაგრძო.

1967 წელს "კორიერე დელა სერას" ხელოვნების კრიტიკოსად დაინიშნა და ამ თანამდებობაზე ლეონარდო ბორჯეზე შეცვალა, თუმცა, ხელოვნების საკითხებზე უკვე ჰქონდა რამდენიმე სტატია გამოქვეყნებული "კორიერე დ'ინფორმაციონეში". ამ პერიოდში დაინერა სტატია "მოვიდა ფუნკის ხელოვნება" (გაზ. "Corriere della sera", Anno 92, n. 242, Milano, 1967 წ. 13 ოქტომბერი, გვ. 4).

1969 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ხელმძღვანელობდა "კორიერე დელა სერას" ყოველკვირულ გვერდს "ხელოვნების სამყარო" (ლ. მონდო დელლ'არტე), რომლის პირველ ნომერშიც მონიწივე სტატიას მწერალმა ინიციალებით მოაწერა ხელი (გაზ. "Corriere della sera", Anno 94, n. 22, Milano, 1969 წ. 26 იანვარი, გვ. 13). დაისტამბა მისი ნიგნი "პოემა ფუმეტებად" (Poema a fumetti).

მთვარეზე პირველი ასტრონავტების გადასვლის შესახებ 1969 წელს "კორიერე დელა სერაში" დაბეჭდილი სტატიებისათვის 1970 წელს ჟურნალისტ მარियो მასაის სახელობის პრემია მიენიჭა. სექტემბრის თვეში კი ვენეციაში გალერეა "ილ ნავილიოში" მისი ნახატების გამოფენაც მოეწყო.

1971 წლის თებერვალში პანკრეასის კიბოს პირველი სიმპტომები აღმოაჩნდა.

ზაფხულში ივ პანაფიუსმა მაგნიტოფონზე ჩაინერა მასთან დიალოგები, რომლებიც მერე ცალკე წიგნად გამოვიდა: "დინო ბუცატი: ავტობიოგრაფიკი" (მილანი, 1973). ამავე წელს დაიბეჭდა ნოველებისა და ესეების კრებული "ძნელი ღამეები", რომელსაც მაინცდამაინც აღფრთოვანებით აღარ შეხვედრია ლიტერატურული კრიტიკა. ცნობილი იტალიელი ჟურნალისტის, ჯორჯო ბოკას რეცენზიაში, სადაც აღიარებულია ბუცატის მწერლური ტალანტი, მაგრამ გაკრიტიკებულია მისი იდეოლოგიური პოზიცია, ვკითხულობთ: ახალ სტილზე უარის თქმითა და ზღაპრის ფანრისადმი ერთგულებით ბუცატის იმის საფრთხე ემუქრება, რომ "ობიექტურად დადგეს იმით გვერდით, ვისაც უნდა, რომ ამქვეყნად ყველაფერი უცვლელად დარჩეს, რათა პიროვნული პრივილეგია არ დაკარგოს" (გაზ. "Il Giorno", Anno 16, n. 251, Milano, 1971 წ. 27 ოქტომბერი, გვ. 8). ბუცატი კი არავითარი პრივილეგიის შენარჩუნებას არ ცდილობდა, პირიქით. თანდათანობით სულ უფრო და უფრო უარესდებოდა მისი ჯანმრთელობა. იდრო მონტანელი შთამბეჭდავად აღწერს, თუ როგორ ემზადებოდა მწერალი იმასთან შესახვედრად, "[...] რაც ყოველთვის წარმოესახა და აღენერა კალმითა და მერე ყალმით. დინომ მთელი სიცოცხლე მასთან გულშიჩაკრულმა იცხოვრა, მას ეძახდა, მას უხმობდა, მას ცდიდა, მას ეძებდა. და აი, ახლა თამაში რეალობად უნდა ქცეულიყო: სიკვდილი იქ იყო [...]. ვხედავდით, თავისი ერთ-ერთი მოთხოვნის გმირივით როგორ გვემორდებოდა დღითი დღე დროსა და სიერცეში: სულ უფრო და უფრო მარტოსული,

სულ უფრო და უფრო ჩრდილში, ჩურჩულში, სიჩუმეში ეფლობოდა. მანამდე იცოდა ყველაფერი, ვიდრე ექიმები შეიტყობდნენ. სწორედ იმ მომენტიდან შეიყუჟა თავის მიუდგომელ ნაპირზე და ჩვენს ძახილს ისე უპასუხებდა, რომ პირზე გვეყინავდა იმ შესაბრალის სიცრუეს, რომლითაც ჩვენს ძახილს ვემაზავდით" (გაზ. "Corriere della sera", Anno 97, n. 24, Milano, 1972 წ. 29 იანვარი, გვ. 3). თავად მწერალი კი პირველ დეკემბერს საკუთარ დღიურს ასე განდობოდა: "[...] და ახლა დასრულდა ეს თავგადასავალი, სადაც არის, დასრულდება გადამხდელი პუბლიკის აბსოლუტურ გულგრილობაში, რომელსაც ჩემთვის კაპიკიც კი არასოდეს გაუღია. ცივა, დეკემბერი იწყება. მოვესწრები შობას?".

ძნელია, ემოციის გარეშე წაიკითხო დღეს ეს სტრიქონები.

მწერალი შობას მოესწრო, მაგრამ მას მერე დიდი ხანი აღარ უცოცხლია. 1971 წლის 8 დეკემბერს, სწორედ იმ დღეს, როდესაც მისი უკანასკნელი ესე დაიბეჭდა (გაზ. "Corriere della sera", Anno 96, n. 288, Milano, 1971 წ. 8 დეკემბერი, გვ. 3), მილანის ლეთისმშობლის სახელობის საავადმყოფოში დაანჯინეს და სულ რამდენიმე კვირაში, 1972 წლის 28 იანვარს, 65 წლის ასაკში გარდაიცვალა.

დინო ბუცატის ადრინდელი მოთხოვნები ძირითადად ფოლკლორულ მასალას ემყარება, უფრო მოგვიანებით შექმნილ ნაწარმოებებს სიურეალიზმის ბეჭედი აზის, ბოლოდროინდელი ნოველები კი შეიძლება ფანტასტიკის ფანრს მივაკუთვნოთ, მაგრამ არა მეცნიერულ-ტიქნიკურს, არამედ



- ფსიქოლოგიურს. ბუცატის ფანტასტიკა ძალიან ხშირად თვით სინამდვილიდან მოდის. ამ ფენომენს მწერალი საუცხოოდ გეიხსნის პიერონიმუს ბონის ნაბატების გამოცემისათვის დართულ წინასიტყვაობაში (მილანი, 1967), რომელიც თვით არის მაღალმხატვრული ნოველა. მწერალი ერთმნიშვნელოვნად გვეუბნება, რომ ბონის პოლანდია სულაც არ არის ფანტასტიკური, რომ აქ XX საუკუნეშიც კი დადიან ბონისიული ფიგურები, მათ დასახება მხედველობის გამახვილებაა საჭირო.

ბუცატის ფანტასტიკის რეალისტური ბუნება, საერთოდ, მისი შემოქმედების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა თავის დროზე შეუცნობელი აღმოჩნდა ნეორეალისტური იტალიისათვის. მისი საუკეთესო ნაწარმოებები, რომლებიც ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე რთულ პერიოდში, 1940-1954 წლებში, გამოქვეყნდა, მაშინდელი ისტორიული კონტექსტიდან ამოვარდნილი აღმოჩნდა. ერთი შეხედვით, ასეც უნდა ყოფილიყო. მაგალითად, "თათრების უდაბნო", რომელიც ბომბების გრუზუნსა და ტყვიამფრქვევების კაკანში გამოვიდა, აღწერს ბასტიანის ციხე-სიმაგრეს, საიდანაც არავინ არაფერს ისერის. დინო ბუცატიმ ვერც ომისშემდგომ აღმშენებლობის ეპოქას აუბა მხარი. ამ პერიოდში, მისი ქმნილებების ნაცვლად, იტალიელი მკითხველი ენაფებოდა სოციალურად და პოლიტიკურად ისეთ აქტუალურ ნაწარმოებებს, როგორებიც იყო ელიო ვიტორინის "ადამიანები და არაადამიანები" (Uomini e no, 1945), კარლო ლევის "ქრისტე ებოლი შერდა" (Cristo s'è fermato ad Eboi, 1945), ჩეზარე პავეზეს "ამხანაგი" (Il compagno, 1947), ვასკო პრატოლინის "საბრალო შეყვარებულების

ამბავი" (Cronache di poveri amanti, 1947) და სხვ.

მართლაცდა, რატომ უნდა ნაეკითხათ მწერალი, რომელიც, მართალია, ხმას იმალეებდა უსამართლობის წინააღმდეგ, მაგრამ ვერ იფერებდა იმას, რომ შეიძლებოდა მისი შეცვლა? რატომ უნდა ნაეკითხათ მწერალი, რომელიც ადამიანთა უმსგავსობაში, სოციალური მიზეზის ნაცვლად, პიროვნულ ცოდვას, ანდა ბედისწერას ეძიებდა? სწორედ ამიტომ ისეთმა თვალმაზვილმა კრიტიკოსებმაც კი, როგორებიც იყვნენ პიეტრო პანკრაცი, ენრიკო ფალიცი, ემილიო ჩეკი და სხვები, ვერ გაიგეს, რომ მწერალი ფანტასტიკას იმიტომ მიმართავდა, რათა უფრო მოხერხებულად აემალეებინა ხმა სოციალური და პოლიტიკური უსამართლობის წინააღმდეგ, უფრო მტკივნეული სატირით გაეშთველებინა აღზევებული სოციალური კლასის წარმომადგენელთა უბადრუკი სული, უფრო ნათლად გაეცხადებინა ცხოვრების ტრაგიკულობა. ამასთან, მწერალი ხშირად ფანტასტიკის ყველაზე რაფინირებულსა და ძნელად აღსაქმელ ფორმას - სიმბოლურ ფანტასტიკას - მიმართავდა. მოთხრობები "და მაინც აკაკუნებენ კარებზე" (Eppure battono alla porta, 1940), "თავები" (I topi, 1953) და "კეერციხი" (L'uscio, 1962) იმის თვალნათელი დადასტურებაა, თუ რამდენად რეალური შეიძლება იყოს ყველაზე ფანტასტიკური ლიტერატურაც კი. სწორედ აქაა საძიებელი ბუცატის პროზის მარადიული აქტუალურობის უნივერსალური გასაღები.

ბუცატის დამახასიათებელი თვისებაა, შესაშური ოსტატობით შეუპირისპიროს ერთმანეთს რეალური და ფანტასტიკური, მოიხმოს ალევორია, ანდა საერთოდ გამორიცხოს იგი, გა-

მუდმებით ითამაშოს აკრძალულის ზღვარზე, გამოიხმოს ფიზიკური სამყარო, რომელსაც მეტაფიზიკის მიღმა სინამდვილის იმ ლაბირინთში შეეყვართ, სადაც ყველაზე პრაგმატული ადამიანებიც კი პოულობენ ღამეულ, იდუმალ ენიგმებს.

თუ კრიტიკოს ნელა ჯანეტოს მიერ შემუშავებულ სქემას დავეყრდნობით, ფანტასტიკურ და რეალურ ელემენტებს შორის ურთიერთმიმართების მიხედვით, ბუცატის მოთხრობები, შეიძლება, ოთხ ჯგუფად დავყოთ: 1. მოთხრობები, რომლებიც იმთავითვე სცილდება სინამდვილის საზღვრებს და მხოლოდ სხვა სამყაროს შინაგან ლოგიკას ემორჩილება; 2. მოთხრობები, რომლებიც რეალისტურად იწყება, მერე მათში სრულიად ბუნებრივად შემოდის ფანტასტიკური პერსონაჟი ან სიტუაცია, რაც მკითხველს აბნევს; 3. მოთხრობები, რომლებიც რეალისტურად იწყება, მერე კი ისე უთმობს ადგილს ფანტასტიკურ ელემენტს, რომ მკითხველს დრო და ადგილი აღარ რჩება გაოცებისათვის, რადგან მოვლენათა განვითარება თავად პერსონაჟებს უკვირთ; ზოგიერთ ნოველაში ზებუნებრივი მოვლენა სულაც არ იწვევს ზოგიერთი პერსონაჟის განცვიფრებას, რაც კიდევ უფრო მეტად აძნელებს ნაწარმოების აღქმას; 4. არაფანტასტიკური, არააბსურდული, არაპარადოქსული, ანუ რეალისტური მოთხრობები, რომლებიც შეიცავს ისეთ ელემენტებს, რაღაცნაირად მაინც რომ სცილდება შესაძლებლობის ფარგლებს³.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება, მაგალითად, ნოველა "ღამეული ბრძოლა ვენეციის ბიენალეზე" (Battaglia notturna

alla Biennale di Venezia); მეორეს – "შვიდი სართული" (Sette piani), "მოსასხამი" (Il mantello), "ვილაც, ვისი სახელიც ღასით იწყება" (Una cosa che comincia per elle) და მრავალი სხვა; მესამეს – "გველეშაპის მკვლელობა" (L'uccisione del drago); მეოთხე კი, რომელიც მწერლისათვის ყველაზე დამახასიათებელია, მის ისეთ საუკეთესო ნოველებს მოიცავს, როგორცაა, მაგალითად, "შიში ლა სკალაში", ანდა "ბალივერნას ჩამონგრევა", სადაც ყველა დეტალი სინამდვილის ჩარჩოებშია მოქცეული, დაუჯერებელ მკითხველს მხოლოდ ის უამრავი დამთხვევა ეჩვენება, რაც ნაწარმოების სტრუქტურას განსაზღვრავს.

ნ. ჯანეტო ბუცატის მოთხრობების სხვაგვარ კლასიფიკაციასაც გვთავაზობს. მაგალითად, მისი აზრით, მოთხრობათა ერთ ჯგუფში მწერალი აშკარად თავს იქცევს ფანტასტიკით, მეორე ჯგუფში კი ფანტაზიის მხატვრული მიზანი ნაწარმოების ალეგორიული მნიშვნელობის გახსნაა (იქვე, გვ. 100-101). ეს, შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ არ უნდა დაგვაიწიყდეს, რომ საქმე არ ეხება ორ ურთიერთგამომრიცხავ ლიტერატურულ მიზანდასახულობას, ორივე ტენდენცია ბუნებრივად თანაარსებობს ბუცატის მოთხრობებში, სიმბოლური ელემენტები პარამონიულად ერწყმის ფანტასტიკურს. კონკრეტულ შემთხვევებში ხან ერთს ენიჭება უპირატესობა სხვასთან შედარებით, ხან – მეორეს. ამასთანავე, მის პროზაში "ფანტასტიკურის" ცნებას მრავალი ლიტერატურული განზომილება აქვს: იგი გამოიხატება ზღაპრით, პარადოქსით, გროტესკით, რეალიზმით, ეგზისტენციალიზმით,

³ N. Giannetto, Buzzati o il coraggio della fantasia, in "Annali", Istituto universitario di Lingue moderne, Facoltà di Lingue e Letterature Straniere, Sede di Feltre, 6, Ravenna, 1983, გვ. 96.



სიმბოლიზმით, რომანტიზმით, პერო-
იზმით, ფანტაზიით და საუცხოოდ
არის შეხამებული მხატვრული ქსოვი-
ლის ანალიტიკურ, გნოსეოლოგიურ
და თხრობით სტრუქტურებთან⁴.

სპეციალურ ლიტერატურაში შესა-
ნიშნავადაა გაანალიზებული ალეგო-
რიული მოტივები და თემები, რომელ-
თაც ბუცატი გამოდგებით თავს დას-
ტრიალებს. გაეხსენოთ, მაგალითად,
უნყვეტად მდინარე დრო, რომელსაც
სიკვედილისაქენ ისე მივყავართ, რომ
ვერც კი ვახერხებთ ჩვენი ცხოვრები-
სეული მიზნის განხორციელებას.

ეს თემა დიდი მხატვრული ოსტა-
ტობითაა დამუშავებული რომანში
"თათრების უდაბნო". 1959 წელს გა-
ზეთისათვის – "ილ ჯორნო" (Il Giorno)
– მიცემულ ინტერვიუში ჟურნალის-
ტის კითხვაზე, როგორ დაიბადა "თათ-
რების უდაბნო", მწერალი უპასუხებს:
"აღბათ, თუ მეხსიერება არ მღალა-
ტობს, ღამეულ სარედაქციო მონოტო-
ნურ ყოველდღიურობაში, როგორა-
დაც იმ დროს მიწვედა ცხოვრება. ხში-
რად მეჩვენებოდა, რომ ის ტრან-ტრა-
ნი უსასარულოდ გაგრძელდებოდა და
ასე უსარგებლოდ შეინირავდა ჩემს
ცხოვრებას. ვფიქრობ, ადამიანთა უმ-
რავლესობას აქვს ეს გრძნობა, განსა-
კუთრებით მაშინ, როდესაც მას ქალა-
ქური საათობრივი განრიგი უბოჭავს
ცხოვრებას. ეს იდეა ინსტინქტურად
მოერგო ფანტასტიკურ სამხედრო
სამყაროს: ვიფიქრე, ამ ქანცვამწყვე-
ტი მოლოდინის გამოსახატავად რა
უნდა იყოს-მეთქი უკიდურეს საზღ-
ვარზე არსებულ ციხე-სიმაგრეზე
უკეთესი".

ამავე თემას ეხმაურება მოთხრო-
ბა "შვიდი სართული", სადაც "ნაჩვე-

ნებია სწორედ ის, რაც არის იმ გაუმჭ-
ვირვალე ფარდის მიღმა, სინამდვი-
ლეს რომ ჩამოაფარებია, რაც ბედის
კულისებს მიღმა გველის. მწერალი არ
გვიხსნის სიცოცხლის ეზოთერულ
არსს, პირიქით, გვეუბნება, რომ ჩვე-
ნი სიცოცხლე ერთი მექანიკური და
უაზრო რამაა. კორტეს მოგზაურობა
ერთი სართულიდან მეორეზე არაფე-
რია, თუ არა – სიკვედილისაქენ მოძრა-
ობა. ეს ალეგორიაა, მაგრამ პოეტური
ალეგორია, რადგანაც ყველაფერი
უაღრესად ორგანიზებული ფორმით
ხდება⁵. რაღაც იდეალური ავბედითი
ძალა უბიძგებს პერსონაჟებს, საგნებ-
სა და მოვლენებს, უკულმა ნაიყვანონ
მთავარი გმირის ცხოვრება, გარე სამ-
ყაროს მოსწყვიტონ, სიკვედილთან აბ-
რძოლონ, ნელ-ნელა, თანდათან სარ-
თულ-სართულ ჩაიყვანონ ჯოჯოხეთ-
ში. კორტეს ადრინდელ ცხოვრებაზე
კი მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი "ერთი
ჩვეულებრივი ვექილი და მსოფლიო
მოქალაქე" იყო. სინამდვილე ნელ-ნე-
ლა აჩენს თავის ნამდვილ სახეს და ეს
დეტალებში შეიგრძნობა. მაგალითად,
მოთხრობის დასაწყისში ჯერ ზოგა-
დად არის საუბარი საავადმყოფოზე,
შემდეგ კი აზუსტებს, რომ ლაპარაკია
სანატორიუმზე.

ეს თემა იმდენად მნიშვნელოვანი
იყო ბუცატისათვის, რომ მას მწერალი
კიდევ ერთხელ დაუბრუნდა მოგვიან-
ებით, 1953 წელს, როდესაც "შვიდი
სართული" კომედიად გადაამუშავა და
"განსაკუთრებული შემთხვევა" (Un
caso clinico) უწოდა. ვექილი ჯუზეპე
კორტე მრენველ ჯოვანი კორტე გა-
დაიქცა, პროფესორი დატი კი – პრო-
ფესორ შრედერად, მაგრამ ავტორს
მხოლოდ სახელები არ გადაურქმევია

⁴ I. Crotti, Dino Buzzati, Firenze 1977, გვ. 5.

⁵ G. Debenedetti, Buzzati "Borgese stregato", ნგნ. 900, 6, Milano, 1979, გვ. 5661.

პერსონაჟებისათვის. მან ძირეულად შეცვალა თხრობის ტექნიკაც. მაგალითად, ჯუზეპე მნერლის ტიპური პერსონაჟია და მოთხრობაში სიუჟეტი სწორხაზოვნად ვითარდება: გმირი უკვე დაავადებული მიდის კლინიკაში, სადაც ექიმები და ექთნები ერთ ავბედით, უღმობელ, სამსხვერპლო რიტუალს ასრულებენ: გულს ტყუილბრალოდ უკეთებენ და მოჩვენებითი გულისხმიერებით ნელ-ნელა სამარისკენ უბიძგებენ. პიესა ასეთი ცალსახოვანი აღარ არის. აქ ვეცნობით პერსონაჟის ადრინდელ ცხოვრებას, ოჯახს. ამასთანავე, იგი კლინიკაში სრულიად შემთხვევით, ცოლისა და ქალიშვილის დაჟინების წყალობით ხვდება. თუ დატიზე მხოლოდ ის ვიცით, რომ ის "ასხივებს თავის ძალაუფლებას", შრედეერი ჩამოყალიბებულ ლიტერატურულ ტიპად და ბედისწერის ჩარხად წარმოგვიდგება. თუ "შვიდ სართულში" ჯუზეპე მარტოდმარტო ებრძვის მსოფლიოს, "განსაკუთრებულ შემთხვევაში" სამყარო დუალისტურია: მასში კეთილი და ბოროტი ადამიანები სახლობენ.

ჯუზეპე ნელ-ნელა იძენს ცნობიერებას. ხვდება, რომ ფანჯრები და დარბები, რომლებიც გზას უღობავს შუქს, მისი ავბედითი ბედისწერის ნება-სურვილს ასრულებს, იმ ბედისწერისა, ჯუზეპეს "პირველ სართულზე, სადღაც ქვემოთ, უფრსკულის სიღრმეში, ათეულობით და ათეულობით ჩაბრმავებულ-ჩაბნელებული" ფანჯრის მიღმა რომ ჩასაფრებია. "ხეები, ფანჯრების მიღმა რომ მოჩანან", გადაულახავ და სამუდამო ზღუდედ აღ-

მართულა ჯუზეპე კორტეს ადრინდელსა და ახლანდელ, ირეალურ, უსულს, უკანასკნელ სამყაროს შორის, სადაც შუქის გაქრობა სამუდამო სიმარტოვეს მოასწავებს.

ეს ცნობიერება ჯოვანის არა აქვს. იგი თავდაჯერებული ადამიანია. კლინიკაში უცხო ადამიანივით შედის, თითქოს ყოველივე ეს მას არ ეხებოდეს. მკითხველმა კი იცის, რომ მან უკვე მიაღწია საბოლოო სადგურს მანამდე, ვიდრე ამას თვითონ გააცნობიერებდა. პიესაში ბუცატის შემოჭყავს მოსვენების დამკარგავი, ხშირად შავოსან ქალად განსხეულებული ხმა, რომელიც განუწყვეტილივ თან სდევს გმირს და მხატვრულად ამზადებს მის სიკვდილს.

"შვიდ სართულში" კორტე მხოლოდ ერთ ავადმყოფს ესაუბრება, "განსაკუთრებულ შემთხვევაში" კი ეს პერსონაჟი მრავალ სხვადასხვა პერსონაჟად იქცევა. ლიტერატურული ფანრის სპეციფიკა განსაზღვრავს ზემოაღნიშნულ ნაწარმოებთა შინაარსსაც: მოთხრობაში სიღრმისეულად არის გადმოცემული ნარკოზით შეპყრობილი ადამიანის შინაგანი განცდები, პიესაში კი ისინი გარეთ არის გამოტანილი. სულიერად ასეთი ღარიბი ხდება ჯოვანი კორტე ჯუზეპე კორტესთან შედარებით. ამავე დროს, პიესის სპეციფიკა ბუცატის საშუალებას აძლევს, კიდევ უფრო მკვეთრად გამოხატოს კონტრასტი ჩვეულებრივსა და ირეალურ სამყაროს შორის: რაც უფრო დაბალ სართულზე ჩადის ჯოვანი, უფრო და უფრო მიიწვავლება დიალოგი, უფრო და უფრო ლაკონური

⁶ კრიტიკოსმა ანა დე სტიფანომ სპეციალური წერილი უძღვნა ამ ორი ნაწარმოების შედარებით დახასიათებას. იხ. A. De Stefano, Dino Buzzati: da "Sette piani" a "Un caso clinico", გრნ. "Tabella di Marcia", Rivista letteraria quadrimestrale, 2:4, Messina, 1981, გვ. 1-15.

ხდება ფრაზები და სამარისებური სიჩუმე ისადგურებს⁷.

ასევე მნიშვნელოვანია ბუცატის შემოქმედებაში მოლოდინის თემა. ბუცატის გმირები მუდმივად ელიან რაღაც ძალიან დიდ მოვლენას, რომელიც სწორედ მაშინ ხდება, როდესაც უკვე გამოუსწორებლად დაგვიანებულია. ასეთია ნოველა "სამხრეთის ჩრდილი" (*Ombra del sud*), რომელიც, კრიტიკოსთა აზრით, ედგარ ალან პოს ნოველის "კაცი ბრბოში" (*The Man of the Crowd*) გავლენით არის დაწერილი⁸. ბუცატის ლირიკული გმირი გვიამბობს, თუ როგორ შეხვდა უცნაურ არსებას, რომელიც მას საიდის პორტიდან სამხრეთისაკენ დაუსრულებელ მოგზაურობაში დაემგზავრა. გმირი ვერა და ვერ მიუახლოვდა მას, რადგანაც იდუმალი არსება ყოველთვის გაურბოდა. მხოლოდ ბოლოს მიხვდა, რომ მისი ერთგული თანამგზავრი ფანტაზიის მალემსრბოლი იყო და თვითონ გმირი სწორედ თავისი სიმხდალის გამო არ მიდიოდა მასთან ახლოს.

საბედისწერო დაგვიანების იდეის ფონზე კიდევ უფრო მძაფრად არის დახატული ცხოვრების ტრაგიკულობის შეგრძნება ბუცატის ერთ-ერთ საუკეთესო მოთხრობაში "კოლომბრე" (*Il colombre*, 1961), რომელიც "სამხრეთის ჩრდილის" გამოქვეყნებიდან ოციოდე წლის შემდეგ, 1961 წელს, დაინერა. მასში უკვე განსხვავებული ვითარება იხატება. სტეფანო როი პირიქით, თავად დასდევს, ცდილობს, თავიდან მოიცილოს უცნაური არსება, რომელიც მას დღემუდამ უთვალთვალებს და აფორიაქებს, მაგრამ მის ცხოვრებასა და ძიებას შიში კი არა,

არამედ ყალბი სიმამაცე წარმართავს. ეს უგუნური სიმამაცეა, ისაა, რასაც ადამიანს საკუთარი უპირატესობისა და უძლეველობის ბრყვეული თვითრწმენა უწერგავს. მწერლისათვის ეს სასწუკვარი თემა გაიღვებებს მოთხრობაში "გველემშაპის მკელელობა".

მწერალი თანმიმდევრულად მხატვრულად ამუშავებს, ასევე, ადამიანური ეგოიზმისა და ოპორტუნიზმის თემას, რაც ძელებამდე შიშვლდება გამოუვალ სიტუაციაში. ეს თემა ფართოდ გაშალა მწერალმა ნოველაში "ბებერი ეშვი" (*Vecchio facocero*), რომელიც 1940 წელს გამოაქვეყნა და შემდეგ შეიტანა კრებულებში "შეიძენი მალემსრბოლნი" და "სამოცი მოთხრობა", თუმცა, ამ რედაქციებიდან ამოიღო კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილზე მითითება. ბუცატი არაორაზროვნად გვეუბნება: ცხოველები, რომლებიც მხოლოდ იმიტომ კვებიან, რომ უდრტიწველად ურიგდებიან თავიანთ ხვედრს, მათზე მონადირე ადამიანებზე უფრო ჰუმანურები არიან.

ეს სრულებითაც არ არის ბანალური თემა, თუ გაეითვალისწინებთ აპოკალიფსური ცხოველების აღმოჩენის იმ ავადმყოფურ მოთხოვნილებასა და მათი განადგურების ასევე ავადმყოფურ აპოთეოზს, რომელიც, თითქმის ორი ათეული წელია, თანამედროვე ბესტსელერულ ლიტერატურასა და კინოხელოვნებას ასაზრდოებს. საქმე ეხება არა ხელოვნების ერთ რომელსამე სპორადულ სიმპტომს, არამედ – დასავლური სამყაროს სულიერი გამოფიტვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნიშანს. როგორც ჩანს, დიდმა იტალიელმა მწერალმა თავისი შეუმცდა-

⁷ შდრ. N. Giannetto, *Il sudario delle caligini. Significati e fortune dell'opera buzzatiana*, Firenze, Olschki, 1996, გვ. 49.

რი ინტუიციით წინასწარ იგრძნო ეს შემაშფოთებელი რეალობა და შეეცადა, მასზე დაეფიქრებინა მკითხველი.

შემთხვევითი არ არის ისიც, რომ ბუცატიმ იგივე თემა განავითარა მეორე მოთხრობაშიც "გველეშაპის მკვლელობა", სადაც რომანტიკულ ფონზე კიდევ უფრო გააშვილა ადამიანთა ეგოიზმის მოტივები. აქ მწერალმა გვიჩვენა ისიც, თუ რაოდენი დიდი უბედურება მოაქვს გონებისა და მეცნიერების გაფეტიშებას. თუ ასე, მოვიქცევით, დავბრმავდებით, ვერ შევძლებთ, დავინახოთ ის, რაც სინამდვილის საზღვრებს მიღმა არსებობს და ისეთივე რეალურია, როგორც ჩვენს ნაცნობ სამყაროში არსებული რეალური მოვლენები. მწერალი არ გვეუბნება, თუ რით დასრულდება მოთხრობის მთავარი გმირის, მარტინო ჯეროლის ამბავი, თუმცა, ვგრძნობთ, რომ იგი სასიკვდილოდაა განწირული. გრაფმა არ დაუჯერა იმას, ვინც აფრთხილებდა, რომ პალი-სანოსთან ახლოს, მშრალ ხეობაში ჩვეულებრივ ცხოველს კი არა, არამედ მაგიურ, ფატალურ გველეშაპს დაედო ბინა. კონკრეტულ შემთხვევაში მას ეს სიცოცხლედ დაუჯდა, უფრო განზოგადებულად კი ნოველა დაგვაფიქრებს ადამიანის ადგილზე ღმერთის მიერ შექმნილ და მოწყობილ სამყაროში.

გამოუვალ სიტუაციაში ადამიანთა ეგოიზმისა და ოპორტუნიზმის თემას ეძღვნება, აგრეთვე, ვრცელი მოთხრობა "შიში ლა სკალაში", რომელიც

პრობლემის რეალისტურ, ანუ ბუცატისათვის ერთგვარად არატრადიციულ გადანყვეტას გვთავაზობს. საერთოდ, XX საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევარი განსაკუთრებული პერიოდი იყო თავად ბუცატის შემოქმედებაში. იგი ადრეულ მეტაფიზიკურ, ტრანსცენდენტულ ნაწარმოებთაგან განსხვავებით, ახლა უფრო რეალისტურ თემატიკას ამუშავებს. ამ თავისებურებითაა აღბეჭდილი სხვა თხზულებებშიც, რომლებსაც შეიცავს კრებული "შიში ლა სკალაში". ამდენად, მოთხრობაში მწერალი არ მიმართავს მისთვის სანუკვარ ალეგორიას, პირიქით, უაღრესად კონკრეტული სიტუაციის ფონზე სეისმოლოგიური სიზუსტით განაზოგადებს მისი თანადროული იტალიის პოლიტიკურ-კულტურულ პათოსს⁸.

ბუცატიმ მხატვრულ გარემოდ შეარჩია მილანის ოპერის თეატრი ლა სკალა, რომელიც ყოველთვის იყო იტალიის ელიტარული ბურჟუაზიის კულტურული და იდეოლოგიური საბრძოლვე. მოთხრობაში მწერალმა განავითარა მარტივი, სწორხაზოვანი სიუჟეტი: ერთი შეხედვით, გარდაუვალი და უეჭველი პროლეტარული რევოლუციის საფრთხე ერთი ღამის განმავლობაში შებორკავს ლა სკალას მაყურებლებს. ავტორი ექსპრესიული კრემენდოთი აღწერს, თუ როგორ იზრდება შიში, მეორე დღით კი გვარჯენებს, რომ თურმე არაფერიც არ მომხდარა, არც ხდებოდა და არც არაფერი იყო მოსალოდნელი.

⁸ მწერალმა იმდენად ცხადი ფერებით დაგვიხატა მილანელი პერსონაჟები, რომ იძულებული გახდა, მოთხრობის ბოლო, მეოთხე ნაწილისათვის დართულ „ფანჯარაში“ საგანგებოდ აღენიშნა: ნაწარმოებში „აღწერილი ამბავი და პერსონაჟები გამოგონილი არიან. ყოველგვარი შესაძლო ანალოგია ფაქტებთან და პიროვნებებთან აბსოლუტურად შემთხვევითია“ (იხ. D. Buzzati, *Paura alla Scala*, გაზ. "L'Europeo", Anno 4, n. 46, Milano, 8-14 ნოემბერი, გვ. 11).

აღსანიშნავია, რომ მოთხრობის პერსონაჟის, კლაუდიო კოტესის, მსგავსად, ბუცატი თავად იყო ლა სკა-ლელი ბურჟუაზიის ერთ-ერთი ყველაზე კანონიერი და თვალსაჩინო წარმომადგენელი, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, იშვიათი სატირული სული შთაებერა ნაწარმოებისათვის, "რევოლუციონერთა" დაგმობის ნაცვლად, დაუნდობლად გაეკრიტიკებინა საკუთარი კლასის წარმომადგენელთა პანანინა სული და იგი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე ხალხისათვის დაეპირისპირებინა. მაგალითად, ლა სკალას დარბაზში მთელი ქვეყანა ირევა, საზოგადოება, ბრწყინვალე ელიტა შეშფოთებულია იმით, რომ ქვეყანაში რევოლუცია, რაღაც საშინელება დაიწყო. ამის გამო შუა ღამეს შინ წასვლა ვერ გაუბედავთ და შიშით ათენებენ საშინელ ღამეს. ამ დროს უბრალო ხალხს მშვიდად სძინავს, მას არაფერიც შეუნიშნავს და არაფერიც აწუხებს. ამის გამოხატულებაა მეკარე, რომელიც ძილისაგან კისერმოტეხილი, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე უღებს კარს კოტესს. ხომ არ უნდა მწერალს ამით იმის თქმა, რომ ის, ვისაც საკუთარი თავი ცისფერი სისხლის პატარა ნაკადული ჰგონია, მიდრეკილია ჭორებისაკენ, მტრის ხატის ძიებისაკენ, სტატუს კვოს შენარჩუნებისაკენ, უძრავობისაკენ, ყველაფრის უცვლელად, ძველებურად დატოვებისაკენ, რაღაც ამისდაგვარისაკენ მაშინ, როცა ხალხი, ჩვეულებრივი ადამიანები ჩვეულებრივი ადამიანური ცხოვრებით ცხოვრობენ და არ არიან დაავადებული მოსალოდნელი ცვლილებების შიშით?

"შიში ლა სკალაში" უაღრესად რეალისტური მოთხრობაა, მაგრამ მწერალი არ ესწრაფვის არც პოლემიკას და არც – ვინმეს იდეოლოგიურ კრი-

ტიკას. მისი მიზანია, შეიცნოს არა ის, თუ რა მოხდა ან რა უნდა მომხდარიყო, არამედ ის, თუ როგორ და რატომ იქცევა ასე ეს ხალხი, როგორია ე. წ. ნაღები ხალხის, ელიტის ფსიქოლოგია, ქცევა, ურთიერთმიმართება ექსტრემალურ სიტუაციაში, არაორდინალური მოვლენის წინაშე. მას აინტერესებს, კოლექტიურმა შთაგონებამ როგორ შეიძლება, გარდაქმნას ობიექტური ვითარება. რეალიზმისადმი ერთგულება და შესაპური მხატვრული ოსტატობა მწერალს საშუალებას აძლევს, დაინახოს ვითარების ამბივალენტობა და მასზე დააფუძნოს მოთხრობის მხატვრული ეფექტი: გროსგემუთი ორ ტაფაში იწვის – გერმანელების კონცერტს დირიჟორობს და, ამავე დროს, მაკიებსაც ეხმარება; მის ორატორიაში ნაცისტებიც იგულისხმებიან და მოკავშირეებიც; პატივცემული ლაიანი, რომელიც რამდენიმე წუთის წინ მორცელი იყო, ახლა მათი მონინააღმდეგე და მათგან შერისხულია; კლარა პასალაქუა რევოლუციონერიცაა და კონტრრევოლუციონერიც, და ა. შ. ამით მწერალი იმაზე მიგვანიშნებს, რომ მის თანამედროვე საზოგადოებაში გამქრალია ყოველგვარი საზღვრები. ბოროტება, შეიძლება, ბოროტებაც იყოს და სიკეთეც, სინამდვილე, შეიძლება, სინამდვილაც იყოს და სიცრუეც... ამიტომ შეუძლებელია, არ დავეთანხმოთ კრიტიკოსებს (ნ. ჯანეტო), რომლებიც მოთხრობას იტალიის უახლესი ისტორიული რეალიზმის სიურრეალისტურ ასახვად მიიჩნევენ.

და ბოლოს, ბუცატის შემოქმედებაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თემად, შეიძლება, ასევე, ჩავთვალოთ ფანტასტიკური ელემენტის რაობა და ფუნქცია: ფანტასტიკური განზომილება მწერლისათვის სინამდვილიდან

გაქცევის საშუალება კი არ არის, არამედ – ძნელად მოსაპოვებელი გამარჯვება, რომელიც ძალას, ენერჯიას, სიმამაცეს, მსხვერპლს მოითხოვს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბუცატის პროზას ნითელ ხაზად ვასდევს იდეა: ერთი მხრივ, ყოველდღიური სინამდვილის წინასწარ გამოცნობა წარმოუდგენლად დამამშვიდებლად მოქმედებს ადამიანზე, იგი რუდუნებით დაჰკანკალებს თავზე თავის პანანინა "სიმშვიდეებს", თუმცა, მეორე მხრივ, მას ხიბლავს გამოუცნობისაკენ სწრაფვაც და, იდუმალებას გამოდევნებული, ხშირად ისეთ ზღაპრულ სამყაროში შედის, სადაც გამბედაობა სიცოცხლის ფასად უფდება.

სწორედ ამას გვისურათხატებს მწერლის ერთ-ერთი უადრეულესი ნოველა "შვიდნი მალემსრბოლნი", რომელიც, ჩემი აზრით, ლაკონურობით, აზრის სიღრმით, ალგორითობითა და მხატვრული ექსპრესიით ერთ-ერთ შედევრად დარჩა მის შემოქმედებაში. იგი დაწერილია წერილის ფორმით, რაც ალგორითამდე მალღდება სიერცესა და დროზე დაწინარმოების რეალურ პლანს ლირიკულ გმირზე ინფორმაცია შეადგენს. მწერალი აღგვიწერს სიერცისა და დროის შუაგულში დარჩენილი კაცის აღსარებას, რომელიც სამყაროს შესაცნობად იღვწის. შემთხვევითი არ არის, რომ იგი ორი მიმართულებით აგზავნის მალემსრბოლებს: უკან, ანუ წარსულში და წინ, ანუ მომავალში. ეს სასწრაფო კვეთილი, იმთავითვე დასამარცხებლად განწირული ნაბიჯია, რადგანაც სამყარო გაცილებით დიდია ადამიანზე და მისი უსასრულობის შეცნობის მცდელობას კაცი ჭკუიდან გადაჰყავს. სწორედ ამიტომ ლირიკული გმირი ორივე მიმართულებით კარ-

გავს ცნობიერებას: ვერც წარსულის დაკარგვას ეგუება და თან იდუმალი მომავალიც იხმობს. ამას მოწმობს მისი მონოლოგი: "ხანდახან მეჩვენება, თითქოს ჭკუაზე შეიშალა ჩემი გეოგრაფის კომპასი [...]. ვერასოდეს ვიხილავ დასალიერს". ნოველის ბოლო ფრაზა კი – "ხვალ დილით იმედი კვლავ გამაქროლებს წინ, წამიყვანს იმ მიუწვდომელი მთებისკენ, რომლებიც ღამის სიბნელეში გახვეულან. კიდევ ერთხელ აყური ბანაკს, ვიდრე დომენიკო სანინა აღმდეგო მხარის პორიზონტს მიღმა გაუჩინარდება, რათა უშორეს ქალაქს ჩაუტანოს ჩემი ამოუდანაბრები" – ალბათ, სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ ლირიკული გმირი, ბოლოს და ბოლოს, მთელი ტრაგიკულიობით აცნობიერებს მარცხს.

ბუცატის ფანტასტიკური სამყაროს კონცეფციას შესანიშნავად გვიხსნის, მაგალითად, მოთხრობა "მოჯადოებული ბურჟუა" (Il borghese stregato), რომელიც, გარეგნული სიმარტივის მიუხედავად, ღრმა სიბრძნეს გამოგვცემს. მოთხრობის გმირი ჯუზეპე გასპარი სიმბოლოა იმ ადამიანისა, ვინც იცის, რომ ფანტაზიასთან შეხვედრა კაცს, შეიძლება, ძალიან ძვირი დაუჯდეს, მაგრამ სწამს: ეს შეხვედრა ადამიანს ისეთი დიდი სიმალლიდან გადმოგახებებს, რომ ღირს მსხვერპლის გაღებად. ასე შედის ბურჟუა აკრძალულ სიერცეში, სადაც მხოლოდ ბეშებს შეუძლიათ, უწებლად იმოგზაურონ. თავიდან პროზაული პერსონაჟი მოთხრობის მდინარეებში წელნელა იძენს ეპიკურ ელფერს და გმირად გადაისახება. მწერალი გასაოცარი ოსტატობით პოულობს განონასწორებულ ტონს ისე, რომ არასოდეს არღვევს ეპიკურსა და პაროდულს შორის არსებულ უფაქიზეს დიაფრაგ-

მას: ერთი მხრივ, გაეპიკურებულია მოთხრობის გმირი, მეორე მხრივ კი ირონიულად ეკიდება მას.

თავისი მოთხრობებით მწერალი დამაჯერებლად გვარწმუნებს, რომ მეტად ძნელია, ხშირად შეუძლებელი და საბუდისწეროც, არა მხოლოდ სიკეთის ქმნა, არამედ ამ სიკეთის განმსახიერებლის უბრალოდ შეცნობაც კი ("კოლომბრე"). ბუცატი გვიხატავს ადამიანებს, რომელთათვისაც სიცოცხლეზე ძვირფასია საკუთარი ღირსება, ვაჟკაცობის შენარჩუნება, სულის უბერებლობა ("თავდასხმა დიდ ქარავანზე"), ამასთან, მწერალი გვეუბნება, რომ უნდა გვახსოვდეს ერთი უბრალო ჭეშმარიტება – აბსოლუტურად პირობითია და მყიდვე ზღვარი ჩვენს ნუთიერ ბედნიერ ყოფასა და იქვე ჩასაფრებულ უბედურებას შორის ("ვიღაც, ვისი სახელიც ლასით იწყება"), ისევე, როგორც სიცოცხლესა და სიკვდილს, რეალურსა და ირეალურს შორის ("შეიდი საართული"), რომ სამყაროს მეუფეს შეუძლია, ღმობიერი და მომთმენი იყოს, მაგრამ, ამავე დროს, შეუვალცი ("მოსასხამი"). გვეუბნება, რომ სამყაროს გარდა არაფერია მარადიული, ყველაფერი – ბუნებაც და ძე-სულიერიც – მუდმივი განახლებით, წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიანობით ცოცხლობს.

სწორედ ეს არის უკვდავება, სიცოცხლის უწყვეტობა ("ავდარი მდინარეზე"). გვაფრთხილებს, რომ თუ ადამიანიმა დაკარგა ბუნებასთან ჰარმონიული კავშირი და გაანადგურა ყველაფერი, რისი შეცნობაც არ ძალუძს, ან მის კონტროლს არ ექვემდებარება, მაშინ თავადვე დაიღუპება ("გველესაპის მკვლელობა"). მიაჩნია, რომ ხშირად, როცა იცი, რომ უბედურებას ვერაფრით უშველი, უმჯობესია, ადამიანებს ლამაზი ტყუილი უთხრა ("ცრუ ამბები"); რომ ჩვენ-ჩვენ ყოფაში ხშირად სრულიად ხელოვნური ევფორიის მსხვერპლი ვხვდებით ("შიში ლა სკალაში"). ბუცატი ფრთხილად გვახედებს უსასრულო სამყაროს შესაცნობად ამხედრებული კაცის სულში და არაჩვეულებრივი მხატვრული ექსპრესიით გვისურათხატებს, რომ თავიდანვე მარცხისათვის განწირულია უსასრულო სამყაროს სრულად შეცნობის ცდა ("შეიდი მალემსროლნი"), მიგვანიშნებს იმაზე, რომ ღირსებიანი კაცი ხშირად იძულებულია, გაექცეს ჩვენს მკაცრსა და უღმობელ ცხოვრებას და სულ სხვა სამყაროში ეძიოს სულიერი სავანე, სამყაროში, სადაც სულ სხვაგვარი ღირებულებებია ფასეული და პატივს სცემენ მის ადამიანურ ღირსებებს ("კაცი, რომელიც თავს იფასებდა").



ლევან ფრუიძე

ჩვენი ლაზათი

პერეთის (საინგილოს) გაზეთ "ივენანას" გამოსვლის გამო

რაჭის გაზეთი "რაეო" თორმეტი წლის წინათ დაიბადა. შარშანწინ აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდ სხდომათა დარბაზში მისი ათი წლის-თავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო გაიმართა. მაშინ უკვე "რაეო" მარტო აღარ იყო. მან იბარტყა და მის ვარჯზე საქართველოს თითქმის ყველა მხარის გაზეთმა გაშალა რტო. ეს გაზეთებია "მახარია" (სამეგრელო), "ლილეო" (სვანეთი), "კრიმანჭული" (გურია), "შაველეგო" (სამცხე-ჯავახეთი), "საპოვნელა" (იმერეთი), "ურმული" (ქართლი), "ჩაკრულო" (კახეთი) და აი, 2004 წლის აპრილში პერეთის (საინგილოს) გაზეთმა "ივენანამ" გაახილა თვალი. მისი პირველი ნომერი საზოგადოებამ უკვე მიიღო და დიდ ეროვნულ მოვლენად შეაფასა. ისევე, როგორც საქართველოს თითოეული კუთხის გაზეთი, "ივენანაც" თვეში ერთხელ გამოვა, სრული ფორმატით, ოცგვერდიანი. "რაეოს" რედაქციას და მის დაულალავ რედაქტორს, ბატონ ბონდო გაგნიძეს შორსმჭვრეტელოური მიზნები აქვს დასახული: უახლოეს ხანში უნდა გამოვიდეს აფხაზეთის გაზეთი "აფხიარცა". ვიმედოვნებთ "რაეოს" ციკლის გაზეთების გარეშე აჭარა, ლაზეთი, ტაო-კლარჯეთი და

თვით ფერეიდანიც არ დარჩება. ბოლოს მკითხველი მიიღებს ყველა ამ გაზეთის შემაჯამებელ დიდ აკადემიურ "მრავალფამიერს".

სამშობლოს უანგარო სიყვარულს, ჭეშმარიტ პატრიოტიზმს შემდეგნაირად ვაცნობიერებთ: თითოეული პიროვნება საკუთარი ოჯახიდან, შთამომავლობიდან მოდის. მისი ფესვი და ძირი უსათუოდ საქართველოს რომელიმე კუთხესა და სოფელშია, ხოლო სოფლად ყოველ მოდგმას (ბაბუიშვილობას, პაპიშვილობას), გვარს და ჯილაგს შთამომავლობით თავისი ადგილი აქვს მიჩენილი, როგორც სამშეოში, ისე სასაფლაოზე. იქ არის მათი ფუძე, წინაპართა სამაროვანი, ადგილის დედა და სალოცავები. არცერთი ჭეშმარიტი ქართველი ამ სინმინდეების გარეშე არ არის დარჩენილი. თუ სხვადასხვა გარემოებათა გამო მშობლიურ გარემოს მონყვეტილია, გულში მაინც ღველფივით უნთია ვისი გორისაა და საიდან მოდის.

საბჭოთა ხელისუფლების ზეობის სამოცდაათი წლის მანძილზე, როდესაც ქვეყნის იდეოლოგია აგრესიული ათეიზმი იყო, ქართველი ერი წინაპართა რწმენას არ ღალატობდა და, ადგილის დედის მადლით, სულიერ სისპეტაკეს ინარჩუნებდა.

ყოველი ჩვენთაგანი საზღვარგარეთ ქართველი ვართ. საქართველოში რომელიმე კუთხის წარმომადგენელი. კუთხეში სოფლით გვიცნობენ, სოფლად კი მოდგმით. რიონის სათავეში მდებარე, რაჭის თავსოფელ ლებში, კაცს ვერ მიაგნებ, თუ მისი ბაბუიშვილობის, მოდგმის შიგაგვარი არ იცი. პიროვნება ანსახიერებს ოჯახს, მოდგმას, გვარს, მხარეს და მთელ ქვეყანას. თუ მან ეს საფეხურები თანმიმდევრულად არ გაიარა, სამშობლოს სრულფასოვან მოქალაქედ ჩამოყალიბება გაუჭირდება. სახლისშვილობა (ოჯახისშვილობა), გვარიშვილობა და მამულიშვილობა ერთმანეთიდან გამოდინარე და ერთმანეთის შემავსებელი ცნებებია, ამათი სინთეზით იქმნება ჭეშმარიტი ქართველობის ფენომენი. ამიტომ ნურავინ უიკიფინებს გაზეთ "რაეოს" რედაქციას, რომელიც ნივთიერი შეჭირვების მიუხედავად, ამდენ გაზეთებს სცემს. გეთანხმებით, გლობალიზაციის ამ საბუდისწერო ხანაში ეს ზღვაში წვეთია, მაგრამ სულ არარაობას წვეთი მაინც ჯობია. უმოქმედობა ლალატის ტოლფასია, როგორც დიდი ილია ბრძანებდა, ჩვენი თავი რომ ჩვენ გვეყუდნოდეს, ამისათვის თითოეული პიროვნების ძალისხმევა და საქროების დროს თავგანწირვა აუცილებელი.

ვიმედოვნებთ, "რაეოს" ციკლის გაზეთების ირგვლივ ქართველი ერის სიყვარულით გულანთებული, მოაზროვნე მამულიშვილები შემოიკრიბებიან და სიზიფეს შრომას გაგვიადვილებენ. ჩვენი რედაქციის კარი ღიაა, მობრძანდით, გვლით!

ვულოცავთ ყველა ქართველს და განსაკუთრებით შერეთის (საინგილოს) მკვიდრებს საკუთარი გაზეთის "იავნანას" გამოცემას. სამშობლოს

გაერთიანების საფუძველთა-საფუძველი სულიერი ერთობის მიღწევაა. ქართულმა ენამ და სიტყვამ უნდა შეძლოს მამაპაპურ საუფლოს მონყვეტილი შვილების ადგილის დედასთან დაბრუნება.

ფესვები ზროში იყრის თავს, ზროს ტოტებგაშლილი ვარჯი ამშვენებს. ეს სიცოცხლის ხე ერთიანი, მთლიანი და განუყოფელი საქართველოა. ცივილიზაციის საწყისებიდან, როცა ფეხი ავიდგით, თვალი გავახილეთ და სამყარო გავაცნობიერეთ, სამშობლოს გაერთიანება გვენატრება და ერთად ყოფნა გენყურია, მაგრამ სანადელს მაინც ბოლომდე ვერ ვენიეთ, მიუხედავად ამისა, მარადფამს ჩვენი ეროვნული ენერჯის სიკეთეში დახარჯვისათვის ვიღწვით. არასდროს არავინ დაგვიყურია და არ დაგვიჩაგრავს, მუდამ გავცემდით და არავის ვართმევდით. გენიალურმა შოთა რუსთაველმა ზუსტად გამოაქანდაკა ქართული ხასიათი და მრწამსი. ჩვენი ერი აქ სამხრეთ კავკასიასა და მცირე აზიაშია აღმოცენებული. უდაბნოსა და დმანისის აღმოჩენებმა კაცობრიობა დაარწმუნა, რომ ანთროპოგენეზი ამ მხკოვან, ისტორიულ მიწაზეც მიმდინარეობდა. მეზოლითიდან უკვე იკვეთება ქართული ეთნოსის კონტურები. კაცობრიობის წარმოშობა-განვითარების ყველა საფეხური ჩვენს საცხოვრისში თვალნათლივ წარმოჩინდება. წიაღსავცე ქართულ მიწაზე არქეოლოგის ბარი სასწაულებს ახდენს, გარდასულ ეპოქებს აცოცხლებს და ხორცს ასხამს. ჩვენთან მოაზროვნე ადამიანის ჩამოყალიბების მთელი პროცესი იმდენად გამოწვლილვითაა ასახული, უტყუარი ფაქტებით გაჯერებული, სხვაგან რომ არაფერი იყოს აღმოჩენილი, ანთროპოგენეზის მეტ-

ნაკლებად სრული სურათის წარმოსადგენად ქართული მასალაც საკმარისია. ამ მხრივ, სიძველის თვალსაზრისით, საქართველოს აფრიკა თუ შეედრება, ქართული მიწის შესაძლებლობანი ამოუნურავია, ჯერჯერობით ხომ მისი მცირე ნაწილია არქეოლოგიურად გამოკვლეული.

ქართველთა საცხოვრისში, ღვთაებრივი კანონზომიერებით, ქვის ინდუსტრიას ლითონი ცვლის, ტყე-ღრე ხეტიალს – ბინადარი ცხოვრება. ჯერ კიდევ ქვის ხანაში ჩნდება პირველი მინათმოქმედნი, ქვის იარაღს ლითონი ენაცვლება. ბინადარი ცხოვრება, მინათმოქმედება, მესაქონლეობა, მეღვინეობა ქართველთა ბედისწერა გახდა. ჩვენში ქვის ინდუსტრია იმდენად სრულყოფილი იყო, რომ აქედან კაჟისა და ოფსიდიანის იარაღები და საიარაღე მასალა მთელ მაშინდელ მსოფლიოში ვრცელდებოდა. შემდეგ მათ კვლავ ჩვენებური ბრინჯაოს და რკინის იარაღები, ასევე ზოდები შეენაცვლა. საქართველო ტექნიკური პროგრესის, ცივილიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი კერაა, ხოლო ქართველები ამ პროგრესის შემოქმედები არიან. ძველებრაული და ძველებრძნული მითოლოგია, მწერლობა, ქართველთა ღვანლს შთამომავლობას გადასცემენ, საქართველოს ზეავრიელი მიწა დროდადრო მკერდს გადაიხსნის და ზღაპრად თქმულს უტყუარი რეალებით ამტკიცებს. თვით ურწმუნო თომებიც იძულებულნი არიან ქართველთა პრიორიტეტი აღიარონ.

კავკასიის ყელზე, ევრაზიის შესაყარზე აღმოცენებული ხალხი და ქვეყანა ჩვეული ქართული გულუხვობით ოთხივეუთხით არიგებს თავის მიღწევებს და სამოთხის ბალიდან გამოდევნილ კაცობრიობას არსებობას უადვი-

ლებს. შემგროვებლური მეურნეობიდან მწარმოებლურზე ძალიან ადრე გადასული ეკონომიკურ კეთილდღეობას იმთავითვე აღწევს, მრავლდება და საკუთარი ცივილიზაციით შავი და ხმელთაშუა ზღვების აუზში თანდათან ვრცელდება. ნომადებით გარს შემორტყმული, ველურებთან (დაუკვირდით ქართულ სიტყვას "ველურს" (საქართველოში ველური ველიდან მოდის): სამკვედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმული, თავს და ზოგადასაკაცობრიო პროგრესს წარმატებით იცავს, სწორედ ამიტომ ღვთის მადლით დღემდე სიცოცხლეს დღემდე ინარჩუნებს. მაშასადამე, კაცობრიობის ცივილიზაციას ქართველთა მადლი სცხია, სანუთროში ამ მადლით ვართ და ვარსებობთ, მაგრამ როდემდე?!

ძნელია, ძნელი ათასწლეულთა მანძილზე ბუნვის ხიდზე იარო და მიწყვი ყოფნა-არყოფნის საფრთხეში იყო. თოთხმეტე წლის დამოუკიდებლობის მიუხედავად, საქართველო ამჟამად ზღუდე და სამან-საზღვარმოსილი ქვეყანაა. როგორც ჩვენი ახალგაზრდა პრეზიდენტი საჯარო გამოსვლებაში ხშირად ბრძანებს, ქართველი ხალხი დამცირებული და განამებულია. უფლისგან ბოძებული დამოუკიდებლობა მას ტანჯვა-წვალებისა და იავარქმის გოლგოთად ექცა. რაც დედამიწის ზურგზე აგრესორები გაჩნდნენ, ე. ი. დასაბამიდან დღემდე, უმოწყალოდ იფლითება ჩვენი სხეული. ამნუთსაც მტაცებელთაგან მიყენებული ჭრილობებისგან სისხლი გვდის, აფხაზეთი წარკვეთილია, ხოლო ქართლის გულში ავაზაკებს უკანონობის დოლი გაუმართავთ და დღისით მზისით ყოველგვარ სისაძაგლეს სჩადიან. ორმოციათასი მშვიდობიანი მცხოვრები მი-

ნაში წევს, ხოლო მშობლიური სახლ-კარიდან აყრილი 300 ათასი ქართველი დევნილია და შიმშილით იხოცება. ამ არნახულ, ისტორიულ საცოდობას თუ ვერაგულ უტიფრობას კაცობრიობა გულდამშვიდებით უცქერს და იწყნარებს კიდეც. როდემდე?

თოთხმეტი წლის ლოდინი საკმარისია. თუ ვინმეს ჩვენი შველა უნდოდა, აქამდე საშველი დაგვადგებოდა. ახლა ერთადერთი იმედი მალალი ღმერთი და ჩვენი გარჯაა. დიახ, გარჯა და არა ბრძოლა. ხმალი, რომელიც გვიჭრიდა, ამჟამად დაჩლუნგებულია და სამუზეუმოდაა გამხდარი. გადარჩენის ერთადერთი გზა ქართული ეთნოსის შეკავშირებასა და კულტურულ ექსპანსიაშია. "კულტურული ექსპანსია", აი, ჩვენი სამოქმედო სტრატეგია, თანამედროვე ზემოქმედის საბრძოლო ტექნიკის გამანეიტრალებელი და დამმარცხებელი. თვით ტერმინი – "კულტურული ექსპანსია" და მიზანმიმართული მოქმედების პირველი ნაბიჯები ცნობილ რეჯისორს ავთანდილ ვარსიმაშვილს ეკუთვნის. ის თავისი თავისუფალი თეატრით სამაჩაბლოს ქართულ სოფლებში ჩავიდა და დაუვინყარი სპექტაკლები გამართა. ორივე ლიახვის ხეობის მოსახლეობა, ქართველი თუ ოსი, წარმოადგენებს დაესწრო და მიხედნენ, რომ არაფერი აქვთ გასაყოფი, მით უმეტეს, სისხლის დასაღვრელი. რომელი ჯიშის და რჯულის არ უნდა ვიყოთ, ყველანი ხომ წუთისოფლის სტუმრები ვართ? მაშ, ვაცადოთ ერთმანეთს ამ სამოთხეში ცხოვრება. როცა უფალი მარადისობაში გვიხმობს, მადლიანი ქართული მინა ყველას მიგვიღებს, კალთას გადაგვაფარებს და წინაპართა წესზე წარწერიან-ჩუქურთმიანი ქვით შემკულ საფლავს არ დაგვაშადლის... ასე ვცხოვრობდით და ვიმარხებოდით

ქართველი თუ ოსი, აფსუა თუ არაბი... "თათარიც ჩემი ძამააო", – მღეროდა ქართველი, არავინ დაუჩაგრავს, არავინ შეუწუხებია, მტერს თუ მოყვარეს გულალადად, საუკეთესო პურ-მარლით, თავლეინით ხვდებოდა, ხმალს მაშინლა იშიშვლებდა, თუ ცოლისა და სიცოცხლის წართმევას დაუპირებდნენ, მართლაც და მართლაც, ღმერთი აღარ არი?!

სისხლიანი საუკუნეები, ჩაგვრა, ძალმომრეობა, უსამართლობა, ადამიანების და ერების დამონება, გენოციდი, ეთნოციდი თითქოს ავბედით წარსულს უნდა ჩაბარებოდა, კაცობრიობამ ხომ მესამე ათასწლეულში შეაბიჯა. მურვან-ყრუ, ბულა-თურქი, მონღოლების პირსისხლიანი სარდლები, ჯალალ-ედინი, თემურ-ლენგი, შაჰ-აბასი და ალა-მაჰმად-ხანი, რომელი ერთი ჩამოვთვალო?.. სამოთხეში კი არ განისვენებენ, არამედ ჯოჯოხეთში იტანჯებიან, მაგრამ სატანა კვლავ დაუცხრომელია, ჩვენს ტანჯულ ქვეყანას მრავალ განსაცდელს უშვალებს...

ღმერთო, წყალობის თვალით გადამოგვხედე, დუშმანი რატომ ცდილობს ქართველთა საცხოვრისიდან მინც-დამინც ქართველთა აღმოფხვრას?! ღვთის წინაშე ხომ არასდროს არაფერი დაგვიშავებია, სწორედ ამიტომ გვერჩის ეშმაკი...

"ეთნოკონფლიქტების" შემოგდებული, მაგნე თეორია რატომ გახდა დღეს უმთავრესი იდეოლოგია?! რატომ გვჭირდება კავკასიელებს რუსის ჯარი, ანდა ამერიკელების მეურვეობა?!

"ერთმანეთი რომ არ დახოცოთო!" – გვეუბნებიან. ვაი, სირცხვილო! ერთმორწმუნე, "მოძმე რუსეთი" ორასი წელია იარაღით გველაპარაკება, ხიშტი არ დაგველებია და ზარბა-

ზანი... ქართველ ტუსალთა გვაგებით გაჯერდა ციმბირის მიწა. რუსი მაინც რუსად დარჩა, ქართველი კი – ქართველად, გადაგვარებულები, რენეგატები კი სათვალავში ჩასაგდები არ არიან... დაჩაგრული, განამებული, გაუბედურებული თაობები კი უდროოდ სამარეში ჩაწვენენ, რატომ?! ადამიანები ხომ ისედაც მიდიან და აღარ ბრუნდებიან, ამიტომ ხელისუფალნი რატომ გვიმნარებენ ნუთისოფელს?!

ჩვენ – უბრალო, რიგით ადამიანებს ისლა დაგვრჩენია, ყოველგვარ "იზმებს" და ვაიდიეოლოგიას ღვთაებრივი სათნოება დავუპირისპიროთ, მრავალნაცადი, ქართული სიბრძნე – "რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენება", მოქმედების ნიშანსვეტად გავიხადოთ და მივბაძოთ ავთო ვარსიმაშვილს, ერთმანეთთან ტანკებისა და ავტომატების ნაცვლად ლოცვით მივიდეთ, ხელოვნების მადლის ისხარით დავენამოთ, დავაცხროთ ძალაუფლების მოყვარულთა მრისხანება, სისხლისმსმელობის ბარბაროსული სურვილი. ვისაც როგორ შეგვიძლია, ისე გავხდეთ "კულტურული ექსპანსიის" ჯარისკაცები.



ასეთი მსჯელობის ხასიათზე დამაყენა სამეგრელოს გაზეთ "მახარიასი" დაბეჭდილი სტატიის – "არც ისე შორია ლაზისტანამდე" წაკითხვამ (გაზ. „მახარია“, 2004, №4, აპრილი, გვ. 6-7). ავტორები "მახარიას" სპეციალური კორესპონდენტები, ძმები ლაშა და დათო კოდუები არიან. მკითხველს წერილის შესავლის ორ აბზაცს გავაცნობ: "კოლხური კულტურა უძველესი კულტურაა მსოფლიო ცივილიზაციაში. კოლხური სამყარო, ეს პროტოიბე-

რიული სამყაროა, ცივილიზაციის აკვანია არამარტო კავკასიასა და მცირე აზიაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც და ამიტომაცაა, რომ ელინური სამყარო ჩვენსკენ მოილტვოდა აიეტის მეფობის დროს და შემდგომ პერიოდებშიც. განათლებამონყურებული ბერძნები ძველ ფაზისში ეუფლებოდნენ ცოდნას და ამაყოფდნენ კიდევც.

კოლხური, თუ პროტოიბერიული სამყაროა სწორედ ანიც და პოეც, ალფაც და ომეგაც. მაშინ, როდესაც ინდოევროპულმა სამყარომ ტროას ომში სძლია კოლხურს, აქედან დაიწყო მატერიალიზმის აღზევება და აღმატება სულიერ სამყაროზე. ამის ნათელი მაგალითია ზევსის მიერ პროგრესულად მოაზროვნე პე-ლაზ-გი პრომეთე ევგაროსის-ძის მიჯაჭვა კავკასიონზე. ამ საკითხის განხილვა ამ წერილში შორს წაგვიყვანს, მაგრამ ერთი უნდა გვწამდეს, დადგება დრო, პრომეთე მონობის ბორკილებს გაგლეჯს და კოლხურ სამყაროს გამარჯვებასა და დაკარგულ დიდებას დაუბრუნებს. ეს იქნება სულიერების გამარჯვება მატერიალიზმზე, ეს იქნება ქართველური ენების, ქართველური მოდგმისა და ქართველური გენის გამარჯვება და აღზევების ხანა, რაც დღეს "დამარხულ არს".

კარგია, ცოტა ხმამაღალი ნათქვამი რომ არ იყოს. ამკარად არ მომწონს ტერმინი "ქართველური" და "ქართველურში" ჩადებული აზრი. ტერმინი "ქართველური ენები" ენათმეცნიერულია და ეთნოსზე მისი განზოგადება ყოველად დაუშვებელია. ქართველობა – ქართველი ერთი ეთნოსია. რომელი კუთხიდანაც არ უნდა იყოს ქართველი და რომელ ენაზეც (ქართულზე, მეგრულზე, სვანურზე) და დიალექტზე (დიალექტებს აღარ ჩამოვთვლი) არ უნდა ლაპარაკობდეს, ერთი ეთნოსია.

სხვა ეთნოსები საქართველოში საკმაოდ არიან, მაგრამ არაქართველები არიან. ასე რომ, სიფრთხილეს თავი არ სტკივა და ტერმინები ზუსტად უნდა ვიხმაროთ. ქართველებს, ჩვენი წარსულის გამო, კანონიერი სიამაყის გრძნობა უნდა დაგეუფლოს, და არა რომელიმე კუთხის უპირატესობის წარმოჩენით. მხარეს, "კუთხეს", რა თქმა უნდა, ღვანლი არ უნდა დავუკარგოთ, მაგრამ "კუთხემდე" ეროვნული ისტორიის ერთიანობის გააზრებით უნდა მივიდეთ. უცოდინარობა ბევრ უბედურებას ბადებს და ხშირად სეპარატიზმის შხამსაც წარმოშობს, მოტყუებული და გაბრწყინებული ადამიანები, არცთუ იშვიათად, ძმამტკვლელ ომსაც აჩაღებენ და გამოგონილი შულლის მსხვერპლი ხდებიან. ეს უბედურება მხოლოდ ბნელ შუა საუკუნეებს კი არ ახასიათებთ, არამედ დღესაც ძალაშია და ამიტომ ჩვენი ქვეყანა სისხლისმსმელ სეპარატისტთა სათარეშოდ იქცა. უხეშად და თვითნებურად თვით საქართველოს ისტორიის გამრუდება-გაყალბებაც მოხდა და მივიღეთ "აფხაზეთის" და ე. წ. "სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებელი სახელმწიფოები" ბოროტმოქმედთა მარიონეტული მთავრობებით. ისტორიის გვიანდელ მონაკვეთში შიდაქართლში თავშეფარებულმა ოსმა ხიზნებმა, უფრო სწორად, რუსეთის იმპერიისაგან მათმა მოსყიდულმა მესვეურებმა, მკვიდრ ქართველობას მასპინძლობა და პატივისცემა ასე, ჯაყოსებურად გადაუხადეს...

რაც შეეხება "აფხაზეთა სახელმწიფოებრიობას", მსგავსი რამ მსოფლიოს ისტორიამ არ იცის, "აფხაზი" ეთნოსი დედამიწის ზურგზე არ არსებობს. აფხაზი ისეთივე ქართველია, როგორც მეგრელი, სვანი, ქართლელი და ა. შ., აფხაზეთი საქართველოს ისე-

თივე განუყრელი ნაწილია, როგორც სამეგრელო, სვანეთი, აჭარა და სხვა. "აფხაზური ენა" თანამედროვეობის ანაქრონიზმია, არის აფსუა ეთნოსი და აფსუური ენა, ალბათ ისტორიული კანონზომიერება და სამართლიანობა საკონსტიტუციო სასამართლოს მეშვეობით აღდგება... ქართველი ერის და კაცობრიობის წინაშე დანაშაულია, რომ თითქმის თოთხმეტი წელია არსებობს აფხაზეთის სეპარატისტული "სახელმწიფო" - რუსული ენით, თვითშემეცნებით, საქართველოსაგან ძალით წაგლევილ აფხაზეთის ტერიტორიიდან ქართველები აყრილები და გამოყრილები არიან. გალის რაიონში მიბრუნებულ მკვიდრებს (მათ ვერაფრით საარსებო საშუალება ვერ გამოიხსნეს და იძულებული გახდნენ, თავგანწირვის ფასად, მტრისგან ოკუპირებულ სახლ-კარს, დამწვარსა და გაუბედურებულს მიბრუნებოდნენ) ხოცავენ, ატყვევებენ, ანამებენ, მშობელიურ ენაზე სწავლას, აზროვნებას და ლაპარაკს უკრძალავენ...

ხალხო, ეს წარსულის ავბედითი გახსენება როდია, ეს ყველაფერი ახლა, ჩვენს თვალწინ ხდება და მხოლოდ უმწეობის გრძნობა გვეუფლება, სხვა ვერაფერი მოგვიხერხებია...

ასეთია მწარე სინამდვილე. არსებული აუტანელი ვითარების მოსაგვარებლად კი არაფერი კეთდება. პარტიზანული მოძრაობა გაკოტრდა და სამარცხვინო სახე მიიღო, ე. წ. "მოლაპარაკებები" მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის მოსატყუებლად წარმოებს ჯერჯერობით, მომიტვეთ და, ამ მართლაც ლაყბობას, რაიმე ქმედითი ღონისძიება არ მოჰყოლია. ამ დროს, თუ რუსეთი თავის "სამშვიდობო" (რაცინიზმია!) ჯარს გაიყვანს, ყველაფერი თავისთავად, მშვიდობიანად მოგვარდება, ქართველებს და აფსუებს

ერთმანეთთან გასაყოფი და სამტრო არაფერი აქვთ. ყველა თავის კარ-მიდამოს, ბუდეს დაუბრუნდება, ხოლო ის, რაც მოხდა, ერთმონაშენ რუსეთის ისტორიას კიდევ ერთ სამარცხვინო ლაქად დააჩნდება.

ევროკავშირის შექმნამ, საერთო ვალუტის შემოღებამ, საზღვრების გახსნამ და ა. შ. უჭყველია ევროპის ხალხებს ცხოვრება გაუადვილა. ყოველ კულტურულ ხალხს სახელმწიფო ბიუროკრატისგან თავისუფლება სწყურია და, თუ ეს ევროკავშირის მეშვეობით მიიღწევა, ბუნებრივია, მსოფლიოსთვის კარგი მაგალითი გახდება. მაგრამ ამის საყოველთაოდ განხორციელებამდე, ყველა ავტოქტონმა, აბორიგენმა ხალხმა, ლეთის მიერ დასაბამიდან მიკუთვნებულ ტერიტორიაზე, გაერთიანებას უნდა მიაღწიოს. ისევე, როგორც ეს ევროპის მონესრიგებულმა ხალხებმა შეძლეს. სულ ცოტა სამი ათასწლეულია ასეთი ამოცანა ქართველებს გვიდგას და ვერაფრით ვერ გადაგვიწყვეტია. ყოველ ისტორიულ მოსაბრუნში, როცა დამოუკიდებლობას მივალწევთ; ვიღვეით და ვკნინდებით, ჩვენი ეროვნული სხეული უსამართლო და ძლიერი მეზობლების ნებით იგლიჯება, იფლითება...

1919 წელს ივანე ჯავახიშვილმა და ცოტა უფრო ადრე პავლე ინგოროყვამ პოლიტიკოსებს საქართველოს ისტორიული საზღვრები მოკრძალებულად შეახსენეს, მაგრამ ყოველთვის სანინაალმდეგო კეთდება, სახელმწიფო საზღვარი, რაც გვეკუთვნის იმის მიხედვით კი არ სწორდება, პირიქით მცირდება და ვინროვდება.

1996 წელს ისტორიკოსმა დურმიშხან ცინცაძემ, ივანე ჯავახიშვილის მონოგრაფია საქართველოს ისტორიული საზღვრების შესახებ, რუკით გამოაქვეყნა, რათა საზოგადოებას

სცოდნოდა, რა გვეკუთვნის და რა დავკარგეთ. დ. ცინცაძე წერს: საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ტერიტორია 1921 წელს, რუსეთის ანექსიამდე 90 000 კვადრატულ კილომეტრს შეადგენდა, ე. ი. 21 000 კილომეტრით მეტს, ვიდრე დღეს გვაქვს. საქართველოს დაპყრობის შემდეგ ე. ი. ლენინმა და მისმა მთავრობამ ჩვენი ქვეყნის კუთვნილი მიწები პაიპარად გაასხვისა:

1. ართვინის - 3330 კვადრატული კილომეტრი; 2. ფოცხოვის - 588 კვ. კილომეტრი; 3. არტაანის - 5137 კვ. კილომეტრი; ოლთისის - 3051 კვ. კილომეტრი; 5. ქვემო ქართლის - 3564 კვ. კილომეტრი; 6. ჰერეთის (საინგილოს) - 3564 კვ. კილომეტრი, ხოლო სოჭი და მისი მიდამოები ისეთი სიხარბით მიითვისეს, თითქოს რუსეთს სივინროვისგან სული ეხუთებოდა.

საქართველოს მიწების მტკაველ-მტკაველ დაქუცმაცება და მისაკუთრება კვლავ გრძელდება (დანვრილებით იხ. გაზ. "კვირის პალიტრა", 2004, №8, 23-29 თებერვალი, გვ. 5, 11). აღარას ვამბობ ჩამოკვეთილ აფხაზეთსა და რაჭა-შიდაქართლის მიტაცებულ ტერიტორიებზე).

უფრო უარესიც, 1996 წლის თებერვლიდან, დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტის მიერ აგრარული რეფორმის ისეთი უკუღმართი კანონებია მიღებული, სახელმწიფო საზღვარს აღარავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს. თუ ასე ვაგრძელდა, მალე ქართველ ხალხს და, ბუნებრივია, ჩვენთან მცხოვრებ სხვა ხალხებსაც, მშობლიური მიწა ფეხქვეშ გამოეცლება და მიწის ახალმა მესაკუთრებებმა მკვიდრი მოსახლეობა, შესაძლოა მონებადაც აღარ დატოვონ...

ვიმედოვნებთ, მოსალოდნელი საფრთხისაგან ახლად არჩეული პარ-

ლამენტი და ხელისუფლება დროულად დაგვიხსნის. დღეს შველა შეიძლება, ხვალ გვიან იქნება... მთავარია – რა გველის დროულად გავაცნობიეროთ და ხალხის ძალისხმევა სწორად წარვმართოთ. ჩვენი ძალა ისტორიულ სიმართლესა და სამართლიანობაშია, ოღონდ უქართველებოდ დარჩენილ მინას აღარაფერი ეშველება. როგორი იმპერიის ხელშიც არ უნდა იყოს ლაზეთი, მაინც ქართულ მხარედ დარჩება. ლაზებმა უამრავ მტერს და სისხლიან ქართველებს გაუძლეს. საუკუნეთა მანძილზე მშობლიურ მიწაში ფესვები ღრმად აქვთ გადგმული და მათი ამოძირკვა პრაქტიკულად შეუძლებელია. მათ ქვეცნობიერად საქართველო ახსოვთ და, როგორც კი ხელსაყრელი ისტორიული მომენტი დადგება, ჩვენი ქვეყნის გაერთიანების საკითხი საერთაშორისო სამართლის სამსჯავროზე გამოვა. თურქეთი მეორე მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანიის მოკავშირე იყო. საქართველოს ისტორიის მესაჭეებმა აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა და სიმონ ჯანაშიამ ოსმალეთს კანონიერი პრეტენზიები წაუყენეს, მეცნიერები წერენ:

“ქართველმა ხალხმა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფაშისმის განადგურების საქმეში, უფლება მოიპოვა წარმოადგინოს თავისი კანონიერი მოთხოვნები.

ჩვენ მიემართავთ მსოფლიოს საზოგადოებრივ აზრს თურქეთის მიერ წარმეული ჩვენი ძველისძველი მიწა-წყლის შესახებ.

საქმე ეხება არა უმნიშვნელო ტერიტორიულ შევიწროებას, არამედ ჩვენი ხალხის ინდივიდუალობის აკვანს, ჩვენგან მიტაცებულს, დანაშაულს, რომელმაც ორად გააკვეთა ცოცხალი ეროვნული სხეული.

საქმე ეხება ქართველი ხალხის საუკუნებრივი ბრძოლის საგანს – ჩვენი ძველისძველი მიწა-წყლის დაბრუნებას.

ქართველი ხალხი ძველთაგანვე ცხოვრობდა, შრომობდა და იბრძოდა თავის მკვიდრ ტერიტორიაზე – დიდი ტავრიდან მოკიდებული დიდ კავკასიონამდე. ჰქმნიდა თავის ცივილიზაციას და სახელმწიფოებრიობის ახალ-ახალ ცენტრებს. ქართველმა ხალხმა ცხადყო სიცოცხლისა და შემოქმედების იშვიათი უნარი, მშობლიური მიწა-წყლის მტკიცე სიყვარული, ურყევი ნებისყოფა – დაეცვა ის, რაც მას ეკუთვნის”. (“მართალი გაზეთი”, 2003, №8, თებერვალ-მარტი, გვ. 4-5). ქართველი ხალხის ოცნება თითქოს უნდა ასრულებულიყო, მაგრამ ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარება სწრაფად შეიცვალა. საბჭოთა კავშირის მოკავშირეებმა ინგლისმა და ამერიკამ მოულოდნელად მტრული ქვეყანა თურქეთი დაიცივეს, ხოლო გამარჯვებათა ზენიტზე მყოფი საბჭოთა კავშირის გაფართოება იაპონიაზე ორგზის ატომური ბომბის დარტყმით შეაჩერეს. საქართველო გაურთიანებელი დარჩა. ი. ბ. სტალინის გარდაცვალების და ლ. პ. ბერიას დახვერების შემდეგ საბჭოთა კავშირმა თურქეთის მიმართ ვ. ი. ლენინის პოლიტიკა გააგრძელა და ტერიტორიულ პრეტენზიებზე ოფიციალურად თქვა უარი.

დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის დაბალანსებული პოლიტიკის წყალობით, მეზობლების მიმართ ყველა კანონიერ მოთხოვნას დავინყების ფერფლი წაეყარა. მხოლოდ ისტორიკოსებმა დ. გოგოლაძემ და დ. ცინცაძემ “მართალი გაზეთის” მეშვეობით საზოგადოებას შეახსენეს შუაზე გაგლეჯილი საქართველოს მოურჩენელი

ტკივილი... ბ-ნ ედ. შვეარდნაძემ ვ. ი. ლენინის გადააჭარბა, მისი ინიციატივით 1992 წელს საქართველოს პარლამენტმა საგანგებო დადგენილება მიიღო – თურქეთთან სადავო არაფერი გვაქვსო. უფრო მეტიც, თურქეთს პიდროპესისათვის ქოროხის დაგუბების უფლება მიეცა. სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ მოცემულ რეგიონში ეკოლოგიური კატასტროფა გარდუვალიაო, თან მრავალი ქართული ისტორიული ძეგლი წყლით დაიფარება.

ჩვენთვის სრულიად მიუღებელია მეგობრულად განწყობილ თურქეთთან "დაბალანსებული" ურთიერთობის გამწვავება, მაგრამ ისტორიული სამართლიანობა არ უნდა დაიმალოს, ის ყველა თაობამ უნდა იცოდეს და კანონიერების აღდგენისათვის ორივე მხარემ უნდა იღვანოს. მნამს და მჯერა, მესამე ათასწლეული ძალმომრეობას აღარ დაუშვებს და ადამიანის უფლებებთან ერთად, დაჩაგრული ერების უფლებებიც დაცული იქნება. ჩვენი მოკრძალებული მიზანია საქართველოს საზღვრებს გარეთ დარჩენილი ქართველობა და მათ შორის ლაზები, სწორად იქნენ ინფორმირებული. სახელმწიფო საზღვარი მათ სამშობლოს სიყვარულს ვერ დაუშლის, მითუმეტეს, ამ საზღვარზე საბჭოთა მესაზღვრეები აღარ დგანან. კულტურული ურთიერთობის ("ექსპანსიის") შედეგად თანდათან აღდგება ერის ისტორიული მეზიერება და სანთელსაკმეველი თავის გზას არ დაკარგავს. მითუმეტეს, საქართველოს საპატრიარქოსთან კოლხური კულტურის საერთაშორისო ცენტრი მოქმედებს, არსებობს კოლხურ-ლაზური კულტურის აღორძინების ასოციაცია, თვით ლაზეთშიც ყოფილა საზოგადოება "ლაზეთურა" (გაზეთი "ილორი", 2004,

№29, მარტი, გვ. 6), რომელიც თანამოდმეებთან კავშირს ესწრაფის, გამოდის ლაზური ჟურნალი, ოღონდ ლათინური შრიფტით, ქართულ ანბანს ალბათ თანდათან ეზიარებიან, მეტადრე ქართულ რადიოს სიამოვნებით უსმენენ და ტელეგადაცემებს დიდი ინტერესით უყურებენ. თუ დამოუკიდებელი საქართველო ქუდბედად დაყოლილ კრიზისს თავს დააღწევს, ეკონომიკურ კეთილდღეობას მოიპოვებს, მრავალათასწლოვან კულტურას ააღორძინებს, მაშინ ლაზეთიც და ფერიდანიც საქართველოს დაუბრუნდება, თუ პირდაპირი გაგებით არა, სულიერად მაინც. საქართველო თუ ნორმალური და ნარმატიული ქვეყანა იქნება, მაშინ ქართველი, სადაც არ უნდა იყოს ის, სამშობლოს არ დაკარგავს. ვიდრე სამშობლო დედინაცვლად გვყავს ქცეული, ბუნებრივია, ვერავისზე კეთილ გავლენას ვერ მოვახდენთ, ამიტომ მთელი ძალისხმევა ქვეყნის კეთილდღეობას უნდა მოვახმაროთ.

გაზეთ "მახარიაში" გამოქვეყნებულ, ძმების ლაშა და დათო კოდუების ზემოხსენებულ ნერილში საკმაო გულისტკივილია გამოხატული მეგრული ენის ბედზე, ანმყოსა და მომავალზე. ასეთივე არასახარბიელო მდგომარეობაშია სვანური ენაც. მხოლოდ გაზეთი "მახარია", რომელიც მეგრულ ფოლკლორულ ტექსტებს აქვეყნებს, ხოლო გაზეთი "ლილეო" – სვანურს. სამწუხაროდ, ორივე ენის სამეტყველო არეალი იკვეცება. შემოფოთება დროულია, თუ ასე გაგრძელდა, მათი გაქრობის საფრთხე ამკარაა. უპირველეს ყოვლისა, ეს ქართული ენისათვის იქნება საბედისწერო, მას მთავარი მასაზრდოებელი შენაკადები დაემრიტება და მოკვდება. აქედან გამომდინარე, მეგრულ და სვანურ

ენაზე ზრუნვა ქართული ენის გადარჩენა-გამდიდრებისათვის ზრუნვაა. სამივე ეს უძველესი და უმდიდრესი, ლეიძლი, მოძმე ენა არა მარტო ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ცოცხალი ძეგლებია, არამედ ყოფაში მოქმედი ის ფენომენები, რომელთაც ერთი ფუძე, ერთი წარმოშობა აქვთ, ერთიანი ქართული ეთნოსის ენისა და აზროვნების თანაბრად მნიშვნელოვანი მასაზრდოებლები არიან. რომელიმეს შეფერხება ან გაქრობა ერთიანი წარმოშობა-განვითარების პარამონიას დაარღვევს და ქართველი ერისათვის მომაკვდინებელ საფრთხედ გადაიქცევა. თითოეულშია ქართველმა, რომელი კუთხიდანაც არ უნდა ვიყოთ, ეს კარგად უნდა გავაცნობიეროთ. მე პირადად, ისეთ მეგრელს ან სვანს პატივს ვერ ვცემ, რომელიც იქადის - მეგრული და სვანური დამავეინყდაო. თუ იცოდა, არ უნდა დავეინყნოდა. სვანურისა და მეგრულის ცოდნა თითოეულ ჩვენთაგანს ღირსებად უნდა მიგვაჩნდეს და ჭეშმარიტი ქართველობის ერთ-ერთ ნიშნად უნდა შევრაცხოთ. აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დღეს არანაკლებ საპატრონოა ქართული ენა, მართალია სახელმწიფო ენად გამოცხადებული, მაგრამ შერყვნილი და დამცირებული. ჯერჯერობით რუსული ჩექმა კარგად ვერ მოგვიშორებია და ქართულ ენას, რუსულის ნაცვლად, ინგლისური დავაჯინეთ თავზე, რა აუცილებლობითაა განპირობებული ეს ჩემთვის გამოცანად რჩება...

ეჭვი არ გვეპარება, დაწყნარებულ, დალაგებულ, ეკონომიკააღორძინებულ საქართველოში ქართულსაც ეშველება და მეგრულ-სვანურსაც, მით უმეტეს, ჩვენმა წინაპრებმა თავის დროზე ეს საკითხი უმტკივნეულოდ

აღივსებულად გადაწყვიტეს. ენისა და ეთნიკური კულტურის მიმართებაზე ტომებია დაწერილი, საფურნალო წერილში, რა თქმა უნდა, მათ ჩამოთვლას და მეტადრე ანალიზს არ შეუდგებოთ, მაგრამ ერთ დამახასიათებელ მაგალითს მაინც მოვიტანთ: რომის იმპერია ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნის დამლევს გაიყო და ჩვენს მეზობლად წარმოიშვა აღმოსავლეთ რომის იმპერია, რომელსაც საბოლოოდ ბიზანტია ეწოდა. ბიზანტია ეთნიკურად ძალიან ჭრელი სახელმწიფო იყო. ცნობილია, რომ მაშინდელი სამყაროს დამპყრობელმა, ძლევამოსილმა რომმა, ბერძნულ ენისა და კულტურის ჭიდილშიც გაიმარჯვა და სახელმწიფო ენად ლათინური აქცია. ამ ორ კულტურულ ერს შორის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი კომპრომისი ღრმავარობრივად აისახა პლუტარქეს სახელგანთქმულ პარალელურ ბიოგრაფიებში. IV-VI საუკუნეებში ბიზანტიის სახელმწიფო ენა ლათინური იყო, ხოლო ბერძნულმა ენამ ეს უფლება მხოლოდ VI საუკუნეში მოიპოვა. ლათინურ ტრადიციებთან ერთად, ბიზანტია, ძირითადად, ბერძნული კულტურის ქვეყანა გახდა და, ბუნებრივია, ხელისუფლება ბერძნულ ეთნოსს ეყრდნობოდა. მაშასადამე, ქრისტეს შემდეგ პირველ ათასწლეულში კვლავ ახალი ძალით გაჩაღდა ბერძნული და ქართული კულტურის ტრადიციული მეთოქეობა. მაშინდელ აშლილ და ნომადურ მსოფლიოში ბიზანტიის მესვეურებმა ვერ გაითვალისწინეს ორი მაღალკულტურული ერის მეგობრობის და თანაცხოვრების აუცილებლობა. სამწუხაროდ, ეს ვეებერთელა, ძლიერი იმპერია ქართული ეთნოსის ჩასაფრებულ მტრად იქცა. ყველაფერს აკეთებდა, რათა მის გვერდით საქართვე-

ლო არ გაძლიერებულიყო. სხვათა შორის, ასეთი შუღლი "მესამე რომს" – მოსკოვსაც სჭირს.

X საუკუნის მეორე ნახევარში სრულად გაუთვალისწინებელი ისტორიული მოვლენა მოხდა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა მსოფლიოს რუკა, ხოლო ბიზანტიისათვის საბედისწერო გახდა. შუა აზიაში – მომთაბარე თურქმანთა აკვანში ოღუზთა ტომი იმდენად გამრავლდა და გაძლიერდა, დიდი გაერთიანება შექმნა. მათ სათავეში ვინმე სელჩუკი ჩაუდგა (1010 წ.). სელჩუკები კალიასავით მოედევნენ ირანს, ბიზანტიასა და ამიერკავკასიას, საბოლოოდ თავიანთი ძალაუფლება მთელ აღმოსავლეთში გაავრცელეს. სელჩუკთა უზარმაზარი იმპერია (1040-1194 წწ.) ძირითადად ირანისა და ერაყის ტერიტორიებს მოიცავდა. ბიზანტიამ ავად თუ კარგად ამ საფრთხეს დროებით თავი დააღწია, მაგრამ ანატოლიაში სელჩუკთა სახელმწიფო აღმოცენდა, შემდგომ რუმის სასულთნო, რომელიც საქართველოს VI-XI საუკუნეებში ემეზობლებოდა და მასთან პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა. ბიზანტიისათვის ის სახელმწიფოში სახელმწიფო იყო და საშიშროების მუდმივ კერას წარმოადგენდა. ბიზანტიის მიწაზე ასე თანდათან ყალიბდებოდა დამჯდარ, ბინადარ ცხოვრებაზე გადასული თურქული ეთნოსი. საქართველოში მოკალათებულ თურქ-სელჩუკებს კი დავით აღმაშენებელმა მუსრი გაავლო. დიდგორის ბრძოლამ (1121 წ.) ქართველ ხალხს და ქართულ სახელმწიფოს საკუთარ მიწა-წყალზე დარჩენა-დამკვიდრების პრობლემა საბოლოოდ გადაუნყვია. ეს, უეჭველია, დავით აღმაშენებლისა და გიორგი ჭყონდიდის

ლის სიბრძნესთან ერთად, ღვთის ნებაც იყო, ბიზანტიის ბედი კი უკუღმართად წარიმართა. იმპერიები წესისამებრ თავიანთ ბატონობას ხალხების ჩაგვრასა და შევიწროებაზე ამყარებენ, საბოლოოდ მათ უფალი აღარ პატიობთ და თითქმის ყველა იმპერია თავის არსებობას დამხოზა-დალუპვით ამთავრებს. ისტორიის სიღრმეში რომ აღარ შევიჭრათ, საბჭოთა კავშირის მაგალითიც საკმარისია.

1071 წელს მანციკერტის ცნობილ ბრძოლაში თურქ-სელჩუკებმა ბიზანტია სასტიკად დაამარცხეს, რის შედეგადაც ოდესღაც უძლიერესმა სახელმწიფომ მცირე აზიის, ე. ი. ძირითადი საარსებო ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგა. ამის შემდეგ სელჩუკებმა ანატოლიაში მკვიდრად მოიკიდეს ფეხი და, როგორც უკვე ვიცით, თავიანთი სასულთნო – სახელმწიფო შექმნეს. ბიზანტიამ, როგორც კი სული მოითქვა, შინ გაბატონებულ მტერს მაშინვე შეუტია, მაგრამ 1176 წელს კვლავ სასტიკად დამარცხდა და ძალაუნებურად საკუთარ სხეულზე ახალგაზრდა სახელმწიფოს ზრდა-აღორძინებას შეეგუა...

ჩვეულებრივ, მაღალკულტურული ერი დაბალი კულტურის მქონე შინ ჩასახლებულ მტერს ადვილად ინელებს და საბოლოოდ იერთებს, მაგრამ თვით ბიზანტია ეთნიკურად კონგლომერატი იყო, ხოლო ბერძნული მოსახლეობა საბერძნეთს მონყვეტილი, მას მცირე აზიაში მკვიდრი ნიადაგი, საკუთარი ფუძე და ძირი არ გააჩნდა. მრავალრიცხოვანი თურქობა დამჯდარი, ბინადარი ცხოვრების დაუფლებასთან ერთად, მომთაბარეთათვისაც ჩვეულ სამხედრო ორგანიზაციას ინარჩუნებდა და ბიზანტიისათვის ისინი თანდათან დაუმარცხებელ ძალად იქცნენ.

საერთაშორისო ურთიერთობანიც ბიზანტიის საინანაღმდეგოდ წარმოართა. აგონიაში მყოფი ეს ქვეყანა ნომადებთან მხარდამხარ ჯვაროსნებმაც აღარ დაინდეს, 1204 წელს მათ კონსტანტინეპოლი აიღეს, მინასთან გაასწორეს და იქ ლათინთა უღლეური იმპერია დაამკვიდრეს (1204-1261 წწ.). ბიზანტიის მრავალსაუკუნოვანი კრიზისი სელჩუკების მემკვიდრე თურქოსმალებმა 1453 წელს კონსტანტინეპოლის აღებით და ბიზანტიის იმპერიის მოსპობით დაასრულეს. მის ნანგრევებზე ოსმალეთის ძლევამოსილი იმპერია დაფუძნდა და თვით ევროპის არსებობას საფრთხე შეუქმნა. საქართველო მუსულმანურ ოკეანეში აღმოჩნდა და კულტურულ სამყაროსთან ურთიერთობის ყოველგვარი საშუალება მოესპო.

ბიზანტიის ყველა უბედურების მონანილე და გადამტანი ჩვენი მოქმე ლაზეთი იყო. 1204 წელს თამარ მეფის ძალისხმევით შექმნილი ტრაპიზონის იმპერია 1461 წელს ოსმალთა შემოტყვის შედეგად დაემხო და აღზევებული თურქეთი უშუალოდ საქართველოს სახელმწიფო საზღვარს მოადგა. ოთხი საუკუნე საქართველოს სამხრეთ საზღვრებზე ბრძოლები არ წყდებოდა, საბოლოოდ აჭარა-შავეთი, ტაოკლარჯეთი და სამცხე-ჯავახეთი დაიკარგა. ეს საფრთხე იმერეთის სამეფოსაც დაემუქრა. ერთმორწმუნე და მოკავშირე მეფის რუსეთმა, საქართველოს სახელმწიფოს მოსპობის შემდეგ, თურქეთის აგრესია შეაჩერა, მაგრამ საქართველოს გაერთიანება დღემდე ღიადაა დარჩენილი. ლაზეთი იმთავითვე ოსმალეთის იმპერიის შუაგულში აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, მათ მშობლიური ენა და ეროვნული სული მაინც შეინარჩუნეს და

ღველფივით ჩაუქრობლად დღემდე შემოინახეს.

ყოველსამომცველი გლობალიზაციის შედეგად დესპოტური სახელმწიფოები თანდათან ძალას კარგავენ, სახელმწიფო საზღვარი აღარ არის ჩინური კედელი, ღვთის მადლით ბერლინის კედელიც დაინგრა. გავლიძებული ხალხები ვიდრე ერთმანეთში გაითქვიფებოდნენ, რაც კოსმოპოლიტიზმს ასე სწყუროდათ, უთუოდ თავიანთ ფესვსა და ძირს მოძებნიან. თურქეთის ყველა ხალხმა თავის წარმომავლობა მეტ-ნაკლებად იცის და ისინი, სადაც მეტი კულტურა და ცივილიზაციაა, იმ წინაპრებით იწონებენ თავს. რომი და მისი მემკვიდრე ბიზანტია აღარ არსებობს. ლათინური ენა მკვდარი ენაა, ხოლო ძველი და ახალი ბერძნული ისეა ერთმანეთზე დაშორებული, ძველი სამეტყველოდ გამოუსადეგარია. ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში, როცა რუსეთმა ანატოლიას შეუტია, იქაურმა ბერძნებმა, თურქულ-ბერძნულად მეტყველმა ე. წ. ურუმებმა საქართველოს მოაშურეს, შემდგომ ბევრი მათგანი ძველ სამშობლოს – საბერძნეთს დაუბრუნდა. უფლის სამართლით, ასეთივე ზედდრი სომხებსაც ელთი. სხვათა შორის, ბერძნულის არ იყოს, ძველი სომხური იმდენადდა სახენაცვადი, თანამედროვე სომხებს აღარ ესმით, ქართული ენა კი საოცრად კონსერვატორულია. იოანე-ზოსიმესი არ იყოს, იგი ერთადერთი და შუუდარებელია. მე ვერ გავიზიარებ იმ აზრს, რომ მეორედ მოსვლის ფაშა ღმერთი ქართულად ალაპარაკდება, რადგან ქრისტიანობამ ღვთის ენად ყველა ხალხის ენა გამოაცხადა, სრულიად სამართლიანად და შორს გამიზნულად; თანასწორობა ხომ ქრისტიანული მრწამსის თა-

ნაზიარია. ქრისტიანობა როცა საერთაშორისო რელიგიად ჩამოყალიბდა და შურისმაძიებელ კაცობრიობას ურთიერთ სიყვარული და მიმტყველობა უქადაგა, ქართველთა მოდგმამ ეს სიკეთისა და სათნოების მოძღვრება უყოყმანოდ მიიღო. ქართველობა თვით ქრისტესთან და პირველმოციქულებთანაა ნიღდებული, ქრისტეს კვართით და სხვა სინწინდებებითაა ნათელმიღებული, ღვთისმშობლის კალთით დაცული და მირონცხებული. ქართველური ენებიდან მხოლოდ და მხოლოდ ქართული აღმოჩნდა ღვთის განჩინებით შინაგანად მზად, რომ წმინდა წერილი ქართულად თარგმნილიყო, თვით უფალმა ინება და, არა მარტო საქართველო, არამედ ჩრდილოეთ კავკასიაც ქართულ ენით განათლდა – გაქრისტიანდა, რაც საბოლოოდ ამ ფორმულაში ასე გაცნობიერდა: "ქართულად ფრიადი ქუეყანა აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ყამი შეინირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების" (გიორგი მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, ნ. 1, ილ. აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1964, გვ. 290).

თვით ღმერთის თანადგომით ასე გადაწყვიტეს ჩვენმა დიდებულმა წინაპრებმა. ისტორიის არნიდან გამქრალი ბიზანტიის იმპერია ქრისტიანობას ბერძნული ენით და კულტურით გვაძალბდა, მაგრამ ქართველებმა ის ქართული ენისა და კულტურის საფუძველზე მიიღეს, რადგან ქრისტიანული მოძღვრება წინარექრისტიანული ქართული ცხოვრების წესით და ტრადიციებით იყო განპირობებული. ჩვენი გადარჩენის და დღემდე მოღწევის საიდუმლო საყოველთაო სიყვა-

რულსა და მიმტყვევლობაშია. ქართულთა არსებობის, მრწამსის მარადიული ფორმულაა – "რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია". კონსტანტინეპოლის მეტოქე მცხეთამ სასწაულს მიაღწია, მსოფლიოში აღიარებული ბერძნული ენა დაამარცხა და არა მარტო ქართველობა, არამედ მთელი კავკასია ქართული ენით განათლდა. ასე ინება მაღალმა ღმერთმა, ქართულ ენას ის შინაგანი ძალა და განვითარების სრულყოფა აღმოაჩინდა, რომლის მეოხებითაც უკვდავება აქვს განადგებული. მესამე ათასწლეულის დამდეგს, დედამინა ძველი კულტურული ენებისა და ერების სასაფლაოს ჰგავს. ღვთის შეწევნით, ქართული ენა არა თუ ცოცხალია, არამედ იოანე-ზოსიმეს წინასწარმეტყველებით, შემდგომი აღმავლობა-აღორძინებისთვისაა მზად. ახლა, როდესაც მთელი კაცობრიობა გლობალიზაციის კალოზე იღუნება, ყველაფერი რომ თავიდან დაეინყოთ, ხომ დავიღუპებით?! ერი, რომელსაც ისტორიის სიღრმეში არა აქვს ფესვები გადგმული, განწირულია. მრავალათასწლოვანი, ერთიანი, თვითმყოფადი ქართული ენა, კულტურა და ცივილიზაცია ის დულაბია, რომელმაც მჭიდროდ უნდა შეგვაკავშიროს და გადაგვარჩინოს. ვინც ყოველივე ამას ვერ გაითვალისწინებს და ზურგს შეგვაქცევს, კოსმოპოლიტიზმის მღვრიე ტალღებში ჩაიკარგება, ისევე, როგორც ცოდეგლი – ჯოჯოხეთის კუპრის ზღვაში.

ათასწლეულთა მანძილზე ჩვენს წინაპრებს რაც გაუკეთებიათ, დაუნერიათ და უშენებიათ, ის მთლიანად უნდა შეეკრიბოთ და წარმოვაჩინოთ, რათა სამყაროს ვაუწყოთ, რომ ერთიანი ქართული ეთნოსი მარადიული არსებობის, უკვდავების ღირსია. მეტადრე,

ჩვენს წინაპრებს არცერთი ერის მიმართ უკეთურობა არ ჩაუდენია, არავინ დაუპყრია, შეუვინრობია და გაუძარცვავს, რაც გვაქვს, გაგვაჩნია ჩენი მონაგარი და ნაოფლარია, ამიტომ საკუთარ მიწაზე ქართული ეთნოსი ასე დანიოკებული, დაჩაგრული და შეჭირვებული არ უნდა იყოს. დაე, იცოდეს, ვინც ამას აკეთებს (სახელმწიფოა თუ პიროვნება) ღვთის წინაშე მიუტყვებელ ცოდვას სჯადის და ბიზანტიის ბედი არ ასცდება.

ამრიგად, დარდი მგვრული ენის ბედზე დროული და სამართლიანია. მას თავისი საპატიო მისია აქვს და აკისრია: ქართულს, სვანურთან ერთად, დედაბოძად დაუდგეს და ჭამთასიავს ქართველთა მეტყველების სამივე შტომ ერთიანი ძალისხმევით უნდა გაუძღოს. უისტორიო ხალხი ზოგჯერ სხვის ისტორიას ითვისებს და სიყალბეზე აგებული ლეგენდებით თავს ინონებს. შორს რომ არ წავიდე, ჩვენს ძმებს – გაფსუებულ აფხაზებს რაც დაემართათ, სამაგალითოდ ისიც კმარა. ვინც გადაგვარდა და ქართულ ძუძუს მოწყდა, ჯერ სად არი, მას ლამურას ბედი მოენატრება...

გაზეთ "მახარიაში" დაბეჭდილმა წერილმა დამარწმუნა, რომ ზოგიერთს კოლხური კულტურის არსი არ ესმის. ვაი ჩვენი ბრალი, ვისაც კოლხური კულტურა მხოლოდ მგვრული კულტურა ჰგონია, ის საერთოდ ვერ ერკვევა კულტურისა და ცივილიზაციის არსში. ისევე, როგორც ერთ კაცს, სახლს (ოჯახს) ერის კულტურის შექმნა არ შეუძლია, ასევე ერთი მოდგმა – ტომი ეროვნულ კულტურას ვერ ჩამოაყალიბებს. ეს იმას ჰგავს, მცხეთის მონაპოვარი მარტოოდენ ქართულ ელემენტს რომ დაიჩემონ. ავიღოთ ქართული ენციკლოპედია და უდრო-

ოდ გარდაცვლილი თვალსაჩინო სპეციალისტის აკად. ოთარ ლორთქიფანიძის განმარტებას ჩაეხედოთ: "კოლხური კულტურა, გვიანდელი ბრინჯაოს – ადრინდელი რკინის ხანის (ძვ. წ. II ათასწ. II ნახ. – I ათასწ. I ნახ.) არქეოლოგიური კულტურა. გავრცელებულია ძველი კოლხეთისა და სხვა დას. ქართული ტომების (სასპერები, ტიბარენები, მაკრონები, მოსხები, მოსინიკები და სხვ.) მიწა-წყალზე (დასავლეთ საქართველო, მტკვრისა და ქოროხის წყალგამყოფი მთიანეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთი შავი ზღვისპირეთი ქ. ორდუმე)..." (ქსე, 6, 1980, გვ. 596). ამ კულტურის გავრცელების არეალი, ძირითადად, შემთხვევით არქეოლოგიური მონაპოვრებითაა განსაზღვრული. თუ ოდესმე ისტორიული საქართველოს ტერიტორია მიზანმიმართული, გეგმაზომიერი არქეოლოგიური გათხრებით იქნა შესწავლილი, მაშინ დღეს მიღებული სქემები, ბუნებრივია, გადაისინჯება და ბოლოსდაბოლოს ქართული ეთნოსის მართალი ისტორია დაინერება. მაშინ ყველა დარწმუნდება, რომ ქართულ ცივილიზაციაში, რომელიც კოლხურ და საქართველოს ყველა კუთხის კულტურას მოიცავს, შეუძლებელია უპირატესობა რომელიმე კერას და ეთნოგრაფიულ ჯგუფს მიენიჭოს. ვინც ამას ცდილობს, პროვინციალიზმსა და გაუხამსებელი "კუთხობრივი აზროვნების" ტყვეობაში იმყოფება. სწორედ ამ კუთხორობამ მიგვიყვანა აფხაზეთისა და შიდა ქართლის ტრაგედიამდე, რათქმა უნდა, შიდა და გარეშე მტრების ხელშეწყობით და შთაგონებით.

საქართველოს ძალა და ბედნიერება მის მრავალფეროვნებაშია. დასაბამიდან ერთი ნარმომავლობის, ერთ ფუძე ენაზე მეტყველი ეთნოსი, მოცე-

მულ საცხოვრისში ხეობებში ვერტიკალური ზონალობის მიხედვით იმლება. შემდგომ მრავალფეროვანი ბუნებრივ-კლიმატური პირობების გამო, შიდაეთნიკური თავისებურებანი ყალიბდება, რაც მქლავნდება მეურნეობასა და საქმიანობაში, ტემპერამენტსა და ხასიათში, მეტყველებასა და ფოლკლორში, სამოსელსა და კვების რაციონში, შინარენვაში, გამოყენებით ხელოვნებაში და ა. შ. ზოგიერთი დიალექტი ენებაშდე მალღდება (სვანური, მეგრული), მაგრამ ერთიანი წარმომავლობა-მავასხებლობა, ეთნიკური თვითშემეცნება (ვარაუდობენ ბრინჯაოს ხანიდან) უცვლელი რჩება. მაშასადამე, იქმნება მთლიანი ქართული ეთნოსი ხალიჩისებრი, ცისარტყელასებრი ან მოზაიკისებრი მრავალფეროვნებით. ათასწლეულთა მანძილზე ქართული კულტურა და ცივილიზაცია ამ მრავალფეროვნებით საზრდოობს და საერთაშორისო ასპარეზზე ორიგინალობით, საკუთარი ხელნერით გამოირჩევა. მსოფლიოს სცენებზე ჩვენი ანსამბლები მხოლოდ ერთი სიმღერით და ცეკვით კი არ აღწევენ წარმატებას, არამედ მთელი კავკასიის ნაზავი ხელოვნების ჩვენებით. ატომური შეიარაღება, რომელმაც თვით დედამიწის არსებობას რეალური საფრთხე შეუქმნა, იძლევა იმის გარანტიას, რომ ბოლოსდაბოლოს იმპერიების ზეობა დამთავრდება, საზღვრები გაიხსნება და ჩვენისთანა პატარა ერებს კულტურული ურთიერთობის და თანაცხოვრების შესაძლებლობა მიეცემა, მაშინ ათასწლეულებში დახვეწილი ქართული კულტურა, ხელოვნება თავის სათქმელს იტყვის. სამშობლოს ძნელბედობის გამო საკუთარ, მაგრამ მტრისგან მიტაცებულ მინაზე მცხოვრები ქართველობა, ახ-

ლხანს სიღუბჭირის გამო მსოფლიოში გაბნეული ჩვენი თანამოქმენი ეროვნული ცნობიერებით გაერთიანდებიან და გადაგვარებას გადაურჩებიან, საბოლოოდ, ისტორიული სამართლიანობის ძალით, საქართველო დაკარგულ ტერიტორიებს შეიერთებს, და ღვთის ნებით, დავითისა და თამარისდროინდელ საზღვრებში აღდგება.

ეს საშვილიშვილო ამოცანა იარაღის ძალით ვერ გადაიჭრება, გადამწყვეტი როლი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, ქართულ კულტურისა და ხელოვნების სწორუპოვარმა ოსტატებმა უნდა შეასრულონ. მრავალათასწლოვანი ქართული ცივილიზაციის მიზანმიმართულ ექსპორტს, ავთანდილ ვარსიმაშვილის გამოთქმარომ ვიხმაროთ, ქართული კულტურის საყოველთაო ექსპანსიას თუ მივაღწიეთ, მაშინ გამარჯვება განაღდებული გვექნება.

საბჭოთა კავშირის დამხობის შემდეგ, საქართველო ზღუდე და სამანსაზღვარ მოშლილი დარჩა. თვით ქვეყნის შიგნით, ზოგიერთ მხარეში ქართული სახელმწიფოებრიობა არ ვრცელდება. თავსმოხვეული "ეთნოკონფლიქტების", სეპარატიზმის ღვარძლი მიზანმიმართულად ითესება და დამოუკიდებლობის 14 წელიწადია შხამიან ნაყოფს ვიშკით. სწორედ ამას, უსასტიკეს ეკონომიკურ კრიზისს და განუკითხაობას გადაყვა შევარდნაძის რეჟიმი. ვიშედოვნებთ, ახალი ხელისუფლება ქვეყანაში კანონიერებას აღადგენს, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს საზღვრებს მოაწესრიგებს, გზას დაუხშობს კონტრაბანდას და კორუფციას, დასაბუთებულად იტყვის – შინ და გარეთ რა დავკარგეთ და რატომ; ქვეყნის სასიცოცხლო ყველა დარგს მეცნიერულად გა-

აანალიზებს და გადარჩენა-აღორძინების სწორ გზას დასახავს; ისტორიულ ჭეშმარიტებას აღადგენს და დაკარგულ ტერიტორიებზე, წარსულსა და აწმყოში ჩადენილ უკანონობათა შესახებ მსოფლიოს გააცნობიერებს, საკუთარ სიმართლეს საყოველთაოს გახდის, სიკეთეს ფარად გამოიყენებს და ძალმომრეობას ამით დაძლევს.

ჩვენი გამარჯვების სანინდარი ჩვენი ისტორიული სიმართლის საყოველთაო აღიარება და კულტურის გვემაზომიერი ექსპანსიაა.

ეს მიმართულებანი სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილად უნდა იქცეს და ამისათვის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პროპაგანდის, თანამედროვე ტექნიკით უზრუნველყოფილი აპარატი უნდა მუშაობდეს, რომელიც მეცნიერების მიღწევებს დაეყრდნობა და ამ მიზნით მეცნიერების ორგანიზებას შეძლებს.

დასკვნის მაგივრად

“მესამე რომის” დიდებაზე მეოცნებე რუსეთის იმპერიულმა ძალებმა აფხაზეთში სისხლიანი ტრაგედია თითქმის ორი საუკუნე ამზადეს და მესამე ათასწლეულის კვირაძალზე განახორციელეს. მათ, დაქირავებულ რენეგატთა მეოხებით, საქართველოს ისტორია გააყალბეს, ქართველი ხალხის სისხლხორცეული ნაწილი – აფხაზები ცალკე ეთნოსად გამოაცხადეს, ორბორიგენობის მცდარი თეორია სახელმწიფოებრივი პოლიტიკის რანგში აიყვანეს და უკანონო ავტონომიის საფუძვლად გახადეს, კომუნისტურ რეჟიმს აპარტიდული მართვა ისეთნაირად შეუხამეს, რომ აფხაზეთში ქართული სახელმწიფოებრიობა და ენა მოშალეს. ქართული სახელმწიფოების ადგილი რუსულმა დაიჭირა, ხო-

ლო საოჯახო ენებად მეგრული და აფსურული (აფხაზური ენა ბუნებაში არ არსებობს). გატარებული ღონისძიებების შედეგად ქართული ენა ზედმეტი გახდა. ეს პროცესი ზუგდიდისკენ მიიწეოდა. ამ დროს, როგორც ეთნოგრაფმა, სამეგრელო შემოვიარე, იქაური მამულიშვილები მოახლოებულ საფრთხეს თვალნათლივ ხედავდნენ და საქართველოს ხელისუფლებისაგან მხარდაჭერას მოითხოვდნენ, მაგრამ ამოდ, საბოლოოდ აფხაზეთში და თვით სამეგრელოს მიმდებარე ნაწილში მივიღეთ რუსულენოვანი, ქართულ ეროვნულ-ფსიქიკამოშლილი მოსახლეობის აგრესიული ფენა – ქართველთა მტრობის ხატიტ შეპყრობილი. ასეთნაირად დაპროგრამებულნი აღმოჩნდნენ არა მარტო უცხოტომელები, არამედ თვით გადაგვარებული ქართველებიც. დატრიალებულმა ტრაგედიამ მარტო აფხაზეთი როდი შეინირა, საქართველოსაც არსებობის საფრთხე შეუქმნა, ხოლო ამ მოვლენებმა სამეგრელო ლამის დაღუპოს. მშვიდობიანი ადამიანების სისხლი დღესაც იღვრება...

როდემდე?!

ბოლოტქმა

ვისაც საქართველოს და ქართველი ერის გულმხურვალე მოჭირნახულის მიხაკო წერეთლის დიდებული ნიგნი – “ერი და კაცობრიობა” ნაუკითხავს, უსათუოდ ემახსოვრება, გამოჩენილი მეცნიერი თუ როგორ აფრთხილებდა ქართველ ერს, საკუთარ მიწას – ტერიტორიას თვალისჩინივით გაფრთხილებოდა, რათა ებრაელთა მწარე ხვედრი არ გაეზიარებინა. ერი, რომელიც საარსებო ტერიტორიას კარგავს, ჩვეულებრივ იღუპება, მაგრამ ებრაელებმა სასწაული მოახდინ-

ნეს, მათ პალესტინაში თავიანთი სახელმწიფოებრიობა აღადგინეს, გაფანტულ თვისტომთ მოუწოდეს, ახალი სამშობლო – ისრაელი შეუქმნეს, ებრაული ენა და კულტურა ააყვავეს. მაგრამ ის ხომ ებრაელთა მიწა არ არის, არამედ ქანაანისაა, რომელსაც ბიბლიას რომ დავესესხოთ, რძე და თაფლი სდის...

ეს მიწა საცილობელია. იღვრება სისხლი, აყრილი არაბები თავიანთ ნასახლარებს არ თმობენ. პალესტინა მსოფლიოში ერთ-ერთი ცხელი წერტილია, იღუპებიან მშვიდობიანი, უბრალო, უდანაშაულო ადამიანები...

ბრძოლამ შემზრავი სახე მიიღო: თვითმკვლელი – კამიკაძენი ცოცხალ ბომბებად იქცნენ...

... თბილისელი ქართველი ებრაელი იცხაკ დავიდი (დავითაშვილი), რომელიც ისრაელში საერთაშორისო მნიშვნელობის მეცნიერი გახდა, ღრმად სწავლობს ებრაელი ეთნოსის გასაკვირველ და ტრაგიკულ თავგადასავალს. მისი მრავალტომეულები საქართველოშიც გახდა ხელმისაწვდომი. უაღრესად ნიჭიერი, სიცოცხლისუნარიანი და თვითგადარჩენის გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი ინსტინქტებით აღსავსე ებრაელობა, რომელთაც ბიბლიით, მოსეს რჯულით და ათი მცნებით მსოფლიო გაანათლეს, არსებობისათვის მძიმე ბრძოლებს ეწევა. მიუხედავად უდიდესი სიძლიერისა და ორგანიზებულობისა, მათ ფეხქვეშ ქანანის მიწა იწვის...

ბატონი იცხაკ დავიდი, და არა მართლ ეს მართლაც დიდებული მეცნიერი, არამედ სხვა მოაზროვნეიც, ეჭვქვეშ აყენებენ ებრაელთა სემიტურ წარმომავლობას და შეიქმნა დასაბუთებული თეორია, რომ ებრაელთა სამშობლო სადავო და საუბედურო ქანა-

ანის მიწა კი არ არის, არამედ სამხრეთი ამიერკავკასია. თურმე ძველი წელთაღრიცხვის XV საუკუნეში, აქედან ეგვიპტე-პალესტინის მიმართულეობით დაძრულმა ებრაელთა წინაპრებმა, სემიტოზაცია-ქანაანიზაცია განიცადეს, მაგრამ პირველადი სამშობლოს რწმენა და სიყვარული არ დაუკარგავთ. აქედან გამომდინარე, ებრაულ-იბერიული გენეტიკური ერთიანობის თეორია ხორცს ისხამს და მტკიცდება. ინერება და სხვათაშორის, ქართველ ბიზნესმენტთა ფულებითაც ფინანსდება მდიდრულად გამოცემული წიგნები, სადაც ამ ორი უძველესი ერის უძველესი ძმობაა დასაბუთებული. ზოგიერთი ავტორი უფრო შორს მიდის და თვით "ვეფხისტყაოსანიც" ამ ორი ერის ერთ შემოქმედებად მიაჩნია. ალბათ ისეთი სწავლულებიც გამოჩნდებიან, რომლებიც მოსეს რჯულსა და ბიბლიის შექმნაში ქართველთა მონაწილეობის მტკიცებასაც შეუდგებიან. მით უმეტეს, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ყოფილმა დირექტორმა, ამჟამად საქართველოს პარლამენტის წევრმა ლევან ბერძენიშვილმა ებრაელი წინასწარმეტყველის მოსეს ვეებერთელა ქანდაკება საჯარო ბიბლიოთეკის მეცნიერთა დარბაზში დადგა და თითოეულ ცნობისმოყვარეს შეუძლია მივიდეს და ნახოს..

ამ აწენილ მსოფლიოში ებრაელთა და ქართველთა ძმობა ორი უძველესი, განსწავლული ერისთვის მართლაც ჰაერივითაა საჭირო. ბუნებრივია, მათ ერთმანეთი უნდა დაიცვან, გაიტანონ, ამისი საჭიროება ყოველთვის იყო და, მეტადრე დღეს, ჩვენთვის – ქართველებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. თოთხმეტწლიანი დამოუკიდებლობის შედეგად, რაც ებრაელებს

26 საუკუნის წინათ და შემდგომ დაემართათ, ჩვენ სწორედ იმ საფრთხის წინაშე აღმოვჩნდით. მართალია, ავადმოსაგონარი ნაბუქოდონოსორი და რომის იმპერიის ლეგიონები არ გვიტყვენ, მაგრამ ჩვენი სამშობლოს მიწა-წყალი შაგრენის ტყავივით ილევა. ყოველ ისტორიულ მოსაბრუნში ეროვნულ სხეულს გვიფლეთენ და გვართმევენ, სისხლი გვიღის და შემწეს ვერ ვპოულობთ. აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოქმედი კანონმდებლობა საქართველოს მიწის ფონდის უკონტროლო გასხვიების შესაძლებლობას იძლევა და ამ მხრივ პროცესები ჯერჯერობით უმართავია...

აღბათ, ძველთაძველი ნათესაობის შედეგია, რომ ებრაელთა დიასპორის ერთ-ერთმა პირველმა ტალღამ ქართულ მიწაზე მოითქვა სული. ახლა საქართველოს ეს წმინდა მიწა ქართველებს ფეხქვეშ ეცლებოდა. მოძმე ებრაელობა, თუ მართლაც მათი ფუძე, ფესვი და ძირი აქ არის, მხარში უნდა დაგვიდგეს, რათა მკვიდრი ქართველი მამა-პაპათა საეანეს არ მოწყვეს და ებრაელთა ხვედრი არ გაიზიაროს.

ძმები ჩვეულებრივ იყრებიან, მაგრამ საჭიროების დროს ერთმანეთს თუ არ დაეხმარნენ, დალუპვის საფრთხეს ვერ აიშორებენ, "ძმაო, ძმითა ხარ ძლიერიო", - უთქვამს ქართველ ხალხს.

ერთი რაჭული ანექდოტი მაგონდება: ძმებს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. დაჭაბუკდნენ და წესისამებრ ცოლები შეირთეს. გამოხდა ხანი და ოჯახში ბზარი გაჩნდა. გაყრა აუცილებელი შეიქნა. მოიყვანეს მედიატორი კაცები, რომელთაც ძმები შეეხვეწნენ: - ჩვენ ერთად დაგვტოვეთ და ეს ცოლები ცალკე წავიდნენო...

საბოლოოდ, გაუყოფელი რაჭველი ძმებიც არ დარჩნენ. ცხოვრების მკაც-

რი ლოგიკით, იძულებული გახდნენ სახლები ცალ-ცალკე აეშენებინათ და თავთავიანთი კერა გაეზაღებინათ.

ქართველთა და ებრაელთა ძმობას მაშინ ექნება ფასი, როცა გვეცოდინება ვისი რა არის. ჯერჯერობით აფსუვებთან ორაბორიგენობის თეორია ვერ მოგვიწოდებია.

მიუხედავად ამისა, ქართველთა და ებრაელთა ძმობას ალტერნატივა არა აქვს. მათგან ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ, უპირველესად ებრაელებმა თავიანთი ისტორია, თავგადასავალი რწმენად, რჯულად რომ გაიხადეს, საქართველოს ისტორიაც ასეთნაირად უნდა გავაცნობიეროთ, რათა გლობალიზაციას და კოსმოპოლიტური ძალების ჯოჯოხეთურ ზენოლას გადავურჩეთ.

იქნებ ებრაელმა ძმებმა, რომლებიც საერთაშორისო კაპიტალის მნიშვნელოვან რაოდენობას ფლობენ, დახმარების ხელი გამოგვიწოდონ, რათა გაპარტახებული ეროვნული ეკონომიკა მკვდრეთით აღვადგინოთ და ისრავლივით სრულფასოვან სახელმწიფოთა შორის ჩავდგეთ.

რაც შეეხება ჩვენი საცხოვრისის და კულტურების გამოიჯენას, მსოფლიო რანგის მეცნიერებმა როგორი თეორიებიც არ უნდა შეიმუშაონ, ყველაფერი დღესავით ნათელია: იმ ისტორიულ მიწა-წყალზე, სადაც ქართველი ერი ღვთის ნებით, დასაბამიდან ცხოვრობს და ღვთისმშობლის კალთა ფარავს, სხვა ეთნოსს არავითარი უფლება არა აქვს...

რუსული საბჭოთა იმპერიის მიერ თავისმობეველმა ე. წ. "ავტონომიებმა" რა დღე დაგვაყარა, საყოველთაოდ ცნობილია, ბარბაროსულად დახოცილი ათასობით მშვიდობიანი ქართველი, თავის სახლ-კარიდან აყრილი 300 ათასი მკვიდრი, რომელიც საკუთარ

სამშობლოში დევნილია და შიმშილობს, არავის ენალვლება...

ქართველებს მრავალი უბედურება განუცდიათ, მაგრამ მეორე და მესამე ათასწლეულთა მიჯნაზე რაც შეემთხვათ, ყველა გადატანილ ბარბაროსობას გადააჭარბა, ჯერჯერობით ამოდელოდებით სამართალს და შევლას...

პირველ რიგში მოძმე ებრაელობა უნდა დაგვიდგეს მხარში, რათა ღვთის განჩინებით ორი უძველესი კულტურული ერი ვალდებულია ერთმანეთი დაიცვას და განსაცდელისგან იხსნას.

არცერთი მოაზროვნე, ჭეშმარიტი ქართველი ებრაულ ეთნოსს ბიბლიასა და მოსეს რჯულში არ შეეცდებოდა. ყოველთვის ეყოფა ძალა და სინდისი, ამ უდიდეს მიღწევაში მისი უპირატესობა, პრიორიტეტი აღიაროს, ოღონდ ყველა მეგობარი, და მეტადრე ჩვენი ებრაელი ძმა, უნდა დაგვეხმაროს, რათა ჩვენი წამებული, მრავალტანჯული, დაფლეთილი ქვეყანა გავაერთიანოთ და ბოლოსდაბოლოს მკვიდრმა ქართველმა საკუთარ სამშობლოში, დამოუკიდებელ საქართველოში ნორმალური, ადამიანური ცხოვრება შეძლოს!

სხვა ეთნოსებისთვის საქართველოს კარი ყოველთვის ღია იყო და ამჟამადაც ასე იქნება. რომელი ერის შეილებიც არ უნდა ვიყოთ, ყველანი მოკვდავნი, წუთისოფლის სტუმრები ვართ. ეს მაღლიანი, უხვი მინა ყველას გამოგვეკებავეს და თავის დროზე კალთას გადაგვაფარებს – დაგვმარხავს...

ვიდრე მოძმე ებრაელები რაიმე შეღავათს მოგვემდინენ, ჩვენ ქართველები უნდა გავერთიანდეთ და საკუთარ თავს ვუშველოთ. ღმერთს შეიძლება სხვადასხვა ტაძარში ვევედროთ, მაგრამ ებრაელებივით იმ რწმენამდე უნდა მივიდეთ, რომ სამშობლო ერთი გვაქვს და სხვაგან არავითარი თავშე-

საფარი არ გავაჩნია. ებრაელებმა რწმენით აღადგინეს ეროვნული სახელმწიფოებრიობა, დაკარგული ენა და მშობლიური საცხოვრისის განცდა. თუ ჩვენ წინაპართა მინა-წყალს, საფლავეებს, სამშობლოს დაეკარგავთ, დაღუპვისაგან თვით მოწყალე ღმერთიც ვერ გვიხსნის...

ქართველთა ეროვნული თვითშემეცნება (ივანე ჯავახიშვილის ტერმინია), როგორც არაერთხელ გვითქვამს, ცივილიზაციის სანყისებშია ჩამოყალიბებული. ის ყოველთვის ცოცხლობდა და ქართველ ერს სულიერად მიწყვიტა ერთიანება. თავსმოხვეული შინაომების დროსაც თავიანთ მოქმედებას საქართველოს გაერთიანების სურვილით ამართლებდნენ. არაფრით ქართველთა ერთ ნარმოძველობას, სისხლიერ და სულიერ მავასხელობას არ კარგავდნენ. სამშობლოს დაქუცმაცებით მარადიულად იტანჯებოდნენ და გაერთიანების აუცილებლობა არ ასვენებდათ, დაბინდულ გონებას უფხიზლებდათ. მარტო ის რად ღირს, რომ სვანეთში X-XI საუკუნეებში მთავარანგელოზის ხატზე ასეთი წარწერა ამოტივფრული:

“წმიდაო მთავარანგელოზო... ადიდენ ერთობილი საქართველო და ერთობილი სუანნი”.

1790 წელს მძლავრ, მტაცებელ და უსინდისო მეზობელ სახელმწიფოებთან ჭიდილში დაღლილი საქართველოს თავკაცები იკრიბებიან და “ივერიელთა მეფეთა და მთავართა ერთობის ტრაქტატს” ადგენენ. აი, ისინი რას შეღალადებენ ღმერთს, კაცობრიობას და თითოეულ ქართველს:

“ვინაიდან ყოველთავე ივერიელთა, მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა, აქვსთ ერთმორწმუნეობა, არიან შენი ერთისა კათოლიკე

ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი (იგულისხმება სახელმწიფო და სალიტერატურო ქართული ენა, ლ. ფ.), აქვსთ მავასხებლობითიცა სიყვარული, ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვრობით შეკრულთა ურთიერთთა შორის, ამისთვის ჩვენ, ზემოხსენებულთა ქვეყანათა ივერიისათა მეფენი და მთაყარნი, დამამტკიცებელნი საუკუნისა ამის პირობისა, სახელითა ყოველად ძლიერისა ღმრთისათა, აულვსთქევამთ მტკიცესა ამას ერთობასა”.

დაიმახსოვრეთ და გაითვალისწინო

ნეთ: ეს შთამაგონებელი სტრიქონები მტრისაგან მრავალგზის გაღწილ, სამეფო-სამთავროებად დაშლილ საქართველოში იწერება. მამულიშვილნი დიდ ერეკლე მეფეს შესთხოვენ მესვეურობას, მაგრამ მაშინ ქართველთა საყოველთაო ოცნებას ახდენა არ ეწერა, თუმცა ისტორიული ძნელებდობისა და იმედების ჭიდილში ქართულმა გონმა, ქართულმა სიბრძნემ და მარადიული არსებობის დაუოკებელმა სურვილმა გაიმარჯვა.

უფალო, იხსენი საქართველო და ერთობილი ქართველნი!!!





ქაზი მანავი ერთმანეთის შესახებ

ჰენრიხ მანი

„სიკვდილი ვანეციაში“

თომას მანის მოთხრობა

სინამდვილე უფრო პირველადია თუ პოეზია? განა მოვლენები სწორედ ისე არ ვითარდება, როგორც ამას ლიტერატურის, ხელოვნების აზრი მოითხოვს? ძლივს მოასწრო ზოლამ მეორე იმპერიის საზოგადოების დიადი ისტორიის თავისებური გეგმა შეექმნა, იმ პერიოდისა, როცა ავანტურისტების ნადავლად გადაქცეულ ქვეყანაში სიხარბის ორგიები და სპეკულაციის ფერები ყვაოდა, რომ ბურჟუაზიული კულტურა, განუმეორებელი, დაუოკებელი და თავბრუდამხვევი აღმასვლის შემდეგ, ოქროს, ეროტიზმის, სირცხვილისა და სისხლის ქაობში ჩაინთქა და სრულიად განადგურდა. როგორც კი სულითაც და ლოგიკითაც სასურველი ნიგნები შეიქმნა იმის შესახებ, თუ როგორ დაემხოზოდა ეს რეჟიმი – ჰოი, საოცრებაც, დაემხო კიდევ! აბა, ამას ვინ წარმოიდგენდა! ჯერ კიდევ გუშინ, ის ხომ პარიზსაც მართავდა და მთელ სამყაროსაც.

სწორედ ამგვარად, იმ ადამიანის ხვედრი გუსტავ აშენბახი რომ ჰქვია, ვერ ჩამოიქნებოდა, მას მთელი ქალაქი რომ არ დამორჩილებოდა. აქ გარემოს ზეგავლენას როდი ვეხლებით, ერთეული სული ხომ სულ გზაშია, თავგადასავლებშია, სადაც კი გარეგანი

სამყარო, ამ ერთეული ხვედრის ძახილს ერთდროულად დამორჩილებულიც და უარმყოფელიც, თავგადასავალთა მთელი ნიაღვრით ივსება. საშინელი სუნით ტანჯული ვენეცია და ცხოვრების უკანასკნელ, სახიფათო მოსახვევს მიტანებული უცნაური ადამიანი ერთმანეთს იხმობენ. სანამ ეს თავდაჯერებული და დიადი მშრომელი კაცი სულს მკაცრად წერთნიდა და ცნობიერს ფორმას აძლევდა, ეს კურტიზანი ქალაქი მისთვის მხოლოდ დროის სასიამოვნოდ და უაზროდ ფლანგვის ადგილი შეიძლება ყოფილიყო. მთას შეფარებულ პირქუს ბუდეში, ორმოც-ორმოცდაათიოდენლის მამაკაცმა, ვისაც სულიერმა ურვამ და წარმატების სამსახურში ჩადგომამ მარტოობა მიუსაჯა, თავისი სიმწიფის ხანის ნაშრომი „ფრიდრიხ პრუსიელი“ დაასრულა, რითაც ეროვნული მწერლის წოდება მოიპოვა; და კიდევ „ტანჯული“, რომელიც ახალ თაობას სხვა, შემეცნების მომადუნებელი გზისგან განსხვავებულ მიმართულებას უხსნიდა. ეს ახალი თავისუფლება და ახალი ზნეობრივი ენერჯიის დაგროვების გზა იყო. ნიგნები გამოიცა, გამარჯვებაც მოიპოვა და გავლენაც, მაგრამ რალა შერჩა ხელში

თავის თავთან მარტო დარჩენილ ადამიანს? ყოველდღიური დასტური ადამიანთა ნდობისა, ყოველდღიური მოთხოვნა გზის გაკვლევისა, თავკაცობა მრავალმხრივი და სერიოზული საზოგადოებრივი აღსარებისა და ბოლოს, სახელმწიფო ფილდოები; ამ ქვეყნის მოაზროვნეებს ამაზე უზენაესს ხომ არაფერს არგუნებენ. გუსტავ ფონ აშენბახს ოფიციალურად მიანიჭეს აზნაურის ნოდება და ეს მას შემდეგ, რაც ყარაიბობისა და შემეცნების განსაცდელგავლილმა თავი სულის სიდიადით აღიმალა... ცდუნების რა ბნელმა და ცრუ გზამ უნდა გაგიტყუოს აქედან უფსკრულისაკენ, იმ შინაგანი სირცხვილისაკენ, რასაც წინააღმდეგობას ველარ გაუნე? რამ უნდა ჩაგთიროს თავდავიწყებაში? ასეთი გზა მხოლოდ ერთია - ის, რომლისკენაც სილამაზე გიტყუებს! მაგრამ სილამაზე ხომ შემოქმედს მუდამ წინ მიუძღვის, ქეშმარიტ გზებსაც ის უკვალავს და ცრუ გზებსაც. ზნეობრივი ადამიანი სულის სიდიადესა და მის მწვერვალებს მხოლოდ სილამაზის წყალობით შეიცნობს. სისუსტის, მიძინებული თავდაცვის ინსტიქტის და იქნებ სიკვდილისა და სიბერის შიშის დროსაც კი მხოლოდ სილამაზეს შეუძლია სამანს მიღმა შეგიტყუოს, ფორმის კულტი სიმთვრალესა და სურვილებში გადაზარდოს, ღრმა გრძნობადი შეგრძნებები კი გახელებულ ვნებებად გადააქციოს. სილამაზე თავყანისმცემლებს სასიცოცხლო ტონუსის გაძლიერებით აცდუნებს. სწორედ ამიტომ, ასეთი კაცია უკვე სიკვდილის, ვენეციაში სიკვდილის „ნადავლია“. ის დღეც დადგება, როცა ეს დიდოსტატი, ფორმების ამაყი მცველი, ახალგაზრდობის მისაბაძი მაგალითი და ხმა ერისა, კარბოლის სუსტი სუნით გაჟღერებული ვენეციის გავერანებული მოედ-

ნის ხავსმოდებულ შადრევანთან დაჯდება - ქალაქი ხომ ავადაა - და სასურველს ჩუმ და მშვენიერ სიტყვებს მიუძღვნის.

ამ კაცმა სწორედ ის დაკარგა ყველაზე სასურველად რომ ეჩვენებოდა: სიმწიფე, ოსტატობის უზენაესი ზარისხი, სიბრძნე, სიმშვიდე. მეტს აღარ დანერს, აღარც სიბერის დამცველ ანდაზე ავა, რათა ცხოვრება და შემოქმედება ერთ მთლიანობად გადააქციოს - იქ შესცივდება! ახლა დიდი დრო აღარც დარჩენია. მისი გარდაცვალების საათი სწორად არ ივლის, მაგრამ არც გრძნობათა უმაგალითო ამალღების ჯადოსნური საათი გახდება, ჩვეულებრივი, ადამიანური იქნება! უთქმელი, გაუზიარებელი სიყვარული მოულოდნელად უზენაესი მარტოობისაგან გაანთავისუფლებს, გულის უკანასკნელი ძვერა კი ისეთი სითბოთი აავსებს, თითქოს ახალგაზრდობა დაებრუნებინოს. დაინანოს? სინანულზე არც კი ფიქრობს. ქალაქი, რომელიც გარს ახვევია სნეულია და კურტიზანი ქალის მსგავსად, ვისაც ძალიან გავს, თავის სიხარბეს მალავს. სწორედ ეს ქალაქია ის სილამაზე, რომელიც გიზიდავს და გლუპავს. დიდი შორეთიდან, სიზმრებისა და სიკვდილის ნიღაბს ამოფარებული იდუმალი მოციქულების მეშვეობით მიიზიდა მან თავის მკერდზე ადამიანი, უკვე სასიკვდილოდ მომნიფებული რომ იყო. მისი დახშული ჰაერი ტკბილი და საეჭვოა, მისი ზრწნის ფერები და მაცდუნებელი ძახილი კი უცნაურია. და აი, ეს ერთეული სული ყოველივე განცდილსა და შეძენილს ამ დაძმობილებული ქალაქის ხედრთან, გარეგან სამყაროსთან შეასისხლბორცებს და ორივე მათგანის ვნებათა თუ შიშების შეხლამემოხლათ განსაცვიფრებლად ღრმა და მნიშვნელოვანი მოვლენები ვი-



თარდება. სუნთქვა თითქმის აღარ იგრძნობა, თუმცა ყოველივე ირგვლივ ქარიშხალების, შავი ჭირის, სასიამოვნო ადამიანთა ხმებით, სიდადისა და დაცემის ხმებით ივსება. ის ქალაქშიც ხშიანობს და ადამიანის სულშიც. მისი გამოძახილი კი სიკვდილად, ვენეციაში სიკვდილად გარდაიქმნება.

თომას მანავი გუშინ ნოვალის პრემია მიიღო ლიტერატურის დარგში

ყველამ კარგად იცის, რომ რომანი „ბუდენბროკები“ თომას მანავი დაწერა. ნივნი საუკუნის დასაწყისში შეიქმნა, მრავალგზის გამოიცა და ოცდაათი წლის მანძილზე მას სულ ახალი და ახალი თაობები ეზიარა. რამდენიმე დღის წინ პატივცემულმა „Buchferlag“-მა ამ ძველი ნივნის ახალი, ყველასთვის ხელმისაწვდომი გამოცემა მოამზადა. ნივნით მოვაჭრეებმა და უნივერმაგებმა კი წინასწარ უკვე ორას ორმოცდაათი ათასი ეგზემპლარი შეუკვეთეს. ეს საკმარისია, რათა რომანს ჭეშმარიტად სახალხო უწოდო!

როცა თომას მანი „ბუდენბროკებს“ წერდა, იგი მარტოსული გახლდათ. ეს ახალგაზრდა კაცი შინაგანად ჯერ კიდევ არ იყო მძლავრი, საკუთარ ძალებს ეჭვით აფასებდა და სწორედ ამ რომანზე მუშაობამ შესძინა ძალაც და პირველი რწმენაც, რომ შემოქმედება საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმეა. მაშინ ადამიანთა თავყრილობას, „ბრბოს“ ეკრძაღვოდა. „ბრბო“ ჯერ დასაწყობი უყვება. ყველაზე ნმიდათანმიდა ეკეშირი საკუთარ ერთან იმის წყალობით იშვა, რომ იგი მისთვის შრომობდა და მის მხარდაჭერასაც გრძნობდა.

მომძლავრებული მწერალი თავისი სრულქმნილებისთვის იღვწოდა, მაგ-

რამ მისი პატივმოყვარული იდეალი საკუთარი ერისთვის მოღვაწეობა იყო. იგი თავისებურად იკვლევდა იმ სულიერი თავყრილობის წყაროს, სახელად გერმანია რომ ერქვა და ცდილობდა ამ სულიერი თავყრილობის მიდრეკილებებსა და მიზნებს მოგებოდა – თუ სწრაფად, ბუნების მოთხოვნით ვერა, თავდაუზოგავი, თავგანწირული შრომით მაინც მოგებოდა. მას სურდა წმინდა გერმანული, სწრედ ამ ხალხისათვის განსაკუთრებით საჭირო და სასურველი ნაწარმოებები შექმნა და ამისთვის თავში საჭირო სიყვარულიც იპოვნა და აუცილებელი კრიტიკული პოზიციაც.

ვინმეს რომ ემსახურო, გინდ ადამიანი იყოს, გინდ მთელი ერი, აუცილებლად უნდა იცნობდე და გიყვარდე. სიყვარული ცოდნის გარეშე მალე ქრება, მხოლოდ ცოდნა კი ცივია და არაფერს გარგებს.

თომას მანის მაგალითი სიყვარულისა და ცოდნის ურთიერთშერწყმის ნიმუშია.

სწორედ ამგვარად გადაიქცა „მჭვრეტელი“ ადამიანი, „თანამგრძნობ“ ადამიანად, ვინც სულიერად მზად იყო თავის ერს დახმარებოდა და მისი ამაღლებისთვის ხელი შეეწყო.

თავად ეს გაცნობიერებული აქვს და უფრო და უფრო უმტიკცდება აზრი, რომ არსებობს და წერს არა თავისთავად, არამედ როგორც დიდი რაოდენობის ადამიანთა წარმომადგენელი, თავის მხრივ ერს, მის ყველა ფენას რომ ქმნიან. თუ მისი ნაწარმოებები მსოფლიომ აღიარა, ამას უპირველეს ყოვლისა მისი ერისთვის მოაქვს და უნდა მოქონდეს კიდევ დადებამ. ამიტომ ყოველი მისი ახალი ნაწარმოები ამ ერის არსსა და ამასთანავე ამ ერის ისტორიას, რაღაც გარკვეული საათების ისტორიას უნდა ირეკლავ-

დეს. „ბუდენბროკებმა“ მხოლოდ შინა-ურული, ბურჟუაზიული სამყარო აღ-წერეს, მისი ბედნიერებითა და ფარუ-ლი ხიფათით. „აპოლიტიკურის დაკ-ვირებები“ მაშინ შეიქმნა, როცა მის-მა სულმა ხიფათიც შეიგრძნო და უმ-ძიმეს წუთებში მთელ ერთან ერთად ბედნიერებაც განიცადა. მაგრამ პი-როვნების განვითარების გერმანულ სახელმძღვანელოდ რომანი „ჯადოს-ნური მთა“ გადაიქცა. სწრედ მან გან-საზღვრა ხანგრძლივი და საპასუხის-მგებლო გზა, რომელიც გაიარა ბურ-ჟუაზიული ოჯახიდან გამოსულმა თომას მანმა ჯერ თავის სახლს ლუ-ბეკში მოგონებები რომ მიუძღვნა, შემდეგ კი მთელი ერის სახელით მო-ლაპარაკე ოსტატად ჩამოყალიბდა.

მწერალს ამალღებისათვის დიდი შრომა და პასუხისმგებლობის გრძნო-ბა სჭირდება. ეს ორი მოვლენა – პასუ-ხისმგებლობა და შრომისმოყვარეობა სწრედ ის დედააზრია, რომელიც ბუ-ნებრივ ნიჭთან, გამომსახველობის ნიჭთან და წერის უნართან შესისხლ-ხორციებული უზენაესი ფასეულობის შექმნის შესაძლებლობას იძლევა.

მაგრამ არც ის უნდა დაგვაყინყ-დეს, რომ ამ სულიერ ფასეულობას კა-ცობრიობა დროზე არ აჯილდოვებს. თანადროულობას ის ვერასოდეს ერ-გება. კაცობრიობას ყოველი ჭეშმა-რიტების გაგება თავის დროზე სურს, არც ძალიან გვიან და არავითარ შემ-თხვევაში ძალიან ადრე. კაცობრიობა მწერალს არც წინასწარმეტყველებას პატიობს და არც ჭკუის სწავლებას უწონებს. ზუსტი ნაში უნდა შეარჩიო, რათა შენი სათქმელი თქვა. ხანდახან ადამიანთა შეცდომებიც კი უნდა გაი-მეორო, რათა სხვები არ შეაჩქეიფო და ეს ყოველივე ძალიანაა საჭირო, რათა კაცობრიობამ სულიერი საჩუქრები

ამბოხების გარეშე მიიღოს. კაცობრი-ობა მუდამ ზომიერებას, ამ ერთ-ერთ გონიერ სათნოებას მოითხოვს.

ფრანგი ანატოლ ფრანსი საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო მწერალი იყო. თომას მანივით ისიც ყოველგვარ პა-ტივს ეზიარა და სიბერეში ნობელის პრემიაც მიიღო. მაშინ ოთხმოცი წლის იყო. ადრე ვერ იღებდა, რადგან ამ ერთ-ერთ გონიერ სათნოებაზე არ ფიქრობდა. მიუხედავად ამისა, პრემია ბოლოს და ბოლოს მისცეს, რადგან წმინდა სულიერ სათნოებასთან ერ-თად კიდევ ერთი, საერო და ძალიან მნიშვნელოვანი რამ წარადგინა: წარ-მატება.

არაჩვეულებრივი წარმატება მოი-პოვა, მაგრამ თომას მანსა და ანატოლ ფრანსზე საუბრისას მთავარი ეს არაა. არსი ის კი არაა მკითხველს მოწონდე ან არ მოწონდე, უყვარდე ან არ უყვარ-დე, ართობდე ან გულს უჩუყებდე, მის ვნებებს ეპირფერებოდე ან უბრალოდ თვალს უბამდე ან აცდუნებდე. ასეთი წარმატებით ხომ სავსეა ჩვენი ყოველ-დღიური საზოგადოებრივი ცხოვრება. ის წარმავალია და გვირგვინმოსილი თავი მის წინაშე ქედს არ მოიხრის.

მე ჭეშმარიტ წარმატებას ვგულის-ხმობ. როცა ერთი ადამიანი ბევრს უხ-სნის, რა არის სულიერი შეცნობა, ზნე-ობრივი პასუხისმგებლობა და ბევრის-თვის მიუღწეველი დახვეწილი გემოვ-ნება – ეს უზენაესი წარმატებაა.

... ყოველთვის მოიძებნებიან მწერ-ლები, ვინც მსოფლიოს დაპყრობის სურვილით ამ მსოფლიოს ერთდროუ-ლად ყველაზე შორეულსა და ყველა-ზე ახლობელს თავაზობენ: ოცნებას, სინმინდეს და თანაც დღევანდელი მოთხოვნილებების შეფასებას.

თომას მანმა გუშინ ნობელის პრე-მია მიიღო ლიტერატურის დარგში.

შენიშვნები „დიდი საქმის“ შესახებ

ცხოვრება „გამლიზიანებლებითა“ სავსე, მაგრამ სიცოცხლის დაუოკებელ წყურვილს ყველაზე მეტად ცხოვრების ამალღებული სახით წარმოქმნი ხელოვნების ძალა ინვეეს და ეს ძალა ყველაზე ძლიერია, რადგან მისი ნიშნები ზნეობრივ-სულიერ ხასიათს ატარებენ. ისინი ცხოვრების ერთიან სისტემაში ექცევიან და ცხოვრებას აცოცხლებენ. „აღზნება“ უპირველესად ბიოლოგიური მოვლენაა და მას იდუმალად ორაზროვანი დამოკიდებულება აქვს ცხოვრებასთან... სიხარულთან და ტკივილთანაც, რადგან თავად ინდეფერენტულია და მისი იდუმალი საზღვარი ინდივიდუალურად, გამალიზიანებლის ხარისხითა და ხანგრძლივობით განისაზღვრება. ამ შემთხვევაში ხელოვნების გამალიზიანებელი ფსიქოლოგიურისგან არაფრით გამოირჩევა. მას ხანგრძლივი ინტენსიურობა ახასიათებს, რაც შეიძლება ფრიად მტკივნეულიც აღმოჩნდეს და ყოველგვარ სიაზონებას დაშორებულიც. ვთქვათ, ეპიკური ნაწარმოები თავისებურ წინააღმდეგობას აჩენს ხელოვნების ფორმის არსსა და მის ზემოქმედებას შორის, რადგან ჩვენ მიჩვეული ვართ, ეპიკურობის იდეა დავაკავშიროთ ჩვენეულ წარმოდგენასთან სიაზონებასა და სიკეთეზე, უფრო მეტიც, „კეთილმოსურნეობასთან“.

ჰენრიხ მანის ახალი რომანი „დიდი საქმე“ (პ. კიპენჰოიერის გამოცემლობა, ბერლინი) გამალიზიანებლებით

იმდენად დამუხტული და გადამუხტულია – ამ დიდ ხელოვანს ხომ ეს ყოველთვის ახასიათებს – რომ განცდილი სიაზონება ყოველ წუთს შეიძლება ტანჯვად გადაიქცეს. რომანი მტკივნეულად იკითხება და ეს სახიფათოა, რადგან კითხვა ძალიან გითრევს, მართლაც, თუ ისევ მივუბრუნდებით თანამედროვე, ცნობილი მწერლების იმ რომანებს, რომლის კითხვაც „დიდი საქმის“ გამო შევწყვიტეთ, ვთქვათ, ჰემინგუის, ჰამსუნს ან დიობლინს, მაშინვე ვიგრძნობთ, როგორ შესუსტდება გამალიზიანებლებიც და ის დაძაბული მდგომარეობაც, რითაც აღტაცებულნი გარკვეული დროის მანძილზე ვცხოვრობდით. ავტორთა სითამამის მოუხედავად, მოქმედება აქ ვითარდება ზომიერად, მშვიდად, ეპიკურად – ამ სიტყვის მშვიდობიანი, კარგი ვაგებით. დიობლინიც კი, რომელიც ძალიან რადიკალურ მწერლად ითვლება, მისი „ალექსანდრპლაციც“ კი, რომელთანაც „დიდი საქმეს“ ჟარგონისკენ მიდრეკილება ანათესავებს, ამ შედარებაში კეთილმოსურნედ გამოიყურება; რა თქმა უნდა, სულიერი, ადამიანური, ასე ვთქვათ, პირადი სიკეთის უპირატესობას არ ვგულისხმობთ.

რა მომნუსხველი და ბრძენი სიკეთითაა სავსე ამ ხნიერი ჯადოქრისა და მისტიფიკატორის, ინჟინერი ბერკლის სახე! ყველა თვალსაზრისით ეს წიგნის მამოძრავებელი ძალაა და მისი ნიღბის მიღმა ოდნავ, თავად სამოცი წლის ხე-

ლოვანის სახე გაკრთება! სიკეთის რამხელა ვიბრატო იკვეთება მის სიკვდილისწინა სიტყვებში, როცა ახალგაზრდებს „მსჯელობას სიხარულზე“ უზიარებს. „ისწავლეთ, როგორ გაიხაროთ. ამაზე დიდი არაფერი არსებობს. სხვა ყველაფერი გამოგონილია. თქვენი გულები არსებობს მხოლოდ, ჯერ ჯანმრთელი გულები“. და ამას მოყვება თითქმის ბიბლიურად წმიდათაწმიდა: „და გეუბნებით მე: გაიხარეთ!“ სხვათა შორის, ზედმეტს მოითხოვს მას შემდეგ, რაც ოთხას ოთხ გვერდზე აესულეების არნახულ შაბაშს, კაპიტალის მომაკვდინებელ ბრძოლას, ხვალისდელი დღის შიშით გამოჟონილ ცივ ოფლსა და გამძვინვარებულ თაღლითობას ვანყდებით. მაგრამ მის სულიერ სიკეთეს, რომელსაც იგი აქ – და არა მხოლოდ აქ – შიშისა და თავხედობის ნაზავით გაჟღერებულ ოცი წლის ახალგაზრდებს შემწყნარებლურად უზიარებს, ეპიკურ სიკეთედ ნამდვილად ვერ ჩავთვლით.

ის არ ჩანს, რომანის ტემპი დაუნდობელია, არც სულის მოთქმის და არც წიგნისგან მოწყვეტის საშუალებას გაძლევს – იმედიც არ გქონდეთ. შეუდარებელი, კეთილშობილი და მკვახე სტილი გიტაცებს და გაღელვებს – ეს ფეთხუმობის და ბრწყინვალეობის, ყოველდღიური არგოსა და ინტელექტუალური ენის კონგლომერატია. ერთი სმერჩიდან მეორესკენ იქამდე მიექანება, სანამ ბოლოს და ბოლოს ამ ვნებიან – ბურლესკური თავგადასავლებით თავგზაბნეული, დამაჯერებელი შეუძლებელით ახარებელი და სულიერი სიკეთით აცრემლებული მთლად ქანცვანყვეტილი არ აღმოჩნდება.

და სწორედ მისგან, ამ სიკეთისგან გამოსჭვივის მრუმე ბრწყინვალეობა,

ძლიერი გამაღიზიანებელიც სწორედ მისგან მოდის. მე იგი ძმური სიყვარულით მიყვარს. მაგრამ შესაძლოა დახვეწილი ჯამბაზობა და უმაღლესი ხარისხის პაროდული ონაწრობა, საიდანაც სახიფათო შხეფები იფრქვევა, ჩემში ძმურ მოგონებებს უფრო მეტად აღვიძებს და მალეღვებს კიდევც. აი, მაგალითად, მკვლელი მულე, თავის თავს ასე წოდებასავით რომ შეარქვა. „მ მკვლელი მულე ვარ“, – ამაყად წარუდგენდა თავს ადამიანებს. ... სხეული ბერდება და შენც ამა თუ იმ დიდ საქმეს სერიოზულად ჩაექსოვები. გაკვეთილი, რასაც „გაიხარეთ!“ ქვია, მხოლოდ მხცოვან ასაკში შეიძლება გასცე, ახალგაზრდები კი ამას, ცოტა არ იყოს შეჩქვიფებით ისმენენ. აი მკვლელი მულე კი სხვა რამეს ასწავლის. იმას, რომ ჩვენ არსებითად იმადვე დავრჩით, რაც ვიყავით: განწყობილი ვართ ყველაზე წმიდათაწმიდა მოვისმინოთ – არადა, რა შეიძლება იყოს უფრო წმიდათაწმიდა, ვიდრე მკვლელობაა, ამ სიტყვის პირველადი გაგებით?

„აი, ჩემი მსხვერპლი“, – ამბობს მულე და გამოტილ შატისზე, გენერალურ დირექტორსა და ყოფილ რაიხსკანცლერზე უითითებს. „ახლა დედაბერსაც მოვუღებ ბოლოს და მაშინ სრულიად ახალ, ორმაგ მკვლელად ნამდვილად გადავიქცევი“, – აცხადებს იგი. „რეკორდს მოვხსნი. ბატონი ჟურნალისტები აქ ბრძანდებიან?“ მკვლელობა, რეკორდი, ჟურნალისტები. ყველაზე წმინდა, რაც მკვლელობასთანაა დაკავშირებული ცივილიზაციის დამარბეველმა ზემოქმედებამ გაანადგურა, – ასეთია პრესის შესახებ მულეს აზრი. როგორ მოგწონთ ეს გამწარება, ბატონო კონსერვატორებო? ელოდით რაიმე ამდაგვარს ამ ბა-



გეგებიდან? თუმცა იგი მკვლელი მულეს პირველადი ნადილის გამასხარავების საქმეს ემსახურება... „რისთვის მოაწყვეთ ეს ნარმოდგენა“, – უკითხებიან მას. ის კი პასუხობს: „ჩემი მემკვიდრეობა არაფერს ნიშნავს? მე მისი ვაჟი ვარ; დედაჩემის ექსპოპრიაციის საშუალებით, მემკვიდრეობა ნამართვა, ეს არსებული საზოგადოებრივი წესრიგისთვის ზურგში ხანჯლის ჩაცემას ნიშნავს“. ამ ნაციონალისტური, საგაზეთო შტამპით, ქუჩის ენას მიჩვეული მულე, მათ არსებული წყობილებისადმი თავის პატივისცემას უდასტურებს და ეს მხარდაჭერა, ბუნებრივია, ამ წყობილებას საექვო ჩრდილით მოსაგს. რა დასკვნა შეიძლება გააკეთოს აქედან სწორხაზოვანმა კონსერვატორმა?

გაუგებრობა აქ ისედაც საკმარისზე მეტია. რომანში, რომლის დაძაბული მოქმედება ამ თანრის სიდაადეზე მეტყველებს, რადგან მივიწყებულ ხატებს გვახსენებს, ალაგ-ალაგ შეუცნობლისკენ გადახრა შეიმჩნევა. მაგიური კი დაფიქრებას გვაიძულებს. ამ ინტინერ ბირკს, დაავადებულს უბედური შემთხვევის შემდეგ, თუმცა კაცმა არ იცის რითია ავად, რამდენად ავადა ან საერთოდ ავადა თუ არა, შეუძლია „თავისი სხეული მიატოვოს“ და განგების ნებით მოვლენებში მამინ ჩაერთოს, როცა ყველაფერი აირევა. სხეული კი ამ დროს საავადმყოფოში რჩება. მისი ქალიშვილი, ჩამომჯდარი ტელეფონის ყურმილით ხელში, რაღაც ტექნიკური და პარაფსიქოლოგიური პროცესის წყალობით შეიძლება დიდ სპორტის სასახლეში მოხედეს, სადაც საბატო ნევრების თანდასწრებით კრივის სენსაციური მატჩი იმართება. ეს მასობრივი სცენა, დიდად შთამბეჭდავი, გროტესკული და კომი-

კური, იქნებ, წიგნის ყველაზე ცოცხალი სცენაა, რომელსაც მარგო ისე ხედავს და ისმენს, თითქოს სხვა ადგილზე იმყოფებოდეს. როგორ დაეკავშიროთ ეს სასწაულები ავტორის რაციონალისტისა და ჰუმანისტის რეპუტაციასთან? ნუთუ არ უნდა ეშინოდეს, რომ შეუცნობლის შემოტანით კარს გაუღებს ბოროტებას, თანაც ისეთს, როგორც თავად ესმის?

რა არის „დიდი საქმე“? სათაური საქმიანი ადამიანების ფარგონიდანაა აღებული. დიდი საქმე ის მილიონიანი ნარმოებაა, რომლის ხელში ჩაგდებასაც ყველა ეშმაკობით ცდილობს და სხვათა შორის ბერკის მისტიფიკაცია, „გამოგონება“ გახლავთ. დროდადრო ეს სიყვარულია, დასასრულს სიკვდილად გვევლინება, ხოლო სულ ზოლოს, უკვე წიგნს მიღმა ეს თავისუფლებაა, უსამანო კრიტიკა და განსხეულებული სულიერება, რამაც ხელოვნების ფორმები მიიღო; და კიდევ თავგადასავალი, რომელიც სიმართლეს არ გავს და ეს არც ანუხებს. ავტორის დამოკიდებულება ცხოვრებასთან, რომელსაც სასონარკვეთილებაში ჩავარდნას აიძულებს და საკუთარი უპასუხისმგებლო ზუმრობებით აფრთხობს, ნამდვილად დამაფიქრებელია. ამ საზოგადოებრივმა ფანტასტიკამ და ამავდროულად საზოგადოებრივმა წინასწარმეტყველმა იმას მიაღწია, რომ დრო აშკარად სოციალური და პოლიტიკური ორიენტაციით აღბეჭდილ საკუთარ ნიჭს დაუმორჩილა. რა თქმა უნდა, მას ძულს ომი, მაგრამ მანაც უნდა ემადლიერებოდეს, თუნდაც იმისთვის, რომ ომმა გერმანია, სრულიად მოულოდნელად, ავტორიტარულ ჩამორჩენილობას გამოგლიჯა, აამოძრავე, რესპუბლიკა, დემოკრატიისკენ სწრაფვა და სახელმწიფოს ზვედრის

გადანწყვეტის საქმეში მასების მონაწილეობა მოუტანა. საზოგადოებრივი ფუნების აღრევა, სოციალური გადატრიალებანი, სულით ხორცამდე პოლიტიზაცია – ყოველივე ამან ცხოვრება გამოაცოცხლა, სოციალურ რომანისტს კი მხოლოდ ეს ჭირდება. იგი ამას წინასწარმეტყველებდა და მაშინ სურდა, როცა ჩვენ მხოლოდ ვინინასწარმეტყველეთ. სურვილი კი ვერც გავბედეთ. ახლა კი, როცა ეს აღსრულდა, უკვე აღარ სურს და ყოველივე ამით გაქვნილი ახალგაზრდებს ეუბნება: „ნამდვილი მხოლოდ თქვენი გულებია, სანამ ჯანმრთელი გაქვთ!“ ეს აზრი იმის ღირსია, რომ თან დაუერთოთ პოლიტიკურს – „ისმინეთ, ისმინეთ!“ ეს ბელადის ფრაზაა და მახვილების აღრევას, ახალ მოსახვევს ნიშნავს. გული, „სიხარული“ – ეს ხომ ინდივიდუალიზაციაა. აბა ამას ვინ იფქრებდა! მსხვილი საქმე – გული აღმოჩნდა. როგორ ყოფილა ქვეყნარტება წამზე დამოკიდებული!

რაც შეეხება რესპუბლიკურ საზოგადოებას, თავისუფლების ვერც ერთი სამკედრო-სასიცოცხლო მტერიც კი ვერ გადმომანთხედა ამდენ ბალამს და ვერ აღწერდა ასეთი სიძულვილით, როგორც ამ რომანშია აღწერილი. ანკი, ვის შეუძლია ეს, თავად თავისუფლების გარდა? მტრებს ნიჭი არ ყოფნით. მაგრამ ნუ დავიბნევით, თავისუფლების თვითკრიტიკა წყალს თავისი მტრების ნისქელიზე სულაც არ ასხამს. ავტორის სექპტიკური სითამამე უკიდურესობამდე მიდის, მაგრამ უკანასკნელ წამს უცებ აცხადებს: „ეს ყველაფერი უნდა არსებობდეს! კორუფციაც, მტანჯველი სისაძაგლეც უნდა არსებობდეს, რადგან მკვდარ წესრიგზე უკეთესი, უფრო

ადამიანური და ალბათ უფრო ზნეობრივიცააო.

საქმე წინ მიდის!.. მეც ხომ თითქმის ამასვე ვამბობდი. მგლური გაუმაძღრობა, ინსტინქტების უსახური პრიმიტიულობა, საქმიანობით შენიღბული უფიცობა, შემაშფოთებელ-ამალელებელი შეზღუდულობა იმ კაცობრიობისა, ვინც ყოველივე დაკარგა და დაივიწყა. ეს ყოველივე, კარგად ნაცნობი დღევანდელი ფარსის სიმალეზე ისეთი ესთეტიზმის დახმარებით ადის, რომ საზოგადოებას იმაშილა ადანაშაულებს, უფრო ნაძირალა რად არ გახდის, ვიდრე ხარო და იგი შეუცნობელის სფეროში გადაყავს. ეს სულიერი ამაღლება და განდგომა ყველგან ისე მეფობს, დიალოგებიც კი ისე აბსტრაქტული და განყვენებული გვეჩვენება, რომ უკვე აღარც კი გესმის ნამდვილად ხდება ასე თუ არა. რეალობასთან შეგუებას და ცოტა ამშვიდებს კიდევ მხოლოდ ხვალინდელი დღის შიში, რაც ყველას ხელისგულებს უოფლიანებს. მხოლოდ მოკრივე ბრიუსტუნგს კი არა, გენერალურ დირექტორ შატისს და ალბათ თავად „ქარლოს დიდსა“ც, „კონცერნის“ შეუცნობელ ღვთაებას, რომლის სურვილების მიზიდულობის სფეროშიც ვითარდება ყოველი მოვლენა. უფრო ნათელი და სანუგეშო – სიყვარულის ხაზია...

... კიდევ გავიმეორებ: ეს ძალიან მკაცრი ნიგნია. დაცინვაც მკაცრი აქვს და სიკეთეც. იგი მტიკივნიულია, ერთდროულად ცოდნითაა საესე და არც არაფერი იცის, ალტაცების მომგვრელიცაა და მძიმე ასატანიც; სწორედ ისე აგაღლელებს და გაგანანყენებს, როგორც ვინ? რა თქმა უნდა, გენიოსი.

ჩემი ქმის შესახებ

„თავისუფალი გერმანიის“ პატივცემულო მკითხველებო, ჩემი ქმის სამოცდათხუთმეტი წლისთავის მოახლოვებასთან დაკავშირებით მეკითხებით, როგორ ცხოვრობსო. თქვენი წყალობით, კარგად ცხოვრობს. აი უკვე წელიწადნახევარია, რაც ცხოვრების თანამგზავრი დაკარგა; ის მეუღლე, რომელმაც 1933 წლის 21 თებერვალს ძალა მოიკრიბა და იმ ტრამვაიმდე (თავდაპირველად) შეინის ფრანკფურტში რომ მიყავდა, ისე გააცილა, ცრემლი არ უჩვენებია. მისი გარდაცვალება ისეთივე სულის სიძლიერით მიიღო, როგორითაც მთელ თავის ხევედრს ეგუებოდა. მარტოსულობა, რაც მისი ასაკის ადამიანთათვის ბუნებრივია, მისთვის მოზარდობის და ახალგაზრდობის პერიოდიდანვე იყო ნაცნობი, ახლა კი ის ირგვლივ მყოფი ადამიანების არაჩვეულებრივი მეგობრობით და მონივრული სიყვარულითაა შემსუბუქებული და გასხივოსნებული.

ამ ქვეყანას ძალიან დამლღელი მანძილები აქვს, მაგრამ მისი საცხოვრებელი ჩვენგან უფრო შორსაც შეიძლება აღმოჩენილიყო. მანქანით, დაახლოვებით, ნახევარი საათის გზაა, თუ, რა თქმა უნდა, გაგიმართლებთ და გზა განათებული იქნება. ისე მოხდა, რომ ჩვენ სანტა-მონიკას მთის უკან, ოკეანესთან უფრო ახლოს ვცხოვრობთ, ის კი ქალაქში, არა მთლად საქმიან ცენტრში, მაგრამ მაინც ლოს-ანჯელესის შემოგარენში ბინადრობს. კვირაში ერთხელ მაინც მოგვყავს ხოლმე და ისიც ლანჩიდან შელაშობამდე ჩვენთან ერთად დროს სიამოვნებით ატარებს. ანდა პირიქით, ჩვენ მივდივართ მასთან და ისიც რაღაც პიკნიკისმავგარს აწყობს თავისი ვახშმითურთ, რაც ძა-

ლიან თბილი ატმოსფეროთი გმოირჩევა. თუკი ჯანმრთელობა ხელს უწყობს თავისი ახალი, შესანიშნავი ნაწარმოებებიდან, რაიმეს გვიკითხავს ან მოითხოვს, რომ ჩემი უკანასკნელი ხელნაწერები მე წაუკითხო.

ჩვენ ვსაუბრობთ წარსულზე, ჩვენი ცხოვრების წარმოდგენელ მოსახვევებს ვიხსენებთ... თანამედროვე მოვლენებზეც ვმსჯელობთ. მისი შეფასების მანერას ცხოველყოფელი შეიძლება ვუნოდოთ, რადგან დიდად არ განსხვავდება იმისგან, რასაც გოეთეს შემსწავლელმა კრიტიკოსებმა „შემწყნარებლობა შეწყალების გარეშე“ უწოდეს. ის არ არის შემწყნარებელი, მაგრამ ამაყდ მოწყლუა და პესიმიზმიც ბევრი მოეპოვება.

უკანასკნელი მოვლენების შესახებ განსხვავებული აზრი არა გვაქვს. ერთხელ, ჩვენგან რომ მიდიოდა, გზაში ჩემს უფროს ქალიშვილსა და თავის ძმიშვილს, ერიკას უთხრა: „პოლიტიკური თვალსაზრისით მე და მამაშენს ახლა ნამდვილად კარგად გვესმის ერთმანეთის. თუმცა ის ოდნავ ჩემზე რადიკალია“. მართალია, ეს ცოტა სასაცილოდ აჟღერდა, მაგრამ ის ხომ გერმანიასთან, ჩვენს ძვირფას ქვეყანასთან ურთიერთობას გულისხმობდა. აქ კი ის ჩემზე ნაკლებადაა ნაწყენი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მოვლენებში უფრო ადრე გაერკვევა და ამის გამო იმედგაცრუებაც ნაკლები შეხვდა. დღეს აღარ სურს გერმანელების საქციელი „საშინელ ერთეულ შემთხვევად“ ან „უცილობელ დანაშაულად, რომელსაც ურთიერთკავშირის ახსნა არ ჭირდება“, აღიქვას. მე მის სიტყვებს ვიმეორებ. ყველაფერი განსაზღვრულიცაა და ახსნილიც, თუნდაც



უპატივებელი იყოს და გერმანელებიც მხოლოდ ადამიანები არიან. მე მგონია, რომ იმის მტკიცება – გერმანელები განსაკუთრებით ცუდი ერიო, მას ნაციონალიზმის ერთ-ერთ ფორმად მოეჩვენებოდა. გერმანული უგნურების გამო მან იმდენივე იწვინა და დაკარგა, რამდენიც მე და უფრო მეტიც, რადგან საფრანგეთიდან გაქცევისას საფრთხეში მისი საკუთარი სიცოცხლე იყო. მაგრამ ისე არ შემართულა გერმანელების წინააღმდეგ, როგორც მე, ვინც, კარგია ეს თუ ცუდი, მათ ჩემი მეგობრების, ჩემი ცხოვრების სიხარულის სიკედილში ვადანაშაულებ (კარელ ჩაპეკს გულმა ვერ გაუძლო, მენო ტერ ბრააკმა პოლანდიაში თავი მოიკლა). საქმე იმაშია, რომ ფიზიკური სისუსტის მიუხედავად, სულიერი თვალსაზრისით ჩემზე ზომიერი, პოლიტიკური თვალსაზრისით კი, ჩემზე შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა.

თავის დროზე გერმანიის გადამრჩენი რევოლუციია რომ მომხდარიყო ის, სწორედ ის, და სხვა არაფერ უნდა აერჩიათ მეორე რესპუბლიკის პრეზიდენტად. აი, ახლაც კი – და ეს ძალიან სასაცილოა – ამდანს ხმაურობენ, დავბრუნდები მე თუ არა, ის კი თითქოს არც აინტერესებთ, არადა, რომელ ჩვენთაგანში უფრო იჩინა თავი მემკვიდრეობით მიღებულმა რომანულმა სისხლმა, აქტიური პოლიტიკოსების სისხლმა? ჩვენ შორის რომელი აღმოჩნდა უფრო შორსმჭვრეტელი და მოძღვარი, ვინც საზოგადოებრივი წყობა გააკრიტიკა? რომელმა ჩვენგანმა დაწერა „ქვეშევრდომი“ და გერმანიაში დემოკრატიის მოვლინება იწინასწარმეტყველა მაშინ, როცა ბევრი ჩვენთაგანი პროტესტანტულ-რომანტიკულ-აპოლიტიკურ გერმანულ სამოქალაქო სულზე საუბრობდა? ტუჩზეც კი ვიკ-

ბინე, როცა განსაკუთრებით რბილად შემეკითხა: „მე რა, აღარავინ მკითხულობს?“ და გულზე მომეშვა, როცა გერმანიიდან, როგორც იქნა, მოიხმეს. საბჭოთა ზონიდან, რა თქმა უნდა. ბენერმა წერილი მოსწერა და ყველა გელოდებო, აცნობა. სწორედ დროზე მოუსწრო! არა მგონია, ნასვლა შესძლოს და ღმერთმა ხომ იცის, რომ საპატიო მიზეზიც აქვს, მაგრამ მნიშვნელოვანი ისაა, რომ საჭირო აღმოჩნდა.

„თავს კარგად ვერ ვგრძნობ, – თქვა ამას წინათ, – ჯობს, შინ დავრჩე“, და ეს სასაცილოდ აყლერდა, რადგან „შინ“ შემთხვევით საცხოვრებელს დაარქვა – იმ ადგილს, სადაც ლოს-ანჯელესი ბევრლი ჰილს ერწყმის. მაგრამ მას უყვარს თავისი პატარა ბინა. სუტ სვედ-სტრიტზე, სადაც საყიდლებზე ფეხით დადის და სადაც ყოველივე გარდაცვლილის ხსოვნით სუნთქავს. ბინის ფანჯრები ქუჩაში გადადის და მონყობილიც კარგადაა. კობტა საწერი მაგიდა უდგას, რომელზედაც არ წერს, რადგან საქინებელი ოთახში, განმარტოებით მუშაობს. შესანიშნავი რადიო-აპარატურა აქვს და მუსიკას ხშირად უსმენს – კალიფორნიაში მსოფლიო სიმფონიური მუსიკის ცოდნა კიდევ უფრო გააღრმავა და გააფართოვა. გამოყოფილ საათებში გერმანულად, ფრანგულად და ინგლისურად კითხულობს, თანაც ხმამაღლა, თუკი პროზა ამას იმსახურებს. დილით მაგარ ყავას სვამს და დილის შვიდიდან დაახლოებით შუადღემდე დაულაღვად, ძველებურად, მამაცურად და მტკიცედ წერს. ახლაც ძველებურად ნამს ლიტერატურის განსაკუთრებული მისიის, რაც სიამაყითა და ღირსეუბით სავსე გამოთქმებით არა ერთხელ აღუნიშნავს. ფოლადის კალამს სამელნეში ანობს (ავტოკალამს ვერა და



ვერ მიეჩვია) და მთელ გვერდებს თავისი გამოკვეთილი, იოლადა წასაკითხი კალიგრაფიით ავსებს. რა თქმა უნდა, იოლადა არ ენერება, კარგი იოლადა არაფერი იქმნება, მაგრამ ეს გავარჯიშებული, დიადი მშრომელის სირთულეებია.

აი, ასე იქმნება მისი შეუდარებლობით ბექედდასმული ახალი ნაწარმოებები, რომელსაც მალე იხილავთ. თითქოს მინანქრის თავისებური ბრწყინვალეებითაა აელვარებული (ასეთია ისტორიული კოლორიტი) ეპიკურ-დრამატული სცენები, სადაც დიალოგები (არჩეული თემა გაცეხებს) ფრიდრიხ პრუსიელის ცხოვრების ამბავს მოგვითხრობს. რომანი სათაურით „მიღება მაღალ საზოგადოებაში“ თანამედროვე საზოგადოების სატირაა, მისი მოქმედება ერთდროულად ყველგან და არსად ხდება. ამას გარდა, კიდევ ერთ რომანს ამზადებს. მისი შინაარსი ჯერ მეც არ ვიცი. უმთავრესი კი (მე მგონია, რომ უმთავრესია) მისი გამაოგნებელი მოგონებების ნიგონია „საუკუნის მიმოხილვა“, რომლის დიდი ნაწყვეტები მოსკოვის „ინტერნაციონალური ლიტერატურის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა, ინგლისურად თარგმანი კი უკვე დასრულებულია. ეს

ავტობიოგრაფია, როგორც გარდასული დროის კრიტიკა, წარმოუდგენლად მკაცრი, ბრწყინვალედ მზიარული და გულუბრყვილოდ ბრძნული, ინტელექტუალური და ზამბარასავით შეკუმშული პროზითაა დაწერილი; ენის სიმარტივეც კი, მომავლის ენად მეჩვენება. დიახ, დაწმუნებული ვარ, რომ ოცდამეერთე საუკუნის გერმანულ ქრესტომატიებში მის ნაწყვეტებს გერმანული ენის ნიმუშებად შეიტანენ. ახალ ნიგნს სტოქჰოლმში ბექედავენ და ერთი სული მაქვს, ჩემს სამშობლოში გერმანელები მას როდის ნაიკითხავენ. რა თქმა უნდა, განაწყენდებიან. ყოველთვის ასე არ იყო? რასაც გინდა გაიღებდნენ, ოღონდ განაწყენებულიყვნენ და ჩვენი არავის ესმისო, ეფიქრათ; არადა, თუკი შეტისმეტად კარგად გაუგებ – უფრო მეტად განაწყენდებიან. მაგრამ ეს ყოველივე ნამდვილი ბავშვობაა. ის ობიექტური ფაქტი, რომ ეს სამოცდათხუთმეტი წლის კაცი – მათი ერთ-ერთი გენიალური მწერალია, მათ განაწყენებაზე ბევრად ძლიერი აღმოჩნდება და ადრე იქნება თუ გვიან, მაინც მოერევა მათ ცნობიერებას, რომელიც დღეს ასე ენიწაღმდეგება.

თარგმნა მანანა მიქელაძემ





მანანა სომერიძე

სად დაკრძალეს ფიროსმანი

ფიროსმანის ბიოგრაფიის კვლევას ხანგრძლივი ისტორია აქვს. 1922 წელს გიორგი ლეონიძის რედაქტორობით გამოსული გაზეთი "ბახტრიონის" შემომერი მთლიანად ფიროსმანს მიეძღვნა. მხატვრის შესახებ საინტერესო მასალები გამოქვეყნდა ამავე გაზეთის სხვა ნომრებშიც. ასე დაიწყო კვლევა-ძიება. მოგვიანებით რამდენიმე საარქივო დოკუმენტიც იქნა აღმოჩენილი. მოგონებებთან მათი შეჯერების საფუძველზე რამდენიმე ვერსია წარმოიშვა მხატვრის დაბადების თარიღთან დაკავშირებით, რისი ზუსტი ჩანაწერი არ არსებობს. აქამდე უცნობი იყო ფიროსმანის გარდაცვალების თარიღიც, მაგრამ მივაკვლიე, როგორც მისი გარდაცვალების, ასევე დაკრძალვის ჩანაწერებს, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი. ამ ორი დოკუმენტის გარდა, მოვიძიე კიდევ რიგი დოკუმენტებისა, რომელიც ფიროსმანის ოჯახს შეეხება. სანამ ამ დოკუმენტებს გავაცნობდე მკითხველს, მინდა თავი მოუყარო აღნიშნული საკითხის ირგვლივ არსებულ ძირითად ინფორმაციას.

1922 წელს, შალვა დადიანმა გაზ. "ბახტრიონის" რედაქციის დაეაღწეობით ქიზიყის სოფელ მირზაანში შეკრიბა ცნობები ფიროსმანის შესახებ. მხატვრის დას, ფეფე ასლანის ასულ ბარამაშვილისას მოუყოლია: "მე "ნი-

კალას" და ვარ. 57 წლის ვიქმნები და მასზე 2-3 წლით უფროსი ვარ... მეცა და ნიკოლაც აქ მირზაანში ვართ დაბადებულნი. მამა ჩვენს ასლანი ერქვა და სულ სამი შვილი ვყავდით: ნიკოლა, მე და ერთი ქალი, ჩვენზე უფროსი, რომელიც ერთ იმერელს ცოლად ყავდა ქალაქში. სიძის გვარი არ მახსოვს. დედა ზემომაჩხაანელი იყო ტოკლიკაშვილის ქალი - თეკლე. მამა უბრალო სოფლის კაცი იყო და ადრე გარდაიცვალა. ამავე დროს შიმშილობაც ჩამოვარდა და ჩვენმა იმერელმა სიძემ ობლები დედასთან ერთად ქალაქში წაგვასხა. მაშინ მე დაახლოებით 9 წლისა ვიქნებოდი და წავალ (ალბათ, სანყალი - მ.ბ.) ნიკოლა - 7 წ. ქალაქში სიძეს ცოლი მოუკვდა და დედა ჩვენი თეკლევც გარდაიცვალა. ამის გამო მე სოფლად დავბრუნდი და ნიკოლა კი იქ დარჩა. ერთხელ ქალაქში წამიყვანა. ...9 წელიწადი არ მინახავს და არ ვიცი ცოცხალია თუ მკვდარი".

ფეფესაგან იმავე 1922 წელს, ნინო თარიშვილმაც ჩანწერა მოგონება: "შეიდი წლისა იქნებოდა ნიკო (მე იმაზე უფროსი ვარ 4 წლით), როცა დედამა დაგვეხოცა. მამა ჩვენი ასლანი შინაური მიწის მომუშავე გლეხი იყო, სხვა არაფერი ხელობა იცოდა... დედას თეკლეს ეძახდნენ. მხნე და გამრჯე ადამიანი იყო. რვა წლის ნიკო ჩვენმა სიძემ, ალექსიმ წაიყვანა ქალაქში

(თბილისში) და მიაბარა პურის ქამაზედ ერთს სამხედრო პირს გვარად ქალანთაროვს.

ამასთან დარჩა თექვსმეტ წლამდე. 16 წლისა რომ გახდა ქალანთაროვს ეკითხა რომელი ხელოვა უფრო მოგონოს, რომ ის შეგასწავლო. ნიკოს ეთქვა: მხატვრობა მინდაო, მაგრამ ქალანთაროვს არ ერჩივნა და ბოლოს რკინიგზის კონდუქტორად შეუყვანია. 7-8 წელიწადი მსახურებდა, მაგრამ ავად გახდა, სამსახურს თავი დაანება და ღვინის სარდაფი (პადვალი) გახსნა. შეეადაროთ ეს ორი მოგონება. ფეფე ჯერ ამბობს ნიკოლაზე 2-3 წლით უფროსი ვარო, შემდეგ კი ასაკობრივ სხვაობას 4 წლამდე ზრდის. პირველი მოგონების თანახმად, იმერელ სიძეს ობლები დედასთან ერთად წაუყვანია თბილისში. ფეფე 9 წლის ყოფილა, ნიკო კი შვიდის. მეორე მოგონების მიხედვით, სიძეს, ალექსის, მხოლოდ 8 წლის ნიკო წაუყვანია თბილისში და ქალანთაროვისთვის მიუბარებია. აშკარაა, რომ აღწერილი მოვლენები ფეფეს ზუსტად არ ახსოვს. უტყუარი მხოლოდ მშობლების სახელებია და ის ფაქტი, რომ ფეფე ნიკოლაზე უფროსი იყო. ვინაიდან მხატვრის დაბადების ჩანაწერი არ მოგვეპოვება, დიდ მნიშვნელობას იძენს ფეფეს დაბადების წლის დადგენა, როგორც ზღვრული თარიღისა, რომელზე ადრე ფიროსმანი დაბადებული ვერ იქნებოდა. 1979 წელს ისტორიკოსმა მამია ჩორგოლაშვილმა მიაკვლია 1863 წლის სამეტრიკო ჩანაწერს: "1863 წლის 21 მარტს სოფელ მირზაანში მცხოვრებ სახაზინო გლეხს ასლან კიკოს ძე ფიროსმანაშვილს სჯულიერ ცოლთან თეკლესთან შეეძინა ქალი ნატალია". მკვლევარის აზრით, ფეფუცა ნატალიას შინაური სახელი უნდა ყოფილიყო. შემდგომში ეს აზრი კი

დეე უფრო დაასაბუთა ჟურნალისტმა ნელი კობიაშვილმა.

მ.ჩორგოლაშვილმა იმავე საგაზეთო წერილში "ცხოვრება მხატვრისა" სხვა საარქივო დოკუმენტებიც გაგვაცნო, რომელთაგან პირველი იყო ამონაწერი 1832 წელს სოფელ ზემო მირზაანში ჩატარებული კამერალური აღწერის მასალებიდან. იმ დროს ნიკო, ცხადია, ჯერ დაბადებული არ ყოფილა. მამამისი, ასლან კიკოს ძე ფიროსმანაშვილი კი 26 წლის იყო. ყავდა 21 წლის მეუღლე მართა, 50 წლის დედა – ელისაბედი, 90 წლის ბებია თამარი და ორი მცირეწლოვანი ქალიშვილი.

ასლანს არქივში მივიკვლიე ყველაზე ძველ დოკუმენტს, რომელშიც მხატვრის წინაპრები არიან დაფიქსირებული: 1817 წლის კამერალური აღწერაში ერთ კომლად არიან აღწერილი ხარება ფიროსმანაშვილი თავისი ცოლ-შვილით და მისი გარდაცვლილი ძმის (სახელი გაურკვეველად არის) ცოლი ელისაბედი, ძმის შვილი ასლანი და ბებია თამარი (სსცსა, ფონდი 254, აღწერა 2, საქმე 499, ფ.346). როგორც ჩანს, შემდგომში, როდესაც ასლანი დაოჯახდა, ბიძას გამოეყო და დედა-ელისაბედი ბებია თამართან ერთად თავისთან დაასახლა, რაც 1832 წლის კამერალური აღწერიდან ირკვევა.

მ.ჩორგოლაშვილი აქვე გვაცნობს ასლანის ერთ-ერთი ქალიშვილის დაბადების სამეტრიკო ჩანაწერს: "1831 წლის 15 აგვისტოს სოფელ მირზაანში მცხოვრებ სახაზინო გლეხს ასლან კიკოს ძე ფიროსმანაშვილს სჯულიერ ცოლ მართასთან შეეძინა ქალი მათა". მკვლევარი ფიქრობს, რომ მათას ინტერპრეტაციას უნდა წარმოადგენდეს შემდგომში დამკვიდრებული სახელი მარიაში. აქვე უნდა განვმარტო, რომ მოგონებების მიხედვით, ნიკოს ყოლია და, სახელად მარიაში, რომე-



ლიც 1870-იან წლებში სრულიად ახალგაზრდა გარდაცვლილა.

მ.ჩორგოლაშვილმა გამოთქვა სრულიად მართებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ასლანს პირველი მუულე ადრე გარდაცვალა და იძულებული გახდა მეორედ დაქორწინებულიყო. სწორედ თეკლასთან შეეძინა მას ნიკო და ფეფუცა (იგივე ნატალია). ზოგ მკვლევარს ეს მოსაზრება საეჭვოდ მოეჩვენა, მაგრამ ჩვენს მიერ ახლახან მიკვლეულ საარქივო დოკუმენტებიდან ერთ-ერთი გვაუწყებს, რომ 1839 წლის მაისში გარდაიცვალა "მირზაანს მცხოვრების ასლან ფიროსმანაშვილის მუულე მართა" (სსცსა, ფონდი 254, აღწერა 3, საქმე 217).

არქივში მოვიძიე სამეტრიკო ჩანაწერი, რომლითაც ირკვევა, რომ 1837 წელს "მაისის ათსა, სოფელ მირზაანს მცხოვრებს სახაზინო ყმას ფიროსმანაშვილს ასლან ნიკოლოზის ძეს და სჯულიერსა ცოლსა მისსა, მართა გოგიას ქალს დაებადა ქალი ბარბარე..." (სსცსა, ფონდი 489, აღწერა 6, საქმე 300).

ბარბარეს არსებობის შესახებ დღემდე არაფერი ყოფილა ცნობილი. ეს დოკუმენტი იმითაც არის საინტერესო, რომ ასლან ფიროსმანაშვილი მოიხსენიება, როგორც ნიკოლოზის ძე. მისი და ასლან კიკოს ძის იდენტურობაზე მეტყველებს მუულის სახელი და მამის სახელი – მართა გოგიას ქალი. გარდა ამისა, კიკო – ნიკოლოზის შემოკლებული ფორმაა, რომელიც კახეთში გვხვდებოდა.

არქივში მივაკვლიე ჩანაწერს, რომლის მიხედვით 1849 წლის 10 ნოემბერს სოფელ ოზაანში მცხოვრებ სახაზინო ყმა, იოვ სოლომონის ძე ოზაშვილზე გათხოვილა: "სოფელს მირზაანში მცხოვრებლის სახაზინო ყმის ასლან ფიროსმანაშვილის ქალი

მაია. მართლმადიდებლობითის სარწმუნოების აღსარებისა პირველსა ქორწინებითა" (სსცსა, ფონდი 489, აღწერა 6, საქმე 772).

ამ დროისათვის მაიას დედა, მართა, უკვე ათი წლის გარდაცვლილი იყო, ხოლო ასლანის ახალ ოჯახთან, როგორც ჩანს, მას აღარაფერი აკავშირებდა. ამასთან, გათხოვების შემდეგ, საცხოვრებლად სოფელ ოზაანში გადავიდა. 1863 წელს დაბადებულ ფეფეს, იმავე ნატალიას, მის შესახებ არაფერი სმენია. ფეფეს ახსოვს თავისი სიძის სახელი – ალექსი, მაიას ქმარს კი იოვი ერქვა. ჟურნალისტი ნელი კობიაშვილი გვანვდის ცნობას, რომლისთვისაც მას სოფელ მირზაანის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის 1872 წლის სამეტრიკო წიგნში მიუკვლევი: "ამავე სოფლის დროებით მცხოვრები სახაზინო ყმა ალექსი საბას ძე ხურციველი, სჯულიერი ცოლი მისი მარიამ ასლანის ქალი, ორნივე მართლმადიდებელი სარწმუნოებისა. შეეძინათ ქალი ევა..." ნ.კობიაშვილი ფიქრობს, რომ შესაძლოა ეს ჩანაწერი ნიკოს უფროსი დის, ასლანისა და თეკლას ქალიშვილის ოჯახს ეხებოდეს, რაც სავსებით დასაშვებია.

ნ.ფიროსმანაშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორი ანზორ მაძღარაშვილი წერს: "მხატვრის მშობლები ასლან ფიროსმანაშვილი და თეკლე ტოკლიკიშვილი ღარიბი გლეხები იყვნენ. ნიკოს გარდა, მათ კიდევ ყავდათ ორი ქალიშვილი – მარიამი და ფეფო. რვა წლის ნიკო მამით დაობლდა... ნიკოს უფროსი და მარიამი მოსწონებია თბილისიდან მირზაანში ჩასულ მინათ-მომწყობს ალექსის, რომლის გვარიც ჩვენთვის უცნობია..." იმავე ავტორის ნაშრომში "ფიროსმანის გარემო" (თბილისი, 1992 წ.) ვკითხულობთ, რომ ასლანი დაახლოებით 1870 წელს გარ-

დაცვლილა. მარიამი იმ დროს 14-15 წლის ყოფილა. ა.მაძღარაშვილი თამრო ბარამაშვილის მოგონებაზე დაყრდნობით მოგვითხრობს, რომ "ნიკო ფიროსმანაშვილის მამა ასლან მიხას ძე ფიროსმანაშვილი მირზაანის მკვიდრი იყო". როგორც ვხედავთ, თ.ბარამაშვილს ასლანის მამის სახელი სწორად არ სცოდნია. დასახელებული ასლანი რომ იგივე ასლან კიკოს ძეა – ეს იქიდანაც ჩანს, რომ მის მეუღლედ ა.მაძღარაშვილიც თეკლე ტოკლიკიშვილს ასახელებს. ასლანის ოჯახის შემადგენლობის შესახებ ფეფე ბარამაშვილი და ა.მაძღარაშვილი ერთნაირ ცნობებს გვანვდიან, მხოლოდ ფეფე უფროსი დის სახელს არ გვამცნობს.

ვანო ბუთლიაშვილის მიერ ქალანთაროვების ოჯახში შეკრებილი ცნობების თანახმად კი, ასლანს ნიკოზე უფროსი ვაჟიც ყოლია. ფიროსმანაშვილების ოჯახი ქიზიყიდან შულავერში გადასახლებულა საცხოვრებლად. "ნიკოს მამა მევენახეთ დამდგარა ახვერდი ქალანთაროვის ზვარში და თავისი ცოლშვილი დაუბინავენბია ქალანთაროვის ოჯახში, ნიკოს მამას ყოლია ორი ვაჟი და ორიც ქალი, რომელთაგან ერთი გათხოვილი ყოლია ქიზიყში. თან მოყოლია ერთი ქალიშვილი. ნიკო უმცროსი ვაჟი ყოფილა. უფროსს რქმევი ვიორგი, რომელიც გარდაცვლილა 15 წლისა ს.შულავერს. რამოდენიმე წლის შემდეგ ნიკოს მოკვდომია მამა. მალე ნიკოს ავად გახდომია დედაც, რომელსაც უვლიდნენ ქალანთაროვები. როდესაც იგრძნო მან სიკვდილის მოახლოება უკანასკნელ დროს იგი შეევედრა ახვერდი ქალანთაროვის მეუღლე ეფროსინიას: – "თქვენ გაბარებთ ჩემ შვილს ნიკოს და უპატრონეთო". გარდაიცვალა ნიკოს დედა".

როგორც ზემოთ ვნახეთ, ფიროსმანის და არაფერს ამბობს უფროსი ძმის, გიორგის არსებობის შესახებ.

დავით კაკაბაძის არქივში დაცული ყოფილა მარიამ სერგეის ასულ ბეგოსიპოვას მონათხრობის სტენოგრამა, რომელიც პარმენ მარგველაშვილმა გამოაქვეყნა. პუბლიკაციის ავტორი აღნიშნავს, რომ დავით კაკაბაძის სტენოგრაფიული ჩანაწერიც არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული – იგი ეანო ბუთლიაშვილის მიერ მოპოვებულ ცნობილ მასალას ეხმიანება. სტენოგრამაში ასეთი ცნობებია მოცემული: "როცა ფიროსმანაშვილები შულავერში მოხვდნენ, ნიკო 6 წლის იყო, ყავდა 13 წლის ძმა და 10 წლის და. ნიკო მალე შულავერიდან თბილისში წაიყვანა ანა ახვერდის ასულმა ქალანთაროვამ, მთხრობელის დედამ და იმ ახვერდი და ეფროსინე ქალანთაროვების ოჯახის ქალიშვილმა, სადაც ფიროსმანაშვილები ცხოვრობდნენ".

დღემდე მიკვლეული იყო ასლან კიკოს ძე ფიროსმანაშვილის მხოლოდ ორი შვილის დაბადების სამეტრიკო ჩანაწერები: მაიასი – დაბ. 1831 წელს და ნატალიასი – დაბ. 1863 წელს. არქივში მივაკვლიე ასლანის კიდევ სამი შვილის – ზემოხსენებული ბარბარეს, აგრეთვე ივანეს და ელისაბედის დაბადების ჩანაწერებს:

1847 წელს დაიბადა ივანე. მშობლები: "სოფელს მირზაანში მცხოვრებული სახაზინო ყმა ასლან ფიროსმანაშვილი ძე ნიკოლოზისა და სჯულიერი ცოლი ამისი სალომე იოსების ქალი ორნივე მართლმორწმუნენი" (სსცსა, ფონდი 489, აღწერა 6, საქმე 661).

ასლანის ვინაობა ეჭვსგარეშეა, მაგრამ ვინ არის სალომე იოსების ქალი? თუ მომდევნო დოკუმენტს შევადარებთ, ვნახავთ, რომ თეკლას მამის

სახელიც იოსები ყოფილა. უნდა ვიფიქროთ, რომ მღვდელმა, თავისი დაუდევრობით, თეკლას ნაცვლად სალომე ჩაწერა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოდის თითქოს ასლანს სამი ცოლი ყავდა: მართა, სალომე და თეკლა, რაც არა გვეგონია, რომ სიმართლეს შეესაბამებოდეს. ერთი რამ კი უტყუარია: ასლანს უფროსი ვაჟიშვილი ყოლია.

1857 წლის იანვარში ასლანს შეეძინა ქალიშვილი – ელისაბედი. მშობლები: “ამავე უეზდისა და უჩასტკის მირზაანს მცხოვრები სახაზინო გლეხი ასლან ძე დავითისა ფიროსმანაშვილი და სჯულიერი ცოლი მისი თეკლა იოსების ქალი. ორნივე მართლმადიდებლის სარწმუნოების აღსარებისანი” (სსცსა, ფონდი 489, აღწერა ნ, საქმე 1209).

კვლავ მღვდლის დაუდევრობასთან გვაქვს საქმე. კამერალური აღწერების მასალებიდან ვიცით, რომ მირზაანში XIX საუკუნეში მხოლოდ ერთი ასლან ფიროსმანაშვილი ცხოვრობდა, ისიც კიკოს ძე. სამეტრიკო ჩანაწერებით დავადგინეთ, რომ ასლანი ხან კიკოს ძედ მოიხსენიებოდა, ხან ნიკოლოზის ძედ, ვინაიდან კიკო – ნიკოლოზის შემოკლებული ფორმაა. ახლა კი ასლანი დაფიქსირებულია, როგორც დავითის ძე, რაც, ჩვენი აზრით, შეცდომა უნდა იყოს. მირზაანში სხვა ასლან ფიროსმანაშვილიც რომ ყოფილიყო, ძნელი დასაჯერებელია, რომ მის ცოლსაც თეკლა რქმეოდა. ნიკოლას დას, ფეფე ბარამაშვილს შეიძლება ბევრი რამ არ ახსოვდა, მაგრამ მშობლების სახელები კი ნამდვილად სწორად ეხსოვებოდა – ასლანი და თეკლა.

ფეფეს, იმავე ნატალიას დაბადების სამეტრიკო ჩანაწერში, რომელსაც მ.ჩორგოლაშვილმა მიაკვლია, მშობლებად დასახელებული არიან “ასლან

კიკოს ძე ფიროსმანაშვილი და თეკლა იოვის ქალი”. ცხადია, რომ თეკლა იოვის ქალი, იგივე თეკლა იოსების ქალია და ვფიქრობთ არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ ეს თეკლა იგივე სალომეა.

ამდენად, ასლან ფიროსმანაშვილს, პირველ ცოლთან, მართა გოგიას ქალთან 3 ქალიშვილი ყოლია, რომელთაგან არქივში მხოლოდ ორის – მაიას და ბარბარეს დაბადების სამეტრიკო ჩანაწერებია შემონახული. მეორე ცოლთან, თეკლასთან კი ასლანს ოთხი შვილი ყავდა: ივანე (დაბ. 1847 წ.), ელისაბედი (დაბ. 1857 წ.), ნატალია, იგივე ფეფე (დაბ. 1863 წ.) და ნიკოლოზი, რომლის დაბადების ჩანაწერიც დღემდე მიკვლეული არ არის.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ელისაბედი სწორედ ის უფროსი ქალიშვილი, რომელსაც მარიამის სახელით იხსენიებენ, თუმცა თავად ფეფე თავის მოგონებებში უფროსი დის სახელს არ გვანვდის. არც ის არის გამორიცხული, რომ მღვდელს მარიამის ნაცვლად ელენე ჩაწერა. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ ასლანს და თეკლას 1857 წელს უფროსი ქალიშვილი შეეძინათ. ასევე უტყუარია, რომ მათ უფროსი ვაჟიშვილიც ყავდათ – ივანე, რომელიც სრულიად ახალგაზრდა გარდაცვლილა. ქალნათაროვები მას გიორგის სახელით მოიხსენიებენ, ხოლო ფეფემ მისი არსებობის შესახებაც კი არაფერი იცის. ახლა ისეთ ბურუსით მოცულ საკითხს მივადექით, როგორც ნიკალას დაბადების თარიღის დადგენა.

1922 წელს გაზეთ “ბახტრიონის” მე-8 ნომერში გამოქვეყნებულ ტიციან ტაბიძის წერილს ერთვის რედაქციის მინაწერი: “ნიკო ფიროსმანაშვილი დაიბადა 1860–68 წლებში კახეთში. 8 წლიდან თბილისში ცხოვრობდა. გარდაიცვალა 1918 წელს, აღდგომა ლა-

მეს. დასაფლავებული უნდა იყოს კუ-
 კიის წმიდა ნინოს სასაფლაოზე". ნ.კო-
 ბიაშვილი ვარაუდობს, რომ აღნიშნუ-
 ლი წლები ფეფეს ასაკის გათვალისწი-
 ნებით იყო მითითებული და დასძენს,
 რომ 1930 წელს ჟურნალ "დროშაში" მ,
 გ.ლენინძე გვანჯღის სხვა ცნობას:
 "ჩემგან აღმოჩენილი ცნობით (მირზა-
 ანის ეკლესიის მეტრიკული დავთრის
 თანახმად ცნობა ამოსწერა ვ.ალულიშ-
 ვილმა), ნ.ფიროსმანი დაბადებულა
 1860 წელს". ვინაიდან საარქივო ნომე-
 რი მითითებული არ არის, ნ.კობიაშვი-
 ლის აზრით, ვ.ალულიშვილს მხედვე-
 ლობაში უნდა ქონოდა 1860 წლის კა-
 მერალური აღწერის წიგნში არსებუ-
 ლი ჩანაწერი, საიდანაც ირკვევა, რომ
 ასლან კიკოს ძე ფიროსმანაშვილის
 ოჯახი 1860 წელს 7 სულისაგან შედ-
 გებოდა: 2 მამაკაცისა და 5 ქალისაგან.
 ეს ჩანაწერი პირველად მ.ჩორგოლაშ-
 ვილმა გამოაქვეყნა. ჩემი აზრით,
 ვ.ალულიშვილი ეყრდნობა მირზაანის
 ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის
 სამეტრიკო წიგნის ჩანაწერს, რომე-
 ლიც პირადად მინახავს: 1860 წელს,
 დავით ზაქარიას ძე ფიროსმანაშვილს
 და მის კანონიერ მეუღლეს, ირინე აბ-
 რამის ქალს შეეძინათ ვაჟიშვილი - ნი-
 კოლოზი. ცხადია, რომ საქმე ეხება
 სხვა ნიკოლოზს. ამ ჩანაწერს თავად
 გ.ლენინძეც აქვეყნებს მომდევნო
 1931 წელს, მხოლოდ საარქივო ნომ-
 რის გარეშე. პოეტი წერს, რომ ფიროს-
 მანის დაბადების თარიღის საბოლოო
 დადგენისათვის მან მიმართა მირზაა-
 ნის ეკლესიის "მეტრიკული ამონაწე-
 რების დავთარს" 1860-1872 წლებისას,
 მაგრამ ამ წლებში ნიკალას დაბადება
 არსად არ არის მოხსენიებული. ამონა-
 წერები მისთვის ვ.ალულიშვილს გადა-
 უცვია. ამ ამონაწერებში ოთხი სხვა ნი-
 კოლოზ ფიროსმანაშვილის დაბადე-
 ბაა დაფიქსირებული:

"1. ნიკოლოზ ფიროსმანაშვილი:
 დ.1860 წ. დედა: ირინე აბრამის ასული,
 მამა: დავით ძე ზაქარიასი.

2. ნიკოლოზ ფიროსმანაშვილი. მა-
 მა: ზაქარია გრიგოლის ძე, დედა: ბარ-
 ბარე გრიგოლის ასული, დაბად. 1869 წ.
 აგვისტოს 5-ს.

3. ნიკოლოზ ფიროსმანაშვილი. მა-
 მა: დიმიტრი ივანეს ძე, დედა: თამარა
 გიორგის ასული. დაბად. 1871 წ. 27 ივ-
 ნისს.

4. ნიკოლოზ ფიროსმანაშვილი. მა-
 მა: სვიმონ დიმიტრის ძე, დედა: ატა-
 ტო ბასილის ასული, დაბად. 1872 წ. 20
 იანვარს".

ამრიგად, ნიკოლოზ ასლანის ძე
 ფიროსმანაშვილის დაბადების ჩანაწე-
 რი 1860-1872 წლებში არ ჩანს. გ.ლე-
 ნინძის აზრით, ვინაიდან შეუძლებე-
 ლია, რომ მხატვარი 1873 წლის შემდეგ
 ან 1857 წელზე ადრე დაბადებულიყო,
 ამიტომ მისი დაბადება 1857-1859
 წლებს უნდა მიეკუთვნოთ.

ამის შემდეგ, სხვადასხვა საარქივო
 დოკუმენტებზე დაყრდნობით, სხვა-
 დასხვა ვერსიები იქნა წამოყენებული.
 1960 წელს, ჟურნალისტმა გ.ბებუ-
 თოვმა ამიერკავკასიის რკინიგზის
 სამმართველოს არქივში აღმოაჩინა
 ჩანაწერი, რომელიც წარმოადგენს ნი-
 კოლოზ ასლანის ძე ფიროსმანაშვი-
 ლის ფორმულარულ წუსხას. ფიროს-
 მანს 1890 წლის 18 აპრილს დაუსწია
 მუშაობა მიხაილოვის (ხაშურის) რკი-
 ნიგზის სადგურის სატვირთო მატა-
 რებლების შემუხრუჭე კონდუქტო-
 რად, ხოლო იმავე წლის 14 ოქტომბერს
 სამუშაოდ გადაუყვანიათ ელისავეტ-
 პოლის (კიროვობადის) სადგურში.
 სპეციალურ გრაფში წლოვანება აღ-
 ნიშნული არ არის, მაგრამ წუსხას ერ-
 თვის სამედიცინო ცნობა, რომელშიც
 აღნიშნულია ფიროსმანის ასაკი - 28
 წელი. ზემოხსენებულ არქივში დაცუ-

ლი "ნიკოლოზ ფიროსმანაშვილის საქმე 2167" უფრო ვრცლად გაგვაცნეს ლეო გაბუნიაშვილი და ივანე ჯავახიშვილი. 1967 წელს. მომდევნო წელს, თ.ქრისტინაშვილი იმავე საარქივო საქმიდან 2167 ყურადღება გაამახვილა ორ საბუთზე, რაც ფიროსმანის სამსახურიდან დათხოვნასა და შერყეულ ჯანმრთელობას შეეხება.

ფურნალისტი გ.ბებუთოვი ასევე გვამცნობს, რომ საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივის თანამშრომელს გ.გოზალიშვილს აღმოუჩენია 1873 წლის კამერალური აღწერის ჩანაწერი: "ნიკოლოზ ასლანის ძე ფიროსმანაშვილი, 22 წლის, სოფლის სიიდან ამოღებულია თბილისში გადასვლასთან დაკავშირებით". გ.ბებუთოვი აღნიშნავს, რომ თუ ამ საბუთს დავეყრდნობით, ფიროსმანი 1850-იან წლებში უნდა იყოს დაბადებული. ფურნალისტს უფრო სარწმუნოდ მიაჩნია სამედიცინო ცნობა, რომლის თანახმადაც 1890 წელს ფიროსმანი 28 წლის ყოფილა. აქედან გამომდინარე, ელემენტარულად დაბადების თარიღს - 1862 წელს.

მ.ჩორგოლაშვილი კი უფრო სარწმუნოდ მიიჩნევდა 1873 წლის კამერალური აღწერის ზემოთხსენებულ ჩანაწერს, რომლის მიხედვით 1873 წელს ნიკალა 22 წლის ყოფილა, ე.ი. 1851 წელს ყოფილა დაბადებული. თავის მოსაზრებას მ.ჩორგოლაშვილი მეორე დოკუმენტითაც ამაგრებს. ეს არის 1860 წლის კამერალური აღწერის ნიგანი, სადაც ასლანის ოჯახში პირველად ჩნდება ცნობა მეორე მამაკაცის არსებობის შესახებ. მ.ჩორგოლაშვილი ვარაუდობს, რომ ეს მეორე მამაკაცი, მომავალი მხატვარი ნიკო ფიროსმანაშვილია. აქვე დავძენთ, რომ მკვლევარმა მიაკვლია საარქივო დოკუმენტს, რომელიც ცხადყოფს, რომ ფი-

როსმანს პირველად რკინიგზაზე მუშაობა დაუწყია არა 1890 წელს, არამედ გაცილებით ადრე. შესაძლოა 1884 ან 1885 წელს, სამხატვრო სახელოსნოს დაკეტვისთანავე (სახელოსნო მას გიგო ზაზიაშვილთან ერთად ქონდა გახსნილი ველიამინოვის ქუჩაზე). 1888 წლის 28 დეკემბერს 160 ბრძანებით იგი "უკიდურესი უხეშობისთვის" სამუშაოდან გაუთავისუფლებიათ. შემდეგში მან თავი აღიდგინა, მაგრამ 1893 წლის დეკემბერში იგი კვლავ გაათავისუფლეს. როგორც ჩანს, ამის შემდეგ იწყებს ვაჭრობას რძის პროდუქტებით.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს ფაქტი დასაბუთებულია, ერთი შეუსაბამობა იჩენს თავს: 1890-იანი წლებით დათარიღებული დოკუმენტებიდან არ ჩანს, რომ ფიროსმანს რკინიგზაზე ადრეც ემუშავოს. ასე, მაგალითად, რკინიგზის მოძრაობის სამსახურის უფროსის 1893 წლის 1 ივლისის მოხსენებას ერთვის ცნობა: "ფიროსმანაშვილი გზის სამსახურში მუშაობს 1890 წლის 18 აპრილიდან. ხელფასს იღებს 180 მანეთს წლიურად". თავად ნიკალა 1892 წლის 18 აპრილს მოძრაობის უფროსს სწერს: "ორ წელზე მეტია ამიერიკავკასიის რკინიგზაზე ვმუშაობ და შევბუღებით არ მისარგებლია", ხოლო 1893 წლის 6 ნოემბერს აცხადებს: "...თქვენდამი რწმუნებულ რკინიგზაზე ოთხ წელიწადს ვიმუშავე". შესაძლოა, ფისრომანს არ სურდა იმის გახსენება, რომ რკინიგზაზე ადრეც უმუშავია. მეტ უზუსტობას ვხვდებით მის მიერ 1891 წლის 6 მაისს ელიზავეტპოლის სადგურის უფროსისადმი თბილისში გადაყვანის თაობაზე გაგზავნილ თხოვნაში: "ხანდაზმულობისაგან დაუძღვრებული ჩემი მშობლები თბილისში იმყოფებიან". სხვა სარწმუნო ინფორმაცია რომ არ გვექონოდა,

დავიჯერებდით, თითქოს 1891 წელს მხატვრის მშობლები ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ. ამგვარი უზუსტობები გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა გ.ბე-ბუთოვის მიერ დამონშებულ სამედი-ცინო ცნობაში მითითებული ფიროს-მანის ასაკიც – 28 წელი, არ იყოს ზუსტი. ა.მაძლარაშვილი მართებულად ას-კენის, რომ სამედიცინო ანკეტა "უთუ-ოდ შეივსებოდა ნიკო ფიროსმანაშვი-ლის პირადი მონაწილეობით", მაგრამ ვერ გავიზიარებ მის თვალსაზრისს, თითქოს მხატვრის პირადი მონაწილე-ობა უზუსტობას გამოიწვიავდეს. ა.მაძლარაშვილი წერს: "სხვა ვინ შეა-ვსებდა ამნაირი სიზუსტით ფიროსმა-ნის ანკეტას, თუ არა თვითონ":

ფიროსმანის დაბადების თარიღის დაზუსტებაში მნიშვნელოვანი წვლი-ლი შეიტანა წელი კობიაშვილმა. მან დაკვირვებით წაიკითხა 1873 წლის კა-მერალური აღწერის წიგნი და ახალი ინფორმაცია აღმოაჩინა: "ნიკოლოზ ასლანის ძე ფიროსმანაშვილი, 22 წლის გამოტოვებული იყო კამერალუ-რი აღწერით "საქმე 337, 1885 წელი". მომდევნო გრაფაში ჩანერილია: "ნი-კოლოზ ფიროსმანაშვილი გამორიც-ხულია ამა სოფლიდან ქ.ტფილისში გადარიცხვის გამო. საქმე 337, 1885 წელი". ნ.კობიაშვილი აკეთებს სწორ დასკვნას, რომ ჩანაწერი გაკეთებუ-ლია 1885 წელს. კამერალური აღწერის წიგნებში მართლაც გვხვდება ხოლმე უფრო გვიანდელი მინაწერები. აღნიშ-ნული დოკუმენტი დედანში მინახავს და ამიტომ ქ-ნ წელი კობიაშვილის მო-საზრებას სავსებით ვიზიარებ. მ.ჩორ-გოლაშვილი წერს, რომ "1873 წლის კა-მერალურ აღწერაში ასლანს არ იხსე-ნიებენ. არის ასლანის მეუღლე, მისი ქვრივი, რომელიც შემდეგ ამოუშლი-ათ იმის გამო, რომ არსებული წესით აღწერაში მხოლოდ მამაკაცები

შექონდათ". ნ.კობიაშვილი უფრო სწორად ხსნის ასლანის მეუღლის ამოშლის მიზეზს. ძირითადი ჩანაწე-რის ქვევით და ოდნავ მარჯვნივ, ნი-თელი მელნით რუსულ ენაზე, საკმა-ოდ გაურკვეველი ხელით მიუწერიათ ერთი სიტყვა. ჟურნალისტი წერს: "ვგონებ არ უნდა ცვდებოდე და სწო-რად ამოვიკითხე – УМЕРНА წერია გა-რული ხელით". ამ მოსაზრების ეჭვ-ვემ დაყენება შეუძლებელია. აღნიშ-ნული სიტყვა მეც ზუსტად ასე ამოვი-კითხე.

ნ.კობიაშვილი გულისყურით ეკი-დება მხატვრის დის, ფეფეს მოგონე-ბებს, რომელთა მიხედვით ის ნიკალა-ზე უფროსი იყო: პირველი მოგონების თანახმად, 2-3 წლით, ხოლო მეორე მოგონების თანახმად 4 წლით, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ ასა-კობრივი სხვაობა საშუალოდ 3 წლით განვსაზღვროთ. ხოლო თუ ფეფე იგი-ვე ნატალიაა, მაშინ მის დაბადების თა-რიღს, 1863 წელს, უნდა დაეუმატოთ 3 წელი და ნიკალას დაბადების თა-რიღს მივიღებთ. ნატალიასა და ფეფეს იდენტიფიცირებისათვის, ნ.კობიაშვი-ლი სრულიად ახალ მასალას გვან-ვდის. 1873 წლის კამერალური აღწერის წიგნში XX საუკუნის დამდეგამდე გაგ-რძელებულა ჩანაწერების ჩამატება. 1901 წელს შეუტანიათ ჩანაწერი ფე-ფეს ქმრის, ივანე ბარამაშვილის ოჯა-ხის შესახებ: "ბარამაშვილი ივანე, 34 წლის, ცოლი მისი ფეფე 37 წლის, შვი-ლები: ნიკოლოზ, გიორგი ლეთისაეარ, თამარა, ანა". საქმე 224, 1901 წ." 1863 წელს დაბადებული ადამიანი 1901 წელს სწორედ 37-38 წლისა იქნებოდა. ნ.კობიაშვილი შეგვახსენებს ამონა-რიდს ფეფეს მოგონებიდან, რომელიც გაზეთ "ბახტრიონის" 1922 წლის მე-10 ნომერში გამოქვეყნდა: "მე ნიკალას და ვარ, 57 წლისა ვიქნები და მასზე 2-

3 წლით უფროსი ვარ... თვითონ ვანო ბარამაშვილზე ვარ გათხოვილი. ქმარი ცოცხალი აღარ მყავს. მყავს ორი ვაჟი და ოთხი ქალი”.

ნ.კობიაშვილი სავსებით სწორად შენიშნავს, რომ 1863 წელს დაბადებული ადამიანი 1922 წელს დაახლოებით 58-59 წლისა იქნებოდა და “რადგან ასაკი ფეფე ბარამაშვილისა და ნატალიასი ემთხვევა, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ფეფე და ნატალია, ერთი და იგივე პიროვნებაა”. ფეფეს მოგონებაში ხომ ნათქვამია: “როდესაც დედა გარდაიცვალა, მე 9-10 წლისა ვიყავი, ნიკო 7-8 წლისა”. ნ.კობიაშვილი ამ ამონარიდზე დაყრდნობითაც ამტკიცებს, რომ 1863 წელს დაბადებული ადამიანი 1873 წელს სწორედ 9-10 წლისა იქნებოდა. ხოლო თუ ნიკო 1873 წელს 7-8 წლის იყო, ე.ი. ის 1866-67 წლებში დაბადებულია.

ნ.კობიაშვილი ფიქრობს, რომ 1860 წლის კამერალური აღწერის ნიგნში ასლან ფიროსმანაშვილის ოჯახში დაფიქსირებული მეორე მამაკაცი – ნიკოს უფროსი ძმია, გიორგი, რომელიც 15 წლის გარდაცვლილა. დღეს ეს მოსაზრება განსაკუთრებით დამაჯერებელი ხდება, ვინაიდან უკვე მივაკვლიე უტყუარ საარქივო საბუთს, რომელიც უფროსი ძმის არსებობას ცხადყოფს. როგორც ჩანანერიდან ჩანს, მას ივანე რქმევი.

ნ.კობიაშვილმა გაგვაცნო ერთი მეტად საგულისხმო დოკუმენტი. 1960 წელს გაზეთ “Заря Востока”-ს რედაქციას თხოვნით მიუმართავეს საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივისათვის სოფელ მირზაანის მეტრიკულ ნიგნების გადათვალეერების თაობაზე, რაზედაც არქივს შემდეგი პასუხი გაუცია: “...დამატებით აღმოჩენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ ნიკო ფიროსმანაშვილი დაბადებულია

1850-იან წლების დასაწყისში (და არა 60-იან წლებში). არსებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით გადავთვალეერთ 1850-52 წლების მეტრიკული ნიგნები. ჩანანერი მისი დაბადების შესახებ არ აღმოჩნდა. არ არის ჩანანერი აგრეთვე 1860-63 წლების მეტრიკულ ნიგნებშიც. შესაძლებელია ნ.ა.ფიროსმანაშვილი მონათლული იყო რომელიმე სხვა სოფლის ეკლესიაში, რომლის სახელწოდების ცოდნის გარეშე შემდგომი ძიება შეუძლებელია”.

ჯერ კიდევ ამ პასუხის გაცნობამდე პირადად მაქვს გადასინჯული საისტორიო არქივში დაცული მირზაანის ლეთისმშობლის ეკლესიის ყველა სამეტრიკო ნიგნი, მაგრამ ფიროსმანის დაბადების ჩანანერი არსად არ აღმოჩნდა. მეც იმ დასკვნამდე მივედი, რომ ის სხვა სოფელში უნდა იყოს მონათლული. დედამისი, თეკლა ტოკლიკიშვილი მაჩხაანიდან იყო. შეიძლება და გვეფიქრა, რომ ნიკალა მაჩხაანში მონათლეს, მაგრამ ეს ვარაუდი გამოირიცხა, ვინაიდან გულდასმით შევისწავლე მაჩხაანის საეკლესიო-მეტრიკული ნიგნები, მაგრამ ნიკალა არც ამ ნიგნებში აღმოჩნდა. ისლა დაგვრჩენია ვივარაუდოთ, რომ მხატვარი შულავერში დაიბადა.

სადღეისოდ ჩვენს ხელთ არსებული ყველა ცნობა რომ შევაჯამოთ, მივიღებთ შემდეგ სურათს: როდესაც ასლან ფიროსმანაშვილი შულავერში გადასახლდა, მას მეორე ცოლთან, თეკლასთან ჩვენს ხელთ არსებული საბუთებით უკვე სამი შვილი ყავდა: 1. ივანე დაბ. 1847 წელს, 2. ელისაბედი, დაბ. 1857 წელს და 3. ნატალია, იგივე ფეფე. დაბ. 1863 წელს. მარიაშის დაბადების ჩანანერს ვერ მივაკვლიეთ. როგორც უკვე ვთქვით, არ არის გამოირიცხული, რომ მისი სახელი შეცდომით ყოფილიყო დაფიქსირებული.

ამას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ელისაბედის არსებობა დღემდე არავის უხსენებია. შულავერში ასლანს ვაჟიშვილი გარდაეცვალა, რომელიც 16 წლის იქნებოდა. მირზაანის სამეტრიკო წიგნებში ასლანის შვილის გარდაცვალების ჩანაწერი არ ჩანს. ცხადია, რომ ეს შულავერში მოხდა. ქალანთაროვებს ბუნდოვნად ახსოვთ, რომ ასლანის უფროს შვილს გიორგი ერქვა და იგი 15 წლისა გარდაეცვალა. შესაძლოა ფეფე იმ დროს ერთი წლისაც არ ყოფილიყო და ვერაფერს მიმხვდარიყო. შემდგომში მას არც უფროსი ძმის არსებობის შესახებ სმენია რაიმე და არც მისი გარდაცვალების შესახებ. არადა, ივანეს არსებობა ხომ უტყუარი დოკუმენტით დასტურდება. ფეფე კი ამბობს, მამაჩვენს სულ სამი შვილი ვყავდითო. როგორც აღენიშნე, ფეფე არც უფროსი დის სახელს გვანვდის. შესაძლოა საქმე ეხება ელისაბედს, რომელიც ასლანის გარდაცვალების დროისათვის დაახლოებით 15 წლის იქნებოდა, ნიკო კი 7-8 წლის. საფიქრებელია, რომ მხატვარი შულავერში დაიბადა. უტყუარია, რომ იგი ფეფეზე ანუ იგივე ნატალიაზე უმცროსი იყო. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მისი დაბადების ადგილია შულავერი, ხოლო დაბადების თარიღი – დაახლოებით 1866 წელი.

ჩვენს საისტორიო არქივში შულავერის სამეტრიკო წიგნებს ვერ მივაკვლიე. ფიროსმანის ექსპერტმა, მხატვარმა თენგიზ მირზაშვილმა მომანოვა ცნობა, რომ როგორც მას სმენია, შულავერის საეკლესიო-სამეტრიკო წიგნები ჩვენს არქივს თავის დროზე სომხეთის არქივისთვის გადაუცია. ამ ცნობის შესამოწმებლად ჩავედი ერევანში. აღმოჩნდა, რომ სომხეთის არ-

ქივისთვის გადაუციათ შულავერის სომხური ეკლესიის სამეტრიკო წიგნები, რომლებსაც აწერია: "село Карамурад онже Шулавер. Церковь св. Петрос-Петрос". ჩემთვის უცნობია შულავერის მეორე სახელი – ყარამურადი. ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: "ხოლო ხეობა შულავერისა არის ლელვარის მთის ნაკვერთ, იმიერ და ამიერ დაბები. შულავერი არს დაბა დიდი. ქუემორ მისსა ნაქალაქევი არს, შენობა დიდი, და წყარო ფრიად დიდი დის, ზეით მცირე ციხე".

შულავერის სახელით 1873 წლის კამერალურ აღწერაში "ტფილისის გუბერნიისა და მაზრის, ყოფილი ბორჩალოს მონაკვეთის" სამ სოფელს ვხვდებით. ესენია: პატარა შულავერი – 22 კომლი, ბაშკეჩეთის შულავერი – 7 კომლი და დიდი შულავერი – 549 კომლი. აღწერის მასალების მიხედვით, მთელი ეს მოსახლეობა სომხური ყოფილა, გარდა დიდ შულავერში მცხოვრები ერთადერთი ქართული კომლისა, რომელშიც 3 მამაკაცი და 5 ქალი შედიოდა (სსცსა, ფონდი 254, აღწერა 3, საქმე 244). მთელი ეს მონაცემები ძალზე საეჭვოდ გვეჩვენება, რაც ცალკე შესწავლის საგანია. მაგრამ ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ XIX საუკუნის II ნახევარში ამ ძირძველ ქართულ მიწაზე მართლმადიდებლური ეკლესიის არსებობა არ დასტურდება. ცხადია, ფიროსმანაშვილები შვილს სომხურ ეკლესიაში არ მონათლავდნენ. ეს არის მიზეზი იმისა, რომ მხატვრის დაბადების დათარიღების საკითხი ბურუსით არის მოცული. საფიქრებელია, ნიკო შულავერის მიმდებარე რომელიმე სოფლის ეკლესიაში იყოს მონათლული. სამეტრიკო წიგნები ჩვენამდე სრულად არ არის მოღწე-

ული, რის გამოც ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევა უშედეგო აღმოჩნდა.

ფიროსმანზე ბოლო მონოგრაფიული გამოკვლევა დაწერილია 1999 წელს და ეკუთვნის თემო ჯაფარიძეს. მასში მხატვრის დაბადების თარიღად დასახელებულია 1856 წელი, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, თუ რა ცნობებს ემყარება ავტორი.

ფიროსმანის შრომითი საქმიანობის შესახებ პირადად მე არავითარი ახალი ცნობებისათვის არ მიმიკვლევია, თუ არ ჩავთვლით იმ უმნიშვნელო დეტალს, რომ რკინიგზის სამსახურდან 1889 წელს განთავისუფლებულთა ერთ სიაში დაფიქსირებულია ფიროსმანაშვილი ვანო. სახელი შემდეგ ვიღაცას გადაუშლია. ამავე მელნით არის ხაზგასმული დათხოვნის თარიღი (სსცსა, ფონდი 279, აღწერა 1, საქმე 158). აღბათ, შეცდომა ეგონათ. სინამდვილეში ეს ჩანაწერი ნიკოს არ ეხება, ვინაიდან ამ დროისათვის ის უკვე განთავისუფლებული იყო. ამავე საქმეში (ფურც. 889ა) იხანება დოკუმენტი, რომელიც გვამცნობს, რომ 1889 წლის ივნის-ივლისში სამსახურიდან კიდევ სამი ფიროსმანაშვილი განთავისუფლებიან. ე.ი. როდესაც ნიკომ რკინიგზაზე დაიწყო მუშაობა, იქ უკვე საკმაო რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი მისი მოგვარენი. შესაძლოა, სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა ნიკოს არჩევანი და რკინიგზელად აქცია.

არქივში მოკვლეულმა დოკუმენტებმა საშუალება მომცა დამედგინა ფიროსმანის გარდაცვალებასთან და დაკრძალვასთან დაკავშირებული საკითხები, რაზედაც დღემდე აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა.

გაზეთ "ბახტრიონის" 1922 წლის მე-8 ნომერში ვკითხულობთ: "რედაქ-

ციამ შეკითხვით მიმართა ყოფ. არამიანცის და მიხეილის საავადმყოფოს თუ რა რიცხვში და რა ავადმყოფობით გარდაიცვალა ნიკო ფიროსმანი". როგორც ჩანს, დასახელებულმა საავადმყოფოებმა ვერ შეძლეს პასუხის გაცემა.

ლადო გუდიაშვილი წერდა: "ნიკომ თავისი ნუთისოფელი სადღაც დიდუბის მიგდებულ ადგილებში დალია, მაგრამ როდის მოკვდა, რა პირობებში, ვინ დამარხა ეს არავინ იცის. გადმოგვცემენ, რომ იგი კუკიის სასაფლაოზეა დაკრძალული, მაგრამ დანამდვილებით არავინ იცის..."

ეგნატე მენტეშაშვილი იგონებდა: "სიკვდილის წელს ვგონებ რომ ორმოცდაათს გადაცილებული იყო. მე მაშინ თბილისში არ ვიყავი, მხოლოდ "ისპანკა" იყო გავრცელებული. სამი დღე უპატრონოდ გდებულიყო ნაგავში. როცა "სწრაფი დახმარების" ეტლში ჩასვეს მან სთქვა "ხოვრველა მჭირსო". დამარხული უნდა იყოს წმინდა ნინოს სასაფლაოზე. არავინ მის კუბოს არ გაყოლია. მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა და საავადმყოფოშივე დაიმარხა. ყველაზე უკეთესად და დაწვრილებით მისი ამბები იცოდა განსვენებულმა ილია მგალობლიშვილმა". ილია მგალობლიშვილზე არჩილ მაისურაძეც მიუთითებს თავის მონათხრობში: ნიკალა "ამ ხანებში სმისაგან გამზადარიყო ავად. ჩასულიყო სარდაფში, ნესტიანსა და ბნელ იატაკზე დანოლილიყო. ორი-სამი დღის შემდეგ შემთხვევით ჩავედი და დიდ სიბნელებში ნაფანყდი მას. კენესოდა მწარედ. მე ვერ ვიცანი და შევძახე: ვინ ხარ შეტქი! - მე ვარო და მაშინვე ხმაზე ვიცანი ნიკალი. მან კი ველარ მიცნო. მხოლოდ მითხრა. ცუდათ გავხდით. მე მაშინვე ფაიტონი მოვიყვანე. რაკი მე არ მეცალა, ეტლში ჩაუჯდა

განსვენებული ილია ანდრიას ძე მგალობლიშვილი და ნაიყვანა არამიანცის საავადმყოფოში. ნამდვილად აღარ ვიცი მართლა იქ მიიყვანა, თუ მიხეილის საავადმყოფოში. ეს კია, რომ კაცი დღენახევარში გათავდა... ჩემის აზრით, ნიკალაი უსათუოდ იყოს დამარხული პეტრეპაველეს ქართველთა სასაფლაოზე”.

შემორჩენილია ცნობა, რომ ფიროსმანი 1918 წელს “გაზაფხულზე, აღდგომის წინა დღეს მოკვდა”. ფიროსმანის სახლ-მუზეუმის თანამშრომელი დალი სულაშვილი ფურნალისტ ლელა ჯიყაშვილისათვის მიცემულ ინტერვიუში ამბობს: “ზუსტად არავინ იცის, რომელ საავადმყოფოში ნაიყვანეს – არამიანცის თუ მიხეილისაში. მეორე დღეს ფიროსმანი გარდაიცვალა. მისი საფლავი დაკარგულია, მაგრამ შესაძლოა კუკიის სასაფლაოზე დაკრძალეს, სადაც ბევრია უპატრონო საფლავი”.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნიკალა 1918 წლის აღდგომის წინა დღეს გარდაიცვალა, მაგრამ თვე და რიცხვი არავის დაუზუსტებია. როგორც მამა ბიძინას (გუნია) დახმარებით დავადგინე, 1918 წელს აღდგომა ახალი სტილით 5 მაისს ყოფილა. აქედან გამომდინარე, შემიძლია იმის მტკიცება, რომ მიხეილის საავადმყოფოს სარეგისტრაციო წიგნში ფიროსმანის გარდაცვალების ჩანაწერს მივაკვლიე. სწორედ აღდგომის წინა დღეს, 4 მაისს, საავადმყოფოში მიუყვანიათ “უცნობი წოდების” მამაკაცი. ასევე უცნობია, თუ ვინ მიიყვანა და საიდან. ავადმყოფი იმავე დღეს გარდაცვლილა. “ავადმყოფი მოსაცდელში იმყოფებოდა. როდესაც მის გასასინჯად გამგზავნეს, ის უკვე მკვდარი დამხვდა” – წერს მორიგე ექიმი. ალბათ, მოუვლელი და მომაკვდავი ნიკალა გაცი-

ლებით ხნიერი ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო, რის გამოც ექიმებს, რომლებმაც მისი გასინჯვაც ვერ მოასწრეს, 70 წლისა გონებიათ (სსცსა, ფონდი 507, აღწერა 1, საქმე 4073). ჩანაწერიდან ირკვევა, რომ მისი ცხედარი 5 მაისს გაკვეთეს. ოქმი შედგენილია 7 მაისს, საიდანაც ჩანს, რომ მას დაავადებული ქონია გული, ღვიძლი, ელენთა, თირკმლები, ხოლო ორივე გაკვეთილი ფილტიდან მოედინებოდა ქაფიანი სითხე, დიდი რაოდენობით”. ოქმის მონაცემები ემთხვევა იმ ჩივილებს, რის გამოც ფიროსმანმა 1893 წელს სამსახურიდან განათავისუფლება მოითხოვა. ისიც საგულისხმოა, რომ განათავისუფლებამდე ცოტა ხნით ადრე, ფიროსმანი იძულებული იყო ორი თვით შეეზღუდა აელო და აბასთუმანში წასულიყო სამკურნალოდ. როგორც ირკვევა, ის ტუბერკულოზით ყოფილა დაავადებული.

საისტორიო არქივში ფიროსმანის დაკრძალვის ჩანაწერიც მოვიძიე. მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიის სამეტრიკო წიგნში დაფიქსირებულია 1918 წლის 4 მაისს გარდაცვლილი “უცნობის წოდების” მამაკაცი, რომელიც 9 მაისს დაუკრძალავთ. ასაკი მითითებული არ არის. გარდაცვალების მიზეზი – ტუბერკულოზი. ბოლო გრაფაში “ვინ ალუგო ანდერძი და სად არიან დასაფლავებულნი”, აღნიშნულია: “На больничном Кукийском” (სსცსა, ფონდი 489, აღწერა 7, საქმე 1798). იგულისხმება საავადმყოფოში გარდაცვლილი, უპატრონო მიცვალებულებისთვის კუკიის სასაფლაოზე გამოყოფილი ადგილი. ტერენტი გრანელის პოეტური ზედევა ზუსტი გამოდგა: “ცოდვილ ქალაქში დადიოდი ჩოხის ამარა, საშინელებამ უცნაურად დაგასამარა...”

როგორც გავარკვეე, მიხეილის სა-

აეადმყოფოს სარეგისტრაციო წიგნზე სხვებსაც უმუშაეიათ, მაგრამ რატომ-ღაც საჭირო ჩანანერისთვის ვერ მიუკვლევიათ. 1969 წელს ინჟინერმა ირაკლი ლუკაშვილმა გამოაქვეყნა წერილი "ფიროსმანის უკანასკნელი დღე", რომელშიც გაგვაცნო მიხეილის საავადმყოფოს სარეგისტრაციო წიგნის შემდეგი ჩანანერი: "1918 წლის 7 აპრილს მიმღებ განყოფილებაში მოიყვანეს უცნობი წოდების მამაკაცი..." ი.ლუკაშვილი წერს: "ჩვენ გადავათვალიერეთ მიხეილის საავადმყოფოს ჩანანერების 1918 წლის წიგნი. ყველა ჩანანერი აღმოჩნდა "სახელობითი", მხოლოდ ეს ერთი ჩანანერი, 7 აპრილით დათარიღებული - იყო "უსახელო". როგორც ჩანს, ი.ლუკაშვილს ჩანანერები გულდასმით არ გადაუსინჯავს, წინააღმდეგ შემთხვევაში 1918 წელს რამდენიმე "უსახელო" ჩანანერს ნახავდა, მათ შორის იმასაც, რომელიც 1918 წლის 4 მაისს, ანუ აღდგომის წინა დღეს გაკეთდა, რაც თავისთავად ფიროსმანის გარდაცვალებაზე მიგვანიშნებს. ი.ლუკაშვილს 1920 წელს კუ-

კის სასაფლაოს ეკლესიის მეტრიკული წიგნიც შეუმონებია, მაგრამ ფიროსმანის დაკრძალვის ჩანანერისთვის ვერ მიუკვლევი. როგორც ვნახეთ, ამგვარი ჩანანერი სხვა ეკლესიის, კერძოდ, მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიის სამეტრიკო წიგნში აღმოჩნდა. ი.ლუკაშვილის მიერ არასწორად წარმართული ძიების შედეგებს დაეყრდნო ე.კუზნეცოვი, რომელიც აცხადებს, რომ 1918 წლის 7 აპრილს ჩანანერი არის "1918 წლის გაზაფხულზე გაკეთებული ერთადერთი უსახელო ჩანანერი". როგორც ვნახეთ, ეს ცნობა არ შეესაბამება სინამდვილეს.

2003 წლის 4 მაისს ნიკალას გარდაცვალებიდან 85 წელი შესრულდა. სიმბოლურია, რომ სწორედ მაისის დასაწყისში მივაკვლიე მისი გარდაცვალებისა და დაკრძალვის ჩანანერებს, რაც 9 მაისს სასწრაფოდ გავაცანი მკითხველს. და დავსვი საკითხი, გამოვლენილი დოკუმენტების საფუძველზე, კუკიის სასაფლაოს შესასვლელთან ფიროსმანის მემორიალის გაკეთების შესახებ.



1-2004

2004 - 744

ნ^o 1129/2

შპსი ორი ლარი



ქართული
ლიბრთეკა

ISSN 0132-599 X

იბდპისი 76125



მეათეტი

2004

7/8

ბანოლის 1924 წლიდან



ენათობი

წელიწადი 80-80

№ 7-8

2004 წელი

მწერლობა, უბალიცისტია, ხელოვნება, მეცნიერება

დამფუძნებლები:

საქართველოს მწერალთა კავშირი
და ჟურნალ „მნათობის“ რედაქცია



შინაარსი

კოეზია, პროზა, დრამატურგია

მამუკა დოლიძე - ფიქრის გორა. მოთხრობა	3
შოთა ზოიძე - თეთრი ძაღლი. პოემა	42
რუსლ ჩილაჩავა - ლექსები	51
ამირან ასობაძე - ლექსები	59
შოთა გოსტანაშვილი - წყაღწალა ლეპარაქი. პოემა	61
ვაჟა ჩორბაქი - ლექსები	79
პერ ლაგარკვისტი - მორის ფლორი. მოთხრობა. თარგმნა მანანა მიქელაძემ	80

კრიტიკა, უბალიცისტია

თეიმურაზ შურდუკიანი - გიორგი ლეონიძის „ნატყრის ხე“	90
როზა დავდარიანი - აველუმოგიდან აბელუმოგამდე	104
ზორა ცხადია - კოეზია - „თანჯვის ხელოვნება“	125
ლია გუგუნავა - პარალელები	139
ვანო იმერლიშვილი - უნგრული მწერლობა უკველესი დროიდან დღემდე	153
გაბა შურდია - სინამდვილესა და ოცნებას შორის	161

შინაარსი

(გაგრძელება)

თვალსაზრისი

ლევან ფრუიკა – ჩვენი ღაზთი 184

სარკველი

ქმევი მანები ერთმანეთის შესახებ. თარგმნა მანანა შიქელაძემ 204

ხელოვნება

მანანა ხოშერიძი – სად დაკრძალეს ფიროსმანი? 215

მთავარი რედაქტორი
თამაზ ჭილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე
ანდრო ბუაჩიძე





გაგუა დოლიძე

ფიქრის გორა

მოთხრობა

დალი

იმისთვის, რომ სიტყვა გაეაცოცხლო, გულში ჩადგმული პატარა სკივრი უნდა გაეხსნა, სადაც ოცნებებსა და მტვერდადებულ მოგონებებს ვინახავ. ამ სკივრს ხან ამაოდ დასტრიალებს ჩემი ფიქრი, ამაოდ ებრძვის, აწვალებს, მაგრამ ვერ ამსხვრევს მის ბოქლომს, ხან კი უცარი აზრის გაელვება, ან უცაბედი შთაბეჭდილება გასალეზივით მოერგება და გაალებს. ასე მოერგო მას ქარში გაბნეული აკაციის სუნი, რომელმაც ჯერ ბინდისფერი სახლი გაანათა, შემდეგ ბალი ააფურადა და ბავშვობის დროინდელი ქუჩა გადაამიშალა თვალწინ.

ქუჩას ავეყვი. წინ მზის სხივებში გახვეული ფიქრის გორა გამოჩნდა. პაერი გაყლენთილი იყო გაზაფხულის სუნთქვით. აკაციის ჩრდილს ქარი მზით მოოქროვილ ბილიკზე დააგორებდა და მეც ამ ჩრდილებს მიედევდი, სულ მალლა და შორს მიეწევი. ერთმანეთის შურიითა და ჯიბრით ჩადრებს იხსნიდნენ ულამაზესი ხეობები, მაგრამ მარტო სილამაზე ვერ ქმნიდა სიტყვას. საჭირო იყო რალაც სხვა, რასაც ალბათ ვერ დაეინახავდი, მაგრამ რის ნაკლებობასაც აშკარად ვგრძნობდი.

ხეტიალ-ხეტიალით ფერდობზე ავედი და აქ მზეზე გამდნარი, ფერგა-

ძარცვული ცა უეცრად მოიღრუბლა, ჩამომძიმდა, გაშავდა და წვიმის მოლოდინით შეპყრობილ სიჩუმეში მონყენილობა ვიგრძენი. ეს სწორედ ის სევდა იყო, რომელიც ოდნავ შეარბილებდა და აზრით აავსებდა ამ თვალისმომჭრელ სიციხადეს. მაგრამ მზემ ისევ გამოიხედა ღრუბლებში და გაფანტა სევდა, ოღონდ ვერ მოკლა. მივიხედ-მოვიხედე და წინ მიმავალი ქალის მზერაში ვიგრძენი ის. თვალი გავეუსწორე. მინდოდა, ხელი ჩამეველო მისი სევდისთვის და ამ შთაბეჭდილებით დაებრუნებოდი საწერ მაგიდას, მაგრამ ქალმა ისევ წინ გაიხედა და მწვერვალისკენ გააგრძელა სევა.

ქარი ამოვარდა. იელვა. უცებ განვიმდა და ისევ გადაიღო. იდუმალი სევდა ახლა ნაწვიმარ ბალს გადასდებოდა, სადაც ცისარტყელა იდგა, სადაც ფოთლების ჩრდილს ქარი დაათრევდა; მეც ქარს მივეყვებოდი და ასე მეგონა, ნიავე კი არ ამრიალებდა ტოტებს, თვალით მოუხელთებელი ქალი აფრთხობდა პირდაბანილი მზის მწუხრისფერ სიმშვიდეს. ასე გამრიყეს ქარის ტალღებმა ბალის კიდეზე, სადაც ქალმა წყვდიადით მოცულ ხეივანს შეაფარა თავი, ისიც უკან მოიტოვა, აღმართი აიარა და ბინდისფერი მოლანდება დასტოვა...

დაღამდა. ახლა უკვე დეენის ყინით

შეპყრობილი ავდიოდი ზევით და ზევით. წინ მთვარით განათებული კოშკი შემოაჯდა ლამეს, გაიხსნა სარკმელი და კოშკის აივანზე ქერათმიანმა ქალმა გამოანათა. სევდიანი ღიმილი ისევ დასთამაშებდა სახეზე. მკაფიო, გამჭრიახი მზერა ისევ რალაცის ამოკითხვას ღამობდა ჩემში და ამ თვალეზიდან გადმოღვრილი შუქი ავსებდა და აფაქიზებდა ღამის წყვდიადში ჩაძირულ ქალაქს. ეს იყო დალი.

ზეპახთან

უნდა გამოვტყდებ, რომ ყოველთვის ვერ ვპოულობ ფიქრის გორას. მიახლოებით ვიცი, რომ ის ვერის უბნიდან გმირთა მოედანს გადაკურებს, მაგრამ გათელილ ბილიკებს, როგორც ნესი, სხვაგან მივყავარ. მხოლოდ მაშინ, როცა უგზო-უკვლოდ დავეხეტები, როცა ვიკარგები შეუცნობელ გარემოში, უნებურად და შემთხვევით ავდივარ ფიქრის გორაზე, რომელიც განუწყვეტილად იცვლება. ხან მზეზე თამაშობს ბროლივით გამჭვირვალე კალთებით, ხანაც ნისლში გახვეული, უკვალოდ ქრება.

იმ დღესაც ასე დამემართა. ნასვამი ვიყავი და დალის ძებნაში მთელი უბანი მოვიარე. სანაპიროც იქვე იყო, მოედანიც, აღმართიც, ფიქრის გორის გზაკვალს კი ვერსად ნავანყდი. საოცარი! ყოველივე ადგილზე დამხვდა, პატარა ცვლილებასაც კი შევამჩნევდი, ისე ცხადად მედგა თვალწინ ქალაქის ეს მყუდრო უბანი, მაგრამ ის მწვერვალი, ის კოშკი, იმ დღეს არ არსებობდა ჩემთვის; და მაშინ მივხვდი, რომ რალაც იდუმალი აკლდა იმ გარემოს, შეიძლება ბინდის ჩუმი ფერი, ან გაზაფხულის მოუსვენრობიდან აღძრული ნაპერწკალი, რაც მეგზურად გამყვებოდა იმ კოშკისაკენ.

დალის ძებნაში შეუმჩნევლად გადაგორდა დღე. იისფერი საღამოდან, ვით ძირგავარდნილი ბოთლიდან, მელნისფერი ბურუსი გაჩნდა და სივრცეში მიმოიღვარა. ღამე შეეპარა დღეს. ახლა ერთი სული მქონდა შინ ნავსულიყავი და არაფერზე აღარ მეფიქრა, ან მეფიქრა მხოლოდ იმაზე, რაც თავისით, უნებურად გაჩნდებოდა ჩემს გონებაში და ანგარიშმოუცემლად აყვებოდა აზრის თვითმობრავ დინებას. ზედა ქუჩებიდან ნისლი წამოვიდა, ღრუბელივით შემკვირვდა და მომიახლოვდა. ამ ღრუბელში ვიღაცა იყო გახვეული. მიიქცია თუ არა ჩემი ყურადღება, ბურუსიდან გადმოაბიჯა, ხელი ჩამომართვა და ისე გადამოკცნა, თითქოს დიდი ხნის უნახავი და მონატრებული მეგობარი ვიყავი. არადა, მართლა ნაცნობი სახე მქონდა, ოღონდ ვერ გავიხსენე, სად მენახა ეს ჯაგარამილი თმა, ეს ცივი და ჩამქრალი მზერა.

– ვერ მიცანი? – ხელი მომხვია და ისე შემომხვდა, უნებურად ამიყოლია თავის ღიმილში. – მე ზევახი ვარ, თქვენი ნათესავი.

თავი დაეუქნიე.

– ჯვარი გწერია და მამას მაგონებ, – ლოყაზე ხელი მომითათუნა, – რას დაეხეტები ამ ბურუსში, რას ეძებ?

– კოშკს, – ვუპასუხე, – სადღაც აქ იდგა.

– კოშკს? – გველნაკბენივით შეხტა. – ასეც ვიცოდი! ისტორია მეორდება!.. შეიგნე ერთხელ და სამუდამოდ, რომ ეს განახლებული უბანი და არავეთარი კოშკი აქ აღარ არსებობს!

ამჟამად თვალთმაქცობდა. შემოვბრუნდი და გაცლა დავაპირე, მაგრამ წინ გადამიდგა და ხელი ხელზე მტაცა.

– მოიცა, – გამაჩერა. – მე თუ არ მენდობი, მეზობლებს ვკითხოთ.

– აპოლონი! – შესძახა მოპირდაპირე სახლის ფანჯარას.

გადმოიხედა საღებავებით მოთხუნული კაცმა.

– აქ სადმე კოშკი ხომ არა დგას? – შემპარავად ჰკითხა ზევახმა.

– როგორ გეკადრებათ! – იწყინა აპოლონი. – დღესაც სჯერა ხალხს ასეთი ზღაპრების? იყო ოდესღაც ზევით ქონგურებიანი სახლი, მაგრამ დღეს მისი კვალიც კი აღარსადაა.

– ესეც მე ვარ? – მომიბრუნდა ზევახი, – ეტყობა, ბევრი დაგიღვევია. ჩემთან შემოდი, დაისვენე.

იყო მის უფერულ თვალებში რაღაც მომწუსხავი, ხოლო მის შემპარავ ხმაში რაღაც გამამბრუებელი. მისი ტკბილი და მოქნილი სიტყვა ისე ჩამწვეთა ყურს, რომ ვერც კი ვიგრძენი, როგორ შევწყვიტე დალიზე ფიქრი და ყურადღება ზევახზე გადავიტანე.

აგურის სამსართულიან შენობას უკანა მხრიდან მივადექით. ტალავებით დაჩრდილული ეზო გავიარეთ და ბნელ დერეფანში შევედით. ეს ჩემი სახლი იყო, ჩემი სადარბაზო, მაგრამ აქედან არასოდეს მოვხვედრილვარ შინ. ზევახმა გასაღები ამოიღო და ოთახის კარი შეაღო. დავინახე ჩემი სავარძელი და საბეჭდი მანქანა. ქარი ამრიალებდა მაგიდაზე გაფანტულ ფურცლებს. სტრიქონს ვაგაყოლე თვალი. ნაცნობი ასოები, ნაცნობი სიტყვები, აზრი და შინაარსი კი იდუმალი, მიუნვდომელი... საოცარია! ცალ-ცალკე ყველაფერს ვარჩევდი, მთლიანობაში ვერაფერს ვხედავდი. უეცრად თავბრუსხვევა ვიგრძენი. თვალი ამიჭრელდა და სიტყვებმა სადღაც გამიტაცეს. გამოჩნდა ქუჩა, მოედანი, აღმართი, მაგრამ ამ დროს ზევახმა მომისწრო და ფურცელს ხელი დააფარა.

– რას წერთ? – ვკითხე.

– ისეთს არაფერს, წლიური ანგარიშებია. – ფურცლები ნაჩქარევად მოხვეტა და მაგიდის უჯრაში ჩატენი. – აქ დიდი არეულობაა, იქით გავიდეთ.

ნიგუნების კარადა გამოსწია, აბლაბუდებიანი კარი შეაღო და ლამის შემაგდო მეორე ოთახში.

ოთახი მუხის მძიმე, ძველებური ავეჯით იყო განწყობილი. ჩაბნელებულ კუთხეში ქანდაკებები იდგნენ: ძლივს გავარჩიე დაფნის გვირგვინით მორთული კაცი, მკერდსა და მუცელზე ხელებაფარებული ქალი, მის ფერხთით ჩამომუჯდარი თმახუჭუჭა ბიჭი და ლომის ტყავში გახვეული, კომბალზე დაყრდნობილი გოლიათი. იქვე სავარძელში თმაგაჩქილი ქალი იჯდა და ნიგუნს ჩასცქეროდა.

– ჩემი ასული თინა, – დიდის ამბით გაშაცნო ზევახმა.

ქალმა ნიგუნი დაკეცა და მორცხვად გამომინოდა ხელი.

– აბა ერთი შენებურად გავგიმასპინძლდი, – ტაში შემოჰკრა ზევახმა.

თინა ნამოხტა და ისე სწრაფად შეუდგა საქმეს, თითქოს ერთის ნაცვლად ოთახში ათი ქალი ტრიალებდა. მაგიდა ნაირ-ნაირი კერძებით აივსო. ზევახმა კარადა გამოაღო და ბროლის სასმისებში ლეინო ჩამოასხა.

– ქალბატონ თინას გაუმარჯოს, – ავნიეჭიქა, – ჩვენი სუფრის მშვენიერებას.

ქალმა მადლობის ნიშნად თავი დახარა.

– შინ დამიბერდა, – ამოიოხრა ზევახმა, – ჭკუა არ აკლია და სილამაზე, მაგრამ ყველას გაურბის, მეტისმეტად უკარებაა.

– თავი დამანებე, – განითლდა თინა. – თვითონ მოვნახავ ჩემ გზას.

შემდეგ ჭიქა მომიჭახუნა და მითხრა:

– იმ სიყვარულს გაუმარჯოს, რომელსაც შუაკაცი არ სჭირდება!

ბროლის კედლებში მოთამაშე ღვინო, ჰაერივით მსუბუქი, სიზმარივით შემპარავი, სულმოუთქმელად დაელივ. სანთლის მკრთალ შუქზე ლანდივით გაიცრია, განაზდა ქალი. მისი ტუჩები ერთს ამბობდნენ, თვალები მეორეს.

– მომბეზრდა ყველაფერი, – ამოიოხრა. – სამსახურში მებრძვიან, შინ მოსვენებას არ მაძლევენ.

– მტრები გვყავს, – დაამატა ზევახმა.

– რაზე ფიქრობ? – ჩამწურჩულა თინამ.

გარედან ყეფა მოისმა.

– არგუსმა გაიღვიძა, – წამოდგა ზევახი. გავალ, გავხედავ, რამე არ მოიპარონ.

სანთელი გაიჩანა და გავიდა. მთვარესავით განათებული სახე ნელ-ნელა ჩაბნელდა. ახლა მხოლოდ ორი თვალი ანათებდა ოთახის წყვდიადში. ქალმა ხალათი მოიხსნა და გაშიშვლებული მუხლებზე ჩამომიჯდა. ლამის დამადნა თავისი ცხელი, სურნელოვანი ტუჩებით. ხელში ავიყვანე და ტახტისკენ გავაქანე, მაგრამ უეცრად სუნთქვის ხმამ შემაჩერა. კედლის მიღმა ზევახი ხვრინავდა. მივხედი, რომ განზრახ დაგეტოვა მარტო, რომ ეს გამომწევი თვალები, ეს სურნელოვანი ქალი ხაფანგი იყო.

როგორ დავალწიე თავი იმ თვალებს, არ მახსოვს. მახსოვს მხოლოდ ის, რომ ქუჩა ლამის წყვდიადით იყო მოცული და ღრუბლებს შორის მკრთალი ლამპარივით ბჟუტავდა მთვარე.

– ძალღი აუშვი! არ გაგვექცეს! – უყვიროდა მამამისს თინა.

ქარივით გავფრინდი. ძალზე გადამჯდარი ბატონი ზევახი ჭეჭა-ქუხილით მომდევდა. ცა ლურჯად იხლიჩე-

ბოდა მეხის ისრებით, ქუჩა ფოქედ-ბოდა, ქრებოდა... მე კი ისე მიეჭროდი, მინაზე ფეხის დაკარებას ვერ ვასწრებდი; გზამ მოუხვია და ქუჩის ბოლოს, მთვარის სხივებში დანაშემართული აპოლონი გამოჩნდა.

გაეჩერდი, თუმცა გული მაინც გამირბოდა და აქ, შუაში მომწყვედულმა, როცა არც უკან დახევა შემეძლო, არც წინ წასვლა, ერთმანეთს მიბჯენილი სახლების ბზარში ის აღმართი შეენიშნე, რომელსაც მთელი დღე-ღამე ამაოდ ვეძებდი!

– მაინც იპოვე?! – ქოფაკთან ერთად მიყეფდა პირზე დუფმომდგარი ზევახი, მაგრამ ვერ ბედავდა დალის სამფლობელოში გადმობიჯებას. – იპოვე, მაგრამ მალე დაგენგრევა ეგ კოშკი და მერე სად ნახვალ?

ნელა ნაევბარბაცდი კლდიდან ამოზრდილი კოშკის ბილიკზე, ვერ მივალწიე მას, ბიენიდან გადმოკიდებულ ნანნავს ჩავეხუტე და გონება დავკარგე.

„ოლივპი“. სიბრძნის ბანყოფილება

მეორე დღეს, სამსახურში უფროსმა დამიბარა და ცხვირწინ ბრძანება დამიდო ჩემს ახალ ადგილზე გადაყვანის შესახებ.

– საფირმო გაერთიანება „ოლივპი“, – ბრძანების ბეჭედს დახედა უფროსმა. – ასეთი დანებებულება არც კი გამიგია.

– ნუ დაუთმობთ ჩემს თავს, – შევხეხე.

– მე არავინ მეკითხება, – მოიღუშა, – ბრძანება ზევიდანაა მოსული.

კარი გაიღო და კაბინეტში შავგერემანი ბიჭი შემოვიდა რამდენიმე კაციის თანხლებით.



- ჩვენ „ოლიმპიდან“ გახლავართ, - რიხიანად ნამოიწყო ბიჭმა, - ბრძანება ხომ მიიღეთ?

გონს მოსვლაც ვერ მოვასწარი, რომ მტაცეს ხელი, გარეთ გამიყვანეს და მანქანაში ჩამაგდეს.

- რომელი ხარ? - გაისმა მანქანაში მჭექარე ხმა.

- პერმესი გახლავართ, - ჩასძახა მიკროფონს მძღოლმა, - შევასრულეთქვენი ბრძანება.

მოედანს შემოვუარეთ და სანაპიროზე გავედით. ცოტა ხანში მარცხნივ მაღალი შენობა გამოჩნდა. პერმესმა მანქანა შემოაბრუნა, დარაჯს საშვი აჩვენა და პირდაპირ შენობის ქვედა სართულზე შევგორდით.

- ახალი ბრძანდებით? - გამიღიმა დისპეტჩერმა და საშვი მომანოდა, - მეორე სართულზე ახვალთ, სიბრძნის განყოფილებაში.

ჩემი მეგზური კვლავ პერმესი აღმოჩნდა. ოთახი, სადაც გამამწესეს, ნიგნის თაროებით იყო გარემოცული. თაროებს შორის, ფანჯარაში ამწვანებული ხე მოჩანდა. ტოტებს შუა ნაზი, სურნელოვანი პაერი იგრძნობოდა. შორს ბუნდოვნად იკვეთებოდა ხალხის ნაწილი და მთის ლურჯი ზოლი. იქვე ფანჯარასთან, ჭადრაკს თამაშობდნენ.

- გაიცანით, ჩვენი ახალი თანამშრომელი, ამირანი, - თქვა პერმესმა.

- ბადრი, - თავაუღებლივ ხელი გამომიწოდა ერთ-ერთმა.

- იასონი, - წამოხტა მეორე და დიდხანს ანჯღრევდა ჩემს ხელს.

კარმა გაიჭრიალა და ოთახში ქალარაშერეულმა კაცმა შემოიხედა. ყურადღება რომ არ მიაქციეს, პორტფელი ამოიღლია და ოთახი ფეხაკრეფით გაიარა. სავარძელში გემრიელად მოიკალათა და თვალები დახუჭა. ია-

სონმა გამიღიმა, ჩაძინებულს გადახედა და უცებ დაუსყვირა:

- რატომ იგვიანებთ, ბატონო ნესტორ!

ნესტორი გიყვივით წამოხტა:

- ო, წყველო მოდგმავ! რატომ მიმსხვრევ ძილში გამოქანდაკებულ სიმშვიდეს?

აქ ნესტორმა შემამჩნია და თავი დაამიკრა.

- როგორ ბრძანდებით, ჩემო ბატონო?

- უკეთესად ვიქნებოდი, რომ ვიცოდე, რა მომელის, - ეუპასუხე.

- ახლავე მოგახსენებთ, - ნესტორმა პორტფელიდან ფონენდოსკოპი ამოიღო და გულზე დამადო.

- ერთ მშვენიერ დღეს ჯაჭვით დასაბმელი გახდები, - გამომიტანა თავისი განაჩენი.

- ეგ საიდანა გაქვს? - ჰკითხა ბადრიმ.

- დირექტორმა მათხოვა, - უპასუხა ნესტორმა.

- გათხოვა თუ მოპარე? - ჩააცვივდა იასონი.

- რა გინდა ჩემგან, რას გადამიეკიდე! - ისევ აყვირდა ნესტორი. - პენსიაზე ვასვლამდე უნდა მომილო ბოლო? ახლავე საჩივარს დავენერ, თუ როგორ მიმწარებ სიცოცხლეს! ყველას ჩამოგახრჩობთ, დაგზვრეტთ, ციხეში ამოგალპობთ! ზეცამ გულთმისნობის ნიჭით დამაჯილდოვა! ჩემს ყოველ სიტყვას ოქროს ფასი აქვს!

- რა ხდება აქ, რა ყვირილია! - მომესმა ნაცნობი ხმა.

წარმოიდგინეთ ამ ახალ, უჩვეულო გარემოში როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა ჩემზე თინას გამოჩენა, რომელიც სიბრძნის განყოფილების გამგე აღმოჩნდა! აქ უფრო მობერებულნი მტყვენა, ვიდრე შინ, თუმცა ასეთ-

მა ფერიცვალებამ მის მომხიბვლელობას ველარაფერი დააკლო.

- ჩვენი სტუმარია? - იკითხა თინამ და ისე ჩამათვალა, თითქოს პირველად მხედავდა.

გაკვირვება არ შევიმჩნიე და თავი დავეუკარი.

- შეაგროვეთ მასალა? - დაარღვია დუმილი ქალმა.

- ერთი მეტაფორა მოვიფიქრე ზღვის ლელვაზე, - თქვა იასონმა.

- მეტაფორები აღარ გვჭირდება, - მოუჭრა თინამ, - დღეს დირექტორი ინტრიგას ეძებს.

- შეიძლება? - ხელი ასწია ნესტორმა.

- ბრძანეთ.

- სილამაზის სალონის გამგე ქმარს უნდა ლალატობდეს.

- მეტიჩარა ნუ ხარ, - გადაულაპარაკა იასონმა, - სხვის ფანჯარაში ნუ იხედები.

- საინტერესო ვარაუდია, - თვალები გაუბრწყინდა თინას, - მაგრამ ეს თემა უკვე შესთავაზეს დირექტორს.

- ნეტა გამაგებინა, რას წერს? - მხრები აიჩეჩა ბადრიმ.

- არავის გვეუბნება, - თავი გააქნია თინამ. - განყოფილებებს ცალკე ფრაგმენტებს აძლევს დასამუშავებლად. ვაიცემა ბრძანება: საჭიროა ამდენი მეტაფორა, ამდენი სახე, ასეთი ხასიათი, ასეთი თემა, მაგრამ რისთვის, რა მიზნით, არავინ იცის.

- არცაა საჭირო, - ჩაურთო ნესტორმა. - კაცი გვთხოვს და უნდა დავებმაროთ. განა თვითონ ცოტას აკეთებს ჩვენთვის?

- არ იცით, ამ ფრაგმენტებიდან რა შეიძლება შეიქმნას? - ვიკითხე.

- რას გარგებ? - ამოიხვნეშა ბადრიმ. - მოზაიკის კენტებიდან რასაც გინდა, იმას აანყობ. ის აზრობრივი და-

ფი, რაზედაც ყველაფერი უნდა აიკინძოს, ჩვენთვის უხილავია.

- თქვენ, თუ არ ვცდები, მწერალი ბრძანდებით? - მომიბრუნდა თინა.

- თვითონაც აღარ ვიცი, ვინა ვარ, - ხელი ჩავიქნიე.

- ნუ მორცხვობთ, - გამიღიმა თინამ, - დირექტორს დახმარება სჭირდება. ასე რომ, დროა საქმეს შეუდგეთ. ჩვენ ხომ მის შთაგონებას ვემსახურებით. ამ მიზნით შეიქმნა ეს გაერთიანება, დაუშვეს შტატები, მოგვეცეს ფული. თუ საჭირო იქნა, თავიც კი უნდა გავეწიროთ!

თანამშრომლებმა ტაში დასცხეს.

- დღეს ამით დავამთავროთ, - წამოდგა თინა. - ხვალისთვის მხატვრულ სახეებზე იფიქრეთ. სასურველია მკაფიო, ძლიერი და ამავე დროს რთული, წინააღმდეგობრივი ხასიათები.

კედლის საათიდან გუგული გადმოხტა. დამთავრდა სამუშაო დღე. ოთახი დაცარიელდა. მე კი ვიჯექი და მაგიდას დავცქეროდი, რომელსაც ჯერ კიდევ არნდა თინას კვალი. მისი ხელით გადაშლილი წიგნი კიდევ იდო. მისი სიგარეტი ქიქაში იფერფლებოდა... ვიჯექი და ვცდილობდი, არ მეფიქრა ამ ქალზე, მაგრამ რაზედაც უნდა ვადამეტიანა ყურადღება, ყოველი ფიქრის, ყოველი შეგრძნების, ყოველი საგნის უკან ეს ქალი იდგა და გამომწვევად მიმზერდა. სახელი თინა არსებობდა ჩემში, როგორც თავის თავს მოწყვეტილი ჩრდილი, დიდხანს რომ ვერაყისთან ჩერდება და ხან ვის აედევნება, ხან ვის. ამიტომ ეს სახელი ერქვა ჩემთვის არა მხოლოდ ცოცხალ არსებას, არამედ უამრავ, მის ხელში მოხვედრილ საგანს, მისი კვალის შემნახველ გარემოს, მისი ხელით დაქოქილ საათს, მთელ ამ უღიმღამო, ფერგაძარცვულ ოთახს.



– ერთი აქეთ მობრუნდი! – მომეს-
 მა ხმა და უკან მივიხედე.

იმნამსვე მაგნიუმმა იფეთქა და
 ოთახში შემოპარულმა აპოლონმა სუ-
 რათი გადამიღო. ბრაზმორეული ნა-
 მოვბტი.

– ხმა არ ამოიღო, ამ კედლებს ასი
 ყური აქეთ, – პირზე თითი ამაფარა და
 დაამატა: – ჩემთან წამოდი, სახელოს-
 ნოში.

სიტყვა

სამსახურიდან მობრუნებული, ჭი-
 ანჭველასავით მოვათრევედი მძიმე,
 თავსატეხ ფიქრებს, რომელთა ბადე-
 ში გაიხლართა ჩემი სული. ის, რაც
 თავს გადამხდა, ფარული აზრის ხი-
 ლული გარსი იყო მხოლოდ, მაგრამ მე
 არ შეკუთვნოდა ეს აზრი, სხვისი ნება
 ძერწავდა მას, სხვა მიზნებისკენ წარ-
 მართავდა ჩემს გრძნობასა და ფიქრს.

საღებავის სუნმა განყვიტა ეს უხი-
 ლავი ბადე და აპოლონთან შემიყვანა.
 ახლად შექმნილი ნახატი თავისკენ მი-
 ზიდავს, რათა მშვიდი, უწყინარი ფე-
 რებით ჯერ მიმიჩვიოს, დაამახლოვოს,
 შემდეგ კი უცერად დამაბრმავოს თა-
 ვისი სილამაზითა და სიღრმით. დგას
 აპოლონი სახელოსნოში და თავისი
 უნუგუშო სიყვარულის ამბავს მია-
 ბობს. ეროსიმ, ჩვენი უზნის მაჭანკალ-
 მა შეაყვარა ქალი, შეაყვარა სამასხ-
 როდ, რადგან თავისი მოქნილი და მახ-
 ვილი ენის წყალობით ქალის გულში
 სიძულვილი ჩაეთესა. ქალს დასანახა-
 ვად ეჯავრება აპოლონი; თვალს რომ
 მოჰკრავს, ქუჩის გაღმა მხარეს გადა-
 დის; თუ პირისპირ შეეჩეხა, თავს ჩა-
 ლუნავს და დუმილით აუვლის გვერდს.
 ეს ის დუმილი არ არის, რომელშიც რა-
 საც გინდა იმას იგულისხმებ, ეს ის სი-
 ცარიელე არ არის, ოცნებამ რომ შე-
 იძლება შეავსოს. ეს არის სიძულვილის

ცივი, შეუვალი განცდა, რომელსაც
 სიჭუმის გადაულახავი კედელი აქვს
 შემოვლებული. ასეთა; ის უფრო გიყ-
 ვარს, ვინც უფრო გაგირბის, რადგან
 მიუწვდომლობით გამოწვეული ტკი-
 ვილი ამძაფრებს გრძნობას. ჰყვება
 აპოლონი თავის სევდიან ისტორიას
 და ფერში ამოვლებული ფუნჯი თავი-
 სით ხატავს იმ ქალს. ოთახის კედლე-
 ბი, ფანჯარა, იატაკი მოფენილია მისი
 ესკიზებით, მხატვრის ხელი კი არ ჩერ-
 დება, ისევ ხატავს, თითქოს ნერტი-
 ლის დასმით მის ნეტარებასაც მოელე-
 ბა ბოლო, თითქოს უნდა სულ მონატ-
 რებული სახის ხატვაში იყოს, რადგან
 სრულყოფას კი არ ეძებს მის შტრი-
 ხებში, არამედ იმას, რასაც ვერასოდეს
 იპოვის ნახატში – სიცოცხლეს. და
 ისევ იქმნება ნანატრი სახე, ისევ იყვ-
 ება ფერითა და სიცოცხლით! დავაკ-
 ვირდი და ვიცანი. თინას პორტრეტი
 იყო! უხილავი სხივები შარავანდედს
 ქმნიდნენ მის ირგვლივ. სქელი, ნაბ-
 ლისფერი თმა გვირგვინით ჰქონდა
 შემოხვეული.

– თინა?! – უნებურად აღმომხდა.

აპოლონმა თავი დამიქნია. სწორედ
 ამ დროს კედლის უკან ვილაცამ ჩაახ-
 ველა და კარმა გაიჭრიალა. მივეპარე
 და უცებ გამოვალე. კარს უკან, ჭუჭ-
 რუტანაზე, ზევახს ჰქონია მოდებული
 ყური! ნამდვილად ის იყო, თუმცა სულ
 სხვა იერი დასდებოდა: სახე მკრთალი
 ჰქონდა, განაზებული; თმა – გადავარ-
 ცხნილი, თვალეები – მიბნედილი. ქვას
 გაადნობდა, მუნჯს აალაპარაკებდა
 მისი ალერსიანი ღიმილი და მაინც რა-
 ლაც დაძაბულობა, სიყალბე ეტყობო-
 და.

– შეიძლება? – თქვა და ოთახში შე-
 მოაბიჯა.

– თუ არ ცდები, სადღაც შეხვედ-
 რივართ ერთმანეთს, – გავუნოდე ხე-
 ლი.

– არ მაგონდება, – ცივად მომიჭრა და მის რბილ, მინაზებულ მზერაში ისევ ის უტყუბი, მომწუსხავი ძალა ვიგრძენი. „ჯანდაბას“, გავიფიქრე, „მასპინძლის დაფეთება არ ღირს, გარეთ გავუსწორდები“, – გადავწყვიტე და უცებ ვიგრძენი, რომ ეს გადაწყვეტილებაც ჩემი არ იყო, სხვამ ჩამაგონა.

– თქვენი სახელი? – ვკითხე.

– ბესარიონი.

– „ტყუის“ – გავიფიქრე.

– არ ვტყუი, – მითხრა, – უბრალოდ ვილაცხამე გეშლებით. ქალაქში ყველა ერთმანეთს ჰგავს. საერთო გაჭირვება ერთმანეთს გვამსგავსებს.

– როგორ დაგივიწყეთ, როგორი – ხელები გაშალა აპოლონმა და მაცვირიდან არაყი გამოიღო.

– ერთი ნუთით შემოგირბინე, – ჭიქა ასწია ზევახმა, – გაგვიმარჯოს! – არაყი გადაკრა, ტურები მოილოკა და ალავერდს ჩემთან გადმოვიდა.

ლამე შეუმჩნეველად ჩამოდგა სახელოსნოში. წყვდიადი აბაჟურის შუქმა გაფანტა. ცხადად ვხედავ უზარმაზარ კლდეს. ზედ მიჯაჭვული ვარ. ქვევით, უფსკრულში სისხლი მოძრაობს, ქარაფებზე იმსხვრევა აზრი და ფიქრისგან დაცლილს, სიბრაზე მიპყრობს...

– სურათები გადაიღე? – გავარჩიე ზევახის ჩუმი, ჩახლეჩილი ხმა.

– აპოლონმა თავი დაუქნია.

– ახლა სიის მიხედვით საქმეებში ჩააკარი, – ჯიბიდან ფურცლები ამოიღო ზევახმა, – თითების ანაბეჭდებიც აიღე.

უეცრად პორტრეტი შეამჩნია და ნარბები შეეყარა.

– მაინც არ იშლი შენსას?

ამ სიტყვებთან ერთად ნახატი ჩამოსხნა, ჩარჩოდან ამოიღო, შუაზე გადახია, მაგრამ ვიდრე ნაკუნებად აქცევდა, ხელი მოუქუნე.

სიბრაზემ დამიბნელა გონება. ირ-

გვლივ წყვდიადი გამეფდა. როცა სიბნელე გაიფანტა, დავინახე, რომ ძირს აპოლონი ეგდო. ზევახი არსად ჩანდა. აბაჟურის რბილი, მისუსტებული შუქი გულწასულ მხატვარს ანათებდა. წყალი შევასხი და საფეთქლები დავუზილე. როგორც იქნა, მოვასულიერე! ნამოჯდა და გამიღიმა. თვალი მოვარიდე, თუმცა დამნაშავედ არ ვგრძნობდი თავს. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ვილაცხამე მომქაჩა ძაფზე და ზევახისთვის განკუთვნილი მუშტი აპოლონს მოხვდა.

– ვინ დამარტყა? – იკითხა შეცვლილი ხმით.

– იმას მოუქუნე და შენ მოგხვდა, – ვუთხარი.

– იმას მოუქუნე! – თავზარდაცემული წამოხტა. – რა გვეშველება?! ახლა არც ერთს აღარ დაგვინდობს! ნავალ, ბოდბის მოვეხბი, გავაგებინებ, რომ მე არაფერ შუაში ვარ!

ამ დროს ფანჯრიდან ზევახი დავინახე. გრძელ მოსასხამში გახვეული ხესთან იდგა და ჩუმად გვითვალთვლებდა; როგორც ჩანს, ჩემს წასვლას ელოდა, რომ ისევ აქ ამოსულიყო.

– ერთი ნუთით, – კარებში შევაჩერე აპოლონი და პირდაპირ ფანჯრიდან ვისკუპე. ხესთან უკვე აღარავინ იყო. მხოლოდ პატარა ღრუბელი მოძრაობდა ღობის გასწვრივ, ჩემი სახლისკენ. ვერაფრით ვერ დავენე. ნისლმა ეზოში შემასწრო და აგურის კედლებში გაჟონა.

ოთახში არავინ დამხვდა. უზარმაზარი საწერი მაგიდა არეულ-დარეული იყო. სავარძელს ჯერ კიდევ ემჩნეოდა კვალი, თითქოს ეს ნუთია ვილაცხამე მიატოვა იგი და კაბინეტიდან გამასწრო. ფარდა ავნიე. მთვარის ვერცხლისფერი შუქით მოიქარგა ოთახი. მაგიდას მივუჯექი. ლამე ხმაგაკმენდილია; მისი ყოვლისმომცველი სიჩუ-

მე სადღაც შორს და ღრმად გუგუნში გადადის. ეს გუგუნე კი არ ისმის, იგრძნობა, როგორც საფეთქლებში ავარდნილი სისხლის ხმა. ვზივარ და ფრაზას ვაწვალებ. მინდა, ისეთი სიტყვა ვიპოვო, რომელიც თან ლამაზი იქნება, თან სათქმელს გამოხატავს, მაგრამ ეს ორი კურდღლის დევნაა: თუ გინდა გამოთქვა ის, რაც განუხებს, სიტყვებს არ უნდა დაუნყო ძებნა, არ უნდა დაფიქრდე, რადგან, როგორც კი გაჩერდები და სიტყვას მოძებნი, უკვე აღარა ხარ ის, რაც იყავი, უკვე გეკარგება უნებური განცდა. ამიტომ ძნელია, ისე გამოხატო ფიქრი, რომ არ დაარღვიო მისი ბუნებრივი დინება, ისეთი სიტყვა დაიჭირო, რომელიც აზრს არ შეუცვლის. ჯერ დღევანდელ დღეზე ვწერ, მინდა, ჩაწვდე იმას, რაც თავს გადამხდა, შემდეგ ფიქრებმა გამიტაცეს და გონს რომ მოვედი, კლდიდან ამოზრდილი კოშკის აივანზე ვიდექი. სანთლის შუქი იღვრება დალის სარკმლიდან. ჭერქვეშ შემძვრალი ჭრიჭინა შუალამეს ხერხავს. უკვე გაბნეულია ცაზე სინათლის ბურბუშელები; ჩათესილია შავ ბელტებში ცისკრის მარცვალი, უსასრულო ფერებად რომ გაიფურჩქნება განთიადის ბაღში. ბამბუკის ფარდა გადავნიე და კოშკში შევედი. ქალღმერთი არ ჩანს. სარკესთან სპილოს ძვლის სავარცხელი ბრჭყვიალებს. პერანგი ლოგინზე გდია. ოთახის სიღრმეს შევაპარე მზერა. კედელთან ოდნავ ჩამუქებულია სივრცე, მაგრამ ეს მხოლოდ ირმის რქებზე ჩამომხრჩვალი სამოსელია პატარა, აბლაბუდებიან კართან. სახელური იოლად ემორჩილება ხელს და მკვეთრი სინათლე მბარბავეს. კარს მიმდგარი კიბე უკანა ბაღში ჩადის. ეს ბაღი ჯაჭვებზე უკიდია და ყოველ ნაბიჯზე ქანაობს. თავი დამიმძიმა ყაყაჩოების სურნელმა. მინდვრის ხალიჩას

ნითელი ცეცხლი აქვს ნაკიდებული. ხანძარმა ცაზეც გადაინაცვლა და ფერფლად აქცია ლამის ლურჯი ქსოვილი. ბაღი გაფართოვდა. უღრან ტყეში მივებეტები. ფეხი ეფლობა თაფლისფერ თიხაში. ქარი ეთამაშება ფოთლებს, ხსნის ტოტების ფარდას და უეცრად ქალღმერთი იბადება ჩემს თვალწინ.

– დარჩი ჩემთან, ნულა დაბრუნდები, – ჩამწურწულა დალიმ და ლამის დამწვა თავისი ცეცხლისფერი თმით.

ვგრძნობ, რომ ვერ გავუძლებ ამ ალერსს. პეპელასავით დავიფერფლევი.

– დარჩი ჩემთან, – უკვე გაქცეულს მძახის დალი. – დარჩი და უკედავებას გაჩუქებ!

ხმა თანდათან იკარგება, უკვე ველარ მენევა. ჩემთვის ისიც კმარა, რომ ნამიერად შევებე ქალღმერთს, ცეცხლი მოვტაცე, და ჩამოვიტანე მინახე. მანამდე უფერული სიტყვები უცქებ აელვარდნენ და თვალისმომჭრელად განათდნენ...

გათენებამდე ვწერდი. არ ვიცი რას, მთავარია ის ცეცხლი არ გამწვებოდა. როცა უკანასკნელი ნაპერწკალიც ჩაქრა, ფანჯრის მიღმა უკვე მანქანები ხმაურობდნენ. ეტაცე ხელი ფიქრის გორიდან ჩამოტანილ ფურცლებს, გარეთ გამოვედი და სამსახურისკენ მიმავალ გზას დავადექი.

სილამაზის სალონი

განყოფილების სხდომა უკვე დანყებული დამხვდა. დარაბებმოხურულ, დახუთულ ოთახში სიგარეტის კვამლი ტრიალებდა. იისფერი ღრუბელი ფარავდა ჭერს და აფერმკრთალებდა მონოტონური ხმით გაბრუებულ მსმენელს. ნესტორი თვლემდა. იასონი და ბადრი ჭადრაკს თამაშობდნენ. აპო-

ლონი მოჯადოებული მისჩერებოდა კათედრას, რომელზედაც თინა იდგა. ქალს ორად გაყოფილი თმა მხრებზე ეფინა. მოხსენებას კითხულობდა, თითქოს აზრს კი არ გადმოსცემდა, ერთმანეთზე გადაბმული, წყალწყალა სიტყვებით მსმენელს აბრუებდა. მიანია კიდევაც მიზანს! მოხსენების დასასრულს მთელ განყოფილებას ეძინა. მეც მოვიძინარე თავი და თვალი მოვხუჭე. თინამ კათედრიდან ფრთხილად ჩამოაბიჯა და მძინარე თანამშრომლებს ჩამოუარა. ჯერ ნესტორის პორტფელი გახსნა და იქიდან რალაც ქალაღები ამოქექა, შემდეგ ბადრის და იასონს ამოუტრიალა ჯიბეები; აპოლონს ხელიდან გამოაცალა ბლოკნოტი; ბოლოს ჩემთან გადმოვიდა, მაგრამ ჯიბეს შეეხო თუ არა, დავასწარი და ხელნაწერი ამოვიღე.

- არ გძინავს? - ელდანაკრავივით შეხტა.

- რას გვიქვამე ჯიბეებს? რა გინდა? - ვტაცე ხელი.

- დირექტორის ბრძანებას ვასრულებ. - გამომიტყდა. - ხომ უნდა იცნობდეს თავის თანამშრომლებს, ვინ რას ფიქრობს, რას აპირებს...

- სხვის სულში აფათურებთ ხელებს?

- სხვანაირად ვერაფერს მიაღწევ, - თქვა და დაამატა: - ეგ ხელნაწერიც უნდა გადმომიცე.

შემოვბრუნდი და გავეცალე. ყველაფრის მიუხედავად, მაინც საოცრად მიზნადედა ეს ქალი და მეშინოდა, არ მოვხვედრილიყავი მის ტყვეობაში. ფურცელს დავხვდე. სიტყვა აელვარდა, გულზე მომედო. ვგრძნობ, ვერ გავუძლებ მის სიმბურვალეს; ერთი სული მაქვს, ვინმეს წავუკითხო და გადავცე ეს უხილავი ცეცხლი, მაგრამ ირგვლივ არავინ ჩანს. მაშინ ქვევით

ჩავდივარ, სილამაზის სალონში, სადაც ჩემი ნათესავი, ვენერა, მუშაობს.

ვენერა უბერებელი ქალია. რაც თავი მახსოვს, სახე სულ გაპრიანებული აქვს, თვალები თოჯინასავით უბრწყინავს. ზღარბივით აბურძენილ თმას კაპრონის ქსელი უფარავს. იისფერი კაბა ხაზს უსვამს მის კობტად ჩამოქნილ ტან-ფეხს. უღმერთოდ ლამაზია, მაგრამ ამ სილამაზეს სული არა აქვს ჩადგმული. მისი ვაჟიშვილი ეროსიც აქ ტრიალებს. დედის სილამაზე მის ნაკეთებზე ხელუხლებლადაა გადმოტანილი, მაგრამ ეს უკვე გამეორებაა, ასლი, რომელშიც სიზუსტის მიუხედავად, დაკარგულია დედანის თვითმყოფადობა და ხიბლი. ამას თვითონაც გრძნობს და ბრაზით კანკალებს, როცა ლოყაზე ხელს მოუთათუნებენ, თვალელები ჩახედავენ და იტყვიან: დედას როგორ უგავსო. ცდილობს, ქცევა მაინც უკონდეს განსხვავებული. თუ ვენერა ოცდაათი საათი ისვენებს და ჩაცმაზე ფიქრობს, ვერცხლისწყალივით მოუსვენარი ეროსი წუთს არ ჩერდება და სულ საქმეს აკეთებს. ტანსაცმელიც გაცვეთილი და შემოგლეჯილი აქვს, მანამდე ატარებს, ვიდრე ტანზე არ შემოადნება. თუმცა ხელობით დალაქია, მისი ტეშმარიტი სტიქია მაჭანკლობაა! უნდა ნახოთ, როგორ აღიგზნება ხოლმე, როცა გარიგებაზე მიდგება საქმე. ახლაც თვალი მომკრა თუ არა, აცეკვებული ნაბიჯით მომიახლოვდა, გადამეხვია, გადამკოცნა და მაშინვე ახლად თმაშელებილ ქალებთან მიმიყვანა.

- აირჩიე, რომელიც გინდა! - გაიმვირა ხელი.

- აცალე კაცს სულის მოთქმა, - მომესმა ნაზი, მელოდური ხმა და მუთაქებით სავსე ტახტიდან ქალბატონი ვენერა წამოიშარათა.

მინდოდა, ხელნაწერი გადამეშალა, რომ მისგან ავარდნილი ალი მოსდებოდა ნახერხით დატენილ თოჯინას, რომელსაც ციური ცეცხლი უმალ დასწავდა, ვიდრე ალაგზნებდა, მაგრამ ვენერამ ხმის ამოღება აღარ მაცალა, ტუჩებზე თითი ამაფარა და ყურში ჩამწურჩულა:

- ახალი ჭორი გავიგე. ჩვენი დირექტორი თურმე რალაცას წერს.

- ვიცი, - ვუთხარი, - ჩვენი განყოფილება მასალას უგროვებს.

- მე კიდევ ინტრიგები დამავალა. ერთი ორი დავატრიალე კიდევ. - ჩაიცინა ქალმა.

- შეგიძლია მომისმინო? - გავანყვეტინე სიტყვა.

- დანერე რამე? - დაამთქნარა.

ხელნაწერი გავშალე და აზრი მოვიკრიბე.

- მოიცა, - გამაჩერა, - დამწერის სუნი მცემს.

ამ სიტყვებით კედელთან მივიდა და ფარდა გადასწია. ფარდის უკან, ქურაზე კუპრით გაშავებული ქვაბი იდგა. შიგნული თუხთუხებდა და ლოყებგასაპნული კაცი იჯდა. თავს შავგვრემანი ქალი ადგა, თავისთვის ბუტბუტებდა და კიბოსავით განითლებულ მსხვერპლს თავზე მარილს აყრიდა.

- არ ჩაგეხარშოს, - გააფრთხილა სალონის გამგემ. შემდეგ კაცს მიმართა:

- თავს როგორ გრძნობთ?

პასუხის ნაცვლად კაცმა ცერი ასწია.

- მედეა მართლაც სასწაულებს ახდენს, - თქვა ვენერამ. - ნამდვილი ჯადოქარია. წლებს ისე ჩამოგაკლებს, ვერც იგრძნობ. მისი პროცედურების შემდეგ ქალწულივით ვგრძნობ თავს. არ გინდა სცადო?

უარის ნიშნად თავი გადაქნიე.

ვენერამ ფარდა დახურა და მითხრა:

- ახლა კი გისმენ!

ხმის ამოღება ვერ მოვასწარი, რომ ეროსიმ მოირბინა და ბენევიით ამაცალა ენაზე მომდგარი სიტყვა.

- ია თმის შეჭრას მთხოვს და რა ექნა?

- შეაჭერი, - ვენერას ნაცვლად ვუპასუხე და ხელი ვკარი.

ის იყო თავიდან მოვიკრიბე აზრი და ჩაეხველე, რომ ზარმა დარეკა.

- ქალბატონო ვენერა, ტელეფონზე გთხოვენ, - ბოლში გახვეული ფარდიდან თავი გამოყო მედეამ.

- მაპატიე, ძვირფასო, - გამიღიმა სალონის გამგემ და ტელეფონი აიღო. ჯერ აღმური მოედო სახეზე, შემდეგ გაფითრდა.

- დირექტორი მოდის! - დაახეთქა ყურმილი. - სარკე გააპრიალეთ, სალონი მიალაგეთ!

თვითონ ძლივს მოასწრო თმის გასწორება, რომ სალონში ჩემი ნაცნობი ზევახი შემობრძანდა.

- რა დამფრთხალი სახეები გაქვთ, შეთქმულებას ხომ არ მიწყობთ? - მოიღულა.

- ეგ როგორ იფიქრეთ! - მორცხვად თავი დახარა ვენერამ.

ზევახი მედეას მიუბრუნდა:

- კენტაერი დაამთავრე?

- კაცი გამოვძებნე, - ქვაბზე მიუთითა მედეამ, - მაგრამ ცხენის ტანფეხი ვერ ვიშოვნე.

- რალა დროს ცხენია, - თავი გააქნია ზევახმა, - ბორბლები დაუყენე.

ზევახმა ახლა მე ჩამავლო ხელი და განზე გამიყვანა.

- როგორ გითხრა... - ენის ბორძიკით დაიწყო მან. - დიდ რალაცას ვწერ, საინტერესო უნდა გამოვიდეს. დიალოგები როგორც იქნა გავმართე, მაგრამ ერთ ადგილას დახმარება მჭირდება.

- მე რა შემძლია? - მხრები ავიჩიქე.

- გავიგე, გუშინ რალაც დაგინერია, - მიპასუხა. - ძალიან მერიდება ამის თხოვნა, მაგრამ იქნებ დამითმო? ვალში არ დაგრჩები. ხელფასს მოგიმატებ, განყოფილებას გავიხსნი.

უარის ნიშნად თავი გავაქენი.

- ნუ აჩქარდები, - მუქარა გაერთა მის ხმაში. - ჯერ ახალგაზრდა ხარ და სისხლი გიდულს. სანანებლად არ გავიხედეს ეს თავხედობა.

შემდეგ დანარჩენებს მიუბრუნდა და დაამატა:

- ლექცია რომ გვაქვს, ხომ არ დავაინყვდათ?

ამ სიტყვებით მზერა შემოგვავლო და ჩქარი ნაბიჯით სალონიდან გავიდა.

ქვარი

არსებობს საზღვარი, რომელსაც ვერ გადალახავ. ზოგჯერ სრულიად უბრალო, ხელმისაწვდომი რამ აღმოჩნდება ამ საზღვრის მიღმა. ჩრდილივით თანგდევს ისეთი განცდა, თითქოს საკმარისია მოინდომო, თავს ძალა დაატანო და მიაღწეო მიზანს. ასე მოდის რწმენა, რომ ოდესმე იტყვი აქამდე შიშით და სიფრთხილით დამალულ სიმართლეს, ან ჩაიდენ იმას, რისთვისაც ხარ მოწოდებული, მაგრამ რაც უფრო მეტად ხარ შეპყრობილი ამ სურვილით, მით უფრო გენინააღმდეგება სამყარო მის აღსრულებაში. ახლაც, თითქოს არაფერი მიდგას წინ. ერთი სული მაქვს, დანერლი ნავეიკითხო და ქვეყანას მოვდო ფიქრის გორიდან ჩამოტანილი ცეცხლი, მაგრამ ყურს არავინ მიგდებს. შესვენება იწყება და ხალხის ნაკადი სასადილოსკენ მიმაქანებს. სიგარეტის ბოლით გამჭვარტ-

ლული ოთახი ხმაურითა და ღრინაცვლით ივსება.

- ყელი გამიშრა, დავლიოთ. - ბოთლი გახსნა იასონმა.

- სამუშაო მაქვს, - თავი გააქენა ბადრიმ, - დღის ბოლოს მასალა უნდა ჩავაბარო დირექტორს.

- ზევახს შენი მასალა ფეხებზე უკიდია. ახალი მდივანი აუყვანია - ია.

- შტატებს როგორც მოუპრიანება, ისე ანანილებს, - ამოიხრა ბადრიმ. - სულ ტირის, სახსრებს მიზღუდავენ და შემცირებები უნდა დაეინყო, თავისი უმცროსი ძმა კი არქივის გამგედ დაინიშნა. იქ, ქვევით მკედარი სულელები უყოლიათ გაფორმებული და თვითონ წილშია გასული.

- მე კიდევ მორალს მიკითხავს, - გაცეცხლდა იასონი. - ვენერას საყვარლობა დამაბრალა.

- აბა რატომ გაეყარე მედეას? - ჩააცვიდა ბადრი.

- მომკლა მაგის ეჭვიანობამა, - ამოიხენეშა იასონმა.

- ჩვენს ახალ ძმას გაუმარჯოს! - ჭიქა ასნია ბადრიმ.

- დღევრძელი იყავი, ამირანი! - შეჰყვირა იასონმა, - დაე, სულ ზურგის ქარი უბერავდეს შენს იალქანს...

- რალაცა მინდა ნაგვიკითხოთ, - ამოვიღე ხელნაწერი.

- აკრძალული ლიტერატურაა? - გაუხარდა იასონს.

- ზეპირად ვიცი, რაც იქნება, - შემანყვეტინა ბადრიმ. - სოფლის იდილია, ჩიტების ჟღურტული...

- მე კი მგონია, რომ მისი სიტყვა მინას მოგვწყვეტს, ქარიშხალივით იდუმალ ქვეყანაში გავგიტაცებს! - ნამოიძახა იასონმა.

- შეიძლება შემოგიერთდეთ? - მომესმა ნაცნობი ხმა და იისფერი ნისლიდან ზევახი გამოვიდა.

– ისე მგზნებარედ მეტყველებდა ეს ახალგაზრდა, – თქვა და იასონს გადახედა, – რომ ჩემი სიტაბუკე გამახსენდა და ამ მოგონებამ მომიზიდა თქვენი სუფრისკენ.

იასონმა ჭიქა შეავსო.

– არა, ნუ მადღერძელებთ, – ხელი გაასავსავა ზევახმა.

– რა თავმდაბლობაა! – ტაში შემოჰკრა ბადრიმ.

– ჩვენ დროს სად იყო ასეთი ცხოვრება, – სუფრას გადახედა ზევახმა, – სრული ანარქია და ქაოსი მეფობდა. მამა შეიღს ჭამდა...

ენად გაიკრიფა. მისი მჩატე, ნყალ-წყალა სიტყვებისგან ძილი მოგვერია. იასონმა თელემა დაიწყო, ბადრიმ თვალები მიხიდა. მეც გამეფანტა აზრი. ლამის გადნენ, აორთქლდნენ მოქეიფენი. ზევახის სახე ტალღასავით დაიბრცა და მისი გადიდებული პირიდან ცეცხლივით გამოხტა ნითელი ენა.

– ხომ ხედავ, არავინ გისმენს, – მეუბნება ენა, – ამათვის მშვიდი ძილი და მაძლარი კუჭია მთავარი.

თავი ველარ შეეკაცე, წამოვხტი და ამ არამკითხე მოძღვარს საყელოში ვწვდი.

უეცრად თითქოს წნების ქვეშ მოვეყევი. საშინელმა ძალამ ძვლები დამიმტვრია, სული შემეხუთა. ყვირილმა ველარ ამოაღწია დახშული ყელიდან. ზევახის სახეზე კუნთიც არ შერხეულა. მისი მარცხენა ხელი გველივით შემომეხვია, მარჯვენამ კი თავი ამიწია და კედელს მიმახეთქა.

– კიდევ გინდა, თუ გეყოფა? – ისევ ცეცხლივით გამოხტა პირის ღრუში მოხტუნავე ენა.

– ეყოფა, თავი დაანებე, – გამოჩნდა კარში ქალბატონი თინა. – ჭკუას თუ არ ისწავლის, მერე მოველაპარაკოთ.

– რას იზამ, სიბერეში გულმონყალე გაუხდი, – ჩაიცინა ზევახმა და ხელნაწერი გამომგლიჯა, – ახლა აქედან გადი და უკანმოუხედავად მოკურცხლე.

გამოვედი, მაგრამ შორს არსად წავსულვარ. ძლივს მოვიბრუნე სული. მელნისფერმა ცამ, ღრუბლის მკრთალმა ნაფლეთებმა ცოტა დამწყნარა. ხეს ამოვეფარე და ზევახს დავუწყე თვალთვალი. ქუჩა თითქოს ნათურებით განათებული სცენა იყო, შენობები – დეკორაცია, ქალაქი კი ფარდაზე გამოხატული შორეული ფონი. თუმცა მთლიანად ერთი სურვილით ვარ შეპყრობილი – როგორმე დავიბრუნო ხელნაწერი, გული მიგრძნობს, რომ აუხდენელია ეს სურვილი. ის, რაც მოხდა, ასეც უნდა მომხდარიყო, ასე მენერა. ისე ღრმად შევიჭერი დალის სამფლობელოში, ისეთი რამ მოვიტაცე იქიდან, რომ ღმერთების საქმეში გავრიე ხელი და ბედმა უმალ მიმუხთლა, გამახსენა, რომ მე მისი ტყვე ვარ; მაგრამ იმედს მაინც არ ვკარგავ და ჩრდილივით მივდექ შენობიდან გამოსულ ზევახს. ნელ-ნელა გაცოცხლდა ქალაქის ფარდა და ბინდში ჩაფლული არე. თუმცა ზევახი მიაბიჯებდა, მე კი გავრბოდი, მანძილი მაინც იზრდებოდა ჩვენს შორის. თითქოს კონვეიერი-ქუჩა მას წინ აგდებდა, მე უკან. პროსპექტის ბოლოს სასახლე გამოჩნდა. მანქანებით სავსე ქუჩა მის გაღავანს ეხეთქებოდა და უკუქცეული, ვნებადამცხრალი, აეტომობილთა ახალ ზვირთებს მოაგორებდა. ზევახი სასახლის ეზოში შევიდა, კარს დაეძგერა და გაქრა.

– ვისთან მიბრძანდებით, მეგობარო? – წერილმა, ბოლოში წამღერებულიმა ხმამ გამაშვებინა სახელურს ჩავლებული ხელი. მივიხედ-მოვიხედე

საქართველო
საზოგადოებრივი

და კიბეზე ჩამომჯდარი დაძინილი არსება დავინახე, რომელსაც გადმობრუნებულ ქუდში ხურდა ფული უბრწყინავდა. სველ, მედუზასავით გამდნარ სახეზე თვალები ღილებივით ჰქონდა მიკერებული. პასუხი არც გამიცია, ისე მიუბრუნდი კარს, ის იყო შევალე, რომ მათხოვარმა ყავარჯენი მომიქნია და წვივში მომარტყა.

- არ შეიძლება მანდ შესვლა, - ისევე ამღერდა ის საზიზღარი ხმა, - უცხო პირთა შესვლა აკრძალულია.

არც დაფიქრებულვარ, ფეხი ვკარი. კიბიდან გადაქანდა და ტალახის გუბეში ჩავარდა. კრუნჩხვები დაენყო, თან თავშეუკავებლად ხარხარებდა.

- სტუმარი გვეწვია! - ყვიროდა ნანყვეტ-ნანყვეტ, - სტუმარი!

თვალის დახამხამებაში ჩემს ირგვლივ მისი დაძმები, უამრავი ასეთი „მედუზა“ გაჩნდა. ზოგი ფულის სათხოვნელად მომენტება და ლორწოსავით შემომეხვია, ზოგმა ხელი მთხოვა სამკითხაოდ; ყველას ზევახივით მომწუსხავი გამოხედვა ჰქონდა. თვალებით თითქოს უხილავ აბლაბუდას ქსოვდნენ ჩემს ირგვლივ და ამ ქსელში გაბმულს განძრევა კი არა, ხმის ამოღებაც აღარ შემეძლო. ახალა შევნიშნე ეზოში გაბნეული ქანდაკებები. ერთი შადრევანთან თავდახრილი, ნყურვილს იკლავდა, მეორე სკამზე იჯდა და ქვისფურცლებიან ნიგნს ჩასცქეროდა, მესამეს უკვე კიბეზე ჰქონდა შედგმული ფეხი და ვინ იცის, ეს მოქანდაკის ნიჭით გაცოცხლებული ქვა კი არა, „მედუზების“ მზერით გაქვავებული სიცოცხლე იყო? ეს შიშნარევი ეჭვი ელვასავით გამიკრთა გონებაში. ტანი დამიმძიმდა, სიცივე ფეხებთან დაიძრა და გულისკენ ნამოვიდა, მაგრამ სწორედ ამ დროს სასახლის კარი გაიღო და ვილაცის ხელმა შიგ შემათრია.

- ხმა არ ამოიღო, - ტურებზე თითი ამაფარა იასონმა და წინ გაიხედა.

შეუჩვეველი თვალთ ვერ ვერაფერი გავარჩიე სანთლების შუქზე. წყვდიადში ნელ-ნელა გამოიკვეთა ზევახის ქანდაკება, რომელსაც მეხის ისარი ეპყრა ხელთ. ცოტა მარჯვნივ, კათედრაზე მოსახამში გახვეული ზევახი იდგა და კითხულობდა:

„... ხოლო რადგანაც გაცოფებულმა ზღვამ ქაფითა და დორბლით დაფარა მიწა, მე დავიქუხე, რომ მეთქვა სიტყვა, რომელიც გაფანტავდა წყვდიადს და იმედის სხივს ჩაუსახავდა ახლად გაჩენილ სიცოცხლეს!“

აქ ზევახმა ზარს შემოჰკრა და ფარდიდან გამომძვრალმა თინამ ქუდით ხელში დარბაზი ჩამოიარა, ფურცლები შეაგროვა.

- ბევრია? - ჰკითხა ზევახმა.

- მთელი ქუდი აივსო, - უპასუხა თინამ. - ეს მასალა მთელ ნიგნს ეყოფა.

ზევახმა საათს დახედა.

- წუთშესვენებას ვაცხადებ, - თქვა და დაამატა, - ჩაითქვით სურვილები!

პირველად ვენერამ გახედა ქანდაკებასთან მისვლა, მარმარილოს ხელს ემთხვია. აპოლონმა მეხთამცემლის თავი გვირგვინით შეამკო. ველარ მოვითმინე, ნამოვხტი და ქანდაკებისკენ დავიძარი.

- სურვილების ჩაფიქრება დამთავრებულია! - დამასწრო ზევახმა და თავისი ქანდაკება ფარდის უკან შეათრია: - ახლა კი, ჩემო ჩიტუნებო, ერთი სევდიანი ისტორია მინდა მოგიყვეთ. ერთმა ბედოვლათმა (გვარს არ დავასახელებ) ფრენა მოისურვა: თუ ფრინველები ცაში ნავარდობენ, მერით ვარ ნაკლებიო. ბევრი ვეხვეწე იმ საცოდავს, აეროდინამიკის საფუძვლებიც ავუხსენი, შენც არ მომიკვდე! დელ-

ტაპლანი გააკეთა და მწვერვალიდან ისკუპა. ბევრი ვაფრთხილე – მალღანუ იფრენ, მზე დაგწვავს-მეთქი. ყურრიც არ მათხოვა. აიჭრა ზესკნელში, დაახვედრა პელიოსმა იქ თავისი ცეცხლოვანი რაში და დელტაპლანი ფერფლად აქცია. სული არ დაჰყოლია უბედურს მინამდე. ახიცაა მასზე. რას მეტიჩრობ? ვის ეჯიბრები? დაეტიე შენს ტყავში და მინაზე იარე.

ზევახმა გრაფინიდან წყალი მოსევა და განაგრძო:

– რა დასკენები შეიძლება გამოვიტანოთ ლექციიდან, ყმანვილებო? ა) საკუთარ თავს არ უნდა გადაახტე. ბ) რაც გინერია, იმას ვერ გაექცევი. მაგალითი? ინებეთ. ჩემს მარცხნივ, განმარტოებით მდგომი ახალგაზრდა (გადმომხედა), სადაც არ უნდა გაიქცეს, ბოლოს მაინც ღვიძლის სწულეებით გარდაიცვლება საავადმყოფოში.

– გაიგონეთ, რა მითხრა? – იყვირა ნესტორმა. – მალე კვალიფიკაციას აიმაღლებ და ექიმი გახდებიო!

– შენ კი არ გახდები ექიმი, – თქვა ვენერამ, – მე გამეყრება ქმარი ეჭვიანობის ნიადაგზე.

– არც ერთი, არც მეორე, – ჩაერია ისონი. – ეტყობა, ცალი ყურით უსმენდით ლექციას. მოძღვარმა თქვა, რომ მალე სამოგზაუროდ წავალ.

ატყდა ჩხუბი. ყველა თავისას ამტკიცებდა. ამასობაში ზევახი აორთქლდა კათედრიდან. თვალი მოეკარი, როგორ გაიელვა გრძელმა მოსასხამმა, შემდეგ კარის ჭრიალიც გავიგონე და ქუჩის განათება ოდნავ შეერია სანთლების შუქს.

გარეთ რომ გამოვედი, ეზო ცარიელი იყო. მხოლოდ ქანდაკებები იწყობდნენ მზერას. ღობის იქით, მანქანებად ქვეული სივრცე ბობოქრობდა და ზევახის მოსასხამი ფრიალებდა ქარში. უეცრად ჩამობნელდა, ვილაცამ

თვალეზე თითები ამაფარა. მოვტრი-ალდი და თინა შემრჩა ხელთ.

– შენი ხელნაწერი ჩემთანაა, – გამიღიმა და მანქანის კარი გამოაღო.

ცდუნება

მანქანის სალონში რბილი, მომწვანო შუქი დაცოცავს. ეს მოუსვენარი სხივი ჭერზე ნამცეცებად იფანტება, ფანჯარას ცისარტყელას ფერებით ქარგავს და ამ გამჭვირვალე ნაქარგის უკან, ქალაქის ხედები გარბიან. ქალი ხელის რბილი მოძრაობით რთავს სიჩქარეებს და ისე მიასრიალებს მანქანას, თითქოს ჩვენ კი არ ვმოძრაობთ, ჩვენს ირგვლივ ტრიალებს ქალაქი. იქნებ ზევახთან შეთქმულმა თინამ ჩემი ხელნაწერი უკვე ზეპირად იცის? ისიც იცის, რომ მას მზურვალეობა აქვს და ერთი ნაპერწკალიც რომ მოხედეს გულს, ცეცხლი იფეთქებს? საოცარი სტრიქონებია! რამდენჯერ გადავიკითხე, სულ სხვადასხვა რამ ეწერა შიგ ბან თითქოს არაფერს ამბობდნენ ის სიტყვები, ხან კი ზუსტად იმას გამოხატავდნენ, რაც იმწუთს მანუხებდა. იქნებ ბედმა გამიღიმოს და როგორმე დავიბრუნო დაკარგული? იქნებ შვილს თავისი ხელით გავახსნევი-ნო მამამისის უფრა? თინასთან არავინ დაგვხვდა. ზევახს ბარათი დაეტოვებინა – გვიან დაებრუნდებიო – და ბოქლომით ჩაეკეტა კარი.

– მით უკეთესი, – გაიღიმა ქალმა და გასაღები ამოიღო, – არავინ შეგვიშლის ხელს.

ოთახი, რომელშიც შევაბიჯე, ძველებური, მძიმე ავეჯით იყო განწყობილი. უზარმაზარი სანერი მაგიდა კედელთან იდგა. ზედ დასტა-დასტა ელაგა ათასნაირი ფურცლები. საბჭოე მანქანას ბრეზენტი ჰქონდა გადაფარებული.

– რას დაღევე? – მკითხა ქალმა.

მხრები ავიჩქრე. თინამ განაჯინიდან არაყი და პატარა ჭიქები გამოიღო. პური დატეხა, ძეხვი დაჭრა.

– აბა, – ყველი მოიღერა და გამილიმა, – გაგვიმარჯოს!

პირველივე ყლუპმა ფრუანტელი მომგვარა, შემახურა.

– სად არის ხელნაწერი? – ლუკმას ამოვაყოლე.

– რა მოუთმენელი ხარ, – ტუჩი აიბზუა, – ნუთუ სხვა არაფერი გაღელვებს?

– გულახდილად მითხარი, რა გინდა ჩემგან? – გადავედი შეტევაზე.

– არაფერი, – მომიახლოვდა და უცებ მუხლებზე ჩამომიჯდა, – მხოლოდ ის, რაც ქალს კაცისგან შეიძლება უნდოდეს.

ამ ალსარებამ გამბედაობა წამართვა. ჩემს ნაცვლად პირველი ნაბიჯი ქალმა გადმოვდგა და თავისი სურვილის ტყვეობაში ჩამავდო. ოთახში გამეფებულმა სიჩუმემ გაამძაფრა ყოველი მოძრაობა, ყოველი ბგერა. სიჩუმეს თურმე უამრავი ბგერა ჰქონია: გულის ცემა, საათის ხმა, ონკანს მონყეტილი წვეთი, ჭერში შემყუდროებული ჭრიჭინა... მომეჩვენა, რომ სადაღაც სხვა ცხოვრებაში უკვე ნანახი მქონდა ეს ოთახი. ამოტივტივდა შორეული განცდა, რომელმაც სულ სხვა არსება გააღვიძა ჩემში. თითქოს გარედან ვჭვრეტდი საკუთარ თავს. ვხედავდი, როგორ აენიე ჭიქა. მსუბუქი, ცეცხლოვანი სითხე ყელში ჩაეშვა და აელვარდა. ჩემ წინ ახლა ეშხიანი ქალი იჯდა და ფაიფურის ჭიქიდან ყავას შეექცეოდა. ოთახში ცნობისმოყვარედ იტყირებოდა აკაციის ხე და მის ტოტებში ცის ლურჯი ქსოვილი ანათებდა. ზემოთ ცისფერი აბაჯური ეკიდა. მის მკრთალ სხივებში თეთრად ელვარებდა ქალის ხორბლისფერი კა-

ნი და სახეზე დაფენილი ჩრდილი ჰაეროვნებას მატებდა მას.

– ნუ ფიქრობ ხელნაწერზე, ის უკვე დაკარგულია, – გამილიმა და ფრთხილად ამინია თავი.

– იმ სტრიქონებშია ჩემი ძალა, – ამოვიოხრე. – ასე მგონია, აღარ ვარსებობ.

– მე გაგაცოცხლებ! – ჩამჩურჩულა და თავისი დიდი, ფაფუკი მკერდი მომადო. მისმა სურნელმა თავბრუ დამახვია. ყელზე ვაკოცე.

– დაგინახე თუ არა, შემყვარდი, – თვალები მიბნია თინამ. – რამდენს ვუთხარი უარი შენი გულისთვის...

იყო ამ ქალის გამოხედვაში რალაც ისეთი, რაც არასოდეს წაიშლებოდა მახსოვრობიდან. სხივთა თამაში თვალის ნიჟარებში ჩავარდნილ მარგალიტებს ხან უეცრად ჩააქრობდა, ხან მთელი ძალით ააელვარებდა და მაშინ საოცრად მიმზიდველი ხდებოდა ქალის მზემოკიდებული სახე, თვალმარგალიტების ციმციმს რომ ირეკლავდა და ათასი ცეცხლით აფრქვევდა. რალაცას მიყვებოდა თუ ვუყვებოდი, არ მახსოვს. იმწუთს სულ ერთი იყო, რაზე ვილაპარაკებდით. სიტყვებს აღარ ჰქონდათ მნიშვნელობა, რადგან მათ მიღმა სულ სხვა სურვილი იკვეთებოდა. გამოიკვეთა კიდევაც ეს სურვილი, ნათლად გამოისახა ქალის ოდნავ მოჭუტულ მზერაში და მან ისე ლამაზად, ისე მიმზიდველად მოილერა ყელი, ისე ეშმაკურად ჩააქსოვა თავის გამოხედვაში რალაც გამოუთქმელი, რომ კვლავ დამიბრუნა დაკარგული გამბედაობა, მაგრძნობინა ვნებით შეპყრობილი ქალის მოლოდინი.

უეცრად ოთახის განათება შეიცვალა. მზეს ღრუბელი ჩამოეფარა. ქალი გადასხვაფერდა, აღქაჯს დაემსგავსა. შუქ-ჩრდილებმა გამოკვეთეს მტაცებლის სახე. იჯდა ეშვებგადმოყრილი,

ტურებს ილოკავდა და საკბილოს უცდიდა; მაგრამ ღრუბელი არ შეჩერებულა. ჩამავალმა მზემ მომაკედავის ღიმილით ისევ შემოიხედა ოთახში და სხივების ძნადშეკრული კონა ქალის თმას ცეცხლივით მოსდო. ალქაჯი გაქრა. ქალს კანი გაუფაქიზდა, მზერა დაურბილდა. ფოთლებიდან ჩამოყრილი მზის კრიალოსნები სახეზე ააცოცდნენ და მის გამჭვირვალე, მიამიტ თვალებში ისევ ის სიმორცხვე გამოიხატა. წამით ჩამობნელდა მზე, წამით გამოაჩინა კლანჭები ქალმა და ისევ უცოდველი ქალწულის ნიღაბი აიკრა სახეზე...

- ვაი! - დაიკვილა თინამ და აღერსით მისუსტებული, ჩემი მუხლებიდან ჩამოცურდა. ის იყო ძირს უნდა დაცემულიყო, რომ ხელი წავატანე, მაგრამ ზევით ველარ აენიე, პირიქით წელზე მომხეხია და თავისკენ მიმიზიდა.

- ახლა ჩემი ხარ! - გამიღიმა და ძირს, ხალიჩაზე დამითრია.

ქორნილი

- ხელი ხომ არ შეგიშალეთ? - მეხივით დამეცა ხმა და ოთახში ზევახი შემოიჭრა. თინამ შეჰკივლა და სახეზე ხელები აიფარა, მე ფანჯარას ვუცი, მაგრამ ოთახში შემოჭრილი ხიდან აპოლონი ჩამოხტა და წინ გადამიდგა. ზევახი მომიახლოვდა.

- თავი დაანებე, - შვილი მუხლებზე მოეხეხია მამას.

ზევახმა ფეხი ჰკრა თინას და ელვის სისწრაფით ხელები გადამიგრიახ. შემდეგ აპოლონს გასძახა:

- რალას უცდი, ვერ ხედავ, ქალი ნაგართვა!

აპოლონმა დანა გახსნა და ნაბიჯი გადმოდგა...

- არა! - დაიკვილა თინამ და გზა გადაუჭრა, - ჩვენ ხელს ვანერთ!

აპოლონს სისხლი მოანვა სახეზე. აკანკალებული ხელით მოისროლა დანა. ზევახი თითქოს შვილის სიტყვებს ელოდაო, ჰაერში შეხტა, ისევ დამეძგერა და ახლა სიხარულით ჩამხეხტა.

- ჩემი სიძე! - ყვიროდა თვალცრემლიანი და კი არ მკოცნიდა, ლამის მჭამდა. შემდეგ ფანჯარა გამოალო და ჩაბნელებულ ქუჩას გასძახა:

- მომილოცეთ! ქალიშვილს ვათხოვებ!

ოთახი ხალხით გაივსო. ზევახი მეზობლებს შორის დარბოდა.

თავს ისევ ვგრძნობდი, ვით მაყურებელი, რომელიც უნიჭო და უტიფარი მსახიობების სიყალბეს-გრძნობს და მათ მაგივრად სირცხვილით იწვის. ზევახის განაჩენი, აპოლონის რისხვა და თინას თავგანწირვა თითქოს განზრახ იყო გათამაშებული და ეს ეჭვი მათმა ქცევამ კი არ გააღვიძა არამედ იმ სისწრაფემ, რა სისწრაფითაც ზევახის აღშფოთება სიხარულმა შეცვალა. ჩემი დახვედრა არ იყო მოულოდნელი მისთვის. თითქოს უნებურად ჩამითრიეს თამაშში და ის სელა მიკარნახეს, რაზედაც უკვე მომზადებული ჰქონდათ პასუხი.

საქორნილო სამზადისი მაშინვე დაიწყეს. გამოაცა იმ მასშტაბმა და სიღრმემ, რაც ზევახმა მისცა ჩაფიქრებულ ღრეობას. თინას გაბედნიერების ამბავი მთელ ქვეყანას მოედო. სოფლებიდან ნათესაეები მოგვანყდნენ. პროვინციელები თავისი ჩაცმულობით, ქცევითა და სიტყვა-პასუხით ხაზს უსვამდნენ იმას, რომ არაფერში ჩამორჩებოდნენ ქალაქელებს, მაგრამ სწორედ ამ ხაზგასმის, ამ თავმონონების გამო ჩამორჩებოდნენ მათ. მოკლედ, მთელი ქვეყანა ფეხზე დადგა. ფული და საჩუქრები ოხრად დაგროვდა. არქივიდან მკვდარი სულელები ამოვიდნენ. ისინი არ არსებობდნენ, მაგ-

რამ ხელფასს რეგულარულად იღებდნენ და ამიტომ მონაწილეებად უნდა გაფორმებულიყვნენ „ოლიმპის“ ღონისძიებაში. ვინმეს ეჭვი რომ არ გასჩენოდა, ზევახმა ისინი მზარეულებად გააფორმა და ახლა მათ მაგივრად ოფელში გახვითქული ქალბატონი მედეა ტრიალებდა ქურასთან. პერმისი გიჟივით დაჰქროდა. მიჰქონდა და მოჰქონდა ჭორები. ვენერა და ეროსი „საბედნიეროში“ დადიოდნენ და საქორწინო კაბას არჩევდნენ. მხოლოდ ნესტორი იყო უქმად. ხან ვის აედევნებოდა, ხან ვის; ყველაფერში ცხვირს ჰყოფდა და მრავლისმეტყველი სახით ათასნაირ აფორიზმს აფრქვევდა. რაც შეეხება ზევახს, ქორწილის სცენარზე მუშაობდა; ყველას ყურს უგდებდა და საინტერესო ფრაზებს ბლოკნოტში იწერდა. იჯდა სავარძელში და ხან გამჭრიახი მზერით, ხან ხელის დახვეწილი მოძრაობითა და ძუნწი, ძლივს გამეტებული სიტყვით მართავდა მოყვარეთა ამ ვეებერთელა ლაშქარს. ყველამ იცოდა თავისი როლი, თავისი სათქმელი და მაინც თავიდან იდგმებოდა ყოველი მიზანსცენა. ეშხში შესული ზევახი ქეშმარიტად მეფური სიდიდითა და უფლებამოსილებით განაგებდა ნინასაქორწილო რიტუალს.

– ცხვრებივით თავს ნუ მიქნევთ, – მიმართავდა თავის თანამშრომლებს. – უთანხმოება და კამათი უფრო ბუნებრივს გახდის ჩვენს დროსტარებას. ოღონდ ყველაფერი ნინასნარ უნდა ვიცოდეთ. ქორწილი დიდი ღონისძიებაა და მეშინია, რამე არ მოხდეს.

ხელისმონერის დღეს ვენერამ თვალმარგალიტებით მოჭედული ატლასის კაბა მოართვა პატარძალს, თვითონ კი ლურჯ, ნახევრად გამჭვირვალე ქსოვილში გაეხვია. სუფრას, რალა თქმა უნდა, ზევახი თამადაობდა.

უზარმაზარი, ღვინით სავსე რქა ორივე ხელით ეჭირა.

სიყვარულს გაუმარჯოს! – დასჭეჟა მან.

კაცები ფეხზე ადგნენ. აპოლონმა სურათი გადაგვიღო და იქვე გადმოგვცა.

– ჩემო ძვირფასებო! გულით მიხარია თქვენი ბედნიერება! – ცრემლი გადმოაგდო ეროსიმ და თინას ისე გადაეხვია, ძლივს ავალილტი.

– მოდით ახლა ჩვენი „ოლიმპი“ ვადღეგრძელოთ, – შემოშთავაზა თამადამ. – ის წმინდა ადგილი, სადაც გამოიძერწა და დაიხვენა ჩვენი ხასიათები!

– ნება მომეცით, არ დაგეთანხმოთ! – შეანყვეტინა ნესტორმა. – ადგილს ხომ ადამიანი ამშვენებს. ზევახს გაუმარჯოს, ჩვენს სულისჩამდგმელს!

– ჯოს! – იყვირა სუფრამ.

იასონმა ბანცალ-ბანცალით ჩამოგვიარა და სათითაოდ ჩაკოცნა ქალები.

– განიე იქით შენი დორბლიანი ტუჩები, – სახე მოარიდა მედეამ.

– რით ვერ გასიამოვნეთ, ქალბატონო მედეა? – ხაზგასმული თავაზიანობით ჰკითხა იასონმა.

– ღორები ხართ კაცები! – მიახალა ქალმა.

– ენას მოგაჭრი, შე ალქაჯო! – გაცოფდა იასონი. – დავაინყდა, მზითევში ცხვრის ტყავი რომ გამოგატანეს?

ვენერამ ჩაიხითხითა.

– გონს მოდი! – ხმას აუნია ზევახმა. – ათასი ყური გვისმენს.

– აღარ დალიო! – ძმას ყანწი გამოსტაცა ბადრიმ.

– ახლა კი, ჩემო ძვირფასებო, – გაიბადრა ზევახი, – მინდა წარმოგიდგინოთ ჩვენი ქმნილება, ახალი მოდის კენტავრი, ადამიანი-მანქანა!

ზევახის ნიშანზე მედვამ ფარდა გადასწია და კულისებიდან ბორბლებზე შემდგარი კაცი გამოგორდა. უკანა მილიდან ბოლო შემოგვაფრქვია და სუფრას შემოუარა.

- რა სწრაფია და რა ლამაზი! - ტაში შემოჰკრა ვენერამ.

- რას არ შექმნის ადამიანის ნიჭი! - გაიოცა ნესტორმა.

- ეს ჩემი საქონწინო საჩუქარია, - თქვა ზევახმა, - ამიერიდან კენტაერი ამირანს მოემსახურება და მისი ხელნაწერისთვის სიბრძნეს შეაგროვებს.

- თანავეტორად გინდა გაგიყვანო? - გაუღღიმე.

- უმადური ნუ ხარ, - თავი გააქნია, - ასეთ საჩუქარზე მადლობა მაინც მითხარი.

ამ სიტყვებით ჩექმიდან მათრახი იძრო და კენტაეარს გადაუჭირა.

- აბა, ექსპრომტად რამე სიბრძნე თქვი! - უბრძანა.

კენტაერი ჩემკენ შემობრუნდა, ყალყზე შედგა და ყრუ, მუცლისმიერი ხმით ალაპარაკდა:

- რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო!

- დიდებულაია! - ნამოიძახა აპოლონმა.

- ყოჩაღ! - შეაქო ზევახმა და ოფლიან ზურგზე ხელი დაკრა.

კენტაერი თავის ქნევით გამოგვემშვიდობა, ბოლი შემოგვაფრქვია და ფარდის უკან გაგორდა.

- მე და შენ ერთად უნდა ვიყოთ, - მომიბრუნდა ზევახი, - ასე მგონია, ჩემი ანარეკლი ხარ, უფრო სუფთა და უფრო ნათელი. რატომ უნდა გადავემტეროთ ერთმანეთს? პირიქით, უკეთესი იქნება, თუ ზავს ჩამოვაგდებთ და თანავეტორები გავხდებით.

- არ ენდო, - მითხრა ბადრიმ, - ჯერ ტკბილი ენით მოგთაფლავს, მერე გაგამწარებს.

- ყველას არ დაუღევია „ოლიმპის“ სადღეგრძელო, - სუფრას გადახედა ზევახმა.

- ნამდვილი აქვარიუშია, - ჭიქა ასწია იასონმა, - შუშის კედლებს თვეზებივით ვანყდებით და პირში წყალი გვაქვს ჩაგუბებული.

- ორიგინალური ხილვაა, - ბლოკნოტში რალაც ჩაინიშნა ზევახმა. - ამას სადმე გამოვიყენებ.

- ხელნაწერს როდის დამიბრუნებ? - ვკითხე.

ნაიღე, რადგან არ მეშვეები, - ზევახმა ჯიბეში ხელი ჩაიყო და იქიდან ვაშლი ამოაცოცა. - ოღონდ ჯერ მოდი, სილამაზის კონკურსი მოვანყოთ.

ამ სიტყვებით ვაშლი სუფრაზე გააგორა და დაამატა:

- ეს ვაშლი ულამაზეს ქალს ეკუთვნის!

- რა უცნაური ხუმრობაა, - მხრები აიჩეჩა ვენერამ. - ვაშლი, რა თქმა უნდა, პატარძლისაა.

- მე რა შუაში ვარ, - აფეთქდა თინა, - ვენერამ ყველაფერი გააკეთა, რომ დღეს ჩემზე ლამაზი ყოფილიყო.

- ეჭვიანი ნუ ხარ, - თავი გააქნია სილამაზის სალონის გამგემ, - მე სულაც არ გამოვიყურები შენზე უკეთესად.

ატყდა ჩხუბი. ქალები ერთმანეთს დაეძგერენ. ორკესტრმა საჭიდაო დასცხო. ვილაცამ ქალი ჩამოგლიჯა. წყვდიადში ზევახი ისევ გაქრა დარბაზიდან. კარმა გაიჭრიალა, სინათლე შემოიჭრა და ამ სინათლეში სწრაფად გაიფანტა მისი უზარმაზარი ლანდი.

მიძინება

ქორნილის შემდეგ ზევახმა კარგა ხნით დამანება თავი. სამსახურიდან შვებულება მოგვეცეს. თაფლობის თვე თითქოს ერთი უძილო, ვნებადამუხ-

ტული ღამე იყო. მთვარეულივით დაე-
ბორიალებდი ოთახიდან აივანზე, აივ-
ნიდან ეზოში. ყველაფერი მალიზია-
ნებდა. მალიზიანებდა ბენზინის ბოლ-
ქვებში გახვეული ქალაქი, მისი გარე-
უბნიდან მონაბერი ცხელი ქარიშხალი,
ჩემს მარტოობაში შემოჭრილი ქალი.

დრო კი არც მიიზღაზნებოდა, არც
გარბოდა. ის ჩვენმა თავდავიწყებამ
შეაჩერა და ამ თავდავიწყების იქით
მდგარმა სინამდვილემ შიშითა და მო-
ლოდინით გაავსო. უსასრულოდ გაჭი-
მულ იმ ტკბილ-მწარე ნუთებში არ მა-
ვიწყებოდა კლდიდან ამოზრდილი
კოშკი; ვინცები თუ არა მის ძებნას,
საოცრად ნათდებოდა არე, მაგრამ
ქალღმერთი, ჩანს, მიბრაზდებოდა და
ალარ მაჩვენებდა თავის თავს.

ახლა მალულად, როცა დაქანცუ-
ლი ცოლი თვალს დახუჭავდა, მივუჯ-
დებოდი მაგიდას და ბუნდოვან, ქაო-
ტურად გაბნეულ ფრაზებში ფიქრის
გორის გზა-კვალს ვეძებდი. რამდენ-
ჯერ მოვწყდი მაგიდას და დალის პოე-
ნის იმედით სანადიროდ წავედი, მაგ-
რამ ოქროს ნანაეის ცეცხლი ალარ
მინათებდა გზას. მხოლოდ ერთხელ
შევეხე მას, ერთხელ იმ ცეცხლით ან-
თებულმა დავენერე ის, რასაც ვესწ-
რაფვოდი, მაგრამ ვერ გაუუქელი მის
მხურვალეზას, ხელიდან გავუსვი. ახ-
ლა ისევ უნდა შევდგომოდი იმ ცეცხ-
ლისაკენ მიმავალ აღმართს, რომელ-
საც ერთი ამოსუნთქვით ველარ დავძ-
ლევდი. სისხლისა და ოფლის ღვრით
მივბობლავდი კლდიდან კლდეზე, ვებ-
ლაუქებოდი ყოველ ქიმს, ყოველ იღბ-
ლიანად ჩაველებულ სიტყვას; სტრიქო-
ნებს შორის დიდხანს ვითქვამდი
სულს. ის იყო შუაგზას მივალნივ და
გამოქვაბულს შევაფარე თავი, რომ
ქვათა ცვენა დაიწყო. მომჩვენა, რომ
მწვერვალიდან ვილაცამ გადმოიხედა
და ქვა დააგორა. კლდის ვეება ნაგლე-

ჯები სტვენით მოფრინავდნენ ზესკ-
ნელიდან ქვესკნელში. გაღვიძებული
ცოლის მწარე, გესლიანი სიტყვები
სეტყვასავით მეყრებოდა თავზე, მაგ-
რამ მე ოცნებას ვიყავი შეფარებული
და არც ერთი არ მხვდებოდა გულს. და
მაინც მშვიდად უკვე ველარ ვგრძნობ-
დი თავს, იოლად ველარ ავდიოდი ფიქ-
რის გორაზე. ადრე ნათელსა და ხელ-
მისანვდომ გზას ახლა ტკივილითა და
ტანჯვით მივიკვლევდი და ის თვალ-
ნინ გადაშლილი მიდამოც რალაცნაი-
რად ამღვრეული იყო. მოვიკრებდი
აზრს, დაინმინდებოდა ხილვა და უეც-
რად ქარავით შემოიჭრებოდა ამ ნეტა-
რებაში ცოლის დაძაბული სახე, სახე-
ზე აღბეჭდილი ეჭვი და მასში ჩაქსო-
ვილი სიბრაზე. განცდა ისეთი მქონდა,
თითქოს მარტოსული ალარ დავეხე-
ტებოდი ამ უდაბურ კლდეებში,
ღრმად და უწუმრად ველარ ვიძირებო-
დი საკუთარ თავში. ბილიკი კი უფრო
ციცაბო, უფრო მძიმე მეჩვენებოდა;
ვილაცა ხლართავდა მას, ვილაც ამრუ-
დებდა; მისი ნაბიჯი ჩემზე სწრაფი
იყო, მისი თვალი – ჩემზე მახვილი. მი-
სი მზერა გონებას მიმღვრევდა; თე-
თონ კი უხილავი, მოუხელთებელი,
ჩემზე მარჯვედ, ჩემზე მსუბუქად,
ჩემზე შეუპოვრად მიიკვლევდა გზას.

ქვათა ცვენა დამთავრდა. ქვევით
ქალაქი ბობოქრობდა მაღლა, ბინდით
მონისლულ მწვერვალზე კოშკი გა-
მოჩნდა. შუქი ალარ იფრქვეოდა მისი
სარკმელიდან. კიდევ უფრო ჩამუქდა,
მოილუშა ცა. ჩაბნელებული კოშკი ცი-
ხე-სიმაგრედ იქცა. დაქანცულს მძიმე,
თითიდან გამოწოვილი სიტყვები მი-
მათრევენ ზევით. ფიქრის გორა ნელ-
ნელა ახლოვდება, თავისი ბუნდოვანი
ხეობებითა და თვალჩაუნვდენელი
სიღრმეებით. ჩამქრალია დალის ფან-
ჯარა. ვილაცამ გაიელვა, აივნიდან ის-
კუბა და ფერდობი ჩაირბინა. კოშკში

სარკე ჩაღწეულია, ირმის რქები ჩამოგლეჯილი, ტახტი გადაბრუნებული. მთვარის ვერცხლისფერი სხივებით მოქარვულ ტყავზე ორი მოკვეთილი ნაწნავი ელავს.

– შენმა ცოლმა ჩაიფინა ეს, – გამოქვაბულის სიღრმიდან მომესმა დალის ჩურჩული, – ძილში მომისწრო და ნაწნავები შემაჭრა.

ნამით გავოგნდი. შემდეგ მოვტრიალდი და გამოვიქეცი, მაგრამ თინა უკვე შორს იყო. ძლივს დავლანდე ჩამონოლილი ნისლში კლდიდან კლდეზე მოხტუნავე ქალი, სულ ქვევით და ქვევით, ქალაქის ბუღში რომ იკარგებოდა. ისევე შემოვბრუნდი... თვალმა, როგორც იქნა, გაარღვია სიბნელე და კოშკის წიაღში ქალღმერთის ვარდისფერი სხეული აციმციმდა.

– გზა ვინ ასწავლა იმ კუდიანს? – ვკითხე ჩემს გულს.

– შენ, – ვიგრძენი ფიქრით ჩუმი და ცხადი პასუხი. – თინამ ისე აგიფორიაქა სული, ისე დაიპყრო შენი გრძნობა და ფიქრი, რომ ვერც კი შენიშნე, როგორ გაუხსენი გზა.

რალაც ჩამწყდა გულის სიღრმეში.

– ეკედები, – ნაღვლიანად გაიღიმა ქალღმერთმა და მიმქრალი მზერა დაანათა მოკვეთილ ნაწნავს. – აიღე ხანჯალი და დამარტყი, რომ ჩემი ძალა შენ მოგეცეს.

ათრთოლებული ხელით ავიღე დაწნა, თავი შევებრუნე და მოვუქნიე... სისხლის შადრევანმა შემიღება პერანგი. დალი შემომეხვია, ჩამეხუტა. ვიგრძენი, როგორ გადმოვიდა მხურვალეობა ჩემში, როგორ გაცივდა, დადნა, დაილია მისი სხეული.

– ნუ გეშინია, – მითხრა, – ჩემი ძალა შენ მოგეცემა, რომ ბედს შეებრძოლო და ზევახს ის აღმოადებული სტრიქონები წაართვა.

ეს იყო დალის უკანასკნელი სურ-

ვილი. ღიმილი მზესავით ჩაესვენა მის დასვედიანებულ, მწუხრით ჩაბნელებულ სახეზე. ბინდისფერ თვალთა სიღრმეში ჩაქრა მარადიული არსებობისთვის დაბადებული სიცოცხლე.

წესის აგება

იმ დღეს გადაულეებლივ წვიმდა. ფიქრის გორაზე უამრავი ხალხი ტრიალებდა. ბაირალებით აფრიალდნენ შავი ქსოვილები. მწუხარე სახეებით დაღდასმული ხალხი კი არ არღვევდა, უფრო ამძიმებდა ჩემს მარტოობას. ათასი თვალი დამდევდა და ჩემს ყოველ ნაბიჯს, ყოველ სიტყვას ჭორის საბაბად ხდიდა. მათი თანაგრძნობა იმდენად იყო დაშორებული ჩემს სანუხარს, რომ ობლად ვგრძნობდი თავს, მაგრამ გამუდმებული თვალთვალის გამო ვერ ვიძირებოდი ჩემს მარტოობაში, ადგილს ვერ ვპოულობდი. თანაგრძნობას ვაქცეული, ნელა მივყეობოდი შემოდგომის ქუჩას. დალი მოგონებდად იქცა. კოშკიც საოცრად დაპატარავდა, სიძი ქვით ნაგებ ქობს დამსგავსა...

– ამირანი! – ქარის მოტანილი ყვირილი ყვითელმა ფოთლებმა ჩურჩულით გამოსცეს. ქუჩა აპოლონმა გადამოჭრა.

– ვიზიარებ, გამაგრდი, – ცრემლი მოიწმინდა და გადამეხვია, – თუმცა აღარ მეკარები, მაინც მიყვარხარ. მინდა შენი ადგილი დროზე იპოვო.

– ზევახის ამალაში? – ვკითხე.

– თავი დაანებე იმ მოხუცს. თავისი გაჭირვებაც ეყოფა. შენზე ნაკლებად არ უყვარდა დალი. ერთხელ თურმე ოქროს წვიმად იქცა და ისე ჩაიპარა მასთან.

– სურვილი მაინც ვერ აისრულა, – თავი გამოყო ბუჩქებიდან ვენერამ. – შერცხვენილი დავგვიბრუნდა.

– ასეა, შთაგონებაზე ვერ იძალადებ! – გაისმა იქვე იასონის ბოხი, ხავერდოვანი ხმა.

– რა ვიცი, მას მერე სულ რაღაცას წერს, – მხრები აიჩეჩა აპოლონმა. – დალის სიკვდილიც საშინლად განიცადა. უნდა გენახა, როგორ ბლაოდა...

– ნახვამდის. – ზურგი შეეპატყიე და უკან წამოვედი. ხეები უკვე ფოთლებშემოძარცვულნი იდგნენ. ელექტრომავთულებში ქარი ყმუოდა. აქა-იქ ფიფქის ვარსკვლავი ტრიალებდა წვიმის ცერად ჩამოშლილ თმაში. ფიქრის გორა ხალხით აივსო. ხვეწმოდა და იზნიქებოდა ათასჯერ ავლილ-ჩამოვლილი კიბე. კოშკის აივანზე სამგლოვიარო მუსიკა იღვრებოდა. ოთახში შევედი და კედელს ავეყუდე.

ისევ იმ შორეული მაისის სიმწვანე დამიდგა თვალწინ. ჯერ იყო ბინდისფერი წყვდიადი, შემდეგ ფერთა ნონასწორობა დაირღვა, მწვანე ტალღა წამოვიდა, დაიმსხვრა, ნამსხვრევები გამკვეთრდნენ და ფოთლებად იქცნენ. საოცარი! მას შემდეგ მრავალი მოგონება გაიცრიცა, დავიწყებას მიეცა, ის წუთიერი შთაბეჭდილება კი სამუდამოდ ჩამრჩა და სულის სამკაულად მექცა. ის ბურუსით მოცული ხილვა ამოვარდნილი იყო ჩემი წარსულიდან, რაღაც სხვა იგრძნობოდა მასში, რაც ფარულ მიმზიდველობას, დაუსრულებელ სიღრმეს ანიჭებდა.

რითი სჯობია ნახატს სინამდვილეს? ცოცხალ სილამაზეს, დაუხატავ ფერს სხვა სიღრმით განიცდი, სხვა მნიშვნელობას ანიჭებ. ის შორეული მაისის სიმწვანეც არ იყო მხოლოდ მოგონება, გარდასულის გამეორება, ის ცოცხლად იყო შემონახული, ნამდვილივით ამოუნურავი აღმოჩნდა და რამდენჯერაც არ უნდა დაუნაფებოდი, სულ ახალ-ახალ ხილვებს ვიჭერდი. თუ ერთხელ ამწვანებულმა გორამ ქალღ-

მერთის სევდანარევი ღიმილთან მიმიყვანა, ახლა მის ფერდობზე ბიჭი გამოჩნდა, ჩემი სახიერი, ძალიან მომინდა მოვფერებოდი, მაგრამ მივეკარე თუ არა, სახე აიძვრა და გამოსახულება გაქრა და მაშინ მივხვდი, თუ რამდენად ნაზი და ცვალებადი იყო ის, საიდანაც ჩემი ცხოვრება იღებდა სათავეს; შემოვბრუნდი და კედელს მივადევი აცრემლებული სახე.

დაღამდა. ხალხი ნავიდ-წამოვიდა და სინათლის თაფლისფერი შუქი ტკბილი, მათრობელა ბანგივით დაგროვდა კოშკში. კედელზე მოციმციმე სინათლე ჭერადან ჩამოწოლილ წყვდიადს შეეჯახა. ნალველი შემომანვა გულს. მინდოდა მეგრძნო ტკივილი, რომ წუთით მაინც დამეჩინა ფიქრით ნანამები სული! მინდოდა მეყვირა, რომ დამერღვია ეს უფერო, უბოროცო, უხილავი სიჩუმე, მაგრამ სინათლის ალით მოწუსებული, ვერ ვახერხებდი ვერც ხმის ამოღებას, ვერც განძრევას, თითქოს გრძნეულმა ხელმა ნაბდის მათრაზი გადამკრა. ძარღვები დამანყდა, ოფლი ღვარად ჩამომდიოდა, ცრემლი მახრჩობდა. ქანდაკებად ვიქეცი. დაძაბულობამ გაამძაფრა ჩემი აღქმა. გარკვევით ვხედავდი, ცხადად ვისმენდი ყველაფერს. ზღვარი გაქრა თვალსა და ყურს შორის და მე დავინახე, როგორ დაიმსხვრა სიჩუმე უამრავ ბგერად, როგორ დალაგდნენ ეს ბგერები ნაბიჯების ხმად, როგორ გაიჭრიალა კარმა და ოთახში რიდეაკრული კაცი შემოიპარა. თუმცა ძალიან ფრთხილობდა, იატაკი საშინლად ზანზარებდა მისი სიმძიმისაგან. ყოველ ნაბიჯზე სანთელი თრთოდა, შუქი კედელს აწყებოდა და რიდეაკრულ სახეს ანათებდა. ამ დროს უცნობიც სწევდა თავს და შემფოთებულ მზერას შეაპარებდა სანთელს. ასე მიადნია მიცვალებულს, სახელოები აი-

კაპინა და ის იყო, რაღაც რიტუალს უნდა შესდგომოდა, რომ ერთხელაც მოიხედა და როგორც იქნა, მომკრა თვალი.

– მე აპოლონის ნათესავი ვარ, – მითხრა, – მიცვალებულს წესი უნდა აუუგო.

ამ სიტყვებით ტაში შემოჰკრა და ცეკვა დაიწყო. ტრიალებდა და ადგილზე ბუქნავდა. სწორედ ამ დროს ინათა და მზის სხივი მიცვალებულს დაეცა. წამოვდექი და ამ გულისამრევ მასხარას საყელოში ვწვდი.

– გადი, – ჩაეწურწულე, – გადი, თორემ დაგახრჩობ.

– მოითმინე, ახალგაზრდავ! – თქვა და ისე მარჯვედ გამისხლტა, ცარიელი მოსასხამი შემატოვა ხელში. მერე დავინახე, როგორ მოიგდო ზურგზე ცხედარი და კარისკენ გაიქცა. ერთი ნახტომით დავენიე, ნადავლი გამოვტაცე, ყელში ვწვდი.

– ოღონდ ნუ მომკლავ და სულს სხეულში დავაბრუნებ, – ამოიხრიალა.

ხელი ეუშვი. უცნობმა მიძინებულს ხელი შეახო და უეცრად თვალი აუხილა, სული ჩაუდგა!

არ მახსოვს, როგორ ვეხვეოდი, როგორ ვკოცნიდი დაღის. თვალს ვერ უუჯერებდი. მეშინოდა, არ გამქრალიყო.

– ნუ გეშინია, აღარ მიგატოვებ, – მითხრა, – ოღონდ ფრთხილად იყავი, უკან მიიხედე.

ვიდრე მოვტრიალდებოდი, ის ხელიკისფერი ჯამბაზი მომეპარა და სილა შემომკრა. ოთახი შეტორტმანდა. გაქრა სხივთა თამაშით შემდგარი სახე, თვალთ დამიბნელდა და გამოვიღვიძე.

თავზე აპოლონის ნათესავი მადგა და ხელს ნაღმა-უუღმა მირტყამდა. სახე მართლაც ღია მწვანე ჰქონდა, დახავსებული ჭაობის ფერი. მის არა-

მინიერ სიფერმკრთალეს შავი სათვალე და წითლად შეღებილი ტუჩები თოჯინურ იერს აძლევდნენ.

– როგორ შემაშინე, – დაიღრჩვა და ცრემლი მომწმინდა, – ძილში ყვიროდი, მუშტებს იქნევდი, შემდეგ წამოხტი და კუბოს გარშემო სირბილი დაიწყე.

– დამესიზმრა, რომ მკვდარი გაცოცხლდა.

– ეს შეუძლებელია. – თითი ასწია. – ასეთი რამ გულშიც კი არ უნდა გაიელო. სიკვდილი რომ არ არსებობდეს, სიცოცხლესაც დაეკარგებოდა აზრი.

– ახლაც მგონია, რომ თვალს აახელს და წამოდგება. – გავეჯიუტდი.

– გაგიჟდა! მწუხარებამ გააგიჟა! – აყვირდა მწვანე მასხარა და ტახტზე ჩამოძინებულ ღამისმთევლებს ეცა. – გაიღვიძეთ! ამირანი გაგიჟდა.

ოთახში ჩოჩქოლი შეიქნა. სამი ჭირისუფალი დამძეკრა. აივანზე გამათრიეს. ვილაცამ თოკი მოარბენინა და სვეტს მიმაბა. თან დამტიროდა, რაღა გეშველებათ. გათენებამდე ჯერ შორს იყო და სახლი ისევ ძილმა მოიცვა. უეცრად შრიალი მომესმა. მოვიხედე და იასონი დავლანდე, რომელმაც თოკი გახსნა და შემომაცალა.

– მადლობას მერე მეტყვი, – ჩამწურწულა, – დაღის მიხედვით.

ოხერა და ბუტბუტი მომესმა მიცვალებულის ოთახიდან. შიგ შევიჭყიტე და ისევ ის მეტიჩარა უცნობი დავლანდე! ჩემგან ზურგშექცევით იდგა. განსვენებულს სუდარა გადააძრო, ეშვი გადმოაგდო და მისი ყელი ჩაპიჩა. ის იყო დაიკრუსუნა და ტუჩები მოილოკა, რომ ზურგიდან მივეპარე და ხელი გადავუგრისე.

ამჯერად ჩვენი ორთაბრძოლა უფრო მძიმე და ხანგრძლივი გამოდგა. უცნობი ათასნაირად მისხლტებოდა, მაგრამ მე გასაქანს არ ვაძლევდი, ბო-

ლოს მაინც გამეჭვავა, აივანზე გადაძვრა და მოაჯირიდან გადახტა.

შემოვბრუნდი. სანთლის შუქი კედელს გაეთამაშა და კუბოს ოქროსფერად დაუფინა. დაღლიმ გაიღიმა, წამოინია და მზერა შემომანათა.

- ახლა მაინც გამიფრთხილდი, - თქვა და მიიხედა-მოიხედა.

- სიზმარი ხარ თუ ცხადი? - ჩურჩულით ვკითხე.

- განა ცხადი სიზმარი არ არის და სიზმარი ცხადი? - შემომბრუნა კითხვა. - ყველაფერი შეიძლება აგვიდეს, რაც ძალიან გენატრება, ოღონდ ფრთხილად იყავი, ფარდა ჩამოუშვი.

მოეტრიალდი, მაგრამ ვერ მოვასწარი ფარდის ჩამოშვება, რომ ფანჯრიდან იმ უცნობმა შემოიჭყიტა და სანთელს სული შეუბერა. ტახტის კიდეზე ჩამომჯდარი გამოსახულება დაიბრიადა, გაქრა. ლამის წყვდიადი ჯერ მთვარემ გაკვალა, შემდეგ ამომავალმა მზემ დაარღვია.

ლამისმთვეელები სკამებიდან წამოიზღაზნენ. აპოლონმა მთქნარებამთქნარებით ყინულის ნაჭრები შემოიტანა და მიცვალებულს ირგვლივ შემოუნყო. კედლის საათმა შვიდი დაჰკრა. ოთახში შავსათვალის კაცი შემოვიდა. აპოლონმა წარმომიდგინა როგორც თავისი ნათესავი, როგორც ქელების განთქმული თამადა და სამგლოვიარო რიტუალის ბრწყინვალე მცოდნე.

- სათვალე რატომ გიკეთიათ? ჯერ მზე ხომ არ ამოსულა? - ვკითხე.

- დღის სინათლეზე თვალები მტკიოვა, - თავი იმართლა, - ნეტავ სულ ლამე იყოს!

სახე მომწვანო ჰქონდა, თანაც ფერმიხდილი. ნითლად შეღებილი ტურებიდან ოქროს კბილი უელავდა.

- გამოსვენება ოთხზეა? - მკითხა. თავი დაუქნევ და გავეშორდი. ეზო-

ში ხაკისფერ კარავს შლიდნენ. იქვე ქალები ფუსფუსებდნენ. აივანზე შავი ფარდები ჩამოკიდეს. დაღის ოთახი დაცალეს. აივანი გაივსო ირმის ტყავებით, სპილოს ძვლის საეარცხლებით, პერგამენტის თხელი, გამჭვირვალე კაბებით; ველარც გამამთიელები დააბიჯებდნენ ზედ. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ჩემი შთაგონება, ჩემი სიყვარული აივანზე იყო გამოფენილი. ოთახში დაღი იწვა. იწვა ფიქრსა და ნუხილს გაქცეული, ან მოგონებად ქცეული. კუბოს ვილაც აღქაჯი დარაჯობდა. ბრძანებებს აძლევდა საქმიანად მოფუსფუსე კაცუნებს, ლანდი რომ გასდიოდათ ყურებში. იქვე მეორე, გრძელთმიანი არსება იდგა და თვალს იხატავდა. თმას ცეროდენა, ვერცხლისწყალივით მოუსვენარი ბიჭი უვარცხნიდა. საიდანღაც მეცნობოდნენ ეს სახეები, თუმცა მათი ამოცნობისა და გახსენების არც თავი მქონდა, არც სურვილი; სულ მიწოდდა, დაღიზე მეფიქრა. მესხიერებაში მაინც აღმედგინა, წამით მაინც გამეცოცხლებინა მასთან დაკავშირებული წარსული, მაგრამ ვერაფერს ვიხსენებდი, მოგონებათა სკივრი არ იხსნებოდა, არეულობითა და ფუსფუსით ამღვრეული გონება ამაოდ ეჭიდებოდა მის ბოქლომს. ეზოში კი მთელ ქალაქს მოეყარა თავი. ცალ-ცალკე ყველა ხელს მართმევდა, მაგრამ მე ვერავის ვარჩევდი სახედაკარგულ, შავად შედედებულ ბრბოში. პანაშვიდი დაიწყო. დრო იყო მაღლა ავსულიყავი, მაგრამ შევდგი თუ არა კიბეზე ფეხი, აღქაჯმა ვილაცას დაუსტივინა, კაცუნების ჯოგი კიბეზე ჩამორეკა და მოაჯირს მოწყვეტილი, უკან ჩავგორდი. მაინც მოვასწარი და თვალი მოკვარი ოთახის ანუელ ფარდას, საიდანაც აპოლონის ნათესავმა გამოიხედა და გასისხლიანებული ეშვი მოილოკა. წა-

მიც და აივანზე ავძვერი, უცნობი ფარ-
დიდან გამოვართვი და ქვეშ მოვიგდე.
თუმცა სიზმარში ორჯერ დავამარც-
ხე, ახლა ისევე მოლონიერდა. რამდენ-
ჯერ ძირს დავცემდი, ძალა უფრო ემა-
ტებოდა. მაშინ მინას მოვნყვიტე, აე-
ნოე და ხელი ყელში წაუჭირე. ალქაჯ-
მა თავისი ხროვა მომიქსია, კაცი
ძლივს გამომტაცეს ხელიდან, მაგრამ
ვიდრე გამაკაებდნენ, მოვასწარი და
შავი სათვალე ჩამოვვლიჯე. გოცების
ოხვრა აღმომხდა. ჩემს წინ ბატონი ზე-
ვახი იდგა და გალიმებას ცდილობდა.

- ნესი მინდოდა მიცვალებულისთ-
ვის ამეგო, - თქვა და თავი ასწია, - მა-
მა-პაპადან მოგვედევს ეს ჩვეულება და
არ უნდა ვულალატო მას.

- ნესის ასაგებად კი არა, სულის
ნასალებად ხარ მოსული! - დავუყვი-
რე.

- ეს როგორ მკადრე, - გამინყრა
და ხალხს მიუბრუნდა, - ამირანი დარ-
დმა დააბრმავა და ბრალად მდებს მძი-
მე ცოდვას, თანაც უვიცობას ამჟღავ-
ნებს, თუ ფიქრობს, რომ სულელებზე ნა-
დირობა ჩემი სტიქია!

- თავს ნუ ისაწყლებს! - შევანყვე-
ტინე.

- ჩემო შვილო, - გააგრძელა ზე-
ვახმა, - ვიცი, რომ თავზე მეტად გიყ-
ვარდა დალი, მაგრამ ისიც ვიცი, რომ
შენი განზრახვა მკვლევლობაზე დიდი
ბოროტებაა.

- სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებთ,
- თავი დაუკრა ალქაჯმა და თმა გა-
დაივარცხნა. ხელის განაფულმა მოძ-
რაობამ სახის ნაკეთები საოცრად და-
არბილა, გააფაქიზა. ჩემს წინ ახლა
თინა იდგა და უტიფრად მისწორებდა
თვალს.

- დაბეჯითებით ვიტყვი და ამას
სიბრძნის განყოფილების წევრებიც
დამიდასტურებენ, - თინამ თავის კა-
ცუნებს გადახედა, - რომ მკვლევლო-

ბით იმის დაჩქარება ხდება, რასაც მა-
ინც ვერ გაექციევი, მკედრის გაცოცხ-
ლებით კი ბუნების კანონს ეკარგება
აზრი და ყველაფერი ინგრევა.

- ყოვლად უმსგავსო საქციელია, -
ჩაილაპარაკა ვენერამ.

ამ დროს ოთახის ფარდა გაიხსნა
და აივანზე დალი გამოვიდა. ვენერამ
შეპკიელა და დახუჭა საღებავით მოთ-
ხუნული თვალები, თინა ზევახს ჩაე-
ხუტა. ხალხი ნივილ-კივილით უკვე
ქუჩაში გარბოდა, მე კი თავდავიწყე-
ბით მიფერინავდი მისკენ. „არ მიუშ-
ვათ! ახლოს არ მიუშვათ!“ - ღრიალებ-
და ზევახი და მართლაც რამდენიმე კა-
ცუნამ გადამიღობა გზა, ზურგიდან
ვილაც დამეცა და სახეზე აქოთებული
ქსოვილი ვადამაფარა. ცხვირი დავა-
ცემინე და გამოვფხიზლდი.

ახლად გაჭრილ სამარესთან ვიჯე-
ქი. თავს ზევახი მადგა და ნიშადურში
ამოვლებული ცხვირსახოციტ მამრი-
ლებდა. შორიხლო ტირისუფლები
მოთქვამდნენ. უფრო მოშორებით სე-
ირის მაყურებლები იდგნენ.

- ძალიან შეგვაშინე, - მითხრა ზე-
ვახმა. - მთელი დღე უაზროდ იყავი.
გასვენებაშიც მთავარეულივით დაბო-
რილობდი. ისე გამოვიტანეთ, ისე და-
ვასაფლავეთ, არაფერი გაგიცია.

- ვინ? - გავიოცე.

- ვაი, შე საცოდავო! - ცრემლი
აუბრჭყვიალდა ვენერას მოხატულ
თვალებში. - არაუშავს. დანებები, იმ-
კურნალებ და ყველაფერი გაგიცლის.

ამ დროს ისევე დავინახე დალი. ის
ხალხში იდგა. თვალით რალაცას მა-
ნიშნებდა და ტუჩებზე თითს იფარებ-
და - არ გამამზილოო. მერე შეტრიალ-
და და ფიქრის გორაზე ავიდა.

- დალი! - დავუყვირე.

- დაიჭირეთ! - ხელი მტაცა ზევახ-
მა და ბორკილი ამოიღო. მაჯა გავითა-
ვისუფლე და აღმართ-აღმართ გავიქე-

ცი. მდევარი ნერტილივით დაპატარავდა. მეშინია უკან მოხედვის, მეშინია გამოღვიძების, მეშინია, არ აიძვრეს და ბინდით არ დაიფაროს ფიქრით ვამჭვირვალე გორა, რომლის მწვერვალზე ჩემი შთაგონებაა გაცოცხლებული, ამიტომ ფერდობზე შეფენილ ბაღს შევაფარე თავი და მრავალნერტილით გაეწყვიტე სიტყვა, რომ ისევ სიზმარი არ აღმოჩნდეს ეს ყველაფერი...

ურჩხული

აქ, ბალის მწვანე სიჩუმეში ვიგრძენი, რომ მოუხელთებელია ზღვარი მოჩვენებასა და სიცხადეს შორის. თვალი ვერ იჭერს სულისა და სამყაროს შეხების ნერტილს. საგნები, რომლებსაც ვხედავთ, უკვე დაფარულნი არიან იმ უნაზესი გარსით, სადაც წარმოსახვა სინამდვილეში გადადის. ასევე მიუწვდომელია გამოღვიძების წამი, სადაც თავდება სიზმარი და იწყება ცხადი, მაგრამ ეს წამი არსებობს, ისევე როგორც არსებობს საგანთა ის უხილავი შრე, სადაც ხილვა სიცხადეს იძენს. თუ მე ყოველ დილით გადავდივარ სიზმარ-ცხადის ხიდზე, მე ასევე შეუგრძნობლად გავდივარ ამ შუამავალ შრეს. ეს არის თავისუფლების წამი, ყოფნა-არყოფნის ის უხილავი მიჯნა, სადაც აღარა ხარ დაბადებასა და სიკვდილს შორის მოქცეული არსება. მეც ცვდილობ, შევაჩერო ეს გაქცეული წამი, თავი შევიმაგრო მწვერვალზე, რომლის ერთი კალთა სიზმარია, მეორე ცხადი. საოცრად მსიამოვნებს აქ ყოფნა, რადგან ვგრძნობ, რომ დალიც აქ არის, ჩემი მონატრებები გაცოცხლებული, მარადმწვანე უსასრულობაში გამდნარი. ქალაქიდან კი ხალხის ტალღა მოინეკვს, რათა ჩამომრეცხოს ფიქრის გორიდან. ზევახმა ძებნა

გამოაცხადა ჩემზე, როგორც სამიშ დამნაშავეზე, რომელმაც გაბედა და ბედის საზღვარი გადალახა, უკულმა დაატრიალა სიკვდილ-სიცოცხლის ჩარხი.

– შორს ვერ წავიდოდა, – ისმის მისი მქუხარე ხმა. – გაჩხრიკეთ ბალი, ცეცხლის ნაუკიდეთ ბუჩქებს.

გამთენიისას ცეცხლმა ზევით ამოაღწია და ბალის კიდე შთანთქა. გასაქცევი აღარსად იყო. ერთხანს სიბნელეში ვიმალებოდი, მაგრამ ხანძარმა ცაზეც გადაინაცვლა. დანაცრდა, ჩაიფერფლა ღამე. გაღვივდა, გავარვარდა აღმოსავლეთი. ზევახი თავისი ხალხით უკვე კოშკთან იდგა.

– აბა, ბიჭებო! – დაიქუხა, – მოვს-პოთ მტრის ბუდე!

კარი მოარყია და კედლიდან მოგლიჯა. კოშკის ფასადი ჩამოინგრა, სახურავი ჩამოიშალა. ბრბო გაცოფებული ღრილით დაექგერა ნანგრევებს. ბუჩქებიდან გამოვხტი და ხალხისაკენ გაექანდი. ბედზე იასონმა დამინახა და გზა გადამიჭრა.

– ჩაგქოლავენ!

სწორედ ამ დროს ზევახმა მომკრა თვალი და ქვას წამოავლო ხელი. მას დანარჩენებმაც მიბაძეს.

– აქეთ! – მომესმა ჩურჩული და კლდის ძირას, ნაპრალთან ბადრი დაეღანდე.

– ეს გვირაბი გმირთა მოედანზე გაგიყვანს.

მტაცა ხელი და გამოქვაბულში შემავლო. ირგვლივ სიბნელე ჩამონვა. ვგრძნობდი, როგორ ვეშვებოდი ქვევით და ქვევით, გვირაბის ბოლოს მოციმციმე სინათლისაკენ: როგორც იქნა მივალნივ მას, ლუკს მივანექი, გადავაგორე და ზევით, ტროტუარზე ავძვერი. მანქანები ბუდედანგრული ჭიანჭველებივით ტრიალებდნენ გარემო.

– ოთახს ხომ არ ეძებ შეილო? – მომესმა ნაცნობი ხმა და ხეს კუზიანი დედაბერი გამოეყო.

– ჩემი ნუ გეშინია, – დააფჩინა პირი. – მე ყველა გაჭირებულს ვმფარველობ.

სახეც ხმასავით ნაზი ჰქონდა. ისეთი ალერსიანი, ისეთი თბილი, რომ არც კი დაეფიქრებულვარ, ისე დავუქნიე თავი.

მოხუცი ფოხს დაეყრდნო და კოჭლობით ნამიძღვა. კიბეებზე ავედი და მრგვალ სასახლეს მივადექით. ერთი კი გავიფიქრე „აქ რა ჯანდაბა მინდა-მეთქი“, მაგრამ მოხუცმა ხმის ამოღება აღარ მაცალა, ბაგეებზე თითი ამაფარა და მარმარილოს დერფანში შემეყვანა. სექტორებს შორის ჩამოშვებული ფარდა შიგნიდან ანათებდა. შოლტის ტკაცანი და განურჩეველი ხმა აღწევდა ჩემამდე. სულმა ნამძლია და შევიხედე.

ცირკის მანეთი დეკორაციებით იყო შემოლობილი. ფარდაზე ქალაქი ეხატა. შორს მთები ჩანდა. ვარსკვლავებით მოჭედვით გუმბათს იის სილურჯე ჰქონდა ნაფენილი. სადღაც სიღრმეში მთვარე ბუბუბავდა. პორიზონტზე აბლაბუდები ეკიდა. ლომის ტყავში გახვეული ათლეტი გრძელი ჯაგრისით რეცხავდა ცას.

ქვევით რეპეტიცია მიმდინარეობდა. ბრჭყვიალა შარვალ-პერანგში გამონყობილი მწვრთნელი ზურგით იდგა და შოლტს აყოლებდა კენტავრს, რომელიც ჯებირზე დარბოდა. მანეთზე აკრობატები ვარჯიშობდნენ. კულისებში გალია იდგა. შიგ ბადრი და იასონი ისხდნენ.

– მოვიყვანე. – დედაბერმა ფოხი მოისროლა, ნილაბი მოიხსნა და მხრები გაშალა.

უკან დავიხიე, მაგრამ აქეთ-იქედან დამძვგერნენ და გამაკავეს.

მწვრთნელი ჩვენკენ შემობრუნდა... ისევ ის ცივი, ჩამქრალი მზერა, ის ჯაგარაშლილი თმა და მტაცებლის-ნაკვთებიანი სახე... ზევახმა ჯერ თინას გაულიმა, შემდეგ მე გამომხედა.

– შევენყვიტოთ ვარჯიში, – გამოუცხადა თავის კაცუნებს. – პატარა სხდომა გვაქვს ჩასატარებელი.

აკრობატები სმენად იქცნენ. შიშმა ჩამოაგრძელა ისედაც დაძაბული სახეები.

– შენ ნაიკითხე, მე არ შემიძლია, – ზევახმა ბარათი ამოიღო და თინას გადასცა.

– მიღებულია ელვა გველესაპთა საზოგადოებიდან, – მიმიღე წარმოთქვა თინამ, – „შეგახსენებთ, რომ ხელშეკრულების თანახმად „ოლიმპის“ გაერთიანებამ ყოველწლიურად სამი თანამშრომელი უნდა შესწიროს ქვესკვნელში მცხოვრებ გველესაპს. ვინაიდან ხარკის გაღების ვადა გავიდა, გთხოვთ, უვარგისი თანამშრომლები დღესვე გადარიცხოთ გველესაპის ფონდში“.

– რა ექნა? – ხელები გაშალა ზევახმა, – ჩემი დანესებული არ გახლავთ ეს ხარკი. როცა „ოლიმპს“ ვაშენებდი, ურჩხულმა დამაფინანსა, ადგილიც დამითმო, თვითონ ქვესკვნელში ჩავიდა, სამაგიეროდ ეს ყოველწლიური ხარკი დამაკისრა.

სახეზე ხელი აიფარა და აქვითინდა. დანარჩენებმა ბანი მისცეს.

– ნელს შავ სიაში არიან, – თინას ხმა აუთრთოლდა, – ამირანი, იასონი და ბადრი.

აქვითინებულმა ზევახმა გულში ჩამიკრა. ხელი მოვხვიე და ქარქაშიდან ხმალი ამოვადრე, მაგრამ მოქნევა ვერ მოვასწარი, რომ უკან გამათრიეს და გალიაში შემავდეს. ზევახმა ღიღის თითი დააჭირა, იატაკი გაიხსნა და ნელნელა ქვევით ჩავეშვით.

გაზის შუქით განათებულ დარბაზში მოვხვდით. დარბაზი ნაზი, სურნელოვანი ჰაერით იყო გაჟღენთილი. გალია თავისით გაიხსნა და კონვეიერმა დარბაზის სიღრმეში გაგვიტაცა, სადაც სირინოზების გუნდი მღეროდა. გონებას მიმღვრევდა მათი სევდიანი ხმა.

– არ მოუსმინოთ! – ყურებზე ხელები აიფარა იასონმა. – ერთხელ გემზე მონაწყვეს კონცერტი და ტკბილი პანგებით ისე გაგვაბრუნეს, ნახევარი ხალხი ზღვაში გადაცივიდა...

სწორედ ამ დროს სოლისტმა გიტარას თითები ჩამოკრა და ნაზი ხმით სიმღერა დაიწყო. სიტყვები ვერ გავარჩიე, მელოდიაც გაიფანტა ნაირფერ ვარიაციებში და მუსიკის ამ ბუნდოვან ფონზე დალის სახე გამოიკვეთა.

დავინახე ჩემკენ გამონვდილი ხელი და სცენისკენ გაექანდი, მაგრამ იქამდე ვერ მივალნიე. სცენასა და დარბაზს შორის საორკესტრო ორმო აღმოჩნდა. თავი ველარ შევიმაგრე და ორმოში გადავეშვი.

ირგვლივ უამრავი ხალხი ტრიალებდა. ხელებს ზევით იწვდიდნენ და ამოოდ ცდილობდნენ ორმოდან ამოძრომას. დაჭაობებული ფსკერი რაღაც ნებოვანი, მთხლესავით მომწვანო ქერქით იყო დაფარული. ეს ლავასავით მოძრავი ქერქი ნელ-ნელა თავის სიღრმეში გვითრევდა და სცენის უკან მიგვაქანებდა, სადაც კედელზე გველემშაპის თავი იყო გამოძერწილი. ზედ აბრა ეკიდა.

„ძვესკნელის გველემშაპის საზოგადოება“

ბრძოლით ქანცგანწყვეტილი, უკვე ბედს შერიგებული ხალხი გველემშაპის ხახაში მიმავალ ნაკადს მიყვებოდა,

ზოგიერთები წინაც კი მიძვრებოდნენ, რომ ამით მაინც გამოეჩინათ თავი და პირველი ჩავარდნილიყვენენ ურჩხულის მუცელში. ტალღამ ეშვებს მიმახეთქა, ხაოიან გამოქცეაბულში შემავდო, ენაზე ფეხი მომიცურდა და ქვევით, ყანყრატოში ჩავსრიალდი.

რომელიღაცა დანესებულების დერეფანში მოვხვდი. ირგვლივ საშინლად დაბუთული, მძალე, გულისამრევი ჰაერი იდგა. ტყავის შავ-მოყავისფრო კარებიდან საბეჭდი მანქანების კაკუნი გამოდიოდა. დერეფანი ხალხით იყო გაჭედილი. ზოგი ბოლთას სცემდა, ზოგიც საქმიანად მიდი-მოდიოდა. დერეფანი წყდებოდა ძველ, დახავსებულ კართან, სადაც ხალხის რიგი იდგა. კარს ეწერა:

„ურჩხული.“

რიგი გავარღვიე და პატარა ოთახში აღმოვჩნდი.

– თქვენ მსხვერპლად შეწირული ხომ არა ხართ? – სავარძლიდან წამოდგა მკედარივით გაფითრებული კაცი.

– რას ჰქვია მსხვერპლი! – გავბრაზდი.

– ამირანი ბრძანდებით? – თვალეზი გაუბრწყინდა კაცს. – ძალიან სასიამოვნოა. აქეთ მობრძანდით, აქეთ. დილიდან გელოდებით. საუზმეზე უკვე დაგაგვიანდებათ, მაგრამ ვცეცდები სადილისთვის მოგიხერხოთ რამე.

ამ სიტყვებით სახეგაფითრებული კაცი კაბინეტისკენ წამიძღვა.

– ურიგოდ რატომ მიძვრებით? – აყაყანდა ხალხი.

– ჩვენ თანამშრომლები ვართ, – ცივად მოუჭრა ჩემმა მეგზურმა.

– მერე როდემდე უნდა გვაცდევინოთ? ბარემ მოგვინელოს და ვგაა!

– დამშვიდდით, ყველას გამოგიძახებთ. – თქვა კაცმა და კარი მოიჯახუნა.

ურჩხულის კაბინეტთან, კანცელარიაში სავსემკერდიანი მდივანი თელემდა.

- ია! გავიღვიძე, ძვირფასო, შესანიშნავი მოვიდა!

მდივანმა თვალეები მოიფშვინტა.

- დღეს აღარაფერი მოესწრება, - დაამთქნარა, - გუშინ შემოსული ჯგუფები არ აგვითვისებია.

- ეს ყმანვილი „ოლიმპიდან“ არის, ურიგოდ შეუშვი, - სთხოვა გაფითრებულიმა კაცმა.

- სულ ერთია, ლოდინი მოუნევს. სადილი ოთხზეა, - გამოაცხადა მდივანმა.

მოთმინება გამომელია, ხანჯალი ამოვიღე და კაბინეტისკენ დავიძარი.

- მიდი, მიდი! - ტაში შემოჰკრა მდივანმა. - ლაპარაკი არ გაუბა, მაშინვე რქებში ეცი! ეგებ გვიშველო რამე!

კარი შევალე და შევედი. კაბინეტი რბილი, ბინდისფერი შუქით იყო განათებული. კომპიუტერის მაგიდასთან თავგასიებული ურჩხული იჯდა და ეილაცას ტელეფონით უყვიროდა:

- არ შემოძლია მარაგი გამოთავდა! მე აქ სიტყვის სახადოები კი არა მაქვს! კარგი ლექსი დეფიცია. საუკუნეში თითო-ოროლას ვანაწილებთ. არა! არ მიმიღია და თვითონ ხომ არ დავნერ? ვიდრე ნედლეული არ შემოვა, ვერაფერს მოგანვდი!

ყურმილი დაახეთქა და მომიბრუნდა:

- რით შემოძლია გემსახუროთ?

- თუ ვაეკაცი ხარ, გამიმავრდი! - აღვმართე ხანჯალი.

- აჰა, ეგა? - გაიცინა, - შეინახე, თუ ძმა ხარ, თავი არ მომჭრა. ნუთუ ასე მარტივად გესმის ორთაბრძოლის აქტი? დღეს ვილა ხმარობს ხანჯალს? ლოგიკაა ბრძოლის იარაღი. მართლა

ხომ არ გგონია, რომ შეგჭამ? გადატანით მნიშვნელობა არ გავიგია?

ნელ-ნელა მივუახლოვდი.

- გაჩერდი-მეთქი, ნუ სულელობ. - შიში გაკრთა მის ხმაში, - ნუ თამაშობ მოდიდან გამოსულ გმირს, ნუ მისტირი წარსულს. არ გინდა, ხასიათი გამოგისწორო? კარგად დაგლეჭო, გადაგამუშავო და თავიდან გამოგძერწო? ნაწარმოებიც მოიგებს, შენც გაბედნიერდები.

ხანჯალი მოვუქნიე, მაგრამ სწორედ ამ დროს ტელეფონმა დარეკა.

- ერთი ნუთით! - შემაჩერა და ყურმილი აიღო. - გისმენთ! არ შემოძლია, ორთაბრძოლა მაქვს!

დაკიდა თუ არა ყურმილი, ხანჯლის წვერი ყელზე მივაბჯინე, მაგრამ ყურადღება არ მომაქცია და ახლა თვითონ დაიწყო რეკვა.

- ალო! ინსტიტუტია? დამავიანდება, ორთაბრძოლა მაქვს. რაო? ხომ არ გავიწყდებათ, ვინა ვარ? ხანდახან ჩემი საქმეც ხომ უნდა გავაკეთო?

ხანჯალი მივაჭირე. ლაბაბი გაეჭრა და სისხლის ნაცვლად რალაც მყრალი, მომწვანო სითხე გადმოლეკარა პერანგზე. აყვირდა სირენა.

- პირდაპირი ხაზია, - კანცელარიიდან გაისმა იას ნარნარი ხმა.

ურჩხულმა ჭრილობაში ცხვირსახოცი ჩაიფინა და შავი ტელეფონი აიღო.

- გისმენთ! ყოფნა-არყოფნის ბალანსი გაინტერესებთ? ბედისწერის ნიღში იქნება. - ამ სიტყვებით თაროდან დაეთარი გადმოიღო, ანბანს თითი ჩააყოლა და რომელიღაც ასოზე გადაშალა. შემდეგ ხანჯალი ხელიდან გამომტაცა და ის ფურცელი ფრთხილად ამოჭრა.

- ახლავე მოგართმევთ!

ყურმილი მონინებით დადო. მომიბრუნდა.

– ბრძოლა გადადებულია. ვერ ხედავ, გამოძახებული ვარ.

ისე მშვიდად მოიწმინდა ოფლი, ისე შემაქცია ზურგი, თითქოს არც ვარსებობდი, მაგრამ შიშს მაინც ვერ სძლია და წამით თვალი გამოაპარა ჩემკენ.

ამით ვისარგებლე. მომაქცია თუ არა ყურადღება, რქებში ვწვდი და კისერი მოუფრახე. ურჩხულს ნილაბი ჩამოუვარდა და ხელში ბატონი ზევახი შემჩრა!

– არ დამლუპო! – იღრიალა და მუხლებში ჩამივარდა. – არსად წამოგცდეს, რომ შეთავსებით ურჩხულად ვმუშაობ. მაშინვე მომადრობენ!

– ხელნაწერი დამიბრუნე, თორემ გაგათავებ! – დავემუქრე.

– ახლავე, ახლავე, – ჯიბეში ხელი ჩაიყო და რალაც მოჩხრიკა. – ქვევით ჩავიდეთ, არქივში.

კაბინეტიდან გამოვედით და კანცელარია გავიარეთ. საბეჭდ მანქანაზე თავმიდებული ია გამაყრუებლად ხვრინავდა. დერეფანი უკაცრიელი იყო. მხოლოდ ჩემი მეგზური, მკვდარივით გაფითრებული კაცი აპრილებდა იატაკს.

– არქივის გასაღები მომეცი, სამუშაო მაქვს, – თვალი ჩაუკრა ზევახმა და გასაღებების ასხმა გამოართვა.

დერეფანი გავიარეთ და ქვევით, ბოქლომდადებულ კართან ჩავედით. ზევახმა შიფრი აკრიფა, გასაღები კლიტეს მოარგო და ტყვიის კარი მძიმედ დასძრა.

ბანაჩენი

არქივი პატარა, კოლოფივით ოთახი აღმოჩნდა. ერთადერთ, რკინის გისოსებიან სარკმელზე გაზეთი იყო აკრული. იქედან მთვარის სინათლე იღვრებოდა და ვერცხლისფრად ახავერდებდა ჩამწკრივებულ თაროებს. ია-

ტაკზე წვრილ-წვრილი ასოები ეყარა. კედელი ათასნაირი სიტყვებით იყო მოჩუქურთმებული.

– აქ უნდა იყოს, – საძიებელი გამოალო ზევახმა და კარტოთეკის უჯრა მომანოდა, – შენ ამირანზე მოძებნე, მე დალიზე ვნახავ.

ზევახმა თაროები შეიანძრია და ძველი, დაობებული ყდებისგან მტერის კორიანტელი ავარდა. სული შემეხუთა. ჰაერი ისე დამძიმდა, რქტი დამესხა და დაუძლურებული სკამზე მივეგდე.

ბარათების გადასინჯვა კი არა, სუნთქვაც კი მიჭირდა. წელი ველარ ავნიე, თვალთ დამიბნელდა. მედუზასავით გამდნარი ზევახი კედელს მღვრიე ლაქად დაედო.

– ვერ ნახე? – მომესმა მისი ხმა, – ვერც მე მოვძებნე. იქნებ სხვის საქმეებშია შემთხვევით ჩარჩენილი.

ზევახის ხელმა მიყოლებით ინყო თაროზე ჩამწკრივებული საქალაღდეების ბერტყვა. ფურცლებთან ერთად ძირს ცეროდენა კაცუნებიც ცვიოდნენ. იატაკზე დაცემულნი, ზრდას იწყებდნენ. ერთ-ერთი საქალაღდედან ეროსი გადმოხტა, ზევახს ხელზე დაასკუბდა და ქვევით ჩასრიალდა. მეორე „საქმე“ კვირტივით გასკდა და იქიდან ქალბატონმა ვენერამ გადმოაბიჯა. ქალაღდებს შორის ჩაკეცილმა თინამ გემრიელად გაიზმორა, ხელ-ფეხი გაშალა და იქვე თაროზე მოიკალათა. აპოლონი ძლივს ააგლიჯეს ფურცლებს, ნესტორი კი ისეთ ღრმა ძილში იყო წასული, რომ ვიდრე „საქმესთან“ ერთად იატაკს არ დაენარცხა, ვერ გამოფხიზლდა, თვალის დახამხამებაში არქივი „ოლიმპის“ თანამშრომლებით აივსო.

– მომიტევეთ, მეგობრებო, ძილი რომ დაგიფრთხეთ, – ბოდიში მოიხა-

და ზევახმა, — მაგრამ დრო არ ითმენს. მამლის ყვივლამდე უნდა გადავწყვიტოთ მოლალატის ბედი!

რისხვით გადმოვხედა და განაგრძო.

— ეს ვაებატონი რახანია მებრძვის, სამარეს შითხრის და ამით მე კი არა, მთელ ჩვენს მოდგმას ლალატობს!

— გამოძიებამ დაადგინა, რომ ამირანი არ არის ჩვენი მოდგმის, — წამოხტა ეროსი. — იგი გახლავთ ქალღმერთ დალისა და მონადირის შვილი.

— გაავსეს ინსტიტუტი ამ გადამთივლებმა, — ჩაილაპარაკა ვენერამ.

— ჩამოეთრევიან ცხრა მთას იქიდან და მოსვენებას გართმევენ, — თავი გააქნია ნესტორმა.

— მე ვიცოდი ამის შესახებ, მაგრამ თვალს ვხუჭავდი, — განაგრძო ზევახმა, — მინდოდა ჩვენს ადათ-წესებზე აღმეზარდა, „ოლიმპის“ სამსახურში ჩამეყენებინა, მაღლობის მაგივრად კი ამ უმადურმა ბრძოლა დამიწყოს!

— საქმეს მაინც აკეთებდეს, — დაამატა თინამ. — მასალის შეგროვებაში მაინც გვეხმარებოდეს. წერს მხოლოდ შთაგონებით, შეკვეთების გარეშე.

— რა არის ამაში ცუდი? — ეჭვით თავი გააქნია მედეამ.

— ცუდი ის არის, რომ ხვალ მისი სიტყვით ანთებულმა ბრბომ შეიძლება გადაწვას და დაანგრის ყველაფერი, — თითი ასწია ნესტორმა.

— მართალს ბრძანებთ, — დაეთანხმა აპოლონი. — შემოქმედება ისეთი ცეცხლია, რომ ის მუდამ კეთილგონიერების ცხრაკლიტულში უნდა გყავდეს გამომწყვდეული.

— თენდება, — საათს დახედა ზევახმა, — დროა განაჩენი გამოვიტანოთ.

— თავი მოვჭრათ, — წინადადება შემოიტანა თინამ.

— არ შეიძლება, — ხელი გაასავსავა

ზევახმა. — ხალხი მის მხარეზეა და აქეთ მოგვჭრის თავს. ისეთი რამ უნდა დაუმართოთ, რომ ჩვენ არაფერ შუაში ვიყოთ.

— შეიძლება? — თითი ასწია ნესტორმა.

— ბრძანეთ, — დართეს ნება.

— თავს უფლებას მივცემ და შეგახსენებთ, რომ მე „ოლიმპის“ მთავარი ექიმი ვახლავართ. გაცნობის დღიდან ვაკვირდები ამირანს და ვგრძნობ, რომ მას სჭირს ღვიძლის უკურნებელი სენი.

— მშვენიერია! — ტაში შემოჰკრა ზევახმა. — ამ დიაგნოზით დაწვება იგი ჩვენს კლინიკაში და თუ არ მოკვდა, სამუდამოდ მაინც მიეჯახვება ლოგინს.

შემდეგ ნესტორს მიუბრუნდა და დაამატა:

— შეავსეთ ავადმყოფის ისტორია და გამოუძახეთ სასწრაფოს.

ნესტორის კლინიკა

ამ განაჩენის შემდეგ მართლაც აუტანელი ტკივილები დამეწყოს ღვიძლის არეში. უპაერობისგან ისე მივუძღლურდი, სკამიდან ველარ წამოვიწიე და სანიტრებმა რის ვაი-ვაგლახით დამდეს საკაცზე, ლიფტში შემაგორეს და ზემოთ ამიყვანეს, მანეჯზე, სადაც უკვე გველოდებოდა სასწრაფო.

გათენებამდე ვიარეთ. სასთუმალთან ნესტორი მეფხდა და წამდაუნუმ მაჯისცემას მითვლიდა. ის იყო მზის სხივმა გაარღვია სალონის ბინდი, რომ ბიძგი ვიგრძენი; მანქანა მკვეთრად დამუხრუჭდა და გვერდზე გადახრილი, გაქვავდა.

„ოლიმპის“ შენობას უკანა მხრიდან მივადექით. ოღონდ მთავარი კორპუსის ნაცვლად მინაშენში შევედით, სადაც კლინიკა იყო გახსნილი. გავიარეთ

აქოთებული დერეფანი, გავჩერდით მიმღებში, სადაც ტანსაცმელი გამხზადეს და ჭრელი, დაძონძილი ხალათი გადამაცვეს. ნესტორმა ჩემი ავადმყოფობის ისტორია შეავსო და ბრძანა:

- რეანიმაციაში!

უკან დამაბრუნეს და დერეფნის ბოლომდე მიმაგორეს. ტკივილი ღვიძლიდან დაიძრა, მთელ სხეულს მოედო.

- აქეთ, - ნესტორი ცარიელ პალატაში შეგვიძღვა.

კედელზე ღვიძლის აგრეგატი იყო ჩართული. რეზერვუარში სისხლი ტრიალებდა. თხელი კაპილარები დენის გენერატორიდან იღებდნენ სათავეს. ფეთქებოდნენ და ქრებოდნენ ათასნაირი ნათურები ნალველი წვეთწვეთად იღვრებოდა ზონდიდან მიღებში. მარცხნივ და მარჯვნივ ჯაჭვები ეკიდა.

სანიტრებმა კედელთან დამაყენეს და ხელეზე ბორკილები დამადეს. ჯაჭვებთან ერთად მავთულები მომახვიეს და ღვიძლის აგრეგატში ჩამრთეს. ნესტორმა სახელური გადაატრიალა და მუცელქვეშ დენმა გამიბრინა. ბასრი ტკივილი ვიგრძენი.

- გტკივა? - ოფლი მომწმინდა ნესტორმა. - გაუძელი. ეს ელექტრომასაჟია. სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს.

კარი გაიღო და პალატაში მნახველები შემოვიდნენ. მიხაკებით ხელდამშვენებულნი შემოგოგმანდნენ სილამაზის სალონის ქალები თავიანთ მშვენიერ დედოფალთან ერთად. აპოლონმა ფოტოაპარატი შემოიტანა და სურათი გადამიღო. ნესტორმა საჩვენებელი ჯოხი მუცელზე მომადო, ჩაახველა და დაიწყო:

- თქვენ წინაშეა მტაცებელთა ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენელი. იგი დაბადებამდე ამოკვეთეს დედის

მუცლიდან და გაახვიეს ხარის ფაშეში. ბავშვთა წარმოების წესის დარღვევამ მოგვცა წუნი: დაზიანებული ფსიქიკა და გადაგვარებული ღვიძლი. მომატებული ნალველი მას გულში აქვს დაგროვილი, რაც იწვევს სულიერ ძვრას. იგი ხდება აგრესიული, დაუნდობელი და ავი...

- მკურნალობის რა მეთოდს მიმართავთ? - შეაწყვეტინა ვენერამ.

- ელექტრომასაჟს, - უპასუხა ნესტორმა. - დირექციასთან შეთანხმებით განზრახული გვაქვს დენის თანდათანობით ზრდა, ვიდრე მუხტი მეხივით არ დაეცემა და არ დაავიწყებს წარსულს.

- თავად როგორ გრძნობს თავს? - დაინტერესდა ეროსი.

- სისხლი უდულს, - ისტორიიდან ამოიკითხა ნესტორმა. - გაძლიერებული წყურვილი აქვს თავისუფლების. ლამის განყვიტოს ჯაჭვი. მუცლის არეში ჩხვლეტებს უჩივის. გრძნობა არ დაუკარგავს. მიმდინარე მომენტში თვლემს.

აპოლონმა ბლოკნოტი ამოიღო და პკითხა:

- რაიმე ორიგინალურ და საინტერესო ტკივილს ზომ არ გრძნობს?

- არნივის სინდრომი დაუფდგინეთ, - ისევ ისტორიას ჩახედა ნესტორმა. - ეჩვენება, რომ გულზე არნივი აზის და ღვიძლს უკორტნის.

- ეგ უკვე მოძველებულია, - ხელი ჩაიქნია აპოლონმა.

მედვა მომიახლოვდა და ხელზე მომეფერა.

- ნამდვილი გმირი ხარ, - მითხრა.

- ცოტა მოითმინე, გაუძელი და შურისძიების ყამიც დადგება.

- ლალატია, ძმებო, - აყვირდა ნესტორი და მედავს მიუბრუნდა. - სირცხვილი არა გაქვს? მანუფზე, რეპეტი-

ციის დროს სულ სხვა ფრაზას ამბობდი!

- არ მოუსმინო მაგ აღქაჯს, - შემევედრა ვენერა, აღიარე დანაშაული და ყველაფერს გაპატიებენ.

- არა! - ვუპასუხე. - ბოლომდე შევესვამ ტანჯვის იმ ფილას, რაც ბედმა მარგუნა!

- რადგან თავისას არ იშლის, გაზარდეთ დენი! - გაისმა რადიოდან ზევახის ბრძანება.

ნესტორმა სახელური გადაატრიალა. ოთახი შეზანზარდა. მნახველები გარეთ გავარდნენ. პაერი ელვამ გაკვეთა და გონება დაეკარგე.

თვალი რომ ავახილე, თავს ნესტორი მედგა და წნევას მიზომავდა.

- ასე შეიძლება ავადმყოფის წვლებზე? - ბურანში ჩამსმსა ნაცნობი ხმა და კარს დადებულმა ლაქამ ნელ-ნელა ზევახის კონტურები მიიღო. - ექიმი ხარ თუ ჯალათი? - შეუყვირა ნესტორს. - გაეთრიე აქედან!

შეშინებულმა ნესტორმა უკან დაიხია და კარი გაიხურა.

- რა დღეში ჩაგაგდო ამ გადარეულმა! - თქვა ზევახმა და პირიდან სისხლი მომწმინდა. - ვის რად უნდა შენი ტანჯვა? ოღონდ დერთი სათხოვარი მაქვს, ნუ გამანბილებ.

ოდნავ შეიცადა და განაგრძო:

- შენი სტრიქონები ვერ ამოვიკითხე, არადა, ვგრძნობ, რომ სწორედ ისინი მაკლია. მათი სიმწვავე მჭირდება, მათი სიმზურვალე. იქნებ მომეხმარო?

- ვერაფერს გიშველი, - ვუპასუხე, - შენს წყალნარევ სიტყვებს ცეცხლი არ წაეკიდება.

- სამარეში მიგაქვს შენი საიდუმლო? - ხმას აუნია. - გამანდე ხელნაწერის აზრი და სიცოცხლეს გაჩუქებ. იასონს უკვე დავავალე შენი განთავისუფლება.

უარის ნიშნად თავი გადაქნიე.

- ახია შენზე, რაც მოვიცა! - დამიყვირა. - ქვესკნელში ჩაგაგდებ! ფერფლად გაქცევი! შენს სახსენებელს მოუსპობ!

ზევახმა ლილს თითი დააჭირა. კედელი მოირღვა, იატაკი გასკდა, მაგრამ ვიდრე ცის რისხვა მიწაში ჩამიტანდა, კარი ანჯამებიდან ამოვარდა და ოთახში ქერათმიანმა ქალმა შემოაბიჯა. მის დანახვაზე ზევახი შიშით აცახცახდა, კედელს აეკრა. ქალს საოცრად ნაცნობი სახე ჰქონდა. მისმა სურნელმა თავი ახადა მოგონებების სკიერს და სახელი მოუძებნა იმ იდუმალ ნაცნობს. „დალი“ - ვთქვი გულში და თვალი დავეხუჭე. ქალი მომიახლოვდა, მომეხვია და ჯაჭვები თავისით დამცვივდნენ. ნამოვდექი და სკამს წამოვავლე ხელი.

- არ მომკლა! - დამიყვირა ზევახმა. - ისედაც მკვდარი ვარ! გული გამისკდა შიშით!

ამ სიტყვებით რაფაზე აძვრა, ფარდა გადასწია და ფანჯრიდან ისკუპა.

- დალი! - დავიჩურჩულე და ხელი გავიწოდე.

- დროს ნუ კარგავ, - მითხრა ქალმერთმა. - შენი სტრიქონები სხვენზე ინახება, სახურავის ქვეშ.

ხანძარი

საავადმყოფოდან გრძელი შუშაბანდით მალლივ კორპუსში გადავედი. შესვენება დაიწყო და თითო-ოროლა ნაცნობი თუ გაიელებოდა დაცარიელებულ შენობაში. კიბეზე იასონი შემეფეთა. სულს ძლივს ითქვამდა. სახეზე ოფლი ჩამოსდიოდა.

- რატომ აინყვიტე! - შეპყვირა. - როლი დაგავინყდა? შენი ჯაჭვები მე უნდა დამემსხვრია?

- საკმარისია, - ვუთხარი, - მეტს აღარ ვთამაშობ.

- შენი ნებაა, - მხრები აიჩეჩა, -
ოღონდ თამაშიდან გასვლის წინ, ხელ-
ნანერი მაინც მაჩვენე.

- ნამომყვეი, - ხელი ჩავჭიდე.

ლიფტის კართან ბადრი დაგვხვდა.
როცა გაიგო, რომ სხვენზე, დირექტო-
რის კაბინეტში ვაპირებდით ასვლას,
თავ ზარდაცემულმა უკან დაიხია, მაგ-
რამ ერთგულებამ სძლია შიშს და სა-
მივე ერთად შევეუდევით ხელნანერის-
კენ მიმავალ აღმართს.

ლიფტი გრუხუნითა და ჭრიალით
დაიძრა, მაგრამ ბოლო სართულამდე
ვეღარ აბობლდა და შუაში გაიჭედა.
ვიღაცამ სინათლე გამოგვირთო. კაბი-
ნას სახურავი ავხადეთ და ბეტონის
დოლაბში, რკინის ბადეზე ავეცოცდით.
ჭაში ჩავიხედე. თავბრუ დამეხვა. რუხ-
მომწვანო წყვედადში ბუნდოვნად ანა-
თებდა ლიფტის ჩონჩხი. ჩხაკუნი მო-
მესმა და ბადე შეზანზარდა. ოფლმა
დამასხა. მივხვდი, რომ შუქი ჩართეს
და ლიფტი ჩვენს გასასრესად დაიძრა.

- ჩქარა! - დავუყვირე ძმებს. - სა-
ხურავზე ავასწროთ!

სულმოუთქმელად ავეცოცდი ზე-
ვით. ხელი დამისისხლიანდა მავთუ-
ლებზე; ლიფტი კი გრუხუნით გვიახ-
ლოვდება, ცოტაც და ბალღინჯოები-
ვით მიგვასრისავს კედელს; უკვე ჩა-
ვიქნიე ხელი, აზრი აღარ ჰქონდა გაქ-
ცევას; აღსასრულის მოლოდინში თა-
ვი ჩავლუნე და უეცრად შევნიშნე, რომ
ქვევით, კუთხეში ბადე გახეული იყო!

- აქეთ! - დავუყვირე იასონსა და
ბადრის.

ბენზე გავასწარით. ბადეში გავძ-
ვებით და ლიფტიც ამოვიდა...

სახურავქვეშ, ზედ სხვენთან აღ-
მოვჩნდით. გადმოცემით ვიცოდი, რომ
სადღაც აქ ზევახის კაბინეტი უნდა
ყოფილიყო, სადაც მხოლოდ განყოფი-
ლების გამგეები იკრიბებოდნენ და
ქვეშევრდომთა ბედ-იღბალს წყვეტდ-

ნენ. ნაბიჯი გადაედგი და სიჩუმეს ყუ-
რი მიეუგდე. ჯერ შრიალი მომესმა,
შემდეგ რალაცამ გაიჭრიალა და ვიღაცამ
ჩაახველა. სიჩუმესთან ერთად
წყვედადიც დაირღვა და თვალმა თან-
დათან გაარჩია ბნელით მოცული
სხვენი, საიდანაც ათასნაირი მავთუ-
ლები ეშვებოდნენ. კედელთან რალაც
მექანიზმი გუგუნებდა და უზარმაზარ-
ი ბორბალი ტრიალებდა. იქვე თოფ-
მომარჯვებული თინა იდგა და ბოქ-
ლომდადებულ კარს დარაჯობდა. მი-
ვეპარე და იარაღი ხელიდან გამოვტა-
ციე.

- გააღე, თორემ გაგათაყებ, - ვა-
ნიშნე ბოქლომზე.

- გინდ ზევახს მოუუკლივარ, გინდ
შენ, - დაიღრეჯა.

იარაღი მივაღე. ქალმა საკიხე შე-
იხსნა და უბიდან გასაღები ამოიღო.

გავაღე თუ არა კარი, არემარე მზე-
სავით განათდა. ოთახის ფანჯრიდან
არ იღვრებოდა ეს შუქი, მას ვეებერ-
თელა მაგიდაზე გაშლილი ხელნანერი
აფრქვევადა.

- ქვევით არ ჩაიტანო! ინანებ! -
მომდევდა თინა შემფოთებული ხმით,
მაგრამ მე უკვე ანთებული სტრიქონე-
ბით ხელში კიბზე ჩავრბოდი, ჩავრ-
ბოდი და ვგრძნობდი, რომ გამიქრა ში-
ში, გაიფანტა სულის წყვედადი და ნა-
თელმა ძალამ ამავსო, შემამსუბუქა,
გამიტაცა...

მთელი „ოლიმპი“ ფეხზე დამხვდა.
სისხლისფრად განათებულ ჰოლში
თავი მოეყარათ ჩემზე დაგემილ მეომ-
რებს. აპოლონი და ეროსი; ვენერა და
ნესტორი; დირექტორის მძლოლი ჰერ-
მესი და პირადი მდივანი ია - ყველანი
მუშტებს მიქნევდნენ და ერთ ტალღად
შედედებულნი, რისხვით მოინევდნენ
ჩემზე. მათ უკან ზევახი იდგა და ჭე-
რიდან ჩამოშვებულ მავთულებს ათა-
მამებდა ხელში. ახლალა შევნიშნე,

რომ „ოლიმპის“ თანამშრომლები ამ მავეთულებზე იყვნენ აცმულნი. თვით ბატონი ზევახი, უამრავ ძაფში გახვეული, აბლაბუდასავით მოსდებოდა კედელს.

– მოძალადე გვესტუმრა, ძმებო! – გაისმა მისი მქუხარე ხმა. – ხელნაწერი მომტაცა! შემომფიცეთ, რომ არ შემეაჭმევთ გამტაცებლის ჯავრს!

შუშის კედლები შესძრა ყვირილმა. კიდევ უფრო განითლდა, გაფარვარდა სიბნელე.

– გავიქცეთ! – ჩამჩურჩულა ბადრიმ.

პასუხის ნაცვლად ხელნაწერი გაეშალე. მარადჩაუქრობელი ჩირაღდანის მივანათე ჯარს. სინათლემ ბნელს გამოგლიჯა ჩემდამი ზიზღით და სიძულვილით დალდასმული სახეები, საავდროდ შეყრილი ნარბები და რისხვით დაბრმავებული მზერა. კითხვა დაეიწყე.

– არ მოუსმინოთ! – სადავეები დაიქნია ზევახმა და ჩემსკენ დასძრა თოჯინების ჯარი, მაგრამ ჩემი სიტყვა ყურს კი არ ხვდებოდა, გულს ედებოდა ცეცხლივით. ვკითხულობ და ვგრძნობ ამ ცეცხლის ძალას, მის სიმხურვალეს. ვხედავ, როგორ იცვალეს ფერი ძაფზე აცმულმა თოჯინებმა. საღებავი გალღვა, შტრიხები ნაიშალნენ და ბრაზით დაღრეჯილი ნიღბების უკან აზრით განათებული სახეები გამოჩნდნენ. ხელნაწერის ალმა კედელი შთანთქა და ფერფლად აქცია ჭერიდან ჩამოშვებული ძაფები.

– რატომ არ ებრძვიოთ! – ჩექმის ყელიდან მათრახი იძრო ზევახმა და თავის კაცუნებს ცემა დაუნყო, მაგრამ აპოლონმა იმარჯვა, მათრახი ხელიდან გამოგლიჯა და შორს მოისროლა.

– დამთავრდა ნარმოდგენა! ახდა ჩემი სიზმარი! – თითი ასწია ნესტორმა.

არ მახსოვს, რა მოხდა შემდეგ. მახსოვს მხოლოდ ის, რომ რისხვით ანთებულმა ბრბომ დაგლიჯა ვადაშწვარი მავეთულები. ჭერი გასკდა, ჩამოირღვა და სახურავექვეშ თოჯინების სამართავი მექანიზმი გამოჩნდა.

– ეს მანქანაც უნდა დავამსხვრიოთ, თორემ ხვალ ვილაც ვადარეულმა შეიძლება თავიდან ჩართოს!

სიტყვაც არ მქონდა დამთავრებული, რომ ზემოდან საშინელი გრუხუნის და მტრევეის ხმა მოგვესმა. სხვენიდან თინამ გადმოიხედა და ლერძიდან მოგლეჯილი ბორბალი ძირს გადმოაგდო, ამწე-მექანიზმს ჯაჭვი ახსნა და ხელი კრა.

უზარმაზარი მანქანა გამაყრუებელი ზათქით დაიმსხვრა მარმარილოს იატაკზე. ძლივს მოვასწარიოთ ეზოში გაეარდნა, რომ გაბზარული კედლები დასკდა და „ოლიმპის“ გრანდიოზული შენობა ნაჭრის კარავივით ჩამოიქცა.

– რას ჩადიხართ! – ცოფებს ყრიდა ზევახი. – ამის აშენებას შევალე ცხოვრების საუკეთესო წლები. ასე უნდა დააფასოთ ჩემი შრომა და ამაგი?

– რაც შენგან სიავე მახსოვს, ყველაფერს გაზღვევინებ. – ქვას ნამოავლო ხელი აპოლონმა.

დირექტორს ყოველი მხრიდან დააყარეს ქვები, მაგრამ მან გაქცევის ნაცვლად ჩემკენ ისკუპა, ხელი გადამიგრიხა და ფურცლები გამომგლიჯა. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ გონს მოსვლაც ვერ მოვასწარი.

– არ გაინძრეთ! – იყვირა და აღმოდებული სტრიქონები შეაფრქვია ბრბოს. – ყველას ვაგაქრობთ, ნაგშლით, ასო-ასო აგკუნავთ!

უკუიქცა ხალხის აღრიალებული ტალღა. ქვები გადაყარეს და შიშით გაქვეავდნენ. ზევახმა დამცინავად შემოგვხედა, ხელნაწერი უბეში ჩაიდო

და „ოლიმპის“ ნანგრევებს სწრაფად გადააბიჯა.

– შინ არ მიგვასწროს, თორემ მუქარას აასრულებს. – სადღაც სიღრმიდან მომესმა საკუთარი ხმა და გაქცეულს დავედევნე.

ფარდის უკან

უნდა ავხადო იდუმალებას ფარდა! გადავაბრუნო ნაჭრის ქალაქი, რომლის სარჩულზეც ჩემი თავგადასავლის აზრია გამოსახული! უკვე ახლოს ვარ მიზანთან. განცდა ისეთი მაქვს, თითქოს რაღაც მოირღვა, განთავისუფლდა ჩემს არსებაში, თითქოს გავარღვიე ზმანების უხილავი გარსი და სხივთა თამაშიდან სიცხადეში გადმოვაბიჯე.

მზე ჩადიოდა ფიქრის გორაზე. ქარი გლევდა და ძარცვავდა ყვითელი ფოთლებით მოოქროვილ ხეივანს. ზევახი აგურის შენობასთან შეჩერდა, ლობეს გადაახტა და ბნელ სადარბაზოში გაუჩინარდა. ბინდისფერი სახლის სიღრმიდან საბუქდი მანქანის კაკუნს მოისმა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. ჭიმკარი გავალე და სახლისკენ წავედი.

ღამე იდგა, ჩემს ოთახს რომ მივალნიე. კარი ფრთხილად შევალე და შევიჭყიტე.

ოთახი სივარეტის ბოლით იყო გაფლენილი. სანერ მაგიდასთან ზევახი იჯდა და თავდავიწყებით ბუჭდავდა. აბაჟურის შუქი ცერად ეცემოდა ფურცლებით მოფენილ არეს. იატაკზე მუყაოს თავფურცელი ეგდო. ყდაზე მსხვილი ასოებით ეწერა:

„ფიქრის გორა“.

ქარმა ვახლიჩა ფანჯარა. ქალაქების ტალღამ გამიტაცა და ზედ მაგიდასთან მიმაგდო, სადაც ჩემი ხელნაწერი იყო გამწვანებული. ზევახი მას ლუ-

პით ჩასცქეროდა და რასაც გაარჩევდა, ბუჭდავდა. მაგიდაზე ჩამოვჯექი და თვალი გავადევნე ნაბუჭდ სტრიქონებს. ახლა უკვე აზრი აღწევდა ჩემამდე და ცხადად ვარჩევდი, რა ეწერა შიგ. კი არ ვარჩევდი, ნათლად ვხედავდი საკუთარ თავს, ნაცნობ სახეებს. ჩემი თავგადასავალი გვერდიდან გვერდზე გადადიოდა და ზუსტად აქამდე აღწევდა: მე რომ ოთახში შემოვიპარე და მაგიდაზე ჩამოვჯექი. ზევახმა გააგრძელა ბუჭდავდა და ნაიკითხე, რომ მაგიდის კიდედან ჩამოვსრიალდი და ძირს გავიშხლართე. იმწამსვე მართლაც მოვეცურდი პრიალა ზედაპირზე, მაგრამ თავი შევიმაგრე და ხალიჩაზე უვნებლად ჩამოვხტი. ზევახმა მოიხედა და გამწარებულმა მუშტი ხეტოქა საბუჭდ მანქანას.

– რატომ არ მიჯერებ? ვინა ხარ? რა გინდა?

– არ ვიცი, ვინ ვარ, – ვუპასუხე, – ის კი ვიცი, რომ აღარ გვეშინია შენი.

– ვითომ? – ჩაიცინა, – შენს გამოჩენამდე ყველა ხელში მყავდა, ამბავს ჩემს ნებაზე ვმართავდი. ასე არ იყო? – მიუბრუნდა ოთახის ჩაბნელებულ კუთხეს.

იქ ვილაცამ ჩაბველა. ახლალა შევნიშნე, რომ კუთხეში უამრავი ხალხი იდგა. ჩრდილის სივინროვის გამო ეს ადამიანები ერთმანეთზე იყვნენ მიკრულნი.

– ნუ გეშინიათ, გადმოდით, – შევძახე მათ.

პირველად იასონმა გაბედა და ჩრდილიდან სინათლეზე გადმოაბიჯა. მას მოყვა ბადრი, აპოლონი, ნესტორი, მედეა, ვენერა, ეროსი, თინა... თვალის დახამხამებაში ოთახი ხმაურითა და ღრიანცელით აივსო.

– რას ბედავთ! – გაცოფდა ზევახი, – უკან დაბრუნდით, თორემ ყველას გაგაქრობთ, წაგულით!

საშლელი აიღო და ტექსტს მიუბრუნდა, მაგრამ ამოშლა ვერ მოასწრო, რომ მაჯაზე თითები მოეუჭირე და საშლელი ხელიდან გავადგდებინე. ქარმა გადარჩენილი ფურცლები მთელ ოთახს მოჰფინა.

– აი, თურმე რას მიპირებდა! – ერთ-ერთი ქალღიმილი დაიჭირა იასონმა და ცხვირწინ დამიდო. სტრიქონებს ჩაუხედე. იმნამსვე ზევახმა სახე იცვალა. მხრებზე მოსასხამი მოიგდო, გრაფინიდან წყალი მოსვა და მონოტონური ხმით დაიწყო:

– რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ლექციიდან, ყმანეილებო? ბედს ვერ გაეტყუვი. მაგალითად? ინებეთ. ჩემს წინ მდგარი იასონი, სადაც არ უნდა წავიდე, ბოლოს ისევე გემზე ავა და უკეთესი ქვეყნისკენ გაემგზავრება. რა არის ამაში ცუდი? – სათვალე მოიხსნა ზევახმა.

– სიტყვის თამაში, – თითი ასწია ნესტორმა.

– მოსაკლავად გამიმეტა და მას მერე მდევნის, – დაამატა იასონმა.

– ჩემზეც მაგან აგიცრუა გული, – უთხრა მედეამ.

– ვინც მიყვარდა, ის დამავინცა, რაც მეჯავრებოდა, ის შემავყარა! – აპოლონმა ფოტოაპარატი ამოიღო და ფანჯარაში მოისროლა.

– რალას ვუცდით, დავამსხვრიოთ კერპი, მოვსპოთ მისი სახსენებელი! – გრაფინს სტაცა ხელი იასონმა.

– ერთი ნუთით! – შეაჩერა ზევახმა. მოსასხამი მოიხსნა და ნახტომისთვის მოემზადა.

ზევახი განზე გახტა და გრაფინი კედელს შეემსხვრა.

– თავს იკლავთ! – იყვირა. – ჩემი აღსასრული თქვენც მოგიღებთ ბოლოს!

ამ სიტყვებთან ერთად სინათლე ჩააქრო. განათდა მხოლოდ კომპიუტერ-

რის ეკრანი, რაზედაც მთელი სამყარო იყო გამოხატული: ტყით დაბურული მთა, სოფლები, მდინარეები, ქალაქი... ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე მზე ანათებდა. მზის ირგვლივ პლანეტები ტრიალებდნენ. ზევახმა ხელი გაიშვირა ეკრანისკენ და თქვა:

– ოდესღაც სამყაროს მბრძანებელი ვიყავი. ოლიმპი მაშინ ვეებერთელა მთას ერქვა. ოქროს ხანა იდგა დედამინაზე, მაგრამ გათენდა შავი დღე, ადამიანებს მობეზრდათ ბედნიერება და სიამაყით დაბრმავებულმა მონამ ჩემთან გათანაბრება ისურვა. რა მოყვა ამ აჯანყებას? სიმშვიდე დამისხვრა. განდიდებული კაცუნები ერთმანეთზე ამხედრდნენ. ცეცხლმა და ხავსმა შეჭამა ქალაქები. წარლენამ წაიღო მინა. მაშინ ჩავიქნე ხელი, ჩამოვედი ტახტიდან და წარმოდგენის სამყაროში გადავიხვეწე, რომ სიცხადეში ჩამორთმეული უფლებები სცენაზე აღმედგინა, ძველებურად მეთამაშა ქვეშევრდომთა ბედით, მაგრამ ცეცხლი აქაც შემოიპარა და წარმოდგენა აღსდგა ჩემს წინააღმდეგ...

პერსონაჟები უკვე აღარ უსმენდნენ მას. ოთახში ქაოსი ტრიალებდა. პირმესი კენტაერს დააჭენებდა. აპოლონი და თინა ერთმანეთს ეხვეოდნენ. იასონმა ქალი მოგლიჯა. ბადრიმ წიგნების თარო გადმოაპირქვევა და ფურცლებში ჩაყვინთა...

– როგორ მოვტყუვდი! – თავი გააქნია ზევახმა. – ასე უცებ დაივიწყეთ ჩემი ამაგი? ისევე თქვენი სიმშვიდისთვის გიჭერდით აღვირს. თავისუფლება გაცოფებთ, განგრევთ, რადგან არ შეგიძლიათ მართოთ საკუთარი თავი. ველარ გავიგე, რას მამბრალბთ, რა გინდათ ჩემგან?

– სამაგალითოდ უნდა დავსაჯოთ, რომ აღარავინ გაბედოს ჩვენზე ძალადობა. – კლანჭები გამოყო მედეამ.

- თვითონაც ხომ დაილუპებით? - გაგვიღიმა ზევახმა. - თქვენ ხომ ჩემი ხილვები ხართ, ჩემი პერსონაჟები და ჩემთან ერთად მოგვლებათ ბოლო. გინა შეიძლება უჩემოდ არსებობდეს ის, ვინც ჩემი წარმოსახვის თამაშით შეიქმნა?

- ვაითუ მართალს ამბობს? - ეჭვით თავი გააქნია ბადრიმ.

- თქვენ არა ხართ მისი შექმნილი, - ვუპასუხე.

- ახია ჩემზე. - თქვა ზევახმა, - რბილად გექცეოდით, განებივრებდით და ამიტომაც არ სცნობთ ჩემს ძალას. თურმე არ ყოფილხართ ასეთი ლმობიერების ღირსნი.

ეს რომ თქვა, მათრახი აიღო და ყველას შემოგვეკრა. პერსონაჟები სხვადასხვა მოძრაობაში გაქვევდნენ. მხოლოდ ჩემზე ვერ გაჭრა ჯადომ. ნამოვდექი და ზევახისკენ დავიძარი.

- არ იშლი შენსას? - თავი გააქნია, - გამაგებინე, ვინა ხარ, რატომ ვერ ეტყვი შენს ტყავში?

- მე სწორედ ის ვარ, რადაც შენ მოგაქვს თავი. - ვუპასუხე.

- ავტორის სკამი გინდა წამართვა? - გადმომიდგა სავარძელი, - დაბრძანდი და იბატონე. რას იზამ? როცა შეილი მამაზე ძლიერია, როლები უნდა შეიცვალოს.

- იმისთვის არ ამიწყვეტია, რომ სხვები დაევაბა. - ფეხი ვკარი სავარძელს.

- თამაშის წესს არღვევ? - თავი გააქნია. - შემოქმედის ძალას უარყოფ? რომელია ჩვენს შორის შემოქმედი? - მიუუბრუნდი ხალხს.

ჩვენ ერთნი ვართ - თითი დამიქნია ზევახმა. - მე თუ მომსაუ, შენც დაგეკარგება აზრი.

- ჩვენი ერთად ყოფნა არ შეიძლე-

ბა, - ვუთხარი, - ან მე უნდა ვიყო, ან შენ.

ამ სიტყვებით მათრახი ხელიდან გამოვვლოვ და შუაზე გადავტყევე.

ისევ ამოძრავდნენ ქანდაკებად ქცეული გმირები.

- დროა ჩამოვადგოთ კერპი, - ავიღე ხელნაწერი, - რა ეკუთვნის მას?

- ნამსხვრევებად ქცევა - იგრილა ხალხმა.

- არ მინდა! - ჰაერში შეხტა ზევახი. - ყველაფერი დაინგრევა! აზრი დაეკარგება სამყაროს! ეს ფიქრის გორაკ გაქრება მიშველეთო!..

წინადადება ველარ დაამთავრა, ხმა ჩაუნყდა, ფართხალი დაიწყო, თითქოს უხილავ ბადეში გაება. შემდეგ იდუმალი ძალით გატაცებული ციბრუტივით დაბრიალდა, კედლებს მიანყდა, ფანჯრისკენ გაიხყორცნა, რაფაზე შეხტა, ერთი შეშვით დაძვინჯა და ძირს გადაეშვა.

აფეთქების ხმა გაისმა. ყველანი ფანჯარას მივცვივდით. ქვაფენილზე ზევახის ნამსხვრევები ეყარა. ტან-ფეხი ცალ-ცალკე ეგდო, თავი ქვევით გაგორდა, შემდეგ კედელს შეენარცხა და შუაზე გასკდა.

- ცოცხალი ვარ! - ცხვირზე იჩქმითა ბადრიმ და ირგვლივ მიმოიხედა.

- ამას ვილა დაამთავრებს? - მანქანაში ჩახვეულ ფურცელს ჩახედა თინამ.

- შენ! - მომესმა ჩურჩული და არემარე მზესავით განათდა. საამო ჟრუანტელმა დამირბინა სხეულში. ფარდა გაიხსნა და ოთახში დალიმ შემოაბიჯა. კედლებს აეკრნენ აცახცახებული ლანდები. ქალღმერთი მომიახლოვდა, ტექსტს დააცქერდა. განწყვეტილი სიტყვა თავისით ამოძრავდა, გაგრძელდა... და მაშინ მივხვდი, რომ არაფერი ვიყავი ამ მოძრაობის, ამ თავი-

სუფლებს გარდა, რომ სადღაც უკან დამრჩა სიუჟეტში მომწყვდეული საკუთარი თავი და ყოვლისშემძლე ავტორის კერპი.

კარი გამოვალე. მთვარის ხავერდოვან სხივებში მარგალიტით ბრწყინავდა ფიქრის გორა. თვალი შევაპარე მის კონტურს და გული ამიძ-

გერდა სიხარულისგან. მწვერვალზე ისევ მოჩანდა კლდიდან ამოზრდილი კოშკი! სინათლე ისევ იღვრებოდა მისი სარკმლიდან! გარეთ გამოვედი, დამსხვრეულ კერპს გადავაბიჯე და დალის ვაფყევი მთვარის სხივებით მოქარგულ ბილიკზე, მარადიული სიტყვის ნაკრძალში.





შოთა ზორიძე

თეთრი ქალაქი

პოემა

შესავალი

მოდის ამბები ახალთახალი,
დილის ნათელი და ღამის მწუხრი.
შენს შეტს ვერავის ვერ მოვახმარე
ჩემი მაგარი მკლავი და მუხლი.

ჯანდაბას იქით იყოს მალრიბი
და კიდევ უფრო იქით – მაშრიყი.
დროებამ ისე გამალარიბა,
რომ დედოფლებსაც გაეუარშიყდი.

დაირღვა ძველი რიგი და წესი,
დაირღვა ძველი ცხოვრების რიტმი
და რახან ლექსად დაგენერე ესე,
დიახაც სათქმელს ბოლომდე ვიტყვი.

ბოლომდე ვიტყვი, რადგანაც ავსებს
ქალაქი ზღვას და ზღვა ჯვარცმულ
ქალაქს,
როდემდე უნდა გასტანოს ასე,
სად არის უფლის ნება და ძალა?!

ამიერიდან ვიქნებით ერთად
მე და ბათუმის ძველი უბნები.
აქ შეჯიბრია ხმათა და ფერთა,
აქ ხეც კაცივით გესაუბრება.

შემოვიაროთ, მკითხველო, ერთად
თეთრი ქალაქის თეთრი ქუჩები,

შენზე ვფიქრობდი, იცოდეს ღმერთმა,
მაშინაც, როცა იყავ უჩემოდ.

ბოლოს და ბოლოს უნდა შეგვიდოს
მის შიშველ სულში ხელის ფათური,
გზა მშვიდობისა, ჩემო შეგირდო,
აგერ – შენ, აგერ – შენი ბათუმი.

1. ქართლოსის სისხლი

ჯერ იყო ზღვა, უდაბური ალაგი
და თითქოს ზღვიდან დაიბადა
ქალაქი.

ჯერ იყო პონტი, მერე იყო პორტი.
მერე პორტი – ფრანკომ მოკაზმა –
მორთო.

და როცა აშენდა, და როცა
დამშვენდა,
ამბავი ჩავიდა სტამბოლის ფაშებთან.
ამბავი ჩაუტანეს რუსების მეფეს,
აუშვეს ძალღები და ახლაც ყეფენ.

ბათუმი ომის ასპარეზი გახადეს,
ბრძოლაში ხმალი გაუცედა კახაბერს.

ქოროზი ნითლად შეღება სისხლმა,
თავზე დაგვატყდა ბრაზი და რისხვა,

და იყო გლოვად წელი სამასი,
გონიოს ახსოვს ცრემლი საბასი.

დაძრწოდა სიკვდილი, მშიერი -
მგელი.
სისხლმა შეღება კახაბრის ველი.

როგორც კალია, რუსი და თურქი,
ქვეყანას მოედო და სადმე თუკი
ალაფი ნახეს, გაზიდეს თუნგით,
თაფლი, თამბაქო, ყურძენი, ტუნგი.

რუსთა ხელმწიფე, თურქთა
სულთანი,
ეცილებოდა ისევე ერთმანეთს,
ბათუმისათვის ეცილებოდნენ
უფალს კი გულში ეცინებოდა.

ლამის გაგვტეხა ბუნების რისხვამ,
ლამის დაგვრთგუნა სიკვდილის
შიშმა,
ვიდრე იყვილა ქართულმა სისხლმა,
ვიდრე იქუხა ქართლოსის ფიშმა.

2. ზღვა და ნიჟარა

შავი ზღვა, თეთრზე თეთრი ბათუმი,
შავი ზღვა, თეთრზე თეთრი ნიჟარა,
მე ახლა სათქმელს განგებ
ვართულებ,
და არც მკითხველი არ მყავს მშიშარა.

"ქალაქმა - მთელი ქვეყნის ფანჯარამ -
აღმოსავლეთით და დასავლეთით"
მე სიყვარულის შხამი მაჭამა
ფიქრიც მაჩუქა, თოვლივით თეთრი.

თავქვე ეშვება ყოროლისწყალი,
მასთან მივდივარ, როგორც მეთევზე,
წუთისოფელზე ვარ შემომწყრალი,
და უფრო მეტად - ზოგიერთებზე.

მიიზღაზნება ღამე ბებერი,
ღამე, რომელსაც ველარ ვაღმერთებ,
დაეპატრონა ქალაქს ცერბერი
და სისხლიანი დროშა აღმართა.

კარი გავულე ამ სიმარტოვეს,
ხეები დგანან, როგორც პაეები,
და ნვიმა თავის ნაკვალევს ტოვებს,
შავი ქოლგების პეიზაჟებით.

ღმერთმა მოგვიწყო ყველას გამოცდა,
შენი საზღვრები ფარგლით მოხაზა,
პომადიანმა ქალმა გაკოცა
და ნაკვალევი დაგრჩა ლოყაზე.

მე რატომ უნდა ვიეჭვიანო,
მზე რომ გივარცხნის ოქროს
კრამიტებს,
არ მეგულება შენზე ჭკვიანი,
შენზე სულელი და მიაშიტი.

ახლა სხვა ფიქრი ჩემგან შორს არი,
გრძნეული ფიქრი - ნუკრიმშიშარა,
შენა გაქვს თვალი პატიოსანი
და ხელისგულზე გიდევეს ნიჟარა.

3. მე და შენ

ჭეშმარიტება იყო მარტივი,
როცა დაგერქვა თეთრი ქალაქი,
შენი გულია ბრძმედი მარტენის
და სული - ჩვენი ოქროს მარაგი.

აბრეშუმის გზა - ვერცხლის
მდინარე,
უფრო დიდი და უფრო ღამაზი,
მე შენ გიხილე ცეცხლში მძინარე
და ჩემი თავი შემოგთავაზე.

მე ვაგაღვიძე ცეცხლში მძინარე
და კიდევ მეტისმეტი მომინდა.

მუდამ პირზე სისხლგადმომდინარე,
 მე მოვდიოდი დიდი ომიდან.

მე მოვდიოდი დიდი ომიდან,
 ჯერ ათენიდან, შემდეგ რომიდან,
 მოვედი, მაგრამ ეს გაზაფხული
 შენთვის ძალიან გვიან მოვიდა.

გვიან მოვიდა და შენ გიხილა,
 ზღვისა და მთვარის თეთრი ასული,
 მე ისე მტკივა შენი წარსული,
 რომ შენს ბრძანებას უხმოდ
 ვასრულებ.

შენს ტრადიციას მტერი ვერ მოშლის,
 გამოგიკეთო მინდა გუნება,
 ჩემზე მდიდარი შენს საუფლოში
 ერთიც კი არვინ არ მეგულება.

ჩემს მოშიმშილე ხალხში ვარიგებ
 სიტყვას, რომელსაც ოქრო ასხია,
 ჩემი სიმდიდრე და სიღარიბე
 შენი დედანის ქსეროასლია.

4. სიზმარი

სუყველაფერზე რიგი და რიგი,
 ასეთი რიგი არასდროს მდგარა,
 რაც გარეთ, ისევე ის არის შიგნით,
 რაც შიგნით, ისევე ის არის გარეთ.

რაც თავი მახსოვს ზღვისპირა
 ქალაქს,
 არ უცხოვრია არასდროს ასე,
 ცხოვრება თავის ცეცხლგამძლე
 კალათს
 ათასი დავიდარაბით ავსებებს.

თავი მოჰქონდა ზღვითა და წიგნით,
 შიმშილისა და წყურვილის ფასად.
 სუყველაფერი წყდებოდა შიგნით
 და მიდიოდა ყველგან და არსად.

და ყველას თვალწინ, დღისით და
 შუისით,

გაჰქონდათ გემებს ღვინო და ნავთი,
 ზღვა ჰქონდა, მაგრამ არ იყო მისი,
 ნაილეს ნავთი და სხვები გათბენ.

თავად კი დიდი ზამთრით გათოშინოს,
 არა აქვს წყალი, წყალი და შუქი,
 და დადის თოვლში ძველი კალოშით
 გადაურჩება ამ ზამთარს თუკი.

კვლავ გაამაგრებს ბუდეს და სოროს,
 ასე თუ ისე, ისე თუ ასე,
 ქვეყანა მაინც იმედით ცხოვრობს,
 გადატანილი ტკივილის ფასად.

მიდი და შენაც იმტვრიე თავი,
 მაგრამ სადაა თავი და ბოლო,
 აღარც ღმერთთა აქ გამკითხავი,
 განმარტოვდა და თავისთვის
 ცხოვრობს.

გარდაუვალი სიკვდილის შიში,
 სუყველა ტკივილს იარას მობანს,
 და იტანს ხალხი წყურვილს და
 შიმშილს,
 სიცივეს, ყინვას და უშუქობას.

ლამეა თეთრი, როდესაც ბნელა,
 დღისით რომ ბნელა, თეთრია ლამე,
 და თავისტკივილს იყურებს ყველა,
 და არ გამოდის სახლიდან გარეთ.

სძინავს და ძილი ფიქრებით ავსებს,
 ველარ იოკებს ნერვებს და ბორგავს
 ქრელი სიზმარი ახურავს თავზე,
 როგორც წვიმაში გაშლილი ქოლგა.

5. აპაკი წართელი ბათუმში

ყმანვილი ქალები და ვაჭები -
 ჩვენი გიჟმაფი გარიჟრაჟები,

როცა აკაკი აქ ჩამოსულა,
ყველანი სადგურში გამოსულან.

ეტლიდან ცხენები აუშვიათ,
ეტლი ყვავილებით აუვსიათ,
თავად შებმულან ქალ-ვაჟები,
ზოიძეები და ხალვაშები.

ჯეელები და ჯანიანები,
ჯაყელები და ჯაიანები,
ნოღაიდელი და ამალღობელი,
დააკლდებოდა აბა რომელი?!

ასე მიაშბო თიროშვილმა საშამ,
ბოლო გზაზე რომ გავაცილეთ
შარშან.

აკაკი ეტლში ჩაუბრძანებიათ,
საკრებულოში მიუბრძანებიათ,
პოეტს კალამი აუნევიან,
ბათუმზე ლექსი დაუნერია:

"ვით სპილო არ მნამს სპილოდა,
თუ არ ექნება ხორთუმი,
ისე კავკასი კავკასად,
თუ არ ექნება ბათუმი".

6. თეთრი ქალაქი

შენ დაინახე მათი შური ჩემს მიმართ,
მათი ზრახვები ჩემს წინააღმდეგ.
გოდება იერემიასი. თ. 3.

ჯერ იყო ფართოდ გამიღო კარი,
თუმცა ვიყავი მეც რადიკალი.
და მხარზე ხელი დამადო როცა,
ჯერ საშვი, მერე საგზური მომცა,

საგზური მომცა, საგზალი მომცა,
მომცა იმედი და ასპარეზი,
პირველი წიგნი დავეწერე როცა,
წარმოვიდგინე თავი მთვარეზე.

და როგორც დედას, მას ისე ვენდე,
ისიც შვილივით მივლიდა დღემდე.

თაქვემ დამიდო ბურდღის ბალიში,
ფეხზე ჩამაცვა მატყლის წინდები.
კვლავ გამახსენდა შარშანწინდელი
ამბავი, როცა ფქვილზე გამიშვა.

სახლში მომქონდა ფქვილი და
ბრინჯი,
ვიყავი მუდამ მშვიდი და დინჯი,
მომქონდა ფქვილი და არა ქატო,
მითხრეს – ასე შორს ნახვედი რადო?!

როდესაც გემით მომქონდა პური,
კაპიტანს სტაცეს კანჭებში ხელი,
ჯერ აუნის ბავშვივით ყური
და შუაზე შანთი მიადეს ცხელი.

არ მოუვიდა ვილაცას თვალში,
ჩემი ხსენება წიგნიერ ხალხში
და ისიც, ცოტა შორს რომ ნავედი,
დაცდილი მქონდა რიცხვი "ცამეტი".

და მათი ჭკუით ამიგეს წესი,
მაგრამ არ ფიქრობს უფალი ასე,
არ დაელოდნენ ღმერთის განაჩენს,
მკითხველო, სხვა დროს გეტყვი
დანარჩენს.

რადგან არ იყო ეს უმთავრესი,
არც უკეთესი, არც უარესი,
მე მქონდა რწმენა და მას დავარქვი
ბათუმი – ჩემი თეთრი ქალაქი!

7. ჩოლოქი

ან დავიბრუნოთ ჩვენი აჭარა,
ანდა ბათომთან დავტოვოთ ძვლები.
პ. იაშვილი

უფალი ცოტას კიდევ დამაცლის,
ჯერჯერობით კი არ ჩანს ნაპირი,

არ მეგონა თუ ვიყავ მამაცი,
 ასე ერთგული და პირდაპირი.

სუყველაფერი ხდებოდა გუშინ,
 დღეს კი რაც ხდება, გაიგებ ხვალე
 და ნაიშლება სულსა და გულში
 გუშინინდელი ტკივილის კვალი.

დაირეკება დუმილის ზარი,
 სუყველა ეზო-სადარბაზოდან
 და გამართლდება ყოველი ბზარი,
 რომელიც ასე მწარედ გახსოვდა.

ზაფხული მოდის, ზამთარი მიდის,
 გაჭირვებულდა ჯიუტი მარტი,
 დანალმულია ჩოლოქის ხიდი,
 ჩანყობილია გაჭრილი კარტი.

რაც უნდა მოხდეს, ანდა რაც ხდება,
 თავისუფალი აზრი მარცხდება.
 დაეპატრონა ურცხვეი ცერბერი,
 ასე უშნო და ასე ბებერი.

მამულს უგანა, უშადიმანა,
 მტერი იძმო და მოძმე გალახა,
 აქ საკუთარი სახე დამალა
 და რუსებს გზები აუტალახა.

თავისი ხალხი მტერთან ჩაუშვა,
 მტერმა კი, განყდა მისი სინსილა,
 არ დააყოვნა, ძალლი აუშვა
 და საქართველოს ნაუსისინა.

უფალი ციდან გვიგ ზავნის ვარდებს,
 ჩამოძონილებს ოქროს ვენახად,
 ნეტა ინფარქტი მომსელოდა ადრე
 და ეს ჩოლოქი აღარ მენახა.

"იქნება, ბევრი რამე იქნება",
 არ გაგვიწყალდეს ოღონდ მელანი,
 მე ვიცი, ასე სალად ფიქრობენ,
 "ბაბუინების" გარდა, ყველანი.

აქ ჩოლოქია, შორს კი ქერჩია,
 ვაი, რომ ძმა ძმად აღარ ვიცანით.
 ბიჭებო, ჩოლოქს ქერჩი გერჩიათ?
 ქერჩიდან ჩოლოქს მტრისგან
 ვიცავდით!

ახლა ჩოლოქთან სამშობლოს ვყიდით,
 რატომ ვაგინყრათ რჯული და
 ღმერთი.
 უბედურება ამაზე დიდი,
 თუ შეიძლება მითხარით ერთი?!

უბედურება ახლა ის არის,
 რომ აქ, ამ ხიდის სიგრძე-სიგანით,
 ჩემს სამშობლოსაც ვერ მივაგენი
 და საქართველო ველარ ვიცანი.

აღამიანის არ ჰქონდა სახე,
 დრო ტკივილების აღმრიცხველია,
 მას შემდეგ, ის, რაც ჩოლოქთან ვნახე,
 ილიას ძეგლთან გავლა მრცხვენია.

გარდაიქმნება ცხოვრება ხვალ-ზეგ,
 ნულარ გამიხსნით ახალ იარას,
 რადგან ჩემს ძვლებსა და
 ხერხემალზე
 ათასმა რისხვამ გადაიარა.

ისევ ამივსო შხამით ფიალა,
 ზარის კი არა, დროა განგაშის,
 დღეს შადიმანმა ჩამოიარა,
 თუ ლიპარიტი იყო ბალეაში?!

ასე მეგონია, დრო იმეორებს
 თავისთავს, ისევ ისე უცვლელად,
 როდესაც მტერი კოჭებს გიგორებს,
 გეფერება და გელაქუცება.

აქვე ბალია, მწვანე ედემი,
 მგოსნებმა ლექსი უძღვენეს რამდენი,
 ჩოლოქთან შავი ღამე თენდება,
 ჩოლოქთან თეთრი დილა ღამდება.

ქარი ძმამოკლულ ქალივით ტირის,
ასეთი წვიმა არ იყო წინათ
და "ბაბუნებს", მდინარის პირას,
ავტომატების კონდახზე სძინავთ.

ვუყურებ იმათ ჩაცვივრულ ღანვებს
და მოთმინების ვავსებ ფიალას,
დროშა, რომელიც ჩოლოქში დანვეს,
ახლა ბათუმის თავზე ფრიალებს.

8. გაძცვა

და ატორტმანდა ჩვენი ბათომი,
ჩვენი ბათომი მაისის ხვედრი.
პ. იაშვილი

დღეს მე ვარ ჩემი თავის პატრონი,
დღეს მე ვარ ჩემი თავის პატრონი,
დღეს გაიპარა უზურპატორი
და მისამართიც ვეღარ დატოვა.

ვითომ ხატავდა, ვითომ ძერწავდა,
მტრისას ყოველი, რაც მას ეწადა,
ხალხს და ქვეყანას იმდენს პარავდა,
ნეკი თითვიით დაპატარავდა.

დაცარიელდა, როგორც ვაგონი,
ვერ მოვიგონე მისი ტიტული,
ის ზოგიერთებს ლომი ეგონათ,
მაგრამ გამოდგა ლომის ფიტული.

9. მოჭრილი მკლავი

მაისი ყველგან არის მაისი,
მაგრამ ბათუმი მაინც სხვა არი.
ტ. ტაბიძე

თითქოს აიდგეს ენა ზარებმა,
სხალთის ზარებმა და მავთულებმა,
ზარის ხმასავით მიემგზავნები
სამყაროს ყველა მიმართულებით.

წარბები გახსნა პორტის შუქურამ,
ასიათასი იწვის სანთელი,
გემების გასვლას უნდა ვუყურო,
როგორც ღამეში ციციანთელებს.

რადგან შენა ხარ ჩემი ბატონი,
მე მინდა ვიყო შენი მინდია,
მინდა ვიცნობდე ყველა ბათუმელს,
იმათაც, შენგან შორს რომ მიდიან.

ტკბილო დედავ და დედაქალაქო,
მეც მინდა ვიყო შენი ზვარაკი,
იების ენით გელაპარაკო
და ყვავილებით მოგამარაგო.

თენდება. ქრება სახლებში შუქი,
სახლები თავად ახელენ თვალებს,
მე ბედნიერი ვიქნები თუკი,
შევეყვარდები ბათუმელ ქალებს.

ალამაზებენ მთვარის დარბაზებს
და რახან უფლის ნებას ვასრულებ,
დაუუნნავ გვირგვინს ძალზე
ლამაზებს,
ქალბატონებს და მთაერის ასულებს.

ერთი მათგანი მოვა და მკითხავს, -
ვისია შაშვი ბალში რომ ვალობს?
ვიცი, რომ კიდეც ვიცოცხლებ
დიდხანს
შაქოხიანი შაშვების გამო.

ალარც ჩოლოქი გადაღობილი,
ალარც ფილები გადაღობილი,
ბედნიერი ვარ, რომ შენს ქუჩებში
მაქვს სურათები გადაღებული.

შენი გზა ახლაც ხიდია ბენვის,
ჩატეხილ ხიდებს ალარც კი ვითვლი,
და შენს გამოა, გული რომ მენვის,
როგორც ღუმელზე მიმწვარი თითი.

მეწვის და მაინც ყოველდღე მკლავენ,
ალარც შაბათი და ალარც კვირა,
თითქოს მომირჩა მოჭრილი მკლავი
და მოსაჭრელი მეწვის და მტკივა.

შენმა სურვილმა ისე ამტეხა,
თითქო უფალთან გზა ჩამრაზოდეს,
ვიყავი შენთან პურის გამტეხი,
სიტყვის გამტეხი კი არასოდეს!

10. პაპიანი წვიმაში

ახლა ისეთი წუთი მოვიდა,
მსურს გაგაგონო ჩემი ქართული.
არ ვიცი რატომ, ახლა მომინდა
ახლა მოვიდეს წვიმა ბათუმის.

არ ვიცი რატომ, ახლა მომინდა
შენთან შეხვედრა და პაემანი,
მერე ბათუმის წვიმა მოვიდეს,
წვიმამ აავსოს ჩვენი უბანი.

წვიმა მოვიდეს, წვიმამ განუწოს,
შენი თმები და შენი პერანგი,
ისე განვიმდეს, რომ შეგანუხოს
და მაინც წვიმა იყოს ყელამდე.

მე ახლა მინდა, ჩემო ძვირფასო,
გადასარევი წვიმა მოვიდეს,
რომ შენი ქურა წვიმამ აავსოს
და სახლში წასვლა აღარ მოგიხდეს.

რატომღაც ახლა მინდა, ძვირფასო,
კვიპაროსები წვიმამ დაბანოს,
რატომღაც ახლა მინდა მიმასწრო
და სიხარული ვეღარ დამალო.

ახლა წვიმაზე ფიქრი მანუხებს,
წვიმაზე ფიქრებს ვეღარ ვიცილებ,
შენი პერანგი წვიმამ განუწოს,
მე კი წვიმამ და შენმა სიცილმა.

არ ვიცი რატომ, ახლა მომინდა,
წვიმაში შენთან ერთად ვიარო,
ნახე, ბათუმის წვიმა მოვიდა,
წამოდი, აღარ დაავიანო.

11. უფლის წალოვა

პარმენ ლორიასა და მამია
ვარშანიძის ხსოვნას

ასე მგონია, დამინერს ორიანს,
პატივცემული პარმენ ლორია,
რომ არ ვახსენო ბატონი ხარიტონი,
ისტორიკოსთა პირველი ხარიტონი.

ზეპირად ვიცი, ვის რას დაუნერს,
უნიჭო კალმოსნებს ყურსაც აუნევეს,
ნიჭიერს მოძებნის, ქვესკნელში
მიავნებს,
ყველას და ყველაფერს თავისას
მიავებს.

ვიცი, უფმური და უფამო ჭამია,
ჩვენი დრო და ჭამი დამნაშავეა.
როცა ვიხსენებ საყვარელ მამიას
სულში ტკივილი ტყვიასავით
გამიარს..

პურის ყანაში კვიცივით შემედენა,
ბათუმზე პირველმა დანერა შედეკრი,
ბათუმზე დანერა უკვდავი ლექსი,
რომელიც ახლა ყოველდღე გვევსის.

ის იყო ჩვენს შორის პირველი პოეტი,
მითქვამს და მე ამას ვიტყვი
ყოველთვის.

ბათუმი უნიჭო კალმოსნებს არ
ცნობს,
აქ ქალი ქალობს და კაცი კაცობს,

ბულვარში შაშვი ყოველდღე გალობს,
ათასში ერთხელაც უფალი წყალობს.

12. მამა, მე და ჩემი ბიორგი

ვისაც ჰყავს ძე, სიცოცხლე აქვს...

პირველი იოანესი, თ. 5

აქ დადიოდა მამა სულმნათი,
ხელით დავყავდი პატარა ბიჭი,
მე იმ დღეების და იმ სურათის,
ცხადია,
ზუსტად აღდგენა მიჭირს.

ყველაფერს უფლის თვალი განაგებს,
თოვლი გვათოვს თუ წვიმა
გვასველებს,
მამამ მასწავლა მე ამ ქალაქის
გასასვლელი და შემოსასვლელი.

პირველად მამას ვყავდი თეატრში,
"ოიდიპოსიც" ვნახე პირველად,
იმ საოცრებას ახლაც შევნატრი,
იმ პირველხილულ საკვირველებას.

მამამ მაჩვენა ზღვა და კატარღა,
და ალბატროსი – უცხო ფრინველი,
და მწვანე კონცხის ბორცვის გადაღმა
პეტრას პირისპირ ვიდექ პირველად.

როდესაც მუხას დავცა მეხი,
მე სწორედ იმ დღეს ავიდგი ფეხი.

და ომმა შთანთქა ჩემი ბავშვობა,
დღემდე ვიგონებ, როგორც გოდებას,
რაც ჩემთვის უკვე დაკარგულია
და არასოდეს გამეორდება.

მამას ყოველთვის ვეგონე ბავშვი,
მე ახლაც ბავშვი ვგონივარ იქნებ,
ვერ იფიქრებდა ვერაფრით მაშინ,
რომ ილია ზე დავწერდი წიგნებს.

მე ვიყავ ბავშვი, ეს იყო მაშინ,
თუმცა ხსოვნისთვის არ არის გვიან,
ახლა მე დამყავს პატარა ბავშვი,
რომელსაც თეთრი გიორგი ჰქვია.

ეს საუკუნე დაიწყო მისით,
ის ახლა იდგამს ფეხსა და ენას,
ვიცი, იქნება ის შენი ღირსი,
მაღე ისწავლის ჩიტოვით ფრენას.

შეხედავს მისი დიდი თვალებით
ცასა და მიწას, მზესა და მთვარეს,
არ მოაკლდება უფლის წყალობა,
ჩინი და სმენა მის ყურს და თვალებს.

არ მიცხოვრია ცალად და ფუჭად,
მწარე დღეების ვიყავ მწაბველი,
მწამს, დაამშვენებს შენს ერთ-ერთ
ქუჩას
თეთრი გიორგის მამის სახელი.

დასასრული

ჩემს არსებობას არ აქვს მიზანი
უშუროდ, ჩემო თეთრო ქალაქო,
მადლობა უფალს, არ ვარ ხიზანი
და მაქვს უფლება გელაპარაკო.

არ მაქვს სურვილი არავითარი,
რომ შეგადარო სხვათა ქალაქებს,
ის სიყვარული სალი ქვით არი
ნაშენი, მე რომ მაღაპარაკებს.

ამასაც ბედისწერა განაგებს,
შენა ხარ ჩემი ბედის მწერალი,
შენ ჩემთვის არ ხარ მარტო ქალაქი,
შენა ხარ დიდ ზე დიდი მწვერვალი.

მადლობელი ვარ, რომ მე დამარქვი
მგოსნის სახელი და გამახარე,

რომ შენ ხარ ჩემი თეთრი ქალაქი,
ძველთაძველი და ახალთახალი.

შენ გიანდერძა მამამ ქონება,
თავისი ვერცხლის ქამარ-ხანჯალი,
ჩემი სიცოცხლე და შთაგონება,
სუყველა შენთვის დასახარჯავი.

შენ დაგრჩა დედაჩემის თავშალი,
ჩიხტიკოპი და ქრელი წინდები,
გინდა, წვიმაში ქოლგად გამშალე,
გინდა, გვალვაში გაგინვიმდები?!

სხვაგან სიკვდილის არ მაქვს
უფლება,
შენი საქმეა ესეც, უფალო,

შენა ხარ ჩემი თავისუფლება
და ღირსეული ჭირისუფალი.

აქ გაიჭრება ჩემი სამარე
და მინა, ჩემი სისხლით დამბალი.
თუ შეიძლება, ცრემლი დამალე
და ყველაფერი მე დამაბრალე.

შენს სალამოებს და ოქროს ღილებს
ისევ აგრილებს სიო ხიხათის,
მე გადავიხდი შენს იუბილეს
შენ – პანაშუიდი გადამიხადე!

სტრიქონი სტრიქონს ისე მოება,
რომ თავისთავი იცნო დროებამ,
ასე დასრულდა ჩემი პოემა,
ვით წუთისოფლის ამაოება!





რეალ ჩილაჩავა

სიკლიდან „ორდალია“

გვითხველისადმი

მეოცე საუკუნის მინურული საქართველოსთვის იქცა ნამდვილ ორდალიად. ასე ეძახდნენ ლათინელები ბრალდებულის წამებას გახურებულ/შანთით, მდულარე წყლით და ა.შ. მას, ვინც გვემას გაუძლებდა, უდანაშაულოდ ჩათვლიდნენ. ჩვენ გაუძელით, თუმცა საკუთარ უდანაშაულობაში არც ოდესმე შეგვეპარვია ეჭვი. ამასობაში ხმაურიანად შემოვიდა მაიმუნის წელიწადი და თან ხალისიანი განწყობილება მოიტანა. ვინძლო, ღმერთმა გვისმინოს და საუკუნოდ დასრულდეს კენესით, ვაეზით, სასონარკვეთით აღსავეს ის ზოდიაქური ციკლი, რომლის გახსენება ყველა თვისტომს, ალბათ, კვლავაც არაერთგზის შეზარავს.

მართალია, წინამდებარე ლექსები ჩვენი ჯერ კიდევ მოუშუშებელი ორდალის ექო უფროა, ვიდრე საყოველთაო ეიფორიისა, რომლის მცირედი კვალი ზოგიერთ მათგანს, ალბათ, მაინც ატყვია. ვფიქრობ, ეს დასაძრახი არ უნდა იყოს. ჩვენ ხომ ყველას ასე მოგვენატრა ერთიან, ძლიერ და ბედნიერ სამშობლოში ცხოვრება! თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სიტყვა "ორდალი" მეგრულად გასაზრდელს ნიშნავს, ციკლის სათაური იქნებ არც თუ პესიმისტურად მოგვეჩვენოს.

რეალ ჩილაჩავა,

2004 წ.

კიევი

ორდალია

გადავიტანე მე ორდალია,
შანთით წამება, მდულარის დასხმა.
ჯალათმა ჩემი სისხლიც დალია,
მისთვის უბრალოდ მე ვიყავ: „და სხვა...“

მან არ იცოდა სიტყვა "ორდალი",
რაა სითბო და რაა ნუგეში.
როგორც ლანდშაფტი ნაფიორდალი,
ჩამრჩა წარსული თვალთა გუგებში.

მე გასაზრდელი მაინც გავზარდე,
 ბედი ხელიდან არ გამიშვია
 და ვით პოემის ლამაზ თავსართებს,
 ვიგონებ შვების ნუთებს იშვიათს.

პაპანაქება... სეტყვა... თავსხმები
 გამოვიარე სიზიფეს თმენით...
 შეჯიბრს აგებენ მუდამ "და სხვები,"
 გამარჯვებული რჩებიან "მე"-ნი.

2004 წ.

როგორც ოდესმე იეთიმ გურჯი!

ინყება წვიმით, თავდება ქარით
 ცივ და მონყენილ ლამეთა კროსი
 და როცა შლეგი, როგორც კიროსი,
 მესხეთის კარებს შეანგრევს
 მტკვარი,

ველარ ვიხსენებ, იქ ვინმემ თუ თქვა
 ავდრის აუგი და სამდურავი.
 თვით მობოხოქრე ლვარში მცურავიც
 იტყვის: არ გვინდა ჩვენ გულის
 თუთქვა!

ნაზამთრალ თბილისს ეცემა ელდა,
 თუმც ის არასდროს დაუზავდება
 ზეირთების ამბოხს და აზავებებს,
 (რომელსაც მთელი ნელი ელოდა).

და მეც – ბედის და სტიქიის ურჩი,
 ვიდრე აკეცილ ფრთებს ლალად
 გავშლი,
 ცეცხლმოდებული ვიდგები წყალში,
 როგორც ოდესმე იეთიმ გურჯი!

2004 წ.

„რა ვქნისა“ ციხევი!

რა ვქნისა ციხე ავაგე,
 ჯავრი შევაბი კარადა...
 ხალბური

„რა ვქნისა“ ციხევ, მე შენი ტყვე ვარ
 და ჯავრის კარი ველარ შეგხსენი.
 არ უჩივიან ბედს მელექსენი,
 მაგრამ როდესაც ინყება რღვევა

არ შეიძლება არ დაიძაბო
 და ფიქრი, შორეთს განაჭენები,
 არ დაგიბრუნდეს განაჩენებით
 აჭრელებული, ვით დაძიბაო.

ყველა კოშკის და ყველა სასახლის,
 რაც კი ოცნებით შენ აგიგია,
 ლოგინის ნაცვლად ლოდი გიგია
 და თავს ბალიშის ნაცვლად ქვას ახლი,

მე დამიბრუნდა... მე ვიღამლები,
 ვით კატორღელი და წყლულებს
 ვიხვევ...
 შიგნიდან გაგტებს, "რა ვქნისა" ციხევ,
 არ ჩანს გარედან შენი ამლები!

2004 წ.

პირტულური სამუგლო

მე იქ ვბინადრობ, მე იქ ვბინადრობი..
 განა ვისიმე მოგონილია
 ქვეყანა, სადაც ყველა ძმია და
 ძმისგან მოწვედილი შხამიც ტკბილია,
 სადაც სამოთხის სიო უბერავს
 და ზამთარ-ზაფხულს ჰყვავის მთა-ბარი,
 სადაც ზღაპარი სინამდვილეა
 და სინამდვილე არის ზღაპარი,
 სადაც ქვევრები ღვინით სავსეა,
 დაფენილია გზებზე სუფრები,
 გლეხი მუსაიფს როცა გაგობამს,
 გგონია უფალს ესაუბრები,
 სადაც არავის არ ციებია,
 არ წყურებია, არ შიებია,
 სადაც ქათქათა მთაგრეხილები
 ცის ხელთუქმნელი არშიებია,
 სადაც განძეულს უხვად გასცემენ

(შინ ულაგიათ, ალბათ, ტონები!)
 და სარაინდოდ აღძრულ ვაჭკაცებებს
 თრთოლვით ლოცავენ ქალბატონები,
 სადაც ოდითგან დიდიც, პატარაც
 ერისმთავართან თანაბარია,
 რომელსაც მაღლა უჭირავს დროშა
 და ქვეყნის ბედი თან აბარია,
 სადაც ჩანჩქერთა ვერცხლისფერ
 ტალღებს
 წუხილს, დარდსა და კვნესას ატანენ,
 სადაც ყველა გზა ტაძრისკენ მიდის,
 დახშობილია გზა სასატანე,
 მე იქ ვბინადრობ... მსგავსი ხილვების
 მონაცვლეობით ვარ კმაყოფილი
 და ჩემს სამეფო ღერებს ახატია
 ერთად – მზისა და მთვარის
 პროფილი.

2004 წ.

შავი ყუთი

თეიმურაზ მეტრეველს

რადგან წარსული მომავალს არ ჰგავს
 და არაფერი არ მეორდება,
 ყველა თაობა რალაცას კარგავს,
 როცა საკუთარ სიყრმეს შორდება.

სხვა არ ვიცი და ჩვენი თაობა
 ჩარჩა ბნელსა და სინათლეს შუა
 და ის თამაში, ის ბურთაობა
 ახლა ციმციმა მირაჟი თუა.

ჯერ ფიქრობს: ერი მისით იწყება,
 აღემატება სიმალლით კოლოსს,
 მაგრამ ბავშვური თავდავიწყება
 გამოფხიზლებით თავდება ბოლოს.

გავინავარდეთ სულ ერთი წუთით,
 მერე რა მოხდა, არა ვიცი რა!...
 ჩვენ ჩვენთა დღეთა ვართ შავი ყუთი
 და შიგ წერია, რამ შეგვიწერია!

2004 წ.

ხატიალი

დააკაკუნე!... იქნებ გაგიღონ,
შემოგთავაზონ ლამის გათევა.
თუ დაიბენი, მე აქ მნათე ვარ,
გზას გაგინათებ, მეტი რა გიყო!

ნინ წაგიძღვება ჩემი სანთური,
თუნდაც დაგჭირდეს კუნჭულთა დაველა
და მთელი ჩემი ნაოფლი დაველა
სხვამ ჩაიწურთოს ხელის ფათურით.

ვერც გასაყრისის ხმები დაბდაბა
და ვერც გუშაგის მრისხანე: "შესდექ!"
ვერ აგიკრძალავს, სიკეთეს სთესდე,
ხეტიალობდე შენ დაბა-დაბა.

იმ ხეტიალში იქნებ კიდევაც
გაიჭრიალოს ნანატრმა კარმა
და გულის კარნახს დათანხმდეს კარმა,
რომ ღამე სწორედ იქ გაითევა!

2004 წ.

სიმღერა

მე დაგავინყებ ჭორს და მოგონილს,
ფოთლებს დაგიფენ, ფარჩა გეგონოს,
ჩემო გოგონი, კარგო გოგონი,
მოდი, გაკოცო და ჩაგეკონო!

თვალს და ხელს შუა ქრება ცხოვრება
და პორიზონტი ისე ახლოა,
მალე არავის ემახსოვრება,
რომ აქ პოეტის სამოსახლოა.

მინდა ავიღო ხელში ჩონგური,
სიმებს ჩამოეკრა მგერული კდემით,
გაყუჩდეს ციხის ყველა ქონგური,
სივრცეს გადასწედეს სიმღერა ჩემი:

"ველარც იებით, ველარც ვარდებით,
ქვეყნად ვერავის შევეუვარდები.
ვისაც ვუყვარდი, ისეც ვუყვარვარ,
ძალით არავის შევეუყვარდები!.."

2004 წ.

საქართველო იქ, სადაც მე ვარ!

თითქმის ორმოცი – (40!) – წელი,
უსაქართველოდ და უქართულოდ,
თქვი, თუ გაძლებდი, თუ იღვანებდი,
ქართველო, წერილი საქმით გართულო!

არ გიკვირს განა? ნაცვლად იმისა,
ვანს რომ ევაზა, ყანას ეყანა,
ამოიყარა ეკალმა ყლორტი,
გლერტამ წაიღო მთელი ქვეყანა.

გამოიკეტა ბევრმა დარაბა,
ცოტალა დარჩა სახლი კარლია.
აქ პანთონში ყაჩაღს მარხავენ,
გმირი კი სადღაც მთებში მარხია.

ველარ გვიშველის, ველარ გვიშველის
პირჯერის წერა და საკმეველის კმევა,
ყველა ჩვენგანმა თუ არ იყვირა:
"საქართველო იქ, სადაც მე ვარ!"

2004 წ.

“პეტრეს არაპი”

მზე თითქოს “პეტრეს არაპი” არი,
გამურულია შავი ღრუბლებით.
ეს სიმართლეა, არა “პიარი”,
მნათს რომ კაცივით ვესაუბრები.

შინ შემოდო, ხომ ჩვენ გიმღერეთ,
ხომ ჩვენ შეგასხით ხოტბა ლილეით.
ქართული ლერწმის ისევე იმ ღერით
კვლავაც ვადიდოთ ეს ყვავილეთი!

მე მას ავძახი: პეი, არაპო,
ნეტავ, საიდან ამდენი ჯანლი!
გთხოვ, ისეც მკვდარი გული არ აპო,
არ გაალვივო მინაზე ჯანყი.

არაპო-მეთქი, შემფხვევით დამცდა,
შენა ხარ ჩვენი დედა-მშობელი
და რომ არ გვტოვებს ამგვარი
განცდა,
ვართ მადლობელი, ვართ
მადლობელი!

2004 წ.

იმედი

თითქოს წასულან სადღაც ყველანი,
ალარსად ისმის კაცის ჭაჭანი.
ალარც ღვინონი, ალარც ჭაჭანი,
მით უფრო – მჭადნი, მით უფრო –
ყველნი.

ნელში გამწყდარი და დაქანცული,
ვოცნებობ, შემხედვს წმინდა
ქალწული,
რომ დაიფერფლოს სიტყვა
“ლალატი”.

სივრცეა რალაც არაქართული,
დგანან სახლები ცივი და კუშტი,
თითქოს ახლახან აქ იყო რუმდი
სატანურ ლექსთა წერით გართული.

თუმც უარესად ვცხოვრობთ
ყოველთვის,
ვიდრე გვეგონა, ვიდრე ველოდით,
მაინც ვსულდგმულობ
საქართველოთი
და იმედი მაქვს ყოველ, ყოველ თვის!

როგორც დამპყრობლის მძიმე
ლალათი

2004 წ.

ვის უხმობს ზარი?

ვის უხმობს ზარი?
ე. ჰემინგუეი

საბედისწეროდ დიდი ხნის შერე,
ფოთლებდაფენილ ხეივნის თავში,
სადაც დარბოდა ხუჭუჭა ბავშვი,
საგაკვეთილო ზარები ჭღერენ.

თუნდაც დავესწრო, თუნდაც ვაცდინო,
ფრიადზე ვიცი ის გაკვეთილი...
მე თითქოს მკერდი მაქვს გაკვეთილი,
რომ გულის ძგერა ცას ავანვდინო.

ჰოი, რარიგად დასანანია,
რომ ის არავის არ ეყურება.
დრომ მორჩილება და მსახურება
ძმას ანანია, დას ანანია!

ან სევდამ უნდა მნათობი ჰბოლოს,
ზედ დაამჩნიოს გოდებამ ბზარი...
ვის უხმობს ზარი, ვის უხმობს ზარი,
ხეივანის თავში, სიცოცხლის ბოლოს?

2004 წ.

ცივი მზე

შენ განზე დგები და ამბობ უარს,
ცუდად დაცდილი მაქვს ეს უარი.
შორით რომ მოჩანს, გვირგვინი თუა,
განშორებათა აქსესუარი.

ზაფხულის სუნთქვა წაჰყვია იელებს
და დაღვრემილი დღემდე მიტომ ვარ.
ეს ამაზრუნენი სიცარიელე
მე ტორიჩელმა თუ დამიტოვა.

წარსულმა ჩემზე შური იძია,
სისხლი დამცინცლა მთელი ბარელი.
შენ მთაში რჩები, როგორც ძიძია,
მე საუკუნოდ ვხდები ბარელი.

და ვიდრე ასე წვალებით ვარკვევ,
რად გამომესხა დარდი ეკლებად,
მყოფადი ჩუმად გამხდარა სარკე,
რომელშიც ცივი მზე ირეკლება.

2004 წ.

მარადი გეტო

არავინ იცის, საიდან მოვა
მისი ყველაზე სასტიკი მტერი,
იქნება ქარი, იქნება თოვა
თუ ცა იქნება ზამბახის ფერი,

როცა უცნობის შავი კარეტა
მოგრიალდება მის გალაფანთან,
გამსრესი დევთა და ფალაფანთა,
გამმრავლებელი მგლოვიარეთა.

არავინ იცის ის ბოლო ფრაზა,
სულის სიღრმეში რომ ინახება,

როდის ააგლეჯს ბაგეებს რაზას
და შორ წყვილიაღებს შეეჯახება.

(მივმართავ ჩემს თავს)

მე სიზმრად ვნახე:
მკედარ სიწუმეში მკედრის ფერი გედო,
ბრინჯაოს ნილაბს გიგავდა სახე,
თითქოს გიცდიდა მარადი გეტო.

მე შენი სიტყვა ვერ გავიგონე,
(არა! გარჩევა ველარ შევძელი!)..
და ახლა იმ წამს ისე ვიგონებ,
თითქოს აღარ ვარ მთელი ეს წელი!

2004 წ.

"ტვირთი"

ცხრა მთას იქით რაღად მიწდა,
გინდ მაქონ და გინდა არა.

აკაკი

აქ ჩემზე ისე გულუხვად წერენ,
ისე აკმევენ სიტყვებს საქებარს,
თითქოს დაინყო დუმილის მერე
ხმების ნამდვილი გაფარსაგება.

მადლობა ყველას, ვისი კალამი
მახალისებდა, ძალას მმატებდა,
ვით მტრის ციხეზე თეთრი ალამი,
აღდგომის ღამეს დგომა ხატებთან.

იქნებ კიდევაც ნაეიტრაბაზო,
რომ გამვლელები ქუჩაში მცნობენ.
მე მზად ვარ მათთვის სული გავალო,
გულის ფიცარზე ამოვნვა: "Open!"*

მე ამნაირი "ტვირთის" ტარება
მარგუნა ბედმა მთელი ეს წლები.
მსგავს სიხარულს და მსგავს
ნეტარებას
საქართველოში თუ მოვესწრები?

2004 წ.

აგიტატორი

(ნინასაარჩვენო ქრონიკა)

ქერო, შენ ვილამ გაგაბრინჯაო,
ჩემად დაეწყო შერიას ქილიკი.
ჩანაცვლებოდა ტრასას ბილიკი,
სასახლეს – ქოხი, ოქროს – ბრინჯაო.

გვსურსო ყამართან კიბის ამართვა!... –
გამოეფინა ბრბოს პლაკატები.

ყფდნენ უძალლო ქვეყნის კატები
და ვირთაგვები წერდნენ სამართალს.

კენესოდა მიწა, მტრების ნატორი,
და სანამ იგი ითხოვდა შველას,
ქამრის მოჭერას ურჩევდა ყველას
აჭიმიანი აგიტატორი.

2004 წ.

* Open (ინგლ.) – ღიაა.

დრაკულა

შეჭირვებული მაშვრალთა ბედით,
 აღდგომას, როგორც ლაზარე, ველი.
 ჩვენთვის ჯვარს ეცვა ნაზარეველი
 და სხვა რა ექნა ამაზე მეტი.

უფლის ძისაგან გასაოცარი
 მსგავსი ნაბიჯი იქნებ არც იყო!..
 (სირჩას – საგრემოს და სავარციხოს –

ვეძებ და ვფიქრობ, ალბათ, დროც
 არი)

ველზე ზვინები ჩანს ქადრაკულად,
 ლოკავს მდინარე კლდოვან ნაპირებს,
 ნისლიდან თითქოს გვიშვრს
 დრაკულა
 და ამ მშვენების დანთქმას აპირებს.

2004 წ.

ორერა

"ორერა" ურარტულად თურმე
 მზის ამოსვლას ნიშნავს

მზე ყველგან ჩადის... უგანდის, ჩადის
 მხარესაც ჩადის და ვინც რას სჩადის,
 ყველაფერს ხედავს... და როცა დილით
 ამოვა კვლავ და პანია ჩრდილი

ნამოენევა ვეება ჩრდილებს
 (ბუნების ახსნა, უ!.. რა რთულია!),
 ჩვენი "ორერა" და ჩვენი "ლილე"
 ერთბაშად ქართულ-ურარტულია!

2004 წ.





ამირან ასოზაძე

დედა

რაც ხანი გადის,
მე დედაჩემს
ისე შევეყურებ, –
თითქოს ის ქარში

გატანილი სანთელი იყოს
და ეშოშობ, ეშოშობ,
სადმე უცებ
რომ არ ჩამიქრეს.

მატარე ისე

კვლავ უხმოდ ვინვი,
კვლავ ფიქრებს ვისევ,
კვლავ ზღვას მიაპობს
ცხოვრების გემი,

ღმერთო, ამ ქვეყნად
მატარე ისე,
რომ არ შემჯავრდეს
სიცოცხლე ჩემი.

ეკუთვნის ყველას

ოთარ ჭილაძეს

თავის შექება გჩვევია როდი,
სულაც არ იმჩნევ, რომ შენ დიდი ხარ...
თუმც კარგად ვიცი, საიდან მოდი
და ისიც ვიცი, საით მიდიხარ.
ეს დრო, როდესაც არავის ინდობს,
ასე ყველაფერს სვაევიით სანსლავს, –

ო, სწორედ მაშინ, ო, სწორედ იმ დროს
შენ მოახერხე მწვერვალზე ასვლა.
თვალეებს მჭრის შენი სინათლის ჩქერი,
გადამდებია ეგ დიდი ლელვაც...
მე კვლავ ვამაყობ, შენ რომ ხარ ჩემი
და ამავე დროს ეკუთვნი ყველას.

სხვა სივრცეს ვეძებ

თუ მთელი განცდით
სხვა ვარსკვლავს დავეძებ,
თუ გულს იტაცებს
სულ ღრმა მორევით.
ეს იმას ნიშნავს,
რომ ჩემს თავს ვვავედ
და არ ვიცხოვრო
სხვისი ცხოვრებით.

ამ ბუნების ხიდზე
(მფრთხალი როდი ვარ)
სულ სხვაა ჩემი
სულის ყივილი,
დასაბამიდან
ასე მოვედივარ –
ნაღდი ცრემლით და
ნაღდი ტკივილით.
თუ ნამით განზე

აღარ გაემდგარვარ
ხელ საფიქრალი
უფრო მეტია...
სხვა სივრცეს ვეძებ,
სული რადგანაც
ამ ოთხ კედელში
ვერ ჩაეტია.

ღამე

ვხედავ,
ზეცამდე ანედილ მთებიდან
ფრთხილად ჩამოჰყავს წამებს
ღამე – ცოდვილთა თავშესაფარი,
თუ ერთგულების ღამე.

სადაც გადივლის,
გადაასწორებს
ნაპრალებსა და ხრამებს;
ღამე – ლალატის, მონანიების,
თუ გადარჩენის ღამე.

წუთებო,
თქვენთვის როგორ უცხოა,
შეყოვნება და დაცდა,

ამ უკუნეთში დაძრწის რამდენი
ჭრელი ფიქრების დასტა,
ასე იყო და
ახლაც ასეა

ადამიანებს შორის –
ფრთებს შლის
რამდენი აგორებული
მოგონება თუ ჭორი...

დარეკავს ზარი
და უბოდიშოდ
გამოებმება წამებს,
ღამე – ცოდვილთა თავშესაფარი,
თუ სიყვარულის ღამე.

ამ მარტის თვეში

აღარ მასვენებს
ფიქრი შემძვრელი,
გულის სიღრმეში
ეჭვსაც გავივლებ...

ამ მარტის თვეში
შიშით შევცქერვი
გათამამებულ
ტყემლის ყვაილებს.

ნეტავი ასა...

თვალს თვალში
მიყრის ცხოვრება მკაცრი,
მიფორიაქებს
ფიქრი რამხელა,

ყველა რომ დარდობს,
ამ დროს ეს კაცი;
ნეტავი, ასე
რამ ააშლერა?!





შოთა გოსტანაშვილი

წყალწყალა ლაპარაკი

-რა ხდება, რა ამბავია,
რა ლაპარაკის ბუმი?
- ეს ამბავი ჩინურია,
კედელია ჩინური,
ჩინებული, საჩინო,
უჩინმაჩინიანი,
ჩემი ჩამი-ჩუმი.

ხუროთ-მოძღვრებაში პოეტი მოვა!

(ხუროთმოძღვრება იგულისხმება რა თქმა უნდა, ნუ გამისწორებთ),
პრაგმატიკოსი დამპროექტებლების დაპყრობილი მინა მხსნელს ელოდება,
როგორც ქაოსის წყალი იმ პირველ სიტყვას.

დღემ იდღევა და ღამემ იღამა...
ბევრმა წყალმა ჩაიარა,
ბევრმა წელულმა და იარამ
და უფრო ბევრმა ხარებამ,
ბევრი თუ ცოტა იარა...

მრავალშეილიანი სიტყვაა წყალი:

მერწყულია წყალმზიდი;

წყლიანი - (მ)შეენიერი და მოხდომილი;

უნყო, ურწყო და ურწყული უდაბნოთა გამგებელნი არიან,

წყალუხვი - მდინარეთა, ტბათა, ზღვათა და მათ ნაშიერ ოაზისთა;

საწყალი-საწყალობელი, მონყელადი, წყალნაღებული,

მონყალე, ენაწყლიანი და წყალში მდგომი-წყლიერი,

დანყევილი-წყელი და შეუნყალებელი, - მთელი კაცობრიობაა.

(რამდენმა წყალმაც არ უნდა ჩაიაროს მათი წყალი არ დაინმინდება)

წყლის მეტაფორათა სათავეში ღმერთია - მწყალობელი.

მგონია, ეს კოსმოგონია გულისგამაწყალებელიც იყოს

ვინმე ახალ ახალგაზრდა ვერთერის (ან ვინმე მონყელადის) ფიქრში,

ალბათ იმ ასაკს გამოეცდი, გამოეცრი - ჩემსას ვილაპარაკებ...

წყალდანყალ ვიხეტიალე, ხან წყალგალმა გავალ, ხან წყალალმა ვივლი მე.

სკრის, წყლის სცენაზე...

წყლის-პირია, საპალურო, სასალიკო, საბადური (საბა) – მებადურთა ადგილი.

წყალობა საჩინო სიტყვაა *წყლის* დიდ ოჯახში.

წყალობა – არს მწუხარება სხვისა ბოროტსა ზედა (საბა).

მწუ ხარება! – ნუ გინდა, არ არის სასიხარულო საქმეო,
 და როცა ეს საქმე სხვისი ცუდი ამბავია,
 ასეთ მწუხარებას *წყალთან* მივყავართ – *წყალობასთან*.

მწუხარება, – (სევა, სავა – სხვათა ენა – საბა).

მწუხარე სახის რაინდობა და უშიზე ზო სევდის ნალევლი,
 პოეტის ბედისწერაა. ეს ნაწერი დაკარგა სამყარომ. . .

სამყარომ ნაწერი დაკარგა!..

ამდენი შრომა *წყალში ჩაიყარა*. . .

ვისა აქვს თავიდან დაწყების თავი,

წყალმა ნაილო ნავი...

სამყარომ სევდა დაკარგა –

– *გაიქარწყლა* სევდა.

ნამდვილი ალტკინებაც სევდის შვილია და
 ბოლომდე აეარდნაც სევდიდან მოსულა.

მწუხარება ყოფნის *წყალგამყოფია* –

გატრუნული, გარინდებული, ჩუმი;

წყალობაც წყნარი და *მტკნარი წყალია*,

პირველქმნილი –

– ნარუქი, ნარიდები, ნარნარი და ნარინი;

მხოლოდ *წყალწყალა* დაფრინავს *წყლის* ზედაპირზე. . .

(*წყალწყალა* ფრინველია – საბა ბრძანებს).

და *წყალგამყოფი* – *წყალთ გამყოფია*.

აბა კენჭი აფრინე *წყალზე* – ხმა გაეცი *წყალს* –

პასუხად ლაპ! და *წყალზე* შემონერილი ნრენირი,

მერე უფრო დიდი ნრენირი და კიდევ უფრო...,

სულ რამდენიმე ნამით...

კიდევ ერთი კენჭი, კიდევ ერთი ლაპ! და

იგივე იგავი,

იგივე არაკი,

ლაპ – არაკი.

არა – კი (არც არი და კიც არი).

ლაპარაკი უყვარს *წყალს*, – მისი მოგონილია ლაპარაკი.

სამყაროც გაუთავებელი ლაპარაკია, – პოეტის ლაპარაკი –

– გაბმული გრძელი ლილინი (ჩივილი, ჩიჩინი) – დიდი ჩინური კედელი.



ცოტა რამ, რაც ჩანერილია ამ დიდი ლაპარაკიდან,
ის არის პოეზია და **წყალობა** –

– დიდი **წყლის** პატარა **წვეთები**,
წვეთები, პოეტური სისხლის **წვეთები**.

ცოტა რამ, რაც საჩინოა დიდი ხუროთ-მოდღერებიდან,
ნაწარმოებიც ის არის – დიდი სამყაროს პატარა მოდელები.

ხუროთ-მოდღერებაში პოეტი მოვა!,
პრაგმატიკოსი დამპროექტებლების დაპყრობილი მიწა მხსნელს ელოდება,
როგორც **ქაოსის წყალი** იმ პირველ სიტყვას.

დღემ იდღევა და ღამემ იღამა...
ბევრმა წყალმა ჩაიარა,
ბევრმა წყლულმა და იარამ
და უფრო ბევრმა ხარებამ,
ბევრი თუ ცოტა იარა...

წყალი და არქიტექტურა ისევ თანამზრახველნი არიან,
შე-თქმულებებს ერთად თხზავენ და ერთად ხუროთ-მოდღერობენ.
მათი ლაპარაკის მოსასმენად ვენეციის ნახევაც კმარა და
ძველი თბილისის გახსენებაც: მტკვარში ჩამდგარი სახლები, ვირის ხიდი და...
მაგრამ **წყალთან** განდობილი მეგობარი მაინც ხიდა.

წყლის-პირია და **მდინარის** კიდურია **ბაგე**, და ხიდიც, – აგე!

ხიდი და **მდინარე** – მყარი და მედინი დრო – მირაბოს ხიდის მეტაფორაში
იქნებ ყველა სხვა ხიდის და სხვა **მდინარის** ფიქრსაც იტევს და მოაქვს.

აქ უნაპირო სევდას მოჰყუფს **მჩქერვალო** – მისჯილი თავისუფლების
სევდას;

იქ თვინიერად მიედინება **მონიო** და ზანტად მიიზლაზნება – მუზმუზელა
მუზა;

აქეთ მოლელავს და მოდუღუნებს, და ვინ იცის რას ბუტბუტებს **გოჩგოჩანა**;
იქით გველივით მიიკლაკნება **ლუბრმა** სანაპიროს არქიტექტურულ

არტახებში,

ვით განდგომილი – მოგვი; მოვერცხლილი სარტყელივით, ვით ოლარი ეღვარე.
წყალმარჩხი კი – **თავთხელი**, **მცირეწყლიანი** – **მდინარებს**, ..

აქ – **მღვრიედ**, იქ კი – **ანკარად**.

ნეტა ასე რად ინება,

ეძინება ან კი რად?

ეს ის არ არი, რასაც მოვლი

წყაროს წყალია,

წყალი-ცხოელი.

სცრის, წყალიას ცენაზე...



საქართველო
საზოგადოებრივი

-ისევ ვაშლი?...

წყალი გველია,
გველივით ბრძენია,
საიდუმლოს მცველია;
წყალმა ეს ძუძუ ანოვა ვაშლსაც,
ქალია **წყალი** - ძუძუვაშლება ქალი;

-ისევ აეშლი, (დაეშლი, გაეშლი)
გადაეშლი და გაეაძეუებ,
-კედლის იქით გაეაძეუებ;
გადაეანოვო-გადმოეანოვო
და ხელახლა გაეანოვო,
- აეანოვო!

ზოგჯერ უბრალო მოახლეა -
- როცა **რეცხავს**,

ზოგჯერ არც ისე უბრალო -
- როცა **ნაშუსს ჩამორეცხავს**;
- როცა **ცოდვებს განბანს** -

- მაშინ გვიმხელს თავის ანბანს... საიდუმლო იცის **მიტევების წყალმა** -
- **წყალკურთხევის**, - ნათლისღების საიდუმლო.

წყალმა იცის საიდუმლო,
მეც ამ აღვირს ვლრდნი და ვჭამ.
საიდუმლო იცის **ჭამ**.

წყალმა საიდუმლო იცის
ამ ცისა და იმ ცის;

საიდუმლო ცამ იცის,
საიდუმლო იცის **ცამ**,
მისმა ტყუპისცალმა,
მისმა ღვიძლმა დამ.

ესეც დების სერობა - საიდუმლო დისკურსი.

ამ დროს წყალი ჩუმია, ნელია, **მხს-ნელია**.

ჩვენც **დავლეართ ცოტა წყალი** - დავეხმართ,
დავუმატოთ თანხმონენი - შევეთანხმდეთ **წყალს**!

წყალთან მეგობრობენ დიდი რაბები და კაშხალები;
დიდი და პატარა პესები **წყლებს** ნიალიდან შობენ სინათლეს;
ნისქეილის დოლაბის ქვებიც **წყლის** დამქანცველი ალერსით ამრავლებენ
პურს.

და არა პურივით ერთითა არსობს **წყალი** -
- **წვიმის გუბეში** ჩავარდნილი მთვარისა და კიბის
ანარეკლის პოეტკით და სანახაობით.

შაბა-შაბა!

(ინდოელთა ერთ იტყვიან: მოსანონი-მოსანონი, -საბა).

ეს არის **წყლის ნაყა?**..

აქაც დიდებულია, **წვიმის გუბა** - **ლაყვა**,
როცა **წყალი საწყალია**, **ჭაარის** და **ლაყვა**,
ამავე დროს მზაკვარია, სიღრმეში აქვს ზაკვა
(მისი სიღრმე კი ზედაპირია და ზედაპირი ზედა პირია) ;
როცა რაიმეს **წყალს მისცემ** და როცა **წყალი პირს უზამს**..,
როცა **ცეცხლზე წყალს დაასხამ**.., როცა **ცივ წყალს გადაასხამ** -
- **ჩაილულის წყალს დაალევიანებ**..

გინახავთ ქაში ჩავარდნილი მთვარე? . . .

მთვარე უნდა ამოხაპო და დალიო.,

და დალიო,

და დალიო.

წყლის-საქანელი... ნელა!
მთვარე უნდა ამოხაპო და
შესვა.
მთვარე უნდა გაივსოს და
მთვარე უნდა დაილიოს. . .

მთვარე უნ-
და ამოხა-
პო. ეზია-
რო პო-
ეზიას, ეზ-
იარო, რო ია-
რო მა-
რტომ, ყვაეი-
ლი გამო-
ისხა,
მისხალ-
-მისხალ.

პური და სანახაობა წყალ-იმპერიის არსენალშია
და იმპერიის გარნიზონია წყალი მოცვისა.

ერთგული და ფასმდებელი წყლის ხასიათია, - როცა მშვიდია;
რასაც გაანდობ და რასაც მიიბარებ, შეგინახავს და რასაც გინდა
და როცა გინდა, უკლებლივ უკან დაგიბრუნებს იქვე და მაშინვე -
ჩვენ რომ ანარეკლს ვეძახით.

ან მონანქარებს, ან ანქარებს, ან არ -
ანდა ანქარებს, -ეკლის გვირგვინს ირგებს...

ფასმდებელია წყალი - სარკეა; ანარეკლია ამის უტყუარი ნიშანი.
რაც ხდება იმას ლაპარაკობს, იმას ასახავს უფრო ლამაზად,
და რაც ლამაზია ის არის ჭეშმარიტი. (ამას არ უნდა ქილიკი).
. . . და ისიც წყალზე ყოველდღე დადის, როცა ამოდის და როცა ჩადის -
- ოქროს ბილიკით.

თვალს წყალი დაეალევინოთ!.. ჩინებულა, შაბა!

სცრის, წყალის ცენაზე; სცრის სიცრუის სიბრძნეს...
ჩასძახებ, ამოგძახებ, ხმას შეგინყოფს ფრინველივით - ელავს,
თუ მშვიდად არის და თუ არ ლელავს.
აღლელვბაც მან მოიგონა - წყალმა. უმონყალოა -
აი, წინ წაიგდო ხმოვანი და დაუნდობელი ვახდა, წარღუნას მოახდენს,
წყალს გამოადენს ქებასო...

ნება რომელი ნისქეილის, რომელ ქვას ასხამს წყალსაო?



მთასა და კლდეს თუ ვერაფერი დააკლო (მაინც თავისიანია),
არქიტექტურაზე უნდა იყაროს ჯაერი.

*წყალი ზოგჯერ ჯაერიანი, ზოგჯერ წყალჯაერიანი.
წყალდიდობაო! – იტყვის და მორჩა, სიტყვას წყალი არ გაუუა.
(ამდენ წყალუბეს რა აუუა?..)*

შეაყარე კედელს ცერცვი,
მაგრამ რაღას შეაყრი თუ კედელი არ დაგიტოვა.

ამდენი შრომა *წყალში ჩაიყარა*. . .
ვისა აქვს თავიდან დაწყების თავი,
ნაილო *წყალმანავი*. . .

იქით კი ვილაც ქილიკობს – *აღელვებული ლელუო*.

აკი შევატყვე ამხტომი იყო, უცხოოდ რო იყო და სევედიანად.

რა გქვია მეთქი? – როცა მოვარდა;

მითხრა – *ტალღაო*.

ვინ იყო მეთქი – რო გადმოვარდა?

– მაღლა კლდიდან გადაიქცა და *დანჩქერად გადაიქცა*,
მონყლულივით იქვე იქცა, *დაიღვარა* და *დაიქცა*.

ხომ გითხარით არტისტია, აქ რო *წყალია* და იქ – *ცა*.

იქ *ცა დაიქცა*. . .

ეს კი *ზვირთიო*?! – რო ამოვარდა.

ეს ვილა იყო რო გადმოვარდა?

დაიღვარა – *დაიქცა*, *მონყლულივით* იქცა.

იქ *ცა დაიქცა*...

მუშაითი – *ჯამბაზია*, აქ *წყალია*, იქ – *ცა*.

დაბლა კლდიდან გადაიქცა და *ჩანჩქერად გადაიქცა*,

გადაიქცა *ჩანჩქერად*, გადაიქცა და გაიქცა,

გამდინარდა – ჩანს *ჩქერად*...

ნახეთ როგორ მოსცემს მკლავებს,

საბაითობს*, როგორია?.....

როგორია, მოცეკვავე?

ჩამბალილა, შაბა–შაბა!

ეს როკვია ერთი, –საბა.

სულ სხვა არის *ჩამბალია*, – შა ბა

*საბაითი სიმღერაა, – საბა.

თვალს წყალი დავალევივით!.. შაბა!

რელიეფის მკვეთრი ვარდნა და

რაკარკა ნაკადულიც ჩანჩქერად გადაიქცევა.

რაც უფრო *წყალუბვი (წყალდიდი)* წყალია, რაც უფრო მაღალია ვარდნა,

(წყალვარდნილია მაღალი) მით საჩინოა *ჩანჩქერი*, – გრრრანდიო ზული,

–ანდა.

აქ სხვაც ვილაპარაკოთ – სხვა დავინწყოთ ფურცელი:



ფიფის ფიქრებს (ან პირიქით) –

ფიქრის **ფიფებს** ელის ველი, მცირეა თუ ვრცელი...

უკვე **თოვს** და **ჩანჩქერიც** **ლოლუებად** იქცა.

სკულპტორია, მხატვარია, აქ **წყალია** იქ – **ცა**.

თოვლს კი..., აი რამდენი: თვრამეტი აქვს სახე და თვრამეტი სახელი
– აბა?!...

ამ სახელებს ალგვი –

– წერს ბატონი საბა:

“. . . რა ღამის სიცივემა ცვარი შეათოოს, უხმობენ **თრთვილსა;**

ხოლო პირველ დათოვასა ვიდრე მიწათა გათეთრებამდე უწოდენ **ყაპსა;**

და თუ დათოვა ტერფამდე და მეტი მოსი, იგი არს **ფიფქი;**

და მოსი უმეტესი **თოვლად**

აუუუ!..

რა თეთრი სივრცეა,

სახელ-იდეების

რაამდენნაირი დაფა–

უკეთუ თოვლი წვიმანარევი იყოს **ჭყაპს**

რვა – თეთრი აპოკალიფსი,

უწოდენ

რაამხელა!

და თოვლიანსა ნისლსა–

ბურსა;

გამხელა. . .

თუცა ბურისა მიერ ხენი შეიყინნენ იგი არს **ჭირხლი;**

უკეთუ ხეთა ზედა თოვლი დადგა, ეწოდება **ხურხლი;**

ქარიანსა თოვლსა (თოვასა) ეწოდების **ბუქი;**

ქარისაგან ახვეტილსა ადგილსა პქვიან **ხიანი;**

და სადა თოვლი ნაბუქი შეგროვდა, მას– **ნანქერი.**

თუცა შემბალი თოვლი შეყინა, ეწოდება **ბზარი;**

და რა ბზარი მზემა შეაღბო, ეწოდება **ლელმა;**

მცირესა ფიფქსა ბზარ–ქმნილსა – **არხილი;**

რა თოვლი აჭრელდეს, იგი არს **ლილო;**

თუცა თოვლისა სიმრავლე მთამ ველარ იტვირთა და ჩამოიზვლა,

იგი არს **შვაეი. (ZA)**

. . . (+ და თუცა გაზაფხულ თოვლი შეყინებული ჩამოიზვლა,

მას უწოდებენ **ზეავსა. (D)**

და თოვლის(ა) ნადნობსა წყალსა **ლანქერსა**

უწოდენ (CD).

სეტყვის ნადნობ ლეარს– **ლექტერს**

– საბა.

და სიტყვის ნადნობს – **დავიწყებას**

– შა ბა.

აი ეს(ს)ე ალგვი–წერს ბატონი საბა,
(და აქ) მე არ მინდა დაევა. მინდა დაევა–
ბრუნო მე მეგბრუვე ხმები "შაბა-შაბა".

სახე ვერ აგნებს საბელს,
ინე დაშორდა – იპოვის საცაა;
საცაა ცაა. . . და ცის,
იმ წიგნმა წყალივით იცის.

შენ ხარ **წყალი**, ნიადაგ მოხეტიალე.

წყალი პოეტია, - ხან მიწისაა, ხან ცისა -

- ღრუბელაშლილი - ცრიატი, ცა - ცა მოხეტიალე, ანუ იალტიალი.

ხან **ცვარია** - **ნიჭი**, **ლუფი** - **თვალწყალა**, რო გიხარია;

ხან **შხაპუნა**, ხან **ჟუჟუნა**,

თქორი, **თქეში**, **ფრუტი**,

ჟრმურტლი და **იხარია**;

ხან კი თავსაც მოიძულეხ - სიტყვებს **სეტყევას** ცოფით:

კოხი, **დეღვმა**, **თავსხმა**,

წვიმა **კოკისპირული**,

ღლოფო და **ღვარცოფი**.

აღბათ მოაწვა **ქაოსის** სევდა, ფიქრი შავი და ავი

და **წყალს** მობეზრდა სიცოცხლე, უნდა **დაიხრჩოს თავი**,

(**წყალს წყალი შემოეპარა**; **წყალსაც შეუფგა წყალი**; რა ქნას და, რა **წყალს მიეცეს**,

ანდა რა **წყალში ჩაეარდეს**.) - უნდა **დაიხრჩოს თავი**.

ბევრი იავდრა, ბევრი იდარდა... .

თავზე დაეცა ბროწეულის ბალს,

მოცაკვდა, **გასისხლმდინარდა**,

წაეიდა ნა, **წარმდინარდა**,

ჯურღმულში გაუჩინარდა... (ეიეთთა **ჯურღმულიცა წყაროდ** აღუნერიათ - საბა)

წყალმა წაილოს ავი ზმანება -

- დაწვეს ცეცხლი და ალი,

(ეს სხვა ლაპარაკიდანაა)

წავმა წაილო **წყალი**...

სტრის, **წყალია** სცენაზე... .

სამყარომ სევდა დაკარგა - **წყალმა შესვა** სევდა.

ჯერ დამწუხრდა - დაილონა, მერე სევდამ **გამოყოვნა**

და კედელმა უთანაგრძნო - ფონად ექცა, მიეფონა:

ამაოებაო ამაოებათა, ყოველი ამაო - ამო.

ნესტი ფენად დაეფინა ურვისა და სევდის გამო -

ფენა - **წყლების** სასაფლაო, სასიკვდილო ფრრრ -

ენა **ნესტის**... (აქ კი **წყალი** გადინურა.)

წყალი დიდი სიმართლეა, ბოლოს მაინც **გამოყოვნავს**,

(ანდა) სიტყვა სიტყვას მოყვა და ჰა! - **სიტყვები მოზღვავედა**.

უზარმაზარ **ზღვას** რა დაამშვიდებს, ვინ არის მაგის პატრონი? -

ნეტა ვინ **ამღვრევს წყალსაო**?

ზღვე მის ენა მთვა რემ ი ცის, ი მას ე მო რჩი ლე ბი ან -

- იმას, **ჭაშირომ** ეგლო.

არა მხოლოდ ბუზლუნით,
 არა მარტო ბრაზობით,
 გინდა ბუმბერაზობით
 თვალსაჩინოობს *წყალი*.

თვალზე მომდგარ ერთ *წვეთში*, *ცრემლი* რო ქვია—
 —თვალის ორმოდან გადმოღვრილ *წვეთში*,
 ზოგჯერ *წარღვნის უმოწყალო წყლებია*.

ორმოც იდღეებს, ორმოც იღამებს,
 ორმოცი დღე და ორმოცი ღამე,
 ორმოცი დღე და ორმოცი ღამე.
 და მერე ნანარღვნევი *მოწყალების* ცისარტყელა.

(*წყალიც ნაგუბარში ჩადგება*, საქმეც ძველი გზით. . . და *წყალიც წყალივით ჩაივლის*,
წყალი წყალივით წავა).

დღემ იდღევა და ღამემ იღამა. . .
ბევრმა წყალმა ჩაიარა,
ბევრმა წყლულმა და იარამ
 და უფრო ბევრმა ხარებამ,
 ბევრი თუ ცოტა იარა. . .

ჯობია იმ დროს შეხედე *წყალს*, როცა *შადრევნებისა* და *წყაროების*
 არქიტექტურასთან მუსიკობს და ორივე ლექსად *იღვრება*, ან ოთახის ღია
 სარკმელთან, როგორც სურათის ჩარჩოსთან, ხაზოვან მძივებად ასხმული
წვიმად რო მოდის, ან ქარის ქროლვაზე ამავე სურათიდან ოთახში რო
 შემოვარდება სველი *ნამჭერიით*; ან იქნებ მაშინ, როცა ხმიანობს
 სახურავებზე, ხის ფოთლებზე და სველ მიწაზე. . . ან მერე *ნაწვიმარზე*,
 ხის ფოთლებიდან *წთოლვარეს*—
 —ეს ხო უცხო სურნელია,
ნაწვიმარის ეშხი—
 —*ყვავი* და *ლექში*.

სხვა სახეები, სხვა სახელები:

ჩქეფა, *ჩქაფი*,
ტბა და *ტბორი*,
ფშა და *ჭველი*
ჭა და *ჭაელი*,
რუ და რა? . . .

სხვა ხმა —

— უფრო მუდარა:

ჩა
მო
ნა
წუ
რი

წყალი ცელქი, *წყალი* ანცი,
 ან მიწისაა ან ცის.

სცრის წყალია სცენაზე, სცრის სიცრუის სიბრძნეს...

ასი შეფასების ღირსია წყალი და უფრო მეტად შემფასებელია.

მაინც ანარეკლია წყლის ხასიათების სცენოგრაფიული სახე:

ანარეკლში ბუდესავით ამოფენილი ცა (და ცაც ხომ მისი ტყუპისცალია) და შიგ ბარტყეებით ჩამსხდარი სახლები ქლურტულეებენ:

- ცა იმედია.

- წყალი იმედია.

- მაინც რის?

- რა იცი ცის!

- აი, სცრის!

- ხედავ, სცრის!

- მოწუნა,

- მორწყა,

- დანაშა.

- ნალექა!

- მოვარდა მორვეი!

- ვერ მოვერევეით!.....

- ვერ მოვერევეით!.....

არტისტია წყალი, მსახიობი - გარდასახვა შეენის.

შენი წყალი გადაგვესხას, გადაგვესხას წყალი შენი-

-ნმიდა წყალი, და ნაკურთხი წყალი - აია ზმა,

(განა ერთი სახელი აქვს საქებარი, განა ერთი აზმა)

მაგრამ აი რა ზამი ქნა, ნახეთ აი რა ზმა-

შეიცვალა ხმოვანი "ა"- ახლად დაირაზმა

და ურიოშო წყალი, ნმიდა აია ზმა-

წყალი გახდა წყელი- დანყველილი წყალი, ეშმაკი და გველი.

წყალი ცელქი, წყალი ანცი,

თან მინისაა, თან - ცის.

ფუი ეშმაკს!-განყალეზობდი შენს მშობელს, შენი ნაყოფი განყალდა.

ფუი ეშმაკს! - წინ წყალი, უკან მენყერი, შუაში შენ მეემწყვერი.

ფუი ეშმაკს! - წყალზე ნავიყვანს და უწყლოდ მოვიყვანს ალი

(წყალს თუ ეწყინა, ცივი დალიოს წყალი);

აი სრუტე - შეისრუტე!

სცც...რის, წყ...ალია სცც...ენაზე...

ო, ეს წყ... ენა; ო, ეს წყ... ალი (ასე მემართება, როცა ვნე რვეულომ)

რა ორ წყალს შუა ჩავეარდი, ნეტა რა წყალში ჩავდგე?..

ენა დამება შიშისგან, აქეთ მოდიან მგონი,

მუხლებში წყალი ჩამიდგა, ლამის დავეკარგო გონი,

ჩვენც უნდა გავინაპიროთ, ჩვენც უნდა ვნახოთ ფონი.



უფ...უფ... უფალო შეგვიწყალე,
 უხხ... სენებელი შშ... ორს გად... ალაღე, ბბ... ნელში დდ... ამალე მალე.
 ჩააოზე და ჩააჭაოზე, ბნელში დამალე მალე.

ხასიათები ჰქონია *წყალსაც* და *წყალქვეშქვეშა დინება*,
 რაც ვერ გაიცნობიერა - გაიუცხოვა, ასე ინება...
 ...და თუმცა, (მოდით, ასე ვთქვათ), გაუცხოებაც არ არის უცხო,

თუკი მზემ მისთვის არ მოიცალა,
 არ დააცხუნა და სხივი არ სცხო

- *ყინულია*, სლიპი, ცივი და თეთრი დუმილი,
- მაგრამ ფორმაა - მას აქვს სიმაღლე, სიგრძე და განი,
- არქიტექტურის ნათესავია.

და თუ ზედიზედ მიემზერა მზე -
 - *გაღღვა*, *აორთქლდა*, გარდაიცვალა ...

გარდაიცვალა, - გარდა ამისა სახიობობს და
 სახე იცვალა - სახლიც, სახელიც გამოიცვალა
 და თუ რის გამო იცვალა? ... რა სახლი აქვს, სადაური?

წყლის სადგომებს ალგვი-ნერს ლექსიკონი საბაური.
 ლექსიკონი კი არა სიტყვის საბალახე (საბა, ნახე - ბალახთ ბეგარი)
 საბა: *საბანელი* (დასაბანი აუზი); *წყლის* ჯამია - *სარიოში* (სხვა სიტყვაა - რიოში);
 ხოლო "სარწყული არს ჭურჭელი *წყალთა*: (ჭურჭელსაც აქვს პირი-შაკო)
იათული, *ვოვზაკი*, *სტამნი*, *კუტალი*, *ნურნუმა*,
წყლის *საქანელი*, *მათარა*, *თასუხა* და მისთან-
 ანი...". მაინც არ იცის მივიდეს ვისთან,
 ანუ მიუსაფარია, - *ოკეანეში* მოხეტიალე, იალტიალი.
 ვისთვის შინაურია, ვისთვის ოხერტიალი.

(*კოკაც წყალზე ვატყდებო... და გამტყდარა რამდენჯერ...*)

- ბევრჯერ უხსენეს წიგნური წარსული -
 (ან: უგნური) - ბევრჯერ ატკინეს გული;
- ბნელი უსახო და უსავანო -
 - მოწყვლეს მოწყვლადი სული;
- უფსკრული, ქაოსი, წყევდიადი -
 - ბევრჯერ გაუხსნეს წყლული;
- ლევიათანი*, *თოქუ* და *ბოქუ* -
 - ბევრჯერ უხსენეს რჯული;
- შორეული ორეული -
 - ძირძველი და ნიშანსვეტი - (ეს რა ჩამორჩენილია),
 არ თქვა მეტი!
- რა შურიო? რა შორიო?
 -აი ეს ხარ - H_2O .

სიტყვის კატასტროფაო, *სეტყვის* *ღვარი* - *ლექტერი*, უზნეო და შტერი;
წყალმანკიო, *დანაღეჭი*, *ნაღეჭი* და *ღეჭი*;



პირში წყალი გამოივლე, მერე ილაპარაკე და.....!

რომელი წყალიო: ნიჭი-შხეპი, თუ შხაპი?

შენც ამათი ჩამოსხმა ხარ, - მოწყდი თავიდან! მოსცილდი ნაპირს!

ერთხანობას დუმდა და...

დუმდა და...

დუმდა და... დაინრიტა,

შიისილა, გამოშრა პირში წყალი ჩაიგუბა.

ჩაიგუბა.

...პირი წყლითა აქვს სავსე.

მოსცილდა ნაპირს, იბრუნა პირი და მოჰყვა ტირილს -

ტირის და ტირის...

ტირის და ტირის...

ორმოცი დღე და

ორმოცი ღამე...

ორმოცი დღე და

ორმოცი ღამე...

და სიტყვებს ეძებს, ან სიტყვას რამეს,

ტირის და ყმუნავს - ასეა უტყვად,

სიტყვად კი ვერა და ა, ვერ აგებს,

რომ შეაგებოს ვერაგებს - სიტყვას ვერ აგნებს

და ვერ აგინებს იმათ ბაგეს და ბაგინებს -

-ბომონებს. ბობოლ დემონებს

ნუ აბოგინებ!

ნუ აბოგინებ!

ვინც მოგაგონებს, ვინც გაგაგონებს

იმ სახეებს და იმათ სახელებს,-

-შეუნყალელებს ნუ აბოგინებ!

შემწყალობელო ნუ აბოგინებ!

-რა ხდება რა ამბავია?...

ვინ გაბასრდა, გაჯავრებით ვინ კაფიობს?

ვინ არი, რო უკაფავი გაიკაფა,

გაიქაფა, ან პირი ვინ აიქაფა?

გაუნრფელდა, გაიცქვიტა - გაიცქაფა?

-არა ვებრაზობთ, ისე - ვბაზრობთ,

არტიტული თამაშია გარდაცქაფა -

- სიტყვის სიტყვაში გადასხმა, გადასწრაფა,

გარდასხვაება, გარდასახება.

წყალი - წყალჯავარიანი,
 წყალი - ზოგჯერ ჯავარიანი.

ჯერ იყო დაა:

გაითანგა, თავზე *ყლარტი* მოიკიდა

(აბა სხვას რას მოიკიდა?)

სხვაგან, სხვანი იტყვიან *ყაპყი* მოიკიდაო; ან *ფსკა*,

ანდა *ლუყუპო*.

მერე კიდევ:

შეაცვია და *ალრჩუნდა* – ტანზე *ბორგი* შეიყარა.

ბოლო–ბოლოო:

აბუტბუტდა, აბუყბუყდა, აიმღვრა და... ,

გაბოოშდა. ბოდიში და... , ენა ველარ დაიბოშა–

–რა არა თქვა, რა იროშა... .

ემშაკს აშქმა ანანა და... ,

ან არა და... , სხვა რა ექნა?.. .

თუ რა ილაპარაკა დაა... ,

ან რა უთხრა *წყალმა წველს* –

–წყალმანკიერს, გველს... .

გარკვეულ გარემოებათა გამო სხვა დროისათვის, "დამატებაში" გადავლოთ.

ვაი, რო მარტო ლაპარაკით არ დამთავრდა *წყლის* გაჯავრება, –

– ასეთია ხასიათი,

მისი ჯიშის და რჯულისა.

ბოლოს სულ მთლად გადირია,

როგორც *წყალი რღუნისა*:

სულ წაგლეკავთო! – მოსწყდა ნაპირებს,

უკვე ასრულებს ის დანაპირებს,

მაშინ ვუთხარი – ველაპარაკე:

მოჩუხჩუხე, მოჩახჩახე, მოლიცლიცე –

– მახსოვს შენი ფიქრის სივრცე, –

როცა *მორაკრაკებდი* და არტისტულ აზრს ზიდდი,

თავი როგორ გაუყადრე, ანდა როგორ აზრ ზინდი,

ლიკლიკაი დიაცივით ჯავრობ, ლიკლიკიანობ,

როცა *თავსხმით* თავს ესხმები, ეს ხმებიცა ეს ხმები –

გრრ... იალებ, ღრრ...იალებ, წრრ...იალებ;

ტანში გამაჭრიალებს

შენი ზრახვა ზავთით, ზარქით და ხუივით *ბუვილი*...

ეგ ზომ დიდი მოურავი, მეურვე და ურვილი?..

დაიოკე *წყურვილი*

დაიოკე სურვილი,

დაიოკე წადილი,

წადი!

ადი!



მაინც ვინ არის **წყალი**, ეს შინაური უცხო? –

– ყველაზე ხნიერი, ყველაზე ძლიერი და ნიჭიერი;

შესაქმისეული ექვსდღიურის წინარე ჭამი, –

ნათლისმხმობელი, სამყაროს მშობელი,

“დასანყისის” დამწყები **წყალი – სამწყელი** – “თავდაპირველი”

თ ა ვ და პ ი რ ვ ე ე ლ ი (ანუ ალექსანდრე რასშე – *კამკამი გააქვს წყალსაო*).

მარტოა **წყალი** – შიშველი ეელი და შიში შვენის, შიშველი ელის...
და მერე ვის?

ფიქრსა და სიტყვას, და სიტყვა – სიტყვა ფი –

ქრის, ქრის, ქრის... .

– და სული ღმერთისა ქროდა **წყლის** ზედაპირზე.

და თქვა ღმერთმა იყოს ნათელი. და იყო ნათელი.

ელი!.. ელი!..

დღემ იდღევა და ღამემ იღამა...

ბევრმა წყალმა ჩაიარა,

ბევრმა წყლულმა და იარამ

და უფრო ბევრმა ხარებაამ,

ბევრი თუ ცოტა იარა...

სცრის, წყალიასც... ენაზე...

მე **წყალი** ვარ, *სითხე – თხე,*

მე ვარ მოთხე და სამოთხე;

მმოთხველი – მოსიარულე,

მოლივლივე ვივლი მე...

ჩინებულია, შაბა!

ქალაქის ქაოსი და ქაოსის ქალაქი

ო, როგორ მაგონებს ქაოსის წყლებს.

წყალწყალაც ისევ დაფრინავს **წყალზე**...

ისევ ნათელი, ისევ ნათელი!

აქ ასეთი ლექსია:

წყალს ისევ სურს, რომ დაიმორჩილონ...

დააოკანექსია

წყალს ისევ სურს, რომ დაიმორჩილოს...

დაა-ოკე ოკე-ანე ანე-ქსია.)

ხასიათები ჰქონია **წყალსაც**, მისთვის რაიმე არ არის უცხო...,

წყალს შეუძლია **ჩამორეცხოს** და წყალს შეუძლია **ჩამოირეცხოს**...

ან **მონანკარებს**, ... ან **ანკარებს** ან არ-

ანდა **ანკარებს**, ეკლის გვირგვინს ირგებს...

დღემ იდღევა და ღამემ იღამა...

ბევრმა წყალმა ჩაიარა,

ბევრმა წყლულმა და იარამ

და უფრო ბევრმა ხარებაამ,

ბევრი თუ ცოტა იარა...

ჩაიმიწა, აიზეცა,

ეცა ლეთას - გაიღეთა-

ლეთის წყალი დალია.

ისევ ის წყალა ისევ ის წყვდიადი...

წყალში ბინადრობს მეფე წყალთა, ცეცხლისმფრქვეველი ლეეიათანი-

ხხხ... ხრრ... იალებს... არ გააღვიძოთ! (სხვა ლაპარაკში გაელვძიება)

წყალში ბინადრობს ალი - (უგვანო რამ) ტრიხონი,

(ს)ტრიქონი კი ტრიალებს,

ტრრ... იალებს...

დაამწყალობნე, მერწყულო!

გადმოხედე წყალობის თვალით და წყალობის დააბურჭვე კალთა

შენ წყალი ხარ - მწყალობელი,

მონყალებას სთხოვ მონყალებს,

წყალნაღებული სანყალს ედრები,

ისევ ვედრებით ხხხ... შას ევედრები:

შუქი!

შუქი! ვის უქია მუქი?

შენყდეს მუქის ბაქი-ბუქი!

ადგეს და დადგეს დადუქი-

ნარინი და ნარუქი!

(პირველქმნილი ნათელი გამეფდესო)

შეინყალებს მწყალობელი ენანყლიან მონყვლადს.

ხან ურწყულის თამაშია

(საქმეც მაგაშია);

ხან მერწყულის კონი.

ჩაჯურღმულდა და ბასილიკოა,

ამოჩუხჩუხდა-ბასილიკონი...

ბა-სილიკონი...

არქიტექტურაში მოდის პოეტი!

აი პროექტი,

და როგორც ზემოთ მოვახსენეთ-ხიდი მეთქი და მდინარე...

ამიტომ.., მაშასადამე.., და რადგან.., და ვინაიდან..,

აქედან გამომდინარე

უნდა აღვნიშნო, რომ დაერღვა დროსაც დრუსო-

- ზღუდე დროის დრამა დიდი-
- პოეტური ავდარი. დარია,
- როცა ენა ლაპარაკობს (როგორც ენა)
- და კალამი მუშაობს (და მუშაითობს)
- იქ ავტორი აღარ არი (მკვდარია).

უკვდავების წყალი შესვი,
 აღსდექ **წყალო სანყალო!**

და მაინც... მაშასადამე... როგორც იტყვიან... ცალსახად...
 ნაფმა ნაილო **წყალო**, თუ პირიქით... (სულ ერთია - ეს აზრია საბრუნავი.);
 რაც შეეხება ავტორს (ინტუიცია მკარნახობს) - განზრახ მოიკლა თავი.

და მაინც... მაშასადამე... თუ შეიძლება ასე ვთქვათ...
 -ყოველი შემთხვევისათვის შევკრათ რაიმე ტივი!

- არანაირი ნავი, არანაირი ტივი,
- არანაირი პატარა, არანაირი დიდი,
- არანაირი ახალი, არცერთი ნარა.....

ახლა ახალი დრო მოდის,
 დიდი **წყალწყვის** დრომონის
 -დაღი ლალი **ლალღალის**.

დრომონი ნავიო, - საბა ბრძანებს "...უდიდეს ყოველთა, რომელში შთაიტყვის ზუთასი
 კაცი ნუზლიან ტვირთიან"; ხოლო "ნუზლი ესე არს მოყვარემა(ნ) რა მოგზაურს საზ(რ)დო
 მიუძღვანოს"

წყალზე დიდი მოგზაური?, რინდიანი რაინდი?

ეპ... რაინდი ვილას ახსოვს, სევდიანი რაინდი...

გულს აწყალებ, სხვა დრო დადგა-გადაგვარდა ამინდი,
 ა, - მიდი!

და ნავედი მე ჩემს თავში (კი, -ეს რუსული კალკია),
 უფრო მეტიც - ქარიშხალში (ეს სხვა ლაპარაკიდან არის),
 ბაყბაყით რო **ავამღვრიე**,
ამოვავდე ჭიქა წყალში.

მე ვინა ვარ? -ბედნიერი უბედური...

მე ხარი ვარ **მესალიკე**, **მეზადური**.

ზოდიაქო მინდა ვაქო
 მერწყულის და ხარის.
 მე ხარი ვარ, მიხარია,
 მე მერწყული დამხარის.
 ის ხარი ვარ, **ისხარი**,
 ნუ გეშინის ხარხარის,
 ნუ გეშინის, მხარი-მხარი!
 მე ხარი ვარ ამ მხარის



ამასობაში რამდენიმე შტროფი (*შტო* და *სტროფი*) ჩაიკარგა,
იქნებ ოდესმე გამოეონოს. . .

ზოგი *გამორიყა წყლის პირმა: პირის-წყალი, ვერცხლის-წყალი, ვარდის-წყალი, სავარდიმწყლე, წყალმცენარე*, ქარქაკი და რიკრიკა; *წყალთმონატანი* ყინული – *ენტელი, თოში და ხორგი*. ზოგს ვერ მიეწვდი – ვერ მოვიხელთე, ზოგს მოვერიდე, ზოგს განვერიდე. ასე მაგალითად – *წყალბადს* (მძიმეც იყო), და სწორადაც მოვიქეცი. . . სამაგიეროდ, აი, რა აღმოვაჩინე (ვიპოვე) – *სფირიდი*.

სფირიდი არს ჭურჭელი ნათხაზი ჭილთაგან და ბაიასაგან და ხის ქერქისაგან, ზამბილი, ზმილიკი და ყოველივე *თ ბ ზ უ ლ ი*. (საბაბ). შაბა!

რაც მთავარია მთელი ნასალიკევი შიგ ჩავანყვე, ჩავასხი, ჩავაქციე ამ *წყალსაცავეში*; ზოგი თვალში აღარ მომივიდა და ამოვიღე; ზოგიც არ ჩაეტია, გადმოვიდა. აი *გადმონადენი*:

– “რომელი *წყალიო: ნიფი-შხეპი*, თუ *შხაპი*?” – რო წერია,

აი, მერე რა ეწერა: “რომ სისინებ ვარ გრძელიო –

– ეს რომელი მხარგრძელიო – თავადი?”

აქედან გადმოვთარგმნე – “კაკოი დოღგორუკი – კნიაზ ჩტო ლი?”

ზოგიც იმიტომ ამოვიღე, რო არავის ვათქმევინო: ეს როგორი აურია; როგორ *გაანოორწყალა*, როგორ გადაამლაშა; როგორ გადაამეტა; როგორ გაი-

მეტა ტექსტი.

ესეც ესე. . .

მგონი მოვრჩი ახლა,

მივუტანო მალხაზს,

(დისკეტიც თან ახლავს), –

– მახლას!

– ერთი სიტყვით

აქ გასრულდა ისტორია დედასიტყვის,

ისტორია *დაშლამული* სიტყვით. . .

დაშლა, 0 – ვიტყვით.

ახლა ოთხი აპრილია, ორიათას ოთხის, ლამის ოთხი საათია, –

– დავიღალე, ნავედი, ნა. . . გავწვალდი,

განწვალვის ნამით გავწამდი.

გავწამდი – წყ – წყ – წყ – წყ – წყ

– წყ ალი, წყ ენა, წყ. . . (სიტყვა გამიწყდა და დამიწყდა. . .)

რა სიტუაცია -ნყ
-ნყ
-ნყ
-ნყ -ნყ

დამავინ ყდა,
ყდა რა შუაშია...
საქმეც მაგაშია.

ლაპარაკს უნდა ყდა?
უნდა ყდა? უნდაყდა?
დაყდა!
დაყდა!
დაყდა!
ნავედიიიიიიიიიიიიიიიიიი

ო, რა წყვილია...
წყვილია,
წყვილია!
წყვილია!
წყვილია!
წყვილია!
წყვილია!

წყვილია, დია, დია დიადი
ადი!,
ადი!, კიდე ადი!
ადი კიდე!
ადის კიდე
აგე კიდე!
აგე კიდე!
აგეკიდე!
აგეკიდე!...

გავთ - . . .

- აეადდი, -აეისუფლდი, -აეხედდი, -ეთრდი,
- ამამდი, -ამამდი, -ანაბრდი, -ანასნორდი,
- ანატოლდი, -ანაგდი, -არანდი, -არეშდი,
- ბი, -ვალე, -იშიე, -ოხარკიდი, -ქვი,
- ქვირდი, -ხაპნე, -ხევადდი, -ხვირდი,
- ხლეშდი, -ხარე, -ხუპნე, -ავდი,



ვაჟა ჩორდელი

არი არ არი...

გამოეკიდა ხევახუეებში
ალალს ალალი, -
ეს ცხოვრება,
მისნი-მოსნი,
არი არ არი, -
სიმღერა შეგვრჩა,
ნაზი სიმღერა, -

"დიელი-დალალი" ...
მიმოვიხედოთ:
თქვენ რომ გგონიათ,
ჩვენ რომ გვგონია,
სხვებს რომ ჰგონია,
რომ დავაკვირდეთ,
ასეც არ არი...

გამოტირება...

ამ ცხოვრებას
ვერა და
ვერ მოვუარე,
სად არ ვსდიე -
ველზე,
მთების ღმიქაში,

არ მინდოდა
ვყოფილიყავ
სხვისი კარის
მოურავი, -
საკუთარ თავს
ჩავეუდექი კრიჭაში...

...მისი ბორანი

მთა-ხევის
წილი, ჩემიაო,
დამყრანტალეზდა
თავზე ყორანი,
მშვილდი მოეზიდე,

სისხლი დაღვარე...
წყალს გავატანე,
ბარე ორჯერ,
მისი ბორანი...

დალახვროს...

დაეთრევა ამ გზანვრილზე
ბარე ორი წყეული, -
მიადგება სხვის ნაოფლარს,
უსირცხვილოდ ბალახობს, -

სად შობილი, სად გმობილი,
საიდან მოთრეული, -
თანაც მწარე ბოლმით გიმზერს,
ეშმაკმა კი დალახვროს...





პერ ლაგერკვისტი

1927 წლის 19 მარტი

მორის ფლორი

მოთხრობა

ზაფხულის ადრიან დილას, მორის ფლორი შინ ბრუნდებოდა ომიდან, რომელიც იმ ადგილებისგან მოშორებით, ზედ საზღვართან გაეჩალებინათ. სიმნიფის ხანაში შესულ ამ მამაკაცს ბუნებამ ისეთი ლამაზი სული და სხეული მიანიჭა, პარმონით რომ სუნთქავდა, ძლიერი ნებისყოფა კი სიღრმისეულ გრძნობებს ექსოვებოდა. მისი აზრები ყოველდღიურობას იშვიათად ცილდებოდა, მაგრამ ქვეცნობიერების პირქუს უფსკრულებშიც ასევე იშვიათად ინთქმებოდა და წარმოსახვით თუ რალაც განსაკუთრებული დაუმორჩილებელი ძალით გამოიჩინებოდა.

ამ გაზაფხულზე, შეტაკების დროს, მძიმედ დაიჭრა. ყუმბარის ნამსხვრევებმა სახე დაუფლითა, ქვედა ყბა დაუმტვრია, საშინელ ჭრილობათა წყლულებით კანი დაულარა, ტუჩები და ცხვირი დაუმახინჯა, მარცხენა თვალში კი შუქი სამუდამოდ ჩაუქრო. როცა მორის ფლორი ტყვიების წვიმაში ბრძოლის ველზე იპოვნეს, მისი თავი სისხლიან გროვას გავდა და თავდაპირველად მკვდარი ეგონათ. მაგრამ ლაზარეთში ექიმებმა სისხლის შეჩერება შეძლეს და გადარჩენის იმედი გაუჩნდათ. შემდეგ დიდხანს და დიდი მზრუნველობით უმკურნალეს და ბოლოს და ბოლოს იარები ნელ-ნელა შე-

ხორცდა, ყბის ძვლებიც, ავად თუ კარგად, შეერთდა. და აი, ის დღეც დადგა, როცა ბანდები შეხსნეს, აღარაფერი ტკიოდა, მაგრამ სახე სამუდამოდ დაექარგა. ისეთი დამახინჯებული იყო, ველარავენი იცნობდა, ხმაც კი დაძაბული და ხრინწიანი გაუხდა. მის შინაგან იერსახეს მხოლოდ გლუვი შუბლი და ერთადერთი მხედველი თვალი-ლა აჩენდა. შემდეგ გარეთ გასვლის, მზეზე გათბობის ნება დართეს. მზის სხივები ხომ იარებს პირის მოკვრამი ეხმარებოდა. ცოტა დროც გადავიდა და სახლშიც გაუშვეს. გულყრა დასჩემდა და სამხედრო სამსახურისათვის, ცოტა ხნით მაინც, უვარგისად ჩათვალეს.

და აი, ამ ადრიან დილას, კარგად ნაცნობი გზით, შინისაკენ მიემართებოდა და თავსდატეხილ უბედურებაზე კი არა, იმ დიდ სიხარულზე ფიქრობდა, წინ რომ ელოდა. მალე ხომ ოჯახს, ცოლსა და საყვარელ შვილებს შეხვდებოდა. მსგავსი უბედურება თავს ყველას დაატყდა, ვის გვერდითაც იბრძოდა, ამიტომ საშინელებად აღარ ეჩვენებოდა. მთლად რომ დაბრმავებულიყო, შეიძლება დაეჩვილა კიდეც, ახლა კი არ ჩიოდა. ერთი თვალით ხომ ხედავდა, ცხოვრების ყველა საიდუმლოთი დატკობა შეეძლო,

ადამიანს კი, აბა, სხვა რაღა უნდოდა! მშობელი და აღმზრდელი მხარე დილის მკრთალ შუქს გაებრწყინებინა და ამ შუქმა თვალწინ ბუნების მთელი ძალა და სიდიადე გადაუშალა. ირგვლივ უკიდევანო და გულუბვი ველები გადაჭიმულიყო, აბიბინებული ხორბალი მთელ მიწას ფარავდა. ჰა და ჰა, მისი ყანებიც გამოჩნდებოდა. ცოტაც კიდევ და მწვანე ხეივნის მიღმა სახლი გამოკრთა. ოჰ, როგორ გაოგნდება, როგორ გაიხარებს მისი ოჯახი მათ წინაშე ასე მოულოდნელად რომ წარსდგება! რამდენი ხანია აღარაფერი გაუფიქრებია, რაც დაიჭრა, ამბავიც აღარ მოსვლიათ, იქნებ დაღუპულიც ეგონათ.

წარმოიდგინა, აღელვებული ცოლი როგორ შეეგებება, როგორ შეხატებიან შვილები მუხლებზე და სახეზე ხელს მოუთათუნებენ, ბედნიერ ოჯახს მსახურებიც შემოეხვევიან, ხოლო მოშორებით, დაბალი ღობის მიღმა, ხორბალიც კი აშრიალდება. წარმოიდგინა, ოჯახში როგორ ჩაჯდება, ნანახ სისხლს, დარბეულ, სისხლის მდინარეებით გაჟღენთილ მიწას დაივინყებს, კვილსა და გრგვინებს, ღამეული ზეცისკენ აღვლენილ სულის-შემძვრელ კენესას დაივინყებს. და ასე იქნება; ოქროსფერი სამკალითა და გაცინებული ბავშვებით, ცხოვრების ამ უზენაესი მშვენიერებით გარშემორტყმული იქნება. ეს ყოველივე წარმოიდგინა და სული სიხარულით აუთრთოლდა.

ბოლოს კარმიდამოს მიუახლოვდა. სიღრმეში დიდი, თეთრი სახლი გამოჩნდა. მშობლიური ველების სურნელს კარგა ხანია გრძნობდა, მაგრამ ახლა, ამ ბალის ჩრდილში, თავისი ხეებისა და ახლადგალვიძებული ყვავილების არომატი განსაკუთრებით და მძაფრად ეცნო. ამ სურნელს ღრმად ისუნ-

თქავდა და თავი მდიდარი და ბედნიერი ეგონა. უცებ ძალღებმა მოირბინეს, გარს შემოეხვეინენ; დასუნეს თუ არა, მაშინვე მზიარულად აყუფდნენ, ხელები აულოკეს, ნამით დასველებული თითებით მკერდზე მიახტენ. სხვა არავინ გამოჩენილა. სახლში ჯერ ყველას ღრმად ეძინა, მსახურთა ხმები მხოლოდ ბოსლიდან მოისმოდა. მორის ფლორი შეჩერდა, სახლის სიღამაზით მოინუსხა. განთიადის სხივებს მისი კედლები ასე არასოდეს აუქათქათებია, ფანჯრები ასე არასოდეს გამომოცოცხლებია. ნათელ ზეცაში ავისმოსურნე ღრუბელივით მხოლოდ შავი სახურავი მოჩანდა. მორის ფლორიმ სახლს შემოუარა. ახლობლების გაღვიძება ვერ გაბედა. გვერდით რომ ყავდა, ისიც კმაროდა. მათგან მხოლოდ თხელი კედელიღა ყოფდა და ამის გამო, მშობლიურ სახლში დაბრუნება უფრო დაუფერებლად ეჩვენებოდა. საძინებლის ფანჯრებთან შეყოვნდა და ნათლად წარმოიდგინა შიგნით როგორ ეძინათ. ცოლის საწოლი აი აქ, გარე კედელთან იდგა, მაგრამ ზედ მიყუდებული არ იყო. თავით მეორე კედლისკენ მის შვილებს – გოგონასა და ბიჭს – ეძინათ. ალბათ, ასევე დაძინებულები იქნებიან, როცა მე, მათი მამა, ოთახში შევაბიჯებ და თავზე დავადგებიო, გაიფიქრა და მაშინვე იგრძნო ჩვილი, ბავშვური სხეულების სითბო მისკენ როგორ მოედინებოდა.

და როცა ბედნიერებით აკანკალებული თითქოს ხელახლა მოპოვებულ სახლს შესცქეროდა, როცა საყვარელი ცოლისა და შვილების სუნთქვას ყურდაცქვეტილი უსმენდა, მოულოდნელად გული წაუვიდა. ავადმყოფობის შემდეგ ეს ხშირად ემართებოდა. უცებ შეტორტმანდა და თეთრ კედელს წაეპოტინა, მაგრამ ყოველივეს ნათელი ბურუსი გადაეკრა. კაცმა ხელები ჰა-

ერში აასავსავა და მიწაზე უგონოდ დაეცა. საბედნიეროდ, თავი სახლს გარსშემოკრულ ყვავილების კოინდარში ჩაუვარდა და არ გაუტეხია.

საოცარი დასანახი იყო ეს გაფითრებული სახე, უხეში და დაუნდობელი რკინით მთლად ნაშლილი, ამ შესანიშნავ ყვავილთა შორის, მაღალ ლეროებზე ამყვად რომ წამოჭიმულიყვნენ და თავბრუდამხვევად მშვენიერ ფურცლებს მზის სხივებს უშვერდნენ.

როცა გონს მოეგო, საკუთარ ოთახში, დივანზე იწვა. გვერდით ცოლი და შვილები იდგნენ და შემფოთებით დასცქეროდნენ თვალებს მძიმედ როგორ ახეულდა.

მლელვარე წამი დადგა.

ზუსტად ისეთები იყვნენ, როგორებიც დატოვა. ბავშვებს ტანსაცმელიც კი ის ეცვათ, შარშან ზაფხულში, წასვლის წინ რომ დაინახა. ცოლიც ისეთივე მშვენიერი და სევდით გასხივოსნებული დახვდა.

მაგრამ, როცა დივანზე წამოინია, არავინ მოიბრინა, კოცნითა და აღერსით არავინ დაახრჩო.

ვერ იცნეს.

ბავშვები მოკრძალებით, გაოგნებითა და შიშითაც კი შესცქეროდნენ. ცოლმა მხრები წამოუწია და ვინ ხარ და რა შეგმთხვავო, შეეკითხა.

თავზარდაცემული გახევედა. ერთ წამში რა არ იფიქრა, რა არ განიცადა. მისი გული ტკივილმა და სასონარკვეთამ, შიშმა და საკუთარი ხედვრის სიძულელიმა მოიცვა ეს გრძნობები ერთად შემოეხვია და თავისი ძალითა თუმრავალსახოვნებით მიწასთან გაასწორა. დაბნეული, დაუცველი მზერით მიმოიხედა, ცოლ-შვილი დაინახა და რკინით დამახინჯებული ტურქები მტანჯველი ტკივილით აუთრთოლდა. მისი დაწყლულებული სული უხეში ქრილობების მიღმა სევდით იკუმშე-

ბოდა და მაინც გვერდით მდგარი საყვარელი არსებებისკენ ილტვოდა, ცრემლით დაბინდული მზერა ერთიდან მეორეზე გადაჰქონდა, თითქოს ემუდარებოდა: ნუთუ მამა ვერ იცანით? ნუთუ ვერ ხედავთ დამცირებული და განადგურებული თქვენ წინ რომ ვაგდვიარ? კელავ და კელავ ჩასცქეროდა თვალებში ცოლსა და შვილებს, მაგრამ ვერც ერთში ვერ იპოვნა, რასაც ეძებდა, ვერც ერთის თვალებში ვერ ამოიკითხა სიტყვა, ერთადერთი სიტყვა, რომლის გაგონებაც ასე სწყუროდა. შვილების თვალებში შიში და ზიზლი შენიშნა და ამის გამო გული ტკივილისგან კინალამ გაუსკდა, ცოლის თვალებში კი მხოლოდ უბედური უცნობისადმი თანაგრძნობა ამოიკითხა და ამან სული სულ მთლად დაუცალა და გაუყინა.

ისევ დივანზე გადაწვა. აზრი და გრძნობა გაუბოროტდა, მზერაც ეკლიანი გაუხდა და აღარავის თვალებს აღარ ეძებდა. დაიბოღმა და შინაურების წინააღმდეგ შეიმართა. ოჰო, ვერ იცნეს! ვინ იცის, იქნებ არც არასდროს ყვარებიათ! ვინც გიყვარს, იმას ხომ ყოველთვის იცნობ, ათას ადამიანში გამოარჩე, მის ძვირფას ნაკეთებს იარები ვერ დაფარავს. მერე რა, რომ მთელი სხეული დაჩეხილი აქვს, სამაგიეროდ ძლიერი და მშვენიერი სული კელავ ცოცხალია, განა რკინა ადამიანის ცოცხალი სულის წინაშე უძლური არაა? მამ რა შეიცვალა? ისეთივე ნევს, როგორც იყო, ისევ მთელი გულით უყვარს, როგორც მუდამ უყვარდა, თუმცა ეს გული ახლა ტკივილისგან უსკდება. მათ კი ვერ იცნეს. ესე იგი, არ ყვარებიათ, ესე იგი, ხეირიანად არც კი იცნობდნენ, ესე იგი მათი ხედვა ვერ აღწევდა მისი სულის იმ იდუმალ კუნჭულებში, სადაც ადამიანის

ქემპარიტი არსი იმალება, ამიტომაც ვერ იცნეს.

არც გახსენებია, რომ სამხედრო მუნდირი ეცვა, ასე გამოწყობილი კი მათ არასოდეს ენახათ; რომ მისი უბედურების ამბავი ყურმოკვრითაც არ გაუგიათ. ახლა ერთილა იცოდა: ახლობლებს შორის განადგურებული და უბედური იწვა, ისინი კი არ ცნობდნენ. უცებ გაახსენდა ძალები როგორ შემოეხვეინ, რა ხალისით აყფდნენ, მძიმე თათებით მკერდზე როგორ მიახტნენ და თვალები ისევ ცრემლით ავესო.

შვილები ასე მკაცრად არ განუსჯია. ხელი კი უნდოდა ეკრა, მაგრამ ვერ შეძლო. მათი შიშით სავსე თვალების დანახვისას, სანოლზე ტანჯვით აწრიალდა. სამაგიეროდ, მთელი სიძულვილი ცოლისკენ მიმართა, მთელი სიმწარე მის თავზე გადმოანთხია. როგორ უყვარდა! თავს რა სიყვარულით ევლებოდა! ქალმა კი ვერ იცნო, ესე იგი ახლობლადაც კი არასოდეს მიაჩნდა! ტანჯვამ სახე ისე დაუმახინჯა, ცოლიც ველად ცნობს. კი ბატონო, მამ თავადაც აღარ უნდა მისი გახსენება!

ქალმა კითხვა გაუმოკრა:

— რა შეგემთხვა? ვინა ხარ?

მაშინ კაცმა თვალები ძირს დახარა და უპასუხა:

— ადამიანი ვარ, ომიდან ვბრუნდები. თქვენს კართან პური მინდოდა მეთხოვა, მაგრამ გული წამივიდა. რა მშვენიერი სახლი გაქვთ, იქნებ თავისი სიჭაბუჩოთით დამაბრმავა, ჯერაც თავბრუ მეხვევა.

ქალმა შესთავაზა, სანოლს გაგიშლიან და მოისვენო. კაცმაც უპასუხა, არ მჭირდება, ცოტა ხნით ასე ვინებები, ამ დივანზე და გონებას მოვიკრებო. მაშინ მარტო დატოვეს.

როცა ყველა გაიკრია, კაცს ქვი-

თინი აუტყდა; მაგრამ ეს ცრემლი გულს უღობოდა. ცხარე ცრემლით გამოიტირა საზარელი ხედრი, საკუთარ ოჯახში უცნობად რომ გადააქცია. მაგრამ ამ ხედრისგან გაქცევა ერთი ნუთითაც არ უფიქრია. ვერც შვილებს აპატია, მამა რომ ვერ იცნეს და ვერც ცოლს, ქმარს რომ ვერ გრძნობდა. ესე იგი მთელი ცხოვრება მარტოსული ვყოფილვარო, გაიფიქრა, რას იზამ, მამ მომავალშიც ასე იცხოვრებს. ახლა რომ გაამხილოს თავი, რა შეიცვლება? ცოლი და შვილები, ალბათ, კისერზე ჩამოეკიდებიან, დაკოცნიან, მოეფერებიან. სული კი, მისი სული, ისევ ობოლი და დაშრეტილი დარჩება, მისი სულის მუსიკას ისინი ვერასოდეს გაიგონებენ.

დამშვიდებული, მაგრამ გულგაბოროტებული კაცი გარეთ გამოვიდა. ბაღში ამასობაში საუზმის სუფრა გაეშალათ და ისიც მიიპატივეს.

როგორ ჩახახებდა მზე! როგორ ბრწყინავენ ცვარით დაფარული ყვავილები და ხეები! ბუნება თითქოს გაიტრუნა და თავის სიმწვანეს მზის სხივებში აბანავებდა! ადამიანი, რომელსაც სახე მოპარეს, მზის გულზე გამოვიდა, გვერდით კი ცოლი მოყვებოდა. ამ გაფოთლილი ხეების ჩრდილში, მათ თვალწინ მრავალგზის რომ ამწვანებულა, ერთად შეაბიჯეს. შვილებიც უკან მოდიოდნენ.

სუფრასთან ომსა და ბრძოლებზე ისაუბრეს. კაცი ყვებოდა უკუნ ღამეს ტყვიები როგორ ფლეთდა. ნამსხვრევები მსხვერპლს რა უცებ და შეუცდომლად პოულობდა როგორც არ უნდა მოკუნტულიყო, წყვდიადში როგორც არ უნდა დამალულიყო და რა მძიმე ჭრილობებს უტოვებდა. შემდეგ დიასახლისის თხოვნით ისიც მოყვა ერთ ასეთ ღამეს თავად როგორ დაიჭ-

რა. შეტევაზე გადავიდნენ. აფეთქებულ იყუმაბარები ღამეულ ცას ანათებდა. უცებ რალაც ძალამ მიწას დაახეთქა და სახე თითქოს მდულარე ოფლმა დაუფუფყა. ტკივილისაგან მთელი სხეული აუკანკალდა, დასისხლიანებული პირიდან კენესა აღმოხდა და ეს კენესა ღამეულ ცისკენ აფრენილ სხვა უამრავ კენესას ჩაექსოვა. მარტოდმარტო, ყველასაგან მიტოვებული ეგდო და სისხლისგან იცლებოდა. შემდეგ გონება დაკარგა და ღრმა სიჩუმეში ჩაეშვა.

ქალი შეეკითხა, ეს უბედურება რომელ ბრძოლაში მოგივიდაო. კაცმა უპასუხა. მაშინ ქალმა უამბო, ჩემი ქმარიც, ამ პატარა ბავშვების მამაც, ომში წავიდა, ალბათ იმ ბრძოლაშიც მონაწილეობდა, ახლა რომ მიაშბე, მაგრამ მისი ამბავი კარგა ხანს აღარ მოგვსვლია და ვინ იცის, იქნებ იმ ღამეს ისიც იქ, იმ უკიდუგანო ბრძოლის ველზე ეგდო, დაჭრილი სისხლისგან იცლებოდა, მისი კენესა კი, ეს ტანჯვითა და ტკივილით სავსე კივილი, ჯარისკაცთა კენესას ერთგოდაო.

მაშინ მოსულმა უთხრა:

– პო, შეიძლება გვერდითაც მენვა.

ამ სიტყვებმა მზის გულზე მსხდომი ბავშვები შეაკრთო, ცოლს კი თვალები ცრემლით ავესო. შემდეგ კაცი ჩაეკითხა, შენს ქმარს სახელად რა ერქვაო და ქალმაც უპასუხა:

– მორის ფლორი.

როგორც კი ეს სახელი ითქვა, კაცი შეცბა და ქალსა და ბავშვებს თვალებში დაჟინებით ჩახედა. ქალმა დამფრთხალი მზერით უპასუხა და შემფოთებით ჩაეკითხა:

– ასე დაჟინებით რატომ გვიყურებ?

კაცმაც უპასუხა:

– იმიტომ, რომ მორის ფლორი

ცოცხალი აღარაა, ჩემს ხელში მოკვდა.

ბავშვები აქვითინდნენ და დედისკენ ისე გაექანენ, თითქოს მის კალთაში სურდათ თავი დაეცვათ ამ საზარელი უცნობისაგან, ასეთ საშინელ ამბებს რომ ყვებოდა.

– მართალს ამბობთ? – ჩაეკითხა ქალი.

კაცმა გაიმეორა:

– მორის ფლორი ცოცხალი აღარაა, ჩემს ხელში მოკვდა.

მაშინ ქალი შვილებისკენ მოთქმითა და გოდებით დაიხარა.

ის კი მათ ტანჯვას მშვიდად შესცქეროდა და გაოცებულიც კი დარჩა, ასე მოთქმით ვილაც უცნობს რას დასტირიანო. მრავალი წელი მხოლოდ სტუმარი იყო მათ სახლში და ახლა, ასე უცებ მისი სახელი რას გაიხსენესო. ცოლ-შვილი ტიროდა, კაცი კი ისევ და ისევ ყვებოდა ყოველდღიურობის ტვირთსაც და სიხარულსაც ერთად როგორ იზიარებდნენ, ბრძოლებში მუდამ გვერდიგვერდ იბრძოდნენ, სიქაბაცილიები სასწარმკვეთასაც ერთად როგორ ეძლეოდნენ და ძალასაც ნელ-ნელა ისევ ერთად იკრებდნენ. ახალი დაჭრილი, თავადაც უახლოესი ზურგის ლაზარეთში ვინეჭი, როცა მორის ფლორი იქ მოიყვანეს. თითქოს საშობი არაფერი იყო, ხიშტით დაეჭრათ. ასეთი იარები კი მალე ხორცდება. ახლო მეგობრები ვიყავით და გვერდიგვერდ სანოლებზე დანოლისნება დაგვრთეს. შემდეგ მისი მდგომარეობა უცებ გაუარესდა. ჭრილობა დაუჩირქდა და ეს ჩირქი მთელ სხეულს სწრაფად მოედო. საშინლად იტანჯებოდა და ღამის სიჩუმეში თავის ტანჯვის ამბავს მეგობარს ჩურჩულვით უზიარებდა. გული, ეს მშვენიერი, ხასხასა სისხლით აალებული ჭურჭე-

ლი, შხამს იწოვდა და სხეულის სიღრმეში ერეკებოდა. მისი გრძობებიცა და აზრებიც კი - ეს ყველაზე მყიფე და სანუკვარი ჭურჭელი - თითქოს ამ შხამით გაიფლანკა. დაჭრილი ტანჯვით იკლაკნებოდა, მზერით შენდობას ითხოვდა. რა საშინელი თვალები ჰქონდა, მუდარით სავსე თვალები, როგორც ძალღს, რომელსაც ტყვია ესროლეს; როგორც ბებერ, ავადმყოფ ძალღს, რომელიც მაშინაც კი, როცა ტყვია მკერდს შეუნგრევს, თვალებით იხევენება, გაიხსენებ, როგორი ვიყავი, გაიხსენებ ჩემი ერთგულება, გაიხსენებ, როგორ მიყვარდით და ნუ მომკლავთო. ამ თვალებს მშვიდად ვერ შეხედავდი, ამ ტანჯვას გულგრილად ვერ დაინახავდი. შხამი კი მის ძლიერ სხეულს ნელ-ნელა იმორჩილებდა. შხამი არ ინდობდა. სიკვდილის წინ კი ძალა და ნათელი გონება ერთხელ კიდევ დაიბრუნა და თქვა: სიცოცხლეს ჩემთვის აზრი არა აქვს, აღარაფერი შემრჩა, უსახლკარო, მარტოსული და მოძულებული ვარო.

- ამას ვერ იტყოდა! - იყვირა ქალმა და ნამტირალევი სახე უცნობისკენ მიაბრუნა.

- თქვა, რა გიყო. სიკვდილის წინ შევეკითხე, ისეთი ვინმე თუ შეგრჩა, უკანასკნელი წუთების ამბავი მოვუყვე-მეთქი. მან კი, არავინ მიცნობსო, ჩაიჩურჩულა.

ქალი ჩაეკითხა:

- დარწმუნებული ხარ, რომ მორის ფლორი ერქვა?

უცნობმა უპასუხა:

- ჰო, ასე ერქვა.

ქალი ისევ ჩაეკითხა:

- სახე თუ გახსოვს მისი?

უცნობმა უპასუხა:

- ჰო, კარგად მახსოვს. ვაჟკაცური,

მკაცრი სახე ჰქონდა, ხორბლისფერი

და გლუვი კანი, დიდი მონაცრისფრო-მოცისფრო თვალები და დაბალი, მყლერადი ხმა.

ქალს ეჭვი გაეფანტა და ჩემი ქმარი, ირწმუნა. მაგრამ მისი უკანასკნელი სიტყვები მაინც ვერ გაეგო. უცნობმა ისევ უთხრა:

- იქნებ ციებ-ციხელება მოერიო. ვინ იცის, იქნებ ბოდავდა კიდეც.

და ორივე, ალბათ სწორედ ასე იყო, შეთანხმდა.

დარდით გატეხილი ქალი მთელი დღე მოსთქვამდა. თბილი და კურთხეული დღე იდგა, ნათელი ზეცა ფართოდ გადახსნილიყო. ქალი ბაღში, ხასხასა ყვავილებს შორის დაეხეტებოდა. უცნობიც ძალაუნებურად უკან დასდევდა. ისევ და ისევ ქმრის სიკვდილისა და მისი უკანასკნელი დღეების ამბავს ეკითხებოდა. ისევ და ისევ სურდა გაეგო თუ როგორ იტანჯებოდა, ბოლო წუთები როგორ აიტანა. უცნობიც ძალაუნებურად უყვებოდა ომში როგორ ცხოვრობდნენ, რა მამაცი ქმარი ყავდა, რას ფიქრობდა ან რას ამბობდა, როცა ბრძოლის შემდეგ ცხელი სისხლით გაჟღენთილ მიწაზე იწვია.

სალამოს ბინდი ჩამოწვა და ქალი, დარჩიო, უცნობს შეემუდარა. რომ ნახვიდე, დარდი გამტეხავს, დიდი შელავათია ქმრის ამბავს რომ მიყვებიო, უთხრა. კაციც, კარგი, ღამეს აქ გავეატარებო, შეპირდა.

სახლისკენ გაბრუნდნენ. მათი წაგრძელებული და ვინრო, ხოლო ბავშვების მსუბუქი ჩრდილები წინ ერთად მიიწვედნენ. სახლის კედელზე მათი თავების ანარეკლები მკვეთრად გამოიხასხა. კაცმა შეხედა და გაიფიქრა, ჩრდილი ის ადამიანია, ვისაც სახე მოპარეს, მე ხომ ჩემივე თავის ჩრდილი ვარო და სახლში შევიდა.

მოსულს ხუტორი არც მეორე და არც მესამე დღეს დაუტოვებია. ქალი დაჟინებით ემუდარებოდა, დარჩიო და ისიც რჩებოდა. ბოლოს, ერთ ბინდიან სალამოს გაბედა და თავისი ამბავი, თავისი უცნაური ხვედრის ამბავი მოუყვა. შინ იარებით სახედალარული დავბრუნდი და ვერავინ მიცნო, ვერც დედ-მამამ, ვერც უმცროსმა და-ძმებმა, ომში კი კოცნა-ალერსით გამაცილესო. ძალღებმა მიცნეს და ხელები ამილოკეს. მამშინ მშობლიური სახლი მივატოვე, ისეთივე უცნობი წავედი, როგორიც დავბრუნდი. განა დედა ვალდებული არაა, შვილი იცნოს? ან მამამ როგორ ვერ უნდა იცნოს თავისი ბიჭი? სახე რას მიქვია, განა ისეთივე არ დავრჩი, როგორიც ვიყავი? მას შემდეგ უცხო ხალხს შორის დავეხეტები და თავს მონყალებით ვირჩენო.

გულარუყვებულმა ქალმა შესთავაზა, თავი შენს სახლში იგულე და რამდენ ხანსაც გინდა, დარჩიო. ეს ხომ ბედნიერება იყო, კარი ამ უბედურისთვის, ქმრის უკანასკნელი მეგობრისთვის გაეღო!

მოსულმა ქალის მიწვევა დიდი მადლიერებით მიიღო.

ამის შემდეგ ქალიცა და ბავშვებიც უფრო მიენდნენ და გულის კარიც უფრო ფართოდ გაუღეს. პატარებს მისი გარეგნობა უკვე აღარ აფრთხობდათ, კალთაში უსხდებოდნენ და დაულალავად უსმენდნენ დახშული, ხრინწიანი ხმით ამბებს როგორ უყვებოდა. კაცს კი ყოველთვის, როცა ბავშვების სიახლოვეს, მუხლებზე კი მათი თოთო სხეულების სიმძიმეს გრძნობდა, უკიდვანო მარტოობისა და სევდის განცდა ეუფლებოდა. ხანდახან თავადაც იხმობდა და გულში იკრავდა. ბავშვები გაოცებით უყურებდნენ და შემდეგ დიდხანს დუმდნენ. დედა ხედავდა,

კაცმა მისი შვილები როგორ შეიყვარა და გული უთბებოდა. ერთადაც ხშირად ისხდნენ და ბავშვებზე დიდხანს საუბრობდნენ. ეს კი ქალს თვალწინ მისი გონების ღირსებასა და გრძნობათა სიმდიდრეს უშლიდა და ქალიც კიდევ უფრო მიენდო და შეეთვისა.

კაცმა ამითი დაუყოვნებლივ ისარგებლა და ქალის გონება უფრო და უფრო მიიჯაჭვა. დროდადრო თვალთმაქცობდა კიდევ და ეს ძალიან ართობდა, რადგან მისი სულის წახნაგების დათვალიერება და შეფასებაც კი შეეძლო. ახლა ეს ქალი სულაც არ ალელეებდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა და მისი ბუნების, მისი არსის შეცნობას ისევ და ისევ ცდილობდა. ძალიან უნდოდა, ქალს გული თავად გადაეშალა და იმედი ჰქონდა, ბევრ ისეთ რამეს შეეიტყო, ადრე წარმოდგენაც რომ არ ჰქონდა და მისი გულის შესაიდუმლევ ცაეხდებო.

მხოლოდ მორის ფლორიზე საუბარს გაურბოდა, თავს არიდებდა. როგორც კი ქალი მიცვალეულს გაიხსენებდა, სწრაფად და მოხერხებულად სიტყვას მაშინვე სხვა თემაზე გადაიტანდა. საკუთარ ხატს მის მესხნიერებაში თანდათანობით ანადგურებდა და ამით ქეშმარიტად ტყებოდა. ხანდახან, როცა მორის ფლორის ხსენება გარდაუვალი იყო, იმასაც კი ბედავდა, სიტყვა გადაეკრა, მართალია, ძლიერი და ჯანმრთელი ბუნება ჰქონდა, მაინც ახასიათებდა რალაც ისეთი ახირება, არაკეთილმოსურნემ მანკიერებად რომ შეიძლება ჩათვალოსო. მეგობრად არჩეულებისგან კი ყოველთვის სულის იდუმალ კუნჭულებში ნედომის უნარს ითხოვდა. ამ განძს ისე უფრთხილდებოდა, ამკარაა, მისთვის ყველაზე ფასეული ეს იყო. ქალი არ

მწარდებოდა, კაცი ხომ ამას ყოველთვის გაკვირით ამბობდა და თავს არ აბეზრებდა. პირიქით, მათი ურთიერთობა დღითიდღე უფრო გულითადი ხდებოდა, რაც კაცის ჩანაფიქრს ხელს დიდად უწყობდა.

თავის თავს ხშირად უმეორებდა, სახის გარეშე ადამიანი უფრო მოხერხებულად ცხოვრობსო. უფრო თავისუფალია და მშვიდი, გარე სამყაროსთან პირდაპირი კავშირი ჩანსვეტილი აქვს, სულ შემართული აღარაა, მინაზეც უფრო მყარად დგას, ვნებადაცულილი აზროვნებს და მსჯელობს, არც ვინმეს განანწყენების უშინია და თავის თავსაც უფრო მეტად ემსგავსებაო.

იგი გახდა ადამიანი, რომელსაც სახე არ ჰქონდა და ეს უბედურება თავის სასარგებლოდ გამოიყენა. ქალი ძლიერი ნებით დაიმორჩილა და თანდათან ისეთად გადააქცია, თავად რომ უნდოდა. მათი ურთიერთობა, ქალისთვის შეუმჩნეველად, მსუბუქი, სასიყვარულო ვნების ჩრდილით შეიმოსა. ეს ჩრდილი კაცს ძალიან მოწონდა და უფრო და უფრო ამუქებდა. მისი იარები ახლა ბურუსმა დაფარა და ქალი ამას ველარც კი ამჩნევდა. ბურუსმა სხვა ბევრი ისეთიც დაფარა, ადრე ამკარა რომ იქნებოდა. თავისი ძალისხმევით კმაყოფილი მოსული ჩუმად იცინოდა, ჰო, სიყვარული ჭეშმარიტად ბრმაა, მე, მაღლობა ღმერთს, ერთი თვალით მაინც ვხედავო.

ხანდახან იმასაც ფიქრობდა, თურმე რა ბედნიერებაა, როცა შენი ნაკვთები აღარაა ქმნილება იმ ფიზიკური, ბრძენი ბუნების, დიდხანს და დიდხანს მათ შენი სულიდან ამოზიდული ძალების შთაგონებით რომ ხვეწავს და უცებ უხეში რკინის საკუთრება გახდება, თავის ამოცანას თვალისდახამხამებაში რომ ასრულებს და ამ ნაკვ-

თებს ღარებისა და იარების ლაბირინთად გადააქცევსო. და რახან ქალიც კი მიაჩვიე ამ გაყინული ნიღბის მიღმა საყვარელი ადამიანის გრძობათა ანარეკლის ძიებას, შეიძლება კარგადაც მოეწყო. არც თავის მოკატუნება გჭირდება და აღარც საკუთარი გულგრილობის დამალვა. შეიძლება გულცივიც დარჩე, განხეთქილება კი თავიდან მაინც აიცილოო.

რა სიამოვნებას ანიჭებდა მოსულისა და ქალის ამ წამიერი რომანის დანახვა! ეს ორაზროვანი მდგომარეობა კაცმა მშვენიერად შეაფასა: უჩინარი ქმარი, რომელიც ვერ იცნეს, საკუთარი ცოლისა და მოსულის ნაზი, სასიყვარულო სცენების მოწმე გახდა. უფრო მეტიც, ამ სიყვარულის მოუხელთებელი მშვენიერება ბოლომდე შეიტკბო. იყო რაღაც დახვეწილი და თავისებური ამ გრძობაში, ისევე, როგორც თავად ქალში, ის კაცი რომ შეიყვარა, ვის სახესაც ვერასოდეს დაინახავდა. მისი სულის იდუმალ ძალასა და მშვენიერებას ხედავდა მხოლოდ და მთელი არსებით მისკენ ისწრაფოდა. ქალის გრძობებს ამ სწრაფვამ უჩვეულო სულიერება და დახვეწილება შესძინა და მისი მომხიბვლელობაც ფართოდ გაიფურჩქნა! ზღუდე არ გადაულახავთ და ამ თავგადასავლის მძაფრი, გახელტეხული მშვენიერება სწორედ ეს იყო.

მათ შორის თითქოს მსუბუქი საბურველი რიალებდა. მის მიღმა ქალი საყვარელი ადამიანის გარეგნობას ძლივსლა ამჩნევდა, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი სახე არასოდეს ენახა. შეუცნობელი სევედა მათ ერთმანეთისკენ ერეკებოდა. კაცის შეგრძნებებიც კი დაიხვეწა, რადგან ძალაუფლებურად ქალის ამაღლებული გრძობების გაველენის ქვეშ მოექცა. ერთი სიტყვით,

ორივე განსაკუთრებული და განუმეორებელი ნეტარებით ტკებოდა.

და აი, ერთ საღამოს, როცა შემოდგომის პირველი წვიმა წამოვიდა, აღსრულდა ის, რის მიღწევასაც მოსული ასე დიდხანს და ეშმაკურად ცდილობდა. სახლის დასავლეთ ფლიგელში მარტონი დარჩნენ. ფანჯრების სველი მინებიდან ოთახში ბინდი იღვენებოდა, გარეთ კი ქარიშხალი ქროდა. ასეთ ამინდში, როცა ყველა შინ დარჩენას ამჯობინებს, კაცმა ეს ქალი თითქმის ძალით დაიმორჩილა.

მაგრამ ამ ერთმა ღამემ კაცი გატეხა, გაანადგურა, აზრები და გრძნობები აუფორიაქა. ქალი უცებ ისეთი ახლოებული გახდა, რომ მისკენ სწრაფვამ ირგვლივ გულმოდგინედ შემოხვეული ჯავშანი დაუმსხვრია, თავადაც შეარყია და მინას დაახეთქა. ამ აღმოჩენით გაოგნებული, ქალს თავზარდაცემული გაექცა.

ბურუსში დიდხანს იხეტიალა. საყრდენს ეძებდა და ვერ პოულობდა. თავის თავს, ვინა ვარო, შინით ეკითხებოდა, პასუხს კი გრიგალისგან იღებდა:

– ადამიანი სახის გარეშე არავინაა, სამაგიეროდ, ვინც უნდა, ის გახდება.

კოკისპირული წვიმა თავზე და ზურგზე ასხამდა, ის კი დაუსრულებლად მიდიოდა, ბილიკებს მოუყვებოდა და ხუტორსაც უფრო და უფრო შორდებოდა.

და მაინც – უკან დაბრუნდა. ქალი მონატრა და დაბრუნდა. თავისი დარდის უსამანო სიღრმე და ძალა გააცნობიერა და ბოლოს და ბოლოს ლოყები მდულარე ცრემლმა დაულარა.

ამ წუთიდან იგი შეიცვალა. თავის თავში ჩაკეტილი მარტოდმარტო დაეხეტებოდა იმ ბალის ბილიკებზე, სადაც ახლა, ტრიალ-ტრიალით, ფოთ-

ლებილა ცვიოდა. სიტყვაძუნწი, ქალსაც და ბავშვებსაც თავშეკავებით ექცეოდა. თუმცა დროდადრო ქალისკენ მდუმარედ იხრებოდა და არასდროს რომ არ უკოცნია, ისე ნაზად კოცნიდა. ბავშვებიც დედას ხშირად უყვებოდნენ, ხანდახან, როცა ვზივართ და ვთამაშობთ, ჩვენთან მოდის, მუხლებზე გვისვამს, გვეფერება და თვალები ცრემლით ევსებაო. გაოგნებული ქალი ბავშვებს ტკივილით უსმენდა.

ღამით, როცა ყველას ეძინა, კაცი შინიდან ხშირად გადიოდა და გზებზე უმიზნოდ დაეხეტებოდა. ასე მარტოდმარტო, ყველგან და ყოველთვის მარტოდმარტო დადიოდა, დაუსრულებლად წარსულზე ფიქრობდა და უკვე საკუთარ თავს, საკუთარ საიამაყესა და პატივმოყვარეობას ადანაშაულებდა. მძიმედ, მტკივნეულად იცვლებოდა და დიდ შინაგან წინააღმდეგობას ებრძოდა. დროდადრო ძველებური დაუნდობლობა და შეურიგებლობა იმძლავრებდა, თავის დანაშაულს უარყოფდა, შემდეგ ისევ წაიხრებოდა, ამ მძიმე ტვირთს ისევ წამოიკიდებდა. მერე და მერე ყოველივე თავის თავზე აიღო, სხვას აღარავის ადანაშაულებდა და როცა ბოლოს და ბოლოს განუდგა იმას, რაც ამოუძირკვავი ეგონა, ბურუსში მრისხანე სიდიადით აღსაცხე შეჩერდა და გული სინაზით გაეყვინთა.

უკან, შინისკენ წავიდა. სწრედ იმ გზას დაადგა, ომიდან შინდაბრუნებული, დილით რომ მოუყვებოდა. გულიც მაშინდელივით სიხარულით უთრთოდა. ბინდის, წვიმისა და ქარიშხლის მიღმა არაფერი მოჩანდა, მაგრამ ყოველი ნაბიჯით კაცი თეთრ ზუტორს უახლოვდებოდა და ამას გრძნობდა.

ბალის ჩრდილში შეაბიჯა. ხეები თავს ზემოთ აუშრილდნენ, ის კი სახ-

ლისკენ ნელა წავიდა. რბილი, თეთრი სხივებით აცილებული სახლის კედლები ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს მინას მსუბუქი ოხშივარი ასდოდა. ისე ჩუმად, თითქმის სუნთქვაშეკრული მიაბიჯებდა, თითქოს ამ მშვენიერი ხილვის გაქრობის ეშინოდა.

მაშინდელივით იმ ოთახის ფანჯარასთან შეჩერდა, სადაც ცოლსა და

შვილებს ეძინათ. ქარიშხალი გრგვიწავდა, ნეიმა მხრებზე თავდაუზოგავად ასხამდა, მაგრამ მშობლიური სხეულების სითბოს ამ ბურუსშიც კი გრძნობდა. და თავის შვილებს მან ჩურჩულით ასე მიმართა:

– ხელ დილით მამათქვენი ომიდან შინ დაბრუნდება. მისი იარები ღრმა და საზარელია, მაგრამ ნეტარ არს იგი, ვინც თავის სახეს განუდგა.

თარგმნა მანანა მიქელაძემ



ქართული ენის ისტორიაში მრავალი სახის მხარდაჭერის და მსახურის გარეშე გაქრობის ეშინოდა. ისე ჩუმად, თითქმის სუნთქვაშეკრული მიაბიჯებდა, თითქოს ამ მშვენიერი ხილვის გაქრობის ეშინოდა. მაშინდელივით იმ ოთახის ფანჯარასთან შეჩერდა, სადაც ცოლსა და შვილებს ეძინათ. ქარიშხალი გრგვიწავდა, ნეიმა მხრებზე თავდაუზოგავად ასხამდა, მაგრამ მშობლიური სხეულების სითბოს ამ ბურუსშიც კი გრძნობდა. და თავის შვილებს მან ჩურჩულით ასე მიმართა: – ხელ დილით მამათქვენი ომიდან შინ დაბრუნდება. მისი იარები ღრმა და საზარელია, მაგრამ ნეტარ არს იგი, ვინც თავის სახეს განუდგა.

ქართული ენის ისტორიაში მრავალი სახის მხარდაჭერის და მსახურის გარეშე გაქრობის ეშინოდა. ისე ჩუმად, თითქმის სუნთქვაშეკრული მიაბიჯებდა, თითქოს ამ მშვენიერი ხილვის გაქრობის ეშინოდა. მაშინდელივით იმ ოთახის ფანჯარასთან შეჩერდა, სადაც ცოლსა და შვილებს ეძინათ. ქარიშხალი გრგვიწავდა, ნეიმა მხრებზე თავდაუზოგავად ასხამდა, მაგრამ მშობლიური სხეულების სითბოს ამ ბურუსშიც კი გრძნობდა. და თავის შვილებს მან ჩურჩულით ასე მიმართა: – ხელ დილით მამათქვენი ომიდან შინ დაბრუნდება. მისი იარები ღრმა და საზარელია, მაგრამ ნეტარ არს იგი, ვინც თავის სახეს განუდგა.



თეიმურაზ ჟურლოვანიძე

გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხე“

“ნატვრის ხე”, გიორგი ლეონიძის პროზაული შედევერი, დიდი შემოქმედებითი გამოცდილების დაგროვების შემდეგ შეიქმნა. ეს წიგნს ყველაფერზე ეტყობა: რაფინირებულ და ამავე დროს ლონიერ, “ბედაურ” სიტყვაზე, თხრობის სტილზე, მკითხველისათვის ნოველათა ორიგინალურ მონოდებაზე, პერსონაჟთა ხასიათების მრავალფეროვნებასა და თვითმყოფადობაზე და სხვ. გიორგი ლეონიძე “ნატვრის ხეში” ირჩევს თხრობის გულწრფელ მანერას. მწერალი აშკარად დაინტერესებულია უდავო ჭეშმარიტებად აღგაქმევისადმი და მკითხველს აძლევს მხატვრულ გამოწვევას დაფუძნებული, რომლის კავშირი რეალობასთან ეჭვს არ იწვევს. მწერალს “ნატვრის ხის” ფონად გამოუყენებია გარე კახეთში ნამდვილად არსებული გეოგრაფიული პუნქტი და იმ სოფელში გაათამაშებს პატარა და დიდ ტრაგედიებსა და კომედიებს, აცოცხლებს იქ მოსახლეთა თავგადასავლებსა და ბუნება-ხასიათებს. გიორგი ლეონიძეს თავისი ხსოვნის სამალავებიდან ამოაქვს ყრმობის ხანიდან დაღუპილი ამბები, გადაადულებს მათ თავის “სულიერ ქურაში” და თავისი მხატვრული ამოცანის შესაბამისად დიდი რუდუნებით წნავს ნოველათა სიტყვიერ ქსოვილს. ნოველაში სიუჟეტი (ამ სიტყვის კლასიკური გაგებით), მართა-

ლია, ყოველთვის არ არის ჩამოყალიბებული, მაგრამ ამბავი ჭეშმარიტი არტისტული ბრწყინვალეობით მოგვენოვება.

“ნატვრის ხეში” გიორგი ლეონიძე აგვიჩვენებს XX საუკუნის პირველი მეოთხედის გარე კახეთის ცოცხალი ეთნოგრაფიული ყოფის სურათს. მკითხველი უშუალოდ ეცნობა ტრადიციულ რწმენა-წარმოდგენებს, საახალწლო და სააღდგომო დღესასწაულებისათვის მზადებას, საგაზაფხულო თამაშობებს და სხვ., რომელთა შესახებ დღეს მხოლოდ სპეციალურ წიგნებში შეგვიძლია ნავიკითხოთ. მწერალი ყოველივეს აღწერს არა მარტო იმიტომ, რომ შემოგვინახოს მათი ხსოვნა, არამედ სურს, დაგვარწმუნოს, რომ ცხოვრების ასეთი წესი ზრდიდა და აფაქიზებდა ყრმათა სულებს.

ნატვრის ხე პოეტისათვის პატარა ძეგლში ხარობდა და ხარობს, პატარა ძეგლში, რომელსაც სიყვარულში იგი ყრმობიდანვე გამოუტყდა და არა ერთი პოეტური სტრიქონი უძღვნა, მაგრამ რაკი სიცოცხლის ბოლომდე გაუცვლელი დარჩა ეს გრძნობა მშობელი მინისა და მისი მცხოვრებლები-სადმი, გულში დაგროვილმა სათქმელმა ახლა სხვა ფორმით ამოხეთქა. “ნატვრის ხეც” სავსეა პოეზიით, ოღონდ პროზაში განფენილი პოეზიით. გიორგი ლეონიძე-მთხრობელი “ნატვრის ხეში” სხვა თვალთა ჭვრეტს



რეალობას. ამ თვალს არ დაუკარგავს პოეტური ხედვა, მაგრამ ასაკში შევიდა და, რაკი მის არსებაში მთელი ცხოვრებაა არეკლილ-ჩატეული, ამიტომ მეტი სიყარულით იზიარება, ჭარმაგი კაცის გრძნობა-გონება სჯის.

პოეტი თბრობისას ხატავს. იგი ისეთი გასაოცარი უშუალობით გვიყვება ძველ ამბებს, ყურადღების მოდუნების საშუალებას არ გვაძლევს არა იმდენად მოქმედების ხშირი ცვლით, რამდენადაც ნათქვამის სახეობრიობა-ხატოვანების წყალობით. მწერალი აფხიზლებს მკითხველის წარმოსახვას, გვაიძულებს, დაფიქრდეთ სიტყვათა შინაარსზე, მათი გაცნობიერების შემდეგ კი შეიძლება დავინახოთ კიდევ ნათქვამი. აი, ერთი (თუმცა არაერთადერთი) ჩვეულებრივი მაგალითი პოეტისეული ხატვის არაჩვეულებრივი მანერისა: "თვალმცეცხლი იყო შალია, თავგული, სხარტი, ლალი, გულზავი, გიჟმაჟი, გაშლილი გუნებისა, ამაყი, სამხედროსაკენ მიმდრეკი, ტოლ-ამხანაგთა შორის სახელის მაძიებელი. სახელისათვის დაუზოგავი იყო. არც ცეკვა-თამაშში, - კარგი ქართული იცოდა, - არც ჭიდაობაში სახელს არავის დაუთმობდა" („ნატვრის ხე“, თბ., 1976, გვ. 76).

გიორგი ლეონიძის პერსონაჟთა მოქმედების სივრცე ტრადიციული ქართული სოფელია, ისინი მართლმორწმუნე ქრისტიანები არიან. მათ შესისხლხორცებული აქვთ მამა-პაპათაგან გადმოცემული ტრადიცია წინაპართა კულტისა და ძველ ღვთაებათა თაყვანისცემისა, ასრულებენ ტრადიციულ ნეს-ჩვეულებებს, ემინათ ცრურწმენებისა, ერთი სიტყვით, სოფლური ცხოვრების ჭაპანს ვწვევian.

წარმოსახული ყოფის სრულყოფილად დასახატავად გიორგი ლეონიძე მიმართავს ბიბლიასა და მითურ გად-

მოცემებს, ხალხურ ზღაპრებსა და თქმულებებს, საისტორიო სიტყვიერების ნიმუშებს, "ვეფხისტყაოსანს", დალოცვა-სადღეგრძელოებსა და ანდაზა-გამოცანებს, ანუ ყოველივე იმას, რაც საუკუნეების მანძილზე სისხლხორცეული გამხდარა ქართველი გლეხკაცისათვის.

გიორგი ლეონიძე მის მიერ დახატულ სოფელში იმავე ცხოვრებისეულ კანონებს აღმოაჩენს, როგორც საერთოდ სამყაროშია გამეფებული. ზოგადად, ესაა კეთილისა და ბოროტის გვერდიგვერდ ცხოვრება და დაპირისპირება. აქ განგების მიერ მიზომილ სიცოცხლის დღეებს, როგორც მძიმე ტვირთს, მიათრევენ ღმერთის მიერ სხვადასხვა სახით, ხასიათით, ბედით გაჩენილი ადამიანები. მწერალს ისინი ბედიანიც და უბედონიც, ცისკენ მზირალიც და მიწას უიმედოდ ჩამტვრებულიც, განურჩევლად უყვარს და ცდილობს, ჩვენც კეთილად განგვანყოს მათ მიმართ. საერთოდ მკითხველის კეთილგანწყობის მარცვალს მწერალი წიგნის პირველ გვერდზევე იმით აგდებს ჩვენი გრძნობის ნიაღში, რომ თავის ნაფიქრ-ნაშრომს უძღვნის ამ ქვეყნად ყველაზე სანუკვარ არსებას, დედას: "დედის ჩანვეთებულ ცრემლზე ია ამოდისო", - ასე იტყოდნენ ჩემს ყრმობაში.

ჩემი სოფლის ტყისპირებში ყოველ გაზაფხულზედ ია ბლუჯეულად ამოდოდა, არემარე სულ ლურჯად გადაიბურებოდა ხოლმე. მეგონა, მთელი ქვეყნის დედებს აქ ეტირნათ, იმდენი ია ამოსულიყო ჩემი სოფლის მშვენიერ მიდამოებში.

ის სიყვარული დედამ შთამაგონა, იასავით სპეტაკი ადამიანი იყო.

თვითონაც ხომ პირველი იების მოსვლის დღეებში გაგვმორდა...

ამ წიგნს ვუძღვნი ძვირფას დედას,

რომელმაც მასწავლა იების სისპეტაკისა და მშობლიური მიწის სიყვარული*.

“ნატერის ხეში” ყოველნაირ ადამიანს იპოვნით, ისეთს, რომელიც ბევრ თქვენს ნაცნობს გაგახსენებთ და ისეთსაც, რომელიც გამოირჩევა სხვათაგან. მწერალი მათ სულიერ სამყაროსა და მისწრაფებებს ყველაზე ნათლად წარმოაჩენს დაპირისპირების მხატვრული ხერხის გამოყენებით.

დღეობაში საკუთარი სახელის გამო ახირებული კაცების მიერ ნაცემი დიაკვანი ელეფთერი, უფრო ღვინის კაცი “ვიდრე სულისა, თავქეიფა, ლხინიკო, ღვინის ხაპია”. მწერალს იგი დაპირისპირებული ჰყავს ელიოზთან, წერილშიელ უღარიბეს გლეხთან. დიაკვანი ელეფთერი მინიერის, მატერი-ალურის სიმბოლოა, მეოცნებე ელიოზი – ზეციურის. ელეფთერს უკვდავების ვეშა-წყაროზეც სმენია და მისი მიუწვდომლობის შესახებაც, გაკვირვებული კი იმით იყო, რომ ელიოზი უარს ამბობდა უკვდავებაზე, თუმცა კი ხან ოქრო-კვერცხას, ოქროს მდებელ ქათამს ეძებდა, ხან ნათელთევზას დაჭერა სურდა, ბოლოს კი ხერევანდის, ანუ ნატერის ხის ძიებას გადაჰყვა. მწერალი ელიოზს საუკუნო სიღარიბისაგან თავდახსნაზე მეოცნებე კაცად წარმოგვიდგენს, რომელსაც რეალური ყოფიდან გაქცევის და შვილების სიღუბნითიდან ამომყვანი, ნითელ-ყვითლად აბრიალებული, აყვავებული ხის პოვნის იმედი ბოლომდე შერჩა.

ელიოზის სახის შექმნისას გიორგი ლეონიძე სარგებლობს საზღაპრო ეპოსში კარგად ცნობილი გმირის, ბედის მძაძიბელი კაცის, შესახებ არსებული ცოდნით. ელიოზს აცოცხლებს რწმენა: “იანერის სასტიკ ყინვიან ღამეში თუ შუალამისას მოხვდი ტყეში და თუ ცის გახსნას შეესწარ, მაშინ დაი-

ნახავ ტურფად აყვავებულ ჯადოსნურ ხეს. არა მშვენიერება მას არა სჯობია!” (გვ. 11). ამიტომ ისწრაფვის იგი ასე თავდაუზოგავად ამ ჯერ უნახავ საოცრებასთან შესახვედრად.

ასეთი სასწაულებრივი ხე გერ-დედინაცელის ზღაპარში გვხვდება ხოლმე. სხვა ჯადოსნური ზღაპრები იცნობენ ისეთ ფანტასტიკურ ბალებს, რომლებშიც რიგი ხეხილისა ყვავის, როგს ნაყოფი ასხია, რიგი კი მწიფეა. გიორგი ლეონიძე ერთ სასწაულებრივ ხეს მიანერს ამ ფანტასტიკურ თვისებებს: “ის ხე თურმე ერთ საათში კიდევ აყვავდება, კიდევ ნაყოფს გამოისხმს. თუ მისი ნაყოფი ხელთ იგდე, ერთი გაკვნეტა და შორჩა! სიღარიბე იმნამსვე ჩამოგვიღდება სამუდამოდ” (იქვე). ნატერის ხე მწერალთან ნატერისთელის დუბლირებული საგანია. განსხვავებით ჯადოსნური ზღაპრის გმირისაგან, რომელიც ერთი ხელის მოსმით აღწევს გარემოსა და თავისი მდგომარეობის ტრანსფორმაციას, გიორგი ლეონიძის გმირი რეალური ქვეყნისა და დროის შვილია და ამიტომაც განწირული.

გიორგი ლეონიძე მინც ფეხდაფეხ მიჰყვება თავის მეოცნებე გმირს: “ისეთი ღამაზე ხე ამოერჩია საწყალს, რომ იმის დანახვას არაფერი სჯობდა. ყინვას მოერთო ათასნაირი ყვავილებით, არშიებით, რუშებით, ჯინჯილებით...”

სწორედ აქ უნდა შეხვედროდა ელიოზი თავის ოცნებას. “ვინ უთხრა, ვინ ჩააგონა (ეს რწმენა) დღესაც არ ვიცი” რიტორიკულ კითხვას სვამს მწერალი, თუმცა იცის, რომ ზღაპარმა.

ისევ პრაგმატულისა და პოეტურის დაპირისპირებაზე მიგვანიშნებს მწერალი, როცა გვაუწყებს, რომ დიაკვანი ელეფთერი გამოთვრა შემზარავი

სინამდვილის მსხვერპლის, ელიოზის ქელეხში.

მწერლის პოზიცია ნათელია.

“ნატურის ხეში” სხვა პერსონაჟებიც ოცნებობენ. მენისქვილე რაჟდენს ვარსკვლავებით მოჭედული ცა არ ასვენებს. რაჟდენი ფიქრობს, რომ ვარსკვლავების სამეფოშიც დედამიწის მსგავსი ყოფა უნდა იყოს, იქნებ “სილარიზით იქაც ქვას ლოკავს ადამიანი” (გვ. 43). ზღაპრის გმირივით სურს რაჟდენს ცაში გაგზავნოს სურვილი: “შევისსა ფრთები და გაფრინდე მზის დედასთან საჩივლელად!” რა უნდა უთხრას რაჟდენმა სამართლიანობის დვთაებას – მზის დედას? ბევრი რამ დედამიწაზე გამეფებული უსამართლობის შესახებ და კიდევ ის, რომ მრავალი სხვა ადამიანივით ვერც მან იშოვა თავისი ვარსკვლავი! რაჟდენს, ბუნების ენის მცოდნე მინდიასავით სათუთ კაცს, ეს კითხვაც არ ასვენებს: “საიდან გაჩნდა ამ ელვარე მზეში ჭუჭყი ან სილარიზი, როცა ჩემი სული ყვაილებშია გახეული?” (გვ. 46).

ამ ფონზე მწერალს ნოველაში შემოჰყავს გარსევანი, რათა გვიჩვენოს, როგორ ამძიმებენ მინას ნიღაბმორგებული ადამიანები, ვითომ სიკეთის სამსახურში ჩამდგარნი, სინამდვილეში კი მხოლოდ საკუთარ თავზე მოფიქრალნი. გარსევანის მსგავსნი ვერასოდეს იგრძნობენ ვერც პოეტური სულის რაჟდენის გამოხედვას და ვერც გოგლა ბიჭის გაყიდული გნოლა ხარის თვალების ღრუბელს.

განა გარსევანზე ნაკლები თავკერძაა ყადორი (“სამთო საბალახე”), კაცი, რომლისთვისაც დრო ჯერ კიდევ თავადობის ხანაში გაჩერებულია. მშვიერი და უძეოდ გადაგებული ყადორი თავისთან არ უშვებს ახალ დროს მოყოლილ ცვლილებებს, ისევ თავისი პგონია სამთო საძოვარიცა და ის

ცოდვებიც, რომლებსაც გამუდმებით იხსენებს.

გარსევანისა და ყადორის ტყუპისცალია, ოღონდ უფრო მძინეარე და მუდამ ავადასახსენებელი ციციკორე, სოფლის თვითმარქვია პატრონი, საერისთავო კვერთხით მოსიარულე, არამკითხვ გამგებელი, ყველას შიშის ზარი, დიდი ხნის განმავლობაში სოფლის უგვირგვინო წინამძღოლი, მაგრამ ახალ დროში, ახალ ცხოვრებაში გარსიასგან “გადაყენებული” და სიკვდილის მიერ თანაყვანილი. ცხოვრებაში “თვალშეუნედეელი გმირი”, ყოველივე პროგრესულის, ნათელის მოძულე ციციკორე მწერალმა გაციებით გამოასალმა სიცოცხლეს და ეპიტაფიის ნაცვლად შენიშნა: “ციციკორეს სიკვდილის ღამით, თურმე, არც ვარსკვლავები ჩამოცვენილა, არც წყლები მხოლოდნენ, არც ქარი გრიალებდა...” (გვ. 177).

ციციკორე 1915 წელს დაასაფლავეს. ახალი ცხოვრების სიმბოლო – მატარებელი – აშინებდა ციციკორეს. იმიტომ ჩაასწრო საფლავში მისი საყვირის კვილის.

თუ ფსევდო პატრიოტი ციციკორე სიკეთის ნიღაბსამოფარებული დადის სოფელში და ფარულად თესავს ბოროტებას, დარბაისელი ჩორეხი ყოველივე შულამაზებელს განასახიერებს. ის იყო “კეთილი, თუმცა ძველმანი ადამიანი, დახავსებული თვალეებით, დაღამებული გუნების კაცი, რომელიც მხოლოდ წარსულის ღამეში ცხოვრობდა, რადგან არ ჰქონდა ანწყოს მხედაობა: იყო ცალმაგი, ერთმაგად ნაქსოვი ადამიანი, ერთი თვალით მხედავი!” (გვ. 213). ჩორეხმა საქართველოს ბედით შენუხებულმა იცხოვრა და კეთილი სახელი დატოვა, რომელიც ქონებაზე მეტად ფასობს.

გარე კახეთის სოფლის “დაგუბე-

ბულ ცხოვრებაში" კი შეუჩერებლივ შემოდის ახალი. ამას მინის გულის გუგუნით გამოხატავს გიორგი ლეონიძე ნოველაში "სოფლის შარაზე". იორამის სახის ჩამოყალიბებისათვის მწერალი "სასწაულებრივი ოსტატების" ცნობილი ზღაპრის ერთ-ერთი პერსონაჟის მოდელს იყენებს. ანარქისტი იორამი ახლებური აზროვნების მქადაგებელია. მას არ ძალუძს რაიმეს შეცვლა, მაგრამ მინის გუგუნის შეგრძნება განა ცოტაა, როცა მარტო სოფელში კი არა, მის ოჯახშიც (ძმა – ბუძძგლა) ყველაფერი უძრაობასა და უიმედობას მოუცავს.

მზით გადამწვარ სოფელში, სადაც სიღარიბის ობი მოსდებია ყველაფერს, ადამიანთა ერთ ნაწილს იმის იმედი შერჩენია, რომ შრომით მოინეგს საარჩოს, მეორე ნაწილს ხელი ჩაუქნევია. ასეთია თალრია. მისთვის ბებია ქალებს ბედი რომ არ დაეკარგათ, არც ლატაკი იქნებოდა და არც შვიდი გოგო გაუჩნდებოდა. თოთოლა, თარლიას დედაკაცი, თავისი მახვილი ენით ქამს ძალამოშვებულ, დუნე, მთვლემარე, მაგრამ თავმოყვარე, "გვიბოძეს" უკადრის ქმარს. ამ ახოვანი, მტიციე აგებულების კაცის დასახატავად მწერალს თვითიუმორის ხერხი მოუმარჯვებია: "ავდგე, თორემ ვაზით დაგრაგნილი ზეარი არ მელოდეს. ხარის ენის ტოლა ვენახი მიგდია, რალაც... ავდგე, თორემ გამართული გუთანი არ მიცდიდეს, შებმული ურემი, ცხერის ფარა, ნახირი შორაქანზე არა მყავდეს გასარეკი და ცხენის ჯოგი. ღორის კოლტი მოსავლეა... ავდგე, თორემ მამა-პაპის ზედაშე არ მელოდეს და ხიზილალას შეჭამანდი არ დამიდგან ნინ. ამ ჭილობის ძველაზე მეტი არა მამადია? ამისთვის ავდგე?" (გვ. 19-20).

თალრიას მწერალი ნაცარქეციას

თარგ ზე სჭრის, ოღონდ ზღაპრის გმირით სახლიდან გაგდების ნაცვლად ახალ ნაცარქეციას შინაურების აღერსითა და მზრუნველობით აიძულებს ცხენშებმულ კევრზე შედგომასა და კალოზე მუშაობას.

ხალხში, მიუხედავად იმისა, რომ თვითმიხილველი არავინ უნახავთ, უკვდავია რწმენა, ვითომ "ამალლება დღეს, დილაადრიან, მინდორში ოთხყურა უნდა მოწყვიტო ოქროს ბეჭდით და ბედნიერებას მოგიტანს... თურმე მძინარე მდინარეს თუ მიეპარე, თუ უხელთე, რასაც ჩააგდებ შიგ, ოქროდ გადაიქცევა..." (იქვე).

ეს რწმენა ხალხის იმედია, თან გულის კუნჭულში გადამალული და თან ხსოვნაში ფხიზლად მოდარაჯე, იქნებ... იქნებ... მაგრამ არასოდეს ასაცხადებელი. ჯერჯერობით ხომ მხოლოდ ზღაპარში დაიჭირა ოქროს თევზი ბერიკაცმა, მხოლოდ ზღაპარში!

გიორგი ლეონიძე მოგვითხრობს ორი კაცის ამბავს. ერთია იაგორა, მეორე – ხვედრია. იაგორა, როგორც თავად ამბობდა, შინიდან გამოსვლის დროს შაქარში ავლებდა ენას, რომ ტკბილად ელაპარაკა, ხვედრია ყიამყრალი, ავსიტყვა იყო, მარტო ადამიანები კი არა, ჩიტებიც კი სძულდა... იაგორაც და ხვედრიაც უბედურები, სხვადასხვაგვარად შესაბრალებისები იყვნენ.

მეეტლე იაგორას სევდიანი სიბერე ედგა, მარტო იყო დარჩენილი, არავის სჭირდებოდა, ხალხში ტკბილ ენას ატარებდა, მაგრამ თავად სიმნარეში ცხოვრობდა, რადგან უსარგებლო ნივთივით იყო. იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა მოსწყვეტია მშობლიურ მიწას, ქალაქურ ყაიდაზე აუნყვია თავისი ცხოვრება, მაგრამ რაც შეუძენია, ყველაფერი დაუკარგავს, ამიტომ გამხდარა იძულებული, სოფელს მობრუ-

ნებოდა. ორმოცი წლის უნახავ სოფელში ჩამოსულს პირველ ხანს დიდად გაუხარია "აუნონავი ხორცის" ჭამით, მეზობლების გულისხმიერებით, მაგრამ მერე, როცა აღფრთოვანებას გაუვლია, ტალახსაც შეულონებია და დაღამებასთან ერთად დასაძინებლად დანოლასაც... მთავარი კი ის იყო, რომ თავის მიწას ადრე მოგლეჯილმა იაგორამ ველარ მოძებნა სოფელთან კავშირი, დაკარგა ცხოვრების საგანი და, როცა ამას მიხვდა, არცით გამამაცებულმა თავი იმ ტირიფზე ჩამოიხრჩო, რომლის ხილვა მწვანით შემოსვის ჟამს სიამოვნებით ავსებდა.

ნოველა "ხედეია" კონტრასტის პრინციპზეა აგებული. თავად ხედეია გარეგნულად და შინაგანად ერთნაირი იყო: "ბორჯი, უსმინარი, აღმართი-კაცი... უკეთური, გულდორღიანი, ღვარძლი, ჭინჭყლიანი, ენიდან შხამის მდენელი... დაშხამული, შეკვამლული, ჩაღრუბლული, კუზიანი, თანაც წყალდასხმულ-ნაცრისფერი" (გვ. 38). შინაურები კი კეთილები ჰყავდა ზნითაც, გარეგნულადაც. ნინორე, მისი ცოლი, "ოდესღაც ფერწითური, შოლტივით ქალი, ლალი, მხიარული, ახლა... ელდით ჩამომდნარი, მოხრილი, ჩამუმლული" იყო. მესაკუთრე და ხარბმა ხედეიამ "სიკვდილიც კი ადრე მიისაკუთრა" და მოასვენა გარშემომყოფნი, განსაკუთრებით ნინორე, რომელიც "დასტიროდა ქმარს და თან გულში შევებას გრძნობდა".

ადამიანს ამ ქვეყნიდან წასაღებად ოთხი ფიცარი და სამი ადლი მიწა ეკუთვნის, გვახსენებს მწერალი. ხედეიასნაირი ადამიანი არ ვარგა, მაგრამ იაგორასთანა მშრომელ და ტკბილმოუბარ კაცთანაც რომ ვერ მიდის ბედნიერება? რა ქნას ადამისშვილმა, როგორ იპოვოს მისკენ მიმავალი გზა? აი, კითხვები, რომლებიც პასუხგაუცემე-

ლი რჩება ამ ნოველათა ნაკითხვის შემდეგ.

თუ შური თავის ნებაზე მიუშვი, სარეველა ბალახივით მოედება გულს და გამოხრავს. მისი ამოძირკვის ერთ-ერთი საშუალება სიკეთეა, რომელიც ისე უნდა გაუკეთო მოშურნეს, რომ დაინახოს, შეიგნოს, ეგება შერცხვეს. სხვამ აკი ვერაფერმა დააშოშმინა "საქმეზე თავდაუდებელი", ცუდი ენის პატრონი ჩირიკი. დიდი ხნის დავა და უსიამოვნება ჩირიკსა და ჩიკოტელას ოჯახებს შეილებმა გადაუნწყვტეს დაქორწინებითა და "გვერტულა ბიჭის" ჩუქებით.

ნოველაში "ბუნბულა" გიორგი ლეონიძე "მოსიყვარულე, უწყინარი, ძვირუხსენებელი, მეგულკეთილე, თან გაგებულნი და შესმენილი" კაცის შესახებ მოგვითხრობს. ეს მრავალშვილიანი ოჯახის მამა პროფესიით დალაქია. ამის გამო მის გარშემო შექმნილია ყოველდღიური საზრუნავით დატვირთული სრულიად ყოფითი გარემო, როგორც პირველი მსოფლიო ომის პერიოდში შეიძლება პქონოდა ხელოსან გლეხს.

თუმცა მწერალს სხვა მიზანი ამოძრავებს. მას თავისი გმირი გამოჰყავს საყოფაცხოვრებო პრობლემატიკიდან და საზოგადო საფიქრალს აჭიდებს. ბუნბულა ომისა და სისხლისღვრის წინააღმდეგ მხედრდება, დედამიწაზე სიმართლის, სამართლიანობისა და მშვიდობის დამამკვიდრებელი მოძრაობა სურს დაიწყოს, როცა ომის გაჩაღების ამბავს იგებს.

ბუნბულა შორეულად გვაგონებს ქართული წარმართული პანთეონის ერთ საყურადღებო ღვთაებას, კვირიას, მორიგე ღმერთის თანამდგომს, მოკარვესა და ხმელეთის გამგებელს. დედამიწის ზურგზე ყველაფრის მეთვალყურე და სამართლიანობის დამც-

ველი კვირია შვილიერების მფარვე-
 ლიცაა (ი. ჯავახიშვილი, „ქართველი
 ერის ისტორია“, I, თბ., 1960, გვ. 62).

რაკი ამ ოდესლაც ძლიერი მითური
 გმირის ორეული ახალ, ყოფით დრო-
 ში დაასახლა (მხატვრულმა ლიტერა-
 ტურამ იცის ღვთაებათა „გაყოფიერე-
 ბის“ ასეთი მაგალითები), მწერალი
 ბუნბულას ფიზიკურად ძალაშეზღუ-
 დულად წარმოგვიდგენს, რაც სრული-
 ად ბუნებრივად მოჩანს, რადგან მი-
 თურ და გმირულ პერიოდებთან შედარ-
 რებით XX საუკუნე ყოფითი ხანაა.
 რაც შეეხება პერსონაჟის პროფესიას,
 ესეც საგანგებოდაა შერჩეული, რად-
 გან იგი გულისხმობს ადამიანებთან
 ურთიერთობასა და ყველაფრის მცო-
 დნეობას.

ნოველაში მთავარი ისაა, რომ და-
 ლაქ ბუნბულას კვირიას ფუნქციათა-
 გან მხოლოდ ერთი კონკრეტული
 ფუნქციის შესრულების სურვილი
 აქვს შენარჩუნებული და ესაა დედა-
 მინაზე სამართლიანობის მეთვალყუ-
 რეობა.

მატერიალურად ხანმოკლე ბუნბუ-
 ლას ჰუმანიზმი მრავალშეილიანობა-
 შიც ვლინდება. მისი გოგო-ბიჭები
 ყველგან იყვნენ მოდებულინი: „ზოგი
 იატაკზეა, ზოგი სხვენზე, ზოგი ქერ-
 ში, ზოგი ერდოზე, ზოგი აივანზე, ზო-
 გი ეზოში, ზოგი წყალზეა წასული, ზო-
 გი პურზე, ზოგი დუქანში...“ (გვ. 247).

ომის გამოცხადებით შეძრწუნე-
 ბულ ბუნბულას უფრო გაუძლიერდა
 ბუნებრივად დამახასიათებელი კაცთ-
 მოყვარეობის გრძნობა. „ყველა ნადო-
 ბი, ნაძმობი, მოკეთე, სახლიკაცი, მე-
 ზობელი, თვისტომნი და მოყვარენი
 ვართ! ყველა რომ სიამტკბილობით
 ვიყვნეთ, განა ავკაცობა მოხდება დე-
 დამინაზე?..“ – ფიქრობს იგი.

ბუნბულა ვერ შეგუებია იმას, რომ
 ომის პირობებში „ქვეყანა ბოროტების

მტერთი აივსო“. კვირია-ბუნბულას
 გაჭირვებულის დახმარება თავის ვა-
 ლად მიაჩნია, ამიტომ სურს, ომის სი-
 სასტიკის შესაჩერებლად რაიმე ილო-
 ნოს: ის ხელიდან არ უშვებს შემთხვე-
 ვას, ჩაუნერგოს ხალხს, რომ საჭიროა
 ომის სანინააღმდეგო მოქმედება და
 ამაში ყველას თანადგომას მოითხოვს,
 მაგრამ ამაოდ. რაკი თანმდგომელ
 მოქმედების კაცს ვერ პოულობს, ქა-
 დაგებას იწყებს: „მაშ, ხალხი არ გენა-
 ნება, დედამინა, ცა-მზე? მაშ სიცოც-
 ხლე უნდა ყმად მიუგდოთ სიკვდილს?
 მაშ საკაცო მადლი დავკარგოთ?!“

თვითონ ბუნბულას, რასაკვირვე-
 ლია, არ შეუძლია ომის შეჩერება, მაგ-
 რამ მისი გულუბრყვილო იმედი ხელ-
 მნიფისადმია მიმართული, გულწრფე-
 ლად სჯერა „კეთილ ადამიანთა ნების
 შეერთებისა“. ამიტომ მიიპარება ქა-
 ლაქში ხელმწიფესთან შესახვედრად.
 ქალაქში კი წესრიგის ახალი დარაჯე-
 ბი არა მარტო სცემენ ბუნბულას, არა-
 მედ გროშებსაც წაართმევენ და ერთი
 კვირით პოლიციაშიც ამყოფებენ.

საგულისხმოა, რომ კვირია თავად
 იყო საქმეთა გამრიგე, დალაქ ბუნბუ-
 ლას მხოლოდ ომის შეჩერების სურვი-
 ლი აქვს და ამაში ვლინდება ღვთაების
 „გაყოფიერების“ არსი. სოფელში მობ-
 რუნებული, გაღაბული და დათეთქვი-
 ლი ბუნბულა ჩივილსლა ახერხებს:
 „რატომ არ ესმით, რომ ვილუპები?
 რამ გააქვევა ადამიანის გული?..“

იმდენად სერიოზულია გამანად-
 გურებელ ომში ადამიანთა ფლექით
 გამოწვეული განცდა, რომ ბუნბულას-
 თვის ღვინო ქრისტესთან დაკავშირე-
 ბულ სიმბოლოდ ქცეულა. იგი ჭეშმა-
 რიტი მორწმუნის გონიერებით ამ-
 ბობს: „მე ღვინის ულუფა არ მერგება!
 იქ იმოდენა სისხლი იღვრება, მე ღვი-
 ნოს როგორ დავლევო, სისხლს მაგო-
 ნებსო!..“ (გვ. 252).



შეუსაბამობამ ვითარების შეცვლის სურვილსა და შესაძლებლობას შორის დაადარდიანა ბუნბულა, “მხოლოდ ჩენჩოდ, მხოლოდ ცარიელ ლენჯოდ” აქცია, “ნაკაცარი გახდა”.

ასეთია სამწუხარო რეალობა გიორგი ლეონიძის ნოველაში და თუმცა მწერალი ფინალში აღარ ახსენებს ბუნბულას შვილების ამბავს, მაგრამ შვილიერებისთვის მეტძროლი ღვთაება ხომ უკუდავია! ამიტომ შემთხვევითი არ უნდა იყოს მწერლის მიერ ნოველის დასაწყისში საგანგებოდ გახაზული სიტყვები: “ამდენ შვილებში ყველაზე მეტად ბატატა უყვარდა... მე მგავსო, ხელს გაიშვერდა ბატატაზე და სიამაყით იტყოდა: – ჩემი გვირგვინის შვილია!”

მწერალს, ჩანს, ახალ თაობაზე დროის უარყოფითი ზეგავლენა უნდოდა გაეხაზა, როცა თქვა: “ძვალად, ძარღვად კარგი იყო ბატატა მამასავით, მაგრამ ნიჭმოკლე, გონების თვალით უხედავი, დაბღური, ოტროველა”. მინდა, ეს შეფასება პირველ, შორიდან დანახულ შთაბეჭდილებად ჩავთვალო, რადგან ალბათ მამამ უკეთ იცოდა, ვისაც გამოარჩევდა. იმედია, ბუნბულას ბატატა შეცვლის, დავაყვაცდება პატარა ბიჭი და ახლა ის იზრუნებს მამის საფიქრალის განხორციელებაზე.

“სახელი დიდი განძია”, გვარნმუნებს გიორგი ლეონიძე, როცა მოგვითხრობს “სახელის მილოცვის” დღის შესახებ. იგი იმართებოდა ბუნების აღორძინების საგაზაფხულო დღესასწაულზე, აღდგომის კვირაში. მწერალი ქმნის დრამატული შინაარსის მოთხრობა-გახსენებას, რომელშიც წარსული და აწმყო ერთმანეთზე განუყოფლადაა გადაჯაჭვული, სანესრვეულებო რიტუალივით ციკლურად მეორდება ამბის დასაბამიდან, თან

ისეთი გულისშემძვრელი ემოციითაა აღბეჭდილი, როგორც მხოლოდ ანტიკურ ტრაგედიაში შეგვხვდებოდა.

“... დანიშნულ ღამით, ცისკრის ამოსვლის უწინარეს, – მოგვითხრობს მწერალი, – თმაჭალარა მანდილოსანი გაფოთებული ჩამორბის ციხიდან თავქვე, მთვარის კიბეზე, ვილაცას შორიდან აუქნევს ხელს და ამრიზებული მკაცრად შესძახებს:

– არ გაბედო მოსვლა, სირცხვილიანო, არ მომეკარო!

ტანაბჯრიანი, დაჩოქილი შვილი თავში ხელს ნაიშენს, შეპლმუველებს სიმწრით, ისევ უკან გამორბის ხმალომულეული, უცებ შერქრდება და დედას შორიდან შეუთქვამს:

– ან შევაკვადები, ან მოგივალ იმედია!

დედა ისევ კოშკში შევარდება, კარებს მიაჯიქურებს, მძიმე ურდულს აუგდებს და კოშკიდან ისევ გაისმის გამწყრალი ხმა:

– არ დამენახო, გაბრუნდი, სახელის შემრცხვენო, აესახელიანო!

... და უცბად წყვდიადში აქეთ-იქიდან ატყვდება უწინართა ძახილი:

თითისტარი მიეცი!

თავს ჩიქილა დაახურე!

თმა ჩამოინნას ქალისა!

და სხვა წყევა, შეჩვენება...

თმაჭალარა მანდილოსნის აჩრდილი მკერდში მჯიღს ჩაიკრავს:

ვაი, რა ვქნა, რა უყო, ნავალ და გაენიავედები!

და მართლაც, ღამის ნიავს დაეხსომება სიტყვები შუალამისა, მსუბუქი ფრთით წაიღებს, სოფლად ჩაიტანს, თვითეულ ქობს გააგონებს, ზედკერაზე დაპყრის ამბავს და ცისკრის საზღვარზე ისევ გაისმის ჰაერში შემონახული მწველი სიტყვები და მუქარა განრისხებული დედისა...

ღამე გაიცრიცება, მამალი შეპყვი-

ლებს და ყოველივე მიყუჩდება..." (გვ. 73-74).

ამ მცირე ამონაწერში სრულად ჩანს დედა-შვილის ტრაგიკული ხვედარი, დახატული დიდი ოსტატის ხელით, ჩანს ამ მძიმე განცდის საზოგადო დაინიშნულებაც, რაც ამბის თითოეულ "კერაზე დაყრამი" ვლინდება.

საფლავზე სახელის მილოცვა წინაპართა კულტის სიცოცხლისუნარიანობის ერთი მშვენიერი გამოვლინებაა, რომელსაც დღემდე შემონახული რიტუალი ახლავს. შალისათვის სახელის მისალოცად მოსულებს ვაჟის წარმოსახულ სამარესთან "ნიშანი" გაეშალათ – შალიას ქუდი, ჩოხა-ახალუხი და ხანჯალი. "ქარფხას" კვიციცი იქვე დაებათ...

სხვადასხვა დროში უცხოვრიათ ლასურიძიანთ ზვარამზეს, ჩახტაურას და მათს შვილებს, ოღონდ ერთი იდეალით. ზვარამზე, ერეკლე მეფის თანამედროვე, შვილების გმირობით ცამდე ხელანფენილი, უმცროსი ვაჟის სიმხდალეს სასონარკვეთაში ჩაუგდია. იგი უარს ამბობს შვილზე და ამით საუკუნეებში ახმინებს ქართველ დედათა ტრადიციას.

მწერალი გვიჩვენებს, როგორ გადაეცემა თაობიდან თაობას ოჯახური იდეალები და ნიმუშად გვიხდის ტრადიციის უწყვეტობის მნიშვნელობას, გვასწავლის წარსულის რომანტიკულ ქვრტვას. ამ იდეალს ნოველაში აცოცხლებს ჩახტაურა, "მომჩინარი მანდილოსანი, მძღვერი და მკაცრი დედაკაცი, ყველასაგან პატივებული, სოფლის ქალთათავე" (გვ. 74). ჩახტაურას მიერ პირველ მსოფლიო ომში დაღუპული შალიას შავი ბარათის მომტანი ფოსტალიონის გაგდებასა და შვილისთვის წინდის ქსოვაზე მოთხრობით მწერალი მიგვანიშნებს შვილთან დაკავშირებული რეალური სინამდვილის

მიუღებლობაზე. მეორე მხრივ, ჩანს ადამიანში თავის გადარჩენის ინსტიქტის სიძლიერეც.

სამი ვაჟის დედას, ჩახტაურას, უმცროსი ვაჟიც თავისი სადარი ჰყავს. შალიას გამორჩეულობის დასტურად მწერალი აცოცხლებს რაშის გახედვის ტრადიციას, რომელიც ძველ საქართველოში დაკავშირებული იყო ქაბუკის ვაჟკაცობაში ფეხის შედგმასთან. ინიციაციის ჩვეულების ეს გამოვლინება ჯიშინი "ქარფხას" მაგალითზე ხორციელდება. რიტუალს ესწრებიან ლამაზი ქალებიც. მშობლები სუფრას შლიან და გამარჯვებულ ვაჟს დაეაყვაცებასა და დამოუკიდებლობას ულოცავენ (გვ. 78).

შალიამ "სალდათში" გამოძახება ისე მიიღო, "თითქოს დიდ ზეიმზე ეპატიყებიანო". მოგვიანებით ესიზმრა, ვითომ ხმალი გადაუტყდა. ეს მისთვის უტყუარი ნიშანი იყო და შალიამაც თქვა: "ჩემი მოლოდინი ნულარ გექნებათო" ... მართლაც, ვარშავასთან მოკლეს. დეიდა "ფერანას ტირილი ცაში ადიოდა", ჩახტაურა კი ისევ აიმედებდა, თუმცა მოახერხეს მისი "კანცელარიაში" მიყვანა, რათა დაეჯერებინათ: შეილი აღარ მოგივაო, ვითომ თავად არ იცოდა!

მწერალი ხალხური ხმით ნატირლების კვალობაზე ქმნის შალიას დატირების ტექსტ-ლირის: "მზე გაშავედა ჩვენი ბედი დაინვა! მებმა შესწყვიტა ჩვენი კარი! ჩვენი სიმაგრე დაიქცა! გათავდა, დაიმხო ჩვენი გვარი, ჩვენი სახელი! ვაი, სახლო, უკაცურო!.. აჰა, ღმერთო, ეს გახუნებული ლეჩაქიც მომხადე, მეტი რა შემარჩინე! წაილე, გამჩენო, ესეც შენ!.. სად გამოუდგე სიკვდილს, სად დავენიო უწყალოს?! მარტო ხელისა ვარ! ვაჰ, ქარო, ქარისა მავალო!" (გვ. 79).

მოთხრობა იმით მთავრდება, რი-

თაც დაიწყო. შალისა სიცოცხლის სამ-
შობლოს სამსხვერპლოზე მიტანამ და-
ამშვიდა ხვარამხეს, დიდი დედის,
აფორიაქებული სული, ნონასნორობა
აღდგა.

ავტორის თხრობა, დიალოგი,
თქმულება-გადმოცემათა ჩაფენები
და ფრაზათა დახვეწილობა ნოველაში
სრულ პარმონიაშია ერთმანეთთან და
ერთ სრულყოფილ მთლიანობას
ქმნის.

“უმთენარო” ცხოვრებისაგან განა-
მებული ხალხი ებრალება მწერალს,
მაგრამ ერთმანეთთან მათ სასტიკ
მოპყრობაზე არ შეუძლია თვალის და-
ხუჭვა, არც გამართლება.

სამყარო, ისეთი პატარაც კი, რო-
გორც “ნატურის ხეშია” დახატული,
სადაც ყველა ერთმანეთს დაბადები-
დან იცნობს, სავსეა შეუბრალელო-
ბით. გიორგი ლეონიძის ნოველების
პერსონაჟებსაც გამოჰყვით ერთი, ამ
კუთხისათვის ძალზე ნიშანდობლივი
თვისება. ისინი დაურიდებლად ეუბნე-
ბიან ერთმანეთს გულსატკენს, სია-
მოვნებთ ენამწარეობა, არ უჭირთ
გესლიანი, მომაკვდინებელი სიტყვის
თქმა. “შენი კუბოს ფიცრის სათლე-
ლად ვიყავი, ახლა მოველი, რომ კუბოს
ზომა ავილო...” – თავხედურად ეუბნე-
ბა ქორია ფუფალას. ეს კიდევ გასაგე-
ბი იქნებოდა, საძულველ ადამიანს
რომ ელაპარაკებოდე ბოროტებით,
მაგრამ ფშატთან შეკრებილი “ენამძ-
ლე” გმირები სიბოროტით სულაც არ
სჩადიან ამას. ეს ტრადიციული კახუ-
რი გართობაა, ენამწარეობით “დამშ-
ვენებული” გართობა. ასეთი ენაკვიმა-
ტობა მათი ხასიათის ნიშნადაა ქცეუ-
ლი.

ფუფალა ზედმეტი სახელია ყმან-
ვილობისას სილამაზისთვის შერქმეუ-
ლი. მწერალს ჯადოსნური ზღაპრიდან
შემოაქვს ქეშმარიტების მღალადებე-

ლი სარკის მოტივი. სწორედ მან აუნ-
ყა საბრალოს, რომ “პირის მთვარია-
ნობა დიდი ხანია რაც ჩაპქრობოდა,
ბროლის ნათელი, ლალის ბრდღვიალი
გაპხუნებოდა, შუქგადამდგარ სალა-
მოს მიჰგავდა. მისი ყვავილოვანი სამ-
ზეო დალეულიყო. წყალმა ნაილო სი-
ლამაზეც და თაყვანისცემაც!” (გვ. 22).

ნოველაში იგი ასაკოვანი შემოჰ-
ყავს მწერალს და ახლაც, როცა თანა-
სოფელეთა თვალში “სახე თონეში
შემწვარ ვაშლს მიუგავს”, ესიზმრება
დედა, რომელიც ნაზად დაპილინებს:

ელი ელამდა,
ზღვისა პირსა კარავი იდგა,
შიგ ქალი იწვა,
ფარჩა ეხურა,
ფარჩა ავხადე, სამი ვაკოცე,
სამმა კოცნამა ფერი უცვალა,
ფერმა ნაცვალმა წიგნი დაწერა,
ვის გაუგზავნა?..

მწერალი სანესჩვეულებო პოეზი-
ის, კერძოდ “დამწერის” შელოცვის,
მშვენიერი ნიმუშის ბოლო ნაწილს
გარდაქმნის სასურველი კონტექსტის
შესაქმნელად, რათა მიგვანიშნოს,
რომ ფუფალას ქალურ ცნობიერებაში
სამიჯნურო თემმა წარმმართველი.
ამითვე აიხსნება მის მიერ დასახელე-
ბულ შეყვარებულთა მრავალრიცხოვ-
ნება.

ფუფალა სხვათაგან გამოირჩეულია
და ამას მწერალი ნოველის დასაწყის-
შივე გახაზავს: ფუფალას “არაფრი-
სად ეცვა, სხვადასხვა მზიარული, ჭყე-
ტელა ნაჭრებისაგან შეკერილი კაბა.
ცალი ხელით მოძველო ქოლგა ეჭირა,
მეორეთი ჭრელი ბოხჩა. ძველებური
შავი თათმანი ეცვა ხელთ და ადამის
ხნის დაგლეჯილი, მაღალქუსლიანი,
ჩალილული, ყელიანი ფეხსაცმელი და
მომტრეული, შუაზე გადაჩეხილი
ქუსლი ძალზე აწვალებდა” (გვ. 22).

ფუფალა ფიზიკურად კი რეალურ სამყაროში ცხოვრობს, მაგრამ სულიერად გაპქცევიდა მას და ირეალურში დასახლებულა. რეალურ ყოფაში გარშემომყოფთათვის ქალი თხზავს ამბებს თავის ნარსულზე და ისეთი თვითდაჯერებით პყვება მათ, როგორც ნამდვილს, მაგრამ მაინც ვერავის ატყუებს.

ფუფალას არაფერი გააჩნია. მათი ნასახლარიც კი აოხრებულია. ამის მიუხედავად, იგი აზნაურის ქალად რჩება და მაინცდამაინც არ კითხულობს იმათ, ვინც ნივრისა და ხახვის სუნს აფრქვევს. მას ურჩევნია ისევე უკარება მზეთუნახავად იცნობდნენ სიყვარულით გახელებული კაცები, ვიდრე... ფუფალას ერჩივნა კაცებს სისხლი ეღვარათ მისთვის, მაგრამ ვერ გაეუბნათ ხელის თხოვნა.

და ვინ მოთელის რას არ იგონებს "მიმჭქნარი ვარდი", რადგან, ოცნება, სასურველის რეალურად წარმოდგენა, ალაშაზებს მის უღიმღამო სიცოცხლეს. მართალია, ფუფალა დალაგებული გონებისა არ არის, მაგრამ გულითადი ადამიანური ურთიერთობების, თანასოფლელთაგან სიტბოს მიღების მოთხოვნილება აქვს.

ფუფალა არავის არაფერს უშავებს, პირიქით, გამოჩნდება და თავლად იღვრება: "ვალი ჩამოგავლეთ! - ეუბნება იგი შეკრებილ ქალებს. - ისევე შეგენით მზე, დედასთან მიმავალი, როგორც მე თქვენ მიყვარხართ!" (გვ. 26). თუმცა არც არის საჭირო დაშაგება. თავად ფუფალას არსებობაა თავდასხმის, დაცინვისა და შეურაცხმყოფელი სიტყვების თქმის საბაბი. ამ დროს ფუფალას მჭრელი ენა, "მეხმფრქვეველი სიტყვებია" მისი დამცველი და ისიც წყველის (სხვათა შორის, კახური წყველის ფორმულები თავისი გასაოცარი გამომსახველობითა და

მზატერულობით სპეციალურ შესწავლას იმსახურებს!) თავის მტრებს ("უფალო, შენ დამეხე, დანვი, დანაცრე ჩემი მტერი! უძილო მატლი სჭამდეს ჯოჯოხეთში" (გვ. 31), ან ლანძღავს ყველას, ვინც არ იჯერებს, რომ "საქვეყნო კაცი იყო შიოლა...", რომ შიოლას მისთვის "პირის მარგალიტი ეყიდნა... ოქროს ჯაჭვიც, ლალის საყურე, ბუჭედი, ყიდვით კი ეყიდნა, მაგრამ შიშით ველარ გამოეგზავნა... სულ ერთია არ მიიღებს, არ მიკადრებსო!" (გვ. 29-30).

ნიღბით აღმა-დაღმა ხეტიალი სოფლის გზებზე და ხალხის "მკურნალობა" მოსწონს კიდევც ამ "რომანტიკულ" ქალს. იგი ექიმბაშობას იჩემებდა და თუმცა არავის სჭირდებოდა მისი წამლობა, ლუკმა პურს ამით შოულობდა. მწერალი მხარს უბამს ფუფალას და ზუსტად მის სადა რეცეპტებს გთავაზობს: "ყვავი მოხარმე ისე, რომ ორთქლი არ გამოუვიდეს, იმისი წვენი დალიე!" "მორიელის სისხლი გაახმე და მიილე!" "მუხის ხის წყალი, მიმინოს ქონი აურიე ირმის ქონში, მტრედის გული ვარდის წყალში ჩააგდე..."

ხანდახან, როცა ფუფალა უნიღბოდ რჩება, გულწრფელ სიბრალულს იწვევს. მზურვალედ ევედრება "უმფარველო გოგო" სხვებზე უფრო გულიან ნინუცის: "ხომ დამიტკრებ შენი ლამაზი თვალებით? ნამდვილი ცრემლით, გულის ატირებით, ხომ ლოყას ჩამოიხოკავ, ჩამოიკანარავ... სიტყვა მომეცი, რომ ჩემზე თმას გაიშლი, ჩემზე შავს ჩაიცვამ, ჩემს კუბოზე დაახლი თავს..." (გვ. 32).

ასეთი საბრალოა ფუფალა. სოფელში მისდამი დამოკიდებულების ფონზე მით უფრო ხმამაღლა გაისმის ბერიქალას, კონკრეტულად მურნას, ზოგადად კი სამყაროსადმი მიმართული ვედრება: "ბოლოს და ბოლოს, მი-

ნა ვართ, დავითრგუნებით!.. რათ უნდა მანყენინო, შე უღმერთოვ...“ (გვ. 30-31).

მწერალი ფუფალას მცირე ხნით გაელევებაში მთელ მის ცხოვრებას ატევს. ახლა ფშატის ძირში შეკრებილმა დიდმა და პატარამ უგუნურად იხარხარა, მათ გარიდებული ფუფალა კი მიდიოდა “პურუჭმელი, დაბეგვილი, მოთუთქული, დაქოლვილი, ნანამები”. მწერალი ადამიანთა სისასტიკის მოწმედ გვხდის, თუმცა ნამდვილად ებრალება თავისი ბრწყინვალედ, დიდი ოსტატობით დახატული გმირი. ჩანს, ამიტომ გვაშახსოვრებს ფუფალას ვედრებას: “სალბუნი მომეცი, სალბუნი...”

მარიტას მოვლინება სოფელში ცის გახსნის ბადალი მოვლენა, ჩაკეტილი სამყაროს წყვდიადში მზის ერთი სხივის შეღწევა ყოფილა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა შეძლო შეეგრძნო ეს მშვენიერება, დამტკბარიყო უკეთესი დღის იმედის გამჩენი არსების სიღამაზით, რადგან წყვდიადის მეუფემ მალე გააქრო იგი.

გიორგი ლეონიძე ადვილად ახერხებს მარიტას სიტურფით აღფრთოვანების არა მარტო გადმოცემას, არამედ ჩვენთვისაც ხილულად ქცევას. მარიტა ბრონეულის ყვავილივით სასწაულებრივია, აღმასური სახე და ნუკრის თვალეები აქვს, ცისარტყელასავით დადის... და ასე, საზღვარი არა აქვს ეპითეტებისა და შედარებების გამომგონებლობას.

მარიტას მშვენიერება აკვირვებდა ხალხს. გლეხის ქალი როგორ არის ეგრე ლამაზიო? – კითხულობდნენ, მაგრამ ეთერი ასეთი არ იყო, – იხსენებს პოეტი.

მარიტას გარეგნული ბრწყინვალეობა შესაფერისი შინაგანი ბუნებით დემშვენებინა გამჩენს. გაიზარდა და სა-

ოცარი ხალიჩების ქსოვაც ისწავლა. მერე გულწრფელი სიყვარულითაც აივსო. მწერალი ამ გრძნობის ჩასახვებაწვითარების პროცესს ადევნებს თვალს, შემდეგ კი გარკვეულად ამზადებს ნიადაგს გედიას სოციალური მიზეზით დაუნებისათვის. ამ პირველი სიყვარულის ხილულად ქცევისათვის მწერალი იყენებს საგაზაფხულო დღესასწაულების დროს შესასრულებელ თამაშს, რომელშიც ორი გუნდი (ისინი სიმბოლურად ზამთარსა და გაზაფხულს განასახიერებენ) მონაწილეობს. თამაშს, რომელიც რაფიელ ერისთავს ჩაუნერია “ქალტაციობა” ჰქვია (დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ისტორია, I, თბ., 1983, 106-7).

დაპირისპირებული გუნდების (მარიტას ჯგუფი და გედიას ჯგუფი) შესასრულებელი სიტყვიერი ტექსტი ითვალისწინებს ტრადიციული კითხვა-პასუხის ფორმას, რომელშიც აქცენტირებულია ვაჟის სოციალური მდგომარეობა. უარყოფილის გუნდი (ზამთარი) ქალის მოტაცებას ცდილობს, მაგრამ ქალის გუნდი (გაზაფხული) იმარჯვებს მონინაღმდეგეებზე. საგაზაფხულო თამაში გედია-მარიტას ცეკვით მთავრდება. ცეკვა სხეულისთვისაც საცნაურს გახდის მათი სიყვარულის ამბავს. ბერდედა ძალით გაიყვანს წრიდან შეილიშვილს, რითაც ოფიციალურად ადასტურებს გედისადმი ტრფილისა თუ თანაგრძნობის გამოვლენის აკრძალვას.

საყურადღებოა, რომ “ქალტაციობის” ტექსტი ბუნებრივად თანხედება ნოველის შინაარსს. ჩანს, ამიტომ აირჩია იგი გიორგი ლეონიძემ და მხოლოდ ნაწილობრივი კუპირებით შეიტანა ნოველაში.

უფროსებმა მარიტა “უარსებო, ლარიბ” გედიას მოაშორეს და მდიდარ შეთეს გააყოლეს.

გედიას "აგიზგიზებული გულისა" და "შმაგური" სიყვარულის უპასუხოდ დარჩენა არ ქმნის ნოველის ხილულ კონფლიქტს. ქალ-ვაჟის ერთმანეთისადმი სიყვარული მწერალს ურთიერთობათა დაფარულ ფენებში გადააქვს და აწინაურებს ბედისწერის მოტივს. როგორც წესი, ასეთ დროს ვითარებათა თანხედრას ბუნებრივად მიყვართ შედეგამდე.

ლოგიკის თანახმად, ასეთი სიყვარული უკვალოდ არ შეიძლება გაქრეს. მართლაც, "გედია და მარიტა ცალცალკე, უჩუმრად ებრძოდნენ გრძნობას და ვერ მორეოდნენ".

ვილაცის რჩევით შეთქმ გედია ვაჟიშვილის ნათლიად მოიკიდა.

დედის სიკვდილის მისასამიძრებლად ნათლია გედია სახლში ესტუმრა შეთეს. შინ მხოლოდ მარიტა იყო.

"გაუმარჯოს იმ ორ ნვეთ თაფლს, რომელიც დღეს ერთ სიტკობდ შეერთდება! - კისკისებდა სიო."

"ლობესაც თვალი აქვს, კედელსაც, ჯამ-ჭურჭელსაც!" (გვ. 192).

მეზობლის ქალებმა მათ სასიყვარულო შეხვედრაზე გაავრცელეს ჭორი და სოფლის თვითმარქვია პატრონი ციციკორეც უმალ აღმოჩნდა თავის სიმაღლეზე: "შირონი დააქციეს, ტალახში შარიეს, ქვეყანა შეგვიგინეს, გაუგონელი ამბავია, ძნელად დასაჯერებელი, ქვეყნის გადაშენების ნიშანია სწორედ! მერე ვის დროს ხდება: ჩემს ხელში ღმერთიც მე მომთხოვს პასუხს, ქმარიც, სოფელიც, ჩამომავლობაც!"

სოფლის თავკაცების ფარულმა თათბირმა, უფრო კი ციციკორეს დაჟინებულმა ნებამ, ძველი აღმოსავლური ტრადიციის მიხედვით, "პერანგა ქალი უკულმა შესვა ვირზე!.."

გიორგი ლეონიძის მწერლური ოსტატობა კიდევ უფრო ამძიმებს ფაქტის შემადრწუნებლობას: "... ზაფხუ-

ლის ნაცრისფერი დილა გათენდა, ნანვიმარი, ნაცივარი, ნუხანდელი წვიმის ღრუბლების ნაფლეთები კიდევ დახეტილობდნენ ჩვენი სოფლის ცაზე, თითქოს ცაც იყო შეციებული, შეტალახებული, გამურული, პაერიც უგემური, ნუხანდელ ნანვიმარზე. წვიმით მტვერგადარეცხილი ძეძვის ორლობე უფრო ჩაშავებულიყო, ჩუმი წვიმის წვეთები ცრემლივით ცვიოდა".

მწერალი ხატავს უსახური ბრბოს შემადრწუნებელ სახეს, მის დანაშაულებრივ შეუბრალებლობას: "ბრბო უხმოდ მოდიოდა ღვარამოდენით, ჩოჩქოლით, გაონაერებული, გაძალიანებული... აღრენით ღელავდა ბრბო, მრისხანებდა, გმინავდა, კვნესოდა, პზორგავდა თითქოს, გულის ნალველს იწურავდა, ნიშნისმოგებით უხმაუროდ ზეიმობდა რალაცას. მოდიოდა ღვარცოფულად, მაგრამ მუნჯად..."

ამ შემზარავი პლასტიკური ხატის შემდეგ, კიდევ უფრო ამაღლებული ჩანს ნათელი სიყვარულის მსხვერპლი მარიტა, რომელსაც "ენატრებოდა სიკვდილი, მაგრამ სიკვდილი არსად ჩანდა და მისი ტანჯვა კი ძნელი იყო, ვითარცა სიკვდილი!.. იმნამს იგი ათჯერ მოკვდა და ისევ ათჯერ ძალით აცოცხლებდნენ!.. ბრბო კი ტალახსა და საქონლის ფუნას ესროდა თეთრ პერანგზე..." (გვ. 193). არ ისმოდა "არც ერთი ხმა, არც ერთი შეძახილი... მაგრამ სიჩუმე საზარლად ხმაურობდა, ჩანჩქერივით გრიალებდა და თან იხვევდა ყველაფერსა და ყოველივეს" (იქვე).

"გულჯავრიანი" ციციკორეს მონყობილი განკითხვის შემდგომი პერიოდი სოფლისთვის მძიმე აღმოჩნდა. ადამიანები ჯერ "გაუქაცრავებული, დამცრობილი" მარიტას სახელის ხსენებას ვერ ბედავდნენ, შემდეგ კი, როცა ქალი "ზეზურად დადნა და სულ

მალე უთქმელი სევდით გადავიდა ეთერის ქვეყანაში“, „სოფელმა ზღვიერის ცრემლით დაიტირა თავისი მზეჯავარა. კუბოსთან ყველა წყაროსავით იღვრებოდა“, ციციკორე კი, სოფლის ამტირებელი ციციკორე, „სასტიკი მზერით ამონმებდა, მართლა მოკვდა თუ არაო?“

მწერალი მარიტას დაკრძალვის ეპიზოდს მართავს იოანეს სახარების „ცოდვილი დედაკაცის შეწყნარების“ იგავის მოდელით და ასე გამოაქვს მსჯავრი ცოდვილი სოფლელებისთვის: „კუბოსთან მიჯრილმა მარიტას შეურაცხმყოფელმა ხალხმა, ახლა შეშინებულმა, უეცრივ უკან დაიხია, თითქოს ამაზე სხვა რამ უფრო საზარი დაინახა. კინალამ ერთმანეთი გადათელეს და ვათქერეს... რადგან ერთი მუჭა მინის მიყრა ვერავინ გაუბედა ამ ღვთიურ სილამაზეს. ვერავინ... ვერავინ...“ (გვ. 195).

მწერალი თავის დანაშაულით დამძიმებული, გულამომჯდარად მოქეითინე ხალხიდან გამოიყვანს ცოდვილთა შორის უპირველესს, ციციკორეს და მას მიაყრევიანებს მუჭა მინას. ციციკორეს ამ მოქმედებით მწერალი

ჩაგვაგონებს, რომ ბოროტი ურცხვი, უნამუსო და ძლიერია, რომ უკეთურების მქნელი ფარისევლებით არის საესე ქვეყანა!

მარიტას ხსოვნა მისი დაკრძალვით არ ქრება. მწერალი უძველეს ხალხურ ნარმოდგენას იშველიებს და გვაუწყებს, რომ „მარიტას სული პეპელასავით გაფრინდა“. აქვე ქრისტეს სასწაულებიდან შემოაქვს ადამიანის გაცოცხლების მოტივი, თუმცა ცვლის მას: „იესო ქრისტემ კი ხელმანდილი ამოიღო, შუბლზე უნდა მოესვა, რომ გავცოცხლებინა, მაგრამ ისეთი ლამაზი იყო, მინაზე დასაბრუნებლად ვერ გაიმეტაო...“ (გვ. 196).

მწერალი მიგვანიშნებს შურისგებაზეც. ცოდვაში ფეხჩადგმულ სოფელს სანატრელი უხდება ცის ნაში.

მძიმე განსაცდელის წინაშე დააყენა სოფელი უფალმა. მაგრამ მწერალს ასეთ ვითარებაშიც კი არ შეუძლია უიმედოდ ყოფნა. ამიტომ შემოაქვს მეტემფსიქოზის მოტივი და სურს, დაგვარწმუნოს, რომ „მტვერსა და ნაგავშიც“ კი შეიძლება თავისით ამოვიდეს ბროწეულის ხე – უმშვენიერესი მარიტას მზიური სულის სიმბოლო.





როზა ღვდარიანი

აველუმოზიდან აველუმოზამდე

ოთარ ჭილაძის „აველუმის“ სათაურში მთელი ნაწარმოების დედააზრია ჩაქსოვილი. რომანის მთავარი პერსონაჟის დრამატული ცხოვრების უმთავრესი საზრისი – სწრაფვა თავისუფლებისა და თვითდამკვიდრებისაკენ – მისივე სახელის იდუმალებით მოცულ მნიშვნელობაშია გაცხადებული.

ავტორის განმარტებით, აველუმი შუმერულად თავისუფალ, სრულუფლებიან მოქალაქეს ნიშნავს. მისივე სიტყვით, მნიშვნელობა არა აქვს, მართლა შუმერულია ეს სიტყვა თუ მან გამოიგონა, რადგან იგი „მაინც იმას ნიშნავს, რასაც ნიშნავს, რა მნიშვნელობაც დიდმა შუმერმა თუ იმ დიდი შუმერის პატარა შთამომავალმა (ე.ი. ავტორმა) მიანიჭა მას“.

მთავარი პერსონაჟის სახელისათვის ესოდენ საკრალიზებული მნიშვნელობის მინიჭებით ავტორი საგანგებოდ გამოკვეთს იმ აზრს, რომ თვითდამკვიდრებისაკენ ლტოლვა ადამიანის განუყოფელი, თანამდევითი მისწრაფებაა და ისევე განუყრელ-განუშორებელია მისგან, როგორც მეობა, როგორც სახელი. თავისუფლების მოპოვების დაუთრგუნველი ნყურვილი მასში დაბადებამდეა კოდირებული და ამიტომაც გაჩენისთანავე იმას ესწრაფვის, „სწორედ თავისუფალი, სწორედ

თანასწორუფლებიანი მოქალაქე იყოს თუნდაც მარტო მის წარმოდგენაში არსებული ქვეყნისა“.

აველუმის მთელი ცხოვრება სულის შემოჭრავი გარსის გარღვევისა და ალტერნულ ქვეყანაში დამკვიდრების სურვილით არის მოცული. ამაზე ფიქრსა და ოცნებას იგი „წლების მანძილზე საკუთარი ღვიძლით კვებავდა, სიმარტოვის კლდეზე მიჯაჭვული“.

აველუმის თავგანწირული ლტოლვა თავისუფლებისაკენ მისი ნების დამთრგუნველი ძალის არსებობასაც გულისხმობს. სამეუფო ტახტზე აქ კვლავაც მინოსი ზის, „მარადიული მეფე, მეფეთა მეფე, მეფეთა მშობელი და გამამრავლებელი“, რომელიც ულმობლად ახშობს „ყელზე ჯაჭვებმულ, თავზე რკინის სალტეჩამოცმულ“ ადამიანთა სურვილს, ჰქონდეთ საკუთარი მეობა, იყონ „უფალი თავის“. ეს მხატვრული სახე მკითხველის მიერ აღიქმება, როგორც გამჭვირვალე პარადიგმა, რომელიც, ოთარ ჭილაძის პირველსავე რომანში მოხმობილი, კვლავაც ნაცნობ ამპლუაში წარმოჩნდება, ნიშნად იმისა, რომ უცვლელია არსი ბოროტების იმპერიისა, რომლის არქტიპადაც რომანისტიმა ეს მითოლოგიური პერსონაჟი გამოიყენა.

„აველუმის“ მიხედვით, ხალხთა

საპყრობილე, „კრულვითა დალდასმული ქვეყანა მშიერ მონების“ წარმოგვიდგება დედამიწის ერთ მეექვსედზე გადაჭიმულ სულის შემხუთველ ლაბირინთად, რომლის დამყაყებულ ხვეულებშიც მძვინვარე მინოტავრი დაძრწის. ურჩხულის ნეხვით ამყრალბულ-ამშორებულ ტალანებში უთავბოლოდ დაბორილობენ „სულის მოუშუშებელი ჭრილობით გამწარებული, კაცთა გესლით, სიბნელით, გულგრილობით ილაჯმიხდილი, გაოფლილ სახეზე მუშლმიგლესილი, აბლაბუდას ნაფლეთებაკრული“ ადამიანები, რომლებიც განწირულნი არიან ურჩხულის სტომაქში ჩასანთქმელად, რადგან მათთვის ლაბირინთიდან თავის დახსნის ოდნავი იმედიც კი არსაიდან ჭიატობს.

რომანისტი მუქი ფერებით აღწერს „ლაბირინთში“ დამკვიდრებულ ატმოსფეროს, უსასრულო თვალთვალზე, მიყურადებაზე, დასმენაზე დაფუნდებულ რეჟიმს. აქ რიგითი მოქალაქის ყოველი ნაბიჯი გაზომილია, ყოველი სიტყვა – აღნუსხული, ყოველი ამოსუნთქვა – დათვლილი. ამისთვის იხარჯება აურაცხელი გონებრივი პოტენციალი, ზღვა ენერჯია, უზარმაზარი რესურსები. ჩეკა აველუმს „ხანლიფტიორს მიუგზავნიდა, ხან – უბნის რწმუნებულს... სულ კვალში ედგა, სულ თან დასდევდა აჩრდილივით... კითხულობდა მის ნერილებს, მაგნიტოფონის ფირზე იწერდა მის ნალაპარაკებს... უთვალთვალბდა მის ყოველ ნაბიჯს, მისი ხელშეწველები საგნებიდან იღებდა თითების ანაბეჭდებს, ჩხრეკდა მის საცვალსაც, ალბათ, იმ გრძნობის ბაცილის აღმოსაჩენად და, თავისთავად ცხადია, მოსასპობადაც, მის გულში რომ ჰპოვა თავშესაფარი“.

ამ სტრიქონებში ჩაქსოვილი მწარე

ირონია კიდევ უფრო მძაფრადაა გამოვლენილი სხვა შემთხვევაში: „ათასნაირი იმპორტული თუ სამამულო წარმოების აპარატურა გამალებით იწერდა, იბეჭდავდა, იღებდა, აღნუსხავდა და იმახსოვრებდა ყოველ სიტყვას, ნებისმიერ მოძრაობას, ნებისმიერ მიმიკას, ხმის ტემბრსა თუ ფრაზის ინტონაციას. და ამხელა ხარჯს შარვალგამოხეული სახელმწიფო კაცობრიობის ნათელი მომავლისთვის სწევდა, რაკი თავს ვალდებულად თვლიდა, არათუ რომელიმე საქარხნო რაიონში, არამედ მთელს მსოფლიოში დაეცვა წესრიგი, ცდილობდა, არაფერი გამორჩენოდა მხედველობიდან, ჩიტის ჭიკჭიკის ჩათვლით... [ყოველივე] მისხალ-მისხალ, სიტყვასიტყვით, ნაბიჯ-ნაბიჯ აღინუსხებოდა ათასნაირი მოყურადე, მოთვალთვალე, გადამღები თუ გადამცემი მანქანის მეშვეობით. იმეორებდნენ, იზეპირებდნენ და სამუდამოდ იმახსოვრებდნენ ყველაფერს ელექტრონული ტვინები, როცა პირველ სართულზე, აფთიაქში, ზედმინის პირზე, არათუ, ვთქვათ, ნალვლის ბუშტის ჩასანყნარებელი ნამალი, არამედ ჩვეულებრივი, ბაქოს გამოშვებული პრეზერვატივიც არ იმოუებოდა“.

თავისუფლების, თავისუფალი ნების მოპოვების ნადილი ავტორის მიერ გააზრებულია, როგორც „თანდაყოლილი, ღმერთისმიერი მოთხოვნის... სულისა“, რომელსაც „ადამის დროიდან კლავენ, მაგრამ ვერ მოუკლავთ“. ამ „მშვენიერი, აღტაცებული, გიჟური ლტოლვის“ დაუთრგუნელობა რომანში ახალშობილი ბავშვების ფრენისაკენ სწრაფვით სახიერდება. ამ მხატვრული საშუალების დაფინებული გამოყენებით ავტორი ხაზგასმულად გამოკვეთს თავისუფლებისაკენ ლტოლვის უწყვეტობას, მისი ჩახ-

შობის შეუძლებლობას. ეს ის უფლის-მიერი ნიჭია, რომელიც თაობიდან თაობას, მოდგმიდან მოდგმას გადაეცემა და, დევნის, შევიწროების, დათრგუნვის მიუხედავად, კი არ ხუნდება, კი არ უფერულდება, არამედ, პირიქით, სულ უფრო და უფრო ღვივდება, იფურჩქნება, ნაყოფიერდება და, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, თესლის თვისებად ქცეული, ადამიანის ბნელი ნიალიდან აღმოაცვენებს მის დიად საიდუმლოს: ქალაქს ფრთიანი ბავშვი ევლინება.

ავტორი მხატვრულად ნათელყოფს, რაოდენ ზარდამცემია თავისუფლების ნიშნით აღბეჭდილი ბავშვის დაბადება სატუსალოს მკვიდრთათვის. ისინი მას ჩვილობაშივე აჭრიან ვაზის ფოთლისხელა, ვაზის ფოთლივით დაჭმუჭვნით ფრთებს და გადანაჭურებიდან ორ ნაკადად ამოხეთქილი სისხლით ღამის მთელი მზისქვეშეთი გადაილეკოს.

ფრთიანი ბავშვის გაჩენას მთავრობა არნახულ სისასტიკეს, ზღვარგადასულ უღმობლობას აგებებს: ქალაქში საგანგებო წესები ცხადდება. გზები იკეტება. უკვე მოლოგინებულსა თუ ჯერ კიდევ მოსალოგინებულ ქალებს ერთად უყრიან თავს. დილიდან საღამომდე იზხრიკება სახლები და ეზოები, სხენები და სარდაფები, ბოსლები და გომურები, სადაც კი შესაძლებელია ადამიანის გადაძალვა და, თუკი სადმე ჩვილს ან ფეხმძიმე ქალს აღმოაჩენენ, მთელ ოჯახს ხოცავენ დედანწულიანად, გვამებს კი მინოსის თეატრში აგზავნიან.

მინოსის თეატრში მსახიობების მოვალეობას საგანგებოდ დაგეშილი ღორები ასრულებენ. მათი ვალია, სცენაზე სხვადასხვა ადგილას ჩამარხული გვამის ნაწილები დინგებით ამოჩიქნონ. როცა ამშორებული

წყევლიადიდან გამოსული თვალეზიანისხლიანებული, ჯაგარაშლილი, შიმშილისაგან აჭყვირებული ღორების დინგით ამოტრიალებულ მინას ადამიანის სხეულის რომელიმე ნაწილი ამოჰყვება, იარუსები ყურისწამლებად ღრიალებენ, იგინებიან, არწყევენ მანამ, ვიდრე შიმშილისაგან გაგიეხებული ღორები ერთმანეთს პირიდან გლეჯენ ადამიანის თავ-ფეხსა თუ გულ-ღვიძლს.

ეს ამაზრზენი სანახაობა, სიცოცხლის მომწამლეელი და გონების ამაზღვრეველი, მაყურებელთათვის ათასჯერ უფრო შემზარავია იმიტომ, რომ იგი მათ სიზმარშიც არ ასვენებს და, „რამდენჯერაც არ უნდა მოიცვალონ სანოლში გვერდი, სანახევროდ მაინც იქ არიან, სიზმარში, და სისხლით გაზინთული კალათიდან ხან ვილაცის ხელი წაეტანებათ მოულოდნელად, ხან ვილაცის გაყინული თვალი მიაშტრდებათ ჯიუტად“.

თავისუფლების დამთრგუნველი ძალის ბოროტების მასშტაბებს ავტორი პარაბოლურად წარმოსახავს სასჯელის შიშით ზარდაცემულ ადამიანთა გაშლევების ჩვენებით. შიშისაგან წამხდარი კაცები უარს ამბობენ შვილებზე. ათასნაირ სისაძაგლეს, მრუშობასა და ღალატს სწამებენ ფეხმძიმე ცოლებს, რათა როგორმე აცილინთ თავიდან ფრთოსანი ადამიანის მამობა და, აქედან გამომდინარე, ამ საქმეში თანამონაწილეობისათვის დადგენილი სასჯელიც... „შემადრწუნებელი, გამრყენელი, დამაგლახა კავებელი შიშითა და მოლოდინით გულგაყინული მშობლები დაუდევრად, ტლანქად ატრიალებენ ხელში ჯერ კიდევ საშოს დორბლით მოთხვილ არსებებს... და, თუკი ჩვილს საფრთე კვირტები ან რაიმე საეჭვო მეჭეჭი და ხალი ეტყობა ზურგზე, გათავებულია მისი ამბავი,

ვერაფერი ველარ უშველის, ამიტომაც მატულობს დღითიდღე მკვლელობის, თვითმკვლელობისა და, რაც უფრო სამწუხაროა, ძალით დაყვერვის შემთხვევები. გამწარებული, გამხეცებული ცოლი მძინარე ქმარს სანოლზე აბამს და, მოუხედავად თავგანწირული წინააღმდეგობისა, ხვეწნა-მუდარისა, ბასრი დანით, რომელსაც დიდხანს ლესავდა ქმრის ზურგს უკან, განზრახულით აღგზნებული და გაკერპებული, თვალის დახამხამებაში აცლის სათესლე ჯირკვლებს".

თავისუფლების მაძიებელ და მის დამთრგუნველ ძალებს შორის არსებული დაპირისპირება „აველუმს“ მაგისტრალურ ხაზად გასდევს. ეს ჭიდილი შენიღბულია, გამოუაშკარავებელი. ნების წარმტაცველი ძალა, რომლის მსახვრალი ზემოქმედებაც ყოველ სტრიქონში ძალუშად შეიგრძნობა, შედეგის მიხედვით საცნაურყოფს თავის არსებობას, რეალურად კი იგი უჩინარია, გამოუვლენელი, უხორცოსავით საზარელი და მოუხელთებელი. მას კონკრეტული გამოხატულება არ გააჩნია, ამიტომ არც სახელი აქვს, არც გვარი. იგი კრებითი სახეა, ინდივიდუალური ნიშნის არმქონე, „უსახო, უპირქუბო“, მხოლოდ ბრმა ძალითა და ჩლუნგი სისასტიკით აღჭურვილი რაობა, რომელიც ოდენ სხვათა ტკივილისა და უბედურებისათვის არის გაჩენილი. მისი აბსტრაქტული მყოფობითაც მისივე ბოგინის ვრცელი ასპარეზი, საზღვარმიუჩენელი თარეშია ხაზგასმული. „გინდა თუ არ გინდა, მოგწონს თუ არ მოგწონს, მაინც შერისხულთა, დაჭერილთა, დახვრეტილთა, დაშინებულთა და... დაყვერილთა შთამომავალი ხარ. პაპაშენი შიშველ-ტიტველი, მშიერ-მწყურვალნი ჩავიდა საფლავში, როცა ახალგაზრდობაში იმოდენა ღვინის სარდაფები

ჰქონდა რიყეზე, ბოლო კასრი ლოტოს კოჭისოდენა მოჩანდა თურმე კაროდან. მაშაშენს ერთ საქვეყნოდ სახელგანთქმულ დაწესებულებაში ისე დაამტვრიეს ხელ-ფეხი, სიკვდილამდე ლოგინიდან აღარ წამომდგარა (ერთი ფეხი უკვე მკვდარს გაუსწორეს სატეხითა და ჩაქუჩით, წესიერად რომ დახურულიყო კუბო)“, – ასეთია რეალური წანამძღვრები იმ ფსიქოლოგიური ტიპის ჩამოყალიბებისა, რომლის არსებაშიც წინა ორი თაობის ხვედრია აღბეჭდილი. რომანის მთავარი პერსონაჟის პიროვნებაში ამ ფსიქოლოგიური ტიპის ზოგადი ნიშან-თვისებებია შერწყმული.

აველუმის პიროვნება დახვრეტილ, დაბორკილ, დაერდომილ წინაპართა დარდით, ვარაშით, შიშით, ტკივილითა და, რაც მთავარია, დათრგუნვილობითაა დაღდასმული. „მთელი სიცოცხლე ამ დღეს მოველოდი, როგორც იქნა, მოვესწარი და... მემშინაო“, – აცხადებს ის ეროვნული მოძრაობის დაწყებასთან დაკავშირებით. გულწრფელია იგი, როცა ამბობს, დაშინებულების უფრო მესმის, ვიდრე უშიშრებისაო. სწორედ ამ დათრგუნვილობის გამო აღიზიანებს (და მშობლებისთვისაც ვერ უპატიებია) მას ის, „ცოცხალმა რომ გამოაღწია დახვრეტილთა, შერისხულთა, განდევნილთა, დაკნინებულთა, ღირსებააყრილთა აჩრდილებიდან, სისხლისა და ცრემლის ტბორებიდან“.

„აველუმის“ უმთავრეს პათოსს ქმნის ფიქრი, ოცნება იმ ნეტარ წამზე, რომელიც ადამიანს თავისუფლების მშვენიერებასა და ამაღლებულობას შეაგრძნობინებს. მთელ ნაწარმოებს მსჭვალავს ის აზრი, რომ „თავისუფლების მწარე მარცვალი ყველა არსებაშია ჩათესილი და იმ მარცვლის აღმოსაცენებლად საკმარისია ერთი, ერ-

თადერთი ნათელი წამიც, რომელიც ადამიანის არსებას შიგნიდან გაანათებს ხოლმე, როგორც ჩირალდანი მღვიმეს, და, მიუხედავად დროის სიმცირისა, ადამიანი მაინც ახერხებს იმის დანახვას, რაც იქამდე მისივე სიბეტისა და მიუხევედრელობის შეუღწევულ, გაუფანტავ წყვდიადში თვლემდა. ამ ერთ წამს უნარი შესწევს, ძირფესვიანად შეცვალოს არამართო ერთი ადამიანის ცხოვრება, არამედ მთელი სამყაროც, რომელშიც ის ერთი ადამიანია ჩაკარგული.

მთავარი პერსონაჟის ცხოვრებას ამ ერთი ნათელი წამის მთრთოლვარე მოლოდინი აფორიაქებს, ამ ნანატრი გაელვების წარმოსახვას კი მუდამ ახლავს შიში იმისა, რომ ამგვარი უცარი გამოფხიზლება უმთავრესად კატასტროფით მთავრდება.

ნეტარ წამთან დაკავშირებული ზეალმტაცი ბედნიერება და მისი თანმდევი განსაცდელი რომანში ფრთოსანი ბავშვების ხედვრშია განსახოვებული. ნაწარმოებს მრავლისმეტყველად გასდევს ხატება მშვენიერი წამის მაძიებელი ბავშვებისა, ჩიტბიჭუნების და ჩიტგოგონებისა, რომლებიც, ცარგვალში ერთხელ, ერთადერთხელ შეფრთხილების სურვილით ატაცებულინი, ხელოვნურ ფრთებს იმაგრებენ მხრებზე, რათა იმ ნეტარებას ეზიარონ, მხოლოდ ლაფვარდში ქროლვით რომ შეიგრძნობა.

...და მიფრინავენ, მიფრინავენ, მიფრინავენ ისინი მანამ, ვიდრე ჩამოცივიდებოდნენ, ვიდრე, ლითონის დასაქოქი მტრედების მსგავსად, გალანის კედელს, ხეს ან მანქანას შეასკდებოდნენ, ანდა, ძალაგამოლეულნი, ასფალტზე გახოხდებოდნენ მუცლით...

რომანში ეპიზოდურად გაილეკებს სახე ერთი უჩვეულო პერსონაჟისა,

რომელსაც ერთხელ, ერთადერთხელ უხილავს დიდი, თვალშუუდგამი ნათელი და, მის მნახველს, არარაობად ეჩვენება სხვა ყველაფერი. იგი თავის თავს ბედნიერას უწოდებს, რადგან მას შემდეგ, რაც ეს ნათელი იხილა, ბედნიერია, აღარც არაფერი ტკივა, აღარც არაფერი ანუხებს. იმ ნათლის მხილველი, იგი წყვდიადში გრძნობს თავს მაშინაც კი, როცა ორი ანთებული „ოჰპიტერი“ პირდაპირ თვალეში უჭყიტინებს. „ეს რა სინათლეა? ეს იმასთან უკუნი ბნელია. აი, რომ ვამბობთ ხოლმე, თვალთან თითს ვერ მიიტანო, ისეა“, – მიმართავს იგი ინტერვიურს.

რომანის მთავარი გმირის არსებობას სულიერი თავისუფლების მოპოვების დაუცხრომელი ფინი წარმართავს. მისი გაგებით, ადამიანის ცხოვრება თავისუფლებისაკენ სწრაფვაა და, ამდენად, მარადიული მოვლენაცაა, რადგანაც „ადამიანი თავისუფლებას სამოთხეში ტოვებს, ანუ გაჩენამდე, გნებავთ, გაჩენისთანავე კარგავს და მთელი მისი დანარჩენი ცხოვრება სამუდამოდ, უიმედოდ დაკარგული თავისუფლების შემანუხებელი შეგრძნებაა მხოლოდ“. აველუმის არსებას მსჭვალავს დაუთრგუნველი ნყურვილი იმისა, რომ სულ, სულ მცირე ხნით მაინც დაუსხლტეს სატუსალოს სულისშემშუთვლელ ატმოსფეროს, სადაც მისი ყველა ნაბიჯი, ყველა ამოსუნთქვა სხვათა მიერ წინასწარაა განსაზღვრული და რეგლამენტირებული.

კრეტას პირქუში ლაბირინთის მკვიდრი საოცნებო თავისუფლებას სიყვარულის სავანეში ეძიებს. სიყვარული ერთადერთი საესავია, რომელიც მას თავისუფლებისა და უფლებამოსილების შეგრძნებას ანიჭებს, ამიტომაც „თავგანწირულად და უსასარულოდ... იბრძვის იმის გადასარჩე-

ნად, რასაც ჯერ კიდევ სიყვარულს ვეძახით და რაც ადამიანთა მიწიერ არსებობას ცხოვრებად გარდაქმნის". მის ამ ბრძოლა-წყვეტებაში აშკარად შეიგრძნობა ის უჩვეულო სულისკვეთება, რომელიც, იმის გამო, რომ „საერთო, საყოველთაო, მით უფრო, სავალდებულო მოთხოვნილებად“ ვერ ქცეულა, „ცალკეული, დამთხვეული პიროვნებების სწრაფვად, აჩემებად, ოცნებად, ჟინად“ არის მიჩნეული. აველუმში ერთი იმ „დამთხვეულთაგანია“, ვინც მარადიული იმპერიის – სიყვარულის უღელში შესაბამელად ნებაყოფლობით, საკუთარი სურვილით მიიღტვის. მისთვის სიყვარული გრძნობათა გავარჯერებული ჯაჭვია, რომელსაც ნებით იხვევს კისერზე, რადგან აღარ შეუძლია უიმჯაჭვოდ გაძლება და, ზედ ტურბომიმწვარი, ისევ ხარბად კოცნის იმის ნითლად გაღვივებულ რგოლებს, უფრო და უფრო ეფლობა მის მოუხეშავ, მოყდარუნე სიძიმეში და კი არ რცხვენია, ეამაყება დამწვარ-დანყლულებული ხორცის გამოჩენა. ნაწარმოების მიხედვით, აველუმის გამუდმებული „სწრაფვის, აჩემების, ოცნების, ჟინის“ ობიექტებად ფრანგი ფრანსუაზა და რუსი სონია წარმოგვიდგებიან.

აველუმის სწრაფვა სიყვარულისაკენ ავტორის მიერ ჩაფიქრებულია, როგორც ხელშესახები ალევორია თავისუფლებისაკენ მარადიული სრბოლისა, რომელიც ადამიანს ჩანასახშივე მიემადლება და ამიტომაც დღემუდამ მისი მოპოვების წყურვილითაა შეპყრობილი. ეს მისწრაფება განუყოფელია პიროვნებისაგან და ისევე განსაზღვრავს მისი ცხოვრების საზრისს, როგორც დაკარგული სამოთხის დაბრუნების სურვილი – ცოდვით დაცემული კაცობრიობისას. ეს ის უზანაესი გრძნობაა, რომელიც ადამიანს

„ბრმად, მოულოდნელად, შემთხვევით ეუფლება და, თვალს კი უხელს, მაგრამ შესამჩნევს ალარაფერს უტოვებს გარშემო, ყნოსვას კი უმძაფრებს, მაგრამ სურნელებას უკარგავს ყველაფერს, სმენას კი უხსნის, მაგრამ, მზეზე შემჩნეული უდიდესი აფეთქებების მსგავსად, მისთვის მაინც ჩუმად, მაინც უხმოდ ახდენს მოსახდენს“. ძნელი დასანახი არ არის, რომ სიყვარულის წამიერი შეგრძნების სიდიადის გამოხატველ ამ სტრიქონებში ისეთივე დამთრგუნველი, გამაოგნებელი, გამოუთქმელი გრძნობაა აღბეჭდილი, როგორც იმ მონაკვეთში, რომელიც თავისუფლების ელვისებური განცდის მშვენიერებაზე ლაღადებს. სიყვარულის სიტკბოს ნაზიარები ადამიანი ისევე ვეღარ ამჩნევს ამქვეყნად რაიმეს, როგორც ბედნიერა, რომელიმე მეყსეულად იხილა დიდი ნათელი და მას შემდეგ არააზობად ეჩვენება სხვა ყველაფერი. ამდენად, აველუმის თავგანწირული ლტოლვა სიყვარულისაკენ თავისუფლების მარადიული ძიების მკაფიო, ხელშესახებ ალევორიად მოიაზრება. „ყველა კვარცხლბეკიდან ჩამოგდებული, ყველა ტაძრიდან გამოდევნილი, შერისხული, შეგინებული, ადამიანური უზნეობის ლაფში ამოგანგლული, სამარცხვინო სისუსტედ, სულელ ნინაპართა გულუბრყვილო თამაშად, ასაკობრივ მიდრეკილებად, ჩვეულებრივ ხელმრუშობად მონათლული“ სიყვარული, რომელიც აველუმის სულს ესოდენ სწყურია, თავისუფლების ნათელი ხატებაა. მთავარი პერსონაჟის სამიჯნურო თავგადასკვალშიც თავისუფლების მაძიებელი სულის დრამატული ოდისეაა განფენილი.

აველუმში მშობლიურ ნიადაგში დანერგული ხეა, რომელიც დროსა და სივრცეში გადაადგილებას ძნელად

ეგუება. იმ მიწის ნაწილად, რომელშიც მას ფესვები აქვს გადგმული, მელანია წარმოგვიდგება. ამ ხის ფესვებს აველუმი საკუთარი სისხლით კვებავს.

უზარმაზარ ლაბირინთში მცხოვრები აველუმისათვის ოჯახი პატარა საპყრობილეა, რომელსაც უცვლელ ზედამხედველად იგივე მელანია ჰყავს მიჩენილი. ფრანსუაზა ამ სატუსალოდან თავის დაღწევას ერთადერთი საშუალებაა.

ფრანსუაზა ნამდვილი უცხოელია, „თანაც ფრანგი, თანაც პარიზელი და არა, ეთქვათ, მოსკოველი ებრაელი, კიველი თათარი, ბაქოელი რუსი თუ თბილისელი ბერძენი“. მის ყოველ ქცევაში, მოქმედებაში, საუბარში, ცხოვრების ნირში თავისუფალი აზროვნება, ქართული სულისათვის მიუღებელი ჩვევები და მიდრეკილებები ამოიკითხება.

ფრანსუაზა აველუმს, პირველ ყოვლისა, თავისი უცხოელობით იზიდავს. მისი გატაცებაც სპორტულ ინტერესს უფრო ჰგავს, ვიდრე ჭეშმარიტ სიყვარულს. მოგვიანებით კიდეც ამუნათებს თავის თავს: „შენთვის სიყვარული იგივე იყო, რაც სპორტსმენისთვის – დოპინგი“.

ფრანსუაზასთან ურთიერთობა დიდ რისკთან, უსასრულო ხიფათებსა და თავგადასავლებთანაა დაკავშირებული. მასთან ყოველი შეხვედრა ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმიდან ამოვარდნა, მოსაწყენი ყოველდღიურობიდან გაქცევა, უჩვეულო, გამოუცნობი, უმეტესწილად – მიუღებელი, მაგრამ რალაციით მაინც საინტერესო და მიმზიდველი, მოულოდნელი და, ამდენად, განსხვავებული არსებობის დასაწყისია. ოჯახური არტახებიდან თავის დახსნით, კაპიკ-კაპიკ ნაგროვები ფულის ნაშმი გაფლანგვით (აღნიშნავს კიდეც: „ყოველდღე ცოტას ერთ-

ხელ და უხვად მირჩევნიაო“), ათასი მოყურადისა და მოთვალთვალისაგან დასხლტომით, შეხვედრის ადგილების წამდაუნუმ შეცვლით აველუმი თავისუფლების ილუზიას იქმნის. ფათერაკებიანი სიყვარული ძნელად მოსაპოვებელი თავისუფლების შეგრძნებას ბადებს მასში, ამიტომაც, არგამოფხიზლების სურვილით ატაცებული, მოჩვენებითი გაღალღების ნადილით შეპყრობილი, თავდავიწყებით მიელტვის მას.

საბჭოეთში დამყარებული რეჟიმით გამეფებულ შიშზე გამარჯვების სიხარულითაა აღსავსე ფრანსუაზას პირველი გაცილება საფრანგეთში. ნაუცბადევი, სეზონისათვის ყოველად შეუფერებელი ჩაცმულობით მოსკოვში გამგზავრება, უშიშროების მუშაკთათვის თვალის ახვევის მიზნით აეროპორტში ვარდების უზარმაზარი თაიგულით მისვლა, ამავე ზრახვით მეგობრის მიერ რესტორნის ოფიციალტი ქალის მიყოლიება ახალგაზრდებში ბადებს საზეიმო განწყობას, რომელსაც კიდეც უფრო აძაფრებს მოვლენათა შემდგომი მსვლელობის წარმოსახვა. დამზონებელ ძალასთან შეუპუებლობა, ძნელად გადასალახავი ბარიერის დაძლევა აველუმის ცნობიერებაში ნანატრ თავისუფლებასთან ასოცირდება. დღემუდამ დინების საწინააღმდეგოდ ცურვა: ფრანსუაზას წერილების უჩვეულო გზით მოპოვება (მათ, მისივე თხოვნით, მისი კოლეგა, მოსკოველი ესტონელი იანი იღბდა და „სათანადო დამუშავების“ შემდეგ თბილისში უგზავნიდა), მასთან შესახვედრად ათასნაირი საშუალების მოფიქრება, მეთვალყურეთა, დამსმენთა, შურიანთა გასაცურებლად ახალი და ახალი გზების გაზონახვა აველუმს მინოტავრთან შეთამაშების, სისხლმონყურებული ურჩხულის თვა-

ლებში ჩახედვის ტოლფასად ესახება. ამ განცდით ატაცებული, სიძნელეთა გადალახვის ზინს აყოლილი, იგი ისევ და ისევ განსაცდელს ეძებს ილუზიური თავისუფლების გასახანგრძლივებლად.

უდიდეს სიძნელეებთანაა დაკავშირებული მოსკოვში ჩამოსულ ფრანსუაზასთან შეხვედრა და, მით უმეტეს, მასთან ერთად დაბინავება. სატრფოს ყოველ ჩამობრძანებას თან ახლავს კიდევ ერთი მომთაბარე ცხოვრება, ჩანთებითა და ჩემოდნებით ხეტიალი უცხო ქალაქის უცხო ქუჩებში, უზნიდან უბანში, ბინიდან ბინაში... ისინი ცდილობენ, მიიმხრონ, მოისყიდონ ნებისმიერი ვიგინდარა, ვისაც მათი დასმენა შეუძლია, ვისაც ძალუძს, თუნდაც უმნიშვნელო ზიანი მიაყენოს მათს „სიმშვიდეს“, მათს „ბედნიერებას“, „ეთქვათ, სასტუმროდან გამოასახლებინოს ისინი, რესტორანში არ შეაშვებინოს, მილიცია მიუგზავნოს დაქირავებულ ბინაზე და სხვა ათასი სიმდაბლედ და სისაძაგლედ ჩაიდინოს თავისი მარად გაუხარელი, მარად დაჩაგრული, მარად ღატაკი სულის საამებლად“.

რაოდენ ჭეშმარიტია ბედნიერება, რომელსაც აველუმში ფრანსუაზასთან ურთიერთობით განიცდის, მკაფიოდ ჩანს საბჭოეთში აკრედიტებული უცხოელებისა თუ ადგილობრივი სნობების მზიარულ ფერხულში თავფეხიანად ჩართული ფრანსუაზას მოლოდინით გულამღერეული მიჯნურის განწყობაში. მოსკოვში ჩამოსულ აველუმს ფრანსუაზა ბინაში კეტავს, თავად კი ხან ნვეულებზე გარბის, ხან – საელჩოში ან უცხოელთა კორპუსში, ხან კიდევ – რომელიმე მხატვრის სახელოსნოში თუ ჰიპოდრომზე. ამ დროს აველუმში შუქს აქრობს, ვითომც ბინა ცარიელია, იატაკზე დგამს ტე-

ლევიზორს, თავადაც იატაკზე ჯდება, გვერდით ვისკის ბოთლს იდგამს და ცდილობს, არ იყმუველოს, იმაზე ფიქრით აცახცახებულმა, რომ ამ დროს ფრანსუაზა კულტურულად ერთობა, „ევროპულ ყაიდაზე ატარებს დროს თავის დეგენერატ თანამეინახებთან ერთად, მისი გულისთვის ქვეყნის მეორე ბოლოდან ნასესხები ფულით ჩამოფრენილი სტუმრის მარტო დატოვებას კი არათუ უკულტურობად, ელემენტარულ უაღამიანობადაც კი არ მიიჩნევს“.

აველუმში შინაგანად მუდამ მწარედ განიცდის თავის უაზრო ყოფას, გრძნობს, რომ ფრანსუაზას ნაწუქარი თავისუფლება რკინის ბირთვივით აქვს სულზე გამობმული. ამიტომია, რომ მისი ხმაც, „სატელეფონო კაბელში მკედრული სიჯიუტით, მხოლოდ და მხოლოდ გარდაუვალობის ძალით დაძრული“, ისე გამოიყურება (სწორედაც რომ გამოიყურება, ფრანსუაზამ დაინახა ეს ხმა!), როგორც ტკივილით გაოგნებული და შხამიანი ნერწყვით გაგუდული ბაჭია – მახრჩობელა გველის ნაწლავში“.

მოგვიანებით, როცა ფრანსუაზასთან ოცდახუთწლიანი ურთიერთობის შეფასების ყამი დაკრავს, იგი ასე ამუნათებს საყვარელს: „ერთი დღით ჩამოფრინდებოდი ხოლმე კარტში მოგებული ფულით, შენ კი ჰიპოდრომზე გარბოდი შენს არისტოკრატ მეგობრებთან. ჩემი მიტოვება შეგეძლო, იმათი განბილება კი – არა... მე ბნელში ვიჯექი ჭოტივით, ლიფტიორი ქალის შიშით სინათლე ვერ ამენთო, არ მომაგნოს, არ დამიფრინოს აქედან-მეთქი, ეს კი, როგორც იტყვიან, ევროპულად ერთობოდა, ან საელჩოში იჯდა იატაკზე და ვილაცის ჭიქაში ჩარჩენილ შამპანურს ნრუპავდა, ან რომელიღაც მორიგი დეგენერატი გენიოსის ბინ-

ძურ ხავერაში... უკაცრავად, სახე-
ლოსნოში დიასახლისობდა გამოსული
ქალის თამამი უშუალობითა და უშუ-
ალო სითამამით”.

აველუმს ფრანსუაზასთან შეხვედ-
რის დღიდანვე ღრღნის ეჭვის ქია, ანა-
მებს ფიქრი იმაზე, რამდენად წრფე-
ლია მისი სიყვარული, რამდენად მყა-
რია აღთქმა, რომლითაც მისი ყოველი
წერილია აღსავსე. მტანჯველი ეჭვი
სიცოცხლეს უნამლავს აველუმს განა
მხოლოდ ცხადში, სიზმარშიც. ეჭვი
„ანოვებს თავის შხამიან რძეს“ იმ შემ-
ზარავ სიზმრებს, რომლებიც მას ესო-
დენ ანამებენ და აფორიაქებენ.

გაურკვეველობის გრძნობა, რომ-
ლითაც აველუმის მთელი არსებაა მო-
ცული, იმდენად აუტანელია და გაუ-
საძღისი, რომ იგი ლამის საბოლოოდ
დაიხრჩოს ეჭვიანობის იმ „ვერაგსა და
გამაპამშულავებელ მორევში“, რო-
მელშიც ყელამდეა ჩაფლული.

ურთიერთობის პირველი წუთები-
დანვე აველუმს ტვინს უკორტინდა
იმაზე ფიქრი, რომ ფრანსუაზას არა-
თუ მიზეზი და საშუალება, უფლებაც
მეტი ჰქონდა ლალატისა, რადგან იგი
სხვა სამყაროს ეკუთვნოდა, სხვა ქვე-
ყანაში ცხოვრობდა, სხვა ადათ-წესე-
ბით, და „ეჭვიანობისაგან გინდაც ჭი-
პი გადმოგვარდნოდა, როცა მოგეპრი-
ანებოდა, მაინც ვერ ჩააკითხავდი შენს
ნებაზე იმ სამყაროში და იმ ქვეყანა-
ში“, სადაც იგი იმყოფებოდა. ხშირად,
მისთვისვე მოულოდნელად, ისე მწა-
რედ, ისე დაუზოგავად გაჰკრავდა
ხოლმე გულში ეჭვი, რომ „მზად იყო,
მგელივით ეყმუელა, გველივით თავი
კედელზე მიენაცა და მუცელმონყე-
ტილი ქალივით ეგორა მიწაზე“,
ოღონდაც ამ შემზარავი განცდისაგან
გათავისუფლებულიყო.

ფრანსუაზა ნანარმოებში გამოჩე-
ნისთანავე უნდობლობას ბადებს

მკითხველში (ეჭვის აღმძვრელია თუნ-
დაც ერთგულებისა და უღალატობის
ის მტკიცე ფიცი, რომელსაც იგი ესო-
დენ ხაზგასმულად იმეორებს ყველა
წერილში) და ისიც ცნობისმოყვარედ
მოელის იმ წუთს, როცა ეს „თავდავინ-
ყებით შეყვარებული“ ქალი თავის ნამ-
დვილ სახეს გამოამჟღავნებს. ყოველ-
გვარ მოლოდინს აჭარბებს ის უტიფ-
რობა, ურცხვობა, შუბლგარეცხილო-
ბა, რომელსაც ფრანსუაზა ლალატში
მხილების მომენტში ავლენს.

„სხვათა შორის, შენს სანოლთან,
პატარა მაგიდაზე, თუ შეგიმჩნევია,
ჩასახვის სანინალმდეგო აბების კო-
ლოფი დევს, სანახევროდ დაცლილი...
ალბათ, ყოველშემთხვევისთვის სვამ,
დასაზღვევად, ჩემმა წერილებმა
რომ... ჰმ... ჰმ... მაგრამ, არა მგონია, ამ
თვალსაზრისით სახიფათო იყოს, რო-
გორც შენ უნოდე ერთხელ, ეპისტო-
ლური სიყვარული. მართლაც, რო-
გორც ეტყობა, ფრანგული ნამლები
ხანგრძლივად, წლების განმავლობაში
ინარჩუნებენ ძალას. ჩვენ ხომ უკანას-
კნელად ამ ორი წლის წინათ შევხე-
დით?“ – მიმართავს იგი „ძალღივით
ერთგულ“, „მხოლოდ მასზე ფიქრით
დამაშვრალ“ ქალს, რომელიც უსირც-
ხვილოდ უსწორებს, ის აბები ფრანგუ-
ლი კი არა, გერმანულიაო. (ფრანსუ-
აზას „პატიოსნების“ დამადასტურე-
ბელი ეს მომენტი, სამწუხაროდ სრუ-
ლიად შეუმჩნეველი დარჩენია ქ-ნ ეკა
ცხადაძეს, რომელიც ამ ქალის შეფა-
სებისას საერთოდ უგულებელყოფს
მისი ჭეშმარიტი მორალის მამხილე-
ბელ რეალიებს და აცხადებს, ევროპე-
ლი, თანაც ფრანგი ქალის ასეთი „გარ-
დარეული“ სიყვარული და საარაკო
ერთგულება აშკარა მეზღაპრეობის
სფეროს განეკუთვნება და ოთარ
ჭილაძეს ამ ისტორიის გამოგონება,
ალბათ, აველუმის თავდაჯერებულ-



ბის წარმოსაჩენად დასჭირდაო (ვაზ. „ჩვენი მწერლობა“, № 17, 2002 წ.).

ფრანსუაზასთან უკანასკნელი შეხვედრისას მთელი ძალით იჩენს თავს ის ზღვარგადასული ბოლმა, უკმაყოფილება, შეუთავსებლობა, შეუგუებლობა, გაუცხოება, რომელიც აველუმს წლების მანძილზე ტანჯავდა, ანამებდა, შინაგანად ფლეთდა და ანადგურებდა. ხანგრძლივად ნაგუბარი ბრაზითა და რისხვით, მრავალგზის დაოკებული ტკივილითა და ვარამით, შეუნიღბავი შხამითა და გესლით არის აღსავსე მისი სიტყვები, წარმოთქმული მისთვის სრულიად უცხო და მიუღებელი სამყაროს წარმომადგენელთა დასახასიათებლად. „იცით, იმ დღეს ოთხად გაჭრილი გაუფცქვენელი ხახვი მოგვართვა, ეს არის მთელი ვახშამიო. წარმოგიდგენიათ? აი, ამას პქვია ნამდვილი ბოპემა. სიძუნწეზე რომ არაფერი ვთქვათ, ანდა თუნდაც სიბრიყვეზე, სიღარიბე აქ არაფერ შუაშია. თუ ხახვის მეტი არაფერი გაქვს, ვახშამს რატომ მართავ სახელოსნოში? ელოდები, რომ საქმელ-სასმელს სხვები მოიტანენ? ამას სხვა სახელი პქვია... მაგრამ მეც რომ გაუფცქვენელი ხახვი მეჭმია შენთვის, მოგენონებოდა? შეჭამდი?“ – მიმართავს იგი ფრანსუაზას.

მრავლისმთქმელია, რომ ფრანსუაზა სრულიად მიუკიბ-მოუკიბავად, განსაკუთრებული ტკივილისა და სინდისის ქენჯნის გარეშე აღიარებს, რაოდენ შეუთავსებელია მისი ბუნებისათვის ძალღური ერთგულება. მეტიც, იგი აველუმს იმ მსხვერპლსაც აყვედრის, რომელიც მისთვის ოდესმე გაუღია: „ღმერთო ჩემო, არ მესმის, როგორ ცხოვრობთ თქვენ! ვერ გამიგია, რა გინდა ჩემგან? რა უნდა ჩავიკლა, რა უნდა ამოვიკვეთო, რას უნდა გავუძლო კიდე? ვიდრე შენ ჩემი გა-

დარჩენის გეგმებს აწყობდი იქ, ჩემო გადამრჩენელო, მე თავს ძლივს ვერეოდი, ქუჩაში რომ არ გავვარდნილიყავი და პირველსავე გამვლელს არ ჩავვარდნოდი ფეხებში... პირველსავე შემხვედრს... თუნდაც კეთროვანს... – ასეთია ლოკიკური დასასრული ხანგრძლივი ურთიერთობისა, რომელსაც, როგორც აღმოჩნდა, ურთულესი ბარიერის გადალახვის გზაზე აღმოცენებული ალტყინება, სიჯიუტე, ჯიბრი, ინტერესი ედო საფუძვლად და არა ჭეშმარიტი გრძნობა. როცა ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა, აველუმში სრულიად მარტივად აღმოაჩენს, რომ მას და ფრანსუაზას (ისევე, როგორც მათს უკანონო შვილს) არაფერი პქონიათ საერთო: „არც სამშობლო, არც ენა, არც წარსული და არც მომავალი“.

„აველუმში“ სრულიად არაორაზროვნადაა წარმოჩენილი, რომ ფრანსუაზას სახით მკითხველის წინაშე დგას არა პიროვნება, არა ინდივიდი, არამედ სამყარო, რომლის წარმომადგენლადაც იგი გვევლინება. იგი ზოგადად უცხო სამყაროს, ევროპას, მის „კულტურას“ და „ცივილიზაციას“ განასახიერებს (ისევე, როგორც თათარი – თურქეთს, გინდაც მაჰმადიანურ სამყაროს რომანში „ყოველმან ჩემმან შპოვნელმან“) და აველუმიც ისე მიმართავს მას, როგორც ცხრა მარტისა და ცხრა აპრილის გადამტანი ქვეყნის წარმომადგენელი – ამ ქვეყანასთან თვალთმაქცური ერთგულებითა და ცრუდაპირებებით დაკავშირებულ უცხო ძალას. „მე, ესე იგი მე, ისევე ვერ გადაგარჩინე შენ, ფრანსუაზა, ოცდაორი წლის ფრანგი გოგონა, თავშესაქცევ სიყვარულს გამოქცეული და ჭეშმარიტი სიყვარულის საზარელ ხახვაში ჩავარდნილი, როგორც თქვენ, ესე იგი ფრანგებმა, ვერ გადაგ-

ვარჩინეთ ჩვენ, ქართველები", - ეუბნება იგი ფრანსუაზას. ამ ქალის პიროვნული თავმოთნეობა და ქვეგამხედვარობა, ორგულობა და გაუტანლობა აქ ევროპის ოდინდელ ორპირობასა და ცბიერებასთან, თვალთმაქცობასა და უსულგულობასთანაა გათანაბრებული. „სხვათა შორის, ერთი ჩემი დიდი წინაპარი სწორედ აქედან გამოაპანლურეს შენმა დიდმა წინაპრებმა", - მიმართავს აველუმს მას (არ არის შემთხვევითი, რომ აველუმის ცნობიერებაში ფრანსუაზას უკავშირდება ის ფაქტიც, რომ „ჯერ კიდევ ცხრამეტი წლის თოთხმეტი მარტის პარიზის კონფერენციამ არ სცნო ჩვენი დამოუკიდებლობა").

ამ შემთხვევაში იგი საქართველოს სახელით ლაპარაკობს. აქვს კიდევ ამის უფლება, რადგან მუდამ „აპოკალიფსის სიმპტომად აღიქვამდა, როცა რომელიმე ნამდვილად ღირსეული ქვეყანა ანდა მისი ცალკეული ღირსეული წარმომადგენელი მართლაც რომ ჭეშმარიტად მეცნიერულ შემართებას, სიმტკიცესა და სიჯიუტეს იჩენდა ნებისმიერი გადაშენებული ცხოველის ნაკვალევის, ანარეკლისა თუ ანაბეჭდის გადასარჩენად, როცა გახედვაც კი არ უნდოდა ცოცხლად დამარხული თუ ცოცხლად გადაყლაპული ქვეყნებისაკენ, აველუმისათვის კი მისი ცოცხლად დამარხული სამშობლოთი იწყებოდა მთელი დანარჩენი სამყარო და უიმისოდ ერთნაირად მკვდარი იყო ყველა რელიგია" (საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაში აველუმის ირონიის სამიზენ „ნამდვილად ღირსეული ქვეყნის" წარმომადგენელი, ევროპის მასშტაბის სპეციალისტი ელინური სამყაროსი, მკვდარი რელიგიების მკვლევარი ფრანგი რელუ გახლავთ).

ამდენად, ფრანსუაზასთან დამო-

კიდებულება და ამასთან დაკავშირებული სიძნელეები, აველუმის დაუოკებელი სწრაფვა ფრანგი მიჯნურისაკენ და მასთან კავშირის დამყარების გზების უსასრულო ძიება, ფრანსუაზას მხრივ კი ყალბი ერთგულება, მისი ბედით ზერელე დაინტერესება და მასთან ყოველგვარი კავშირის უმტკივნეულოდ განწყვეტა ევროპისაკენ საქართველოს ხანგრძლივი ლტოლვის, მასზე დაყრდნობის მრავალსაუკუნოვანი მცდელობისა და ამ უკანასკნელისადმი ევროპის „გულისხმიერების" მხატვრული ანარეკლია.

თუ ფრანგი ფრანსუაზა ევროპას განასახიერებს, სონია რუსეთის სიმბოლურ სახედ წარმოგვიდგება. მასში რუსული სული, რუსული ხასიათი, რუსული ზნეობაა გამთლიანებული. მისთვის უცხოა ამაღლებული გრძნობები, წმინდა სიყვარული. მის ყოველ ნაბიჯს, ყოველ ქმედებას ანგარება უდევს საფუძვლად. ლალატი მისთვის არცთუ ძნელი გადასანწყვეტია, სიყვარულობანას თამაშიც საკმაოდ კარგად გამოუდის. „ძვირფასო, ვთხოვდები", - აცნობებს აველუმს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის, ტელეფონში ცრემლების ყლაპვით ელაპარაკოს და უკანასკნელი შეხვედრაც ტირილში გაატაროს, ლამის გასკდეს ტირილით იმის გამო, რომ „ასეთ რამეს საერთოდ არ პატიებენ".

თავად, ცხადია, ადვილად შეუძლია თავს აპატიოს ისიც, აველუმთან შეუთანხმებლად რომ მოიშალა მუცელი, ისიც, მასთან უკანასკნელ შეხვედრამდე რომ ჩაატარა „სავალდებულო, აუცილებელი პროცედურა" - „ორივე ხელით ნამსვე გადაიძრო კაბა, ლიფიანად, და ლოგინში შეუგორდა თავის მომავალ მუღლეს" (რათა სცოდნოდა „მისი დაფარული შესაძლებლობანი, რომელთა ცოდნა, რასაკვირველია,

თავიდან, გათხოვებამდე სჯობს) და ეკლესიაში, ღვთისმშობლის ხატის წინ დაიფიცოს, რომ მის ცხოვრებაში აველუმის ადგილს ვერასოდეს დაიკავებს რომელიმე მამაკაცი. მას ხარბად გაურბის თვალი ბეჭდისაკენ, რომელიც აველუმმა წამოაცვა თითზე, მატარებლის გასვლამდე კი თან მომავალი ცხოვრების გეგმებზე ელაპარაკება, თანაც კატასავით ეგლისება, ეკვრის, თავს მხარზე აყრდნობს და ისევ ტირის... სრულიად დაუფარავად გამოხატავს ავტორი თავის დამოკიდებულებას სონიას მიმართ, როცა მას აველუმთან საუბარში ათქმევინებს: „აქეთ რომ მოვდიოდი, წითელ მოედანზე ასი მანეთი შემომადგლია ერთმა შენი ხნის კაცმა“.

ნიშნადობლივია, რომ აველუმის წინაშე სონიას „ერთგულებას“⁹ აპრილამდე აეხადა ფარდა, 9 აპრილის შემდეგ კი ფრანსუაზას ნამდვილი სახეც გამოაშკარავდა. არც ის შეიძლება შემთხვევითი იყოს, რომ მელანია, 9 მარტისა და 9 აპრილის მომსწრე და გადამტანი, 91-92 წლების ძმათამკვლელ ომამდე კედება, ნიშნად იმისა, რომ საქართველო (მელანია, ცხადია, საქართველოს განასახიერებს) ამ ომს არ უნდა მოსწრებოდა, რამეთუ წინარე ტრაგედიებში საქართველო უცხო ძალამ დაცხრილა, დაჩეხა და დაანაკუნა, მომავალ, ათასი ბაზალეთის გადაძნონ ომში კი დედა საქართველოს ღვიძლმა შვილებმა უნდა ამოწყვიტონ ერთმანეთი.

„აველუმში“ ავებედითად გამოკრთება ფრაზა: „აბელ, თოფი იფოთლება“. ეს პალინდრომი გამაფრთხილებლად უღერს რომანის დასაწყისში და მკითხველს არამარტო იმას მოაგონებს, რომ აბელი პირველი მსხვერპლია, თავისივე ძმის ხელით გამეტებული, არამედ იმასაც, რომ მას შემდეგ,

რაც კაენმა აბელი მოკლა, ერთი ჩვეულებრივი აბელი ყოველდღე კედება ამ ქვეყანაზე და თოფის შეფოთვლაც აბელის უსასრულო მკვლელობის მაუნყებელია, რადგან „შეფოთვლა იგივე შენიღბებაა, მაგრამ, როგორც არ უნდა შეინიღბოს, თოფიც ნაყოფით იცნობა, თოფის ნაყოფი კი ტყვიანა“, თანაც „ტყვიას ხომ რძით ვერ გამოკვება? ტყვიის საკვები სისხლია და სულერთია, ვისი სისხლი იქნება ის: ლეკვისა, ხბოსი თუ აბელისა“.

ეს ფრაზა მით უფრო შემაშფოთებლად უღერს იმის გამო, რომ წაღმიდან და უკულმიდან ერთნაირად იკითხება და, ამდენად, მაქსიმალურად ძაბავს მკითხველის ყურადღებას, ყოველი მხრიდან მოსალოდნელი უბედურების განცდით, საქართველოს „წაღმა-უკულმა გადახვნის“ შიშით ალაგვებს მას.

ამ ფრაზის პირველი გაელევებისთანავე მკითხველი იმუხტება იმის მტკივნეული მოლოდინით, რომ შეფოთილი თოფის მსხვერპლი, თავისივე სისხლ-ხორცისაგან უღვთოდ განწირულ-გამეტებული, საცაა, ულმობლად დაენარცხება დედამინაზე და „ჯმა სისხლისა ძმისა მისისა“ საუკუნოდ ილაღადებს „ღმრთისდამო ქუეყანით“ (დაბ. 4, 10).

ამ ფრაზის განმეორებით მკითხველი აშკარად გრძნობს, რომ თოფი, რომელიც რომანის დასასრულს უნდა გავარდეს, არათუ ყველაზე სასტიკი და განუკითხავია იმ თოფებს შორის, პირველი აბელის მოკვლის შემდეგ რომ გავარდნილა დედამინაზე, არამედ ყველაზე ვერაგიცაა იმის გამო, რომ შეფოთილია და, მაშასადამე, შენიღბულიც, და ეს „შეფოთვლა“ ისევე ხანგრძლივად, დაძაბულად, თანაც მტანჯველად, ამაფორიანებლად, მტკივნეულად მიმდინარეობს, როგორც მთა-

ვარი პერსონაჟი ეწამება უსასრულოდ მთელი რომანის მსვლელობაში, ფრაზის ორჯერ გახშიანების შუალედში.

შუალედში კი ამ სიტყვებს ბედნიერა წარმოთქვამს. დიდი ნათლის მხილველი ბედნიერას ფრაგმენტულ საუბარში, რომელსაც კორესპონდენტი „ბესტურს“ უწოდებს, თითქოს უაზროდ და უადგილოდ წამოსროლილი ამ პალინდრომით მკითხველისათვის აშკარა ხდება, რომ თავისუფლების („დიდი ნათლის“) მძიძველი ქვეყნის თავზე, საცაა, „კაენის სული გადისრიალებს“ და ბიბლიური პირველსახის – ძმის ხელით გამეტებული აბელის – ტრაგედია არაერთი აბელის ხვედრად იქცევა.

საყურადღებოა, რომ რომანის ფინალში აღნიშნული პალინდრომი მკვეთრად გადანაცვლებული ლოგიკური მახვილით წარმოგვიდგება. მისი ვარიირებული ფორმა – „იფოთლება, აბელ, თოფი!“ – განსაკუთრებით ხელშესახებად ავლენს შემზარავი ტრაგედიის საბედისწერო გარდუვალობასა და აღზევებული ბოროტების განუმეორებელ სივერაგეს, მოსალოდნელ მკვლევლობათა მზაკერულ არსსა და კაენური სულის აღზევების შემაძრუნებელ მასშტაბებს.

აველუმის სულიერი სამყარო და მოქალაქეობრივი სახე რომანში XX საუკუნის უმძიმესი პოლიტიკური მოვლენების: 9 მარტის, 9 აპრილისა და 91-92 წლების თბილისის ომის ფონზე წარმოჩნდება. 56-ში აველუმმა გაცილებით მეტი იცოდა, ვიდრე ქუჩაში გამოფენილმა ახალგაზრდებმა. ამ დროს იგი გამოფხიზლებული იყო იმ შეძრწუნებისაგან, რომელიც სამი წლის წინათ ბელადის გარდაცვალების გამო დაუფულა. ამაში მას დაეხმარნენ გადასახლებიდან დაბრუნებული მშობლები, რომლებმაც შეილი მომზადე-

ბულად ჩათვალეს იმისათვის, რომ სიმართლე გაეგო. აველუმს ეყო ჭკუაგონება, სწორი არჩევანი გაეკეთებინა დაერდომილ-დასახიჩრებულ, დაუძღურებულ მშობლებსა და მილიონთა გულთამყრობელ ბელადს შორის, ამიტომაც იმ დღეებში ქუჩაში კი დაეხეტებოდა (ფეხმძიმე მუღლესთან ერთად), მაგრამ „ალარ თანაუგრძნობდა თანატოლებს, ალარ ესმოდა მათი, პირიქით, ალიზიანებდნენ კიდეც ისინი თავიანთი ბნელი ერთგულებით, უაზრო სიმამაცით, ფანატიკური სიბეცით, რუსებს თუ არ ჭირდებათ, ჩვენ წამოვიყვანათ მოლოტოვი და მეფედ დავსვათო... იმაზეც კი ბჭობდნენ, სად უნდა ეკურთხებინათ მეფედ – სიონსა თუ სვეტიცხოველში“.

56-დან 89-მდე, მთელი 33 წლის განმავლობაში, აველუმს დღემუდამ ჩაესმოდა ყვირილი დარბევას გადარჩენილი დემონსტრანტებისა, ტრამვაის კიბეზე ჩამოკიდებულს რომ შემოესმა: „დაგვხოცეს, დაგვხოცესო“. „ისეთი ხმა აღარასოდეს გაუგონია აველუმს და, როგორც არ უნდა ეცადა, მიახლოებითაც ვერ აღწერდა ხოლმე სასონარკვეთის, განწირულობის, სიბეჩავისა თუ შიშის იმ ამაზრზენ ნაზავს, ნარწყვევივით რომ ტოვებდა გზადაგზა, ყოველი ხისა თუ ლამპიონის ძირას, ყოველ სადარბაზოსთან, ყველა სარკმელსა თუ ვიტრინაზე“. არც იმ ბიჭის ხატება ამოშლია მესხიერებიდან, ელექტრონის ბოძს რომ შემოხვეოდა ორივე ხელით. „უკვე სიკვდილს გაეყვინთა. იმდენად ფხიზელი იყო, ლანდი გასდიოდა, გამჭვირვალე გაეხადა სიფხიზლეს. სახე არ ქონდა საერთოდ. სახის ნაცვლად არანორმალურად გახელილი, უფრო სწორად, თითქოს უკიდურესობამდე ძალით განელილი თვლებილა დარჩნოდა, ორი უსწორმასწორო ჭრილი, ხვრელი, ორ-



მო – ანრიალეებული, ასისინებული, გა-
თოშილი სიცარიელითა და არაფრით
სავესე. ცალ ფეხზე იდგა. მეორე მას
ალარ ეკუთვნოდა... რაც მთავარია,
ფეხსაც ალარ ჰგავდა. სისხლით გა-
ლუმპულ შარვლის ტოტიანად უსი-
ცოცხლოდ დასთრევედა მიწაზე, ეტყო-
ბა, ტყვიას ბარძაყის ძვალი დაეფშვ-
ნა და მხოლოდ გადატყაულ, გატიტვ-
ლებულ კუნთზედა ეკიდა ხორცის მ-
სა, რაც ადრე, ალბათ, მისი მეორე ფე-
ხი იყო. მან ერთხანს მხრებით ატარა
ტიკვილისაგან სანახევროდ ჭკუიდან
გადამცდარი ბიჭი, მერე რომელიღაც
სადარბაზოში დასვა კიბეზე და, რო-
ცა უკან მამამისთან ერთად დაბრუნ-
და, იგი უკვე მკვდარი დახვდა... „იქვე
იჯდა, საკუთარ მხარზე თავჩამოვარ-
დნილი. ფეხებთან სისხლის უზარმა-
ზარი გუბე დაეყენებინა“.

საუკუნის მესამედი საკმარისი არ
აღმოჩნდა იმისათვის, რომ აველუმის
არსებაში ოდნავ მაინც განელებული-
ყო ის გაუსაძლისი ტკივილი, რომე-
ლიც მან 9 მარტის ავადმოსავონარ
ღამეს განიცადა. „მამამისმა უნებუ-
რად ფეხი ჩადგა სისხლის გუბეში და
მერე, ასევე უნებურად, სულ იატაკზე
უსვამდა ფეხს. ამაოდ ცდილობდა მო-
უშორებლის მოშორებას. მკვდარი
შვილის დანახვამ თავზარი კი დასცა,
მაგრამ ერთი პირობა მაინც გაიბრძო-
ლა, მაინც გაუძალიანდა ელდას, ვინ-
ძლო როგორმე გამოსცლოდა იმის და-
მაქცევარ სიმძიმეს, ერთბაშად არ გა-
ეჭყლეტინებინა თავი და სწორედ მა-
შინ ჩადგა ფეხი შვილის სისხლში, რა-
მაც კიდევ უფრო გაამწარა, კიდევ უფ-
რო აუზნია გონება, დაუხშო განსჯის
უნარი... აველუმს ეუბნებოდა – ეს რა
მიყავიო, – თითქოს აველუმი ადრეც
იცნობდა მის შვილს... ერთსა და იმა-
ვეს იმეორებდა სულ – ეს რა მიყავიო,
– ოღონდ, ხან უმწეო სიბრავით, ხან

ბრავიანი უმწეობით, ხან დამფრთხა-
ლი და ხან სასონარკვეთილი, საერ-
თოდ კი მოულოდნელი დარტყმისაგან
თვალგაშტერებული, ყბაჩამოვარდნი-
ლი და თითქოს ხელოვნურად დაპატა-
რავებული და დაუშნოვებული. მერე
მკვდარი შვილის გვერდით ჩამოჯდ-
კიბის საფეხურზე, იდაყვებით მუხ-
ლებს დაეყრდნო, თითებგაფარჩხული
ხელის მტევნები სახეზე აიფარა და
აზლუქუნდა: დავილუპე, დავილუპე-
თო...“.

ამ შემზარავი დღის მოლანდება
დაუძლეველ ძრწოლას ბადებს ავე-
ლუმში. მის არსებას თავისუფლებისა-
კენ სწრაფვის ჭინი და ამ სრბოლის
გზაზე ჩასაფრებული საფრთხის შიში
თანაბრად აგანგაშებს.

აველუმს, რომლისთვისაც აუტა-
ნელია ლაბირინთის გაუსაძლისი სიმყ-
რალეში ცხოვრება და მზად არის,
მსხვერპლად შეენიროს თავისუფლე-
ბის მოპოვებისათვის ბრძოლას, წამი-
თაც არ ძალუძს იმ აზრთან შეგუება,
რომ მინოტავრთან ჭიდილს, შესაძ-
ლოა, მისი შვილი (და საერთოდ –
ახალგაზრდობა, მომავალი თაობა) ემ-
სხვერპლოს. მას, ცხადია, ის მიზანი
ამოძრავებს, რომ ახალგაზრდობა და,
კერძოდ, მისი შვილი, დროთა განმავ-
ლობაში ვირთხად არ გადაიქცეს, ანუ
იმედისაგან არ განიძარცვოს, ოცნე-
ბას არ გადაეჩვიოს, არ დანებდეს გა-
რემოს ზემოქმედებას და ცხოვრების
წესად არ გაიხადოს მისგან თავსმოხ-
ვეული ჩვევები, მაგრამ სურს, რომ თავ-
ისუფლების ძიების მთელი ტვირთი
თავისი მხრებით აზიდოს, თავად გაი-
ლოს მსხვერპლი, თავად მოიპოვოს
„სულის სანთელიც, სულის პურიცა და
სულის ფრთაც“, რისთვისაც სისხლი
და ცრემლია საჭირო.

აველუმი გულდაგულ უმაღავს
ეკაეკატერინეკატოს თავის განზრახ-



ვას, უიმისოდ აპირებს გაფრენას, სურს, უიმისოდ შეიბას ფრთები, მაგრამ ეკა, როგორც კი შეიტყობს, რომ ასეთი რამ შესაძლებელია, უმაღლვე თანამზრახველად გაუზღდება მამას და, თავადაც გაფრენის დაუოკებელი სურვილით შეპყრობილი, უსასრულოდ, დაუსვენებლივ სერავს ოცნებაში წარმოსახულ სივრცეებს.

აველუმი ყოველნაირად ცდილობს, გაანელოს შვილის მოუთმენლობა და სულსწრაფობა, რომელსაც არაფერი სცხია თავისუფლებისათვის აუცილებელი სიბრძნისა და შორსმჭვრეტელობისა. იგი ეკაეკატერინეკატოს შინაგანი თავისუფლების მოპოვებას შთააგონებს, იმგვარი თავისუფლებისას, როცა უფროთოდაც შეძლებს ფრენას, რაც მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, შიგნიდან დაინახავს საკუთარ არსებას და გააცნობიერებს კიდეც დანახულს. „განა ეს ცოტააო“, – ეუბნებოდა, ევედრებოდა, ეჩხუბებოდა შვილს, მაგრამ მას არაფრის გაგონება არ უნდოდა, ვიდრე ფრთებს არ შეიბამდა, ვიდრე ცაში არ აფრინდებოდა და ვიდრე საკუთარ თავზე არ იწვნევდა ფრენის სიამესაც და სიმძიმესაც“. მისი სურვილისათვის ფრთების შეკვეცვა წარმოუდგენელია, დედამინაზე არ არსებობს ძალა, რომელიც მის დაბრკოლებას შეძლებს, „შვილსაც დათმობს და მშობელსაც, ოღონდ ნუთით მაინც მიეცეს ცის უსასრულობის, ცის უძირობის განცდის შესაძლებლობა“.

9 აპრილს, ვილაცა რომ იღრიალებს, თავზარდაცემული, რუსთაველზე ტანკებიანო, აველუმი გიჟივით გარბის სახლიდან, რადგან იქ, ზღვა ხალხში, შვილი ეგულება. ეკაეკატერინეკატოს მამა მეტროდან ამოსვლისთანავე პოულობს. იგი „ზედ შეხტო-

მია, ზურგზე მოქცევია“ რკინის უგრძნობელ ურჩხულს (რომელიც ადგილზე ლმუის, ღრიალებს, დაკბილული მუხლუხებით ფხოქნის, გლეჯს ასფალტის საფარველს და მწარე კვამლის თეთრ ბოლქვებს ისვრის) და „გამწარებული იქნეეს თავს ზემოთ მენშევიკების გადაგდებულ დროშას“.

ეკაეკატერინეკატომ, რომელმაც „თვითნაკეთი დროშა ფრთასავით დაიქნია და ტანკს შეაფრინდა“, განიცადა „ცის უსასრულობა, ცის უძირობა“, მაგრამ უმაღლვე მიწას დაენარცხა, რადგან ხელოვნური ფრთებით შორს გაფრენა შეუძლებელი გახლდათ. ამ ნუთიერი გაქროლების შედეგი უკურნებელი სენი და ფრთებდამსხვრეულისათვის ნიშანდობლივი სულიერი დეპრესია აღმოჩნდა, აველუმს კი ყოველლამე ისევ „ორმოცდათექვსმეტის მარტში ფეთქებადი ტყვიით ბარძაყდაფშვნილი, უპატრონოდ გარდაცვლილი ბიჭი ესიზმრებოდა. ვითომ ის ბიჭი ისევ იქ იჯდა, სადარბაზოში, კიბის საფეხურზე, სისხლის გუბეში ფეხებჩანყობილი, და უაზრო სირბილით გულამოვარდნილსა და საკუთარი უმწიკობით თავლაფდასხმულ აველუმს საყვედურობდა – სადა ხარ აქამდე, როდემდე გიცადოო“. გულამოვარდნილი და თვალებანრიალებული, ფსორიაზის არქიპელაგით სახეგადლაქული, იგი შემლილივით დაძრწოდა ქუჩებში, „თითქოს ყველა სადარბაზოში ვილაც კედებოდა, მის იმედზე დარწმენილი, და მას უნდა მოენახა, მას უნდა გაეფრთხილებინა ყველა მათგანის ჭირისუფალი, ვიდრე ერთიანად მოუსვა მდნენ ყველას ხელს და გადაუძახებდნენ ბულდოზერით ამოთხრილ საერთო ორმოში“. ისინი, საქართველოს ღვიძლი შვილები, ფრთებდამსხვრეულნი და მიწას დანარცხებულნი, თანაბრად ტკივა აველუმს, ამიტომაც



ყველასათვის ერთნაირად მხურვალედ, ერთნაირად მონდომებული და მონადინებული ლოცულობს: „ლოცულობდა ორმოცდათექვსმეტში, შარდის სუნით აქოთებულ სადარბაზოში გარდაცვლილ ბიჭუც და ზღვის ნაპირას მონებიერე, მამის ნაყიდ ჭრელ ტრუსიკში გამოპრანჭულ გოგოზუც... ლოცულობდა უთავბოლოდ, უმისამართოდ, უნესოდ, პირველივე პირსმომდგარი სიტყვებით. ერთნაირად ლოცულობდა თბილისში, ცხრა აპრილს დარბეულ დემონსტრანტებზეც, რომლებსაც გერმანიაში სამკურნალოდ წასვლა მხოლოდ ოცნებაში თუ შეეძლოთ, და პარიზის ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსულ ტურისტებზეც ... ლოცულობდა მხურვალედ, მთელი არსებით დანთქმული ლოცვაში, ყველასა და ყველაფერს მიწყვეტილი, ყველა მიჯნას, ყველა ზღვარს გამცდარი, მტერის ნამცეცივით ჩაკარგული უსაზღვრო, უკიდევანო სივრცეებში, და მტკივნეულად, შემამოფოთებელი ნეტარებით გრძნობდა, როგორ ეუფლებოდა, როგორ იმორჩილებდა თანდათანობით მაინცდამაინც აქ, ამ ღრუბლებს ზემოთ, ამ უსაზღვრო, უკიდევანო სივრცეებში დაჩოქების სურვილი“. მერე, რაკი დარწმუნდა, რომ ამ სურვილს ვერაფრით ვერ მოთოკავდა, იქვე დაიჩოქა და ისევ „შეუჩერებლად ლოცულობდა, განუნყვეტილივ იმეორებდა ერთსა და იმავეს, აღელვებული, აღზნებული დიდი სინათლისა თუ რალაც სხვა, ზებუნებრივი ძალის სიახლოვით“.

„უკვდავების ბალახისა თუ უკვდავი სულის ნაკვალავის მძებნელ, სიღრმეთა მხილველ, ვარსკვლავთა მმწყემსავი, წინამასწარა მეოცნებე“ აველუმს თბილისის ომი ასამარებს.

92-ის კვირაძალზე, როცა მანათობელი ტყვიები უწყვეტ ნაკადად მიფრინავენ ერთმანეთის შესახვედრად „ივერიიდან“ მთავრობის სასახლისაკენ და მთავრობის სასახლიდან – „ივერიისაკენ“, მთელ მის არსებას მსჭვალავს ტკივილი იმის გამო, რომ ქართველობა „ბათუმის მისადგომებთან კი არა, რუსთაველზე იხოცება“. მას არ შეუძლია, ძმათამკვლელ ომში ბარიკადების რომელიმე მხარეზე დადგეს, რადგან „ყველა ტყვიამ, აქედან იქნება ნასროლი თუ იქედან, ვიდრე მიზანს მიიღწევდეს, ჯერ მის გულში უნდა გაიაროს. „დღეს თუ ვინმე კვდება, ყველა ჩვენგანს უკვდება, დღეს ვინც ობლდება, ყველა ჩვენგანის ობოლია, ვინც არ უნდა იყოს იგი“, – ასეთია ჭეშმარიტება, რომელიც მის „მერყეობას“ უდევს საფუძვლად.

შუალამისას, რუსთაველისაკენ რომ მიეშურება, იგი, ქვეყნის ხვედრით შეძრწუნებული და გასრესილგანადგურებული, მაგრამ მოყვასის სიყვარულით ამაღლებული, იმ ზღაპრული მღვიმისაკენ მიისწრაფვის, რომელიც მის ოცნებაში არსებობს მხოლოდ და რომელშიც უდიდესი განძი – მთელი კაცობრიობისათვის საკმარისი სიყვარულის მარაგი აქვს გადამაღული.

ამ მიზანს – საოცრად ამაღლებულსა და განწმენდილს ყოველგვარი ანგარებისა და გარიგებისაგან თავისუფალს, ჯიუტად მიჰყავს იგი წინ, უფრო სწორად – მაღლა, რადგან მაღლა, ცაში იმარხება ოცნება, იმედი, სიყვარული და ცაშია მისი ოცნების, იმედის, სიყვარულის საფლავიც, იგივე საგანძური, განძთსაცავი. უსასრულო გზებზე ნათრევი, ნაწანალები, მრავალგზის ხელმოცარული, ათას განსაცდელში გამოვლილი, ათასი ყულფიდან ჩამოსხნილი, ყველანაირი

ტყვეობიდან თავდაღწეული, იგი იმ განძის მოსაძებნად მიდის, მისდაუნებურად რომ დამარხა ოდესღაც, ალბათ, კიდევ უფრო შავი დღისათვის და, ის რომ ეგულეობდა, იმიტომაც არ ეთელვინებოდა, იმიტომაც არ ეკვლევიანებოდა აქამდე ცხოვრებას.

ამ დიდი სიყვარულის სახელით აშველებს იგი ხელს წარმოდგენილი ცხედრის მტვირთაეებს, მისთვის სავსებით უცხო ადამიანებს, რომლებმაც „დაუფიქრებლად, დაუყოვნებლივ მოირბინეს, როგორც კი მისი სისხლი და ხორცი მინას დაენარცხა, როგორც კი მნიფე ლედევით დაეტყლანა ხორკლიან ლოდებს“. იგი ერთნაირად ეკუთვნის ორივე ბანაკს, ამიტომაც ორივეზე თანაბრად შესტიკვა გული. მოკლულიცა და მკვლეელიც ერთნაირად ახლობელია მისთვის, სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი, რამეთუ „შენი სისხლი და ხორცი შენი სისხლი და ხორცი, გინდაც ერთმანეთის ნავალზე დადიოდეთ სულ და გინდაც საერთოდ არ გენახოთ ერთმანეთი“.

კანონზომიერია, რომ კვილი, რომელიც აველუმის „აფორიაქებულ, აფუტფუტებულ გონებას ბასრი ცულივით აპობს“, მის წარმოსახვაში თანაბრად უკავშირდება დასაც, ცოლსაც და საყვარელსაც. არც ის არის მოულოდნელი, რომ ყველა იმ ცოდვა-ბრალის მიზეზს, რომელიც წინ უძღოდა თბილისის ომს და რომელმაც მას მოუშადა საფუძველი, აველუმი, ვითარცა მეომარი მხარეების სისხლ-ხორცის ნაწილი და მათთან მისტიკურად დაკავშირებული, თავის თავში ხედავს. იგი უდიდეს ზნეობრივ პასუხისმგებლობას გრძნობს იმის გამო, რაც 91 წლის უკანასკნელ დღეს რუსთაველზე ხდება, ამიტომაც თავისი თავი ამ კანურ ცოდვის თანამონა-

წილედ ესახება. გულისშემძვრელ სურათს ქმნის ავტორი, როცა ავტომატის კაქანს მიყურადებული, გაყინულ-გაქვავებული ცრემლის კრისტალებით თვალეზამოცებული აველუმის სულში აღძრულ ტკივილს ამზეურებს. წარსულის გადაფასებით განწმენდილი და ამაღლებული, იგი ძალით იკაფავს გზას ქალისაკენ (მეუღლის, საყვარლისათვის თუ დისაკენ), რომელიც ასევე ძალით, ბრძოლითა და, რათ მთავარი, კვილით მოიწვევს მისკენ და, როდესაც ისინი ხალხის ზღვაში შეხვდებიან, მიუხედავად სივინროვისა და „წყალქვეშა ბიძგებისა“, აველუმი მაინც დაიჩოქებს, ამუხლებზე მოეხვევა იმას (იმათ) და მლელვარებისაგან უადრესად დავიწროებულ ხორხში ძლივს გამოტყული, დამშრალი, დამახინჯებული ხმით ეტყვის, მაპატიეო. და ეს ერთადერთი სიტყვა, რომელიც ძლივს ამოღერლა და რომელიც თავისუფლად შეიძლებოდა საერთოდ ჩაკარგულიყო უთავბოლო ბზუილსა და ყაყანში, გამგებმა მაინც გაიგო, გაიგო და შეიგნო კიდევ, და ამ მოულოდნელმა, ყოვლად გაუთვალისწინებელმა ცნობამ საკუთარი სისხლისა და ხორცის სიკვდილით გამონვეული აღტყინება და სიგიჟე გამაშტერებელი დაბნეულობითა და აშკარა, ნათელი უძღურებით შეუცვალა. აღარც კვიის და აღარც გვამისაკენ მიიწვევს, უბრალოდ, ცოცხალ ჭას ჩასცქერის, რომლის ფსკერზეც მისი ქმარი (საყვარელი, ძმა) თავს აფარებს და ისეთ დაღლილობასა და სიცარიელეს გრძნობს, თითქოს ძლიერი ტუმბოთი ერთბაშად ამოქაჩეს მთელი სისხლი მისი სხეულიდან“.

კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის ქართველი ქალის ტრაგედიის უკიდევანო მასშტაბებს ავტორი, როცა აველუმსა და ნ-ში დაღუპულ ბიჭს ერთ-



მანეთთან აიგივებს. სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მდგომი აველუმი მთელი არსებით გრძნობდა: თვითონ კი არ იყო თითქოს, არამედ ის ბიჭი, ორმოცდაათექვსმეტში რომ სადარბაზოში დასვა... ახლა თავად ქცეულიყო იმ ბიჭად, ფეხები სისხლის გუბეში ეწყო და ელოდებოდა, როდის მოაკითხავდა საკუთარ თავს, შეუმჩნევლად, უჩუმრად, უმტკივნეულოდ გარდაცვლილს ამ ხნის განმავლობაში.

ის ქალიც, ფეხაჩქარებით რომ მიეშურება სულთმობრძავი შვილისაკენ, ერთდროულად მისი დედაცაა და ორმოცდაათექვსმეტის მარტში ქუჩაში მოკლული უცნობი ბიჭისაც. „ამ დროს დედა გამოჩნდა. მოასფალტებულ ბილიკზე ჩქარა მოდიოდა. თვალისმომჭრელი ნათელი გადასდიოდა სახეზე. რაც მთავარია, იმანაც იცოდა, მისი შვილი მისი შვილი კი არ იყო, არამედ ორმოცდაათექვსმეტის მარტში შარდის სუნით აქოთებულ სადარბაზოში გარდაცვლილი ბიჭი. მაგრამ ესეც ისეთივე ბუნებრივ მოვლენად ითვლებოდა ახლა, როგორც სხვა ყველაფერი: მზით გაბრწყინებულ ხეებზე აფიფივებული ჩიტები, ენაგადმოგდებული, აქაქანებული ძაღლები და მოასფალტებულ ბილიკზე მომავალი დედა. აჩქარებულად მომავალი დედის დანახვაზე აველუმს გული გაუჩერდა. მიხვდა, რალაც დიადის, იდუმალის, ერთდროულად დამამშვიდებლისა და დამაფრთხობლის მაუნყებლად მოისწრაფოდა დედამისი... რომელიც, ადვილი შესაძლებელია, მართლა მისი დედა კი არ იყო, არამედ ქუჩაში მოკლული ბიჭისა“.

ქართველ ქალთან დაკავშირებული სიმბოლიკა მით უფრო თვალშისაცემი და მრავლისმთქმელია, რომ შელანიას სიკვდილის ყველა დეტალი აველუმის ცნობიერებაში სწორედ ამ

დღეს ცოცხლდება. იგი თითქოს თვალნათლივ ხედავს, როგორ ისვამს მელანია კეფაზე ხელს და – „აი, აქ, რალაცაო“, – დაბნულად, დარცხვენლად ამბობს; როგორ უკოცნის ქალს ჩაქცეული სისხლისაგან ჩალურჯებულ მკლავებს და უსინდისოდ ატყუებს, გიშველიო, მაშინ, როცა მას უკვე იმქვეყნიური სინათლე უდგას თვალეზში; როგორ უღიმის, საკუთარი უმწეობისაგან გულდაკოდილი, ყელგამშრალი, და როგორ ოხუნჯობს, უკბილოდ, მოახლოებული განსაცდელი რომ არ აგრძნობინოს; როგორ დარბის შეშლილივით აფთიაქიდან აფთიაქში, რომ საჭირო ნამალი იშოვოს; როგორ გადალაზავს ყრუ კედლის უგრძობლობას და მაინც ახერხებს ძნელად მოსაპოვებელი უცხოური აპარატის ნათხოვრობას (ნათხოვრობს, მაგრამ ფუჭად: იქ, სადაც მისი შოვნა დაავალეს, იმის იმედით, რომ, სულერთია, ვერ იშოვიდა, ამ აპარატის გამოყენება არავინ იცოდა); მერე... მერე – როგორ მიქრის სისხლის პლაზმის საშოვნელად სისხლის გადასხმის რესპუბლიკურ კლინიკაში და როგორ გებულობს იქ, რომ სისხლის პლაზმა ადგილზევე ანუ საავადმყოფოს სისხლის გამანაწილებელ პუნქტში უნდა შეიძინოს იმავე პიროვნებისაგან, ვინც მის საშოვნელად რესპუბლიკურ კლინიკაში გაავაზვნა... ამასობაში მელანია კვდება. „ბოლოს მაინც რომ გავებდე და ფრთხილად, მორიდებით შევახეხელი, ზენრიდან წამსვე გამოყოფნა გვამის სიცივემ... მაშინვე გამოყოფნა, როგორც კი შევხეხე, თითქოს მე გამომივარდა“, – ფრაგმენტულად იგონებს აველუმი.

ფიქრის ამ ნაწყვეტებში ძალზე ხელშესახებად ვლინდება დედასაქართველოს ტრაგედიის უმთავრესი მიზეზი: თბილისის ომისათვის იგი მისი-

ვე შეილები უფულობით, უგრძობლობით, უსიყვარულობით იქნა განწირული ისევე, როგორც მელანია იქცა მოყვასის გულცივიობა-უპასუხისმგებლობისა თუ უმთავრესი ჭირისუფლის უყურადღებობის მსხვერპლად... თავისი წილი ცოცხალ-ბრალის გასიგრძეგანებით შეძრწუნებულ აველუმს სწორედ ის დრო ვერ მოუწვდებია, რომელიც მხედველობიდან გამოირჩა. უკანასკნელ რეკვიემად ჟღერენ სიკვდილის გზაზე მიმავალი მონაწილის ღრმა ტკივილით გაჟღენთილი უდიდესი მხატვრული ოსტატობით აღბეჭდილი სიტყვები: „გული ასვენია მაღალ სიჩუმეში და შენ გაგონდება შენი წარსულის მზეც და ჭუჭყიც და სიშორეზე ტირის როიალი და გული მიგაქვს ძვირფას ცხედარივით“...

წაწარმოების მიხედვით, აველუმი შეფოთილი თოფის მსხვერპლი ხდება. იგი საკუთარი სისხლ-ხორცის ხელით იღუპება. იღუპება ისევე უაზროდ, როგორც უაზრო, მართლაც რომ ყოვლად უსაზნო და აბსურდული იყო ის ომი, რომელმაც, იგი იმსხვერპლა.

აველუმის უაზრო და ულოგიკო დაღუპვა არის ლოგიკური შედეგი იმ ავად სახსენებელი ომისათვის ნიშანდობლივი აბსურდული ყოფისა, როცა საქართველოში „ადამის მაძამ“ კულმინაციას მიაღწია (შემთხვევით არ გასდევს რომანს რეფრენად კიდევე ერთი პალინდრომი: „ადამ, როგორ მადა?“ – რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ „ბატონი ადამი ყოველთვის სიამოვნებით ყლაპავს ერთხელ უკვე ჩაყლაპულს“ და, რაც დრო გადის, მადა ანუ ცოდვისაკენ სწრაფვის ფინი სულ უფრო და უფრო ემატება) და პირველი აბელის მოკვლის შემდეგ განვილილ პერიოდში უსასრულოდ განმეორებულმა უაზრო მკვლევობებმა განუზომლად დიდი, შეიძლება

ითქვას, არნახული მასშტაბები შეიძინეს. ამდენად, რომანის ღრმა ქვეტექსტის შემცველ ფინალში აშკარად წარმოჩნდება, რომ 90-იანი წლების ქართულ სინამდვილეში აველუმობას ულმობლად ეკვეცება ფრთები და საკუთარი შეილების მიერ გამეტებულ ქვეყანას აბელუმობის თვალშეუდგამი ტკივილები ატორტმანებს, „შუმერული სიტყვა“ აველუმი კი სრულიად ახალ განზომილებას იძენს და აბელუმად – ძმის ხელით მოკლულ ქართველთა ზოგად სახედ წარმოგვიდგება.

წაწარმოების დედააზრს ააშკარავებს ოთარ ქილაძე აველუმ-აბელუმის სიკვდილისწინა სიტყვებით, რომლებშიც მისი შეგნებული ცხოვრების საკვანძო მომენტების: 9 მარტის, 9 აპრილისა და თბილისის ომის – შედეგებიდან გამომდინარე დასკვნაა ჩამოყალიბებული. მისი უკანასკნელი სურვილია, შეიღოს უთხრას, „თავისუფლების სურვილი სრულებითაც რომ არ ნიშნავს თავისუფლებისათვის მზადყოფნას, როგორც სქესობრივი სიმწიფე არ ნიშნავს, ოჯახის შექმნაც რომ შეგიძლია. თავისუფლების სურვილის მოკვლა ხელოვნური ფრთებითაც შეიძლება, თავისუფლების უფლება კი ძალიან პროზაულად, ძალიან არარომანტიულად მოიპოვება მხოლოდ“. ეს არის სიმართლე კაცისა, რომელიც, მას აქეთ, რაც 9 აპრილს, ოცდაცამეტწლიანი მოლოდინის შემდეგ, მხრებსა და მკლავებზე ძონძებივით დაკიდებული ფრთების ნარჩენების სიმძიმეს შეიგრძნობს, 91 წლის 31 დეკემბერს კი, უკაცურობის, უფულობის, უგრძნობლობის თოვლით გადათეთრებულ გზაზე შემდგარი, დარწმუნდება, რომ ეს გრძელი და მომქანცველი გზა, ებრაელთა გზასავით, არც იქ დაწყებულა, საიდანაც მოდის და არც იქ დამთავრდება, სადაც მივა, – აკეთებს



დასკვნას, რომ „ჯერ კიდევ შორსაა ალთქმული ქვეყანა... შეიძლება იხილო, მაგრამ ვერ შეხვალ“.

შორსაა ალთქმული ქვეყანა, რადგან ამ ომში, თავისუფლების სახელით რომ მიმდინარეობს, ხალხი სერიის საყურებლად იყრის თავს, ბავშვები კი ქუჩაში ათენ-ალამებენ, რათა არაფერი გამოჩენილი და ის, „რასაც დღეს აქ შეითვისებენ, ხვალ გამოიყენონ“;

შორსაა ალთქმული ქვეყანა, რადგან ბავშვებს აღარაფერი უნდათ: არც როკის კლიპები, არც პორნოფილმები, არც კევი და არც კოკა-კოლა. კალაშნიკოვის ერთი ჩაკაკანება ყველაფერს ურჩევნიათ;

შორსაა ალთქმული ქვეყანა, რადგან მაშინ, როცა მანათობელი ტყვიები უწყვეტ ნაკადად მიფრინავენ ერთმანეთის შესახვედრად, როცა იწვის „თბილისი“, იწვის მხატვრის სახლი, პირველი სკოლა და კავშირგაბმულობის სასახლე, – ყრუდ მოგუგუნე, შემცბარ, შემკრთალ, შინაურთა მიერ შელახულ-შეგინებულ ქალაქში, რომელიც წარმოდგენილ შემზარავ ლაბირინთადაა ქცეული, მოძალადეები და ეხეტებიან, მოროდორები დაძრწიან, ბიჭები კი ასეთ დიალოგს მართავენ: „პორშე გირჩევნია თუ კალაშნიკოვი? აუ, პორშე. არა, კალაშნიკოვი. პორშე რად მინდა? კალაშნიკოვი ნალდია. იცი, რა ღირს? მე კალაშნიკოვში ყველაფერს მიცემ. აუ, მაგარია. გისვრია? სიზმარში ვისვრი ხოლმე. მთელი ღამე. მარტო მაგის გამო ვწვები ადრე...“

შორსაა ალთქმული ქვეყანა, რადგან ეს ბიჭები მართლა ყველაფერს სწადიან კალაშნიკოვისათვის: „გაუშვი ახლავე ხელი! გაუშვი-მეთქი გესვრი!“ – იყვირა ეკაეკატერინეკატომ და იმავე წამს ახალწლის ღამის მოგუგუნე სიჩუმეში დამაფრთხობლად გაჩ-

ხაკუნდა ავტომატის საკეტი. იმდენად მოულოდნელი, უფრო ზუსტად კი, იმდენად მოსალოდნელი, იმდენად ბუნებრივი იყო ეს ხმა გარემოსათვის, უნებურად აველუმოვ დაიძაბა, გაიტრუნა, გაილურსა, რალაცის, მართალია, ისევ გაურკვეველის, მაგრამ ამჯერად, უეჭველად, უარესის მოლოდინში.

ეკაეკატერინეკატო ფეხზე წამომდგარიყო. ერთ-ერთი ბიჭი უკნიდან ხვევდა ყელზე ხელებს. მეორე ავტომატის წართმევას აპირებდა. გამწარებული იბრძოდნენ სამივენი: უხმოდ, დაუნდობლად. ეკაეკატერინეკატო, ეტყობა, ველარ ყვიროდა, მაგრად ჰქონდა ხელები ყელში ნაჭერილი, მაგრამ მაინც არ თმობდა ავტომატს. შიშისაგან სახეგადაშლილი, გონდახშული ბიჭებიც უშალ დაიხოცებოდნენ, ვიდრე განზრახვაზე აიღებდნენ ხელს. უცებ ავტომატი თითქოს თავისთავად შეხტა ჰაერში და ეკაეკატერინეკატოს ცხვირპირში დაეცერა. აველუმოვაც მთელი ძალით მიახეტქა კეფა დამწვარი მანქანის ბორბალს და უფრო მიხვდა, ვიდრე იგრძნო, როგორ გაუარა ტყვიამ ტვინში. ბიჭებიც იმავე წამს გაიქცნენ. მოკუზულები, წინგადახრილები გარბოდნენ, თუმცა არავინ გაჰკიდებიათ. მენიწავეს ეკაეკატერინეკატოს ავტომატი ჩაეხუტებინა მკერდში, და იმათმა წაგრძელებულმა, მოცახცახე ლანდებმა უზარმაზარი ვირთხებივით გადაირბინეს ხანძრის გამონაშუქით განათებულ კედელზე...“

აველუმის მიერ ხილული ალთქმული ქვეყანა მინიერ ჭუჭყსა და სიბინძურეზე ამალღებული სამყაროა, რომელსაც დიდი ნათელი მოსავს. „აკი დიდი სინათლეაო!“ – ნუხს უკვე სიკვდილგამჯდარი აველუმში. იმავე წამს ზღვის გაბრწყინებული ზედაპირიც

გამოჩნდება. სიბნელის ზღვა იტალ-
 ლება ძირს, თუნუქისა თუ შიფერის სა-
 ხურავებით მოფენილი, სახურავებზე
 კი შიშველი ადამიანები დგანან, მალ-
 ლა იყურებიან, მისკენ – და თავგამო-
 დებულნი უყვირიან რალაცას... სიტყ-
 ვა არ ისმის, ზღვისა თუ მოახლოებუ-
 ლი სინათლის კიდევ უფრო მძლავრი
 გუგუნე ახშობს ალბათ... ამ დროს ოთ-
 ხივე მხრიდან ენით უთქმელი სინათ-
 ლე წამოვა და ერთბაშად, უთავბო-
 ლოდ გადაშლის ყველაფერს, რო-
 გორც უწმანურ სიტყვასა თუ ნახატს
 გადაშლის ხოლმე დაფიდან მასწავლე-
 ბელი ნერვიული, ბრაზიანი სისწრა-
 ფით”.

ოთარ ჭილაძის სათქმელი რომან-
 ში მკაფიოდ, ხელშესახებადაა გამოკ-
 ვეთილი. აეტორის სიტყვით, ადამიან-
 მა უსასრულოდ, განუწყვეტილად უნდა
 იაროს იმ საგანძურის მოსაპოვებლად,
 რომელიც მისდაუნებურად დამარხა,
 თუნდაც კიდევ ორმოცი საუკუნე მო-
 ანდომოს ამ გზის გავლას, იმიტომ
 რომ ადამიანია და სხვანაირად ვერ
 მოიქცევა, თუ ხვალაც ადამიანად აპი-
 რებს დარჩენას. რაც მთავარია, ადა-
 მიანობის შესანარჩუნებლად სრბო-
 ლის გზაზე გამოვლენილი სიმტკიცე
 და სიჯიუტე ცხოვრების არსად უნდა
 იქცეს და არა ჩვეულებრივ საარსებო
 საშუალებად, ამ სიმტკიცისა და სიჯი-
 უტის მარადიულ თანამგზავრად ქცე-
 ული ტკივილი კი, საკუთარ დამლად,
 ხელმეუხებლობის საბუთად, აველუ-
 შობის დროშად მიჩნეული, სულისმი-
 ერი უნდა იყოს და არა ყალბი, ხელოვ-
 ნური.

სწრაფვა „ენით უთქმელი“ სინათ-

ლისაკენ, „შერთვა ზესთ მწყობრთა
 ნყოზისა“ კაცობრიობის უსანუკვარე-
 სი მიზანია. ეს მიუაჩრდილებელი ნა-
 თელი, გამოუთქმელი და გამოუკვლე-
 ველი, თვალმეუდგამი და შეუხებელი,
 უწმანურ სანუთროზე ამალღებული,
 ისეთი მშვენიერი, ისეთი წარმტაცი და
 განსაცვიფრებელი, როგორიც ბედნი-
 ერამ (უფრო ადრე კი – იკარუსმა) იხი-
 ლა, შორსაა, მაგრამ მაინც არსებობს.
 მოპოვება ამ დიდი, გამაბედნიერებ-
 ლი სინათლის წყაროსი, უდიდესი გან-
 ძის – მთელი კაცობრიობისათვის საკ-
 მარისი სიყვარულის მარაგისა, რომე-
 ლიც ადამის მოდგამში მისდაუნებუ-
 რად დამარხა, მხოლოდ მცირედთა
 ხვედრია, რჩეულთა, რომელთათვი-
 საც მისი დაუფლება ცხოვრების საზ-
 რისად, სულისმიერ მოთხოვნად არის
 ქცეული.

მღვიმე, რომლისკენაც აველუმში
 მიილტვის, არის სრული ანტიპოდი იმ
 „უწმანური“ სამყოფელისა, რომელ-
 შიც მან მთელი თავისი ცხოვრება გა-
 ატარა. მანათობელი ტყვიების მხილ-
 ველი, იგი მთელი არსებით შეიგრძ-
 ნობს ბინიერებას სიცრუის, ორპირო-
 ბის, გაუტანლობის, დაუზოგაობის
 სადგურად ქცეული სანუთრო-მღვი-
 მისას და, კაცობრიობის სამყოფი სიყ-
 ვარულის დამტკევი მღვიმის მაძიებე-
 ლი, ცისაკენ აღაპყრობს ხედვას.
 თვალმეუდგამი ნათელი, რომლითაც
 იგი იმოსება, ციდან იფრქვევა, რამე-
 თუ ცაშია საბრძანისი იმ გამოუთქმე-
 ლი ნათლისა, რომელიც აველუმის მი-
 ერ წარმოსახული ზღაპრული მღვიმის
 არქტიპულ ქვაბში (-მღვიმეში) ორი
 ათასი წლის წინათ იშვა.



პოეზია — „ტანჯვის ხელოვნება“

ბესიკ ხარანაული იმთავითვე სიახლის მაძიებლად გამოჩნდა ქართულ პოეზიაში. "თებერვალი. ივრის ჭაღები" (1965) იყო ზუსტი (რამდენადაც შეეფერება ეს გამოთქმა პოეზიას) და მშვენიერი პრელუდია პოეტის მთელი შემოქმედებისა — გარეგნული და სულიერი ავტოპორტრეტით, სამყაროს ხედვის სიციხადით, რომელმაც პოეზიად უნდა აქციოს ყველაზე ყოფითი და პროზაული. აქ უკვე იგრძნობა, რომ მას შეუძლია ამ ენაზე ცხოვრებისეული სიმძიმითაც დაგვტვირთოს და შიგადაშიგ, შვებისათვის, მოულოდნელი ფრაზები შემოგვთავაზოს, თუნდაც ასეთი: "ანათებს მთავარ საქართველოს ლურჯ მდინარეებს"... ბესიკ ხარანაულს ახასიათებს ლირიკული "გადახვევა", რომელიც განსაკუთრებულ ეფექტს ქმნის ტექსტში.

კრიტიკა არცთუ ისე მშვიდად შეხვდა პოეტის მკვეთრად გამოხატულ მაძიებლურ განწყობას, მაგრამ მალე იგი ქართული ლექსის რეფორმატორად იქნა აღიარებული, როგორც ვერლიბრისა და თავისუფალი ლექსის ოსტატი. რაც შეეხება პირველობას და ფუძემდებლობას, ამასთან დაკავშირებით თავად ბესიკ ხარანაულს მოეუსმინოთ: "გალაკტიონს გენიალური ვერლიბრი აქვს. ეს პირველობა, ფუძემდებლობა და ბალავრის ჩაყრა და-

ლიან საძაგელი სიტყვებია. ფორმა კი არაა მთავარი, მთავარია — იარაღად ვინ იხმარს. შეიძლება საუკეთესო თოფი გქონდეს და მშვილდ-ისრით გაჯობონ..." (რ. გეთიშვილი, "რატომ უმღერა ბესიკ ხარანაულმა საქართველოს იავნანა", გაზ. "ვერსია", 2002, №56). აი, უმთავრესი ნიშანიც ბესიკ ხარანაულის პოეზიისა — ვერლიბრი მისი პოეტური იარაღია, ხელმარჯვედ მოქმედი. პოეტური მეტყველებით იგი შემოქმედებითად დაუახლოვდა ყოფით, სასაუბრო ენას. ამის ნარმატიული ცდები და შედეგებიც თვალსაჩინოა ნინო თაობის რამდენიმე პოეტის მაგალითზე. მაგრამ ბესიკ ხარანაულისთვის ეს სტილი იქცა მთავარ "იარაღად". "ჩემს პოეტურ იარაღად იქცა ის, რაც დედაჩემისთვის ჩვეულებრივი, ყოველდღიური ენა იყო. მეც, რასაკვირველია, რალაცეები მივეშაბე... რითმის მნიშვნელობას კი არ ვაკნინებ, ვგრძნობ, რომ რითმა ძიებას უკავშირდება, ძიებას ნიშნავს და ამ ძიებით დაწყებულ შემოქმედებას საოცარ შედეგამდეც მივყავართ, მაგრამ მე მაინც რალაც სხვას ვეძებდი, მით უმეტეს, უკვე დამხვდა გალაკტიონი, რომელიც თითქოს მაფრთხილებდა — "ასე წერა უკვე აღარ შეიძლება" (ბ. ხარანაული, "სანამ ცოცხალია ენა", გალაკტიონოლოგია, 2002, გვ. 130).

ბესიკ ხარანაულმა ჩვეულებრივი, ყოფითი სამეტყველო ენის პოეზიად ქცევას მიაღწია ამ სიტყვებით გამოხატული ძლიერი პოეტური შეგრძნებებით და სენტენციებით; ეს ერთგვარი გამოცდილება თუ ემპირიზმი, არის ძალიან მდიდარი ნოვაციით აღსავსე და, ამასთან, მნიშვნელოვანწილად ნაივური, ძალზე ბუნებრივი და ეფექტური. მის ვერლიბრს არ ახასიათებს რიტმის სტრუქტურა (განსხვავებით ლია სტურუასგან), მაგრამ რიტმული წყობის ჩანაცვლება აზრობრივი ნაკადის უწყვეტობით სრულდება.

თავისუფლება ბესიკ ხარანაულის ვერლიბრში არ არის თავანწყვტილი და წრეგადასული – საგანგებო, ხელოვნური ეფექტებით ნიშანდებული. იგი იმ წრეში ტრიალებს, რომელიც მუდმივ კავშირშია სათავეებთან, ფესვებთან, რეალურ თუ ვირტუალურ ნიადაგთან, საიდანაც მოედინება ადამიანის ხორციელი თუ სულიერი გზება, ცხოვრებისეული ძირმწარე...

მიუხედავად იმისა, რომ ბესიკ ხარანაულის პოეზია უწყვეტობის, ერთი მთლიანი არსობის განცდას ქმნის, თემატურად ის მრავალფეროვანია – დედის სუნთქვის შეგრძნებიდან დაწყებული იმპერსონური ყოფის გააზრებაში – ზოგადი და კონკრეტული, სუბიექტური და სასხვისო, ძალზე სერიოზულიც და ირონიით გაიოლებულიც.

სულიერი პორტრეტი პოეტისა ასეთია: ტკივილების დინჯად გამომხატველი, თმენით ამტანი იმისა, რასაც თან ცხოვრება პქვია და თანაც კოჭი რომ უნდა უგორო ("სურათები მანანნალა ძაღლის გზაზე"), უღიმილო ირონიით მადლობის გამომხატველი ბედისადმი, რომელიც განუწყვეტლივ ჩხვლელდა, არ აძლევდა საშუალებას, რომ "გადაება მხიარულება და

დაეინწყოდა ისინი, "ვისაც ცხოვრების ძნელ გზაზე გაჭირვებით მიაქვს ფეხები" ("ეპიზოდი")... ხილული სამყაროდან ხან წარმოსახვითი იყო "გადაცხოვრებული", ხან – "მთვარეც და ყველა ვარსკვლავი, სახლები, ხეები, ნათურები", – ყველანი ერთად იყვნენ "ისე მშვიდად, ისე ტკბილად", რომ აფიქრებიანებდა: "ამ ღამით ყველა მანანნალა ძაღლს თავი მთვარის ბალიშზე უდევს". გარეგნულად, მართლაც, საოცარი ნათელისა და ჰარმონიულობის ამ მეტაფორაში, ერთბაშად შეუმჩნეველი, მაგრამ არც ისე უცხო ადამიანური სევდა და ტკივილი იკითხება, რადგან ის ღამაში გამოგონებაა, სასურველი და მიუღწეველი.

კიდევ ერთხელ:

– ამ ღამით ყველა მანანნალა ძაღლს თავი მთვარის ბალიშზე უდევს...

აგტოპორტრეტები – გარეგნული იერსახისათვის: "ბელურას დავემსგავსე, ერთი მარცვლისთვის ზიდან ათჯერ რომ ჩამოფრინდება", ან: "ღამეა, ვიცინი და უქბილო პირს ვარსკვლავებით ვივსებ"...

პოეზია მისთვის "გულის მარაოა, რომლითაც ცეცხლს ვინელებთ და დარდებს გადავიყრით..." იგი დახუთული სულისთვის ნიავის შრიალია, მაგრამ... და სწორედ აქ ითქმის უმთავრესი – "მაგრამ ცეცხლს რამე გაგვინელებს, როცა ზურგს უკან ცხელი სუნთქვა გვესმის ცხოვრების?" "ცხოვრების ცხელ სუნთქვას" ანუ ყოფიერების მკაცრ რეალობას უტრიალებს პოეტის ფიქრი, "შხამს აგროვებს ცხოვრების დერეფნებში". სინტაგმა "შხამს აგროვებს" კიდევ უფრო კონკრეტულს და საგნობრივს ხდის პოეტის სათქმელს. თავისთავად ჩნდება ფიქრები – "მატერიკებზე, ყოფნა-



არყოფნაზე, სიკვდილ-სიცოცხლეზე, სამყაროზე, ღმერთზე, შეცოდებაზე..." ("შეუგუებელი"). ცხოვრება მისთვის ძიებაა "წყნარი ადგილის, სახელმწიფოს, როგორც ღობის სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის"...

**და იმღერე სიმღერა
რომელსაც არ ექნება არც სიტყვები,
არც მელოდია.
(„შეურიგებელი“)**

ასეთია ბესიკ ხარანაულის სტილი – სიმღერა მელოდიის გარეშე, "სიმღერა, რომელსაც არ გააჩნია სიტყვები და მეტაფორები, სიმღერა, რომლის მელოდიაც ნაბიჯების ხმა არის მხოლოდ" ... ამ ნაბიჯების ხმა ისმის მის ლირიკაში, ხმა – მომხდარსა და არმომხდარს შორის, ხმა წყენასა და სიხარულს შორის. პოეტის ორიგინალური ხელწერა განსაკუთრებული გამოხატვით გამოვლინდა პოემაში "კარტოფილის ამოღება". ეს თითქოს ადამიანის ბიოგრაფიის ერთი ჩვეულებრივი ფურცელია, ჩვეულებრივი სასაუბრო თხრობით, ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო კადრებით, მაგრამ, ყოველ ჩვეულებრივში ჩაფემკრთალებულს და ბანალურს, სიტყვიერი ხელოვნების დონეზე ამოსწევს პოეტი და შედეგად – იმაში ვრწმუნდებით, "ამ წუთებში მთელმა სამყარომ ჩვენი ეზოს ჭიშკარი შემოაღო", რომ გვიმტკიცებს... რომ არაფერზე ლაპარაკი არ არის იოლი, "არც ცხოვრებაზე, არც პურზე და არც კარტოფილზე. ყველაფერი ძალზე რთულია". ცხოვრების პროზის პოეზიაა მთელი პოემა. შიგადაშიგ გაივლებს თითქოს სიტუაციიდან ამოვარდნილი განწყობის გამოხატველი ფრაზები, ცალკეული შტრიხები: "მე ვფიქრობდი ჩვენი ვაშლის ხეებზე", ან: "ჯერ კიდევ ჰკიდა

ყუნზე ფოთოლი, მაგრამ ქარი უკვე გზაშია"...

ბესიკ ხარანაულის ლირიკაში განსხვავებული, არაორდინალურია სატრფიალო განწყობის გამოხატვა. პატარა, უსათაურო ლექსი სიყვარულზე სიტყვის თამაშია, მაგრამ – არა გრძნობის:

**ამ ღამით მე შენთან ვიყავი,
მაგრამ შენ არ დამხვდი სახლში...
და არც შენი სახლი იყო სადმე
ქალაქში...
და ის ქალაქიც
არსად იყო დედამინაზე.**

სიყვარულის გამოხატვაშიც მისი სიტყვა შორსაა პათეტიკისაგან, დაწყებული ამ სტილის ტექსტებით, დამთავრებული საუკუნის ბოლოს, თქვესმეტარცვლიანი რუსთველური შიორით დაწერილი ლექსით "ტარიელსა ავუტირდი"...

ბესიკ ხარანაული თავისი ცნობილი პოემის "ხეიბარი თოჯინას" (სამოციანი წლები) მოტივებს ახლებურად ამუშავებს და აღრმავებს მომდევნო ათწლეულის ლექსებში. ადრინდელთან შედარებით შეცვლილია უფლისადმი დამოკიდებულების ნიუანსები. "ხეიბარ თოჯინაში" უფალი წუხს, რომ ადამიანები თავიანთ თავს ველარ ყაბულდებიან, "მათ მალლა უნდათ, ჩემთან უნდათ, მე კი თვით მინდა, რომ იმათი მეხარბუბოდეს" ... ეს სურვილია, მაგრამ ღმერთი, ისევე და ისევე კაცთა მოდგმის ცოდვათა თუ მიზეზთა სხვათა გამო, ხშირად ტოვებს ადამიანს, არ არის მასთან. 70-იანი წლების ლექსში "განდევნილობა" პოეტი საკმაოდ ამბობებულია უფლის წინაშე თავისი ადამიანური გულისტკივილით:

**რას გვავალებ, რას გვარონინებ
ქარავანის აქლემივით!**

**ღმერთო, ნუთუ ვერასოდეს
გნახოს ადამიანმა?!**

უფლისაგან მიტოვებული ადამიანის განწირული სულის წრიალი ისმის ლექსში "სირცხვილის შემდეგ". შვედნება იმისა, რომ დრო სპობს ყველაფერს, სწრაფად გადის "და ცხოვრებამაც წარუშლელი გრძნობების ხეივნები ჩაიარა", კიდევ უფრო ამძაფრებს ტკივილს. ასეთ ვითარებაში ადამიანი ემსგავსება მაცხოვარს, რომელმაც გაუსაძლისი ტკივილების უამს უფალს შეჰლაღადა: "ღმერთო ჩემო, რატომ მიმატოვე მე?..." ამას მოგვაგონებს ბესიკ ხარანაულის ლირიკული გმირი, ადამიანი, ვინც "ეკალასხმულ ბალიშზე თავს ვერ იჩერებს, ვინც უსასოოა და ცხოვრების ორპირ ქარში შრება თიხის ქანდაკივით. იგი მაცხოვარით შესჩივის ღვთისმშობელს:

**რატომ დამივიწყე მე, მარიამ,
რატომ დამივიწყე?!**

იგი მუდამ ფიქრის წრეშია მოქცეული, სადაც ერთის დაეინყება მეორის გახსენებას ნიშნავს და ა.შ. "მე იმას ვფიქრობ, რომ ბევრ რაიმეზე არ დაეფიქრებულვარ"... ("წრეში"). ეს ფიქრები ჩვეულებრივი, ნაცნობი, მაგრამ ხშირად დაეინყებულა, რადგან ადამიანს "წერილმა პრობლემებმა დაუჭამეს დიდი ზრახვები" და დაავიწყდა თბილ ლოგინში ჩათბუნებულს, რომ სადაც, ცივი მთის კორტოხზე, "შუაგულ ტყეში რამდენ ობოლს დაუყრია თავისი ძვლები"... ანდა, პალსტუხს რომ ისკენი ხოლმე დილდობობით, სახრობელას თოკი არ გიჭერს?..." ეს გულგრილთა და გულცივთა საყურადღებოდ ნათქვამია, თანაგრძნობისა და თანაღმობისაა მისი პოეტური სიტყვა მოყვასისადმი ("მეზობელი", "მოხუცი ცირკში", "იმ ქვეყანაში" და სხვ.).

პოეტი ჩვეულებრივი ადამიანია. ასე თვლის ბესიკ ხარანაულიც. "არც ერთი ყლუპით, არც ერთი გროპით, არც ერთი ღვრით, არც ღონითა და არცა ჭკუით – ერთი ცრემლით მეტი ვართქვენზე" ("პოეტი"). "ერთი ცრემლის ძალა დიდია არსითაც და გამომსახველობის ფორმითაც. ის ნამდვილია, უტყუარი ცრემლია, სანდო და გადამდები... ამასთან – ამ ცრემლით კიდევ ერთი ფსიქოლოგიური შტრიხი ემატება ბესიკ ხარანაულის პორტრეტულ "სახეს – ყვითელ ფოთოლზე დახატულს"...

ბოლო წლების ლექსებში ეს მოჩვენებითი სიმშვიდე საგრძნობლად დაირღვა, რადგან ახლა "ყველაზე დიდი მალაღფარდოვნება დუმილი არის" ("ნიგნი ამბა ბესარიონისა"). ძველი მეტაფორები, გზას რომ იგნებდნენ სურნელების კლიტედადებულ ვარდის გულშიაც, ცხოვრებაში ჩაკოჭლდნენ... თითქოს "მრავალი წლის ცხოვრებისა და ფიქრის შემდეგ აღმოაჩინა, რომ ცხოვრება და ფიქრი ერთად ისეთივე უადგილო შეთანხმებაა, როგორც ცალ-ცალკე ფეხსაცმელი, ისეთივე ბავშვური თამაში, როგორც ერთმანეთს ნაჩხუბებული შენივ ხელები და ისევე შეუძლებელი, როგორც უკან შემოქცევა ღრმა უფსკრულზე გადახტომისას". ავტობიოგრაფიკულად გამოხატა, გაშემაზარადა. "სიხარული" ჰქვია ადრინდელ ლექსს, სადაც პოეტი იმ ნუთიერ აღმაფრენას გამოხატავს, რომელიც ერთხელ მაინც მოგადგება ან მოგადგა, თუნდაც – როცა "უბრალოდ მზე მოდგომოდა ღია ფანჯარას – მზე განაფხულის"... ამ დროს სიხარულს შეუძლია, ხელი ჩაგკიდოს და ქვეყნიერება მოგატაროს:

**როცა გემღერება,
იმღერე ხოლმე,**

რა ყურადღებას აქცევ,
 თუ რამ წამოაფრინა
 ეს სიხარული.

ახალ ტექსტებში ეს აღმაფრენა და სიხარული გაპარტახებულია წლები-საგან, თითქოს იმას გვეუბნება, არ გაგიკვირდეთო, რომ: "ისევ ცოცხალი ვარ, ისევ ძალლი, ისევ ეშმაკი, ისევ ფხიზელი, სიმთვრალიდან ამოთრეული" (აღბათ, იმ სიმთვრალიდან, ოდესღაც სიხარულებად რომ მოვარდებოდა). სიფხიზლე, ანუ სინამდვილის გაცნობიერება სულს უფორიექებს, ქანცი უწყდება:

მე დავიღალე
 დიდი ხანია,
 მე დავიღალე,
 ქრიან ქარები,
 მაგრამ არავის
 არ ვუყვარვარ,
 მაგრამ არავის არ ვებრალები.

ქარი ამ შემთხვევაში და, საერთოდ, ბესიკ ხარანაულისათვის სულიერად ნათესაური სტიქიაა, რომელიც თითქოს აღმა-დაღმა დაატარებს და მიმართულებას აძლევს მას სავალ გზაზე.

ბესიკ ხარანაულის ბოლო წლების ლექსები, თავმოყრილი 2002 წელს გამოცემულ კრებულში, ყოფიერების მკაცრი განჩინებაა თავისი არახალი, მარადიული პრობლემებით, დამძიმებული თანამედროვეობის გაუსაძლისი კონტექსტებით, სადაც ყველაფერი მნიშვნელოვანია, განმსაზღვრელია, ასაკიც კი, რადგან ცხოვრება ჭაპანია ("სანუთროი ესე გზაი არს და კეთილიცა და ბოროტიცა მას შინა განვალს", იოანე ოქროპირი). ნამუსრევივით ყრია ყველაფერი ამ გრძელ გზაზე: გაციებული გულები, დაბზარული,

დამსხვრეული, დანაცრებული, ერთ დროს იმედით მოციაგე ფიქრები. ცხოვრების კადრებს სცილდებიან ძვირფასი სახეები – დედა, მამა... საგნები იცვლიან მნიშვნელობას, შინაარსს. ოდესღაც შენი სახლი ახლა სხვისია და თავისუფალი ხარ ყველაფრისაგან, მაგრამ ეს თავისუფლებაა თუ "თავისუფლება" – ცხოვრების შურისძიება. ასეთია მისი წესი: წვეთ-წვეთობით მიაქვს უკანასკნელი, ხელიდან გაცლის. მარტო შენიც არ გაკმარა, მეზობელიც გააგიფა, "ცხოველს დაემსგავსა" დიდი მწუხარებისაგან. ღმუის, რადგან მის ტკივილს სხვა საშველი აღარა აქვს ("ჩემი მეზობელი დარდისაგან ცხოველი გახდა")... ერთადერთი – შენი ამონათქვამი გიხსნის. ამითაა ბედნიერი პოეტი. რაც არ უნდა "უქონ-უყოლელი" იყოს, რაც არ უნდა "ჯავრი სჭირდეს", სხვაზე "ერთი ცრემლით მეტი აქვს", გაძლების ნიჭიც.

ბოლო ათწლეული – გარდასული საუკუნის მიწურული. ქართულ პოეზიაში ტკივილმა იმძლავრა. პოეზია არც არასდროს ყოფილა მხოლოდ ტკბობის, მაგრამ ამ კონკრეტული დროის ყოფითმა მოვლენებმა უფრო მკვეთრი სპექტრით წარმოსახეს ყამის უბადობით დაფერილი შუქ-ჩრდილები. რაც არ უნდა ზემატერიალურ სამყაროს სჭვრეტდეს პოეტი, "დროის, ეპოქის" ფაქტორს ვერ გაექცევა. მინა თავისას მოითხოვს, სანამ სული ხორცს არ გაყრია. იგი უნებურად დროის აღმსარებელი ხდება, მით უმეტეს – შეჭირვებულ დროში. ასეთი შინაგანი მდგომარეობის ანალოგიით არის უთუოდ ნათქვამი: "უკვე კარგა ხანია, რაც უარი ვთქვი ესთეტიკურ პატივმოყვარეობაზე და ნანარმოებს კი არ ვწერ, არამედ აღსარებას. ასე

დასახრჩობად განწირული ანდა მონამღვრული აღარ ზრუნავს დავარცხნილ თმაზე ან ხმის მოდულაციებზე – იგი ყვირის" (პ. პესე)... ვერ ვიტყვით იმას, რომ ბესიკ ხარანაული საერთოდ არ ზრუნავდა "ესთეტიკურ პატივ-მოყვარეობაზე", მაგრამ მის ტექსტებში მთავარი მაინც შემოქმედებითი იმპულსებია, პოეტური გენეტიკით კოდირებული. აქ უმთავრესი და გაცნობიერებული ის ჩვეულებრივად ნათქვამი არაჩვეულებრივია, რომელიც მტანჯველ ტვირთად აწევს რიგით მოკვდავსაც და პოეტსაც. ამის გრძნობა ხდის მკითხველს პოეტის თანამოაზრედ და თანამოზიარედ.

1992-2002 წლები – ბესიკ ხარანაულის ბოლო კრებული უფრო ზუსტი თარიღია... ქართველი ხალხის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული, შფოთიანი, ყოვლისმომცველი ათწლეული – მწუხარების, დამარცხების, უსასობის.

ბესიკ ხარანაულისგან ქართველი მკითხველი უთუოდ მოელოდა ამ თემაზე შექმნილ პოეტურ ტექსტებს და შეიქმნა კიდევ მისი ერთგვარი ციკლი საქართველოზე, რომლისთვისაც, სამწუხაროდ, პოეტს აღარ მოეძებნება სხვა სიტყვა, გარდა ძილისმომგვრელი მოფერებისა, ანუ – "ნანა, საქართველოს მინავ". სიკვდილს, წაშლას, იავარქმნას, იქნებ, ძილი სჯობდეს (და არა ძილქუში), რომ ძილმა შთანთქმას ცხადის სიავე და შემდეგ ყველაფერი დაიწყოს თავიდან, რამდენადაც ეს შესაძლებელია იმ უმწარესი გაკვეთილების შემდეგ, რაც დრომ, ბედისწერამ თუ ისტორიის მეკობრეებმა ჩაუტარეს ქვეყანას.

ნანა, საქართველოს მინავ!
საქართველოს მთავ და ველო,
დაიძინე, დაღლილი ხარ,

ტანჯული ხარ, საყვარელო...
გაძრცვილი ხარ, გაცლილი ხარ,
ზვარში თითქო ქარებს ევლო.
დაიძინე, დაღლილი ხარ,
ტანჯული ხარ, საყვარელო...
სიზმარი თუ ტკბილი ნახე,
სცადე, რომე გაიგრძელო...

რატომ ურჩევს სამშობლოს ძილს პოეტი? იქნებ, ალუზია ილიას ცნობილ ფრაზასთან – "ოპ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი"... იქნებ, იმიტომ, რომ სამშობლოს ამჟამინდელი ცხადის შემოქმედნი ჩვენა ვართ, შეცდომილები "და განცხრომა გვირჩვენია, გან თუ ბრძოლა სასახელო". თავადაც დამნაშავედ მიიჩნევს საკუთარ პერსონას პოეტი. არა – "შენ", არა – "ის", არამედ – "ჩვენ" – ყველანი ერთად, პასუხისმგებელი ყველაფერზე, იმ ტკივილისმომგვრელ რეალობაზე, რაც თანამედროვე საქართველოს სურათს ქმნის:

ქარი დაგქრის, ქარი გზოკავს,
ფერი გადაცლია მდელის,
მახვილს, შენზე გადმოქნეულს
შენიე შეილის ხელი ევლო,
ძილში მაინც დაისვენე,
ნულა ბორგავ, სანატრელო...

სანამდე? – იკითხავს მკითხველი და ამის გათვალისწინებით იძლევა პასუხს პოეტი, რომლის აზრითაც და, ქეშმარიტადაც, "ჯერ სვავები არ გამძღარან, ჯერაც ისეე მგელი მგელობს, ჯერეთ ძილი გირჩვენია, დაიძინე, საქართველო!" და ბოლოს – ჩინებული ინტერტექსტუალური გახმოვანება სტრიქონებისა, ქართველი კაცის ახალ ტკივილს მისადაგებული:

ქართლ-კახეთო, იმერეთო,
გურიაე და სამეგრელო,
ნულარც ხმალი გვლანდება,

ნულარც ჩანგი ხარუსთველო,
დაიძინე, დალილი ხარ,
ტანჯული ხარ, საქართველო.

ამასთან დაკავშირებით პოეტის კომენტარიც გავიხსენოთ: "უნდა დაიძინო, რომ იქნებ გაიღვიძო და რაღაცა გეშველოს. არ გინატრია, ნეტავ დამაძინა და აქა და აქ მოვხედო? ჩვეულღებრივი ამბავია, საღათას ძილისკენ რომ მოვუნოდებდე ხალხს, ასე არაა. დაიძინე, რომ გაიღვიძო და დამთავრდეს ეს უბედურება. ამ დადღილობას სხვა არაფერი შველის"... რა თქმა უნდა, ეს დაღბენილი კაცის ნატურა არაა. გალაკტიონსაც უნატრია 30-იანი წლების ქართველებით დამძიმებულ საქართველოში – "ნეტავ ამ ნავეში დამაძინა და გამომღვიძა ასი წლის გარე"...

"...რაღაც დამემართა და ვწერე და ვწერე ამ საქართველოზე, – წერს ბესიკ ხარანაული. შეიძლება, მეცხრამეტე საუკუნის პოეტებში რომ გადავსახლდი, იმიტომ. არცერთი სტრიქონი არაა, იმის უკან ვინმე რომ არ იდგეს. ვწერე და ვწერე, ამოვთქვი ჩემი ბალღამი და კიდევაც დამეზურა გული. ველარ გავაღებ".

სიზმარეული თუ ცხადი, ჩავლილი ისტორია და რეალობა, ერთ ნატვრად იქცევა, რომელსაც საქართველოს გამთლიანება ჰქვია: "ღმერთო, ამას გთხოვ, საქართველო ხო გამთლიანდა?" ლექსის პირველ სტრიქონებში უფლისადმი მიმართული ეჭვიანი კითხვები ფინალში თხოვნა-ვედრებაში გადაიზრდება.

შევადართ:

ღმერთო, ამას გთხოვ,
საქართველო ხო გამთლიანდა?
მკვდარი ვიყავი,
გაღვიძება დამავიანდა,
ანდა სხვა რამე

ნაკლთა გამო ადამიანთა –
ღმერთო, ამას გთხოვ,
საქართველო ხო გამთლიანდა?

და ბოლოს:

გააძლე ჩემი საქართველო
არა პურითა,
არა ლენითა,
არა წყლითა,
– სიყვარულითა.

ყველაფერს, რაც იყო, რაც მოხდა, თავის სახელს არქმევს პოეტი, უსიამოვნოს, მაგრამ ისეთს, როგორც ხედავს:

ყველა მხრის ქარი
თავზე რისხვად
ხო დასტრიალდა,
რაც ცოდვა ჰქონდა,
დროშად ყველა ხო აფრიალდა,
ხო განიბანა სისხლით,
ტანჯვით გამადღიანდა,
ხო გაიფანტა,
სინმინდენი დანავიანდა.

აქ ქარაგმული და იდუმალი არაფერია, ყველაფერი პირდაპირაა გამოფენილი. დამხმარე სიტყვა "ხო" ლექსის მთელ სივრცეში არ კარგავს თავის ფუნქციას, გააძლიეროს ემოციის სიმძაფრე. საგანგებოდ გახალხურებული, მადლიანი, ყველასთვის გასაგები, ყველას გულის კარის შემღებნი. იგი დიდ აუდიტორიაზე გათვლილი, შეფარული მოწოდებით, თხოვნით, მუდარით, ეჭვით. გრამატიკულად უფუნქციო ბგერაც – "ს", ზმნაში "დასტრიალდა", ამ მიზანს ემსახურება, უფრო გრძობადს ხდის ქარის თუ ბედის ბორბალის რისხვით ტრიალს საქართველოს თავზე. "ს" ფონემის გაქდერება თითქოს სიტყვის, აზრის ლერძს ქმნის და ეხმარება განცდის აქცენტირებაში.

ღმერთისადმი ამ მიმართვაში, და

არა მხოლოდ ამ ლექსში, არამედ სხვაგანაც, ფარული საყვედურის თუ ეჭვის ინტონაციებიც იკითხება. მხოლოდ უფლის და სიყვარულის ძალას შეუძლია, გააქარწყლოს ეს ეჭვი. მაგრამ სიყვარული, როგორც უკეთურობაზე და სიძულვილზე ამალღებული ალტერნატივა, ადვილად იკარგება ბოროტებაში. ბოროტება უფრო ადაპტირებულია გარემომცველ სამყაროსთან, გამძლეა, რადგან ის გადაგვარებული, გაავებული გრძნობაა. სიყვარულის და სიძულვილის თანაარსებობა მარადიულია, მაგრამ არის უამი სიყვარულის ზეობისა და უამი ბოროტების მძღაერობისა. დროის ასეთ მოდუსში დაისმის გროტესკული კითხვა – "რა, ბესიკია, ქვეყანაზე მარტო ბოროტი?" ფასეულობათა სისტემის წგრევამ გამოიწვია პოეტის ცნების მნიშვნელობათა ისეთი რადიკალური ცვლილება, რომ ბესიკის, როგორც პოეტის, ესთეტიკის, სიკეთისა და მშვენიერების შემოქმედის სიმბოლო საპირისპირო მნიშვნელობაში გადაიზრდება. ეს ვითარება ცნაურდება მომდევნო არანაკლებ რადიკალური ფრაზით: "ნეტამცა, ღმერთო! მე დაერჩები მარტო – ბოლომდის!"... მაგრამ მხოლოდ დროებით. "გაბოროტებულ" ბესიკს თითქოს ავიწყდება თავისი ახალი როლი:

არავის გვერდით არ ვიქნები, ვიქნები
მარტო,
იმას ვიპოვნი, ჩემზე მეტად მარტო
ვინც არის,
ის შეეოლება საესავი და საფიცარი,
ვინც ჩემზე უფრო დაჭრილია,
მოტყუებული
და ვისაც ჩემებრ აღარაეინ აღარ
გვალვის...

პოეტია ბოროტების მტვირთველი და ისიც ცოდვების გამომსყიდველის

პროფილში ტრიალდება. თავადვე უნდა იტვირთოს ბოროტების სასჯელი, თავად უნდა აღიმართოს "მამა-პაპის სისხლით და ძელებით", დარჩეს მარტო, თავისი წვიმით, ქარით, წვითა და დაგვიტ, თუმცა:

ერთი კი არა, ყველა არის
პირუმტკიცები,
გულმაეინყები, უკითხავნი და
უვიცები.
ძმის სისხლთა მდომნი, მტრის
სისხლისა მოზიზღარები,
ძმის კარის მრღვენი, მტრის კარისა
მიუკარები,
არც მინისანი, არც ცისანი –
არაფრისანი,
თავის მიმყოლნი, თავის მდომნი,
თავის მისანნი.

ეს ერის რეალობის სახე, შემოქმედი ადამიანისთვის სულიერი ტანჯვის მიზეზი, რაც აიძულებს მას მარტობას – "არავინ მინდა, შევიხორცებ მარტო იარებს"... ეგონოთ, რომ "კარგია ყველა, ბესიკია მარტო ბოროტი".

საკუთარი სახელის ხსენება ხშირია ბესიკ ხარანაულის ლექსებში ("ღმერთს მე, აქ, ცოდვილი ვესაჭიროები", "ტარიელსა ავუტირდი", "ნიგნი ამბა ბესარიონისა" და სხვ.). (მკვდარი ბესიკი დამიტირეთ, დამფალთ სამარეს" – უზდებოდა ბესიკ გაბაშვილს თავის ხსენება... ბოლო წლების ქართულ პოეზიაში არც ისე იშვიათია სევედიანთა და უსევედოთა ნოსტალგია სევედის ბალის პოეტზე).

არა ალეგორიული, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით, გაზაფხულის გრძნობითაა შექმნილი ლექსი "გაზაფხულდა, საქართველო!" სილამაზით და ბუნების წყალობით თავს უსაფუძვლოდ როდი იწონებს ქართველი კაცი. წლის ეს უმშვენიერესი დრო – გაზაფხული, საქართველოს გაზაფხუ-

ლი, ზამთრის სუსხით, ზამთრის ყინ-
ვით, ზამთრის ქარით ხელყოფილ
სულს სიხარულის ელდით ეცემა, თვა-
ლიც ტკბება, სმენაც ტკბება, "მოთმი-
ნება ამაღ ღირდაო", – ათქმევინებს
პოეტს. რის მოთმინებაზეა მინიშნება?
თუმცა, რაღა მინიშნება, დანარჩენს
მოვეუსმინოთ, ხელისგულზეა მიზეზი:

**ზოგმა გელა და ზოგმა გაძარცვა,
ზოგმა გსვა და
ზოგმა გლლიტა,
მაგრამ ღმერთმა არ გაგწირა
და სატანჯველს გამოგრიდა...
ღირდა მოთმინება ამაღ,
მოთმინება ამაღ ღირდა.**

ნაზამთრალი – პირდაპირი და არა-
პირდაპირი მნიშვნელობით, ქარ-ყინ-
ვა გამოვლილი ადამიანის გულწრფე-
ლი სიხარულია პოეტის სიხარული, გა-
დამდეგი, თანამოზიარებობას რომ გა-
ნატრებინებს. იმდენი კარგი ლექსი
დანერვილა გაზაფხულზე, ბუნების სი-
ლამაზეზე, სახიფათოც კია პოეტისთ-
ვის, ბანალურობის შიშით, ეს თემა;
მაგრამ ბესიკ ხარანაულის ამ ლექსში,
და საერთოდ მის პოეზიაში, ბუნება
სასწაულობს. ერთ კონკრეტულ ნი-
მუშზე რომ ვსაუბრობთ, სინქრონიუ-
ლად გაილეკებენ განვლილი გაზაფ-
ხულები, პოეტს რომ ათქმევინებს –
"იყო გაზაფხული?" ან: "ვინ უღებს კარს
გაზაფხულს?.." და სხვა მრავალი.

ახლანდელი, სამშობლოს სულიერი
და ხორციელი კათარზისის შემდგომი
გაზაფხული, უფრო წარმოსახვითი,
პერსპექტივაში არსებული, იმ იმედით
გამშვენიერებული ჟამია, როცა:

**მინაც გაქვს და
წყალიც გაქვს და
ეზოც გაქვს და
სახლიც გიდგას.
იხარებ და იძლიერებ**

**ზეალმდგარი სახმილიდან...
გაზაფხულდა, საქართველო,
კვლავ ჯეჯილი ავიმალდა
ცას ფრინველი შეესია,
ყვავილობა არის ხილთა...
ღირდა მოთმინება ამაღ,
მოთმინება ამაღ ღირდა!..**

კაცი იმედით ცოცხლობს, მით უმე-
ტეს, პოეტი, მამულიშვილი. "საქარ-
თველოს მომავალს ველოდები" – ირო-
ნიზებული ინტონაცია მუხამბაზის
ფორმით, დრამატული მუხტით, სა-
ქართველოს უკეთესი მომავლის მო-
ლოდინით, "არა მდურვით, ეჭვითა და
გოდებით, სიყვარულით, ზეიმით
ცოტ-ცოტებით... ღმერთით, ხატი-
მინის ყველა ხნულითა, ჩანგითა და
ლექსით ჩამოსხმულითა, იმედითა,
ლოცვითა გაბმულითა, საქართველოს
მომავალს ველოდები" ... მაგრამ ჯერ
მხოლოდ მოლოდინის სტადიაში ჩანს
ქვეყანაც, პოეტიც და მკითხველის
განწყობაც, ჩანს ისიც, რომ ჯერ ღი-
მილის დრო არ დამდგარა

**და თუ მოვეკვი, ასე, გაულიმარი,
არ იკითხოთ – უბედური ვინ არი,
მე ვარ, ძმანო, მე მანყვია ლოდები,
საქართველოს მომავალს ველოდები.**

არც სამშობლოს თემის აქტუალი-
ზება და არც კონვენციურ ლექსთან
ინტერტექსტუალური გადაძახილი
შემთხვევითი არაა ბესიკ ხარანაულის
ღირიკისათვის. კვლავ გავიხსენოთ
მისი ნათქვამი – მეცხრამეტე საუკუ-
ნის პოეტებში გადავსახლდით. ეს გა-
დასახლება კიდევ ერთხელ გაგვახსე-
ნა ნაცნობმა ინტონაციამ. სამშობლოს
ხატმა საგალობელივით ნათქვამი მო-
იხდინა, სითბოს რომ გამოსცემს...
რიტმული, კეთილზმოვანი, რითმებით
განწყობილი. ენობრივი მასალა საგან-
გებოდ დარჩეული, უფრო კი – პოეტუ-

რი ინტუიციით თავმოყრილი. განსაკუთრებით: "ნანა, საქართველოს მიწა", "საქართველოს მომავალს ველოდები", "გაზაფხულდა, საქართველო!" და ა. შ.

კიდევ ერთი სახშილი საქართველოს გამო ლექსში "შენია სული საქართველოსი" – იმათი უღირსობით გამონეული, "რომელნი სძიძენიდნენ მგლებივით მის ხორცებს და აღმასი ეფანტებოდათ", სვამდნენ, ჭამდნენ, "რომელმან მამა ვერ ცნო, რომელმან – შვილი, შედეგად – "წყალი არ გაიცრა, მიწა არ ამოშრა, მარილმა ოქროს არ მისცა ადგილი" ... კოსმიური კატასტროფა... და შემდეგ წარღვნის შემდგომი ნათელი ბიბლიურ შესაქმეს სურათს გვიხატავს.

ხანგრძლივი, შენელებული რიტმით დაწერილი, ამასთან – მკვეთრი ფრაზები ზარის რეკვასავით ფლერადობას გამოსცემს:

გადმოიხედა ღმერთმა და მიხილა
ლაშაზი,
რადგანაც ვტკებუდი ჩემი მიწა-
წყლით,
უდარდელი სტვენით ნახირს
მივდენიდი,
ამომყავდა ციხის დაშლილი
კედლები,
მთელი ოქრო ტაძრის გუმბათს
შველებე,
ერთი ოქროთი გოგოს ვუყიდე
ყვავილი,
მუხის დედა-ბოძით ჭერი გავამაგრე,
კედელზე დავეკიდე წინაპრის
სურათი....
მომწონდა ქვეყანა და საქმენი ჩემი
და გულით ვუზრახე წარსულს
დაბრუნება,
რომ უცებ ზეციდან ხმა ჩამომესმა.

და კვლავ ყოფითი სიდუბჭირე, ზეციური ხილვებიდან დაშვება, ცოდევი-

ლი სხეულის სიმძიმის შეგრძნება, მდულარე ცრემლები და დაკარგული დროის ბრწყინვალე სახე – "გამოუქმობის ქნარი – ქნარი ობობისა" სახლის ჭერზე. კვლავ წარღვნის ილუზია, არცთუ უსაგნო. წვიმა და ღვართაფი, რომელმაც იმდენ ხანს იდინა, "ვიდრე არ გარეცხა მიწა ცოდვებისაგან". ადამიანი, ამ შემთხვევაში პოეტი, მაინც მარტოა, ჩაკარგული ამ ქაოსში, უადგილო, წვიმისაგან დამძიმებული ფრთებით.

სიკვდილი მომინდა და ღმერთს
შველადადე...
და უცებ შეირხა კვლავ ზეცის პაერი
და ხმა ჩამომესმა, საკუთრივ
ღმერთისა,
ვითარმედ: შენია სული
საქართველოსი...

"შენია სული საქართველოსი" – მიწაგანი ხმა, ხმა ღვთისა, თითქოს ამოსუნთქვის საშუალებას აძლევს პოეტს, რომ იმოვოს გამართლება თავისი გაფანტული არსებობისათვის. მაგრამ ტკივილები ძლიერია, სამყარო უპასუხო კითხვების უკიდევანო სიერცედ ქცეულა, სადაც ისევე "სხვა გიფად და სხვა ლოთად და სხვა უბედურებად გაქცევს ცხოვრება" ("დაინახე სხვადა, ვინც შენია"), სადაც ცოდევა-მადლის ენაზე ღმერთს უნდა შეეტკვილო კითხვით – „სად არიან შვილები, შვილები სად არიან"... ამ ლექსის სათაურშივე იგრძნობა ჩვენი თანამედროვეობის, სულ ახლო წარსულის, სიმწარე, უკვალოდ, უღირსად ჩაელილი სიცოცხლის ფერფლი, სიკვდილი ყველგან – ძმათამკვლელ ომში, ქუჩაში... სიკვდილი სახელიანი და სიკვდილი უსახელო. მაინც ყველა შენი სისხლის და ხორცის ნაწილი. ლექსი რითმიათა, მთავარი სიტყვა "ქარია", ქარის დინამიკა მთელ ტექსტში იგრძნობა, რო-

გორც მნიშვნელობების, ისე ეეფონი-
ის დონეზე:

სად არიან შვილები, შვილები სად
არიან,
გავალ, გავიხედები, არ არიან, ქარია,
სად არიან შვილები, მე რომ
მოგაბარა,
გავალ, ავეძრახები, არ არიან, ქარია.
საქართველო აქროლდა, ვით
ფოთლების ქარია,
სად არიან შვილები, ქარია, არ არიან.

პასუხი არ ისმის. პასუხი თითქოს
არ არსებობს ("ვაი, ბაგეთა ჩემთა, რა-
მეთუ გიძახოდი და არ გამეც ხმაი" კ.
გამსახურდია, "დიდოსტატის მარჯვე-
ნა").

ეს ლექსი პოეტური დატირების ან
უბრალოდ - ადამიანური დატირების
ტექსტია, რომლის ტრაგიკულ პათოსს
აძლიერებს ის ფაქტი, რომ პოეტი-
დამტირებელი მამაკაცია. მამაკაცის
გოდება კი იშვიათია და ამიტომაც უფ-
რო სულის შემძვრელი (თუნდაც, სეა-
ნური ზარი).

რა როლი აქვს ყოფითი პრობლემე-
ბით სულშეძრულ შემოქმედ ადამიანს,
რა შეუძლია მას იმისთვის, რომ
მკვდარს არ ემსგავსოს? როგორც სამ-
ყაროს ნაწილი, იგი კვლავ და კვლავ
წვალობს, უტრიალებს წუთისოფლის
უთავბოლო გზას, რომ ერთხელ მაინც
ენიოს ბედნიერებას და მიზართოს თა-
ვის ორულს: "ბედნიერი ხარ და გაპ-
ყვირი შენს თავს სივრცეში, რომელ-
მაც გზა გიტია და ლტოლვას შენსას
დერეფანი ფართოდ გაუღო". დერე-
ფანი პოეტური წარმოსახვების სივრ-
ცეა, რომელიც მხოლოდ ბედნიერი
შემთხვევის წყალობით გაიხსნება. ეს
პოეტის ადრინდელი ტექსტია - ოცნე-
ბის ფართოდ გახსნილი დერეფნის მე-
ტაფორით.

ახალ კრებულში "დერეფანი" პქვია

ერთ-ერთ ლექსს, სადაც დერეფანი სა-
ხეთა ორ ურთიერთსაპირისპირო რიგს
ქმნის. ერთია: ძველთაძველი სასახ-
ლის დერეფანი, სადაც დამოძღვრილი
შემოდოდა ადამიანი და ირგვლივ
ყველაფერი მყარი იყო, მეორე: დერე-
ფანი - რომელიც შემდეგ გასროლის
ხმამ შეაზანზარა, საიდანაც ამიერი-
დან "გაპქონდათ და გამოპქონდათ",
სადაც ყველაფერს ატყავებდნენ, სა-
იდანაც "ნაშოვნი და ნაქურდალი გაი-
ზიდებოდა"... სადაც ორივე კარი ღია
იყო და სანთელს გიქრობდა. მეორე
შემთხვევაში დერეფანი, როგორც
სამშობლოს მიწის მეტაფორა, დაც-
ლილია ისტორიული, პოეტური გაგე-
ბისაგან და უფრო პოლიტიკური სივ-
რცის მეტაფორაა. საქართველოს მო-
მავალი ამ მეორე გაგებასთან ასო-
ცირდება:

თან ნაილებს ჩვენს მონასტრებს და
ჩვენს ციხეებს,
ჩვენს წყალს და მიწას, ჩვენს ენას და
ჩვენს საბადებელს.
გაიყიდება ყველაფერი, მთები
გავაკდება,
ქალი გაქსუვდება, კაცი
გამთხლეფდება
და ორ ზღვას შუა დარჩება დიდი
დერეფანი,
სადაც მუდამ იქნება ორნაირი ქარი...
სადაც ჩვენი სანთელი ჩაქრება.

ეს არის საქართველოს თემის ლი-
რიკული რეზიუმე.

"დედა" და "საქართველო" - ორი
სახე-ხატი, რომელიც თვალშისაცემია
ამ კრებულში. მათ ერთი საერთო მი-
ზეზი აქვთ - მთხრობელის გაუთავე-
ბელი ტანჯვა მომრავლებული ყორნე-
ბისაგან და ნაცემ-ნაგვემი სულის შეხ-
მიანება ყველაზე ახლობელთან: „სამ-
ხენროდ მოველ შენს კარზე, ერთ
სიტყვას გაგიბედავო"... ან: "როცა

რომ გამიჭირდება, მახელს შენს სულზე ვლესაო". – აქ ჩანს მიზანი სამხედროდ მისვლისა. დედის სული ამ შემთხვევაში გაუტყებლობის, სიმყარის, სიძლიერის, იმედის სიმბოლოა.

დედას, როგორც უკანასკნელ იმედს, დედის წილიდან გამოყოფილი ინსტიქტით მიმართავს ხოლმე შეჭირვების უამს ადამიანი. სასიკვდილო ამონაკენესივით მწარეა და ეუდრებიანი დედისადმი სათქმელი ეს ლექსიც:

შენ, შევარდენო, დედაო,
მარცვლისოდენა დედაო,
ამოანგრევ ეგ მიწა,
რომ დავწოლია ზედაო,
წამოიმართე ფაშ-ფრამით,
ცა იძრას ხმაურზედაო,
მხარი მიჭირე მარტოსა,
აკი მუდამა მხედავო!

(“შენ, შევარდენო, დედაო!”)

თხოვნაში, “მხარი მიჭირე მარტოსა”, იკვეთება დედის აჩრდილის წმინდა ვალი, ჯერ კიდევ წუთისოფელში მონრიალუ შეილის წინაშე.

ფიქრი, სამყაროს მიდევნებულო გონების მზერა უფრო და უფრო გრძობადს ხდის ადამიანის მარტობას და უმწეობას გარემომცველ უსასრულობაში. შემზერავად შთამბეჭდავია სამყაროს მარტობის წარმოსახვა ადამიანური მარტობის ფონზე და ალბათ, გაგვიჭირდება იმის თქმა, რომელია უფრო შემაძრუნებელი: ვიზუალურად თვალშეუდგამი, ცივი კოსმოსი თუ “სთველის ლამე”, როცა “მარტო არის ცა – სინათლით და ხე – ფოთლებით, როცა მარტოა კატაც და კაციც” (“კატა ფანჯრებს იქით”). მარტობის განცდა ბადებს იმის შეგრძნებას, რომ არავისთვის არ ხარ სასურველი, რომ ტყუილად გაგაჩინეს, ტყუილად კედები, რომ ცხოვრება წელი სიკვდილია, “წელი სიკვდილი შინ და

გარეთ” (“ვარდი ტყუილით”). ყოფიერების ამგვარი ლოგიკით გააზრებას კიდევ უფრო მეტად შეჰყავს უსასრულობის სიღრმეში პოეტიც და მკითხველიც.

ცხოვრება, ჩემო საყვარელო, ამის
გამო არის მალამო,
აბა, წამით წარმოიდგინე, იმის მიღმა
რა სიბუნელა,
ვიდრე სიცოცხლე დაიწყება,
მანამდე რა სიბუნელა და რა ყინული.
მე დედას კი არ მოვახსენებ, დედის
ზღურბლიდან
სინამდვილე იწყება მხოლოდ.

.....
ხოლო შემდეგ მალამო იწყება,
მალამო ცხოვრება.

“მალამო ცხოვრება” – ირონია რეალობაზე, რადგან მას შემდეგ, რაც “მალამო ცხოვრება” იწყება, საგანსაც და ადამიანსაც საკუთარი სინამდვილე უკლავს.

განგება, ბედისწერა, ღმერთი – ბესიკ ხარანაულის პოეზიისთვის არასოდეს ყოფილა უცხო, თუნდაც პირველი ლექსებიდან – “რატომ დამივიწყე მე, მარიამ”... მაგრამ ახალ კრებულში, ცხოვრების დღეთა ქრონიკებს მიდევნებული შინაგანი ხილვებით ჩნდებიან ახალი სახეები, იკვეთება ახალი ლირიკულ-ფილოსოფიური დასკვნები იმ მარადიულ პრობლემებზე, რომელიც თან სდევს ადამიანის ყოფას. ასეთია თუნდაც ბედისწერის განცდა ბესიკ ხარანაულისათვის.

ბავშვობაში, ალბათ, ბავშვობაში,
კაცობრიობის ბავშვობაში, ჩემს
ბავშვობაში,
ადამიანში შედის ბედი, რომელიც
შემდეგ
სიკვდილამდის უნდა ატაროს.

(“სახელშერქმევა ედემში”)

რამდენად ქეშმარიტებაა და რა ტრაგიზმის სიმძიმე ახლავს ბედის ამ დავანებას ადამიანში...

და მანც - ბედისწერის აღსრულებაზე არსებობს ცდის საშუალება: ცხადისთვის აკრძალული, "სიზმრებით უნდა იხაზულო, სიზმრებით ისაგნო". მხოლოდ ასე თუ აიცდენს ადამიანი "ცათა და კაცთა სასჯელს". ცხადში ის ცოდვილი რჩება, "რადგან მიწაზე არა ხარობს ის, რაც სრულია, მიწაზე ხარობს, რაც ცოდვისთვის განწირულია". მიწაზეა ცოდვილის ადგილი.

ამიტომ ვეტყვი,
შენ ისმინე ჩემი ღალადი,
მე ვარ ბესიკ ხარანაული,
და სხვა არაფერზე არ მიზრუნია,
ვინც დავამარცხე, მხოლოდ
ქალაღღები!
("ღმერთს მე, აქ, ცოდვილი
ვესაჭიროები")

საყვარელი საქმე, ქალაღღის ფურცელთან ბრძოლა, რომელსაც "ტექსტების შედგენას" უწოდებს პოეტი, ყველაფერს შეინიარავს ისე, რომ მას "ღმერთისთვის დრო აღარ რჩება".

თურმე, ღმერთი რომ გიყვარდეს,
უფრო სწორად, რომ შეიგრძნო და შეიყვარო,
განუწყვეტლივ მასთან ყოფნა არის საჭირო.

("უსინდისობაა, როცა საბუნების
უაზროდ იწვის")

მისთვის, როგორც ადამიანისთვის, არ არსებობს ცხოვრება უნაღველოდ. თვით ზეიმის წამებშიც კი "რალაცა კედება" ("რალაცა კედება და იხრწნება ამ ზეიმშიაც"). გაზაფხულის სურნელით ავსებული ბაღი ამ ლექსში მინიერი ცხოვრების მეტაფორაა ალბათ

მარტოსულისათვის, რომლის განწყობას ბუნების მოზივით ფონიც ვერ აღაფრთოვანებს, რადგანაც სიცოცხლის თანმზლები სიკვდილი განმსჭვალავს ყოველივეს: "სადღაცა მყოფი, ცის ქველში თუ მიწის გორიბში, რალაც კედებოდა უმცირესში, უარსებოში"...

სიდუხჭირეში - გაუსაძლის სივრცეში, მშვენიერების, სიკეთის მონატრებაა იესოს ლანდი, წამიერად გაელეული მაცხოვრის სახე და ამ ხილვით ალბათ, ეჭვი და იმედი, მოლოდინი და - გაოცება მსჭვალავს პოეტის სიტყვას:

საქართველოში, თბილისში, დღეს,
ახლა, ამ წამიერსო,
უბედურება რომ კონავს, ყველას,
მაძლარს და
მშვიერსო,
საქართველოში, თბილისში, დღეს,
ახლა, ამ წამიერსო,
რალაცა სახე დავლანდე, ვამსგავსე მე
შენსმიერსო,
და
სუნთქვამ ამოიყოლა, ნუთუ შენ აქ
ხარ, იესო.

(უსათაურო - "საქართველოში,
თბილისში...")

საქართველო, თბილისი - სულიერი და ხორციელი გვემის კოორდინატად ქცეულა, სადაც ისეთი რიხით დადიან მავანნი, რომ "თუ თავი ემშვენიერათ, არ დაგტოვებენ შენთვის, მშიერსაც..." ("მე ლუკმასაც კი დავეკითხები"). ნოსტალგია, რალაც თბილისი და ტკბილის მონატრება შემოდის უკიდურესი სულიერი წრიალის ჟამს. გახსენების და მოგონების ნიჭი ამოატივტივებს ძველისძველ, კობტა ქართულ სახლს, პაპისეულს. წარმოსახვაში ბრიალებს კერიის ცეცხლი, სითბო იღვრება, მაგრამ ეს სიზმარეულს უფ-

რო ჰგავს, სადაც მკაცრი რეალობა და
იმედგაცრუება შეიჭრება უნებლიედ:

ერთი დედაჩემს უნდა ვკითხო! –

გავიფიქრებ,

ამასაც თუ ფიქრი შექვია, –

**რადგან უცებ მახსენდება, დედაჩემი
რომ აღარ არის.**

(“ცეცხლის დანთება თიანეთში”)

ბესიკ ხარანაულის პოეზიაში ნატურა, მშობლიური სანახები, განსაკუთრებული გრძნობით და მონივნებით აღიქმება, ერთგვარად საკრალურიც კია იგი, ძალზე მახლობელი, დიდი გზის პირველი ნაფეხურებით, პირველი სევდით აღბეჭდილი. ამ ტექსტში პოეტური იმპულსი შორს მიდის, აქ “ადგილის დედის” გეოგრაფია დიდი სამყაროს ეპიცენტრია, აქედან იწყება პოეტის მეტა-სამყაროები, განსხვავებული ბილიკებით, განფენილობით, ხედვით, აღქმითა და განცდით.

ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი ბესიკ ხარანაულის ლირიკაში, “მკვდრების სიმღერა”, თითქოს დახვეწებული ტკივილების დანელილი ნაწილებია, კოშმარი – ამ ყოფიდან არყოფნისაკენ.

როცა ყველა ეს კოშმარი არყოფნაში

გადინაცვლებს,

როცა გაყვავილდება ცხოვრება და

ჩვენ აღარ ვიქნებით,

გახსოვდეთ, რომ ყველაფერი

ნამდვილად იყო!

თვითთრონია და მძიმე აღსარება, როგორც პოეტური საშუალება ცხოვრებისეული სიმწრის გასაიოლებლად, აქ ნაკლებქარაგმულია, ვიდრე ადრინდელ ტექსტებში. მაგრამ ვერანაირი აღსარება ვერ უძლებს პირობითობას და განუწყვეტილ უბრუნდება თავ-

დაპირველ არსს. გახსნილია, ხელისგულზე დევს ფაქტი და ყოველი ნახანავი ხილულია, გრძნობადია. ესეც კანონზომიერი შედეგია იმისა, რაც ვერ განიკურნა, ვერ ამოითქვა, რასაც ვერ ეშველა ქარაგმებით, მინიშნებებით, კითხვის ნიშნებით, პუნქტირებით... სამყაროც თითქოს უფრო გაუდაბურდა, სადაც “ხალხმა მარტო პირველის-ნერა ისწავლა ქრისტესგან, სხვა ყველაფერი, რაც ძნელია, მას შეატოვეს”... სადაც “ადამიანი ფასობს ცდუნებით”, სადაც “საბოლოოდ დარწმუნებულები მიწაში წვანან”.

ბესიკ ხარანაული – 1992-2002 წლის ლექსებით კვლავ ისაა, ვინც ამ ორმოცი წლის წინ წარუდგა რევერანსის გარეშე ქართული პოეზიის სამყაროს, იმ ნაცნობი ადამიანური განცხდებითა და გრძნობებით, ფიქრებით... ოღონდაც უფრო ღრმაა და ძლიერი ყოველივე. ხილული სამყარო კიდევ უფრო ხილულია, ზოგჯერ შემზარავად გამჭვირვალე. წარმოსახვითიც – დამძიმებული ამქვეყნიური, განუშორებელი იარებით. ოსტატობითაც სხვა საფეხურზეა აყვანილი, მაღალი პოეზიის ახალ სიმაღლეზე.

არაფერს ისე, როგორც პოეზიაში გაცხადებულ სიტყვას, არ შეუძლია სულის საღებუნობა (თუ ამ “სულს” დასანახად არ ეჯავრება ლექსი)... და თუკი ბესიკ ხარანაულის მკითხველი თუ მსჯავრმდებელი – როგორც თავად უწოდებს – წიგნის დახურვის შემდეგ თანაზიარი იქნება ფიქრისა – ამას ჩვენც განვიცდიდით, “ასე ვიცხოვრეთ ჩვენ საქართველოში, გახსოვდეთ, რომ ყველაფერი ასე იყო”, – პოეტს შეუძლია თქვას, რომ მის “ტანჯვის ხელოვნებას” ამაოდ არ ჩაუვლია.

ლია გუგუნავა

პარალელები

პრომეთე-ამირანი და ინდივიდუალური აზროვნის პარადიგმა უცხოურ რომანტიკულ ლიტერატურაში

მითს პრომეთეს შესახებ პირველად ვეცნობით ჰესიოდეს ნაწარმოებებიდან (VIII ს. წ-მდე). როგორც ვიგებთ, პრომეთე ხალხის საკეთილდღეოდ ორჯერ მოატყუებს ზევსს, ერთხელ სამსხვერპლო დეკეულის გაყოფის დროს, მეორედ ოლიმპოს მთიდან ცეცხლს მოპარავს და ხალხს ჩამოუტანს, რისთვისაც ზევსი პრომეთეს ბოძზე მიაჯაჭვავს და არწივს მიუჩენს. პერაკლე მოკლავს არწივს და გაათავისუფლებს პრომეთეს. თუ რა სახე ჰქონდა პრომეთეს მითს ჰესიოდემდე, უცნობია.

ესქილე მითს ფილოსოფიურ სიღრმეს აძლევს და პრომეთეს ტანჯვა ტრაგიკულ სიმაღლემდე აყვავს. ერთერთი სიახლე, რაც ჰესიოდეს მიერ გადმოცემულ პრომეთეს მითში ესქილეს შეაქვს, ის არის, რომ "ესქილე (525-455) გარკვევით მიუთითებს იმ ქვეყანაზე, სადაც მრავალხნოვან ნამებას მიეცა უსამართლოდ დასჯილი ტიტანი. ეს ადგილი კავკასიაა" (მიხეილ ჩიქოვანი, "მიჯაჭვული ამირანი", თბ., 1947, გვ. 126).

აქედან გამომდინარე მ. ჩიქოვანი ასკვნის, რომ V საუკუნეში ჩვ. წ-მდე საბერძნეთში არსებობდა ცნობა კავკასიონის მთას მიჯაჭვული გმირის შესახებ. როგორც სხვა მწერლებისგან ვგებულობთ, კავკასიაში პრომეთეს

ორეულიც არსებობდა და მას ქართველები ამირანს უწოდებდნენ.

პრომეთე-ამირანის მითოსურ სახეს ჩვენ შეგვიძლია გავეცნოთ ნიგნში "ამირანის თქმულება", სადაც მ. ჩიქოვანს შეკრებილი აქვს ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული თქმულებები ამირანზე. თქმულებების დამუშავებისა და ანალიზის შედეგად მ. ჩიქოვანი შემდეგ დასკვნამდე მივიდა: "სიუჟეტურმა და შინაარსობრივმა შედარებამ ცხადყო, რომ ძველი მთლიანი გადმოცემა თანდათან გადასხვაფერებულა, განშტოებულა და ისე დამკვიდრებულა ზეპირსიტყვიერებაში. ხალხის მხატვრული შემოქმედებიდან ამირანის სიუჟეტი ადრევე გადავიდა ხელოვნებასა და ლიტერატურაში... კოლხეთის გზით კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული ღვთის ურჩი გმირის თავგადასავალმა საბერძნეთამდე მიიღწია და გამოხატულა პპოვა ანტიკურ მწერლობაში" ("ამირანის თქმულება", დამუშავებული მ. ჩიქოვანის მიერ, ბოლოსიტყვაობა, თბ., 1961, გვ. 156).

როგორც ცნობილია, ესქილეს ტრილოგიის მიხედვით ბოლოს პრომეთე ურიგდება ზევსს. პრომეთეს მითის ახსნა მიუღებელი იყო რომანტიკოსებისათვის. მაგალითად, შელიმ არ მიიღო ბერძნული მითისეული გადან-

ყვეტა. ზევსისა და პრომეთეს შერიგება ულოგიკობად ჩათვალა. პრომეთეს ხასიათისათვის დამამცირებლად, მისი აზრით, ამით ჩრდილი ადგებოდა პრომეთეს სიდიადეს. "არ მომწონდა კვანძის ამგვარი გახსნა, რაც კაცობრიობის მხსნელისა და კაცობრიობის მჩაგვრელის შერიგებით მთავრდებოდა. ზნეობრივი არსი ლეგენდისა – რომლის სიდიადესაც პრომეთეს ტანჯვა და გამძლეობა გვიმტლავნებს – მთლიანად გაცამტვერდება, თუ წარმოვიდგენთ, რომ პრომეთე გადათქვამს თავის ნათქვამს და შიშით ცახცახებს მოზიემე და ცბიერი მტრის წინაშე. ერთადერთი, ვინც პრომეთეს სიდიადეს მოგვაგონებს, სატანაა; მაგრამ პრომეთე, ჩემი აზრით, უფრო პოეტური ხასიათისაა, ვიდრე სატანა; რადგან სიმამაცით, ბრწყინვალეობით, სიმტკიცითა და შეურიგებლობით წინ აღუდგება უზენაეს ძალას, და, ამავე დროს, თავისუფალია პატივმოყვრული სენის, შურის, შურისგებისა და პიროვნული განდიდების სურვილისაგან... პრომეთე უაღრესად დაბეუნებული ზნეობისა და ინტელექტუალური ბუნებისა გახლავთ, უწმინდესი და უჭეშმარიტესი სურვილებით ისწრაფის საუკეთესო და უკეთილშობილესი მიზნისაკენ" (წინასიტყვაობა დრამისა "განთავისუფლებული პრომეთე", ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა, ესეები, თბ., 1989, გვ. 91-92).

ბერძნულ მითში პრომეთეს კონცეფციას თავისი გამართლება ჰქონდა. პერაკლეს ის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული, რომ პრომეთე დაემცივებინა. შალვა ნუცუბიძის მტკიცებით, "პრომეთე-ამირანი განთავისუფლებულია ზევსის მიერ არა უკანასკნელის წამებისადმი სიბრალულისა და სიმპათიის გამო, არამედ იმისათვის,

რომ... ნაჩვენები ყოფილიყო ბერძნული გმირის პერაკლეს ძალა, რომელიც პრომეთე-ამირანს უპირისპირდებოდა... პერაკლეს... დავალებული ჰქონდა, ელინური მითოლოგიური წარმოდგენით, დაეძლია გმირი პრომეთე-ამირანის უცხო სახე" (შალვა ნუცუბიძე, ფილოსოფიამდელი სააზროვნო ელემენტები მითოლოგიურ პოემა "ამირანში", ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, 1956, გვ. 54).

შელისეული ინტერპრეტაცია ახლოსაა ხალხურ პრომეთე-ამირანის სახესთან. ამირანი თქმულებაში ბოლომდე რჩება ქედმოუბრელი, ძლიერი და იბრძვის კეთილშობილი მიზნებისათვის. თუმც არიან ისეთი კრიტიკოსები, რომლებიც არ ეთანხმებიან ამირანის ასეთ გაგებას და არც პრომეთესთან ნათესაობა მიაჩნიათ დამარწმუნებელ ფაქტორად. ერთ-ერთი მკვლევარი ერთმანეთს ადარებს ბერძნული ლიტერატურული ძეგლებიდან შექმნილ პრომეთეს სახეს ხალხურ სიტყვიერებაში გავრცელებულ ამირანის თქმულებებს და მათ შორის კავშირის უარსაყოფად ასეთი მცდარი არგუმენტები მოჰყავს: "ბერძნულ წყაროებში პრომეთე გვევლინება ღმერთის უსამართლობისაგან ადამიანის დამცველად... ამას გარდა, უმრავლეს კავკასიურ ლეგენდებში მიჯაჭვული ბუმბერაზი ღმერთის მიერ დასჯილია იმის გამო, რომ მან ხალხს ზიანი მიაყენა. ეს არის გოლიათი მტაცებელი, სისხლის მოყვარული, თავგასული, რომელიც სუსტებს ყოველგვარი სასჯელის გარეშე სასტიკად უსწორდება... მას რომ ჯაჭვი გაეწყვიტა, ამას ადამიანის დალუპვა და სამყაროს დამხობა მოჰყვებოდა" (ნუსინოვი, ლიტერატურული გმირის ისტორია, 1958, გვ. 9. რუსულ ენაზე).

რამდენად სწორია ამირანის ამგვა-

რი ინტერპრეტაცია, შეგვიძლია განვსაჯოთ შალვა ნუცუბიძის მიერ რესტავრირებულ მითოლოგიურ პოემა "ამირანის" მიხედვით. აქ ნათლად ჩანს ამირანის საქციელის მოტივები.

უპირველეს ყოვლისა, არის თუ არა პოემაში ცეცხლის მოტაცება სიმბოლურად გამოხატული და ჰქონდა თუ არა მას კაცობრიობისათვის სარგებლობის მოტანის იდეა?

ამირანი მიმართავს ყამარს:

– ყამარო, შენთან მოვსულვარ,
 მნათობო ქვეყნის თხემისა,
 ჩამოდი ქვეყნად წავიდეთ
 საშველად კაცთა თემისა" (ამირანი, მითოლოგიური პოემა, განახლებული რესტავრირებული შალვა ნუცუბიძის მიერ, 1945, გვ. 101).

ღმერთთან ბრძოლა პოემაში დაკავშირებულია ცეცხლის მოტაცებასთან. ყამარი – მნათობი ცეცხლის სიმბოლური გამოხატულებაა. ყამარის მამა, ღრუბელთა ღმერთია, რომელიც უნიჩალმდეგება ამირანს ყამარის მოტაცებაში, რაც სიმბოლურად აღნიშნავს ზეციერის მიწაზე ჩამოტანას. ისე რომ, ქალის მოტაცება აქ, სიმბოლურად, პროგრესისათვის ბრძოლაა და არა პირადი ძალის გამოჩენა.

"არაეის სურდა ზეციერს
 ყამარს ქვეყანა ენათა,
 ზეციდან ცეცხლის წალება
 ვერ ეთქვა ღმერთთა ენათა,
 კაცთა უცეცხლოდ დაგდება
 ღმერთებს ჰქონოდათ რწმენათა;
 დღეს ის მიწიერს მიჰქონდა
 ღმერთების შესარცხვენადა".

ახლა საინტერესოა რამდენად ჩანს პოემაში ამირანისაგან ხალხის მოსარჩლეობა.

"მოისმა ამირანზედა
 ხმა ზეციერთა წყრომისა,

გასამართლება უნდობი
 ქვეყნიერების ლომისა.
 შეშინდა ხალხი, ნაშობი
 გაჭირვების და შრომისა;
 ახსოვდა ამირანისგან
 მადლი დევების ომისა,
 რომ დაარჩინა, არ გახდნენ
 მსხვერპლი იმათი ნდომისა".

ხალხს რომ ამირანი უყვარს და მასზე იმედებს ამყარებს, ეს ჩანს მათ ლოცვაში:

"ბატონებო, მოუსმინეთ
 ლოცვა, ცაში ერთა.
 ამირანის უყოლობა
 გაგვხდის მთლად მშვიერსა...
 ნეტავი ვინ-ღა იფიქროს
 კაცთა მოსდგმისა ბედზედა?".

ისე რომ, ამირანი პროგრესისათვის მებრძოლია. დევებთან ბრძოლა სიმბოლურად ხალხის გადარჩენის იდეას ატარებს.

პრომეთეს შესახებ მითი რომ იცნობდა თქმულებას ამირანზე, და რომ პროგრესულობა პრომეთეს ამირანისგან აქვს მემკვიდრეობით გადმოცემული, ამის შესახებ მრავალი საბუთი მოგვეპოვება.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, "თქმულება კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული გმირის შესახებ საქართველოში არსებობდა უკვე ქრისტიანობის წინათ, წარმართობის დროს" (ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, წიგნი I, თბ., 1960, გვ. 161).

სიმონ ყაუხჩიშვილის მტკიცებით, "პრომეთე არ არის ბერძნული ლეგენდა, იგი იმ ხალხის ღმერთია, რომელიც ბერძნების მოსვლამდე ცხოვრობდა და რომელიც მაღალი კულტურის მატარებელი იყო. ხოლო ზევსი წმინდა ბერძნული ლეგენდაა... ჩვენი მეცნიერების დღევანდელი მოღვაწე-

ები გვაეალებენ, ისიც ვთქვათ, რომ ის ძველი მოსახლეობა მერმინდელი საბერძნეთისა (ე. წ. წინაბერძნული მოსახლეობა) ენათესავება ქართველურ-კავკასიურ ტომებს და პრომეთეს თქმულება, რომელიც საბერძნეთში დარჩენილი უძველესი თქმულებათაგანია, მოუთხრობდა სწორედ ახლად მოსული ბერძნების ბრძოლაზე წინაბერძნულ მოსახლეობასთან... ესქილეს დროს (VI-V საუკუნეები), რასაკვირველია, აღარავის ახსოვდა ამ თქმულების წარმოშობა და პრომეთეც და ზევსიც ბერძენ ღმერთებად მიაჩნდათ, რადგან ახალმა ძველი დაიმორჩილა და, ბოლოს, პრომეთეც შეურიგდა ზევსს. ხოლო დაპირისპირება კულტურულობისა და ჩამორჩენილობისა, პროგრესისა და რეგრესისა, მუდამ იგრძნობოდა ამ თქმულებაში" (ს. ყაუხჩიშვილი, შესავალი წერილი, ესქილე, "მიჯაჭვული პრომეთე", 1958, გვ. 7-8).

ჩვენმა თანამედროვე მეცნიერებამ განავითარა პრომეთეს საკითხი. პრომეთეს მითი ახლებურად ახსნა. დღესდღეობით დამტკიცებულია, რომ მითი პრომეთეს შესახებ ქართული წარმოშობისაა. იგი ეკუთვნის წინაბერძნულ, პროტო-ქართულ მოდგმას. არა მარტო პრომეთე, არამედ პერაკლეც არ არის ბერძნული ღვთაება. პერაკლე ძველ იბერთა უძველესი ღვთაება და გმირია. პრომეთე, ანუ პროქართული (იაფეტური) მოდგმის, დამდაბლება იმაში კი არ გამოიხატება, რომ პრომეთე პერაკლემ იხსნა, არამედ იმაში, რომ პრომეთე ზევსმა, ანუ ახლად მოსულმა ინდოევროპულმა მოდგმამ, მიაჯაჭვა კავკასიაზე, ე.ი. მისი მოღვაწეობის სფერო შემოზღუდა კავკასიით. მაგრამ პრომეთე განთავისუფლდება და დაიბრუნებს თავის ძალას. კაცობრიობისათვის კვლავ გახდება კულტურისა და პროგრესის მომტანი.

ქართულ მითოლოგიურ ძეგლში პრომეთე-ამირანი არამც თუ არ ურიგდება ტირანს, ძალმომრეობას, არამედ რჩება მარად ცოცხალ გმირად, ჩაგრულთა მფარველად. "ხალხს სჯერა, რომ ამირანი ახლაც ცოცხალია, ამირანი უკვდავი არსებაა" (ივ. ჯავახიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 152).

ამირანის გამარჯვების რწმენა მუდამ თან სდევდა ქართულ პოეზიას, სჯეროდა, რომ

*"მოვა დრო და თავს აიშვებს,
 იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი..
 სიბარულად შეეცვლება
 ამდენი ხნის გასაჭირი!.."* (აკაკი წერეთელი, ლექსები, ტ. I, თბ., 1940, გვ. 354).

მითი პრომეთეს შესახებ რომანტიკოსებისათვის საყვარელ სიუჟეტად იქცა. რომანტიკოსებმა პრომეთეში იპოვნეს უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანი. ამაყი პიროვნების პროტესტი სამყაროს მონყოილობის წინააღმდეგ რომანტიკოსების ერთ-ერთი ძირითადი თემაა, რასაც დასაბამი მისცა გოეთეს გმირებმა (პრომეთე, გოეც ფონ ბერლინპიგენი, ვერტერი).

გოეთეს დაუმთავრებელი ტრაგედიის გმირი, პრომეთე, კაცობრიობისათვის თავდადებული მეომარია. მას არ ესაჭიროება ზეცის მაცხოვრებლების ძალაუფლება და სიმდიდრე. პრომეთეს ენატრება უსაზღვრო თავისუფლება და ძალა. გოეთეს პრომეთეს ამბოხის მოტივია ხალხისათვის სიკეთის მოტანა, ძალადობის მოსპობა. "ცეცხლოვანი გული" აძლევს გოეთეს პრომეთეს გამძლეობას და ძალას, წინ აღუდგეს ძალმომრეობას.

*"მე ვინ მიშველა, როს შეემართე
 შებმა ტიტანებს?"*

სიკვდილს, კაეშანს და მონობას
ვინ განმარბდა?

ო, ცეცხლოვანო გულო, ეს ხომ
შენ აიტანე,

შენ გამოხევედი ყველა საფრთხის
ნიაქარიდან"

(იოჰან ვოლფგანგ გოეთე, რჩეული
ლირიკა, პრომეთე, თარგმნილი აკაკი
გელოვანისა, თბ., 1972, გვ. 105-107).

გოეთეს ეს ადრეული ნაწარმოები
რომანტიკოსებისათვის იმით არის
მნიშვნელოვანი, რომ "პრომეთეს სა-
ხით გოეთემ გამოხატა შტურმურული
ტირანმებრძოლობა და თავისუფლე-
ბისმოყვარულობა. პრომეთეს აღნიშ-
ნული ღირსებანი, - ნების სიმტკიცე
და ხასიათის შემმართველობა, სულის
სიმაღლე და ღირსების გრძნობა, -
ნამდვილი მებრძოლის თვისებებს
წარმოადგენენ და კაცს არავითარი
ავტორიტეტისა და ძალმომრეობის
წინაშე არ ახრევიანებენ ქედს" (ოთარ
ჯინორია, გოეთეს შემოქმედებითი
გზა, თბ., 1966, გვ. 160).

გოეთეს პრომეთემ გამოძახილი
პოვა ბაირონის და შელის პოეზიაში.
ბაირონის მთელი შემოქმედება გაფ-
ლენთილია პრომეთეიზმის მოტივე-
ბით, მაგრამ პრომეთეს მებრძოლი ხა-
სიათი ყველაზე მკვეთრად გამოხატუ-
ლია ლექსში "პრომეთე", რომელიც
ხაზს უსვამს პრომეთეს ნებისყოფას.
სწორედ ნებისყოფამ გაამარჯვებინა
ხალხისათვის თავდადებულ გმირს.

"შენს სხეულში იბრძოდნენ ორნი -
ნებისყოფა და წამების ღმერთი...

შენმა ფარულმა, დიდმა ძალამ ისე
იმძლავრა,

რომ მებთამტებელს ხელში ეღვა
აუცახცახბა..."

(ჯორჯ გორდონ ბაირონი, ლირიკა,
პრომეთე, თბ., 1965, თარგმნილი ჯან-
სულ ჩარკვიანის მიერ, გვ. 69-70).

ბაირონის აზრით, პრომეთესნაირი
ადამიანიც კი ღვთაებრივია და მასაც
ძალუძს, გრიგალივით მოვარდნილ
ჭირ-ვარამს მკერდით დაუდგეს.

"შენ გვიანდერძე გაკეთილი ჯერ არ-
ნანახი,

თუ ძლიერების სადმე გმირია,
შენ ხარ სიმბოლო მოკედავთ ბედის და
სიამაყის.

ადამიანი შენნაირი, ღვთაებრივია...
დიდი სიმტკიცით, ნებისყოფით და აზ-
როვნებით

თვით წამებაშიც იმარჯვებს და ლაჩ-
რად არ რჩება.

იმარჯვებს იგი, არც ერთ გრიგალს არ
ემონება".

რომანტიკოსებისათვის არანაკ-
ლებს საინტერესოა პროტესტის გამოხ-
ატეული გოეთეს სხვა გმირებიც. გო-
ეთეს ვერტერის რეალისტური ხასია-
თი პრომეთეს მითოლოგიური სახის
მხატვრული ეკვივალენტია. რომანში
"ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი" გო-
ეთემ წარმოგვისახა პიროვნება გრან-
დიოზული პრეტენზიებით; პიროვნე-
ბა, რომელიც ვერ ურიგდება გარე-
მომცველ სინამდვილეს. გმირი ტიტა-
ნური პრეტენზიებით ეძებს გრანდიო-
ზულ საქმეებს სამოღვაწეოდ, ვერ ნა-
ხულობს თავისი ნიჭის შესაფერ სარ-
ბიელს, მაგრამ მისთვის უცხოა ბრძო-
ლა. ვერტერს ბევრი რამ აკავშირებს
ჰამლეტთან. ზოგადსაკაცობრიო იდე-
ები, შეურიგებლობა არსებულ სინამ-
დვილესთან, დიადი საქმეებისაკენ
სწრაფვა, ტრაგედია იმის გამო, რომ
მონოდების მიხედვით არ ცხოვრობს
და სხვა. მაგრამ მსგავსებასთან ერ-
თად განსხვავებაც ბევრია მათ შორის.
ჩვენ თუ ვერტერს გოეთეს თვალთ
დანახულ სენტიმენტალურ ჰამლეტს
შევადარებთ, მაშინ ის ვერტერთან იქ-
ნება გაიგივებული. ჩემთვის ნათე-

ლია, რომ შექსპირს სურდა, გამოეხატა დიადი საქმე, დაკისრებული ისეთ ადამიანზე, რომელსაც მის განსახორციელებლად ძალა არ შესწევს... მუხა ჩარგულია ნატივთ ქურტელში, ფესვები მას ამსხვრევენ და ის ილუპება" (გოეთე, ვილჰელმ მაისტერის სწავლების წლები, 1959, გვ. 209. რუსულ ენაზე).

ასეთი თვალსაზრისით დანახული ჰამლეტი ვერ უძლებს სიძინელებსა და წინააღმდეგობების გადალახვას. ამიტომ ილუპება. ასე შეგვეძლოს გაგვეგო ვერტერი, რომელიც უმხედრდება გერმანულ ფეოდალურ ოლიმპს. მაგრამ მისი ამხედრება ფეოდალური ტირანიის წინააღმდეგ მთავრდება თვითმკვლელობით. ვერტერს არა აქვს მებრძოლის ის თვისებები, რაც გოეთეს პრომეთეს ახასიათებს: ტირანმებრძოლებმა, თავისუფლების მოყვარულობა, ნების სიმტკიცე. ამ მხრივ ჰამლეტი გოეთეს პრომეთესთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე ვერტერთან.

გოეთეს გავლენით, მაგრამ სრულიად თავისებურად აქვს განვითარებული პრომეთესიტური მოტივები ბაირონს თავის დიად ხასიათებში მანფრედი და კაენი, რომლებიც გამოხატავენ საზოგადოებრივი ბოროტების წინააღმდეგ ამბოხს.

მანფრედი ინდივიდუალური მემბოხეა. იგი უმხედრდება ხალხის შემგუბლობას, ფლიდობას, ორპირობას და ა. შ. მაგრამ მისი უკმაყოფილება მხოლოდ ადამიანის გაუტანლობით როდია გამოწვეული. მას არ აკმაყოფილებს ის ცოდნა, რაც მისცა XVIII საუკუნის განმანათლებლობამ. მანფრედის ძალა ცოდნაშია, რომელიც მისთვის არ მიუცია არც ღმერთს და არც ეშმაკს. თვითონვე შეიძინა მძიმე შრომის შედეგად.

"მე მქონდა ძალა, მაგრამ იგი შენგნით არ იყო, ის მომანიჭა ნებისყოფამ უტეხმა ჩემმა, შრომამ სასტიკმა, ღამეებმა ნათლად ნათევმა

და იმ უძველეს დღეთა სიბრძნემ..." (ბაირონი. "მანფრედი, კაენი... თარგმანი კონსტანტინე ჭიჭინაძისა, თბ., 1948, გვ. 63).

ეს აშკარა პრომეთესიტური გამოხვევაა. მანფრედი თავის თავში გრძნობს პრომეთეს ცეცხლს. აკი თვითონვე ამბობს:

"ნაღვერდალი პრომეთესის, ჩემში გიზგიზით რომ ანთია, — იმდენადვეა ყოვლის შემცველი და ძლიერი რამდენად თქვენი..."

მანფრედი გმირად დარჩა ბოლომდე. ქედი არ მოუხრია ტირანიის წინაშე. ბაირონმა "კაენში" უკვე პრომეთეს მისია დააკისრა ბიბლიურ გმირებს კაენსა და ლუციფერს. კაენში იღვიძებს პროტესტის გრძნობა ღმერთისადმი. კაენი მოკავშირედ ნახულობს ლუციფერს. ღმერთი გაიგვივებულია მიწიერ ტირანთან. ლეგენდის გმირები ბაირონს გააზრებული აქვს ახლებურად. კაენი და ლუციფერი სიძულვილით ივსებიან ყოველივე იმისადმი, რაც ახშობს თავისუფალ აზრს და ზღუდავს პიროვნებას. თუ მანფრედი თვლის, რომ ცოდნას არ მოაქვს ბედნიერება, კაენის დევიზია ცოდნა უნდა ემსახურებოდეს ბედნიერებას. მაგრამ ვერც კაენი და ვერც მანფრედი ვერ მაღლდებიან ბაირონის პრომეთემდე, რადგანაც ისინი ვერ პოულობენ გამოსავალს.

შელის დრამაში "განთავისუფლებული პრომეთე" პრომეთე ატარებს იმ იდეას, რომ ხალხის დალუპვისაგან და-

სახსნელად ერთადერთი გზაა – დაუცხრომელი ბრძოლა პოლიტიკურ ტირანიასთან. პრომეთეს გმირობა შთააგონებს ადამიანებს, რომ მხოლოდ ბრძოლით შეუძლიათ მოიშორონ ზეცის უღელი.

“Вот обманутый народ
От отчаянья восстал
Полднем ярким заблестал
Правды хочет, правды ждет,
Воля дух его ведет“...
Шелли Освобожденный Прометей
1904, стр. 10

ქართული რომანტიზმის ლირიკული გმირი და ჰამლეტი (მეამბოხე ინდივიდი ბარათაშვილის, შექსპირისა და ბაირონის მხატვრული წარმოსახვით)

ჩვენი ამოცანაა გავანალიზოთ მეამბოხის პრობლემა ნ. ბარათაშვილის ლირიკაში და პარალელები გავავლოთ ჰამლეტთან. ქართულ ლიტერატურულ ტრადიციასთან ჰამლეტის იდეური ნათესაობა ნაწილობრივ ამ პრობლემის მსგავსად გადაწყვეტამაც განაპირობა, რომელიც სათავეს იღებს ქართული მითოლოგიური გმირის პრომეთე-ამირანის ხასიათში. რადგანაც ბარათაშვილის ლირიკა ქედმოუხრელი ბრძოლის წყურვილით ეხმიანება თავისი ეპოქის გამათავისუფლებელ მოძრაობას, ეპოქალური საჭირობოროტო საკითხები პროგრესული რომანტიზმის წარმომადგენლებს ერთმანეთთან აერთიანებთ, ისინი ერთ მთლიანობას ქმნიან საკაცობრიო მნიშვნელობით; ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ბარათაშვილის “მერანის” ჰამლეტთან ანალოგიები სხვა დიდი მასშტაბის პროგრესული რომანტიკოსების ნიმუშების ფონზე მოქმედნით. ამბოხის თემა ამ გმირებში დაკავშირებულია საერთო ჭირთან, რომელიც

პერკულესში შელი აქსოვს საზის მასის როლს. ამდენად, პოეტის აზრით, მასაც და დაუცხრომელ მებრძოლ პრომეთეს ხალხის შეერთებული ძალა უდგას მხარში. ხალხის გარეშე შელისათვის არ არსებობს ბრძოლა და ამ ბრძოლაში გათარჯუნების მოპოვება. ამიტომაც იყო, რომ მან ბაირონის მისამართით საყვედური გამოთქვა გმირის ხალხისაგან მოწყვეტის გამო. მიუხედავად ბაირონის გენიოსობისა, შელიმ არ აპატია მას მანფრედის განცალკევებული ამბოხი.

ერთიანად აღვლევთ სხვადასხვა ქვეყნის მწერლებს. ილიას სიტყვებს თუ გავიხსენებთ, ნ. ბარათაშვილის “კენესა კაცობრიობის კენესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერ მიწვდენა სურვილისა კაცობრიობის უღონობაა”, და რომ ბედის საზღვრის გარღვევისა და მოქმედებისათვის დაუსრულებელი სივრცის ძიებისათვის “ბაირონის კაინმა ლუციფერი აირჩია, გეტეს ფაუსტმა – მეფისტოფელი და ჩვენმა პოეტმა – “მერანი”, ესე იგი თავისი სულის ქროლა” (ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1958, გვ. 211, 216). რადგანაც პრომეთე ერთგვარ ხიდსა ქმნის რომანტიკულ გმირსა და ჰამლეტს შორის, გვერდს ვერ აწევლით პრომეთე-ამირანის მითოსურ და ლიტერატურულ სახეებს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა პრომეთეს სახელწოდება, არამედ ლიტერატურულ გმირში პრომეთის-ტურის მოტივების გამოვლენა: ტიტანიზმი, ძალმომრეობის წინაშე ქედმოუხრელობა, ნებისყოფის სიმტკიცე,

ადამიანის ვალის შეგნება, რაც ზნეობრივ ასპექტებსაც შეიცავს, ბრძოლა პროგრესისათვის და ა. შ. ე. ი. ისეთი თავგანწირული ადამიანის ტიპი, რომლისთვისაც კრეფოა პრომეთეს სიტყვები: "მე არ გავცვლიდი ჩემს წამებას შენს მონობაზე" (ესქილე, "მიჯაჭვული პრომეთე", თბ., 1958, თარგმანი ა. ქუთათელაძის, გვ. 54-55).

პროგრესული რომანტიზმი მთელ მსოფლიოში განმათავისუფლებელი მოძრაობის თანახმიერად თვლიდა შექსპირის იდეალური გმირების სწრაფვას სამართლიანობისა და თავისუფლებისაკენ. ერთ-ერთი მიზეზი, რითიც რომანტიკოსები დაინტერესდნენ რენესანსის ეპოქის დიდი დრამატურგით, ის არის, რომ შექსპირი ადიდებს ადამიანს, მის ძალას, ტიტანურ გმირებს ხატავს. ყურადღების ცენტრში აყენებს ადამიანის სწრაფვას თავისუფლებისაკენ. შექსპიროლოგიურ ლიტერატურაში შენიშნულია ჰამლეტის ნათესაობა პრომეთესთან, რასაც დაეუმატებდით იმას, რომ რომანტიკოსებისათვის, ალბათ, სწორედ ამ მხრივ იყო ახლობელი შექსპირის ჰამლეტი.

ჰამლეტი პრომეთესებურად ებრძვის ტირანიას: „Я в не променял своих скорбей на рабское служенье - по своему бромает в лицо тиранищему его «пустому веку» В страданиях мысли правдивой требовательной бескомпромиссной - его жребий» /И Верцман «Гамлет» Шекспира, М, 1964, стр. 106/

"ტრაგედია ატარებს ტირანსაწინააღმდეგო ხასიათს. მთელი თავისი შინაარსით აშიშვლებს ფეოდალიზმის სოციალურ და პოლიტიკურ სისტემას" (ნ. ჟერიკოვა, შექსპირისა და გოეთეს შემოქმედების შესახებ, 1955, გვ. 27. რუსულ ენაზე).

ჰამლეტი, როგორც მებრძოლი და

თავისუფლების მოყვარული გმირი არ შეიძლებოდა არ გამხდარიყო პროგრესული რომანტიკოსებისათვის ყურადღების ღირსი.

იმისათვის, რათა დავრწმუნდეთ იმ აზრში, რომ სწორედ ეს პრომეთესიტური მოტივები აერთიანებთ რომანტიკულ გმირებს ჰამლეტთან, საკმარისია იგი შევადაროთ ბარათაშვილის მერანს და ბაირონის მანფრედს.

ქართულ რომანტიზმს პრომეთე-ამირანის სახე განსაკუთრებული ძალით შეესისხლბორცა. ამის საუკეთესო ნიმუშია ბარათაშვილის პოეზია. "მერანის" ავტორს თავისუფლებისათვის ბრძოლაში შემწეთა ჰყავს ამირანის უკუდავი სახე, როგორც ქართველი ხალხის სიმტკიცის სიმბოლო. "ამირანის გმირულ სულს... უხილავი ძაფებით უკავშირდება "მერანი" (გიორგი აბზიანიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ქართ. ლიტ. ისტ. ტ. 3, 1969). რომანტიკული ხელოვნების ამ სახე-სიმბოლოში გამოხატულია პრომეთე-ამირანის გაუტყეველი გმირული სული. ნ. ბარათაშვილმა პრომეთე-ამირანის ტიტანიზმი, ძალადობის წინაშე ქედმოუხრელობა, დაუმორჩილებლობა, თავისუფლებისაკენ სწრაფვა დიდი მხატვრული ძალით განაზოგადა და ფილოსოფიურ ასპექტში წარმოგვიდგინა.

ვიდრე დასახელებულ გმირებს ერთმანეთს შევადარებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, გავარკვიოთ რა ხასიათისაა ამ გმირების პესიმიზმი და რამდენად ეწინააღმდეგება მათ მებრძოლ ხასიათს. ერთი რამ უტყუარია. რომანტიკული გაგებით ჰამლეტი არ შეიძლებოდა ყოფილიყო უძლური ხასიათის მქონე პიროვნება, ხელჩაქნეული პესიმიზტი. მაშინ ის არ იქნებოდა რევოლუციური რომანტიკული პრინციპების თანაზიარი და ინტერესს და-

კარგავდა რომანტიკოსებისათვის და, ბუნებრივია, არც "ჰამლეტის" ავტორი გახდებოდა მათთვის კერპი. მაგრამ თუ გავიზიარებთ პესიმისტის იმ არასწორ გაგებას, რომელსაც ხშირად აწერენ ხოლმე ამ გმირებს, მაშინ, ცხადია, არამც თუ წინააღმდეგობა შეიქმნება, არამედ საერთოდ მოიხსნება მათი მებრძოლი ხასიათი. მაგალითად, გ. ქიქოძე ასე ახასიათებს ქართველ რომანტიკოს პოეტს: "ნიკოლოზ ბარათაშვილი პესიმისტი და ინდივიდუალისტი, ყველაზე უკიდურესი ინდივიდუალისტი ქართულ ლიტერატურაში" (გ. ქიქოძე, ქართველი კლასიკოსები, თბ., 1942, გვ. 27. რუსულ ენაზე).

ლექსებსა და წერილებში ბარათაშვილი თვითონვე ხსნის თავის სულითობლობის მიზეზს. რომ მას არავინ ეგულება "სავესე და ვრცელ სოფელში", ვისაც მიენდობოდა. ირგვლივ ცბიერებას, უგულვობას, უნიჭობას და უსადაგურებას, რომლებიც წამლავენ პოეტის სულს. ხოლო თავისი მდგომარეობის ტრაგიზმს ასე განსაზღვრავს დიდი საქმეებისთვის მოწოდებული შემოქმედი: "ჩვენი დანიშნულების მიზანმიუღწევლობა, ადამიანის სურვილთა უსაზღვროება და მთელი ციხევეშეთის ამოუება" (იხ. ზაქარია ორბელიანისადმი მიწერილი ბარათი, 1844 წლის 15 აპრილი).

ჰამლეტის ნაღველს შექსპირი გარემო-პირობებით ხსნის. მეტაფორები: "დანია საპყრობილეა", "გაუმარგლავე ბალი" (ქვეყანა) და სხვა სწორედ გარემოებით გამოწვეული პესიმისტის მაჩვენებელია. ჰამლეტი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ დიადი საქმეების შესასრულებლად მოწოდებული ადამიანი იძულებულია ლაჩრად იქცეს, რადგან საამისო პირობებს ვერ ხედავს სინამდვილეში.

"აი, ასე გვხდის ლაჩრად ჩვენივე ცნობიერება, გამბედაობას მოსაზრება უსუსტებს შუქსა და სასახელო ძლიერ საქმედ, დიდად გაზრახულთ წინ ელობება" (III, I).

მანფრედის პესიმისტიც გაორებამ გამოიწვია. ადამიანი, რომელიც იმდენ ძალებს ხედავს თავის თავში, რომ ხალხის წინამძღოლი შეიძლება გამზდარიყო, სურდა განმანათლებლად მოვლენოდა თანამემამულეთ, იძულებულია გაერიყოს ცხოვრებას.

"დიად, მამაო, მეც ვზიდავდი ოცნებებს გულით, მალალ მიზნებით სიჭაბუკე დავეტვირთე ჩემი:

მსურდა ხალხისთვის ვყოფილიყავ განმანათლებლად,

ცადავსულიყავ - მაგრამ რისთვის? ეს მე არ ვიცი..."

"მგლების ხროვაში

არა მსურს გარევა, თუმც შევძლებდი ხელმძღვანელობას" (ბაირონი. მანფრედი, კენი, ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა, თარგმანი კონსტანტინე ჭიჭინაძისა, თბ., 1948, გვ. 55-56).

აქედან მომდინარეობს გმირთა საყვედური, რომ დაკარგეს ცხოვრების მიზანი. ბარათაშვილი წყველის ბოროტ სულს (ე. ი. იმ ხელის შემშლელ პირობებს, რომელნიც წინ ელობებიან პოეტის კეთილ ზრახვებს), რომ მან მოუკლა ის იმედები, რაც ყმანვილკაცობაში ლამაზად ესახებოდა.

"წყველი იყოს დღე იგი, როს შენთა აღთქმათა ბრმად ეუმსხვერპლიდი, მივანდობდი ჩემთ გულის-თქმათა!..

რა ვარ აწ სოფლად დაშენილი უსაგ-
ნოდ, მარტო,
ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სუ-
ლით მახერალი?
ვაი მას, ვისაც მოჰხვდეს ხელი შე-
ნი მსახერალი!" ("სულო ბოროტო").

"მსახერალი ხელი" მოხვდა ჰამ-
ლეტსაც. მასაც დაემსხვრა იმედები,
ვიტენბერგის უნივერსიტეტში რომ
აგებდა მომავალ ცხოვრებაზე. დაკარ-
გა რწმენა ადამიანში. ცხოვრების სი-
მუხთლე თავის თავზე გამოსცადა. პუ-
მანისტს სულ სხვა მისია უნდა შეეს-
რულებინა, ბედმა კი სულ სხვა არგუ-
ნა წილად. სასოწარკვეთილია და ქვე-
ყანას შავი ფერებით მოსავს.

"ოჰ, ღმერთო, ღმერთო! ყველა
საქმე ამ წუთის სოფლის

როგორ ფუჭია, უნაყოფო, დაობე-
ბული,

თითქოს ქვეყანა იყოს ბალი გაუ-
მარგლავი,

რამიაც ხარობს მხოლოდ ღვარძ-
ლი, ცუდი ბალახი...

ცუდ ამბებს ვხედავთ, კვლავაც
უნდა ცუდს მოველოდეთ.

გაიპე გულო, რაკი ენა უნდა და-
დუმდეს" (1,2).

ბარათაშვილის გმირს, ჰამლეტს
და მანფრედს ერთი და იგივე საფუძ-
ველი აქვთ პესიმიზმისათვის. მათი პე-
სიმიზმი გამოწვეულია ჯამთა ვითარე-
ბით. მაგრამ რაც უფრო ძლიერია მათი
პესიმიზმი, მით უფრო ძლიერია
პროტესტი არსებული საზოგადოების
მიმართ. სამივე გმირი ტრაგიკულია.
ბარათაშვილის ლირიკის გმირის ტრა-
გიზმი გამოვლენილია ისევე მძაფრად,
როგორც ეს შესაძლებელია დრამა-
ტულ ნაწარმოებში. ლექსები მონო-
ლოგების მაგიერობას წყვენი. აქ ისმე-
ბა დიდი პრობლემები და წყდება მო-
წინააღმდეგე ძალთა პაექრობის

გზით. თავისუფლებისათვის მებრძო-
ლი ძლიერი პიროვნება შეჭიდებულია
ბედთან, ანუ შავბნელ ძალებთან, რო-
მლებიც ხელს უშლიან ხალხს პროგ-
რესში.

მთლიანობაში ბარათაშვილის ლი-
რიკიდან გმირი გვეხატება ამაღლე-
ბულ ძლიერ პიროვნებად, უტყუი ნე-
ბისყოფით, რომლისთვისაც დამახასი-
ათებელია ჰამლეტიზმი (შინაგანი წი-
ნააღმდეგობები). ბარათაშვილის გმი-
რი, ისევე როგორც ჰამლეტი და მან-
ფრედი, შინაგანად თავისუფალია. არ
ემორჩილება არავითარ ძალას, მხო-
ლოდ მანფრედივით ქედმოუხრელო-
ბით არ იფარგლება. მისი პროტესტი
უფრო შორს მიდის. აქტიური ბრძო-
ლისათვის დებს თავს. როგორც ყველა
ჭეშმარიტ გმირს დიდი მისია აკისრია
– ქვეყნად ბოროტების მოსპობა, გან-
მათავისუფლებელი ბრძოლისათვის
თავის დადება.

პოეტის წინაშე დგება მთელი რიგი
წინააღმდეგობები, რომლებიც თავი-
სუფლებისათვის მებრძოდ ადამიანს
ელობება, მაგრამ ბარათაშვილის გმი-
რი არ უშინდება მათ. იგი ამბობს უც-
ხადებს უკუღმართ ბედს. სიმბოლო-
რად ადამიანის ბედს შავი ყორანი გა-
მოხატავს. პოეტის ბრძოლა თავისუფ-
ლებისათვის ბედთან შეჭიდებული
მხედრის სახითაა გადმოცემული.

"მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ
ჩემი მერანი,

უკან მომჩხავის თვალბედითი შავი
ყორანი,

გასწი, მერანო, შენს ქენებას არ აქვს
სამზღვარი

და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად
მლელვარი!"

("მერანი")

მფრინავი რამის ქროლა სივრცეში,

რომელსაც უკან მოსჩხავის შავი ყორანი, გამოხატავს გმირის შეუპოვრობას, დიდ ენერჯიას. თავისი კეთილშობილური მიზნის მისაღწევად, იგი არაფერს უშინდება. მაგრამ ღირს კი თავის განირვა, თუკი ყველაფერი მაინც ამოა?

“მაგრამ თუ ერთხელ სოფელსაც უნდა ბოლო მოელოს, მამინ ვილამ სძუქვას მათი საქმე, ვინ სადლა იყოს?...”
 (“ფიქრი მტკვრის პირას”)

სოფლის ამოება პამლეტისაც დილემის წინაშე დააყენებს. რომელ გზას დაადგეს ადამიანი: შეებრძოლოს მოზღვავეებულ უბედურებებს, რომლებსაც მაინც ვერ მოერევა, თუ მოშორდეს სოფელს და საუკუნო ძილს მისცეს თავი?

“სულ-დიდ კმნილებას რა შეკვერის? ის, რომ იტანჯოს და აიტანოს მზაგრავ ბედის ნეშტრითა გმირვა,
 თუ შეებრძოლოს მოზღვავეებულ უბედურებას
 და ამ შეებრძოლევით მოსპოს იგი?... მოსპოს სიცოცხლე...
 ბოლო მოულოს... მიიძინოს... სხვა არაფერი...” (III, I).

ორივე გმირი კითხვაზე: ღირს თუ არა თავის განირვა, პასუხობს, რომ საჭიროა სიცოცხლე და ბრძოლა, თუნდაც არ იყოს იმის გარანტია, რომ ბრძოლას მოიგებენ.

პამლეტის პასუხი ისმის მესაფლავის სიტყვებში – ადამიანი სიცოცხლეს იმე არ უნდა გაიხრწნას (V, I).

ბარათაშვილის გმირი ყოველგვარ პირობებში ადამიანის აქტიური მოქმედების მომხრეა:

“მაგრამ რადგანაც კაცნი გვექვიან – შეილნი სოფლისა, უნდა კიდევაც მივსდითო მას, გვესმას მშობლისა.
 არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკედარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს”.
 (“ფიქრი მტკვრის პირას”)

სოფლის ზრუნვის ფილოსოფიური საფუძველი ბარათაშვილამდე უცხო არ იყო ქართული ლიტერატურისათვის. ჯერ კიდევ ქართული ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი შეგნება უკარნახებდა მწერლობას ამქვეყნიერის მიღების აუცილებლობას. ბარათაშვილის ნააზრევის წყაროდ ვახტანგ ბაგრატიონის შთაგონებას თვლიან:

“კაცმა უნდა თავის საქმე ღვითთა მოიფარგოს,
 ამ სოფელსა ხელი მყაროს, იქაც ბარგი დაიბარგოს,
 მოყვარეთ და ამხანავთა თავის რიგით რამე არგოს,
 სახელის ხე საჩრდილობლად წყლისა პირსა რამე დარგოს”.
 (“ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო”)

ბარათაშვილის მხედარმა იცის, რომ დიდი მისიის შესრულება დიდ მსხვერპლს მოითხოვს. მას თავს დასტრიალებს “შავად მღელვრე” ფიქრი. მაგრამ იგი უძლებს ყოველგვარ გამოცდას, რომელსაც ცხოვრება უტარებს: მამულის, მეგობრების, მშობლების, სატრფოს მოშორება.

“რაა, მოვეშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა! ნულა ვიბილაე ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს ტკბილმოუბარსა”.
 (“მერანი”)

მანფრედი, მიუხედავად მისი პრო-

ტესტისა, გამოსავალს ვერ პოულობს, ბრძოლის გზას არ ადგება. ერთადერთი, რასაც ის ნატრულობს, არის თავდავინყება. თუმცა რეაქციული გმირივით შეეხება არ ეძებს არც განმარტოებაში და არც სიკვდილში, თავისი ძალების გამოსაყენებლად არაფერს აკეთებს. მაგრამ ეს გმირის შეზღუდულობა და არა ავტორის. ბაირონი მანფრედის სახით გვიხატავს ადამიანის დიდ გონებრივ და ნებისყოფის შესაძლებლობებს, ამავე დროს გვეუბნება, რომ ინტელექტუალური სიძლიერე უპერსპექტივოა, თუკი ის მოწყვეტილია ცხოვრების პრაქტიკისაგან. მანფრედი "თავდავინყების" ძიებაში ამაოდ ცდილობს, თავის თავში ჩააქროს "პრომეთეს ცეცხლი". რადგანაც ამას ვერ აღწევს, ის ბოლომდე რჩება გმირად და კვდება თავისუფალ ადმიანად. მიუხედავად იმისა, რომ დრამის ცენტრში ძლიერი პიროვნებაა, მემბოხე, რომანტიკული კოლიზია მაინც ვერ იქმნება. წინააღმდეგობაა გმირულ შესაძლებლობებსა და უმიზნო სწრაფვას შორის. მანფრედი რჩება მარტოხელა ტრაგიკულ გმირად, რომელიც ვერ უძლებს საზოგადოებასთან კონფლიქტს. იტანჯება მარტოობისაგან, მაგრამ გამოსავალს ვერ პოულობს.

სამივე მწერლის თვალთახედვით, ჭეშმარიტი ტრაგიკული გმირისათვის ქვეყნის წინაშე ვალის მოხდა არის ერთადერთი მოთხოვნილება, ცხოვრების მიზანი, რაც თავდადებულ ბრძოლასთან არის დაკავშირებული. პამლეტი იმდენად მწვევედ განიცდის საკუთარ თავზე დაკისრებული მისიის სიმძიმეს, რომ მას პირადი ბედნიერებისათვის აღარა სცალია. მამისადმი მიცემულ პირობას – შური იძიოს ბოროტმოქმედებაზე, რაშიც ჩაფლულია მთელი დანია ან სამყარო, სწირავს

მთელ სიცოცხლეს "... ჩემის სხოვნის ფურცლებზე ნაეშლი, რაც როდისმე ან მსმენია, ან წამიკითხავს; ნაეშლი, რაც კი შიგ ჩაჭედილა თვალთ ნანახი და იქ დავიცავ მტკიცედ, ამ ჩემ გულის ფიცარზე მარტო შენს ნათქვამს სხვა ამბავთა გაურეველად" (1, 5).

ბარათაშვილის მხედარი თავის გულის კენესას ზღვის ლელვას უერთებს, მაგრამ "გიჭურსა ლტოლვას" არ აფერხებს. მას ზარავს იმის წარმოდგენა, რომ შავი ყორანი გაუთხრის საფლავს და ჭირისუფლად სვავები ესტუმრებიან. მაგრამ რაც უფრო მეტი საფრთხე ელის მისი ნებისყოფის მოტეხას, მით უფრო სწრაფად მიაქენებს მერანი თავგანწირულ მხედარს. რწმენის სიმტკიცე გადაალახვინებს ყოველ საზღვარს, რადგან ბედისწერის მონობას ურჩევნია, აიტანოს ყოველგვარი ჭირი. იგი მხნედ შესძახებს თავის მეგზურს:

"გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, ვარდამატარე ბედის სამძღვარი, თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი".

ბედისადმი ასეთსავე დამოკიდებულებაშია პამლეტი. პამლეტის ბედთან ჭიდილი, დაუმორჩილებლობა იქითკენაა მიქცეული, რომ სოფლის უკულმართობებს შეებრძოლოს. მისთვის მიუღებელია "მჩაგრავ ბედის ნეშტრითა გმირვა". ორიგინალში ბედი უფრო მძაფრადაა გამოხატული. "outrageous fortunes – მძინეარე, გამაგებული, გააფთრებული ბედი. თავისუფლება მხოლოდ ბედთან ბრძოლით მიიღწევა, მტკიცე ნებისყოფის მეშვეობით. პამლეტი მძინეარე ბედს რომ არ ემორჩილება ნიშნავს იმას, რომ იგი აქტიური მოქმედების მომხრეა. ვერ მარტო კითხვა: "სულდიდ

ქმნილებას რა შეუფერის?" ნათელია სულდიდი ადამიანი რომელ გზას აირჩევდა დილემიდან:

*"ის რომ იტანჯოს
და აიტანოს მჩაგრავ ბედის ნეშტრითა
გმინვა,
თუ შეებრძოლოს მოზღვავებულ უბედურებას
და ამ შეებრძოლვით მოსპოს იგი?.."
(III, 1).*

ჰამლეტი, რა თქმა უნდა ბრძოლის გზას ირჩევს. ტრაგიკულ გმირს სხვანაირად მოქცევა არ შეუძლია. მაგრამ საკითხავია: სტიქიურია მისი სწრაფვა, თუ გააზრებული აქვს, რომ დასაღუპად არის განწირული? მან შესანიშნავად იცის, რაც მოჰყვება მის ბრძოლას, მაგრამ იგი სიკვდილს გმირულად ხედება მომავალი თაობის სასიკეთოდ.

რატომ სთხოვს ჰამლეტი პორაციოს:
*"თუ როდისმე გყვარებთ ვარ, რამდენიმე ხნით
განშორდი მუდმივს ნეტარებას,
ტანჯვით იცხოვრე
და ამ კრულ მიწას მოჰფინე ჩემი
ამბავი" (V, 2).*

იმიტომ, რომ ჰამლეტმა იცის, მის ბრძოლას არ მოუსპია ბოროტება. სამყარო არ შეცვლილა. ცხოვრება არ გამოსწორებულა და კვლავ გრძელდება ადამიანის ტანჯვა. მაგრამ მის ანდერძში გაისმის ზრუნვა მომავალი თაობებისადმი და უკეთესი მომავლის რწმენა.

მერანის მხედარმა ასევე იცის, რომ თვითონ ვერ მოიპოვებს გამარჯვებას. მაგრამ ღრმად სწამს, მსხვერპლად შეწირვა უშედეგოდ არ ჩაივლის, ახალგაზრდობას გაუკაფავს გზას თავისუფლებისათვის ბრძოლაში გამარჯვების მოსაპოვებლად. ამიტომ ამ ორი

გმირის მრწამსი შეგვიძლია ბარათაშვილის სიტყვებით გამოვხატოთ:

*"ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს,
განწირულის სულის-კვეთება
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო
ჩემო, მაინც დარჩება;
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა
სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის
ბედის წინ გამოუქროლდეს!"*

მაჩაბლის გენიამ იგრძნო ამ ორი მწერლის სულიერი სიახლოვე და თარგმნის დროს შეეცადა ბარათაშვილის პოეზიასთან დაეახლოვებინა შექსპირის პიესების ქართული თარგმანები. "როდესაც თარგმნა გადაწყდა და უფრო დაკვირვებით წაკითხა დიდი გენიოსის პიესები, მაჩაბელს ბარათაშვილის ლექსები გაახსენდა და ერთბაშად იგრძნო ამ ორი მწერლის სულიერი ნათესაობა. აღბათ მაშინვე გადაწყდა შექსპირის პიესების თარგმნა თოთხმეტმარცვლიანი ლექსით! შემდეგ მაჩაბელმა თავის შექსპირისეულ თარგმანებს შეუნარჩუნა არა მარტო ბარათაშვილის ლექსის ფორმა, არამედ მისი პოეზიის დიდი მღელვარება და სიღრმე მისცა" (ვახტანგ ჭელიძე, ცხოვრება ივანე მაჩაბლისა, "ხელოვნება", თბ., 1957, გვ. 236).

დიდი ქართველი რეჟისორი სანდრო ახმეტელი უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა ბარათაშვილის შემოქმედებას. მასში ნახულობდა თავისი რწმენის წყაროს. რეჟისორს იზიდავდა არა მარტო ბარათაშვილის ლირიკის თეატრალობა, არამედ ის იდეალები, ის აქტიური მგზნებარე ადამიანის ტიპი, რაც იხატებოდა ბარათაშვილის პოეზიაში. მეამბოხე რომანტიკული გმირი ყოველთვის იყო ახმეტელის იდეალი. ამიტომაც იგი ბარათაშვილის "მერანს" თეატრთან აკავშირებდა. მისი

სიმბოლოლოგია მრავალმხრივ ესახებოდა რეჟისორს სცენისათვის. უპირველეს ყოვლისა, მისთვის მერანი ქართველი ხალხის ეროვნული ტრაგიზმის მაჩვენებელი იყო, თავისუფლებაშეკვეცილი სულის ამბოხი, რაშიც მთელი ეპოქის ტკივილი ჩანდა.

"თვით მგოსანი, მერანზე მჯდომი ქართველის "მეა" - მხედარი თვით ქართველია, ქართველი ნებადაკარგული, ნებამოკლებული. მხედარი - ქართველი არა თუ არ ღამობს მერანის შეკავებას, შეჩერებას, პირიქით, შეგნებულად აღიზიანებს, ააღმაზებს მას.

შავი ყორანი, თავს არ ანებებს მხედარს და მერანს თვალუნეფენელ სივრცეში საზარელი ხმით დასჩხავის... "მერანი" ბარათაშვილის ჩვენი ტრაგედიაა... მთელი ეპოქის სარკეა" (ალექსანდრე ახმეტელი, ქართული თეატრის ისტორია, "თეატრალური მოამბე", 1986, 5, 7-8).

ახმეტელის სამართლიანი შენიშვნით, ბარათაშვილის "მერანი" საკაცობრიო ხასიათის სიმბოლოლოგიური ძეგლია, ამავე დროს უაღრესად ეროვნულია, ქართველი ხალხის გმირულ სულს გამოხატავს.

მერანის სიმბოლოლოგია შემდეგნაირად შეიძლება აიხსნას: ზღაპრულ რაშზე მჯდარი მხედარი, რომელსაც იგი უსაზღვრო სივრცეში მიაქროლებს, არ უშინდება კლდე-ღრრებს, ვერაფერს აკლებს შავი ყორანი უკან რომ მოსჩხავის საზარელი ხმით და

ვერც ბოროტი სული უტეხავს ნებისყოფას, გვესახება პრომეთე-ამირანის სახით. მხედრის თავგანწირულ სულისკვეთებაში გამოსჭვივის პრომეთეს კაცობრიობისათვის თავის დადება. შავი ყორანი ეს ზევსია, რომელიც სიკვდილის მუქარით ცდილობს გმირის სულის დამორჩილებას. სული ბოროტი ცდუნებებია, ზევსი შიკრიკების მეშვეობით რომ ცდილობს მის მოსყიდვას. მხედრის რწმენა - ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს, განწირულის სულისკვეთება - ეს პრომეთეს ოპტიმიზმია და წინასწარმეტყველება. მან იცის, რომ ხალხისათვის თავგანწირული ადამიანის დასჯა კარგს არაფერს მოუტანს ზევსს. პრომეთე მზად არის დაიღუპოს და თავის წამებას არ გაცვლის ზევსის მონობაზე.

"მერანის" და "ჰამლეტის" სიმბოლოლოგია, როგორც ზემოთ დავინახეთ, ენათესავება რომანტიკულ ლიტერატურაში შექმნილ პრომეთეს სახეებს. მერანის მხედრის სიმბოლოლოგიის სახე ისეთი აქტიური, მგზნებარე, მემამოხე რომანტიკული გმირია, რომელიც თავისუფლებისათვის ბრძოლას სწირავს სიცოცხლეს. ბარათაშვილის ლირიკის ძლიერი, ამაღლებული პიროვნება უტეხი ნებისყოფით, აზრისა და მოქმედების ერთიანობით, იძლევა არამარტო რომანტიკული პრომეთე-ამირანის ახალ საინტერესო სახეს, არამედ ჰამლეტის ახლებურ მოტივირებასაც უწყობს ხელს.

მანო იმერლიშვილი

უნგრული მხარლობა უკველასი დროიდან დღემდე

უნგრეთი, რომელსაც თვით მისი მკვიდრნი "მოძიორორსაგ"-ს უწოდებენ, ძველთაგანვე გზატკეპნილი იყო სხვადასხვა ველური ხალხებით, როცა ისინი აზიიდან მოდიოდნენ, რუსეთის მინდვრებს გადმოლაზავდნენ და რომის თუ ბიზანტიის საბრძანებელს შეესევოდნენ. აქ მესამე საუკუნეში გუთები დაემკვიდრდნენ. მალე მათ ჰუნები დაესხნენ თავს და კიდევ სძლიეს. მერე ჰუნებს თავს დაეცნენ ოსტგუთები, ამათ - ჰეპიდები, ჰეპიდებს - ლომბარდები, ლომბარდებს - ავარები. ამ უკანასკნელებმა VI საუკუნეში დაიკავეს მთელი მხარე. VIII საუკუნეში ისინი დაიმორჩილა და გააქრისტიანა კარლოს დიდმა (742-814), რომლის დროს ამ ქვეყანაში ბევრი სხვა მოდგმის ხალხი ჩამოსახლდა. IX საუკუნეში ამ მხარეს თავს დაესხა ახალი უცნობი ხალხი, ვინც უწინ ურალის მთების თუ მდინარე ვოლგის ახლომახლო ხეტილობდა და იქიდან პაჭანიკებისგან გამოიდევენა. ეს ხალხი, ვისაც რუსები და სლავები ძველად "უგრად" ან "უგორად" ასახელებდნენ, გერმანელები კი - "უნგრად", ახლობელი ნათესავია ბაშკირებისა და განსაკუთრებულ ენას ხმარობს, თავის თავს ეს ხალხი "მოძიორ"-ს (უნგრელ-ს) უწოდებს. თანამედროვე უნგრეთის ტერიტორია სწორედ ამ ხალხმა, უგორულ-

მა ტომებმა - მოძიორებმა ანუ უნგრელებმა დაიპყრეს, რომლებიც მომთაბარე ტომები იყვნენ და ძირითადად მესაქონლეობას მისდევენ. გადმოცემით უნგრელთა პირველი წინამძღოლი და დინასტიის ჩამყრელი იყო სახელად ალმი, ალმოში, (IX ს. (841 წელი), რაც ქართულად ნიშნავს მძინარე-ს, მეოცნებე-ს - წარმოდგება უნგრული სიტყვა "ალომი"-დან - სიზმარი, ხოლო არპადმა, მისმა შვილმა კი უნგრელები დუნაიზე მიიყვანა, რომელიც უნგრელთა ტომობრივ გაერთიანებას წინამძღოლობდა.

893 წლიდან დაიწყო მათი შესევები პანონიასა და მორავიაში, ალმოსაველეთ ბავარიაში. უნგრელებმა 894-895 წლებში დაიპყრეს თუ არა მთელი ის მხარე, რომელსაც მას აქეთ მათი სახელი უნგრეთი, თუ უნგრია, ან ვენგრია დაერქვა, მაშინვე იქაურ მკვიდრებს მთელი მიწა-წყალი წაართვეს. უნგრელი ხალხის წინამძღოლმა არპადმა ეს მიწა-წყალი ზოგი თავის საკუთრებად დაიტოვა და დანარჩენი ნახევარი მარტო თავის ჯარის მოთავეებს დაურიგა, რომელნიც თავ-თავის ნაწილში (კომიტატში) დასახლდნენ თავიანთი ჯარით და მხლებლებით. უნგრელებმა უწინდელი ქვეყნის მკვიდრნი თავიანთ გლეხებად გაიზადეს. ეს არის დასაწყისი უნგრეთის

ეკონომიკური წყობილებებისა. მაღალი წოდება, ყოვლისშემძლე მაგნატები (დიდი მემამულეები) და, საზოგადოდ, მონინავე განათლებული ნაწილი ხალხისა, უნგრული მოდგმისაა, მაშინ, როცა თითქმის მთელი მდებარე ხალხი ან სლავური მოდგმისაა, ანდა სხვადასხვა ეროვნების ნაშთი.

არპადის მემკვიდრეები იყვნენ ზოლტანი, ტაკსონი და გეიზა. გეიზას (972-995) შვილმა ვაიკამ, ვინც უნგრელთა ტომების წინამძღოლი იყო, შეძლო დანარჩენ წინამძღოლთა წინააღმდეგობის დაძლევა, დაიმორჩილა ისინი, თავს მოახვია ფეოდალური "მსოფლმხედველობა", და აიძულა უნგრელები მიეღოთ ქრისტიანობა, როგორც სარწმუნოება. არპადის მემკვიდრეებმა ქრისტიანობა მიიღეს დაახლოებით 950 წელს. თვითონ ვაიკა მონათლეს 1000 წელს (ნათლობის დროს მას დაარქვეს სახელი სტეფანე) და აკურთხეს უნგრეთის პირველ მეფედ. მეფე სტეფანე I-მა (უნგრულად იშტვანმა) (997-1038) რომის პაპ სილვესტრ II-ისგან (999-1003) 1000 წელს მიიღო სამეფო გვირგვინი. ეს წელი ითვლება უნგრეთის სამეფოს დაარსების თარიღად. სტეფანე (იშტვან) იყო უნგრეთის პირველი ქრისტიანი მეფე. მან დიდი როლი ითამაშა უნგრეთში ქრისტიანობის გავრცელების საქმეში, რისთვისაც იგი წმინდანად შერაცხეს. მის დროს უნგრეთის სამეფო დამკვიდრდა თავის ახლანდელ საზღვრებში, ამიტომაც მას აქვთ ამ სამეფოს "წმინდა სტეფანეს გვირგვინს" უწოდებენ ხოლმე.

მომთაბარე უნგრელმა ტომებმა, რომლებიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, IX საუკუნის მიწურულს დამკვიდრდნენ უნგრეთის დღევანდელ ტერიტორიაზე, შექმნეს მდიდარი ზეპირსიტყვიერება, წარმართული ლეგენ-

დები, ხალხური პოეზიის შესანიშნავი ნიმუშები, მრავალრიცხოვანი ხალხური თქმულებები. პოპულარულია თქმულებანი "მშვენიერ ირემზე", "თეთრ ბედაურზე", "ალმომზე" და სხვა. შემონახულია ძველი შრომითი და რიტუალური სიმღერები. ეს ძველი უნგრული პოეზიის ნიმუშები ასახული ლათინურ ქრონიკებში, წარმოქმნილია მატრიარქატის ეპოქაში და გადაამუშავებულია მომდევნო საუკუნეებში შექმნილ მატრიანეებსა და ქრონიკებში. ცნობილია ტოტემური მოთხრობები უნგრელთა წარმოშობის თაობაზე.

უნგრელი მწიგნობრები თავდაპირველად ლათინურ ენაზე წერდნენ. სახელმწიფოს შექმნამ, ქრისტიანობის მიღებამ და ფეოდალიზმის ფორმირებამ (XI ს.) ხელი შეუწყო მწიგნობრობის ჩასახვას ლათინურ ენაზე. ძველი, პრიმიტიული, წარმართული კულტურა თანდათან მივიწყებას მიეცა. ამ კულტურის კერებს თავდაპირველად სამონასტრო ცენტრები წარმოადგენდნენ. აქ აღმოცენდა პირველი სკოლები, გამოჩნდნენ კოდექსების შესანიშნავი გადამწერები, კალიგრაფები, განათლებული მწერლები.

უნგრეთის იმდროინდელი ლიტერატურული ცხოვრება კარგად არის ასახული ისტორიულ ქრონიკებში, რომლებიც ძვირფას მასალას შეიცავენ უნგრული მწერლობის საწყისების შესაცნობად. ამ პერიოდის წერილობითი ძეგლებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა XI საუკუნის მეორე ნახევარში (და არა როგორც აღნიშნულია ქართული ენციკლოპედიის X ტომში ("უნგრეთი", XI ლიტერატურა, რომ "უნგრელთა საქმენი" 1200 წელს ე. ი. XII საუკუნეში შეიქმნა, რაც საესებით არასწორად მიგვაჩნია) შექმნილი ქრონიკა (Gesta ungarorum) "უნგრელთა საქმენი", რამაც საფუძველი

დაუდო შემდგომ კრებულთა შექმნას უნგრეთისა და უნგრელთა ისტორიაზე, რომლებზე მუშაობაც სხვადასხვა ავტორების მიერ XIV საუკუნის მეორე ნახევარამდე გრძელდებოდა. 1358 წელს იქმნება ე. წ. დასურათებული მატრიანე, რომლის ავტორობა ლაიოშ-ის (დიდის) (1342-1382) ჟამთააღმწერელს და ისტორიკოსს მარკ კალტის (დაახლ. 1300-1358) მიეწერება. მან გააერთიანა და ქრონოლოგიური სიზუსტით ჩამოაყალიბა უნგრელთა ქრონიკა, რომელიც ამ სახით 1358 წლამდე არ არსებობდა. ლაიოშ-ის მამის რობერტ კაროს (1308-1348) დროს მარკ კალტი იყო სამეფო კარის კაპელანი, ხოლო ცოტა მოგვიანებით კი ქ. სიკემფევიპირვარის კანონიკად გვევლინება. მარკ კალტიმ განაახლა, გაასწორა და მწერლური ოსტატობით დახვეწა უნგრელთა ქრონიკა მეფე კალმანის (1095-1116) მმართველობის დროიდან 1280 წლამდე, ხოლო მომდევნო წლებში კი მეფე რობერტ კაროს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპოქაც დაუმატა.

1370 წელს მარკ კალტის მიერ შექმნილ მატრიანეს ილუსტრაციები (136 მინიატურა) დაურთო ლაიოშ-ის სამეფო კარის მხატვარმა მიკლოშ მედეშიმ და ამიტომაც ეწოდება მას დასურათებული.

1374 წელს კი მატრიანე საჩუქრად მიართვეს საფრანგეთის მეფე კარლ V-ს, ვინაიდან მისმა ვაჟმა ორლეანელმა პერცოგმა ჯვარი დაინერა ლაიოშ-ის ქალიშვილზე – კატალინაზე.

XI საუკუნის მეორე ნახევარში შექ-

მნილ "უნგრელთა საქმენის" ავტორად, უნგრული წყაროებით, მიჩნეულია უნგრეთის მეფის, ენდე-ის (1046-1061) კარის ეპისკოპოსი მიკლოში, და არა ანონიმი ავტორი, როგორც ეს ქართულ ენციკლოპედიაშია მითითებული (იხ. ტ. X, "უნგრეთი", XI, ლიტერატურა).

აქვე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შევნიშნოთ, რომ ქართული ენციკლოპედიის მე-10 ტომის XI ქვეთავში, გვ. 155, სახელწოდებით – ბექდვითი სიტყვა, რადიომანუწყებლობა, ტელევიზია – მცირე გაუგებრობას აქვს ადგილი, სადაც ვკითხულობთ, რომ უნგრეთში პირველი გაზეთი "მერკურიუს ჰუნგარიკუსი" გამოვიდა 1705 წელს. თარიღი ზუსტად არის მინიშნებული, მაგრამ, ჩვენი აზრით, მითითებული უნდა იყოს თუ რომელ ენაზე გამოვიდა ეს გაზეთი, უნგრულად თუ ლათინურად, რომ მკითხველს არ დარჩეს შთაბეჭდილება, თითქოს იგი უნგრულ ენაზე დაიბეჭდა. მერე არის მითითებული ვის მიერ დაარსდა, ვინ გამოსცა ეს გაზეთი. ვფიქრობთ, ამგვარ საკითხებს ყურადღება უნდა მიექცეს.

"მერკურიუს ჰუნგარიკუსი"-ს პირველი ნომერი დაბეჭდა 1705 წლის აპრილში ლათინურ ენაზე ანთალ ესტერპაზიმ. ვინ იყო ანთალ ესტერპაზი? საინტერესოა, რომელ წლამდე გამოდიოდა "მერკურიუს ჰუნგარიკუსი"? ხომ არ შეიცვალა ამ გაზეთის სახელწოდება რომელიმე სხვა სახელწოდებით?

ანთალ ესტერპაზი იყო კურუცთა¹

¹ სიტყვა კურუცი (Kurusi), – ე. ი. ჯვაროსნები წარმოსდგება ლათინური სიტყვა crus (ჯვარი)-დან, უნგრულში ამ სიტყვამ მიიღო ჯვრის მნიშვნელობა, როდესაც 1514 წელს გლეხებმა ძიორმ დოჟას (1475-1514) ხელმძღვანელობით, ჯვარი დაიკავეს რა ხელში თურქთა წინააღმდეგ საბრძოლველად, მოულოდნელად შემამულეთა ძალმომრეობის წინააღმდეგ გაილაშქრეს. ძიორმ დოჟა დამარცხდა და სიკვდილით დასაჯეს.)

გენერალი, ვინც გაზეთს "მერკურიუს პუნგარიუსი" უწოდა. ეს გაზეთი 1710 წლამდე გამოდიოდა. მოგვიანებით, ამ გაზეთმა ახალი სახელწოდება "მერკურიუს ვერიდიკუს ექს პუნგარია" ("სიმართლის მთქმელი უნგრული მერკურიუსი") მიიღო. 1705 წლის ჩათვლით "მერკურიუს პუნგარიუსი"-ს, ხოლო შემდგომში კი "მერკურიუს ვერიდიკუს ექს პუნგარია"-ს ექვსი ნომერილა შეიძლება ნახოს დაინტერესებულმა პირმა როგორც უნგრეთის, ასევე საზღვარგარეთის ბიბლიოთეკებსა და არქივებში. როგორც უკვე ვთქვით, ეს გაზეთი, რომელსაც ჯერ "მერკურიუს პუნგარიუსი", ხოლო მოგვიანებით კი "მერკურიუს ვერიდიკუს ექს პუნგარია" ეწოდა სათაურად, 1710 წლის ჩათვლით გამოდიოდა. ეს გაზეთი იყო კურუცთა განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეების გამომხატველი გაზეთი, რომლის დანარჩენი ნომრების მასალების შეგროვებასა და გამოცემას თვით ტრანსილვანიის თავადი ფერენც რაკოციი (1676-1735) ხელმძღვანელობდა.

XI საუკუნიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უკვე თანდათან იქმნება მდიდარი საეკლესიო ლიტერატურა ლათინურ ენაზე. ცნობილია ლეგენდები და პიმნები წმინდანად შერაცხულ უნგრელ დიდგვაროვანთა, საეკლესიო პირთა და მეფეთა შესახებ, რომლებიც როგორც ზემოთ დასახელებულ საუკუნეში, ასევე მომდევნო საუკუნეებშიც იწერება და ჩნდება. გარდა რელიგიური შინაარსისა, ამ ნაწარმოებებში საკმაოდ გამოკვეთილია რაინდული სულისკვეთებაც.

მატიასის (1458-1490) მეფობის დროს ჰუმანისტმა და თავისი დროის შესანიშნავმა ისტორიკოსმა იანოშ ტუროციმ (დაახლ. 1435-1490) შექმნა ახალი "უნგრელთა ქრონიკა", თუმცა

ისიც უნდა ითქვას, რომ მან XIV საუკუნის მეორე ნახევრამდე დანერგილი "უნგრელთა საქმენის" ცალკეული თავები შეასწორა და თავის შრომაში შეიტანა. 1488 წელს ქრონიკა სტამბური წესით გამოიცა. ტუროცი უნგრელების ნათესავ ხალხად ქართველებს მიიჩნევს, რომლებსაც სკვითებთან აიგივებს და უნგრელების წინარე სამშობლო სკვითიას თვლის. იგი საქართველოა ზღვისპირეთს (და არა მხოლოდ ტუროცი) სკვითიის ზღვისპირეთად მიიჩნევს (იხ. ლაიოშ ტარდი, კავკასიური უნგრული სარკე, ბუდაპეშტი, 1988, გვ. 92-94, უნგრულ ენაზე).

XI-XII საუკუნეების უნგრულ ენაზე შექმნილი ტექსტები ჩვენთვის უცნობია და არც არის შემონახული. ამ პერიოდის მხოლოდ ზოგიერთ დოკუმენტში თუ გვხვდება ცალკეული უნგრული სიტყვები და გამოთქმები. ამ სახის დოკუმენტებს მიეკუთვნება, მაგალითად, ტიჰონის სააბატოს დაარსების სიგელი. სააბატოს კრიპტში დაკრძალულია ენდე I მან 1055 წელს დააარსა ტიჰონის სააბატო. სააბატოს დაარსების სამეფო სიგელი შედგენილია ეპისკოპოს მიკლოშის მიერ ლათინურ ენაზე, რომელშიც დაახლოებით 100 უნგრული სიტყვა გვხვდება.

მიუხედავად იმისა, რომ უნგრეთის სამეფოს ოფიციალურ ენად XVI საუკუნემდე მიჩნეული იყო ლათინური ენა, ეროვნულ ენაზე, მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც იქმნებოდა თარგმნილი თუ ორიგინალური ლიტერატურული ძეგლები. უნგრელი ისტორიკოსების მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ უნგრეთის მეფე ბელა III-ის (1172-1196) მმართველობის დროს ბერძნულიდან უნგრულ ენაზე ითარგმნა ბიზანტიური რომანი "ალექსანდრია", ხოლო რომანი ტრელთა ომის შესახებ თარგმნილ იქნა



ლათინური ორიგინალიდან XIII საუკუნის დასაწყისში. ამ თარგმანთა ტექსტები დაკარგულად ითვლება. უნგრულ ენაზე შექმნილი ცნობილი ტექსტებიდან შემონახულია ყველაზე ძველი ლიტერატურული ძეგლის პირველი მთლიანი ტექსტი – "საფლავზე წარმოთქმული სიტყვა", ლათინური ლოცვა თარგმნილი უნგრულ ენაზე 1192-1203 წლებში უნგრელი მღვდლის მიერ, რომლის სახელიც უცნობია და შემდგომი კვლევის საგანს წარმოადგენს. პირველი უნგრული საეკლესიო ლექსი "მარიამის მოთქმა" ეროვნულ ენაზე 1300 წელს შეიქმნა. ეს ნაწარმოები თუმცა რელიგიური პოეტური ქმნილებაა, მაგრამ მასში ნათლად იგრძნობა საერო ლიტერატურის განწყობილება და ხალხური ზეპირსიტყვიერების გავლენა. XIV საუკუნიდან შემონახულია უნგრულ ენაზე გადმოთარგმნილი ლეგენდები და ცხოვრებანი. საინტერესოა XII-XIV საუკუნეებში შექმნილი ლათინურ-უნგრული მინიატურული ლექსიკონები.

XIII-XIV საუკუნეებში ლათინურ ენაზევე იქმნებოდა უნგრულ წმინდანთა ცხოვრებანი, მათ სახელთან დაკავშირებული ჰიმნები და ლეგენდები. ამავე პერიოდში ლათინურიდან თარგმნის მეშვეობით უნგრულ ენაზე შეიქმნა პირველი წერილობითი ლიტერატურული ძეგლები. XV საუკუნეში პუსიტთა მოძრაობამ მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა უნგრული რენესანსის განვითარებაზე. დაახლოებით 1430 წელს პუსიტმა მქადაგებლებმა ტომაშმა და ბალინტმა უნგრულად თარგმნეს ბიბლია. თარგმნიდნენ ბენედიქტელთა და ფრანცისკელთა მონასტრებში, რომლებიც ქრისტიანული კულტურის კერებად იქცა. ლიტერატურა ძირითადად მაინც ლათინურ ენაზე ვითარდებოდა.

მატიასის (1458-1490) მეფობის ხანაში, ცნობილია პოეტი და პუმანისტი იანუს პანონიუსი იგივე იანოშ ჩეზმიცი (1434-1472), ვინც შეიძლება მივიჩნიოთ პირველ დიდ უნგრულ პოეტად, ის რენესანსის ეპოქაში ცხოვრობდა და ლათინურ ენაზე წერდა. დიდი აღიარება ჰქონდა მის ეპიგრამებს. იგი პირველი დიდი უნგრელი ლირიკოსია. 1953 წელს ბუდაპეშტში გამომცემლობა "მხატვრულმა ლიტერატურამ" გამოსცა იანოს პანონიუსის "რჩეული ლექსები".

XVI საუკუნის პირველ ნახევარში, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, ჩნდება ორიგინალური სიმღერები უნგრულ ენაზე; ისინი იმდროინდელი მოვლენებისადმი არიან მიძღვნილნი.

უნგრული ენის ისტორიაში დიდმნიშვნელოვანი როლი ითამაშა რეფორმაციამ; დასაბამი მიეცა ნიგნის ბეჭდვას მშობლიურ ენაზე. პირველი სტამბა, სადაც ნიგნები უნგრულ ენაზე იბეჭდებოდა, დაარსებულ იქნა შარვარში 1537 წელს. სწორედ აქ დაიბეჭდა პირველი ნიგნი 1539 წელს. ეს იყო ახალი აღთქმის თარგმანი, რომელიც შესრულებულ იქნა ნიდერლანდელი პუმანისტის, თეოლოგის, ფილოსოფოსის, მწერლისა და მთარგმნელის გერჰარდ გერჰარდისის – იგივე ერაზმ როტერდამელის (1466-1536) – კრიტიკული ტექსტის საფუძველზე. თარგმანი მოამზადა იანოშ სილვესტერმა. ბიბლიის ახალი სრულყოფილი თარგმანი 1590 წელს განახორციელა გაშპარ კაროიმ (1530-1591). უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიის ამ თარგმანმა გარკვეული როლი ითამაშა ერთიანი უნგრული ენის ჩამოყალიბებაში. განვითარდა ეროვნული დრამატურგია, რომელმაც ხელი შეუწყო უნგრული ენის ფორმირებას.



იმდროინდელი გამოჩენილი მწერლები არიან აგრეთვე: გაშპარ ჰელტი (1490-1574) (გადაამუშავა ეზოპეს არაკები და შექმნა უნგრული მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები), იანოშ სილვესტერი (შექმნა პირველი უნგრული გრამატიკა). ჰელტი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც შეეცადა, ჩამოყალიბებული სახით გადმოეცა უნგრეთის ისტორია უნგრულ ენაზე, რაც იგრძნობა კიდევ მისი სიკედილის მერე გამოცემულ შრომაში "უნგრელთა საქმენი".

აქვე გვინდა კიდევ ერთხელ შევნიშნოთ, რომ XVI საუკუნიდან (უნგრული მწერლობა უკვე სულ მთლად მშობლიურ ენაზე ვითარდება. ამ ეპოქის უდიდესი პოეტი ბალინტ ბალაში (1554-1594). უნგრეთის აღორძინების პერიოდის ცნობილი პოეტის ბ. ბალაშის ლირიკული შედეგები ჰუმანიზმის იდეებით იყო განმსჭვალული.

XVII საუკუნის ლიტერატურაში დამკვიდრდა ბაროკოს სტილი, რომლის ფუძემდებელი იყო ესტერგომის არქიეპისკოპოსი პ. პაზმანი (1570-1637), ხოლო მისი თვალსაჩინო წარმომადგენელი – პოეტი მ. ზრინი (1620-1664). ანტიპაბსტურგულმა აჯანყებამ XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში დიდი ზიძგი მისცა ზეპირსიტყვიერების განვითარებას. საერთოდ, მე-17 და მე-18 საუკუნეებში უნგრულმა ლიტერატურამ მოგვცა მთელი წყება შესანიშნავი მწერლებისა, რომლებმაც მაღალ საფეხურზე აიყვანეს უნგრული სალიტერატურო ენა.

XVIII საუკუნეში ქვეყნდება უნგრული ლექსიკონები, გრამატიკები, ნაშრომები უნგრული და ფინური ენების ნათესაობის საკითხებზე... მიჩნეულია, რომ უნგრული ენა ფინურ-უნგრულ ენათა ოჯახის უნგრულ ჯგუფს

განეკუთვნება. ეს ენებია: ფინური, ესტონური, ლაპლანდიური, მორდოვეული, უდმურტული, თვით უნგრული.

განსაკუთრებით საყურადღებოა მიკლოშ რევაის (1749-1807) გამოკვლევები. იგი ითვლება უნგრული ენათმეცნიერების ისტორიის მამამთავრად.

უნგრული ლიტერატურის ისტორიაში უკვალოდ არ ჩაუვლია განმანათლებლობას (XVIII საუკუნის ბოლო – XIX საუკუნის დასაწყისი), რომლის თვალსაჩინო წარმომადგენელია კლასიცისტი მწერალი დ. ბეშენიეი (1747-1811). მომდევნო თაობის წარმომადგენლებმა ი. ბაჩანიმ (1763-1845), ფ. კაზინციმ (1759-1831) და სხვა თავიანთ შემოქმედებაში ფართო პროპაგანდა გაუწიეს იაკობინელთა იდეებს. XIX საუკუნის 40-იან წლებში იოჟეფ კოტონას (1791-1830) ისტორიულმა დრამამ "ბანკ ბანი". ბანკ ბანი – ისტორიული დრამა. XII საუკუნეში ვოეოდა ბანკი აღსდგა ტირანის ნინაღმდეგ და მოკლა დედოფალი ჰერტრუდა 1213 წელს, რითიც მან შური იძია ხალხის მტრებზე.) ხელი შეუწყო უნგრული დრამატურგიის შემდგომ განვითარებას. ამ პერიოდში დამკვიდრდა რომანტიზმიც (იშტვან სიჩენი 1791-1860), კაროი კიშფალუდი (1788-1830) და სხვა. ისტორიული რომანისა და კრიტიკული რეალიზმის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი იოჟეფ ეოტვომის (1813-1871) (ცნობილი მწერალი, განმანათლებელი, სახელმწიფო მოღვაწე) შემოქმედებამ. უნგრულმა ლიტერატურამ თავისი განვითარების მწვერვალს მიაღწია პოეტ-რევოლუციონერის შანდორ პეტეფის (1832-1849) პოეზიამ.

რევოლუცია, როგორც უნგრეთის ეროვნული და საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემის გადაწყვეტა,



პირველად აისახა პეტეფის შემოქმედებაში. მისი პირველი ლექსი "მსმელი" გამოქვეყნდა 1842 წელს, ლექსთა კრებული კი 1844 წელს დაბეჭდა მ. ვერეშმარტის (1800-1855) დახმარებით. პეტეფი მალე მოექცა საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში, - მასზე დაობდნენ, მას ეკამათებოდნენ, იგი აღაფრთოვანებდა ყველას, ვინც კი გაეცნობოდა ამ ამბობებული სულის ხელოვანს. პეტეფიმ საყოველთაო აღიარება მოიპოვა და ბუდაპეშტის ლიტერატურული ცხოვრების ბელადი გახდა. მის შემოქმედებაში მძლავრად შემოიჭრა ხალხური ნაკადი, რომელიც საფუძვლად დაედო პოეტის რეალისტურ ლირიკას. შანდორ პეტეფი 1848 წლის რევოლუციის ერთ-ერთი ბელადი იყო. მისი სახელი მსოფლიო ლიტერატურაში დარჩა, როგორც რევოლუციური თავისუფლებისა და სიყვარულის მგზნებარე მომღერალი. პეტეფის ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე.

1973 წელს გამოქვეყნდა "მერანმა" გამოსცა შანდორ პეტეფის ლექსები ქართულად, რომლებიც თარგმნა გრიგოლ აბაშიძემ.

დიდი ეპიკოსი პოეტია პეტეფის მეგობარი იანოშ ორონი (1817-1882). მან ყურადღება მიიპყრო შესანიშნავი პოემით "ტოლდი", რომელშიც შაბსბურგ დამპყრობლებთან ბრძოლაში (1848-49) წწ., უნგრელი ხალხის დამარცხებაა აღწერილი და გამოხატულია ამ დამარცხებით გამოწვეული პოეტის გულსტკივილი. განმათავისუფლებელი ბრძოლის მარცხის შემდეგ ორონი სევდამ მოიცვა და მის ფილოსოფიურ ლირიკაში თავი იჩინა იმედის ვაცრუების განწყობილებამ. ორონი შემდეგ ქმნის შესანიშნავ ბალადებს. ცნობილია აგრეთვე მისი ლიტერატურათმცოდნეობითი შრომები და მაღალმ-

ხატვრული თარგმანები (არისტოფანე, შექსპირი, ბერნსი...).

პეტეფისა და ორონის გარდა, ფართო აღიარება მოიპოვა მიხაი ტომპოს (1817-1868) ლირიკულმა ნაწარმოებებმა, ელეგიებმა; პროზაში - ჟიგმონდ კემენის (1814-1875), მირ იოკაის (1825-1904) მხატვრულმა ქმნილებებმა. უნგრული დრამატურგია ახალ სიმაღლეზე აიყვანა იმრე მადაჩმა (1823-1864).

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ლირიკული პოეზიის გამოჩენილი წარმომადგენელია იანოშ ვაიდა (1827-1897). მის შემოქმედებაში პირველად იჩინა თავი მარტოობის მოტივებმა. ამავე მოტივებზეა აგებული ძიულა რევიცკის (1855-1889) პოეტური ნიმუშები. ამ ეპოქის პროზაიკოსთა შორის გამოირჩევა კალმან მიქსათი (1847-1910), რომლის მოთხრობებმა და ბალადებმა დიდი პოპულარობა მოიპოვეს. XIX საუკუნის მინურულია და XX საუკუნის დასაწყისის ცნობილი მწერლები იყვნენ: ე. პელტაი, შ. ბროდი, ზ. ამბრუში, ზ. ტური, ე. ბენედეკი, კ. პაპი, ლ. ორონი, ფ. მოლნარი და სხვა.

ახალი უნგრული ლიტერატურის ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჟურნალმა, რომელსაც ერქვა "კვირა". მისი რედაქტორი იყო პოეტი იოჟეფ კიში (1843-1921).

XX საუკუნის დასაწყისში პოპულარული იყო გ. გარდონის (1863-1922) ისტორიულ თემებზე შექმნილი რომანები, ფ. კარინთის (1888-1938) სატირული ნოველები, ფ. მორიცი (1879-1942), ენე პელტაის (1871-1957), ძ. კრუდის (1878-1933) შემოქმედებაში აისახა ქალაქური ყოფის სურათები. XX საუკუნის უნგრული ლიტერატურის განვითარებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინეს ჟურნალ "ნიუგოტმა" 1908-41, რაც ქართულად დასავლეთს



ნიშნავს და ამ ყურნალის ირგვლივ შემოკრებილმა მწერლებმა: მ. ბაბიჩი (1883-1941), დ. კოსტოლანი (1885-1936), ა. კომიატი (1893-1937), ლ. ნოდი (1883-1954), გ. მორიცი (1878-1942), ფ. მორა (1879-1934) და სხვა.

აღსანიშნავია ლიტერატურულ-პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც სათავეს იღებს ოციანი წლებიდან ("ხალხური მწერლები"). ამ მოძრაობის პირველი იდეოლოგი იყო ნიჭიერი, მაგრამ ხშირად გზაბნეული მწერალი დეჟო საბო (1879-1945), მისი პროზა უკიდურესი ექსპრესიონიზმის ნიმუშია. "ხალხური მწერლების" ფრთის წარმომადგენლები განსაკუთრებით ამახვილებდნენ ყურადღებას გლეხობისადმი. ზოგი მათგანი ორმოციან წლებში ფაშიზმს მიემხრო.

ახალი დროის ყველაზე დიდი უნგრელი პოეტია ატილა იოჟეფი (1905-1937), რომელიც მიჩნეულია პეტეფისა და ადის ტრადიციების გამგრძელებლად. ასევე თვალსაჩინო ფიგურაა მიკლოშ რადნოტი (1909-1944), რომელიც ფაშისტებმა იმსხვერპლეს. გერმანელმა და უნგრელმა ფაშისტებმა იმსხვერპლეს აგრეთვე შესანიშნავი მწერლები: კარო პაპი (1897-1945), ენდე გელერი (1907-1945), ანთალ სერბი (1901-1945) და სხვა. ძალზე საინტერესო და თავისებური პოეტია ლორინც საბო (1900-1957). ცნობილია მისი ბრწყინვალე თარგმანები (ბოდლერი, ომარ ხაიამი, შექსპირი, გოეთე...). ასევე ცნობილი მწერლები არიან: ფ. კარიკაში, შ. გერგეი, ი. ლენდელი, ლ. კაშაკი, მ. ფიუშტი, იოჟ ენიო ტერშანსკი, ტ. დერი, მაგდა საბო, იშტვან საბო, პალ საბო, გეზა ჩატი და სხვა.

შესანიშნავი პოეტები არიან: ძიუ-

ლა იიეში (1902), იოჟეფ დარვაში (1912), შანდორ ვოროში (1913), იშტვან ვაში (1910), ლ. ბენიამინი (1915) და სხვ.

ორიოდე სიტყვით გვინდა აქვე დაეძინოთ, რომ თანადროული უნგრული ლიტერატურა ცდილობს არ დაკარგოს საკუთარი ტრადიციები, შეინარჩუნოს ის თავისებურება, ინდივიდუალობა, რომლებიც მას განასხვავებენ სხვა ლიტერატურებისგან, შეინარჩუნოს იმგვარად, რომ მისი ეროვნული ხასიათი ვეზირად არ იქცეს, თავისებურად ამდიდრებდეს მთელ ევროპრიობას, იყოს უცხოც და თავისიც, ახალიც და ძველიც, ტრადიციულიც და თანადროულიც, თანადროულიც და კლასიკურიც. აი, სწორედ ასეთი სინთეზისკენ მისწრაფება არის დამახასიათებელი უნგრელი მწერლებისთვის. უნგრული მწერლობა არ არის იზოლირებული, ის მუდმივ მოძრაობაშია და სრულყოფისკენ ისწრაფვის.

დღეს ორი ერის – უნგრელებისა და ქართველების მრავალი ლიტერატურული ნაწარმოებია თარგმნილი ერთმანეთის ენებზე. უნგრეთთან კარგა ხანია, დამყარე ბუღია მეგობრული და ლიტერატურული ურთიერთობა.

საინტერესოა, რომ მატიაშ მეფის კანცლერი, ესტერგომის არქივისკოპოსი, კარდინალი იანოშ ვიტეზი (დაახლ. 1408-1472) ცდილობდა დამეყარებინა მჭიდრო კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა საქართველოსთან, მაგრამ მისი ეს ჩანაფიქრი მაშინ განუხორციელებელი დარჩა: იგი უნგრელ და ქართველ მეფეთა მცდელობით მომდევნო საუკუნეებში დაგვირგვინდა კეთილად.



სინამდვილასა და ოცნებას შორის

დინო ბუცატის შემოქმედებითი პორტრეტი

XX საუკუნის დიდი იტალიელი პოეტი, 1975 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი, ეუჯენიო მონტალე (1896-1981), წერდა: "როდესაც პირველად ვნახე დინო ბუცატი - ეს დაახლოებით 1947 წელს იყო - უკვე გულითადად ვმეგობრობდი "მთიელი ბარნაბოს" ყვავსა და "თათრების უდაბნოს" ანტიგმირთან, ახალგაზრდა ოფიცერ ჯოვანი დროგოსთან. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ხშირად ახსენებდნენ კაფკას სახელს და მაინტერესებდა, პიროვნება-ავტორის მიღმა რა პიროვნება-ადამიანი იმალებოდა. არ გამცრუებია იმედი, არც კმაყოფილება მიგრძენია და არც განცვიფრებულეარ. არაფერი ჰქონდა არტისტული, არც - ექსცენტრული [...]. ბუცატი ნამდვილი ჯენტლმენი იყო, სასიამოვნო, მაგრამ - მეტისმეტად ექსპანსიური, გულმოდგინე ფურნალისტი, ალბათ, თავის საქმეზე შეყვარებული, უაღრესად სასიამოვნო მარტოსული, საკმაოდ კარგად ეწყობოდა თავის თავსა და ცხოვრებას" (გაზ. "Corriere della sera", Anno 97, n. 24, Milano, 1972 წ. 29 იანვარი, გვ. 3).

იმ მაღალფარდოვანი ტონის საპირისპიროდ, რომელსაც ხშირად მიმართავენ დინო ბუცატიზე მსჯელობისას, დიდი პოეტი უბრალოდ და შეუმცდა-

რად ახასიათებს კოლეგას, მწერალს, რომლის ლიტერატურული არჩევანიც ერთგვარ პარადოქსად აღიქმება თანამედროვე იტალიური ლიტერატურის ისტორიაში. ბუცატი აბსოლუტურად გულგრილი დარჩა ლიტერატურული მოდის მიმართ, არასოდეს უღალატია იმ თემატიკისა და სტილისათვის, რომელსაც ვირტუოზულად ფლობდა, თავაზიანად, მაგრამ გადაჭრით ამბობდა უარს, დაფიქრებულიყო წერის პროცესზე, თხრობის ბუნებასა და მიზანზე, შემოქმედის სოციალურ ფუნქციაზე. სწორედ ამიტომ, კრიტიკოსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი მხრივ, ენაწყლიანად, სიამოვნებით საუბრობდა თავის ნაწარმოებებზე, თავაზიანად იძლეოდა ინტერვიუებს იმ ფურნალისტივით, რომელმაც იცის, როგორ შეუქმნას კოლეგას მუშაობის საუკეთესო პირობები, არ უარყოფდა კრიტიკოსების მიერ მისთვის მიკუთვნებულ ნაირ-ნაირ ეტიკეტებს (ერთადერთს - მის გოლგოთად ქცეულ კაფკას ეპიგონის იარლიყს ვერ ეგუებოდა); მეორე მხრივ, კი აინუნში არ აგდებდა ლიტერატურულ კრიტიკას, ყურს არ იბერტყავდა იმაზე, ეგზისტენციალისტიად თუ ქრისტიანად (ან ერთდროულად ეგზისტენციალისტიად და ქრისტიანად), საერო თუ რელიგი-

ურ პიროვნებად, მეომრად თუ ბურჟუადა მონათლავდნენ, თავშესაქცევი ჯენტლმენობით მალავდა თავის ამბიციებს.

ახლობლებს არ გამოჰპარვიათ მწერლის ხასიათის ორმხრივი ბუნება. მაგალითად, მისი მეგობარი და კოლეგა პოპულარული იტალიური გაზეთის, "კორიერე დელა სერას" (*Corriere della sera*), რედაქციიდან, ემილიო რადიუსი, იგონებდა: დინოს "ჰქონდა ლიტერატურული ამბიციაც და მოთმინებაც, იყო სულნასულიც და მოცდაც შეეძლო, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ სხვა მწერალთაგან დიდად განსხვავებული ფანტაზიის უნარი მიიყვანდა იქამდე, სადაც გადაწყვეტილი ჰქონდა მისვლა. სინამდვილეში არ იყო კრიტიკული, ქებას თავაზიანობად თვლიდა, კრიტიკას კი - წერილმან და დასავენყებელ უხეშობად" (გაზ. "Il Mondo", Anno 24, n. 6, Milano, 1972 წ. 11 თებერვალი, გვ. 21).

ბუცატი მისგან აღებული ინტერვიუებით იხატება როგორც ზრდილი, განონასწორებული პიროვნება, რომელსაც სურს, მკითხველთან კარგი ურთიერთობა ჰქონდეს. დათმობა სჩვევია, საშუალებას აძლევს ინტერვიურს, დაგვიხატოს იგი, როგორც პედანტი, მაღალი წრის ბურჟუა, ისეთი, რომელიც რადიკალურად უპირისპირდება მწერლის შესახებ ტრადიციულად დამკვიდრებულ კლიშეს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სწორედ ასე წარმოგვისახავს ბუცატის. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ მისი გარეგნული სახეა. ნამდვილი ბუცატი საძიებელია მისსავე გმირების ბობოქარ სულში, თავად მწერლის ბიოგრაფიაში, რომელიც იდუმალი ცხოვრებისეული ირონიითაა გაფლენთილი. კრიტიკოსებს ხშირად მოჰყავთ საქვეყნოდ ცნობილი სიტყვები,

რომლებიც მან პროზაიკოსისა და ესეისტის, გრაცია ლივისათვის, მიცემულ ინტერვიუში წარმოთქვა: "როცა ვწერ, ყველაზე მეტად ის მაფიქრებს, გული არ გაუწვრილო მკითხველს. ვეთანხმები ვოლტერს: დასაშვებია ლიტერატურის ყველა ჭანრი, გარდა მოსაწყენისა. ჩემი ამბიციიაა, გული აუწუყო და არ ვახარხარო... მართლაც, ზოგჯერ ლირიკულ რამე-რუმეებს ვწერ. შეიძლება, ზოგიერთებმა მითხრან, რომ სისულელეა, მაგრამ მე ეს, სწორედ რომ, ფეხებზე მკიდა" (გაზ. "Corriere della sera", Anno 97, n. 10, Milano, 1972 წ. 13 იანვარი, გვ. 12). ბუცატი მხოლოდ საკუთარ თავს აძლევდა უფლებას, თვითონ ყოფილიყო თავისი თავის მსაჯული.

დინო ბუცატის საქვეყნოდ გაუთქვა სახელი რომანმა "თათრების უდაბნო" (*Il deserto del Tartari*), რომელიც გამოცემლობა "რიკოლიმ" 1940 წელს დასტამბა, აგრეთვე, შვიდ წიგნად გამოცემულმა მშვენიერმა ნოველებმა: "შვიდნი მალემსრბოლნი" (მილანი, 1942), "შიში ლა სკალაში" (მილანი, 1949), "ბალივერნას ჩამონგრევა" (მილანი, 1954), "მაგიური ექსპერიმენტი. 18 მოთხრობა" (პადუა, 1958), "სამოცი მოთხრობა" (მილანი, 1958), "კოლომბრე და სხვა ორმოცდაათი მოთხრობა" (მილანი, 1966), "ძნელი ღამეები" (მილანი, 1971). მწერალმა სიცოცხლეშივე გამოსცა თავისი ნოველების რჩეული - "საიდუმლოების ფარდული" (მილანი, 1968), სიკვდილის შემდეგ კი დაისტამბა მისი ნოველების სრული ანთოლოგიაც - "180 მოთხრობა" (მილანი, 1982). 1960 წელს გამოვიდა რომანი "დიდი პორტრეტი" (მილანი), 1963 წელს კი - მწერლის ბოლო რომანი "ამბავი ერთი სიყვარულისა" (მილანი), სადაც, ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით, მწერალმა ხარკი გა-

დაუხადა თავისი დროის კონსუმისტურ ლიტერატურულ გემოვნებას, სინამდვილეში კი მხატვრულად გარდათქვა თავისი ცხოვრების გაუსაძლისი ტკივილებითა და თვითკრიტიკით აღსავსე ურთულესი პერიოდი, საიდანაც ხსნა, მისივე აღიარებით, შემოქმედებით პროცესში იპოვა.

მწერალი კიდევ ერთ ტალანტს ფლობდა: შესანიშნავი გრაფიკოსიც გახლდათ. შესრულებული აქვს მრავალი წიგნის ბრწყინვალე ილუსტრაციები. ბუცატის, როგორც მხატვრის, გემოვნება მის თავისებურ, ბავშვურ ხელწერაშიც აისახა. ძნელია, დაივიწყო, როგორ ახასიათებდა ხელოვანს ცნობილი ესეისტი და კრიტიკოსი, ჩეზარე გარბოლი. იგი წერდა: "გრაფოლოგი არა ვარ, მაგრამ ბუცატის კალიგრაფიის გაშიფვრა რომ მთხოვონ, ვიტყვოდი, რომ იგი ქედმაღალი ადამიანია: უფემური, მარტოსული, გულჩათხრობილი, იოლად რომ შეიპყრობს აფორიაქება და ბავშვური ჭირვეულობა. ბავშვურად დაუხვეწავი, ველური ფანტაზიის პატრონია. ადამიანია, რომელსაც სწამს, რომ ის, რასაც განიცდის და ფიქრობს, გამოხატვის ღირსია (ეს არის მწერლის უპირველესი თვისება) [...]. რომ მკითხონ, რა ტიპის მწერალიაო, გავუბედავდი და ვიტყვოდი, რომ ზღაპრებს წერს. პროზაიკოსი რომ იყოს? რომანისტი? ეუპასუხებდი: მარტივი რომანების ავტორი, რომელიც მხოლოდ ერთ, უცებ გასაგებ იდეაზე წერს, საღი აზრი ამოძრავებს, ყველაფერს დანვრილებით გვიყვება, ზედმინწევით იცავს მორალს [...]. მაგრამ ბუცატი შეფასებულია როგორც მეტაფიზიკოსი და სოურეალისტი მწერალი. ამდენად მე, როგორც გრაფოლოგს, დიდი ვერაფერი შვილი პერსპექტივა მქონია" (გაზ. "Il Mondo", Anno 24, n. 3, Milano, 1972 წ. 21 იანვარი, გვ.

16). სინამდვილეში, მთხრობელი ბუცატი ქრონიკოსსა და მეცნიერს შორის იდგა. ნაწარმოებს ცოვი, ანონიმური ობიექტურობით იწყებდა, მერე ერთ პრობლემას ირჩევდა და მიკროსკოპულად იკვლევდა.

დინო ბუცატი, ანუ დინო ბუცატი ტრავერსო, უახლესი იტალიური პროზის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. დაიბადა 1906 წლის 16 ოქტომბერს ჩრდილოეთ იტალიაში, დოლომიტების მთის ძირას, ქალაქ ბელუნოს მახლობლად, დაბა სან-პელეგრინოში. მისი მშობლები წარმოშობით ვენეციელები იყვნენ. დედა – ალბა – იტალიელი მწერლის, დინო მანტოვანის და იყო, მამა – ჯულიო ჩეზარე კი – მილანის ბოკონის სახელობისა და პავიის უნივერსიტეტების საერთაშორისო სამართლის კათედრების პროფესორი.

ბუცატების ოჯახი ზამთარს მილანში, წმინდა მარკოზის მოედნის მე-12 ნომერ სახლში ატარებდა. მოგვიანებით მწერლის შემოქმედებაში აისახა სწორედ მშობლიური ქალაქის სული, რომელთანაც განუყრელადაა შერწყმული სან-პელეგრინოს ხეობაში დანახული ჩრდილოური სამყაროს ხატება, როგორც შემოქმედის ყრმობისდროინდელ ყველაზე წარუშლელი შთაბეჭდილება.

1916 წელს მომავალი მწერალი მილანში ყველაზე პრესტიჟულ პარინის სახელობის გიმნაზიაში შეიყვანეს. აქ გაიცნო ჯოვანი მირა და არტურო ბრამბილა, შემდგომ ბეკარიას სახელობის კლასიკური ლიცეუმის ცნობილი პროფესორი და სიკვდილამდე დინოს განუყრელი მეგობარი. ცამეტი

წლის ასაკში შემთხვევით ჩაუვარდათ ხელში გაეტანო მასპეროს "ეგვიპტური ხელოვნების ისტორია" და ამით დაიწყო ეგვიპტოლოგიით გატაცება, რომელიც მათში "თითქმის ფიზიკურ ემოციებს" იწვევდა (*Dino Buzzati: un autoritratto, Dialoghi con Y. Panafieu* (Luglio-settembre 1971), Milano, Arnaldo Mondadori Editore, 1973, გვ. 27). სახელებიც ეგვიპტური დაირქვეს: არტურო არტურისი გახდა, დინო – დინოფისი. ასე შეუდგნენ ყმანელები პოემების წერას: არტურო – პორუსზე, დინო კი – ანუბისზე. ამ პერიოდშივე დაიწყო დინომ ედგარ პოსა და პოფმანის ნაწარმოებების კითხვა. მოგვიანებით, 1922 წელს, დინომ ეგვიპტური ენის შესწავლაც სცადა (იხ. 1922 წლის 7 ივლისს არტურო ბრამბილასადმი მიწერილი წერილი).

მომავალი მწერალი 14 წლისა მამით დაობლდა. მის შემდგომ ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა დედამ, აგრეთვე, გერმანელმა ძიძამ, რომელიც პატარა დინოს ზღაპრებსა და ლეგენდებს უყვებოდა, რისი კვალიც მწერლის მთელ შემოქმედებას გასდევს. ამავე პერიოდში დალაშქრა პირველად დოლომიტების მწვერვალები ძმა აუგუსტოსა და მეგობრებთან: ალესანდრო ბარტოლისთან, არტურო ბრამბილასა და ემილიო ძაქისთან ერთად. ერთ-ერთი ასეთი ლაშქრობა დეტალურადაა აღწერილი არტურო ბრამბილასადმი 1921 წლის 24 ივლისს მიწერილ ვრცელ წერილში. ბარტოლი "ჩემზე გაცილებით ყოჩაღი იყო", – იგონებდა მოგვიანებით მწერალი. – "თავისი თვისებებით, ნების-

ყოფითა და ფიზიკური მონაცემებით მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ალპინისტი დადგებოდა, 1928 წელს ერთ სულელურ უბედურ შემთხვევას რომ არ ემსხვერპლა". "თუ მონტე-როზას¹ მყინვარებზე ყოფნისას პომეროსზე ფიქრობდი – და სულაც არ მგონია, მწვალებულ რამეს ვამბობდე – დარწმუნებული ვარ, პომეროსი ერთ საბრალო ვინმედ მოგეჭვენებოდა. და ამის მიზეზი საერთოდ არ არის ის, რომ განსაკუთრებულად გზიბლავს მთები. თუკი სკოლაში ბერძნულის გაკვეთილზე კროდებზე ფიქრობ, ისინი სასაცილო კი არა, პირიქით, უფრო დიდებული გეჩვენება, რადგანაც მიუწვდომლად შორს არიან", – წერდა დინო არტურო ბრამბილას 1923 წლის 30 სექტემბერს.

1920 წელს ბუცატი გაეცნო დოსტოვესკის შემოქმედებას, დეკემბერში კი დაასრულა რიტმული პროზაული ნაწარმოები "სიმღერა მთებს" (*La canzone alle montagne*), დაიწყო დღიურის წერაც, რაც მხოლოდ 1960-1970 წლებში შეწყვიტა.

1924 წელს დაამთავრა პარიზის სახელობის გიმნაზია, რომლის პედაგოგთაგან მხოლოდ ერთი, ცნობილი ლათინისტი, ლუიჯი კასტილიონი, შემორჩა მეხსიერებაში. ბუცატის გადამწყვეტილი ჰქონდა, სწავლა ლიტერატურისა და ფილოსოფიის ფაკულტეტზე გაეგრძელებინა, თუმცა, ბოლოს, წმინდა უტილიტარული მოსაზრებით, არჩევანი შეაჩერა მილანის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1928 წელს დაამთავრა. უნივერსიტეტში

¹ მონტე-როზა (იტალ. Monte Rosa) – მთების მასივი პენინის ალპებში, იტალიისა და შვეიცარიის საზღვარზე; მისი უმაღლესი მწვერვალი ზღვის დონიდან 4638 მ. სიმაღლეზე მდებარეობს.

სწავლის პერიოდში მწერალმა პელმოდან დაწყებული ჩივეტას მწვერვალამდე ყველა პიკი დალაშქრა.

1926 წელს სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. პარალელურად მილანში იტალიის პროსპექტზე მდებარე ტეულიეს ოფიცერთა სკოლაში შევიდა. არტურო ბრამბილასადმი 1926 წლის 8 სექტემბერს მიწერილ ბარათში დინო აღნიშნავდა: "ახლა ამ ერთგვარ ციხეში ვიმყოფები, სადაც ვალდებული ხარ, მუხლჩაუხრელად იმუშაო დილიდან საღამომდე. კატორღელებივით საშინლად გვაცვივა და ერთთავად დასჯის შიშის ქვეშ ვიმყოფებით. ასე რომ თოჯინები [როგორც წესი, ასე უწოდებდა ბუცატი გოგონებს - გ. შ.], მთები, მუსიკა, თავისუფლება ისე არაჩვეულებრივად ღამაზი ჩანს, რომ გვეგონება, აღარასოდეს გელირსება ისინი". სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან 1927 წლის 30 სექტემბერს უმცროსი ლეიტენანტის ჩინით გავიდა.

1928 წლის 30 ოქტომბერს ბუცატიმ წარადგინა და დაიცვა საუნივერსიტეტო სადიპლომო ნაშრომი, მანამდე კი რამდენიმე თვით ადრე, 9 ივლისს, მუშაობა დაიწყო "კორიერე დელა სერას" რედაქციაში, სადაც უამბიცოს, სიტყვაჭუნსს, მეთოდურსა და პუნქტუალურს კრიმინალური ქრონიკა მიჰყავდა. მილანში სოლფერინოს ქუჩაზე ღამეებს ტეხდა წლების განმავლობაში ქანცგამოცლელ სარედაქციო სამუშაოზე. მიუხედავად ამისა, გაზეთის რიგით მუშაკად დარჩა, ვიდრე ლიტერატურულმა ნაწარმოებებმა საყოველთაო აღიარება არ მოუტანა. ამავე წელს გაიცნო ბეატრიჩე (ბიბი) ჯაკომეტი, რომლის შესახებაც მწერა-

ლი დღიურში აღნიშნავს: "კვირას ბიბისთან ერთად საცეკვაოდ ვიყავი კამპარინოში. გული მეთანაღრება იმაზე, რომ დედაჩემს აშინებს ეს სიყვარული".

1929 წელს გაზეთის მუსიკალური განყოფილების გამგის, გაეტანო ჩეზარის, მოადგილედ დაინიშნა. ამ დროიდან ესწრება ლა სკალას კონცერტებსა და მცირე პროგრამებს. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობაში ეოლინოსა და ფორტეპიანოზე დაკვრა ესწავლა, მაინცდამაინც დიდად გატაცებით არ ასრულებდა ამ საქმეს. როგორც არტურო ბრამბილასადმი მოგვიანებით, 1930 წლის 13 იანვარს, მიწერილი წერილიდან ვიგებთ, მუდამ ეშინოდა, რამე შეცდომა არ დაეშვა ლა სკალას მუსიკალური ქრონიკის გაშუქებისას. ბიბის შესახებ კი 1929 წლის 25 ივლისს მეგობარს უმხელდა: "ამასთან, მიყვარს ეს მომაჯადოებელი თოჯინა და გაზეთში საკმაოდ მშვიდად ვმუშაობ". 1929 წლის 2 სექტემბრის წერილშიც ისევ ბიბიზე წერს: "ბ., რომელიც, სამწუხაროდ, უფრო და უფრო მეტად მიყვარს, ალეგებშია² ათიოდე დღით და ჩემთან ერთად იმგზავრა".

ამავე წელს უიღბლოდ დაიწყო დინოს ლიტერატურული დებიუტი: გაზეთმა "დომენიკა დელ კორიერე" (Domenica del Corriere) დაიწუნა მისი მოთხრობა, რომელიც მწერლისათვის სანუკუვარი ედგარ პოს სტილში იყო დაწერილი.

1930 წლის 14 თებერვალს ბუცატი ლომბარდიის ყურნალისტთა ფაშისტურ პროფესიულ კავშირში ჩაენერა. ზაფხულში კი ორ ალპინისტურ კამპანიაში მიიღო მონაწილეობა. სწორედ ამ პერიოდში ფიქრობდა პირველი რო-

² ალეგები (Alleghe) — ბელუნოს რაიონის ქალაქი ვენეტოს რეგიონში (იტალია).

მანის ქარგაზე, რომლის შესახებაც დღიურში ჩაინიშნა: "მთიელი ბარნაბოს თავგადასავალზე ვფიქრობ, რომელიც, სადაცაა, დაინერება. აი, ჯერ გზა, რომელიც აღმა ხეობისკენ მიდის, აი, სალამო და ახალგაზრდა ბარნაბოს დაღლილობა; უმჯობესია, საზღვარს იქით გადავიდეთ – ღამით შორეული ცეცხლი, შვიდი ობერტონის ხმა. მაღალ სახლში ცხოვრება, ნადირობა, დატყვევებული ყორანი, ქარიშხალი და აღწერა იმისა, რაც მოხდა. დენთის საწყობთან დარაჯობა, მოქუფრული დღის მეორე ნახევარი და მთის უკანასკნელი ბებერი სულელები გაქრნენ".

1930 წლიდან თანამშრომლობა დაიწყო მილანის პროვინციის ფაშისტური ფედერაციის ყოველკვირეულ გამოცემასთან – "ილ პოპოლო დი ლომბარდია" (Il Popolo di Lombardia), სადაც აქვეყნებდა სტატიებს მუსიკალური ქრონიკის შესახებ და ილუსტრაციებს. ხანგრძლივმა ჟურნალისტურმა საქმიანობამ თვალსაწიერი გაუფართოვა, ჩამოუყალიბა მკაფიო და მოქნილი ლიტერატურული სტილი. ამის გამოა, რომ იგი, ერთი მხრივ, როგორც ჟურნალისტი, ხშირად ბელეტრისტკამდე მალღდება, მეორე მხრივ კი, როგორც მწერალი, თითქმის ჟურნალიზმამდე გამჭვირვალე ენას მიმართავს.

1932 წლის 13 აპრილს პერიტიონიტის შეტევით მოულოდნელად გარდაიცვალა ბეატრიჩე ჯაკომეტი, რამაც ძალიან მძიმედ იმოქმედა მწერალზე.

ამავე წელს "მთიელი ბარნაბოს" ხელნაწერი წაკითხა "კორიერე დელა სერას" ქრონიკორს, ჩირო პოჯალის, რომელიც დაჰპირდა, გამოცემულს გიშოვიო.

1933 წლიდან "კორიერე დელა სერას" რედაქციაში ემილიო რადიუსთან ერთად მიანდგეს რუბრიკა "პროვინციებიდან", რომელიც 1939 წლამდე

მიჰყავს. იგი 1964 წელს ასე იგონებდა: "კვირას სალამოს, როდესაც რედაქციაში მოვდიოდით, სასონარმკვეთი სანახაობა გველოდა: იტალიის ყოველი კუთხიდან მოსული ფურცლების, გადაბეჭდილი ტექსტების, ტელეგრამების გიგანტური სვეტები გვხვდებოდა. 95 პროცენტი ცერემონიული იყო: შეკრებები, დღესასწაულები, საზეიმო გახსნები, ზეიმები, ვიზიტები, იერარქთა სიტყვები; და ყველა მათგანი უცვლელად მთავრდებოდა მონაჩში მისალმებებით "დუჩეს" მისამართით [...]. ჩვენ, რედაქტორებს, ეს, როგორც წესი, გაჭიანურებული და გულისამრევი წერილები, ახალ ამბებად უნდა გაგვეცოცხლებინა, მიგვეცა მათთვის ელემენტარული ადამიანური შინაარსი და ფორმა. ერთობ უზარმაზარი სამუშაო იყო, რის გამოც თავი ბურთივით გვებერებოდა და, ქანცგანწყვეტილები შინ დილის ხუთ საათზე მივდიოდით [...]" (ვაზ. "Corriere della sera", Anno 89, n. 267, Milano, 1964 წ. 21 ნოემბერი, გვ. 5).

ამ სამუშაოს შესრულებაში დიდად ეხმარებოდა ემილიო რადიუსი, რომელიც დინოს ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი გახდა. ამავე წელს, იმდროინდელმა უაღრესად პრესტიჟულმა გამოცემლობა "ტრევესმა", დასტამბა მისი რომანი "მთიელი ბარნაბო" (Barnabo delle montagne), თავად ბუცატი კი გაზეთის დავალებით პალესტინაში გაემგზავრა და გზად საბერძნეთში, სირიასა და ლიბანში შეჩერდა.

1934 წლის დასაწყისში პირველად წაკითხა კაფკა და ორი წლის მუშაობის შემდეგ დაასრულა რომანი "ძველი ტყის საიდუმლო" (Il segreto del bosco vecchio).

1935 წელს ბუცატი გამწვავებული მასტიოდით საავადმყოფოში დაანვინეს. სწორედ აქ ნანახი და განცდი-

ლი დაედო საფუძვლად მოთხრობას "შვიდი სართული". ამავე წლიდან, "კორიერე დელა სერას" რედაქციაში მუშაობდა, პარალელურად, 1936 წლამდე ამ გაზეთის ყოველთვიურ ლიტერატურულ დამატებას, ყურნალ "ლა ლეტურას" (La Lettura) ხელმძღვანელობდა. სწორედ აქ დაიბეჭდა მწერლის სხვადასხვა საუკეთესო მოთხრობა. ამავე წელს გამოცემილია ტრევესმა დასტამბა მისი ახალი რომანი "ძველი ტყის საიდუმლო" (Il segreto del bosco vecchio), ამავე წელს თავისი სიძის, ეპე რამაცოტისათვის, დაწერა "ჩიუხების წიგნი" (Il libro delle pippe), რომელიც ათიოდე წლის შემდეგ მწერლისავე უნიკალური ილუსტრაციებით გამოიცა.

ბუცატიმ 1939 წლის იანვარში არტურო ბრამბილას გადასცა ახალი რომანის, "თათრების უდაბნოს" (Il deserto dei Tartari), ხელნაწერი გამოცემელ ლეო ლონგანეზისათვის შესათავაზებლად. ლონგანეზი იმხანად გამოცემილია "რიცოლის" ახალ სერიალს, "მუხების დივანს", ამზადებდა, რომელშიც განზრახული ჰქონდა, თავი მოეყარა "იტალიური და საზღვარგარეთული ლიტერატურის ყველაზე ორიგინალური ნაწარმოებებისათვის, დიდებულ და უბადრუკ ადამიანთა ისტორიისათვის, გუშინდელი და დღევანდელი დღის ფაქტებისათვის". გამოცემელმა მიიღო ხელნაწერი, მაგრამ სთხოვა მწერალს, შეეცვალა რომანის თავდაპირველი სათაური "ციხესიმაგრე" (La fortezza), რადგანაც ამ სათაურში, შესაძლო იყო, უკვე კარს მომდგარ ომზე მინიშნება დაენახათ. რამდენიმე თვის შემდეგ, 12 აპრილს, ნეაპოლიდან ადის-აბეზაში გაემგზავრა, როგორც სპეციალური კორესპონდენტი, და ეთიოპიაში ერთი წელი დაყო. წერილით "ჯიბუტი ლეტარგიაში"

(Gibuti in letargo) "კორიერეს" ფურცლებზე (გაზ. "Corriere della sera", Anno 64, n. 108, Milano, 1939 წ. 7 მაისი, გვ. 3) იწყება მისი აფრიკული კორესპონდენციების სერიალის გამოქვეყნება.

1940 წელს მწერალი ტიფით დაავადდა და მცირე ხნით იტალიაში დაბრუნდა სამკურნალოდ, 6 ივნისს უკვე მზად იყო ეთიოპიაში ხელახლა გასამგზავრებლად, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთთან გართულებული ურთიერთობების გამო ამ დროისათვის ნაოსნობა შეწყვეტილი იყო, მართლაც, ოთხიოდე დღის შემდეგ, 10 ივნისს, მუსოლინიმ რომში ომი გამოუცხადა საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს, რითაც იტალია მეორე მსოფლიო ომში ჩაება.

ასე მოხვდა დინო ბუცატი ომში, როგორც სამხედრო კორესპონდენტი, თავდაპირველად - ხმელთაშუა ზღვის ოპერაციებში, 27 ნოემბერს კი გემ "ტრიესტე"-სთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდა ტეულადას კონცხთან ბრძოლაში. ამ ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე, ჯორჯო დისერა ბრავადინი, იგონებს: ბუცატი მეზობლი მეზღვაური არ იყო, მიუხედავად ამისა, ფეხს არ იცვლიდა თავისი ადგილიდან, არ კარგავდა სიმშვიდესა და სიმშენს.

მწერალი 1940 წლის 16 თებერვალს გაგზავნილ წერილში სთხოვდა არტურო ბრამბილას, "თათრების უდაბნოს" კორექტურა წაიკითხე და, თუ რამე უზუსტობას შენიშნავ, თავისუფლად შემისწორეო. ასევე, სთხოვდა, დიალოგებში თქვენობით მიმართვისათვის გამოყენებული მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის ფორმები, ფაქტობრივი რეჟიმის მიერ შემოღებული სტილის თანახმად, მრავლობითი რიცხვის მეორე პირად გადაეკეთებინა. ასე გამოდის რომანი, რომელიც

უმალვე იყიდება. კრიტიკოსი პიეტრო პანკრაცი მას აფასებს, როგორც "ბოლო წლების ერთ-ერთ ყველაზე თავისებურ რომანს", თუმცა, იქვე, მისი აზრით, ზოგიერთ ნაკლოვანებაზეც მიუთითებს (გაზ. "Corriere della sera", Anno 65, n. 185, Milano, 1940 წ. 2 აგვისტო, გვ. 3), 3 აგვისტოს კი ბუცატი კმაყოფილებით წერს ნეაპოლიდან ბრამბილას: "ნახე პანკრაციის სტატია? რაც არ უნდა იყოს, დიდი პატივია. მან ბევრი ძალიან სასიამოვნო რამ თქვა ჩემ შესახებ". მწერალი თავს ანებებს "რიცოლისთან" თანამშრომლობას და მომავალი ნაწარმოებების გამოსაქვეყნებლად კონტრაქტს გამომცემლობა "მონდადორისთან" აფორმებს.

1941 წლის 27-29 მარტს ბუცატი კიდევ ერთ საზღვაო ბრძოლაში მონაწილეობს, ამჯერად სამხრეთ პელოპონესში, მატაპანის კონცხთან. 28 მარტს ინგლისელებმა იტალიის კრეისერი "პოლა" ჩაძირეს და ბუცატი შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს. რამდენიმე თვის შემდეგ, 17 დეკემბერს, სირტესთან პირველ ბრძოლაში ვხედავთ.

1942 წლის დასაწყისში სიცილიაში, ქალაქ მესინაში მიემგზავრება, სადაც საზღვაო ფლოტის სამინისტროს ხელმძღვანელობის დავალებით მუშაობას იწყებს ნიგნზე, რომლის სათაური დაახლოებით ასეთი უნდა ყოფილიყო: "ჩვენი საზღვაო ომის ამჟამინდელი მდგომარეობა", მაგრამ, როგორც ჩანს, ნიგნს დასრულება არ ეწერა. 22 მარტს ბუცატი მონაწილეობს სირტესთან მეორე ბრძოლაში. "გორიციას" გემბანიდან თვალს ადევნებს საომარ ოპერაციებს და აღწერს მათ ვრცელ სტატიაში – "ქარიშხალმა იხსნა ინგლისელები სირტესთან მეორე ბრძოლაში" (გაზ. "Il nuovo Corriere della sera", Anno 72, n. 83, Milano, 1947 წ.

6 აპრილი, გვ. 3). წლების შემდეგ კი აცხადებს, რომ თავიდან ბოლომდე იზიარებდა ადმირალ ანჯელო იაკინოს საბრძოლო სტრატეგიას და, როგორც თვითმხილველს, ინგლისელი მწერლის, ფორესტერის, მაღალმხატვრული რომანი "კრეისერი" ისტორიული თვალსაზრისით აბსოლუტურ სიყალბედ მიაჩნდა (გაზ. "Corriere della sera", Anno 78, n. 81, Milano, 1953 წ. 4 აპრილი, გვ. 3). აგვისტოში მილანში იძახებენ.

მესინაში გაიცნო მწერალმა ქალბატონი კ. მ., რომელთანაც ხანგრძლივი და სირთულეებით აღსავსე ურთიერთობა წამოიწყო. "მაგრამ საბრალოა ჩემი მდგომარეობა: მიყვარს ქალი, რომელსაც – ასე მგონია, სერიოზულად – საკმარისად არ ვუყვარვარ და, ამავე დროს, ამ ურთიერთობისგან მომავალში სიმწარის, სიშორის, ეჭვებისა და მისთანების გარდა, არაფრის იმედი არ უნდა მქონდეს", – წერდა ბუცატი 1942 წლის 29 აგვისტოს ბრამბილას. ომის დასასრულს მწერალმა მოძებნა ეს ქალი და მეგობრების, ცნობილი იტალიელი ჟურნალისტის, იდრო მონტანელისა და სილვიო ნეგროს დახმარებით მილანში გადმოიყვანა.

1942 წელს დაიბეჭდა ნოველების კრებული "შვიდნი მალემსრბოლნი" და რომანის, "თათრების უდაბნო", პირველი უცხოური თარგმანი გერმანულ ენაზე.

1943 წლის 25 ივლისს იტალიაში ფაშისტური რეჟიმის დამხობამ მრავალი ცვლილება გამოიწვია "კორიერეს" რედაქციაში. მთავარი რედაქტორი აღდო ბორელი იმავე დღეს შეცვალა ეტორე იანიმ, რომლის ადგილი 9 სექტემბერს, გერმანელების ოკუპაციის შემდეგ, მათი პოზიციების გამომხატველმა ერმანო ამიკუჩიმ დაიკავა. აგ-

ვისტოს ბოლოს ბუცატი ფლოტიდან როგორც სამხედრო კორესპონდენტი წავიდა: მისი უკანასკნელი სტატია "კაპელანს ილბალი მოაქვს" (გაზ. "Corriere della sera", Anno 68, n. 189, Milano, 1943 წ. 8 აგვისტო, გვ. 3) 8 აგვისტოთია დათარიღებული. მწერალი მილანში დაბრუნდა და "კორიერეში" თავის ძველ საქმიანობას დაუბრუნდა. იდრო მონტანელი იგონებს: "8 სექტემბერს ბუცატი აიძულეს, რედაქციაში დარჩენილიყო და ბუცატიც დარჩა", მისმა მრავალმა მეგობარმა კი მიატოვა გაზეთი. სულ უფრო და უფრო იშვიათად ბეჭდვდა წერილებს, რომელთა მხოლოდ ერთი ნაწილი შემდგომში ხელახლა გამოაქვეყნა.

1945 წელს 7 იანვრიდან 29 აპრილამდე "კორიერე დეი პიკოლიში" (Corriere dei piccoli) იბეჭდებოდა ბუცატის ახალი რომანი "დათვების ცნობილი შემოსევა" (La famosa invasione degli orsi), რომელსაც მწერლის უნიკალური ფერადი ილუსტრაციები ერთვის. რომანი სრული სახით ცალკე წიგნად გამოიცა სათაურით: "დათვების ცნობილი შემოსევა სიცილიაში" (La famosa invasione degli orsi in Sicilia, მილანი, გამომცემლობა "რიცოლი", 1945).

"კორიერესთან" თანამშრომლობა ბუცატიმ შეწყვიტა, მაგრამ 25 აპრილს გაზეთის ახალმა მთავარმა რედაქტორმა მარიო ბორსამ იგი ხელახლა მოიწვია. "შინ იყო, თითქოსდა, არაფერი ხდებოდა. დედამისთან ერთად ვაბშობოდა. ვუთხარი, მოდი-მეთქი. წარბიც არ შეუხრია, არც უკითხავს, რატომ არ დაიცვეს ამ ერთადერთ შემთხვევაში კოლაბორაციონისტების შერისხვის პრინციპი. ისიც ველოსიპედით მოვიდა", - იხსენებს გაეტანო აფელტრა. სწორედ იმ დღეს ბუცატი წერს განთავისუფლებული მილანის ქრონიკებს, რომელიც მეორე დღეს

გაზეთში პირველ გვერდზე იბეჭდება სათაურით "ლირსასხსოვარი დღეების ქრონიკა" (გაზ. "Il nuovo Corriere della sera", Anno 1, n. 1, Milano, 1945 წ. 26 აპრილი, გვ. 1).

პარალელურად ბუცატი გაეტანო აფელტრასთან, ბრუნო ფალაჩისა და ბენსო ფინისთან ერთად გამოსაცემად ამზადებს ახალ ზომიერ-ლიბერალურ გაზეთს, "ილ კორიერე ლომბარდო" (Il Corriere Lombardo), რომლის პირველი ნომერი 1945 წლის 30 ივლისს გამოდის. იმავე წელს გამომცემლობა "მონდადორო" "რიცოლისთან" ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ იღებს საავტორო უფლებებს რომანზე "თათრების უდაბნო" და ხელმეორედ გამოსცემს.

1946 წელს ბუცატიმ შეწყვიტა თანამშრომლობა გაზეთთან "ილ კორიერე ლომბარდო" და დაბრუნდა გაზეთში "ილ ნუოვო კორიერე დელა სერა" (Il nuovo Corriere della sera), რომელსაც მარიო ბორსა რედაქტორობდა.

1947 წლის 16 ივლისს ალბენგაში პატარა გემის ჩაძირვას 44 ბავშვის სიცოცხლე შეეწირა. ამის შესახებ ბუცატიმ კარნახით გადასცა შემდგომში ლეგენდად ქცეული ნარკვევი "ორმოცდაოთხ დედის გულში ჩატეული მთელი სამყაროს ტკივილი" (გაზ. "Il nuovo Corriere della sera", Anno 72, n. 170, Milano, 1947 წ. 18 ივლისი, გვ. 1).

1948 წელს დაწერა მოთხრობა "შიში ლა სკალაში" (Paura alla Scala), რომელიც რუბრიკით "მცირე რომანი" დაიბეჭდა ოთხი გაგრძელებით გაზეთ "ლ'ეუროპეოში" (L'Europeo) 18 ოქტომბრიდან 14 ნოემბრამდე.

1949 წელს "ილ ნუოვო კორიერე დელა სერამ" სპეციალური დავალებით გააგზავნა იტალიის ველოსიპედისტთა ეროვნული ჩემპიონატის (Giro d'Italia) გასაშუქებლად. მისი სტატიე-

ბი, რომლებიც 18 მაისიდან 14 ივნისამდე ქვეყნდებოდა, ძირითადად ბარტალისა და კოპის ორთაბრძოლას ეძღვნებოდა. ამავე წელს გამოვიდა მოთხრობების ახალი კრებული "შიში ლა სკალაში" და რომანის, "თათრების უდაბნო", ფრანგული თარგმანი, რომელითაც დაიწყო ბუცატის ფართო აღიარება ფრანგ მკითხველთა შორის.

1950 წელს დაინიშნა პოპულარული გაზეთის, "დომენიკა დელ კორიერე", მთავარი რედაქტორის, ულიჯო პოსენტის, მოადგილედ და ამ თანამდებობაზე 1963 წლამდე იმუშავა, მიუხედავად იმისა, რომ მისი სახელი არ ფიგურირებდა რედკოლეჯის წევრთა შორის, მხოლოდ გაზეთის 1964 წლის პირველ ნომერში, როდესაც პოსენტიმ მთავარი რედაქტორობიდან გადადგომის განცხადება გააკეთა, სხვებთან ერთად მადლობა გადაუხადა "გენიალურსა და აქტიურ დინო ბუცატის, რომელიც ჩემი ამხანაგი და მოადგილე იყო 1950 წლიდან დღემდე" (გაზ. "Domenica del Corriere", Anno 66, n. 1, Milano, 1964 წ. 5 იანვარი, გვ. 3). ბუცატი ერთგვარი უჩინარი რედაქტორი იყო, რომელიც ავტორებს უკვეთავდა წერილებს, თავად ძალიან ცოტას წერდა, ძირითადად სტილისტურად ხვეწდა სათაურებსა და მიწანწერებს. ამავე წელს ფრანგულ "ორი სამყაროს ჟურნალში" დაიბეჭდა ცნობილი ესეისტიკისა და კრიტიკოსის, მარსელ ბრიონის, საყურადღებო წერილი დინო ბუცატის შესახებ (ერნ. "Revue de deux mondes", 19, 1959, გვ. 530-539), ვენეციურმა გამომცემლობამ, "ნერი პოცა", კი გამოაქვეყნა მწერლის პროზაული ნაწარმოებებისა და ჩანაწერების კრებული "ზუსტად იმ მომენტში" (In quel preciso momento).

1953 წლის 14 მაისს რეჟისორმა ჯორჯო შტრეპლერმა მილანის პატა-

რა თეატრში დადგა ბუცატის პიესა "განსაკუთრებული შემთხვევა" (Un caso clinico), რომელმაც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ კრიტიკულ შენიშვნას, მოწონება დაიმსახურა. მაშინდელი ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული კრიტიკოსი სილვიო დ'ამიკო მას ასე აფასებს: "თავისებურ მწერალ დინო ბუცატიზე ამბობენ, განსაკუთრებულად გამოუდის "პანანინა" ჟანრებით. სინამდვილეში კი მის თვისებათა შორის ერთ-ერთია მშენებლის ტალანტი. საუცხოო ალლო აღმოაჩნდათ პაოლო გრასისა და ჯორჯო შტრეპლერს, როდესაც გული არ გაიტყვის იმ საეჭვო წარმატების, ანდა მარცხის გამო, რაც თავის დროზე მათ სახელგანთქმული მწერლების თავიანთ პატარა თეატრში მოყვანამ მოუტანათ და, ამის მიუხედავად, რომანისტ დინო ბუცატის მიმართეს" (გაზ. "Tempo", Anno 10, n. 141, Roma, 1953 წ. 22 მაისი, გვ. 3).

მომდევნო წელს გამომცემლობამ, "მონდადორი", გამოაქვეყნა მწერლის მოთხრობათა ახალი კრებული "ბალივერნას ჩამონგრევა", რომელსაც 23 ოქტომბერს ვინჩენცო კარდარელის ნაწარმოებთან, "რუსეთში ერთი პოეტის მოგზაურობა" (Viaggio di un poeta in Russia), ერთად ნეაპოლის პრემია მიენიჭა.

ალბერ კამიუმ ფრანგულ ენაზე ადაპტირებულად თარგმნა "განსაკუთრებული შემთხვევა" და იგი რეჟისორმა ფორჯე ვიტალიმ "ლა ბრუიერის" თეატრში დადგა. პრემიერას 1955 წლის 9 მარტს თავად ბუცატიც დაესწრო. მწერალი ხუთიოდე წლის შემდეგ იგონებდა, რომ კამიუს დიდმა ჰუმანურობამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, რამაც საფუძველი ჩაუყარა მეგობრობას ორ დიდ მოაზროვნეს შორის. კამიუმ უალრესად და-

დებითად წარუდგინა ბუცატი ფრანგ მკითხველს: "შაშინაც კი, როდესაც იტალიელები ვინრო კარებში გადიან, რომლებსაც მათ კაფკა ან დოსტოვესკი აჩვენებს, ისინი იქ მთელი თავიანთი მსუქანი სხეულით გადიან. და მათი წყვილი ჯერ კიდევ ბრწყინავს. ბუცატის პიესაში ეს უბრალოება ერთხელ ტრაგიკული და ნაცნობი მომჩვენება და, როგორც ადაპტატორი, შევეცადე, მისთვის ერთგულად მემსახურა". იმავე წელს ბუცატი ქმნის ექვსე-პიზოდოვან ლიბრეტოს "შემადლებული რკინიგზა" (Ferrovía sopraelevata), რომლითაც იწყებს კომპოზიტორ ლუჩანო პელისთან თანამშრომლობას. სპექტაკლი 1 ოქტომბერს დაიდგა ქალაქ ბერგამოში, დონიცეტის სახელობის თეატრში.

1957 წელს ბუცატიმ ბერრას ქუჩაზე აპოლინარის გალერეაში გაიცინო ივ კლანინი, რომლის გამოფენასაც უძღვნა სტატია "ცისფერი, ცისფერი, ცისფერი" (გაზ. "Corriere d'Informazione", Anno 13, n. 8, Milano, 1957 წ. 9-10 იანვარი, გვ. 3).

1958 წელს გამოვიდა "სამოცი მოთხრობა", რომელიც მწერლის მიერ შერჩეული ადრე გამოქვეყნებული ნოველების კრებულს წარმოადგენს. წიგნს მიენიჭა პრემია "ალქაჯი" (Strega) (გაზ. "La fiera letteraria", Settimanale delle lettere, delle arti e delle scienze, Anno 13, n. 29, Roma, 1958 წ. 20 ივლისი, გვ. 1, 8). იმავე წლის პირველ დეკემბერს მილანში "მაგი მეფეების" გალერეაში ბუცატის პირველი სამხატვრო გამოფენა გაიხსნა.

1959 წელს მილანში ლა სკალაში დაიდგა იგორ სტრავინსკის "კარტის თამაში", რომლის ესკიზისა და კოსტიუმების მხატვარიც დინო ბუცატი იყო. ამავე წლის აპრილში გაიცინო ს. კ., პროტოტიპი თავისი მომავალი რომა-

ნის - "ამბავი ერთი სიყვარულისა" - გმირისა. 30 სექტემბერს ქალაქ კომოს ვილა ოლმოს თეატრში გაიმართა მისი ერთმოქმედებიანი პიესის მიხედვით დადგმული მუსკომედიური სპექტაკლი "სისხლის სამართლის პროცედურა" (Procedura penale), რომლის მუსიკის ავტორიც ლუჩანო პელი იყო.

1960 წლის 4 იანვარს შამპინი-სურონის (ალფორი) მახლობლად ავტოკატასტროფაში დაიღუპა ალბერ კამიუ და მის ტრაგიკულ სიკვდილს 5-6 იანვარს გაზეთში "კორიერე დ'ინფორმაციონე" (Corriere d'Informazione) იტალიელი მწერალი დიდი ჰუმანურობით გამსჭვალული სტრიქონებით გამოეხმაურა (გაზ. "Corriere d'Informazione", Anno 16, n. 4, Milano, 1960 წ. 5-6 იანვარი, გვ. 6). ამავე წლიდან ყოველკვირულ გაზეთში "ოჯი" (Oggi) გაგრძელებებით დაიწყო მისი ახალი რომანის - "დიდი პორტრეტი" - ბეჭდვა. იგი აგრძელებს ურთიერთობას ს. კ.-სთან, ვისგანაც ხსნას მხოლოდ წერაში ხედავს: "ერთადერთი ჩემი ხსნა წერაა. მოვყვე ყველაფერი, გადმოვცე სიბერის კარიბჭესთან მდგარი კაცის უკანასკნელი ოცნება. და, ამავე დროს, [დაეხატო] ქალი, აკრძალული, ყალბი, რომანებისა და ზღაპრული სამყაროს განხორციელება, რომლის საზღვარსაც ეს კაცი განკიცხვითა და ბუნდოვანი სურვილით უახლოვდებოდა". ზაფხულში, "დომენიკა დელ კორიერესათვის" ფოტორეპორტაჟის მომზადების დროს, გაიცინობს ალმერინა ანტონიაცის.

1961 წელს პაოლო მონელისთან დიალოგში ბუცატი გაამხელს: "არიან ინდივიდები [...], რომლებიც გვიან, მრავალი წლის შემდეგ აღწევენ სიმწიფეს. მე ერთ-ერთი იმათგანი უნდა ვიყო, რომელსაც ბევრი რამ ჯერ კიდევ არ ესმის, ზოგი რამ კი მაშინ გაეიფე,

რომელთა გაგებაც უკვე აღარ მჭირდებოდა. ქალის სიყვარული, სიყვარული-მეთქი და არა მასთან დაწოლა, ეჭვიანობა, ვნების ცრემლები, სიკვდილის, ანდა მკვლელობის სურვილიც კი, სასონარკვეთილების საიმოვნება, რომელიც თან სდევს უმადური, მოლაღატე ქალისათვის ნუხილს, ყველაფერი ეს სწორედ ახლახან აღმოვაჩინე. ვერ ვიტყვი, ბოლოს და ბოლოს, მოვინიფე თუ სინამდვილეში ახლა ვუახლოვდები ოცი წლის ასაკს".

1961 წლის 18 ივნისს მწერალს დედა, ალბა მანტოვანი, გარდაეცვალა, რომელსაც ბუცატი ასე იგონებს: "დედაჩემი ნამდვილად ერთადერთი ადამიანი იყო, ვინც, თუკი რამე გამომივიდოდა, რამე პანანიჩა წარმატებას მივალწევდი, ბედნიერი იყო. და, თუ რამე პატარა ტკივილი მქონდა, ნამდვილად უბედური. ეს სიყვარულის ერთადერთი - რამდენადაც მე ვიცი - სახეა, რომელიც ნამდვილად უძლებს დროს (ესე იგი, განონასწორებულთა), ეს საუცხოო გაზიარებაა, რაც არის სწორედ მოყვასის სიყვარული". დედის სიკვდილი მწერალში სინდისის ქენჯნის გამძაფრებულ გრძნობას იწვევს და თავის თავს უმადურობასა და ეგოისტობას უსაყვედურებს, რასაც მხატვრულად გარდასახავს ნოველაში "ორი მძლოლი" (I due autisti). დედის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ მწერალი მილანში ვიტორიო ვენეტოს ქუჩის 24 ნომერში გადადის, სადაც ცხოვრობენ მისი ძმა აუგუსტო და და ნინა მუულლე ეპე რამაცოტისთან ერთად.

1963 წელს გამოცემლობამ "მონდადორი" დასტამბა მწერლის ახალი რომანი "ამბავი ერთი სიყვარულისა", რომელმაც, როგორც თავად მწერალმა წინასწარ იგრძნო (გაზ. "Corriere della sera", Anno 88, n. 84, Milano, 1963 წ.

14 აპრილი, გვ. 7), დიდი პოლემიკა გამოიწვია. ბერეას ქუჩაზე "წისქვილის" გალერეაში 18 აპრილს ამ წიგნის გარშემო გამართულ დისკუსიას მრავალმა თანამედროვემ "დინო ბუცატის გასამართლება უნოდა".

16 მაისს გარდაიცვალა არტურო ბრამბილა. "მისი სიკვდილის შემდეგ მე ერთგვარად გადარჩენილი მგონია თავი. ერთგვარად უცებ დავბერდი... გავხდი კაცი, რომელიც სასაფლაოსკენ მიდის, ნოემბრის თვის ერთ-ერთ საღამოს". იმავე წელს ინტენსიურად მუშაობს, როგორც მივლინებული კორესპონდენტი, 19 ოქტომბრიდან 18 ნოემბრამდე იაპონიაშია, საიდანაც სტატიების სერიასს გაზენის იტალიაში. სამშობლოში დაბრუნებული აღმოაჩენს, რომ იგი აღარ არის გაზეთ "დომენიკა დელ კორიერეს" მთავარი რედაქტორის მოადგილე. ამ თანამდებობაზე მას კოლეგა ალფრედო პინია ცვლის. გაზეთი "დომენიკა დელ კორიერე" კი ამ ფაქტის შესახებ მხოლოდ მშრალ ქრონიკას აქვეყნებს: "დინო ბუცატომ, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში გვერდით ედგა ელიჯო პოსენტის, როგორც უახლოესი მეგობარი და ფასდაუდებელი მოადგილე, და რომელსაც, ბუნებრივია, წილად უნდა ხედომოდა ჩვენი გაზეთის რედაქტორობა, არჩია - და მის სურვილს ანგარიში გავუწიეთ - გაზეთ "კორიერე დელა სერასთვის" კიდევ უფრო უკეთ ემსახურებინა თავისი სწორუპოვარი კალამი უწინაღობისა და მწერლისა" (გაზ. "Domenica del Corriere", Anno 66, n. 1, Milano, 1964 წ. 5 იანვარი, გვ. 3).

1964 წლის იანვარში "კორიერე დელა სერამ" იერუსალიმში მიავლინა სპეციალურ კორესპონდენტად, რათა რომის პაპის, პავლე VI-ის, მოგზაურობა გაეშუქებინა. პაპი პატივისცემით



მოეკიდა ბუცატის. თებერვალში მწერალი ნიუ იორკსა და ვაშინგტონშია. ამ მოგზაურობის ნაყოფია მისი სტატია პოპის სტილის ხელოვნებაზე: "შეშლილი საძინებელი ოთახი" (გაზ. "Corriere della sera", Anno 89, n. 46, Milano, 1964 წ. 23 თებერვალი, გვ. 3), დეკემბერში კი პაპს ბომბეში მიჰყვება.

1965 წელს ბუცატი პრალას ეწვია. "მოვიხიბლუ პრალით, ფანტასტიკური ქალაქის მშვენიერებით მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე ეს ვნახე ისეთი მოსახლეობის ფონზე, რომელიც დიდი სევედისა და სიღარიბის გრძნობას ბადებდა", - აღნიშნავდა მწერალი. სწორედ აქ იწერება ბუცატის სტატია: "კაფკას სახლები". დეკემბერში ათიორდე დღით ბრუნდება ნიუ იორკში და კიდევ უფრო გულდასმით ეცნობა პოპის ხელოვნებას. ამ მოგზაურობას აღწერს სამ იუმორისტულ სტატიაში (გაზ. "Corriere della sera", Anno 91, n. 1, Milano, 1966 წ. 2 იანვარი, გვ. 3; 5, 7, Milano, 1966 წ. 9 იანვარი, გვ. 3; 5, 10, Milano, 1966 წ. 13 იანვარი, გვ. 3). ვენეციის გამომცემლობა "ნერი პოცა" კი აქვეყნებს მისი ლექსების პირველ კრებულს "კაპიტანი პიკი და სხვა ლექსები" (Il capitano Pic e altre poesie), ჟურნალ "ილ კაფეს" (Il Caffè) მეხუთე ნომერში იბეჭდება მისი მცირე პოემა "სამჯერ დაკაუნება კარზე" (Tre colpi alla porta) (ჟრნ. "Caffè", 5, 1965 წ. 5 მარტი).

1966-1967 წლებში მუშაობდა ფილმის - "ჯ. მასტორნას მოგზაურობა" (Il viaggio di G. Mastorna) - სცენარზე. ფილმი უნდა გადაეღო ფედერიკო ფელინის, რომელიც ბუცატის ძველი თავჯანისმცემელი იყო: ჯერ კიდევ ლიცეუმში სწავლის დროს წაეკითხა მისი ერთ-ერთი პირველი ნოველა "დომენიკო მოლოს უცნაური მოგზაურობა" (Lo strano viaggio di Domenico

Molo). სცენარზე მუშაობა ბუცატიმ 1967 წელს დაასრულა, მაგრამ ფილმში ფილმი რატომღაც აღარ გადაიღო.

1960 წლის შემდეგ დაწერილი ნოველები 1966 წელს გამოდის კრებულში "კოლომბრე და სხვა ორმოცდაათი მოთხრობა", მაისში კი მილანში ჯან ფერარის გალერეაში აწყობს ნახატების გამოფენას. მ დეკემბერს წმინდა გოტარიდის ეკლესიაში ჯვარი დაინერა აღმერიწა ანტონიაციზე. ქორწინების შემდეგ ცხოვრება ისევ ვიტორიო ვენეტოს პროსპექტზე განაგრძო.

1967 წელს "კორიერე დელა სერას" ხელოვნების კრიტიკოსად დაინიშნა და ამ თანამდებობაზე ლეონარდო ბორჯეზე შეცვალა, თუმცა, ხელოვნების საკითხებზე უკვე ჰქონდა რამდენიმე სტატია გამოქვეყნებული "კორიერე დ'ინფორმაციონეში". ამ პერიოდში დაინერა სტატია "მოვიდა ფუნკის ხელოვნება" (გაზ. "Corriere della sera", Anno 92, n. 242, Milano, 1967 წ. 13 ოქტომბერი, გვ. 4).

1969 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ხელმძღვანელობდა "კორიერე დელა სერას" ყოველკვირულ გვერდს "ხელოვნების სამყარო" (ლ. მონდო დელლ'არტე), რომლის პირველ ნომერშიც მონიწივე სტატიას მწერალმა ინიციალებით მოაწერა ხელი (გაზ. "Corriere della sera", Anno 94, n. 22, Milano, 1969 წ. 26 იანვარი, გვ. 13). დაისტამბა მისი ნიგნი "პოემა ფუმეტებად" (Poema a fumetti).

მთვარეზე პირველი ასტრონავტების გადასვლის შესახებ 1969 წელს "კორიერე დელა სერაში" დაბეჭდილი სტატიებისათვის 1970 წელს ჟურნალისტ მარიო მასაის სახელობის პრემია მიენიჭა. სექტემბრის თვეში კი ვენეციაში გალერეა "ილ ნავილიოში" მისი ნახატების გამოფენაც მოეწყო.

1971 წლის თებერვალში პანკრეასის კიბოს პირველი სიმპტომები აღმოაჩნდა.

ზაფხულში ივ პანაფიუსმა მაგნიტოფონზე ჩაინერა მასთან დიალოგები, რომლებიც მერე ცალკე წიგნად გამოვიდა: "დინო ბუცატი: ავტობიოგრაფიკი" (მილანი, 1973). ამავე წელს დაიბეჭდა ნოველებისა და ესეების კრებული "ძნელი ღამეები", რომელსაც მაინცდამაინც აღფრთოვანებით აღარ შეხვედრია ლიტერატურული კრიტიკა. ცნობილი იტალიელი ჟურნალისტის, ჯორჯო ბოკას რეცენზიაში, სადაც აღიარებულია ბუცატის მწერლური ტალანტი, მაგრამ გაკრიტიკებულია მისი იდეოლოგიური პოზიცია, ვკითხულობთ: ახალ სტილზე უარის თქმითა და ზღაპრის ფანრისადმი ერთგულებით ბუცატის იმის საფრთხე ემუქრება, რომ "ობიექტურად დადგეს იმით გვერდით, ვისაც უნდა, რომ ამქვეყნად ყველაფერი უცვლელად დარჩეს, რათა პიროვნული პრივილეგია არ დაკარგოს" (გაზ. "Il Giorno", Anno 16, n. 251, Milano, 1971 წ. 27 ოქტომბერი, გვ. 8). ბუცატი კი არავითარი პრივილეგიის შენარჩუნებას არ ცდილობდა, პირიქით. თანდათანობით სულ უფრო და უფრო უარესდებოდა მისი ჯანმრთელობა. იდრო მონტანელი შთამბეჭდავად აღწერს, თუ როგორ ემზადებოდა მწერალი იმასთან შესახვედრად, "[...] რაც ყოველთვის წარმოესახა და აღენერა კალმითა და მერე ყალმით. დინომ მთელი სიცოცხლე მასთან გულშიჩაქრულმა იცხოვრა, მას ეძახდა, მას უხმობდა, მას ცდიდა, მას ეძებდა. და აი, ახლა თამაში რეალობად უნდა ქცეულიყო: სიკვდილი იქ იყო [...]. ვხედავდით, თავისი ერთ-ერთი მოთხოვნის გმირივით როგორ გვემორდებოდა დღითი დღე დროსა და სიერცეში: სულ უფრო და უფრო მარტოსული,

სულ უფრო და უფრო ჩრდილში, ჩურჩულში, სიჩუმეში ეფლობოდა. მანამდე იცოდა ყველაფერი, ვიდრე ექიმები შეიტყობდნენ. სწორედ იმ მომენტიდან შეიყუჟა თავის მიუდგომელ ნაპირზე და ჩვენს ძახილს ისე უპასუხებდა, რომ პირზე გვიყინავდა იმ შესაბრალოს სიცრუეს, რომლითაც ჩვენს ძახილს ვემაზავდით" (გაზ. "Corriere della sera", Anno 97, n. 24, Milano, 1972 წ. 29 იანვარი, გვ. 3). თავად მწერალი კი პირველ დეკემბერს საკუთარ დღიურს ასე განდობოდა: "[...] და ახლა დასრულდა ეს თავგადასავალი, სადაც არის, დასრულდება გადამხდელი პუბლიკის აბსოლუტურ გულგრილობაში, რომელსაც ჩემთვის კაპიკიც კი არასოდეს გაუღია. ცივა, დეკემბერი ინყება. მოვესწრები შობას?".

ძნელია, ემოციის გარეშე წაიკითხო დღეს ეს სტრიქონები.

მწერალი შობას მოესწრო, მაგრამ მას მერე დიდი ხანი აღარ უცოცხლია. 1971 წლის 8 დეკემბერს, სწორედ იმ დღეს, როდესაც მისი უკანასკნელი ესე დაიბეჭდა (გაზ. "Corriere della sera", Anno 96, n. 288, Milano, 1971 წ. 8 დეკემბერი, გვ. 3), მილანის ლეთისმშობლის სახელობის საავადმყოფოში დაანჯინეს და სულ რამდენიმე კვირაში, 1972 წლის 28 იანვარს, 65 წლის ასაკში გარდაიცვალა.

დინო ბუცატის ადრინდელი მოთხოვნები ძირითადად ფოლკლორულ მასალას ემყარება, უფრო მოგვიანებით შექმნილ ნაწარმოებებს სიურეალიზმის ბეჭედი აზის, ბოლოდროინდელი ნოველები კი შეიძლება ფანტასტიკის ფანრს მივაკუთვნოთ, მაგრამ არა მეცნიერულ-ტიქნიკურს, არამედ



- ფსიქოლოგიურს. ბუცატის ფანტასტიკა ძალიან ხშირად თვით სინამდვილიდან მოდის. ამ ფენომენს მწერალი საუცხოოდ გეიხსნის პიერონიმუს ბონსის ნაბატების გამოცემისათვის დართულ წინასიტყვაობაში (მილანი, 1967), რომელიც თვით არის მაღალმხატვრული ნოველა. მწერალი ერთმნიშვნელოვნად გვეუბნება, რომ ბონსის პოლანდია სულაც არ არის ფანტასტიკური, რომ აქ XX საუკუნეშიც კი დადიან ბონსისეული ფიგურები, მათ დასახებად მხედველობის გამახვილებაა საჭირო.

ბუცატის ფანტასტიკის რეალისტური ბუნება, საერთოდ, მისი შემოქმედების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა თავის დროზე შეუცნობელი აღმოჩნდა ნეორეალისტური იტალიისათვის. მისი საუკეთესო ნაწარმოებები, რომლებიც ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე რთულ პერიოდში, 1940-1954 წლებში, გამოქვეყნდა, მაშინდელი ისტორიული კონტექსტიდან ამოვარდნილი აღმოჩნდა. ერთი შეხედვით, ასეც უნდა ყოფილიყო. მაგალითად, "თათრების უდაბნო", რომელიც ბომბების გრუზუნსა და ტყვიამფრქვევების კაკანში გამოვიდა, აღწერს ბასტიანის ციხე-სიმაგრეს, საიდანაც არავინ არაფერს ისერის. დინო ბუცატიმ ვერც ომისშემდგომ აღმშენებლობის ეპოქას აუბა მხარი. ამ პერიოდში, მისი ქმნილებების ნაცვლად, იტალიელი მკითხველი ენაფებოდა სოციალურად და პოლიტიკურად ისეთ აქტუალურ ნაწარმოებებს, როგორებიც იყო ელიო ვიტორინის "ადამიანები და არაადამიანები" (Uomini e no, 1945), კარლო ლევის "ქრისტე ებოლიში შეჩერდა" (Cristo s'è fermato ad Eboili, 1945), ჩეზარე პავეზეს "ამხანაგი" (Il compagno, 1947), ვასკო პრატოლინის "საბრალო შეყვარებულების

ამბავი" (Cronache di poveri amanti, 1947) და სხვ.

მართლაცდა, რატომ უნდა ნაეკითხათ მწერალი, რომელიც, მართალია, ხმას იმალებდა უსამართლობის წინააღმდეგ, მაგრამ ვერ იფერებდა იმას, რომ შეიძლებოდა მისი შეცვლა? რატომ უნდა ნაეკითხათ მწერალი, რომელიც ადამიანთა უმსგავსობაში, სოციალური მიზეზის ნაცვლად, პიროვნულ ცოდვას, ანდა ბედისწერას ეძიებდა? სწორედ ამიტომ ისეთმა თვალმაზვილმა კრიტიკოსებმაც კი, როგორებიც იყვნენ პიეტრო პანკრაცი, ენრიკო ფალიცი, ემილიო ჩეკი და სხვები, ვერ გაიგეს, რომ მწერალი ფანტასტიკას იმიტომ მიმართავდა, რათა უფრო მოხერხებულად აემალლებინა ხმა სოციალური და პოლიტიკური უსამართლობის წინააღმდეგ, უფრო მტკივნეული სატირით გაეშთველებინა აღზევებული სოციალური კლასის წარმომადგენელთა უბადრუკი სული, უფრო ნათლად გაეცხადებინა ცხოვრების ტრაგიკულობა. ამასთან, მწერალი ხშირად ფანტასტიკის ყველაზე რაფინირებულსა და ძნელად აღსაქმელ ფორმას - სიმბოლურ ფანტასტიკას - მიმართავდა. მოთხრობები "და მაინც აკაკუნებენ კარებზე" (Eppure battono alla porta, 1940), "თავები" (I topi, 1953) და "კეერციხი" (L'uscio, 1962) იმის თვალნათელი დადასტურებაა, თუ რამდენად რეალური შეიძლება იყოს ყველაზე ფანტასტიკური ლიტერატურაც კი. სწორედ აქაა საძიებელი ბუცატის პროზის მარადიული აქტუალურობის უნივერსალური გასაღები.

ბუცატის დამახასიათებელი თვისებაა, შესაშური ოსტატობით შეუპირისპიროს ერთმანეთს რეალური და ფანტასტიკური, მოიხმოს ალევორია, ანდა საერთოდ გამორიცხოს იგი, გა-

მუდმებით ითამაშოს აკრძალულის ზღვარზე, გამოიხმოს ფიზიკური სამყარო, რომელსაც მეტაფიზიკის მიღმა სინამდვილის იმ ლაბირინთში შეეყვართ, სადაც ყველაზე პრაგმატული ადამიანებიც კი პოულობენ ღამეულ, იდუმალ ენიგმებს.

თუ კრიტიკოს ნელა ჯანეტოს მიერ შემუშავებულ სქემას დავეყრდნობით, ფანტასტიკურ და რეალურ ელემენტებს შორის ურთიერთმიმართების მიხედვით, ბუცატის მოთხრობები, შეიძლება, ოთხ ჯგუფად დავყოთ: 1. მოთხრობები, რომლებიც იმთავითვე სცილდება სინამდვილის საზღვრებს და მხოლოდ სხვა სამყაროს შინაგან ლოგიკას ემორჩილება; 2. მოთხრობები, რომლებიც რეალისტურად იწყება, მერე მათში სრულიად ბუნებრივად შემოდის ფანტასტიკური პერსონაჟი ან სიტუაცია, რაც მკითხველს აბნევს; 3. მოთხრობები, რომლებიც რეალისტურად იწყება, მერე კი ისე უთმობს ადგილს ფანტასტიკურ ელემენტს, რომ მკითხველს დრო და ადგილი აღარ რჩება გაოცებისათვის, რადგან მოვლენათა განვითარება თავად პერსონაჟებს უკვირთ; ზოგიერთ ნოველაში ზეპუნებრივი მოვლენა სულაც არ იწვევს ზოგიერთი პერსონაჟის განცვიფრებას, რაც კიდევ უფრო მეტად აძნელებს ნაწარმოების აღქმას; 4. არაფანტასტიკური, არააბსურდული, არაპარადოქსული, ანუ რეალისტური მოთხრობები, რომლებიც შეიცავს ისეთ ელემენტებს, რაღაცნაირად მაინც რომ სცილდება შესაძლებლობის ფარგლებს³.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება, მაგალითად, ნოველა "ღამეული ბრძოლა ვენეციის ბიენალეზე" (Battaglia notturna

na alla Biennale di Venezia); მეორეს – "შვიდი სართული" (Sette piani), "მოსასხამი" (Il mantello), "ვილაც, ვისი სახელიც ღასით იწყება" (Una cosa che comincia per elle) და მრავალი სხვა; მესამეს – "გველეშაპის მკვლელობა" (L'uccisione del drago); მეოთხე კი, რომელიც მწერლისათვის ყველაზე დამახასიათებელია, მის ისეთ საუკეთესო ნოველებს მოიცავს, როგორცაა, მაგალითად, "შიში ლა სკალაში", ანდა "ბალივერნას ჩამონგრევა", სადაც ყველა დეტალი სინამდვილის ჩარჩოებშია მოქცეული, დაუჯერებელ მკითხველს მხოლოდ ის უამრავი დამთხვევა ეჩვენება, რაც ნაწარმოების სტრუქტურას განსაზღვრავს.

ნ. ჯანეტო ბუცატის მოთხრობების სხვაგვარ კლასიფიკაციასაც გვთავაზობს. მაგალითად, მისი აზრით, მოთხრობათა ერთ ჯგუფში მწერალი აშკარად თავს იქცევს ფანტასტიკით, მეორე ჯგუფში კი ფანტაზიის მხატვრული მიზანი ნაწარმოების ალეგორიული მნიშვნელობის გახსნაა (იქვე, გვ. 100-101). ეს, შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ არ უნდა დაგვაიწიყდეს, რომ საქმე არ ეხება ორ ურთიერთგამომრიცხავ ლიტერატურულ მიზანდასახულობას, ორივე ტენდენცია ბუნებრივად თანაარსებობს ბუცატის მოთხრობებში, სიმბოლური ელემენტები პარამონიულად ერწყმის ფანტასტიკურს. კონკრეტულ შემთხვევებში ხან ერთს ენიჭება უპირატესობა სხვასთან შედარებით, ხან – მეორეს. ამასთანავე, მის პროზაში "ფანტასტიკურის" ცნებას მრავალი ლიტერატურული განზომილება აქვს: იგი გამოიხატება ზღაპრით, პარადოქსით, გროტესკით, რეალიზმით, ეგზისტენციალიზმით,

³ N. Giannetto, Buzzati o il coraggio della fantasia, in "Annali", Istituto universitario di Lingue moderne, Facoltà di Lingue e Letterature Straniere, Sede di Feltre, 6, Ravenna, 1983, გვ. 96.

სიმბოლიზმით, რომანტიზმით, პერო-
იზმით, ფანტაზიით და საუცხოოდ
არის შეხამებული მხატვრული ქსოვი-
ლის ანალიტიკურ, გნოსეოლოგიურ
და თხრობით სტრუქტურებთან⁴.

სპეციალურ ლიტერატურაში შესა-
ნიშნავადაა გაანალიზებული ალეგო-
რიული მოტივები და თემები, რომელ-
თაც ბუცატი გამოდგებით თავს დას-
ტრიალებს. გაეხსენოთ, მაგალითად,
უნყვეტად მდინარე დრო, რომელსაც
სიკვედილისაკენ ისე მივყავართ, რომ
ვერც კი ვახერხებთ ჩვენი ცხოვრები-
სეული მიზნის განხორციელებას.

ეს თემა დიდი მხატვრული ოსტა-
ტობითაა დამუშავებული რომანში
"თათრების უდაბნო". 1959 წელს გა-
ზეთისათვის – "ილ ჯორნო" (Il Giorno)
– მიცემულ ინტერვიუში ჟურნალის-
ტის კითხვაზე, როგორ დაიბადა "თათ-
რების უდაბნო", მწერალი უპასუხებს:
"აღბათ, თუ მეხსიერება არ მღალა-
ტობს, ღამეულ სარედაქციო მონოტო-
ნურ ყოველდღიურობაში, როგორა-
დაც იმ დროს მიწვედა ცხოვრება. ხში-
რად მეჩვენებოდა, რომ ის ტრან-ტრა-
ნი უსასრულოდ გაგრძელდებოდა და
ასე უსარგებლოდ შეინირავდა ჩემს
ცხოვრებას. ვფიქრობ, ადამიანთა უმ-
რავლესობას აქვს ეს გრძნობა, განსა-
კუთრებით მაშინ, როდესაც მას ქალა-
ქური საათობრივი განრიგი უბოჭავს
ცხოვრებას. ეს იდეა ინსტინქტურად
მოერგო ფანტასტიკურ სამხედრო
სამყაროს: ვიფიქრე, ამ ქანცვამწყვე-
ტი მოლოდინის გამოსახატავად რა
უნდა იყოს-მეთქი უკიდურეს საზღ-
ვარზე არსებულ ციხე-სიმაგრეზე
უკეთესი".

ამავე თემას ეხმაურება მოთხრო-
ბა "შვიდი სართული", სადაც "ნაჩვე-

ნებია სწორედ ის, რაც არის იმ გაუმჭ-
ვირვალე ფარდის მიღმა, სინამდვი-
ლეს რომ ჩამოაფარებია, რაც ბედის
კულისებს მიღმა გველის. მწერალი არ
გვიხსნის სიცოცხლის ეზოთერულ
არსს, პირიქით, გვეუბნება, რომ ჩვე-
ნი სიცოცხლე ერთი მექანიკური და
უაზრო რამაა. კორტეს მოგზაურობა
ერთი სართულიდან მეორეზე არაფე-
რია, თუ არა – სიკვდილისაკენ მოძრა-
ობა. ეს ალეგორიაა, მაგრამ პოეტური
ალეგორია, რადგანაც ყველაფერი
უაღრესად ორგანიზებული ფორმით
ხდება⁵. რაღაც იდეალური ავბედითი
ძალა უბიძგებს პერსონაჟებს, საგნებ-
სა და მოვლენებს, უკულმა ნაიყვანონ
მთავარი გმირის ცხოვრება, გარე სამ-
ყაროს მოსწყვიტონ, სიკვდილთან აბ-
რძოლონ, ნელ-ნელა, თანდათან სარ-
თულ-სართულ ჩაიყვანონ ჯოჯოხეთ-
ში. კორტეს ადრინდელ ცხოვრებაზე
კი მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი "ერთი
ჩვეულებრივი ვექილი და მსოფლიო
მოქალაქე" იყო. სინამდვილე ნელ-ნე-
ლა აჩენს თავის ნამდვილ სახეს და ეს
დეტალებში შეიგრძნობა. მაგალითად,
მოთხრობის დასაწყისში ჯერ ზოგა-
დად არის საუბარი საავადმყოფოზე,
შემდეგ კი აზუსტებს, რომ ლაპარაკია
სანატორიუმზე.

ეს თემა იმდენად მნიშვნელოვანი
იყო ბუცატისათვის, რომ მას მწერალი
კიდევ ერთხელ დაუბრუნდა მოგვიან-
ებით, 1953 წელს, როდესაც "შვიდი
სართული" კომედიად გადაამუშავა და
"განსაკუთრებული შემთხვევა" (Un
caso clinico) უწოდა. ვექილი ჯუზეპე
კორტე მრენველ ჯოვანი კორტე-და-
დაიქცა, პროფესორი დატი კი – პრო-
ფესორ შრედერად, მაგრამ ავტორს
მხოლოდ სახელები არ გადაურქმევია

⁴ I. Crotti, Dino Buzzati, Firenze 1977, გვ. 5.

⁵ G. Debenedetti, Buzzati "Borgese stregato", ნგნ. 900, 6, Milano, 1979, გვ. 5661.

პერსონაჟებისათვის. მან ძირეულად შეცვალა თხრობის ტექნიკაც. მაგალითად, ჯუზეპე მნერლის ტიპური პერსონაჟია და მოთხრობაში სიუჟეტი სწორხაზოვნად ვითარდება: გმირი უკვე დაავადებული მიდის კლინიკაში, სადაც ექიმები და ექთნები ერთ ავბედით, უღმობელ, სამსხვერპლო რიტუალს ასრულებენ: გულს ტყუილბრალოდ უკეთებენ და მოჩვენებითი გულისხმიერებით ნელ-ნელა სამარისკენ უბიძგებენ. პიესა ასეთი ცალსახოვანი აღარ არის. აქ ვეცნობით პერსონაჟის ადრინდელ ცხოვრებას, ოჯახს. ამასთანავე, იგი კლინიკაში სრულიად შემთხვევით, ცოლისა და ქალიშვილის დაჟინების წყალობით ხვდება. თუ დატიზე მხოლოდ ის ვიცით, რომ ის "ასხივებს თავის ძალაუფლებას", შრედერი ჩამოყალიბებულ ლიტერატურულ ტიპად და ბედისწერის ჩარხად წარმოგვიდგება. თუ "შვიდ სართულში" ჯუზეპე მარტოდმარტო ებრძვის მსოფლიოს, "განსაკუთრებულ შემთხვევაში" სამყარო დუალისტურია: მასში კეთილი და ბოროტი ადამიანები სახლობენ.

ჯუზეპე ნელ-ნელა იძენს ცნობიერებას. ხდება, რომ ფანჯრები და დარბაზები, რომლებიც გზას უღობავს შუქს, მისი ავბედითი ბედისწერის ნება-სურვილს ასრულებს, იმ ბედისწერისა, ჯუზეპეს "პირველ სართულზე, სადღაც ქვემოთ, უფრსკულის სიღრმეში, ათეულობით და ათეულობით ჩაბრმავებულ-ჩაბნელებული" ფანჯრის მიღმა რომ ჩასაფრებია. "ხეები, ფანჯრების მიღმა რომ მოჩანან", გადაულახავ და სამუდამო ზღუდედ აღ-

მართულა ჯუზეპე კორტეს ადრინდელსა და ახლანდელ, ირეალურ, უსულს, უკანასკნელ სამყაროს შორის, სადაც შუქის გაქრობა სამუდამო სიმარტოვეს მოასწავებს.

ეს ცნობიერება ჯოვანის არა აქვს. იგი თავდაჯერებული ადამიანია. კლინიკაში უცხო ადამიანივით შედის, თითქოს ყოველივე ეს მას არ ეხებოდეს. მკითხველმა კი იცის, რომ მან უკვე მიაღწია საბოლოო სადგურს მანამდე, ვიდრე ამას თვითონ გააცნობიერებდა. პიესაში ბუცატის შემოჰყავს მოსვენების დამკარგავი, ხშირად შავოსან ქალად განსხეულებული ხმა, რომელიც განუწყვეტილად თან სდევს გმირს და მხატვრულად ამზადებს მის სიკვდილს.

"შვიდ სართულში" კორტე მხოლოდ ერთ ავადმყოფს ესაუბრება, "განსაკუთრებულ შემთხვევაში" კი ეს პერსონაჟი მრავალ სხვადასხვა პერსონაჟად იქცევა. ლიტერატურული ფანრის სპეციფიკა განსაზღვრავს ზემოაღნიშნულ ნაწარმოებთა შინაარსსაც: მოთხრობაში სიღრმისეულად არის გადმოცემული ნარკოზით შეპყრობილი ადამიანის შინაგანი განცდები, პიესაში კი ისინი გარეთ არის გამოტანილი. სულიერად ასეთი ღარიბი ხდება ჯოვანი კორტე ჯუზეპე კორტესთან შედარებით. ამავე დროს, პიესის სპეციფიკა ბუცატის საშუალებას აძლევს, კიდევ უფრო მკვეთრად გამოხატოს კონტრასტი ჩვეულებრივსა და ირეალურ სამყაროს შორის: რაც უფრო დაბალ სართულზე ჩადის ჯოვანი, უფრო და უფრო მიიწვავება დიალოგი, უფრო და უფრო ლაკონური

⁶ კრიტიკოსმა ანა დე სტიფანომ სპეციალური წერილი უძღვნა ამ ორი ნაწარმოების შედარებით დახასიათებას. იხ. A. De Stefano, Dino Buzzati: da "Sette piani" a "Un caso clinico", ჟრნ. "Tabella di Marcia", Rivista letteraria quadrimestrale, 2:4, Messina, 1981, გვ. 1-15.

ხდება ფრაზები და სამარისებური სიჩუმე ისადგურებს⁷.

ასევე მნიშვნელოვანია ბუცატის შემოქმედებაში მოლოდინის თემა. ბუცატის გმირები მუდმივად ელიან რაღაც ძალიან დიდ მოვლენას, რომელიც სწორედ მაშინ ხდება, როდესაც უკვე გამოუსწორებლად დაგვიანებულია. ასეთია ნოველა "სამხრეთის ჩრდილი" (*Ombra del sud*), რომელიც, კრიტიკოსთა აზრით, ედგარ ალან პოს ნოველის "კაცი ბრბოში" (*The Man of the Crowd*) გავლენით არის დაწერილი⁸. ბუცატის ლირიკული გმირი გვიამბობს, თუ როგორ შეხვდა უცნაურ არსებას, რომელიც მას საიდის პორტიდან სამხრეთისაკენ დაუსრულებელ მოგზაურობაში დაემგზავრა. გმირი ვერა და ვერ მიუახლოვდა მას, რადგანაც იდუმალი არსება ყოველთვის გაურბოდა. მხოლოდ ბოლოს მიხვდა, რომ მისი ერთგული თანამგზავრი ფანტაზიის მალემსრბოლი იყო და თვითონ გმირი სწორედ თავისი სიმხდალის გამო არ მიდიოდა მასთან ახლოს.

საბედისწერო დაგვიანების იდეის ფონზე კიდევ უფრო მძაფრად არის დახატული ცხოვრების ტრაგიკულობის შეგრძნება ბუცატის ერთ-ერთ საუკეთესო მოთხრობაში "კოლომბრე" (*Il colombre*, 1961), რომელიც "სამხრეთის ჩრდილის" გამოქვეყნებიდან ოციოდე წლის შემდეგ, 1961 წელს, დაინერა. მასში უკვე განსხვავებული ვითარება იხატება. სტეფანო როი პირიქით, თავად დასდევს, ცდილობს, თავიდან მოიცილოს უცნაური არსება, რომელიც მას დღემუდამ უთვალთვალებს და აფორიაქებს, მაგრამ მის ცხოვრებასა და ძიებას შიში კი არა,

არამედ ყალბი სიმამაცე წარმართავს. ეს უგუნური სიმამაცეა, ისაა, რასაც ადამიანს საკუთარი უპირატესობისა და უძლეველობის ბრყვეული თვითრწმენა უწერგავს. მწერლისათვის ეს სასწუკვარი თემა გაიღვებებს მოთხრობაშიც "გველემშაპის მკელელობა".

მწერალი თანმიმდევრულად მხატვრულად ამუშავებს, ასევე, ადამიანური ეგოიზმისა და ოპორტუნიზმის თემას, რაც ძელებამდე შიშვლდება გამოუვალ სიტუაციაში. ეს თემა ფართოდ გაშალა მწერალმა ნოველაში "ბებერი ეშვი" (*Vecchio facocero*), რომელიც 1940 წელს გამოაქვეყნა და შემდეგ შეიტანა კრებულებში "შეიძენი მალემსრბოლნი" და "სამოცი მოთხრობა", თუმცა, ამ რედაქციებიდან ამოიღო კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილზე მითითება. ბუცატი არაორაზროვნად გვეუბნება: ცხოველები, რომლებიც მხოლოდ იმიტომ კვებიან, რომ უდრტიწველად ურიგდებიან თავიანთ ხვედრს, მათზე მონადირე ადამიანებზე უფრო ჰუმანურები არიან.

ეს სრულებითაც არ არის ბანალური თემა, თუ გაეითვალისწინებთ აპოკალიფსური ცხოველების აღმოჩენის იმ ავადმყოფურ მოთხოვნილებასა და მათი განადგურების ასევე ავადმყოფურ აპოთეოზს, რომელიც, თითქმის ორი ათეული წელია, თანამედროვე ბესტსელერულ ლიტერატურასა და კინოხელოვნებას ასაზრდოებს. საქმე ეხება არა ხელოვნების ერთ რომელსამე სპორადულ სიმპტომს, არამედ – დასავლური სამყაროს სულიერი გამოფიტვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნიშანს. როგორც ჩანს, დიდმა იტალიელმა მწერალმა თავისი შეუმცდა-

⁷ შდრ. N. Giannetto, *Il sudario delle caligini. Significati e fortune dell'opera buzzatiana*, Firenze, Olschki, 1996, გვ. 49.

რი ინტუიციით წინასწარ იგრძნო ეს შემაშფოთებელი რეალობა და შეეცადა, მასზე დაეფიქრებინა მკითხველი.

შემთხვევითი არ არის ისიც, რომ ბუცატიმ იგივე თემა განავითარა მეორე მოთხრობაშიც "გველეშაპის მკვლელობა", სადაც რომანტიკულ ფონზე კიდევ უფრო გააშვილა ადამიანთა ეგოიზმის მოტივები. აქ მწერალმა გვიჩვენა ისიც, თუ რაოდენი დიდი უბედურება მოაქვს გონებისა და მეცნიერების გაფეტიშებას. თუ ასე, მოვიქცევით, დავბრმავდებით, ვერ შევძლებთ, დავინახოთ ის, რაც სინამდვილის საზღვრებს მიღმა არსებობს და ისეთივე რეალურია, როგორც ჩვენს ნაცნობ სამყაროში არსებული რეალური მოვლენები. მწერალი არ გვეუბნება, თუ რით დასრულდება მოთხრობის მთავარი გმირის, მარტინო ჯეროლის ამბავი, თუმცა, ვგრძნობთ, რომ იგი სასიკვდილოდაა განწირული. გრაფმა არ დაუჯერა იმას, ვინც აფრთხილებდა, რომ პალი-სანოსთან ახლოს, მშრალ ხეობაში ჩვეულებრივ ცხოველს კი არა, არამედ მაგიურ, ფატალურ გველეშაპს დაედო ბინა. კონკრეტულ შემთხვევაში მას ეს სიცოცხლედ დაუჯდა, უფრო განზოგადებულად კი ნოველა დაგვაფიქრებს ადამიანის ადგილზე ღმერთის მიერ შექმნილ და მოწყობილ სამყაროში.

გამოუვალ სიტუაციაში ადამიანთა ეგოიზმისა და ოპორტუნიზმის თემას ეძღვნება, აგრეთვე, ვრცელი მოთხრობა "შიში ლა სკალაში", რომელიც

პრობლემის რეალისტურ, ანუ ბუცატისათვის ერთგვარად არატრადიციულ გადანყვეტას გვთავაზობს. საერთოდ, XX საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევარი განსაკუთრებული პერიოდაა თავად ბუცატის შემოქმედებაში. იგი ადრეულ მეტაფიზიკურ, ტრანსცენდენტულ ნაწარმოებთაგან განსხვავებით, ახლა უფრო რეალისტურ თემატიკას ამუშავებს. ამ თავისებურებითაა აღბეჭდილი სხვა თხზულებებშიც, რომლებსაც შეიცავს კრებული "შიში ლა სკალაში". ამდენად, მოთხრობაში მწერალი არ მიმართავს მისთვის სანუკვარ ალეგორიას, პირიქით, უაღრესად კონკრეტული სიტუაციის ფონზე სეისმოლოგიური სიზუსტით განაზოგადებს მისი თანადროული იტალიის პოლიტიკურ-კულტურულ პათოსს⁸.

ბუცატიმ მხატვრულ გარემოდ შეარჩია მილანის ოპერის თეატრი ლა სკალა, რომელიც ყოველთვის იყო იტალიის ელიტარული ბურჟუაზიის კულტურული და იდეოლოგიური საბრძმედ. მოთხრობაში მწერალმა განავითარა მარტივი, სწორხაზოვანი სიუჟეტი: ერთი შეხედვით, გარდაუვალი და უეჭველი პროლეტარული რევოლუციის საფრთხე ერთი ღამის განმავლობაში შებორკავს ლა სკალას მაყურებლებს. ავტორი ექსპრესიული კრემენდოთი აღწერს, თუ როგორ იზრდება შიში, მეორე დილით კი გვჩვენებს, რომ თურმე არაფერიც არ მომხდარა, არც ხდებოდა და არც არაფერი იყო მოსალოდნელი.

⁸ მწერალმა იმდენად ცხადი ფერებით დაგვიხატა მილანელი პერსონაჟები, რომ იძულებული გახდა, მოთხრობის ბოლო, მეოთხე ნაწილისათვის დართულ „ფანჯარაში“ საგანგებოდ აღენიშნა: ნაწარმოებში „აღწერილი ამბავი და პერსონაჟები გამოგონილი არიან. ყოველგვარი შესაძლო ანალოგია ფაქტებთან და პიროვნებებთან აბსოლუტურად შემთხვევითია“ (იხ. D. Buzzati, *Paura alla Scala*, გაზ. "L'Europeo", Anno 4, n. 46, Milano, 8-14 ნოემბერი, გვ. 11).

აღსანიშნავია, რომ მოთხრობის პერსონაჟის, კლაუდიო კოტესის, მსგავსად, ბუცატი თავად იყო ლა სკა-ლელი ბურჟუაზიის ერთ-ერთი ყველაზე კანონიერი და თვალსაჩინო წარმომადგენელი, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, იშვიათი სატირული სული შთაებერა ნაწარმოებისათვის, "რევოლუციონერთა" დაგმობის ნაცვლად, დაუნდობლად გაეკრიტიკებინა საკუთარი კლასის წარმომადგენელთა პანანინა სული და იგი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე ხალხისათვის დაეპირისპირებინა. მაგალითად, ლა სკალას დარბაზში მთელი ქვეყანა ირევა, საზოგადოება, ბრწყინვალე ელიტა შეშფოთებულია იმით, რომ ქვეყანაში რევოლუცია, რაღაც საშინელება დაიწყო. ამის გამო შუა ღამეს შინ წასვლა ვერ გაუბედავთ და შიშით ათენებენ საშინელ ღამეს. ამ დროს უბრალო ხალხს მშვიდად სძინავს, მას არაფერიც შეუნიშნავს და არაფერიც აწუხებს. ამის გამოხატულებას მეკარე, რომელიც ძილისაგან კისერმოტეხილი, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე უღებს კარს კოტესს. ხომ არ უნდა მწერალს ამით იმის თქმა, რომ ის, ვისაც საკუთარი თავი ცისფერი სისხლის პატარა ნაკადული ჰგონია, მიდრეკილია ჭორებისაკენ, მტრის ხატის ძიებისაკენ, სტატუს კვოს შენარჩუნებისაკენ, უძრავობისაკენ, ყველაფრის უცვლელად, ძველებურად დატოვებისაკენ, რაღაც ამისდაგვარისაკენ მაშინ, როცა ხალხი, ჩვეულებრივი ადამიანები ჩვეულებრივი ადამიანური ცხოვრებით ცხოვრობენ და არ არიან დაავადებული მოსალოდნელი ცვლილებების შიშით?

"შიში ლა სკალაში" უაღრესად რეალისტური მოთხრობაა, მაგრამ მწერალი არ ესწრაფვის არც პოლემიკას და არც – ვინმეს იდეოლოგიურ კრი-

ტიკას. მისი მიზანია, შეიცნოს არა ის, თუ რა მოხდა ან რა უნდა მომხდარიყო, არამედ ის, თუ როგორ და რატომ იქცევა ასე ეს ხალხი, როგორია ე. წ. ნაღები ხალხის, ელიტის ფსიქოლოგია, ქცევა, ურთიერთმიმართება ექსტრემალურ სიტუაციაში, არაორდინალური მოვლენის წინაშე. მას აინტერესებს, კოლექტიურმა შთაგონებამ როგორ შეიძლება, გარდაქმნას ობიექტური ვითარება. რეალიზმისადმი ერთგულება და შესაპური მხატვრული ოსტატობა მწერალს საშუალებას აძლევს, დაინახოს ვითარების ამბივალენტობა და მასზე დააფუძნოს მოთხრობის მხატვრული ეფექტი: გროსგემუთი ორ ტაფაში იწვის – გერმანელების კონცერტს დირიჟორობს და, ამავე დროს, მაკიებსაც ეხმარება; მის ორატორიაში ნაცისტებიც იგულისხმებიან და მოკავშირეებიც; პატივცემული ლაიანი, რომელიც რამდენიმე წუთის წინ მორცელი იყო, ახლა მათი მონინააღმდეგე და მათგან შერისხულია; კლარა პასალაქუა რევოლუციონერიცაა და კონტრრევოლუციონერიც, და ა. შ. ამით მწერალი იმაზე მიგვანიშნებს, რომ მის თანამედროვე საზოგადოებაში გამქრალია ყოველგვარი საზღვრები. ბოროტება, შეიძლება, ბოროტებაც იყოს და სიკეთეც, სინამდვილე, შეიძლება, სინამდვილაც იყოს და სიცრუეც... ამიტომ შეუძლებელია, არ დავეთანხმოთ კრიტიკოსებს (ნ. ჯანეტო), რომლებიც მოთხრობას იტალიის უახლესი ისტორიული რეალიზმის სიურრეალისტურ ასახვად მიიჩნევენ.

და ბოლოს, ბუცატის შემოქმედებაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თემად, შეიძლება, ასევე, ჩავთვალოთ ფანტასტიკური ელემენტის რაობა და ფუნქცია: ფანტასტიკური განზომილება მწერლისათვის სინამდვილიდან

გაქცევის საშუალება კი არ არის, არამედ – ძნელად მოსაპოვებელი გამარჯვება, რომელიც ძალას, ენერჯიას, სიმამაცეს, მსხვერპლს მოითხოვს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბუცატის პროზას ნითელ ხაზად ვასდევს იდეა: ერთი მხრივ, ყოველდღიური სინამდვილის წინასწარ გამოცნობა წარმოუდგენლად დამამშვიდებლად მოქმედებს ადამიანზე, იგი რუდუნებით დაჰკანკალებს თავზე თავის პანანინა "სიმშვიდეებს", თუმცა, მეორე მხრივ, მას ხიბლავს გამოუცნობისაკენ სწრაფვაც და, იდუმალებას გამოდევნებული, ხშირად ისეთ ზღაპრულ სამყაროში შედის, სადაც გამბედაობა სიცოცხლის ფასად უფდება.

სწორედ ამას გვისურათხატებს მწერლის ერთ-ერთი უადრეულესი ნოველა "შვიდნი მალემსრბოლნი", რომელიც, ჩემი აზრით, ლაკონურობით, აზრის სიღრმით, ალეგორიულობითა და მხატვრული ექსპრესიით ერთ-ერთ შედეგად დარჩა მის შემოქმედებაში. იგი დაწერილია წერილის ფორმით, რაც ალეგორიამდე მალღდება სიერცესა და დროზე დაწინარშობის რეალურ პლანს ლირიკულ გმირზე ინფორმაცია შეადგენს. მწერალი ალგვიწერს სიერცისა და დროის შუაგულში დარჩენილი კაცის აღსარებას, რომელიც სამყაროს შესაცნობად იღვწის. შემთხვევითი არ არის, რომ იგი ორი მიმართულებით აგზავნის მალემსრბოლებს: უკან, ანუ წარსულში და წინ, ანუ მომავალში. ეს სასწრაფო კვეთილი, იმთავითვე დასამარცხებლად განწირული ნაბიჯია, რადგანაც სამყარო გაცილებით დიდია ადამიანზე და მისი უსასრულობის შეცნობის მცდელობას კაცი ჭკუიდან გადაჰყავს. სწორედ ამიტომ ლირიკული გმირი ორივე მიმართულებით კარ-

გავს ცნობიერებას: ვერც წარსულის დაკარგვას ეგუება და თან იდუმალი მომავალიც იხმობს. ამას მოწმობს მისი მონოლოგი: "ხანდახან მეჩვენება, თითქოს ჭკუაზე შეიშალა ჩემი გეოგრაფის კომპასი [...]. ვერასოდეს ვიხილავ დასალიერს". ნოველის ბოლო ფრაზა კი – "ხვალ დილით იმედი კვლავ გამაქროლებს წინ, წამიყვანს იმ მიუწვდომელი მთებისკენ, რომლებიც ღამის სიბნელეში გახვეულან. კიდევ ერთხელ აყური ბანაკს, ვიდრე დომენიკო საწინააღმდეგო მხარის პორიზონტს მიღმა გაუჩინარდება, რათა უშორეს ქალაქს ჩაუტანოს ჩემი ამოუდანაბრები" – ალბათ, სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ ლირიკული გმირი, ბოლოს და ბოლოს, მთელი ტრაგიკულიობით აცნობიერებს მარცხს.

ბუცატის ფანტასტიკური სამყაროს კონცეფციას შესანიშნავად გვიხსნის, მაგალითად, მოთხრობა "მოჯადოებული ბურჟუა" (Il borghese stregato), რომელიც, გარეგნული სიმარტივის მიუხედავად, ღრმა სიბრძნეს გამოგვცემს. მოთხრობის გმირი ჯუზეპე გასპარი სიმბოლოა იმ ადამიანისა, ვინც იცის, რომ ფანტაზიასთან შეხვედრა კაცს, შეიძლება, ძალიან ძვირი დაუჯდეს, მაგრამ სწამს: ეს შეხვედრა ადამიანს ისეთი დიდი სიმალლიდან გადმოგახებებს, რომ ღირს მსხვერპლის გაღებად. ასე შედის ბურჟუა აკრძალულ სიერცეში, სადაც მხოლოდ ბეშეებს შეუძლიათ, უწებლად იმოგზაურონ. თავიდან პროზაული პერსონაჟი მოთხრობის მდინარეებში წელნელა იძენს ეპიკურ ელფერს და გმირად გადაისახება. მწერალი გასაოცარი ოსტატობით პოულობს განონასწორებულ ტონს ისე, რომ არასოდეს არღვევს ეპიკურსა და პაროდულს შორის არსებულ უფაქიზეს დიაფრაგ-

მას: ერთი მხრივ, გაეპიკურებულია მოთხრობის გმირი, მეორე მხრივ კი ირონიულად ეკიდება მას.

თავისი მოთხრობებით მწერალი დამაჯერებლად გვარწმუნებს, რომ მეტად ძნელია, ხშირად შეუძლებელი და საბუდისწეროც, არა მხოლოდ სიკეთის ქმნა, არამედ ამ სიკეთის განმსახიერებლის უბრალოდ შეცნობაც კი ("კოლომბრე"). ბუცატი გვიხატავს ადამიანებს, რომელთათვისაც სიცოცხლეზე ძვირფასია საკუთარი ღირსება, ვაჟკაცობის შენარჩუნება, სულის უბერებლობა ("თავდასხმა დიდ ქარავანზე"), ამასთან, მწერალი გვეუბნება, რომ უნდა გვახსოვდეს ერთი უბრალო ჭეშმარიტება – აბსოლუტურად პირობითია და მყიდვე ზღვარი ჩვენს ნუთიერ ბედნიერ ყოფასა და იქვე ჩასაფრებულ უბედურებას შორის ("ვიღაც, ვისი სახელიც ლასით იწყება"), ისევე, როგორც სიცოცხლესა და სიკვდილს, რეალურსა და ირეალურს შორის ("შვიდი საათული"), რომ სამყაროს მეუფეს შეუძლია, ღმობიერი და მომთმენი იყოს, მაგრამ, ამავე დროს, შეუვალცი ("მოსასხამი"). გვეუბნება, რომ სამყაროს გარდა არაფერია მარადიული, ყველაფერი – ბუნებაც და ძე-სულიერიც – მუდმივი განახლებით, წარსულის, ანწყოსა და მომავლის ერთიანობით ცოცხლობს.

სწორედ ეს არის უკვდავება, სიცოცხლის უწყვეტობა ("ავდარი მდინარეზე"). გვაფრთხილებს, რომ თუ ადამიანი დაკარგა ბუნებასთან ჰარმონიული კავშირი და გაანადგურა ყველაფერი, რისი შეცნობაც არ ძალუძს, ან მის კონტროლს არ ექვემდებარება, მაშინ თავადვე დაიღუპება ("გველესაპის მკვლელობა"). მიაჩნია, რომ ხშირად, როცა იცი, რომ უბედურებას ვერაფრით უშველი, უმჯობესია, ადამიანებს ლამაზი ტყუილი უთხრა ("ცრუ ამბები"); რომ ჩვენ-ჩვენ ყოფაში ხშირად სრულიად ხელოვნური ევფორიის მსხვერპლი ვხვდებით ("შიში ლა სკალაში"). ბუცატი ფრთხილად გვახედებს უსასრულო სამყაროს შესაცნობად ამხედრებული კაცის სულში და არაჩვეულებრივი მხატვრული ექსპრესიით გვისურათხატებს, რომ თავიდანვე მარცხისათვის განწირულია უსასრულო სამყაროს სრულად შეცნობის ცდა ("შვიდნი მალემსროლნი"), მიგვანიშნებს იმაზე, რომ ღირსებიანი კაცი ხშირად იძულებულია, გაექცეს ჩვენს მკაცრსა და უღმობელ ცხოვრებას და სულ სხვა სამყაროში ეძიოს სულიერი სავანე, სამყაროში, სადაც სულ სხვაგვარი ღირებულებებია ფასეული და პატივს სცემენ მის ადამიანურ ღირსებებს ("კაცი, რომელიც თავს იფასებდა").



ლევან ფრუიძე

ჩვენი ლაზათი

პერეთის (საინგილოს) გაზეთ "ივენანას" გამოსვლის გამო

რაჭის გაზეთი "რაეო" თორმეტი წლის წინათ დაიბადა. შარშანწინ აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდ სხდომათა დარბაზში მისი ათი წლის-თავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო გაიმართა. მაშინ უკვე "რაეო" მარტო აღარ იყო. მან იბარტყა და მის ვარჯზე საქართველოს თითქმის ყველა მხარის გაზეთმა გაშალა რტო. ეს გაზეთებია "მახარია" (სამეგრელო), "ლილეო" (სვანეთი), "კრიმანჭული" (გურია), "შაველეგო" (სამცხე-ჯავახეთი), "საპოვნელა" (იმერეთი), "ურმული" (ქართლი), "ჩაკრულო" (კახეთი) და აი, 2004 წლის აპრილში პერეთის (საინგილოს) გაზეთმა "ივენანამ" გაახილა თვალი. მისი პირველი ნომერი საზოგადოებამ უკვე მიიღო და დიდ ეროვნულ მოვლენად შეაფასა. ისევე, როგორც საქართველოს თითოეული კუთხის გაზეთი, "ივენანაც" თვეში ერთხელ გამოვა, სრული ფორმატით, ოცგვერდიანი. "რაეოს" რედაქციას და მის დაულალავ რედაქტორს, ბატონ ბონდო გაგნიძეს შორსმჭვრეტელოური მიზნები აქვს დასახული: უახლოეს ხანში უნდა გამოვიდეს აფხაზეთის გაზეთი "აფხიარცა". ვიმედოვნებთ "რაეოს" ციკლის გაზეთების გარეშე აჭარა, ლაზეთი, ტაო-კლარჯეთი და

თვით ფერეიდანიც არ დარჩება. ბოლოს მკითხველი მიიღებს ყველა ამ გაზეთის შემაჯამებელ დიდ აკადემიურ "მრავალფამიერს".

სამშობლოს უანგარო სიყვარულს, ჭეშმარიტ პატრიოტიზმს შემდეგნაირად ვაცნობიერებთ: თითოეული პიროვნება საკუთარი ოჯახიდან, შთამომავლობიდან მოდის. მისი ფესვი და ძირი უსათუოდ საქართველოს რომელიმე კუთხესა და სოფელშია, ხოლო სოფლად ყოველ მოდგმას (ბაბუიშვილობას, პაპიშვილობას), გვარს და ჯილაგს შთამომავლობით თავისი ადგილი აქვს მიჩენილი, როგორც სამშეოში, ისე სასაფლაოზე. იქ არის მათი ფუძე, წინაპართა სამაროვანი, ადგილის დედა და სალოცავები. არცერთი ჭეშმარიტი ქართველი ამ სინმინდეების გარეშე არ არის დარჩენილი. თუ სხვადასხვა გარემოებათა გამო მშობლიურ გარემოს მონყვეტილია, გულში მაინც ღველფივით უნთია ვისი გორისაა და საიდან მოდის.

საბჭოთა ხელისუფლების ზეობის სამოცდაათი წლის მანძილზე, როდესაც ქვეყნის იდეოლოგია აგრესიული ათეიზმი იყო, ქართველი ერი წინაპართა რწმენას არ ღალატობდა და, ადგილის დედის მადლით, სულიერ სისპეტაკეს ინარჩუნებდა.

ყოველი ჩვენთაგანი საზღვარგარეთ ქართველი ვართ. საქართველოში რომელიმე კუთხის წარმომადგენელი. კუთხეში სოფლით გვიცნობენ, სოფლად კი მოდგმით. რიონის სათავეში მდებარე, რაჭის თავსოფელ ლებში, კაცს ვერ მიაგნებ, თუ მისი ბაბუიშვილობის, მოდგმის შიგაგვარი არ იცი. პიროვნება ანსახიერებს ოჯახს, მოდგმას, გვარს, მხარეს და მთელ ქვეყანას. თუ მან ეს საფეხურები თანმიმდევრულად არ გაიარა, სამშობლოს სრულფასოვან მოქალაქედ ჩამოყალიბება გაუჭირდება. სახლისშვილობა (ოჯახისშვილობა), გვარიშვილობა და მამულიშვილობა ერთმანეთიდან გამომდინარე და ერთმანეთის შემავსებელი ცნებებია, ამათი სინთეზით იქმნება ჭეშმარიტი ქართველობის ფენომენი. ამიტომ ნურავინ უიკიფინებს გაზეთ "რაეოს" რედაქციას, რომელიც ნივთიერი შეჭირვების მიუხედავად, ამდენ გაზეთებს სცემს. გეთანხმებით, გლობალიზაციის ამ საბუდისნერო ხანაში ეს ზღვაში წვეთია, მაგრამ სულ არარაობას წვეთი მაინც ჯობია. უმოქმედობა ლალატის ტოლფასია, როგორც დიდი ილია ბრძანებდა, ჩვენი თავი რომ ჩვენ გვეყუდნოდეს, ამისათვის თითოეული პიროვნების ძალისხმევა და საქიროების დროს თავგანწირვა აუცილებელი.

ვიმედოვნებთ, "რაეოს" ციკლის გაზეთების ირგვლივ ქართველი ერის სიყვარულით გულანთებული, მოაზროვნე მამულიშვილები შემოიკრიბებიან და სიზიფეს შრომას გაგვიადვილებენ. ჩვენი რედაქციის კარი ღიაა, მობრძანდით, გელთ!

ვულოცავთ ყველა ქართველს და განსაკუთრებით შერეთის (საინგილოს) მკვიდრებს საკუთარი გაზეთის "იავნანას" გამოცემას. სამშობლოს

გაერთიანების საფუძველთა-საფუძველი სულიერი ერთობის მიღწევაა. ქართულმა ენამ და სიტყვამ უნდა შეძლოს მამაპაპურ საუფლოს მონყვეტილი შვილების ადგილის დედასთან დაბრუნება.

ფესვები ზროში იყრის თავს, ზროს ტოტებგაშლილი ვარჯი ამშვენებს. ეს სიცოცხლის ხე ერთიანი, მთლიანი და განუყოფელი საქართველოა. ცივილიზაციის საწყისებიდან, როცა ფეხი ავიდგით, თვალი გავახილეთ და სამყარო გავაცნობიერეთ, სამშობლოს გაერთიანება გვენატრება და ერთად ყოფნა გენყურია, მაგრამ სანადელს მაინც ბოლომდე ვერ ვენიეთ, მიუხედავად ამისა, მარადფამს ჩვენი ეროვნული ენერჯის სიკეთეში დახარჯვისათვის ვიღწვით. არასდროს არავინ დაგვიყურია და არ დაგვიჩაგრავს, მუდამ გავცემდით და არავის ვართმევდით. გენიალურმა შოთა რუსთაველმა ზუსტად გამოაქანდაკა ქართული ხასიათი და მრწამსი. ჩვენი ერი აქ სამხრეთ კავკასიასა და მცირე აზიაშია აღმოცენებული. უდაბნოსა და დმანისის აღმოჩენებმა კაცობრიობა დაარწმუნა, რომ ანთროპოგენეზი ამ მხკოვან, ისტორიულ მიწაზეც მიმდინარეობდა. მეზოლითიდან უკვე იკვეთება ქართული ეთნოსის კონტურები. კაცობრიობის წარმოშობა-განვითარების ყველა საფეხური ჩვენს საცხოვრისში თვალნათლივ წარმოჩინდება. წიაღსავცე ქართულ მიწაზე არქეოლოგის ბარი სასწაულებს ახდენს, გარდასულ ეპოქებს აცოცხლებს და ხორცს ასხამს. ჩვენთან მოაზროვნე ადამიანის ჩამოყალიბების მთელი პროცესი იმდენად გამოწვლილვითაა ასახული, უტყუარი ფაქტებით გაჯერებული, სხვაგან რომ არაფერი იყოს აღმოჩენილი, ანთროპოგენეზის მეტ-

ნაკლებად სრული სურათის წარმოსადგენად ქართული მასალაც საკმარისია. ამ მხრივ, სიძველის თვალსაზრისით, საქართველოს აფრიკა თუ შეედრება, ქართული მიწის შესაძლებლობანი ამოუნურავია, ჯერჯერობით ხომ მისი მცირე ნაწილია არქეოლოგიურად გამოკვლეული.

ქართველთა საცხოვრისში, ღვთაებრივი კანონზომიერებით, ქვის ინდუსტრიას ლითონი ცვლის, ტყე-ლრე ხეტიალს – ბინადარი ცხოვრება. ჯერ კიდევ ქვის ხანაში ჩნდება პირველი მინათმოქმედნი, ქვის იარაღს ლითონი ენაცვლება. ბინადარი ცხოვრება, მინათმოქმედება, მესაქონლეობა, მელითონეობა ქართველთა ბედისწერა გახდა. ჩვენში ქვის ინდუსტრია იმდენად სრულყოფილი იყო, რომ აქედან კაჟისა და ოფსიდიანის იარაღები და საიარაღე მასალა მთელ მაშინდელ მსოფლიოში ვრცელდებოდა. შემდეგ მათ კვლავ ჩვენებური ბრინჯაოს და რკინის იარაღები, ასევე ზოდები შეენაცვლა. საქართველო ტექნიკური პროგრესის, ცივილიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი კერაა, ხოლო ქართველები ამ პროგრესის შემოქმედები არიან. ძველებრაული და ძველებრძნული მითოლოგია, მწერლობა, ქართველთა ღვანლს შთამომავლობას გადასცემენ, საქართველოს ზეავრიელი მიწა დროდადრო მკერდს გადაიხსნის და ზღაპრად თქმულს უტყუარი რეალებით ამტკიცებს. თვით ურწმუნო თომებიც იძულებულნი არიან ქართველთა პრიორიტეტი აღიარონ.

კავკასიის ყელზე, ევრაზიის შესაყარზე აღმოცენებული ხალხი და ქვეყანა ჩვეული ქართული გულუხვობით ოთხივეუთხით არიგებს თავის მიღწევებს და სამოთხის ბალიდან გამოდევნილ კაცობრიობას არსებობას უადვი-

ლებს. შემგროვებლური მეურნეობიდან მწარმოებლურზე ძალიან ადრე გადასული ეკონომიკურ კეთილდღეობას იმთავითვე აღწევს, მრავლდება და საკუთარი ცივილიზაციით შავი და ხმელთაშუა ზღვების აუზში თანდათან ვრცელდება. ნომადებით გარს შემორტყმული, ველურებთან (დაუკვირდით ქართულ სიტყვას "ველურს" (საქართველოში ველური ველიდან მოდის): სამკვედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმული, თავს და ზოგადასაკაცობრიო პროგრესს წარმატებით იცავს, სწორედ ამიტომ ღვთის მადლით დღემდე სიცოცხლეს დღემდე ინარჩუნებს. მაშასადამე, კაცობრიობის ცივილიზაციას ქართველთა მადლი სცხია, სანუთროში ამ მადლით ვართ და ვარსებობთ, მაგრამ როდემდე?!

ძნელია, ძნელი ათასწლეულთა მანძილზე ბუნვის ხიდზე იარო და მიწყვი ყოფნა-არყოფნის საფრთხეში იყო. თოთხმეტე წლის დამოუკიდებლობის მიუხედავად, საქართველო ამჟამად ზღუდე და სამან-საზღვარმოსილი ქვეყანაა. როგორც ჩვენი ახალგაზრდა პრეზიდენტი საჯარო გამოსვლებაში ხშირად ბრძანებს, ქართველი ხალხი დამცირებული და განამებულია. უფლისგან ბოძებული დამოუკიდებლობა მას ტანჯვა-წვალებისა და იავარქმის გოლგოთად ექცა. რაც დედამიწის ზურგზე აგრესორები გაჩნდნენ, ე. ი. დასაბამიდან დღემდე, უმოწყალოდ იფლითება ჩვენი სხეული. ამნუთსაც მტაცებელთაგან მიყენებული ჭრილობებისგან სისხლი გვდის, აფხაზეთი წარკვეთილია, ხოლო ქართლის გულში ავაზაკებს უკანონობის დოლი გაუმართავთ და დღისით მზისით ყოველგვარ სისაძაგლეს სჩადიან. ორმოციათასი მშვიდობიანი მცხოვრები მი-

ნაში წევს, ხოლო მშობლიური სახლ-კარიდან აყრილი 300 ათასი ქართველი დევნილია და შიმშილით იხოცება. ამ არნახულ, ისტორიულ საცოდობას თუ ვერაგულ უტიფრობას კაცობრიობა გულდამშვიდებით უცქერს და იწყნარებს კიდეც. როდემდე?

თოთხმეტი წლის ლოდინი საკმარისია. თუ ვინმეს ჩვენი შველა უნდოდა, აქამდე საშველი დაგვადგებოდა. ახლა ერთადერთი იმედი მალალი ღმერთი და ჩვენი გარჯაა. დიახ, გარჯა და არა ბრძოლა. ხმალი, რომელიც გვიჭრიდა, ამჟამად დაიწუნებულა და სამუზეუმოდაა გამხდარი. გადარჩენის ერთადერთი გზა ქართული ეთნოსის შეკავშირებასა და კულტურულ ექსპანსიაშია. "კულტურული ექსპანსია", აი, ჩვენი სამოქმედო სტრატეგია, თანამედროვე ზემოქმედის საბრძოლო ტექნიკის გამანეიტრალებელი და დამმარცხებელი. თვით ტერმინი – "კულტურული ექსპანსია" და მიზანმიმართული მოქმედების პირველი ნაბიჯები ცნობილ რეჯისორს ავთანდილ ვარსიმაშვილს ეკუთვნის. ის თავისი თავისუფალი თეატრით სამაჩაბლოს ქართულ სოფლებში ჩავიდა და დაუვინყარი სპექტაკლები გამართა. ორივე ლიახვის ხეობის მოსახლეობა, ქართველი თუ ოსი, წარმოადგენებს დაესწრო და მიხედნენ, რომ არაფერი აქვთ გასაყოფი, მით უმეტეს, სისხლის დასაღვრელი. რომელი ჯიშის და რჯულის არ უნდა ვიყოთ, ყველანი ხომ წუთისოფლის სტუმრები ვართ? მაშ, ვაცადოთ ერთმანეთს ამ სამოთხეში ცხოვრება. როცა უფალი მარადისობაში გვიხმობს, მადლიანი ქართული მინა ყველას მიგვიღებს, კალთას გადაგვაფარებს და წინაპართა წესზე წარწერიან-ჩუქურთმიანი ქვით შემკულ საფლავს არ დაგვაშადლის... ასე ვცხოვრობდით და ვიმარხებოდით

ქართველი თუ ოსი, აფსუა თუ არაბი... "თათარიც ჩემი ძამააო", – მღეროდა ქართველი, არავინ დაუჩაგრავს, არავინ შეუწუხებია, მტერს თუ მოყვარეს გულალადად, საუკეთესო პურ-მარილით, თავლეინით ხვდებოდა, ხმალს მაშინლა იშიშვლებდა, თუ ცოლისა და სიცოცხლის წართმევას დაუპირებდნენ, მართლაც და მართლაც, ღმერთი აღარ არი?!

სისხლიანი საუკუნეები, ჩაგვრა, ძალმომრეობა, უსამართლობა, ადამიანების და ერების დამონება, გენოციდი, ეთნოციდი თითქოს ავბედით წარსულს უნდა ჩაბარებოდა, კაცობრიობამ ხომ მესამე ათასწლეულში შეაბიჯა. მურვან-ყრუ, ბულა-თურქი, მონღოლების პირსისხლიანი სარდლები, ჯალალ-ედინი, თემურ-ლენგი, შაჰ-აბასი და ალა-მაჰმად-ხანი, რომელი ერთი ჩამოვთვალო?.. სამოთხეში კი არ განისვენებენ, არამედ ჯოჯოხეთში იტანჯებიან, მაგრამ სატანა კვლავ დაუცხრომელია, ჩვენს ტანჯულ ქვეყანას მრავალ განსაცდელს უშვადებს...

ღმერთო, წყალობის თვალთ გადამოგვხედე, დუშმანი რატომ ცდილობს ქართველთა საცხოვრისიდან მინც-დამინც ქართველთა აღმოფხვრას?! ღვთის წინაშე ხომ არასდროს არაფერი დაგვიშავებია, სწორედ ამიტომ გვერჩის ეშმაკი...

"ეთნოკონფლიქტების" შემოგდებული, მაგნე თეორია რატომ გახდა დღეს უმთავრესი იდეოლოგია?! რატომ გვჭირდება კავკასიელებს რუსის ჯარი, ანდა ამერიკელების მეურვეობა?!

"ერთმანეთი რომ არ დახოცოთო!" – გვეუბნებიან. ვაი, სირცხვილო! ერთმორწმუნე, "მოძმე რუსეთი" ორასი წელია იარაღით გველაპარაკება, ხიშტი არ დაგველებია და ზარბა-

ზანი... ქართველ ტუსალთა გვაგებით გაჯერდა ციშბირის მიწა. რუსი მაინც რუსად დარჩა, ქართველი კი – ქართველად, გადაგვარებულები, რენეგატები კი სათვალავში ჩასაგდები არ არიან... დაჩაგრული, განამებული, გაუბედურებული თაობები კი უდროოდ სამარეში ჩაწვნიან, რატომ?! ადამიანები ხომ ისედაც მიდიან და აღარ ბრუნდებიან, ამიტომ ხელისუფალნი რატომ გვიმნარებენ ნუთისოფელს?!

ჩვენ – უბრალო, რიგით ადამიანებს ისლა დაგვრჩენია, ყოველგვარ "იზმებს" და ვაიდიეოლოგიას ღვთაებრივი სათნოება დავუპირისპიროთ, მრავალნაცადი, ქართული სიბრძნე – "რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენება", მოქმედების ნიშანსვეტად გავიხადოთ და მივბაძოთ ავთო ვარსიმაშვილს, ერთმანეთთან ტანკებისა და ავტომატების ნაცვლად ლოცვით მივიდეთ, ხელოვნების მადლის ისხარით დაენამოთ, დავაცხროთ ძალაუფლების მოყვარულთა მრისხანება, სისხლისმსმელობის ბარბაროსული სურვილი. ვისაც როგორ შეგვიძლია, ისე გავხდეთ "კულტურული ექსპანსიის" ჯარისკაცები.



ასეთი მსჯელობის ხასიათზე დამყენა სამეგრელოს გაზეთ "მახარიასი" დაბეჭდილი სტატიის – "არც ისე შორია ლაზისტანამდე" წაკითხვამ (გაზ. „მახარია“, 2004, №4, აპრილი, გვ. 6-7). ავტორები "მახარიას" სპეციალური კორესპონდენტები, ძმები ლაშა და დათო კოდუები არიან. მკითხველს წერილის შესავლის ორ აბზაცს გავაცნობ: "კოლხური კულტურა უძველესი კულტურაა მსოფლიო ცივილიზაციაში. კოლხური სამყარო, ეს პროტოიბე-

რიული სამყაროა, ცივილიზაციის აკვანია არამარტო კავკასიასა და მცირე აზიაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც და ამიტომაცაა, რომ ელინური სამყარო ჩვენსკენ მოილტვოდა აიეტის მეფობის დროს და შემდგომ პერიოდებშიც. განათლებამონყურებული ბერძნები ძველ ფაზისში ეუფლებოდნენ ცოდნას და ამაყოფდნენ კიდევც.

კოლხური, თუ პროტოიბერიული სამყაროა სწორედ ანიც და პოეც, ალფაც და ომეგაც. მაშინ, როდესაც ინდოევროპულმა სამყარომ ტროას ომში სძლია კოლხურს, აქედან დაიწყო მატერიალიზმის აღზევება და აღმატება სულიერ სამყაროზე. ამის ნათელი მაგალითია ზევსის მიერ პროგრესულად მოაზროვნე პე-ლაზ-გი პრომეთე ევგაროსის-ძის მიჯაჭვა კავკასიონზე. ამ საკითხის განხილვა ამ წერილში შორს წაგვიყვანს, მაგრამ ერთი უნდა გვწამდეს, დადგება დრო, პრომეთე მონობის ბორკილებს გაგლეჯს და კოლხურ სამყაროს გამარჯვებასა და დაკარგულ დიდებას დაუბრუნებს. ეს იქნება სულიერების გამარჯვება მატერიალიზმზე, ეს იქნება ქართველური ენების, ქართველური მოდგმისა და ქართველური გენის გამარჯვება და აღზევების ხანა, რაც დღეს "დამარხულ არს".

კარგია, ცოტა ხმამაღალი ნათქვამი რომ არ იყოს. ამკარად არ მომწონს ტერმინი "ქართველური" და "ქართველურში" ჩადებული აზრი. ტერმინი "ქართველური ენები" ენათმეცნიერულია და ეთნოსზე მისი განზოგადება ყოველად დაუშვებელია. ქართველობა – ქართველი ერთი ეთნოსია. რომელი კუთხიდანაც არ უნდა იყოს ქართველი და რომელ ენაზეც (ქართულზე, მეგრულზე, სვანურზე) და დიალექტზე (დიალექტებს აღარ ჩამოვთვლი) არ უნდა ლაპარაკობდეს, ერთი ეთნოსია.

სხვა ეთნოსები საქართველოში საკმაოდ არიან, მაგრამ არაქართველები არიან. ასე რომ, სიფრთხილეს თავი არ სტკივა და ტერმინები ზუსტად უნდა ვიხმაროთ. ქართველებს, ჩვენი წარსულის გამო, კანონიერი სიამაყის გრძნობა უნდა დაგეუფლოს, და არა რომელიმე კუთხის უპირატესობის წარმოჩენით. მხარეს, "კუთხეს", რა თქმა უნდა, ღვანლი არ უნდა დავუკარგოთ, მაგრამ "კუთხემდე" ეროვნული ისტორიის ერთიანობის გააზრებით უნდა მივიდეთ. უცოდინარობა ბევრ უბედურებას ბადებს და ხშირად სეპარატიზმის შხამსაც წარმოშობს, მოტყუებული და გაბრყვებული ადამიანები, არცთუ იშვიათად, ძმთმკვლელ ომსაც აჩაღებენ და გამოგონილი შუღლის მსხვერპლი ხდებიან. ეს უბედურება მხოლოდ ბნელ შუა საუკუნეებს კი არ ახასიათებთ, არამედ დღესაც ძალაშია და ამიტომ ჩვენი ქვეყანა სისხლისმსმელ სეპარატისტთა სათარეშოდ იქცა. უხეშად და თვითნებურად თვით საქართველოს ისტორიის გამრუდება-გაყალბებაც მოხდა და მივიღეთ "აფხაზეთის" და ე. წ. "სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებელი სახელმწიფოები" ბოროტმოქმედთა მარიონეტული მთავრობებით. ისტორიის გვიანდელ მონაკვეთში შიდა ქართლში თავშეფარებულმა ოსმა ხიზნებმა, უფრო სწორად, რუსეთის იმპერიისაგან მათმა მოსყიდულმა მესვეურებმა, მკვიდრ ქართველობას მასპინძლობა და პატივისცემა ასე, ჯაყოსებურად გადაუხადეს...

რაც შეეხება "აფხაზეთა სახელმწიფოებრიობას", მსგავსი რამ მსოფლიოს ისტორიამ არ იცის, "აფხაზი" ეთნოსი დედამიწის ზურგზე არ არსებობს. აფხაზი ისეთივე ქართველია, როგორც მეგრელი, სვანი, ქართლელი და ა. შ., აფხაზეთი საქართველოს ისე-

თივე განუყრელი ნაწილია, როგორც სამეგრელო, სვანეთი, აჭარა და სხვა. "აფხაზური ენა" თანამედროვეობის ანაქრონიზმია, არის აფსუა ეთნოსი და აფსუური ენა, ალბათ ისტორიული კანონზომიერება და სამართლიანობა საკონსტიტუციო სასამართლოს მეშვეობით აღდგება... ქართველი ერის და კაცობრიობის წინაშე დანაშაულია, რომ თითქმის თოთხმეტი წელია არსებობს აფხაზეთის სეპარატისტული "სახელმწიფო" - რუსული ენით, თვითშემეცნებით, საქართველოსაგან ძალით წაგლევილ აფხაზეთის ტერიტორიიდან ქართველები აყრილები და გამოყრილები არიან. გალის რაიონში მიბრუნებულ მკვიდრებს (მათ ვერაფრით საარსებო საშუალება ვერ გამოიხახეს და იძულებული გახდნენ, თავგანწირვის ფასად, მტრისგან ოკუპირებულ სახლ-კარს, დამწვარსა და გაუბედურებულს მიბრუნებოდნენ) ხოცავენ, ატყვევებენ, ანამებენ, მშობელიურ ენაზე სწავლას, აზროვნებას და ლაპარაკს უკრძალავენ...

ხალხო, ეს წარსულის ავბედითი გახსენება როდია, ეს ყველაფერი ახლა, ჩვენს თვალწინ ხდება და მხოლოდ უმწეობის გრძნობა გვეუფლება, სხვა ვერაფერი მოგვიხერხებია...

ასეთია მწარე სინამდვილე. არსებული აუტანელი ვითარების მოსაგვარებლად კი არაფერი კეთდება. პარტიზანული მოძრაობა გაკოტრდა და სამარცხვინო სახე მიიღო, ე. წ. "მოლაპარაკებები" მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის მოსატყუებლად წარმოებს ჯერჯერობით, მომიტვეთ და, ამ მართლაც ლაყბობას, რაიმე ქმედითი ღონისძიება არ მოჰყოლია. ამ დროს, თუ რუსეთი თავის "სამშვიდობო" (რაცინიზმია!) ჯარს გაიყვანს, ყველაფერი თავისთავად, მშვიდობიანად მოგვარდება, ქართველებს და აფსუებს

ერთმანეთთან გასაყოფი და სამტრო არაფერი აქვთ. ყველა თავის კარ-მიდამოს, ბუდეს დაუბრუნდება, ხოლო ის, რაც მოხდა, ერთმონწმუნე რუსეთის ისტორიას კიდევ ერთ სამარცხვინო ლაქად დააჩნდება.

ევროკავშირის შექმნამ, საერთო ვალუტის შემოღებამ, საზღვრების გახსნამ და ა. შ. უჭყველია ევროპის ხალხებს ცხოვრება გაუადვილა. ყოველ კულტურულ ხალხს სახელმწიფო ბიუროკრატისგან თავისუფლება სწყურია და, თუ ეს ევროკავშირის მეშვეობით მიიღწევა, ბუნებრივია, მსოფლიოსთვის კარგი მაგალითი გახდება. მაგრამ ამის საყოველთაოდ განხორციელებამდე, ყველა ავტოქტონმა, აბორიგენმა ხალხმა, ლეთის მიერ დასაბამიდან მიკუთვნებულ ტერიტორიაზე, გაერთიანებას უნდა მიაღწიოს. ისევე, როგორც ეს ევროპის მონესრიგებულმა ხალხებმა შეძლეს. სულ ცოტა სამი ათასწლეულია ასეთი ამოცანა ქართველებს გვიდგას და ვერაფრით ვერ გადაგვიწყვეტია. ყოველ ისტორიულ მოსაბრუნში, როცა დამოუკიდებლობას მივალწევთ; ვიღვეით და ვკნინდებით, ჩვენი ეროვნული სხეული უსამართლო და ძლიერი მეზობლების ნებით იგლიჯება, იფლითება...

1919 წელს ივანე ჯავახიშვილმა და ცოტა უფრო ადრე პავლე ინგოროყვამ პოლიტიკოსებს საქართველოს ისტორიული საზღვრები მოკრძალებულად შეახსენეს, მაგრამ ყოველთვის სანინაალმდეგო კეთდება, სახელმწიფო საზღვარი, რაც გვეკუთვნის იმის მიხედვით კი არ სწორდება, პირიქით მცირდება და ვინროვდება.

1996 წელს ისტორიკოსმა დურმიშხან ცინცაძემ, ივანე ჯავახიშვილის მონოგრაფია საქართველოს ისტორიული საზღვრების შესახებ, რუკით გამოაქვეყნა, რათა საზოგადოებას

სცოდნოდა, რა გვეკუთვნის და რა დავკარგეთ. დ. ცინცაძე წერს: საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ტერიტორია 1921 წელს, რუსეთის ანექსიამდე 90 000 კვადრატულ კილომეტრს შეადგენდა, ე. ი. 21 000 კილომეტრით მეტს, ვიდრე დღეს გვაქვს. საქართველოს დაპყრობის შემდეგ ე. ი. ლენინმა და მისმა მთავრობამ ჩვენი ქვეყნის კუთვნილი მიწები პაიპარად გაასხვისა:

1. ართვინის - 3330 კვადრატული კილომეტრი; 2. ფოცხოვის - 588 კვ. კილომეტრი; 3. არტაანის - 5137 კვ. კილომეტრი; ოლთისის - 3051 კვ. კილომეტრი; 5. ქვემო ქართლის - 3564 კვ. კილომეტრი; 6. შერეთის (საინგილოს) - 3564 კვ. კილომეტრი, ხოლო სოჭი და მისი მიდამოები ისეთი სიხარბით მიითვისეს, თითქოს რუსეთს სივინროვისგან სული ეხუთებოდა.

საქართველოს მიწების მტკაველ-მტკაველ დაქუცმაცება და მისაკუთრება კვლავ გრძელდება (დანვრილებით იხ. გაზ. "კვირის პალიტრა", 2004, №8, 23-29 თებერვალი, გვ. 5, 11). აღარას ვამბობ ჩამოკვეთილ აფხაზეთსა და რაჭა-შიდაქართლის მიტაცებულ ტერიტორიებზე).

უფრო უარესიც, 1996 წლის თებერვლიდან, დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტის მიერ აგრარული რეფორმის ისეთი უკუღმართი კანონებია მიღებული, სახელმწიფო საზღვარს აღარავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს. თუ ასე ვაგრძელდა, მალე ქართველ ხალხს და, ბუნებრივია, ჩვენთან მცხოვრებ სხვა ხალხებსაც, მშობლიური მიწა ფეხქვეშ გამოეცლება და მიწის ახალმა მესაკუთრებებმა მკვიდრი მოსახლეობა, შესაძლოა მონებადაც აღარ დატოვონ...

ვიმედოვნებთ, მოსალოდნელი საფრთხისაგან ახლად არჩეული პარ-

ლაშენტი და ხელისუფლება დროულად დაგვიხსნის. დღეს შველა შეიძლება, ხვალ გვიან იქნება... მთავარია – რა გველის დროულად გავაცნობიეროთ და ხალხის ძალისხმევა სწორად წარვმართოთ. ჩვენი ძალა ისტორიულ სიმართლესა და სამართლიანობაშია, ოღონდ უქართველებოდ დარჩენილ მინას აღარაფერი ეშველება. როგორი იმპერიის ხელშიც არ უნდა იყოს ლაზეთი, მაინც ქართულ მხარედ დარჩება. ლაზეზმა უამრავ მტერს და სისხლიან ქართველებს გაუძღეს. საუკუნეთა მანძილზე მშობლიურ მიწაში ფესვები ღრმად აქვთ გადგმული და მათი ამოძირკვა პრაქტიკულად შეუძლებელია. მათ ქვეცნობიერად საქართველო ახსოვთ და, როგორც კი ხელსაყრელი ისტორიული მომენტი დადგება, ჩვენი ქვეყნის გაერთიანების საკითხი საერთაშორისო სამართლის სამსჯავროზე გამოვა. თურქეთი მეორე მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანიის მოკავშირე იყო. საქართველოს ისტორიის მესაჭეებმა აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა და სიმონ ჯანაშიამ ოსმალეთს კანონიერი პრეტენზიები წაუყენეს, მეცნიერები წერენ:

“ქართველმა ხალხმა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფაშის განადგურების საქმეში, უფლება მოიპოვა წარმოადგინოს თავისი კანონიერი მოთხოვნები.

ჩვენ მიემართავთ მსოფლიოს საზოგადოებრივ აზრს თურქეთის მიერ წარმეული ჩვენი ძველისძველი მიწა-წყლის შესახებ.

საქმე ეხება არა უმნიშვნელო ტერიტორიულ შევიწროებას, არამედ ჩვენი ხალხის ინდივიდუალობის აკვანს, ჩვენგან მიტაცებულს, დანაშაულს, რომელმაც ორად გააკვეთა ცოცხალი ეროვნული სხეული.

საქმე ეხება ქართველი ხალხის საუკუნებრივი ბრძოლის საგანს – ჩვენი ძველისძველი მიწა-წყლის დაბრუნებას.

ქართველი ხალხი ძველთაგანვე ცხოვრობდა, შრომობდა და იბრძოდა თავის მკვიდრ ტერიტორიაზე – დიდი ტავრიდან მოკიდებული დიდ კავკასიონამდე. ჰქმნიდა თავის ცივილიზაციას და სახელმწიფოებრიობის ახალ-ახალ ცენტრებს. ქართველმა ხალხმა ცხადყო სიცოცხლისა და შემოქმედების იშვიათი უნარი, მშობლიური მიწა-წყლის მტკიცე სიყვარული, ურყევი ნებისყოფა – დაეცვა ის, რაც მას ეკუთვნის”. (“მართალი გაზეთი”, 2003, №8, თებერვალ-მარტი, გვ. 4-5). ქართველი ხალხის ოცნება თითქოს უნდა ასრულებულიყო, მაგრამ ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარება სწრაფად შეიცვალა. საბჭოთა კავშირის მოკავშირეებმა ინგლისმა და ამერიკამ მოულოდნელად მტრული ქვეყანა თურქეთი დაიციეს, ხოლო გამარჯვებათა ზენიტზე მყოფი საბჭოთა კავშირის გაფართოება იაპონიაზე ორგზის ატომური ბომბის დარტყმით შეაჩერეს. საქართველო გაურთიანებელი დარჩა. ი. ბ. სტალინის გარდაცვალების და ლ. პ. ბერიას დახვერების შემდეგ საბჭოთა კავშირმა თურქეთის მიმართ ვ. ი. ლენინის პოლიტიკა გააგრძელა და ტერიტორიულ პრეტენზიებზე ოფიციალურად თქვა უარი.

დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის დაბალანსებული პოლიტიკის წყალობით, მეზობლების მიმართ ყველა კანონიერ მოთხოვნას დავინყების ფერფლი წაეყარა. მხოლოდ ისტორიკოსებმა დ. გოგოლაძემ და დ. ცინცაძემ “მართალი გაზეთის” მეშვეობით საზოგადოებას შეახსენეს შუაზე გაგლეჯილი საქართველოს მოურჩენელი

ტკივილი... ბ-ნ ედ. შვეარდნაძემ ვ. ი. ლენინის გადააჭარბა, მისი ინიციატივით 1992 წელს საქართველოს პარლამენტმა საგანგებო დადგენილება მიიღო – თურქეთთან სადავო არაფერი გვაქვსო. უფრო მეტიც, თურქეთს პიდროპესისათვის ქოროხის დაგუბების უფლება მიეცა. სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ მოცემულ რეგიონში ეკოლოგიური კატასტროფა გარდუვალიაო, თან მრავალი ქართული ისტორიული ძეგლი წყლით დაიფარება.

ჩვენთვის სრულიად მიუღებელია მეგობრულად განწყობილ თურქეთთან "დაბალანსებული" ურთიერთობის გამწვავება, მაგრამ ისტორიული სამართლიანობა არ უნდა დაიმალოს, ის ყველა თაობამ უნდა იცოდეს და კანონიერების აღდგენისათვის ორივე მხარემ უნდა იღვანოს. მნამს და მჯერა, მესამე ათასწლეული ძალმომრეობას აღარ დაუშვებს და ადამიანის უფლებებთან ერთად, დაჩაგრული ერების უფლებებიც დაცული იქნება. ჩვენი მოკრძალებული მიზანია საქართველოს საზღვრებს გარეთ დარჩენილი ქართველობა და მათ შორის ლაზები, სწორად იქნენ ინფორმირებული. სახელმწიფო საზღვარი მათ სამშობლოს სიყვარულს ვერ დაუშლის, მითუმეტეს, ამ საზღვარზე საბჭოთა მესაზღვრეები აღარ დგანან. კულტურული ურთიერთობის ("ექსპანსიის") შედეგად თანდათან აღდგება ერის ისტორიული მემკვიდრეობა და სანთელსაკმეველი თავის გზას არ დაკარგავს. მითუმეტეს, საქართველოს საპატრიარქოსთან კოლხური კულტურის საერთაშორისო ცენტრი მოქმედებს, არსებობს კოლხურ-ლაზური კულტურის აღორძინების ასოციაცია, თვით ლაზეთშიც ყოფილა საზოგადოება "ლაზეთურა" (გაზეთი "ილორი", 2004,

№29, მარტი, გვ. 6), რომელიც თანამოდმეებთან კავშირს ესწრაფის, გამოდის ლაზური ჟურნალი, ოღონდ ლათინური შრიფტით, ქართულ ანბანს ალბათ თანდათან ეზიარებიან, მეტადრე ქართულ რადიოს სიამოვნებით უსმენენ და ტელეგადაცემებს დიდი ინტერესით უყურებენ. თუ დამოუკიდებელი საქართველო ქუდზედად დაყოლილ კრიზისს თავს დააღწევს, ეკონომიკურ კეთილდღეობას მოიპოვებს, მრავალათასწლოვან კულტურას ააღორძინებს, მაშინ ლაზეთიც და ფერეიდანიც საქართველოს დაუბრუნდება, თუ პირდაპირი გაგებით არა, სულიერად მაინც. საქართველო თუ ნორმალური და ნარმატიული ქვეყანა იქნება, მაშინ ქართველი, სადაც არ უნდა იყოს ის, სამშობლოს არ დაკარგავს. ვიდრე სამშობლო დედინაცვლად გვყავს ქცეული, ბუნებრივია, ვერავისზე კეთილ გავლენას ვერ მოვახდენთ, ამიტომ მთელი ძალისხმევა ქვეყნის კეთილდღეობას უნდა მოვახმაროთ.

გაზეთ "მახარიაში" გამოქვეყნებულ, ძმების ლაშა და დათო კოდუების ზემოხსენებულ ნერილში საკმაო გულისტკივილია გამოხატული მეგრული ენის ბედზე, ანმყოსა და მომავალზე. ასეთივე არასახარბიელო მდგომარეობაშია სვანური ენაც. მხოლოდ გაზეთი "მახარია", რომელიც მეგრულ ფოლკლორულ ტექსტებს აქვეყნებს, ხოლო გაზეთი "ლილეო" – სვანურს. სამწუხაროდ, ორივე ენის სამეტყველო არეალი იკვეცება. შემოფოთება დროულია, თუ ასე გაგრძელდა, მათი გაქრობის საფრთხე ამკარაა. უპირველეს ყოვლისა, ეს ქართული ენისათვის იქნება საბედისწერო, მას მთავარი მასაზრდოებელი შენაკადები დაემრიტება და მოკვდება. აქედან გამომდინარე, მეგრულ და სვანურ

ენაზე ზრუნვა ქართული ენის გადარჩენა-გამდიდრებისათვის ზრუნვაა. სამივე ეს უძველესი და უმდიდრესი, ლეიძლი, მოძმე ენა არა მარტო ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ცოცხალი ძეგლებია, არამედ ყოფაში მოქმედი ის ფენომენები, რომელთაც ერთი ფუძე, ერთი წარმოშობა აქვთ, ერთიანი ქართული ეთნოსის ენისა და აზროვნების თანაბრად მნიშვნელოვანი მასაზრდოებლები არიან. რომელიმეს შეფერხება ან გაქრობა ერთიანი წარმოშობა-განვითარების პარამონიას დაარღვევს და ქართველი ერისათვის მომაკვდინებელ საფრთხედ გადაიქცევა. თითოეულშია ქართველმა, რომელი კუთხიდანაც არ უნდა ვიყოთ, ეს კარგად უნდა გავაცნობიეროთ. მე პირადად, ისეთ მეგრელს ან სვანს პატივს ვერ ვცემ, რომელიც იქადის – მეგრული და სვანური დამავეინყდაო. თუ იცოდა, არ უნდა დავეინყნოდა. სვანურისა და მეგრულის ცოდნა თითოეულ ჩვენთაგანს ღირსებად უნდა მიგვაჩნდეს და ჭეშმარიტი ქართველობის ერთ-ერთ ნიშნად უნდა შევრაცხოთ. აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დღეს არანაკლებ საპატრონოა ქართული ენა, მართალია სახელმწიფო ენად გამოცხადებული, მაგრამ შერყვნილი და დამცირებული. ჯერ-ჯერობით რუსული ჩექმა კარგად ვერ მოგვიშორებია და ქართულ ენას, რუსულის ნაცვლად, ინგლისური დავაჯინეთ თავზე, რა აუცილებლობითაა განპირობებული ეს ჩემთვის გამოცანად რჩება...

ეჭვი არ გვეპარება, დაწყნარებულ, დალაგებულ, ეკონომიკააღორძინებულ საქართველოში ქართულსაც ეშველება და მეგრულ-სვანურსაც, მით უმეტეს, ჩვენმა წინაპრებმა თავის დროზე ეს საკითხი უმტკივნეულოდ

აღივსებულად გადაწყვიტეს. ენისა და ეთნიკური კულტურის მიმართებაზე ტომებია დაწერილი, საფურნალო წერილში, რა თქმა უნდა, მათ ჩამოთვლას და მეტადრე ანალიზს არ შეუდგებოთ, მაგრამ ერთ დამახასიათებელ მაგალითს მაინც მოვიტანთ: რომის იმპერია ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნის დამლევს გაიყო და ჩვენს მეზობლად წარმოიშვა აღმოსავლეთ რომის იმპერია, რომელსაც საბოლოოდ ბიზანტია ეწოდა. ბიზანტია ეთნიკურად ძალიან ჭრელი სახელმწიფო იყო. ცნობილია, რომ მაშინდელი სამყაროს დამპყრობელმა, ძლევამოსილმა რომმა, ბერძნულ ენისა და კულტურის ჭიდილშიც გაიმარჯვა და სახელმწიფო ენად ლათინური აქცია. ამ ორ კულტურულ ერს შორის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი კომპრომისი ღრმავარობრივად აისახა პლუტარქეს სახელგანთქმულ პარალელურ ბიოგრაფიებში. IV-VI საუკუნეებში ბიზანტიის სახელმწიფო ენა ლათინური იყო, ხოლო ბერძნულმა ენამ ეს უფლება მხოლოდ VI საუკუნეში მოიპოვა. ლათინურ ტრადიციებთან ერთად, ბიზანტია, ძირითადად, ბერძნული კულტურის ქვეყანა გახდა და, ბუნებრივია, ხელისუფლება ბერძნულ ეთნოსს ეყრდნობოდა. მაშასადამე, ქრისტეს შემდეგ პირველ ათასწლეულში კვლავ ახალი ძალით გაჩაღდა ბერძნული და ქართული კულტურის ტრადიციული მეთოქეობა. მაშინდელ აშლილ და ნომადურ მსოფლიოში ბიზანტიის მესვეურებმა ვერ გაითვალისწინეს ორი მაღალკულტურული ერის მეგობრობის და თანაცხოვრების აუცილებლობა. სამწუხაროდ, ეს ვეებერთელა, ძლიერი იმპერია ქართული ეთნოსის ჩასაფრებულ მტრად იქცა. ყველაფერს აკეთებდა, რათა მის გვერდით საქართვე-

ლო არ გაძლიერებულიყო. სხვათა შორის, ასეთი შუღლი "მესამე რომს" – მოსკოვსაც სჭირს.

X საუკუნის მეორე ნახევარში სრულიად გაუთვალისწინებელი ისტორიული მოვლენა მოხდა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა მსოფლიოს რუკა, ხოლო ბიზანტიისათვის საბედისწერო გახდა. შუა აზიაში – მომთაბარე თურქმანთა აკვანში ოღუზთა ტომი იმდენად გამრავლდა და გაძლიერდა, დიდი გაერთიანება შექმნა. მათ სათავეში ვინმე სელჩუკი ჩაუდგა (1010 წ.). სელჩუკები კალიასავით მოედევნენ ირანს, ბიზანტიასა და ამიერკავკასიას, საბოლოოდ თავიანთი ძალაუფლება მთელ აღმოსავლეთში გაავრცელეს. სელჩუკთა უზარმაზარი იმპერია (1040-1194 წწ.) ძირითადად ირანისა და ერაყის ტერიტორიებს მოიცავდა. ბიზანტიამ ავად თუ კარგად ამ საფრთხეს დროებით თავი დააღწია, მაგრამ ანატოლიაში სელჩუკთა სახელმწიფო აღმოცენდა, შემდგომ რუმის სასულთნო, რომელიც საქართველოს VI-XI საუკუნეებში ემეზობლებოდა და მასთან პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა. ბიზანტიისათვის ის სახელმწიფოში სახელმწიფო იყო და საშიშროების მუდმივ კერას წარმოადგენდა. ბიზანტიის მიწაზე ასე თანდათან ყალიბდებოდა დამჯდარ, ბინადარ ცხოვრებაზე გადასული თურქული ეთნოსი. საქართველოში მოკალათებულ თურქ-სელჩუკებს კი დავით აღმაშენებელმა მუსრი გაავლო. დიდგორის ბრძოლამ (1121 წ.) ქართველ ხალხს და ქართულ სახელმწიფოს საკუთარ მიწა-წყალზე დარჩენა-დამკვიდრების პრობლემა საბოლოოდ გადაუნყვია. ეს, უეჭველია, დავით აღმაშენებლისა და გიორგი ჭყონდიდის

ლის სიბრძნესთან ერთად, ღვთის ნებაც იყო, ბიზანტიის ბედი კი უკუღმართად წარიმართა. იმპერიები წესისამებრ თავიანთ ბატონობას ხალხების ჩაგვრასა და შევიწროებაზე ამყარებენ, საბოლოოდ მათ უფალი აღარ პატიობთ და თითქმის ყველა იმპერია თავის არსებობას დამხოზა-დალუპვით ამთავრებს. ისტორიის სიღრმეში რომ აღარ შევიჭრათ, საბჭოთა კავშირის მაგალითიც საკმარისია.

1071 წელს მანციკერტის ცნობილ ბრძოლაში თურქ-სელჩუკებმა ბიზანტია სასტიკად დაამარცხეს, რის შედეგადაც ოდესღაც უძლიერესმა სახელმწიფომ მცირე აზიის, ე. ი. ძირითადი საარსებო ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგა. ამის შემდეგ სელჩუკებმა ანატოლიაში მკვიდრად მოიკიდეს ფეხი და, როგორც უკვე ვიცით, თავიანთი სასულთნო – სახელმწიფო შექმნეს. ბიზანტიამ, როგორც კი სული მოითქვა, შინ გაბატონებულ მტერს მაშინვე შეუტია, მაგრამ 1176 წელს კვლავ სასტიკად დამარცხდა და ძალაუვნებურად საკუთარ სხეულზე ახალგაზრდა სახელმწიფოს ზრდა-აღორძინებას შეეგუა...

ჩვეულებრივ, მაღალკულტურული ერი დაბალი კულტურის მქონე შინ ჩასახლებულ მტერს ადვილად ინელებს და საბოლოოდ იერთებს, მაგრამ თვით ბიზანტია ეთნიკურად კონგლომერატი იყო, ხოლო ბერძნული მოსახლეობა საბერძნეთს მონყვეტილი, მას მცირე აზიაში მკვიდრი ნიადაგი, საკუთარი ფუძე და ძირი არ გააჩნდა. მრავალრიცხოვანი თურქობა დამჯდარი, ბინადარი ცხოვრების დაუფლებასთან ერთად, მომთაბარეთათვისაც ჩვეულ სამხედრო ორგანიზაციას ინარჩუნებდა და ბიზანტიისათვის ისინი თანდათან დაუმარცხებელ ძალად იქცნენ.

საერთაშორისო ურთიერთობანიც ბიზანტიის საინანაღმდეგოდ წარმოართა. აგონიაში მყოფი ეს ქვეყანა ნომადებთან მხარდამხარ ჯვაროსნებმაც აღარ დაინდეს, 1204 წელს მათ კონსტანტინეპოლი აიღეს, მინასთან გაასწორეს და იქ ლათინთა უღლეური იმპერია დაამკვიდრეს (1204-1261 წწ.). ბიზანტიის მრავალსაუკუნოვანი კრიზისი სელჩუკების მემკვიდრე თურქოსმალებმა 1453 წელს კონსტანტინეპოლის აღებით და ბიზანტიის იმპერიის მოსპობით დაასრულეს. მის ნანგრევებზე ოსმალეთის ძლევამოსილი იმპერია დაფუძნდა და თვით ევროპის არსებობას საფრთხე შეუქმნა. საქართველო მუსულმანურ ოკეანეში აღმოჩნდა და კულტურულ სამყაროსთან ურთიერთობის ყოველგვარი საშუალება მოესპო.

ბიზანტიის ყველა უბედურების მონანილე და გადამტანი ჩვენი მოქმე ლაზეთი იყო. 1204 წელს თამარ მეფის ძალისხმევით შექმნილი ტრაპიზონის იმპერია 1461 წელს ოსმალთა შემოტყვის შედეგად დაემხო და აღზევებული თურქეთი უშუალოდ საქართველოს სახელმწიფო საზღვარს მოადგა. ოთხი საუკუნე საქართველოს სამხრეთ საზღვრებზე ბრძოლები არ წყდებოდა, საბოლოოდ აჭარა-შავეთი, ტაოკლარჯეთი და სამცხე-ჯავახეთი დაიკარგა. ეს საფრთხე იმერეთის სამეფოსაც დაემუქრა. ერთმორწმუნე და მოკავშირე მეფის რუსეთმა, საქართველოს სახელმწიფოს მოსპობის შემდეგ, თურქეთის აგრესია შეაჩერა, მაგრამ საქართველოს გაერთიანება დღემდე ღიადაა დარჩენილი. ლაზეთი იმთავითვე ოსმალეთის იმპერიის შუაგულში აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, მათ მშობლიური ენა და ეროვნული სული მაინც შეინარჩუნეს და

ღველფივით ჩაუქრობლად დღემდე შემოინახეს.

ყოველსამომცველი გლობალიზაციის შედეგად დესპოტური სახელმწიფოები თანდათან ძალას კარგავენ, სახელმწიფო საზღვარი აღარ არის ჩინური კედელი, ღვთის მადლით ბერლინის კედელიც დაინგრა. გავლიძებული ხალხები ვიდრე ერთმანეთში გაითქვიფებოდნენ, რაც კოსმოპოლიტებს ასე სწყუროდათ, უთუოდ თავიანთ ფესვსა და ძირს მოძებნიან. თურქეთის ყველა ხალხმა თავის წარმოშობა მეტ-ნაკლებად იცის და ისინი, სადაც მეტი კულტურა და ცივილიზაციაა, იმ წინაპრებით იწონებენ თავს. რომი და მისი მემკვიდრე ბიზანტია აღარ არსებობს. ლათინური ენა მკვდარი ენაა, ხოლო ძველი და ახალი ბერძნული ისეა ერთმანეთზე დაშორებული, ძველი სამეტყველოდ გამოუსადეგარია. ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში, როცა რუსეთმა ანატოლიას შეუტია, იქაურმა ბერძნებმა, თურქულ-ბერძნულად მეტყველმა ე. წ. ურუმებმა საქართველოს მოაშურეს, შემდგომ ბევრი მათგანი ძველ სამშობლოს – საბერძნეთს დაუბრუნდა. უფლის სამართლით, ასეთივე ზედდრი სომხებსაც ელთ. სხვათა შორის, ბერძნულის არ იყოს, ძველი სომხური იმდენადდა სახენაცვადი, თანამედროვე სომხებს აღარ ესმით, ქართული ენა კი საოცრად კონსერვატორულია. იოანე-ზოსიმესი არ იყოს, იგი ერთადერთი და შუუდარებელია. მე ვერ გავიზიარებ იმ აზრს, რომ მეორედ მოსვლის ფაშა ღმერთი ქართულად ალაპარაკდება, რადგან ქრისტიანობამ ღვთის ენად ყველა ხალხის ენა გამოაცხადა, სრულიად სამართლიანად და შორს გამიზნულად; თანასწორობა ხომ ქრისტიანული მრწამსის თა-

ნაზიარია. ქრისტიანობა როცა საერთაშორისო რელიგიად ჩამოყალიბდა და შურისმაძიებელ კაცობრიობას ურთიერთ სიყვარული და მიმტყველობა უქადაგა, ქართველთა მოდგმამ ეს სიკეთისა და სათნოების მოძღვრება უყოყმანოდ მიიღო. ქართველობა თვით ქრისტესთან და პირველმოციქულებთანაა ნიღდებული, ქრისტეს კვართით და სხვა სინწინდებებითაა ნათელმიღებული, ღვთისმშობლის კალთით დაცული და მირონცხებული. ქართველური ენებიდან მხოლოდ და მხოლოდ ქართული აღმოჩნდა ღვთის განჩინებით შინაგანად მზად, რომ წმინდა წერილი ქართულად თარგმნილიყო, თვით უფალმა ინება და, არა მარტო საქართველო, არამედ ჩრდილოეთ კავკასიაც ქართულ ენით განათლდა – გაქრისტიანდა, რაც საბოლოოდ ამ ფორმულაში ასე გაცნობიერდა: "ქართულად ფრიადი ქუეყანა აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ყამი შეინირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების" (გიორგი მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, ნ. 1, ილ. აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1964, გვ. 290).

თვით ღმერთის თანადგომით ასე გადაწყვიტეს ჩვენმა დიდებულმა წინაპრებმა. ისტორიის არნიდან გამქრალი ბიზანტიის იმპერია ქრისტიანობას ბერძნული ენით და კულტურით გვაძალბდა, მაგრამ ქართველებმა ის ქართული ენისა და კულტურის საფუძველზე მიიღეს, რადგან ქრისტიანული მოძღვრება წინარექრისტიანული ქართული ცხოვრების წესით და ტრადიციებით იყო განპირობებული. ჩვენი გადარჩენის და დღემდე მოღწევის საიდუმლო საყოველთაო სიყვა-

რულსა და მიმტყვევლობაშია. ქართულთა არსებობის, მრწამსის მარადიული ფორმულაა – "რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია". კონსტანტინეპოლის მეტოქე მცხეთამ სასწაულს მიაღწია, მსოფლიოში აღიარებული ბერძნული ენა დაამარცხა და არა მარტო ქართველობა, არამედ მთელი კავკასია ქართული ენით განათლდა. ასე ინება მაღალმა ღმერთმა, ქართულ ენას ის შინაგანი ძალა და განვითარების სრულყოფა აღმოაჩინდა, რომლის მეოხებითაც უკვდავება აქვს განადგებული. მესამე ათასწლეულის დამდეგს, დედამინა ძველი კულტურული ენებისა და ერების სასაფლაოს ჰგავს. ღვთის შეწევნით, ქართული ენა არა თუ ცოცხალია, არამედ იოანე-ზოსიმეს წინასწარმეტყველებით, შემდგომი აღმავლობა-აღორძინებისთვისაა მზად. ახლა, როდესაც მთელი კაცობრიობა გლობალიზაციის კალოზე იღუნება, ყველაფერი რომ თავიდან დაეინყოთ, ხომ დავიღუპებით?! ერი, რომელსაც ისტორიის სიღრმეში არა აქვს ფესვები გადგმული, განწირულია. მრავალათასწლოვანი, ერთიანი, თვითმყოფადი ქართული ენა, კულტურა და ცივილიზაცია ის დულაბია, რომელმაც მჭიდროდ უნდა შეგვაკავშიროს და გადაგვარჩინოს. ვინც ყოველივე ამას ვერ გაითვალისწინებს და ზურგს შეგვაქცევს, კოსმოპოლიტიზმის მღვრიე ტალღებში ჩაიკარგება, ისევე, როგორც ცოდეგლი – ჯოჯოხეთის კუპრის ზღვაში.

ათასწლეულთა მანძილზე ჩვენს წინაპრებს რაც გაუკეთებიათ, დაუნერიათ და უშენებიათ, ის მთლიანად უნდა შეეკრიბოთ და წარმოვაჩინოთ, რათა სამყაროს ვაუწყოთ, რომ ერთიანი ქართული ეთნოსი მარადიული არსებობის, უკვდავების ღირსია. მეტადრე,

ჩვენს წინაპრებს არცერთი ერის მიმართ უკეთურობა არ ჩაუდენია, არავინ დაუპყრია, შეუვინრობია და გაუძარცვავს, რაც გვაქვს, გაგვაჩნია ჩენი მონაგარი და ნაოფლარია, ამიტომ საკუთარ მიწაზე ქართული ეთნოსი ასე დანიოკებული, დაჩაგრული და შეჭირვებული არ უნდა იყოს. დაე, იცოდეს, ვინც ამას აკეთებს (სახელმწიფოა თუ პიროვნება) ღვთის წინაშე მიუტყვებელ ცოდვას სჯადის და ბიზანტიის ბედი არ ასცდება.

ამრიგად, დარდი მგვრული ენის ბედზე დროული და სამართლიანია. მას თავისი საპატიო მისია აქვს და აკისრია: ქართულს, სვანურთან ერთად, დედაბოძად დაუდგეს და ჭამთასიავს ქართველთა მეტყველების სამივე შტომ ერთიანი ძალისხმევით უნდა გაუძღოს. უისტორიო ხალხი ზოგჯერ სხვის ისტორიას ითვისებს და სიყალბეზე აგებული ლეგენდებით თავს ინონებს. შორს რომ არ წავიდე, ჩვენს ძმებს – გაფსუებულ აფხაზებს რაც დაემართათ, სამაგალითოდ ისიც კმარა. ვინც გადაგვარდა და ქართულ ძუძუს მოწყდა, ჯერ სად არი, მას ლამურას ბედი მოენატრება...

გაზეთ "მახარიაში" დაბეჭდილმა წერილმა დამარწმუნა, რომ ზოგიერთს კოლხური კულტურის არსი არ ესმის. ვაი ჩვენი ბრალი, ვისაც კოლხური კულტურა მხოლოდ მგვრული კულტურა ჰგონია, ის საერთოდ ვერ ერკვევა კულტურისა და ცივილიზაციის არსში. ისევე, როგორც ერთ კაცს, სახლს (ოჯახს) ერის კულტურის შექმნა არ შეუძლია, ასევე ერთი მოდგმა – ტომი ეროვნულ კულტურას ვერ ჩამოაყალიბებს. ეს იმას ჰგავს, მცხეთის მონაპოვარი მარტოოდენ ქართულ ელემენტს რომ დაიჩემონ. ავიღოთ ქართული ენციკლოპედია და უდრო-

ოდ გარდაცვლილი თვალსაჩინო სპეციალისტის აკად. ოთარ ლორთქიფანიძის განმარტებას ჩაეხედოთ: "კოლხური კულტურა, გვიანდელი ბრინჯაოს – ადრინდელი რკინის ხანის (ძვ. წ. II ათასწ. II ნახ. – I ათასწ. I ნახ.) არქეოლოგიური კულტურა. გავრცელებულია ძველი კოლხეთისა და სხვა დას. ქართული ტომების (სასპერები, ტიბარენები, მაკრონები, მოსხები, მოსინიკები და სხვ.) მიწა-წყალზე (დასავლეთ საქართველო, მტკვრისა და ქოროხის წყალგამყოფი მთიანეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთი შავი ზღვისპირეთი ქ. ორდუმე)..." (ქსე, 6, 1980, გვ. 596). ამ კულტურის გავრცელების არეალი, ძირითადად, შემთხვევით არქეოლოგიური მონაპოვრებითაა განსაზღვრული. თუ ოდესმე ისტორიული საქართველოს ტერიტორია მიზანმიმართული, გეგმაზომიერი არქეოლოგიური გათხრებით იქნა შესწავლილი, მაშინ დღეს მიღებული სქემები, ბუნებრივია, გადაისინჯება და ბოლოსდაბოლოს ქართული ეთნოსის მართალი ისტორია დაინერება. მაშინ ყველა დარწმუნდება, რომ ქართულ ცივილიზაციაში, რომელიც კოლხურ და საქართველოს ყველა კუთხის კულტურას მოიცავს, შეუძლებელია უპირატესობა რომელიმე კერას და ეთნოგრაფიულ ჯგუფს მიენიჭოს. ვინც ამას ცდილობს, პროვინციალიზმსა და გაუხამებელი "კუთხობრივი აზროვნების" ტყვეობაში იმყოფება. სწორედ ამ კუთხორობამ მიგვიყვანა აფხაზეთისა და შიდა ქართლის ტრაგედიამდე, რათქმა უნდა, შიდა და გარეშე მტრების ხელშეწყობით და შთაგონებით.

საქართველოს ძალა და ბედნიერება მის მრავალფეროვნებაშია. დასაბამიდან ერთი ნარმოშავლობის, ერთ ფუძე ენაზე მეტყველი ეთნოსი, მოცე-

მულ საცხოვრისში ხეობებში ვერტიკალური ზონალობის მიხედვით იმლება. შემდგომ მრავალფეროვანი ბუნებრივ-კლიმატური პირობების გამო, შიდაეთნიკური თავისებურებანი ყალიბდება, რაც მქლავდება მეურნეობასა და საქმიანობაში, ტემპერამენტსა და ხასიათში, მეტყველება და ფოლკლორში, სამოსელსა და კვების რაციონში, შინარენვაში, გამოყენებით ხელოვნებაში და ა. შ. ზოგიერთი დიალექტი ენებადმე მალდება (სვანური, მეგრული), მაგრამ ერთიანი წარმომავლობა-მავასხებლობა, ეთნიკური თვითშემეცნება (ვარაუდობენ ბრინჯაოს ხანიდან) უცვლელი რჩება. მაშასადამე, იქმნება მთლიანი ქართული ეთნოსი ხალიჩისებრი, ცისარტყელისებრი ან მოზაიკისებრი მრავალფეროვნებით. ათასწლეულთა მანძილზე ქართული კულტურა და ცივილიზაცია ამ მრავალფეროვნებით საზრდოობს და საერთაშორისო ასპარეზზე ორიგინალობით, საკუთარი ხელნერით გამოირჩევა. მსოფლიოს სცენებზე ჩვენი ანსამბლები მხოლოდ ერთი სიმღერით და ცეკვით კი არ აღწევენ წარმატებას, არამედ მთელი კავკასიის ნაზავი ხელოვნების ჩვენებით. ატომური შეიარაღება, რომელმაც თვით დედამიწის არსებობას რეალური საფრთხე შეუქმნა, იძლევა იმის გარანტიას, რომ ბოლოსდაბოლოს იმპერიების ზეობა დამთავრდება, საზღვრები გაიხსნება და ჩვენისთანა პატარა ერებს კულტურული ურთიერთობის და თანაცხოვრების შესაძლებლობა მიეცემა, მაშინ ათასწლეულებში დახვეწილი ქართული კულტურა, ხელოვნება თავის სათქმელს იტყვის. სამშობლოს ძნელბედობის გამო საკუთარ, მაგრამ მტრისგან მიტაცებულ მინაზე მცხოვრები ქართველობა, ახ-

ლხანს სიღუბჭირის გამო მსოფლიოში გაბნეული ჩვენი თანამოქმენი ეროვნული ცნობიერებით გაერთიანდებიან და გადაგვარებას გადაურჩებიან, საბოლოოდ, ისტორიული სამართლიანობის ძალით, საქართველო დაკარგულ ტერიტორიებს შეიერთებს, და ლეთის ნებით, დავითისა და თამარისდროინდელ საზღვრებში აღდგება.

ეს საშვილიშვილო ამოცანა იარაღის ძალით ვერ გადაიჭრება, გადამწყვეტი როლი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, ქართულ კულტურისა და ხელოვნების სწორუპოვარმა ოსტატებმა უნდა შეასრულონ. მრავალათასწლოვანი ქართული ცივილიზაციის მიზანმიმართულ ექსპორტს, ავთანდილ ვარსიმაშვილის გამოთქმარომ ვიხმაროთ, ქართული კულტურის საყოველთაო ექსპანსიას თუ მივაღწიეთ, მაშინ გამარჯვება განაღდებული გვექნება.

საბჭოთა კავშირის დამხობის შემდეგ, საქართველო ზღუდე და სამანსაზღვარ მოშლილი დარჩა. თვით ქვეყნის შიგნით, ზოგიერთ მხარეში ქართული სახელმწიფოებრიობა არ ვრცელდება. თავსმოხვეული "ეთნოკონფლიქტების", სეპარატიზმის ღვარძლი მიზანმიმართულად ითესება და დამოუკიდებლობის 14 წელიწადია შხამიან ნაყოფს ვიშკით. სწორედ ამას, უსასტიკეს ეკონომიკურ კრიზისს და განუკითხაობას გადაყვა შევარდნაძის რეჟიმი. ვიშედოვნებთ, ახალი ხელისუფლება ქვეყანაში კანონიერებას აღადგენს, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს საზღვრებს მოაწესრიგებს, გზას დაუხშობს კონტრაბანდას და კორუფციას, დასაბუთებულად იტყვის – შინ და გარეთ რა დავკარგეთ და რატომ; ქვეყნის სასიცოცხლო ყველა დარგს მეცნიერულად გა-

აანალიზებს და გადარჩენა-აღორძინების სწორ გზას დასახავს; ისტორიულ ჭეშმარიტებას აღადგენს და დაკარგულ ტერიტორიებზე, წარსულსა და აწმყოში ჩადენილ უკანონობათა შესახებ მსოფლიოს გააცნობიერებს, საკუთარ სიმართლეს საყოველთაოს გახდის, სიკეთეს ფარად გამოიყენებს და ძალმომრეობას ამით დაძლევს.

ჩვენი გამარჯვების საწინდარი ჩვენი ისტორიული სიმართლის საყოველთაო აღიარება და კულტურის გვემაზომიერი ექსპანსიაა.

ეს მიმართულებანი სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილად უნდა იქცეს და ამისათვის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პროპაგანდის, თანამედროვე ტექნიკით უზრუნველყოფილი აპარატი უნდა მუშაობდეს, რომელიც მეცნიერების მიღწევებს დაეყრდნობა და ამ მიზნით მეცნიერების ორგანიზებას შეძლებს.

დასკვნის მაგივრად

“მესამე რომის” დიდებაზე მეოცნებე რუსეთის იმპერიულმა ძალებმა აფხაზეთში სისხლიანი ტრაგედია თითქმის ორი საუკუნე ამზადეს და მესამე ათასწლეულის კვირაძალზე განახორციელეს. მათ, დაქირავებულ რენეგატთა მეოხებით, საქართველოს ისტორია გააყალბეს, ქართველი ხალხის სისხლხორცეული ნაწილი – აფხაზები ცალკე ეთნოსად გამოაცხადეს, ორბორიგელობის მცდარი თეორია სახელმწიფოებრივი პოლიტიკის რანგში აიყვანეს და უკანონო ავტონომიის საფუძვლად გახადეს, კომუნისტურ რეჟიმს აპარტიდული მართვა ისეთნაირად შეუხამეს, რომ აფხაზეთში ქართული სახელმწიფოებრიობა და ენა მოშალეს. ქართული სახელმწიფოების ადგილი რუსულმა დაიჭირა, ხო-

ლო საოჯახო ენებად მეგრული და აფსურული (აფხაზური ენა ბუნებაში არ არსებობს). გატარებული ღონისძიებების შედეგად ქართული ენა ზედმეტი გახდა. ეს პროცესი ზუგდიდისკენ მიიწვედა. ამ დროს, როგორც ეთნოგრაფმა, სამეგრელო შემოვიარე, იქაური მამულიშვილები მოახლოებულ საფრთხეს თვალნათლივ ხედავდნენ და საქართველოს ხელისუფლებისაგან მხარდაჭერას მოითხოვდნენ, მაგრამ ამაოდ, საბოლოოდ აფხაზეთში და თვით სამეგრელოს მიმდებარე ნაწილში მივიღეთ რუსულენოვანი, ქართულ ეროვნულ-ფსიქიკამოშლილი მოსახლეობის აგრესიული ფენა – ქართველთა მტრობის ხატიტ შეპყრობილი. ასეთნაირად დაპროგრამებულნი აღმოჩნდნენ არა მარტო უცხოტომელები, არამედ თვით გადაგვარებული ქართველებიც. დატრიალებულმა ტრაგედიამ მარტო აფხაზეთი როდი შეინირა, საქართველოსაც არსებობის საფრთხე შეუქმნა, ხოლო ამ მოვლენებმა სამეგრელო ლამის დაღუპოს. მშვიდობიანი ადამიანების სისხლი დღესაც იღვრება...

როდემდე?!

ბოლოტქმა

ვისაც საქართველოს და ქართველი ერის გულმხურვალე მოჭირნახულის მიხაკო წერეთლის დიდებული ნიგნი – “ერი და კაცობრიობა” ნაუკითხავს, უსათუოდ ემახსოვრება, გამოჩენილი მეცნიერი თუ როგორ აფრთხილებდა ქართველ ერს, საკუთარ მიწას – ტერიტორიას თვალისჩინივით გაფრთხილებოდა, რათა ებრაელთა მწარე ხვედრი არ გაეზიარებინა. ერი, რომელიც საარსებო ტერიტორიას კარგავს, ჩვეულებრივ იღუპება, მაგრამ ებრაელებმა სასწაული მოახდინ-

ნეს, მათ პალესტინაში თავიანთი სახელმწიფოებრიობა აღადგინეს, გაფანტულ თვისტომთ მოუწოდეს, ახალი სამშობლო – ისრაელი შეუქმნეს, ებრაული ენა და კულტურა ააყვავეს. მაგრამ ის ხომ ებრაელთა მიწა არ არის, არამედ ქანაანისაა, რომელსაც ბიბლიას რომ დავესესხოთ, რძე და თაფლი სდის...

ეს მიწა საცილობელია. იღვრება სისხლი, აყრილი არაბები თავიანთ ნასახლარებს არ თმობენ. პალესტინა მსოფლიოში ერთ-ერთი ცხელი წერტილია, იღუპებიან მშვიდობიანი, უბრალო, უდანაშაულო ადამიანები...

ბრძოლამ შემზრავი სახე მიიღო: თვითმკვლელი – კამიკაძენი ცოცხალ ბომბებად იქცნენ...

... თბილისელი ქართველი ებრაელი იცხაკ დავიდი (დავითაშვილი), რომელიც ისრაელში საერთაშორისო მნიშვნელობის მეცნიერი გახდა, ღრმად სწავლობს ებრაელი ეთნოსის გასაკვირველ და ტრაგიკულ თავგადასავალს. მისი მრავალტომეულები საქართველოშიც გახდა ხელმისაწვდომი. უაღრესად ნიჭიერი, სიცოცხლისუნარიანი და თვითგადარჩენის გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი ინსტინქტებით აღსავსე ებრაელობა, რომელთაც ბიბლიით, მოსეს რჯულით და ათი მცნებით მსოფლიო გაანათლეს, არსებობისათვის მძიმე ბრძოლებს ეწევა. მიუხედავად უდიდესი სიძლიერისა და ორგანიზებულობისა, მათ ფეხქვეშ ქანანის მიწა იწვის...

ბატონი იცხაკ დავიდი, და არა მართო ეს მართლაც დიდებული მეცნიერი, არამედ სხვა მოაზროვნეიც, ეჭვქვეშ აყენებენ ებრაელთა სემიტურ წარმომავლობას და შეიქმნა დასაბუთებული თეორია, რომ ებრაელთა სამშობლო სადავო და საუბედურო ქანა-

ანის მიწა კი არ არის, არამედ სამხრეთი ამიერკავკასია. თურმე ძველი წელთაღრიცხვის XV საუკუნეში, აქედან ეგვიპტე-პალესტინის მიმართულეობით დაძრულმა ებრაელთა წინაპრებმა, სემიტოზაცია-ქანაანიზაცია განიცადეს, მაგრამ პირველადი სამშობლოს რწმენა და სიყვარული არ დაუკარგავთ. აქედან გამომდინარე, ებრაულ-იბერიული გენეტიკური ერთიანობის თეორია ხორცს ისხამს და მტკიცდება. ინერება და სხვათაშორის, ქართველ ბიზნესმენტთა ფულებითაც ფინანსდება მდიდრულად გამოცემული წიგნები, სადაც ამ ორი უძველესი ერის უძველესი ძმობაა დასაბუთებული. ზოგიერთი ავტორი უფრო შორს მიდის და თვით "ვეფხისტყაოსანიც" ამ ორი ერის ერთ შემოქმედებად მიაჩნია. ალბათ ისეთი სწავლულებიც გამოჩნდებიან, რომლებიც მოსეს რჯულსა და ბიბლიის შექმნაში ქართველთა მონაწილეობის მტკიცებასაც შეუდგებიან. მით უმეტეს, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ყოფილმა დირექტორმა, ამჟამად საქართველოს პარლამენტის წევრმა ლევან ბერძენიშვილმა ებრაელი წინასწარმეტყველის მოსეს ვეებერთელა ქანდაკება საჯარო ბიბლიოთეკის მეცნიერთა დარბაზში დადგა და თითოეულ ცნობისმოყვარეს შეუძლია მივიდეს და ნახოს..

ამ აწენილ მსოფლიოში ებრაელთა და ქართველთა ძმობა ორი უძველესი, განსწავლული ერისთვის მართლაც ჰაერივითაა საჭირო. ბუნებრივია, მათ ერთმანეთი უნდა დაიცვან, გაიტანონ, ამისი საჭიროება ყოველთვის იყო და, მეტადრე დღეს, ჩვენთვის – ქართველებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. თოთხმეტწლიანი დამოუკიდებლობის შედეგად, რაც ებრაელებს

26 საუკუნის წინათ და შემდგომ დაემართათ, ჩვენ სწორედ იმ საფრთხის წინაშე აღმოვჩნდით. მართალია, ავადმოსაგონარი ნაბუქოდონოსორი და რომის იმპერიის ლეგიონები არ გვიტყვენ, მაგრამ ჩვენი სამშობლოს მიწა-წყალი შაგრენის ტყავივით ილევა. ყოველ ისტორიულ მოსაბრუნში ეროვნულ სხეულს გვიფლეთენ და გვართმევენ, სისხლი გვიღის და შემწეს ვერ ვპოულობთ. აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოქმედი კანონმდებლობა საქართველოს მიწის ფონდის უკონტროლო გასხვიების შესაძლებლობას იძლევა და ამ მხრივ პროცესები ჯერჯერობით უმართავია...

აღბათ, ძველთაძველი ნათესაობის შედეგია, რომ ებრაელთა დიასპორის ერთ-ერთმა პირველმა ტალღამ ქართულ მიწაზე მოითქვა სული. ახლა საქართველოს ეს წმინდა მიწა ქართველებს ფეხქვეშ ეცლებოდა. მოძმე ებრაელობა, თუ მართლაც მათი ფუძე, ფესვი და ძირი აქ არის, მხარში უნდა დაგვიდგეს, რათა მკვიდრი ქართველი მამა-პაპათა საეანეს არ მოწყვეს და ებრაელთა ხვედრი არ გაიზიაროს.

ძმები ჩვეულებრივ იყრებიან, მაგრამ საჭიროების დროს ერთმანეთს თუ არ დაეხმარნენ, დალუპვის საფრთხეს ვერ აიშორებენ, "ძმაო, ძმითა ხარ ძლიერიო", - უთქვამს ქართველ ხალხს.

ერთი რაჭული ანექდოტი მაგონდება: ძმებს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. დაჭაბუკდნენ და წესისამებრ ცოლები შეირთეს. გამოხდა ხანი და ოჯახში ბზარი გაჩნდა. გაყრა აუცილებელი შეიქნა. მოიყვანეს მედიატორი კაცები, რომელთაც ძმები შეეხვეწნენ: - ჩვენ ერთად დაგვტოვეთ და ეს ცოლები ცალკე წავიდნენო...

საბოლოოდ, გაუყოფელი რაჭველი ძმებიც არ დარჩნენ. ცხოვრების მკაც-

რი ლოგიკით, იძულებული გახდნენ სახლები ცალ-ცალკე აეშენებინათ და თავთავიანთი კერა გაეზაღებინათ.

ქართველთა და ებრაელთა ძმობას მაშინ ექნება ფასი, როცა გვეცოდინება ვისი რა არის. ჯერჯერობით აფსუვებთან ორაბორიგენობის თეორია ვერ მოგვიწოდებია.

მიუხედავად ამისა, ქართველთა და ებრაელთა ძმობას ალტერნატივა არა აქვს. მათგან ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ, უპირველესად ებრაელებმა თავიანთი ისტორია, თავგადასავალი რწმენად, რჯულად რომ გაიხადეს, საქართველოს ისტორიაც ასეთნაირად უნდა გავაცნობიეროთ, რათა გლობალიზაციას და კოსმოპოლიტური ძალების ჯოჯოხეთურ ზენოლას გადავურჩეთ.

იქნებ ებრაელმა ძმებმა, რომლებიც საერთაშორისო კაპიტალის მნიშვნელოვან რაოდენობას ფლობენ, დახმარების ხელი გამოგვიწოდონ, რათა გაპარტახებული ეროვნული ეკონომიკა მკვდრეთით აღვადგინოთ და ისრავლივით სრულფასოვან სახელმწიფოთა შორის ჩავდგეთ.

რაც შეეხება ჩვენი საცხოვრისის და კულტურების გამოიჯენას, მსოფლიო რანგის მეცნიერებმა როგორი თეორიებიც არ უნდა შეიმუშაონ, ყველაფერი დღესავით ნათელია: იმ ისტორიულ მიწა-წყალზე, სადაც ქართველი ერი ღვთის ნებით, დასაბამიდან ცხოვრობს და ღვთისმშობლის კალთა ფარავს, სხვა ეთნოსს არავითარი უფლება არა აქვს...

რუსული საბჭოთა იმპერიის მიერ თავისმობეველმა ე. წ. "ავტონომიებმა" რა დღე დაგვაყარა, საყოველთაოდ ცნობილია, ბარბაროსულად დახოცილი ათასობით მშვიდობიანი ქართველი, თავის სახლ-კარიდან აყრილი 300 ათასი მკვიდრი, რომელიც საკუთარ

სამშობლოში დევნილია და შიმშილობს, არავის ენალვლება...

ქართველებს მრავალი უბედურება განუცდიათ, მაგრამ მეორე და მესამე ათასწლეულთა მიჯნაზე რაც შეემთხვათ, ყველა გადატანილ ბარბაროსობას გადააჭარბა, ჯერჯერობით ამოდელოდებით სამართალს და შევლას...

პირველ რიგში მოძმე ებრაელობა უნდა დაგვიდგეს მხარში, რათა ღვთის განჩინებით ორი უძველესი კულტურული ერი ვალდებულია ერთმანეთი დაიცვას და განსაცდელისგან იხსნას.

არცერთი მოაზროვნე, ჭეშმარიტი ქართველი ებრაულ ეთნოსს ბიბლიასა და მოსეს რჯულში არ შეეცდებოდა. ყოველთვის ეყოფა ძალა და სინდისი, ამ უდიდეს მიღწევაში მისი უპირატესობა, პრიორიტეტი აღიაროს, ოღონდ ყველა მეგობარი, და მეტადრე ჩვენი ებრაელი ძმა, უნდა დაგვეხმაროს, რათა ჩვენი წამებული, მრავალტანჯული, დაფლეთილი ქვეყანა გავაერთიანოთ და ბოლოსდაბოლოს მკვიდრმა ქართველმა საკუთარ სამშობლოში, დამოუკიდებელ საქართველოში ნორმალური, ადამიანური ცხოვრება შეძლოს!

სხვა ეთნოსებისთვის საქართველოს კარი ყოველთვის ღია იყო და ამჟამადაც ასე იქნება. რომელი ერის შეილებიც არ უნდა ვიყოთ, ყველანი მოკვდავნი, წუთისოფლის სტუმრები ვართ. ეს მაღლიანი, უხვი მინა ყველას გამოგვეკებავეს და თავის დროზე კალთას გადაგვაფარებს – დაგვმარხავს...

ვიდრე მოძმე ებრაელები რაიმე შეღავათს მოგვეცემდნენ, ჩვენ ქართველები უნდა გავერთიანდეთ და საკუთარ თავს ვუშველოთ. ღმერთს შეიძლება სხვადასხვა ტაძარში ვევედროთ, მაგრამ ებრაელებივით იმ რწმენამდე უნდა მივიდეთ, რომ სამშობლო ერთი გვაქვს და სხვაგან არავითარი თავშე-

საფარი არ გავაჩნია. ებრაელებმა რწმენით აღადგინეს ეროვნული სახელმწიფოებრიობა, დაკარგული ენა და მშობლიური საცხოვრისის განცდა. თუ ჩვენ წინაპართა მინა-წყალს, საფლავეებს, სამშობლოს დაეკარგავთ, დალუპებისაგან თვით მონყალე ღმერთიც ვერ გვიხსნის...

ქართველთა ეროვნული თვითშემეცნება (ივანე ჯავახიშვილის ტერმინია), როგორც არაერთხელ გვითქვამს, ცივილიზაციის სანყისებშია ჩამოყალიბებული. ის ყოველთვის ცოცხლობდა და ქართველ ერს სულიერად მიწყევ აერთიანებდა. თავსმოხვეული შინაომების დროსაც თავიანთ მოქმედებას საქართველოს გაერთიანების სურვილით ამართლებდნენ. არაფრით ქართველთა ერთ ნარმომავლობას, სისხლიერ და სულიერ მავასხელობას არ კარგავდნენ. სამშობლოს დაქუცმაცებით მარადიულად იტანჯებოდნენ და გაერთიანების აუცილებლობა არ ასვენებდათ, დაბინდულ გონებას უფხიზლებდათ. მარტო ის რად ღირს, რომ სვანეთში X-XI საუკუნეებში მთავარანგელოზის ხატზე ასეთი წარწერა ამოტივფრული:

“წმიდაო მთავარანგელოზო... ადიდენ ერთობილი საქართველო და ერთობილი სუანნი”.

1790 წელს მძლავრ, მტაცებელ და უსინდისო მეზობელ სახელმწიფოებთან ჭიდილში დაღლილი საქართველოს თავკაცები იკრიბებიან და “ივერიელთა მეფეთა და მთავართა ერთობის ტრაქტატს” ადგენენ. აი, ისინი რას შეღალადებენ ღმერთს, კაცობრიობას და თითოეულ ქართველს:

“ვინაიდან ყოველთავე ივერიელთა, მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა, აქვსთ ერთმორწმუნეობა, არიან შენი ერთისა კათოლიკე

ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი (იგულისხმება სახელმწიფო და სალიტერატურო ქართული ენა, ლ. ფ.), აქვსთ მავასხებლობითიცა სიყვარული, ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვრობით შეკრულთა ურთიერთთა შორის, ამისთვის ჩვენ, ზემოხსენებულთა ქვეყანათა ივერიისათა მეფენი და მთაყარნი, დამამტკიცებელნი საუკუნისა ამის პირობისა, სახელითა ყოველად ძლიერისა ღმრთისათა, აულვსთქევამთ მტკიცესა ამას ერთობასა”.

დაიმახსოვრეთ და გაითვალისწინი-

ნეთ: ეს შთამაგონებელი სტრიქონები მტრისაგან მრავალგზის გაღწილ, სამეფო-სამთავროებად დაშლილ საქართველოში იწერება. მამულიშვილნი დიდ ერეკლე მეფეს შესთხოვენ მესვეურობას, მაგრამ მაშინ ქართველთა საყოველთაო ოცნებას ახდენა არ ეწერა, თუმცა ისტორიული ძნელებდობისა და იმედების ჭიდილში ქართულმა გონმა, ქართულმა სიბრძნემ და მარადიული არსებობის დაუოკებელმა სურვილმა გაიმარჯვა.

უფალო, იხსენი საქართველო და ერთობილი ქართველნი!!!





ქაზი მანავი ერთმანეთის შესახებ

ჰენრიხ მანი

„სიკვდილი ვანეციაში“

თომას მანის მოთხრობა

სინამდვილე უფრო პირველადია თუ პოეზია? განა მოვლენები სწორედ ისე არ ვითარდება, როგორც ამას ლიტერატურის, ხელოვნების აზრი მოითხოვს? ძლივს მოასწრო ზოლამ მეორე იმპერიის საზოგადოების დიადი ისტორიის თავისებური გეგმა შეექმნა, იმ პერიოდისა, როცა ავანტურისტების ნადავლად გადაქცეულ ქვეყანაში სიხარბის ორგიები და სპეკულაციის ფერები ყვაოდა, რომ ბურჟუაზიული კულტურა, განუმეორებელი, დაუოკებელი და თავბრუდამხვევი აღმასვლის შემდეგ, ოქროს, ეროტიზმის, სირცხვილისა და სისხლის ქაობში ჩაინთქა და სრულიად განადგურდა. როგორც კი სულითაც და ლოგიკითაც სასურველი ნიგნები შეიქმნა იმის შესახებ, თუ როგორ დაემხოზოდა ეს რეჟიმი – ჰოი, საოცრებაც, დაემხო კიდევ! აბა, ამას ვინ წარმოიდგენდა! ჯერ კიდევ გუშინ, ის ხომ პარიზსაც მართავდა და მთელ სამყაროსაც.

სწორედ ამგვარად, იმ ადამიანის ხვედრი გუსტავ აშენბახი რომ ჰქვია, ვერ ჩამოიქნებოდა, მას მთელი ქალაქი რომ არ დამორჩილებოდა. აქ გარემოს ზეგავლენას როდი ვეხლებით, ერთეული სული ხომ სულ გზაშია, თავგადასავლებშია, სადაც კი გარეგანი

სამყარო, ამ ერთეული ხვედრის ძახილს ერთდროულად დამორჩილებულიც და უარმყოფელიც, თავგადასავალთა მთელი ნიაღვრით ივსება. საშინელი სუნით ტანჯული ვენეცია და ცხოვრების უკანასკნელ, სახიფათო მოსახვევს მიტანებული უცნაური ადამიანი ერთმანეთს იხმობენ. სანამ ეს თავდაჯერებული და დიადი მშრომელი კაცი სულს მკაცრად წერთნიდა და ცნობიერს ფორმას აძლევდა, ეს კურტიზანი ქალაქი მისთვის მხოლოდ დროის სასიამოვნოდ და უაზროდ ფლანგვის ადგილი შეიძლება ყოფილიყო. მთას შეფარებულ პირქუშ ბუდეში, ორმოც-ორმოცდაათიოდენ წლის მამაკაცმა, ვისაც სულიერმა ურვამ და წარმატების სამსახურში ჩადგომამ მარტოობა მიუსაჯა, თავისი სიმწიფის ხანის ნაშრომი „ფრიდრიხ პრუსიელი“ დაასრულა, რითაც ეროვნული მწერლის წოდება მოიპოვა; და კიდევ „ტანჯული“, რომელიც ახალ თაობას სხვა, შემეცნების მომადუნებელი გზისგან განსხვავებულ მიმართულებას უხსნიდა. ეს ახალი თავისუფლება და ახალი ზნეობრივი ენერჯიის დაგროვების გზა იყო. ნიგნები გამოიცა, გამარჯვებაც მოიპოვა და გავლენაც, მაგრამ რალა შერჩა ხელში

თავის თავთან მარტო დარჩენილ ადამიანს? ყოველდღიური დასტური ადამიანთა ნდობისა, ყოველდღიური მოთხოვნა გზის გაკვლევისა, თავკაცობა მრავალმხრივი და სერიოზული საზოგადოებრივი აღსარებისა და ბოლოს, სახელმწიფო ფილდოები; ამ ქვეყნის მოაზროვნეებს ამაზე უზენაესს ხომ არაფერს არგუნებენ. გუსტავ ფონ აშენბახს ოფიციალურად მიანიჭეს აზნაურის ნოდება და ეს მას შემდეგ, რაც ყარაიბობისა და შემეცნების განსაცდელგავლილმა თავი სულის სიდიადით აღიმალა... ცდუნების რა ბნელმა და ცრუ გზამ უნდა გაგიტყუოს აქედან უფსკრულისაკენ, იმ შინაგანი სირცხვილისაკენ, რასაც წინააღმდეგობას ველარ გაუნევ? რამ უნდა ჩაგთიროს თავდავიწყებაში? ასეთი გზა მხოლოდ ერთია - ის, რომლისკენაც სილამაზე გიტყუებს! მაგრამ სილამაზე ხომ შემოქმედს მუდამ წინ მიუძღვის, ქეშმარიტ გზებსაც ის უკვალავს და ცრუ გზებსაც. ზნეობრივი ადამიანი სულის სიდიადესა და მის მწვერვალებს მხოლოდ სილამაზის წყალობით შეიცნობს. სისუსტის, მიძინებული თავდაცვის ინსტიქტის და იქნებ სიკვდილისა და სიბერის შიშის დროსაც კი მხოლოდ სილამაზეს შეუძლია სამანს მიღმა შეგიტყუოს, ფორმის კულტი სიმთვრალესა და სურვილებში გადაზარდოს, ღრმა გრძნობადი შეგრძნებები კი გახელებულ ვნებებად გადააქციოს. სილამაზე თავყანისმცემლებს სასიცოცხლო ტონუსის გაძლიერებით აცდუნებს. სწორედ ამიტომ, ასეთი კაცია უკვე სიკვდილის, ვენეციაში სიკვდილის „ნადავლია“. ის დღევ დადგება, როცა ეს დიდოსტატი, ფორმების ამაყი მცველი, ახალგაზრდობის მისაბაძი მაგალითი და ხმა ერისა, კარბოლის სუსტი სუნით გაჟღენთილი ვენეციის გავერანებული მოედ-

ნის ხავსმოდებულ შადრევანთან დაჯდება - ქალაქი ხომ ავადაა - და სასურველს ჩუმ და მშვენიერ სიტყვებს მიუძღვნის.

ამ კაცმა სწორედ ის დაკარგა ყველაზე სასურველად რომ ეჩვენებოდა: სიმწიფე, ოსტატობის უზენაესი ზარისხი, სიბრძნე, სიმშვიდე. მეტს აღარ დანერს, აღარც სიბერის დამცველ ანდაზე ავა, რათა ცხოვრება და შემოქმედება ერთ მთლიანობად გადააქციოს - იქ შესცივდება! ახლა დიდი დრო აღარც დარჩენია. მისი გარდაცვალების საათი სწორად არ ივლის, მაგრამ არც გრძნობათა უმაგალითო ამალღების ჯადოსნური საათი გახდება, ჩვეულებრივი, ადამიანური იქნება! უთქმელი, გაუზიარებელი სიყვარული მოულოდნელად უზენაესი მარტოობისაგან გაანთავისუფლებს, გულის უკანასკნელი ძვერა კი ისეთი სითბოთი აავსებს, თითქოს ახალგაზრდობა დაებრუნებინოს. დაინანოს? სინანულზე არც კი ფიქრობს. ქალაქი, რომელიც გარს ახვევია სნეულია და კურტიზანი ქალის მსგავსად, ვისაც ძალიან გავს, თავის სიხარბეს მალავს. სწორედ ეს ქალაქია ის სილამაზე, რომელიც გიზიდავს და გლუპავს. დიდი შორეთიდან, სიზმრებისა და სიკვდილის ნიღაბს ამოფარებული იდუმალი მოციქულების მეშვეობით მიიზიდა მან თავის მკერდზე ადამიანი, უკვე სასიკვდილოდ მომნიფებული რომ იყო. მისი დახშული ჰაერი ტკბილი და საეჭვოა, მისი ზრწნის ფერები და მაცდუნებელი ძახილი კი უცნაურია. და აი, ეს ერთეული სული ყოველივე განცდილსა და შეძენილს ამ დაძმობილებული ქალაქის ხედრთან, გარეგან სამყაროსთან შეასისხლბორცებს და ორივე მათგანის ვნებათა თუ შიშების შეხლამემოხლათ განსაცვიფრებლად ღრმა და მნიშვნელოვანი მოვლენები ვი-



თარდება. სუნთქვა თითქმის აღარ იგრძნობა, თუმცა ყოველივე ირგვლივ ქარიშხალების, შავი ჭირის, სასიამოვნო ადამიანთა ხმებით, სიდადისა და დაცემის ხმებით ივსება. ის ქალაქშიც ხშიანობს და ადამიანის სულშიც. მისი გამოძახილი კი სიკვდილად, ვენეციაში სიკვდილად გარდაიქმნება.

თომას მანავი გუშინ ნოვალის პრემია მიიღო ლიტერატურის დარგში

ყველამ კარგად იცის, რომ რომანი „ბუდენბროკები“ თომას მანავი დაწერა. ნივნი საუკუნის დასაწყისში შეიქმნა, მრავალგზის გამოიცა და ოცდაათი წლის მანძილზე მას სულ ახალი და ახალი თაობები ეზიარა. რამდენიმე დღის წინ პატივცემულმა „Buchferlag“-მა ამ ძველი ნივნის ახალი, ყველასთვის ხელმისაწვდომი გამოცემა მოამზადა. ნივნით მოვაჭრეებმა და უნივერსიტეტებმა კი წინასწარ უკვე ორას ორმოცდაათი ათასი ეგზემპლარი შეუკვეთეს. ეს საკმარისია, რათა რომანს ჭეშმარიტად სახალხო უწოდო!

როცა თომას მანი „ბუდენბროკებს“ წერდა, იგი მარტოსული გახლდათ. ეს ახალგაზრდა კაცი შინაგანად ჯერ კიდევ არ იყო მძლავრი, საკუთარ ძალებს ეჭვით აფასებდა და სწორედ ამ რომანზე მუშაობამ შესძინა ძალაც და პირველი რწმენაც, რომ შემოქმედება საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმეა. მაშინ ადამიანთა თავყრილობას, „ბრბოს“ ეკრძაღვოდა. „ბრბო“ ჯერ დასაწყობი უყვება. ყველაზე ნმიდათანმიდა ეკეშირი საკუთარ ერთან იმის წყალობით იშვა, რომ იგი მისთვის შრომობდა და მის მხარდაჭერასაც გრძნობდა.

მომძლავრებული მწერალი თავისი სრულქმნილებისთვის იღვწოდა, მაგ-

რამ მისი პატივმოყვარული იდეალი საკუთარი ერისთვის მოღვაწეობა იყო. იგი თავისებურად იკვლევდა იმ სულიერი თავყრილობის წყაროს, სახელად გერმანია რომ ერქვა და ცდილობდა ამ სულიერი თავყრილობის მიდრეკილებებსა და მიზნებს მოგებოდა – თუ სწრაფად, ბუნების მოთხოვნით ვერა, თავდაუზოგავი, თავგანწირული შრომით მაინც მოგებოდა. მას სურდა წმინდა გერმანული, სწრედ ამ ხალხისათვის განსაკუთრებით საჭირო და სასურველი ნაწარმოებები შეექმნა და ამისთვის თავში საჭირო სიყვარულიც იპოვნა და აუცილებელი კრიტიკული პოზიციაც.

ვინმეს რომ ემსახურო, გინდ ადამიანი იყოს, გინდ მთელი ერი, აუცილებლად უნდა იცნობდე და გიყვარდე. სიყვარული ცოდნის გარეშე მალე ქრება, მხოლოდ ცოდნა კი ცივია და არაფერს გარგებს.

თომას მანის მაგალითი სიყვარულისა და ცოდნის ურთიერთშერწყმის ნიმუშია.

სწორედ ამგვარად გადაიქცა „მჭვრეტელი“ ადამიანი, „თანამგრძნობ“ ადამიანად, ვინც სულიერად მზად იყო თავის ერს დახმარებოდა და მისი ამაღლებისთვის ხელი შეეწყო.

თავად ეს გაცნობიერებული აქვს და უფრო და უფრო უმტიკცდება აზრი, რომ არსებობს და წერს არა თავისთავად, არამედ როგორც დიდი რაოდენობის ადამიანთა წარმომადგენელი, თავის მხრივ ერს, მის ყველა ფენას რომ ქმნიან. თუ მისი ნაწარმოებები მსოფლიომ აღიარა, ამას უპირველეს ყოვლისა მისი ერისთვის მოაქვს და უნდა მოჰქონდეს კიდევ დადებამ. ამიტომ ყოველი მისი ახალი ნაწარმოები ამ ერის არსსა და ამასთანავე ამ ერის ისტორიას, რაღაც გარკვეული საათების ისტორიას უნდა ირეკლავ-

დეს. „ბუდენბროკებმა“ მხოლოდ შინაურული, ბურჟუაზიული სამყარო აღწერეს, მისი ბედნიერებითა და ფარული ხიფათით. „აპოლიტიკურის დაკვირვებები“ მაშინ შეიქმნა, როცა მისმა სულმა ხიფათიც შეიგრძნო და უმძიმეს წუთებში მთელ ერთან ერთად ბედნიერებაც განიცადა. მაგრამ პიროვნების განვითარების გერმანულ სახელმძღვანელოდ რომანი „ჯადოსნური მთა“ გადაიქცა. სწრედ მან განსაზღვრა ხანგრძლივი და საპასუხისმგებლო გზა, რომელიც გაიარა ბურჟუაზიული ოჯახიდან გამოსულმა თომას მანმა ჯერ თავის სახლს ლუბეკში მოგონებები რომ მიუძღვნა, შემდეგ კი მთელი ერის სახელით მოლაპარაკე ოსტატად ჩამოყალიბდა.

მწერალს ამალღებისათვის დიდი შრომა და პასუხისმგებლობის გრძნობა სჭირდება. ეს ორი მოვლენა – პასუხისმგებლობა და შრომისმოყვარეობა სწრედ ის დედააზრია, რომელიც ბუნებრივ ნიჭთან, გამომსახველობის ნიჭთან და წერის უნართან შესისხლხორციებული უზენაესი ფასეულობის შექმნის შესაძლებლობას იძლევა.

მაგრამ არც ის უნდა დაგვაყინყდეს, რომ ამ სულიერ ფასეულობას კაცობრიობა დროზე არ აჯილდოვებს. თანადროულობას ის ვერასოდეს ერგება. კაცობრიობას ყოველი ჭეშმარიტების გაგება თავის დროზე სურს, არც ძალიან გვიან და არავითარ შემთხვევაში ძალიან ადრე. კაცობრიობა მწერალს არც წინასწარმეტყველებას პატიობს და არც ჭკუის სწავლებას უწონებს. ზუსტი ნაში უნდა შეარჩიო, რათა შენი სათქმელი თქვა. ხანდახან ადამიანთა შეცდომებიც კი უნდა გაიმეორო, რათა სხვები არ შეაჩქეიფო და ეს ყოველივე ძალიანაა საჭირო, რათა კაცობრიობამ სულიერი საჩუქრები

ამბოხების გარეშე მიიღოს. კაცობრიობა მუდამ ზომიერებას, ამ ერთ-ერთ გონიერ სათნოებას მოითხოვს.

ფრანგი ანატოლ ფრანსი საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო მწერალი იყო. თომას მანივით ისიც ყოველგვარ პატივს ეზიარა და სიბერეში ნობელის პრემიაც მიიღო. მაშინ ოთხმოცი წლის იყო. ადრე ვერ იღებდა, რადგან ამ ერთ-ერთ გონიერ სათნოებაზე არ ფიქრობდა. მიუხედავად ამისა, პრემია ბოლოს და ბოლოს მისცეს, რადგან წმინდა სულიერ სათნოებასთან ერთად კიდევ ერთი, საერო და ძალიან მნიშვნელოვანი რამ წარადგინა: წარმატება.

არაჩვეულებრივი წარმატება მოიპოვა, მაგრამ თომას მანსა და ანატოლ ფრანსზე საუბრისას მთავარი ეს არაა. არსი ის კი არაა მკითხველს მოწონდე ან არ მოწონდე, უყვარდე ან არ უყვარდე, ართობდე ან გულს უჩუყებდე, მის ვნებებს ეპირფერებოდე ან უბრალოდ თვალს უბამდე ან აცდუნებდე. ასეთი წარმატებით ხომ სავსეა ჩვენი ყოველდღიური საზოგადოებრივი ცხოვრება. ის წარმავალია და გვირგვინმოსილი თავი მის წინაშე ქედს არ მოიხრის.

მე ჭეშმარიტ წარმატებას ვგულისხმობ. როცა ერთი ადამიანი ბევრს უხსნის, რა არის სულიერი შეცნობა, ზნეობრივი პასუხისმგებლობა და ბევრისთვის მიუღწეველი დახვეწილი გემოვნება – ეს უზენაესი წარმატებაა.

... ყოველთვის მოიძებნებიან მწერლები, ვინც მსოფლიოს დაპყრობის სურვილით ამ მსოფლიოს ერთდროულად ყველაზე შორეულსა და ყველაზე აბლობელს თავაზობენ: ოცნებას, სინმინდეს და თანაც დღევანდელი მოთხოვნილებების შეფასებას.

თომას მანმა გუშინ ნობელის პრემია მიიღო ლიტერატურის დარგში.

შენიშვნები „დიდი საქმის“ შესახებ

ცხოვრება „გამლიზიანებლებითა“ სავსე, მაგრამ სიცოცხლის დაუოკებელ წყურვილს ყველაზე მეტად ცხოვრების ამალღებული სახით წარმოქმნი ხელოვნების ძალა ინვეეს და ეს ძალა ყველაზე ძლიერია, რადგან მისი ნიშნები ზნეობრივ-სულიერ ხასიათს ატარებენ. ისინი ცხოვრების ერთიან სისტემაში ექცევიან და ცხოვრებას აცოცხლებენ. „აღზნება“ უპირველესად ბიოლოგიური მოვლენაა და მას იდუმალად ორაზროვანი დამოკიდებულება აქვს ცხოვრებასთან... სიხარულთან და ტკივილთანაც, რადგან თავად ინდეფერენტულია და მისი იდუმალი საზღვარი ინდივიდუალურად, გამალიზიანებლის ხარისხითა და ხანგრძლივობით განისაზღვრება. ამ შემთხვევაში ხელოვნების გამალიზიანებელი ფსიქოლოგიურისგან არაფრით გამოირჩევა. მას ხანგრძლივი ინტენსიურობა ახასიათებს, რაც შეიძლება ფრიად მტკივნეულიც აღმოჩნდეს და ყოველგვარ სიაშოვნებას დაშორებულიც. ვთქვათ, ეპიკური ნაწარმოები თავისებურ წინააღმდეგობას აჩენს ხელოვნების ფორმის არსსა და მის ზემოქმედებას შორის, რადგან ჩვენ მიჩვეული ვართ, ეპიკურობის იდეა დავაკავშიროთ ჩვენეულ წარმოდგენასთან სიაშოვნებასა და სიკეთეზე, უფრო მეტიც, „კეთილმოსურნეობასთან“.

ჰენრიხ მანის ახალი რომანი „დიდი საქმე“ (პ. კიპენჰოიერის გამოცემლობა, ბერლინი) გამალიზიანებლებით

იმდენად დამუხტული და გადამუხტულია – ამ დიდ ხელოვანს ხომ ეს ყოველთვის ახასიათებს – რომ განცდილი სიაშოვნება ყოველ წუთს შეიძლება ტანჯვად გადაიქცეს. რომანი მტკივნეულად იკითხება და ეს სახიფათოა, რადგან კითხვა ძალიან გითრევს, მართლაც, თუ ისევ მივუბრუნდებით თანაშედროვე, ცნობილი მწერლების იმ რომანებს, რომლის კითხვაც „დიდი საქმის“ გამო შევწყვიტეთ, ვთქვათ, ჰემინგუის, ჰამსუნს ან დიოზოლინს, მაშინვე ვიგრძნობთ, როგორ შესუსტდება გამალიზიანებლებიც და ის დაძაბული მდგომარეობაც, რითაც აღტაცებულნი გარკვეული დროის მანძილზე ვცხოვრობდით. ავტორთა სითამამის მოუხედავად, მოქმედება აქ ვითარდება ზომიერად, მშვიდად, ეპიკურად – ამ სიტყვის მშვიდობიანი, კარგი ვაგებით. დიოზოლინიც კი, რომელიც ძალიან რადიკალურ მწერლად ითვლება, მისი „ალექსანდრპლაციც“ კი, რომელთანაც „დიდი საქმეს“ ჟარგონისკენ მიდრეკილება ანათესავებს, ამ შედარებაში კეთილმოსურნედ გამოიყურება; რა თქმა უნდა, სულიერი, ადამიანური, ასე ვთქვათ, პირადი სიკეთის უპირატესობას არ ვგულისხმობთ.

რა მომნუსხველი და ბრძენი სიკეთითაა სავსე ამ ხნიერი ჯადოქრისა და მისტიფიკატორის, ინჟინერი ბერკლის სახე! ყველა თვალსაზრისით ეს წიგნის მამოძრავებელი ძალაა და მისი ნიღბის მიღმა ოდნავ, თავად სამოცი წლის ხე-

ლოვანის სახე გაკრთება! სიკეთის რამხელა ვიბრატო იკვეთება მის სიკვდილისწინა სიტყვებში, როცა ახალგაზრდებს „მსჯელობას სიხარულზე“ უზიარებს. „ისწავლეთ, როგორ გაიხაროთ. ამაზე დიდი არაფერი არსებობს. სხვა ყველაფერი გამოგონილია. თქვენი გულები არსებობს მხოლოდ, ჯერ ჯანმრთელი გულები“. და ამას მოყვება თითქმის ბიბლიურად წმიდათაწმიდა: „და გეუბნებით მე: გაიხარეთ!“ სხვათა შორის, ზედმეტს მოითხოვს მას შემდეგ, რაც ოთხას ოთხ გვერდზე აესულეების არნახულ შაბაშს, კაპიტალის მომაკვდინებელ ბრძოლას, ხვალისდელი დღის შიშით გამოჟონილ ცივ ოფლსა და გამძვინვარებულ თაღლითობას ვანყდებით. მაგრამ მის სულიერ სიკეთეს, რომელსაც იგი აქ – და არა მხოლოდ აქ – შიშისა და თავხედობის ნაზავით გაჟღენთილ ოცი წლის ახალგაზრდებს შემწყნარებლურად უზიარებს, ეპიკურ სიკეთედ ნამდვილად ვერ ჩავთვლით.

ის არ ჩანს, რომანის ტემპი დაუნდობელია, არც სულის მოთქმის და არც წიგნისგან მოწყვეტის საშუალებას გაძლევს – იმედიც არ გქონდეთ. შეუდარებელი, კეთილშობილი და მკვახე სტილი გიტაცებს და გაღელვებს – ეს ფეთხუმობის და ბრწყინვალეების, ყოველდღიური არგოსა და ინტელექტუალური ენის კონგლომერატია. ერთი სმერჩიდან მეორესკენ იქამდე მიექანება, სანამ ბოლოს და ბოლოს ამ ვნებიან – ბურლესკური თავგადასავლებით თავგზაბანეული, დამაჯერებელი შეუძლებელით ახარებელი და სულიერი სიკეთით აცრემლებული მთლად ქანცვანყვეტილი არ აღმოჩნდება.

და სწორედ მისგან, ამ სიკეთისგან გამოსჭვივის მრუმე ბრწყინვალეობა,

ძლიერი გამაღიზიანებელიც სწორედ მისგან მოდის. მე იგი ძმური სიყვარულით მიყვარს. მაგრამ შესაძლოა დახვეწილი ჯამბაზობა და უმაღლესი ხარისხის პაროდული ონაწრობა, საიდანაც სახიფათო შხეფები იფრქვევა, ჩემში ძმურ მოგონებებს უფრო მეტად აღვიძებს და მალეღვებს კიდევც. აი, მაგალითად, მკვლელი მულე, თავის თავს ასე წოდებასავით რომ შეარქვა. „მ მკვლელი მულე ვარ“, – ამაყად წარუდგენდა თავს ადამიანებს. ... სხეული ბერდება და შენც ამა თუ იმ დიდ საქმეს სერიოზულად ჩაექსოვები. გაკვეთილი, რასაც „გაიხარეთ!“ ქვია, მხოლოდ მხცოვან ასაკში შეიძლება გასცე, ახალგაზრდები კი ამას, ცოტა არ იყოს შეჩქვფევებით ისმენენ. აი მკვლელი მულე კი სხვა რამეს ასწავლის. იმას, რომ ჩვენ არსებითად იმადვე დავრჩით, რაც ვიყავით: განწყობილი ვართ ყველაზე წმიდათაწმიდა მოვისმინოთ – არადა, რა შეიძლება იყოს უფრო წმიდათაწმიდა, ვიდრე მკვლელია, ამ სიტყვის პირველადი გაგებით?

„აი, ჩემი მსხვერპლი“, – ამბობს მულე და გამოტილ შატისზე, გენერალურ დირექტორსა და ყოფილ რაიხსკანცლერზე უითითებს. „ახლა დედაბერსაც მოვუღებ ბოლოს და მაშინ სრულიად ახალ, ორმაგ მკვლელად ნამდვილად გადავიქცევი“, – აცხადებს იგი. „რეკორდს მოვხსნი. ბატონი ჟურნალისტები აქ ბრძანდებიან?“ მკვლელია, რეკორდი, ჟურნალისტები. ყველაზე წმინდა, რაც მკვლელობასთანაა დაკავშირებული ცივილიზაციის დამარბველმა ზემოქმედებამ გაანადგურა, – ასეთია პრესის შესახებ მულეს აზრი. როგორ მოგწონთ ეს გამწარება, ბატონო კონსერვატორებო? ელოდით რაიმე ამდაგვარს ამ ბა-



გეგებიდან? თუმცა იგი მკვლელი მულეს პირველადი ნადილის გამასხარავების საქმეს ემსახურება... „რისთვის მოაწყვეთ ეს ნარმოდგენა“, – უკითხებიან მას. ის კი პასუხობს: „ჩემი მემკვიდრეობა არაფერს ნიშნავს? მე მისი ვაჟი ვარ; დედაჩემის ექსპოპრიაციის საშუალებით, მემკვიდრეობა ნამართვა, ეს არსებული საზოგადოებრივი წესრიგისთვის ზურგში ხანჯლის ჩაცემას ნიშნავს“. ამ ნაციონალისტური, საგაზეთო შტამპით, ქუჩის ენას მიჩვეული მულე, მათ არსებული წყობილებისადმი თავის პატივისცემას უდასტურებს და ეს მხარდაჭერა, ბუნებრივია, ამ წყობილებას საექვო ჩრდილით მოსაგს. რა დასკვნა შეიძლება გააკეთოს აქედან სწორხაზოვანმა კონსერვატორმა?

გაუგებრობა აქ ისედაც საკმარისზე მეტია. რომანში, რომლის დაძაბული მოქმედება ამ თანრის სიდაადეზე მეტყველებს, რადგან მივიწყებულ ხატებს გვახსენებს, ალაგ-ალაგ შეუცნობლისკენ გადახრა შეიმჩნევა. მაგიური კი დაფიქრებას გვაიძულებს. ამ ინტინერ ბირკს, დაავადებულს უბედური შემთხვევის შემდეგ, თუმცა კაცმა არ იცის რითია ავად, რამდენად ავადა ან საერთოდ ავადა თუ არა, შეუძლია „თავისი სხეული მიატოვოს“ და განგების ნებით მოვლენებში მამინ ჩაერთოს, როცა ყველაფერი აირევა. სხეული კი ამ დროს საავადმყოფოში რჩება. მისი ქალიშვილი, ჩამომჯდარი ტელეფონის ყურმილით ხელში, რაღაც ტექნიკური და პარაფსიქოლოგიური პროცესის წყალობით შეიძლება დიდ სპორტის სასახლეში მოხედეს, სადაც საბატოი წევრების თანდასწრებით კრივის სენსაციური მატჩი იმართება. ეს მასობრივი სცენა, დიდად შთამბეჭდავი, გროტესკული და კომი-

კური, იქნებ, წიგნის ყველაზე ცოცხალი სცენაა, რომელსაც მარგო ისე ხედავს და ისმენს, თითქოს სხვა ადგილზე იმყოფებოდეს. როგორ დაეკავშიროთ ეს სასწაულები ავტორის რაციონალისტისა და ჰუმანისტის რეპუტაციასთან? ნუთუ არ უნდა ეშინოდეს, რომ შეუცნობლის შემოტანით კარს გაუღებს ბოროტებას, თანაც ისეთს, როგორც თავად ესმის?

რა არის „დიდი საქმე“? სათაური საქმიანი ადამიანების ფარგონიდანაა აღებული. დიდი საქმე ის მილიონიანი ნარმოებაა, რომლის ხელში ჩაგდებასაც ყველა ეშმაკობით ცდილობს და სხვათა შორის ბერკის მისტიფიკაცია, „გამოგონება“ გახლავთ. დროდადრო ეს სიყვარულია, დასასრულს სიკვდილად გვევლინება, ხოლო სულ ზოლოს, უკვე წიგნს მიღმა ეს თავისუფლებაა, უსამანო კრიტიკა და განსხეულებული სულიერება, რამაც ხელოვნების ფორმები მიიღო; და კიდევ თავგადასავალი, რომელიც სიმართლეს არ გავს და ეს არც ანუხებს. ავტორის დამოკიდებულება ცხოვრებასთან, რომელსაც სასონარკვეთილებაში ჩავარდნას აიძულებს და საკუთარი უპასუხისმგებლო ზუმრობებით აფრთხობს, ნამდვილად დამაფიქრებელია. ამ საზოგადოებრივმა ფანტასტიკამ და ამავდროულად საზოგადოებრივმა წინასწარმეტყველმა იმას მიაღწია, რომ დრო აშკარად სოციალური და პოლიტიკური ორიენტაციით აღბეჭდილ საკუთარ ნიჭს დაუმორჩილა. რა თქმა უნდა, მას ძულს ომი, მაგრამ მანაც უნდა ემადლიერებოდეს, თუნდაც იმისთვის, რომ ომმა გერმანია, სრულიად მოულოდნელად, ავტორიტარულ ჩამორჩენილობას გამოგლიჯა, აამოძრავე, რესპუბლიკა, დემოკრატიისკენ სწრაფვა და სახელმწიფოს ზვედრის

გადანწყვეტის საქმეში მასების მონაწილეობა მოუტანა. საზოგადოებრივი ფუნების აღრევა, სოციალური გადატრიალებანი, სულით ხორცამდე პოლიტიზაცია – ყოველივე ამან ცხოვრება გამოაცოცხლა, სოციალურ რომანისტს კი მხოლოდ ეს ჭირდება. იგი ამას წინასწარმეტყველებდა და მაშინ სურდა, როცა ჩვენ მხოლოდ ვინინასწარმეტყველეთ. სურვილი კი ვერც გავბედეთ. ახლა კი, როცა ეს აღსრულდა, უკვე აღარ სურს და ყოველივე ამით გაქვნილი ახალგაზრდებს ეუბნება: „ნამდვილი მხოლოდ თქვენი გულებია, სანამ ჯანმრთელი გაქვთ!“ ეს აზრი იმის ღირსია, რომ თან დაუერთოთ პოლიტიკურს – „ისმინეთ, ისმინეთ!“ ეს ბელადის ფრაზაა და მახვილების აღრევას, ახალ მოსახვევს ნიშნავს. გული, „სიხარული“ – ეს ხომ ინდივიდუალია. აბა ამას ვინ იქტრება და! მსხვილი საქმე – გული აღმოჩნდა. როგორ ყოფილა ქვეშაირიტება წამზე დამოკიდებული!

რაც შეეხება რესპუბლიკურ საზოგადოებას, თავისუფლების ვერც ერთი სამკედრო-სასიცოცხლო მტერიც კი ვერ გადმონახედა ამდენ ბალამს და ვერ აღწერდა ასეთი სიძულვილით, როგორც ამ რომანშია აღწერილი. ანკი, ვის შეუძლია ეს, თავად თავისუფლების გარდა? მტრებს ნიჭი არ ყოფნით. მაგრამ ნუ დავიბნევით, თავისუფლების თვითკრიტიკა წყალს თავისი მტრების ნისქელიზე სულაც არ ასხამს. ავტორის სექპტიკური სითამამე უკიდურესობამდე მიდის, მაგრამ უკანასკნელ წამს უცებ აცხადებს: „ეს ყველაფერი უნდა არსებობდეს! კორუფციაც, მტანჯველი სისაძაგლეც უნდა არსებობდეს, რადგან მკვდარ წესრიგზე უკეთესი, უფრო

ადამიანური და ალბათ უფრო ზნეობრივიცააო.

საქმე წინ მიდის!.. მეც ხომ თითქმის ამასვე ვამბობდი. მგლური გაუმაძღრობა, ინსტინქტების უსახური პრიმიტიულობა, საქმიანობით შენიღბული უფიცობა, შემაშფოთებელ-ამალელებელი შეზღუდულობა იმ კაცობრიობისა, ვინც ყოველივე დაკარგა და დაივიწყა. ეს ყოველივე, კარგად ნაცნობი დღევანდელი ფარსის სიმალლეზე ისეთი ესთეტიზმის დახმარებით ადის, რომ საზოგადოებას იმაშილა ადანაშაულებს, უფრო ნაძირალა რად არ გახდის, ვიდრე ხარო და იგი შეუცნობელის სფეროში გადაყავს. ეს სულიერი ამაღლება და განდგომა ყველგან ისე მეფობს, დიალოგებიც კი ისე აბსტრაქტული და განყვენებული გვეჩვენება, რომ უკვე აღარც კი გესმის ნამდვილად ხდება ასე თუ არა. რეალობასთან შეგუებას და ცოტა ამშვიდებს კიდევ მხოლოდ ხვალინდელი დღის შიში, რაც ყველას ხელისგულებს უოფლიანებს. მხოლოდ მოკრივე ბრიუსტუნგს კი არა, გენერალურ დირექტორ შატისს და ალბათ თავად „ქარლოს დიდსა“ც, „კონცერნის“ შეუცნობელ ღვთაებას, რომლის სურვილების მიზიდულობის სფეროშიც ვითარდება ყოველი მოვლენა. უფრო ნათელი და სანუგეშო – სიყვარულის ხაზია...

... კიდევ გავიმეორებ: ეს ძალიან მკაცრი ნიგნია. დაცინვაც მკაცრი აქვს და სიკეთეც. იგი მტიკივნიულია, ერთდროულად ცოდნითაა საესე და არც არაფერი იცის, ალტაცების მომგვრელიცაა და მძიმე ასატანიც; სწორედ ისე აგაღლელებს და გაგანანყენებს, როგორც ვინ? რა თქმა უნდა, გენიოსი.

ჩემი ქმის შესახებ

„თავისუფალი გერმანიის“ პატივცემულო მკითხველებო, ჩემი ქმის სამოცდათხუთმეტი წლისთავის მოახლოვებასთან დაკავშირებით მეკითხებით, როგორ ცხოვრობსო. თქვენი წყალობით, კარგად ცხოვრობს. აი უკვე წელიწადნახევარია, რაც ცხოვრების თანამგზავრი დაკარგა; ის მეუღლე, რომელმაც 1933 წლის 21 თებერვალს ძალა მოიკრიბა და იმ ტრამვაიმდე (თავდაპირველად) შეინის ფრანკფურტში რომ მიყავდა, ისე გააცილა, ცრემლი არ უჩვენებია. მისი გარდაცვალება ისეთივე სულის სიძლიერით მიიღო, როგორითაც მთელ თავის ხევედრს ეგუებოდა. მარტოსულობა, რაც მისი ასაკის ადამიანთათვის ბუნებრივია, მისთვის მოზარდობის და ახალგაზრდობის პერიოდიდანვე იყო ნაცნობი, ახლა კი ის ირგვლივ მყოფი ადამიანების არაჩვეულებრივი მეგობრობით და მონივრული სიყვარულითაა შემსუბუქებული და გასხივოსნებული.

ამ ქვეყანას ძალიან დამლღელი მანძილები აქვს, მაგრამ მისი საცხოვრებელი ჩვენგან უფრო შორსაც შეიძლება აღმოჩენილიყო. მანქანით, დაახლოვებით, ნახევარი საათის გზაა, თუ, რა თქმა უნდა, გაგიმართლებთ და გზა განათებული იქნება. ისე მოხდა, რომ ჩვენ სანტა-მონიკას მთის უკან, ოკეანესთან უფრო ახლოს ვცხოვრობთ, ის კი ქალაქში, არა მთლად საქმიან ცენტრში, მაგრამ მაინც ლოს-ანჯელესის შემოგარენში ბინადრობს. კვირაში ერთხელ მაინც მოგვყავს ხოლმე და ისიც ლანჩიდან შელაშებამდე ჩვენთან ერთად დროს სიამოვნებით ატარებს. ანდა პირიქით, ჩვენ მივდივართ მასთან და ისიც რაღაც პიკნიკისმაგვარს აწყობს თავისი ვახშმითურთ, რაც ძა-

ლიან თბილი ატმოსფეროთი გმოირჩევა. თუკი ჯანმრთელობა ხელს უწყობს თავისი ახალი, შესანიშნავი ნაწარმოებებიდან, რაიმეს გვიკითხავს ან მოითხოვს, რომ ჩემი უკანასკნელი ხელნაწერები მე წაუკითხო.

ჩვენ ვსაუბრობთ წარსულზე, ჩვენი ცხოვრების წარმოდგენელ მოსახვევებს ვიხსენებთ... თანამედროვე მოვლენებზეც ვმსჯელობთ. მისი შეფასების მანერას ცხოველყოფელი შეიძლება ვუნოდოთ, რადგან დიდად არ განსხვავდება იმისგან, რასაც გოეთეს შემსწავლელმა კრიტიკოსებმა „შემწყნარებლობა შეწყალების გარეშე“ უწოდეს. ის არ არის შემწყნარებელი, მაგრამ ამაყდ მოწყლუა და პესიმიზმიც ბევრი მოეპოვება.

უკანასკნელი მოვლენების შესახებ განსხვავებული აზრი არა გვაქვს. ერთხელ, ჩვენგან რომ მიდიოდა, გზაში ჩემს უფროს ქალიშვილსა და თავის ძმიშვილს, ერიკას უთხრა: „პოლიტიკური თვალსაზრისით მე და მამაშენს ახლა ნამდვილად კარგად გვესმის ერთმანეთის. თუმცა ის ოდნავ ჩემზე რადიკალია“. მართალია, ეს ცოტა სასაცილოდ აჟღერდა, მაგრამ ის ხომ გერმანიასთან, ჩვენს ძვირფას ქვეყანასთან ურთიერთობას გულისხმობდა. აქ კი ის ჩემზე ნაკლებადაა ნაწყენი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მოვლენებში უფრო ადრე გაერკვევა და ამის გამო იმედგაცრუებაც ნაკლები შეხვდა. დღეს აღარ სურს გერმანელების საქციელი „საშინელ ერთეულ შემთხვევად“ ან „უცილობელ დანაშაულად, რომელსაც ურთიერთკავშირის ახსნა არ ჭირდება“, აღიქვას. მე მის სიტყვებს ვიმეორებ. ყველაფერი განსაზღვრულიცაა და ახსნილიც, თუნდაც



უპატიებელი იყოს და გერმანელებიც მხოლოდ ადამიანები არიან. მე მგონია, რომ იმის მტკიცება – გერმანელები განსაკუთრებით ცუდი ერიო, მას ნაციონალიზმის ერთ-ერთ ფორმად მოეჩვენებოდა. გერმანული უგნურების გამო მან იმდენივე იწვინა და დაკარგა, რამდენიც მე და უფრო მეტიც, რადგან საფრანგეთიდან გაქცევისას საფრთხეში მისი საკუთარი სიცოცხლე იყო. მაგრამ ისე არ შემართულა გერმანელების წინააღმდეგ, როგორც მე, ვინც, კარგია ეს თუ ცუდი, მათ ჩემი მეგობრების, ჩემი ცხოვრების სიხარულის სიკედილში ვადანაშაულებ (კარელ ჩაპეკს გულმა ვერ გაუძლო, მენო ტერ ბრააკმა პოლანდიაში თავი მოიკლა). საქმე იმაშია, რომ ფიზიკური სისუსტის მიუხედავად, სულიერი თვალსაზრისით ჩემზე ზომიერი, პოლიტიკური თვალსაზრისით კი, ჩემზე შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა.

თავის დროზე გერმანიის გადამრჩენი რევოლუციია რომ მომხდარიყო ის, სწორედ ის, და სხვა არაფერ უნდა აერჩიათ მეორე რესპუბლიკის პრეზიდენტად. აი, ახლაც კი – და ეს ძალიან სასაცილოა – ამდანს ხმაურობენ, დავბრუნდები მე თუ არა, ის კი თითქოს არც აინტერესებთ, არადა, რომელ ჩვენთაგანში უფრო იჩინა თავი მემკვიდრეობით მიღებულმა რომანულმა სისხლმა, აქტიური პოლიტიკოსების სისხლმა? ჩვენ შორის რომელი აღმოჩნდა უფრო შორსმჭვრეტელი და მოძღვარი, ვინც საზოგადოებრივი წყობა გააკრიტიკა? რომელმა ჩვენგანმა დაწერა „ქვეშევრდომი“ და გერმანიაში დემოკრატიის მოვლინება იწინასწარმეტყველა მაშინ, როცა ბევრი ჩვენთაგანი პროტესტანტულ-რომანტიკულ-აპოლიტიკურ გერმანულ სამოქალაქო სულზე საუბრობდა? ტუჩზეც კი ვიკ-

ბინე, როცა განსაკუთრებით რბილად შემეკითხა: „მე რა, აღარავინ მკითხულობს?“ და გულზე მომეშვა, როცა გერმანიიდან, როგორც იქნა, მოიხმეს. საბჭოთა ზონიდან, რა თქმა უნდა. ბენერმა წერილი მოსწერა და ყველა გელოდებო, აცნობა. სწორედ დროზე მოუსწრო! არა მგონია, ნასვლა შესძლოს და ღმერთმა ხომ იცის, რომ საპატიო მიზეზიც აქვს, მაგრამ მნიშვნელოვანი ისაა, რომ საჭირო აღმოჩნდა.

„თავს კარგად ვერ ვგრძნობ, – თქვა ამას წინათ, – ჯობს, შინ დავრჩე“, და ეს სასაცილოდ აყლერდა, რადგან „შინ“ შემთხვევით საცხოვრებელს დაარქვა – იმ ადგილს, სადაც ლოს-ანჯელესი ბევრლი ჰილს ერწყმის. მაგრამ მას უყვარს თავისი პატარა ბინა. სუტ სვედ-სტრიტზე, სადაც საყიდლებზე ფეხით დადის და სადაც ყოველივე გარდაცვლილის ხსოვნით სუნთქავს. ბინის ფანჯრები ქუჩაში გადადის და მონყობილიც კარგადაა. კობტა საწერი მაგიდა უდგას, რომელზედაც არ წერს, რადგან საქინებელი ოთახში, განმარტოებით მუშაობს. შესანიშნავი რადიო-აპარატურა აქვს და მუსიკას ხშირად უსმენს – კალიფორნიაში მსოფლიო სიმფონიური მუსიკის ცოდნა კიდევ უფრო გააღრმავა და გააფართოვა. გამოყოფილ საათებში გერმანულად, ფრანგულად და ინგლისურად კითხულობს, თანაც ხმამაღლა, თუკი პროზა ამას იმსახურებს. დილით მაგარ ყავას სვამს და დილის შვიდიდან დაახლოებით შუადღემდე დაულაღადა, ძველებურად, მამაცურად და მტკიცედ წერს. ახლაც ძველებურად ნამს ლიტერატურის განსაკუთრებული მისიის, რაც სიამაყითა და ღირსეუბით სავსე გამოთქმებით არა ერთხელ აღუნიშნავს. ფოლადის კალამს სამელნეში ანობს (ავტოკალამს ვერა და



ვერ მიეჩვია) და მთელ გვერდებს თავისი გამოკვეთილი, იოლადა წასაკითხი კალიგრაფიით ავსებს. რა თქმა უნდა, იოლადა არ ენერება, კარგი იოლადა არაფერი იქმნება, მაგრამ ეს გავარჯიშებული, დიადი მშრომელის სირთულეებია.

აი, ასე იქმნება მისი შეუდარებლობით ბექედდასმული ახალი ნაწარმოებები, რომელსაც მალე იხილავთ. თითქოს მინანქრის თავისებური ბრწყინვალეებითაა აელვარებული (ასეთია ისტორიული კოლორიტი) ეპიკურ-დრამატული სცენები, სადაც დიალოგები (არჩეული თემა გაცეხებს) ფრიდრიხ პრუსიელის ცხოვრების ამბავს მოგვითხრობს. რომანი სათაურით „მიღება მაღალ საზოგადოებაში“ თანამედროვე საზოგადოების სატირაა, მისი მოქმედება ერთდროულად ყველგან და არსად ხდება. ამას გარდა, კიდევ ერთ რომანს ამზადებს. მისი შინაარსი ჯერ მეც არ ვიცი. უმთავრესი კი (მე მგონია, რომ უმთავრესია) მისი გამაოგნებელი მოგონებების ნიგნია „საუკუნის მიმოხილვა“, რომლის დიდი ნაწყვეტები მოსკოვის „ინტერნაციონალური ლიტერატურის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა, ინგლისურად თარგმანი კი უკვე დასრულებულია. ეს

ავტობიოგრაფია, როგორც გარდასული დროის კრიტიკა, წარმოუდგენლად მკაცრი, ბრწყინვალედ მზიარული და გულუბრყვილოდ ბრძნული, ინტელექტუალური და ზამბარასავით შეკუმშული პროზითაა დაწერილი; ენის სიმარტივეც კი, მომავლის ენად მეჩვენება. დიახ, დაწმუნებული ვარ, რომ ოცდამეერთე საუკუნის გერმანულ ქრესტომატიებში მის ნაწყვეტებს გერმანული ენის ნიმუშებად შეიტანენ. ახალ ნიგნს სტოქჰოლმში ბექედავენ და ერთი სული მაქვს, ჩემს სამშობლოში გერმანელები მას როდის ნაიკითხავენ. რა თქმა უნდა, განაწყენდებიან. ყოველთვის ასე არ იყო? რასაც გინდა გაიღებდნენ, ოღონდ განაწყენებულიყვნენ და ჩვენი არავის ესმისო, ეფიქრათ; არადა, თუკი შეტისმეტად კარგად გაუგებ – უფრო მეტად განაწყენდებიან. მაგრამ ეს ყოველივე ნამდვილი ბავშვობაა. ის ობიექტური ფაქტი, რომ ეს სამოცდათხუთმეტი წლის კაცი – მათი ერთ-ერთი გენიალური მწერალია, მათ განაწყენებაზე ბევრად ძლიერი აღმოჩნდება და ადრე იქნება თუ გვიან, მაინც მოერევა მათ ცნობიერებას, რომელიც დღეს ასე ენიწაღმდეგება.

თარგმნა მანანა მიქელაძემ





მანანა სომერიძე

სად დაკრძალეს ფიროსმანი

ფიროსმანის ბიოგრაფიის კვლევას ხანგრძლივი ისტორია აქვს. 1922 წელს გიორგი ლეონიძის რედაქტორობით გამოსული გაზეთი "ბახტრიონის" შემომერი მთლიანად ფიროსმანს მიეძღვნა. მხატვრის შესახებ საინტერესო მასალები გამოქვეყნდა ამავე გაზეთის სხვა ნომრებშიც. ასე დაიწყო კვლევა-ძიება. მოგვიანებით რამდენიმე საარქივო დოკუმენტიც იქნა აღმოჩენილი. მოგონებებთან მათი შეჯერების საფუძველზე რამდენიმე ვერსია წარმოიშვა მხატვრის დაბადების თარიღთან დაკავშირებით, რისი ზუსტი ჩანაწერი არ არსებობს. აქამდე უცნობი იყო ფიროსმანის გარდაცვალების თარიღიც, მაგრამ მივაკვლიე, როგორც მისი გარდაცვალების, ასევე დაკრძალვის ჩანაწერებს, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი. ამ ორი დოკუმენტის გარდა, მოვიძიე კიდევ რიგი დოკუმენტებისა, რომელიც ფიროსმანის ოჯახს შეეხება. სანამ ამ დოკუმენტებს გავაცნობდე მკითხველს, მინდა თავი მოუყარო აღნიშნული საკითხის ირგვლივ არსებულ ძირითად ინფორმაციას.

1922 წელს, შალვა დადიანმა გაზ. "ბახტრიონის" რედაქციის დაეაღწეობით ქიზიყის სოფელ მირზაანში შეკრიბა ცნობები ფიროსმანის შესახებ. მხატვრის დას, ფეფე ასლანის ასულ ბარამაშვილისას მოუყოლია: "მე "ნი-

კალას" და ვარ. 57 წლის ვიქმნები და მასზე 2-3 წლით უფროსი ვარ... მეცა და ნიკოლაც აქ მირზაანში ვართ დაბადებულნი. მამა ჩვენს ასლანი ერქვა და სულ სამი შვილი ვყავდით: ნიკოლა, მე და ერთი ქალი, ჩვენზე უფროსი, რომელიც ერთ იმერელს ცოლად ყავდა ქალაქში. სიძის გვარი არ მახსოვს. დედა ზემომაჩხაანელი იყო ტოკლიკაშვილის ქალი - თეკლე. მამა უბრალო სოფლის კაცი იყო და ადრე გარდაიცვალა. ამავე დროს შიმშილობაც ჩამოვარდა და ჩვენმა იმერელმა სიძემ ობლები დედასთან ერთად ქალაქში წაგვასხა. მაშინ მე დაახლოებით 9 წლისა ვიქნებოდი და წავალ (ალბათ, სანყალი - მ.ბ.) ნიკოლა - 7 წ. ქალაქში სიძეს ცოლი მოუკვდა და დედა ჩვენი თეკლევც გარდაიცვალა. ამის გამო მე სოფლად დავბრუნდი და ნიკოლა კი იქ დარჩა. ერთხელ ქალაქში წამიყვანა. ...9 წელიწადი არ მინახავს და არ ვიცი ცოცხალია თუ მკვდარი".

ფეფესაგან იმავე 1922 წელს, ნინო თარიშვილმაც ჩანწერა მოგონება: "შეიდი წლისა იქნებოდა ნიკო (მე იმაზე უფროსი ვარ 4 წლით), როცა დედამა დაგვეხოცა. მამა ჩვენი ასლანი შინაური მიწის მომუშავე გლეხი იყო, სხვა არაფერი ხელობა იცოდა... დედას თეკლეს ეძახდნენ. მხნე და გამრჯე ადამიანი იყო. რვა წლის ნიკო ჩვენმა სიძემ, ალექსიმ წაიყვანა ქალაქში

(თბილისში) და მიაბარა პურის ქამაზედ ერთს სამხედრო პირს გვარად ქალანთაროვს.

ამასთან დარჩა თექვსმეტ წლამდე. 16 წლისა რომ გახდა ქალანთაროვს ეკითხა რომელი ხელოვა უფრო მოგონოს, რომ ის შეგასწავლო. ნიკოს ეთქვა: მხატვრობა მინდაო, მაგრამ ქალანთაროვს არ ერჩივნა და ბოლოს რკინიგზის კონდუქტორად შეუყვანია. 7-8 წელიწადი მსახურებდა, მაგრამ ავად გახდა, სამსახურს თავი დაანება და ღვინის სარდაფი (პადვალე) გახსნა. შეეადაროთ ეს ორი მოგონება. ფეფე ჯერ ამბობს ნიკოლაზე 2-3 წლით უფროსი ვარო, შემდეგ კი ასაკობრივ სხვაობას 4 წლამდე ზრდის. პირველი მოგონების თანახმად, იმერელ სიძეს ობლები დედასთან ერთად წაუყვანია თბილისში. ფეფე 9 წლის ყოფილა, ნიკო კი შვიდის. მეორე მოგონების მიხედვით, სიძეს, ალექსის, მხოლოდ 8 წლის ნიკო წაუყვანია თბილისში და ქალანთაროვისთვის მიუბარებია. აშკარაა, რომ აღწერილი მოვლენები ფეფეს ზუსტად არ ახსოვს. უტყუარი მხოლოდ მშობლების სახელებია და ის ფაქტი, რომ ფეფე ნიკოლაზე უფროსი იყო. ვინაიდან მხატვრის დაბადების ჩანაწერი არ მოგვეპოვება, დიდ მნიშვნელობას იძენს ფეფეს დაბადების წლის დადგენა, როგორც ზღვრული თარიღისა, რომელზე ადრე ფიროსმანი დაბადებული ვერ იქნებოდა. 1979 წელს ისტორიკოსმა მამია ჩორგოლაშვილმა მიაკვლია 1863 წლის სამეტრიკო ჩანაწერს: "1863 წლის 21 მარტს სოფელ მირზაანში მცხოვრებ სახაზინო გლეხს ასლან კიკოს ძე ფიროსმანაშვილს სჯულიერ ცოლთან თეკლესთან შეეძინა ქალი ნატალია". მკვლევარის აზრით, ფეფუცა ნატალიას შინაური სახელი უნდა ყოფილიყო. შემდგომში ეს აზრი კი

დეე უფრო დაასაბუთა ჟურნალისტმა ნელი კობიაშვილმა.

მ.ჩორგოლაშვილმა იმავე საგაზეთო წერილში "ცხოვრება მხატვრისა" სხვა საარქივო დოკუმენტებიც გაგვაცნო, რომელთაგან პირველი იყო ამონაწერი 1832 წელს სოფელ ზემო მირზაანში ჩატარებული კამერალური აღწერის მასალებიდან. იმ დროს ნიკო, ცხადია, ჯერ დაბადებული არ ყოფილა. მამამისი, ასლან კიკოს ძე ფიროსმანაშვილი კი 26 წლის იყო. ყავდა 21 წლის მეუღლე მართა, 50 წლის დედა – ელისაბედი, 90 წლის ბებია თამარი და ორი მცირეწლოვანი ქალიშვილი.

ასლანს არქივში მივიკვლიე ყველაზე ძველ დოკუმენტს, რომელშიც მხატვრის წინაპრები არიან დაფიქსირებული: 1817 წლის კამერალური აღწერაში ერთ კომლად არიან აღწერილი ხარება ფიროსმანაშვილი თავისი ცოლ-შვილით და მისი გარდაცვლილი ძმის (სახელი გაურკვეველად არის) ცოლი ელისაბედი, ძმის შვილი ასლანი და ბებია თამარი (სსცსა, ფონდი 254, აღწერა 2, საქმე 499, ფ.346). როგორც ჩანს, შემდგომში, როდესაც ასლანი დაოჯახდა, ბიძას გამოეყო და დედა-ელისაბედი ბებია თამართან ერთად თავისთან დაასახლა, რაც 1832 წლის კამერალური აღწერიდან ირკვევა.

მ.ჩორგოლაშვილი აქვე გვაცნობს ასლანის ერთ-ერთი ქალიშვილის დაბადების სამეტრიკო ჩანაწერს: "1831 წლის 15 აგვისტოს სოფელ მირზაანში მცხოვრებ სახაზინო გლეხს ასლან კიკოს ძე ფიროსმანაშვილს სჯულიერ ცოლ მართასთან შეეძინა ქალი მათა". მკვლევარი ფიქრობს, რომ მათას ინტერპრეტაციას უნდა წარმოადგენდეს შემდგომში დამკვიდრებული სახელი მარიაში. აქვე უნდა განვმარტო, რომ მოგონებების მიხედვით, ნიკოს ყოლია და, სახელად მარიაში, რომე-

ლიც 1870-იან წლებში სრულიად ახალგაზრდა გარდაცვლილა.

მ.ჩორგოლაშვილმა გამოთქვა სრულიად მართებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ასლანს პირველი მუულლე ადრე გარდაეცვალა და იძულებული გახდა მეორედ დაქორწინებულიყო. სწორედ თეკლასთან შეეძინა მას ნიკო და ფეფუცა (იგივე ნატალია). ზოგ მკვლევარს ეს მოსაზრება საეჭვოდ მოეჩვენა, მაგრამ ჩვენს მიერ ახლახან მიკვლეულ საარქივო დოკუმენტებიდან ერთ-ერთი გვაუწყებს, რომ 1839 წლის მაისში გარდაიცვალა "მირზაანს მცხოვრების ასლან ფიროსმანაშვილის მუულლე მართა" (სსცსა, ფონდი 254, აღწერა 3, საქმე 217).

არქივში მოვიძიე სამეტრიკო ჩანაწერი, რომლითაც ირკვევა, რომ 1837 წელს "მაისის ათსა, სოფელ მირზაანს მცხოვრებს სახაზინო ყმაას ფიროსმანაშვილს ასლან ნიკოლოზის ძეს და სჯულიერსა ცოლსა მისსა, მართა გოგიას ქალს დაებადა ქალი ბარბარე..." (სსცსა, ფონდი 489, აღწერა 6, საქმე 300).

ბარბარეს არსებობის შესახებ დღემდე არაფერი ყოფილა ცნობილი. ეს დოკუმენტი იმითაც არის საინტერესო, რომ ასლან ფიროსმანაშვილი მოიხსენიება, როგორც ნიკოლოზის ძე. მისი და ასლან კიკოს ძის იდენტურობაზე მეტყველებს მუულლის სახელი და მამის სახელი – მართა გოგიას ქალი. გარდა ამისა, კიკო – ნიკოლოზის შემოკლებული ფორმაა, რომელიც კახეთში გვხვდებოდა.

არქივში მივაკვლიე ჩანაწერს, რომლის მიხედვით 1849 წლის 10 ნოემბერს სოფელ ოზაანში მცხოვრებ სახაზინო ყმა, იოვ სოლომონის ძე ოზაშვილზე გათხოვილა: "სოფელს მირზაანში მცხოვრებლის სახაზინო ყმის ასლან ფიროსმანაშვილის ქალი

მაია. მართლმადიდებლობითის სარწმუნოების აღსარებისა პირველსა ქორწინებითა" (სსცსა, ფონდი 489, აღწერა 6, საქმე 772).

ამ დროისათვის მაიას დედა, მართა, უკვე ათი წლის გარდაცვლილი იყო, ხოლო ასლანის ახალ ოჯახთან, როგორც ჩანს, მას აღარაფერი აკავშირებდა. ამასთან, გათხოვების შემდეგ, საცხოვრებლად სოფელ ოზაანში გადავიდა. 1863 წელს დაბადებულ ფეფეს, იმავე ნატალიას, მის შესახებ არაფერი სმენია. ფეფეს ახსოვს თავისი სიძის სახელი – ალექსი, მაიას ქმარს კი იოვი ერქვა. ჟურნალისტი ნელი კობიაშვილი გვანვდის ცნობას, რომლისთვისაც მას სოფელ მირზაანის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის 1872 წლის სამეტრიკო წიგნში მიუკვლევი: "ამავე სოფლის დროებით მცხოვრები სახაზინო ყმა ალექსი საბას ძე ხურციევი, სჯულიერი ცოლი მისი მარიამ ასლანის ქალი, ორნივე მართლმადიდებელი სარწმუნოებისა. შეეძინათ ქალი ევა..." ნ.კობიაშვილი ფიქრობს, რომ შესაძლოა ეს ჩანაწერი ნიკოს უფროსი დის, ასლანისა და თეკლას ქალიშვილის ოჯახს ეხებოდეს, რაც სავსებით დასაშვებია.

ნ.ფიროსმანაშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორი ანზორ მაძღარაშვილი წერს: "მხატვრის მშობლები ასლან ფიროსმანაშვილი და თეკლე ტოკლიკიშვილი ღარიბი გლეხები იყვნენ. ნიკოს გარდა, მათ კიდევ ყავდათ ორი ქალიშვილი – მარიამი და ფეფო. რვა წლის ნიკო მამით დაობლდა... ნიკოს უფროსი და მარიამი მოსწონებია თბილისიდან მირზაანში ჩასულ მინათ-მომწყობს ალექსის, რომლის გვარიც ჩვენთვის უცნობია..." იმავე ავტორის ნაშრომში "ფიროსმანის გარემო" (თბილისი, 1992 წ.) ვკითხულობთ, რომ ასლანი დაახლოებით 1870 წელს გარ-

დაცვლილა. მარიამი იმ დროს 14-15 წლის ყოფილა. ა.მაძღარაშვილი თამრო ბარამაშვილის მოგონებაზე დაყრდნობით მოგვითხრობს, რომ "ნიკო ფიროსმანაშვილის მამა ასლან მიხას ძე ფიროსმანაშვილი მირზაანის მკვიდრი იყო". როგორც ვხედავთ, თ.ბარამაშვილს ასლანის მამის სახელი სწორად არ სცოდნია. დასახელებული ასლანი რომ იგივე ასლან კიკოს ძეა – ეს იქიდანაც ჩანს, რომ მის მეუღლედ ა.მაძღარაშვილიც თეკლე ტოკლიკიშვილს ასახელებს. ასლანის ოჯახის შემადგენლობის შესახებ ფეფე ბარამაშვილი და ა.მაძღარაშვილი ერთნაირ ცნობებს გვანვდიან, მხოლოდ ფეფე უფროსი დის სახელს არ გვამცნობს.

ვანო ბუთლიაშვილის მიერ ქალანთაროვების ოჯახში შეკრებილი ცნობების თანახმად კი, ასლანს ნიკოზე უფროსი ვაჟიც ყოლია. ფიროსმანაშვილების ოჯახი ქიზიყიდან შულავერში გადასახლებულა საცხოვრებლად. "ნიკოს მამა მევენახეთ დამდგარა ახვერდი ქალანთაროვის ზვარში და თავისი ცოლშვილი დაუბინავებია ქალანთაროვის ოჯახში, ნიკოს მამას ყოლია ორი ვაჟი და ორიც ქალი, რომელთაგან ერთი გათხოვილი ყოლია ქიზიყში. თან მოყოლია ერთი ქალიშვილი. ნიკო უმცროსი ვაჟი ყოფილა. უფროსს რქმევი ვიორგი, რომელიც გარდაცვლილა 15 წლისა ს.შულავერს. რამოდენიმე წლის შემდეგ ნიკოს მოკვდომია მამა. მალე ნიკოს ავად გახდომია დედაც, რომელსაც უვლიდნენ ქალანთაროვები. როდესაც იგრძნო მან სიკვდილის მოახლოება უკანასკნელ დროს იგი შეევედრა ახვერდი ქალანთაროვის მეუღლე ეფროსინიას: – "თქვენ გაბარებთ ჩემ შვილს ნიკოს და უპატრონეთო". გარდაიცვალა ნიკოს დედა".

როგორც ზემოთ ვნახეთ, ფიროსმანის და არაფერს ამბობს უფროსი ძმის, გიორგის არსებობის შესახებ.

დავით კაკაბაძის არქივში დაცული ყოფილა მარიამ სერგეის ასულ ბეგოსიპოვას მონათხრობის სტენოგრამა, რომელიც პარმენ მარგველაშვილმა გამოაქვეყნა. პუბლიკაციის ავტორი აღნიშნავს, რომ დავით კაკაბაძის სტენოგრაფიული ჩანაწერიც არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული – იგი ეანო ბუთლიაშვილის მიერ მოპოვებულ ცნობილ მასალას ეხმიანება. სტენოგრამაში ასეთი ცნობებია მოცემული: "როცა ფიროსმანაშვილები შულავერში მოხვდნენ, ნიკო 6 წლის იყო, ყავდა 13 წლის ძმა და 10 წლის და. ნიკო მალე შულავერიდან თბილისში წაიყვანა ანა ახვერდის ასულმა ქალანთაროვამ, მთხრობელის დედამ და იმ ახვერდი და ეფროსინე ქალანთაროვების ოჯახის ქალიშვილმა, სადაც ფიროსმანაშვილები ცხოვრობდნენ".

დღემდე მიკვლეული იყო ასლან კიკოს ძე ფიროსმანაშვილის მხოლოდ ორი შვილის დაბადების სამეტრიკო ჩანაწერები: მაიასი – დაბ. 1831 წელს და ნატალიასი – დაბ. 1863 წელს. არქივში მიჯაკულიე ასლანის კიდევ სამი შვილის – ზემოხსენებული ბარბარეს, აგრეთვე ივანეს და ელისაბედის დაბადების ჩანაწერებს:

1847 წელს დაიბადა ივანე. მშობლები: "სოფელს მირზაანში მცხოვრებელი სახაზინო ყმა ასლან ფიროსმანაშვილი ძე ნიკოლოზისა და სჯულიერი ცოლი ამისი სალომე იოსების ქალი ორნივე მართლმორწმუნენი" (სსცსა, ფონდი 489, აღწერა 6, საქმე 661).

ასლანის ვინაობა ეჭვსგარეშეა, მაგრამ ვინ არის სალომე იოსების ქალი? თუ მომდევნო დოკუმენტს შევადარებთ, ვნახავთ, რომ თეკლას მამის

სახელიც იოსები ყოფილა. უნდა ვიფიქროთ, რომ მღვდელმა, თავისი დაუდევრობით, თეკლას ნაცვლად სალომე ჩაწერა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოდის თითქოს ასლანს სამი ცოლი ყავდა: მართა, სალომე და თეკლა, რაც არა გვეგონია, რომ სიმართლეს შეესაბამებოდეს. ერთი რამ კი უტყუარია: ასლანს უფროსი ვაჟიშვილი ყოლია.

1857 წლის იანვარში ასლანს შეეძინა ქალიშვილი – ელისაბედი. მშობლები: “ამავე უეზდისა და უჩასტკის მირზაანს მცხოვრები სახაზინო გლეხი ასლან ძე დავითისა ფიროსმანაშვილი და სჯულიერი ცოლი მისი თეკლა იოსების ქალი. ორნივე მართლმადიდებლის სარწმუნოების აღსარებისანი” (სსცსა, ფონდი 489, აღწერა ნ, საქმე 1209).

კვლავ მღვდლის დაუდევრობასთან გვაქვს საქმე. კამერალური აღწერების მასალებიდან ვიცით, რომ მირზაანში XIX საუკუნეში მხოლოდ ერთი ასლან ფიროსმანაშვილი ცხოვრობდა, ისიც კიკოს ძე. სამეტრიკო ჩანაწერებით დავადგინეთ, რომ ასლანი ხან კიკოს ძედ მოიხსენიებოდა, ხან ნიკოლოზის ძედ, ვინაიდან კიკო – ნიკოლოზის შემოკლებული ფორმაა. ახლა კი ასლანი დაფიქსირებულია, როგორც დავითის ძე, რაც, ჩვენი აზრით, შეცდომა უნდა იყოს. მირზაანში სხვა ასლან ფიროსმანაშვილიც რომ ყოფილიყო, ძნელი დასაჯერებელია, რომ მის ცოლსაც თეკლა რქმეოდა. ნიკოლას დას, ფეფე ბარამაშვილს შეიძლება ბევრი რამ არ ახსოვდა, მაგრამ მშობლების სახელები კი ნამდვილად სწორად ეხსოვებოდა – ასლანი და თეკლა.

ფეფეს, იმავე ნატალიას დაბადების სამეტრიკო ჩანაწერში, რომელსაც მ.ჩორგოლაშვილმა მიაკვლია, მშობლებად დასახელებული არიან “ასლან

კიკოს ძე ფიროსმანაშვილი და თეკლა იოვის ქალი”. ცხადია, რომ თეკლა იოვის ქალი, იგივე თეკლა იოსების ქალია და ვფიქრობთ არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ ეს თეკლა იგივე სალომეა.

ამდენად, ასლან ფიროსმანაშვილს, პირველ ცოლთან, მართა გოგის ქალთან 3 ქალიშვილი ყოლია, რომელთაგან არქივში მხოლოდ ორის – მაიას და ბარბარეს დაბადების სამეტრიკო ჩანაწერებია შემონახული. მეორე ცოლთან, თეკლასთან კი ასლანს ოთხი შვილი ყავდა: ივანე (დაბ. 1847 წ.), ელისაბედი (დაბ. 1857 წ.), ნატალია, იგივე ფეფე (დაბ. 1863 წ.) და ნიკოლოზი, რომლის დაბადების ჩანაწერიც დღემდე მიკვლეული არ არის.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ელისაბედი სწორედ ის უფროსი ქალიშვილი, რომელსაც მარიამის სახელით იხსენიებენ, თუმცა თავად ფეფე თავის მოგონებებში უფროსი დის სახელს არ გვანვდის. არც ის არის გამორიცხული, რომ მღვდელს მარიამის ნაცვლად ელენე ჩაწერა. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ ასლანს და თეკლას 1857 წელს უფროსი ქალიშვილი შეეძინათ. ასევე უტყუარია, რომ მათ უფროსი ვაჟიშვილიც ყავდათ – ივანე, რომელიც სრულიად ახალგაზრდა გარდაცვლილა. ქალნათაროვები მას გიორგის სახელით მოიხსენიებენ, ხოლო ფეფემ მისი არსებობის შესახებაც კი არაფერი იცის. ახლა ისეთ ბურუსით მოცულ საკითხს მივადექით, როგორც ნიკალას დაბადების თარიღის დადგენაა.

1922 წელს გაზეთ “ბახტრიონის” მე-8 ნომერში გამოქვეყნებულ ტიციან ტაბიძის წერილს ერთვის რედაქციის მინაწერი: “ნიკო ფიროსმანაშვილი დაიბადა 1860–68 წლებში კახეთში. 8 წლიდან თბილისში ცხოვრობდა. გარდაიცვალა 1918 წელს, აღდგომა ლა-

მეს. დასაფლავებული უნდა იყოს კუ-
 კიის წმიდა ნინოს სასაფლაოზე". ნ.კო-
 ბიაშვილი ვარაუდობს, რომ აღნიშნუ-
 ლი წლები ფეფეს ასაკის გათვალისწი-
 ნებით იყო მითითებული და დასძენს,
 რომ 1930 წელს ჟურნალ "დროშაში" მ,
 გ.ლენინძე გვანჯღის სხვა ცნობას:
 "ჩემგან აღმოჩენილი ცნობით (მირზა-
 ანის ეკლესიის მეტრიკული დავთრის
 თანახმად ცნობა ამოსწერა ვ.ალულიშ-
 ვილმა), ნ.ფიროსმანი დაბადებულა
 1860 წელს". ვინაიდან საარქივო ნომე-
 რი მითითებული არ არის, ნ.კობიაშვი-
 ლის აზრით, ვ.ალულიშვილს მხედვე-
 ლობაში უნდა ქონოდა 1860 წლის კა-
 მერალური აღწერის წიგნში არსებუ-
 ლი ჩანაწერი, საიდანაც ირკვევა, რომ
 ასლან კიკოს ძე ფიროსმანაშვილის
 ოჯახი 1860 წელს 7 სულისაგან შედ-
 გებოდა: 2 მამაკაცისა და 5 ქალისაგან.
 ეს ჩანაწერი პირველად მ.ჩორგოლაშ-
 ვილმა გამოაქვეყნა. ჩემი აზრით,
 ვ.ალულიშვილი ეყრდნობა მირზაანის
 ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის
 სამეტრიკო წიგნის ჩანაწერს, რომე-
 ლიც პირადად მინახავს: 1860 წელს,
 დავით ზაქარიას ძე ფიროსმანაშვილს
 და მის კანონიერ მეუღლეს, ირინე აბ-
 რამის ქალს შეეძინათ ვაჟიშვილი - ნი-
 კოლოზი. ცხადია, რომ საქმე ეხება
 სხვა ნიკოლოზს. ამ ჩანაწერს თავად
 გ.ლენინძეც აქვეყნებს მომდევნო
 1931 წელს, მხოლოდ საარქივო ნომ-
 რის გარეშე. პოეტი წერს, რომ ფიროს-
 მანის დაბადების თარიღის საბოლოო
 დადგენისათვის მან მიმართა მირზაა-
 ნის ეკლესიის "მეტრიკული ამონაწე-
 რების დავთარს" 1860-1872 წლებისას,
 მაგრამ ამ წლებში ნიკალას დაბადება
 არსად არ არის მოხსენიებული. ამონა-
 წერები მისთვის ვ.ალულიშვილს გადა-
 უცვია. ამ ამონაწერებში ოთხი სხვა ნი-
 კოლოზ ფიროსმანაშვილის დაბადე-
 ბაა დაფიქსირებული:

"1. ნიკოლოზ ფიროსმანაშვილი:
 დ.1860 წ. დედა: ირინე აბრამის ასული,
 მამა: დავით ძე ზაქარიასი.

2. ნიკოლოზ ფიროსმანაშვილი. მა-
 მა: ზაქარია გრიგოლის ძე, დედა: ბარ-
 ბარე გრიგოლის ასული, დაბად. 1869 წ.
 აგვისტოს 5-ს.

3. ნიკოლოზ ფიროსმანაშვილი. მა-
 მა: დიმიტრი ივანეს ძე, დედა: თამარა
 გიორგის ასული. დაბად. 1871 წ. 27 ივ-
 ნისს.

4. ნიკოლოზ ფიროსმანაშვილი. მა-
 მა: სვიმონ დიმიტრის ძე, დედა: ატა-
 ტო ბასილის ასული, დაბად. 1872 წ. 20
 იანვარს".

ამრიგად, ნიკოლოზ ასლანის ძე
 ფიროსმანაშვილის დაბადების ჩანაწე-
 რი 1860-1872 წლებში არ ჩანს. გ.ლე-
 ნინძის აზრით, ვინაიდან შეუძლებე-
 ლია, რომ მხატვარი 1873 წლის შემდეგ
 ან 1857 წელზე ადრე დაბადებულიყო,
 ამიტომ მისი დაბადება 1857-1859
 წლებს უნდა მივაკუთვნოთ.

ამის შემდეგ, სხვადასხვა საარქივო
 დოკუმენტებზე დაყრდნობით, სხვა-
 დასხვა ვერსიები იქნა წამოყენებული.
 1960 წელს, ჟურნალისტმა გ.ბებუ-
 თოვმა ამიერკავკასიის რკინიგზის
 სამმართველოს არქივში აღმოაჩინა
 ჩანაწერი, რომელიც წარმოადგენს ნი-
 კოლოზ ასლანის ძე ფიროსმანაშვი-
 ლის ფორმულარულ წუსხას. ფიროს-
 მანს 1890 წლის 18 აპრილს დაუნყია
 მუშაობა მიხაილოვის (ხაშურის) რკი-
 ნიგზის სადგურის სატვირთო მატა-
 რებლების შემუხრუჭე კონდუქტო-
 რად, ხოლო იმავე წლის 14 ოქტომბერს
 სამუშაოდ გადაუყვანიათ ელისავეტ-
 პოლის (კიროვობადის) სადგურში.
 სპეციალურ გრაფში წლოვანება აღ-
 ნიშნული არ არის, მაგრამ წუსხას ერ-
 თვის სამედიცინო ცნობა, რომელშიც
 აღნიშნულია ფიროსმანის ასაკი - 28
 წელი. ზემოხსენებულ არქივში დაცუ-

ლი "ნიკოლოზ ფიროსმანაშვილის საქმე 2167" უფრო ვრცლად გაგვაცნეს ლეო გაბუნიაშვილი და ივანე ჯავახიშვილი. 1967 წელს. მომდევნო წელს, თ.ქრისტინაშვილი იმავე საარქივო საქმიდან 2167 ყურადღება გაამახვილა ორ საბუთზე, რაც ფიროსმანის სამსახურიდან დათხოვნასა და შერყეულ ჯანმრთელობას შეეხება.

ფურნალისტი გ.ბებუთოვი ასევე გვამცნობს, რომ საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივის თანამშრომელს გ.გოზალიშვილს აღმოუჩენია 1873 წლის კამერალური აღწერის ჩანაწერი: "ნიკოლოზ ასლანის ძე ფიროსმანაშვილი, 22 წლის, სოფლის სიიდან ამოღებულია თბილისში გადასვლასთან დაკავშირებით". გ.ბებუთოვი აღნიშნავს, რომ თუ ამ საბუთს დავეყრდნობით, ფიროსმანი 1850-იან წლებში უნდა იყოს დაბადებული. ფურნალისტს უფრო სარწმუნოდ მიაჩნია სამედიცინო ცნობა, რომლის თანახმადაც 1890 წელს ფიროსმანი 28 წლის ყოფილა. აქედან გამომდინარე, ელემენტარულად დაბადების თარიღს – 1862 წელს.

მ.ჩორგოლაშვილი კი უფრო სარწმუნოდ მიიჩნევდა 1873 წლის კამერალური აღწერის ზემოთხსენებულ ჩანაწერს, რომლის მიხედვით 1873 წელს ნიკალა 22 წლის ყოფილა, ე.ი. 1851 წელს ყოფილა დაბადებული. თავის მოსაზრებას მ.ჩორგოლაშვილი მეორე დოკუმენტითაც ამაგრებს. ეს არის 1860 წლის კამერალური აღწერის ნიგანი, სადაც ასლანის ოჯახში პირველად ჩნდება ცნობა მეორე მამაკაცის არსებობის შესახებ. მ.ჩორგოლაშვილი ვარაუდობს, რომ ეს მეორე მამაკაცი, მომავალი მხატვარი ნიკო ფიროსმანაშვილია. აქვე დავძენთ, რომ მკვლევარმა მიაკვლია საარქივო დოკუმენტს, რომელიც ცხადყოფს, რომ ფი-

როსმანს პირველად რკინიგზაზე მუშაობა დაუწყია არა 1890 წელს, არამედ გაცილებით ადრე. შესაძლოა 1884 ან 1885 წელს, სამხატვრო სახელოსნოს დაკეტვისთანავე (სახელოსნო მას გიგო ზაზიაშვილთან ერთად ქონდა გახსნილი ველიამინოვის ქუჩაზე). 1888 წლის 28 დეკემბერს 160 ბრძანებით იგი "უკიდურესი უხეშობისთვის" სამუშაოდან გაუთავისუფლებიათ. შემდეგში მან თავი აღიდგინა, მაგრამ 1893 წლის დეკემბერში იგი კვლავ გაათავისუფლეს. როგორც ჩანს, ამის შემდეგ იწყებს ვაჭრობას რძის პროდუქტებით.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს ფაქტი დასაბუთებულია, ერთი შეუსაბამობა იჩენს თავს: 1890-იანი წლებით დათარიღებული დოკუმენტებიდან არ ჩანს, რომ ფიროსმანს რკინიგზაზე ადრეც ემუშავოს. ასე, მაგალითად, რკინიგზის მოძრაობის სამსახურის უფროსის 1893 წლის 1 ივლისის მოხსენებას ერთვის ცნობა: "ფიროსმანაშვილი გზის სამსახურში მუშაობს 1890 წლის 18 აპრილიდან. ხელფასს იღებს 180 მანეთს წლიურად". თავად ნიკალა 1892 წლის 18 აპრილს მოძრაობის უფროსს სწერს: "ორ წელზე მეტია ამიერიკავკასიის რკინიგზაზე ვმუშაობ და შევბუღებით არ მისარგებლია", ხოლო 1893 წლის 6 ნოემბერს აცხადებს: "...თქვენდამი რწმუნებულ რკინიგზაზე ოთხ წელიწადს ვიმუშავე". შესაძლოა, ფისრომანს არ სურდა იმის გახსენება, რომ რკინიგზაზე ადრეც უმუშავია. მეტ უზუსტობას ვხვდებით მის მიერ 1891 წლის 6 მაისს ელიზავეტპოლის სადგურის უფროსისადმი თბილისში გადაყვანის თაობაზე გაგზავნილ თხოვნაში: "ხანდაზმულობისაგან დაუძღვრებული ჩემი მშობლები ტფილისში იმყოფებიან". სხვა სარწმუნო ინფორმაცია რომ არ გვექონოდა,

დავიჯერებდით, თითქოს 1891 წელს მხატვრის მშობლები ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ. ამგვარი უზუსტობები გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა გ.ბეზუთოვის მიერ დამონშებულ სამედიცინო ცნობაში მითითებული ფიროსმანის ასაკიც – 28 წელი, არ იყოს ზუსტი. ა.მაძლარაშვილი მართებულად ასკენის, რომ სამედიცინო ანკეტა "უთუოდ შეივსებოდა ნიკო ფიროსმანაშვილის პირადი მონაწილეობით", მაგრამ ვერ გავიზიარებ მის თვალსაზრისს, თითქოს მხატვრის პირადი მონაწილეობა უზუსტობას გამოიწვიავდეს. ა.მაძლარაშვილი წერს: "სხვა ვინ შეავსებდა ამნაირი სიზუსტით ფიროსმანის ანკეტას, თუ არა თვითონ":

ფიროსმანის დაბადების თარიღის დაზუსტებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა წელი კობიაშვილმა. მან დაკვირვებით წაიკითხა 1873 წლის კამერალური აღწერის წიგნი და ახალი ინფორმაცია აღმოაჩინა: "ნიკოლოზ ასლანის ძე ფიროსმანაშვილი, 22 წლის გამოტოვებული იყო კამერალური აღწერით "საქმე 337, 1885 წელი". მომდევნო გრაფაში ჩანერილია: "ნიკოლოზ ფიროსმანაშვილი გამორიცხულია ამა სოფლიდან ქ.ტფილისში გადარიცხვის გამო. საქმე 337, 1885 წელი". ნ.კობიაშვილი აკეთებს სწორ დასკვნას, რომ ჩანაწერი გაკეთებულია 1885 წელს. კამერალური აღწერის წიგნებში მართლაც გვხვდება ხოლმე უფრო გვიანდელი მინაწერები. აღნიშნული დოკუმენტი დედანში მინახავს და ამიტომ ქ-ნ წელი კობიაშვილის მოსაზრებას სავსებით ვიზიარებ. მ.ჩორგოლაშვილი წერს, რომ "1873 წლის კამერალურ აღწერაში ასლანს არ იხსენიებენ. არის ასლანის მეუღლე, მისი ქვრივი, რომელიც შემდეგ ამოუშლიათ იმის გამო, რომ არსებული წესით აღწერაში მხოლოდ მამაკაცები

შექონდათ". ნ.კობიაშვილი უფრო სწორად ხსნის ასლანის მეუღლის ამოშლის მიზეზს. ძირითადი ჩანაწერის ქვევით და ოდნავ მარჯვნივ, ნითელი მელნით რუსულ ენაზე, საკმაოდ გაურკვეველი ხელით მიუწერიათ ერთი სიტყვა. ჟურნალისტი წერს: "ვგონებ არ უნდა ცვდებოდე და სწორად ამოვიკითხე – умерла წერია გაკრული ხელით". ამ მოსაზრების ეჭვქვეშ დაყენება შეუძლებელია. აღნიშნული სიტყვა მეც ზუსტად ასე ამოვიკითხე.

ნ.კობიაშვილი გულისყურით ეკიდება მხატვრის დის, ფეფეს მოგონებებს, რომელთა მიხედვით ის ნიკალაზე უფროსი იყო: პირველი მოგონების თანახმად, 2-3 წლით, ხოლო მეორე მოგონების თანახმად 4 წლით, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ ასაკობრივი სხვაობა საშუალოდ 3 წლით განვსაზღვროთ. ხოლო თუ ფეფე იგივე ნატალიაა, მაშინ მის დაბადების თარიღს, 1863 წელს, უნდა დაეუმატოთ 3 წელი და ნიკალას დაბადების თარიღს მივიღებთ. ნატალიასა და ფეფეს იდენტიფიცირებისათვის, ნ.კობიაშვილი სრულიად ახალ მასალას გვანვდის. 1873 წლის კამერალური აღწერის წიგნში XX საუკუნის დამდეგამდე გაგრძელებულა ჩანაწერების ჩამატება. 1901 წელს შეუტანიათ ჩანაწერი ფეფეს ქმრის, ივანე ბარამაშვილის ოჯახის შესახებ: "ბარამაშვილი ივანე, 34 წლის, ცოლი მისი ფეფე 37 წლის, შვილები: ნიკოლოზ, გიორგი ლეთისაეარ, თამარა, ანა". საქმე 224, 1901 წ." 1863 წელს დაბადებული ადამიანი 1901 წელს სწორედ 37-38 წლისა იქნებოდა. ნ.კობიაშვილი შეგვახსენებს ამონარიდს ფეფეს მოგონებიდან, რომელიც გაზეთ "ბახტრიონის" 1922 წლის მე-10 ნომერში გამოქვეყნდა: "მე ნიკალას და ვარ, 57 წლისა ვიქნები და მასზე 2-

3 წლით უფროსი ვარ... თვითონ ვანო ბარამაშვილზე ვარ გათხოვილი. ქმარი ცოცხალი აღარ მყავს. მყავს ორი ვაჟი და ოთხი ქალი”.

ნ.კობიაშვილი სავსებით სწორად შენიშნავს, რომ 1863 წელს დაბადებული ადამიანი 1922 წელს დაახლოებით 58-59 წლისა იქნებოდა და “რადგან ასაკი ფეფე ბარამაშვილისა და ნატალიასი ემთხვევა, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ფეფე და ნატალია, ერთი და იგივე პიროვნებაა”. ფეფეს მოგონებაში ხომ ნათქვამია: “როდესაც დედა გარდაიცვალა, მე 9-10 წლისა ვიყავი, ნიკო 7-8 წლისა”. ნ.კობიაშვილი ამ ამონარიდზე დაყრდნობითაც ამტკიცებს, რომ 1863 წელს დაბადებული ადამიანი 1873 წელს სწორედ 9-10 წლისა იქნებოდა. ხოლო თუ ნიკო 1873 წელს 7-8 წლის იყო, ე.ი. ის 1866-67 წლებში დაბადებულია.

ნ.კობიაშვილი ფიქრობს, რომ 1860 წლის კამერალური აღწერის ნიგნში ასლან ფიროსმანაშვილის ოჯახში დაფიქსირებული მეორე მამაკაცი – ნიკოს უფროსი ძმია, გიორგი, რომელიც 15 წლის გარდაცვლილა. დღეს ეს მოსაზრება განსაკუთრებით დამაჯერებელი ხდება, ვინაიდან უკვე მივაკვლიე უტყუარ საარქივო საბუთს, რომელიც უფროსი ძმის არსებობას ცხადყოფს. როგორც ჩანანერიდან ჩანს, მას ივანე რქმევი.

ნ.კობიაშვილმა გაგვაცნო ერთი მეტად საგულისხმო დოკუმენტი. 1960 წელს გაზეთ “Заря Востока”-ს რედაქციას თხოვნით მიუმართავეს საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივისათვის სოფელ მირზაანის მეტრიკულ ნიგნების გადათვალეერების თაობაზე, რაზედაც არქივს შემდეგი პასუხი გაუცია: “...დამატებით აღმოჩენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ ნიკო ფიროსმანაშვილი დაბადებულია

1850-იან წლების დასაწყისში (და არა 60-იან წლებში). არსებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით გადავთვალეერთ 1850-52 წლების მეტრიკული ნიგნები. ჩანანერი მისი დაბადების შესახებ არ აღმოჩნდა. არ არის ჩანანერი აგრეთვე 1860-63 წლების მეტრიკულ ნიგნებშიც. შესაძლებელია ნ.ა.ფიროსმანაშვილი მონათლული იყო რომელიმე სხვა სოფლის ეკლესიაში, რომლის სახელწოდების ცოდნის გარეშე შემდგომი ძიება შეუძლებელია”.

ჯერ კიდევ ამ პასუხის გაცნობამდე პირადად მაქვს გადასინჯული საისტორიო არქივში დაცული მირზაანის ლეთისმშობლის ეკლესიის ყველა სამეტრიკო ნიგნი, მაგრამ ფიროსმანის დაბადების ჩანანერი არსად არ აღმოჩნდა. მეც იმ დასკვნამდე მივედი, რომ ის სხვა სოფელში უნდა იყოს მონათლული. დედამისი, თეკლა ტოკლიკიშვილი მაჩხაანიდან იყო. შეიძლება და გვეფიქრა, რომ ნიკალა მაჩხაანში მონათლეს, მაგრამ ეს ვარაუდი გამოირიცხა, ვინაიდან გულდასმით შევისწავლე მაჩხაანის საეკლესიო-მეტრიკული ნიგნები, მაგრამ ნიკალა არც ამ ნიგნებში აღმოჩნდა. ისლა დაგვრჩენია ვივარაუდოთ, რომ მხატვარი შულავერში დაიბადა.

სადღეისოდ ჩვენს ხელთ არსებული ყველა ცნობა რომ შევაჯამოთ, მივიღებთ შემდეგ სურათს: როდესაც ასლან ფიროსმანაშვილი შულავერში გადასახლდა, მას მეორე ცოლთან, თეკლასთან ჩვენს ხელთ არსებული საბუთებით უკვე სამი შვილი ყავდა: 1. ივანე დაბ. 1847 წელს, 2. ელისაბედი, დაბ. 1857 წელს და 3. ნატალია, იგივე ფეფე. დაბ. 1863 წელს. მარიაშის დაბადების ჩანანერს ვერ მივაკვლიეთ. როგორც უკვე ვთქვით, არ არის გამოირიცხული, რომ მისი სახელი შეცდომით ყოფილიყო დაფიქსირებული.

ამას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ელისაბედის არსებობა დღემდე არავის უხსენებია. შულავერში ასლანს ვაჟიშვილი გარდაეცვალა, რომელიც 16 წლის იქნებოდა. მირზაანის სამეტრიკო წიგნებში ასლანის შვილის გარდაცვალების ჩანაწერი არ ჩანს. ცხადია, რომ ეს შულავერში მოხდა. ქალანთაროვებს ბუნდოვნად ახსოვთ, რომ ასლანის უფროს შვილს გიორგი ერქვა და იგი 15 წლისა გარდაეცვალა. შესაძლოა ფეფე იმ დროს ერთი წლისაც არ ყოფილიყო და ვერაფერს მიმხვდარიყო. შემდგომში მას არც უფროსი ძმის არსებობის შესახებ სმენია რაიმე და არც მისი გარდაცვალების შესახებ. არადა, ივანეს არსებობა ხომ უტყუარი დოკუმენტით დასტურდება. ფეფე კი ამბობს, მამაჩვენს სულ სამი შვილი ვყავდითო. როგორც აღენიშნე, ფეფე არც უფროსი დის სახელს გვანვდის. შესაძლოა საქმე ეხება ელისაბედს, რომელიც ასლანის გარდაცვალების დროისათვის დაახლოებით 15 წლის იქნებოდა, ნიკო კი 7-8 წლის. საფიქრებელია, რომ მხატვარი შულავერში დაიბადა. უტყუარია, რომ იგი ფეფეზე ანუ იგივე ნატალიაზე უმცროსი იყო. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მისი დაბადების ადგილია შულავერი, ხოლო დაბადების თარიღი – დაახლოებით 1866 წელი.

ჩვენს საისტორიო არქივში შულავერის სამეტრიკო წიგნებს ვერ მივაკვლიე. ფიროსმანის ექსპერტმა, მხატვარმა თენგიზ მირზაშვილმა მომანოვა ცნობა, რომ როგორც მას სმენია, შულავერის საეკლესიო-სამეტრიკო წიგნები ჩვენს არქივს თავის დროზე სომხეთის არქივისთვის გადაუცია. ამ ცნობის შესამოწმებლად ჩავედი ერევანში. აღმოჩნდა, რომ სომხეთის არ-

ქივისთვის გადაუციათ შულავერის სომხური ეკლესიის სამეტრიკო წიგნები, რომლებსაც აწერია: "село Карамурад онже Шулавер. Церковь св. Петрос-Петрос". ჩემთვის უცნობია შულავერის მეორე სახელი – ყარაზაურადი. ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: "ხოლო ხეობა შულავერისა არის ლელვარის მთის ნაკვერთ, იმიერ და ამიერ დაბები. შულავერი არს დაბა დიდი. ქუემორ მისსა ნაქალაქევი არს, შენობა დიდი, და წყარო ფრიად დიდი დის, ზეით მცირე ციხე".

შულავერის სახელით 1873 წლის კამერალურ აღწერაში "ტფილისის გუბერნიისა და მაზრის, ყოფილი ბორჩალოს მონაკვეთის" სამ სოფელს ვხვდებით. ესენია: პატარა შულავერი – 22 კომლი, ბაშკეჩეთის შულავერი – 7 კომლი და დიდი შულავერი – 549 კომლი. აღწერის მასალების მიხედვით, მთელი ეს მოსახლეობა სომხური ყოფილა, გარდა დიდ შულავერში მცხოვრები ერთადერთი ქართული კომლისა, რომელშიც 3 მამაკაცი და 5 ქალი შედიოდა (სსცსა, ფონდი 254, აღწერა 3, საქმე 244). მთელი ეს მონაცემები ძალზე საეჭვოდ გვეჩვენება, რაც ცალკე შესწავლის საგანია. მაგრამ ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ XIX საუკუნის II ნახევარში ამ ძირძველ ქართულ მიწაზე მართლმადიდებლური ეკლესიის არსებობა არ დასტურდება. ცხადია, ფიროსმანაშვილები შილს სომხურ ეკლესიაში არ მონათლავდნენ. ეს არის მიზეზი იმისა, რომ მხატვრის დაბადების დათარიღების საკითხი ბურუსით არის მოცული. საფიქრებელია, ნიკო შულავერის მიმდებარე რომელიმე სოფლის ეკლესიაში იყოს მონათლული. სამეტრიკო წიგნები ჩვენამდე სრულად არ არის მოღწე-

ული, რის გამოც ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევა უშედეგო აღმოჩნდა.

ფიროსმანზე ბოლო მონოგრაფიული გამოკვლევა დაწერილია 1999 წელს და ეკუთვნის თემო ჯაფარიძეს. მასში მხატვრის დაბადების თარიღად დასახელებულია 1856 წელი, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, თუ რა ცნობებს ემყარება ავტორი.

ფიროსმანის შრომითი საქმიანობის შესახებ პირადად მე არავითარი ახალი ცნობებისათვის არ მიმიკვლევია, თუ არ ჩავთვლით იმ უმნიშვნელო დეტალს, რომ რკინიგზის სამსახურდან 1889 წელს განთავისუფლებულთა ერთ სიაში დაფიქსირებულია ფიროსმანაშვილი ვანო. სახელი შემდეგ ვიღაცას გადაუშლია. ამავე მელნით არის ხაზგასმული დათხოვნის თარიღი (სსცსა, ფონდი 279, აღწერა 1, საქმე 158). აღბათ, შეცდომა ეგონათ. სინამდვილეში ეს ჩანაწერი ნიკოს არ ეხება, ვინაიდან ამ დროისათვის ის უკვე განთავისუფლებული იყო. ამავე საქმეში (ფურც. 889ა) იხანება დოკუმენტი, რომელიც გვამცნობს, რომ 1889 წლის ივნის-ივლისში სამსახურიდან კიდევ სამი ფიროსმანაშვილი განთავისუფლებიან. ე.ი. როდესაც ნიკომ რკინიგზაზე დაიწყო მუშაობა, იქ უკვე საკმაო რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი მისი მოგვარენი. შესაძლოა, სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა ნიკოს არჩევანი და რკინიგზელად აქცია.

არქივში მოკვლეულმა დოკუმენტებმა საშუალება მომცა დამედგინა ფიროსმანის გარდაცვალებასთან და დაკრძალვასთან დაკავშირებული საკითხები, რაზედაც დღემდე აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა.

გახეთ "ბახტრიონის" 1922 წლის მე-მ ნომერში ეკითხულობთ: "რედაქ-

ციამ შეკითხვით მიმართა ყოფ. არამიანცის და მიხეილის საავადმყოფოს თუ რა რიცხვში და რა ავადმყოფობით გარდაიცვალა ნიკო ფიროსმანი". როგორც ჩანს, დასახელებულმა საავადმყოფოებმა ვერ შეძლეს პასუხის გაცემა.

ლადო გუდიაშვილი წერდა: "ნიკომ თავისი ნუთისოფელი სადღაც დიდუბის მიგდებულ ადგილებში დალია, მაგრამ როდის მოკვდა, რა პირობებში, ვინ დამარხა ეს არავინ იცის. გადმოგვცემენ, რომ იგი კუკიის სასაფლაოზეა დაკრძალული, მაგრამ დანამდვილებით არავინ იცის..."

ეგნატე მენტეშაშვილი იგონებდა: "სიკვდილის წელს ვგონებ რომ ორმოცდაათს გადაცილებული იყო. მე მაშინ თბილისში არ ვიყავი, მხოლოდ "ისპანკა" იყო გავრცელებული. სამი დღე უპატრონოდ გდებულებო ნაგავში. როცა "სწრაფი დახმარების" ეტლში ჩასვეს მან სთქვა "ხორველა მჭირსო". დამარხული უნდა იყოს წმინდა ნინოს სასაფლაოზე. არავინ მის კუბოს არ გაყოლია. მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა და საავადმყოფოშივე დაიმარხა. ყველაზე უკეთესად და დაწვრილებით მისი ამბები იცოდა განსვენებულმა ილია მგალობლიშვილმა". ილია მგალობლიშვილზე არჩილ მაისურაძეც მიუთითებს თავის მონათხრობში: ნიკალა "ამ ხანებში სმისაგან გამზდარიყო ავად. ჩასულიყო სარდაფში, ნესტიანსა და ბნელ იატაკზე დანოლილიყო. ორი-სამი დღის შემდეგ შემთხვევით ჩავედი და დიდ სიბნელებში ნაფანყდი მას. კენესოდა მწარედ. მე ვერ ვიცანი და შევძახე: ვინ ხარ მეთქი! - მე ვარო და მაშინვე ხმაზე ვიცანი ნიკალი. მან კი ველარ მიცნო. მხოლოდ მითხრა. ცუდათ გავხდით. მე მაშინვე ფაიტონი მოვიყვანე. რაკი მე არ მეცალა, ეტლში ჩაუჯდა

განსვენებული ილია ანდრიას ძე გვალობლიშვილი და ნაიყვანა არამიანცის საავადმყოფოში. ნამდვილად აღარ ვიცი მართლა იქ მიიყვანა, თუ მიხეილის საავადმყოფოში. ეს კია, რომ კაცი დღენახევარში გათავდა... ჩემის აზრით, ნიკალაი უსათუოდ იყოს დამარხული პეტრეპაველეს ქართველთა სასაფლაოზე”.

შემორჩენილია ცნობა, რომ ფიროსმანი 1918 წელს “გაზაფხულზე, აღდგომის წინა დღეს მოკვდა”. ფიროსმანის სახლ-მუზეუმის თანამშრომელი დალი სულაშვილი ფურნალისტ ლელა ჯიყაშვილისათვის მიცემულ ინტერვიუში ამბობს: “ზუსტად არავინ იცის, რომელ საავადმყოფოში ნაიყვანეს – არამიანცის თუ მიხეილისაში. მეორე დღეს ფიროსმანი გარდაიცვალა. მისი საფლავი დაკარგულია, მაგრამ შესაძლოა კუკიის სასაფლაოზე დაკრძალეს, სადაც ბევრია უპატრონო საფლავი”.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნიკალა 1918 წლის აღდგომის წინა დღეს გარდაიცვალა, მაგრამ თვე და რიცხვი არავის დაუზუსტებია. როგორც მამა ბიძინას (გუნია) დახმარებით დავადგინე, 1918 წელს აღდგომა ახალი სტილით 5 მაისს ყოფილა. აქედან გამომდინარე, შემიძლია იმის მტკიცება, რომ მიხეილის საავადმყოფოს სარეგისტრაციო ნივნში ფიროსმანის გარდაცვალების ჩანაწერს მივაკვლიე. სწორედ აღდგომის წინა დღეს, 4 მაისს, საავადმყოფოში მიუყვანიათ “უცნობი წოდების” მამაკაცი. ასევე უცნობია, თუ ვინ მიიყვანა და საიდან. ავადმყოფი იმავე დღეს გარდაცვლილა. “ავადმყოფი მოსაცდელში იმყოფებოდა. როდესაც მის გასასინჯად გამგზავნეს, ის უკვე მკვდარი დამხვდა” – წერს მორიგე ექიმი. ალბათ, მოუვლელი და მომაკვდავი ნიკალა გაცი-

ლებით ხნიერი ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო, რის გამოც ექიმებს, რომლებმაც მისი გასინჯვაც ვერ მოასწრეს, 70 წლისა გონებიათ (სსცსა, ფონდი 507, აღწერა 1, საქმე 4073). ჩანაწერიდან ირკვევა, რომ მისი ცხედარი 5 მაისს გაკვეთეს. ოქმი შედგენილია 7 მაისს, საიდანაც ჩანს, რომ მას დაავადებული ქონია გული, ღვიძლი, ელენთა, თირკმლები, ხოლო ორივე გაკვეთილი ფილტიდან მოედინებოდა ქაფიანი სითხე, დიდი რაოდენობით”. ოქმის მონაცემები ემთხვევა იმ ჩივილებს, რის გამოც ფიროსმანმა 1893 წელს სამსახურიდან განათავისუფლება მოითხოვა. ისიც საგულისხმოა, რომ განათავისუფლებამდე ცოტა ხნით ადრე, ფიროსმანი იძულებული იყო ორი თვით შეეზღუდა აელო და აბასთუმანში წასულიყო სამკურნალოდ. როგორც ირკვევა, ის ტუბერკულოზით ყოფილა დაავადებული.

საისტორიო არქივში ფიროსმანის დაკრძალვის ჩანაწერიც მოვიძიე. მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიის სამეტრიკო ნივნში დაფიქსირებულია 1918 წლის 4 მაისს გარდაცვლილი “უცნობის წოდების” მამაკაცი, რომელიც 9 მაისს დაუკრძალავთ. ასაკი მითითებული არ არის. გარდაცვალების მიზეზი – ტუბერკულოზი. ბოლო გრაფაში “ვინ ალუგო ანდერძი და სად არიან დასაფლავებულნი”, აღნიშნულია: “На больничном Кукийском” (სსცსა, ფონდი 489, აღწერა 7, საქმე 1798). იგულისხმება საავადმყოფოში გარდაცვლილი, უპატრონო მიცვალებულებისთვის კუკიის სასაფლაოზე გამოყოფილი ადგილი. ტერენტი გრანელის პოეტური ზედევა ზუსტი გამოდგა: “ცოდვილ ქალაქში დადიოდი ჩოხის ამარა, საშინელებამ უცნაურად დაგასამარა...”

როგორც გავარკვეე, მიხეილის სა-

აეადმყოფოს სარეგისტრაციო წიგნზე სხვებსაც უმუშაეიათ, მაგრამ რატომ-ღაც საჭირო ჩანანერისთვის ვერ მიუკვლევიათ. 1969 წელს ინჟინერმა ირაკლი ლუკაშვილმა გამოაქვეყნა წერილი "ფიროსმანის უკანასკნელი დღე", რომელშიც გაგვაცნო მიხეილის საავადმყოფოს სარეგისტრაციო წიგნის შემდეგი ჩანანერი: "1918 წლის 7 აპრილს მიმღებ განყოფილებაში მოიყვანეს უცნობი წოდების მამაკაცი..." ი.ლუკაშვილი წერს: "ჩვენ გადავათვალიერეთ მიხეილის საავადმყოფოს ჩანანერების 1918 წლის წიგნი. ყველა ჩანანერი აღმოჩნდა "სახელობითი", მხოლოდ ეს ერთი ჩანანერი, 7 აპრილით დათარიღებული - იყო "უსახელო". როგორც ჩანს, ი.ლუკაშვილს ჩანანერები გულდასმით არ გადაუსინჯავს, წინააღმდეგ შემთხვევაში 1918 წელს რამდენიმე "უსახელო" ჩანანერს ნახავდა, მათ შორის იმასაც, რომელიც 1918 წლის 4 მაისს, ანუ აღდგომის წინა დღეს გაკეთდა, რაც თავისთავად ფიროსმანის გარდაცვალებაზე მიგვანიშნებს. ი.ლუკაშვილს 1920 წელს კუ-

კის სასაფლაოს ეკლესიის მეტრიკული წიგნიც შეუმონებია, მაგრამ ფიროსმანის დაკრძალვის ჩანანერისთვის ვერ მიუკვლევი. როგორც ვნახეთ, ამგვარი ჩანანერი სხვა ეკლესიის, კერძოდ, მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიის სამეტრიკო წიგნში აღმოჩნდა. ი.ლუკაშვილის მიერ არასწორად წარმართული ძიების შედეგებს დაეყრდნო ე.კუზნეცოვი, რომელიც აცხადებს, რომ 1918 წლის 7 აპრილს ჩანანერი არის "1918 წლის გაზაფხულზე გაკეთებული ერთადერთი უსახელო ჩანანერი". როგორც ვნახეთ, ეს ცნობა არ შეესაბამება სინამდვილეს.

2003 წლის 4 მაისს ნიკალას გარდაცვალებიდან 85 წელი შესრულდა. სიმბოლურია, რომ სწორედ მაისის დასაწყისში მივაკვლიე მისი გარდაცვალებისა და დაკრძალვის ჩანანერებს, რაც 9 მაისს სასწრაფოდ გავაცანი მკითხველს. და დავსვი საკითხი, გამოვლენილი დოკუმენტების საფუძველზე, კუკიის სასაფლაოს შესასვლელთან ფიროსმანის მემორიალის გაკეთების შესახებ.



1-2004

2004 - 744

ნ^o 1129/2

შპსი ორი ლარი



ქართული

ლიბრთეკა

ISSN 0132-599 X

იბდპისი 76125